



საქართველოს სახალხო დამცველის
ანგარიში
საქართველოში ადამიანის უფლებათა
და თავისუფლებათა დაცვის
მდგომარეობის შესახებ

2011 წელი

www.ombudsman.ge

სარჩევი

შესავალი	4
სასამართლო ხელისუფლება და ადამიანის უფლებები	9
უფლება სამართლიან სასამართლოზე	9
სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულება	56
სახალხო დამცველი და კონსტიტუციური კონტროლი	62
სამართალდამცავი ორგანოები და ადამიანის უფლებები	70
სამოქალაქო-პოლიტიკური უფლებები	78
შეკრებებისა და მანიფესტაციების თავისუფლება	78
გამოხატვის თავისუფლება	107
ინფორმაციის თავისუფლება	121
რელიგიის თავისუფლება და ტოლერანტობა.....	133
ეროვნული უმცირესობების უფლებები	142
სოციალურ-ეკონომიკური უფლებები	155
საკუთრების უფლება	155
საკუთრების უფლების დარღვევის ფაქტები სისხლის სამართალწარმოებისას.....	165
გადასახადის გადამხდელის უფლებები.....	179
სათანადო საცხოვრისის უფლება.....	191

სოციალური უზრუნველყოფის უფლება	195
შრომის უფლება და საჯარო სამსახური.....	205
ჯანმრთელობის დაცვის უფლების რეალიზებასთან დაკავშირებული ზოგიერთი ასპექტები	214
იმულებით გადაადგილებულ პირთა (დევნილთა) უფლებები	231
ლტოლვილთა და თავშესაფრის მაძიებელთა უფლებრივი მდგომარეობა.....	264
კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის უფლებრივი მდგომარეობა.....	272
სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და იმულებით გადაადგილებული პირების/ეკომიგრანტების უფლებრივი მდგომარეობა	277
ყოფილი სსრკ–ის მიერ XX საუკუნის 40–იან წლებში საქართველოს სსრ–იდან იმულებით გადასახლებულ პირთა – მესხების უფლებრივი მდგომარეობა.....	291
ბავშვის უფლებები	302
ქალის უფლებები.....	324
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები	334
პრევენციის ეროვნული მექანიზმის საქმიანობა	356
მდგომარეობა საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში.....	359
მდგომარეობაშინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორებში	474
ჯანმრთელობის უფლების დაცვა პენიტენციურ სისტემაში	491

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს 2011 წელს საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშს, რომელიც „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე წარედგინება საქართველოს პარლამენტს.

ანგარიში ეხება უფლებათა და თავისუფლებათა ფართო სპექტრს და მიმოიხილავს სამოქალაქო-პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა დაცვის მდგომარეობას საქართველოში. ანგარიში ასახავს ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით სახელმწიფოში არსებულ ზოგად ტენდენციებს და მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლების დარღვევის კონკრეტულ ფაქტებს.

საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელდა ხელისუფლების ცალკეულ ორგანოთა პრაქტიკის ანალიზი ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის კუთხით, შესწავლილ იქნა უფლებადარღვევის არაერთი ფაქტი, რომელზეც განხორციელდა სათანადო რეაგირება.

სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ განხორციელებული რეგულარული მონიტორინგის, შესწავლილი საქმეებისა და განცხადებების ანალიზი ცხადყოფს რომ სასჯელაღსრულების სისტემაში მოთავსებულ პირთა უფლებების ჯეროვანი დაცვა კვლავ ერთ-ერთ ძირითად პრობლემას წარმოადგენს. 2011 წლის განმავლობაში სახალხო დამცველმა შეისწავლა და რეაგირება განახორციელა როგორც პატიმრების მიმართ არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე ასევე მთელ რიგ სხვა უფლებადარღვევებზე, რომლების ძირითადი ნაწილი დაკავშირებული იყო როგორც პატიმართა ჯანმრთელობის უფლების ასევე სხვა ძირითადი უფლებების დარღვევასთან. საანგარიშო წელს სამწუხაროდ კვლავ დაფიქსირდა სისტემაში გარდაცვლილ პატიმართა მაღალი მაჩვენებელი, რომელიც ფაქტიურად არ განსხვავდება 2010 წლის მაჩვენებლისგან. შესაბამისი საქმეების ანალიზი ცხადყოფს რომ ტუბერკულოზი კვლავ რჩება პატიმართა გარდაცვალების ერთ-ერთ ძირითად მიზეზად. ამავდროულად აღსანიშნავია, რომ საანგარიშო წელს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მიერ შესრულდა სახალხო დამცველის რამდენიმე მნიშვნელოვანი რეკომენდაცია. სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის წინადადებების და შენიშვნების ნაწილი გათვალისწინებულ იქნა პენიტენციური ჯანდაცვის რეფორმის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში. ვიმედოვნებთ, რომ განხორციელებული ცვლილებები ხელს შეუწყობს თავისუფლებადკვეთილი პირების უფლებების პრაქტიკაში უკეთესად რეალიზებას.

საქართველოს სახალხო დამცველის საქმიანობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს კონსტიტუციური მართლმსაჯულების პროცესში მონაწილეობას. სახალხო დამცველი

აქტიურად იყენებს მის ბერკეტს მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს იმ შემთხვევაში, როდესაც მიიჩნევს, რომ ნორმატიული აქტით ან მისი ცალკეული ნორმებით დარღვეულია საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავში აღიარებული ადამიანის უფლებანი და თავისუფლებანი. საანგარიშო პერიოდში საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილება მიღებული იქნა სახალხო დამცველის 3 კონსტიტუციურ სარჩელზე, რომელთაგან 2 დაკმაყოფილდა, ხოლო ერთის დაკმაყოფილებაზე უარი გვეთქვა. შესაბამისად ანგარიშში წარმოდგენილია საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების მოკლე მიმოხილვა.

ანგარიშში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა სამართლიანი სასამართლოს უფლებას. საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის აპარატში შემოსული საჩივრებისა და განცხადებების ანალიზი და აპარატის თანამშრომლების მიერ განხორციელებული მონიტორინგი ცხადყოფს, რომ სასამართლო ხელისუფლების განხორციელებისას კვლავ არაერთი პრობლემა გვხვდება. ყველაზე პრობლემურ სფეროდ კვლავ სისხლის სამართალწარმოება რჩება. სამართალწარმოებისას საპროცესო მოქმედებების (ან სასჯელის) გამოყენებისას არცთუ იშვიათია საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული და დაცული საკუთრების უფლების ხელყოფა. აღნიშნულ პრობლემებზე დეტალურად იყო საუბარი წინა წლის ანგარიშშიც, თუმცა, სამწუხაროდ, არც საკანონმდებლო და არც სასამართლო ხელისუფლების მიერ არ გატარებულა ეფექტური ღონისძიებები აღნიშნული პრობლემის აღმოსაფხვრელად. კვლავ პრობლემად რჩება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისას პროცესის მონაწილეთა უფლებების დაცვის საკითხი, რისი ერთ-ერთი მთავარი მიზეზიც სისტემურად მომველბული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსია. გარკვეული პრობლემები დაფიქსირდა სხდომათა საჯაროობისა და სასამართლოზე ფიზიკური ხელმისაწვდომობის კუთხითაც.

2011 წლის განმავლობაში კვლავ მაღალი იყო მოქალაქეთა მომართვიანობა სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულებასთან დაკავშირებით. ამ კუთხით არსებული უფლებადარღვევათა დიდი ნაწილი განპირობებულია კანონმდებლობაში არსებული ხარვეზებით, რაც აუცილებლად საჭიროებს აღმოფხვრას.

საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშებში სისტემატურადაა განხილული სამართალდამცავი ორგანოების მოსამსახურეთა მიერ მოქალაქეთა უფლებადარღვევის ფაქტები. 2011 წლის საანგარიშო პერიოდში სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა მიერ მოქალაქეთა უფლებადარღვევის არაერთი ფაქტი დაფიქსირდა, რომლებიც უკავშირდებოდა ღირსების შემლახავ მოპყრობასა და ძალის არაპროპორციულ გამოყენებას.

უფლებადარღვევათა ფაქტების დიდი ნაწილი დაკავშირებული იყო სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა მიერ საპროტესტო აქციის დაშლის პროცესში მონაწილეთა მიმართ ძალის გადამეტებასთან.

საანგარიშო პერიოდში ასევე დაფიქსირდა და ანგარიშში აისახა პოლიციის თანამშრომლების მიერ პირთა დაკავებისას არაპროპორციული ძალის გამოყენებისა და უფლებამოსილების შესაძლო გადამეტების ფაქტები. სამწუხაროდ, ასეთ ფაქტების ადგილი ჰქონდა დაკავებული პირების პოლიციის განყოფილებაში მიყვანის შემდეგაც.

საანგარიშო პერიოდს დაემთხვა ტელეკომპანია „მაესტროში“ განვითარებული მოვლენებიც. იმის გათვალისწინებით, რომ დაპირისპირებული მხარეები კერძო სუბიექტები იყვნენ, ჩვენთვის აღნიშნული საქმის შესწავლა სამართალდამცავი ორგანოს მოხელეთა ქცევის შეფასებითა და მასზე სათანადო რეაგირების კუთხით შემოიფარგლა.

საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიშებში ყოველ წელს გარკვეული ადგილი ეთმობა შეკრებებისა და მანიფესტაციების კუთხით საქართველოში არსებული მდგომარეობის მიმოხილვას. 2011 წელი აქტიური წელი იყო როგორც საკანონმდებლო, ისე შეკრებებისა და მანიფესტაციების თავისუფლებით სარგებლობის თვალსაზრისით. წლის განმავლობაში საკანონმდებლო ცვლილებები განხორციელდა „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონში. საანგარიშო პერიოდში გაიმართა ათეულობით აქცია. მათი ნაწილი საკმაოდ მასშტაბური და ხანგრძლივი იყო. მიუხედავად იმისა, რომ აქციების დიდმა ნაწილმა ყოველგვარი უფლებადარღვევების გარეშე ჩაიარა, რამდენიმე შეკრება-მანიფესტაციის დროს საქართველოს სახალხო დამცველმა დააფიქსირა ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევის არაერთი ფაქტი.

გამოხატვის თავისუფლების დაცვაზე ზედამხედველობა ყოველთვის წარმოადგენდა საქართველოს სახალხო დამცველის საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას. საანგარიშო პერიოდშიც დაფიქსირდა გამოხატვის თავისუფლების რეალიზებასთან დაკავშირებული პრობლემები. ამავდროულად იყო პოზიტიური წინსვლაც, რაც ბოლო დროს კანონმდებლობაში განხორციელებულ ცვლილებებს უკავშირდება.

ანგარიშში ყურადღება გამახვილებულია 2011 წლის განმავლობაში გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობისას დაფიქსირებულ დარღვევებზე, მიმოხილულია ჟურნალისტებისა და ცალკეული პირების გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის ფაქტები, ჟურნალისტების პროფესიული საქმიანობის ხელშეშლის, მუქარის, მათი დაკავებისა და ფიზიკური შეურაცხყოფის შემთხვევები. ამავე თავში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სამართალდამცავი ორგანოების მიერ იმ საქმეების გამოძიების ხარისხის შეფასებას, რომლებიც ჟურნალისტურ საქმიანობასთან არის დაკავშირებული.

საანგარიშო პერიოდში არაერთხელ დაირღვა ინფორმაციის თავისუფლებისა და ხელმისაწვდომობის ფუნდამენტური უფლება საჯარო დაწესებულებების უფლებამოსილი პირების მიერ. მოცემულ საკითხთან დაკავშირებით ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ საქართველოს სახალხო დამცველისადმი წარმოდგენილი განცხადებების განხილვის შედეგად გამოვლინდა საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის დარღვევის, ინფორმაციის არასრულყოფილი სახით გაცემისა და ინფორმაციის გაცემის ვადების დარღვევის ფაქტები.

საანგარიშო პერიოდში, რელიგიის თავისუფლების დაცვისა და ტოლერანტული გარემოს განვითარების კუთხით, რამდენიმე მნიშვნელოვანი მოვლენა დაფიქსირდა. აღსანიშნავია ბოლო დროს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებმაც რელიგიურ გაერთიანებებს უფლება მიანიჭა დარეგისტრირდნენ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად. ასევე აღსანიშნავია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ჩვენი სარჩელის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილება, რომელმაც კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის შემთხვევაში სარეზერვო სამსახურის გავლის ვალდებულება არაკონსტიტუციურად სცნო. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ გასულ წლებთან შედარებით 2011 წელს მკვეთრად შემცირდა რელიგიურ ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულების რაოდენობა. აქვე აღსანიშნავია, რომ ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციის შესახებ სახალხო დამცველისთვის განცხადებით არავის მოუმართავს.

წინამდებარე ანგარიშში დეტალურად არის განხილული სოციალურ-ეკონომიკური უფლებების ფართო სპექტრი: საკუთრების უფლება, სათანადო საცხოვრისის უფლება, სოციალური უზრუნველყოფის უფლება და სხვა.

საანგარიშო წელს სახალხო დამცველს არაერთმა მოქალაქემ მიმართა მისი საკუთრების უფლების შესაძლო დარღვევისა და შეზღუდვის მიზეზით. შესწავლილი საქმეების შედეგად გამოიკვეთა არაერთი კონკრეტული უფლებადარღვევის ფაქტი, რომლებზეც დარღვეული უფლების აღდგენის მოთხოვნით სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა შესაბამის უწყებებს.

რაც შეეხება იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებრივი მდგომარეობის შესწავლას, ეს საქართველოს სახალხო დამცველის საქმიანობის ერთ-ერთი პრიორიტეტია. საანგარიშო პერიოდში იძულებით გადაადგილებულ პირთა მომართვიანობა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში მაღალი იყო. ამასთან, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი და მასთან არსებული პროექტი აქტიურად ატარებდნენ იძულებით გადაადგილებულ პირთა მდგომარეობის მონიტორინგს საქართველოს მასშტაბით. შესაბამისად, წინამდებარე ანგარიში მონიტორინგისას გამოვლენილ უფლებადარღვევის ფაქტებსა და ზოგადი სიტუაციის ანალიზს ეყრდნობა.

2011 წლის განმავლობაში არ გაუმჯობესებულა ეკომიგრანტთა უფლებრივი მდგომარეობა. ისევე, როგორც წინა წლებში, საქართველოს სახალხო დამცველისადმი სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და იძულებით გადაადგილებული პირების - ეკომიგრანტების, მომართვიანობა მაღალი იყო.

წინამდებარე ანგარიშში ასევე დიდი ყურადღება ეთმობა ყოფილი სსრკ-ის მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-იდან იძულებით გადასახლებულ პირთა - მესხების და ლტოლვილების უფლებრივ მდგომარეობას.

საანგარიშო პერიოდში, ისევე როგორც წინა წლებში, სახალხო დამცველი ინტენსიურად ადევნებდა თვალს საქართველოში ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის ღონისძიებების გატარებას. გაანალიზებული პრაქტიკის საფუძველზე უნდა ითქვას, რომ

შესამჩნევი პროგრესი შეინიშნება ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის კანონმდებლობის დახვეწის კუთხით, თუმცა კვლავაც რჩება სერიოზული პრობლემები კანონით გათვალისწინებული ნორმების აღსრულებისას.

2011 წელს საქართველოში ბავშვთა უფლებების დაცვის მხრივ არაერთი ცვლილება განხორციელდა. აღნიშნული მიღწევებისა მიუხედავად, არაერთი მიმართულებით კვლავაც რჩება ჯერ კიდევ მოუგვარებელი პრობლემები, რომელთა აქტუალობაზე სახალხო დამცველი რეგულარულად მიუთითებს. საანგარიშო წლის განმავლობაში სახალხო დამცველმა არაერთხელ მიმართა რეკომენდაციებით შესაბამის სახელმწიფო უწყებებს ბავშვთა მიმართ ძალადობის მოკვლევისა და ძალადობის ფაქტებზე რეაგირების სტანდარტის ამაღლების თაობაზე.

მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლებისა და ბავშვთა სამზრუნველო დაწესებულებების მონიტორინგი პრევენციის ეროვნულმა მექანიზმმა 2012 წლის დასაწყისში განახორციელა. მონიტორინგის შედეგების ამსახველი ანგარიში სპეციალური ანგარიშის სახით აპრილის თვეში გახდება საჯარო.

საანგარიშო პერიოდი გამოირჩეოდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დასაცავად სახელმწიფოს მიერ რიგი ღონისძიებების გატარებით, რაც წინა წლებთან შედარებით პოზიტიური ტენდენციაა. 2011 წელს შესრულდა სახალხო დამცველის რამდენიმე რეკომენდაცია; გაძლიერდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვაზე მონიტორინგი საზოგადოებრივი და კვლევით ორგანიზაციების მიერ, თუმცა კვლავ რჩება არაერთი პრობლემა, რომელთა გადაჭრაზე ბევრად უფრო სისტემურ მიდგომას მოითხოვს.

წინამდებარე ანგარიშში დიდი ადგილი ეთმობა ჯანდაცვის უფლების რეალიზებასთან დაკავშირებულ მთელ რიგ ასპექტებს. სახალხო დამცველის მიერ შესწავლილი საქმეები ცხადყოფს, რომ ჯანდაცვის სერვისების ხელმისაწვდომობა ამ სისტემის ერთ-ერთ სერიოზულად პრობლემად რჩება. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მოსახლეობის ის კატეგორია, რომელიც არ ან ვერ სარგებლობს დაზღვევით. ხშირია შემთხვევები როდესაც ჯანმრთელობის პრობლემა ოჯახის გაღატაკების მიზეზი ხდება.

და ბოლოს, ტრადიციისამებრ ანგარიშში წარმოდგენილია ჩვენი მოსაზრებები, წინადადებები და რეკომენდაციები საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ორგანოებისადმი, რომელთა მიზანიც ამ ანგარიშში აღწერილი დარღვეული უფლებების აღდგენა და უფლებადარღვევების პრევენციაა.

სასამართლო ხელისუფლება და ადამიანის უფლებები

უფლება სამართლიან სასამართლოზე

საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლის მიხედვით სახელმწიფო ხელისუფლება ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე დაყრდნობით ხორციელდება. საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება უზრუნველყოფს მმართველობითი უფლებამოსილების განხორციელებას საქართველოს იურისდიქციის ფარგლებში.

საქართველოს კონსტიტუციის 82-ე მუხლის მიხედვით სასამართლო ხელისუფლება დამოუკიდებელია და მას მხოლოდ სასამართლოები ახორციელებენ. ხელისუფლების დანაწილების იდეიდან გამომდინარე საკანონმდებლო ორგანო აღჭურვილია უფლებამოსილებით, მოახდინოს ისეთი კანონისმიერი დებულებების მიღება, რომლებიც სავალდებულო იქნება სასამართლოსთვის.¹ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში პარლამენტის წინაშე სასამართლო სისტემაში არსებული პრობლემების წარმოჩენას და ადამიანის უფლებების დასაცავად შესაბამისი ღონისძიებების განხორციელების რეკომენდაციით მიმართვას ისახავს მიზნად. აღნიშნული შესაძლოა გულისხმობდეს კონკრეტული ურთიერთობის მომწესრიგებელი კანონმდებლობის შეცვლას ან/და დაურეგულირებელი სამართლებრივი საკითხების გადაწყვეტას.

საქართველოს სახალხო დამცველი მიესალმება იმ ცვლილებებს, რომლებიც სასამართლო რეფორმის ფარგლებში ხორციელდება. ამ მხრივ მრავალი დადებითი ნაბიჯი იქნა გადადგმული, რაც სამომავლოდ დამოუკიდებელი და სამართლიანი სასამართლოს უზრუნველყოფის გარანტი უნდა იყოს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ 2011 წლის საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში განხილული საქმეებიდან სასამართლოსთან მიმართებით არაერთი პრობლემა გამოვლინდა, რაც სასამართლო სისტემაში რეფორმების გაგრძელების აუცილებლობაზე და არსებული პრობლემების აღმოფხვრის აუცილებლობაზე მიუთითებს.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ თავში მოცემული ანალიზი ეფუძნება როგორც სახალხო დამცველის აპარატში საქმეების შესწავლისას გამოვლენილ უფლებადარღვევებს, ასევე სახალხო დამცველის უფლებამოსილი თანამშრომლების მიერ ჩატარებული მონიტორინგის შედეგებს. გამოვლენილ უფლებადარღვევათა ნაწილი განპირობებულია სასამართლო შენობების ტექნიკური გაუმართაობითა და სასამართლო მოხელეთა არასათანადო ინფორმირებულობით. ამავდროულად ანალიზის საკმაო ნაწილი ეთმობა პრობლემათა იმ შინაარსობრივ მხარეს, რომელიც უშუალოდ სამოსამართლო საქმიანობის განხორციელებას უკავშირდება.

¹საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლის მიხედვით „მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციას და კანონს“.

სასამართლოზე ხელმისაწვდომობა

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს“. აღნიშნული დებულება სახელმწიფოსაგან მოითხოვს სათანადო ღონისძიებების გატარებას, რომელიც ხელმისაწვდომს გახდის დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ სასამართლოს დამატებითი ბარიერების გარეშე ყველა დაინტერესებული პირისათვის.

სასამართლოზე ხელმისაწვდომობა მოიცავს არამხოლოდ პირის შესაძლებლობას დავის საწარმოებლად მიმართოს სასამართლოს, არამედ სასამართლოს ტერიტორიულ და ფიზიკურ ხელმისაწვდომობას.

სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად აღნიშნული მიმართულებით გამოიკვეთა რამდენიმე პრობლემატური საკითხი, რომელიც განსაკუთრებული ყურადღების გამახვილებას საჭიროებს, ხოლო მათ აღმოსაფხვრელად აუცილებელია სასამართლო ადმინისტრაციის მიერ გატარდეს სათანადო ღონისძიებები.

საერთო სასამართლოებში განცხადებების, საჩივრებისა და სარჩელების მიღება წარმოებს სასამართლო კანცელარიის მეშვეობით. მისასალმებელია, რომ ჩვენს მიერ მონახულებულ ყველა სასამართლოს შენობაში კანცელარია განთავსებულია შენობის პირველ სართულზე. მიუხედავად აღნიშნულისა, ყველა მათგანი არ არის ხელმისაწვდომი ისეთი მოწყვლადი ჯგუფისათვის, როგორცაა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ის პირები, რომლებიც სპეციალური ეტლის გარეშე ვერ გადაადგილდებიან. სასამართლოთა ნაწილში (ქუთაისის საქალაქო სასამართლო, ბათუმის საქალაქო² სასამართლო და სხვა.) შენობებს არ აქვთ პანდუსები, რაც დაბრკოლებას ქმნის ხსენებული მოწყვლადი ჯგუფისათვის ამ უფლებით სარგებლობისას.

აღსანიშნავია ის ბარიერებიც, რაც სასამართლოსთვის სარჩელით მიმართვასთან დაკავშირებით დაფიქსირდა თბილისის საქალაქო სასამართლოში. მიუხედავად იმისა, რომ მხარეთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის რეგისტრაციას სპეციალიზაციის მიხედვით 2–2 და მეტი სპეციალისტი (კანცელარიის მუშაკი) ემსახურება, ხშირ შემთხვევაში მოქალაქეებს რიგში დგომა ნახევარ საათზე მეტი დროით უწევთ. სამწუხაროდ, აღნიშნული პრობლემის მიუხედავად, ნაკადის განტვირთვის მიზნით სასამართლოს მიერ რაიმე ეფექტური ღონისძიება არ ხორციელდება.

² მართალია შენობა აღჭურვილია სპეციალური პანდუსით, მაგრამ სასამართლო სხდომის დარბაზები განლაგებულია შენობის მეორე სართულზე, ხოლო შენობაში ლიფტი დამონტაჟებული არაა.

პროცესის საჯაროობა, სხდომების აუდიო ჩაწერა და ვიდეო გადაღება

სახალხო დაცველის აპარატის მონიტორების ყურადღების ქვეშ მოექცა სხდომათა საჯაროობის საკითხი. სამართლიანი სასამართლოს უფლება საკუთარ თავში მოიცავს უფლებას საქმე მოსმენილი იქნას ღია სასამართლო სხდომაზე, ხოლო მიღებული გადაწყვეტილება გამოცხადდეს საჯაროდ³. სასამართლოთა ნაწილში (ქუთაისის საქალაქო სასამართლო, ახალქალაქის რაიონული სასამართლო) საკმაოდ გართულებულია სასამართლო სხდომაზე დასწრების სურვილის მქონე პირთა გადაადგილება. ჩვენი მონიტორები მხოლოდ მას შემდეგ დაუშვეს სასამართლო დარბაზში, როდესაც გამოკითხეს ვინაობა (სახელი, გვარი, სამსახური), დასწრების მიზეზი და დარწმუნდნენ, რომ ისინი ოფიციალური მივლინებით იმყოფებოდნენ შესაბამის ტერიტორიულ ერთეულში. აღსანიშნავია, რომ მანდატურთა ასეთი ქცევა შეინიშნებოდა მხოლოდ ქუთაისისა და ახალქალაქის⁴ საქალაქო (რაიონულ) სასამართლოებში, რაც გვაფიქრებინებს, რომ ეს არ უნდა იყოს სასამართლო ხელისუფლების სისტემური პრობლემა, თუმცა აუცილებლად საჭიროებს გადაჭრას. შეგვექმნა შთაბეჭდილება, რომ მანდატურები სათანადოდ ვერ ერკვეოდნენ საკუთარ უფლებებში. ქუთაისის საქალაქო სასამართლოში მანდატურმა საშუალება არ მისცა ჩვენს წარმომადგენელს პროცესის მიმდინარეობის შესახებ ჩანაწერი გაეკეთებინა შესაბამის კითხვარში. ამისათვის, მანდატურისვე განმარტებით, საჭირო იყო მოსამართლის წინასწარი თანხმობა.

აღსანიშნავია, რომ სასამართლო ხელისუფლებაში მიმდინარე რეფორმებთან ერთად, სასამართლოთა დიდ ნაწილს აქვს საკუთარი ვებ-გვერდი, სადაც წინასწარ ქვეყნდება ინფორმაცია განსახილველ საქმეთა შესახებ. ვებ-გვერდის არსებობა ეხმარება როგორც მხარეებს, ასევე დაინტერესებულ პირებს მიიღოს სრული ინფორმაცია მიმდინარე საქმეთა სხდომების შესახებ. ჩვენს მიერ მონახულებული სასამართლოებიდან ვებ-გვერდი არ ჰქონდა ახალქალაქის რაიონულ სასამართლოს.

სასამართლოთა უმეტესობაში თვალსაჩინო ადგილასაა გამოკრული განსახილველი საქმეების ნუსხა და განრიგი. მონიტორინგის დროს ასეთი ნუსხა არ იყო გამოკრული მხოლოდ ახალქალაქის რაიონულ სასამართლოში.

ყველა სასამართლოს შენობაში გადაადგილებისათვის განსხვავებული წესია დადგენილი. თბილისის საქალაქო სასამართლოს შენობაში შესვლისას ყველა პირი გადის გამარტივებულ შემოწმებას, ხოლო შემდეგ თავისუფლად გადაადგილდება სასამართლოს შენობაში. მათ თავისუფლად შეუძლიათ შეარჩიონ მისთვის სასურველი სასამართლო პროცესი და დაესწრონ მას.

რაც შეეხება რეგიონებს, სასამართლო დარბაზში მოხვედრა შესაძლებელია ინდივიდუალურად, მანდატურთან შესაბამისი პროცედურის გავლის შემდეგ. ეს

³ მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული შინაარსის მატარებელი ნორმა მოცემულია კონსტიტუციის მეხუთე თავში (სასამართლო ხელისუფლება), ის მაინც წარმოადგენს სამართლიანი სასამართლოს უფლების შემადგენელ ნაწილს და გამომდინარეობს კონსტიტუციის 42-ე მუხლიდან.

⁴ ასევე ნინოწმინდის სასამართლოში, რომელსაც ახალქალაქის მაგისტრანტი მოსამართლე ემსახურება.

პროცედურა მოიცავს პირადობის შემოწმებას, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის მანდატურთან დატოვებას და მხოლოდ კონკრეტულ სასამართლო სხდომაზე დასწრების შესაძლებლობას. აქვე აღსანიშნავია, რომ რაიონული სასამართლოების დიდ ნაწილში დარბაზები საკმაოდ მოცულობითია და იტევს 20–30 ადამიანს, რაც აღნიშნულის მიზეზით სასამართლო სხდომაზე დასწრების მსურველთა შეზღუდვას განსაკუთრებული გამონაკლისების გარდა გამოორიცხავს.

ცალკე გამოსაყოფია თბილისის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეთა განხილვა. აღნიშნული ტიპის საქმეებისათვის საქმეთა განხილვა წარმოებს მცირე ზომის დარბაზში, რომელიც შენობის უკანა ნაწილშია განთავსებული (სადაც უცხო პირთა გადაადგილება აკრძალულია) და სხდომათა საჯაროობა არ არის დაცული. სხდომაზე დასწრების მსურველ პირებს ამის საშუალება პრაქტიკულად არ ეძლევათ. ჩვენმა მონიტორებმა მხოლოდ სასამართლო ადმინისტრაციასთან მათი ვინაობის (სახალხო დამცველის რწმუნების) წარდგენის შემდეგ მოახერხეს დარბაზში შეღწევა და ისიც მას შემდეგ, რაც სასამართლო ადმინისტრაციის შედარებით მაღალი რგოლის მენეჯერი ჩაერთო პროცესში. ფაქტია, რომ ჩვეულებრივი დაინტერესებული მოქალაქეებისათვის აღნიშნულ პროცესებზე დასწრება ხელმიუწვდომელია, რაც არღვევს პროცესის საჯაროობის პრინციპს.

აღსანიშნავია რომ სასამართლო შენობებში (მათ შორის სხდომის დარბაზებში) დამონტაჟებულია ვიდეო სათვალთვალო კამერები. ამავდროულად სხდომათა დარბაზები აღჭურვილია სხდომის ოქმის აუდიო ვერსიის საწარმოებლად სათანადო ტექნიკური საშუალებებით⁵. მიუხედავად აღნიშნულისა, სხდომის ოქმების წარმოება უმეტეს შემთხვევაში არ წარმოებს აღნიშნული ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, რაც გასაკვირია. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, სხდომათა აუდიო ფიქსაცია ყველაზე ხშირად წარმოებს სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეების განხილვისას, ხოლო ადმინისტრაციული სამართალდარღვევისა⁶ და სისხლის სამართლის საქმეებზე პრაქტიკულად არა. იმ ფონზე, როდესაც სასამართლო აღჭურვილია შესაბამისი ტექნიკური საშუალებებით, გაურკვეველია თუ რით არის განპირობებული საქმეთა ასეთი დახარისხება.

კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც საქმეთა განხილვის დროს დაფიქსირდა, არის ის, რომ სასამართლო სხდომის დარბაზში არ ისმის მოსამართლისა და მხარეთა ხმა. ამას სხვადასხვა სასამართლოში განსხვავებული მიზეზები განაპირობებდა. მაგალითად, თბილისის საქალაქო სასამართლოში სმენადობას ამცირებდა დერეფნებში ხმაური, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში აკუსტიკა და ა.შ.

⁵ გამონაკლისია ახალქალაქის რაიონული სასამართლო.

⁶ მონიტორინგის განხორციელებისას ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეთა განხილვისას სტენოგრაფირება მიმდინარეობდა სპეციალური აუდიო სისტემით.

სამართალწარმოების ენა

სასამართლოს ხელმისაწვდომობა საკუთარ თავში მოიცავს უფლებას, პირმა ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით, თუ ის არ ფლობს სამართალწარმოების ენას. მსგავსად სასამართლო სხდომათა საჯაროობისა, აღნიშნული შინაარსის მატარებელი ნორმაც კონსტიტუციის 85-ე მუხლში გვხვდება. მიუხედავად ამისა, ისიც კონსტიტუციის 42-ე მუხლიდან (უფლება სამართლიან სასამართლოზე) გამომდინარეობს.

სამართალწარმოების ენაზე პროცესის წარმოების სავალდებულობამ და თარჯიმნის ხელმისაწვდომობამ ჩვენი ყურადღება მიიქცია იმ რეგიონებში, სადაც ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები უმრავლესობას წარმოადგენენ. ჩვენმა მონიტორებმა ვიზიტი განხორციელეს ახალქალაქის რაიონულ სასამართლოში, სადაც დაესწრნენ საქმის განხილვას.

როგორც სასამართლო სხდომის მიმდინარეობისას გამოიკვეთა, თავად მოსამართლე ვერ ფლობდა სახელმწიფო ენას სრულყოფილად. თარჯიმანი ფორმალურად მონაწილეობდა საქმის განხილვაში (ის მხოლოდ ეპიზოდურად აკეთებდა თარგმანს).

შეიძლება საქმის სამართლიანად გადასაწყვეტად ეს დიდ პრობლემად არ მივიჩნიოთ, რადგან მოსამართლეს თავად ესმოდა ის ენა, რომელზეც მხარეები საუბრობდნენ, მაგრამ ამ ყოველივემ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს საქმის ზემდგომ ინსტანციებში განხილვისას (რადგან სასამართლო დოკუმენტაცია ვერ იქნება სრულად შედგენილი, სხდომის ოქმში ლოგიკურად აისახება მხოლოდ ის მონათხრობი, რაც თარჯიმანმა თარგმნა), რაც ასევე წარმოშობს პრობლემას სამართლიანი სასამართლოს უფლების კუთხით.

აღსანიშნავია, რომ ჩვენი წარმომადგენლები ასევე დაესწრნენ სხვა სასამართლო სხდომებს (მათ შორის თბილისის საქალაქო სასამართლოში), სადაც ასევე იდგა თარჯიმნის აუცილებლობა. გარდა ზემოხსენებული შემთხვევისა თარჯიმნის კვალიფიციურობისა და პროცესის სახელმწიფო ენაზე წარმართვის პრობლემა არ დაფიქსირებულა.

სხდომათა დროული დაწყება

მონიტორინგის განხორციელების პროცესში ჩვენი ყურადღება მიიქცია იმ ფაქტმა, რომ განსხვავებით თბილისის საქალაქო სასამართლოსაგან, სხვა რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში პრობლემას წარმოადგენს სასამართლო სხდომების დროული დაწყება. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ შემთხვევაში სხდომები ერთ საათზე მეტი დაგვიანებითაც კი იწყება. აღნიშნული სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს როგორც მხარეებში, ასევე სხვა დაინტერესებულ პირებში.

აღსანიშნავია, რომ სხდომის დაგვიანებით დაწყებას, უმეტეს შემთხვევაში მიზეზად სწორედ სასამართლოს მოუცლელიობა ედება. მხარეებს არ ეძლევათ ზუსტი განმარტება, თუ რამდენ ხანში დაიწყება სასამართლო სხდომა. მონიტორინგის დროს დაფიქსირდა შემთხვევა, როდესაც სხდომა ერთი საათის დაგვიანებით დაიწყო. მოსამართლის თანაშემწის მიერ ამის მიზეზად სასამართლოში მიმდინარე თათბირი დასახელდა, ხოლო სხდომის გახსნის შემდეგ მოსამართლემ ამის მიზეზად ავადმყოფობა დაასახელა. ცხადია საზოგადოებისა და მხარეებისადმი სასამართლოს მოხეულების მიერ ასეთი არაერთგვაროვანი ინფორმაციის მიწოდება, ცუდად მოქმედებს სასამართლოს ავტორიტეტზე.

აღსანიშნავია, რომ სისხლის სამართლის საქმეთა განხილვაც, რამდენიმე შემთხვევაში დაიწყო დაგვიანებით. ამის მიზეზი მეტწილად ბრალდების მხარის სასამართლო სხდომაზე დროული გამოუცხადებლობა გახლდა.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვა

ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა საქმეების განხილვა კვლავ იმ საკვანძო პრობლემად რჩება საქართველოში, რომლის გადაუჭრელობაც კითხვის ქვეშ აყენებს სასამართლო ხელისუფლების შტოს საქმიანობის შესაბამისობას ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებთან. აღნიშნული პრობლემები განპირობებულია როგორც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის სისტემური მოძველებულობითა და თვისობრივად ახალი კოდექსის მიღების აუცილებლობით, ასევე სასამართლო ორგანოების მხრიდან ამ ტიპის საქმეებისადმი არასათანადო ყურადღების დათმობით, რაც შაბლონური გადაწყვეტილებების მიღებაში და საქმის განხილვისას მხარეთა უფლებების უგულებელყოფაში გამოიხატება.

საანგარიშო პერიოდში ჩვენს მიერ განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვის შედეგად მიღებული სასამართლო შემაჯამებელი აქტების ანალიზს.

აღნიშნულის მიზნით სახალხო დამცველის აპარატის მიერ საქართველოს საერთო სასამართლოებიდან გამოთხოვილ იქნა 169 საქმე, რომელთა დიდი ნაწილი შეეხებოდა 2011 წლის 26 მაისს დაკავებული პირებს.

საქმეთა ანალიზი ცხადყოფს, რომ დადგენილებების უმეტესობა შაბლონური ფორმისაა. მათი დიდი ნაწილი არ არის ან არასაკმარისად არის დასაბუთებული. ხშირია არასწორი კვალიფიკაციის შემთხვევებიც.

აღნიშნული სხდომების მიმდინარეობისას იკვეთებოდა დაცვის უფლების დარღვევის ფაქტებიც. პირის უფლება დაიცვას საკუთარი თავი პირადად ან მის მიერ მოწვეული ადვოკატის მეშვეობით, მოიცავს შესაძლებლობას, პირს მიეცეს საკმარისი დრო და საშუალებები საკუთარი თავის დასაცავად. ამ პრინციპის უგულებელყოფის მაგალითად გამოდგება ნიკა ს.-ს საქმე, როდესაც სასამართლომ ამ უკანასკნელს მხოლოდ 30 წუთი

გამოუყო დამცველის მოსაყვანად, რის გამოც მან უარი განაცხადა ადვოკატის მომსახურებაზე.

დაკავებული პირები არახელსაყრელ⁷ პირობებში იყვნენ ბრალდების მხარესთან შედარებით, რაც გამოიხატებოდა მოსამართლეთა მიერ მათი ჩვენებების სრულ უგულვებლყოფაში. სასამართლო როგორც წესი, გადაწყვეტილების მიღებისას მხოლოდ პატრულ-ინსპექტორთა ჩვენებებს ითვალისწინებდა. არ იზიარებდა სამართალდამრღვევთა ახსნა-განმარტებებს და არ აკმაყოფილებდა მათ შუამდგომლობებს დამატებითი მტკიცებულებების გამოთხოვის ან მოწმეთა დაკითხვის მოთხოვნაზე.

აღსანიშნავია, რომ დაკავებულთა დიდ ნაწილს აღენიშნებოდა სხეულის სხვადასხვა დაზიანებები, ხოლო ზოგიერთის დაზიანება საკმაოდ მძიმე იყო. ფიზიკური დაზიანებების გათვალისწინებით მათი სასამართლო სხდომაზე წარდგენა და საქმის განხილვა, რიგ შემთხვევებში გამოირიცხავდა დაცვის უფლების ეფექტურად განხორციელების შესაძლებლობას.

სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებით, საქმეთა ასეთ მოკლე დროში განხილვა განპირობებულია იმით, რომ ამ კატეგორიის საქმეთა განსახილველად კანონმდებლობა მცირე ვადას აწესებს. მართალია საქართველოს კანონმდებლობით საერთო სასამართლოებში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვის შემჭიდროებული ვადებია დადგენილი, მაგრამ ეს არ შეიძლება გახდეს სხვა კონსტიტუციური უფლებების(მათ შორის დაცვის უფლება) დარღვევის საფუძველი.

ამავდროულად აღსანიშნავია, რომ მონიტორინგის განხორციელების პროცესში, სახალხო დამცველის წარმომადგენლები დაესწრნენ სასამართლოებში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვას. ამ კუთხით აღსანიშნავია ქუთაისის საქალაქო სასამართლო, სადაც არასრულყოფილად წარიმართებოდა სასამართლო პროცესები. სასამართლო მხარეებს განუმარტავდა მხოლოდ მოსამართლის აცილების უფლებას, ხოლო სხვა უფლებები ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულთათვის არ განუმარტავს. ასევე სასამართლოს მიერ არ ყოფილა გამოკვლეული ჰქონდათ თუ არა მხარეებს შუამდგომლობები ან ახალი მტკიცებულებები. საქმის სრულად გამოკვლევის მიზნით მოსამართლე ძირითად შემთხვევებში არ სარგებლობდა კითხვის დასმის უფლებით. ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევებს ყველა შემთხვევაში შეეფარდა სახდელი, რომელსაც შუამდგომლობის წარმდგენი ორგანო ითხოვდა.

სისხლის სამართალწარმოება

მონიტორინგის დროს სახალხო დამცველის წარმომადგენლები დაესწრნენ არაერთ სისხლის სამართლის საქმის განხილვას. მიუხედავად ამისა, ამ ქვეთავში შეგვიძლია

⁷ Dombó Beheer BV v Netherlands, (App. 14448/88), 27 October 1993, Series A No 274-A, (1994) 18 EHRR 213, Para 33

ვიმსჯელოთ მხოლოდ საპროცესო შეთანხმების დამტკიცებისას სასამართლოს ადეკვატურობაზე საკანონმდებლო მოთხოვნებთან მიმართებით, რადგან ზემოხსენებული არცერთი შემთხვევა საქმის არსებით განხილვას არ მოიცავდა.

თავდაპირველად აღსანიშნავია, რომ სასამართლო სხდომის დარბაზების უმეტესობა მოწესრიგებულია. დარბაზებში დამონტაჟებულია კომპიუტერები მხარეთათვის, ასევე მოსამართლისა და სხდომის მდივნისათვის. დარბაზებში ასევე დამონტაჟებულია პროექტორი, რაც საშუალებას იძლევა სრულყოფილად იქნეს გამოკვლეული ვიდეო და ფოტო მასალები (მტკიცებულებები).

როგორც წესი, სასამართლოს თავმჯდომარე გახსნილად აცხადებს სხდომას. სხდომის დარბაზში მყოფთ აცნობდა, რომ იხილებოდა პროკურორის შუამდგომლობა საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე (საპროცესო შეთანხმება) და აცხადებდა სასამართლოს შემადგენლობასა და სხდომის მდივანს. მხარეებს განუმარტავდა აცილების უფლებას.

ყველა შემთხვევაში სხდომის მდივანი სასამართლოს მოახსენებდა პროცესზე გამოცხადებული მხარეების ვინაობას. თავმჯდომარე ბრალდებისა და დაცვის მხარეებს განუმარტავდა მხარეების აცილებისა და თვითაცილების უფლებას.

მოსამართლე ადგენდა ბრალდებულის ვინაობას, განათლებას, საცხოვრებელ და სამუშაო ადგილს.

მოსამართლენი პუნქტობრივად განუმარტავდნენ ბრალდებულებს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ უფლებებს საპროცესო შეთანხმებისას.

სხდომების დროს ხდება გამორკვევა ბრალდებული თავისუფლად ფლობდა თუ არა სახელმწიფო ენას (ქართულს) და საჭიროებდა თუ არა თარჯიმანს.

მოსამართლეები ხაზს უსვამდნენ, რომ ვინაიდან იხილებოდა საპროცესო შეთანხმების დამტკიცების საკითხი, სავალდებულო იყო ადვოკატის მონაწილეობა და არკვევდნენ ბრალდებულებს ჰყავდათ თუ არა ადვოკატი (ადვოკატები).

სასამართლოები თავდაპირველად სიტყვას აძლევენ ბრალდების მხარეს საპროცესო შეთანხმების შესახებ შუამდგომლობის სასამართლოსთვის წარმოსადგენად, ხოლო შემდეგ არკვევდნენ ცნობდა თუ არა ბრალდებული თავს დამნაშავედ და ისმენდნენ მხარის პოზიციას საპროცესო შეთანხმების დამტკიცებს საკითხთან დაკავშირებით.

მოსამართლენი დეტალურად განუმარტავდნენ ბრალდებულებს საპროცესო შეთანხმების არსსა და დამტკიცების შემთხვევაში მის შედეგებს, ასევე კანონის დათქმას, რომ შუამდგომლობის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში გამოძიებისათვის ბრალდებულის მიერ მიწოდებული ინფორმაცია შემდგომში არ შეიძლება გამოყენებული ყოფილიყო მის წინააღმდეგ.

სასამართლოები დეტალურად არკვევდნენ, ხომ არ ჰქონდა ადგილი მხარეებს შორის საპროცესო შეთანხმების დადებისას ბრალდებულის მიმართ რაიმე სახის იძულებას, მუქარას, უკანონო დაპირებას, ძალადობას, ან რაიმე სხვა სახის კანონსაწინააღმდეგო ქმედებებს პროკურატურის ან/და პოლიციის მხრიდან.

სასამართლოები მსჯავრდებულებს განუმარტავდნენ განაჩენისა და სასჯელის არსს და მისი შემდგომი ქცევის წესს.

მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს მიერ დეტალურად ხდება ხსენებული პროცედურების დაცვა, ჩვენს მიერ მიღებული ინფორმაციით, ხშირ შემთხვევაში, როდესაც საპროცესო შეთანხმების დადება არასრულწლოვანთან ხდება, ამ ტიპის პროცესებში პედაგოგის მონაწილეობა ფორმალობადაა ქცეული. საქართველოს კანონმდებლობით საქმეთა განხილვისას პედაგოგის მონაწილეობა მაშინ არის სავალდებულო, როდესაც სამართალწარმოებისას არასრულწლოვნის სხვა კანონიერი წარმომადგენლის მონაწილეობა (მშობელი, მეურვე) შეზღუდულია ან ფიზიკურად შეუძლებელია. მართალია აღნიშნული პროცესები დახურული სახისაა და ჩვენ მასზე დასწრების შესაძლებლობა შეზღუდული გვაქვს, მაგრამ აღნიშნული ინფორმაცია მოგვეწოდა სხვადასხვა ადვოკატებთან და უკვე მსჯავრდებულ არასრულწლოვნებთან აუდიენციისას.

სამწუხაროდ ეს პრობლემა შეეხება არამარტო იმ შემთხვევებს, როდესაც საქმეზე საპროცესო შეთანხმება ფორმდება, არამედ დამახასიათებელია ზოგადად არასრულწლოვნის დაკითხვის ან მისი ბრალდებულის სახით საგამომიებო მოქმედებებში მონაწილეობის დროს და აღნიშნულ შემთხვევებში პედაგოგის მონაწილეობა ფორმალური ხასიათის მატარებელია.

პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი კანონმდებლობის სავალდებულო მოქმედების (lex mitior) პრინციპი

ისევე როგორც გასულ წელს, 2011 წლის საანგარიშო პერიოდში კვლავ პრობლემად რჩება კანონის რეტროაქტიულობის საკითხი. სახალხო დამცველის აპარატში განხილული საქმეების შედეგად იკვეთება, რომ კანონის უკუძალის პრინციპი სასამართლოს მხრიდან ხშირად დაცული არ არის. მიუხედავად პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი ნორმების სავალდებულო ხასიათისა, გვხვდება შემთხვევები, როდესაც სასამართლო უკუძალას არ ავრცელებს სისხლის სამართლის კანონზე, რომელიც პასუხისმგებლობას ამსუბუქებს. საქმეების ანალიზის შედეგად ასევე ამნისტიის გამოუყენებლობის შემთხვევაც დაფიქსირდა.

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მეხუთე პუნქტის თანახმად: „არავინ არ აგებს პასუხს იმ ქმედობისათვის, რომელიც მისი ჩადენის დროს სამართალდარღვევად არ ითვლებოდა. კანონს, თუ ის არ ამსუბუქებს ან არ აუქმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არ აქვს.“

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2009 წლის 13 მაისის გადაწყვეტილებაში⁸ აღნიშნა, რომ: „მკვეთრად უნდა გაიმიჯნოს კანონის დასაშვები და აუცილებელი მოქმედების ფარგლები. კანონმდებლის დისკრეცია, მისი ნების მოქმედების ფარგლები, კონსტიტუციითაა შეზღუდული. ამაზე მეტყველებს “ნორმატიული აქტების შესახებ” საქართველოს კანონის 47-ე...მუხლიც, რომლის თანახმად, კანონმდებელს შეუძლია, მიანიჭოს ნორმატიულ აქტს უკუძალა, მაგრამ მისი უფლებამოსილება შეზღუდულია კონსტიტუციით. საფრთხე რომ არ შეექმნას კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებებს, აღნიშნულ კანონში ხაზგასმითაა გამოყოფილი ის შემთხვევები, რასაც კანონმდებელი ვერ შეცვლის თავისი ნორმატიული ნებით. კერძოდ, “ნორმატიულ აქტს, რომელიც ადგენს ან ამძიმებს პასუხისმგებლობას უკუძალა არა აქვს”. ამ დებულების უარყოფით ნორმას კანონმდებელი ვერ მიიღებს. კანონმდებელი ასევე შეზღუდულია ამავე მუხლის იმ კონსტიტუციური დებულებით, რომ, თუ სამართალდარღვევის ჩადენის შემდეგ კანონით გაუქმდა ან შემსუბუქდა პასუხისმგებლობა ასეთი სამართალდარღვევის ჩადენისათვის, მოქმედებს ახალი კანონით დადგენილი ნორმა.“

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ 2009 წლის 17 სექტემბერს საქმეში *Scoppola v. Italy* განმარტა, რომ კონვენციის მე-7 მუხლი პასუხისმგებლობის გამკაცრების რეტროაქტიულ აკრძალვასთან ერთად ასევე ადგენდა პასუხისმგებლობის შემსუბუქების და გაუქმების სავალდებულო მოქმედების გარანტიას.⁹ სასამართლოს განმარტებით, აღნიშნული გამომდინარეობდა პასუხისმგებლობის დამაფუძნებელი კანონმდებლობის განჭვრეტადობის მოთხოვნიდან.¹⁰ დიდი პალატის განცხადებით *lex mitior* პრინციპი მოქმედება ქმედების ჩადენიდან, საბოლოო განაჩენის გამოტანამდე მიღებულ კანონმდებლობაზე.¹¹

სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-15 მუხლის პირველი პარაგრაფის მიხედვით თუ დანაშაულის ჩადენის შემდეგ, კანონით დაწესდა უფრო მსუბუქი სასჯელი, ამ კანონის მოქმედება ვრცელდება დანაშაულებზეც. აღნიშნული პრინციპით დაცულია ნებისმიერი იმ საკანონმდებლო დებულების სავალდებულო მოქმედება, რომელიც მიღებულ იქნა დანაშაულის შემადგენლობის განხორციელების შემდეგ პასუხისმგებლობის დასრულებამდე.¹²

⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის (#1/1/428,447,459) გადაწყვეტილება . II-12. იხ. ბმული: http://constcourt.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=22&id=535&action=show

⁹ სკოპოლა იტალიის წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო. 2009 წლის 17 სექტემბრის გადაწყვეტილება, § 107.

¹⁰ იქვე, § 108.

¹¹ იქვე, § 109.

¹² Principle of Legality in International Criminal Law, *Kenneth S. Gallant*, Cambridge University Press, 2009, p.185.

სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის დებულებებზე უკუმაღის არ გავრცელება

სახალხო დამცველის 2010 წლის ანგარიშში საუბარი იყო შემთხვევებზე, როდესაც სასამართლომ უკუმაღა გაავრცელა კანონზე, რომლითაც პასუხისმგებლობა გამკაცრებულია. 2011 წლის საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის აპარატში განხილულ იქნა საქმეები, რომლებშიც სასამართლომ უკუმაღა არ გაავრცელა პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ კანონზე.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად: „თუ ახალი სისხლის სამართლის კანონი ამსუბუქებს სასჯელს ქმედებისათვის, რომლის გამოც დამნაშავე მას იხდის, ეს სასჯელი უნდა შემცირდეს ამ სისხლის სამართლის კანონის სანქციის ფარგლებში.“

სახალხო დამცველის აპარატში განხილულ იქნა მსჯავრდებულ დავით გორგაძის საქმე, რომელიც უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 1996 წლის 22 აგვისტოს განაჩენით მსჯავრდებულ იქნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 238-ე მუხლის პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე ნაწილებით, 240-ე მუხლის პირველი, მეორე და მესამე ნაწილებით, 152-ე მუხლის მეორე ნაწილის პირველი და მეოთხე პუნქტებით, 17,104-ე მუხლის მეოთხე, მეექვსე და მეშვიდე პუნქტებით და 104-ე მუხლის მეექვსე, მეშვიდე პუნქტებით გათვალისწინებულ დანაშაულთა გამო. ამ უკანასკნელი ბრალდების გამო დავით გორგაძეს შეეფარდა სასჯელის უმაღლესი ზომა – სიკვდილით დასჯა.

საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 25 ივლისის #387 ბრძანებულებით დავით გორგაძეს სიკვდილით დასჯა შეეცვალა 20 წლით თავისუფლების აღკვეთით. იგი სასჯელს იხდიდა 1995 წლის 12 ოქტომბრიდან.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2004 წლის 25 მაისის განაჩენით დავით გორგაძე მსჯავრდებულ იქნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 379-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულისთვის. სისხლის სამართლის კოდექსის 60-ე მუხლის შესაბამისად, ახალ სასჯელს დაემატა 1996 წლის 22 აგვისტოს განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი (12 წლით თავისუფლების აღკვეთა) და დავით გორგაძეს საბოლოოდ განესაზღვრა 14 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა 2008 წლის 10 მარტს განიხილა დავით გორგაძის საჩივარი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მიერ ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო სამართალწარმოების წესით, დავით გორგაძის ქმედება სისხლის სამართლის კოდექსის 238-ე მუხლის მეოთხე ნაწილიდან გადაკვალიფიცირდა მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის პირველ, მეორე და მესამე ნაწილებზე. დამატებით სასამართლომ სისხლის სამართლის კოდექსის

104-ე მუხლის მეექვსე¹³ და მეშვიდე¹⁴ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობები გადააკვალიფიცირა დღეს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებზე და სასჯელის სახედ სისხლის სამართლის კოდექსის მესამე მუხლის მესამე ნაწილის შესაბამისად დანიშნა 14 წლით თავისუფლების აღკვეთა.

17,104-ე მუხლის მეოთხე¹⁵, მეექვსე და მეშვიდე პუნქტებით გათვალისწინებულ დანაშაულებებზე საქართველოს უზენაესმა სასამართლომ დანიშნული 20 წლით თავისუფლების აღკვეთა შეამცირა 15 წლამდე¹⁶ (მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსზე გადააკვალიფიცირების გარეშე¹⁷) და შესაბამისად, მოახდინა სასჯელთა შთანთქმის პრინციპით საბოლოო სასჯელის განსაზღვრა.

სასამართლომ ცვლილება შეიტანა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 1996 წლის 22 აგვისტოს განაჩენში და მოსახდელ სასჯელად განსაზღვრა 15 წლით თავისუფლების აღკვეთა. ასევე მსჯავრდებულის სასიკეთოდ შეიცვალა რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2004 წლის 25 მაისის განაჩენი და მოსახდელ სასჯელად განისაზღვრა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა.

მსჯავრდებულმა დავით გორგოძემ არაერთხელ მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს მისი განაჩენის ხელახალი გადასინჯვის მოთხოვნით, რადგან მის მიმართ არ იქნა გამოყენებული მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 56-ე მუხლის მესამე ნაწილით დადგენილი გამონაკლისი,¹⁸ და განზრახ მკვლელობის მცდელობისთვის არ შეეფარდა სანქციის მაქსიმუმის (15 წლით თავისუფლების აღკვეთა) სამი მეოთხედი.¹⁹

აღნიშნული წესი მოქმედებდა სისხლის სამართლის კოდექსის ამოქმედებიდან – 2000 წლის 1 ივნისიდან – 2006 წლის 29 დეკემბრამდე და განსაზღვრავდა სასჯელის მაქსიმუმის ოდენობის ზოგად წესს. 2000 წლის 1 ივნისამდე მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის²⁰ მე-17 მუხლის მიხედვით არ იყო დადგენილი არანაირი

¹³ განზრახ მკვლელობა, ისეთი საშუალებით, რომელიც საშიშროებას წარმოადგენს მრავალ პირთა სიცოცხლისთვის.

¹⁴ განზრახ მკვლელობა სხვა დანაშაულის დაფარვის ან მისი გაადვილების მიზნით.

¹⁵ განზრახ მკვლელობა ორი ან მეტი პირის მიმართ.

¹⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმის 1998 წლის 20 თებერვლის დადგენილებით განსაზღვრული პრაქტიკით ყოფილ სიკვდილმისჯილთათვის შეფარდებული 20 წლით თავისუფლების აღკვეთა უნდა შეცვლილიყო 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთით.

¹⁷ რადგან დღეს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით ორი ან მეტი პირის მკვლელობისთვის გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა 16-დან 20 წლამდე თავისუფლების აღკვეთის სახით. ამ შემთხვევაში სახეზეა პასუხისმგებლობის გამკაცრება და ახალი კოდექსის 109-ე მუხლზე გადააკვალიფიცირება დაუშვებელია.

¹⁸ აღნიშნული მუხლი მოქმედებდა 2006 წლის 29 დეკემბრამდე.

¹⁹ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 56-ე მუხლის მესამე ნაწილი: „დანაშაულის მცდელობისთვის სასჯელის ვადა ან ზომა არ უნდა აღმატებოდეს დამთავრებული დანაშაულისათვის ამ კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული ყველაზე მკაცრი სახის სასჯელის მაქსიმალური ვადის ან ზომის სამ მეოთხედს.“ ამ შემთხვევაში გამოდის 11 წლით და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა.

²⁰ 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსი

სპეციალური საგამონაკლისო წესი და დანაშაულის მცდელობისთვის სასჯელის დანიშვნა ხდებოდა დამთავრებული დანაშაულის მსგავსად. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის პრაქტიკის მიხედვით დანაშაულის მცდელობის სპეციალური წესი გამოიყენებოდა იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ხდებოდა პირის მსჯავრდება 2006 წლის 29 დეკემბრამდე ჩადენილი ქმედების გამო და მსჯავრდება კანონის გაუქმების შემდეგ ხდებოდა²¹ ან როცა გამამტყუნებელი განაჩენი ამ თარიღამდე გამოდიოდა და შემდგომ ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო ხდებოდა სასჯელის შემსუბუქება²².

აქვე დავსძენთ, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2009 წლის 13 მაისის გადაწყვეტილებაში აღნიშნა: „მართალია, კოდექსის ზოგადი ნაწილის მთავარი დანიშნულება კერძო ნაწილში გათვალისწინებული კონკრეტული დანაშაულებრივი ქმედებების კვალიფიკაციასა და სასჯელთა შეფარდებაში ვლინდება, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ზოგადი ნაწილის ნორმები ერთიმეორეს არ განაპირობებენ. უკუძალის აკრძალვის გარანტია მთელი სისხლის სამართლისათვის როგორც ნორმათა ორგანული კავშირისათვის გათვალისწინებული გარანტიაა და არა მისი ერთი ნაწილისათვის. როცა საუბარია კანონის უკუძალაზე, აქ მოიაზრება სისხლის სამართლის ნორმათა მთელი სხეული.“²³

ყოველივე ზემოაღნიშნული ნათლად ადასტურებს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მიერ არ მოხდა კანონის სავალდებულო უკუძალის გავრცელება მსჯავრდებულ დავით გორგაძის სასარგებლოდ, რითაც დაირღვა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მეხუთე პუნქტის და სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-15 მუხლის მოთხოვნები. აღნიშნულის შედეგად მსჯავრდებულის დღესაც იხდის იმ სასჯელს, რომელიც მას ადამიანის უფლებათა სამართლის საწინააღმდეგოდ აქვს შეფარებული.

ამნისტიის გამოუყენებლობა

სახალხო დამცველის აპარატიმ განხილულ ნიკოლოზ ვახანიას საქმეში სასამართლომ ამნისტია, როგორც პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი ნორმა არ გაავრცელა ნიკოლოზ ვახანიას დანაშაულებრივ ქმედებაზე, რომელიც ამნისტიის აქტის გამოცემამდე იყო ჩადენილი. მოცემულ შემთხვევაშიც დაირღვა უკუძალის, როგორც პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი ნორმის, სავალდებულო გავრცელების პრინციპი.

²¹ *inter alia*, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 23 აპრილის #56/კოლ განჩინება.

²² *inter alia*, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 27 აპრილის #376/საზ განჩინება.

²³ II-33.

როგორც ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 23 აპრილის განაჩენშია აღნიშნული, მსჯავრდებულ პირთა დანაშაულებრივი ქმედება გამოიხატა შემდეგში:

2008 წლის ივლისის თვეში, დანაშაულებრივი განზრახვის შესაბამისად, იაკობ ხვედელიძე და ანა კერესელიძე დაუკავშირდნენ თავიანთ მეგობარ ნიკოლოზ ვახანიას, რომელიც მათ 6 000 ევროს სანაცვლოდ დახმარებას დაპირდა და განიზრახა გასაღების მიზნით ყალბი პირადობის მოწმობის დამზადება და გასაღება. დანაშაულებრივი ქმედების განსახორციელებლად ნიკოლოზ ვახანიამ გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში თავისი მეგობრის საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი და საქართველოს იძულებით გადაადგილებული პირის დევნილის მოწმობები გადასცა იაკობ ხვედელიძეს, რომელმაც 2008 წლის 1 აგვისტოს სამოქალაქო რეესტრის ვაკის სამსახურში, ამ და სხვა დოკუმენტების წარმოდგენის გზით, მიიღო 1962 წლის 27 იანვარს დაბადებული გიორგი კუზმას ძე ამანატოვის სახელზე დამზადებული საქართველოს მოქალაქის ყალბი პასპორტი (პირველი ეპიზოდი).

ნიკოლოზ ვახანიას განზრახული ჰქონდა რა გასაღების მიზნით ყალბი პირადობის მოწმობის დამზადება და გასაღება, მოიპოვა თავისი ნაცნობის ვალერი ვახანიას პირადობის მოწმობა და მისი შვილის – ნინო ვახანიას დაბადების და დევნილის მოწმობები. ვინაიდან იმ პერიოდისთვის ნინო ვახანია იყო არასრულწლოვანი და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მის სახელზე საქართველოს მოქალაქის პასპორტის გასაცემად საჭირო იყო მშობლის სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობა, ნიკოლოზ ვახანიამ დაუდგენელ დროსა და ვითარებაში ვალერი ვახანიას საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა გააყალბა, ფოტო–სურათის შეცვლის გზით და გადასცა თავის მეგობარს, რომელმაც 2008 წლის 25 ივლისს ნოტარიუსს წარუდგინა ვალერი ვახანიას სახელზე გაცემული ყალბი პირადობის მოწმობა და ამ გზით მიიღო ყალბი სანოტარო აქტი, რომ თითქოსდა ვალერი ვახანია აცხადებდა თანხმობას მის შვილს – ნინო ვახანიას მიეღო საქართველოს მოქალაქის ეროვნული პასპორტი. ნიკოლოზ ვახანიას განზრახული ჰქონდა რა გასაღების მიზნით პირადობის მოწმობის დამზადება და გასაღება, ანა კერესელიძის ფოტო–სურათი, ნინო ვახანიას სახელზე გაცემულ დოკუმენტებთან ერთად 2008 წლის 8 ივლისს წარადგინა სამოქალაქო რეესტრის აფხაზეთის სამსახურში და ანა კერესელიძეს მიაღებინა ნინო ვახანიას სახელზე დამზადებული საქართველოს მოქალაქის პირადობის ყალბი მოწმობა, ხოლო მის საფუძველზე ნინო ვახანიას სახელზე დამზადებული საქართველოს მოქალაქის ყალბი პასპორტი. (მეორე ეპიზოდი).

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 23 აპრილის განაჩენით განსასჯელი ნიკოლოზ ვახანია ცნობილ იქნა ბრალეულად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 362–ე და 24, 362–ე მუხლების პირველი ნაწილებით გათვალისწინებულ დანაშაულთა შემადგენლობის ჩადენის გამო. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 362–ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით ნიკოლოზ ვახანიას შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით და დამატებით სასჯელად ჯარიმა 3 000 ლარის ოდენობით. „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2008 წლის 21 ნოემბრის კანონის შესაბამისად, მსჯავრდებულ ნიკოლოზ ვახანიას გაუნახვერდა თავისუფლების

აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელი და მოსახდელად განესაზღვრა 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 24,362-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით ნიკოლოზ ვახანიას შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით. მასვე დამატებით სასჯელად დაეკისრა ჯარიმა 3 000 ლარის ოდენობით. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის პირველი პრიმა ნაწილის შესაბამისად, თავისუფლების აღკვეთის სახით 24,362-ე მუხლით დანიშნულ სასჯელს (2 წლით თავისუფლების აღკვეთა) დაემატა 362-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული სასჯელის ორი მესამედი. ამასვე დაემატა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 25 მარტის განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი 3 თვე და 17 დღე თავისუფლების აღკვეთა, ჯარიმა 1 000 ლარის ოდენობით და 3 წლის ვადით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ნიკოლოზ ვახანიას განესაზღვრა 3 წლით, 3 თვით და 17 დღით თავისუფლების აღკვეთა, ჯარიმა 7 000 ლარის ოდენობით და 3 წლის ვადით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება.

იმავე განაჩენით იაკობ ხვედელიძე დაუსწრებლად იქნა მსჯავრდებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 362-ე მუხლის და 344-ე მუხლის პირველი ნაწილებით განსაზღვრულ ქმედებათა გამო.

ზემოაღნიშნულის მიხედვით, ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 23 აპრილის განაჩენით დადასტურებულ იქნა მსჯავრდებულ ნიკოლოზ ვახანიას მიერ ორი დანაშაულებრივი ქმედების ჩადენა. პირველი მათგანი განხორციელებულ იქნა 2008 წლის 1 აგვისტოს, ხოლო მეორე 2008 წლის 8 ივლისს.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მესამე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით სისხლის სამართლის კანონს, რომელიც აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას, ან ამსუბუქებს სასჯელს აქვს უკუძალა. იმავე კოდექსის 77-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად: „ამნისტიის აქტით დამნაშავე შეიძლება გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან, ხოლო მსჯავრდებული შეიძლება გათავისუფლდეს სასჯელისაგან ანდა მისთვის დანიშნული სასჯელი შეიძლება შემცირდეს ან შეიცვალოს უფრო მსუბუქი სასჯელით“.

ამნისტია თავისი ხასიათით წარმოადგენს პასუხისმგებლობის გაუქმებას ან შემსუბუქებას და მისი სავალდებულო მოქმედება გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მეხუთე პუნქტით, სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-15 მუხლით და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-7 მუხლით.

2008 წლის 21 ნოემბრის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი გაუნახევრდათ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 362-ე მუხლის პირველი ნაწილით მსჯავრდებულ პირებს. აღნიშნული კანონის მოქმედება ვრცელდებოდა იმ ქმედებებზე, რომლებიც ჩადენილი იყო 2008 წლის 15

ოქტომბრამდე.²⁴ განსასჯელთა მიმართ 2008 წლის 21 ნოემბრის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის გამოყენებას უზრუნველყოფდა შესაბამისი სასამართლო.²⁵

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 22-ე მუხლის თანახმად დანაშაულის ამსრულებელია ის, ვინც უშუალოდ ჩაიდინა დანაშაული. საქართველოს სისხლის სამართლის 23-ე მუხლის თანახმად დანაშაულში თანამონაწილეობა ნიშნავს ორი ან მეტი პირის განზრახ ერთობლივ მონაწილეობას განზრახი დანაშაულის ჩადენაში. ეს უკანასკნელი თავისი ბუნებით აქცესორულია, რაც გამოიხატება იმაში, რომ თანამონაწილის პასუხისმგებლობა დამოუკიდებელია ამსრულებლის მიერ დანაშაულის შემადგენლობის განხორციელებაზე.

სისხლის სამართლის კოდექსის 25-ე მუხლი განსაზღვრავს დანაშაულის ამსრულებლისა და თანამონაწილის პასუხისმგებლობის საფუძველს. კერძოდ, ამ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად: „ამსრულებელსა და თანამონაწილეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრებათ მხოლოდ საკუთარი ბრალისათვის ერთიანი მართლსაწინააღმდეგო ქმედების საფუძველზე, დანაშაულის ჩადენაში თითოეულის მონაწილეობის ხასიათისა და ხარისხის გათვალისწინებით“.

თანამონაწილეობა არის დანაშაულის ჩადენის ფორმა და პასუხისმგებლობის დაკისრებაც ინდივიდუალურად ხდება. შესაბამისად, ამნისტიის გამოცხადება, ისევე როგორც პასუხისმგებლობის შემსუბუქების/გაუქმების სხვა შემთხვევები, სრულად ვრცელდება როგორც ამსრულებლებზე, ისე თანამონაწილეებზე.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 23 აპრილის განაჩენით ნიკოლოზ ვახანია მსჯავრდებულ იქნა საქართველოს სისხლის სამართლის 362-ე და 24,362-ე მუხლების პირველი ნაწილებით გათვალისწინებულ დანაშაულთა გამო. „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2008 წლის 21 ნოემბრის კანონის შესაბამისად ნიკოლოზ ვახანიას 362-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობის ჩადენის გამო შეფარდებული სასჯელი გაუნახევრდა. 24,362-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული სანქციის მიმართ არ იქნა გამოყენებული იდენტური მიდგომა, მაშინ როცა აღნიშნული ქმედებაც ჩადენილი იყო ამნისტიის აქტის *ratione temporis* ფარგლებში. შესაბამისად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 77-ე მუხლის მე-2 ნაწილის და 2008 წლის 21 ნოემბრის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად ნიკოლოზ ვახანიას უნდა განახევრებოდა თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 24,362-ე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისთვისაც.

ზემოაღნიშნულიდან აშკარად იკვეთება, რომ მსჯავრდებულ ნიკოლოზ ვახანიას წინააღმდეგ დაირღვა *lex mitior* პრინციპი და აღნიშნულის შედეგად მას არ

²⁴ მეოთხე მუხლი.

²⁵ მეექვსე მუხლის მეორე პუნქტი.

შეუმსუბუქდა დანიშნული სასჯელის ზომა, რომელსაც იგი იხდიდა შემდგომი წლების განმავლობაში.

დაცვის უფლება

საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობის შედეგად დაფიქსირდა სასამართლოს მხრიდან დაცვის უფლების დარღვევის ფაქტი.

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლი მე-3 პუნქტის თანახმად: „დაცვის უფლება გარანტირებულია.“

ბრალდებულის უფლება, მისი ინტერესები დაიცვას მის მიერ არჩეულმა ადვოკატმა, გარანტირებულია ასევე არაერთი საერთაშორისო ხელშეკრულებით, რომელთაც საქართველო სავალდებულოდ აღიარებს.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „c“ ქვეპუნქტის თანახმად, ბრალდებულს აქვს უფლება „დაიცვას თავი პირადად ან მის მიერ არჩეული დამცველის მეშვეობით.“

სახალხო დამცველის აპარატში განხილულ იქნა ნუნუ ცხვედაძის საქმე. აღნიშნულ საქმეში მოსამართლემ დააკმაყოფილა პროკურორის შუამდგომლობა, რომლითაც ეს უკანასკნელი ითხოვდა ადვოკატ დ.დეკანოიძის აცილებას იმ საფუძველით, რომ ის უნდა დაკითხულიყო მოწმის სახით, ვინაიდან აღნიშნული ადვოკატი საადვოკატო მომსახურებას უწევდა ბრალდებულ ნუნუ ცხვედაძეს სამოქალაქო სამართალწარმოებისას.

ბრალდებულს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გარანტირებული აქვს უფლება, მისი ინტერესები დაიცვას მის მიერ არჩეულმა ადვოკატმა. სასამართლოს მიერ ადვოკატის აცილებით კი ირღვევა ბრალდებულის დაცვის უფლება.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლი განსაზღვრავს სისხლის სამართლის საქმეში ადვოკატის მონაწილეობის გამომრიცხველ გარემოებებს, რომელთა თანახმადაც, „ადვოკატი ვერ მიიღებს მონაწილეობას სისხლის სამართლის პროცესში, თუ:

ა) ამ საქმეში მონაწილეობდა, როგორც მოსამართლე, ნაფიცი მსაჯული, პროკურორი, გამომძიებელი, სასამართლო სხდომის მდივანი, მოწმე ან ექსპერტი;

ბ) იურიდიულ დახმარებას უწევს ან უწევდა იმ პირს, რომლის ინტერესებიც ეწინააღმდეგება მის მიერ დასაცავი ბრალდებულის ინტერესებს, რომელსაც ის წარმოადგენს;

გ) ნათესაური ურთიერთობა აქვს მოსამართლესთან, პროკურორთან, გამომძიებელთან ან სასამართლო სხდომის მდივანთან, რომელიც მონაწილეობს ან მონაწილეობდა ამ საქმის გამომძიებასა თუ სასამართლო განხილვაში.“

ბრალდებულის დაცვის უფლებას უზრუნველყოფს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსიც, რომლის 38-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, „ბრალდებულს აქვს ადვოკატის არჩევისა და ყოლის უფლება.“

გარდა ამისა, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ კრძალავს ბრალდებულის ინტერესების დაცვას მის მიერ შერჩეული რამდენიმე ადვოკატის მიერ.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო 43-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „კონფიდენციალურია ასევე პირის ბრალდებულად ცნობამდე მისი ურთიერთობა მის შესაძლო ადვოკატთან.“

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს ადვოკატის აცილების შესაძლებლობას, რომელიც განსახილველ საქმეში არის მოწმე და დასადგენი გარემოებების შესახებ შესაძლოა სასამართლოს მიაწოდოს ინფორმაცია, ადვოკატის დაკითხვა და მის მიერ სასამართლოსთვის მიწოდებული ინფორმაცია არ შეიძლება ეხებოდეს იმ გარემოებებს, რაც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა მის მიერ განხორციელებულ საადვოკატო საქმიანობასთან დაკავშირებით.

საქართველოს კანონმდებლობით ასევე დაცულია პირის უფლება, მისი ურთიერთობა ადვოკატთან იყოს კონფიდენციალური როგორც სისხლის, ასევე სამოქალაქო ან/და ადმინისტრაციული სამართალწარმოებისას და ადვოკატის მიერ მისთვის გაწეულ ნებისმიერ საადვოკატო მომსახურებასთან დაკავშირებით. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „დ“ ქვეპუნქტი ავალდებულებს ადვოკატს „დაიცვას პროფესიული საიდუმლოება“. აღნიშნული კანონის მე-2 მუხლის თანახმად კი „საადვოკატო საქმიანობა მოიცავს: ადვოკატის მიერ იურიდიული რჩევის მიცემას იმ პირისათვის, რომელმაც მას დახმარებისათვის მიმართა (კლიენტი); კლიენტის წარმომადგენლობას საკონსტიტუციო დავის, სისხლის, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული სამართლის საქმეზე სასამართლოში, არბიტრაჟში, დაკავების, გამომძიების ორგანოებში; მესამე პირის მიმართ სამართლებრივი დოკუმენტების მომზადებას და კლიენტის სახელით ნებისმიერი დოკუმენტაციის წარდგენას; ისეთი იურიდიული დახმარების გაწევას, რომელიც არ უკავშირდება მესამე პირის წინაშე წარმომადგენლობას.“

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 50-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, „მოწმედ დაკითხვისა და საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ინფორმაციის შემცველი საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების ან სხვა ობიექტის გადაცემის ვალდებულება არ ეკისრება:

ა) ადვოკატს – იმ გარემოების შესახებ, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა ამ საქმეში ადვოკატის მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით;

ბ) ადვოკატს, რომელიც იურიდიულ დახმარებას უწევდა პირს დაცვის მიღებამდე, – იმ გარემოების შესახებ, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა იურიდიული დახმარების გაწევასთან დაკავშირებით.“

იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებულის ინტერესების დამცველი ადვოკატის მოწმის სახით დაკითხვა შესაძლებელი იქნება მის მიერ გაწეული იურიდიული საქმიანობის შედეგად მისთვის ცნობილი გარემოებების შესახებ და აღნიშნული საფუძველით სასამართლო ადვოკატს საქმის განხილვას ჩამოაშორებს, შეიზღუდება პირის უფლება კონფიდენციალური იყოს ადვოკატთან მისი ურთიერთობა საქმისწარმოებისას. აღნიშნული გარემოება კი მნიშვნელოვნად ზღუდავს დაცვის უფლებას.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების აღუსრულებლობა

სასამართლო სისტემის ერთ–ერთ პრობლემას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღუსრულებლობა წარმოადგენს. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310–ე მუხლის მიხედვით ახლადგამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის ერთ–ერთი საფუძველია ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც დაადგინა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის ან მისი ოქმების დარღვევის ფაქტი ამ საქმესთან დაკავშირებით და გადასასინჯი განაჩენი ამ დარღვევას ეფუძნება. თუმცა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებაში განხილული საკითხი რიგ შემთხვევაში ცალკე აღებული თავისთავად წარმოადგენს ახლადგამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის საფუძველს. საქმეში „გორგილამე საქართველოს წინააღმდეგ“²⁶ სასამართლომ დაადგინა, რომ სასამართლო შემადგენლობა (მოსამართლე და ორი მსაჯული) უკანონო იყო. სახალხო დამცველის აპარატში განხილული თენგიზ ზაუტაშვილის სისხლის სამართლის საქმიდან დგინდება, რომ მსჯავრდებულმა ზაუტაშვილმა თბილისის სააპელაციო სასამართლოს წინაშე ზემოაღნიშნული საფუძველით დააყენა შუამდგომლობა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო სამართალწარმოების განახლების თაობაზე, რადგან მისი საქმეც მოსამართლისა და ორი არაპროფესიონალი მსაჯულის მონაწილეობით იყო განხილული. თუმცა სასამართლოს მიერ ზაუტაშვილის შუამდგომლობა არ იქნა დაშვებული.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2000 წლის 9 აგვისტოს განაჩენით თენგიზ ზაუტაშვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109–ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტით და იმავე

²⁶ გორგილამე საქართველოს წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო. 2009 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილება

კოდექსის 19,109–ე მუხლის „ა“ და „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ დანაშაულთა შემადგენლობის ჩადენისთვის და სასჯელად განესაზღვრა 20 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა. აღნიშნული განაჩენი ძალაში დარჩა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2000 წლის 19 ოქტომბრის განჩინებით.

მსჯავრდებულმა თენგიზ ზაუტაშვილმა შუამდგომლობით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და ითხოვა განაჩენის გადასინჯვა, რადგან მისი საქმე განხილულ იყო ორ არაპროფესიონალ მსაჯულთან ერთად. განმცხადებელი ეყრდნობოდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2009 წლის 20 ოქტომბრის განჩინებას „გორგილაძე საქართველოს წინააღმდეგ“, რომლითაც ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ საქართველოში არაპროფესიონალ მსაჯულთა მონაწილეობა სისხლის სამართლის პროცესში ხორციელდებოდა საკმარისი იურიდიული საფუძვლის გარეშე. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 10 დეკემბრის განჩინებით თენგიზ ზაუტაშვილის შუამდგომლობა, ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო სამართალწარმოების განახლების თაობაზე, არ იქნა დაშვებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის სხდომაზე განსახილველად. მსჯავრდებულმა თენგიზ ზაუტაშვილმა აღნიშნული განჩინება გაასაჩივრა საქართველოს უზენაეს სასამართლოში. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 22 მარტის #7აგ-11 განჩინებით საჩივარი არ დაკმაყოფილდა და საფუძვლად დაედო შემდეგი სამართლებრივი მოტივაცია:

„საკასაციო პალატამ სრული მოცულობით შეამოწმა რა მოცემული საქმე, მიიჩნევს რომ სააპელაციო სასამართლომ სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა საქმის გარემოებებს, ხოლო კასატორის მიერ თავის საჩივარში მითითებული გარემოება არ წარმოადგენს საპროცესო კანონით გათვალისწინებულ ისეთ გარემოებას, რომელიც შეიძლება გახდეს კანონიერ ძალაში შესული განაჩენის გადასინჯვის საფუძველი, ვინაიდან თენგიზ ზაუტაშვილის მიმართ საქმის სასამართლო განხილვის დროს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგია ხელმძღვანელობდა „საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით, რომლის თანახმადაც, სასამართლო კოლეგია საქმეს განიხილავდა ერთი მოსამართლისა და ორი მსაჯულის მონაწილეობით, რომელთა უფლებები და მოვალეობები, აგრეთვე მართლმსაჯულების განხორციელებაში მონაწილეობის წესი განისაზღვრებოდა კანონის საფუძველზე. ამასვე უთითებდა სასამართლო განხილვის დროისათვის მოქმედი საქართველოს სსსკ-ის (1998 წლის 20 თებერვლის რედაქცია) 434–ე მუხლის პირველი ნაწილი. ამასთან, ნიშანდობლივია ის გარემოებაც, რომ იმავე კოდექსის 438–ე მუხლის შესაბამისად, მოსამართლე და მსაჯულები ერთად ქმნიდნენ კოლეგიას, რომელიც ხმების უმრავლესობით წყვეტდა საქმის განხილვისას წამოჭრილ ყველა საკითხს და იღებდა გადაწყვეტილებას, ხოლო „მოსამართლის სტატუსის შესახებ“ 1990 წლის 28 დეკემბრის კანონის შესაბამისად, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს მსაჯულებს 5 წლის ვადით ირჩევდა საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტი.

მსაჯულთა უფლებამოსილების ვადა რამდენჯერმე გაგრძელდა „საქართველოს უზენაესი სასამართლოს მსაჯულთა უფლებამოსილების ვადის გაგრძელების შესახებ“ კანონის შესაბამისად და 2005 წლის 31 დეკემბრამდე საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის არსებობა მოსამართლისა და ორი მსაჯულის შემადგენლობით მოქმედი კანონმდებლობით იყო გათვალისწინებული.

გარდა ამისა, კასატორის მითითება ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს განაჩენზე (გორგილაძე საქართველოს წინააღმდეგ) უსაფუძვლოა, ვინაიდან საქართველოს სსსკ-ის 310-ე მუხლის „ე“ პუნქტის შესაბამისად, კანონიერ ძალაში შესული განაჩენი გადაისინჯება, თუ არსებობს ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც დაადგინა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის ან მისი ოქმების დარღვევის ფაქტი ამ საქმესთან დაკავშირებით და გადასასინჯი განაჩენი ამ დარღვევას ეფუძნება. მოცემულ შემთხვევაში კი კასატორის მიერ მითითებული ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება არ ეხება მსჯავრდებულ თენგიზ ზაუტაშვილის საქმეს.“

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის მიხედვით დადგენილია სპეციალური საფუძველი, რომლის საშუალებითაც ხდება ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო სამართალწარმოების განახლება, როდესაც არსებობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება. მაგრამ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 333-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, აღნიშნული მუხლი ამოქმედდება 2012 წლის პირველი ოქტომბრიდან.

ზემოაღნიშნულ საქმეში კასატორი ითხოვდა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო სამართალწარმოების განახლებას სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, რომლის თანახმად ახლად გამოვლენილ გარემოებათა განაჩენი გადაისინჯება, თუ: „არსებობს გარემოება, რომელიც მოწმობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენის დამდგენი სასამართლოს უკანონო შემადგენლობას ან იმ მტკიცებულების დაუმეცობლბას, რომელიც საფუძვლად დაედო გადასასინჯ განაჩენს“

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განიხილა საკითხი და დაადგინა, რომ არ არსებობდა „გარემოება“, რომელიც დაადასტურებდა სასამართლოს უკანონო შემადგენლობას. სასამართლოს განცხადებით, ზემოაღნიშნული კანონმდებლობის არსებობა გამორიცხავდა ევროკონვენციის მე-6 მუხლის დარღვევას.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ 2009 წლის 20 ოქტომბერს გამოიტანა განჩინება საქმეზე „გორგილაძე საქართველოს წინააღმდეგ“. განმცხადებელი გასამართლებულ იქნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის მიერ, რომელიც შედგებოდა ერთი მოსამართლისა და ორი მსაჯულისგან. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე სადავოდ იყო გამხდარი სწორედ ზემოაღნიშნული სასამართლოს შემადგენლობა კონვენციის მე-6 მუხლთან

მიმართებით, რომლის იმპერატიული მოთხოვნაა „ტრიბუნალის კანონის საფუძველზე შექმნა“.

ევროპულმა სასამართლომ საქმის შეფასებისას ხაზი გაუსვა კანონის საფუძველზე სასამართლოს შექმნის ვალდებულებას და მის მნიშვნელობას დემოკრატიულ საზოგადოებაში და შემდგომ დაადგინა შემდეგი:²⁷

„68. კონვენციის მე-6 მუხლის I პარაგრაფით გათვალისწინებული „კანონი“ გულისხმობს არამხოლოდ სასამართლო ორგანოების შექმნისა და კომპეტენციის შესახებ კანონმდებლობას, არამედ, შიდა სამართლის ყველა სხვა დებულებას, რომლისგან გადახვევა კანონიერ საფუძველს აცლის საქმის განხილვაში ერთი ან რამდენიმე მოსამართლის მონაწილეობას. უფრო კონკრეტულად, საქმე ეხება მსაჯულთა უფლებამოსილებას, თანამდებობრივ შეუთავსებლობასა და აცილებას. ... გარდა ამისა, ტერმინი „კანონის საფუძველზე შექმნილი“, ეხება არამხოლოდ თვით „სასამართლოს“ არსებობის სამართლებრივ საფუძველს, არამედ, ასევე, მის შემადგენლობას თითოეული საქმის განხილვისას ...

69. სასამართლო პრაქტიკის შესაბამისად, კონვენციის მე-6 მუხლში ტერმინის - „კანონის საფუძველზე შექმნილი“ ჩაწერა მიზნად ისახავს იმის თავიდან აცილებას, რომ მართლმსაჯულების სისტემის ორგანიზაცია აღმასრულებელი ხელისუფლების დისკრეციაზე არ იყოს დამოკიდებული და რომ აღნიშნული საკითხის რეგულირება ხდებოდეს პარლამენტის მიერ მიღებული კანონის საფუძველზე. კოდიფიცირებული სამართლის მქონე ქვეყნებში, მართლმსაჯულების სისტემის ორგანიზაცია, არც მხოლოდ სასამართლო უწყებების დისკრეციაზე უნდა იყოს დამოკიდებული, რაც, ამის მიუხედავად, არ გამორიცხავს მათთვის აღნიშნულ სფეროში არსებული ეროვნული კანონმდებლობის ინტერპრეტაციის გარკვეული უფლების აღიარებას ... აღნიშნულის მიუხედავად „კანონის საფუძველზე შექმნილად“ ვერ იქნება მიჩნეული სასამართლო, რომელიც აჭარბებს კანონით მისთვის ნათლად განსაზღვრულ სასამართლო კომპეტენციას ...

70. უბრუნდება რა წინამდებარე საქმის გარემოებებს, სასამართლო შეახსენებს, რომ 2005 წლის 25 მარტს მსაჯულთა ინსტიტუტის გაუქმებამდე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მსაჯულები იყვნენ კერძო პირები, რომლებსაც ჰქონდათ სხვა პროფესია და აღნიშნული სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის საქმეების პირველი ინსტანციით განხილვაში პროფესიონალ მოსამართლესთან ერთად მონაწილეობდნენ. მსაჯულთა ინსტიტუტი საბჭოთა მართლმსაჯულების სისტემის გადმონაშთს წარმოადგენდა, რომელშიც მსაჯულები ხალხის წარმომადგენლები იყვნენ და უზრუნველყოფდნენ მართლმსაჯულების განხორციელებაში ხალხის მონაწილეობას. ისინი მსაჯულის ფუნქციებს მათი მოქალაქეობრივი მოვალეობის კონტექსტში ასრულებდნენ (იხ. ზემოთ მე-19 პარაგრაფში მითითებული შრომის კოდექსი).

²⁷ განჩინების 68–74 პარაგრაფები.

71. სასამართლო იზიარებს მთავრობის არგუმენტს, რომლის თანახმად, განმცხადებლის საქმის განხილვაში ორი მსაჯულის მონაწილეობა ეფუძნებოდა „უზენაესი სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-8 მუხლის მე-2 პარაგრაფს. ის ასევე ემყარებოდა სსსკ-ის 434-ე მუხლის I პარაგრაფს. აღნიშნული დებულებების გათვალისწინებით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ განმცხადებლის საქმის განმხილველი სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის თვით არსებობა მოქმედი კანონით იყო გათვალისწინებული.

72. აღნიშნულის მიუხედავად, სასამართლო ორგანოს მხოლოდ ლეგალური არსებობა არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ის მიჩნეულ იქნას „კანონის საფუძველზე შექმნილ“ სასამართლოდ. საქმე იმაშია, რომ წინამდებარე განაცხადში ისმის კითხვა იმის შესახებ, ჰქონდა თუ არა ეროვნულ სამართალში საკმარისი იურიდიული საფუძველი მსაჯულების მიერ მოსამართლის ფუნქციების განხორციელებას. მართლაც, უნდა დავასკვნათ, რომ ამ თვალსაზრისით, რომ 1999 წლის 5 მარტსა და 28 მაისს შორის არსებული მოკლე პერიოდის გარდა (იხ. ზემოთ, მე-19 პარაგრაფის “გ” პუნქტი *in fine*) აღნიშნული საკითხის მარეგულირებელი არავითარი კანონი არ არსებობდა. თუ სსსკ-ის 44-ე მუხლის მე-2 პარაგრაფის თანახმად, მსაჯული იყო საქართველოს მოქალაქე, რომელიც, „კანონით“ დადგენილი წესის შესაბამისად, უფლებამოსილი იყო, მონაწილეობა მიეღო საქმის სასამართლო განხილვაში, აღნიშნული კანონი არ არსებობდა ფაქტების დადგომის მომენტში. ყოველ შემთხვევაში, სასამართლოს მიერ ჩატარებულ კვლევას არ გამოუვლენია ასეთის არსებობა და საგანგებოდ დაესვა რა შეკითხვები აღნიშნულთან დაკავშირებით, საქართველოს მთავრობას არავითარი არგუმენტით არ უპასუხია. რეალურად, ორივე ტექსტი არეგულირებდა მსაჯულთა ფუნქციების განხორციელებას – კანონი მოსამართლის სტატუსის შესახებ და 1999 წლის 5 მარტის კანონი ცვლილებებისა და დამატებების შესახებ – ფაქტების დადგომის მომენტში უკვე გაუქმებული იყო ისე, რომ შემდგომში, მათი შემცვლელი არავითარი კანონი არ ყოფილა მიღებული.

73. რაც შეეხება მთავრობის არგუმენტს, რომელიც ემყარებოდა 1991 წლის დადგენილებასა და მსაჯულთა უფლებამოსილების ვადის გაგრძელების შესახებ კანონებს, სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებლის საქმის განხილვაში მონაწილე ორი მსაჯული არჩეულ იქნა 1991 წლის 14 ივნისს, მაშინდელი საკანონმდებლო ორგანოს მიერ. ამასთანავე, თვით 1991 წლის დადგენილება წარმოადგენს მსაჯულის თანამდებობაზე არჩეულ პირთა სიას და არ შეიცავს არავითარ დაზუსტებას კანდიდატების შერჩევის, აღნიშნულ თანამდებობაზე მათი ურთიერთმონაცვლეობის, მათი უფლებებისა და მოვალეობის და ა.შ. შესახებ. ასეთივე შენიშვნა შეიძლება გამოითქვას ცვლილებებისა და დამატებების შესახებ შემდგომ მიღებულ კანონებთან მიმართებაში, რომლებითაც, 1997 წლის 27 ივნისსა და 2005 წლის 31 დეკემბერს შორის პერიოდში, ყოველგვარი დაზუსტების გარეშე ხდებოდა მსაჯულთა უფლებამოსილების ავტომატური გაგრძელება. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ 1996 წლის 7 მარტის დადგენილებისგან განსხვავებით, რომელიც მიუთითებდა იმ იურიდიულ საფუძველზე, რომელსაც კანონმდებელი ეყრდნობოდა მსაჯულთა უფლებამოსილების ვადის გაგრძელების მიზნით, აღნიშნული კანონები მსგავსი ტიპის არავითარ დებულებას არ შეიცავდა, იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული სამართლებრივი საფუძველი,

რომელიც არეგულირებდა მსაჯულთა მიერ მოსამართლის ფუნქციების განხორციელებას, არ ან აღარ არსებობდა (იხ. ზემოთ, §72).

74. დასკვნის სახით, განმცხადებლის საქმის განხილვაში მონაწილე ორმა მსაჯულმა, მოსამართლის თანაბარი უფლებამოსილებით განხორციელა მართლმსაჯულება და მათი რაოდენობის გათვალისწინებით, მათ ჰქონდათ აუცილებელი ხმათა უმრავლესობა გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად. იმის გათვალისწინებით, რომ მათ მიერ მოსამართლის ფუნქციების განხორციელება ეფუძნებოდა სასამართლო პრაქტიკას, რომელსაც ეროვნულ სამართალში იურიდიული საფუძველი არ გააჩნდა, კოლეგია, რომელშიც ისინი მონაწილეობდნენ, არ წარმოადგენდა „კანონის საფუძველზე შექმნილს“.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ პირდაპირ მიუთითა, რომ სახეზე იყო ევროკონვენციის მე-6 მუხლის დარღვევა, რადგანაც მსაჯულთა მონაწილეობა სისხლის სამართლის პროცესში არ რეგულირდებოდა კანონით. სასამართლომ ამ შემთხვევაში მოახდინა დიფერენცირება მსაჯულთა კანონიერების შეფასებასთან მიმართებით:

- ზოგადად სასამართლო ორგანოს კანონიერება
- კონკრეტული მსაჯულის თანამდებობაზე დანიშვნის და ყოფნის კანონიერება

სასამართლომ დაადგინა, რომ საქართველოს რეალობაში არ ყოფილა არანაირი კანონი მიღებული, რომლითაც დარეგულირდებოდა მსაჯულთა მიერ მოსამართლეთა ფუნქციის განხორციელება. სასამართლომ პირდაპირ მიუთითა, რომ 1999 წლის 5 მარტს და 28 მაისს შორის პერიოდის გარდა არ ყოფილა არანაირი კანონი მიღებული, რომლითაც განისაზღვრებოდა მსაჯულთა მიერ ევროკონვენციის სტანდარტით საქმის განხილვაში ჩართვა.

„საქართველოს რესპუბლიკაში მოსამართლეთა სტატუსის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1990 წლის 28 დეკემბრის კანონი ადგენდა საკმარის გარანტიებს მსაჯულებთან მიმართებით, რომლებიც აუცილებელია კონვენციის მე-6 მუხლის მიზნებისთვის. აღნიშნული გაუქმდა 1997 წლის 13 ივნისს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 90-ე მუხლით. აღნიშნულის შემდეგ 2005 წლის 25 მარტამდე ხდებოდა მსაჯულთა მიერ საქმის განხილვაში მონაწილეობა, „საქართველოს უზენაესი სასამართლოს მსაჯულთა უფლებამოსილების ვადის გაგრძელების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ზემოაღნიშნული საქმის მიხედვით 1997 წლის 13 ივნისიდან 2005 წლის 25 მარტამდე არ ყოფილა არანაირი კანონი მიღებული, რომლითაც დარეგულირდებოდა მსაჯულთა პროცესში მონაწილეობის გარანტიები. ამ პერიოდში მხოლოდ და მხოლოდ 1999 წლის 5 მარტს იქნა მიღებული ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“, რომლითაც კანონს დაემატა მე-6 თავი – „საერთო სასამართლოების მსაჯულები“. 1999 წლის 28 მაისის ორგანული კანონით „საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ გაუქმებულ იქნა ზემოაღნიშნული მე-6 თავი.

შესაბამისად, 1997 წლის 13 ივნისიდან 2005 წლის 25 მარტამდე პერიოდში (გარდა 1999 წლის 5 მარტიდან 28 მაისამდე შუალედისა) მსაჯულთა მონაწილეობა სისხლის სამართლის პროცესში იყო უკანონო ევროკონვენციის მიზნებისთვის.²⁸

საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის²⁹ მე-2 მუხლი პირდაპირ ადგენდა, რომ სისხლის სამართლის პროცესის ერთ-ერთი წყარო იყო საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელსაც მიეკუთვნება ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენცია და მისი პრეცედენტული სამართალი.³⁰

„სასამართლოს უკანონო შემადგენლობა“, რომელიც განსაზღვრულია დღეს მოქმედ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტში, შეფასებადია ევროკონვენციის სტანდარტით, რადგანაც ამ უკანასკნელს აქვს პირდაპირი მოქმედების ძალა. შესაბამისად, სასამართლო შემადგენლობის კანონიერების განმარტებაც უნდა მოხდეს ევროსასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტით, რომლის მიხედვითაც არამხოლოდ სასამართლო განხილვის ფორმა, არამედ, უშუალოდ საქმის განმხილველი მოსამართლის მონაწილეობის პირობები სავალდებულოდ უნდა იყოს კანონით განსაზღვრული.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 22 მარტის განჩინების მიხედვით მხოლოდ ნაწილობრივ იქნა გაზიარებული ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული მიდგომა აღნიშნულთან მიმართებით და სასამართლოს კანონიერების შესაფასებლად მხოლოდ და მხოლოდ კოლეგიის, როგორც ასეთის, კანონის საფუძველზე არსებობა ჩათვალია აუცილებლად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, მსაჯულთა მიერ ფუნქციების განხორციელების დაურეგულირებლობა არ არის სასამართლო შემადგენლობის უკანონოდ მიჩნევის საფუძველი. აღნიშნული მიდგომა ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლს და შესაბამის პრეცედენტულ სამართალს. საბოლოოდ გამოდის, რომ ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ სასამართლო შემადგენლობის კანონიერების შესაფასებლად აირჩია უფრო დაბალი სტანდარტი. იქიდან გამომდინარე, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და ევროპული სასამართლოს პრაქტიკა საქართველოსთვის შესასრულებლად სავალდებულოა, საქართველოს შიდა სამართალწარმოების პრაქტიკა სრულად უნდა შეესაბამებოდეს მას.³¹ არ შეიძლება

²⁸ ასევე გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია საქართველოსთვის ძალაში შევიდა და შესაბამისად სავალდებულო გახდა 1999 წლის 20 მაისიდან.

²⁹ რომელიც მოქმედებდა საქართველოში ევროპული კონვენციის ძალაში შესვლის დღიდან მსაჯულთა ინსტიტუტის გაუქმებამდე (2005 წლის 25 მარტამდე).

³⁰ აღნიშნულს ასევე არეგულირებს საქართველოს კონსტიტუციის მე-6, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 და „საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლები.

³¹ Theory and Practice of European Convention on Human Rights, edited by Pieter van Dijk, Fried van Hoof, Arjen van Rijn, Leo Z waak, 2006, Intersentia, გვ 308.

ევროპული თვალსაზრისით არსებობდეს ადამიანის უფლებების დაცვის უფრო მაღალი სტანდარტი და შიდა დონეზე მისგან განსხვავებული და უფრო შემზღვევა მიდგომა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის ტერმინის – „უკანონო შემადგენლობა“ – იმგვარი განმარტება, რომელიც იქნება შესაბამისი ადამიანის უფლებათა ევროპულ სტანდარტებთან. მსაჯულთა პროცესში მონაწილეობის შესაფასებლად მხედველობაში უნდა იქნას მიღებული არა მხოლოდ სასამართლო შემადგენლობის ზოგადი ფორმა, არამედ, ინდივიდუალური მსაჯულების მიერ სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელების კანონიერება.

სასამართლო გადაწყვეტილებათა დასაბუთებულობა

2010 წლის ანგარიშის მსგავსად 2011 წლის საანგარიშო პერიოდშიც სახალხო დამცველისადმი მომართულ განცხადებებში განმცხადებლები ყურადღებას ამახვილებდნენ სასამართლო გადაწყვეტილებათა დაუსაბუთებლობის პრობლემაზე.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 8 თებერვლის განაჩენით მოქალაქე ლელა კობაიძე მსჯავრდებულ იქნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შეძენა, შენახვა) და 262-ე მუხლის მეოთხე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ნარკოტიკული საშუალების საქართველოში შემოტანა). საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით სასჯელის სახედ განესაზღვრა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, სისხლის სამართლის კოდექსის 262-ე მუხლის მეოთხე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობის ჩადენისთვის კი 15 წლით თავისუფლების აღკვეთა. სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით აღნიშნული სასჯელები შეიკრიბა მთლიანად და საბოლოო სასჯელად ლელა კობაიძეს განესაზღვრა 23 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 8 თებერვლის განაჩენის მიხედვით შემდეგი ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები დაედო ლელა კობაიძის მსჯავრდებას:

„სასამართლო სხდომაზე განსასჯელმა ლ.კობაიძემ თავი არ ცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში და უჩვენა, რომ შარშან აგვისტოს თვეში გადმოვიდა თურქეთიდან დილით, დაახლოებით 07 საათზე. სარფში გაჩერდა ორსაათნახევარი, ვინაიდან თბილისის სამარშუტო ტაქსები გადიოდა 09 საათზე. გამგზავრებამდე იგი შევიდა კაფეში, სადაც მაგიდასთან მიუჯდა ქალბატონი, დაახლოებით 45 წლის, რომელმაც მასთან ერთად კაფეში და[კ]ყო 45 წუთი. როგორც მისთვის იყო ცნობილი ის ქალბატონიც მიდიოდა თბილისში. შემდგომ უცნობმა ქალბატონმა ტუალეტში გასვლის მოტივით მას დაუტოვა [დაუტოვა] მოზრდილი პარკი. იგი ელოდებოდა 15 წუთი და

როდესაც დააპირა წასვლა, მასთან მივიდა ორი პიროვნება, რომლებმაც მოსთხოვეს დოკუმენტები და განუცხადეს, რომ იყვნენ პოლიციელები. ჩხრეკისას პოლიციელების მიერ უცნობი ქალბატონის პარკში ნაპოვნი იქნა რაღაც ნივთიერება, რომელიც როგორც შემდგომ მისთვის გახდა ცნობილი აღმოჩნდა ნარკოტიკი. სარფში მას უნდა ენახა მისი ნაცნობის შვილი, მაგრამ ვერ დაუკავშირდა, რადგან დააკავებ[ს] (იხ. სასამართლო სხ. ოქმი)

სასამართლო გაეცნო რა საქმის მასალებს, მოუსმინა განსასჯელს, მოწმეს, გაანალიზა საქმეში არსებული მტკიცებულებები მიაჩნია, რომ ლ.კობაიძის ჩვენება არ უნდა იქნას გაზიარებული, ვინაიდან წინააღმდეგობაა სასამართლო სხდომაზე მიცემულ მის ჩვენებებს შორის. 2008 წ. 28 იანვარს სასამართლო სხდომაზე განსასჯელის ჩვენებით, აღნიშნულ დღეს თურქეთიდან გადმოსვლის შემდგომ, სარფის საბაჟოზე კაფეში ყოფნისას, ვიღაც უცნობმა ქალბატონმა დაუტოვა პარკი, რომელშიც აღმოჩნდა ნარკოტიკი. ხოლო 2008 წ. 16 იანვარს მოწმე შ. მჭედლიშვილის დაკითხვის შემდგომ განსასჯელმა უჩვენა, რომ ჩანთა გამოატანა თურქეთიდან ქართველმა, რომელსაც იცნობს ბავშვობიდან, ვიღაც გიორგიზე გადასაცემად და რომელსაც დაუკავშირდა ტელეფონით და შეუთანხმდა შეხვედრასთან დაკავშირებით.

აღნიშნულით სასამართლო მიიჩნევს, რომ განსასჯელის ჩვენება არ არის თანამიმდევრული და დამაჯერებელი და გამონპირობებულია მკაცრი სასჯელის შიშით.

განსასჯელ ლ. კობაიძის ბრალი, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსკ[-ის] 260-ე მუხ. 3-ე ნაწ. „ა“ ქ/პ და 262[-ე] მუხლ. 4-ე ნაწ. „ა“ ქ/პ დადასტურებულია შემდეგი მტკიცებულებებით:

მოწმე შ.მჭედლიშვილის როგორც წინასწარ გამოძიებაში, ისე სასამართლო სხდომაზე მიცემული ჩვენებით იგი სამსახურეობრივი მოვალეობის შესასრულებლად იმყოფებოდა ხელვაჩაურის რაიონის სოფ. სარფის გამშვები პუნქტის მიმდებარე ტერიტორიაზე, რა დროსაც ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე დაკავებულ იქნა ლ. კობაიძე, რომელსაც ჩხრეკის დროს აღმოაჩნდა ნარკოტიკი.

შ.მჭედლიშვილის ჩვენებით მათ მანქანასთან მივიდა განსასჯელი, ვინაიდან ჩათვალა, რომ ისინი უნდა ყოფილიყვნენ რეალიზატორები. ახსოვს, რომ დაკავებისას ლ. კობაიძემ მათ განუცხადა, რომ ნარკოტიკი შენახული [3]ქონდა ჩანთაში, ამასთან იგი წინააღმდეგი წავიდა დამსწრეთა მოწვევაზე და დაკავებისას ცდილობდა ვინმეს არ დაენახა. (იხ. ს.ფ. 28, სასამართლო სხდომის ოქმი)

გარდა აღნიშნულისა განსასჯელ ლ.კობაიძის ბრალი ასევე დადასტურებულია საქმეში არსებული შემდეგი მტკიცებულებებით:

2007 წ. 22 აგვისტოს ოქმით ეჭვმიტანილის დაკავებასა და პირად ჩხრეკასთან დაკავშირებით, რომლის თანახმადაც ლ. კობაიძისგან ამოღებული იქნა ნარკოტიკული საშუალება. (იხ. ს.ფ. 3-7)

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2007წ. 22 აგვისტოს დადგენილებით გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული პირადი ჩხრეკის კანონიერად ცნობასთან დაკავშირებით. (იხ. ს.ფ. 12)

2007 წ. 23 აგვისტოს #2014/სქ ექსპერტიზის დასკვნით ლ.კობაიძის პირადი ჩხრეკისას ამოღებული ნივთიერება წარმოადგენს ნარკოტიკულ საშუალება „ჰეროინის“ ფხვნილს წონით – 38,985 გრ. რომელშიც „ჰეროინის“ საერთო წონა შეადგენს–19,5237 გრ–ს. (იხ. ს.ფ. 22–26)

2007 წ. 22 აგვისტოს დადგენილებით ლ.კობაიძისაგან ამოღებული ნივთიერების ნივთმტკიცებად ცნობასთან დაკავშირებით [იხ. ს.ფ. 27]“

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 6 მაისის განაჩენით ძალაში დარჩა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით:

„საქმეზე შეკრებილი და სასამართლოს მიერ გამოკვლეული მტკიცებულებებით: მსჯავრდებულისა და მოწმე შ.მჭედლიშვილის ჩვენებით, 2007 წლის 22 აგვისტოს ექვმიტანილის დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმით, ქიმიური ექსპერტიზის დასკვნით და საქმეში არსებული მამხილებელი მასალების ერთობლიობით სრულად არის დადასტურებული განაჩენით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები.

მსჯავრდებული არ უარყოფს მისგან ნარკოტიკული ნივთიერების ამოღების ფაქტს, მაგრამ 2008 წლის 16 იანვარს ჩატარებულ სასამართლო სხდომაზე განმარტა, რომ პარკი, რომელშიც ნარკოტიკი იყო მოთავსებული, გამოატანეს უცნობმა პირებმა ვინმე გიორგიზე გადასაცემად, თუმცა არ იცოდა მასში თუ ნარკოტიკი იყო მოთავსებული, შემდეგ სასამართლო სხდომაზე აჩვენა, რომ აღნიშნული პარკი, საბაჟოს ტერიტორიაზე კაფეში ყოფნისას მაგიდაზე დატოვა მისთვის უცნობმა ქალბატონმა.

სააპელაციო პალატა ვერ გაიზიარებს მსჯავრდებულის ზემოაღნიშნულ ჩვენებებს, რადგან არათანმიმდევრულია, არადამაჯერებელია, მოკლებულია რეალობას, გამყარებული არ არის სხვა მტკიცებულებებით და წინააღმდეგობაშია საქმის მასალებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე მოწმის სახით დაკითხული პოლიციის მუშაკის შ.მჭედლიშვილის ჩვენებით დადგენილია, რომ ოპერატიული ინფორმაციის თანახმად 2007 წლის 22 აგვისტოს ლელა კობაიძეს „სარფის“ საბაჟოს გავლით თურქეთიდან საქართველოში უნდა შემოეტანა ნარკოტიკული ნივთიერება, დაკავებისას მან თავად მიუთითა თუ სად ჰქონდა დამალული ნარკოტიკი (სასამართლო სხდომის ოქმი).

2007 წლის 22 აგვისტოს ლ. კობაიძის პირადი ჩხრეკისა და ამოღების ოქმით დადგენილია, რომ სარფის საბაჟოს მიმდებარე ტერიტორიაზე ლ. კობაიძის ხელთ არსებული წითელი ფერის პოლიეთილენის პარკში მოთავსებული მაიონეზის ქილიდან ამოღებული იქნა 8 ბაზად დაფასოებული მოყავისფრო ფერის ფხვიერი ნივთიერება, რაც ქიმიური ექსპერტიზის დასკვნით არის ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“, საერთო

წონით 19,5237 გრამი, ჩხრეკის ჩატარებისას ლ. კობაიძემ დამსწრეთა მოწვევაზე უარი განაცხადა და ჩხრეკის ოქმზე ყოველგვარი შენიშვნის გარეშე მოაწერა ხელი (ს.ფ. 3–8, 23–26).

....

ზემოაღნიშნული უტყუარი მტკიცებულებების ურთიერთშეჯერება, ანალიზი და სამართლებრივი შეფასება იძლევა იმ დასკვნის გაკეთების საფუძველს, რომ ლელა კობაიძემ თურქეთის რესპუბლიკაში დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, დაუდგენელი პირისგან უკანონოდ შეიძინა განსაკუთრებით დიდი ოდენობით – 19,5237 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“, რომელიც 2007 წლის 22 აგვისტოს უკანონოდ შემოიტანა საქართველოში.“

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 22 დეკემბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი არ იქნა დაშვებული არსებითად განსახილველად და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი დარჩა ძალაში.

მართალია აღნიშნული სისხლის სამართლის საქმე განხილულია 2008 წელს, თუმცა სასამართლოს მიერ მიღებული დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების გამო მსჯავრდებული დღესაც სასჯელს იხდის.

როგორც პირველი ისე, სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს განაჩენში არასათანადოდ არის დადასტურებული და დასაბუთებული 260–ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობის ჩადენის ფაქტი. რაც შეეხება ნარკოტიკული საშუალების საქართველოში უკანონოდ შემოტანის ბრალდებას, აღნიშნულის დასადასტურებლად მითითებულია მხოლოდ და მხოლოდ ოპერატიული ინფორმაცია, რომელიც ცნობილი გახდა შ.მჭედლიშვილისთვის.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 20 ივლისის #63აპ–09 განჩინებაში განსაზღვრულია სისხლის სამართლის კოდექსის 262–ე მუხლის მტკიცების სავალდებულო სტანდარტი:

„საქართველოს სისხლის სამართლის კერძო ნაწილის შესაბამისად, „უკანონო შემოტანაში“ იგულისხმება ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შემოტანა საქართველოში, ე.ი. როდესაც პირი გადმოლახავს საქართველოს საზღვარს.“

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ განსაზღვრულია, რომ 262–ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობის ჩადენისას აუცილებლად უნდა დადასტურდეს შემდეგი პირობები კუმულაციურად:

- უცხო ქვეყანაში ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შეძენის ფაქტი
- საქართველოს საზღვრის გადმოლახვა ნარკოტიკულ საშუალებასთან ერთად

თუმცა, როგორც წინასწარი ისე სასამართლო გამოძიებისას ბრალდების მხარეს არ წარმოუდგენია არც ერთი მოწმე, რომელიც დაადასტურებდა ლ.კობაიძის–ის მიერ

თურქეთის რესპუბლიკაში ნარკოტიკის შეძენისა და საქართველოში მისი უკანონოდ შემოტანის ფაქტს. ამ ნაწილში განაჩენი ემყარება მხოლოდ ბრალდების მხარის ვარაუდს.

2011 წლის 19 მაისს მიემართეთ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციული უზრუნველყოფისა და ანალიზის სამმართველოს და მოვითხოვეთ ინფორმაცია, თუ როდის გადმოკვეთა მოქალაქე ლელა კობაიძემ საქართველოს სახელმწიფო საზღვარი 2007 წლის 22 აგვისტოს, რომლის შესაბამისადაც გვეცნობა, რომ აღნიშნული განხორციელდა 2007 წლის 22 აგვისტოს 5 საათსა და 55 წუთზე.

მსჯავრდებულ ლელა კობაიძის დაკავება მოხდა 2007 წლის 22 აგვისტოს, 9 საათსა და 45 წუთზე ანუ საზღვარზე შემოსვლიდან 3 საათის და 50 წუთის შემდეგ. მან ისე გამოიარა სახელმწიფო საზღვარი, რომ არ მომხდარა რაიმე ნარკოტიკული საშუალების აღმოჩენა „საქართველოს სასაზღვრო პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ღონისძიებების შესაბამისად.

საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის კოდექსის³² 496-ე მუხლის მიხედვით სასამართლოს განაჩენი აუცილებლად უნდა იყოს დასაბუთებული, რაც გულისხმობს, რომ მისი დასკვნები უნდა ემყარებოდეს სასამართლო სხდომაზე განხილულ უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობას. იმავე კოდექსის 503-ე მუხლის მესამე ნაწილის მიხედვით გამამტყუნებელ განაჩენს არ შეიძლება საფუძვლად დაედოს ვარაუდი.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მიხედვით გარანტირებულია სასამართლო გადაწყვეტილებათა დასაბუთებულობის ვალდებულება. ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს არ აქვს ფიქსირებული სტანდარტი, რომლის ფარგლებშიც სავალდებულოდ უნდა მოხდეს სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთება. აღნიშნული ყოველი საქმის თავისებურებების მიხედვით უნდა გადაწყდეს.³³ ზოგადად საქმის განმხილველ სასამართლოს არ აქვს იმის ვალდებულება, რომ ყველა არგუმენტის საპასუხოდ დეტალური პასუხი წარადგინოს.³⁴ გადაწყვეტილებიდან უნდა იკვეთებოდეს, რომ მთავარი საკითხები იქნა პასუხგაცემული და მხედველობაში მიღებული.³⁵ დამატებით აღსანიშნავია, რომ საზოგადოებისთვის და ბრალდებულისთვის სასამართლო გადაწყვეტილებიდან უნდა გახდეს ცხადი, თუ რატომ მოხდა პირის კონკრეტულ ბრალდებაში გამტყუნება.³⁶

³² რომელიც მოქმედებდა საქმის განხილვის დროს.

³³ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1994 წლის 9 დეკემბრის განჩინება საქმეზე *Ruiz Torija v. Spain*, § 29.

³⁴ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1994 წლის 14 აპრილის განჩინება საქმეზე *Van de Hurk v. the Netherlands*, § 61.

³⁵ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2007 წლის 15 თებერვლის განჩინება საქმეზე *Boldea v. Romania*, § 30.

³⁶ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პალატის 2009 წლის 13 იანვრის განჩინება საქმეზე *Taxquet v. Belgium*, § 48.

სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთებულობა ძირითადად მოიცავს სამართალწარმოების შემდეგ სფეროებს: 1. მტკიცებულებათა შეფასება; 2. ფაქტების დადგენა; 3. სამართლებრივი არგუმენტაცია; 4. პროცედურული საკითხები.³⁷ სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით სასამართლოს შეუძლია მხოლოდ და მხოლოდ შესაბამისი ნორმების მითითება (და ამ მხრივ პირისთვის შესაბამის მოთხოვნაზე უარის თქმა).³⁸ ფაქტობრივ საკითხებთან დაკავშირებით კი *ad hoc* მიდგომა გამოიყენება და ჯეროვანი დასაბუთებულობა დამოკიდებულია საქმის ყოველ დეტალზე.

ლელა კობაიძის საქმეში ნარკოტიკული საშუალების საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანის ფაქტი არ არის დადასტურებული კანონით დადგენილი წესის შესაბამისად და მხოლოდ და მხოლოდ შ.მჭედლიშვილი მიუთითებს აღნიშნულის შესახებ და თან ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც, თავის მხრივ, ცალკე აღებული არ წარმოადგენდა მტკიცებულებას.³⁹ მსჯავრდებული ლელა კობაიძე საზღვრის გადმოკვეთის შემდგომ რამდენიმე საათი იმყოფებოდა საქართველოს ტერიტორიაზე და ამ პირობებში შესაძლებელი იყო ნარკოტიკული საშუალების შექმნა. არანაირი უტყუარი მტკიცებულება არ არის განაჩენში მითითებული, რომელიც დაადასტურებდა ნარკოტიკული საშუალების საქართველოში შემოტანის ფაქტს.

მიუხედავად აღნიშნულისა, რაიონულმა და სააპელაციო სასამართლოებმა ბრალეულად ცნეს ლელა კობაიძე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 262-ე მუხლის მეოთხე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და მიუსაჯეს 15 წლით თავისუფლების აღკვეთა. აღნიშნული დარღვევა თავის მხრივ არ გამოსწორებულა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერაც, რომელმაც საკასაციო საჩივარი დაუშვებლად ცნო. ამ პირობებში მსჯავრდებული ლელა კობაიძე იხდის იმ ქმედებისთვის სასჯელს, რომელიც სასამართლომ არასწორად მიიჩნია „კანონით დადგენილი წესით“ დამტკიცებულად.

გაჭიანურებული სასამართლო განხილვა

საქმის სამართლიანი განხილვის უფლება სასამართლოს მიერ საქმის გონივრულ ვადაში განხილვას გულისხმობს. წინამდებარე ქვეთავში ერთის მხრივ წარმოდგენილი იქნება პატიმრობაში მყოფი პირების მიმართ სასამართლო განხილვის გაჭიანურების, მეორეს მხრივ კი – არასაპატიმრო საქმეების არაგონივრულ ვადებში განხილვასთან დაკავშირებული პრობლემები.

³⁷ Human Rights in Criminal Proceedings, S. Trechsel, Oxford University Press, 2006, გვ 107.

³⁸ ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის 1981 წლის 16 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე *X v. Federal Republic of Germany*.

³⁹ 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 110-ე მუხლი.

საპატიმრო საქმეების არაგონივრულ ვადებში განხილვა

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მიხედვით:

„ყოველი ადამიანი, მისი სამოქალაქო ხასიათის უფლებებისა და მოვალეობების, ან მისთვის წარდგენილი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას, აღჭურვილია გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნოდ განხილვის უფლებით კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ.“

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკით, გონივრული ვადის ათვლა იწყება ბრალდების წარდგენის მომენტიდან.⁴⁰ აღნიშნული პრინციპი მოქმედებს სასამართლოს მიერ მიღებული საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე და ვრცელდება სააპელაციო სამართალწარმოებაზეც.⁴¹

საქმეში პელისიერი და სასი საფრანგეთის წინააღმდეგ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ გონივრული ვადა უნდა შეფასდეს საქმის სირთულის, ბრალდებულის ბრალეული ქმედებისა და სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოების ბრალეული ქმედებების ჭრილში.⁴²

ამასთან საქმეში ფარაფონოვა უკრაინის წინააღმდეგ სასამართლომ განმარტა, რომ შეიძლება ბრალეულად ჩაითვალოს ბრალდებულისათვის ადგილობრივი კანონმდებლობით მინიჭებული მისივე ინტერესების დასაცავად შუამდგომლობებისა და საჩივრების, მათ შორის მოსამართლის აცილების, გამოყენების უფლება.⁴³

ამავე საქმეში სასამართლომ განმარტა, რომ იმ შემთხვევაშიც კი თუ ბრალდებულმა გარკვეულწილად ხელი შეუწყო სასამართლო განხილვის გაჭიანურების პროცესს, არ შეიძლება სასამართლო განხილვის გაჭიანურების გამამართლებლად მხოლოდ ამ საფუძვლის გამოყენება.⁴⁴

სახალხო დამცველის აპარატში განხილულ იქნა ანდრო ჩხიკვიშვილის საქმე, რომელიც დააკავეს 2006 წლის 18 ოქტომბერს. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 4 ივლისის განაჩენით ანდრო ჩხიკვიშვილი მსჯავრდებულ იქნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით და ამავე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და სასჯელად განესაზღვრა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 100 000 ლარის ოდენობით. აღნიშნული განაჩენი

⁴⁰ *inter alia*, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1982 წლის 15 ივლისის განჩინება საქმეზე *Eckle v. Germany*, § 73.

⁴¹ *inter alia*, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1968 წლის 27 ივნისის განჩინება საქმეზე *Wemhoff v. Germany*, § 18.

⁴² ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1999 წლის 25 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე *Pelissier and Sassi v. France*, საქმე #25444/94, §67

⁴³ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2008 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Farafonova v. Ukraine*, საქმე #28780/02, §32

⁴⁴ იქვე, §35

შეიცვალა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 19 დეკემბრის განაჩენით და ამოირიცხა 180-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ბრალდებები. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 9 ივლისის განჩინებით დამატებით სასჯელად დანიშნული ჯარიმა გაუქმებულ იქნა და საქმე დაუბრუნდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ხელახლა განხილვისთვის.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს მენეჯერის 2011 წლის 15 აპრილის წერილით დასტურდება, რომ 2009 წლის 9 ივლისიდან 2011 წლის 18 მარტამდე მსჯავრდებულ ანდრო ჩხიკვიშვილის საქმე იმყოფებოდა მოსამართლე მზია ლომთათიძის წარმოებაში. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლის თანაშემწის 2011 წლის 7 აპრილის წერილის მიხედვით 2011 წლის 18 მარტიდან საქმე იმყოფება მოსამართლე მიხეილ ბებიაშვილის წარმოებაში.

საქართველოს 2009 წლის 10 ოქტომბრის სისხლის სამართლის კოდექსის 329-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის კოდექსი ძალადაკარგულად იქნა გამოცხადებული, მაგრამ იმავე მუხლის მესამე ნაწილის მიხედვით პროცესი გრძელდება ადრე მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, თუკი სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო მისი მოქმედების პერიოდში. შესაბამისად, ანდრო ჩხიკვიშვილის საქმეზე ვრცელდება 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. აღნიშნული კანონის 528-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით სააპელაციო ინსტანციამ საქმე უნდა განიხილოს მისი მიღებიდან არა უგვიანეს 3 თვისა. კანონი არ აკონკრეტებს იმ ვადას, რომლის ფარგლებშიც უნდა მოხდეს მოსამართლის მიერ განაჩენის გამოტანა. კანონი ადგენს მხოლოდ და მხოლოდ სპეციალურ ვადაში საქმის განხილვის გარანტიას და დანარჩენ შემთხვევაში მოქმედებს ადამიანის უფლებათა სამართალი.

გონივრულ ვადაში საქმის განხილვის შეფასებისას მხედველობაში მიიღება ისეთი გარემოებები როგორებიცაა ბრალდებულის/მსჯავრდებულის ასაკი, ჯანმრთელობის მდგომარეობა⁴⁵ და პატიმრობაში გატარებული პერიოდი⁴⁶. როგორც ზემოთ აღნიშნა დამატებით ხდება ისეთი საკითხების გათვალისწინება, როგორებიცაა საქმის სირთულე⁴⁷, სახელისუფლებო ორგანოთა ქმედებები⁴⁸ და დაცვის მხარის ბრალეული მოქმედება⁴⁹.

⁴⁵ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2002 წლის 7 თებერვლის განჩინება საქმეზე *Beljanski v. France*, § 40.

⁴⁶ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2003 წლის 29 აპრილის განჩინება საქმეზე *Motsnik v. Estonia*, § 40.

⁴⁷ *inter alia*, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1968 წლის 27 ივნისის განჩინება საქმეზე *Neumister v. Germany*, § 21.

⁴⁸ *inter alia*, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2002 წლის 4 ივლისის განჩინება საქმეზე *Del Federico v. Italy*, § 21.

⁴⁹ *inter alia*, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1991 წლის 27 ნოემბრის განჩინება საქმეზე *Kemmache v. France*, § 64.

მსჯავრდებული ანდრო ჩხიკვიშვილი არის 1945 წელს დაბადებული. როგორც სახალხო დამცველის აპარატში წარმოდგენილი განცხადებიდან იკვეთება მას აღენიშნება ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემები. სააპელაციო სასამართლოში საქმე განიხილება 2009 წლის 9 ივლისიდან. 2011 წლის 18 მარტამდე საქმეს იხილავდა მოსამართლე მზია ლომთათიძე და დაახლოებით 1 წლის და 8 თვის გასვლის შემდეგაც არ ყოფილა გამოტანილი განაჩენი.

საქართველოს კანონმდებლობა არ შეიცავს არანაირ რეგულირებას, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნება სამართალწარმოების დაჩქარების უზრუნველყოფა. აუცილებელია კანონმდებლობით გათვალისწინებულ იქნას ისეთი დებულება, რომელიც მისცემდა საშუალებას ბრალდებულს/ადვოკატს იმის უფლებას, რომ მოახდინოს შესაბამისი საჩივრით მიმართვა საქმის განხილვის დაჩქარების მოთხოვნით. აღნიშნული უზრუნველყოფს ევროკონვენციის მე-13 მუხლით დადგენილი სტანდარტის უკეთ რეალიზებას და ასევე უფლების შიდა სახელმწიფოებრივი დაცვის შესაძლებლობას რეალურს გახდის.

არასაპატიმრო საქმეების განხილვასთან დაკავშირებული პრობლემები

სისხლის სამართლის სამართალწარმოების ერთ-ერთ სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს არასაპატიმრო საქმეების არაგონივრულ ვადებში განხილვა. გვხვდება შემთხვევები, როდესაც არასაპატიმრო საქმეები წლების განმავლობაში განუხილველია ან ჭიანჭურდება უკვე დაწყებული საქმეების განხილვა.

საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებებით მიმართა ერთ-ერთმა განსასჯელმა, რომელსაც ადვოკატის ღონისძიების სახით შეფარდებული ჰქონდა არასაპატიმრო ადვოკატის ღონისძიება (გირაო). განსასჯელის განმარტებით, 2010 წლის დეკემბერში თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლის მიერ მისი ბრალდების სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვის სხდომა გადადო, თუმცა მას შემდეგ საქმის განხილვა არ გაგრძელებულა (ვ.ნიშნაიანიძის საქმე).

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა გამოითხოვა ინფორმაცია სასამართლოს წარმოებაში არსებული არასაპატიმრო საქმეების შესახებ. სახალხო დამცველის აპარატისათვის 2011 წლის დეკემბრის პირველ ნახევარში საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მოწოდებული სტატისტიკური მონაცემების თანახმად 2011 წლის ოქტომბრის მდგომარეობით პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ საქმის განხილვა დასრულებული არ იყო 582 არასაპატიმრო საქმეზე, აქედან 61 სისხლის სამართლის საქმე სასამართლოში განსახილველად შესულია 2010 წელს. როგორც თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ ამავე პერიოდში მოწოდებული ინფორმაციიდან ირკვევა, თბილისის საქალაქო სასამართლოში 2008 წლიდან 2011 წლის ჩათვლით წელს შესული 14225 არასაპატიმრო საქმეებიდან 546 საქმეზე განხილვა დასრულებული არ არის. არასაპატიმრო საქმეების განხილვის გაჭიანურების მიზეზად

თბილისის საქალაქო სასამართლო შესული სისხლის სამართლის საქმეების სიმრავლეს ასახელებს, ასევე აღნიშნავს, რომ არასაპატიმრო სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის პარალელურად განხილება საპატიმრო სისხლის სამართლის საქმეებიც.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაერთ საქმეში იმსჯელა საქმის გონივრულ ვადაში განხილვის საკითხზე. საქმეში „ფარაფონოვა უკრაინის წინააღმდეგ“ (2001 წელს ბრალდებულს შეფარდებული ჰქონდა გაუსვლელობის ხელწერილი, 2006 წელს სასამართლომ ის ხულიგნობაში სცნო დამნაშავედ და 3 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა) ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ ბრალდებული იყო საფრთხის ქვეშ, რადგან იტანჯებოდა მომავლის გაურკვევლობით.⁵⁰

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით აუცილებელია სასამართლოების მიერ საქმეების განხილვა გონივრულ ვადებში მოხდეს, რათა ბრალდებულებს არ ჰქონდეთ გაურკვევლობის მუდმივი შიში და თავიდან იქნას აცილებული სამართლიან მართლმსაჯულებაზე დროის განსაზღვრულ შუალედში ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებული უფლების დარღვევა.

განაჩენთა ერთობლიობის დროს სასჯელის დანიშვნის პრობლემები

სახალხო დამცველის აპარატში განხილული საქმეებიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ სასამართლო სისტემაში არსებულ ერთ-ერთ სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს განაჩენთა ერთობლიობის დროს სასჯელის დანიშვნის საკითხი. გვხვდება შემთხვევები, როდესაც განაჩენთა ერთობლიობით დანიშნული სასჯელი იმაზე უფრო მძიმეა, ვიდრე კანონით არის გათვალისწინებული. როდესაც განაჩენთა ერთობლიობით ხდება სასჯელის შეფარდება ერთიანი სასჯელის ათვლა ხორციელდება ახალი განაჩენის მიღების დღიდან.⁵¹ ამას ემატება წინა განაჩენის მოუხდელი ნაწილი. ამ დროს პრობლემურია სწორედ ბოლო განაჩენის მოუხდელი ნაწილის განსაზღვრა. გაურკვევლობას იწვევს ასევე აღკვეთის ღონისძიების საკითხი, რომლის ჩათვლა და მიმართება ძველ ან ახალ სასჯელთან საკმაოდ ხარვეზიანია. ჩვენს მიერ შესწავლილ იქნა რამდენიმე სისხლის სამართლის საქმე, სადაც გამოიკვეთა გარკვეული პრობლემური ასპექტები.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით განსაზღვრულია განაჩენთა ერთობლიობით სასჯელთა დანიშვნის წესი:

⁵⁰ ფარაფონოვა უკრაინის წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო. 2009 წლის 11 მარტის განჩინება, §30

⁵¹ გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მსჯავრდებულის მიმართ წინა განაჩენით დადგენილი პირობითი მსჯავრის გამოსაცდელი ვადა არ იყო გასული ბოლო დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის.

„განაჩენთა ერთობლიობის დროს სასჯელის დანიშვნისას სასამართლო ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს მთლიანად მიუმატებს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელ ნაწილს.“

გამამტყუნებელ განაჩენთა ერთობლიობა წარმოადგენს დანაშაულთა ერთობლიობის, როგორც დანაშაულთა სიმრავლის, ერთ–ერთ სახეს. დანაშაულთა ერთობლიობა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე–16 და 59–ე მუხლების მიხედვით განიმარტება ვიწრო გაგებით და მოქმედებს მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც რამდენიმე ინკრიმინირებული ქმედება ჩადენილია საბოლოო განაჩენის გამოტანამდე და მათში ბრალდების საქმე ერთი სამართალწარმოების ფარგლებში განიხილება. ამისგან განსხვავებით განაჩენთა ერთობლიობა წარმოადგენს შემთხვევას, როდესაც განაჩენის გამოტანის მომენტისთვის არსებობს კანონიერ ძალაში შესული საბოლოო განაჩენი სხვა მანამდე ჩადენილ ქმედებასთან დაკავშირებით ან/და რამდენიმე პარალელური სამართალწარმოების ფარგლებში ხორციელდება ბრალდებულის მიმართ საქმის განხილვა, რომლებიც საბოლოოდ გამამტყუნებელი განაჩენით სრულდება (დანაშაულთა ერთობლიობა ფართო გაგებით).

საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა განაჩენთა ერთობლიობის რამდენიმე შემთხვევას აწესრიგებს:

- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59–ე მუხლის მიხედვით განსაზღვრული შემთხვევა, როდესაც ახალი განაჩენის გამოტანის მომენტისთვის საბოლოო განაჩენი არსებობს და სასამართლოსთვის ცნობილია აღნიშნულის შესახებ.
- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 286–ე მუხლით განსაზღვრული შემთხვევა, როდესაც პირის მიმართ ადრე გამოტანილი საბოლოო განაჩენის შესახებ არ იყო ცნობილი სასამართლოსთვის.
- როდესაც რამდენიმე საქმე განიხილებოდა პირის მიმართ ერთდროულად ან/და განაჩენის მომენტისთვის წინა განაჩენი არ იყო საბოლოო (იმ პირობით, რომ ყველა განაჩენი იქნება აღსრულების პროცესში).⁵²

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59–ე მუხლი განსაზღვრავს ზოგად წესს, თუ როგორ ხდება სასჯელების შეკრება და პირდაპირ მიუთითებს, რომ ყველა სანქცია უნდა შეიკრიბოს მექანიკურად და შემდეგ მოხდეს მისი ტრანსფორმაცია ერთ საბოლოო სასჯელად. სსსკ–ის 286–ე მუხლი არ განსაზღვრავს ამგვარ წესს და უბრალოდ მიუთითებს, რომ:

„...პირველი ინსტანციის სასამართლოს ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს განჩინება მსჯავრდებულისათვის სასჯელის ყველა აღნიშნული განაჩენის მიხედვით განსაზღვრის შესახებ“.

⁵² რეალურად შეიძლება ასევე წარმოიქმნას სიტუაცია, როდესაც ერთი განაჩენის შესახებ არ იცოდეს მეორე მოსამართლემ, რომელიც განიხილავს საქმეს და თავის მხრივ (თუკი კიდევ ერთი სამართალწარმოება მიმდინარეობს) მესამე სასამართლომ მოახდინოს ადრე გამოტანილ განაჩენთა შეკრება.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით განაჩენთა ერთობლიობით დანიშნული საბოლოო სასჯელი აითვლება ბოლო განაჩენის მიღების დღიდან. აღნიშნული წესი მოქმედებს არა მხოლოდ და მხოლოდ სსკ-ის 59-ე მუხლით დადგენილი პროცედურის გამოყენებისას, არამედ, მაშინაც როცა სახეზეა სსსკ-ის 286-ე მუხლით განსაზღვრული შემთხვევა.⁵³ ამ წესიდან არსებობს გამონაკლისი, როდესაც მსჯავრდებულის მიმართ წინა განაჩენით დადგენილი პირობითი მსჯავრის გამოსაცდელი ვადა არ იყო გასული ბოლო დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის. ამ შემთხვევაში, მოქმედებს ზოგადი წესი, რომლის მიხედვითაც სასჯელის ათვლა დაკავების/დაპატიმრების მომენტიდან ხდება. ამ გამონაკლისის აზრია ის არის, რომ თუ პირი არ არის შესაბამისი წესით დაპატიმრებული, განაჩენის გამოტანის დღიდან სასჯელის ათვლა გაუმართლებელია. მაგრამ ასევე დამატებით აუცილებელია ამ გამონაკლისის მოქმედების ფარგლების გაზრდა და ყველა იმ შემთხვევის მიმართ მისი გავრცელება, როდესაც მსჯავრდებულის მიმართ გამოიყენება საშედავით გარემოება, რომელიც შეიძლება იყოს როგორც უფრო მსუბუქი – არათავისუფლების აღკვეთასთან დაკავშირებული – სასჯელი⁵⁴ ისე სხვა ტიპის სისხლისსამართლებრივი ღონისძიება⁵⁵. განსაზღვრული და ნათელი საკანონმდებლო დანაწესის არსებობის პირობებში განაჩენთა ერთობლიობის დროს მეტი სიზუსტე იქნება დაცული სამართალწარმოების მიმდინარეობისას.

სასჯელის ათვლის წერტილის პარალელურად ასევე მნიშვნელოვანია სანქციათა ჩათვლის წესი, რომელიც საკმაოდ პრობლემურია და ზოგიერთ შემთხვევაში წარმოადგენს ადამიანის უფლებათა გაუმართლებელი შეზღუდვის საფუძველს.

სახალხო დამცველის აპარატი შესწავლილ იქნა გოჩა ჭელიძის საქმე. გოჩა ჭელიძე მსჯავრდებულ იქნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 2003 წლის 24 ივლისის განაჩენით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 239-ე მუხლის მესამე ნაწილით, 187-ე მუხლის მეორე ნაწილით და 109-ე მუხლის „ო“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩადენისათვის. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად სასჯელები შეიკრიბა და მსჯავრდებულ გოჩა ჭელიძეს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 23 წლის ვადით. 2004 წლის 14 დეკემბერს მსჯავრდებული გოჩა ჭელიძე კვლავ იქნა გასამართლებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“, „გ“, „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტებით, ამავე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 144-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“, „გ“, „დ“ და „ი“ ქვეპუნქტებით, ამავე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 378-ე მუხლის მეორე და მეოთხე ნაწილებით, 236-ე მუხლის პირველ და მეორე ნაწილებით და 379-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით და სასჯელად განესაზღვრა 23 წლით თავისუფლების აღკვეთა, რასაც დაემატა წინა განაჩენით მოუხდელი სასჯელის ნაწილი

⁵³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 20 იანვრის #27-ე განჩინება

⁵⁴ მაგალითისთვის, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 73-ე მუხლის შესაბამისად უფრო მსუბუქი სასჯელით თავისუფლების აღკვეთის შეცვლა.

⁵⁵ მაგალითისთვის, პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლება.

და თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მიერ საბოლოოდ განესაზღვრა 30 წლით თავისუფლების აღკვეთა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 8 თებერვლის განაჩენით გოჩა ჭელიძე მსჯავრდებულ იქნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19,109-ე მუხლის „გ“, „ლ“ და „ო“ ქვეპუნქტებით, 19,379-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 379-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით, 236-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილით, 237-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით და მეოთხე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ დანაშაულთათვის და საბოლოო სასჯელის სახით განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 30 წლის ვადით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 18 აპრილის განაჩენით გოჩა ჭელიძე მსჯავრდებულ იქნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 378-ე მუხლის პირველი ნაწილით და განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 1 წლის ვადით. სასამართლომ აღნიშნული სასჯელი დაუმატა თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის 2004 წლის 14 დეკემბრის განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელ ნაწილს და საბოლოოდ განუსაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 26 წლის 1 თვის და 4 დღის ვადით.

გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 27 ნოემბრის განაჩენით გოჩა ჭელიძე მსჯავრდებულ იქნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 378²-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და სასჯელად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით. სასამართლომ ამ სასჯელს დაუმატა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 8 თებერვლის განაჩენით დანიშნული სასჯელის – 30 წლით თავისუფლების აღკვეთის და 2007 წლის 18 აპრილის განაჩენით დანიშნული სასჯელის – 1 წლით თავისუფლების აღკვეთის – ჯამის მოუხდელი ნაწილი 30 წელი 2 თვე და 11 დღე და საბოლოოდ განუსაზღვრა 33 წლის 2 თვის და 11 დღის ვადით თავისუფლების აღკვეთა.

საქმის კომპლექსურობიდან და ფაქტობრივი გარემოებების სირთულიდან გამომდინარე არ მოვახდენთ სრულ მის ციტირებას და მხოლოდ მნიშვნელოვანი ფაქტების აღნიშვნით შემოვიფარგლებით.

2007 წლის 8 თებერვალს გოჩა ჭელიძე გასამართლდა 2004 წლის 2 ივლისს განხორციელებული რამდენიმე ქმედების გამო. მას ამ ქმედებებისთვის მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 25 წლის ვადით. მაგრამ იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 2006 წლის 29 დეკემბრამდე მოქმედი რედაქციის მიხედვით თავისუფლების აღკვეთის მაქსიმალური სასჯელი განაჩენთა ერთობლიობის დროს წარმოადგენდა 30 წელს, სასამართლოს არ შეეძლო დაენიშნა მასზე მაღალი სანქცია. შესაბამისად, თბილისის საქალაქო სასამართლომ 2007 წლის 8 თებერვალს გოჩა ჭელიძის მიმართ დანიშნა 30 წლით თავისუფლების აღკვეთა. განაჩენი არ გასაჩივრებულა.

გოჩა ჭელიძე 2007 წლის 18 აპრილს გასამართლდა 2004 წლის 6 იანვარს განხორციელებული ქმედების გამო. სასამართლომ ამ დანაშაულისთვის

მსჯავრდებულს დააკისრა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა. ამ შემთხვევაში სასამართლოსთვის ცნობილი არ იყო 2007 წლის 8 თებერვლის განაჩენის შესახებ და სასამართლომ აღნიშნული 1 წელი მიუმატა 2004 წლის 14 დეკემბრის განაჩენს.

გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 27 ნოემბრის განაჩენით გოჩა ჭელიძე გასამართლდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 378²-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულისთვის, რომელიც მსჯავრდებულმა ჩაიდინა 2007 წლის 10 თებერვალს. ამ ქმედებისთვის სასამართლომ გოჩა ჭელიძეს შეუფარდა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა. გარდაბნის რაიონულმა სასამართლომ მოახდინა განაჩენთა ერთობლიობით სასჯელების შეკრება. ახლად დანიშნულ სამი წლით თავისუფლების აღკვეთას მან დაუმატა 2007 წლის 8 თებერვალს დანიშნული 30 წლით თავისუფლების აღკვეთის და 2007 წლის 18 აპრილს დანიშნული 1 წლით თავისუფლების აღკვეთათა ჯამის მოუხდელი ნაწილი და საბოლოო სასჯელად განუსაზღვრა 33 წლით, 2 თვით და 11 დღით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდაც მსჯავრდებულს დაეწყო 2007 წლის 27 ნოემბრიდან. აღნიშნული განაჩენი გასაჩივრდა სააპელაციო წესით და თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 24 იანვრის განაჩენით იგი ძალაში დარჩა.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 50-ე მუხლის მიხედვით განაჩენთა ერთობლიობით მაქსიმალურ სასჯელად შეიძლება დაინიშნოს 40 წლით თავისუფლების აღკვეთა. როგორც ზემოთ აღინიშნა 2006 წლის 29 დეკემბრამდე მოქმედი კანონმდებლობა მაქსიმალური სასჯელის სახით განსაზღვრავდა 30 წლით თავისუფლების აღკვეთას. საქართველოს კონსტიტუციის და სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისად, ქმედების დანაშაულებრიობა და დასჯადობა განისაზღვრება ქმედების ჩადენის დროს მოქმედი კანონმდებლობით.⁵⁶ იქიდან გამომდინარე, რომ გოჩა ჭელიძე მსჯავრდებულ იქნა 2006 წლის 29 დეკემბრამდე ჩადენილი ქმედებებისთვის 2007 წლის 8 თებერვლის და 18 აპრილის განაჩენებით დანიშნულ სასჯელთა ჯამი არ უნდა ყოფილიყო 30 წელზე მეტი. გოჩა ჭელიძის მიერ 2007 წლის 27 ნოემბერს ბრალად შერაცხული ქმედება შეიძლება დანიშნულიყო 40 წლამდე თავისუფლების აღკვეთის ვადით, მაგრამ წინა განაჩენთა ჯამი არ უნდა ყოფილიყო 30 წელზე მეტი.⁵⁷ შესაბამისად, 2007 წლის 27 ნოემბრის განაჩენით 33 წელზე მეტი სასჯელის დანიშვნა ამ შემთხვევაში არ შეიძლებოდა.⁵⁸

ამ საქმეში ასევე მნიშვნელოვანია სასჯელის ათვლის საკითხიც. 30 წლის მაქსიმალური სასჯელის შეფარდების და ათვლის წერტილი უნდა იყოს 2007 წლის 18 აპრილი და შემდგომში მისი მოუხდელ ნაწილი უნდა დამატებოდა 2007 წლის 27 ნოემბრის განაჩენით დანიშნულ სასჯელს და საბოლოოდ უნდა დანიშნულიყო 32 წლით 7 თვით და 2 დღით თავისუფლების აღკვეთა.

⁵⁶ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მეხუთე პუნქტი და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-2 მუხლი.

⁵⁷ ანუ 2007 წლის 18 აპრილის მდგომარეობით გოჩა ჭელიძეს მაქსიმუმ 30 წლით თავისუფლების აღკვეთა შეიძლებოდა ჰქონოდა შეფარდებული.

⁵⁸ მოხდელი სასჯელის (2007 წლის 18 აპრილს და 27 ნოემბერს შორის შუალედი) ჩათვლის პირობით.

მოცემულ საქმეში კანონმდებლობის არასაკმარისი სიციხადით და მოსამართლის შეცდომის გამო მსჯავრდებულს უკანონოდ შეეფარდა 7 თვით და 9 დღით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სისხლის სამართლის მატერიალურ ან საპროცესო კოდექსში პირდაპირ უნდა გაიწეროს ისეთი რეგულირება, როდესაც განაჩენთა ერთობლიობა ეხება რამდენიმე აღსრულების პროცესში მყოფ განაჩენს და ყველა ის თავისებურება, რომელიც თუნდაც ზემოაღნიშნულ საქმეში გამოვლინდა, საჭიროებს დეტალურ საკანონმდებლო მოწესრიგებას. ამ სისხლის სამართლის საქმეში გოჩა ჭელიძის მიმართ დაირღვა საქართველოს კონსტიტუციით და საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული ადამიანის უფლებები, რისი ერთ-ერთი საფუძველი იყო შესაბამის საკანონმდებლო დანაწესთა არარსებობა.

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტის და ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-7 მუხლით განსაზღვრულია სისხლისსამართლებრივი კანონიერების პრინციპი, რომლის მიხედვითაც არავინ არ აგებს პასუხს იმ ქმედობისთვის, რომელიც მისი ჩადენის დროს არ ითვლებოდა სამართალდარღვევად. ამასთან ნებისმიერი სასჯელი უნდა შეესაბამებოდეს კონკრეტული სანქციის ფარგლებს და არ უნდა ცდებოდეს მისთვის დადგენილ მაქსიმალურ ზომას.⁵⁹ როდესაც მოსამართლემ 2007 წლის 8 თებერვლის და 18 აპრილის განაჩენთა მიხედვით დაანიშნული სასჯელები ცალ-ცალკე შეკრიბა, მან ამით დაარღვია ადამიანის ზემოაღნიშნული ძირითადი უფლება, რადგან ამ დროს უკუძალა მიენიჭა განაჩენთა ერთობლიობის ახალ წესს, რაც დაუშვებელია.⁶⁰

გარდა სისხლისსამართლებრივი კანონიერების გარანტიისა, ასევე დაირღვა ორჯერ მსჯავრდების (*Double Jeopardy*) აკრძალვის პრინციპი, რომელიც საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-4 პუნქტით და ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-7 დამატებითი ოქმის მე-4 პუნქტით არის გათვალისწინებული. მის მიხედვით, არავინ შეიძლება დაექვემდებაროს ერთი და იგივე ქმედების⁶¹ გამო ორჯერ პასუხისმგებლობას. რეალურად 7 თვე და 9 დღე თავისუფლების აღკვეთა მსჯავრდებულისთვის შეფარდებულია ზედმეტად და იგი ამავე პერიოდის განმავლობაში უკვე მოხდილი სასჯელის გამო ისჯება, რაც დაუშვებელია.⁶²

⁵⁹ ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-7 მუხლით გარანტირებული უფლების შესახებ იხილეთ: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2001 წლის 22 მარტის განჩინება საქმეზე *Streletz, Kessler and Krenz v. Germany*, § 50. საქართველოს კონსტიტუციით დადგენილ სტანდარტზე – საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის 1/1/428,447,459 გადაწყვეტილება, II 1-20.

⁶⁰ Ibid. საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის გადაწყვეტილება, II – 33.

⁶¹ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2009 წლის 10 თებერვლის განჩინება საქმეზე *Zolotukhin v. Russia*, § 78-84.

⁶² ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტის მიხედვით აკრძალულია, არამართო ერთი და იგივე ქმედების გამო დასჯა, არამედ სისხლისსამართლებრივი დევნა ან მსჯავრდებაც. Ibid. *Zolotukhin*-ის განჩინება § 83.

გარდა ამისა, კანონმდებლობაში არის ასევე სხვადასხვა დებულებები, რომლებიც აუცილებლად საჭიროებს გადაწყვეტას. კერძოდ, არ არის დარეგულირებული საკითხი, როდესაც მსჯავრდებულის მიმართ იწყება სისხლის სამართლებრივი დევნა და ხდება აღკვეთის ღონისძიების შეფარდება, თუ როგორ მოხდება ამ დროს მიმდინარე სასჯელის დინების შეჩერება. აღნიშნული მეტად მნიშვნელოვანია, რადგან საბოლოოდ დაკავშირებულია შემდგომი სასჯელის დანიშვნის გადაწყვეტასა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან. სისხლის სამართლის კოდექსის 62-ე მუხლის მესამე ნაწილის მიხედვით: „სასამართლო განხილვამდე პატიმრობაში ყოფნის დრო ჩაითვლება სასჯელის ვადაში“. კანონმდებლობით აუცილებელია დაზუსტდეს თუ რომელ სასჯელს აკლდება აღნიშნული აღკვეთის ღონისძიების ვადა. ასევე განისაზღვროს ძველი სასჯელის შეჩერების მომენტი, რათა შემდგომში მისი ახალდანიშნული სასჯელისთვის დამატების საკითხი დადგინდეს მკაფიოდ. ამ სფეროში განუსაზღვრელმა კანონმდებლობამ სახალხო დამცველის აპარატში განხილულ ირაკლი კერესელიძის საქმეში გამოიწვია ის, რომ მსჯავრდებულის სასჯელის გარკვეული ოდენობის მოხდისგან „გათავისუფლდა“ და შემდგომ სასამართლოს მოუხდა სხვა ძირითადი უფლებების შელახვის ხარჯზე „სამართლიანობის“ აღდგენა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 1996 წლის 24 მაისის განაჩენით, ირაკლი კერესელიძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (1960 წლის რედაქცია) 238-ე, 19-190-ე და 104-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩადენისთვის. მას სასჯელის სახით, განესაზღვრა სიკვდილით დასჯა. იგი დაკავებულ იქნა 1995 წლის 24 აგვისტოს. საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 25 ივლისის #387 ბრძანებულების საფუძველზე, ირაკლი კერესელიძეს სიკვდილით დასჯა შეეცვალა 20 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთით.

2002 წლის 29 მარტს ირაკლი კერესელიძემ კვლავ ჩაიდინა დანაშაული, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 361-ე მუხლით და 19-379-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით და ამ ქმედებებისთვის თბილისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 12 აპრილის განაჩენით მას მიესაჯა 4 წლით და 6 თვის ვადით თავისუფლების აღკვეთა. აღნიშნულ სასჯელს ნაწილობრივ დაემატა 1996 წლის 24 მაისის განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი 9 წლით თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ მას განესაზღვრა 13 წლით და 6 თვის ვადით თავისუფლების აღკვეთა. სასჯელის მოხდა დაეწყო ახალი დანაშაულის ჩადენის დღიდან – 2002 წლის 29 მარტიდან.

2007 წლის 20 აპრილს საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განიხილა ი.კერესელიძის საჩივრები 1996 წლის 24 მაისის განაჩენზე და განჩინებით შეცვალა 1996 წლის 24 მაისის განაჩენი, რის საფუძველზეც ამ უკანასკნელს 20 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთის ნაცვლად, განესაზღვრა 15 წლით თავისუფლების აღკვეთა. თუმცა, საბოლოოდ დანიშნული სასჯელის მოხდის დაწყებისა და დასრულების თარიღები სასამართლოს არ მიუთითებია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 20 თებერვლის განჩინებით აღმოფხვრა 2007 წლის 20 აპრილის განჩინებაში დაშვებული ბუნდოვანება-უზუსტობა და ი.კერესელიძეს განესაზღვრა სასჯელის მოხდის დაწყებისა და დასრულების ვადები. სასამართლომ განჩინების სარეზოლუციო ნაწილში მიუთითა, რომ „2006 წლის 12 აპრილის განაჩენით დანიშნულ სასჯელს – 4 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთას ნაწილობრივ დაემატოს საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 20 აპრილის განჩინებით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი 4 წლით თავისუფლების აღკვეთის სახით და საბოლოო ი.კერესელიძეს განესაზღვროს 8 წლისა და 6 თვის ვადით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყოს 2002 წლის 29 მარტიდან.“

2008 წლის 3 დეკემბერს, თბილისის სააპელაციო სასამართლომ განიხილა ი.კერესელიძის სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 12 აპრილის განაჩენზე და უცვლელად დატოვა იგი. თუმცა, განაჩენის სარეზოლუციო ნაწილში მიუთითა, რომ 2006 წლის 12 აპრილის განაჩენით დანიშნულ 4 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთას ნაწილობრივ დაემატა 1996 წლის 24 მაისის განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი 9 წლით თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ განესაზღვრა 13 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. სასჯელის მოხდა დაეწყო ახალი დანაშაულის ჩადენის დღიდან – 2002 წლის 29 მარტიდან და მისი მოხდის დასასრულად დადგინდა 2015 წლის 29 სექტემბერი.

2009 წლის 3 აპრილს, თბილისის სააპელაციო სასამართლომ განჩინებით აღმოფხვრა 2008 წლის 3 დეკემბრის განაჩენში დაშვებული ბუნდოვანება-უზუსტობა. სასამართლომ განაჩენის სარეზოლუციო ნაწილში შეიტანა ცვლილება იმ მიმართებით, რომ ი.კერესელიძეს სასჯელის ათვლა დაეწყო პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანის დღიდან – 2006 წლის 12 აპრილიდან.

2009 წლის 7 აპრილს საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განიხილა ი.კერესელიძის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 3 დეკემბრის განაჩენზე და განჩინებით შეცვალა 2008 წლის 3 დეკემბრის განაჩენი, რის საფუძველზეც, ი.კერესელიძეს 2002 წლის 29 მარტს ჩადენილი დანაშაულებისთვის 4 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთის ნაცვლად განუსაზღვრა 3 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა, რასაც დაემატა 2007 წლის 20 აპრილის განჩინებით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი 4 წლით თავისუფლების აღკვეთის სახით (რაც დანიშნული ჰქონდა 1995 წელს ჩადენილი დანაშაულებისთვის) და საბოლოოდ განესაზღვრა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა. სასჯელის მოხდა დაიწყო 2006 წლის 12 აპრილიდან.

ირაკლის კერესელიძის სისხლის სამართლის საქმეში სამივე ინსტანციის სასამართლოს მოუხდა განჩინებაში დაშვებული ბუნდოვანების აღმოფხვრის მიზნით დადგენილებების (განჩინებების) მიღება. პრობლემა ამ საქმეში იყო ის, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ არასწორად იქნა გამოთვლილი სასჯელის ათვლის მომენტად დანაშაულის ჩადენის დრო, მაგრამ მიუხედავად ამისა, საბოლოო შეკრებისას

სასამართლოს არ მოუხდენია ადამიანის უფლებების დარღვევა მსჯავრდებულის საუარესოდ, რადგან რეალურად ამგვარი მიდგომით ირაკლი კერესელიძე 4 წლით თავისუფლების აღკვეთისგან გათავისუფლდა.

ამ საქმეში პრობლემური იყო სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 3 დეკემბრის განაჩენი და 2009 წლის 3 აპრილის განჩინება ბუნდოვანების აღმოფხვრის შესახებ. ზემოაღნიშნული აქტებით სააპელაციო სასამართლომ ირაკლი კერესელიძეს განაჩენთა ერთობლიობით მიუსაჯა 13 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. ამ განაჩენით სასჯელის ათვლის წერტილად მითითებული იყო 2002 წლის 29 მარტი და მსჯავრდებულისთვის სასჯელის დასასრულად განიხილებოდა 2015 წლის 29 სექტემბერი. მაგრამ 3 აპრილის განჩინებით შეიცვალა სასჯელის ათვლის მომენტი და აღნიშნულ თარიღად განისაზღვრა 2006 წლის 12 აპრილი – პირველი ინსტანციის განაჩენის მიღების დღე. ანუ მსჯავრდებულის საჩივრის განხილვისას სააპელაციო სასამართლომ დაამძიმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ შეფარდებული სასჯელი. ამ შემთხვევაში კი დაირღვა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა და ადამიანის ძირითადი უფლებები.

საქმის განხილვის დროს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 615-ე მუხლის მიხედვით სასამართლოს შეეძლო გადაწყვეტილებაში შეეტანა:

„... დაზუსტება, რომელიც გავლენას არ მოახდენს სასამართლოს დასკვნაზე მსჯავრდებულის ქმედების კვალიფიკაციის, სასჯელის ღონისძიების, სამოქალაქო სარჩელის დაკმაყოფილებისა და სარჩელის თანხის განსაზღვრის შესახებ.“

თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული განაჩენის მიხედვით სასჯელის მოხდის ვადა გახანგრძლივდა 4 წელზე მეტი ვადით, რაც საბოლოო ჯამში წარმოადგენდა *reformatio in peius* აკრძალვის პრინციპის დარღვევას, რომელიც გარანტირებული იყო საქმის განხილვისას მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 540-ე მუხლით. ირაკლი კერესელიძის საჩივრის განხილვისას მის საუარესოდ შებრუნდა საქმე, რაც დაუშვებელი იყო. აღნიშნული წარმოადგენს ასევე საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტის დარღვევას, რომელიც განსაზღვრავს გასაჩივრების ძირითად უფლებას.⁶³ არცერთი უფლების პროცედურული რეალიზება არ შეიძლება იყოს ზიანის მომტანი უფლების სუბიექტისთვის, რადგან შესაბამისი გარანტიები მოქმედებს სწორედ იმ მიმართებით, რომ დაიცვას ადამიანის უფლებები და არცერთ შემთხვევაში იმ მიზნით, რომ დამატებით შეზღუდოს იგი.

ერთ-ერთი პრობლემური საკითხი საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით ასევე არის ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო სამართალწარმოების განახლების საფუძვლები. 310-ე მუხლში წარმოშობილი, რომელიმე სამართლებრივი საფუძვლის

⁶³ ამ უფლების შესახებ იხილეთ: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 21 დეკემბრის #2/6/264 გადაწყვეტილება.

გამოვლენის შემთხვევაში აღნიშნული იწვევს მსჯავრდებულის პასუხისმგებლობის შემსუბუქებას კონკრეტული განაჩენის ფარგლებში. თუკი აღნიშნული განაჩენი თავის მხრივ სხვა განაჩენის საფუძველია, განაჩენთა ერთობლიობიდან გამომდინარე, არ არსებობს ამ მეორე აქტის შეცვლის შესაძლებლობა, რადგან საქართველოს სასამართლოების სამართალწარმოების პრაქტიკით⁶⁴ მხოლოდ და მხოლოდ მკაფიოდ განსაზღვრულ შემთხვევებში ხდება ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო დასრულებული საქმეთა განახლება. საკითხის უკეთ რეგულირებისთვის აუცილებელია დამატებით გაიწეროს განაჩენთა ერთობლიობის დროს ახლად გამოვლენილი გარემოების გადაწყვეტის წესი.

როგორც ზემოთ წარმოდგენილი საქმეებიდან ირკვევა საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა და სამართალწარმოების პრაქტიკა საკმაოდ პრობლემურია განაჩენთა ერთობლიობით დასანიშნი სასჯელის განსაზღვრის დროს.

მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ წარმოდგენილი ორივე საქმე საანგარიშო პერიოდამდე არის დასრულებული, მათგან მომდინარე სამართლებრივი შედეგი – თავისუფლების აღკვეთა დღესაც სახეზეა და მათ შესაბამის მსჯავრდებულთა მიერ ხდება სასჯელთა მოხდა იმ ფარგლებში, რომელიც კანონის დარღვევით შეეფარდათ მათ.

ყველა ეჭვის ბრალდებულის სასარგებლოდ გადაწყვეტის პრინციპი

უდანაშაულობის პრეზუმფცია სისხლის სამართლის პროცესის ერთ-ერთ პრინციპს წარმოადგენს. მტკიცებულების შეფასების დროს წარმოშობილი ეჭვი, რომელიც არ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის (მსჯავრდებულის) სასარგებლოდ.⁶⁵ თუმცა სახალხო დამცველის აპარატში განხილული საქმეებიდან რიგ შემთხვევებში საწინააღმდეგო იკვეთება.

საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მესამე პუნქტის მიხედვით:

„ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ.“

აღნიშნული დებულება (*in dubio pro reo*⁶⁶) მოქმედებს სისხლის სამართალში ფაქტობრივი გარემოებების მიმართ, როდესაც არსებულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით არსებობს რამდენიმე დასკვნის გამოტანის შესაძლებლობა. უდანაშაულობის პრეზუმფციიდან გამომდინარე ამ დროს ბრალდებულისთვის ყველაზე სასიკეთო გადაწყვეტილება მიიღება.

⁶⁴ *inter alia*, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 6 ივნისის #39/საზ-09 და 2009 წლის 10 სექტემბრის #41/საზ-09 განჩინებები

⁶⁵ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილი

⁶⁶ ამ პრინციპთან დაკავშირებით იხილეთ: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2006 წლის 29 მარტის განჩინებაზე *Achour v. France* მოსამართლე პოპოვიჩის განსხვავებული აზრი.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 71-ე მუხლის ადგენს, რომ პირი თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან, თუკი კონკრეტული დანაშაულის ჩადენიდან გასულია ამავე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული პერიოდი. ხანდაზმულობის ვადა გამოიანგარიშება დანაშაულის ჩადენის დღიდან პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემამდე.⁶⁷

ხანდაზმულობის ვადის გამოთვლისათვის მნიშვნელოვანია დანაშაულის შემადგენლობის განხორციელება ან შესაბამისი მცდელობა/მომზადება, რადგან სწორედ ამ პერიოდიდან აითვლება იგი. ამ წესისგან განსხვავებით ერთიანი დენადი დანაშაული იწყება მოქმედებით ან უმოქმედობით და მხოლოდ სრულდება დანაშაულის აღკვეთით. მაგალითად, ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შენახვის შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადა აითვლება მხოლოდ მას შემდეგ რაც დამთავრდება დანაშაულის შემადგენლობის განხორციელება, ანუ როცა შეწყდება იარაღის შენახვა. თუკი შეუძლებელია იმის ზუსტი გარკვევა, თუ როდის დასრულდა დანაშაულის ჩადენა, ყოველგვარი ეჭვი უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ და შეწყდეს პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა. აღნიშნული მიდგომა აქვს დადგენილი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 15 იანვრის განაჩენში.⁶⁸

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 6 აპრილის განაჩენით კობა გიორგაძე, ნუგზარ შენგელია და ზაურ ჭკადუა ცნობილ იქნენ ბრალეულად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 23,303-ე მუხლის პირველი ნაწილით, 177-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და 210-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობების ჩადენისთვის. ამავე განაჩენით გოჩა უბილავა მსჯავრდებულ იქნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 23,303-ე მუხლის პირველი ნაწილით, 177-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და 177-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობის ჩადენისთვის. 2011 წლის 6 აპრილის განაჩენით დამტკიცდა ასევე საპროცესო შეთანხმება სამეგრელოსა და ზემო-სვანეთის საოლქო პროკურორსა და მსჯავრდებულ მარო გვიჭიანს შორის და ეს უკანასკნელი მსჯავრდებულ იქნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 210-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით.

ზემოაღნიშნულ განაჩენში მითითებულია, რომ მსჯავრდებულთა მიერ ქურდობა და ხეტყის უკანონოდ გაჩეხვა ჩადენილია დაუდგენელ დროსა და ვითარებაში. რეალურად გაურკვეველია დანაშაულის ჩადენის ზუსტი დრო. შესაბამისად, შეუძლებელია იმის თქმა, გასულია თუ არა ხანდაზმულობის ვადები მსჯავრდებულებთან მიმართებით, რადგან სახეზე არ არის ერთიანი დანაშაულის რომელიმე სახე.

აღნიშნული მიდგომა საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ გამოიყენება ხშირ შემთხვევაში. შესაბამისად, არ არის გარკვეული ხანდაზმულობის ვადების საკითხი, რაც იწვევს ადამიანის უფლებათა დარღვევის შესაძლებლობას. აუცილებელია

⁶⁷ სისხლის სამართლის კოდექსის 71-ე მუხლის მეორე ნაწილი.

⁶⁸ საქმე #1/ზ-864-2008

სასამართლოებმა ყველა ეჭვი, რომელიც ეხება დანაშაულის ჩადენის დროის საკითხს გადაწყვიტონ ბრალდებულთა სასარგებლოდ ან/და მოახდინოს დანაშაულის განხორციელების სავარაუდო თარიღის იდენტიფიცირება ხანდაზმულობის ვადის ფარგლებში.⁶⁹

სახალხო დამცველის აპარატში შესწავლილი საქმეების ანალიზის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ პრობლემები სასამართლო სისტემაში მრავლადაა. როგორც ზემოთ მიმოხილული საქმეებიდან იკვეთება, ცალკეული მოსამართლის მიერ დაშვებული შეცდომის შედეგად მსჯავრდებულს შესაძლოა კანონით გათვალისწინებულზე მეტი დროის გატარება მოუწიოს სასჯელადსრულების დაწესებულებაში, რაც დაუშვებელია. შესაბამისად, მეტად მნიშვნელოვანია მოხდეს სახალხო დამცველის რეკომენდაციების გათვალისწინება მომავალში ადამიანის უფლებების დარღვევების თავიდან ასაცილებლად. ასევე აუცილებელია სასამართლო სისტემაში დაწყებული რეფორმის ბოლომდე მიყვანა, რათა სასამართლო საქართველოში სამართლიანობის აღდგენის ურყევი გარანტი იყოს.

რეკომენდაციები:

რეკომენდაციით მიემართავთ თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეს:

- ა) სასამართლო კანცელარიაში დოკუმენტაციის ჩაბარების მსურველთა ნაკადის განსატვირთად უზრუნველყოს სათანადო ღონისძიებების გატარება, რომელიც აღმოფხვრის არსებულ პრობლემებს.
- ბ) უზრუნველყოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვის იმ სასამართლო დარბაზებში გამართვა, რომელიც დამატებითი ბარიერების გარეშე ხელმისაწვდომია სხდომაზე დასწრების სურვილის მქონე ყველა პირისათვის.

რეკომენდაციით მიემართავთ ახალქალაქის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარეს:

- ა) განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს საქმეთა განხილვისას კვალიფიციური თარჯიმნის მონაწილეობას და ამ მიზნით სასამართლომ უზრუნველყოს შესაბამისი სპეციალისტების წინასწარი შერჩევა.
- ბ) მიეცეს სათანადო მითითებები მანდატურებს, რათა დამატებითი დაბრკოლებების გარეშე განახორციელონ მოქალაქეთა დაშვება სასამართლო სხდომის დარბაზებში.

⁶⁹ აღნიშნული ეჭვი ასევე შეიძლება არსებობდეს კანონმდებლობს რეტროაქტიულ გამოყენებასთან მიმართებითაც.

გ) რეკომენდაციით მივმართავთ ახალქალაქის სასამართლოს თავმჯდომარეს, სასამართლოს სხდომების საჯაროობის უკეთ უზრუნველსაყოფად სხდომების შესახებ ინფორმაცია განთავსდეს (გამოიკრას) სასამართლო შენობაში თვალსაჩინო ადგილას.

რეკომენდაციით მივმართავთ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეს:

ა) მიეცეს სათანადო მითითებები მანდატურებს, რათა არ შეიზღუდოს სასამართლო სხდომაზე დამსწრეთა მიერ სხდომის მიმდინარეობისას გარკვეული ჩანაწერების (საწერი კალმით) გაკეთების უფლება.

ბ) მიეცეს სათანადო მითითებები მანდატურებს, რათა დამატებითი დაბრკოლებების გარეშე განახორციელონ მოქალაქეთა დაშვება სასამართლო სხდომის დარბაზებში.

რეკომენდაციით მივმართავთ საერთო სასამართლოებს:

ა) უზრუნველყონ სასამართლო სხდომებზე დასწრების სურვილის მქონე მოქალაქეთა თავისუფალი დაშვება დამატებითი ბარიერების შექმნის გარეშე.

ბ) უზრუნველყონ სტენოგრაფირების აუდიო სისტემის მუდმივი გამოყენება ყველა კატეგორიის საქმეთა განხილვისას;

გ) უზრუნველყონ სათანადო ღონისძიებების გატარება, რათა სასამართლო ფიზიკურად ხელმისაწვდომი გახდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის.

სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულება

სამართლებრივ სახელმწიფოში, სადაც სასამართლო გადაწყვეტილებების სავალდებულობა უზრუნველყოფილია კანონმდებლობით, არსებობს სასამართლო გადაწყვეტილებათა ნებაყოფლობითი აღსრულების პრეზუმფცია. სასამართლო გადაწყვეტილება მართლმსაჯულების აქტია, რომელიც სასამართლოს საქმის განხილვის შედეგად გამოაქვს და მისი შესრულების სავალდებულობა კონსტიტუციით არის გარანტირებული.

საქართველოს კონსტიტუციის 82-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სასამართლო აქტები სავალდებულოა ყველა სახელმწიფო ორგანოსა და პირისათვის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. ამასთან, როგორც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს,⁷⁰ ისე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს⁷¹ მიერ არაერთ საქმესთან დაკავშირებით დადგინდა, რომ კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება სამართლიანი სასამართლოს უფლების განუყოფელი ნაწილია.

2011 წლის განმავლობაში, ისევე, როგორც 2010 წელს, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულებასთან დაკავშირებით მომართვიანობა საკმაოდ მაღალი იყო. განცხადებების შესწავლისას გამოიკვეთა როგორც ე.წ. „ტრადიციული“ ხარვეზები, ისე რამდენიმე განსხვავებული პრობლემა. კერძოდ, საქართველოს სახალხო დამცველის 2010 წლის ანგარიშში განხილული იყო პრობლემები, რომლებიც უკავშირდებოდა აღმასრულებლის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის შესაბამის ანგარიშზე ინკასოს დადების, როგორც იძულებითი აღსრულების ღონისძიების პროცედურებისა და ვადების, საკანონმდებლო დონეზე დარეგულირებას, აგრეთვე, მოვალე საბიუჯეტო ორგანიზაციიდან სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებისათვის აუცილებელი ინფორმაციის იძულებითი წესით მოპოვების მექანიზმის შემუშავებასა და „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლით დადგენილ შემთხვევაში, ძებნის კონკრეტული პირობების განსაზღვრას, მოყვანის ფორმის, მისი ხანგრძლივობისა და მის ფარგლებში ნაგულისხმევი მოქმედებების დაკონკრეტებას.⁷² თითოეული ზემოთ აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად, საქართველოს სახალხო დამცველმა გასცა შესაბამისი რეკომენდაციები.

⁷⁰ იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს №1/14/184,228 გადაწყვეტილება საქმეზე „სააქციო საზოგადოებები – „საქგაზი“ და „ანაჯგუფი“ (ყოფილი თბილგაზოაპარატი) საქართველოს პარლამეტის წინააღმდეგ“.

⁷¹ იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს №28342/95 გადაწყვეტილება საქმეზე Brumarescu v. Romania.

⁷² იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2010 წლის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ; გვ. 202

სამწუხაროდ, რეკომენდაციების შესასრულებლად 2011 წლის განმავლობაში სახელმწიფო ორგანოების მიერ რაიმე სახის ეფექტური ღონისძიებები არ გატარებულა. რამდენადაც ზემოაღნიშნული პრობლემები დეტალურადაა გაანალიზებული 2010 წლის ანგარიშში, მათ აღარ განვიხილავთ. შესაბამისად, ყველა საკითხი ისევ დღის წესრიგში დგას და გაცემული რეკომენდაციები ძალაში რჩება.

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა

2011 წლის საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახალხო დამცველს აქტიურად მიმართავდნენ მოქალაქეები მათ სასარგებლოდ მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ვადის გაჭიანურებისა და მათი უფლებების დარღვევის ფაქტებთან დაკავშირებით. განცხადებების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა პრობლემა, რომელიც უკავშირდება მოვალის ქონებაზე რეგისტრირებულ საგადასახადო გირავნობა/იპოთეკას. კერძოდ, 2011 წლის განმავლობაში საქართველოს სახალხო დამცველს ხშირად მიმართავდნენ არაუზრუნველყოფილი კრედიტორები⁷³ მათ სასარგებლოდ მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების საკითხთან დაკავშირებით. შესწავლამ აჩვენა, რომ განცხადებების უმრავლესობაში იდენტური პრობლემა იყო. კერძოდ, როგორც წესი, სასამართლო გადაწყვეტილებით, მოპასუხე ორგანიზაციას განმცხადებელთა (განმცხადებლები უმეტეს შემთხვევაში მოპასუხე ორგანიზაციაში დასაქმებულები იყვნენ) სასარგებლოდ დაკისრებული ჰქონდა ფულადი თანხის გადახდის ვალდებულება. კრედიტორების მიერ საქმე აღსასრულებლად წარდგენილი იყო საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს შესაბამის ტერიტორიულ სამსახურში. განცხადებებზე თანდართული სააღსრულებო ბიუროს წერილებიდან ირკვეოდა, რომ სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება ვერ ხორციელდებოდა იმ საფუძველით, რომ მოვალის უძრავ და მოძრავ ქონებაზე რეგისტრირებული იყო საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა. ამ გარემოების გათვალისწინებით, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების თანახმად, სააღსრულებო ბიურო სახელმწიფო მოთხოვნის დაკმაყოფილებამდე მოკლებული იყო შესაძლებლობას, განმცხადებლების სასარგებლოდ გაეტარებინა სააღსრულებო ღონისძიებები.

მოცემულ შემთხვევაში განცხადებების შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ არაუზრუნველყოფილ კრედიტორებს არაგონივრულად ეზღუდებოდათ სასამართლო გადაწყვეტილებით მიკუთვნებული სარგებლის მიღების შესაძლებლობა, რაც თავისთავად ხელს უშლის მართლმსაჯულების განხორციელებას.

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 82³-ე მუხლით გათვალისწინებულია კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილების რიგითობა.

⁷³ კრედიტორი, რომლის მოთხოვნა უზრუნველყოფილი არ არის იპოთეკით, გირავნობით ან საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი ვალდებულების უზრუნველყოფის სხვა საშუალებით.

აღნიშნული მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, პირველ რიგში უნდა დაკმაყოფილდეს საგადასახადო გირავნობა/იპოთეკით უზრუნველყოფილი აღსასრულებლად წარდგენილი მოთხოვნები. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით არაუზრუნველყოფილი კრედიტორის მოთხოვნები, მათ შორის: ალიმენტის გადახდევინების შესახებ, შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე, დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვაგვარი დაზიანებითა და აგრეთვე მარჩენალის დაკარგვით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების შესახებ, მეორე რიგის მოთხოვნებია. შესაბამისად, არაუზრუნველყოფილი კრედიტორის დაკმაყოფილება მხოლოდ მას შემდეგაა შესაძლებელი, როდესაც სრულად იქნება უზრუნველყოფილი საგადასახადო ორგანოს მოთხოვნა.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 238-ე მუხლის პირველი პუნქტი განსაზღვრავს საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფად განსახორციელებელ ღონისძიებებს. მოცემული ნორმის თანახმად, უზრუნველყოფის ღონისძიებებია:

- საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა;
- მესამე პირზე გადახდევინების მიქცევა;
- ქონებაზე ყადაღის დადება;
- ყადაღადადებული ქონების რეალიზაცია;
- საბანკო ანგარიშზე საინკასო დავალების წარდგენა;
- გადასახადის გადამხდელის სალაროდან ნაღდი ფულის ამოღება.

აღნიშნული მუხლის, მეორე პუნქტის თანახმად, საგადასახადო ორგანო თვითონ ირჩევს საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების გატარების რიგითობას.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 239-ე მუხლით დადგენილია საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის შინაარსი, მისი გამოყენებისა და გაუქმების პირობები, ასევე, ხანდაზმულობის ვადა. აღნიშნული მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა არის სახელმწიფო უფლება, საგადასახადო დავალიანების გადახდევინება უზრუნველყოს გადასახადის გადამხდელის, სხვა ვალდებული პირის ქონებიდან“. ამავე მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის ხანდაზმულობის ვადა 6 წელია, რომლის მიმდინარეობაც შესაძლებელია შეჩერდეს სამ შემთხვევაში:

- გაკოტრების საქმის წარმოების პერიოდში;
- საწარმოს რესტრუქტურის რეკონსტრუქციის რეკონსტრუქციის პერიოდში;
- საგადასახადო დავის მიმდინარეობისას.

არსებული სამართლებრივი რეგულირების პირობებში 6-წლიანი ხანდაზმულობის პერიოდი შესაძლოა გაგრძელდეს იმ ვადით, რომელიც საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის შეჩერების საფუძვლის აღმოსაფხვრელად გახდება საჭირო.

უნდა აღინიშნოს, რომ ზემოხსენებული სამართლებრივი რეგულირების მთავარი პრობლემა საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის 6-წლიანი ხანდაზმულობის ვადაა, რომელიც გარკვეულ პირობებში შესაძლოა კიდევ გაგრძელდეს. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში შემოსული განცხადებების შესწავლის შედეგად დგინდება, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამო (საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა) არაუზრუნველყოფილი კრედიტორების სასარგებლოდ მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება წლების განმავლობაში ვერ ხერხდება. მოვალის ქონებაზე გირავნობა/იპოთეკის რეგისტრაციის შემდგომ საგადასახადო ორგანო, როგორც წესი, ამავე ქონებას არ ადებს ყადაღს და, შესაბამისად, არ ახდენს ყადაღადადებული ქონების რეალიზაციას. კანონმდებლობით დადგენილი კრედიტორების მოთხოვნების დაკმაყოფილების რიგითობიდან გამომდინარე კი არაუზრუნველყოფილი კრედიტორები ვერ სარგებლობენ იძულებითი აღსრულების პროცედურებით. საყურადღებოა ის გარემოება, რომ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში შესწავლილი საქმეების უმრავლესობაში მოვალე ორგანიზაციები სახელმწიფოს 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირები არიან.

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონი მოვალის ქონებაზე რეგისტრირებული საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის დროს არაუზრუნველყოფილი კრედიტორების სასარგებლოდ მიღებულ სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულების შესაძლებლობას არ ითვალისწინებს. შესაბამისად, აღმასრულებელს არ გააჩნია უფლებამოსილება, მსგავს შემთხვევებში არაუზრუნველყოფილი კრედიტორის კანონიერი ინტერესების რეალიზაციისათვის გაატაროს სააღსრულებო ღონისძიებები. შეიძლება ითქვას, რომ საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა არაუზრუნველყოფილი კრედიტორების მიერ წარდგენილი სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების დე-ფაქტო შეჩერების საფუძველია.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მსგავს შემთხვევებში, სახელმწიფო ინტერესიდან გამომდინარე, საგადასახადო ორგანოს მოთხოვნა კერძო ინტერესთან მიმართებაში უპირატესი უფლებით სარგებლობს. მხარეებს შორის უფლებამოსილების განაწილება, როდესაც ისინი შეიძლება არათანაბარ პირობებში იყვნენ ჩაყენებული, სახელმწიფოს კომპეტენციაა. თუმცა უფლებამოსილების მსგავსი განაწილების პირობებში აუცილებელია, სახელმწიფოს მიერ დადგენილი რეგულირება ყველასთვის სამართლიანი იყოს. სამართლიანი მოწესრიგების პირობებში კანონმდებლობა მხარეების ეფექტურ დაცვას უნდა უზრუნველყოფდეს და მათ კანონით დაცული უფლების რეალური სარგებლობის შესაძლებლობას ანიჭებდეს.

ამკარაა, რომ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 82³-ე მუხლი, სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებით, ზღუდავს არაუზრუნველყოფილი კრედიტორების სამართლიან სასამართლო უფლებას. საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი ნებისმიერი უფლების შეზღუდვის დროს მნიშვნელოვანი ფაქტორია თანაზომიერი შეზღუდვის პრინციპი და მისი გონივრული ვადა. აღნიშნული პრინციპი მოითხოვს, რომ დადგინდეს კავშირი კანონიერ მიზანსა და მის მისაღწევად არჩეულ საშუალებას შორის. აუცილებელია, უფლების შეზღუდვა გონივრულად შეესაბამებოდეს ძირითადი უფლების მნიშვნელობას. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით: „სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების დაყოვნება შეიძლება გამართლებული იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული დაყოვნება არ გამოიწვევს მე-6 მუხლით დაცული უფლების არსის დარღვევას“.⁷⁴

დღეს მოქმედი საკანონმდებლო რეგულირება სახელმწიფო ინტერესების დაცვასა და რეალიზაციას ემსახურება, არაუზრუნველყოფილი კრედიტორები კი სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების ეფექტური მექანიზმის გარეშე არიან დარჩენილი. არაუზრუნველყოფილ კრედიტორს შესაძლოა 6 წლის განმავლობაში არ მიეცეს მის მიმართ გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების შესაძლებლობა, ხოლო საგადასახადო გირავნობა-იპოთეკის 6-წლიანი ხანდაზმულობის ვადა არაგონივრული ხანგრძლივობის სამართლებრივი ბარიერია როგორც არაუზრუნველყოფილი კრედიტორისათვის, ისე მართლმსაჯულების აღსრულების ინტერესებისათვის. გასათვალისწინებელია ასევე ის ფაქტი, რომ 6 წლის განმავლობაში სასამართლო გადაწყვეტილებაზე სააღსრულებო ღონისძიებების განხორციელების შეზღუდვამ შესაძლოა სახელმწიფოს მხრიდან ძირითადი უფლების უგულვებლყოფამდე მიგვიყვანოს და სამართლიანი სასამართლოს უფლების არსი ხელყოს.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ „აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ“ საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ: „სასამართლოსთვის სარჩელის წარდგენის უფლება არ არის თეორიული უფლება და არ უზრუნველყოფს მხოლოდ უფლების აღიარებას საბოლოო გადაწყვეტილების მეშვეობით, არამედ ასევე შეიცავს ლეგიტიმურ მოლოდინს იმასთან დაკავშირებით, რომ გადაწყვეტილება აღსრულდება. მხარეთა ეფექტიანი დაცვა კანონიერების აღდგენა გულისხმობს ადმინისტრაციული უწყებების კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ვალდებულებას“. ყველას, ვისაც სასამართლო წესით მიენიჭა გარკვეული სარგებელი, აქვს იმის კანონიერი მოლოდინი, რომ იგი შეძლებს ამ უფლებით სარგებლობას.

ამდენად, არაუზრუნველყოფილი კრედიტორების სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზაციისათვის აუცილებელია, რომ კანონმდებელმა მათ უფრო ეფექტური დაცვის მექანიზმი შესთავაზოს. არსებული პრობლემის მოსაგვარებლად

⁷⁴ იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს #59498/00 გადაწყვეტილება საქმეზე Burdov v. Russia.

მიზანშეწონილად მიმაჩნია არაუზრუნველყოფილი კრედიტორების სასარგებლოდ საკანონმდებლო დონეზე გაიწეროს ღონისძიებები, რომლებითაც არაუზრუნველყოფილ კრედიტორს გარკვეულ პირობებში ექნება საშუალება, მოვალის ქონებაზე რეგისტრირებული საგადასახადო გირავნობა-იპოთეკის მიუხედავად, ისარგებლოს იძულებითი სააღსრულებო ღონისძიებების პროცედურებით. აღნიშნული რეგულირება დასახელებულ პირებს აარიდებს საგადასახადო გირავნობა-იპოთეკის ვადასთან დაკავშირებულ პრობლემებს და ხელს შეუწყობს მართლმსაჯულების განხორციელებას.

რეკომენდაციები:

რეკომენდაციით მივმართავთ საქართველოს პარლამენტს, რათა:

ა) „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონში გაიწეროს აღმასრულებლის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის შესაბამის ანგარიშზე ინკასოს დადების, როგორც იძულებით აღსრულების ღონისძიების პროცედურები და ვადები, როდესაც მოვალე საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ სასამართლო წესით დაკისრებული ფულადი ვალდებულება ნებაყოფლობით არ სრულდება;

ბ) „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგინდეს მექანიზმი, რომელიც მოვალე საბიუჯეტო ორგანიზაციისაგან სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებისათვის აუცილებელი ინფორმაციის იძულებითი წესით მოპოვებას უზრუნველყოფს;

გ) „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონში გათვალისწინებულ იქნას საგამონაკლისო შემთხვევები, როდესაც არაუზრუნველყოფილ კრედიტორს, მოვალის ქონებაზე რეგისტრირებული საგადასახადო გირავნობა-იპოთეკის მიუხედავად, ექნება შესაძლებლობა ისარგებლოს სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების პროცედურებით.

დ) კანონმდებლობაში განისაზღვროს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლით გათვალისწინებული ძებნის გამოყენების კონკრეტული შემთხვევები, (ანუ ის შემთხვევები, როცა გადაწყვეტილების აღსრულება მოვალის მონაწილეობის გარეშე შეუძლებელია), მოყვანის ფორმა, მისი ხანგრძლივობა და მის ფარგლებში განსაზღვრული მოქმედებები.

სახალხო დამცველი და კონსტიტუციური კონტროლი

შესავალი

საქართველოს სახალხო დამცველის საქმიანობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს კონსტიტუციური მართლმსაჯულების პროცესში მონაწილეობას. სახალხო დამცველს უფლება აქვს, ინიცირება გაუკეთოს აბსტრაქტულ კონსტიტუციურ კონტროლს.

საქართველოს სახალხო დამცველი საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართავს კონსტიტუციური სარჩელით რეფერენდუმისა და არჩევნების მომწესრიგებელი ნორმებისა და ამ ნორმების საფუძველზე ჩატარებული ან ჩასატარებელი არჩევნების (რეფერენდუმის) კონსტიტუციურობასთან დაკავშირებით ან როცა ნორმატიული აქტით ან მისი ცალკეული ნორმებით დარღვეულია საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავში აღიარებული ადამიანის უფლებანი და თავისუფლებანი.⁷⁵

აღსანიშნავია, რომ სახალხო დამცველი აქტიურად იყენებს თავის ბერკეტს, მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს იმ შემთხვევაში, როდესაც მიიჩნევს, რომ ნორმატიული აქტით ან მისი ცალკეული ნორმებით დარღვეულია საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავში აღიარებული ადამიანის უფლებანი და თავისუფლებანი.

როგორც წესი, სახალხო დამცველის მიერ საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მიმართვის საფუძველი ხდება საქმეთა შესწავლის დროს გამოვლენილი ნორმატიული აქტების კონსტიტუციასთან წინააღმდეგობის დადგენა. ამავდროულად, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად,⁷⁶ ნებისმიერ პირს შეუძლია მიმართოს განცხადებით სახალხო დამცველს, თუ განმცხადებელი სადავოდ ხდის ნორმატიული აქტების საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავთან შესაბამისობას. ამ შემთხვევაში სახალხო დამცველის აპარატი სწავლობს განცხადებას და მის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას სასამართლოსადმი სარჩელით მიმართვის მიზანშეწონილობის შესახებ.

აღსანიშნავია, რომ 2011 წლის 11 ნოემბერს საქართველოს პარლამენტის მიერ საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“⁷⁷ განხორციელებული ცვლილების შესაბამისად, სახალხო დამცველს მიენიჭა უფლებამოსილება, შეასრულოს სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) ფუნქცია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში.

⁷⁵ საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“, 21-ე მუხლის ი) ქვეპუნქტი. (2011 წლის 11 ნოემბრის რედაქცია).

⁷⁶ საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“, მე-14 მუხლის 1 პუნქტის დ) ქვეპუნქტი. (2011 წლის 11 ნოემბრის რედაქცია).

⁷⁷ კანონის 21-ე მუხლის ე) ქვეპუნქტი.

საანგარიშო პერიოდში საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება სახალხო დამცველის 3 კონსტიტუციურ სარჩელზე, რომელთაგან 2 დაკმაყოფილდა, ხოლო ერთის დაკმაყოფილებაზე უარი გვეთქვა. შესაბამისად, აღნიშნულ თავში წარმოგიდგენთ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების მოკლე მიმოხილვას.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქართველოს კანონის „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ ზოგიერთი ნორმის კონსტიტუციურობასთან დაკავშირებით

2011 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა საქართველოს სახალხო დამცველის კონსტიტუციური სარჩელი და „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა“ კოდექსის რიგი ნორმები არაკონსტიტუციურად ცნო.

საქმის განსაკუთრებული მნიშვნელობიდან გამომდინარე, ასევე, იმის გათვალისწინებით, რომ საქმის გადაწყვეტას შეიძლებოდა მოჰყოლოდა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ადრე დამკვიდრებული პრაქტიკის ცვლილებები, იგი საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა განიხილა.

როგორც აღინიშნა, დავის საგანი იყო: „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსისა“ და „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამომიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმების კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-19, 24-ე და 25-ე მუხლებთან მიმართებით. დასახელებული კონსტიტუციური ნორმებით გარანტირებულია სიტყვის, აზრის გამოხატვისა და გავრცელების თავისუფლება, შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციური სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილა, კერძოდ:

არაკონსტიტუციურად ცნო ის ნორმები, რომლებიც კრძალავდა შეკრებისა და მანიფესტაციის ჩატარებას ზოგიერთი დაწესებულებისა და ადმინისტრაციული ორგანოს, მათ შორის სასამართლოს შესასვლელიდან 20 მეტრის რადიუსში. სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელეთა მოსაზრება, რომ ასეთი სახის აკრძალვა კონსტიტუციას არ შეესაბამება, ვინაიდან რიგ შემთხვევებში ის შეკრებისა და მანიფესტაციის გამართვას პრაქტიკულად შეუძლებელს ხდის. ამავე დროს სასამართლომ აღნიშნა, რომ შეკრების უფლება შეიძლება შეიზღუდოს, როდესაც ის ხელს უშლის დაწესებულების გამართულ ფუნქციონირებას ან როდესაც შეზღუდვა უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომებით არის განპირობებული.

სასამართლომ ასევე არაკონსტიტუციურად მიიჩნია და ძალადაკარგულად გამოაცხადა კანონის ის ნორმები, რომლებიც კრძალავდა მხოლოდ ერთი პირის მიერ შეკრებისა და მანიფესტაციის ინიცირებას, ხოლო მოქალაქეობის არმქონე პირის მიერ – აქციის ორგანიზებას და მისთვის პასუხისმგებელი პირის სტატუსის მინიჭებას.

სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო ის ნორმა, რომელიც ქუჩის გადაკეტვისა ან კანონის სხვა მოთხოვნათა დარღვევისას შეკრების დაუყოვნებლივ შეწყვეტას ითვალისწინებდა. სასამართლომ აღნიშნა, რომ შეკრების მონაწილეებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა, შეკრება (მანიფესტაცია) კანონის მოთხოვნებს შეუსაბამონ. ხოლო შეკრების შეწყვეტა შეიძლება მხოლოდ ხელისუფლების წარმომადგენლის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობისას.

სასამართლომ კონსტიტუციის შესაბამისად ჩათვალა კანონის ნორმები, რომლებიც ტრანსპორტის სავალი ნაწილის თვითნებურ/თვითმიზნურ გადაკეტვას კრძალავენ. სასამართლომ ფეხით მოსიარულეთა მიერ ქუჩის გადაკეტვა შესაძლებლად მიიჩნია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს შეკრებაში მონაწილეთა რაოდენობით არის გამოწვეული. ასევე, კონსტიტუციურად იქნა მიჩნეული დასახლებულ პუნქტებში ავტომანქანებით ისეთი ჯგუფური მოძრაობის შეზღუდვა, რომელიც გამიზნულად, სრულად იკავებს გზის სავალ ნაწილს და იწვევს მის ბლოკირებას.

გადაწყვეტილების მიხედვით კონსტიტუციურია ნორმა, რომელიც კრძალავს სხვადასხვა სახის ნახატისა და წარწერის შესრულებას ადმინისტრაციული შენობების მიმდებარე ტერიტორიებზე. სასამართლომ მიიჩნია, რომ ადმინისტრაციული შენობების ფასადებისა და მიმდებარე ტერიტორიის სხვადასხვა სახის წარწერით დამახინჯება საფრთხეს შეუქმნიდა საზოგადოებრივ წესრიგსა და უსაფრთხოებას.

ასევე ძალაში რჩება ”საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამომიებო სამსახურის შესახებ” საქართველოს კანონით დადგენილი აკრძალვა, რომელიც დასახლებული სამსახურის თანამშრომლებს შეკრებასა და მანიფესტაციაში მონაწილეობის სრულ აკრძალვას შეეხება. კანონმდებლობით დაკისრებული კონკრეტული ამოცანების, კომპეტენციის, უფლებამოსილების სპეციფიკურობის გამო სასამართლომ აკრძალვა კონსტიტუციასთან შესაბამისად მიიჩნია.

აღნიშნულ საქმეზე სახალხო დამცველთან ერთად თანამოსარჩელები იყვნენ პირები, რომლებიც მიიჩნევდნენ, რომ სადავო ნორმებით ირღვეოდა მათი კონსტიტუციური უფლებები და თავისუფლებები.⁷⁸

⁷⁸ დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება. გადაწყვეტილების სრული ტექსტის ნახვა შესაძლებელია: http://constcourt.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=22&id=640&action=show

სისხლის სამართლის კოდექსის 42-ე მუხლის მე-5¹ ნაწილი და სასჯელის ინდივიდუალიზაცია

2011 წლის 11 ივლისს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომლითაც უარი გვეთქვა ჩვენი სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

კონსტიტუციური სარჩელით სადავო იყო სისხლის სამართლის კოდექსის 42-ე მუხლის მე-5¹ ნაწილის კონსტიტუციურობა „სასჯელის ინდივიდუალიზაციის“ პრინციპთან.

სისხლის სამართალში პირი დამნაშავედ შეიძლება იქნეს ცნობილი მხოლოდ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით. ამასთან, სასამართლო გადაწყვეტილების მიღებისას აუცილებლად აფასებს, თუ რა მართლსაწინააღმდეგო ქმედება ჩაიდინა პირმა, მოქმედებდა თუ არა იგი ბრალეულად და, შესაბამისად, გამოაქვს განაჩენიც. სასჯელის დანიშვნა უნდა მოხდეს მხოლოდ იმ პირის მიმართ, რომელმაც ჩაიდინა მართლსაწინააღმდეგო ქმედება. სადავო ნორმის თანახმად კი, სასჯელის დაკისრება ხდება არა იმ პირის მიმართ, რომელიც დამნაშავედ იქნა ცნობილი, არამედ მისი კანონიერი წარმომადგენლის მიმართ. სწორედ აღნიშნული დებულება მიგვაჩნდა სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის საწინააღმდეგოდ.

„სასჯელის ინდივიდუალიზაციის“ პრინციპი, მართალია, საქართველოს კონსტიტუციაში პირდაპირ არ არის დეკლარირებული, მაგრამ საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლის თანახმად, გამომდინარეობს კონსტიტუციის პრინციპებიდან. 1997 წლის 21 ივლისის #1/51 გადაწყვეტილებაში საკონსტიტუციო სასამართლომ „სასჯელის ინდივიდუალიზაცია“ ერთ-ერთ ძირითად პრინციპად მიიჩნია. ვინაიდან საქართველოს კონსტიტუცია აყალიბებს ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების მაღალ სტანდარტს, შესაბამისად, სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპიც გამომდინარეობს საქართველოს კონსტიტუციის პრინციპებიდან.

სადავო ნორმით ჯარიმა, რომელიც სისხლის სამართლის მიზნებისათვის სასჯელი – სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის სახეა, ეკისრება გადახდისუუნარო არასრულწლოვნის მშობელს (მეურვეს, მზრუნველს), ანუ სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა ეკისრება გადახდისუუნარო არასრულწლოვნის მშობელს (მეურვეს, მზრუნველს), მაშინ, როდესაც სახეზე არ გვაქვს მათი ბრალეული ქმედება. შესაბამისად, მივიჩნით, რომ აღნიშნულით სადავო ნორმა არღვევდა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტის პირველ წინადადებაში განმტკიცებულ მოთხოვნას. მშობელს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა (ჯარიმა) ეკისრება დანაშაულის ჩადენისა და გამამტყუნებელი განაჩენის გარეშე მხოლოდ იმიტომ, რომ მის არასრულწლოვან შვილს დამოუკიდებელი შემოსავალი არ გააჩნია. აღნიშნული კი, ჩვენი აზრით, გულისხმობს სხვის მიერ ჩადენილი დანაშაულისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებას, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის პირველ პუნქტს. საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლიდან და 42-ე მუხლის მე-5 პუნქტის პირველი წინადადებაიდან გამომდინარეობს პრინციპი, რომლის

მიხედვითაც არ შეიძლება შეეფარდოს ვინმეს სასჯელი, თუ მისი ბრალი არ არის განსაზღვრული კონკრეტულ ქმედებაში. ხოლო სადავო ნორმით კი მშობელს (მეურვეს, მზრუნველს), რომელსაც სასჯელი ეკისრება, არც მართლსაწინააღმდეგო ქმედება აქვს ჩადენილი და არც მსჯავრდებულად არის გამოცხადებული.

საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მშობლისათვის (მეურვისათვის, მზრუნველისათვის) ჯარიმის გადახდის დაკისრება არ შეიძლება გაიგივდეს მისთვის სასჯელის დაკისრებასთან, თუმცა, ამავდროულად, დაადასტურა ამ ტიპის ღონისძიების ნეგატიური გავლენა ამ უკანასკნელზე. სასამართლო გადაწყვეტილება მნიშვნელოვანია იმითაც, რომ დადგინდა სადავო ნორმის კავშირი კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტთან და კონსტიტუციის მე-40 მუხლის პირველ პუნქტთან და კიდევ ერთხელ დაადასტურდა, რომ სასჯელის ინდივიდუალიზაცია (პირადი, პერსონალური პასუხისმგებლობის პრინციპი) კონსტიტუციით დაცული პრინციპია.

მიუხედავად სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა, მიგვაჩნია, რომ სადავოდ გამხდარი ნორმის კონსტიტუციურობა კვლავ ეჭვქვეშ დგას. მართალია, სასამართლო ვერ გაცდებოდა დავის საგანს, მაგრამ ნორმის შინაარსი გარკვეულად ეწინააღმდეგება ასევე კონსტიტუციის 21-ე მუხლსა (საკუთრების უფლება) და 42-ე მუხლის (სასამართლოსთვის მიმართვის უფლება) პირველ პუნქტს. მშობელს (მეურვეს, მზრუნველს) არ აქვს უფლება სასამართლოში გაასაჩივროს მის წინააღმდეგ გამოყენებული ნეგატიური გავლენის მქონე ღონისძიება, რომელიც ზღუდავს მის საკუთრების უფლებას.⁷⁹

სამხედრო სარეზერვო სამსახურისადმი კეთილსინდისიერი წინააღმდეგობა

2011 წლის 21 დეკემბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა სახალხო დამცველის კონსტიტუციური სარჩელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, რომელიც შეეხებოდა "სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან და მე-19 მუხლის პირველ და მე-3 პუნქტებთან მიმართებით.

აღნიშნული გადაწყვეტილებით საკონსტიტუციო სასამართლომ აღიარა პირის კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის უფლება სამხედრო სარეზერვო სამსახურის მიმართ.

სარჩელი შეეხებებოდა „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის იმ ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობას, რომლებიც სამხედრო სარეზერვო

⁷⁹ დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 11 ივლისის #3/2/416 გადაწყვეტილება. გადაწყვეტილების სრული ტექსტის ნახვა შესაძლებელია: https://matsne.gov.ge/index.php?option=com_idmssearch&view=docView&id=1404703 ან http://constcourt.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=22&id=644&action=show.

სამსახურის მოხდის მოვალეობას ადგენდა ყველა იმ პირთათვისაც, რომლებიც რწმენის თავისუფლების მოტივით უარს აცხადებდნენ სამხედრო სარეზერვო სამსახურზე.

კანონის საფუძველზე სამხედრო სარეზერვო სამსახურის მთავარი დანიშნულება იყო სამხედრო ძალების მხარდაჭერა და საომარი და საგანგებო მდგომარეობის დროს მობილიზაციის უზრუნველყოფა. სარეზერვო მომზადება და მით უფრო საგანგებო თუ საომარი მდგომარეობის დროს განსაზღვრულ ოპერაციებში მონაწილეობა პირდაპირაა დაკავშირებული საბრძოლო მოქმედებების შესწავლასა და განხორციელებასთან.

საგანგებო და სხვა განსაკუთრებული სიტუაციების შედეგების ლიკვიდაციაში მონაწილეობა შეიძლება იყოს ერთადერთი შემთხვევა, როდესაც პირს არ მოუწევს უშუალოდ იარაღის ხელში აღება და ბრძოლაში მონაწილეობის მიღება. სარეზერვო სამსახური მოიცავს საბრძოლო მომზადების ეტაპს. აქედან გამომდინარე, პირებს, რომელთაც ევალებათ სამხედრო სარეზერვო სამსახურის გავლა, შესაძლოა, მათი რელიგიური თუ არარელიგიური მრწამსიდან გამომდინარე, წარმოეშვათ კეთილსინდისიერი წინააღმდეგობა ასეთი სამსახურის მიმართ.

„სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, პირებს, მათ შორის სტუდენტებს, არ ჰქონდათ კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის საფუძველზე სამხედრო სარეზერვო სამსახურის გავლისგან გათავისუფლების უფლება, თუ არ არსებობს ამავე კანონის მე-8 მუხლით დადგენილი რომელიმე საფუძველი.

დასახელებული მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, სამხედრო სარეზერვო სამსახურისგან თავისუფლებიან პირები, რომლებმაც „მოიხადეს არასამხედრო, ალტერნატიული, შრომითი სამსახური.“ ნორმის ფორმულირებიდან გამომდინარე, იგი შეეხება მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც სამხედრო სარეზერვო სამსახურში გამომავებამდე გაწვეულნი იყვნენ სამხედრო სამსახურში და კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის გამო სამხედრო სამსახურის ნაცვლად, მოითხოვეს და უკვე გაიარეს არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახური. ამ ნორმის გათვალისწინებით, რეზერვში გაწვევისას კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის მქონე პირებს არ აქვთ შესაძლებლობა, მოითხოვონ არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის გავლა.

ამასთან, „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით სამხედრო სარეზერვო სამსახური არის სამხედრო ვალდებულებისა და არა – სამხედრო სამსახურის შემადგენელი ნაწილი. „არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 და მე-4 მუხლებით არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახური განხილულია მხოლოდ სამხედრო სამსახურის ალტერნატივად. შესაბამისად, სამხედრო სარეზერვო სამსახურში გაწვეულ კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის მქონე პირს აღნიშნული კანონმდებლობა არ აძლევს შესაძლებლობას, სამხედრო სარეზერვო სამსახურის ნაცვლად მოითხოვოს არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის გავლა.

საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლით გარანტირებულია როგორც რელიგიისა და რწმენის ქონის (როგორც აბსოლუტური უფლების), ასევე მათი გამოხატვის თავისუფლება. საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით დაცულია როგორც შინაგანი რწმენა, ისე რწმენის გარეგანი თავისუფლება. რწმენისა და სინდისის თავისუფლებაში, სხვა საკითხებთან ერთად, იგულისხმება პირის უფლება, თავისუფლად აირჩიოს და ჰქონდეს ეს თუ ის რელიგიური ან არარელიგიური მრწამსი. აქედან გამომდინარეობს პირის უფლება, შეასრულოს რაიმე მოქმედება საკუთარი მრწამსის შესაბამისად ან საერთოდ არ ჩაერთოს თავისი შეხედულებების საწინააღმდეგო მოქმედებებში.

შესაბამისად, სავალდებულო სამხედრო სამსახურზე უარის თქმისა და მისი არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურით შეცვლის უფლება, რწმენისა და სინდისის თავისუფლების ფუნდამენტური ასპექტია, რომელიც დაცულია საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლითა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო აქტებით, მათ შორის, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციითა და სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ საერთაშორისო პაქტით.

ამავდროულად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2011 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილებაში საქმეზე “ბაიათიანი სომხეთის წინააღმდეგ,” სასამართლომ გამოხატა მყარი პოზიცია, რომ კეთილსინდისიერი წინააღმდეგობა დამოუკიდებლად და დაცული რელიგიის თავისუფლების ფარგლებში და შესაბამის შემხვედრ ვალდებულებებს წარმოშობს.

მივიჩნევდით, რომ „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის სადავო ნორმა ზოგადი და ნეიტრალურია და მისი მიზანი არ არის რელიგიური უმცირესობების შევიწროება, მაგრამ რწმენის თავისუფლებაზე გავლენას ახდენდა, როდესაც პირებისგან ისეთი ქმედების შესრულებას მოითხოვდა, რომელიც ეწინააღმდეგებოდა მათ რელიგიასა და რწმენას. რწმენის თავისუფლების მიზნებისთვის როგორც სამხედრო სამსახური, ისე სარეზერვო სამხედრო სამსახური თანაბრად უნდა ყოფილიყო განხილული და შეფასებული, ვინაიდან ორივე შემთხვევაში იდენტურია საფუძვლები, რომლებიც კეთილსინდისიერ წინააღმდეგობას წარმოშობს.

კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის უფლება, როგორც რწმენის თავისუფლების ერთ-ერთი გამოვლინება, შეიძლება შეიზღუდოს იმ შემთხვევაში, როდესაც მისი გარეგნული გამოხატვა გარკვეული საფრთხის შემცველია საზოგადოებრივი უსაფრთხოების, უშიშროებისა თუ სხვათა უფლებებისთვის. თუმცა კონსტიტუციის მე-19 მუხლის მესამე პუნქტი ამ უფლების შეზღუდვას დასაშვებად მიიჩნევს მხოლოდ მისი გამოვლენის შემთხვევაში და მხოლოდ სხვათა უფლებების დაცვის მოტივით.

სადავო ნორმით ირღვეოდა ასევე საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი. რადგან, კანონმდებლობა თანაბარ ტვირთს აკისრებდა ერთი მხრივ, პირებს, რომლებიც არსებითად უთანასწორობი არიან, კერძოდ, რეზერვისტებს, რომელთაც აქვთ კეთილსინდისიერი წინააღმდეგობა და, მეორე მხრივ, რეზერვისტებს, რომელთაც არ აქვთ ასეთი წინააღმდეგობა. სხვა შემთხვევაში პირებს, რომლებსაც აქვთ

კეთილსინდისიერი წინააღმდეგობა, ეძლეოდათ საშუალება, პირველადი გაწვევისას გაეკლოთ ალტერნატიული სამსახური და ამით ჩაენაცვლებინათ სამხედრო სამსახური, რეზერვში გაწვევის ეტაპზე კი იმავე რწმენის მქონე პირებს კანონი არ აძლევდა მისი გამოყენების საშუალებას.

აღსანიშნავია, რომ 2011 წელს სხვადასხვა ინსტანციის სასამართლო განიხილავდა 5 სარჩელს, რომლებიც რელიგიური აღმსარებლობის მოტივით იეჭოვას მოწმეების მიერ სამხედრო სარეზერვო სამსახურისადმი კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის გაწევასთან იყო დაკავშირებული. იეჭოვას მოწმეები ორ შემთხვევაში სარეზერვო სამსახურისადმი თავის არიდების მოტივაციით დააჯარიმეს ადმინისტრაციული წესით, სამ შემთხვევაში კი სააპელაციო სასამართლოებში დავის განხილვა გრძელდებოდა.

როგორც აღინიშნა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა საქართველოს სახალხო დამცველის კონსტიტუციური სარჩელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ და არაკონსტიტუციურად ცნო საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან და მე-19 მუხლის პირველ და მე-3 პუნქტებთან მიმართებით „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც სამხედრო სარეზერვო სამსახურის მოხდის მოვალეობას ადგენს იმ პირთა მიმართ, რომლებიც რწმენის თავისუფლების მოტივით უარს აცხადებენ სამხედრო სარეზერვო სამსახურზე.⁸⁰

⁸⁰ დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბრის #1/1/477 გადაწყვეტილება. გადაწყვეტილების სრული ტექსტის ნახვა შესაძლებელია: https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=1560250 ან http://constcourt.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=22&id=677&action=show.

სამართალდამცავი ორგანოები და ადამიანის უფლებები

საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიშში სისტემატურადაა განხილული სამართალდამცავი ორგანოების მოსამსახურეთა მიერ მოქალაქეთა უფლებადარღვევის ფაქტები. 2011 წლის საანგარიშო პერიოდში სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა მიერ მოქალაქეთა უფლებადარღვევის არაერთი ფაქტი დაფიქსირდა, რომლებიც უკავშირდებოდა ღირსების შემლახავ მოპყრობასა და ძალის არაპროპორციულ გამოყენებას.

ჩვენ მიერ შესწავლილი უფლებადარღვევათა ფაქტების დიდი ნაწილი დაკავშირებული იყო სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა მიერ საპროტესტო აქციის დაშლის პროცესში მონაწილეთა მიმართ ძალის გადამეტებასთან. აღნიშნული შეეხება 2011 წლის 26 მაისის აქციის დაშლას.

ასევე დაფიქსირდა და ამ ანგარიშში აისახა პოლიციის თანამშრომლების მიერ ბრალდებულთა დაკავებისას არაპროპორციული ძალის გამოყენებისა და უფლებამოსილების შესაძლო გადამეტების ფაქტები. სამწუხაროდ, ასეთი ფაქტები ხდებოდა დაკავებული პირების პოლიციის განყოფილებაში მიყვანის შემდეგაც.

საანგარიშო პერიოდს დაემთხვა ტელეკომპანია „მესტროში“ განვითარებული მოვლენებიც. მიუხედავად იმისა, რომ დაპირისპირებული მხარეები კერძო სუბიექტები იყვნენ, ჩვენთვის აღნიშნული საქმის შესწავლა სამართალდამცავი ორგანოს მოხელეთა ქცევის შეფასებითა და მასზე სათანადო რეაგირების კუთხით შემოიფარგლა.

ჯიმშერ ელიზბარაშვილისა და ჯიმშერ ჩაჩიბაიას საქმე

საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველს მიმართეს მსჯავრდებულებმა ჯიმშერ ელიზბარაშვილმა და ჯიმშერ ჩაჩიბაიამ შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა მიერ დაკავებულთა მიმართ არასათანადო მოპყრობისა და კანონდარღვევის შესახებ.

2010 წლის 10 ოქტომბერს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ჯ.ელიზბარაშვილი დააკავეს მისი კუთვნილი საცხოვრებელი სახლის შესასვლელ კართან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. ამავე ოქმის თანახმად, დაკავებულ ჯ. ელიზბარაშვილს თავის მარცხენა მხარეს შუბლის მიდამოში აღენიშნებოდა დაზიანება.

მსჯავრდებულ ჯ. ელიზბარაშვილის განმარტებით, გამოძიების მიმდინარეობისას მის მიმართ, ასევე, მისი მამის, მსჯავრდებულ ჯიმშერ ჩაჩიბაიას, მიმართ განხორციელდა ფიზიკური ზეწოლა. კერძოდ, დაკავების ადგილზე გამომძიებელმა ბადრი დარბაიძემ მას შუბლის არეში პისტოლეტის დარტყმით მიაყენა დაზიანება, რაც დაფიქსირებულია დაკავების ოქმში. მისი და მისი მამის მიმართ ფიზიკური ძალადობა გაგრძელდა შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობაში გადაყვანის შემდეგაც, სადაც მას და ჯიმშერ ჩაჩიბაიას

ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებდნენ პოლიციის თანამშრომლები, რომელთა შორის გამოირჩეოდა ტარიელ ალავიძე. ჯ. ელიზბარაშვილი ასევე აღნიშნავს, რომ მის მიმართ პოლიციის თანამშრომლების მიერ განხორციელებული ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტზე მან ახსნა–განმარტება მისცა ქ.თბილისის პროკურატურის პროკურორს (ვინაობა არ დაუსახელებია), თუმცა პროკურორი მას გაესაუბრა და ურჩია უარეყო პოლიციის თანამშრომელთა მიერ ჩადენილი კანონდარღვევები, ვინაიდან აღნიშნულს შესაძლებელია უარყოფითად ემოქმედა საპროცესო შეთანხმების დადებაზე. ამის გამო ჯ. ელიზბარაშვილის განმარტებით, მან უარყო პოლიციის თანამშრომელთა მიერ ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების ფაქტი.

პოლიციის თანამშრომლების, მათ შორის ტარიელ ალავიძის, მიერ ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების შესახებ განაცხადა ასევე მსჯავრდებულ ჯ. ელიზბარაშვილის მამამ ჯ. ჩაჩიბაიამ. მისი განმარტებით, 2010 წლის 10 ოქტომბერს პოლიციის თანამშრომლებმა ჩხრეკის დროს დაადეს ხელბორკილები და მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა, ემუქრებოდნენ ფანჯრიდან გადაგდებით. შემდეგ დააგდეს ძირს და სცემდნენ, ასევე ემუქრებოდნენ, რომ მასზე და მის შვილზე განახორციელებდნენ სექსუალურ ძალადობას, თუ არ აღიარებდა დანაშაულის ჩადენის ფაქტს.

მსჯავრდებულების სხეულზე დაზიანების არსებობა ასევე დაფიქსირებულია დროებითი მოთავსების იზოლატორის დაკავებულის გარეგნული დათვალიერების ოქმებშიც. აღნიშნული დოკუმენტაციის თანახმად, დაკავებულ ჯ. ელიზბარაშვილს აღენიშნება შემდეგი დაზიანებები: შუბლის ზედა ნაწილში ნაკაწრი მცირე სისხლმდენი ჭრილობა, მარჯვენა ყვრიმალის არეში მცირე ზომის სისხლნაჟღენთი, წარბი და მარჯვენა ყბა შეშუპებული, კისერზე და ორივე ლავიწის არეში მრავლობითი ექსკორაციები. ამავე ოქმის თანახმად, დაკავებული ჯ. ელიზბარაშვილი განმარტავს, რომ დაზიანებები მიიღო დაკავების შემდეგ პოლიციის თანამშრომლების მიერ ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების შედეგად. დაზიანებები აღენიშნებოდა დაკავებულ ჯ. ჩაჩიბაიასაც. კერძოდ, კისერზე და ორივე ლავიწის არეში მცირე ზომის ექსკორაციები. მარცხენა ქვედა კიდურზე, მუხლისა და წვივის არეში მცირე ზომის სისხლნაჟღენთები, მოლურჯო შეფერილობისა.

სახალხო დამცველმა პოლიციის თანამშრომლების მიერ ჯ. ელიზბარაშვილისა და ჯ. ჩაჩიბაიას მიმართ ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლის ფაქტებზე გამოძიების დაწყების მოთხოვნით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურატურას. აღნიშნულ ფაქტზე დღეის მდგომარეობით მიმდინარეობს გამოძიება.

2011 წლის 26 მაისის საპროტესო აქციის მონაწილეთა მიმართ ძალის გადამეტების ფაქტები

2011 წლის 26 მაისს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დანაყოფებმა დაშალეს თბილისში, რუსთაველის გამზირზე, პარლამენტის შენობის წინ მიმდინარე აქცია. აქციის დაშლისას დაირღვა საერთაშორისო სტანდარტები და საქართველოს

კანონმდებლობის მოთხოვნები, რამაც მთელ რიგ პირთა უფლებების დარღვევა გამოიწვია.

აქციის მიმდინარეობის ვადა ამოიწურა 2011 წლის 26 მაისის 24:00 საათზე, რის შესახებაც თბილისის მერიამ გააფრთხილა აქციის მონაწილენი და შესთავაზა საპროტესტო შეკრება გაეგრძელებინათ სხვა ადგილას, რადგანაც რამდენიმე საათში რუსთაველის გამზირსა და თავისუფლების მოედანზე უნდა ჩატარებულიყო დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი სამხედრო აღლუმი. მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა აქციის შეწყვეტის სამართლებრივი საფუძველი, მედიაში გავრცელებული კადრები და სახალხო დამცველის წარმომადგენლებისადმი მიცემული ახსნა-განმარტებები ცხადყოფს, რომ პოლიციის მიერ გამოყენებული ძალა რიგ შემთხვევებში არაპროპორციული იყო. გადამეტებული ძალის გამოყენება განსაკუთრებით აშკარა იყო იმ შემთხვევებში, როდესაც სამართალდამცავები ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებდნენ და აკავებდნენ აქციის იმ მონაწილეებს, რომლებიც მათ არანაირ წინააღმდეგობას არ უწევდნენ ან უკვე სამართალდამცავთა კონტროლის ქვეშ იყვნენ.

სახალხო დამცველის რწმუნებულებმა დროებითი მოთავსების იზოლატორებში მოინახულეს და გაესაუბრნენ 26 მაისს აქციის დაშლისას ადმინისტრაციული წესით დაკავებულ პირებს. დაკავებულთა ნაწილის ახსნა-განმარტებების თანახმად, სამართალდამცავებმა მათ ფიზიკური დაზიანებები დაკავებისას და დაკავების შემდეგ მიაყენეს. ნაწილის განმარტებით, მათ დაზიანებები მიიღეს ქ. თბილისის შს მთავარ სამმართველოში მიყვანამდე, ხოლო ნაწილი აღნიშნავდა, რომ პოლიციის თანამშრომლების მხრიდან ფიზიკური შეურაცხყოფა გაგრძელდა სამმართველოში მიყვანის შემდეგაც.

სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა ქ. თბილისის #2 დროებითი მოთავსების იზოლატორში მოინახულეს ზაქარია ზურაშვილი. მისი განმარტებით, იგი 2011 წლის 26 მაისს ქ. თბილისში, რუსთაველის გამზირზე, მიმდინარე აქციაზე იმყოფებოდა. დაახლოებით 00:20 საათზე, ვინაიდან სამართალდამცავები ფიზიკურად უსწორდებოდნენ აქციის მონაწილეებს, ტოიოტას მარკის შავი ფერის ავტომანქანით აქციის სხვა მონაწილეებთან ერთად დატოვა რუსთაველის გამზირი და იმალეობდა საბჭოს მოედანზე არსებულ ერთ-ერთ ეზოში, სადაც სამართალდამცავებმა დააკავეს დაახლოებით 02:00 საათზე. ზ. ზურაშვილი აღნიშნავს, რომ მას დაკავებისას პოლიციის თანამშრომლებისთვის წინააღმდეგობა არ გაუწევია. მიუხედავად ამისა, სამართალდამცავები მას სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებდნენ. მოგვიანებით იგი ქ. თბილისის შს მთავარ სამმართველოში გადაიყვანეს. მისი ფიზიკური შეურაცხყოფა არ შეწყვეტილა არც მანქანაში და არც სამმართველოს შენობაში. მიღებული დაზიანებების გამო იგი აკადემიკოს გულიკო ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრში გადაიყვანეს, სადაც 2011 წლის 26 მაისის დილის 12:00 საათამდე იმყოფებოდა. დაკავებულის გარეგნული დათვალიერების ოქმის თანახმად, ზ. ზურაშვილს აღენიშნებოდა მრავლობითი სისხლნაჟღენთები მარცხენა

მხარზე, ასევე მარჯვება ბარდაყზე. ამავე ოქმის თანახმად, დაკავებულმა დაზიანებები მიიღო დაკავებამდე და პრეტენზია არ ჰქონდა.

2011 წლის 02 ივნისს საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ ოზურგეთის დროებითი მოთავსების იზოლატორში, სადაც შეხვდნენ და ახსნა-განმარტებები ჩამოართვეს 2011 წლის 26 მაისს ქ.თბილისში, რუსთაველის გამზირზე, აქციის დაშლის დროს დაკავებულ პირებს, ვლადიმერ ბულბულაშვილს და აიდმარ ლაგვილავას. ვ. ბულბულაშვილის განმარტებით, აქციის დაშლისას მასთან კინო „რუსთაველის“ მეორე სართულზე სპეცდანიშნულების რაზმის ერთ-ერთი თანამშრომელი მივიდა და მიუხედავად იმისა, რომ არანაირი წინააღმდეგობა მისთვის არ გაუწევია, თვალის მიდამოში დაარტყა. ამას სპეციალური დანიშნულების რაზმის დაახლოებით 5-6 წარმომადგენლისგან რეზინის ხელკეტის დარტყმა მოჰყვა. აღნიშნულის შემდეგ ვ.ბულბულაშვილს დაადეს ხელბორკილები და ავტობუსისკენ წაიყვანეს, ამ დროსაც გრძელდებოდა მისი ფიზიკური შეურაცხყოფა. დაკავების შემდეგ ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების შესახებ აღნიშნავს აიდმარ ლაგვილავაც. ოზურგეთის შს დროებითი მოთავსების იზოლატორის დაკავებულის გარეგნული დათვალიერების ოქმებში აღნიშნულია, რომ ვ. ბულბულაშვილს და ა. ლაგვილავას აღენიშნებათ ფიზიკური დაზიანებები, თუმცა ორივე შემთხვევაში მითითებულია, რომ მათ დაზიანებები დაკავებამდე მიიღეს.

ჩოხატაურის დროებითი დაკავების იზოლატორში სახალხო დამცველის წარმომადგენლების მიერ მონახულებული 2011 წლის 26 მაისს აქციის დაშლისას დაკავებული პირების – ამირან ჩუბინიძის, ლევა ონიანის, გიორგი მატიაშვილის, გიორგი გურგენაძის, გიგა გავაშელიშვილის, ირაკლი კვარაცხელიას, ავთანდილ რიჟამაძის და დიმიტრი ტიტვინიძის ახსნა-განმარტებების თანახმად, სამართალდამცავები მათ ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებდნენ როგორც აქციის დაშლისას, ისე დაკავების შემდგომ. კერძოდ, მათი განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ ბორკილები ედოთ და არანაირ წინააღმდეგობას არ უწევდნენ სამართალდამცავებს, ისინი მათ ფიზიკურ შეურაცხყოფას აგრძელებდნენ. დ.ტიტვინიძის განმარტებით კი, მისი ფიზიკური შეურაცხყოფა დაკავების შემდეგ ქ. თბილისის მთავარ სამმართველოში გადაყვანის შემდეგაც გაგრძელდა. ჩოხატაურის დროებითი მოთავსების იზოლატორის დაკავებულის გარეგნული დათვალიერების ოქმების თანახმად, ყველა ზემოაღნიშნულ პირს აღენიშნება სხეულის სხვადასხვა კატეგორიის დაზიანებები, თუმცა ოქმების თანახმად, მათ დაზიანებები მიიღეს დაკავებამდე.

ლანჩხუთის დროებითი მოთავსების იზოლატორში მოთავსებული 2011 წლის 26 მაისს დაკავებული მზეჭაბუკ ჩაჩხიანის, ზურაბ მაყაშვილის, ვეფხია დევნოზაშვილის, გიორგი დუნდუას, გოჩა ლაშხის და ვარდენ კუტალაძის ახსნა-განმარტებების თანახმად, მათ სხეულის დაზიანებები როგორც აქციის დაშლისას, ისე დაკავების შემდეგ მიიღეს. კერძოდ, სამართალდამცავები მათ ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდნენ როგორც უშუალოდ დაკავებისას, ისე დაკავების შემდეგ და სასამართლოში გადაყვანის დროს. დაკავებულის გარეგნული დათვალიერების ოქმების თანახმად, მათ აღენიშნებოდათ სხეულის სხვადასხვა კატეგორიის დაზიანებები, თუმცა ამავე ოქმების

თანახმად, მათ დაზიანებები მიყენებული აქვთ დაკავებამდე (საკუთარ სახლში) და სამართალდამცავების მიმართ პრეტენზია არ ჰქონდათ.

2011 წლის 26 მაისს სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა მიერ უფლებამოსილების გადამეტების ფაქტებზე გამოძიების დაწყების მოთხოვნით სახალხო დამცველმა საქართველოს მთავარ პროკურორს მიმართა. თუმცა, როგორც საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციიდან ირკვევა, მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, პროკურატურამ მიიჩნია, რომ სამართალდამცველთა ქმედებები არ შეიცავდა დანაშაულის ნიშნებს და იკვეთებოდა მხოლოდ დისციპლინური გადაცდომის ნიშნები. გამოძიებამ აღნიშნულ ფაქტებზე მასალები შემდგომი რეაგირებისათვის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციას გადაუგზავნა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით დასტურდება, რომ 2011 წლის 26 მაისს, რუსთაველის გამზირზე აქციის დაშლაში მონაწილე 16 პოლიციელი დისციპლინური წესით დაისაჯა. მათ მიმართ გამოყენებულ იქნა სხვადასხვა სახის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა, მათ შორის 4 შემთხვევაში დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლება. შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ განხორციელებული რეაგირება წინ გადადგმული ნაბიჯია, თუმცა ჩვენ მიერ შესწავლილი უფლებადარღვევის საქმეებიდან რიგ შემთხვევაში დანაშაულის ნიშნები გამოიკვეთა, შესაბამისად, მსგავს ფაქტებს ადეკვატური რეაგირება უნდა მოჰყვეს და უფლებადარღვევ პირთა პასუხისმგებლობის საკითხი დადგეს.

საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის თანახმად, „ადამიანის პატივი და ღირსება ხელშეუვალია. დაუშვებელია ადამიანის წამება, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახველი მოპყრობა და სასჯელის გამოყენება. დაუშვებელია დაკავებულის თუ სხვაგვარად თავისუფლებაზეზღუდული პირის ფიზიკური ან ფსიქიკური იძულება“.

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას პოლიციის მიერ ადამიანის პატივისა და ღირსების დაცვა გარანტირებულია ასევე „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონით.

დაკავებულთა მოპყრობის წესები, შიდასახელმწიფოებრივ ნორმებთან ერთად, არაერთი საერთაშორისო კონვენციით რეგულირდება, რომლებსაც საქართველო სავალდებულოდ აღიარებს. აღნიშნული ნორმები შიდასახელმწიფოებრივი სამართლის ნაწილია და შესაბამისად, წარმოადგენს იმის გარანტიას, რომ ადამიანი ნებისმიერ გარემოში და პირობებში, მათ შორის თავისუფლების აღკვეთის დროს, დაცული იქნება წამების, ასევე, არაადამიანური, სასტიკი ან სხვა ღირსების შემლახველი მოპყრობისაგან.

პოლიციის მიერ იძულების გამოყენების პირობები გაწერილია „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლში, რომლის მიხედვითაც პოლიციელს უფლება აქვს, გამოიყენოს ფიზიკური იძულება დამნაშავეს დასაკავებლად, თუ არაძალადობრივი მეთოდების გამოყენებით ვერ უზრუნველყოფს კანონით დაკისრებული მოვალეობების შესრულებას. ამავე კანონის მე-10 მუხლის თანახმად, პოლიციელს უფლება აქვს

გამოიყენოს ფიზიკური იძულება პროპორციულობისა და აუცილებლობის პრინციპის გათვალისწინებით. შესაბამისად, მაშინაც კი, როდესაც პოლიციის მიერ ფიზიკური იძულება გამოწვეულია აუცილებლობით, გამოყენებული ძალა უნდა იყოს პროპორციული და ადეკვატური. თუმცა ჩვენ მიერ განხილული განცხადებებიდან ხშირად საწინააღმდეგო იკვეთება.

სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილი საქმეების ანალიზი ცხადყოფს, რომ პოლიციის მიერ გამოყენებული ძალა ხშირად სცილდება დასაშვებ ზღვარს და რიგ შემთხვევებში დანაშაულის ნიშნებსაც შეიცავს. აუცილებელია ძალის გადამეტების ყოველი კონკრეტული ფაქტი სათანადოდ იქნეს შესწავლილი და გამოძიებული შესაბამისი ორგანოების მიერ. სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობისას გამოვლენილი უფლებადარღვევები დროულად და ადეკვატურად უნდა შეფასდეს, მომავალში მათი თავიდან ასაცილებლად.

პოლიციის როლი ტელეკომპანია მაესტროში განვითარებული მოვლენებისას

საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართეს ტელეკომპანია „მაესტროს“ თანამშრომლებმა, რომლებიც ითხოვდნენ 2011 წლის 30 ნოემბერს ტელეკომპანია „მაესტროს“ თანამშრომლების უფლებადარღვევის ფაქტის შესწავლას.

2011 წლის 30 ნოემბერს სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებმა ტელეკომპანია „მაესტროს“ ჟურნალისტები და დირექტორი ილია კიკაბიძე ტელეკომპანია „მაესტროს“ შენობაში არ შეუშვეს, რისი მიზეზიც მათთვის არ განუმარტავთ.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისათვის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, 2011 წლის 30 ნოემბერს ტელეკომპანია „მაესტროს“ გენერალურმა დირექტორმა ილია კიკაბიძემ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო დეპარტამენტს ტელეფონით აცნობა, რომ ტელეკომპანია „მაესტროსზე“ მოხდა თავდასხმა. მოწოდებული ინფორმაციით, ადგილზე გავიდა ვაკე – საბურთალოს მიმართულების პირველი ოცეულის ეკიპაჟი.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული ოქმის ასლის თანახმად, ადგილზე მისული პატრულ-ინსპექტორები ესაუბრნენ ერასტი კიწმარიშვილსა და ლევან ჩიკვაიძეს. ორივე მხარემ დაადასტურა ის ფაქტი, რომ დანაშაული არ მომხდარა, წამოიჭრა მმართველობასთან დაკავშირებული პრობლემა, რომლის თაობაზე მხარეები სასამართლოსათვის მიმართვას აპირებდნენ. ოქმიდან ირკვევა, რომ პატრულ-ინსპექტორებმა განუმარტეს მხარეებს, არ მიეყენებინათ ერთმანეთისათვის სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა და მიემართათ სასამართლოსათვის.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში წარმოდგენილი და გავრცელებული ვიდეოკადრებიდან ჩანს, რომ სამართალდამცავებს ადგილი არ დაუტოვებიათ ოქმის შედგენის შემდგომაც. სამართალდამცავები ადგილზე რამდენიმე საათის განმავლობაში

იმყოფებოდნენ. ჩვენ ხელთ არსებულ ვიდეოჩანაწერში ჩანდა, რომ ტელეკომპანია „მაესტროს“ თანამშრომლებს ადგილზე მყოფი საპატრულო პოლიციის წარმომადგენლები ტელეკომპანიის შენობაში შესვლის საშუალებას არ აძლევდნენ. აღნიშნული კადრების თანახმად, საპატრულო პოლიციის თანამშრომლები იმყოფებოდნენ როგორც ტელეკომპანია „მაესტროს“ შენობის ეზოში, ისე მის გარეთ. ვიდეოჩანაწერიდან ასევე ჩანს, რომ საპატრულო პოლიციის თანამშრომლები ფიზიკური ძალის გამოყენებით აიძულებდნენ ჟურნალისტებს, დაეტოვებინათ ტელეკომპანია „მაესტროს“ ტერიტორია. ასევე, მოგვიანებით გადაღებული კადრების მიხედვით, ტელეკომპანიის დირექტორმა ილია კიკაბიძემ სამართალდამცავებს წარუდგინა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რომლის მიხედვითაც დასტურდებოდა, რომ ილია კიკაბიძე იყო ტელეკომპანიის დირექტორი. მიუხედავად ამისა, საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა ილია კიკაბიძე შენობაში არ შეუშვეს.

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ფუნქციებიდან გამომდინარე, „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი და მეორე მუხლებისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2006 წლის 16 მაისის N 634 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დებულების პირველი მუხლის თანახმად, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი ასრულებს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ფუნქციებს. კერძოდ, ამავე დებულების მე-16 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, თავის სამოქმედო ტერიტორიაზე და კომპეტენციის ფარგლებში საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი ახდენს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას და ამ სფეროში დანაშაულის ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედების გამოვლენას, აღკვეთასა და თავიდან აცილებას.

2011 წლის 30 ნოემბერს ადგილზე მისულ საპატრულო პოლიციას, მიუხედავად იმისა, რომ არ დახვდა დანაშაულის ნიშნები, სრული უფლება ჰქონდა ადგილზე დარჩენილიყო საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საფუძვლით. თუმცა ამ კონკრეტულ შემთხვევაში ეჭვს ბადებდა ტელეკომპანია „მაესტროს“ ირგვლივ განვითარებული მოვლენებისას საპატრულო პოლიციის თანამშრომლების მიერ ტელეკომპანია „მაესტროს“ თანამშრომლებისთვის ტელეკომპანიის შენობაში შესვლის შეზღუდვის მართლზომიერება და გატარებული ღონისძიების აუცილებლობა.

გავრცელებული კადრებიდან კარგად ჩანს, რომ მას შემდეგ, რაც საზოგადოებისათვის ცნობილი გახდა ტელეკომპანიაში ერასტი კიწმარიშვილის შესვლის ფაქტი, ტელეკომპანია „მაესტროს“ მიმდებარე ტერიტორიაზე სხვადასხვა პირმა დაიწყო მისვლა, შეინიშნებოდა გარკვეული დამაბულობაც. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ხალხის მსვლელობა ტელეკომპანიისაკენ და დამაბულობაც თანამშრომელთა შენობაში შესვლის შეზღუდვამ გამოიწვია.

უდავოა, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა და სამართალდარღვევათა თავიდან აცილება უფლების შეზღუდვის ლეგიტიმური მიზანია, რომლის მისაღწევადაც სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები უფლებამოსილნი არიან, გაატარონ სათანადო ზომები. თუმცა მოცემულ შემთხვევაში ტელეკომპანიის

თანამშრომლებისათვის შენობაში შესვლის შეზღუდვა არ შეესაბამებოდა სამართალდარღვევათა პრევენციის პროპორციულ ზომას. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ საქმე ეხებოდა მედიასაშუალებას, რომლის დაუბრკოლებელი მუშაობის მიმართაც არსებობს მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი.

აღნიშნულთან დაკავშირებით ჩვენ ხელთ არსებული დოკუმენტაცია შემდგომი რეაგირებისთვის გადავუგზავნეთ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციას. აღნიშნული უწყებიდან პასუხი 2012 წლის 1 მარტს მივიღეთ. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციას დისციპლინური ღონისძიებები ამავე სამინისტროს თანამშრომელთა მიმართ არ გაუტარებია.

რეკომენდაციები:

რეკომენდაციით მივმართავთ საქართველოს მთავარ პროკურორს, პოლიციელთა მხრიდან ძალის გადამეტების ყოველი კონკრეტული ფაქტი გაჭიანურების გარეშე იქნეს შესწავლილი და გამოძიებული პროკურატურის ორგანოების მიერ, ხოლო გამოძიების დასრულების შემდეგ ასეთი ფაქტების მიმართ არსებული საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით ინფორმაცია გახდეს ხელმისაწვდომი.

რეკომენდაციით მივმართავ შინაგან საქმეთა მინისტრს, სამინისტროს მხრიდან გატარდეს ადეკვატური ღონისძიებები, რათა მაქსიმალურად იქნას თავიდან აუცილებელი პოლიციელთა მხრიდან არაპროპორციული ძალის გამოყენებისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის შემთხვევები.

სამოქალაქო – პოლიტიკური უფლებები შეკრებებისა და მანიფესტაციების თავისუფლება

შესავალი

საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიშებში ყოველ წელს გარკვეული ადგილი ეთმობა შეკრებებისა და მანიფესტაციების კუთხით საქართველოში არსებული მდგომარეობის მიმოხილვას. ამის მიზეზი, ერთი მხრივ, ამ სფეროში განხორციელებული ინტენსიური საკანონმდებლო ცვლილებებია, ხოლო, მეორე მხრივ, საქართველოში შეკრებებისა და მანიფესტაციების სიმრავლე. ამ თვალსაზრისით გამონაკლისი არც 2011 წელია.

2011 წელს მიმდინარე მოვლენებისა და ტენდენციების ანალიზის მონაცემებით, 2010 წელთან შედარებით 2011 წელი აქტიური წელი იყო როგორც საკანონმდებლო, ისე შეკრებებისა და მანიფესტაციების თავისუფლებით სარგებლობის თვალსაზრისით. კერძოდ, წლის განმავლობაში საკანონმდებლო ცვლილებები განხორციელდა „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონში. 2011 წელს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ საქართველოს სახალხო დამცველის სარჩელთან დაკავშირებით მიიღო გადაწყვეტილება⁸¹, რომელიც სწორედ „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმების არაკონსტიტუციურობას ადგენს.

წელი აქტიური იყო პრაქტიკის თვალსაზრისითაც. 2011 წლის განმავლობაში გაიმართა ათეულობით აქცია. მათი ნაწილი საკმაოდ მასშტაბური და ხანგრძლივი იყო. მიუხედავად იმისა, რომ აქციების დიდმა ნაწილმა ყოველგვარი უფლებადარღვევების გარეშე ჩაიარა, რამდენიმე შეკრება-მანიფესტაციის დროს საქართველოს სახალხო დამცველმა დააფიქსირა ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევის ფაქტები.

მათ შორისაა 2011 წლის 3 იანვრის ფაქტი, როდესაც სამართალდამცავებმა დაშალეს ე.წ. „ვეტერანების“ აქცია. მიუხედავად იმისა, რომ ზემოაღნიშნული ფაქტი არ ხვდებოდა საქართველოს სახალხო დამცველის 2010 წლის საანგარიშო პერიოდში, საკითხის აქტუალობიდან და სიმწვავიდან გამომდინარე, საქართველოს სახალხო დამცველმა შეკრება-მანიფესტაციის მიმდინარეობისას მომხდარ ადამიანის უფლებების დარღვევებზე დეტალურად ყურადღება სწორედ 2010 წლის ანგარიშში გაამახვილა.

2011 წლის მასში დაიწყო პერმანენტული აქციები, რომლებიც ამავე წლის 26 მაისს საყოველთაოდ ცნობილი მოვლენებით დასრულდა. საქართველოს სახალხო დამცველმა

⁸¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს N2/482,483,487,502, გადაწყვეტილება. ქ. ბათუმი, 2011 წლის 18 აპრილი

შეისწავლა ქ.ქუთაისში ქარხანა „ჰერკულესის“ თანამშრომლების გაფიცვის საქმეც. 2011 წელს ისევე, როგორც წინა წლებში, დაფიქსირდა სამართალდამცავების მხრიდან არაპროპორციული ძალის გამოყენებისა და შეკრებებისა და მანიფესტაციების დაშლისას ძალის გადამეტების ფაქტები, ასევე შეინიშნებოდა ჟურნალისტთა შეურაცხყოფა შეკრება-მანიფესტაციების დროს.

ზემოხსენებულ საკითხთა აქტუალობიდან გამომდინარე, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა საანგარიშო პერიოდში არაერთი აქტივობა განახორციელა. მათ შორის აღსანიშნავია 2011 წლის 9 დეკემბერს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დღის აღსანიშნავად გამართული მრგვალი მაგიდა თემაზე – „შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება: კანონმდებლობა და პრაქტიკა“.⁸² მრგვალ მაგიდაში მონაწილეობა მიიღეს ვენეციის კომისიის წევრებმა, საერთაშორისო ექსპერტებმა, დიპლომატიურმა კორპუსმა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილემ, პარლამენტის წევრებმა, მოსამართლეებმა, შინაგან საქმეთა სამინისტროს, მთავარი პროკურატურის, საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა. ღონისძიების მიზანი ამ სფეროში არსებული ძირითადი პრობლემების კიდევ ერთხელ დაფიქსირება და საერთაშორისო ექსპერტების მოსაზრებების მოსმენა იყო.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ამ თავში, ტრადიციულად, ყურადღებას გავამახვილებთ საანგარიშო პერიოდში შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ კანონმდებლობაში შეტანილ ცვლილებებსა და აღნიშნული თავისუფლების პრაქტიკაში რეალიზაციისას წარმოქმნილ სისტემურ პრობლემებზე.

1. კანონმდებლობა შეკრებებისა და მანიფესტაციების თავისუფლების შესახებ

„მშვიდობიანი შეკრების თავისუფლება არის ფუნდამენტური უფლება, რომლითაც შეიძლება ისარგებლონ როგორც ცალკეულმა პირებმა, ისე პირთა ჯგუფმა, არარეგისტრირებულმა გაერთიანებებმა, იურიდიულმა პირებმა და კორპორაციებმა. მშვიდობიანი შეკრების უფლება აღიარებულია დემოკრატიის ერთ-ერთ ფუნდამენტად... აღნიშნული თავისუფლება ხელს უწყობს დიალოგს როგორც სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს შორის, ასევე მათ დიალოგს პოლიტიკურ ლიდერებთან და ხელისუფლებასთან“.⁸³

⁸² ღონისძიება ორგანიზებული იყო საქართველოს სახალხო დამცველის, ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლესი კომისარიატისა და ევროპის საბჭოს მიერ, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით.

⁸³ Guidelines on Freedom of Peaceful Assembly - Strasbourg- Warsaw, 9 July 2010, Study no. 581/2010, CDL-AD(2010)020 – European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), OSCE/ODIHR p.7

შეკრებებისა და მანიფესტაციების თავისუფლების შესახებ არსებული საერთაშორისო და რეგიონული სტანდარტები გამომდინარეობს სამი ძირითადი დოკუმენტიდან – ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ და ევროპის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენცია.

კერძოდ, შეკრებებისა და გაერთიანებების თავისუფლება განმტკიცებულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-20 მუხლით, რომლის თანახმად, „ყოველ ადამიანს აქვს უფლება მშვიდობიანი შეკრებისა და ასოციაციების თავისუფლებისა“. ანალოგიური ჩანაწერი გვხვდება სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის 21-ე მუხლში. რაც შეეხება ევროპის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციას, აღნიშნული დოკუმენტის მე-11 მუხლის თანახმად, „ყველას აქვს უფლება მშვიდობიანი შეკრების თავისუფლებისა...“.

საქართველოში შეკრებებისა და მანიფესტაციების თავისუფლება გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლით. აღნიშნული უფლებით სარგებლობის წესი კი რეგლამენტირებულია საქართველოს კანონით „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ.“

შეკრებებისა და მანიფესტაციების თავისუფლების უზრუნველყოფა კომპლექსური საკითხია და სხვადასხვა უწყებების ძალისხმევას მოითხოვს. აუცილებელია, სახელმწიფომ, შეკრებებისა და მანიფესტაციების თავისუფლების სრული რეალიზაციის მიზნით, უზრუნველყოს ყველა სათანადო პოზიტიური ღონისძიების გატარება. ამავდროულად, სახელმწიფომ მაქსიმალურად უნდა შეიკავოს თავი აღნიშნულ თავისუფლებაში უხეში და არამართლზომიერი ჩარევისაგან. ყოველივე ზემოაღნიშნულის პრაქტიკაში განხორციელების უპირველეს გარანტს კი შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა წარმოადგენს.

შეკრებებისა და მანიფესტაციების სფეროში საქართველოში არსებული კანონმდებლობის ტრანსფორმაცია 2009 წელს დაიწყო. საქართველოს სახალხო დამცველის 2009 წლის მეორე ნახევრისა⁸⁴ და 2010 წლის საპარლამენტო ანგარიშებში⁸⁵ ვრცლად იყო საუბარი იმ ნაკლოვანებებზე, რომლებიც „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონში გვხვდებოდა. ასევე, საუბარი იყო იმ ცვლილებებზე, რომლებიც 2009 წლის 17 ივლისს შეკრებებისა და მანიფესტაციების

იხ. << [http://www.venice.coe.int/docs/2010/CDL-AD\(2010\)020-e.pdf](http://www.venice.coe.int/docs/2010/CDL-AD(2010)020-e.pdf)>> შემოწმებული 23.01.12

⁸⁴ იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2009 წლის მეორე ნახევრის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, შეკრებებისა და მანიფესტაციების თავისუფლება გვ.174;

⁸⁵ იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2010 წლის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, შეკრებებისა და მანიფესტაციების თავისუფლება, გვ.218;

მარეგულირებელ აქტებში შევიდა. მიმოხილული იყო აღნიშნულ ცვლილებებზე ვენეციის კომისიის წევრების შუალედური მოსაზრებები.⁸⁶

2010 წლის 1 მარტს საქართველოს ხელისუფლებამ „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონზე შემუშავებული ახალი ცვლილებების პროექტი გადაუგზავნა ვენეციის კომისიას. კომისიამ ზემოაღნიშნულ ცვლილებებზე 2010 წლის 12–13 მარტს შეიმუშავა შუალედური დასკვნა.⁸⁷ ცვლილებების პროექტი შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ კანონმდებლობაში მთელი რიგი ხარვეზების გამოსწორებას ითვალისწინებდა, რაც თავისთავად ვენეციის კომისიის შუალედურ დასკვნაში დადებითად შეფასდა.

ამავდროულად, ვინაიდან საქართველოს სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონში 2009 წლის 17 ივლისს შეტანილი ცვლილებები საქართველოს კონსტიტუციას ეწინააღმდეგებოდა, 2010 წლის 7 სექტემბერს შეკრებებისა და მანიფესტაციის შესახებ კანონმდებლობაში არსებული ყველა სადავო ნორმის შესახებ კონსტიტუციური სარჩელით (#502) საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართა.⁸⁸ 2010 წლის 5 ნოემბერს, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, სასამართლომ #1-1/2/502 განჩინებით საქმე გადასცა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმს.

დავის საგანი იყო „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსისა“ და „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმების კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-19, 24-ე და 25-ე მუხლებთან მიმართებით. დასახელებული ნორმებით გარანტირებულია სიტყვის, აზრის გამოხატვისა და გავრცელების თავისუფლება და შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება.

2011 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილებით⁸⁹, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა საქართველოს სახალხო დამცველის კონსტიტუციური სარჩელი და „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“

⁸⁶ Comments on the law on Assembly and Manifestations of the Republic of Georgia by mr. Bogdan Aurescu, Opinion no. 547 / 2009, <[http://www.venice.coe.int/docs/2009/CDL\(2009\)153-e.asp](http://www.venice.coe.int/docs/2009/CDL(2009)153-e.asp)>:

Comments on the law on Assembly and Manifestations of the Republic of Georgia by Finola Flanagan, Opinion no. 547 / 2009, <[http://www.venice.coe.int/docs/2009/CDL\(2009\)152-e.pdf](http://www.venice.coe.int/docs/2009/CDL(2009)152-e.pdf)>

⁸⁷ CDL-AD(2010)009 Interim Opinion on the Draft Amendments to the Law on Assembly and Manifestations of Georgia adopted by the Venice Commission at its 82nd Plenary Session. Venice, 12-13 March 2010

⁸⁸ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მოდრობა ერთიანი საქართველოსათვის“, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტია“, საქართველოს მოქალაქეები ზვიად დიმიგური და კახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები დაჩი ცაგურია და ჯაბა ჯიშკარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ; 2010 წლის 7 სექტემბერი, სარჩელი #502

⁸⁹ http://constcourt.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=22&id=640&action=show

საქართველოს კანონის, ასევე, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა“ კოდექსის რიგი ნორმები არაკონსტიტუციურად ცნო.

კერძოდ, არაკონსტიტუციურად მიჩნეულია ის ნორმები, რომლებიც კრძალავდა შეკრებისა და მანიფესტაციის ჩატარებას ზოგიერთი დაწესებულებისა და ადმინისტრაციული ორგანოს, მათ შორის სასამართლოს შესასვლელიდან 20 მეტრის რადიუსში. სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელეთა მოსაზრება, რომ ასეთი სახის აკრძალვა კონსტიტუციას არ შეესაბამებოდა, ვინაიდან, რიგ შემთხვევებში ის შეკრებისა და მანიფესტაციის გამართვას პრაქტიკულად შეუძლებელს ხდიდა. ამავე დროს, სასამართლომ აღნიშნა, რომ შეკრების უფლება შეიძლება შეიზღუდოს, როდესაც ის ხელს უშლის დაწესებულების გამართულ ფუნქციონირებას ან, როდესაც შეზღუდვა უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომებით არის განპირობებული.

სასამართლომ ასევე არაკონსტიტუციურად მიიჩნია და ძალადაკარგულად გამოაცხადა კანონის ის ნორმები, რომლებიც კრძალავდა მხოლოდ ერთი პირის მიერ შეკრებისა და მანიფესტაციის ინიცირებას, ხოლო მოქალაქეობის არმქონე პირის მიერ აქციის ორგანიზებას და მისთვის პასუხისმგებელი პირის სტატუსის მინიჭებას.

სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო ნორმა, რომელიც ქუჩის გადაკეტვის ან კანონის სხვა მოთხოვნათა დარღვევის შემთხვევაში შეკრების დაუყოვნებლივ შეწყვეტას ითვალისწინებდა. სასამართლომ აღნიშნა, რომ შეკრებაში მონაწილეებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა, შეკრება (მანიფესტაცია) კანონის მოთხოვნებს შეუსაბამონ. ხოლო შეკრება შეიძლება შეწყდეს მხოლოდ ხელისუფლების წარმომადგენლის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის შემთხვევაში. რიგი გასაჩივრებული ნორმები კი საკონსტიტუციო სასამართლომ ძალაში დატოვა.

საქართველოს პარლამენტის წევრების მიერ 2011 წლის 13 ივნისს ინიცირებულ იქნა კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებდა „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მნიშვნელოვან გადასინჯვას. საქართველოს სახალხო დამცველმა შეიმუშავა შენიშვნები და წინადადებები ზემოაღნიშნულ კანონპროექტზე, რომელიც საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს 2011 წლის 22 ივნისს გადაეგზავნა.

შენიშვნები შეეხებოდა წარმოდგენილი კანონპროექტის შემდეგ დებულებებს:

1. კანონპროექტის პირველი მუხლის თანახმად, კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი შეკრებისა და მანიფესტაციაში მონაწილეობის უფლებას არ აძლევდა შეიარაღებული ძალების, სამართალდამცავი, სპეციალური და გასამხედროებული დაწესებულების მოსამსახურეებს. საქართველოს სახალხო დამცველის შეხედულებით, შემოთავაზებული ნორმა ვერ უპასუხებდა შეკითხვას, აკრძალვა ვრცელდებოდა მხოლოდ სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელების მომენტში თუ ნებისმიერ, მათ შორის სამსახურიდან თავისუფალ დროსაც. შესაბამისად, მიიჩნია, რომ შეზღუდვა უნდა დაწესებულიყო მხოლოდ მაშინ, როდესაც შეკრებაში მონაწილეობა ეჭვქვეშ

აყენებდა პოლიციის ან სამხედრო პერსონალის ნეიტრალურობის შენარჩუნების შესაძლებლობას საზოგადოების ყველა ჯგუფისათვის სამსახურის გაწევისას.

2. წარმოდგენილი კანონპროექტის პირველი მუხლი „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მეორე მუხლის მე-3 პუნქტის შემდეგნაირად ჩამოყალიბებას ითვალისწინებდა: ამ კანონით აღიარებული და დაცული უფლებების შეზღუდვა უნდა იყოს: ა. საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის მე-4 პუნქტით დაცული სიკეთეების განხორციელებისაკენ..“ ჩვენი ხედვით, აუცილებელი იყო ნორმაში მითითების გაკეთება, რომლითაც დაზუსტდებოდა, რომ აღნიშნული ნორმით დადგენილი შეზღუდვები შეკრება-მანიფესტაციის შინაარსზე ვრცელდებოდა და არა გამოხატვის ფორმაზე.

3. ასევე ჩვენი შენიშვნა შეეხებოდა წარმოდგენილი კანონპროექტის მიერ „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტს, რომელიც არ იძლეოდა თვითმმართველობის ორგანოს მიმართ, ერთი (ფიზიკური) პირის (ან მისი მარწმუნებლის) მიერ, შეკრება-მანიფესტაციის ჩატარების შესახებ გაფრთხილების წარდგენის შესაძლებლობას და ამავე მუხლის მე-3 პუნქტს, რომელიც კრძალავდა 18 წლამდე პირებისა და მოქალაქეობის არმქონე პირების პასუხისმგებელ პირებად მიჩნევას. აღნიშნული შეზღუდვები საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არაკონსტიტუციურად ცნობილი რეგულაციის ანალოგი იყო.

4. კანონპროექტის მე-9 მუხლით წარმოდგენილ რედაქციას კვლავ შეჰქონდა კანონში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არაკონსტიტუციურად ცნობილი შეკრებისა და მანიფესტაციის ჩატარების ამკრძალავი 20-მეტრიანი რადიუსის ცნება. ჩვენი მოსაზრებით, ამა თუ იმ ორგანოს მიერ დაწესებული შეზღუდვა განპირობებული უნდა ყოფილიყო დაწესებულების საქმიანობისათვის ხელშემშლისა და ბლოკირების აღკვეთის საჭიროებით.

5. ჩვენ მიერ წარდგენილი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინადადება ეხებოდა ინიცირებული კანონპროექტით გათვალისწინებულ მე-9¹ მუხლს, რომელიც განსაზღვრავდა, რომ „შესაბამის ორგანოს აქვს ვალდებულება დაიცვას ბალანსი შეკრების თავისუფლებასა და იმ პირთა უფლებებს შორის, რომლებიც ცხოვრობენ, მუშაობენ, ვაჭრობენ, აქვთ ბიზნესი იმ ადგილებში, სადაც მიმდინარეობს შეკრება. აღნიშნულ პირებს ხელი არ უნდა შეეშალოთ, რათა განაგრძონ თავიანთი საქმიანობა. ამ მიზნით შეიძლება დაწესდეს დროისა და ადგილის შეზღუდვა და მოხდეს ალტერნატიული ვარიანტების შეთავაზება. ასეთი შეზღუდვები შეიძლება დაწესდეს ორი ურთიერთდაუკავშირებელი შეკრების ან მანიფესტაციის არსებობის პირობებში.“

წარმოდგენილ რედაქციაში გამოყენებული „შესაბამისი ორგანოს“ ცნება იყო ბუნდოვანი და მოითხოვდა დაკონკრეტებას. აღნიშნული ნორმის მეორე წინადადება, „აღნიშნულ პირებს ხელი არ უნდა შეეშალოთ, რათა განაგრძონ თავიანთი საქმიანობა,“ ფაქტობრივად ბლანკეტური აკრძალვა იყო და გამორიცხავდა ბალანსის დაცვასა და

ყოველი კონკრეტული შემთხვევის შეფასებას, რასაც შესაძლოა შეკრება-მანიფესტაციის თავისუფლების არამართლობიერი შეზღუდვა გამოეწვია. შესაბამისად, მოვითხოვეთ ნორმის იმგვარი ფორმულირება, რაც აღნიშნულ ხარვეზებს აღმოფხვრიდა.

6. შენიშვნა ეხებოდა კანონის მე-11¹ მუხლსაც, რომელიც შეკრების ან მანიფესტაციის მონაწილეთა მხრიდან ტრანსპორტის სავალი ნაწილის ნაწილობრივი ან სრული გადაკეტვის შემთხვევაში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევაში საქართველოს მთავრობას აძლევდა გზის გახსნის ან/და მოძრაობის აღდგენის შესახებ გადაწყვეტილების მიღების უფლებას.

საქართველოს სახალხო დამცველის შეხედულებით, აღნიშნული ფორმულირება გარკვეულ კითხვებს ბადებდა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსა და საქართველოს მთავრობის კომპეტენციის გამიჯვნასა და საკითხის განსაკუთრებულად მიჩნევასთან დაკავშირებით. შესაბამისად, წინადადებით მიმართა პარლამენტს, შეემუშაებინათ „განსაკუთრებულ შემთხვევათა“ ზუსტი ჩამონათვალი, რომლითაც განისაზღვრებოდა რა შემთხვევაში ექნებოდა საქართველოს მთავრობას გზის გახსნის ან/და მოძრაობის აღდგენის შესახებ გადაწყვეტილების მიღების უფლება.

7. საქართველოს სახალხო დამცველმა ასევე წინადადებით მიმართა საქართველოს პარლამენტს, უზრუნველყო კანონპროექტით შემოთავაზებული მე-13 მუხლის ფორმულირების შეცვლა. კერძოდ, მე-13 მუხლით განსაზღვრულია ის შემთხვევები, როცა შეკრება ან/და მანიფესტაცია დაუყოვნებლივ შეწყვეტას ექვემდებარება. საქართველოს სახალხო დამცველის შეხედულებით, შეკრებისას დარღვევათა არსებობა ავტომატურად არ უნდა გახდეს შეკრების შეწყვეტის საფუძველი. შესაბამისად, დარღვევათა აღმოფხვრასთან და შეკრების შეწყვეტასთან დაკავშირებული რეგულაციები მკაფიოდ უნდა ყოფილიყო განსაზღვრული. ასევე, აუცილებელი იყო მე-13 მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში უფლებამოსილი წარმომადგენლის გაფრთხილება, მხოლოდ აქციის მონაწილეთა მიერ მასობრივი დარღვევების შემთხვევები გამხდარიყო აქციის შეწყვეტის საფუძველი.

საბოლოოდ, აღნიშნული ცვლილებები კანონში აისახა 2011 წლის 1 ივლისს. აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ საქართველოს პარლამენტმა საქართველოს სახალხო დამცველის წინადადებებისა და შენიშვნების უმეტესობა გაითვალისწინა.

2011 წლის 14–15 ოქტომბერს ვენეციის კომისიამ მიიღო საბოლოო მოსაზრება/დასკვნა „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონში შესულ ბოლო ცვლილებებთან დაკავშირებით.⁹⁰ ვენეციის კომისიის მიერ, მიუხედავად იმისა, რომ დასკვნაში რამდენიმე შენიშვნა დაფიქსირდა, მთლიანობაში დადებითად შეფასდა კანონში ასახული ცვლილებები. კერძოდ, კომისიამ განაცხადა, რომ „იგი გამოხატავს

⁹⁰ Final Opinion On The Amendments To The Law On Assembly And Manifestations Of Georgia – Adopted by the Venice Commission at its 88th Plenary Session (Venice, 14–15 October 2011) – Opinion no.547/2009, CDL-AD(2011)029 – Strasbourg, 17 October, 2011;

კმაყოფილებას იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ მათ წინა მოსაზრებებში დაფიქსირებული რამდენიმე მნიშვნელოვანი რეკომენდაცია საქართველოს ხელისუფლებამ გაითვალისწინა“.⁹¹ მიუხედავად ამისა, ვენეციის კომისიის დასკვნის თანახმად, „კვლავ რჩება რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი (კერძოდ, კი სპონტანური შეკრებების გამართვის შეუძლებლობა), რომელთაც ხელისუფლებამ ყურადღება უნდა მიაქციოს“.⁹²

ახალი ცვლილებებით „აკრძალულია შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარებისას შენობების შესასვლელების, ავტომაგისტრალებისა და რკინიგზის ბლოკირება“. ვენეციის კომისიის მოსაზრებით, აუცილებელია კონკრეტულად/ნათლად დადგინდეს, რომ მე-11¹ მუხლის მეორე პუნქტით (შეკრების ჩატარებისას არ შეიძლება ტრანსპორტის სავალი ნაწილის გახსნის ან/და ტრანსპორტის მოძრაობის აღდგენის შესახებ გადაწყვეტილების მიღება, თუ შეკრების ან მანიფესტაციის მონაწილეთა გათვალისწინებით, შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარება სხვაგვარად შეუძლებელია და დაცულია ამ კანონით დადგენილი ყველა წესი) და მე-11² მუხლით დადგენილი უფლებები ამ აკრძალვის გამომრიცხავი გარემოებებია. ვენეციის კომისიამ დააფიქსირა, რომ აბსოლუტური აკრძალვა არაპროპორციულია, რაც მის გაუქმებას აუცილებელს ხდის.

შეკრებისა და მანიფესტაციის ჩატარების ბლანკეტური აკრძალვები კვლავ შენარჩუნებულია პროკურატურის, პოლიციის, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებსა და სამართალდამცავი ორგანოების შენობებიდან ან მათი შესასვლელებიდან 20 მეტრის რადიუსში მდებარე ტერიტორიაზე. ვენეციის კომისიის მოსაზრებით, აღნიშნულ შენობებთან დაკავშირებითაც აუცილებელია, საკითხი ინდივიდუალურად წყდებოდეს. აღნიშნული საქართველოს ხელისუფლებას ხელს შეუწყობს დააბალანსოს შესაბამისი ინსტიტუტების ადეკვატური ფუნქციონირება და თითოეული პირის კანონით გარანტირებული შეკრებებისა და მანიფესტაციების თავისუფლება.

ამასთან, „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების თანახმად, სასამართლოსა და ადმინისტრაციულ ორგანოებს მიენიჭათ უფლება, დააწესონ შენობებიდან გარკვეული მანძილი, რომლის რადიუსშიც შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარება შეიზღუდება, თუმცა, იგი არ უნდა აღემატებოდეს ოც მეტრს. ვენეციის კომისიამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ შეკრების თავისუფლებაზე შეზღუდვა უნდა დააწესოს კომპეტენტურმა აღმასრულებელმა ან სამართალდამცავმა ორგანომ, რაც ამ შემთხვევაში გათვალისწინებული არ არის.

ვენეციის კომისიამ არასაკმარის ვადად მიიჩნია ასევე „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტში განსაზღვრული 15-წუთიანი ვადა. კერძოდ, აღნიშნული მუხლის თანახმად, „ამ კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტისა და მე-2 პუნქტის „ა“-„გ“ ქვეპუნქტების მოთხოვნათა

⁹¹ Ibid p10;

⁹² Ibid;

არამასობრივად დარღვევის, ასევე, ამავე კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და მე-3 პუნქტის მოთხოვნათა დარღვევის შესახებ უფლებამოსილი წარმომადგენლის გაფრთხილებიდან უახლოესი 15 წუთის განმავლობაში ორგანიზატორი ვალდებულია, დარღვევის აღმოსაფხვრელად მოუწოდოს შეკრების ან მანიფესტაციის მონაწილეებს და მიმართოს ყველა გონივრულ ქმედებას“. ვენეციის კომისიის აზრით, მისასალმებელია ის ფაქტი, რომ დარღვევის აღმოფხვრის შემდეგ არსებობს შეკრების ან მანიფესტაციის გაგრძელების შესაძლებლობა, თუმცა, დადგენილი 15-წუთიანი ვადა, გარკვეულ შემთხვევებში, სურვილის მიუხედავად, შეიძლება არ აღმოჩნდეს საკმარისი კონკრეტული დარღვევის აღმოსაფხვრელად.

ვენეციის კომისიის შუალედური დასკვნის თანახმად, კანონით უცხო ქვეყნის მოქალაქეებს უნდა მიეცეთ უფლება, მიიღონ მონაწილეობა შეკრებებსა და მანიფესტაციებში ან იყვნენ მათი ორგანიზატორები. „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „შეკრებისა და მანიფესტაციის ორგანიზებისა და ჩატარებისთვის პასუხისმგებელი პირები არ შეიძლება იყვნენ სხვა ქვეყნის მოქალაქეები ან/და პირები, რომლებსაც არ შესრულებიათ 18 წელი“. ვენეციის კომისიის მოსაზრებით, კანონით გათვალისწინებული შეზღუდვა გადაჭარბებულია იმდენად, რამდენადაც საერთაშორისო სტანდარტებით გარანტირებულია უცხოელების მიერ შეკრებისა და მანიფესტაციების თავისუფლებით სარგებლობა. შესაბამისად, კანონით უცხოელებს უნდა მიეცეთ შეკრებისა და მანიფესტაციების ორგანიზების უფლება.

იმედს ვიტოვებთ, რომ „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები დადებით გავლენას მოახდენს საქართველოში ამ კუთხით არსებულ მდგომარეობაზე და სახელმწიფო გააგრძელებს კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაციას.

2. პრაქტიკაში არსებული მდგომარეობა

ზოგადად, შეკრებებისა და მანიფესტაციების თავისუფლების ეფექტური გარანტი კანონმდებლობის პრაქტიკაში სწორი იმპლემენტაციაა. მხოლოდ საერთაშორისო სტანდარტებთან სრული შესაბამისობით არსებული საკანონმდებლო ბაზა ვერ უზრუნველყოფს აღნიშნული თავისუფლებით სრულ სარგებლობას, თუ შესაბამისი ორგანოების მიერ არ მოხდება კანონმდებლობით დადგენილი სტანდარტების პრაქტიკაში რეალიზება. სამწუხაროდ, ამ კუთხით საქართველოში, ისევე როგორც წინა წლებში, მრავალი პრობლემა დაფიქსირდა.

როგორც უკვე შესავალში აღვნიშნეთ, 2011 წლის განმავლობაში საქართველოს სახალხო დამცველმა შეისწავლა შეკრება-მანიფესტაციის რამდენიმე შემთხვევა, რომლებშიც აღნიშნული თავისუფლებით სარგებლობისას კონკრეტულ პირთა და პირთა ჯგუფების უფლებების დარღვევის ფაქტები დაფიქსირდა. უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ პრაქტიკაში არსებული ხარვეზები არაერთხელაა განხილული საქართველოს სახალხო

დამცველის წინა წლების ანგარიშებში. 2011 წელს, ისევე, როგორც წინა წლებში, დაფიქსირდა სამართალდამცავების მხრიდან არაპროპორციული ძალის გამოყენებისა და შეკრებებისა და მანიფესტაციების დაშლისას ძალის გადამეტების ფაქტები, ასევე, იყო ჟურნალისტთა შეურაცხყოფის ფაქტებიც შეკრება-მანიფესტაციების დროს. აღნიშნულ ქვეთავში ყურადღებას სწორედ პრაქტიკაში არსებულ სისტემურ პრობლემებსა და იმ ცალკეულ შემთხვევებზე გავამახვილებთ, რომლებმაც კონკრეტულ პირთა შეკრებებისა და მანიფესტაციების თავისუფლების შელახვა გამოიწვიეს.

2.1 სამართალდამცავების მოთხოვნათა კანონიერება შეკრებებისა და მანიფესტაციების დროს

„მშვიდობიანი შეკრების თავისუფლება ადამიანის ფუნდამენტური უფლებაა... აქციას შეიძლება ბევრი მიზანი ჰქონდეს, მათ შორის განსხვავებული, არაპოპულარული ან უმცირესობათა მოსაზრებების გამოხატვა... მშვიდობიანი შეკრებების დაცვა აუცილებელია ისეთი ტოლერანტული და პლურალისტული საზოგადოების ფორმირებისათვის, რომელშიც სხვადასხვა მრწამსის, საქმიანობისა თუ პოლიტიკური შეხედულებების ჯგუფები ერთად, მშვიდობიან თანაცხოვრებას შეძლებენ.“⁹³

საქართველოს სახალხო დამცველის 2010 წლის საპარლამენტო ანგარიშში ვრცლად იყო საუბარი 2011 წლის 3 იანვარს ქ.თბილისში, გმირთა მოედანზე, ომში დაღუპულთა მემორიალთან ვეტერანების აქციის დაშლის ფაქტზე.⁹⁴ აღნიშნული ფაქტის შესწავლისას გამოვლინდა რამდენიმე პრობლემური საკითხი. კერძოდ, მიუხედავად იმისა, რომ აქციის გამართვის ადგილი კანონის მოთხოვნებს არ ეწინააღმდეგებოდა, სამართალდამცავებმა მოითხოვეს აქციის შეწყვეტა. მათ, „არამართლზომიერ“ ნივთად მიიჩნიეს ადგილზე მიტანილი კარავი, მიუხედავად იმისა, რომ იგი ხელოვნურად არ კეტავდა არც ტრანსპორტისა და არც ფეხით მოსიარულეთა გზის სავალ ნაწილს, სამართალდამცავებმა აქციის მონაწილეებს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს.

მსგავს პრობლემებს ადგილი ჰქონდა ქ.ქუთაისის მეტალურგიული ქარხანა „ჭერკულესის“ მიმდებარე ტერიტორიაზე მიმდინარე მუშათა საპროტესტო აქციების დროსაც. კერძოდ, ქარხანაში არსებული შრომის მძიმე პირობების გამოსწორების მოთხოვნით, დასაქმებულებმა ქარხნის მიმდებარე ტერიტორიაზე გაფიცვა დაიწყეს. რამდენიმე მათგანმა პროტესტის უკიდურეს ფორმას - შიმშილობას მიმართა.

2011 წლის 13 და 15 სექტემბერს, აქციების მიმდინარეობისას მოხდა 2 ინციდენტი.

2011 წლის 13 სექტემბერს აქციის მიმდინარეობისას აქციის მონაწილეებმა დადგეს კარავი. კარვის დადგმიდან რამდენიმე წუთში ადგილზე მივიდნენ სამართალდამცავი

⁹³ Guidelines on Freedom of Peaceful Assembly - Strasbourg- Warsaw, 9 July 2010, Study no. 581/2010, CDL-AD(2010)020 – European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), OSCE/ODIHR p.7

⁹⁴ იხ. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2010 წელი, გვ.222

ორგანოს თანამშრომლები. მათ გაფიცულებს კარვის აღება მოსთხოვეს. სამართალდამცავებმა კარავი დაშალეს და პოლიციის ავტომანქანაში მოათავსეს. მოგვიანებით, 10-15 წუთში, მათ კარავი მფლობელებს დაუბრუნეს. აღნიშნული ინციდენტის შემდეგ გაფიცვა გაგრძელდა, თუმცა გაფიცულთა განმარტებით, მათ კარვის დადგმა აღარ უცდიათ.

რაც შეეხება 2011 წლის 15 სექტემბერს განვითარებულ მოვლენებს, საქართველოს სახალხო დამცველისთვის მიცემული ახსნა-განმარტებების თანახმად, დაახლოებით 21:30 საათზე აქციის მიმდინარეობის ადგილზე მივიდა საპატრულო პოლიციის დაახლოებით 30 ეკიპაჟი. პოლიციის თანამშრომლებმა მოითხოვეს აქციის დაშლა და დააკავეს აქციის მონაწილეთა ნაწილი. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ადვოკატის, რევაზ თოფურისას, ახსნა-განმარტების თანახმად, ის საქართველოს მეტალურგიული, სამთო და ქიმიური მრეწველობის მუშაკთა პროფესიული კავშირის პრეზიდენტ თამაზ დოლაბერიძესთან ერთად, რამდენიმე საათის განმავლობაში ეძებდა დაკავებულებს ქ.ქუთაისის დროებითი მოთავსების იზოლატორში და პოლიციის სხვადასხვა განყოფილებაში, თუმცა, დაკავებულებთან შეხვედრა მხოლოდ მათი გათავისუფლების შემდგომ მოახერხა. ადვოკატისა და აქციის მონაწილეთა ახსნა-განმარტებების თანახმად, აქციის მონაწილეები რამდენიმე საათის განმავლობაში იმყოფებოდნენ ქუთაისის შს საქალაქო სამმართველოში, სადაც მათ დააწერინეს ხელწერილები იმის თაობაზე, რომ დასაკმებულები აღარ გააგრძელებდნენ გაფიცვაში მონაწილეობას და დაუბრუნდებოდნენ სამსახურს, წინააღმდეგ შემთხვევაში პასუხს აგებდნენ კანონით დადგენილი წესით.

საქმის შესწავლის მიზნით საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა ახსნა-განმარტებები ჩამოართვეს თავად აქციის მონაწილეებს, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენელს, რომელიც გაფიცულებს იურიდიულ დახმარებას უწევდა და საქართველოს მეტალურგიული, სამთო და ქიმიური მრეწველობის მუშაკთა პროფესიული კავშირის პრეზიდენტს, თამაზ დოლაბერიძეს. უნდა აღინიშნოს, რომ დაკავებული აქციის მონაწილეებიდან მხოლოდ სამმა პირმა განაცხადა თანხმობა, ახსნა-განმარტება მიეცა საქართველოს სახალხო დამცველისთვის, მათი ვინაობის კონფიდენციალურად დატოვების პირობით, ხოლო დანარჩენებმა აღნიშნული ინფორმაცია მხოლოდ ზეპირი საუბრისას დაადასტურეს. საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა, საქმეზე არსებული გარემოებების სრულყოფილი და ორმხრივი შესწავლის მიზნით, სცადეს ქარხანა „ჭერკულესის“ ადმინისტრაციასთან შეხვედრა და მათგან ზემოაღნიშნულ ინციდენტებზე ახსნა-განმარტების მოპოვება, თუმცა ქარხნის ადმინისტრაციამ შეხვედრასა და ახსნა-განმარტების მიცემაზე უარი განაცხადა. მოპოვებული მასალის ანალიზის შედეგად საქართველოს სახალხო დამცველმა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, რამდენიმე დარღვევა დააფიქსირა.

2.1.1 კარვის ალების მოთხოვნა

საქართველოს სახალხო დამცველისათვის მიცემული ახსნა-განმარტებებისა და საინფორმაციო საშუალებების მიერ გავრცელებული კადრების თანახმად, აქციის მიმდინარეობისას და კარვის დადგმისას არ მომხდარა არც საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“ და არც „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მიერ დადგენილი მოთხოვნების დარღვევა.

კერძოდ, როგორც მოპოვებული მასალიდან ირკვევა, აქციები მიმდინარეობდა ქარხანა „ჰერკულესის“ ეზოს შესასვლელიდან დაახლოებით 50–60 მეტრში. აქციის მონაწილეთა განმარტებით, კარავი გაიშალა ადგილზე მოშიშშილე მუშებისათვის. 2011 წლის 13 სექტემბერს სამართალდამცავებმა ისე, რომ აქციის მონაწილეებისათვის არაფერი განუმარტავთ, კარავი აიღეს.

„შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11¹ მუხლით განსაზღვრულია ის ქმედებები, რომლებიც აქციათა მიმდინარეობისას იკრძალება. კერძოდ, აღნიშნული მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, *„დაუშვებელია ტრანსპორტის სავალი ნაწილის ხელოვნურად გადაკეტვა, თუ ამას არ მოითხოვს შეკრების ან მანიფესტაციის მონაწილეთა რაოდენობა. აგრეთვე დაუშვებელია ტრანსპორტის სავალი ნაწილის ავტომატურად, სხვადასხვა კონსტრუქციით ან/და საგნებით გადაკეტვა“*. ჩვენს ხელთ არსებული მასალის თანახმად, აქციის მონაწილეთა მიერ დადგმული კარავი არ აფერხებდა ტრანსპორტის მიმოსვლის და არც ქარხნის შესასვლელის ბლოკირებას იწვევდა. ამასთან, ადგილზე მისულ სამართალდამცავებს არ განუმარტავთ აქციის მონაწილეებისათვის კარვის ალების მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი, რაც აქციის მონაწილეთა უფლებების დარღვევას წარმოადგენს.

2.1.2. აქციის დაშლის მოთხოვნა

რაც შეეხება 15 სექტემბერს განვითარებულ მოვლენებს, ჩვენს ხელთ არსებული მასალებიდან დგინდება, რომ აქცია მიმდინარეობდა „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის სრული დაცვით.

კერძოდ, საქართველოს კანონი „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ ითვალისწინებს აქციის ჩატარების მსურველთა ვალდებულებას, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიმართონ წერილობითი გაფრთხილებით იმ შემთხვევაში, თუ აქციის გამართვა ტრანსპორტის სავალ ნაწილზე იგეგმება ან ტრანსპორტის მოძრაობას აფერხებს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ვიდეომასალიდან კარგად ჩანს, რომ აქციის მონაწილეები აქციას მართავდნენ ქარხანა „ჰერკულესის“ ეზოს შესასვლელიდან მოშორებით. აღნიშნულ ტერიტორიაზე არ არის გამოყოფილი არც ტრანსპორტისა და არც ხალხის

სამომრავო ადგილი, იგი ფაქტობრივად მინდორს წარმოადგენს. შესაბამისად, აქციის მონაწილეების მხრიდან არ ხდებოდა არც შენობის შესასვლელის ბლოკირება და არც ტრანსპორტის მოძრაობა ფერხდებოდა.

ვინაიდან აქცია არ იმართებოდა „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის 1 პუნქტით განსაზღვრულ ტერიტორიაზე, აშკარაა, რომ არ არსებობდა ადგილობრივ თვითმმართველობაში გაფრთხილების შეტანის აუცილებლობა.

რაც შეეხება აქციის მონაწილეთა, როგორც დასაქმებულთა ვალდებულებას, შეატყობინოს, ადმინისტრაციას მოსალოდნელი გაფიცვის შესახებ, აქციის მონაწილეთა განმარტებით, მათ საქართველოს ორგანული კანონის – „საქართველოს შრომის კოდექსის“ 49-ე მუხლით დადგენილი წესის თანახმად, წერილობით მიმართეს ქარხნის ადმინისტრაციას მოსალოდნელი გაფიცვების შესახებ, რის შემდეგაც, ამავე წლის 2 სექტემბერს, გამაფრთხილებელი გაფიცვა გამართეს.

შესაბამისად, ეჭვქვეშ დგება სამართალდამცველების მოქმედების ლეგიტიმურობა, როდესაც მოითხოვდნენ მონაწილეების მხრიდან აქციის დაშლას. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, სამართალდამცველები ქარხნის ადმინისტრაციან გამოიძახა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა საქმის ორმხრივი შესწავლის მიზნით, სცადეს ქარხანა „ჰერკულესის“ ადმინისტრაციასთან დაკავშირება მთელი რიგი სამართლებრივი გარემოებების დასაზუსტებლად, რაც სამწუხაროდ, ადმინისტრაციის უარის გამო ვერ მოხერხდა.

2011 წლის 15 სექტემბერს ადგილზე დააკავეს აქციის რამდენიმე მონაწილე. ჩვენს ხელთ არსებული ახსნა-განმარტებების თანახმად, არც დაკავებისას და არც მის შემდგომ სამართალდამცველებს არ განუმარტავთ აქციის მონაწილეთათვის მათი დაკავების საფუძველი. ამასთან, მათი პოლიციის შენობაში ყოფნის პერიოდში ე.წ. ხელწერილების გარდა არ შემდგარა არანაირი სამართლებრივი დოკუმენტი. 2011 წლის 19 სექტემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურორს და შემდგომი რეაგირებისათვის გადაუზავნა ჩვენს ხელთ არსებული დოკუმენტაცია. თუმცა, აღნიშნულ ფაქტზე გატარებული ღონისძიებების შესახებ არანაირი ოფიციალური პასუხი არ მიგვიღია.

2.2 სამართალდამცავთა მიერ აქციის დაშლისას ძალის გადამეტება – მაისის აქციები

2011 წლის მაისში ქ.თბილისსა და ქ.ბათუმში დაიწყო პერმანენტული საპროტესტო აქციები. ქ. ბათუმში მოვლენები 21 მაისს აქციის დაშლითა და კონკრეტულ პირთა დაკავებით დასრულდა, ხოლო ქ.თბილისში აქციები 26 მაისს სამართალდამცავებმა დაშალეს.

გავრცელებული და ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციის თანახმად, აქციის ვადებისა და გამართვის ადგილის შესახებ აქციის ორგანიზატორებმა შესაბამისი გაფრთხილება წარადგინეს ქ.თბილისის მერიაში. აღნიშნული ვადა ამოიწურა 25 მაისს 24:00 საათზე. ამის შესახებ აქციის მონაწილეები მერიის წარმომადგენელმა (უფლებამოსილი წარმომადგენელი) გააფრთხილა. „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით მათ შესთავაზეს ალტერნატიული ადგილები აქციის გასაგრძელებლად. აქციის მონაწილეები გააფრთხილეს, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში აქციას სამართალდამცავები დაშლიდნენ. მას შემდეგ, რაც აქციის მონაწილეები ნებაყოფლობით არ დაემორჩილნენ ქ.თბილისის მერიის წარმომადგენლის მოთხოვნას, რუსთაველის გამზირზე სამართალდამცავებმა ძალის გამოყენებით დაშალეს აქცია. მათ გამოიყენეს როგორც რეზინის ხელკეტები, ისე არალეტალური იარაღი. ადგილზე დააკავეს რამდენიმე ათეული ადამიანი.

საქართველოს სახალხო დამცველმა შეისწავლა მედიაში გავრცელებული კადრები, აქციის მონაწილეთა, აქციაზე მყოფ ჟურნალისტთა ახსნა-განმარტებები, მონახულა ადმინისტრაციული თუ სისხლის სამართლის წესით დაკავებული პირები. ზემოაღნიშნული მასალის შესწავლის შედეგად აშკარა ხდება, რომ მიუხედავად იმისა, რომ აქცია გასცდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს და არსებობდა აქციის შეწყვეტის სამართლებრივი საფუძველი, პოლიციის მიერ გამოყენებული ძალა რიგ შემთხვევებში არაპროპორციული იყო.

2.2.1. სამართალდამცავთა მიერ გამოყენებული ძალის არაპროპორციულობა

2011 წლის 26 მაისს აქციის დაშლისას სამართალდამცავებმა სხვადასხვა ტიპის იარაღი გამოიყენეს. კერძოდ, წყლის ჭავლი, ცრემლსადენი გაზი, რეზინის ხელკეტი და არალეტალური იარაღი.

შედეგად ფიზიკურად დაზარადა აქციის ათობით მონაწილე. ახსნა-განმარტებების თანახმად, მათ ნაწილს საშუალება არ მისცეს, დატოვებინა აქცია. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, ადგილზე მყოფ ჟურნალისტთა ნაწილს არ ჰქონდათ პროფესიული საქმიანობის შესრულების საშუალება. გავრცელებული ინფორმაციით, რამდენიმე მათგანს სამართალდამცავებმა დაუზიანეს აპარატურა, მიაყენეს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა და გარკვეული პერიოდის განმავლობაში ჰყავდათ დაკავებული.

უდავოა, რომ თითოეულმა სახელმწიფომ შიდა კანონმდებლობით უნდა დაარეგულიროს შეკრებებისა და მანიფესტაციების საზღვრები და მათი რეგულირების მეთოდები. აღნიშნულს ხაზს უსვამს ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო) მიერ შემუშავებული სახელმძღვანელო პრინციპებიც მშვიდობიანი აქციების თაობაზე. კერძოდ, აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, *ძალის გამოყენება უნდა რეგულირდებოდეს ეროვნული კანონმდებლობით, რომელმაც უნდა*

დაადგინოს გარემოებანი, რომლებშიც გამართლებული იქნება, სხვადასხვა საფრთხეების დროს ძალის გამოყენება (მათ შორის ადეკვატური, წინასწარი გაფრთხილების საჭიროება) და გამოსაყენებელი ძალის დონე. ხელისუფლებამ უნდა ჩამოაყალიბოს რამდენიმე საპასუხო ქმედება, რომლებიც შესაძლებელს გახდის განსხვავებული და პროპორციული ძალის გამოყენებას. საპასუხო ქმედებები უნდა მოიცავდეს შესაბამის სიტუაციებში არალეტალური, უნარის წამრთმევი იარაღების გამოყენების შესაძლებლობასაც, როდესაც უფრო მშვიდობიანი ჩარევის საშუალებები ვერ აღწევენ შესაბამის მიზანს.⁹⁵

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით, სახელმწიფომ შეკრება-მანიფესტაციის დაშლისას პროპორციული ზომები უნდა გამოიყენოს. კერძოდ, ძალოვანმა სტრუქტურებმა დაშლის ოპერაციის დაგეგმვა ისე უნდა შემუშაონ, რომ აქციის მონაწილეებისადმი ზიანის მიყენების რისკი მინიმუმამდე დავიდეს.⁹⁶

საქართველოს კანონი „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ განსაზღვრავს იმ ძირითად წესებს, რომლებიც უნდა იყოს დაცული აქციების მიმდინარეობისას. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ 2011 წლის მაისის აქციების დროს ბოლო ცვლილებები ზემოაღნიშნულ კანონში არ იყო ასახული, ეს ფაქტის გაანალიზდება 2011 წლის 26 მაისს მოქმედი კანონის თანახმად.

ვინაიდან მაისის აქციების დროს იკეტებოდა ხალხისა და ტრანსპორტის გზა, აქციის ორგანიზატორებმა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქ.თბილისის მერიამი შესაბამისი გაფრთხილება შეიტანეს. „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, გაფრთხილების წარდგენის შემდგომ ადგილობრივი მმართველობის ორგანო გამოყოფს უფლებამოსილ წარმომადგენელს. სწორედ მისი ვალდებულებაა, დააკვირდეს აქციის მიმდინარეობას და იმ შემთხვევაში, თუ აქცია გასცდება კანონით დადგენილ ფარგლებს ან აქციის მონაწილეები დაარღვევენ ზემოაღნიშნული კანონით დადგენილ მოთხოვნებს, გააფრთხილოს აქციის მონაწილეები/ორგანიზატორი და მოითხოვოს აქციის კანონთან შესაბამისობაში მოყვანა, ან მისი მშვიდობიანი დაშლა.⁹⁷

26 მაისს საქართველოს სახალხო დამცველის მიერ შესწავლილი შემთხვევებიდან პირველად იყო გამოყენებული კანონის ზემოაღნიშნული მოთხოვნა. კერძოდ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, აქციის მონაწილეებს უფლებამოსილმა წარმომადგენელმა განუმარტა, რომ ვინაიდან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში შეტანილი გაფრთხილების ვადა ამოწურული იყო და 26 მაისს გამთენიისას უნდა დაწყებულიყო ალღუმისათვის მზადება, აქცია უნდა დაშლილიყო. აქციის მონაწილეებს შესთავაზეს

⁹⁵ Guidelines on Freedom of Peaceful Assembly - Strasbourg- Warsaw, 9 July 2010, Study no. 581/2010, CDL-AD(2010)020 – European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), OSCE/ODIHR p.11

⁹⁶ Makaratzis v. Greece, no. 50385/99, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2004, პარაგრაფი 60

⁹⁷ „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11¹, მე-13 მუხლები (2011 წლის 26 მაისის მდგომარეობით)

აქციისათვის ალტერნატიული ადგილი. ისინი ასევე გააფრთხილეს, რომ დაუმორჩილებლობის შემთხვევაში სამართალდამცავები აქციას დაშლიდნენ.

ვინაიდან აქციის მონაწილეებმა უარი განაცხადეს დაშლაზე, ადგილზე სამართალდამცავები გამოჩნდნენ. საქართველოს სახალხო დამცველის ხელთ არსებული ვიდეომასალისა და მისთვის მიცემული ახსნა-განმარტებების თანახმად, აქციის მონაწილეთა მიმართ გამოყენებული ძალა რიგ შემთხვევებში არ იყო პროპორციული.

„პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, პოლიციელს უფლება აქვს გამოიყენოს ფიზიკური იძულება პროპორციულობისა და აუცილებლობის პრინციპის გათვალისწინებით. შესაბამისად, მაშინაც კი, როდესაც პოლიციის მიერ ფიზიკური იძულება გამოწვეულია აუცილებლობით, გამოყენებული ძალა უნდა იყოს პროპორციული და ადეკვატური. თუმცა, ჩვენ მიერ განხილული განცხადებებიდან ხშირად საწინააღმდეგო იკვეთება. აღნიშნული გარემოება დეტალურად გაანალიზებულია თავში „პოლიცია და ადამიანის უფლებები“⁹⁸ შესაბამისად, აღნიშნულ თავში ამ საკითხზე აღარ შევჩერდებით.

როდესაც აქციის დაშლისას სამართალდამცავთა ქმედებაზე ვსაუბრობთ, უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი გარემოება, კერძოდ, მიეცათ თუ არა აქციის მონაწილეებს ტერიტორიის მშვიდობიანი დატოვების საშუალება. მიუხედავად შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებისა, რომ აქციის მონაწილეთათვის დატოვებული იყო რამდენიმე ეგრეთ წოდებული კორიდორი, რომლებიც მათ საშუალებას მისცემდა, მშვიდობიანად დაეტოვებინათ ტერიტორია, აქციის მონაწილეთა და ჟურნალისტთა ნაწილის ახსნა-განმარტებებიდან ირკვევა, რომ სამართალდამცავები რიგ შემთხვევაში მათ ამის საშუალებას არ აძლევდნენ. ზემოაღნიშნული ამკარას ხდის, რომ სამართალდამცავები უმეტეს შემთხვევებში არ განარჩევდნენ აქციის ადგილის მშვიდობიანად დატოვების მოსურნე მონაწილეებს მათგან, ვინც წინააღმდეგობას უწევდა.

ეუთოს სახელმძღვანელო პრინციპების თანახმად, აბსოლუტური კორდონი, რომელიც არ იძლევა კონკრეტული ტერიტორიიდან პირთა გამოსვლის საშუალებას, არღვევს პირის უფლებას თავისუფლებაზე და თავისუფალ გადაადგილებაზე. აღნიშნული ასევე არაპროპორციული და არაკანონიერი ზომია. გაერთიანებული სამეფოს ადამიანის უფლებათა გაერთიანებული კომიტეტის განმარტებით, პირთა ჯგუფის მომწყვდევა და კონკრეტული ადგილის დატოვების ბლანკეტური აკრძალვის შემოღება არაპროპორციული და არაკანონიერი ზომია.⁹⁹

ეუთოს სახელმძღვანელო პრინციპების თანახმად, სამართალდამცავებმა მშვიდობიან და არამშვიდობიან მანიფესტანტებს შორის დიფერენციაცია უნდა მოახდინონ. კერძოდ,

⁹⁸ იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2011 წლის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების მდგომარეობის შესახებ. გვ.70

⁹⁹ Ibid p.73

სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებმა უნდა განასხვავონ მშვიდობიანი და არამშვიდობიანი მონაწილეები. შეკრების დროს შემთხვევითი ძალადობის ფაქტი და ზოგიერთი მონაწილის ძალადობრივი ქმედებები არ არის საკმარისი მშვიდობიან მონაწილეებზე რადიკალური შეზღუდვების დაწესებისთვის. სამართალდამცავები არ უნდა ეპყრობოდნენ ხალხს თანაბრად აქციის მონაწილეების დაკავებისას ან (როგორც ყველაზე უკანასკნელი საშუალება) შეკრების ძალით დაშლისას.¹⁰⁰

სამწუხაროდ, 2011 წლის 26 მაისის აქციის დაშლის დროს სამართალდამცავებმა აღნიშნული პრინციპი არ გაითვალისწინეს. ისინი აკავებდნენ და ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებდნენ აქციის მონაწილეთა ნაწილს, მიუხედავად იმისა, იყო თუ არა მათგან ძალადობრივი ქმედებები და უწყევდნენ თუ არა ისინი მათ წინააღმდეგობას. იმაზე, რომ 26 მაისის დაშლისას სამართალდამცავები აქციის მონაწილეთა დიფერენცირებას არ ახდენდნენ, მეტყველებს ის ფაქტიც, რომ აქციის დაშლისას სამართალდამცავებმა ჟურნალისტთა ნაწილსაც მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა და რამდენიმე მათგანი გარკვეული პერიოდითაც დააკავეს. უფრო მეტიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დაფიქსირდა უკვე დაკავებული პირების ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტებიც.

2.2.2. აქციის მონაწილეთა დაკავება და მოპყრობა დაკავების შემდგომ

ეუთოს სახელმძღვანელო პრინციპების თანახმად, შეკრებების დროს პირთა დაკავებამ (იმ საფუძველით, რომ მათ ჩაიდინეს ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, სისხლის სამართლის ან სხვა დანაშაული) უნდა დააკმაყოფილოს უფრო მაღალი სტანდარტი პირის თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლებიდან გამომდინარე.... დაკავება უნდა გამოიყენებოდეს ყველაზე აუცილებელ სიტუაციებში, როდესაც ამ ზომის გამოუყენებლობამ შესაძლოა გამოიწვიოს სისხლის სამართლის დანაშაულების ჩადენა¹⁰¹.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, 2011 წლის 26 მაისის აქციის დაშლისას ადგილზე არაერთი პირი დააკავეს ადმინისტრაციული წესით. საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულებმა ისინი დროებითი მოთავსების იზოლატორებში მონახულეს. აღსანიშნავია, რომ დაკავებულები მოთავსებულები იყვნენ როგორც ქ.თბილისის დროებითი მოთავსების იზოლატორებში, ისე მთელი საქართველოს მასშტაბით. მათი მონახულების შედეგად მთელი რიგი პრობლემები გამოიკვეთა.

საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის თანახმად, „ადამიანის პატივი და ღირსება ხელშეუვალია. დაუშვებელია ადამიანის წამება, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახველი მოპყრობა და სასჯელის გამოყენება. დაუშვებელია

¹⁰⁰ Guidelines on Freedom of Peaceful Assembly - Strasbourg- Warsaw, 9 July 2010, Study no. 581/2010, CDL-AD(2010)020 – European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), OSCE/ODIHR p.68

¹⁰¹ Ibid p.53

დაკავებულის თუ სხვაგვარად თავისუფლებაზეზღუდული პირის ფიზიკური ან ფსიქიკური იძულება“.

ჩვენს ხელთ არსებული ახსნა-განმარტებების თანახმად, აქციის მონაწილეთა ნაწილს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს როგორც ადგილზე დაკავებისას, ისე მის შემდგომაც.¹⁰² საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა ქ.თბილისის #2 დროებითი მოთავსების იზოლატორში მოინახულეს ზაქარია ზურაშვილი. მისი განმარტებით, იგი 2011 წლის 26 მაისს ქ.თბილისში, რუსთაველის გამზირზე, მიმდინარე აქციაზე იმყოფებოდა. ზ.ზურაშვილი აღნიშნავს, რომ მას დაკავებისას პოლიციის თანამშრომლებისთვის წინააღმდეგობა არ გაუწევია. მიუხედავად ამისა, სამართალდამცავები მას სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებდნენ. მოგვიანებით იგი ქ.თბილისის შს მთავარ სამმართველოში გადაიყვანეს. მისი ფიზიკური შეურაცხყოფა არ შეწყვეტილა არც მანქანაში და არც სამმართველოს შენობაში.

მსგავს გარემოებებზე დაკავებული ჟურნალისტებიც უთითებენ. კერძოდ, საქართველოს სახალხო დამცველს ახსნა-განმარტება მისცეს „ინტერპრესნიუსის“ ჟურნალისტმა მალხაზ ჭკადუამ და „ექსპრესნიუსის“ ჟურნალისტმა თენგიზ ოყუჯავამ. მათი განმარტებით, ისინი 2011 წლის 26 მაისს ჟურნალისტურ საქმიანობას ეწეოდნენ. აქციის დაშლის დაწყებისას მათ სამართალდამცავებმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს და შემდეგ დააკავეს. მათ სპეციალური დანიშნულების რაზმის წარმომადგენლებს/თანამშრომლებს განუმარტეს, რომ იყვნენ მედიის წარმომადგენლები, ადგილზე პროფესიულ საქმიანობას ეწეოდნენ და წარუდგინეს შესაბამისი დოკუმენტი – პრესბარათი. მიუხედავად ამისა, სამართალდამცავებმა მალხაზ ჭკადუას თავის არეში რამდენჯერმე ხელკეტი ჩაართყეს, დააწვინეს მიწაზე და დაადეს ბორკილები. ასევე, თავის არეში რამდენჯერმე ჩაართყეს თენგიზ ოყუჯავას. სამართალდამცავებმა მალხაზ ჭკადუასა და თენგიზ ოყუჯავას დაკავების შემდეგაც განაგრძეს მათთვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება. ისინი თავდაპირველად გადაიყვანეს თაბუკაშვილის ქუჩაზე მდებარე ძველი თბილისის სამმართველოს ეზოში, სადაც გარკვეული პერიოდის განმავლობაში სხვა დაკავებულებთან ერთად პოლიციის ეზოში მიწაზე იწვნენ, წვიმაში. აღნიშნული ტერიტორიიდან დაკავებულები ქ.თბილისის მთავარ სამმართველოში გადაიყვანეს, საიდანაც ისინი მოგვიანებით გაათავისუფლეს.

სამართალდამცავთა მიერ დაკავებულთა ფიზიკურ შეურაცხყოფაზე ასევე მიუთითებენ გაზეთ „ასავალ-დასავალის“ ჟურნალისტები გიორგი მამაცაშვილი და ბექა სივსივაძე. საქართველოს სახალხო დამცველისათვის მიცემული ახსნა-განმარტების თანახმად, სპეც. დანიშნულების რაზმის წევრებმა მათ ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს. ორივე მათგანმა სპეც. დანიშნულების წარმომადგენლებს წარუდგინა პრესის მოწმობა. მიუხედავად ამისა, ისინი გადაიყვანეს თავისუფლების მოედნისკენ, სადაც მიწაზე დააწვინეს და ხელბორკილები დაადეს. მათთან სხვა დაკავებულებიც იყვნენ,

¹⁰² იხ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში გვ.70

რომლებსაც სპეც. დანიშნულების რაზმის წევრები ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებდნენ.

დაკავების შემდგომ აქციის მონაწილეთა მდგომარეობის მონიტორინგმა სხვა დარღვევებიც გამოავლინა. აღნიშნული დარღვევები დეტალურად ასახულია საქართველოს სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის სპეციალურ ანგარიშში.¹⁰³ თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული დარღვევები სცდება უშუალოდ შეკრებებისა და მანიფესტაციების სფეროს, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მათი მოკლედ აღნიშვნა რადგანაც ისინი უშუალოდ 26 მაისის აქციის მონაწილეების უფლებრივ მდგომარეობას უკავშირდება.

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის თანახმად, „ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს“. ამავე მუხლის თანახმად, „დაცვის უფლება გარანტირებულია“.

ევროპის საბჭოს წამების საწინააღმდეგო კომიტეტი (CPT) განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს პოლიციის მიერ დაკავებულ პირთა სამ უფლებას: შეატყობინოს თავისი დაკავების ფაქტის შესახებ მესამე მხარეს, რომელსაც თვითონ არჩევს (ოჯახის წევრი, მეგობარი, საკონსულო); მოითხოვოს ადვოკატი და სამედიცინო შემოწმება იმ ექიმის მიერ, რომელსაც აირჩევს (დამატებით, ნებისმიერი სამედიცინო შემოწმება პოლიციის მიერ მოყვანილი ექიმის მიერ). წამების საწინააღმდეგო კომიტეტის აზრით, დაკავებული პირების სასტიკი მოპყრობისაგან დასაცავად ეს არის სამი ძირითადი საშუალება, რომლებიც გამოიყენება თავისუფლების აღკვეთის საწყის ეტაპზე.

2011 წლის 26 მაისის ღამეს განვითარებული მოვლენებისას დაკავებული რამდენიმე ათეული პირი აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა დროებითი მოთავსების იზოლატორებში განათავსეს. რამდენიმე ათეული პირის ადგილსამყოფელი ოჯახის წევრებისათვის გარკვეული პერიოდის განმავლობაში უცნობი იყო. მათი მოძიება მხოლოდ საქართველოს სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის წევრებისა და საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულების მიერ საქართველოს მასშტაბით განხორციელებული რეგულარული მონიტორინგის შედეგად გახდა შესაძლებელი. მონიტორინგმა აჩვენა, რომ გამომძიებლები მხოლოდ ერთეულ შემთხვევებში უკავშირდებოდნენ დაკავებულების ოჯახებს და ატყობინებდნენ მათი ახლობლის დაკავებისა და ადგილსამყოფელის შესახებ.

ამას გარდა, საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულების მიერ დაფიქსირდა დაკავებულთა ხშირი გადაყვანის ფაქტები ერთი დროებითი მოთავსების იზოლატორიდან მეორეში. აღნიშნულის გამო პატიმრებს ეზღუდებოდათ დაცვის უფლება, ხოლო მათი ოჯახის წევრები მოკლებულნი იყვნენ ელემენტარულ შესაძლებლობას, სცოდნოდათ, კონკრეტულად სად იმყოფებოდნენ მათი ახლობლები.

¹⁰³ საქართველოს სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის სპეციალური ანგარიში საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებსა და დროებითი მოთავსების იზოლატორებში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ, 2011 წლის პირველი ნახევარი, გვ. 225

კერძოდ, 2011 წლის 26 მაისს საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულებმა მოინახულეს თბილისის #2, მცხეთის, კასპის დროებითი მოთავსების იზოლატორებსა და შიდა ქართლის რეგიონალურ დროებითი მოთავსების იზოლატორში განთავსებული პირები. როგორც მოგვიანებით აღმოჩნდა, თბილისის #2 დმი–ში განთავსებული პირები იმავე დღეს გადაიყვანეს სხვა იზოლატორებში. შესაბამისად, ადვოკატებმა ვერ შეძლეს მათი მონახულება.

აღნიშნულ დარღვევებთან დაკავშირებით საქართველოს სახალხო დამცველმა შესაბამისი რეკომენდაციით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს და მოითხოვა დაკავებულ პირთა დარღვეული უფლებების აღდგენა.

3. ჟურნალისტთა უფლებრივი მდგომარეობა აქციისას

აქციების მიმდინარეობისას ჟურნალისტთა უფლებების დარღვევის ფაქტები არაერთხელ დაფიქსირდა საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშებში.¹⁰⁴ გაიცა არაერთი რეკომენდაცია აქციების მიმდინარეობისას ჟურნალისტებისათვის პროფესიული საქმიანობის ეფექტურად განხორციელების შესახებ. თუმცა მსგავსი პრობლემა 2011 წლის 26 მაისის აქციების მიმდინარეობისასაც დაფიქსირდა.

ეუთოს სახელმძღვანელო პრინციპებში მშვიდობიანი აქციების შესახებ დიდი ყურადღება ექცევა აქციებზე მედიის ხელმისაწვდომობას. კერძოდ: „მედიის, როგორც „public watchdog“-ის, როლს საჯარო ინტერესის მქონე შემთხვევების შესახებ ინფორმაციისა და იდეების გავრცელება წარმოადგენს – ინფორმაციის, რომლის მიღების უფლებაც საზოგადოებას აქვს... შესაბამისად, მედიის წარმომადგენლები უნდა იყვნენ უზრუნველყოფილნი შეკრებებსა და პოლიციის მიერ განხორციელებულ ქმედებებზე რაც შეიძლება მეტი ხელმისაწვდომობით.“¹⁰⁵

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, 2011 წლის 26 მაისს, გამთენიისას, რუსთაველის გამზირზე მიმდინარე აქციის დაშლისას რიგ ჟურნალისტს ხელი შეეშალა პროფესიული საქმიანობის წარმართვაში. მათ ნაწილს სამართალდამცავებმა ჩამოართვა აპარატურა, ზოგიერთ მათგანს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს, ხოლო მათი ნაწილი გაურკვეველი სამართლებრივი საფუძვლით დააკავეს. ისინი მოგვიანებით გაათავისუფლეს. აღნიშნული ფაქტების შესასწავლად 2011 წლის 26–28 მაისს, საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენლები შეხვდნენ და ახსნა–განმარტებები ჩამოართვეს იმ ჟურნალისტთა ნაწილს, რომლებიც მათ მიმართ განხორციელებულ უფლებადარღვევებზე მიუთითებდნენ.

¹⁰⁴ იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2010 წლის ანგარიში ადამიანის უფლებებისა და თავსუფლებების მდგომარეობის შესახებ; გვ 236

¹⁰⁵ Guidelines on Freedom of Peaceful Assembly - Strasbourg- Warsaw, 9 July 2010, Study no. 581/2010, CDL-AD(2010)020 – European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), OSCE/ODIHR p.12

3.1 ფიზიკური შეურაცხყოფა

სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლები პასუხისმგებლები არიან ჟურნალისტების მიერ მოვლენების გაშუქების უფლების დაცვაზე, მიუხედავად შეკრების სამართლებრივი სტატუსისა და ძალადობის მშვიდობიანი საშუალებებით აღმოფხვრაზე... სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებს აქვთ კონსტიტუციური ვალდებულება, არ შეუშალონ ხელი ჟურნალისტებს პროფესიული საქმიანობის წარმართვაში საჯარო დემონსტრაციების დროს, ხოლო ჟურნალისტებს აქვთ პოლიციის მხრიდან სამართლებრივი და თავშეკავებული მოპყრობის კანონიერი მოლოდინი.¹⁰⁶

უდავოა, რომ როდესაც აქციების მიმდინარეობისას სამართალდამცავთა მიერ მასის მართვაზე ვსაუბრობთ, შესაძლებელია წარმოიშვას ისეთი ერთეული შემთხვევები, როდესაც რთული ხდება მედიის წარმომადგენელთა ამოცნობა აქციის რიგით წევრებს შორის. აღნიშნულმა შესაძლოა გაართულოს მათი პროფესიული საქმიანობის წარმართვა და გამოიწვიოს სამართალდამცავთა მხრიდან მათთვის გარკვეული დაბრკოლებების შექმნა. ამის თავიდან ასაცილებლად მედიის წარმომადგენლებს მსგავსი შემთხვევების გაშუქებისას კონკრეტული სახელმძღვანელო პრინციპების დაცვა ევალებათ. კერძოდ, *ჟურნალისტები პასუხისმგებელი არიან ჰქონდეთ მედიის წარმომადგენლის აშკარა მიდენტიფიცირებელი ნიშანი, თავი უნდა შეიკავონ დემონსტრაციაში მონაწილეობისგან... ჟურნალისტური ორგანიზაციები სამართალდამცველებთან ერთად უნდა შეთანხმდნენ იდენტიფიკაციის მისაღებ მეთოდზე და უნდა გადადგან აუცილებელი ნაბიჯები, რათა აღნიშნული ინფორმაცია მიეწოდოს მედიის წარმომადგენლებს.¹⁰⁷*

საქართველოს სახალხო დამცველისათვის მიცემულ ახსნა-განმარტებებში არაერთმა ჟურნალისტმა აღნიშნა, რომ სამართალდამცავებმა იმის ნაცვლად, რომ მიეცათ მათთვის პროფესიული საქმიანობის წარმართვის საშუალება, მათ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. ამასთან მათი აბსოლუტური უმრავლესობა აღნიშნავს, რომ ჰქონდა საიდენტიფიკაციო ნიშანი/სამსახურებრივი მოწმობა. უფრო მეტიც, მათი ნაწილის განმარტებით, აღნიშნული დოკუმენტაციის წარდგენის შემდგომაც მათი ფიზიკური შეურაცხყოფა არ შეწყვეტილა, ნაწილს კი საიდენტიფიკაციო ნიშნები ჩამოართვეს ან გაუნადგურეს.

ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს გაზეთ „ასავალ–დასავალის“ ჟურნალისტებს, გიორგი მამაცაშვილსა და ბექა სივსივამეს, რომლებიც, მათივე განმარტებით, აქციაზე პროფესიულ საქმიანობას ეწეოდნენ. გიორგი მამაცაშვილის განმარტებით, ბექა

¹⁰⁶ OSCE Representative on Freedom of the Media, Special Report: Handling of the media during political demonstrations, Observations and Recommendations (June ,2007);

¹⁰⁷ Ibid;

სივსივადმეს დაახლოებით 38–39 რეზინის ტყვია მოხვდა. ორივე მათგანმა სპეც. რაზმელებს წარუდგინა პრესის მოწმობა. სპეციალური დანიშნულების რაზმის წევრებმა ერთ–ერთი მათგანის აკრედიტაციის ბარათი წაიღეს, ხოლო მეორე მათგანის მოწმობა კი გადაადგეს. ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს „ინტერპრესნიუსის“ ჟურნალისტს, მალხაზ ჭკადუას და „ექსპრესნიუსის“ ჟურნალისტს, თენგი ოყუჯავას. მიუხედავად იმისა, რომ მათ სამართალდამცავებს წარუდგინეს პრესის ბარათი, მალხაზ ჭკადუას თავის არეში რამდენჯერმე ხელკეტი ჩაარტყეს, დააწვინეს მიწაზე, დაადეს ბორკილები და ამის შემდგომაც განაგრძეს ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება.

ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს „ინტერპრესნიუსის“ კორესპონდენტს დარეჯან პაატაშვილს. მიუხედავად იმისა, რომ მან სპეც. რაზმის წარმომადგენელს წარუდგინა პრესის მოწმობა და პრესისთვის განკუთვნილი სპეციალური ჟილეტი ეცვა, ჩამოგლიჯეს მოწმობა ყელიდან, ხოლო ერთ–ერთმა მათგანმა ყელის არეში ხელი წაუჭირა და კამერა წაართვა.

საქართველოს სახალხო დამცველისათვის მიცემულ ახსნა–განმარტებებში ფიზიკურ შეურაცხყოფაზე ასევე საუბრობენ ტელეკომპანია „პირველი კავკასიურის“ თანამშრომლები გრიგოლ ლოხიშვილი და გოგიტა ხარებავა. კერძოდ, ამ უკანასკნელს სპეცდანიშნულების წევრმა ფიზიკური დაზიანება მიაყენა ზურგისა და თავის არეში. ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს შპს „ბათუმელების“ ვებგვერდ „netgazeti.ge“-ის ჟურნალისტს, თამაზ კუპრეიშვილს. კერძოდ, მიუხედავად იმისა, რომ მას პრესისთვის განკუთვნილი სპეციალური ჟილეტი ეცვა, სპეცდანიშნულების რაზმის წარმომადგენელმა მას ფეხებზე და ზურგის არეში რეზინის ხელკეტით ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აშკარაა, რომ იმ ჟურნალისტთა უმრავლესობას, რომელმაც საქართველოს სახალხო დამცველს მიმართა აქციების გაშუქებისას, რიგ შემთხვევაში ჰქონდათ განმასხვავებელი ნიშანი და სამსახურებრივი მოწმობა. მიუხედავად ამისა, სამართალდამცავებმა არათუ უზრუნველყვეს მათი პროფესიული საქმიანობის წარმართვა და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა, არამედ რიგ შემთხვევაში თავად დაარღვიეს მათი უფლებები.

3.2 ტექნიკის ჩამორთმევა და დაზიანება

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს არაერთხელ აღუნიშნავს, რომ კონვენციის მე-10 მუხლი იცავს არა მხოლოდ ინფორმაციისა და იდეების შინაარსს, არამედ - მათი გადმოცემის საშუალებებსაც. აღნიშნული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი ჟურნალისტებს ანიჭებს დაცვის ფართო არეალს, რომელიც მოიცავს მათი გადაცემების, პუბლიკაციების მოსამზადებელ სამუშაოებს, როგორებიცაა ჟურნალისტების მიერ

განხორციელებული კვლევები და გამოძიებები¹⁰⁸. აქ იგულისხმება შემთხვევის ადგილზე ინფორმაციის მოძიებაც შემდგომ მისი საზოგადოებისთვის გადაცემის მიზნით.

„კრიზისის დროს გამოხატვის თავისუფლებისა და ინფორმაციის დაცვის შესახებ ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის სახელმძღვანელო პრინციპები“ ხაზს უსვამს, რომ მედიის მიერ კრიზისულ პერიოდში დროული, ზუსტი და ყოვლისმომცველი ინფორმაციის გავრცელება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია“.

აქციების მიმდინარეობის ან მათი დაშლის გაშუქებისას გასათვალისწინებელია, ერთი მხრივ, რამდენად აქვთ მედიის წარმომადგენლებს აუცილებელი ინფორმაციის მიღების საშუალება, ხოლო, მეორე მხრივ, რამდენად აქვთ საშუალება მისი გავრცელებისა. საქართველოს სახალხო დამცველისადმი მიცემულ ახსნა-განმარტებებში ჟურნალისტების აბსოლუტური უმრავლესობა მათთვის ტექნიკური საშუალებების ჩამორთმევაზე, მათ დაზიანებასა და მოპოვებული მასალის განადგურებაზე საუბრობს.

კერძოდ, „გურია ნიუსის“ ჟურნალისტი ნატო გოგელია ფოტოაპარატით იღებდა აქციაზე მიმდინარე მოვლენებს. მასთან მივიდნენ სპეცდანიშნულების რაზმის წარმომადგენლები, ერთ-ერთმა მათგანმა ჩამოართვა კუთვნილი ფოტოაპარატი, მახსოვრობის ბარათი ამოიღო და ფოტოაპარატი დააზიანა. კამერა ჩამოართვეს ტელეკომპანია „პირველი კავკასიურის“ თანამშრომელს, გრიგოლ ლოხიშვილს, ვიდეოკამერა წაართვეს ამავე ტელეკომპანიის თანამშრომელს, სერგო გელაშვილსაც, მას ვიდეოკამერა გათავისუფლების შემდეგ დაუბრუნეს, თუმცა, მისი განმარტებით, კამერიდან აქციის დაშლის ამსახველი კადრები (მეხსიერების ბარათი) წაშლილი იყო. ფლიპკამერა წაართვეს „ინტერპრესნიუსის“ კორესპონდენტს, დარეჯან პაატაშვილს. ვიდეოკამერა და ფოტოაპარატი წაართვეს შპს „ბათუმელების“ ვებგვერდ „netgazeti.ge“-ის ჟურნალისტებს, თამაზ კუპრეიშვილსა და ნესტან ცეცხლაძეს;

აღსანიშნავია, რომ ჟურნალისტის იძულება, თავი შეიკავოს ინფორმაციის მოპოვების ან გავრცელებისაგან, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 153-ე მუხლით (სიტყვის თავისუფლების ხელყოფა) და 154-ე მუხლით (ჟურნალისტის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა) გათვალისწინებული დანაშაულებია. *წინასწარ განზრახული მცდელობა, კონფისკაცია გაუკეთონ, დააზიანონ ან გატეხონ ჟურნალისტის აღჭურვილობა, რათა არ მოხდეს მოვლენების გაშუქება, არის სისხლის სამართლის დანაშაული და პირები უნდა მიეცნენ კანონით დადგენილ პასუხისგებაში. ხელისუფლების მიერ ბეჭდური მასალის, ვიდეოების, ხმების ამსახველი კლიპების ან სხვა რეპორტაჟების ჩამორთმევა არის პირდაპირი ცენზურა, რაც საერთაშორისო სტანდარტებით აკრძალულია.*¹⁰⁹

¹⁰⁸ Sunday Times v UK (No 2) A 217 (1991), Dammann v Switzerland (2006) Para 52

¹⁰⁹ Ibid;

მოგვიანებით ჟურნალისტებმა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წინააღმდეგ, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას მიმართეს. სასამართლომ სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტექნიკის ღირებულების ანაზღაურება დააკისრა. კერძოდ, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ აღნიშნული საქმე 2011 წლის 12 დეკემბერს განიხილა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დააკისრა თამაზ კუპრეიშვილის ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანისთვის 30 ლარის, ნატო გოგელიასთვის 17 ლარის, ხოლო კონსტანტინე სტალინსკისთვის 12 ლარის ანაზღაურება, გაზეთ „ბათუმელებისათვის“ კი – ორივე კამერის დაკარგვით მიყენებული ზიანის, 1940 ლარისა და 40 თეთრის ანაზღაურება. აღნიშნული თავისთავად დადებითი ფაქტია, თუმცა, სამწუხაროდ, აქციის დაშლისას ჟურნალისტები არა მხოლოდ მატერიალურად დაზარალდნენ, არამედ, მათ პროფესიული მოვალეობის შესრულებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინფორმაცია დაკარგეს.

3.3 სამართალდამცავების მიერ მედიის წარმომადგენელთა დაკავება

საქართველოს სახალხო დამცველისათვის მიცემული ახსნა-განმარტებებიდან და გავრცელებული ინფორმაციიდან გაირკვა, რომ 2011 წლის 26 მაისის აქციის დაშლისას, სამართალდამცავებმა მედიის რამდენიმე წარმომადგენელი დააკავეს. მათი აბსოლუტური უმრავლესობა მოგვიანებით გაათავისუფლეს, ზოგი პოლიციის შენობებში გადაყვანის შემდგომ, ნაწილი კი გარკვეული პერიოდის შემდეგ აქციის ადგილიდან. როგორც წესი, ისინი გაათავისუფლეს რედაქციის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ან რიგ შემთხვევაში ნაცნობ პირთა შუამდგომლობით.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მედიის წარმომადგენლები დააკავეს სამსახურებრივი მოწმობებისა და შესაბამისი საიდენტიფიკაციო ნიშნების წარდგენის მიუხედავად.¹¹⁰ აქვე დავსძენთ, რომ მედიის არც ერთი წარმომადგენლის დაკავების შესახებ დოკუმენტაცია არ შემდგარა. მიუხედავად ამისა, მათ ფაქტობრივად თავისუფლება აღკვეთილი ჰქონდათ. მათ შორის სამართალდამცავებმა მათ მიმართ გამოიყენეს შეზღოვების საშუალება – ხელბორკილი.

„პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ხელბორკილი და შეზღოვების საშუალება გამოიყენება დანაშაულის ან საზოგადოებრივად საშიში ქმედების ჩამდენი პირის მიმართ, რომელიც უძალიანდება ან შეიძლება გაუძალიანდეს პოლიციელს, ან ცდილობს გაქცევას, დაკავებულის და დაპატიმრებულის ბადრაგირებისას, თუ პირს თავისი საშიში მოქმედებით შეუძლია

¹¹⁰ დააკავეს „ინტერპრესნიუსის“ ჟურნალისტი მალხაზ ჭკადუა და „ექსპრესნიუსის“ ჟურნალისტი თენგიზ ოყუჯავა, გაზეთ „ასავალ-დასავალის“ ჟურნალისტები გიორგი მამაცაშვილი და ბექა სივსივაძე, ტელეკომპანია „პირველი კავკასიურის“ თანამშრომელი სერგო გელაშვილი, „ბათუმელების“ ვებ-გვერდ „netgazeti.ge“-ის ჟურნალისტი ნინო კახიშვილი;

ზიანი მიაყენოს თავის თავსა და გარეშე პირს. აშკარაა, რომ 26 მაისს მედიის წარმომადგენლებს უკანონოდ აღეკვეთათ თავისუფლება. აღნიშნული სრულიად ეწინააღმდეგება ამ სფეროში არსებული როგორც შიდა, ისე საერთაშორისო სტანდარტებს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სამართალდამცავებს ეკისრებათ ვალდებულება უზრუნველყონ ჟურნალისტების მუშაობის თავისუფლება, ამისათვის მათ უნდა აღვეთონ ნებისმიერი მცდელობა, რომელიც აღნიშნული უფლების წინააღმდეგ იქნება მიმართული. მით უფრო დაუშვებელია მსგავსი ქმედებები სამართალდამცავი ორგანოებისა და საჯარო მოხელეების მიერ.

აღნიშნულ თავში განხილულ დარღვევებზე საქართველოს სახალხო დამცველმა 2011 წლის 30 მაისს რეკომენდაციით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურორს, თუმცა მასზე გატარებული ღონისძიებების შესახებ პროკურატურიდან პასუხი არ მიგვიღია.

4. აქციის მიმდინარეობისას სამართალდამცავთა ქმედებებზე არაადეკვატური რეაგირება

სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებს უნდა დაეკისროთ სამოქალაქო, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ანდა დისციპლინური სანქცია იმ შემთხვევაში, თუ ძალის გამოყენება არ იყო კანონით გათვალისწინებული ან გადაჭარბებული ძალა გამოიყენეს. სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებს უნდა დაეკისროთ პასუხისმგებლობა მაშინაც, თუ ისინი არ ჩაერევინან სხვა თანამშრომლების მიერ გადამეტებული ძალის გამოყენებისას. სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლის მიერ პირის ფიზიკური დაზიანების ან სიცოცხლის ხელყოფის დროს ეფექტური, დამოუკიდებელი და სწრაფი გამოძიება უნდა ჩატარდეს.¹¹¹

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა მიხედვით პოლიციის მიერ არასათანადო მოპყრობის შემთხვევები სახელმწიფომ სათანადოდ უნდა გამოიძიოს.¹¹² სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, გამოძიება უნდა იყოს დამოუკიდებელი, ეფექტური, დეტალური და დროში გონივრულად გაწერილი.¹¹³

აღნიშნული პრობლემა საქართველოსთვის წლების განმავლობაში იყო დამახასიათებელი. შესაბამისად, საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშებში არაერთხელ იქნა გამახვილებული ყურადღება ამ პრობლემაზე. ამის აღნიშვნის

¹¹¹ Guidelines on Freedom of Peaceful Assembly - Strasbourg- Warsaw, 9 July 2010, Study no. 581/2010, CDL-AD(2010)020 – European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), OSCE/ODIHR

¹¹² Stoica v. Romania, no 42722/02, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2008, პარაგრაფი 67.

¹¹³ Mikheyev v. Russia, no 77617/01, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2006 Assenov v. Bulgaria, no 24760/94, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 1998; Zelilof v. Greece no 17060/03, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2007; Yüksel v. Turkey, no 40154/98, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 2004, Muradova v. Azerbaijan, 22684/05, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2009.

საფუძველს თავად საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციები იძლევა, რომელთა ნაწილსაც არაადეკვატური რეაგირება მოჰყვა.

აღნიშნულ თავში გაანალიზებულ სამივე შემთხვევაზე¹¹⁴ საქართველოს სახალხო დამცველმა რეკომენდაციებით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურორს. 2 რეკომენდაციას რეაგირება მოჰყვა, ხოლო 1 მათგანზე გატარებული ღონისძიებები (ქარხანა „ჰერკულესის“ მიმდებარე ტერიტორიაზე დაშლილი აქცია) ჩვენთვის უცნობია.

მიუხედავად ამისა, საქართველოს სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ გატარებული ღონისძიებები არ არის საკმარისი:

ა. 2011 წლის 5 იანვარს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, 2011 წლის 3 იანვარს თბილისში, გმირთა მოედანზე ვეტერანთა აქციის დაშლაში მონაწილე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი, ოთარ გვენეტაძე, გათავისუფლებულ იქნა დაკავებული თანამდებობიდან პოლიციის ეთიკის ნორმების დარღვევის გამო.

ბ. 2011 წლის 26 მაისს სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა მიერ უფლებამოსილების გადამეტების ფაქტებზე გამოძიების დაწყების მოთხოვნით საქართველოს სახალხო დამცველმა საქართველოს მთავარ პროკურორს მიმართა. ამავე წლის 30 მაისს საქართველოს მთავარ პროკურორს გადაეგზავნა საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაცია 2011 წლის 26 მაისის აქციის დაშლისას სამართალდამცავების მიერ ჟურნალისტთა უფლებების დარღვევის ფაქტებზე რეაგირების შესახებ.

2011 წლის 12 აგვისტოს პასუხად გვეცნობა, რომ საქართველოს პროკურატურამ ჩაატარა გამოძიება და მიიჩნია, რომ სამართალდამცველთა ქმედებები არ შეიცავდა დანაშაულის ნიშნებს და იკვეთებოდა მხოლოდ დისციპლინური გადაცდომის ნიშნები. გამოძიებამ აღნიშნულ ფაქტებზე მასალები შემდგომი რეაგირებისათვის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციას გადაუგზავნა. შედეგად, 2011 წლის 26 მაისს, რუსთაველის გამზირზე აქციის დაშლაში მონაწილე 16 პოლიციელი დისციპლინური წესით დაისაჯა. მათ მიმართ გამოყენებულ იქნა სხვადასხვა სახის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა, მათ შორის 4 შემთხვევაში დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლება.

მიგვაჩნია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ განხორციელებული რეაგირება მნიშვნელოვანია, თუმცა არასაკმარისი.

2011 წლის 3 იანვარს ე.წ. „ვეტერანების“ აქციის დაშლის შემთხვევაში განხორციელებული რეაგირება საქართველოს სახალხო დამცველის მიერ დადებითად

¹¹⁴ 2011 წლის 3 იანვრის „ვეტერანთა“ აქციის დაშლა, 2011 წლის 26 მაისს აქციისას არაპროპორციული ძალის გამოყენება და ჟურნალისტთა უფლებების დარღვევა და 2011 წლის 13 და 15 სექტემბერს ქარხანა „ჰერკულესის“ მიმდებარე ტერიტორიაზე მიმდინარე აქციის დაშლა.

შეფასდა. თუმცა ამ კონკრეტულ შემთხვევაში შესაფასებელია სხვა გარემოებებიც. კერძოდ, აუცილებელია დადგინდეს, რის საფუძველზე ითხოვდნენ საპატრულო პოლიციის თანამშრომლები აქციის შეწყვეტას; ფიზიკური დაზიანებები, რომლებიც აღნიშნებოდათ დაკავებულ პირებს – შოთა იამანიძესა და მალხაზ თოფურიას ვის მიერ იქნა მიყენებული, რა სამართლებრივი სტატუსით იმყოფებოდნენ ადგილზე სამოქალაქო ფორმაში მყოფი პირები, რომლებიც რიგ შემთხვევაში აკავებდნენ აქციის მონაწილეებს, შეფასდეს აღნიშნული ფაქტის გარშემო არსებული გარემოებები, რათა დადგინდეს არის თუ არა სახეზე სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები.

რაც შეეხება 2011 წლის 26 მაისს, როგორც ჩვენთვის ცნობილია, აღნიშნული ფაქტის გამო, პასუხისმგებლობაში მიეცნენ მხოლოდ ის პირები, რომლებმაც უშუალოდ აქციის დაშლისას გადაამეტეს საკუთარ უფლებამოსილებას. აუცილებელია გაგრძელდეს ძიება ყველა იმ ფაქტზე, რომლებიც საქართველოს სახალხო დამცველისთვის გახდა ცნობილი და შესწავლისა და შემდგომი რეაგირებისთვის გადაეგზავნა საქართველოს მთავარ პროკურატურას. დაფიქსირებულ უფლებადარღვევათა ნაწილი შეიცავდა დანაშაულის ნიშნებს და, შესაბამისად, სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან საჭიროა მათზე ადეკვატური რეაგირება და უფლებადამრღვევთა პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება.

სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას წარმოადგენს თითოეული ადამიანის უფლებისა და თავისუფლების დაცვა და მათი უზრუნველყოფა. მათ შორის ადამიანის უფლების დარღვევაზე ადეკვატური ღონისძიებების გატარება. „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „*საქართველოს პოლიცია არის აღმასრულებელი ხელისუფლების განმახორციელებელი სამართალდამცავი, სპეციალური, პოლიციური და გასამხედროებული დაწესებულებების სისტემა, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და წესრიგის, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან*“. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, როდესაც საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და წესრიგის, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ძირითადი გარანტორი თვითონ არის უფლებადამრღვევი, სწრაფი, ეფექტური და ადეკვატური ღონისძიებების განხორციელების აუცილებლობა კიდევ უფრო მწვავედ დგება დღის წესრიგში.

5. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვასთან დაკავშირებული პრობლემები

2009 წლისა და 2010 წლის საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშებში ვრცლად იყო გაანალიზებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვასთან დაკავშირებული პრობლემები.¹¹⁵

საანგარიშო პერიოდში გაანალიზდა ჩვენს ხელთ არსებულ კონკრეტულ საქმეებთან დაკავშირებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ გამოტანილი 2011 წლის 26 მაისს დაკავებულ პირთა დადგენილებებიც. ვინაიდან მათი დეტალური ანალიზი მოცემულია სამართლიანი სასამართლოს თავში, აღნიშნულ ქვეთავში ამ საკითხზე ყურადღებას აღარ გავამახვილებთ. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მათი შესწავლის შედეგად აშკარაა, რომ ის პრობლემები, რომლებზეც საუბარიც 2009 წლის მეორე ნახევრის ანგარიშსა და 2010 წლის ანგარიშში გვქონდა, კვლავ აქტუალური რჩება.

რეკომენდაციები:

რეკომენდაციით მივმართავთ საქართველოს მთავარ პროკურორს, რათა პროკურატურამ გააგრძელოს ძიება 2011 წლის 26 მაისს აქციის დაშლისას მომხდარ ყველა იმ ფაქტზე, რომლებიც საქართველოს სახალხო დამცველისთვის გახდა ცნობილი და შესწავლისა და შემდგომი რეაგირებისთვის გადაეგზავნა საქართველოს მთავარ პროკურატურას. დაფიქსირებულ უფლებადარღვევათა ნაწილი, მათ შორის ჟურნალისტთა მიმართ განხორციელებული ქმედებები, შეიცავდა რა დანაშაულის ნიშნებს, შესაბამისად, საჭიროა სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან მათზეც ადეკვატური რეაგირება და უფლებადამრღვევთა პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება;

რეკომენდაციით მივმართავთ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს, სამინისტროს მიერ გატარდეს სათანადო ღონისძიებები, რათა მისი სტრუქტურული ქვედანაყოფის თანამშრომლებს შეკრება-მანიფესტაციის დაშლის ტექნიკასთან დაკავშირებით ჩაუტარდეთ სპეციალური ტრენინგები, რომლებიც მისცემს მათ შესაძლებლობას, ადგილზე მოახდინონ კონკრეტულ სამართალდამრღვევთა დიფერენციაცია, მასის მართვა და კანონის მოთხოვნათა დარღვევით მიმდინარე აქციის შეწყვეტა ძალის მინიმალური და პროპორციული გამოყენებით;

რეკომენდაციით მივმართავთ საქართველოს მთავარ პროკურორს, რათა პროკურატურამ გამოიძიოს ქ.ქუთაისში ქარხანა „ჰერკულესის“ მიმდებარე ტერიტორიაზე აქციის უკანონოდ დაშლის ფაქტი.

¹¹⁵ საქართველოს სახალხო დამცველის 2009 წლის მეორე ნახევრის ანგარიში, სამართლიანი სასამართლოს უფლება, გვ.144; საქართველოს სახალხო დამცველის 2010 წლის ანგარიში შეკრებებისა და მანიფესტაციების თავისუფლება გვ. 218

რეკომენდაციით მიემართავთ მთავარ პროკურორს, პროკურატურის მიერ წარიმართოს ეფექტური გამოძიება 2011 წლის 3 იანვარს ე.წ. „ვეტერანების“ აქციის დაშლის ფაქტთან დაკავშირებით და გამოძიებით დადგინდეს:

ა) თუ რის საფუძველზე ითხოვდნენ საპატრულო პოლიციის თანამშრომლები აქციის შეწყვეტას;

ბ) ვის მიერ იქნა მიყენებული ფიზიკური დაზიანებები, რომლებიც აღნიშნებოდათ დაკავებულ პირებს – შოთა იამანიძესა და მალხაზ თოფურას;

გ) რა სამართლებრივი სტატუსით იმყოფებოდნენ ადგილზე სამოქალაქო ფორმაში მყოფი პირები, რომლებიც რიგ შემთხვევაში აკავებდნენ აქციის მონაწილეებს;

დ) შეფასდეს აღნიშნული ფაქტის გარშემო არსებული გარემოებები, რათა დადგინდეს არის თუ არა სახეზე კონკრეტული სისხლის სამართლის დანაშაული;

გამოხატვის თავისუფლება

შესავალი

საქართველოს ტერიტორიაზე თითოეული პირის უფლება, თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის პირველი პუნქტით. ამავე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, „მასობრივი ინფორმაციის საშუალებები თავისუფალია და ცენზურა აკრძალულია“.

სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება ასევე გარანტირებულია „სიტყვისა და გამოხატვის შესახებ“ საქართველოს კანონით, რომლის თანახმად, „სახელმწიფო ცნობს და იცავს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ფასეულობას“.

გამოხატვის თავისუფლების დაცვაზე ზედამხედველობა ყოველთვის წარმოადგენდა საქართველოს სახალხო დამცველის საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას. ისევე როგორც წინა წლებში, 2011 წელსაც დაფიქსირდა გამოხატვის თავისუფლების რეალიზებასთან დაკავშირებული პრობლემები. ამავდროულად იყო პოზიტიური წინსვლაც, რაც კანონმდებლობაში განხორციელებულ დადებით ცვლილებებს უკავშირდება. კერძოდ, 2011 წლის 19 აპრილს პარლამენტის მიერ „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებებით მაუწყებლების მფლობელთა ინფორმაცია საჯარო და გამჭვირვალე გახდა.

მიუხედავად იმისა, რომ მედიის თავისუფლების სფეროში კანონმდებლობის დახვეწის მიზნით საქართველოს საკანონმდებლო ხელისუფლებამ გარკვეული ნაბიჯები გადადგა, პრაქტიკაში კვლავ მრავალი პრობლემა რჩება. 2011 წელს, ისევე როგორც წინა წლებში, გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობისას არაერთი დარღვევა დაფიქსირდა. რიგ შემთხვევებში იზღუდებოდა ცალკეული პირების გამოხატვის თავისუფლება. დაფიქსირდა ჟურნალისტების პროფესიულ საქმიანობაში ჩარევის, მათი დაკავების, ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტები. ამასთან, ისევე როგორც წინა წლებში 2011 წელსაც პრობლემად რჩება ჟურნალისტების მიმართ განხორციელებული არამართლზომიერი ქმედებების გამოძიება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, საქართველოში პრესის თავისუფლების ინდექსი წინა წლებთან შედარებით სამწუხაროდ გაუარესდა. საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის „რეპორტიორები საზღვრების გარეშე“ მიერ გამოქვეყნებული კვლევის თანახმად, 2011 წელს საქართველომ, პრესის თავისუფლების კუთხით, 104-ე ადგილზე გადაინაცვლა, მაშინ, როდესაც, 2010 წელს 99-ე ადგილს იკავებდა.¹¹⁶ „Freedom House“-ს

¹¹⁶ http://en.rsf.org/press-freedom-index-2011-2012_1043.html

მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად კი, საქართველო კვლავ ნახევრად თავისუფალ ქვეყანათა რიცხვს მიეკუთვნება.¹¹⁷

შესაბამისად, აღნიშნულ თავში ყურადღება გამახვილებულია 2011 წლის განმავლობაში გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობისას დაფიქსირებულ დარღვევებზე, მიმოხილულია ჟურნალისტებისა და ცალკეული პირების გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის ფაქტები, ჟურნალისტების პროფესიული საქმიანობის ხელშეშლის, მუქარის, მათი დაკავებისა და ფიზიკური შეურაცხყოფის შემთხვევები. ამავე თავში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სამართალდამცავი ორგანოების მიერ იმ საქმეების გამოძიების ხარისხის შეფასებას, რომლებიც ჟურნალისტურ საქმიანობასთან არის დაკავშირებული.

1. ცალკეული პირების გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა

საქართველოს სახალხო დამცველმა შეისწავლა პოლიტიკური მოძრაობა „თავისუფალი საქართველო“ იმერეთის რეგიონის თავმჯდომარის, გიორგი წულაიას საქმე. კერძოდ, 2011 წლის 18 მაისს, დაახლოებით 13:30 სთ–ზე, გიორგი წულაიამ, ქ.ქუთაისში პუშკინის ქუჩაზე მდებარე ნავის გადასატან კონტეინერზე წარწერა გააკეთა.

გიორგი წულაიას განმარტებით, წარწერის გაკეთების შემდეგ, მასთან საპატრულო პოლიციის წარმომადგენლები მივიდნენ და დააკავეს. გიორგი წულაიას განმარტებით, მას საპატრულო პოლიციის წარმომადგენლებისთვის წინააღმდეგობა არ გაუწევია. აღნიშნული დასტურდება წარმოდგენილი ვიდეომასალითაც.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში წარმოდგენილი დოკუმენტაციის, კერძოდ, ადმინისტრაციული დაკავების ოქმის თანახმად, გიორგი წულაია ქ.ქუთაისში, პუშკინის ქუჩაზე, თვითნებურად აკეთებდა წარწერას ურნებზე. მიუხედავად იმისა, რომ მიეცა მითითება, შეეწყვიტა აღნიშნული ქმედება, გიორგი წულაია ბოროტად არ დაემორჩილა საპატრულო პოლიციის თანამშრომლის მოთხოვნას. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის თანახმად, გიორგი წულაია დაკავებულ იქნა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 150–ე (პირველი ნაწილი) (თვითმმართველი ერთეულის იერსახის დამახინჯება) და 173–ე (სამართალდამცავი ორგანოს მუშაკის, სამხედრო მოსამსახურის, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლის ან აღსრულების პოლიციელის კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა) მუხლების საფუძველზე.

აღსანიშნავია, რომ გიორგი წულაიას განცხადებიდან და ჩვენს ხელთ არსებული ვიდეომასალიდან არ იკვეთება საპატრულო პოლიციის თანამშრომლის მოთხოვნა, შეეჩერებინა გიორგი წულაიას თავისი ქმედება.

¹¹⁷ <http://freedomhouse.org/report/freedom-press/2011/georgia>

მიუხედავად ამისა, 2011 წლის 18 მაისს, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებული დადგენილების თანახმად, „ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის მასალებისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის მონაწილე პირთა ახსნა-განმარტებების ერთობლივი გამოკვლევა-შეფასების შედეგად, სასამართლომ დადგინილად მიიჩნია ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის შემთხვევის არსებობა და გიორგი წულაიას ბრალულობა მის ჩადენაში“. შესაბამისად, სასამართლომ გიორგი წულაია ცნო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლის საფუძველზე და ადმინისტრაციულ სახდელად დააკისრა ჯარიმის (400 ლარი) გადახდა. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, სასამართლოს საერთოდ არ უმსჯელია, ჰქონდა თუ არა ადგილი საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 150-ე მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევას.

საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის თანახმად, „ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით“. გამოხატვის თავისუფლება, ასევე, უზრუნველყოფილია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლით, რომლის თანახმად, „ყველას აქვს აზრის გამოხატვის თავისუფლება. ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას, გააჩნდეს საკუთარი შეხედულება, მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია ან იდეები საჯარო ხელისუფლების ჩაურევლად და სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად“.

აღნიშნული უფლება შეიძლება დაექვემდებაროს მხოლოდ ისეთ შეზღუდვებს, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით, ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში.

აღსანიშნავია, რომ გამოხატვის თავისუფლება ფართო ცნებაა. პირმა თავისი აზრი შესაძლოა სხვადასხვა ფორმით, სხვადასხვა საშუალებით გამოხატოს. მათ შორის იგულისხმება ნახატები¹¹⁸, წიგნები, კარიკატურები, ფილმები, ინტერვიუები, საინფორმაციო ბროშურები¹¹⁹, რომლებიც შეიძლება იყოს ნებისმიერი სახისა და შინაარსის. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი იცავს არა მხოლოდ იდეებისა და ინფორმაციის შინაარსს, არამედ მათი გავრცელების საშუალებებსა და ფორმებსაც¹²⁰.

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრეცედენტული სამართლის თანახმად, გამოხატვის თავისუფლება ვრცელდება არა მხოლოდ ჩვეულებრივ, არამედ შოკისმომგვრელ, ამაღელვებელ და შეურაცხმყოფელ ინფორმაციასა და იდეებზე. ამასთან, როდესაც გამოხატვის თავისუფლება უკავშირდება პოლიტიკურ საქმიანობას ან საზოგადოებისთვის მაღალი ინტერესის მქონე საკითხს, ევროპის ადამიანის

¹¹⁸ Muller v Switzerland (App. 10737/84), 24 May 1988, Series A No 133, (1991) 13 EHRR 212

¹¹⁹ Open Door Councelling and Dublin Well Woman v Ireland Apps. 14234/88 and 14235/88), 29 October 1992, Series A No 246 (1993) 15 EHRR 244;

¹²⁰ Oberschlick v. Austria judgment of 23 May 1991, Series A no. 204, p. 25, para. 57.

უფლებათა კონვენციის მე-10 მუხლის მეორე პუნქტით დადგენილი შეზღუდვის ფარგლები მცირდება¹²¹.

2011 წლის 18 მაისს ქ.ქუთაისში გიორგი წულაიას მიერ განხორციელებული ქმედება, კერძოდ კი, ნაგვის გადასატან კონტეინერზე წარწერის გაკეთება, ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-10 მუხლით დაცულ სფეროში თავსდება. სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების მიერ აღნიშნული ქმედების განხორციელებისას გიორგი წულაიას დაკავება კი მისი გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობის უფლებაში პირდაპირი ჩარევაა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის თანახმად, გიორგი წულაია დაკავებულ იქნა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 150-ე (პირველი ნაწილი) *(თვითმმართველი ერთეულის იერსახის დამახინჯება)* და 173-ე *(სამართალდამცავი ორგანოს მუშაკის, სამხედრო მოსამსახურის, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლის ან აღსრულების პოლიციელის კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა)* მუხლების საფუძველზე. იმისთვის, რომ შეზღუდვა გამართლებული იყოს, პირველ რიგში, აუცილებელია, მას კანონი ითვალისწინებდეს.

საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 150-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად ითვლება: *„სხვადასხვა სახის წარწერების, ნახატების, სიმბოლოების თვითნებური შესრულება შენობათა ფასადებზე, ვიტრინებზე, ღობეებზე, სვეტებზე, ხე-ნარგავებზე, ასევე პლაკატების, ლოზუნგების, ბანერების განთავსება ისეთ ადგილებზე, რომლებიც საამისოდ არ არის გამოყოფილი, ღობეებისა და შენობების შეუღებავად მიტოვება“*. აღნიშნული მუხლის დისპოზიცია იძლევა სრულ ჩამონათვალს იმ ადგილებისას, რომლებზეც სხვადასხვა სახის წარწერების, ნახატებისა თუ სიმბოლოების გაკეთება ადმინისტრაციული სამართალდარღვევაა. შესაბამისად, საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 150-ე მუხლის პირველი ნაწილის გამოყენება გიორგი წულაიას ქმედების მიმართ არასწორია.

რაც შეეხება საპატრულო პოლიციის თანამშრომლის კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობას, აღვნიშნავთ, რომ ჩვენს ხელთ არსებული ვიდეომასალიდან ჩანს, რომ გიორგი წულაიამ შეწყვიტა ურნაზე წარწერის გაკეთება საპატრულო პოლიციის თანამშრომლის ადგილზე მისვლისთანავე. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ მას არანაირი წინააღმდეგობა სამართალდამცავთათვის არ გაუწევია, იგი, როგორც უკვე აღვნიშნეთ დააკავეს საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე და 150-ე მუხლის პირველი ნაწილით. თუმცა, იმ მსჯელობის გათვალისწინებით, რომ გიორგი წულაიას ქმედება არ თავსდება ასკ-ის 150-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ სამართალდარღვევაში, თავად

¹²¹ *Wingrove v. the United Kingdom, judgment of 25 November 1996, Reports 1996-V, p. 1957, § 58*

სამართალდამცავთა მოთხოვნა მისდამი, შეეწყვიტა ურნაზე წარწერის გაკეთება, ვერ იქნება მიჩნეული კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობად.

ამ შემთხვევაში კანონით გათვალისწინებული არ არის შეზღუდვა, რომელიც ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-10 მუხლის მეორე პუნქტით გათვალისწინებული ჩარევის გამამართლებელ საფუძვლად ვერ იქნება მიჩნეული. ვინაიდან საქართველოს კანონმდებლობა ასეთ შემთხვევებს არ ითვალისწინებს, ჩარევის სხვა გამამართლებელი საფუძვლების ანალიზის საჭიროება აღარ არსებობს. ამდენად, აღნიშნულ შემთხვევაში საპატრულო პოლიციის თანამშრომლების მიერ გიორგი წულაიას დაკავებით განმცხადებელს შეეზღუდა საერთაშორისო/რეგიონული და საქართველოს კანონმდებლობით გარანტირებული გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობის უფლება.

2. მედიის წარმომადგენელთა უფლებრივი მდგომარეობა

მედია დემოკრატიისა და მისი განვითარების ძირითადი ელემენტია. მას, აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებებთან ერთად, ხშირად ხელისუფლების მეოთხე შტოსაც უწოდებენ. შესაბამისად, აუცილებელია მედიის თავისუფლების უზრუნველყოფა ყველა იმ საშუალებით, რომლებიც ხელს შეუწყობს მის ნორმალურ ფუნქციონირებასა და მისი, როგორც „Public Watchdog“-ის, როლის ეფექტურ განხორციელებას.

მედიის თავისუფლების უზრუნველყოფა სახელმწიფოსგან 3 ძირითადი ნაბიჯის გადადგმას გულისხმობს:

1. სახელმწიფო არ უნდა ჩაერიოს მედიის საქმიანობაში, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც დადგენილია/ნებადართულია საერთაშორისო სტანდარტებით;
2. სახელმწიფომ უნდა დაიცვას ჟურნალისტები ნებისმიერი სახის ძალადობისგან;
3. სახელმწიფომ უნდა შექმნას ისეთი პირობები, რომელთა არსებობაც მედიის თავისუფლების ხელშემწყობი იქნება;¹²²

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლით გარანტირებულია აზრის გამოხატვის თავისუფლება. ამავე მუხლის თანახმად, „ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას, გააჩნდეს საკუთარი შეხედულება, მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია ან იდეები საჯარო ხელისუფლების ჩაურევლად და სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად“. გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობისას მედიის წარმომადგენლები/ჟურნალისტები კისრულობენ გარკვეულ ვალდებულებებსა

¹²²Thomas Hammarberg, Commissioner for Human Rights, *Human Rights and Changing Media Landscape*, Council of Europe Publications, December 2011, p. 44

და პასუხისმგებლობას, რომელთა ფარგლები კონკრეტულ სიტუაციაზეა დამოკიდებული. აღნიშნული დადასტურებულია ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრეცედენტული სამართლით¹²³. ამასთან, ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-10 მუხლით დაცულია ჟურნალისტის გამოხატვის თავისუფლება იმ შემთხვევებში, როდესაც ისინი მოქმედებენ კეთილსინდისიერად და ჟურნალისტის ეთიკის ნორმების შესაბამისად გადასცემენ უტყუარ და ზუსტ ინფორმაციას¹²⁴.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის მეორე პუნქტი საუბრობს იმ სამ აუცილებელ პრინციპზე, რომელთა დაცვითაც გამართლებულია უფლების შეზღუდვა. იმისთვის, რომ შეზღუდვა იყოს გამართლებული, იგი უნდა იყოს კანონით გათვალისწინებული, უნდა ემსახურებოდეს კანონიერ მიზანს და უნდა იყოს აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში. ამ ტიპის შეზღუდვებს შესაძლოა დაექვემდებაროს ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ჟურნალისტები მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხებს ამუშებენ.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული თავისუფლების შეზღუდვა დაშვებულია როგორც ადამიანის უფლებათა საერთაშორისო/რეგიონული დოკუმენტებით, ისე საქართველოს კანონმდებლობით, ნებისმიერი სახის შეზღუდვის აუცილებლობა უნდა იყოს მკაცრად და დეტალურად რეგლამენტირებული. ამასთან, სახელმწიფომ უნდა გამოიყენოს თავის ხელთ არსებული ყველა საშუალება, რათა ჟურნალისტებს მიეცეთ თავიანთი საქმიანობის ეფექტურად განხორციელების შესაძლებლობა. სახელმწიფო ასევე კისრულობს ვალდებულებას, უზრუნველყოს ჟურნალისტთა ფიზიკური უსაფრთხოება და მათზე განხორციელებული ძალადობის შემთხვევაში, იქნება ეს სახელმწიფო ორგანოების წარმომადგენლების თუ კერძო პირების მხრიდან, მოახდინოს სწრაფი რეაგირება კანონდამრღვევთა პასუხისმგებლობის დასადგენად.

2.1. ჟურნალისტების პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, „*მასობრივი ინფორმაციის საშუალებები თავისუფალია და ცენზურა აკრძალულია*“. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 153-ე მუხლით დასჯადია სიტყვის თავისუფლების ხელყოფა, რაც გულისხმობს სიტყვის თავისუფლების ან/და ინფორმაციის მიღების ან გავრცელების უფლების განხორციელებისთვის უკანონოდ ხელის შეშლას, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ან/და ჩადენილს სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით. ამავე კოდექსის 154-ე მუხლის თანახმად, სისხლის სამართლებრივი წესით დასჯად ქმედებათა რიცხვს მიეკუთვნება ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა.

¹²³ *Handyside v. the United Kingdom*, judgment of 7 December 1976, Series A no. 24, p. 23, § 49 *in fine*

¹²⁴ *Fressoz and Roire v. France* [GC], no. 29183/95, § 54, ECHR 1999-I; *Monnat*, § 67; and *Pedersen and Baadsgaard v. Denmark* [GC], no. 49017/99, § 78, ECHR 2004-XI

სამწუხაროდ, ჟურნალისტთა საქმიანობაში ხელშემშლის ფაქტები, ისე, როგორც წინა წლებში, საანგარიშო პერიოდშიც დაფიქსირდა. საქართველოს სახალხო დამცველმა შეისწავლა 2011 წლის 30 სექტემბერს ქ.თელავში საპატრულო პოლიციის კახეთის სამმართველოს თანამშრომლის მიერ კახეთის საინფორმაციო ცენტრის ჟურნალისტისთვის პროფესიული საქმიანობის განხორციელებაში ხელის შეშლის და 2011 წლის 26 დეკემბერს ზუგდიდში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლების მიერ livepress.ge-ს ჟურნალისტების, თამარ ზანთარაიასა და ნინო თოლორაიას ჟურნალისტურ საქმიანობაში ხელის შეშლის ფაქტები.

პირველ შემთხვევაში, გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, 2011 წლის 30 სექტემბერს, კახეთის საინფორმაციო ცენტრის ჟურნალისტი ქ.თელავში პოლიტიკური მოძრაობა „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ დეპუტატობის კანდიდატის წარდგენას აშუქებდა. როდესაც ჟურნალისტმა დარბაზში მუშაობა დაასრულა, იგი შეკრებილ პირებს ვიდეოკამერით იღებდა თეატრის შენობის წინ, სადაც გაჩერებული იყო საპატრულო პოლიციის მანქანა. გადაღების დროს საპატრულო პოლიციის ერთ-ერთმა თანამშრომელმა ჟურნალისტს მოსთხოვა არ გადაეღო ტერიტორია, სადაც საპატრულო პოლიციის ეკიპაჟის მანქანა იყო გაჩერებული. საპატრულო პოლიციის თანამშრომელმა ჟურნალისტისთვის კამერის წართმევა სცადა, რის გამოც მედიის წარმომადგენელმა ტერიტორია დატოვა.

რაც შეეხება მეორე შემთხვევას, თამარ ზანთარაიას და ნინო თოლორაიას განმარტებით, 2011 წლის 26 დეკემბერს ისინი ზუგდიდის თეატრში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ ორგანიზებულ შეხვედრას აშუქებდნენ. ჟურნალისტების განმარტებით, უცნობმა მამაკაცმა მათ შენობაში შესვლის უფლება არ მისცა. შეხვედრის დასრულების შემდეგ ჟურნალისტები ვიდეოკამერით შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე მოქალაქეებისგან შეხვედრის შესახებ ინტერვიუს იღებდნენ და შენობიდან გამომსვლელ პირებს აფიქსირებდნენ. გადაღების პროცესში მათთან დაახლოებით 4 სამხედრო პირი მივიდა, რომლებმაც ჟურნალისტები გააფრთხილეს, შეეწყვიტათ გადაღება.

მოგვიანებით ჟურნალისტების განცხადებით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებმა მათ გადაღებული ვიდეომასალა წაუშალეს.

საქართველოს სახალხო დამცველმა მიმართა საქართველოს მთავარ პროკურატურას. თუმცა კახეთში მომხდარ ფაქტზე გამოძიება არ დაწყებულა იმ საფუძველით, რომ სამართალდამცავი ორგანოებისთვის არავის მიუმართავს, ხოლო ზუგდიდში მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურმა netgazeti.ge-ს მეშვეობით ბოდიში¹²⁵ მოიხადა.

¹²⁵ <http://netgazeti.ge/GE/86/law/7608/%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%93%E1%83%98%E1%83%90-%E1%83%90%E1%83%93%E1%83%92%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%95%E1%83%98-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%90>

მისასაღმებელია ის ფაქტი, რომ თავდაცვის სამინისტრომ აღიარა თავისი თანამშრომლების მიერ განხორციელებული ქმედების არამართლზომიერება, თუმცა, მიმაჩნია, რომ აღნიშნული ღონისძიება არ არის საკმარისი ჟურნალისტების უფლებების უზრუნველსაყოფად. აღნიშნულ შემთხვევებში აშკარაა სისხლის სამართლის კოდექსით დასჯადი ქმედების ჩადენის ნიშნები. შესაბამისად, მიმაჩნია, რომ აუცილებელია, დაიწყოს გამოძიება და შესაბამისი ღონისძიებები გატარდეს იმ პირთა მიმართ, რომელთა მხრიდანაც უხეშად დაირღვა საქართველოს კანონმდებლობა, რამაც გამოიწვია ჟურნალისტთა უფლებების დარღვევა.

2.2 ჟურნალისტებზე განხორციელებული მუქარის ფაქტები

2011 წლის განმავლობაში დაფიქსირდა ჟურნალისტზე მუქარის ფაქტებიც.

საქართველოს სახალხო დამცველს მიმართეს „ადამიანის უფლებათა ცენტრის“ ჟურნალისტმა გელა მთივლიშვილმა და ტელეკომპანია „თრიალეთის“ ჟურნალისტმა ლადო ბიჭაშვილმა. მოწოდებული ინფორმაციით, 2011 წლის 6 ნოემბერს გელა მთივლიშვილმა პირად ელექტრონულ ფოსტაზე კახეთის საოლქო პროკურატურის ყოფილი პროკურორისგან მუქარის წერილი მიიღო. რაც შეეხება ლადო ბიჭაშვილს, მისი განმარტებით, 2011 წლის 2 ნოემბრიდან მას და მის ხელმძღვანელებს 598 23 86 51 სატელეფონო ნომრიდან უკავშირდებოდნენ უცნობი პირები და უგზავნიდნენ შეურაცხმყოფელ მოკლე ტექსტურ შეტყობინებებს. ლადო ბიჭაშვილი აღნიშნავს, რომ შეტყობინებები იყო მუქარის შემცველი.

ორივე ჟურნალისტი აღნიშნულ ფაქტებს თავიანთ ჟურნალისტურ საქმიანობას უკავშირებს. მიუხედავად იმისა, რომ გელა მთივლიშვილმა მიმართა საქართველოს მთავარ პროკურატურას და საქართველოს სახალხო დამცველმაც მოითხოვა დეტალური ინფორმაცია საქმის მიმდინარეობის შესახებ, დღემდე მიღებული გადაწყვეტილებებისა და გატარებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია არ მიგვიღია. 2011 წლის 10 ნოემბერს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გორის რაიონულ სამმართველოში დაიწყო გამოძიება ვლადიმერ ბიჭაშვილის მიმართ განხორციელებული მუქარის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის 151-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. აღნიშნული საქმის ფარგლებში ვლადიმერ ბიჭაშვილი მოწმის სახით დაიკითხა.

დემოკრატიული სახელმწიფოს ვალდებულებაა, პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას თითოეულ ჟურნალისტს მისცეს საშუალება შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობა. აღნიშნული ვალდებულება გამომდინარეობს როგორც

[%83%A1-%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E2%80%93%E1%83%96%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%9D-%E1%83%A1%E1%83%95%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98.htm](#)

ჟურნალისტის უფლებიდან, განახორციელოს პროფესიული საქმიანობა, კანონის ფარგლებში მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, ისე საზოგადოების უფლებიდან, მუდმივად იღებდეს თავისთვის საინტერესო ინფორმაციას. შესაბამისად, მაშინ, როდესაც პროფესიული საქმიანობის გამო პრესისა და მედიის წარმომადგენლებს დევნიან და ფიზიკურად შეურაცხყოფენ, სახელმწიფო ვალდებულია ადეკვატური რეაგირება მოახდინოს. მან უნდა გაატაროს ყველა საჭირო ღონისძიება, რათა მსგავს შემთხვევებზე სწრაფი და ობიექტური გამოძიებით დადგინდეს ჭეშმარიტება.

2.3 მედიის წარმომადგენლების დაკავება

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გამოხატვის თავისუფლება მოიცავს პირის თავისუფლებას, მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია ან იდეები საჯარო ხელისუფლების ჩაურევლად და სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი იცავს არა მხოლოდ იდეებისა და ინფორმაციის შინაარსს, არამედ მათი გავრცელების საშუალებებსა და ფორმებსაც.¹²⁶ ამასთან, ჟურნალისტების საქმიანობა დაცულია როგორც ადგილზე ინფორმაციის მოძიებისას და მოსამზადებელი სამუშაოების მიმდინარეობისას, ისე ინფორმაციის საზოგადოებისთვის გადაცემის დროსაც.

მედიის წარმომადგენელთა დაკავება, მით უფრო, თუ მათი დაკავება მაღალი საზოგადოებრივი ინტერესით განპირობებულ ინფორმაციას უკავშირდება, ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევაა. აღნიშნული ზომა შეიძლება გამართლებულ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევებში, თუ სხვა ფუნდამენტური უფლებები სერიოზულად შეილახა, მაგალითად, სიმუღვილის ენის ან ძალადობის წაქეზების შემთხვევები¹²⁷.

არც ერთ პირს, მით უფრო მედიის წარმომადგენელს, არ უნდა ეშინოდეს, რომ მას კანონის ფარგლებში ინფორმაციის მოპოვებისა და გავრცელებისთვის დააკავებენ. მიუხედავად ამისა, საქართველოში 2011 წელს მედიის წარმომადგენლების/ჟურნალისტების დაკავების არაერთი ფაქტი დაფიქსირდა.

კერძოდ, 2011 წლის 26 სექტემბერს მედიასაშუალებებით გავრცელდა ინფორმაცია, რომ ჟურნალისტური საქმიანობის შესრულებისას სამაუწყებლო კომპანია „მანეტროს“ ჟურნალისტი შალვა რამიშვილი უცნობმა პირებმა ყვარლის რაიონში დააკავეს. აღნიშნულთან დაკავშირებით 2011 წლის 29 სექტემბერს საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა შალვა რამიშვილს ახსნა-განმარტება ჩამოართვეს.

¹²⁶ *Oberschlick v. Austria judgment of 23 May 1991, Series A no. 204, p. 25, para. 57; Jersild v. Denmark, judgment of 23 September 1994, Appl. no 15890/89, para 31*

¹²⁷ *CUMPĂNĂ AND MAZĂRE v. ROMANIA, App. 33348/96, 17 December 2004 [GC], (2005) 41 EHRR 200, ECHR 2004-X, Para 115*

ახსნა-განმარტებიდან ირკვევა, რომ 2011 წლის 18 სექტემბერს შალვა რამიშვილი, თანმხლებ პირებთან ერთად, ყვარლის რაიონში იმყოფებოდა, სადაც სატელევიზიო გადაცემისთვის – „აკრედიტაციის გარეშე“, სიუჟეტს ამზადებდა. როგორც შალვა რამიშვილი აღნიშნავს, ყვარლის რაიონში მდებარე საქართველოს პრეზიდენტის სახლის ტერიტორიაზე მასთან და მის გადამღებ ჯგუფთან სამოქალაქო ფორმაში ჩაცმული პირები მივიდნენ, ძალის გამოყენებით ავტომობილებში ჩასვეს და აღნიშნული ტერიტორია დაატოვებინეს. ახსნა-განმარტების თანახმად, სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმული პირები გარკვეული დროის განმავლობაში შალვა რამიშვილსა და მის თანმხლებ პირებს მანქანიდან გადმოსვლის ნებას არ აძლევდნენ. აღნიშნულ პირებს არ მოუხდენიათ საკუთარი თავის იდენტიფიცირება და არ შეუდგენიათ შესაბამისი ოქმი.

გარდა ამისა, შალვა რამიშვილის განცხადებით, სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმულმა პირებმა მას და მის თანმხლებ ჟურნალისტებს შესაბამისი დოკუმენტაციის შედგენის გარეშე ვიდეოაპარატურა ჩამოართვეს, რომლის ნაწილიც მოგვიანებით უკან დაუბრუნეს. შალვა რამიშვილის განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული დროის შემდეგ ის და მისი თანმხლები პირები გაათავისუფლეს, სამოქალაქო ფორმაში ჩაცმული პირები მათ ყვარლის საავტომობილო გზაზე, საქართველოს პრეზიდენტის სახლის მიმართულებით გადაადგილებაში კვლავ ხელს უშლიდნენ. ახსნა-განმარტების მიხედვით შალვა რამიშვილმა და მისმა თანმხლებმა პირმა – გიორგი მოსიაშვილმა სამოქალაქო ფორმაში ჩაცმულ პირებში შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები ამოიცნეს.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით საქართველოს სახალხო დამცველმა გამოძიების დაწყების რეკომენდაციით საქართველოს მთავარ პროკურატურას მიმართა. მიუხედავად ამისა, პასუხი საქართველოს მთავარი პროკურატურიდან ამ დრომდე არ მიგვიღია.

ჟურნალისტთა უფლებები დაირღვა 2011 წლის 26 მაისს, აქციის დაშლის დროსაც. კერძოდ, დაფიქსირდა მათთვის პროფესიული საქმიანობის განხორციელებაში ხელის შეშლა, ფიზიკური შეურაცხყოფა, აპარატურის ჩამორთმევა და დაზიანება, ასევე, რიგ შემთხვევებში, მათი დაკავება. ვინაიდან 2011 წლის 26 მაისს ჟურნალისტების უფლებრივი მდგომარეობის საკითხი დეტალურად არის განხილული აღნიშნული ანგარიშის „შეკრებებისა და მანიფესტაციების“ თავში, მასზე აქ აღარ შევჩერდებით.

2011 წელს საზოგადოების დიდი ყურადღება მიიქცია ე.წ.-მა „ფოტორეპორტიორების საქმემ“. მიუხედავად იმისა, რომ ეს შემთხვევა პირდაპირ არ უკავშირდება გამოხატვის თავისუფლებას, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ მისი აღნიშნულ თავში შეტანა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ 2011 წლის 7 ივლისს გავრცელდა ინფორმაცია ზურაბ ქურციკიძის (ევროპის ფოტოსააგენტოს წარმომადგენელი საქართველოში), ირაკლი გედენიძის (პრეზიდენტის ადმინისტრაციის პრესსამსახურის

ფოტოგრაფი), მისი მეუღლის ნათია გედენიძისა და გიორგი აბდალაძის (საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ფოტოგრაფი) დაკავების შესახებ. საგამომიებო ორგანოებმა მიიღეს გადაწყვეტილება სისხლის სამართლის საქმის მასალების გასაიდუმლოებასთან დაკავშირებით, რასაც სამოქალაქო საზოგადოების პროტესტი მოჰყვა.

2011 წლის 16 ივლისს საქართველოს სახალხო დამცველმა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის #8 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში დაკავებული ფოტორეპორტიორები მოინახულა. საქართველოს სახალხო დამცველი კონფიდენციალურად, ცალ-ცალკე გაესაუბრა ირაკლი გედენიძეს, გიორგი აბდალაძესა და ზურაბ ქურციკიძეს. საუბრისას სამივე ფოტორეპორტიორმა აღნიშნა, რომ მათ ნორმალურად ეპყრობოდნენ, მათზე რაიმე სახის ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლა არ მოუხდენიათ. გ. აბდალაძე და ზ. ქურციკიძე ითხოვდნენ მათ მიმართ წარმოებული სისხლის სამართლის საქმის მასალების გასაჯაროებას და აღნიშნული მოთხოვნით გ. აბდალაძე შიმშილობდა.

საქართველოს სახალხო დამცველი, კანონით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, სამწუხაროდ, მოკლებულია შესაძლებლობას, სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე გაეცნოს სისხლის სამართლის საქმეს, ხოლო თუ საქმის მასალებს მინიჭებული აქვს სახელმწიფო საიდუმლოების გრიფი, სათანადო პროცედურის არარსებობის გამო მათი გაცნობა პრაქტიკულად შეუძლებელია. ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეუძლებელია ჩვენ შევაფასოთ საქმის მასალების გასაიდუმლოების მიზანშეწონილობა და კანონშესაბამისობა.

საგამომიებო ორგანოებს აქვთ უფლებამოსილება სათანადო შემთხვევაში სისხლის სამართლის საქმის მასალები გასაიდუმლონ. ამავდროულად, იმის გათვალისწინებით, რომ ბრალდებულები ფოტორეპორტიორები იყვნენ, საზოგადოება, ბუნებრივია, დაინტერესებული იყო აღნიშნული საქმის გამოძიების შესახებ დამატებითი ინფორმაცია მიეღო.

მიგვაჩნია, რომ რიგ შემთხვევაში სახელმწიფო და საზოგადოების ინტერესებს შორის ბალანსის დაცვა რთულია. ამავდროულად, აუცილებელია, გადაწყვეტილების მიღებისას სახელმწიფომ გაატაროს ყველა სათანადო და შესაძლო ღონისძიება, რათა მაქსიმალურად იქნეს გათვალისწინებული როგორც სახელმწიფო, ისე საზოგადოების ინტერესი. კონკრეტულ შემთხვევაში გამოძიების მწარმოებელ ორგანოს ზუსტად უნდა შეეფასებინა კონკრეტული მტკიცებულებების შინაარსი და მათი გასაიდუმლოების საკითხი ინდივიდუალურად გადაეწყვიტა.

სწორედ ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოუწოდებთ გამოძიების მწარმოებელ ორგანოს იმ დოკუმენტების საქმის სხვა მასალებისაგან გამოჯენისაკენ, რომლებიც არ შეიცავდა სახელმწიფო საიდუმლოებას, მით უმეტეს, რომ საქმის მასალათა ნაწილი თვითონ მან გახადა საჯარო.

2. არაადეკვატური ღონისძიებები

დაუსჯელობა წარმოშობს უფრო მეტ ძალადობას, რაც არაპირდაპირ ცენზურას წარმოადგენს (Miklós Haraszti). თუ სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს ჟურნალისტების პროფესიულ საქმიანობაში ხელის შეშლის ფაქტების ეფექტურ და სწრაფ გამოძიებას, სამართალდამცავი ორგანოებისა და სასამართლო ხელისუფლების საქმიანობის ეფექტურობა კითხვის ნიშნის ქვეშ დგება.¹²⁸

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მედიას განსაკუთრებული როლი ენიჭება დემოკრატიულ პროცესებში. სახელმწიფო, როგორც ინდივიდის უფლებების უმთავრესი გარანტი, ვალდებულია, დაიცვას ჟურნალისტი ნებისმიერი სახის ხელყოფისაგან. მედიის წარმომადგენლებზე განხორციელებული ძალადობა და მუქარა, მათი ფიზიკური შეურაცხყოფა ლახავს მათ უფლებებს და მნიშვნელოვნად აფერხებს ჟურნალისტის, როგორც „Public Watchdog“-ის, ფუნქციის შესრულებას.

მედიის წარმომადგენლების უსაფრთხოება რამდენიმე კომპონენტისგან შედგება: ფიზიკური, სამართლებრივი, საინფორმაციო, ეკონომიკური და ფსიქოლოგიური უსაფრთხოება.¹²⁹ რომელიმე მათგანის შელახვისას, ხელისუფლებას ეკისრება ვალდებულება, სწრაფად და ადეკვატურად გამოიძიოს აღნიშნული ფაქტი და დაადგინოს იმ პირთა პასუხისმგებლობის საკითხი, რომელთა მხრიდანაც განხორციელდა არამართლზომიერი ქმედებები.

აღნიშნული ვალდებულება გამომდინარეობს როგორც ცალკეული ჟურნალისტების უფლებების დაცვის აუცილებლობიდან, ისე დემოკრატიულ სახელმწიფოში ქმედითი და თავისუფალი მედიის არსებობის საჭიროებიდან.

ზემოაღნიშნულის მიუხედავად, საქართველოში ჟურნალისტების პროფესიული საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული საქმეების გამოძიება რიგ შემთხვევებში ჭიანურდება, რიგ შემთხვევებში კი გამოძიების მწარმოებელი ორგანოს მიერ გამოძიება დასრულდება (საქმის შეწყვეტა) საქმეში სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო. ამასთან, სამართალდამრღვევთა პასუხისმგებლობის ფორმა და დონე ხშირ შემთხვევებში ჩადენილი კანონდარღვევისა და მიყენებული ზიანის არაადეკვატურია.

კერძოდ, 2010 წლის საპარლამენტო ანგარიშის „გამოხატვის თავისუფლების“ თავში განხილული იყო 2010 წლის 24 ივნისს გორის მუნიციპალიტეტის შენობის წინ მდებარე სტალინის ძეგლის დემონტაჟის მიმდინარეობისას ტელეკომპანია „თრიალეთის“

¹²⁸ Thomas Hammarberg, Commissioner for Human Rights, *Human Rights and Changing Media Landscape*, Council of Europe Publications, December 2011, p. 31

¹²⁹ *Ibid*, p. 37

ქურნალისტის ვლადიმერ ბიჭაშვილისა და მისი ოპერატორისთვის კამერის წართმევის ფაქტი.¹³⁰

აღნიშნულთან დაკავშირებით საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა მიმართა საქართველოს მთავარ პროკურატურას. მიუხედავად იმისა, რომ 2010 წლის 9 ივლისს დაიწყო გამოძიება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს ცალკეული თანამდებობის პირების მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით), 2011 წლის 21 მარტის წერილით გვეცნობა, რომ აღნიშნულ საქმეზე გამოძიება შეწყდა 2011 წლის 25 იანვარს, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის¹³¹ საფუძველზე.

გამოძიება ასევე შეწყდა ტელეკომპანია „თრიალეთის“ გენერალური დირექტორის, ჯონდო ნანეტაშვილის, ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტზე. როგორც 2010 წლის საპარლამენტო ანგარიშში იყო აღნიშნული, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში ჯონდო ნანეტაშვილმა წარმოადგინა სსიპ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტლის მიერ 2010 წლის 8 ოქტომბერს გაცემული ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ სამედიცინო ცნობა, რომლის თანახმად, მას დიაგნოზად დაესვა ქალა-ტვინის დაზარალებული ტრავმა, თავის ტვინის შერყევა, ხერხემლის კისრის ნაწილის ტრავმა, ტრავმული ცერვიკალგია, ორივე სხივ-მაჯის მიდამოებში ექსკორიაციები. ხოლო სს „ზაზა ფანასკერტელის“ ქარელის საავადმყოფოს მიერ 2010 წლის 7 ოქტომბერს გაცემული ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ სამედიცინო ცნობა შეიცავს დასკვნას, რომლის თანახმადაც ჯონდო ნანეტაშვილს აღენიშნებოდა გულმკერდისა და კისრის არის დაჟეჟილობა, ექსკორიაციები ორივე სხივ-მაჯის არეებში და თავის ტვინის შერყევა. დასკვნის მიხედვით, მას აღენიშნებოდა ავადმყოფობის მწვავე მიმდინარეობა.

აღნიშნულ ფაქტზე გამოძიება შიდა ქართლისა და მცხეთა – მთიანეთის საოლქო პროკურატურაში 2010 წლის 8 ოქტომბერს დაიწყო, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შიდა ქართლისა და სამცხე – ჯავახეთის მთავარი სამმართველოს თანამშრომლების მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე. თუმცა, მოგვიანებით აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება შეწყდა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო.

„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-18 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს სახალხო დამცველი

¹³⁰ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2010 წელი, გამოხატვის თავისუფლება, გვ. 298

¹³¹ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი: „გამოძიება უნდა შეწყდეს, ხოლო სისხლისსამართლებრივი დევნა არ უნდა დაიწყოს ან უნდა შეწყდეს, თუ არ არსებობს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება“.

უფლებამოსილია „გაეცნოს სისხლის სამართლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებს, რომლებზე მიღებული გადაწყვეტილებებიც კანონიერ ძალაშია შესული“. აღნიშნულ ნორმაზე დაყრდნობით სისხლის სამართლის საქმის შესწავლის მიზნით საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა რამდენჯერმე მიმართა საქართველოს მთავარ პროკურატურას და მოითხოვა სისხლის სამართლის საქმის მასალების ასლები. თუმცა, აღნიშნული დოკუმენტაცია დღემდე არ მიგვიღია.

2010 წლის ანგარიშში, ასევე, დეტალურად იყო მიმოხილული გაზეთ „ბათუმელების“ ჟურნალისტური გამოძიების კოორდინატორის, თედო ჯორბენაძის, საქმე.¹³² აღნიშნულ ფაქტზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საგამოძიებო ნაწილში დაიწყო წინასწარი შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

მიუხედავად ამისა, ჟურნალისტების განცხადებით, გამოძიება არ იყო ეფექტური. 2011 წლის 20 ნოემბერს, გაზეთ „ბათუმელების“ ინფორმაციით, გაზეთის დირექტორმა ქალბატონმა მზია ამაღლობელმა დაადგინა პიროვნება, რომელიც მათი გაზეთის საგამოძიებო ჯგუფის კოორდინატორს, თედო ჯორბენაძეს, აშანტაჟებდა. საქართველოს სახალხო დამცველი, მისთვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, მოკლებულია შესაძლებლობას, სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე ან გამოძიების დასრულებამდე გაეცნოს სისხლის სამართლის საქმეს. ამ შემთხვევაში შეუძლებელია გამოძიების მსვლელობაში ჩარევა. შესაბამისად, საქართველოს სახალხო დამცველმა კიდევ ერთხელ მიმართა საქართველოს მთავარ პროკურორს, შეისწავლოს გაზეთ „ბათუმელების“ წარმომადგენლების მიერ მიწოდებული ინფორმაცია, საქმეზე ჭეშმარიტებისა და ეფექტური შედეგის მისაღებად. მიუხედავად ამისა, აღნიშნულ კორესპონდენციაზე პასუხი საქართველოს მთავარი პროკურატურიდან ამ დრომდე არ მიგვიღია.

ჟურნალისტებზე ძალადობაზე, მათ წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე ადეკვატური და სწრაფი რეაგირება სახელმწიფოს ერთ-ერთ პრიორიტეტი უნდა იყოს. შესაბამისი ორგანოების მიერ უნდა გატარდეს ყველა სათანადო ღონისძიება, რათა არა მხოლოდ აღიკვეთოს მსგავსი ფაქტები, არამედ მოხდეს მათი პრევენციაც. ხშირად არაადეკვატური ზომების გატარება ახდენს ნეგატიურ გავლენას ამ კუთხით სახელმწიფოში არსებულ მდგომარეობაზე, რაც, თავის მხრივ, აფერხებს ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას.

¹³² საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2009 წლის მეორე ნახევარი, გამოხატვის თავისუფლება, გვ. 185

ინფორმაციის თავისუფლება

ინფორმაციის თავისუფლებას ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს შორის ერთ-ერთი ძირითადი ადგილი უკავია. ინფორმაციის თავისუფლებისა და ხელმისაწვდომობის პრინციპის სათანადო რეალიზაცია მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ქვეყნის დემოკრატიულობის ხარისხს. ზემოაღნიშნული პოსტულატის ფუძემდებლურ ხასიათს განამტკიცებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტება, რომლის თანახმად, „ინფორმაციული ვაკუუმის [...] პირობებში წარმოდგენილია დემოკრატიული საზოგადოების არსებობა და დემოკრატიული კონსტიტუციურ-სამართლებრივი წესრიგის სიცოცხლისუნარიანობა.“¹³³

საქართველოში რეგლამენტირებული სამართლებრივი საფუძვლების მიუხედავად ინფორმაციის თავისუფლებისა და ხელმისაწვდომობის ფუნდამენტური უფლება 2011 წლის საანგარიშო პერიოდში არაერთხელ დაირღვა საჯარო დაწესებულებების უფლებამოსილი პირების მიერ. მოცემულ საკითხთან დაკავშირებით ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ საქართველოს სახალხო დამცველისადმი წარმოდგენილი განცხადებების განხილვის შედეგად გამოვლინდა საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის დარღვევის, ინფორმაციის არასრულყოფილი სახით გაცემისა და ინფორმაციის გაცემის ვადების დარღვევის ფაქტები.

ამავდროულად, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უფლებამოსილმა სახელმწიფო ორგანოებმა არ გაითვალისწინეს საქართველოს სახალხო დამცველის 2010 წლის „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ ანგარიშის თავში – „ინფორმაციის თავისუფლება“ დაფიქსირებული შემდეგი რეკომენდაციები:

1. შესაბამისმა ორგანოებმა გადადგან სათანადო ნაბიჯები ევროპის საბჭოს 2009 წლის 18 ივნისის „ოფიციალურ დოკუმენტაციასთან დაშვების შესახებ კონვენციის“ რატიფიკაციისათვის საჭირო პროცედურების დასაწყებად;

2. საქართველოს პარლამენტმა განახორციელოს იმ სახის საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც აიძულებს საჯარო დაწესებულებებს, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის მიხედვით, ყოველი წლის 10 დეკემბერს საქართველოს პრეზიდენტსა და საქართველოს პარლამენტს წარუდგინოს „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავით დადგენილი რეგულაციების შესრულების შესახებ“ ანგარიში.

შესაბამისად, წინამდებარე თავში ყურადღებას გავამახვილებთ როგორც საქართველოს სახალხო დამცველის მიერ 2011 წლის საანგარიშო პერიოდში ინფორმაციის თავისუფლებისა და ხელმისაწვდომობის პრინციპის დარღვევის კონკრეტული შემთხვევების გამომწვევი მიზეზების ანალიზზე, ისე საქართველოს სახალხო

¹³³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის №2/2–389 გადაწყვეტილება.

დამცველის 2010 წლის „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ ანგარიშის თავში „ინფორმაციის თავისუფლება“ ასახული ზემოაღნიშნული რეკომენდაციების შესრულების აქტუალობაზე. ინფორმაციის თავისუფლებისა და ხელმისაწვდომობის პრინციპი აღიარებულია მთელი რიგი ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ინსტრუმენტებითა და შიდასახელმწიფოებრივი აქტებით.

სახელმწიფოების პოზიტიური ვალდებულება, უზრუნველყონ ყოველი ადამიანის უფლება, მოიძიონ, მიიღონ ინფორმაცია ნებისმიერი საშუალებით, საჯარო ხელისუფლების საზღვრების მიუხედავად, აისახა როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციასა“¹³⁴ და „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტში¹³⁵, ისე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციაში¹³⁶.

აქვე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ზემოთ ჩამოთვლილ აქტებში, ინფორმაციის მიღების უფლების დეკლარირების მიუხედავად, 2009 წლის 18 ივნისამდე, ანუ ევროპის საბჭოს მიერ „ოფიციალურ დოკუმენტაციასთან დაშვების შესახებ“ კონვენციის მიღებამდე, არ არსებობდა სავალდებულო ძალის მქონე საერთაშორისო დოკუმენტი, რომელიც დაარეგულირებდა კონვენციის ხელშემკვერელი სახელმწიფოების მიერ ყველასათვის ოფიციალურ დოკუმენტაციასთან დაშვების უფლების ეფექტიანი განხორციელებისათვის კონკრეტულ რეგულაციებს.

ევროპის საბჭოს პოზიციით, „ოფიციალურ დოკუმენტებთან დაშვების უფლების“ განხორციელება:

- უზრუნველყოფს საზოგადოებას ინფორმაციის მიღების წყაროთი;
- დაეხმარება საზოგადოებას საზოგადოებრივი მდგომარეობისა და საჯარო ორგანოების შესახებ აზრის ფორმირებაში;
- ხელს შეუწყობს საჯარო ორგანოების ერთიანობას, ქმედითობას, ეფექტიანობასა და ანგარიშვალდებულებას და ამით განამტკიცებს მათ ლეგიტიმურობას“.

ზემოთ ციტირებულისა და იმის გათვალისწინებით, რომ ოფიციალური დოკუმენტები ძირითადად საჯაროა და ისინი შეიძლება არ გამჟღავნდეს მხოლოდ სხვა უფლებებისა

¹³⁴1948 წლის 10 დეკემბრის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის“ მე-19 მუხლი.

¹³⁵1966 წლის 16 დეკემბრის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტის მე-19 მუხლი.

¹³⁶1950 წლის 4 ნოემბრის ევროპის საბჭოს „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის“ მე-10 მუხლი.

და ლეგიტიმური ინტერესების დაცვის მიზნებიდან გამომდინარე, ევროპის საბჭომ „ოფიციალურ დოკუმენტაციასთან დაშვების შესახებ“ კონვენციაში დაარეგულირა ოფიციალური დოკუმენტაციის საჯაროობასთან დაკავშირებული ცალკეული საკითხები, მათ შორის განსაზღვრა აღნიშნული უფლების (ოფიციალურ დოკუმენტაციასთან დაშვების უფლება) როგორც რეალიზაციის, ისე მისი შესაძლო შეზღუდვის ფარგლები.

დღესდღეისობით 2009 წლის 18 ივნისის ევროპის საბჭოს „ოფიციალურ დოკუმენტაციასთან დაშვების შესახებ“ კონვენცია ხელმოწერილია ევროპის საბჭოს 9 (ცხრა) წევრი სახელმწიფოს მიერ, მათ შორის არის საქართველო¹³⁷. თუმცა მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ საქართველოს დღემდე არ მოუხდენია აღნიშნული კონვენციის რატიფიკაცია და, როგორც ზემოთ ითქვა, შესაბამის ორგანოებს არ გადაუდგამთ სათანადო ნაბიჯები მოცემული დოკუმენტის რატიფიკაციისათვის საჭირო პროცედურების დასაწყებად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სახალხო დამცველის შეხედულებით, საქართველომ ინფორმაციის თავისუფლებისა და ხელმისაწვდომობის პრინციპის სათანადო რეალიზაციისათვის უნდა განახორციელოს 2009 წლის 18 ივნისის ევროპის საბჭოს „ოფიციალურ დოკუმენტაციასთან დაშვების შესახებ“ კონვენციის რატიფიკაცია, რათა აღნიშნული დოკუმენტით დადგენილმა სტანდარტებმა ოფიციალურ დოკუმენტაციასთან დაშვების უფლების უზრუნველსაყოფად, კიდევ ერთი დამატებითი სამართლებრივი ბერკეტის სახით სავალდებულო ხასიათი შეიძინოს საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელი ორგანოებისათვის.

მოგვეხსენება, რომ საქართველოში მოქმედი შიდასახელმწიფოებრივი აქტებიდან ინფორმაციის თავისუფლებისა და ხელმისაწვდომობის პრინციპის მთავარი გარანტი საქართველოს უზენაესი კანონი – კონსტიტუციაა¹³⁸. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი იცავს სხვათა იდეების მოპოვებას, დამუშავებასა და შემდგომ გადაცემას. ამ მუხლის შესაბამისად, პიროვნებას აქვს იდეებისა და ცნობების მიღების უფლება საყოველთაოდ ხელმისაწვდომი წყაროებიდან სახელმწიფოს ჩარევის გარეშე. საქართველოს კონსტიტუცია ინფორმაციის თავისუფლების უზრუნველყოფის მეტ გარანტიას იძლევა და სახელმწიფოს აკისრებს არა მხოლოდ ნეგატიურ ვალდებულებას – ხელი არ შეუშალოს პიროვნებას ინფორმაციის მიღებაში, არამედ პოზიტიურ ვალდებულებასაც – გასცეს თავის ხელთ არსებული ინფორმაცია. საქართველოს კონსტიტუცია მხოლოდ იმ შემთხვევაში ზღუდავს აღნიშნულ უფლებას, თუ

¹³⁷ 2009 წლის 18 ივნისის ევროპის საბჭოს „ოფიციალურ დოკუმენტაციასთან დაშვების შესახებ“ კონვენციის მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, წინამდებარე კონვენცია ძალაში შევა იმ დღის შემდგომი სამთავრობო ვადის გასვლიდან მომდევნო თვის პირველ დღეს, როდესაც ევროპის საბჭოს 10 წევრი სახელმწიფო გამოთქვამს თანხმობას მოცემული კონვენციის სავალდებულოობასთან დაკავშირებით აღნიშნული კონვენციის რატიფიცირებით, მიღებით ან დამტკიცებით.

¹³⁸ 1995 წლის 24 აგვისტოს საქართველოს კონსტიტუციის 24-ე, 41-ე და 37-ე მუხლები.

მოთხოვნილი ინფორმაცია შეიცავს სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას¹³⁹.

საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული ინფორმაციის თავისუფლებისა და ხელმისაწვდომობის პრინციპის სათანადო რეალიზაციის მექანიზმი განსაზღვრულია 1999 წლის 25 ივნისის მიღებული საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის III თავით, რომელიც ერთმნიშვნელოვნად ადგენს, რომ საჯარო დაწესებულებაში არსებული ნებისმიერი ინფორმაცია, თუ ის კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და დადგენილი წესის მიხედვით არ არის გასაიდუმლოებული, საჯარო ხასიათისაა, ანუ ხელმისაწვდომია ყველასათვის.

ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ ინფორმაციის თავისუფლებისა და ხელმისაწვდომობის პრინციპის მარეგულირებელი ნორმები ცალსახად არის ასახული საქართველოს კანონმდებლობაში, საქართველოს სახალხო დამცველმა 2011 წელს ზემოაღნიშნული აქტებით გათვალისწინებული დანაწესების დარღვევის არაერთი ფაქტი გამოავლინა, რომელთაც დავაკონკრეტებთ (ინფორმაციის თავისუფლებისა და ხელმისაწვდომობის პრინციპის დარღვევის შესახებ ფაქტები და შესაბამისი ანალიზი) მომდევნო ქვეთავებში.

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის დარღვევა

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად¹⁴⁰, „საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებებში [...] არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას.“

საქართველოს კონსტიტუციის ზემოთ ციტირებული ნორმის იმპერატიული ხასიათის მიუხედავად, რომელიც ყველა მოქალაქეს აძლევს შესაძლებლობას, გაეცნოს ინფორმაციას ოფიციალური წყაროებიდან, თუ ისინი კანონით დადგენილი წესით არ არის გასაიდუმლოებული, საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელმა ორგანომ – საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ უგულებელყო აღნიშნული დანაწესი და **ა(ა)პ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტს** არ გადასცა თავის დაწესებულებაში დაცული საჯარო ინფორმაცია.¹⁴¹

¹³⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის 2006 წლის 14 ივლისის №2/3/364 გადაწყვეტილება, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და მოქალაქე რუსუდან ტაბატაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

¹⁴⁰ 1995 წლის 24 აგვისტოს საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის პირველი პუნქტი.

¹⁴¹ 1999 წლის 25 ივნისის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საჯარო ინფორმაცია არის ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო და აუდიოჩანაწერები).

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიისადმი ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მოთხოვნის საგანია მოცემულ ადმინისტრაციულ ორგანოში¹⁴² დასაქმებული თანამშრომლების სია, ინფორმაცია მათ ხელფასებზე, პრემიებსა და ჯილდოებზე, აგრეთვე სამივლინებო ხარჯებზე, საწვავის მოხმარებაზე გაწეულ ფაქტობრივ ხარჯსა და ყოველთვიურ ზღვრულ ლიმიტზე, ასევე, ინფორმაცია სატელეფონო საუბრებზე გაწეულ სატელეკომუნიკაციო ხარჯებზე (კონკრეტულ პირთა ვინაობაზე მითითების გარეშე).

ზემოაღნიშნული ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე უარი საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ ახსნა იმ არგუმენტით, რომ მოთხოვნილი ინფორმაციის ნაწილი არ არის საჯარო ინფორმაცია, ხოლო ნაწილი ითვლება პირად საიდუმლოებად.

მოცემული საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების განხილვის შედეგად, საქართველოს სახალხო დამცველის შეხედულებით, თანამშრომელთა სია, რომელშიც მითითებულია პირთა ვინაობა, არ განეკუთვნება პირად საიდუმლოებას მიკუთვნებულ ინფორმაციას, ვინაიდან არ არის ადამიანის ჯანმრთელობასთან, მის ფინანსებთან ან სხვა კერძო საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაცია, ხოლო საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში დასაქმებული პირების ხელფასების, პრემიებისა და სამივლინებო ხარჯების შესახებ ინფორმაცია – პირის ფინანსებთან დაკავშირებულ ინფორმაციაა და, შესაბამისად, პერსონალური ხასიათი აქვს.¹⁴³

ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია.

¹⁴²1999 წლის 25 ივნისის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, „ადმინისტრაციული ორგანო არის ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს“. მარეგულირებელი ეროვნული კომისიის ადმინისტრაციული ორგანოს ცნების ლეგალური დეფინიციის ფარგლებში მოქცევის საკითხის განსაზღვრისას მნიშვნელოვანია, თუ რა ფუნქციას განახორციელებს დაწესებულება და არა ის გარემოება, სუბიექტის ბიუჯეტით განსაზღვრული ხარჯები იფარება რეგულირების საფასურიდან მიღებული შემოსავლებიდან თუ სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ამდენად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს, ვინაიდან იგი ასრულებს საჯარო-სამართლებრივ უფლებამოსილებას.

¹⁴³ აღნიშნულთან მიმართებით, მნიშვნელოვანია საერთო სასამართლოების პრაქტიკა. კერძოდ, შეგვიძლიათ იხილოთ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 8 დეკემბრის #3/2907-09 გადაწყვეტილება საქმეზე „ანა შალამბერიძე სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის წინააღმდეგ“. იხილეთ, ასევე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 20 მაისის #38/742-10 გადაწყვეტილება საქმეზე „ანა შალამბერიძე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წინააღმდეგ“, სადაც სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თანამშრომელთა სია მათი თანამდებობების

რაც შეეხება ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მიერ მოთხოვნილ შემდეგ ინფორმაციას [თანამშრომლების მიერ საწვავის მოხმარებაზე გაწეული ფაქტობრივი ხარჯი და ყოველთვიური ზღვრული ლიმიტი, ასევე სატელეფონო საუბრებზე გაწეული სატელეკომუნიკაციო ხარჯები (კონკრეტულ პირთა ვინაობაზე მითითების გარეშე)], საქართველოს სახალხო დამცველის მოსაზრებით, ის კონკრეტულ პირთა მითითების გარეშე გამორიცხავს პირის იდენტიფიკაციას,¹⁴⁴ შესაბამისად, მოცემული ინფორმაციის გაცემა არ იქნებოდა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თანამშრომელთათვის საქართველოს კონსტიტუციით¹⁴⁵ გარანტირებული უფლებების დარღვევის საფუძველი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სახალხო დამცველმა მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში რეკომენდაციით მიმართა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას, გაეცა ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მიერ მოთხოვნილი შემდეგი საჯარო ინფორმაცია: საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თანამშრომლების სია, მოცემულ ორგანოში დასაქმებული პირების მიერ საწვავის მოხმარებაზე გაწეული ფაქტობრივი ხარჯი და ყოველთვიური ზღვრული ლიმიტი, ასევე სატელეფონო საუბრებზე გაწეული სატელეკომუნიკაციო ხარჯები (კონკრეტულ პირთა ვინაობაზე მითითების გარეშე).

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების უკანონო შეზღუდვის ერთ-ერთი მაგალითია, აგრეთვე, მოქალაქე **ნ. ს.–ს** საქმე. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან მოქალაქე ნ. ს. ითხოვდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაქვემდებარებაში შემავალი სსიპ შემოსავლების სამსახურში მასზე არსებულ ინფორმაციას, რომელიც არ იყო დახურული/საიდუმლო ხასიათისა, საქართველოს სახალხო დამცველის შეხედულებით, ზემოაღნიშნული დაწესებულების უარი მოქალაქე ნ. ს.–სთვის მის მიერ შესრულებული ნამუშევრისა (ტესტების) და სწორი პასუხების ასლის გაცემაზე ეწინააღმდეგებოდა საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით საქართველოს კანონმდებლობას და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში გაკეთებულ განმარტებას¹⁴⁶.

მითითებით არ წარმოადგენს ინფორმაციას, რომელიც მოქმედი კანონმდებლობით პირად საიდუმლოებას მიეკუთვნება.

¹⁴⁴ იხილეთ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 20 მაისის #38/742-10 გადაწყვეტილება საქმეზე „ანა შალამბერიძე სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის წინააღმდეგ“.

¹⁴⁵ 1995 წლის 24 აგვისტოს საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

¹⁴⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტების თანახმად, „საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლით გათვალისწინებული ინფორმაცია შესაძლებელია დაიყოს რამოდენიმე ჯგუფად. პირველ ჯგუფში შედის ინფორმაცია, რომელიც თავად ინფორმაციის მიღების მსურველ პირს შეეხება. ეს ინფორმაცია, საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, დაუბრკოლებლად, კანონით დადგენილი წესით უნდა მიეწოდოს პირს“. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის 2008 წლის 30 ოქტომბრის №2/3/406,408 გადაწყვეტილება; II, პარაგრაფი 12.

ამდენად, ვინაიდან გამოიკვეთა, რომ სსიპ შემოსავლების სამსახურმა დაარღვია მოქალაქე ნ. ს–ს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლება, აღნიშნული უფლების აღდგენის მოთხოვნით საქართველოს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაქვემდებარებაში შემავალი სსიპ შემოსავლების სამსახურის უფროსს.

გარდა ზემოაღნიშნულისა, 2011 წლის საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახალხო დამცველის მიერ საქართველოს კონსტიტუციით¹⁴⁷ გარანტირებული უფლების – სახელმწიფო დაწესებულებაში ინფორმაციის მიღების მსურველი პირისათვის არსებული ინფორმაციის გაცნობის უფლება – დარღვევის ფაქტი დადგინდა მოქალაქე გ. წ–ს საქმეში. აღნიშნულ შემთხვევაში განმცხადებლის, მოქალაქე გ. წ–ს, კანონისმიერი უფლების დარღვევა გამოიწვია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს ქმედებამ, რომელმაც მოქალაქის სურვილისამებრ, კანონით დადგენილი წესით, არ გასცა მოცემულ დაწესებულებაში მასზე არსებული საჯარო ინფორმაცია.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ცალკეულ შემთხვევებში ადმინისტრაციული ორგანოები, კანონისმიერი მოთხოვნების საწინააღმდეგოდ, უგულბელოდენ კონსტიტუციითა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დაცულ უფლებას ინფორმაციის თავისუფლებისა და ხელმისაწვდომობის თაობაზე.

მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის არასრულყოფილი სახით გაცემა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის¹⁴⁸ თანახმად, ყველას (აღნიშნული ტერმინი გულისხმობს როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირს) აქვს უფლება, მოითხოვოს საჯარო ინფორმაცია მისი ფიზიკური ფორმისა და შენახვის მდგომარეობის მიუხედავად, აირჩიოს საჯარო ინფორმაციის მიღების ფორმა, თუ იგი სხვადასხვა სახით არსებობს და გაეცნოს ინფორმაციას დედანში.

საქართველოს კონსტიტუციითა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი რეგულაციების მიუხედავად 2011 წლის საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა დააფიქსირა არაერთი შემთხვევა, როდესაც საჯარო დაწესებულებები მოთხოვნილ ინფორმაციას გასცემდნენ არასრულყოფილი სახით და იმავდროულად ირწმუნებოდნენ, რომ მოთხოვნილი ინფორმაცია მათ მიერ გაიცა კანონმდებლობით დადგენილი წესით.

¹⁴⁷ 1995 წლის 24 აგვისტოს საქართველოს კონსტიტუციის 41–ე მუხლის პირველი პუნქტი.

¹⁴⁸ 1999 წლის 25 ივნისის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37–ე მუხლის პირველი ნაწილი.

ზემოაღნიშნულის (მოთხოვნილი ინფორმაციის არასრულყოფილი სახით გაცემის ფაქტი) მაგალითად მოვიყვანო **მცხეთა–მთიანეთის საინფორმაციო ცენტრის** საქმეს. მცხეთა–მთიანეთის საინფორმაციო ცენტრმა წერილობითი განცხადებებით არაერთხელ მიმართა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას საჯარო ინფორმაციის მიწოდების შესახებ, თუმცა უშედეგოდ. მცხეთა–მთიანეთის საინფორმაციო ცენტრის განცხადების განხილვისას და არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევის შედეგად საქართველოს სახალხო დამცველმა დაადგინა, რომ დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელმა პირმა მცხეთა–მთიანეთის საინფორმაციო ცენტრს მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია არასრულყოფილი სახით გადასცა. აღნიშნულ შემთხვევაში საქართველოს სახალხო დამცველმა იურიდიული პირის (მცხეთა–მთიანეთის საინფორმაციო ცენტრი) დარღვეული უფლების აღსადგენად სამართლებრივი რეაგირების შემდეგი ბერკეტი გამოიყენა – რეკომენდაციით მიმართა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს, დაევალებინა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირისთვის მცხეთა–მთიანეთის საინფორმაციო ცენტრისათვის მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია სრულყოფილი სახით გაეცა.

ინფორმაციის გაცემის ვადების დარღვევა

მართალია, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლი საჯარო დაწესებულებებს ცალსახად ავალდებულებს, საჯარო ინფორმაცია გასცენ დაუყოვნებლივ ან კონკრეტული გარემოებების არსებობისას არა უგვიანეს 10 დღისა, თუმცა საქართველოს სახალხო დამცველის მიერ ინფორმაციის თავისუფლებისა და ხელმისაწვდომობის პრინციპის სავარაუდო დარღვევასთან დაკავშირებით შესწავლილ განცხადება/საჩივრებში პერმანენტულად ვლინდება საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის დადგენილი ვადების დარღვევა. მოცემულ შემთხვევაში, მაგალითად მოვიყვანო საქართველოს სახალხო დამცველის მიერ **მცხეთა–მთიანეთის საინფორმაციო ცენტრის** საქმეს.

მცხეთა–მთიანეთის საინფორმაციო ცენტრის საქმეში დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელმა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის მიერ საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი ვადების დარღვევის ფაქტი ახსნა იმ გარემოებით, რომ მცხეთა–მთიანეთის საინფორმაციო ცენტრს მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის შეკრებისათვის სერიოზული მუშაობა სჭირდებოდა, რადგან დოკუმენტების დიდი ნაწილი გადაცემული იყო არქივშიდა იქიდან მათ მოთხოვნასა და მიღებას, საარქივო წესების თანახმად, განსაზღვრული დრო სჭირდებოდა. დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზემოთ ციტირებული განმარტება (დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია უნდა მოემიღებინა სხვა საჯარო დაწესებულებიდან) კანონდარღვევის გასამართლებელი არგუმენტი არ არის, მით უფრო მაშინ, როცა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი¹⁴⁹ აღნიშნული გარემოების არსებობისას (სხვა საჯარო დაწესებულებიდან ინფორმაციის მოძიება და დამუშავება) ერთმნიშვნელოვნად ადგენს ინფორმაციის გაცემის საგამონაკლისო ვადას, რომელიც არა–უგვიანეს 10 დღეა. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ მცხეთა–მთიანეთის საინფორმაციო ცენტრმა მისთვის სასურველი ინფორმაცია მოითხოვა 2011 წლის 04 ივლისს, ხოლო დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელმა პირმა მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის მიწოდების ვადად დაასახელა 2011 წლის 23 აგვისტო.

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ ზემოაღნიშნული საჯარო ინფორმაციის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში გაუცემლობამ, მცხეთა–მთიანეთის საინფორმაციო ცენტრის მტკიცებით, სრულიად დაუკარგა ღირებულება მათ მიერ გამოთხოვილ ინფორმაციას.

ამდენად, მცხეთა–მთიანეთის საინფორმაციო ცენტრის მიერ საჯარო ინფორმაციის კანონით დადგენილ ვადაში მიუღებლობასთან დაკავშირებით ზემოთ მოყვანილი შემთხვევა ერთ–ერთი ნათელი მაგალითია იმის საჩვენებლად, თუ როგორ შეიძლება დაუკარგოს აქტუალობა მოთხოვნილ საჯარო ინფორმაციას საჯარო დაწესებულების მიერ აღნიშნულის დაგვიანებით გაცემამ.

ყოველი წლის 10 დეკემბერს საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენი ანგარიშები

ყოველი წლის 10 დეკემბერს საჯარო დაწესებულებები¹⁵⁰ ვალდებული არიან, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე–3 თავით დადგენილი რეგულაციების შესრულების შესახებ“ ანგარიში წარუდგინონ საქართველოს პრეზიდენტს და პარლამენტს.¹⁵¹

2011 წლის 16 დეკემბერს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის საფუძველზე, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან და საქართველოს პარლამენტის აპარატიდან გამოითხოვა ინფორმაცია და ამ ინფორმაციის ამსახველი სრული დოკუმენტაცია, კერძოდ: 2011 წლის 10 დეკემბერს რამდენმა საჯარო დაწესებულებამ წარუდგინა ზემოაღნიშნულ ორგანოებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49–ე მუხლით გათვალისწინებული ანგარიში. ამასთანავე, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციასა და

¹⁴⁹1999 წლის 25 ივნისის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე–40 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი.

¹⁵⁰1999 წლის 25 ივნისის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27–ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საჯარო დაწესებულების ცნებაში იგულისხმება ყველა ადმინისტრაციული ორგანო და ასევე, სახელმწიფო ან ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირი ასეთი დაფინანსების ფარგლებში.

¹⁵¹1999 წლის 25 ივნისის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49–ე მუხლი.

საქართველოს პარლამენტის აპარატს სთხოვა 25 (ოცდახუთი) სახელმწიფო დაწესებულებისა და 25 (ოცდახუთი) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ წარდგენილი ანგარიშების მოწოდება.

2012 წლის 01 თებერვლის წერილით საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელმა პირმა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს აცნობა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის საფუძველზე საქართველოს პრეზიდენტს დღევანდელი მდგომარეობით ანგარიში წარუდგინა 908 (ცხრაას რვა) საჯარო დაწესებულებამ.

ხოლო საქართველოს პარლამენტის აპარატის საორგანიზაციო დეპარტამენტის უფროსის 2012 წლის 23 იანვრის წერილით საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს გადმოეგზავნა 2011 წლის 10 დეკემბრისთვის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენილი ანგარიშების ასლები. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისთვის მოწოდებული ანგარიშების დათვლის შედეგად გამოიკვეთა, რომ საქართველოს პარლამენტს ანგარიში წარუდგინა 245-მა საჯარო დაწესებულებამ.

ზემოთ მოყვანილი ციფრები ადასტურებს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ მოთხოვნას საჯარო დაწესებულებების უმრავლესობა არ ასრულებს, წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენილი ანგარიშების რაოდენობა ათასებს უნდა ითვლიდეს.

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ საჯარო დაწესებულებების მიერ საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენილი ანგარიშები ვერ უპასუხებენ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და, ამავდროულად, ცალკეული საჯარო დაწესებულებები ანგარიშებს არ წარადგენენ კანონით დადგენილ ვადაში. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლი მკაფიოდ აყალიბებს, თუ რა ინფორმაციას უნდა შეიცავდეს საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენილი ანგარიში¹⁵², საქართველოს სახალხო

¹⁵²1999 წლის 25 ივნისის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტისათვის წარდგენილ ანგარიშებში ასახული უნდა იყოს ინფორმაცია:

საჯარო დაწესებულებაში შესული საჯარო ინფორმაციის გაცემისა და საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნათა რაოდენობის შესახებ და მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ;

მოთხოვნის დაკმაყოფილების ან მასზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის, გადაწყვეტილების მიმღები საჯარო მოსამსახურის ვინაობის, აგრეთვე კოლეგიური საჯარო დაწესებულების მიერ საკუთარი სხდომის დახურვის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ;

საჯარო მონაცემთა ბაზებისა და საჯარო დაწესებულებათა მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვების დამუშავების, შენახვისა და სხვისთვის გადაცემის თაობაზე;

დამცველის აპარატის მიერ საჯარო დაწესებულებების ანგარიშების შესწავლამ ცხადყო, რომ საჯარო დაწესებულებების მიერ შედგენილი ანგარიშები უმრავლეს შემთხვევაში შეიცავს არასრულყოფილ, ქაოსურ ინფორმაციას ან სრულიად არ შეესაბამება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლით დადგენილ მოთხოვნებს.

ამასთანავე, საჯარო სკოლების მიერ საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენილი ანგარიშების განხილვის შემდეგ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საჯარო სკოლების უმრავლესობის ადმინისტრაცია სრულიად ვერ ერკვევა როგორც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების, ისე ინფორმაციის თავისუფლებისა და ხელმისაწვდომობის პრინციპის არსში. აღნიშნული მოსაზრების საფუძვლიანობას ადასტურებს ის ფაქტი, რომ რიგმა საჯარო სკოლამ საქართველოს პრეზიდენტს და საქართველოს პარლამენტს წარუდგინა არა „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავით დადგენილი რეგულაციების შესრულების შესახებ“ ანგარიში, არამედ თავიანთი საქმიანობის წლიური ანგარიში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნათელია, რომ საჯარო დაწესებულებების მიერ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების დაცვის მექანიზმების გაძლიერებისათვის მნიშვნელოვანია, საქართველოს საკანონმდებლო ორგანომ გაითვალისწინოს საქართველოს სახალხო დამცველის 2010 წლის „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ ანგარიშის თავში „ინფორმაციის თავისუფლება“ მოცემული რეკომენდაცია: საქართველოს პარლამენტმა განახორციელოს იმ სახის საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც აიძულებს საჯარო დაწესებულებებს, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის მიხედვით, ყოველი წლის 10 დეკემბერს საქართველოს პრეზიდენტსა და საქართველოს პარლამენტს წარუდგინოს „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავით დადგენილი რეგულაციების შესრულების შესახებ“ ანგარიში.

საჯარო მოსამსახურეთა მიერ ამ კოდექსის მოთხოვნების დარღვევის რაოდენობისა და პასუხიმგებელ პირებზე დისციპლინური სახდელის დადების შესახებ;
იმ საკანონმდებლო აქტების შესახებ, რომლებსაც დაწესებულება ეყრდნობოდა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისას ან კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვისას;
საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების შესახებ;
საჯარო დაწესებულების მიერ ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან, აგრეთვე ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების ან კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯების, მათ შორის, მხარის სასარგებლოდ გადახდილი თანხების შესახებ.

რეკომენდაციები:

შესაბამისმა ორგანოებმა გადადგან სათანადო ნაბიჯები ევროპის საბჭოს 2009 წლის 18 ივნისის „ოფიციალურ დოკუმენტაციასთან დაშვების შესახებ კონვენციის“ რატიფიკაციისათვის საჭირო პროცედურების დასაწყებად;

რეკომენდაციით მიემართავთ საქართველოს პარლამენტს, რათა:

ა) განახორციელოს იმ სახის საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც აიძულებს საჯარო დაწესებულებებს, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის მიხედვით, ყოველი წლის 10 დეკემბერს საქართველოს პრეზიდენტსა და საქართველოს პარლამენტს წარუდგინოს „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავით დადგენილი რეგულაციების შესრულების შესახებ“ ანგარიში.

ბ) განახორციელოს სათანადო მოქმედებები, რის საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობით დადგინდება ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის უკანონოდ თქმისა და კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის უკანონოდ სრული ან ნაწილობრივი დახურვისათვის.

რელიგიის თავისუფლება და ტოლერანტული გარემო

შესავალი

საანგარიშო პერიოდში, რელიგიის თავისუფლების დაცვისა და ტოლერანტული გარემოს განვითარების კუთხით, რამდენიმე მნიშვნელოვანი მოვლენა დაფიქსირდა.

საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, სამოქალაქო კოდექსში შევიდა ცვლილება, რომლითაც რელიგიურ გაერთიანებებს მათთვის მისაღები ფორმით რეგისტრაციის გავლის შესაძლებლობა მიეცათ.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ სახალხო დამცველის კონსტიტუციური სარჩელი, რომელშიც სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ კანონმდებლობაში, აღმსარებლობის ნიშნით დისკრიმინაციული ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობას მოითხოვდა.

2011 წელს დაიწყო სასჯელადსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2010 წლის 30 დეკემბრის ბრძანების სრულფასოვანი იმპლემენტაცია – რელიგიური უმცირესობების წარმომადგენელ სასულიერო პირებს, პატიმართა რელიგიური მოთხოვნილებების შესაბამისად, საშუალება მიეცათ, დაუბრკოლებლად შესულიყვნენ თავისუფლების აღკვეთის ადგილებში.

მკვეთრად შემცირდა რელიგიური შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი კანონდარღვევები: დევნა რელიგიური შეუწყნარებლობის საფუძველზე, ფიზიკური ძალადობისა და შეურაცხყოფის ფაქტები.

ამავდროულად, ბოლო ორი წლის განმავლობაში შედარებით ადეკვატური გახდა სამართალდამცველების მიერ რელიგიური შეუწყნარებლობის ნიშნით ჩადენილ კანონდარღვევებზე რეაგირება. წინა წლებისგან განსხვავებით საანგარიშო პერიოდში რელიგიური შეუწყნარებლობის ნიადაგზე ჩადენილ სამართალდარღვევებს შესაბამისი კვალიფიკაცია ეძლეოდა. პრეზიდენტი და ხელისუფლების წარმომადგენელი სხვა ოფიციალური პირები ხშირად უსვამდნენ ხაზს რელიგიური თავისუფლების დაცვისა და ტოლერანტობის კულტურის განვითარების აუცილებლობას. მათ არადომინანტურ რელიგიურ გაერთიანებებს მიულოცეს მნიშვნელოვანი დღესასწაულები.

მეორე მხრივ, 2011 წელს თავი იჩინა მასობრივი რელიგიურ-ეთნიკური შეუწყნარებლობის პრობლემამ, რაც უმთავრესად ისევ და ისევ რელიგიური გაერთიანებების რეგისტრაციასთან დაკავშირებით პარლამენტის მიერ განხორციელებულ საკანონმდებლო ცვლილებას მოჰყვა.

მწვავე და პრობლემატურ სფეროდ რჩება რელიგიური გაერთიანებებისთვის საბჭოთა პერიოდში ჩამორთმეული ქონების დაბრუნების საკითხი.

წინა წლების მსგავსად ისევ იყო ადმინისტრაციული ბარიერების ხელოვნურად შექმნის ფაქტები იეპოვას მოწმეთა რელიგიური გაერთიანების მიერ კანონიერი მშენებლობის ნებართვის მოპოვების მცდელობისას.

რელიგიური უმცირესობების მიმართ უცვლელი დარჩა კანონმდებლობით განსაზღვრული საგადასახადო რეჟიმის დამდგენი ნორმები. თავად რელიგიური უმცირესობების განცხადებით, ისევ პრობლემატურ სფეროს განეკუთვნება საჯარო სკოლებში პედაგოგების დამოკიდებულება რელიგიური უმცირესობების წარმომადგენელი მოსწავლეებისადმი, პროზელიტიზმი, ინდოქტრინაცია, არაკადემიური მიზნით რელიგიური სიმბოლოების გამოფენა სასკოლო სივრცეში.

წინა წელთან შედარებით არ გაუმჯობესებულა რელიგიის თავისუფლებასთან დაკავშირებული პრობლემატიკისა და რელიგიური ტოლერანტობის გაშუქების ხარისხი ტელე-, რადიო- და ბეჭდვით მედიაში.

გამოუძიებელი დარჩა 2008 – 2010 წლებში რელიგიური დევნისა და დისკრიმინაციის 40 – მდე შემთხვევა (იხ. სახალხო დამცველის 2009 და 2010 წლების ანგარიშები).

რელიგიური გაერთიანებების რეგისტრაცია

საკითხის ისტორია

2005 წელს საქართველოს პარლამენტმა სამოქალაქო კოდექსის 1506-ე მუხლში შეიტანა ცვლილება, რომლითაც რელიგიურ გაერთიანებებს მიეცათ რეგისტრაციის გავლის შესაძლებლობა ფონდის ან კავშირის სახით. შემდგომში რეგისტრაციის წესი მაქსიმალურად გამარტივდა და სამოქალაქო კოდექსში „კავშირისა“ და „ფონდის“ ნაცვლად არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირის შესახებ გაჩნდა ჩანაწერი. თუმცა რამდენიმე რელიგიური გაერთიანებისთვის (კათოლიკე, სომეხთა სამოციქულო, ლუთერული, ბაპტისტური ეკლესიები, იუდაველთა და მუსლიმთა თემები) კერძო სამართლის იურიდიული პირის სტატუსით სარგებლობა, სხვადასხვა მიზეზის გამო, მიუღებელი იყო. სახალხო დამცველი პრობლემის გადაწყვეტის აუცილებლობაზე როგორც ანგარიშებში, ასევე სხვადასხვა ფორმატით გამართული დისკუსიების დროსაც საუბრობდა. მაგრამ თუ საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსით სარგებლობის შესაძლებლობას მხოლოდ რამდენიმე რელიგიური გაერთიანება მიიღებდა, სხვებს კი ამა თუ იმ კრიტერიუმით დაუწესდებოდა ამ სტატუსით სარგებლობის ბარიერი, მაშინ ეს უმცირესობათა კონფესიებს შორის უთანასწორობის წარმოშობის წინაპირობა გახდებოდა. მეორე მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახით რეგისტრაცია სახელმწიფოს მხრიდან რელიგიურ გაერთიანებებზე კონტროლის დაწესების საფრთხეს შეიცავდა, რაც საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ კანონითაა გათვალისწინებული.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სახალხო დამცველთან არსებულ რელიგიათა საბჭოში ამ საკითხის შესახებ, განსაკუთრებით 2010–2011 წლებში, ექსპერტების მონაწილეობით

არაერთი დისკუსია გაიმართა. საბჭოს სხდომებზე მოწვეული იყვნენ საპატრიარქოს წარმომადგენლებიც, მაგრამ მათ უარი განაცხადეს ამ ფორმატით საკითხის განხილვაში მონაწილეობაზე.

საბოლოოდ, რელიგიათა საბჭოს წევრმა რელიგიურმა გაერთიანებებმა შეიმუშავეს საერთო პოზიცია და ერთობლივი მიმართვა საქართველოს ხელისუფლებისა და დიპლომატიური კორპუსისადმი. მიმართვაში ნათქვამი იყო, რომ: 1. ყველა რელიგიური გაერთიანებისთვის თანასწორ საფუძველზე შესაძლებელი უნდა ყოფილიყო რეგისტრაცია და მათთვის მისაღები სტატუსის მოპოვება; 2. ამას არ უნდა გამოეწვია რელიგიური გაერთიანებების იერარქიზაცია და განსხვავებები უფლებებისა და პრივილეგიების კუთხით; 3. რეგისტრაციის წესის ცვლილებისას სახელმწიფოს არ უნდა მისცემოდა რელიგიური გაერთიანებების კონტროლის შესაძლებლობა.

აქედან გამომდინარე, პარლამენტის მიერ სამოქალაქო კოდექსში შეტანილი ცვლილება სავსებით მისაღები აღმოჩნდა უმცირესობების წარმომადგენელი ყველა რელიგიური გაერთიანებისთვის.

ცვლილება სამოქალაქო კოდექსში

2011 წლის 5 ივლისს საქართველოს პარლამენტმა სამოქალაქო კოდექსში (მუხლი 1509) მიიღო ცვლილებები, რომლებიც რელიგიურ გაერთიანებებს არჩევანის საშუალებას აძლევს – მათ შეუძლიათ დარეგისტრირდნენ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად, ამასთან, კანონის ეს ნორმა არ ზღუდავს რელიგიურ გაერთიანებას, სურვილისამებრ დარეგისტრირდეს კერძო სამართლის არაკომერციულ იურიდიულ პირად ან საერთოდ არ გაიაროს რეგისტრაცია და იარსებოს არარეგისტრირებული კავშირის სახით. საჯარო სამართლის იურიდიულ პირად, ცვლილებების მიხედვით, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს შეუძლია დაარეგისტრიროს საქართველოსთან ისტორიული კავშირის მქონე რელიგიური გაერთიანებები ან ისეთი მიმდინარეობები, რომლებიც ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში კანონმდებლობით მიჩნეულია რელიგიად. აღნიშნული ორი კრიტერიუმი საქართველოში არსებული კონფესიების საკმაოდ ფართო სპექტრს მოიცავს. თუმცა იმ შემთხვევაშიც კი, თუ რელიგიური გაერთიანება ვერ დააკმაყოფილებს ამ ორიდან რომელიმე ერთ პირობას, არსებითად, ეს უთანასწორო სამართლებრივ მდგომარეობაში არ ჩააყენებს მას, რადგან რელიგიურ გაერთიანებებს საშუალება აქვთ დარეგისტრირდნენ ასევე კერძო სამართლის იურიდიულ პირებად. უნდა აღინიშნოს, რომ საჯარო სამართლის იურიდიულ პირად რეგისტრირებულ რელიგიურ გაერთიანებაზე არ ვრცელდება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონი და იგი კერძო სამართლის იურიდიული პირის შესახებ არსებული რეგულაციების სივრცეში რჩება.

საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებული მოვლენები

საკანონმდებლო ცვლილებას მოჰყვა მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოს, სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის, მედიისა და საზოგადოების ნაწილის პროტესტი, რომელიც ხშირ შემთხვევაში ქსენოფობიისა და არმენოფობიის გამოვლინებებში გადაიზარდა.

5 ივლისს საკითხის განსახილველად გაიმართა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სინოდის საგანგებო კრება. საბოლოოდ, სინოდის გადაწყვეტილებამ უაღრესად პოზიტიური როლი შეასრულა შექმნილი ვითარების განეიტრალებაში. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდმა მრევლს სიმშვიდისკენ მოუწოდა და განაცხადა, რომ მხარს უჭერს ნებისმიერი ადამიანისა და რელიგიური გაერთიანების კანონის წინაშე თანასწორობასა და რელიგიის თავისუფლებას.

მართალია, სინოდის ამ პოზიციამ მასობრივი შეუწყნარებლობისა და არმენოფობიის ესკალაციის შეჩერებას შეუწყო ხელი, მაგრამ სკონტანურად არმენოფობიის გამოვლინებებმა მაინც იჩინა თავი. თბილისში, ავლაბარში, სომხური ტაძრის, ეჩმიადინის პირდაპირ, კედელზე გაჩნდა სომეხი ხალხის შეურაცხმყოფელი წარწერა, ხოლო მოგვიანებით არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი ორი მოქალაქე “შეიჭრა” ავლაბრის ეჩმიადინის ტაძარში – ერთმა მათგანმა ბიბლიიდან ამოხია ფურცლები, ხოლო მეორე საეპისკოპოსო ტახტზე ფეხით შედგა და ტაძარში მყოფი პირები სიტყვიერად შეურაცხყო. აღნიშნული ორი პირი სამართალდამცავებმა დააკავეს. ისინი პასუხისგებაში იქნენ მიცემულნი და მოგვიანებით საპროცესო შეთანხმების საფუძველზე გაათავისუფლეს. საქართველოში სომეხთა სამოციქულო ეკლესიის ეპარქიამ ამ ვანდალურ ფაქტთან დაკავშირებით შემფოთება გამოხატა, მაგრამ იქვე აღნიშნა, რომ მათ არ სურდათ ამ ფაქტის გამო კანონდამრღვევებს მკაცრი სასჯელის დაჰკისრებოდათ.

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ რელიგიური გაერთიანებების რეგისტრაციის წესთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილება პოზიტიური ნაბიჯი იყო თანასწორუფლებიანობის მიღწევის გზაზე, რასაც საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან ასევე დადებითი შეფასება მოჰყვა. თუმცა, იმავდროულად, პარლამენტის მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდგომ განვითარებულმა მოვლენებმა დაგვანახა, რომ რელიგიური უმრავლესობის, ოპოზიციური პოლიტიკური სპექტრის, არასამთავრობო ორგანიზაციების, მედიისა და, ზოგადად, საზოგადოების ნაწილში ტოლერანტობისა და თანასწორობის პრინციპებზე მყარი კონსესუსი ჯერ კიდევ არ არის მიღწეული.

რელიგიურ ნიადაგზე განხორციელებული დევნა, დისკრიმინაცია და შეუწყნარებლობის გამოვლინება

საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის სახელზე რელიგიურ ნიადაგზე განხორციელებული დევნის ერთი, დისკრიმინაციის ორი და სიტყვიერი შეურაცხყოფის ერთი განცხადება შემოვიდა. ოთხივე შემთხვევაში განცხადებებში წარმოდგენილი

პრობლემები იეპოვას მოწმეების რელიგიური გაერთიანების წევრებთან იყო დაკავშირებული.

1. 2011 წელს სახალხო დამცველის სახელზე რელიგიური შეუწყნარებლობის ნიადაგზე განხორციელებული დევნის შესახებ მხოლოდ ერთი განცხადება შემოვიდა, რომლის თანახმად, რელიგიური გაერთიანება იეპოვას მოწმეთა მიმდევრებს, გ.ხ.-ს, გ.შ.-ს, ე.ხ.-ს და თ.ხ.-ს, ქარელის რაიონის სოფელ რუისში სამქადაგებლო-სამისიონერო საქმიანობის აღსრულებისას მართლმადიდებელმა სასულიერო პირმა, მღვდელმა რ.-მ არაერთგზის მიაყენა ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა, სცადა მათთვის რელიგიური ლიტერატურის ჩამორთმევა. განცხადებაში აღნიშნულია, რომ ერთ-ერთი ასეთი თავდასხმა 2011 წლის 16 დეკემბერს მოხდა. მღვდელი ავტომატურად წამოეწია ე. ხ.-ს და თ. ხ.-ს, სიტყვიერად შეურაცხყო და შეეცადა მათთვის პირადი ნივთები წაერთმია. აღნიშნულ შემთხვევასთან დაკავშირებით დაწყებულია სისხლის სამართლებრივი დევნა სსკ-ს 156-ე მუხლის (დევნა რელიგიურ ნიადაგზე) საფუძველზე.

2. 2011 წლის 4 ივლისს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა რელიგიური გაერთიანება იეპოვას მოწმეთა ადვოკატმა. განცხადების თანახმად, 2011 წლის 31 მაისს იეპოვას მოწმეებმა ნ.ა.-მ და ს.შ.-მ ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად მიიღეს ფიზიკური დაზიანებები. ისინი გადაიყვანეს ადგილობრივ (ლაგოდეხის) საავადმყოფოში. საავადმყოფოს ქირურგმა ი. თ.-მ და მთავარმა ექიმმა ი.ლ.-მ რელიგიურ ნიადაგზე მათი თანმხლები პირები და მშობლები სიტყვიერად შეურაცხყვეს. ასევე, ახსნა-განმარტებების თანახმად, მოგვიანებით, საავადმყოფოს ტერიტორიაზე მდებარე აფთიაქში მედიკამენტების შექმნისას, მთავარმა ექიმმა ი.ლ.-მ ს.შ.-სა და მის დედას, მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, უწოდა „მახინჯი იაღველები“.

განცხადებაში აღწერილ შემთხვევასთან დაკავშირებით სახალხო დამცველის აპარატმა მიმართა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს და მოითხოვა ინფორმაცია, შეისწავლა თუ არა აღნიშნულმა უწყებამ იეპოვას მოწმეების მიერ მათდამი გაგზავნილ განცხადებაში მითითებული გარემოებები, რომლებიც უკავშირდება ექიმის მიერ შეურაცხყოფას რელიგიური ნიშნით. 2011 წლის 16 აგვისტოს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს 2011 წლის 12 აგვისტოს წერილით გვეცნობა, რომ ახსნა-განმარტებები ჩამოერთვათ დაზარალებულებს და სამედიცინო დახმარების პროცესში მონაწილე ყველა ექიმს, საქმის შესწავლის შედეგად, სამედიცინო დახმარების ხარისხის თვალსაზრისით დარღვევა არ დადგინდა. ამავე წერილის თანახმად, ვინაიდან სააგენტო ახორციელებს იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ პაციენტთათვის გაწეული სამედიცინო დახმარების ხარისხის კონტროლს, განცხადებაში მითითებულ სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტებზე რეაგირება აღემატება მის კომპეტენციას.

3. სახალხო დამცველს განცხადებით მომართეს იეპოვას მოწმეთა რელიგიური გაერთიანების ადვოკატებმა. განცხადების თანახმად, მათი კლიენტების, რ.ს.-ს, ლ.ა. -ს

და თ.ჭ.-ს, საკუთრებაში არის ქ. სიღნაღში, გზირიშვილის ქუჩა #1-ში მდებარე უძრავი ქონება. 2009 წელს ზემოხსენებულმა პირებმა, კანონის ყველა მოთხოვნის დაცვით, აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე მიიღეს საოფისე შენობა-ნაგებობის მშენებლობის ნებართვა და შესაბამის სამსახურებთან შეთანხმებული სამშენებლო პროექტი. მაგრამ იმ პერიოდში ფინანსური პრობლემის გამო ნებართვით დადგენილ ვადებში ვერ შეძლეს მშენებლობის დაწყება. ვადის გასვლის შემდეგ, 2011 წლის 22 თებერვალს, საქართველოს მთავრობის #57 დადგენილების 57-ე მუხლის თანახმად, განცხადებით მიმართეს სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგებელს, ნ. კოჭლამაზაშვილს, დაევალებინა შესაბამისი სამსახურებისთვის შეესწავლა და გაეცათ მშენებლობის ახალი სანებართვო მოწმობა. ადმინისტრაციულმა ორგანომ გაუშვა შენობა-ნაგებობის სანებართვო მოწმობის გაცემისთვის გადაწყვეტილების გამოსატანად დადგენილი 10-დღიანი ვადა. მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ საქართველოს მთავრობის #57 დადგენილების 54-ე მუხლი მე-7 ნაწილის თანახმად, თუ ადმინისტრაციული ორგანო დადგენილ ვადაში არ გასცემს წერილობით უარს, ითვლება, რომ მშენებლობის ნებართვაზე თანხმობა გაცემულია და ამ შემთხვევაში ნებართვის მამიებელი უფლებამოსილია მოითხოვოს სანებართვო მოწმობა. არაერთი მიმართვის მიუხედავად საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სანებართვო მოწმობა არ გაცემულა. განმცხადებელთა თანახმად, ისინი პირადად შეხვდნენ და ესაუბრნენ ნ. კოჭლამაზაშვილს, მაგრამ კვლავ უარი მიიღეს აღნიშნული დადგენილების გაცემაზე. იეჰოვას მოწმეთა ვარაუდით, სამშენებლო ნებართვისა და სანებართვო მოწმობის გაუცემლობის მიზეზი მათი რელიგიური მრწამსი გახდა. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა გამოითხოვა შესაბამისი ორგანოდან დეტალური ინფორმაცია უარის საფუძვლის შესახებ. საანგარიშო პერიოდში საქმის შესწავლა არ დასრულებულა. ამდენად, ქ. სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგებლის ქმედებები შესაძლოა შეიცავდეს დისკრიმინაციის ნიშნებს (სსკ 142-ე მუხლის დარღვევა).

4. საანგარიშო პერიოდში ისეთი შემთხვევაც გამოვლინდა, როდესაც იეჰოვას მოწმეების მიმართ უთანასწორო მოპყრობის ფაქტი გათვალისწინებულ იქნა და მათი მოთხოვნა დაკმაყოფილდა. კერძოდ, რელიგიური გაერთიანების ადვოკატებმა განცხადებით მიმართეს სახალხო დამცველს. განცხადების თანახმად, მათ ცხრა კლიენტს, რომლებიც დასაქმებულნი არიან ჭიათურაში შპს „ჯორჯიან მანგანეზში“, სახელფასო უწყისიდან რამდენჯერმე ჩამოეჭრათ თანხა 5 ლარის ოდენობით. განმცხადებლების თქმით, მათთვის, ისევე როგორც შპს-ს სხვა თანამშრომლებისთვის, ჩამოჭრილი სახელფასო თანხა ირიცხებოდა მართლმადიდებლური ეკლესია-მონასტრების მშენებლობის ფონდში. იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნული პირები არიან იეჰოვას მოწმეები, ამგვარი ქმედება ეწინააღმდეგებოდა მათ რელიგიურ მრწამსს. სიტუაციის გასარკვევად იეჰოვას მოწმე თანამშრომლებმა მიმართეს შპს „ჯორჯიან მანგანეზის“ ჭიათურის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის მენეჯერს, ა.გ.-ს, სთხოვეს გაეთვალისწინებინა მათი რელიგიური და მორალური შეხედულებები და აღნიშნული თანხა სხვა, არარელიგიური დანიშნულების მქონე საქველმოქმედო ფონდში გადაერიცხათ. თავდაპირველად ა.გ.-მ სიტყვიერად განუცხადა მათ, რომ ამგვარი ქმედება ორგანიზაციის მხრიდან ოფიციალურად არის დადგენილი და იგი ვერაფრის შეცვლას

ვერ შეძლებდა. თუმცა საბოლოოდ, „ჯორჯიან მანგანუმის“ ადმინისტრაციის მიერ ამგვარი დისკრიმინაციული მიდგომა შეიცვალა და იეჰოვას მოწმეების მოთხოვნა დაკმაყოფილდა.

მიუხედავად იმისა, რომ საანგარიშო პერიოდში, წინა წლებთან შედარებით, რელიგიური შეუწყნარებლობის საფუძველზე ჩადენილი კანონდარღვევების რაოდენობამ იკლო, აღნიშნული ოთხი ფაქტი, უპირველეს ყოვლისა, იმაზე მიუთითებს, რომ რელიგიურ უმცირესობებს, განსაკუთრებით კი იეჰოვას მოწმეებს, საზოგადოებისა და საჯარო მოხელეების ნაწილი ვერ აღიქვამს საზოგადოების სრულფასოვან და თანასწორუფლებიან წევრებად, შედეგად, ხშირია მათ მიმართ პირდაპირი თუ ირიბი დისკრიმინაცია.

სამხედრო სარეზერვო სამსახურისადმი კეთილსინდისიერი წინააღმდეგობა

2011 წელს სხვადასხვა ინსტანციის სასამართლო განიხილავდა 5 სარჩელს, რომლებიც, რელიგიური აღმსარებლობიდან გამომდინარე, იეჰოვას მოწმეების მიერ სამხედრო სარეზერვო სამსახურისადმი კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის გაწევასთან იყო დაკავშირებული. აქედან ორ შემთხვევაში იეჰოვას მოწმეებს დააკისრეს ადმინისტრაციული ჯარიმა (500 ლარი) სარეზერვო სამსახურისადმი თავის არიდების გამო, ხოლო დანარჩენ სამ შემთხვევაში საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სააპელაციო სასამართლოს საქმეების განხილვა არ დაუსრულდება.

2011 წლის 21 დეკემბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ გამოაცხადა გადაწყვეტილება სახალხო დამცველის კონსტიტუციური სარჩელთან დაკავშირებით, რითაც აღიარა პირის კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის უფლება სამხედრო სარეზერვო სამსახურის მიმართ.

სარჩელი შეეხებოდა „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის არაკონსტიტუციურად ცნობას, რომელიც სამხედრო სარეზერვო სამსახურის მოხდის მოვალეობას ადგენს იმ პირებისთვისაც, რომლებიც რწმენის თავისუფლების მოტივით უარს აცხადებენ სამხედრო სარეზერვო სამსახურზე. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა საქართველოს სახალხო დამცველის კონსტიტუციური სარჩელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ და საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან და მე-19 მუხლის პირველ და მე-3 პუნქტებთან მიმართებით არაკონსტიტუციურად ცნო „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც სამხედრო სარეზერვო სამსახურის მოხდის მოვალეობას ადგენდა იმ პირთა მიმართ, რომლებიც რწმენის თავისუფლების მოტივით უარს აცხადებენ სამხედრო სარეზერვო სამსახურზე.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დეტალურ ინფორმაციას შეგიძლიათ გაცნოთ ანგარიშის თავში კონსტიტუციური მართლმსაჯულების შესახებ.

საგადასახადო რეჟიმი

2011 წლის იანვრიდან საქართველოში ამოქმედდა ახალი საგადასახადო კოდექსი. აღნიშნული კანონი, ისევე, როგორც მანამდე მოქმედი, რელიგიური ორგანიზაციების საქმიანობას არ მიიჩნევს ეკონომიკურ საქმიანობად და შესაბამისად არ ხდება მათი დაბეგვრა რიგი გადასახადებით, თუმცა ეს წესი ყველა რელიგიური ორგანიზაციისათვის ერთნაირი არ არის.

რელიგიური ორგანიზაციების საგადასახადო რეჟიმთან დაკავშირებით საქართველოს კანონმდებლობაში არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით დეტალურად ვისაუბრეთ 2010 წლის ანგარიშში¹⁵³, რომელშიც წარმოვადგინეთ ჩვენი ხედვა და რეკომენდაციები ამ პრობლემათა დასარეგულირებლად. მიუხედავად აღნიშნულისა, სამწუხაროდ, საანგარიშო პერიოდში საგადასახადო კანონმდებლობაში შესაბამისი ცვლილებები და დამატებები არ შესულა.

საკუთრებასთან დაკავშირებული პრობლემები

წლების განმავლობაში გადაუჭრელია საბჭოთა პერიოდში რამდენიმე რელიგიური გაერთიანებისთვის ჩამორთმეული ქონების რესტიტუციის საკითხი. ამ ობიექტების ნაწილი სავალალო მდგომარეობაშია. საანგარიშო პერიოდში ვერ მოხერხდა მათი შენარჩუნებისთვის აუცილებელი სარესტავრაციო სამუშაოების ჩატარება. ამ ეტაპზე სომეხთა სამოციქულო ეკლესია სახელმწიფოსგან 6 რელიგიური ნაგებობის დაბრუნებას მოითხოვს, რომლებიც დღესდღეობით არ ფუნქციონირებს. კათოლიკე ეკლესია 5 კათოლიკური ტაძრის საკითხის გადაჭრის აუცილებლობაზე ამახვილებს ყურადღებას. ეს კათოლიკური ნაგებობები სადღეისოდ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკუთრებაა. რამდენიმე უმოქმედო მეჩეთის დაბრუნების საკითხს სვამს მუსლიმთა თემიც (დაწვრილებით ამ საკითხის შესახებ იხ. სახალხო დამცველის 2009 და 2010 წლების ანგარიშებში).

მედია და ტოლერანტობა

საანგარიშო პერიოდში მედიასთან დაკავშირებული ვითარება არსებითად არ შეცვლილა. ბოლო სამი წლის განმავლობაში, ორი ბეჭდვითი გამოცემისა და რამდენიმე ინტერნეტგვერდის გარდა, რელიგიის თავისუფლების საკითხებისა და რელიგიური მრავალფეროვნების მედიაეთიკის სტანდარტების გაშუქებით სხვა მედიაორგანიზაციები არ დაინტერესებულან. კვლავაც პრობლემატური იყო ყველა ტიპის მედიაში ე.წ. სიმპულვილის ენის გამოყენება და ქსენოფობიის ტირაჟირება.

¹⁵³ საქართველოს სახალხო დამცველის

ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ – გვ.248)

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2011 წელს სახალხო დამცველთან არსებულმა ტოლერანტობის ცენტრმა შექმნა ვებგვერდი tolerantoba.ge, რომლის სივრცე მთლიანად ეთმობა რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების საკითხებს. გვერდის მიზანია რელიგიური და ეთნიკური მრავალფეროვნების ბაზის შექმნა, რომელშიც განთავსდება ამ თემების გარშემო არსებული ყველა ტიპის ინფორმაცია. ამასთანავე, საგანგებოდ გვერდისათვის მომზადებული ვიდეოსიუჟეტების მეშვეობით საზოგადოება გაეცნობა რელიგიურ და ეთნიკურ დღესასწაულებსა და ტრადიციებს. გათვალისწინებულია, რომ გვერდის აქტუალური მასალის შექმნაში თავად უმცირესობების წარმომადგენლები მიიღებენ მონაწილეობას. Tolerantoba.ge –ს ნარატიულ ტექსტებს მკითხველი სამ ენაზე იხილავს: ქართულად, ინგლისურად და რუსულად.

რეკომენდაციები:

რეკომენდაციით მივმართავთ საქართველოს პარლამენტს, დაიწყოს მუშაობა საგადასახადო კანონმდებლობის სრულყოფისათვის, რათა უზრუნველყოს ყველა რელიგიური გაერთიანებისათვის თანასწორი საგადასახადო-სამართლებრივი რეჟიმის არსებობა საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლით დადგენილი თანასწორობის პრინციპის შესაბამისად.

რეკომენდაციით მივმართავთ კომპეტენტურ ორგანოებს, დაუყოვნებლივ იქნეს შესწავლილი სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული რელიგიური უმცირესობების ისტორიული ნაგებობების მდგომარეობა და უზუნველყოფილი მათი კონსერვაციის მიზნით გადაუდებელი სარემონტო სამუშაოების შესრულება; პარალელურად გატარდეს ზომები სადავო ნაგებობების მესაკუთრეთა დადგენისა და შესაბამისი ქონების გადაცემისათვის.

რეკომენდაციით მივმართავთ საზოგადოებრივ მაუწყებელს გამოიჩინოს მეტი ძალისხმევა ქვეყანაში რელიგიური ტოლერანტობის განვითარების მხარდასაჭერად. ამ მხრივ უმჯობესი იქნება ტელე და რადიომაუწყებლობის მეშვეობით განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს საგანმანათლებლო, სამეცნიერო-პოპულარული გადაცემების მომზადებას, რომლებშიც ასახული იქნება მსოფლიო და ადგილობრივი რელიგიური კულტურა, მრავალფეროვნება და ტრადიციები, გაანალიზდება ამ კუთხით მიმდინარე გლობალური თუ ლოკალური პროცესები და არსებული გამოწვევები.

ეროვნული უმცირესობების უფლებები და სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობა

წინამდებარე თავში ასახულია საქართველოში ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებული პრობლემატიკა და გაანალიზებული და შეფასებულია სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესი.

საანგარიშო პერიოდში ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციის შესახებ სახალხო დამცველისთვის განცხადებით არავის მოუმართავს.

2011 წელს გაგრძელდა და განხორციელდა 2009–2010 წლებში შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის ფარგლებში წამოწყებული მნიშვნელოვანი ინიციატივები.

2009 წელს „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონში შეტანილი ცვლილებით აზერბაიჯანულენოვანი, სომხურენოვანი, ოსურენოვანი და აფხაზურენოვანი აბიტურიენტებისთვის გამარტივდა ეროვნული გამოცდების ჩაბარების წესი, რითაც მნიშვნელოვნად გაიზარდა ეთნიკური უმცირესობებისთვის უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობა. მიმდინარე წელს საგამოცდო ბარიერი 250–მა აზერბაიჯანულენოვანმა და 179–მა სომხურენოვანმა მოქალაქემ გადალახა. სახელმწიფო სასწავლო გრანტით 2011 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი ტესტის შედეგების საფუძველზე დაფინანსდა 98 აბიტურიენტის სწავლა, ხოლო სომხურენოვანი ტესტის საფუძველზე – 99-ისა.

პოზიტიურ ცვლილებათა ნუსხაში შეგვიძლია შევიტანოთ არაქართულენოვან სკოლებში ქართული ენისთვის გამოყოფილი საათების გაზრდა და ცალკეულ საჯარო სკოლაში ბილინგვური სწავლების დანერგვა-განვითარება. უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში ამაღლდა სახელმწიფო ენის შესწავლის მოტივაცია.

აღსანიშნავია ინფრასტრუქტურის განვითარებისკენ მიმართული მასშტაბური ღონისძიებები. 2011 წელს გაიხსნა ახალქალაქი–წალკა–თბილისის რეაბილიტირებული გზა, რომელიც უკვე მნიშვნელოვან როლს ასრულებს რეგიონების სოციალურ–ეკონომიკური განვითარებისა და ინტეგრაციის საქმეში.

2010 წლიდან საზოგადოებრივი მაუწყებლით უმცირესობათა ენებზე ყოველდღიური საინფორმაციო პროგრამები გადაიცემა, რომლებიც პირველი და მეორე არხის გარდა ქვემო ქართლისა და სამცხე–ჯავახეთის რეგიონული ტელევიზიებითაც ტრანსლირდება, თუმცა საინფორმაციო პროგრამების ფორმატით ეთნიკურ უმცირესობებთან დაკავშირებული მოვლენები სრულფასოვნად ვერ შუქება, რაც მოსაგვარებელი პრობლემების რიცხვს განეკუთვნება.

პრეზიდენტი და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები საჯარო გამოსვლებისას მუდმივად ხაზს უსვამდნენ ეთნიკური მრავალფეროვნების დაცვის, სამოქალაქო

ინტეგრაციის ხელშეწყობის, თანასწორუფლებიანი გარემოს დამკვიდრების აუცილებლობას. ინტეგრაციის პროცესის წარმართვაში ჩართული არიან რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი და სხვა ცენტრალური თუ რეგიონული სახელმწიფო უწყებები. ცალკე უნდა აღინიშნოს პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან არსებული ტოლერანტობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საბჭოს საქმიანობა. უმცირესობათა საკითხებისადმი განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენს საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭო.

მიმდინარე ეტაპზე, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული ეროვნული უმცირესობების საბჭო კვლავ ცენტრალურ საკონსულტაციო ფუნქციას ასრულებს როგორც სახალხო დამცველის, ასევე ინტეგრაციის პროცესში ჩართული სახელმწიფო უწყებებისთვისაც.

ამ დადებითი ტენდენციების მიუხედავად, სამოქალაქო ინტეგრაციისა და უმცირესობების უფლებების დაცვის მხრივ კვლავ არაერთი კონკრეტული და სისტემური პრობლემა გადასაჭრელი, რომელთაგან ერთ-ერთი ყველაზე რთულად დასაძლევია ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკურ, კულტურულ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში არასაკმარისი მონაწილეობის აღმოფხვრა. უმცირესობები მცირე რაოდენობით არიან წარმოდგენილი ცენტრალური ხელისუფლების დონეზე – პარლამენტში და აღმასრულებელი ხელისუფლების უწყებებში. პრობლემატური და აქტუალურია უმრავლესობისა და უმცირესობების ჯგუფებს შორის არსებული ურთიერთგაუცხოება და ნეგატიური სტერეოტიპებით მოცული განწყობა.

საანგარიშო პერიოდში კვლავ იყო შემთხვევები ამა თუ იმ პოლიტიკოსის ეთნიკური წარმომავლობის საბაზით დისკრედიტაციის მცდელობისა. საქართველოს პარლამენტის მიერ რელიგიური გაერთიანებების რეგისტრაციის შესახებ სამოქალაქო კოდექსში შეტანილ ცვლილებებს, სამწუხაროდ, ქსენოფობიისა და კონკრეტულად, არმენოფობიის მასშტაბური გამოვლინება მოჰყვა (იხ. რელიგიის თავისუფლება და ტოლერანტული გარემო).

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები ხშირად ყურადღებას ამახვილებენ თავიანთი ისტორიული ძეგლებისა და ზოგადად, კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნების საკითხებზე. ავარიულ მდგომარეობაშია აზერბაიჯანული და სომხური თეატრები, დავით ბააზოვის სახელობის ებრაული მუზეუმი და სხვა ისტორიული ნაგებობები, რელიგიური დანიშნულების ნაგებობები (იხ. რელიგიის თავისუფლება და ტოლერანტული გარემო).

განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს მცირერიცხოვანი ეთნიკური ჯგუფების პრობლემატიკა, მათი ენის, იდენტობისა და კულტურის შენარჩუნების საკითხები.

განათლების ხელმისაწვდომობა / ენის სწავლება

- სახელმწიფო ენის სწავლება

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ 2011 წელს დაიწყო ახალი პროგრამის - “ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“ განხორციელება, რომელიც ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში მაგისტრი სტუდენტების მივლენას ითვალისწინებს. ამ პროგრამით საანგარიშო პერიოდში სხვადასხვა რეგიონის სოფლებში 140 ახალგაზრდა გაიგზავნა, რომლებიც ადგილობრივ მოსწავლეებსა და სხვა მსურველებს სახელმწიფო ენას ასწავლიან.

2011 წელს გაგრძელდა 2009 წელს დაწყებული პროგრამა „ვასწავლოთ ქართული, როგორც მეორე ენა“. ამ პროგრამის ფარგლებში ქვემო ქართლისა და სამცხე ჯავახეთის რეგიონების სხვადასხვა სკოლაში 69 პედაგოგია მივლენილი. პროგრამა ხელს უწყობს ენის ცოდნის დონის ამაღლებას როგორც სკოლის მოსწავლეებში, ასევე პედაგოგებში. ამის დამადასტურებელია ისიც, რომ ამ სკოლების მოსწავლეების დიდმა უმრავლესობამ (განათლების სამინისტროს მონაცემებით) წარმატებით გადალახა საატესტატო გამოცდების ბარიერი ქართულ ენაში.

2011 წელს შეიქმნა და გამოიცა დაწყებითი საფეხურის I-IV დონის ქართულის, როგორც მეორე ენის სახელმძღვანელოები, რომლებიც არაქართულენოვან სკოლებში დარიგდა. სახელმძღვანელო შედგება მოსწავლის წიგნისა და სამუშაო რვეულისგან.

2011 წლისთვის განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ „ქართული ენის პროგრამის“ ფარგლებში დააფინანსა სამცხე-ჯავახეთში ნინოწმინდისა და ახალქალაქის ქართული ენის სახლები, ხოლო ქვემო ქართლში - დმანისის, მარნეულის, ბოლნისისა და გარდაბნის ქართული ენის ცენტრები. აღსანიშნავია, რომ 2011 წლის 1 ოქტომბრიდან ქართული ენის სახლებსა და ცენტრებს ადმინისტრირებას უწევს ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა.

უნდა ითქვას, რომ აღნიშნული პროგრამები ისევე, როგორც ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში მოქმედი „ენის სახლები“, დადებით როლს ასრულებს სამოქალაქო ინტეგრაციის თვალსაზრისით. დღეის მდგომარეობით მსურველების მნიშვნელოვან ნაწილს საშუალება ეძლევა, შეისწავლოს სახელმწიფო ენა ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში.

- სკოლამდელი აღზრდის სისტემა

ქართული ენის შესწავლის პრობლემატიკასთან დაკავშირებით ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში, მაგალითისთვის ქვემო ქართლში, ძალზე მნიშვნელოვანია სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ეფექტური მუშაობა. ქვემო ქართლში ამის საჭიროებას ზრდის ის გარემოება, რომ ეროვნული უმცირესობების

წარმომადგენლებს, კერძოდ, ეთნიკური აზერბაიჯანელების მნიშვნელოვან რაოდენობას, ბავშვები შეჰყავთ ქართულ სკოლებში. ამ მოსწავლეების დიდმა ნაწილმა სამეტყველო დონეზეც არ იცის ქართული ენა. შესაბამისად, პედაგოგი ერთ კლასში ერთმანეთისგან ენის რადიკალურად განსხვავებული ცოდნის დონეზე მყოფ ბავშვებთან მუშაობს, რაც უარყოფითად აისახება სწავლების ხარისხზე. სწავლის პროცესში ჩნდება მრავალი პრობლემა: მასწავლებლებს უჭირთ ბავშვებთან ენობრივი კომუნიკაცია; მოსწავლეებს არ ესმით მასწავლებლისა; მასწავლებლები იძულებული არიან ერთსა და იმავე კლასში დასწიონ მოთხოვნები მთელი კლასისთვის ან განსხვავებული პროგრამა შესთავაზონ ქართულენოვან და არაქართულენოვან ბავშვებს და სხვ.

აქედან გამომდინარე, პრობლემების გადასაწყვეტად მნიშვნელოვანია, გარკვეული როლი შეასრულოს სკოლმადელი აღზრდის დაწესებულებებმა. მისასალმებელია, რომ 2011 წლის სექტემბრიდან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მხარდაჭერით ახორციელებს პროექტს „ქართული ენის სწავლების ხელშეწყობა ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში სკოლმადელი განათლების საფეხურზე“. პროექტის ფარგლებში შეიქმნა 8 სკოლმადელი აღზრდის ცენტრი – 5 ცენტრი არსებული საბავშვო ბაღების და 3 ცენტრი სკოლების ბაზაზე. აქედან, ქვემო ქართლში ბოლნისის სოფ. ნახიდაურში - ერთი ცენტრი სკოლის ბაზაზე და თითო ცენტრი - მარნეულსა და დმანისში საბავშვო ბაღების ბაზაზე; ხოლო სამცხე-ჯავახეთში, ახალციხეში - ერთი ცენტრი საბავშვო ბაღის ბაზაზე, ახალქალაქში და ნინოწმინდაში - თითო ცენტრი საბავშვო ბაღების ბაზაზე და თითო სკოლების ბაზაზე. პროექტის ფარგლებში ასევე შეიქმნა „ქართულის, როგორც მეორე ენის სკოლმადელი აღზრდის პროგრამა“, რომელიც მოიცავს მასწავლებლის სახელმძღვანელოსა და ბავშვებისათვის შექმნილ სპეციალურ სააღმზრდელო-სასწავლო მასალას.

- **ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა**

2005 წელს დაფუძნდა ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა. მისი ერთ-ერთი მიზანი იყო საჯარო სამსახურში მომუშავე (ან მუშაობის მსურველი) არაქართულენოვანი მოქალაქეებისთვის სახელმწიფო ენის სწავლება. ასევე, ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ, მაღალმთიან და კონფლიქტის ზონების რეგიონებში მომუშავე საჯარო მოხელეების (ასევე პოტენციური მოხელეების) პროფესიული მომზადება, თუმცა დღესდღეისობით სკოლის ფუნქცია და დანიშნულება მკაფიოდ არ არის გამოკვეთილი, რადგან მოქმედებს მხოლოდ ქართული ენის შესწავლის კურსები.

სკოლის ფუნქციონირებისთვის შექმნილია შესაბამისი ინფრასტრუქტურა და კარგი პირობები მსმენელებისთვის. 2011 წელს ზურაბ ჟვანიას სახელობის სკოლაში ქართული ენის კურსები არაქართულენოვანი სკოლების დირექტორებმაც გაიარეს.

სკოლის ინფრასტრუქტურა და პირობები უფრო მრავალფეროვანი სერვისის შეთავაზების საშუალებას იძლევა როგორც ეროვნული უმცირესობებით დასახლებული რეგიონების, ასევე საქართველოს სხვა რეგიონების მოსახლეობისთვის. სკოლას, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების არსებობის შემთხვევაში, შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს ეროვნული უმცირესობებისა და ზოგადად საქართველოს რეგიონების თვითმმართველობების, სოფლებში გამგებლების, რწმუნებულებისა და ადგილობრივი მუნიციპალიტეტების თანამშრომლების მომზადებასა და გადამზადებაში.

მართალია, სახელმწიფოში ხორციელდება რამდენიმე საინტეგრაციო საგანმანათლებლო პროგრამა, რეგიონებში ფუნქციონირებს ენის სახლები, მოქმედებს უნივერსიტეტებში ჩარიცხვის შეღავათიანი სისტემა, მაგრამ კვლავ მწვავედ დგას უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში ადმინისტრაციულ უწყებებში კვალიფიციური კადრების, განსაკუთრებით, სახელმწიფო ენის მცოდნე თანამშრომლების საკითხი. ამ პრობლემის მოგვარებაში ქუთაისის ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლას მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია.

- **ეროვნული უმცირესობების ენებზე სახელმძღვანელოების თარგმნა**

ერთ-ერთი პრობლემატური სფერო სახელმძღვანელოების ქართულიდან უმცირესობათა ენებზე თარგმნის საკითხია. სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი 2007-2010 წლების განმავლობაში არაქართულენოვანი სკოლებისთვის ახალი სახელმძღვანელოების თარგმნას უზრუნველყოფდა. სახელმძღვანელოები პირველ ეტაპზე ითარგმნა I, VII და X კლასებისთვის, მეორე ეტაპზე - II, VIII, XI კლასებისთვის აფხაზურ, ოსურ, რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე, მესამე ეტაპზე კი - III, IX და XII კლასებისათვის. თარგმნილმა სახელმძღვანელოებმა პილოტირება 10 აზერბაიჯანულენოვან, 10 სომხურენოვან და 10 რუსულენოვან სკოლებში გაიარა.

სახალხო დამცველთან არსებულმა ეროვნულ უმცირესობათა საბჭომ და საბჭოს წევრმა ორგანიზაციებმა ჩატარეს ქართულიდან აზერბაიჯანულ ენაზე თარგმნილი სასკოლო სახელმძღვანელოების მონიტორინგი. მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა სახელმძღვანელოების თარგმნის დროს დაშვებული არაერთი შინაარსობრივი და გრამატიკული უზუსტობა, რაც, ბუნებრივია, პრობლემებს წარმოშობს სწავლის პროცესში როგორც პედაგოგებისთვის, ასევე მოსწავლეებისთვის.

- **მულტილინგვური განათლება**

2010 წლიდან საქართველო განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ახორციელებს “მულტილინგვური სწავლების ხელშეწყობის პროგრამას”. პროგრამის ფარგლებში 2010-2011 წლებში 40 სხვადასხვა საპილოტე სკოლაში ხორციელდებოდა მულტილინგვური

განათლების პროგრამა. პროგრამის მიხედვით სკოლებს საშუალება ჰქონდათ, თვითონ შეერჩიათ სწავლების მათთვის სასურველი მოდელი და მეთოდი.

“მულტილინგვური სწავლების ხელშეწყობის პროგრამაში” 2011 წელს ჩართულ 34 საჯარო სკოლას გადაეცა მიზნობრივი სუბსიდია ათას-ათასი ლარის ოდენობით.

გარდა ამისა, მულტილინგვური განათლების წარმატებით განხორციელებისთვის ძალზე მნიშვნელოვანია პედაგოგების მოტივაციის ზრდა. ყოველ სკოლაზე წლის განმავლობაში გამოყოფილი თანხა, 1000 ლარი, ვერ უზრუნველყოფს სკოლებში ბილინგვური სწავლების დანერგვასა და მის სრულფასოვან მხარდაჭერას.

სახალხო დამცველთან არსებულმა ეროვნულ უმცირესობათა საბჭომ 2011 წელს ჩატარა შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციის სამოქმედო გეგმის მონიტორინგი. საბჭოს შეხვედრებისა და მონიტორინგის დროს გამოიკვეთა მულტილინგვური პედაგოგებისა და სახელმძღვანელოების სრულყოფისა და მულტილინგვური სწავლების მეთოდოლოგიის დეფიციტი.

ეროვნული უმცირესობები კულტურული მემკვიდრეობის დაცვა

- კანონმდებლობა

საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულია თითოეული მოქალაქის კულტურული განვითარება, კულტურულ ცხოვრებაში თანამონაწილეობა, კულტურული თვითმყოფადობის გამოვლინება და გამდიდრება (მუხლი 34.1); კონსტიტუციის თანახმად, საქართველოს მოქალაქენი თანასწორნი არიან სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, განურჩევლად მათი ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილებისა. საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად, მათ უფლება აქვთ თავისუფლად, ყოველგვარი დისკრიმინაციისა და ჩარევის გარეშე განავითარონ თავიანთი კულტურა, ისარგებლონ მშობლიური ენით პირად ცხოვრებაში და საჯაროდ (მუხლი 38.1).

„კულტურის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საქართველოს მოქალაქენი თანასწორნი არიან კულტურულ ცხოვრებაში, განურჩევლად მათი ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილებისა. ამავე კანონის მე-10 მუხლის მიხედვით ყოველ ადამიანს (მათ შორის ბუნებრივია ეროვნულ უმცირესობებს) აქვს კულტურული თვითმყოფადობის უფლება.

უნდა აღინიშნოს, რომ კულტურის სფეროში მოქმედ სამართლებრივ ნორმებში ანტიდისკრიმინაციული და ეთნიკური და რელიგიური მრავალფეროვნების წარმოჩენის, დაცვისა და ხელშეწყობის სპეციალური ნორმები არ არის მკაფიოდ ჩამოყალიბებული. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენლები სახალხო დამცველთან არსებულ ეროვნულ უმცირესობათა

საბჭოსთან გამართულ შეხვედრებზე აღნიშნავენ, რომ ისინი ერთიანი სტანდარტით განიხილავენ საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ყველ ისტორიულ-კულტურულ ძეგლს. მაგრამ სასურველია, ეროვნული უმცირესობების მატერიალური და არამატერიალური კულტურის ძეგლების დაცვა-შენარჩუნების გარანტიები სპეციალური დებულებებით განისაზღვროს.

- **ეროვნული უმცირესობების კულტურის დაცვისა და პოპულარიზების მიზნით განხორციელებული აქტივობები**

აღსანიშნავია, რომ კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ ყოველწლიურად უფრო მეტი აქტივობა ხორციელდება ეროვნული უმცირესობებისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით.

სამინისტრო ახორციელებს “ეროვნული უმცირესობების მხარდაჭერის პროგრამას”, რომლის ფარგლებშიც საქართველოს მასშტაბით მრავალი მნიშვნელოვანი ღონისძიება ჩატარდა. კერძოდ: წალკაში მოეწყო ფესტივალი “ღია ცის ქვეშ”; მარნეულის აზერბაიჯანულ კულტურის ცენტრთან მოქმედ ანსამბლ “სარვანს” გადაეცა საცეკვაო სამოსი; მირზა ფათალი ახუნდოვის სახელობის მუზეუმში მოეწყო ხალიჩების გამოფენა; გამოიცა გივი შახნაზარის თარგმნილი ნაწარმოებები და ჩატარდა სხვა მრავალი ღონისძიება.

მნიშვნელოვანია, რომ ახალციხეში რაბათის უბნის რამდენიმე ქუჩას მიენიჭა კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი. ასევე, 2011 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა ეროვნული უმცირესობების კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შესწავლა-ინვენტარიზაცია.

გარდა ამისა, ხორციელდებოდა თბილისის სომხური, აზერბაიჯანული და რუსული თეატრების მხარდაჭერის პროგრამა, რომლის ფარგლებშიც დაიდგა მრავალი სპექტაკლი და მოეწყო გასტროლები სხვადასხვა რეგიონში და საზღვარგარეთ.

- **მუზეუმები**

გასული წლების მსგავსად 2011 წელსაც თბილისის მირზა ფათალი ახუნდოვისა და დავით ბააზოვის სახელობის მუზეუმები სახელმწიფოს მხარდაჭერით ფუნქციონირებდა, თუმც დავით ბააზოვის სახელობის საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შენობა კვლავაც ავარიულ მდგომარეობაშია.

მნიშვნელოვანია, რომ დედაქალაქის პარალელურად რეგიონებშიც გააქტიურდა სამუზეუმო სფეროსადმი ინტერესი. რეგიონებში მოქმედი მუზეუმებიდან აღსანიშნავია თელავის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი; სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმი ახალციხეში; ბოლნისისა და გარდაბნის მხარეთმცოდნეობის მუზეუმები,

სადაც დაცულია კულტურულ-ეთნოგრაფიული მრავალფეროვნების ნიმუშები. პანკისის ხეობაში, სოფ. დუისში, 2011 წელს გაიხსნა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, სადაც განთავსდა ქისტური და ქართული ყოფა-ცხოვრებისთვის დამახასიათებელი ნივთები. აღსანიშნავია, რომ პერიოდულად მუზეუმებში ექსკურსიებზე მიჰყავთ სკოლის მოსწავლეები, რომლებიც ეცნობიან სხვადასხვა ეთნოსის კულტურის ნიმუშებს. მსგავსი აქტივობები ხელს უწყობს სხვადასხვა ეროვნების ახალგაზრდებში ტოლერანტული სულისკვეთების დანერგვას.

აღსანიშნავია, რომ კახეთში, სამცხე-ჯავახეთში, ქვემო ქართლსა და თბილისში გამართულ სხვადასხვა შემოქმედებით ღონისძიებაზე რეგულარულად იწვევენ ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა საშემსრულებლო ჯგუფებს. ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის სამხარეო ადმინისტრაციები მხარს უჭერენ სხვადასხვა ეროვნული უმცირესობის დღესასწაულების აღნიშვნას რეგიონების სოფლებში, რითაც ხელს უწყობენ ეროვნული უმცირესობების კულტურის შენარჩუნებასა და პოპულარიზებას.

ამავე დროს უნდა აღნიშნოს, რომ სამოქალაქო ინტეგრაციის კუთხით კულტურის სფეროში არსებული პოტენციალი ჯერ კიდევ სრულფასოვნად არ არის წარმოჩენილი.

საქართველო მდიდარია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებით. მრავალი ძეგლი საჭიროებს დაცვას, მოვლა-პატრონობას, ინვენტარიზაციასა და კულტურის ძეგლთა ნუსხაში შეტანას. მათ შორის არის ეროვნული უმცირესობების კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები. როგორც ცნობილია, მატერიალურ-ტექნიკური რესურსის უკმარისობის გამო საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ყველა ძეგლის რესტავრაცია-რეაბილიტაცია, მათთვის კულტურული ძეგლის სტატუსის მინიჭება და სხვა სამუშაოების განხორციელება ამ ეტაპზე ვერ ხერხდება.

მედია და ეროვნული უმცირესობები

- **ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებული თემების გაშუქება**

ელექტრონულ მედიაში ეროვნული უმცირესობების თემატიკის გაშუქების თვალსაზრისით 2011 წლის განმავლობაში განსაკუთრებული ცვლილებები არ მომხდარა.

საზოგადოებრივი მაუწყებელი ამზადებს 15-წუთიან საინფორმაციო გადაცემებს ეროვნული უმცირესობების ენებზე, რომლებიც გადაიცემა როგორც საზოგადოებრივი მაუწყებლის, ასევე ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების ადგილობრივი ტელევიზიებით.

უნდა აღინიშნოს, რომ დღეისათვის არსებული ყოველდღიური საინფორმაციო გადაცემები არასაკმარისია ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების შესახებ ეროვნული

უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების მოსახლეობის სრულფასოვანი ინფორმირებისთვის. ამდენად, აუცილებელია ეროვნული უმცირესობებისთვის ინფორმაციის მიწოდების სისტემის სრულყოფა.

საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ მომზადებულ საინფორმაციო გადაცემებში ნაკლებად შუქდება ეროვნულ უმცირესობათა ცხოვრებასთან და მათ პრობლემებთან დაკავშირებული მოვლენები.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერით კვლავ გადაიცემა ქართულენოვანი თოქ-შოუ „ჩვენი ეზო“, რომელიც აშუქებს ქვეყანაში ეროვნულ უმცირესობებთან, ტოლერანტულ გარემოსთან და ინტეგრაციის პროცესთან დაკავშირებულ თემატიკას. გადაცემაში მუდმივად მონაწილეობენ თავად უმცირესობების წარმომადგენლები.

2011 წლის მარტიდან საზოგადოებრივი მაუწყებლის რადიოეთერში განახლებული ფორმატით გავიდა რადიოგადაცემა „ჩვენი საქართველო“, რომელიც აშუქებს სამოქალაქო ინტეგრაციასთან დაკავშირებულ საკითხებს, ეროვნული და რელიგიური უმცირესობებისთვის მნიშვნელოვან თემებს. გადაცემაში მონაწილეობენ სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო უწყებებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. გადაცემების ნაწილი იწერება ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში, რაც ეროვნულ უმცირესობებს სხვადასხვა აქტუალური საკითხის შესახებ საკუთარი მოსაზრებების გამოთქმის საშუალებას აძლევს.

ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში მაუწყებლობს რამდენიმე რეგიონული ტელევიზია („ფარვანა“, „ატვ-12“, „ტვ მარნეული“, ბოლნისის ტელევიზია), რომლებსაც გარკვეული მხარდაჭერის შემთხვევაში, შეუძლიათ, მნიშვნელოვანი როლი შეასრულონ უმცირესობების ინფორმირების თვალსაზრისით მათთვის გასაგებ ენაზე და მიაწოდონ ინფორმაცია საქართველოში მიმდინარე მოვლენების შესახებ.

- **შუღლის ენა და ქსენოფობიის შემთხვევები**

2011 წელს, სიძულვილის ენის გამოყენებისა და ტირაჟირების არაერთი ფაქტი გამოვლინდა. ამ მხრივ განსაკუთრებით შემაშფოთებელი იყო საზოგადოებისთვის ცნობილი ადამიანებისა და პოლიტიკოსების მიერ გამოვლენილი ქსენოფობია და რასიზმი.

სიძულვილის ენის გამოყენება უკიდურესად მიუღებელი და დასაგმობი მოვლენაა, რადგან ასეთი განცხადებები ხელს უწყობს ქსენოფობიური და რასისტული მოსაზრებების გაჩენა-გავრცელებას, ნეგატიური სტერეოტიპებისა და განწყობების წარმოქმნას. რასიზმი და ქსენოფობია საზოგადოებისგან მკაცრ გაკიცხვას იმსახურებს, მით უფრო მაშინ, როცა ავტორი საზოგადოებაში პოპულარობით სარგებლობს.

მცირერიცხოვანი ეროვნული უმცირესობები

კვლავ პრობლემად რჩება მცირერიცხოვანი ეროვნული უმცირესობების კულტურისა და განათლების ხელშეწყობის საკითხი. როგორც რეგიონებში, ასევე დედაქალაქში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების სურვილია, სასკოლო განათლების ფარგლებში მიეცეთ მშობლიური ენის შესწავლის შესაძლებლობა.

განათლების სამინისტროს განმარტებით, ამ საკითხს აფერხებს შესაბამისი ენის სწავლების სტანდარტის არარსებობა. საჯარო სკოლებში ყველა საგანი და დისციპლინა ისწავლება სასწავლო სტანდარტის მიხედვით, ხოლო აღნიშნული სტანდარტის არარსებობის შემთხვევაში, შეუძლებელია ნებისმიერი საგნის, მათ შორის, მცირერიცხოვანი ეროვნული უმცირესობების მშობლიური ენის სკოლაში სწავლება.

ამ თვალსაზრისით რამდენიმე პოზიტიური ნაბიჯი გადაიდგა, თუმცა ჯერჯერობით მინიმალურ დონეზე. 2011 წელს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით თბილისის მე-11 საჯარო სკოლის ბაზაზე ფუნქციონირებდა ოსური საკვირაო სკოლა, სადაც დაინტერესებულ მოსწავლეებს საშუალება ჰქონდათ შეესწავლათ ოსური ენა, კულტურა, ისტორია და ფოლკლორი. სასურველია, რომ სამინისტროს მიერ მცირერიცხოვანი ეთნოსების ენების სწავლების სტანდარტის შექმნამდე მსგავსი პროგრამა განხორციელდეს სხვა მცირერიცხოვანი ეროვნული უმცირესობებისთვისაც თბილისისა და რეგიონების იმ საჯარო სკოლებში, რომლებშიც არსებობს შესაბამისი მოთხოვნა.

ასევე, პრობლემურია მცირერიცხოვანი ეროვნული უმცირესობების თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და კულტურული ძეგლების მოვლა-პატრონობის საკითხი. დადებით შეფასებას იმსახურებს ის ფაქტი, რომ ქვემო ქართლის მუნიციპალიტეტები ყურადღებას უთმობენ მცირერიცხოვანი უმცირესობების, კერძოდ, ბერძნებისა და ასურელების მნიშვნელოვანი დღესასწაულების აღნიშვნას. საამისოდ მუნიციპალიტეტების ბიუჯეტიდან გამოიყოფა თანხა.

სისხლის სამართლის კანონმდებლობა და რასობრივი დისკრიმინაცია

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დასჯადია რასობრივი, ეროვნული ან ეთნიკური შეუწყნარებლობის საფუძველზე ჩადენილი სხვადასხვა ტიპის დანაშაული, ხოლო ზოგიერთი დანაშაულის მიმართ ზემოხსენებული საფუძველები დამამძიმებელი გარემოებებია. კერძოდ: განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში (მუხლი 109, მე-2 ნაწილი, “დ” ქვეპუნქტი); ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება (მუხლი 117, მე-5 ნაწილის “დ” ქვეპუნქტი); ძალადობა - (მუხლი 126, მე-2 ნაწილის “ზ” ქვეპუნქტი); წამება (მუხლი 144(1) მე-2 ნაწილის, „ვ“ ქვეპუნქტი); მიცვალებულისადმი უპატივცემულობა (მუხლი 258, მე-3 ნაწილის “ზ” ქვეპუნქტი).

ასევე, კანონმდებლობით დასჯადია გენოციდი და დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ, რაც ასევე მოიცავს ეროვნული და ეთნიკური ნიშნით ჩადენილ ქმედებას.

სისხლის სამართლის კოდექსით ცალკე ტიპის დანაშაულადაა გამოყოფილი ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევა (მუხლი 142) და რასობრივი დისკრიმინაცია (მუხლი 142.1.).

ჩვენი ინფორმაციით, 2011 წელს ეთნიკური ნიშნით ჩადენილი დანაშაულების გამო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა საქართველოს მოქალაქეთა მიმართ არ დამდგარა, რასაც ერთმანეთისგან განსხვავებულ ახსნას უძებნიან სახელმწიფო უწყებებისა და ცალკეული არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლები ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს წარმომადგენლებთან შეხვედრის დროს აცხადებენ, რომ ამ ტიპის დანაშაული არ მომხდარა და, შესაბამისად, არც საგამომიებო მოქმედებები ჩატარებულა. ხოლო არასამთავრობო ორგანიზაციების ცალკეული წარმომადგენლების მოსაზრებით, ამ ტიპის დანაშაული ქვეყანაში ხდება, მაგრამ შესაბამისი ინსტიტუციების მიმართ არსებული დაბალი ნდობის გამო არ ხმაურდება და არ საჩივრდება შესაბამის სახელმწიფო უწყებებში. ამავდროულად უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი დაინტერესების მიუხედავად, სახალხო დამცველის ოფისისთვის 2011 წლის განმავლობაში არავის მოუწოდებია ინფორმაცია ისეთი ქმედების შესახებ, რომელიც შესაძლოა კვალიფიცირებულიყო რასობრივი მოტივით ჩადენილ დანაშაულად.

აღსანიშნავია, რომ ევროპული კომისია რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ (ECRI) 2010 წელს გამოქვეყნებულ ანგარიშში საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდებს, განახორციელოს საკანონმდებლო ცვლილებები, რომელთა მიხედვით რასიზმის მოტივაციით ჩადენილი დანაშაული დადგინდება ზოგად დამამძიმებელ გარემოებად სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ყველა ტიპის დანაშაულისთვის. აღნიშნული რეკომენდაციის შესრულება, ბუნებრივია, დადებითად იმოქმედებს რასისტული მოტივით ჩადენილი ნებისმიერი ტიპის დანაშაულის აღკვეთასა და პრევენციაზე.

ისტორიული გვარ-სახელების აღდგენის საკითხი

ეროვნული უმცირესობებისთვის პრობლემური საკითხი იყო საკუთარი ისტორიული გვარების დაბრუნება/აღდგენა. აღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქურთული და ასირიული ეთნოსის წარმომადგენელთათვის, რადგან რუსეთის იმპერიის პერიოდში, ისტორიული სამშობლოდან ჩამოსახლების შემდეგ, მათ არ დაუტოვეს ისტორიული გვარები და მიანიჭეს რუსული, სომხური ან სხვა წარმომავლობისა და დაბოლოების გვარები.

პრობლემას ართულებდა სათანადო საარქივო მასალის ხელმისაწვდომობის საკითხი და შესაბამისი საკანონმდებლო რეგულირების ნაკლებობა. მისასალმებელია, რომ 2011 წელს ამოქმედდა ახალი კანონი „სამოქალაქო აქტების შესახებ“, რომელშიც სპეციალური მუხლით განისაზღვრა ისტორიული გვარის აღდგენის საკითხი (მუხლი 65): „1. პირს შეუძლია მოითხოვოს თავისი ისტორიული გვარის აღდგენა, თუ მტკიცებულებათა

ერთობლიობით დასტურდება, რომ მისი გვარი წარმოიშვა სხვა გვარის გარდაქმნის ან მისი ისტორიული გვარის წარმომადგენლის მიერ სხვა გვარის მიღების შედეგად. 2. სხვა მტკიცებულებებთან ერთად ისტორიული გვარის აღდგენას საფუძვლად აგრეთვე შეიძლება დაედოს დასაბუთებული მეცნიერული ვარაუდი, რომლითაც დასტურდება ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული გარემოებების არსებობა..“.

რეკომენდაციები და წინადადებები

რეკომენდაციით მიემართავთ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს, რათა განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უზრუნველყოს:

ა) განათლების სისტემაში ეროვნული უმცირესობების სკოლებისთვის სხვადასხვა საგნის პედაგოგების მომზადების სისტემის ჩამოყალიბება;

ბ) ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში, სადაც მოსახლეობა ავლენს ქართულ სკოლაში ბავშვის შეყვანის სურვილს, გაზარდოს სკოლამდელი აღზრდის ცენტრების რაოდენობა, რათა მოსწავლეს სკოლაში მისვლამდე ჰქონდეს ქართული ენის საბაზისო ცოდნა. ასევე, სასურველია ჩატარდეს საინფორმაციო კამპანია, რათა მოსახლეობას მიეწოდოს ინფორმაცია სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების საქმიანობისა და საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ;

გ) შესაბამისი საგნების სპეციალისტების ჩართვა და საგნობრივი რედაქტირების ჩატარება სახელმძღვანელოების ქართულიდან უმცირესობათა ენებზე თარგმნის პროცესში დაშვებული უზუსტობების თავიდან ასაცილებლად;

დ) ბილინგვური პედაგოგების მოსამზადებელი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების გაგრძელება და გაძლიერება;

ე) ზურაბ ჟვანიას სახელობის საჯარო ადმინისტრირების სკოლაში საჯარო ადმინისტრირების სასწავლო კომპონენტის განახლება ეროვნულ უმცირესობებს შორის ქართული ენის მცოდნე კვალიფიციური კადრების, საჯარო მოხელეების, მომზადებისა და გადამზადების მიზნით.

ვ) დამხმარე სასწავლო მეთოდოლოგიის ან სასწავლო მოდელების შემუშავება ბილინგვური სწავლების მქონე სკოლებისთვის, რათა პედაგოგებს გაუადვილდეთ ბილინგვური სწავლების დანერგვა;

რეკომენდაციით მიემართავთ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრს, რათა სამინისტრომ:

ა) თანაბარი ყურადღება დაუთმოს ჩვენი ქვეყნისთვის მნიშვნელოვან კულტურის ყველა ძეგლს, მათ შორის ეროვნული და რელიგიური უმცირესობების კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს.

ბ) განხორციელდეს კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებიც მოსახლეობას ეროვნული და რელიგიური უმცირესობების კულტურისა და ტრადიციების შესახებ მიაწვდის ინფორმაციას.

რეკომენდაციით მიემართავთ საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებელს:

ა) განხორციელდეს საზოგადოებრივი მაუწყებლის საინფორმაციო სამსახურის ეროვნული უმცირესობების რედაქციის შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერა, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ეროვნული უმცირესობებისთვის ინფორმაციის მიწოდების ხარისხის გაუმჯობესებას.

ბ) ეროვნული უმცირესობების ენებზე მომზადებულ საინფორმაციო გადაცემებში პერიოდულად გაშუქდეს უშუალოდ ეროვნული უმცირესობების თემთა ცხოვრება, კულტურა, მათ წინაშე არსებული პრობლემები და სხვა.

სოციალურ–ეკონომიკური უფლებები

საკუთრების უფლება

საკუთრების უფლების აღიარება

კანონმდებელმა მართლზომიერ მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ, აგრეთვე თვითნებურად დაკავებულ სახელმწიფო საკუთრების მიწაზე დაინტერესებული პირების საკუთრების უფლების აღიარების სამართლებრივ საფუძვლებში¹⁵⁴ რეგლამენტაციისას ერთმნიშვნელოვნად გამოკვეთა, რომ ზემოაღნიშნული პირობების (დაინტერესებული პირების მიერ სახელმწიფო საკუთრების მიწის მართლზომიერი ფლობა (სარგებლობა) ან თვითნებურად დაკავება) არსებობისას საკუთრების უფლების აღიარების ნორმატიული სახით რეგულირების მიზანი სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ფონდის ათვისება და მიწის ბაზრის განვითარების ხელშეწყობაა.

2007 წლის 11 ივლისის „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონში დეკლარირებული ზემოაღნიშნული მიზნის მიუხედავად 2011 წლის საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახალხო დამცველმა არაერთი შემთხვევა დააფიქსირა, როცა საკუთრების უფლების აღიარებაზე უფლებამოსილმა ორგანოებმა კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების უგულვებელყოფით თვითნებურად დაკავებულ სახელმწიფო საკუთრების კონკრეტულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ მიღებული გადაწყვეტილებები ბათილად ცნეს და საკუთრების უფლების აღიარებაზე დაუსაბუთებლად განაცხადეს უარი.

ამდენად, წინამდებარე თავში შემოგთავაზებთ ყოვლისმომცველ ანალიზს საკუთრების უფლების აღიარებასთან დაკავშირებული იმ მნიშვნელოვანი საქმეებისას, რომლებშიც საქართველოს სახალხო დამცველმა დაადგინა კონკრეტული მოქალაქეების საქართველოს კანონმდებლობით გარანტირებული უფლებების დარღვევის ფაქტები და, იმავდროულად, წარმოვაჩინეთ განსახილველი საკითხის ირგვლივ გამოვლენილი პრობლემატიკის ძირითად არსს.

¹⁵⁴2007 წლის 11 ივლისის საქართველოს საკანონმდებლო ორგანომ მიიღო საქართველოს კანონი „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“; 2007 წლის 15 სექტემბერს საქართველოს პრეზიდენტის №525 ბრძანებულებით დამტკიცდა „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესი.“

თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარებაზე უფლებამოსილი ორგანოების სამართლებრივი ბოჭვის ფარგლები

2007 წლის 11 ივლისის „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონითა და 2007 წლის 15 სექტემბრის საქართველოს პრეზიდენტის №525 ბრძანებულებით დამტკიცებული „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესით“ საქართველოში ცალსახად არის რეგულირებული როგორც მართლზომიერ მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ, ისე თვითნებურად დაკავებულ სახელმწიფო საკუთრების მიწაზე დაინტერესებული პირების¹⁵⁵ საკუთრების უფლების აღიარების წესები და პირობები. ამავდროულად, ზემოთ დასახელებული აქტებით ზედმიწევნით არის განსაზღვრული საკუთრების უფლების აღიარების პროცესში როგორც სახელმწიფოს წარმომადგენელი ორგანოების უფლებამოსილებები და საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები, ისე ამ პროცესში მონაწილე მხარეთა უფლება-მოვალეობები.

ზემოხსენებული აქტებით დადგინდა, რომ საკუთრების უფლების აღიარებას ექვემდებარება მართლზომიერ მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებული ან თვითნებურად დაკავებული სახელმწიფო საკუთრების სასოფლო ან/და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები¹⁵⁶. ამასთანავე, ნიშანდობლივია ისიც, რომ მოცემულ აქტებში კანონმდებელმა ამომწურავად ჩამოთვალა სახელმწიფოს საკუთრების სასოფლო ან არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ის მიწის ნაკვეთები, რომლებიც სახელმწიფოსათვის თავიანთი განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი დანიშნულების გამო არ შეიძლება დაექვემდებაროს საკუთრების უფლების აღიარებას¹⁵⁷.

¹⁵⁵2007 წლის 11 ივლისის „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, დაინტერესებული პირის ცნებაში მოიაზრება ფიზიკური პირი, ასევე მისი სავარაუდო მემკვიდრე ან უფლებამონაცვლე; კერძო სამართლის იურიდიული პირი (ამავე კანონის 74 მუხლის მიხედვით, 2012 წლის 1 იანვრიდან კერძო სამართლის იურიდიულმა პირმა დაკარგა მართლზომიერ მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ, ასევე თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების უფლება. აღნიშნული თარიღის შემდეგ კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ საკუთრების უფლების მოპოვება შესაძლებელია სახელმწიფო ქონების პრივატიზაციისათვის დადგენილი ზოგადი წესის შესაბამისად) ან კანონით გათვალისწინებული სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნი ან მისი უფლებამონაცვლე.

¹⁵⁶2007 წლის 15 სექტემბრის საქართველოს პრეზიდენტის №525 ბრძანებულებით დამტკიცებული „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესის“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტები.

¹⁵⁷იხ. 2007 წლის 11 ივლისის „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი და 2007 წლის 15 სექტემბრის საქართველოს პრეზიდენტის №525 ბრძანებულებით დამტკიცებული „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების

რაც შეეხება საკუთრების უფლების აღიარებაზე უფლებამოსილ ორგანოებს, 2007 წლის 15 სექტემბრის საქართველოს პრეზიდენტის №525 ბრძანებულებით დამტკიცებული „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესის“ მიხედვით¹⁵⁸, თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარებას ახორციელებს უფლებამოსილი შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო მუდმივმოქმედი კომისიის მეშვეობით, ხოლო მართლზომიერ მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარებისათვის უფლებამოსილია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.

ვინაიდან წინამდებარე ქვეთავში ვსაუბრობთ თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარებაზე უფლებამოსილი ორგანოს – საკუთრების უფლების აღიარების კომისიის კანონმდებლობით განსაზღვრულ უფლებამოსილებებსა და ვალდებულებებზე, უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ კომისია თავის ფუნქციებს ზემოაღნიშნულ აქტებთან ერთად ახორციელებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის VIII თავით განსაზღვრული ფორმალური ადმინისტრაციული წარმოების წესით¹⁵⁹.

ამასთანავე, 2007 წლის 15 სექტემბრის საქართველოს პრეზიდენტის №525 ბრძანებულებით დამტკიცებული „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესის“ შესაბამისად¹⁶⁰, კომისია კანონმდებლობით დადგენილი წესით, თავისი უფლებამოსილების ფარგლებში იღებს გადაწყვეტილებას, რომელიც არის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

ამდენად, თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარებაზე უფლებამოსილი ორგანო – საკუთრების უფლების აღიარების კომისია, კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებამოსილებას ახორციელებს, ანუ

მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესის“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი.

¹⁵⁸2007 წლის 15 სექტემბრის საქართველოს პრეზიდენტის №525 ბრძანებულებით დამტკიცებული „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესის“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტი.

¹⁵⁹იხ. 2007 წლის 11 ივლისის „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტი და 2007 წლის 15 სექტემბრის საქართველოს პრეზიდენტის №525 ბრძანებულებით დამტკიცებული „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესის“ მე-11 მუხლის პირველი პუნქტი.

¹⁶⁰2007 წლის 15 სექტემბრის საქართველოს პრეზიდენტის „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესისა და საკუთრების უფლების მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ“ მე-10 მუხლის პირველი პუნქტი.

დაინტერესებული პირის წერილობით განცხადებას განიხილავს და მისი განხილვის შედეგად შესაბამის გადაწყვეტილებას (თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების ან საკუთრების უფლების აღიარებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება) იღებს 2007 წლის 11 ივლისის „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარეგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონით, 2007 წლის 15 სექტემბრის საქართველოს პრეზიდენტის №525 ბრძანებულებით დამტკიცებული „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარეგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესითა“ და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი რეგულაციების შესაბამისად.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ნათელია, რომ საკუთრების უფლების აღიარების კომისიას, საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობის შესაბამისად, იმპერატიულად ეკრძალება, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (დაინტერესებული პირის მოთხოვნის დაკმაყოფილებისას თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების ან დაინტერესებული პირის მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობისას საკუთრების უფლების აღიარებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება) გამოცემას საფუძვლად დაუდოს ისეთი გარემოებები ან ფაქტები, რომლებიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვეთილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ¹⁶¹.

შესაბამისად, საკუთრების უფლების აღიარების კომისია დაინტერესებული პირის წერილობითი განცხადების განხილვის დროს ვალდებულია, ფორმალური ადმინისტრაციული წარმოების ჩატარებისას გამოიკვილოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და მათი შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება¹⁶². ამავდროულად, მნიშვნელოვანია, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი (დაინტერესებული პირის მოთხოვნის დაკმაყოფილებისას თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების ან დაინტერესებული პირის მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობისას საკუთრების უფლების აღიარებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება) შინაარსობრივად შეესაბამებოდეს მისი გამოცემის სამართლებრივ საფუძველს.

კანონმდებლობით გათვალისწინებული ზემოთ ციტირებული ვალდებულებების მიუხედავად საკუთრების უფლების აღიარების კომისიები ხშირად არღვევენ აღნიშნული ნორმებით დადგენილ იმპერატიული ხასიათის მოთხოვნებს, რაც იწვევს ცალკეულ მოქალაქეთა უფლებების უხეშ ხელყოფას. მოცემული განაცხადის საფუძვლიანობას ცხადყოფს შემდეგ ქვეთავებში მოყვანილი უფლებადარღვევის კონკრეტული მაგალითები.

¹⁶¹ 1999 წლის 25 ივნისის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

¹⁶² 1999 წლის 25 ივნისის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის პირველი ნაწილი.

საკუთრების უფლების აღიარების შესახებ მიღებული გადაწყვეტილებების კანონდარღვევით ბათილად ცნობა

„ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების, განსაკუთრებით კი, საკუთრების უფლების იგნორირება გამოიცხავს თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის განვითარებას, მთლიანად საზოგადოებისა და მის ცალკეულ წევრთა ღირსეული ცხოვრების უზრუნველყოფას და პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ სოციალურ სტაბილურობას. დემოკრატიული, სამართლებრივი და სოციალური სახელმწიფოს ეკონომიკური სიძლიერე სწორედ საკუთრების უფლების პატივისცემასა და დაცვას ეყრდნობა.“¹⁶³

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოაღნიშნული განმარტების მიუხედავად, რომელიც ნათლად წარმოაჩენს, რომ ქვეყანაში საკუთრების უფლების სათანადო რეალიზაციის უზრუნველყოფა მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს სახელმწიფოს პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური განვითარების დონეს, 2011 წლის საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახალხო დამცველმა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მიერ 271 მოქალაქის საკუთრების უფლების დარღვევის ფაქტი დაადგინა.

ზემოაღნიშნული მოქალაქეების საქმეებში არსებული გარემოებების თანახმად, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიამ 2007–2010 წლებში (საკუთრების უფლების აღიარების შესახებ გადაწყვეტილებები ძირითადად მიღებულ იქნა 2007–2008 წლებში) გონიოში მცხოვრები მოქალაქეების საკუთრების უფლება აღიარა მიწის ნაკვეთებზე, რადგან დაადგინა, რომ აღნიშნული მიწის ნაკვეთები განმცხადებლებს მართლზომიერ მფლობელობაში ჰქონდათ.

2010 წელს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიამ მიღებული გადაწყვეტილების თანახმად დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გონიოს თემში მცხოვრებ რიგ მოქალაქეებზე გაცემული საკუთრების უფლების მოწმობების, მოცემულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების სათანადო საოქმო გადაწყვეტილებების კანონიერების შესწავლასა და შესაბამისი ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტების მიღებასთან დაკავშირებით.

2010 წლის 3 დეკემბრის ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიის გადაწყვეტილების მიხედვით ადმინისტრაციული წარმოების მიმდინარეობისას კომისიამ გამოავლინა, რომ მოქალაქეთა საკუთრების უფლებით აღიარებული მიწის ნაკვეთები არ იყო მართლზომიერ მფლობელობაში, ვინაიდან განმცხადებელთა მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია ვერ აკმაყოფილებდა მართლზომიერი მფლობელობის ფაქტის დადასტურების შესახებ იმ პერიოდისათვის მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს.

¹⁶³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №2/1–370, 382, 390, 402, 404. 18 მაისი, 2007წ.

იმავედროულად, ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების თანახმად, სამართლებრივი თვალსაზრისით კომისიამ დაასკვნა, რომ დასახელებული მიწის ნაკვეთები განმცხადებელთა მიერ თვითნებურად იყო დაკავებული. მიუხედავად იმისა, რომ ხელვაჩაურის საკუთრების უფლების აღიარების კომისიამ დაადასტურა განმცხადებლების მიერ ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთების თვითნებურად დაკავების ფაქტი, მსჯელობის შედეგად დაადგინა, რომ განმცხადებელთა მიერ თვითნებურად დაკავებული მიწის ნაკვეთები „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტისა¹⁶⁴ და ცალკეული მოქალაქეების მიმართ ამავე კანონის მე-5¹ მუხლის მე-2 პუნქტის¹⁶⁵ შესაბამისად, არ ექვემდებარება საკუთრების უფლების აღიარებას, ვინაიდან ისინი (მიწის ნაკვეთები) წარმოადგენდნენ კულტურულ ძეგლს და ხვდებოდნენ საკურორტო ზონაში. ამდენად, 2010 წლის 3 დეკემბრის გადაწყვეტილებით ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიამ ბათილად სცნო ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გონიოს თემში მცხოვრებ 271 მოქალაქეზე გაცემული საკუთრების უფლების აღიარების სათანადო საოქმო გადაწყვეტილებები და საკუთრების უფლების მოწმობები.

მოცემული საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების განხილვის შედეგად საქართველოს სახალხო დამცველის შეხედულებით, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2010 წლის 3 დეკემბრის გადაწყვეტილება გამოიცა და მომზადდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესების დარღვევით,¹⁶⁶ ანუ დაირღვა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (აღნიშნული გადაწყვეტილების) მატერიალური და ფორმალური კანონიერება, რასაც ადასტურებს შემდეგი გარემოებები:

1. 271 მოქალაქის საკუთრების უფლების აღიარების შესახებ გადაწყვეტილებების ბათილობის შესახებ მოცემული გადაწყვეტილება, ანუ ინდივიდუალური

¹⁶⁴2007 წლის 11 ივლისის „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, „საკუთრების უფლების აღიარებას არ ექვემდებარება ისტორიის, კულტურის, ბუნებისა და საკულტო-რელიგიური ძეგლები“.

¹⁶⁵2007 წლის 11 ივლისის „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5¹ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, „თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ მოთხოვნის განხილვისას გათვალისწინებული უნდა იქნეს მოთხოვნის შესაბამისობა სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის პირობებთან და მიწის განკარგვის სტრატეგიულ გეგმასთან“.

¹⁶⁶2007 წლის 11 ივლისის „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონი, 2007 წლის 15 სექტემბრის საქართველოს პრეზიდენტის №525 ბრძანებულებით დამტკიცებული „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესი“ და 1999 წლის 25 ივნისის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი.

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, შინაარსობრივად არ შეესაბამება მისი გამოცემის სამართლებრივ საფუძვლებს, ე.ი. არ უპასუხებს „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტს და ცალკეული მოქალაქეების მიმართ ამავე კანონის მე-5¹ მუხლის მე-2 პუნქტს. საქართველოს სახალხო დამცველის აზრით, გონიო-ავსაროსის არქიტექტურულ-არქეოლოგიური კომპლექსის დამცავ ზონას, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, არ აქვს მინიჭებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი, შესაბამისად, იგი არ არის სახელმწიფოს საკუთრების სასოფლო ან არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, რომელიც არ ექვემდებარება საკუთრების უფლების აღიარებას. (ამდენად, დარღვეულია მოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მატერიალური კანონიერება).

2. კომისიამ ინდივიდუალურად არ შეისწავლა და არ გამოიკვლია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები 271 განმცხადებლის საკუთრების უფლების აღიარების შესახებ გადაწყვეტილებების ბათილად ცნობისას. ამავდროულად, კომისიის გადაწყვეტილების თანახმად, კომისიამ ყოველგვარი დასაბუთების გარეშე გამოსცა საკუთრების უფლების ბათილად ცნობის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი [271 განმცხადებლის შემთხვევაში მითითებულია სრულიად იდენტური დასაბუთება, განსხვავებულია მხოლოდ ფაქტობრივი გარემოებები: პირის ვინაობა, საკუთრების უფლების მოწმობა და მიწის ნაკვეთის ფართობი, რომელზეც განხორციელდა საკუთრების უფლების აღიარება მაშინ, როდესაც კომისიის მიერ გამოყენებული ნორმატიული აქტები 2007 წლიდან 2010 წლამდე განსხვავებული რედაქციით მოქმედებდა]. (ამდენად, დარღვეულია მოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ფორმალური კანონიერება).

გარდა ზემოაღნიშნულისა, საქართველოს სახალხო დამცველის მოსაზრებით, იმ შემთხვევაშიც კი, თუ საკუთრების უფლების აღიარება განხორციელდა კულტურულ ძეგლზე, კომისია ვალდებული იყო, ინდივიდუალურ შემთხვევაში კერძო და საჯარო ინტერესების ურთიერთგაწონასწორების საფუძველზე დაინტერესებული პირებისათვის აენაზღაურებინა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობით მიყენებული ქონებრივი ზიანი. უფრო მეტიც, ომბუდსმენის დასკვნის შესაბამისად, კომისიას არც კი უმსჯელია „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის საფუძველზე შესამღებელი იყო თუ არა განმცხადებლისათვის კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით არქეოლოგიური დაცვის ზონაში არსებული მიწის ნაკვეთების ფლობისა და სარგებლობის უფლებით გადაცემა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, აშკარა იყო ის ფაქტობრივი და სამართლებრივი წინაპირობები, რომლებითაც დასტურდება, რომ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისია კანონსაწინააღმდეგოდ მოიქცა გადაწყვეტილების (საკუთრების უფლების აღიარების შესახებ გადაწყვეტილებების ბათილად ცნობა) ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ასახვისას და მისი (აქტის) მომზადებისა და გამოცემისას არსებითად დაარღვია კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, რაც, თავის მხრივ, **271** მოქალაქის საკუთრების უფლების დარღვევაა. შესაბამისად, საქართველოს სახალხო დამცველმა მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში რეკომენდაციით მიმართა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიის თავმჯდომარეს მოცემული საკითხის შესწავლისა და კანონშესაბამისი გადაწყვეტილების მიღების მოთხოვნით.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გონიოს თემში მცხოვრები **271** მოქალაქის საკუთრების უფლების ხელყოფის ფაქტის მაგალითზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საკუთრების უფლების აღიარებაზე უფლებამოსილი ორგანოები – საკუთრების უფლების აღიარების კომისიები კანონისმიერი მოთხოვნების საწინააღმდეგოდ ცალკეულ შემთხვევებში უხეშად არღვევენ როგორც საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით, ისე საერთაშორისო შეთანხმებებით გარანტირებულ საკუთრების უფლებას.

საკუთრების უფლების აღიარებაზე დაუსაბუთებლად უარის თქმა

„ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად¹⁶⁷, თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ მოთხოვნის განხილვის საფუძველია დაინტერესებული პირის მიერ წერილობითი განცხადების წარდგენა კომისიაში. გარდა ამისა, ამავე კანონის შესაბამისად¹⁶⁸, ცალსახად არის განსაზღვრული იმ დოკუმენტების ნუსხა, რომლებიც დაინტერესებულმა პირმა უნდა წარადგინოს თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ მოთხოვნის დასადასტურებლად, ესენია: მიწის თვითნებურად დაკავების დამადასტურებელი დოკუმენტი ან/და მოწმის ჩვენება; მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვითი ნახაზი; ინფორმაცია საკუთრების უფლების აღიარების საფასურის ოდენობის დასადგენად; დაინტერესებული პირის საიდენტიფიკაციო დოკუმენტების ასლები.

¹⁶⁷2007 წლის 11 ივლისის „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5¹ მუხლის პირველი პუნქტი.

¹⁶⁸ 2007 წლის 11 ივლისის „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5¹ მუხლის მე-3 პუნქტი.

ამდენად, კანონმდებლის მიერ ნათლად არის დეკლარირებული ის პირობები, რომელთა დაცვისას შეიძლება აღიარონ დაინტერესებული პირის საკუთრების უფლება თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთზე. ამასთანავე, საქართველოს კანონმდებლობით¹⁶⁹ დადგენილია, რომ თუ დაინტერესებული პირის მოთხოვნა საკუთრების უფლების აღიარების შესახებ არ აკმაყოფილებს კანონით განსაზღვრულ პირობებს ან განცხადებისათვის დართული დოკუმენტებით არ დასტურდება თვითნებურად დაკავების ფაქტი, კომისია იღებს წერილობით გადაწყვეტილებას საკუთრების უფლების აღიარებაზე უარის თქმის შესახებ, რომელიც არის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და რომელსაც, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დანაწესისამებრ¹⁷⁰, ადმინისტრაციული ორგანო გამოსცემს ადმინისტრაციული კანონმდებლობის შესაბამისად. ზემოაღნიშნული კი ერთმნიშვნელოვნად ავალდებულებს ადმინისტრაციულ ორგანოებს, მათ მიერ წერილობითი ფორმით გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შეიცავდეს წერილობით დასაბუთებას. ამასთან, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებსა ან არგუმენტებზე, რომლებიც არ გამოიკვლიეს და შეისწავლეს ადმინისტრაციული წარმოების დროს¹⁷¹.

2011 წლის საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახალხო დამცველმა დააფიქსირა არაერთი შემთხვევა, რომლებიც შეეხებოდა საკუთრების უფლების აღიარების კომისიების მიერ ზემოაღნიშნული საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დარღვევას და რომლებმაც ხელყვეს განმცხადებელთა უფლებები. თუმცა მოცემულ ქვეთავში მაგალითად მოვიყვანთ მხოლოდ მოქალაქე **მ. დ-ის** საქმეს.

აღნიშნულ შემთხვევაში მოქალაქე **მ. დ-მ** აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიაში წარადგინა კანონით მოთხოვნილი ყველა დოკუმენტაცია, მათ შორის: მოწმეთა ჩვენება; მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვითი ნახაზი; დაინტერესებული პირის საიდენტიფიკაციო დოკუმენტის ქსეროასლი; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქობულეთის მუნიციპალიტეტის დაბა ჩაქვის ტერიტორიული ორგანოს ცნობა. თუმცა, მიუხედავად ამისა, საკუთრების უფლების აღიარების კომისიამ მოქალაქე

¹⁶⁹2007 წლის 11 ივლისის „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5¹ მე-7 პუნქტი და 2007 წლის 15 სექტემბრის საქართველოს პრეზიდენტის №525 ბრძანებულებით დამტკიცებული „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესის“ მე-16 მუხლის პირველი პუნქტი.

¹⁷⁰1999 წლის 25 ივნისის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი.

¹⁷¹1999 წლის 25 ივნისის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის პირველი და მე-5 ნაწილები.

მ. დ-ს უარი უთხრა დაბა ჩაქვი მის მიერ თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარებაზე იმ საფუძველით, რომ აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე არ დგინდებოდა თვითნებურად დაკავების ფაქტი.

მოქალაქე მ. დ-ს საქმეში არსებული დოკუმენტაციის დეტალური შესწავლის შედეგად საქართველოს სახალხო დამცველმა დაასკვნა, რომ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების აღიარების კომისიის გადაწყვეტილება არ შეიცავს დასაბუთებას, თუ რატომ არ დგინდება მოქალაქე მ. დ-ს მიერ წარდგენილი დოკუმენტაციით მიწის ნაკვეთზე თვითნებურად დაკავების ფაქტი. აღნიშნულ საქმეში, საქართველოს სახალხო დამცველის შეხედულებით, არ იკვეთებოდა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განმცხადებლის წარდგენილ კანონით მოთხოვნილ დოკუმენტაციაზე მსჯელობის ფაქტი მაშინ, როცა მოცემული დოკუმენტებით მოქალაქე მ. დ. ადასტურებდა მიწის ნაკვეთის თვითნებურად დაკავებას და საკუთრების უფლების აღიარების სამართლებრივ საფუძველს. აქედან გამომდინარე, ომბუდსმენის აზრით, ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების აღიარების კომისიამ გადაწყვეტილება მიიღო შესაბამისი გარემოებების, ფაქტების, მტკიცებულებებისა და არგუმენტების გამოკვლევისა და შესწავლის გარეშე, რითაც დაარღვია მოქალაქე მ. დ-ს კანონისმიერი უფლება. სამართლებრივი რეაგირების სახით, ანუ მოქალაქე მ. დ-ს დარღვეული უფლების აღდგენის მოთხოვნით, საქართველოს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიის თავმჯდომარეს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და იმ არაერთი საქმის გათვალისწინებით, რომლებიც 2011 წლის საანგარიშო პერიოდში შეისწავლა საქართველოს სახალხო დამცველმა და რომლებიც შეეხებოდა საკუთრების უფლების აღიარების კომისიების მიერ საკუთრების უფლების აღიარებაზე დაუსაბუთებლად უარის თქმას, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კვლავ აქტუალური რჩება საკუთრების უფლების აღიარების კომისიებისადმი „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს სახალხო დამცველის 2010 წლის ანგარიშის თავში „საკუთრების უფლება“ მოცემული საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაცია.

რეკომენდაცია

„საკუთრების უფლების აღიარების კომისიებმა დაინტერესებული პირების განცხადებების საფუძველზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიონ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად მიღებული გადაწყვეტილების (საკუთრების უფლების აღიარების ან საკუთრების უფლების აღიარებაზე უარის თქმის შესახებ) ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ასახვისას წერილობით დასაბუთებაში მიუთითონ ყველა იმ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა მოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას.“

საკუთრების უფლების დარღვევის ფაქტები სისხლის სამართალწარმოებისას

სისხლისსამართლებრივი მართლმსაჯულების განხორციელების პროცესი უმეტესწილად დაკავშირებულია ბრალდებულის უფლებების შეზღუდვასთან, რომელსაც კანონიერი საფუძველი და მიზნები აქვს. ამავდროულად, საქართველოს კანონმდებლობით სისხლისსამართლებრივი გამოძიების პროცესს შესაძლებელია თან ახლდეს მესამე პირთა კონსტიტუციით აღიარებული და დაცული უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვა.

ასეთი შეზღუდვის გამოყენება ყოველთვის უნდა შეესაბამებოდეს იმ დათქმებს, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს კონსტიტუციით. სისხლისსამართლებრივი მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში გამოყენებული ნებისმიერი შეზღუდვა გათვალისწინებული უნდა იყოს კანონით. ამავდროულად, ამა თუ იმ პირის უფლების შეზღუდვისათვის გამოყენებულ ღონისძიებას უნდა ჰქონდეს ლეგიტიმური მიზანი და უნდა იყოს ამ მიზნის მისაღწევად ერთადერთი და პროპორციული საშუალება. თუ შეზღუდვა ამ კრიტერიუმებს ვერ აკმაყოფილებს, ის ადამიანის უფლებათა დამრღვევად მიიჩნევა.

სახალხო დამცველის აპარატი შემოსული საჩივრებისა და განცხადებების ანალიზი ცხადყოფს, რომ სისხლის სამართალწარმოებისას საპროცესო მოქმედებების (ან სასჯელის) გამოყენებისას არცთუ იშვიათია საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული და დაცული საკუთრების უფლების ხელყოფა. აღნიშნულ პრობლემებზე დეტალურად გვქონდა საუბარი წინა წლის ანგარიშშიც, თუმცა, სამწუხაროდ, არც საკანონმდებლო და არც სასამართლო ხელისუფლების მიერ არ გატარებულა ეფექტური ღონისძიებები აღნიშნული პრობლემის აღმოსაფხვრელად.¹⁷²

საანგარიშო პერიოდში ერთ–ერთი მთავარი პრობლემა იყო საგამომიებო ორგანოების მიერ ყადაღის გამოყენება, ხოლო გამოძიების შეწყვეტის შემდეგ კი - ყადაღის გაუქმებისათვის კანონმდებლობით განსაზღვრული პროცედურების ბუნდოვანება. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სახალხო დამცველის აპარატს არაერთმა განმცხადებელმა მიმართა.¹⁷³

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 199–ე მუხლის¹⁷⁴ მეორე ნაწილით განსაზღვრულია სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტისას ქონებაზე ყადაღის გაუქმება, კერძოდ:

¹⁷² საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა მდგომარეობის დაცვის შესახებ, 2010 წელი, გვ.277.

¹⁷³ იხ. ტატანა ჯანიჭის საქმე.

¹⁷⁴ საქართველოს 2009 წლის 9 ოქტომბრის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 329–ე მუხლის მიხედვით დაწყებულ სისხლისსამართლებრივი დევნის საქმეებზე სისხლის სამართლის პროცესი გრძელდება 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით. ყადაღაც რეალურად

„ამ კოდექსის 28-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“, „დ“ და „ჟ“ ქვეპუნქტებში და ამავე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტში აღნიშნული საფუძველით სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის ან გამამართლებელი განაჩენის გამოტანის შემთხვევაში ქონებაზე ყადაღა უქმდება.“

ამავე მუხლის მეოთხე და მეხუთე ნაწილების მიხედვით:

4. სამოქალაქო სარჩელის გამოხმობის ან ქონებაზე ყადაღის დადების სხვა საფუძველების მოსპობის შემთხვევაში ეს ღონისძიება შეიძლება გააუქმოს მოსამართლემ პროკურორის ან პროკურორის თანხმობით გამომძიებლის შუამდგომლობით, ანდა საქმის განმხილველმა სასამართლომ თავისი განჩინებით.

5. გარდა ამ მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ბრალდებულის ქონების მიმართ ყადაღის დადების ღონისძიება უქმდება აგრეთვე პროკურორის დადგენილებით სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ.

ზემოაღნიშნული მუხლების ერთობლიობა ადგენს წესს, რომლის მიხედვითაც:

ა) ყადაღის გაუქმების საფუძველია წინასწარი გამოძიების/ან სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა;

ბ) ყადაღის გაუქმება შეუძლია მხოლოდ სასამართლოს;

გ) ყადაღის გაუქმებისათვის სასამართლოს უნდა მიმართოს პროკურორმა ან პროკურორის თანხმობით გამომძიებელმა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, პირს, რომელიც არ არის პროცესის მხარე (არის მოწმე) და ამავედროულად, დაყადაღებულია მისი ქონება (შეზღუდულია მისი საკუთრების უფლება), არ აქვს უფლება მოითხოვოს ყადაღის გაუქმება (საკუთარი უფლების დასაცავად მიმართოს სასამართლოს), თუნდაც ამის კანონიერი საფუძველი არსებობდეს. ცხადია, ნორმათა მსგავსი ფორმულირება არღვევს როგორც საკუთრების უფლებას, ასევე ხელყოფს პირის უფლებას, მიმართოს სასამართლოს.

საკუთრების უფლება, ასევე, დაცულია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ ევროპული კონვენციის პირველი ოქმის პირველი მუხლით. ისევე, როგორც საქართველოს კონსტიტუციით, ევროპული კონვენციითაც ამ უფლების შეზღუდვა შესაძლებელია აუცილებელი საჭიროებისას, შესაბამისი ლეგიტიმური პირობების არსებობისას.¹⁷⁵ ერთ-ერთი ასეთი მიზეზია

წარმოადგენს განგრძობად ურთიერთობას, რომელიც დაიწყო ახალი კოდექსის ამოქმედებამდე და შესაბამისად, მის მოსაწესრიგებლად გამოიყენება შერჩევითი დროს მოქმედი კანონმდებლობა არარეტროსპექტულად.

¹⁷⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 18 მაისის N2/1-370,382,390,402,405 გადაწყვეტილება, II-15.

მართლმსაჯულების¹⁷⁶ – სისხლის სამართლის პროცესის, განხორციელება. შესაბამისად, სისხლის სამართლის საქმეში ყადაღის გამოყენება მიზნად ისახავს სხვადასხვა კანონიერი ინტერესის უზრუნველყოფას. ამ დროს საკუთრების უფლება იზღუდება საერთო სასარგებლო მიზნის – მართლმსაჯულების, განსახორციელებლად.¹⁷⁷ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის მეორე პარაგრაფში მითითებული „საერთო ინტერესების“¹⁷⁸ მიზნით საკუთრების უფლების შეზღუდვა სახელმწიფოებს აძლევს შეფასების ფართო საზღვრებს და მასში დანაშაულებრიობის წინააღმდეგ ბრძოლაც მოიაზრება.¹⁷⁹

ზემოაღნიშნული შეზღუდვა დაუშვებელია გავრცელდეს მოწმის¹⁸⁰ მიმართ, რადგან მოწმე არ არის იმ საპროცესო სტატუსის მატარებელი, რომლის მიმართაც ყადაღის გამოყენება კანონმდებლობით გათვალისწინებული ან/და გამართლებულია. მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის პროცესი არ ხორციელდება და საკუთრების უფლების შეზღუდვის ლეგიტიმური საფუძველიც არ არსებობს. ნებისმიერ შემთხვევაში ბრალდებულის/განსასჯელის სტატუსის შეწყვეტა უნდა იყოს ყადაღის მოხსნის საფუძველი. მით უმეტეს, რომ ბრალდებულის სტატუსის შეწყვეტა გამორიცხავს შემდგომში მისთვის იმავე ფაქტების გამო ბრალდების წაყენების შესაძლებლობას.¹⁸¹

საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის აპარატს მომართავდნენ მოქალაქეები სისხლის სამართლის საქმეებზე გამოძიების ხანგრძლივად მიმდინარეობის გამო თავიანთი საკუთრების უფლების დარღვევასთან დაკავშირებით. აღნიშნული საქმეების¹⁸² შესწავლა ცხადყოფს, რომ მოქალაქეთა საკუთრების უფლების დარღვევის ერთ–ერთ განმაპირობებელ ფაქტორად შეიძლება იქცეს გაჭიანურებული გამოძიება, რასაც თან ახლავს გამოძიების მიერ ამა თუ იმ სახელმწიფო უწყებიდან ოფიციალური დოკუმენტების ამოღება. როგორც შემოსული საქმეების განხილვამ გვიჩვენა, არის შემთხვევები, როდესაც საგამომიებო ორგანო, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით, რომელიმე საჯარო დაწესებულებიდან იღებს იმ დოკუმენტაციის ორიგინალებს, რომლებიც საჭირო ხდება ფიზიკურ პირთათვის ამ დაწესებულებაში უფლების

¹⁷⁶ *mutatis mutandis*, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის #2/1/415 გადაწყვეტილება, II-19.

¹⁷⁷ *mutatis mutandis*, ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის 1981 წლის 19 მარტის გადაწყვეტილება (განაცხადი #8819/79) საქმეზე *X and Y v. Federal Republic of Germany*.

¹⁷⁸ ამ ცნების განმარტება იხილეთ: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2006 წლის 19 ივნისის განჩინება საქმეზე *Hutten-Czapska v. Poland*, § 164–169.

¹⁷⁹ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1976 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Handyside v. United Kingdom*, § 62; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1994 წლის 22 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე *Raimondo v. Italy* § 29.

¹⁸⁰ აქ არ იგულისხმებიან ბრალდებულთან დაკავშირებული პირები, რომლებიც ასევე შეიძლება იყვნენ მოწმის სტატუსის მატარებლები. არამედ, ისინი, რომლებიც იყვნენ ბრალდებულები და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შემდეგ მოწმის სტატუსით სარგებლობდნენ.

¹⁸¹ *inter alia*, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2009 წლის 10 თებერვლის დიდი პალატის განჩინება საქმეზე *Sergey Zolotukhin v. Russia*, § 78–84.

¹⁸² იხ. თენგიზ უბილაშვილი საქმე; მირზა გოლეტიანის საქმე;

რეგისტრაციისათვის. სხვაგვარად რომ ვთქვათ, საგამოძიებო ორგანოების მიერ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან (ან სხვა ადმინისტრაციული ორგანოდან) ამოღებული საქმის მასალები ხდება ხოლმე დამაბრკოლებელი ფაქტორი უფლებათა რეგისტრაციის განსახორციელებლად. ამავდროულად, მოქალაქეს ხელთ აქვს უფლების დამდგენი დოკუმენტი და იმის გამო, რომ საგამოძიებო ორგანოს გამოძიების საჭიროებისათვის აქვს ამოღებული უძრავი ნივთის რეგისტრაციისათვის საჭირო დოკუმენტაცია, პირი ვერ ახერხებს თავისი უფლების რეგისტრაციას. აღნიშნული საკითხი განსაკუთრებულად მძიმე ტვირთად აწევს მოქალაქეს, როდესაც გამოძიება დროში გაჭიანურებულია.

სისხლისსამართლებრივი მართლმსაჯულების პროცესში საკუთრების უფლების შეზღუდვასთან დაკავშირებით არსებული პრობლემებიდან ცალკე გამოსაყოფია საკითხი, როდესაც პროცესის მონაწილე ნივთის მესაკუთრე სუბიექტი დაზარალებულია, ხოლო დანაშაულის საგანი – ავტოსატრანსპორტო საშუალება – ამოღებულია სამართალდამცავი ორგანოების მიერ. აღნიშნულ შემთხვევაში თუ ნივთის მესაკუთრის ვინაობა ცალსახად დგინდება და, ამავდროულად, ამოღებულ ნივთზე რაიმე საგამოძიებო მოქმედება ჩასატარებელი არ არის, ის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მესაკუთრეს უნდა გადაეცეს. სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხილულ საქმეში (სოფიო კვერენჩხილადის საქმე) საგამოძიებო ორგანომ, დაზარალებული მხარის არაერთგზის მიმართვის მიუხედავად, ავტომანქანის დაბრუნებაზე ყოველგვარი დასაბუთების გარეშე უარი განაცხადა. აღსანიშნავია, რომ ზემოთ მოყვანილი სხვა მაგალითებისგან განსხვავებით, რომლებშიც უფლების შეზღუდვა უმეტესწილად განაპირობებს საკანონმდებლო ნორმების ბუნდოვანება ან სამართლებრივი ურთიერთობების არასათანადო მოწესრიგება, ამ შემთხვევაში სახეზე გვაქვს საგამოძიებო ორგანოების მიერ საკუთრების უფლების არალეგიტიმური შეზღუდვა.

სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხილული საქმეები¹⁸³ ცხადყოფს, რომ კვლავ პრობლემად რჩება სასამართლო ხელისუფლების ორგანოების მხრიდან სისხლისსამართლებრივი მართლმსაჯულების განხორციელებისას ქონების ჩამორთმევის – როგორც დამატებითი სასჯელის, გამოყენების საკითხი.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 52-ე მუხლი განსაზღვრავს ქონების ჩამორთმევას, როგორც სასჯელს. მისი მიხედვით ქონების ჩამორთმევა ნიშნავს დანაშაულის საგნის ან/და იარაღის, დანაშაულის ჩასადენად გამიზნული ნივთის ან/და დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების უსასყიდლოდ ჩამორთმევას სახელმწიფოს სასარგებლოდ.

სისხლის სამართლის კოდექსის 52-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით დაზუსტებულია დანაშაულის იარაღის განმარტება, იგი დანაშაულის ჩასადენად გამოყენებული ან მისთვის რაიმე სახით გამიზნული ქონებაა. დამატებით, სისხლის სამართლის კოდექსის 52-ე მუხლში განსაზღვრულია ის აუცილებელი ნიშნები,

¹⁸³ იხ. ავთანდილ თამაზაშვილის საქმე და კობა გიორგაძის, გოჩა უბილაშვილის და სხვათა საქმე.

რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს ქონების ჩამორთმევა. კერძოდ, დანაშაულის იარაღის ჩამორთმევა შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ სასამართლოს მიერ განზრახ დანაშაულისთვის და მას უნდა განაპირობებდეს სახელმწიფო და საზოგადოებრივი აუცილებლობა ან ცალკეულ პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ინტერესები, ანდა ახალი დანაშაულის თავიდან აცილების მიზანი.

საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის მიხედვით საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და ხელშეუვალია. დამატებით, აკრძალულია საკუთრების, მისი შექმნის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით:

ეს ნორმა ერთდროულად არის კერძო საკუთრების ინსტიტუტისა და ადამიანის ძირითადი უფლების გარანტია. უზრუნველყოფს რა კერძო საკუთრების ინსტიტუტის ხელშეუხებლობას, ის მიმართულია კანონმდებლისადმი და ავალდებულებს მას, შექმნას ნორმათა ისეთი სისტემა, რომელიც ექვემდებარება არ დააყენებს ამ ინსტიტუტის არსებობას. საკუთრების, როგორც ძირითადი უფლების, გარანტია, პირველ რიგში, ნიშნავს თითოეული მესაკუთრის უფლებას, თავი დაიცვას სახელმწიფოს გაუმართლებელი ჩარევისაგან, კერძოდ კი, უფლების დასაცავად მიმართოს სასამართლოს. მაგრამ საკუთრების გარანტირებულობა მხოლოდ სახელმწიფოს წინაშე დაცვის უფლებით არ ამოიწურება, ის, იმავდროულად, ავალდებულებს სახელმწიფოს, დაიცვას ეს უფლება, რაც, პირველ რიგში, ნიშნავს კანონმდებლობაში საკუთრების შინაარსის კონსტიტუციის შესაბამის რეგლამენტირებას.¹⁸⁴

საკუთრება არის კანონმდებლის მიერ დეფინაციური უფლება, რომელსაც, მისი ბუნებიდან და თავისებურებებიდან გამომდინარე, ამას მით უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, რაც უფრო დიდია საკუთრების ობიექტის სოციალური დატვირთვა. საკუთრების უფლების შეზღუდვა ყველა ის შემთხვევა, როდესაც სახელმწიფოს მიერ დგინდება საკუთრების შინაარსი და ფარგლები,¹⁸⁵ საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის მეორე პუნქტის მიხედვით:

„აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის დასაშვებია ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულ უფლებათა შეზღუდვა კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით, იმგვარად, რომ არ დაირღვეს საკუთრების უფლების არსი.“

საკუთრების შეზღუდვისას სახელმწიფო ადგენს სამართლებრივ რეჟიმს, თუმცა არ არის აუცილებელი, რომ პირდაპირ მონაწილეობდეს კონკრეტულ ურთიერთობაში.¹⁸⁶ „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროება“ არ არის მყარი და ყველა საზოგადოებაზე უნივერსალურად მორგებული ცნება. ის ცვალებადია დროსა და სივრცეში პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სოციალური მოცემულობების გათვალისწინებით. აქედან გამომდინარე, ის, რაც ერთ საზოგადოებაში შეიძლება ჩაითვალოს „აუცილებელ

¹⁸⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის #1/2/384 გადაწყვეტილება, II-7.

¹⁸⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 18 მაისის N2/1-370,382,390,402,405 გადაწყვეტილება, II-8

¹⁸⁶ Ibid. II-11.

საზოგადოებრივ საჭიროებად”, შეიძლება სხვა საზოგადოებაში ასეთად არ იქნეს მიჩნეული.¹⁸⁷

ზემოაღნიშნულის პარალელურად, საქართველოს კონსტიტუცია იცნობს ქონების ჩამორთმევის ინსტიტუტსაც. ამ შემთხვევაშიც შეზღუდვის საფუძველია აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროება, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ამ დროს კანონმდებელი სარგებლობს შეფასების უფრო მკაცრი საზღვრებით.¹⁸⁸ დამატებით აუცილებელია კონსტიტუციით განსაზღვრული დამატებითი პირობების უზრუნველყოფა, კერძოდ, შესაბამისი კომპენსაცია და სასამართლო გადაწყვეტილება ან ორგანული კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობა.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკით დადგენილია, რომ საკუთრების უფლება იცავს მხოლოდ და მხოლოდ კანონიერი გზით შეძენილ ქონებას.¹⁸⁹ საკუთრების უფლების კანონიერებას საფუძველშივე განსაზღვრავს საკუთრების კანონიერად შეძენის ფაქტი. ზუსტად ეს გარემოებაა გადამწყვეტი კანონიერი საკუთრების უფლების არსებობისთვის. კანონიერად შეძენილი ნივთის შემდგომში სხვა პირის მიერ დანაშაულის საგნად ან იარაღად გამოყენება ვერ აბათილებს მისი კანონიერად შეძენის ფაქტს, შესაბამისად, საკუთრების უფლებასაც ვერ აქცევს უკანონოდ.¹⁹⁰

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის გადაწყვეტილებაში განსაზღვრულია, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 52-ე მუხლით გათვალისწინებული სასჯელი – ქონების ჩამორთმევა, ექვემდებარება კონსტიტუციის 21-ე მუხლის მეორე პუნქტის შეფასებას ანუ საკუთრების უფლების შეზღუდვას.¹⁹¹ საკონსტიტუციო სასამართლომ დამატებით მიუთითა, რომ სისხლის სამართლის კანონმდებლობა ზუსტად განსაზღვრავდა იმ პირობებს, რომელთა ფარგლებშიც ხდებოდა ქონების ჩამორთმევა, კერძოდ, საკუთრების ობიექტი მიზნობრივი უნდა გამოყენებულიყო დანაშაულის ჩასადენად და მისი ჩამორთმევა უნდა განეპირობებინა სახელმწიფო ან საზოგადოებრივ აუცილებლობას ან ცალკეულ პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ინტერესებს ან/და ახალი დანაშაულის თავიდან აცილების მიზნით. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, საერთო სასამართლომ:

„...ზედმიწევნით უნდა გამოიკვლიოს, რეალურად არსებობს თუ არა ზემოაღნიშნული პირობები. კონკრეტული გარემოებების შესწავლის შედეგად მან უნდა გაარკვიოს, რეალურია თუ არა სხვათა უფლებების დარღვევის საფრთხე, გარდაუვალია თუ არა ამ ქონებით ახალი დანაშაულის ჩადენა და სხვა. ამ დროს სასამართლომ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ის გარემოებაც, ასეთი ქონების არჩამორთმევით რეალურად

¹⁸⁷ Ibid. II-14.

¹⁸⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის #1/2/384 გადაწყვეტილება, II-12.

¹⁸⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 13 ივლისის N2/5/309,310,311 გადაწყვეტილება, II-1.

¹⁹⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის #1/2/384 გადაწყვეტილება, II-14.

¹⁹¹ II-15.

მიადგება თუ არა სახელმწიფოს, საზოგადოებას ან კონკრეტულ ადამიანებს ის ზიანი, რომლის თავიდან ასაცილებლადაც შემოდებულია ნორმა; ასევე, ძალზე ზუსტად უნდა განჭვრიტოს, ქონების ჩამორთმევით მართლაც მიიღწევა თუ არა დასახელებული მიზნები. სასამართლომ უნდა შეისწავლოს საქმის ფაქტობრივი საფუძვლები და დაასაბუთოს ქონების ჩამორთმევის აუცილებლობასთან დაკავშირებით თავისი სამართლებრივი პოზიცია. ის არ შეიძლება შემოიფარგლოს მხოლოდ ფორმალური შემოწმებით, რაც, საბოლოოდ, ღიად დატოვებს საკითხს, არსებობს თუ არა ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში კანონიერი ჩარევის უფლებამოსილება. ქონების ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილების მიმღები მოსამართლეებისთვის დასახელებული პირობების დაცვა სავალდებულოა, რათა ქონების ჩამორთმევა არ გადაიქცეს მიზნად. დამატებითი სასჯელის სახით დანაშაულის საგნის, იარაღისა და დანაშაულის ჩასადენად გამიზნული ნივთის ჩამორთმევა მაშინ არის გამართლებული, როდესაც ის გამოიყენება, როგორც ყველაზე ეფექტური საშუალება შერჩეული მიზნისთვის. ამისთვის კი მოსამართლემ, სადავო ნორმით გათვალისწინებული სხვა პირობების დაკმაყოფილებასთან ერთად, უნდა შეძლოს ყოველ კონკრეტულ საქმეზე აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების არსებობის საკითხის სწორად შეფასება. წინააღმდეგ შემთხვევაში საექვო გახდება როგორც საჯარო მიზნის მიღწევა, ისე საკუთრების უფლებაში ჩარევის მართლზომიერება.”¹⁹²

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, აუცილებელია ქონების ჩამორთმევის ყოველი კონკრეტული შემთხვევის *ad hoc* დასაბუთება. თუკი სახეზეა დანაშაულის საგანი, იგი უნდა ჩამოერთვას შესაბამისი დასაბუთებით, რათა საკუთრების უფლებით დაცულ სფეროში ჩარევა იყოს გამართლებული და კანონისმიერი.¹⁹³ აღნიშნული პრინციპი დამატებით გამომდინარეობს სამართლიანი სასამართლოს უფლების შემადგენელი კომპონენტის – დასაბუთებული სასამართლო გადაწყვეტილების პრინციპიდან.

სისხლის სამართლის კოდექსის 52–ე მუხლით ქონების ჩამორთმევა მოიცავს დანაშაულის საგანს, იარაღს ან დანაშაულის ჩასადენად გამიზნულ ნივთს. სამივე ობიექტის მიმართ კანონი ადგენს ერთიან სტანდარტს და აცხადებს, რომ ზემოაღნიშნული საგნების ჩამორთმევა შეიძლება, თუკი ისინი გამოყენებული ან რაიმე სახით გამიზნული იყო დანაშაულის ჩასადენად.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის პირდაპირი და აუცილებელი მოთხოვნაა, რომ დანაშაულის იარაღი დაკავშირებული იყოს დანაშაულის შემადგენლობასთან და დანაშაულის განხორციელების პროცესში გამოიყენებოდეს. ქმედების ჩადენის შემდგომ შესაბამისი საშუალების გამოყენება ვერ აქცევს ობიექტს დანაშაულის იარაღად.

¹⁹² Ibid. II-22

¹⁹³ ქონების ჩამორთმევის საკითხთან დაკავშირებით *mutatis mutandis* იხილეთ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 20 აგვისტოს განაჩენი (#1/ზ-672) და საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 12 ივლისის განჩინება (#26აპ-09).

ამასთან აღსანიშნავია, რომ დანაშაულის იარაღი მხოლოდ ისეთი საგანია, რომელიც გამოიყენება უშუალოდ დანაშაულის შემადგენლობის ჩასადენად და არა ზოგადად სხვადასხვა გარემოების ხელშესაწყობად, რომლებიც შემდგომში შეიძლება გახდეს პასუხისმგებლობის საფუძველი. მაგალითად, არ შეიძლება დანაშაულის საგნად მივიჩნიოთ ავტომანქანა, რომლითაც მკვლეელი მივიდა მსხვერპლის სახლთან და შემდგომ განახორციელა თავისი მართლსაწინააღმდეგო ქმედება სახლში. დანაშაულის იარაღი დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის რომელიმე ელემენტთან უნდა იყოს უშუალოდ დაკავშირებული. დანაშაულის შემადგენლობის თვისებრიობა უნდა იძლეოდეს შესაძლებლობას, კონკრეტული საგანი გამოყენებულ იქნეს დანაშაულის ჩასადენად. მაგალითად, თუკი პირის მსჯავრდება მოხდება ქურდობისთვის და ამავდროულად მისი სახლიდან ამოღებული იქნება ცეცხლსასროლი იარაღი, მისი ჩამორთმევა დაუშვებელი იქნება მხოლოდ ზემოაღნიშნული ბრალდების ფარგლებში.¹⁹⁴

მიუხედავად კანონმდებლობის მსგავსი დანაწესისა, სასამართლო პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც საკუთრების ჩამორთმევა ხდება ზემოხსენებული მოთხოვნების უგულვებლყოფით, რაც ლახავს მოქალაქეთა საკუთრების უფლებას. სასამართლო აქტებში არ არის დასაბუთებული საკუთრების ჩამორთმევის აუცილებლობა და საკუთრების უფლების არშეზღუდვის შემთხვევაში საზოგადოებრივი ინტერესების ხელყოფის საფრთხე.

აღნიშნული საკითხის პრობლემატურობა საქართველოს პარლამენტის წინაშე სახალხო დამცველის მიერ უკვე რამდენჯერმე დაისვა. მიუხედავად ამისა, აღნიშნული პრობლემა კვლავ მწვავედ დგას.

ტატიანა ჯანიქის საქმე – ყადაღის დადება

სახალხო დამცველის აპარატში განხილულ იქნა ტატიანა ჯანიქის საქმე. ტ.ჯანიქს 2008 წლის 22 ოქტომბერს წარედგინა ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 188-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის. საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 190-ე მუხლის შესაბამისად მისი შვილების, როგორც მასთან დაკავშირებული პირების, ქონებას ყადაღა დაედო.

2009 წლის 1 სექტემბერს ძველი თბილისის რაიონული პროკურატურის პროკურორის დადგენილებით შეწყდა სისხლისსამართლებრივი დევნა ტატიანა ჯანიქის მიმართ, 188-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ბრალდებით და იგი მოწმის სტატუსით მონაწილეობდა სისხლის სამართლის საქმეში.

2010 წლის 12 აგვისტოს ტატიანა ჯანიქმა მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა თავისი შვილების ქონების მიმართ გამოყენებული ყადაღის გაუქმება.

¹⁹⁴ ამ საკითხთან დაკავშირებით იხილეთ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 12 იანვრის №454აპ განჩინება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 25 თებერვლის დადგენილებით ტატიანა ჯანიქს უარი ეთქვა მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე იმ მიზეზით, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად ყადაღის მოხსნის მოთხოვნით მიმართვის უფლებამოსილება აქვთ მხოლოდ პროკურორს ან მისი თანხმობით გამომძიებელს. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 17 მარტის დადგენილებით ძალაში დარჩა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება.

თენგიზ უბილაგას საქმე – საგამომიებო ორგანოს მიერ დოკუმენტაციის ამოღება

სახალხო დამცველის აპარატში განხილულ იქნა თენგიზ უბილაგას საქმე. განმცხადებელი აღნიშნავდა, რომ 2008 წლის 14 ივნისს მცხეთის რაიონის სოფელ გლდანში შეიძინა მიწის ნაკვეთი. ნასყიდობის ხელშეკრულება გაფორმდა სანოტარო წესით. 2009 წლის 07 დეკემბერს მან მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს აღნიშნული მიწის ნაკვეთის თავის საკუთრებად დარეგისტრირების მოთხოვნით, თუმცა საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ არ დაარეგისტრირა უძრავი ქონების საკუთრება, ვინაიდან უძრავ ნივთთან დაკავშირებული დოკუმენტაცია საგამომიებო ორგანოების მიერ იყო ამოღებული. განმცხადებელი აღნიშნავდა, რომ 2008 წლიდან 2011 წლის სექტემბრამდე მისთვის უცნობი იყო გამოძიების მიმდინარეობის შედეგები, რის გამოც განმცხადებელი ვერ ახერხებდა თავის კუთვნილი მიწის ნაკვეთზე სახლის აშენებას.

მირზა გოლეთიანის საქმე – საგამომიებო ორგანოს მხრიდან დოკუმენტაციის ამოღება

სადავო უძრავ ქონებასთან დაკავშირებით მიმდინარე გამოძიების გამო ქონებით სარგებლობის უფლების დარღვევის შესახებ მოქალაქე მირზა გოლეთიანმა 2010 წელს საქართველოს სახალხო დამცველს მიმართა. განმცხადებელი აღნიშნავდა, რომ მისი კუთვნილი მიწის ნაკვეთთან დაკავშირებით ადმინისტრაციული ორგანოების მიერ სისხლის სამართლის საქმის გამოძიების მიმდინარეობისას პროკურატურის მიერ ამოღებულ იქნა დოკუმენტაცია. აღნიშნულის გამო მან ვერ შეძლო, საჯარო რეესტრში დაერეგისტრირებინა კუთვნილი მიწის ნაკვეთი და მასზე განეხორციელებინა სამეწარმეო საქმიანობა.

ზემოაღნიშნულ განცხადებებთან დაკავშირებით რამდენჯერმე მივმართეთ საქართველოს მთავარ პროკურატურას მითითებულ ფაქტებზე ინფორმაციის მიღების თხოვნით, თუმცა პასუხი არ მიგვიღია.

სოფიო კვერენჩილაძის საქმე

სახალხო დამცველის აპარატში განხილულ იქნა სოფიო კვერენჩილაძის საქმე. 2009 წლის 10 მარტს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ.თბილისის მთავარი სამმართველოს გლდან-ნაძალადევის სამმართველოს მე-8 განყოფილებაში დაიწყო გამოძიება ტარიელ გაბუჩიას მიერ სოფიო კვერენჩილაძის კუთვნილი ავტომანქანის თაღლითურად დაუფლების ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით და 3 აპრილს ქვემდებარეობით, შემდგომი გამოძიების ჩატარების მიზნით გადაეგზავნა ისანი-სამგორის რაიონულ სამმართველოს. გამოძიების ფარგლებში დაიკითხნენ დაზარალებული სოფიო კვერენჩილაძე და სხვა მოწმეები. ამოღებულ იქნა ავტომანქანა „მერსედეს ბენცი“, სახელმწიფო ნომრით BDB-122.

სოფიო კვერენჩილაძის ინტერესების დამცველმა ანზორ ჩოჩიშვილმა რამდენჯერმე მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს და საქართველოს პროკურატურის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს ავტომანქანის დაბრუნების მოთხოვნით. დაზარალებულს ყველა შემთხვევაში უარი განუცხადეს მანქანის დაბრუნებაზე.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-80 მუხლი არეგულირებს ნივთიერი მტკიცებულების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესს. ამ მუხლის პირველი ნაწილის მეორე წინადადების მიხედვით:

„სისხლის სამართლის პროცესის დამთავრებამდე საგამოძიებო ორგანომ მესაკუთრეს ან მფლობელს შეიძლება დაუბრუნოს სატრანსპორტო საშუალებები, თუ მათ ყადაღა არა აქვს დადებული.“

სსკ-ის მე-80 მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით თუ ნივთიერი მტკიცებულება არის სატრანსპორტო საშუალება – საგანი, რომელიც მესაკუთრის (მფლობელის) ნების საწინააღმდეგოდ გავიდა მისი კანონიერი მფლობელობიდან, საქმის მწარმოებელი ორგანო, უშუალოდ ან უფლებამოსილი ორგანოს მეშვეობით, წერილობით შესთავაზებს საგნის მესაკუთრეს ან კანონიერ მფლობელს, თუ ასეთი პირი ცნობილია, დაიბრუნოს თავისი კუთვნილი საგანი. იმავე მუხლის მესამე ნაწილის მიხედვით დამატებით განსაზღვრულია ის პირობები, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც ავტოსატრანსპორტო საშუალება არ გადაეცემა მესაკუთრეს:

- საგნის მესაკუთრე ან კანონიერი მფლობელი არ არის ცნობილი
- არ არსებობს საგნის კანონიერი წარმომავლობის დამადასტურებელი დოკუმენტი
- საგნის დაბრუნება შეუძლებელია სხვა მიზეზით

ზემოაღნიშნული სისხლის სამართლის საქმე მიმდინარეობდა ქონების თაღლითურად დაუფლების ფაქტთან დაკავშირებით. მოცემულ შემთხვევაში ავტომანქანა „მერსედეს ბენცი“ სოფიო კვერენჩილაძის ნების საწინააღმდეგოდ გავიდა მისი კანონიერი მფლობელობიდან, რადგან იგი ელოდა შესაბამის თანხას. აღნიშნული და ასევე სოფიო კვერენჩილაძის საკუთრების უფლება კონკრეტულ ავტომანქანაზე დასტურდება ისანი-

სამგორის სამმართველოს პოლიციის მე-6 განყოფილების დეტექტივის თანაშემწე-გამომძიებლის, ლალი ნოზაძის, 2010 წლის 12 აპრილის პასუხით.

აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით 2011 წლის 9 ივნისს სახალხო დამცველმა მიმართა რეკომენდაციით მთავარ პროკურორს. როგორც სამართალდამცავი ორგანოს მხრიდან გვეცნობა, ჩვენი რეკომენდაციის საფუძველზე ავტომობილი დაუბრუნდა მესაკუთრეს.

ავთანდილ თამაზაშვილის საქმე – ქონების ჩამორთმევა

სახალხო დამცველის აპარატში განხილულ ერთ-ერთ საქმეში ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ 2011 წლის 26 იანვრის განაჩენით დაამტკიცა საპროცესო შეთანხმება ბრალდებულ ავთანდილ თამაზაშვილსა და პროკურორს შორის. განაჩენის მიხედვით მსჯავრდებულმა ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობა. ამავე განაჩენით მსჯავრდებულს ჩამოერთვა სატვირთო ავტომანქანა, რომელიც იყო აზერბაიჯანული კომპანიის მფლობელობაში.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 26 იანვრის განაჩენი არ უთითებს საკუთრების ჩამორთმევის არანაირ საფუძველებს და არ ასაბუთებს თუ რა კავშირი იყო დანაშაულსა და კონკრეტულ ობიექტს შორის და არ აზუსტებს ჩამორთმევის საზოგადოებრივ მიზანს.

კობა გიორგაძის, გოჩა უბილაგას და სხვათა საქმე – ქონების ჩამორთმევა

ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ 2011 წლის 6 აპრილის განაჩენით კობა გიორგაძე, ნუგზარ შენგელია და ზაურ ჭკადუა ცნო ბრალეულად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 23,303-ე მუხლის პირველი ნაწილით, 177-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და 210-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობების ჩადენისთვის. ამავე განაჩენით გოჩა უბილაგა მსჯავრდებულ იქნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 23,303-ე მუხლის პირველი ნაწილით, 177-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და 177-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობის ჩადენისთვის. 2011 წლის 6 აპრილის განაჩენით დაამტკიცდა საპროცესო შეთანხმება სამეგრელოსა და ზემო-სვანეთის საოლქო პროკურორსა და მსჯავრდებულ მარო გვიჭიანს შორის და ეს უკანასკნელი მსჯავრდებულ იქნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 210-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით. განაჩენით, სატვირთო ავტომანქანა „IVEGO“ სახელმწიფო ნომრით: WLW-605 და „MERSEDES BENZ“ სახელმწიფო ნომრით: ZMS-876 გადაეცა სახელმწიფო საკუთრებაში, როგორც დანაშაულის იარაღი.

როგორც ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 6 აპრილის განაჩენში აღნიშნული, ნუგზარ შენგელია დანაშაულებრივად დაუკავშირდა ზაურ ჭკადუას, კობა გიორგაძეს, ვახტანგ კვარაცხელიას და გოჩა უბილავას, რომლებმაც განიზრახეს მესტიის რაიონის ტერიტორიაზე, ხაიშის სატყეო უბანში, წიწვოვანი ჯიშის სამასალე ხე-ტყის უკანონოდ გაჩეხა, მართლსაწინააღმდეგო მიზნით ფარული დაუფლება, მისი გადამუშავება და შედეგად მიღებული პირველადი პროდუქტის შემდგომი გასაღება. ამ მიზნით ზემოაღნიშნულმა პირებმა, დანაშაულებრივი ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად, დაუდგენელ დროსა და ვითარებაში გაჩეხეს და მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაეუფლნენ წიწვოვანი ჯიშის სამასალე ხე-ტყეს, რომელიც გადაამუშავეს სოფელ ხაიშში მდებარე ზაურ ჭკადუას ხის სახერხ საამქროში, საიდანაც მიიღეს 28მ³ ხე-ტყის პროდუქტი. მთლიანი მასალიდან 16 მ³ გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში გადაიტანეს სოფელ ჯვარზენში. 2010 წლის 10 ნოემბერს ნუგზარ შენგელიამ, გოჩა უბილავასთან, კობა გიორგაძესთან და ზაურ ჭკადუასთან წინასწარი შეთანხმებით, დაიქირავა მოქალაქე მერაბ კვამილავას საკუთრებაში არსებული სატვირთო ავტომანქანა „MERSEDES BENZ-ი“ სახელმწიფო ნომრით: ZMS-876¹⁹⁵. მათ გადაზიდეს 12 მ³ პირველადი გადამუშავების ხე-ტყის პროდუქტი სოფელ ჯვარზენში. 2010 წლის 11 ნოემბერს დატვირთული სატვირთო ავტომობილი გამოავლინეს შესაბამისმა უწყებებმა.

განაჩენში ასევე აღნიშნულია, რომ ნუგზარ შენგელიამ, ზაურ ჭკადუასთან, კობა გიორგაძესთან, ვახტანგ კვარაცხელიასთან და გამოძიებით დაუდგენელ პირებთან ერთად, სოფელ ხაიშის ტერიტორიაზე უკანონოდ გაჩეხა და მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით ფარულად დაეუფლა წიწვოვანი ჯიშის სამასალე ხე-ტყეს, რომელიც მათ გადაამუშავეს იმავე სოფლის ტერიტორიაზე და მიიღეს 17,574 მ³ შესაბამისი სამასალე პროდუქტი. ნუგზარ შენგელიას დავალებით კობა გიორგაძემ დაიქირავა ქ. სენაკში მცხოვრები ბადრი ლომიას მართვის ქვეშ მყოფი სატვირთო ავტომანქანა „IVEGO“, სახელმწიფო ნომრით WLW-605, რომელზეც დაიტვირთა გადამუშავებული ხე-ტყის პროდუქტი. 2010 წლის 16 ნოემბერს დანაშაულებრივმა ჯგუფმა შეადგინა ყალბი დოკუმენტაცია ხე-ტყის წარმომავლობასთან დაკავშირებით. 2010 წლის 17 ნოემბერს შესაბამისმა უწყებებმა სოფელ ლიას ტერიტორიაზე გააჩერეს ბადრი ლომიას მართვის ქვეშ მყოფი სატვირთო ავტომანქანა. 2010 წლის 17 ნოემბერს მარო გვიჭიანის დავალებით დამატებით შედგა ახალი ყალბი ზედნადები.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 6 აპრილის განაჩენით სასამართლომ დანაშაულის იარაღად მიიჩნია სატვირთო ავტომანქანა „IVEGO“ და „MERSEDES BENZ-ი“ და გადასცა ისინი სახელმწიფო საკუთრებაში.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს განაჩენის მიხედვით არ იყო დასაბუთებული, თუ დანაშაულის რომელ სტადიაზე იყო გამოყენებული ზემოხსენებული ავტომობილები დანაშაულის საგნად ან იარაღად, ასევე, არ ყოფილა დასაბუთებული საქართველოს

¹⁹⁵ განაჩენის სარეზოლუციო ნაწილში ავტომანქანა MERSEDES BENZ-ის სახელმწიფო ნომრად მითითებულია ZMS-876, ხოლო აღწერილობით სამოტივაციო ნაწილში მოხსენიებულია როგორც – ZMS-875.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებითა და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 52-ე მუხლით განსაზღვრული აუცილებელი მოთხოვნები.

აღნიშნულის გამო 2011 წლის 6 ივნისს საქართველოს სახალხო დამცველმა, „სასამართლო მეგობრის“ (Amicus Curiae) მოსაზრებით მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს, რომელიც იხილავდა კობა გიორგაძის, ნუგზარ შენგელიას და ზაურ ჭკადუას სააპელაციო საჩივარს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 21 ივნისის განაჩენით დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება მსჯავრდებულებს კობა გიორგაძის, გოჩა უბილავას, ზაურ ჭკადუას და ნუგზარ შენგელიას და პროკურორ მირანდა წერეთელს შორის. ამავე განაჩენით „სასამართლო მეგობრის“ მოსაზრების შესაბამისად სატვირთო ავტომანქანები დაუბრუნდა მფლობელებს.

მისასალმებელია ის ფაქტი, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა სახალხო დამცველის მოსაზრება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, თუმცა, სამწუხაროდ, სამართალწარმოების პრაქტიკაში მრავლადაა შემთხვევები, როდესაც არასწორად ხდება დანაშაულის საგნის ჩამორთმევა.

რეკომენდაციები:

რეკომენდაციით მიმართავთ საქართველოს პარლამენტს:

ა) განახორციელოს ცვლილებები საქართველოს კანონმდებლობაში (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი), რათა პირს, რომლის საკუთრებასაც შეეხება ყადაღის გამოყენება, ჰქონდეს უფლება მიმართოს სასამართლოს საკუთარი უფლებების დასაცავად;

ბ) საქართველოს კანონმდებლობაში განხორციელდეს სათანადო ცვლილებები, რომლებიც აღმოფხვრის დაბრკოლებებს, საგამომიებო ორგანოს მიერ დოკუმენტების ამოღების შემთხვევაში, საჯარო რეესტრის (ან სხვა ადმინისტრაციული ორგანოს) მიერ საკუთრების უფლების რეგისტრაციის განხორციელებისას;

გ) სისხლის სამართლის კოდექსის 52-ე მუხლში განხორციელდეს სათანადო ცვლილებები აღნიშნულ თავში მოცემული პრობლემატური საკითხების გადასაწყვეტად.

რეკომენდაციით მიმართავთ საქართველოს უზენაეს სასამართლოს:

ა) უზრუნველყოს რეკომენდაციების შემუშავება საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის, რათა სისხლის სამართლის საქმის განხილვის დასრულებასთან ერთად გადაწყდეს შემაჯამებელი გადაწყვეტილებით დაყადაღებული ქონების ბედი;

ბ) უზრუნველყოს სისხლის სამართლის კოდექსის 52-ე მუხლის შესაბამისად ქონების ჩამორთმევასთან დაკავშირებით რეკომენდაციების შემუშავება საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის, აღნიშნულ თავში ასახული პრობლემატური საკითხების გადასაწყვეტად.

რეკომენდაციით მივმართავთ მთავარ პროკურორს, პროკურატურის მიერ მომზადდეს მიმართვა საერთო სასამართლოებისათვის ყადაღის გაუქმების მოთხოვნით ყველა იმ სისხლის სამართლის საქმეზე, რომლებზეც შეწყდა გამოძიება ან/და სისხლისსამართლებრივი დევნა (იმ შემთხვევაში, თუ დაყადაღებულია იმ პირის საკუთრება, რომლის მიმართაც ხორციელდებოდა დევნა).

გადასახადის გადამხდელის უფლებები

საგადასახადო ორგანოების ერთ-ერთი ძირითადი ვალდებულება საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად, როგორც საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის დაცვა და აღნიშნული კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედება, ასევე გადასახადის გადამხდელთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის უზრუნველყოფაა. საქართველოს საგადასახადო კოდექსი არის ის საკანონმდებლო აქტი, რომელიც საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, განსაზღვრავს საქართველოს საგადასახადო სისტემის ფორმირებისა და ფუნქციონირების ზოგად პრინციპებს, აწესრიგებს სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილე პირის, გადასახადის გადამხდელისა და უფლებამოსილი ორგანოს სამართლებრივ მდგომარეობას, განსაზღვრავს საგადასახადო სამართალდარღვევის სახეებს, საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევისათვის პასუხისმგებლობას, არეგულირებს საგადასახადო ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს.

წინამდებარე საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახალხო დამცველს არაერთხელ მიმართეს გადასახადის გადამხდელებმა. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხილული გადასახადის გადამხდელთა განცხადება/საჩივრების ნათელიყოფს, რომ რიგ შემთხვევებში საგადასახადო ორგანოები საქართველოს კანონმდებლობის იმპერატიულ დანაწესებს უხეშად არღვევენ. ქვემოთ მოყვანილი საქმეები ცხადყოფს, თუ რა სახის დარღვევები დაადგინა საქართველოს სახალხო დამცველმა გადასახადის გადამხდელთა განცხადება/საჩივრების შესწავლის შედეგად.

სამეწარმეო საქმიანობის ჩატარების კანონიერება

„სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად¹⁹⁶, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებსა და კანონით დადგენილ ფარგლებში მეწარმის საფინანსო-ეკონომიკურ საქმიანობაზე კონტროლს ახორციელებენ როგორც საგადასახადო ორგანოები, ასევე საქართველოს კონტროლის პალატა (გარდა საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული საგადასახადო ურთიერთობებისა).

ამდენად, „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონი არის ის საკანონმდებლო აქტი, რომელიც ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრავს სამეწარმეო საქმიანობაზე კონტროლის წესს. მოცემულ კანონში ასახული ფორმულირების თანახმად¹⁹⁷, სამეწარმეო საქმიანობის კონტროლი არის საქართველოს კანონმდებლობით მოწესრიგებული სახელმწიფო, ადგილობრივი თვითმმართველობის, ასევე, სხვა

¹⁹⁶ 2001 წლის 8 ივნისის „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი.

¹⁹⁷ 2001 წლის 8 ივნისის „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

ადმინისტრაციულ ორგანოთა საქმიანობა, რომლის მიზანია მეწარმის საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობისა და მისთვის დაკისრებული მოვალეობების შესრულების შემოწმება, აგრეთვე მეწარმის საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენა, მის საქმიანობაში სამართალდარღვევების გამოვლენა ან შესაბამისი სანქციის დადგენა.

შესაბამისად, სწორედ „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონი ანიჭებს მაკონტროლებელ ორგანოს¹⁹⁸ უფლებამოსილებას გააკონტროლოს სამეწარმეო საქმიანობა, თუმცა, იმავდროულად, იმპერატიულად ადგენს მაკონტროლებელი ორგანოს მიერ მეწარმის საქმიანობის შემოწმების დაწყების საშუალებას, კერძოდ, მოსამართლის ბრძანებას¹⁹⁹. „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მოსამართლე ბრძანებას მეწარმის საქმიანობის შესახებ გასცემს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მაკონტროლებელი ორგანო მას წარუდგენს შესაბამის ინფორმაციას დასაბუთებული და საფუძვლიანი ეჭვით მეწარმის მიერ კანონმდებლობის მოთხოვნების დარღვევის შესახებ²⁰⁰. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამავე კანონში ამომწურავადაა მოცემული შემთხვევები, როდესაც მაკონტროლებელი ორგანო უფლებამოსილია შეამოწმოს სამეწარმეო საქმიანობა მოსამართლის ბრძანების გარეშე²⁰¹.

გარდა ამისა, ზემოაღნიშნული კანონის თანახმად, ის მაკონტროლებელი ორგანო, რომელიც სამეწარმეო საქმიანობას ამოწმებს ოპერატიულ-სამმეზრო საქმიანობის განმახორციელებელი ორგანოს თხოვნით, შემოწმების უფლებას მოიპოვებს მოსამართლის ბრძანებით. სასამართლოში შემოწმების შესახებ შუამდგომლობით შედის მოკვლევისა და ოპერატიულ-სამმეზრო საქმიანობის განმახორციელებელი ორგანო, რომელიც მოსამართლეს წარუდგენს შესაბამის ინფორმაციას მეწარმის მიერ კანონმდებლობის დარღვევების შესახებ. მოსამართლე საკითხს იხილავს ერთპიროვნულად, დახურულ სასამართლო სხდომაზე, მხარეთა მონაწილეობის გარეშე.²⁰²

¹⁹⁸2001 წლის 8 ივნისის „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მაკონტროლებელ ორგანოს განეკუთვნება სახელმწიფო, ადგილობრივი თვითმმართველობის, აგრეთვე სხვა ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც კანონის შესაბამისად უფლებამოსილია განახორციელოს კონტროლი სამეწარმეო საქმიანობაზე.

¹⁹⁹2001 წლის 8 ივნისის „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, მაკონტროლებელი ორგანო უფლებამოსილია გააკონტროლოს სამეწარმეო საქმიანობა (მათ შორის, შევიდეს საწარმოში, მოითხოვოს დოკუმენტები, შეაჩეროს საწარმოს საქმიანობა, დააღუპოს მეწარმის კუთვნილი ქონება, დაათვალიეროს საწარმო, შეამოწმოს მეწარმის მიერ გამოშვებული ნაწარმის ხარისხი) მხოლოდ მოსამართლის ბრძანების საფუძველზე.

²⁰⁰2001 წლის 8 ივნისის „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტი.

²⁰¹2001 წლის 8 ივნისის „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტი.

²⁰²2001 წლის 8 ივნისის „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი.

შუამდგომლობა მეწარმის საქმიანობის შემოწმების შესახებ განიხილება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით. ბრძანებას მეწარმის საქმიანობის შემოწმების შესახებ გამოსცემს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე ან მაგისტრატი მოსამართლე მეწარმის ადგილსამყოფელის მიხედვით.²⁰³

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის შესაბამისად²⁰⁴, მოსამართლის ბრძანება ან დადგენილება დგება სამ ცალად, აქედან ერთი ეგზავნება შუამდგომლობის წარმდგენ მაკონტროლებელ ორგანოს, მეორე – შესაბამის მეწარმეს ან მის კანონიერ წარმომადგენელს, ხოლო მესამე რჩება სასამართლოში. მოსამართლის ბრძანება ძალაში შედის ბრძანების გასაჩივრების ვადის ამოწურვის შემდეგ. ბრძანების გასაჩივრება აჩერებს ბრძანების მოქმედებას. მოსამართლის ბრძანება ამ მუხლით დადგენილი წესით 48 საათის განმავლობაში შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში.²⁰⁵ ამდენად, მეწარმის ბიუჯეტთან ანგარიშსწორების შემოწმების აუცილებელ სამართლებრივი წინაპირობა კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს ბრძანებაა.

საქართველოს კანონმდებლობით ნათლად და ცალსახად დეკლარირებული ზემოთ ციტირებული რეგულაციების მიუხედავად, 2011 წლის საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახალხო დამცველმა განიხილა არაერთი საქმე, რომლებშიც გამოვლინდა საგადასახადო ორგანოების მიერ მეწარმეების საქმიანობის შემოწმებისას ზემოაღნიშნული ნორმების უგულვებლყოფის ფაქტები. ზემოთ ნათქვამის (საგადასახადო ორგანოების მიერ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით მეწარმეთა საქმიანობის შემოწმების ჩატარება) ნათელსაყოფად მაგალითის სახით წარმოგიდგინთ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ 2011 წელს შესწავლილ ერთ-ერთ — **ი/მ მ. ნ-ს** საქმეს.

2006 წელს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შუამდგომლობით მიმართა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის საგამომიებო დეპარტამენტის თბილისის მთავარი სამმართველოს III სამმართველოს გამომიებელმა, რომელმაც „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის²⁰⁶ საფუძველზე მოითხოვა ი/მ მ. ნ-ს საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის შემოწმება. აღნიშნული შუამდგომლობა განხილულ იქნა დახურულ სასამართლო სხდომაზე მხარეთა დაუსწრებლად. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის საგამომიებო დეპარტამენტის თბილისის მთავარი სამმართველოს III სამმართველოს გამომიებლის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა, კერძოდ, აქციზის გადამხდელთა საგადასახადო ინსპექციას უფლება

²⁰³ 1999 წლის 23 ივლისის საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21¹-ე მუხლი.

²⁰⁴ 1999 წლის 23 ივლისის საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21¹-ე მუხლის მე-9

ნაწილი.

²⁰⁵ 1999 წლის 23 ივლისის საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21³ მუხლის მე-14

ნაწილი.

²⁰⁶ 2006 წლის თებერვლის ვითარებით.

მიეცა 2004 წლის 1 იანვრიდან 2005 წლის 31 დეკემბრამდე შემოწმებინა ი/მ მ. ნ–ს საფინანსო–ეკონომიკური საქმიანობა.

ი/მ მ. ნ–ს ბიუჯეტთან ანგარიშსწორების შემოწმების აქტის თანახმად, შემოწმებას საფუძვლად დაედო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის საგამომიებო დეპარტამენტის ქ. თბილისის მთავარი პოლიციის საგამომიებო დეპარტამენტის ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს წერილი და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის ზემოაღნიშნული ბრძანება.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის აქციზის გადამხდელთა საგადასახადო ინსპექციის ბრძანების თანახმად, სამეწარმეო შემოწმების საფუძველზე შედგენილი საგადასახადო შემოწმების აქტით ბიუჯეტში დამატებით გადასახდელად დასარიცხ თანხად დადგინდა 6831,5 ლარი, რომლის ი/მ მ. ნ–ს პირადი აღრიცხვის ბარათზე ასახვა დაევალა გადამხდელთა მომსახურების სამმართველოს. შესაბამისად, საგადასახადო დეპარტამენტმა გამოსცა 2006 წლის საგადასახადო მოთხოვნა, რომლის თანახმადაც, ი/მ მ. ნ–ს გადასახდელად დაერიცხა 6831.5 ლარი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისთვის მოწოდებული საქმის მასალებით დგინდება, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის ბრძანება მოცემული მეწარმის საქმიანობის შემოწმების შესახებ ი/მ მ. ნ–ს არ ჩაჰბარებია კანონით დადგენილი წესით.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.²⁰⁷ ამდენად, სასამართლოს გადაწყვეტილების ჩაბარება რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დანაწესისამებრ,²⁰⁸ სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადის ათვლა იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება ამ კოდექსის 70–ე–78–ე მუხლების ან 259¹ მუხლის შესაბამისად.

როგორც საქალაქო სასამართლოს 2006 წლის გადაწყვეტილებით დგინდება, სასამართლომ შუამდგომლობა განიხილა დახურულ სასამართლო სხდომაზე მხარეთა დაუსწრებლად. შესაბამისად, გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის ათვლა უნდა დაწყებულიყო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70–ე–78–ე მუხლებით დადგენილი წესით გადაწყვეტილების ი/მ მ. ნ–სათვის ჩაბარების მომენტიდან.

²⁰⁷1999 წლის 23 ივლისის საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე–2 ნაწილი.

²⁰⁸1997 წლის 14 ნოემბრის საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369–ე მუხლის პირველი ნაწილი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად,²⁰⁹ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის აქციზის გადამხდელთა საგადასახადო ინსპექცია ადმინისტრაციული ორგანოა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციულ კოდექსში მოცემულია ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის კანონიერების პრინციპი,²¹⁰ რომელიც გულისხმობს ადმინისტრაციული ორგანოების კანონმდებლობის საფუძველზე შებოჭვას. კანონის უზენაესობის პრინციპი ადმინისტრაციულ ორგანოებს უკრძალავს კანონისგან გადახვევას. ამასთან, იგი მათ ავალდებულებს კანონის გამოყენებას. საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობის შესაბამისად,²¹¹ ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არ აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.

ამდენად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის აქციზის გადამხდელთა საგადასახადო დეპარტამენტი უფლებამოსილი იყო შეემოწმებინა ი/მ მ. ნ–ს სამეწარმეო საქმიანობა მხოლოდ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე.²¹² როგორც უკვე აღინიშნა, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის ბრძანება ი/მ მ. ნ–ს სამეწარმეო საქმიანობის შეემოწმების შესახებ კანონით დადგენილი წესით მეწარმე სუბიექტს არ ჩაჰბარებია. შესაბამისად, აღნიშნული ბრძანების საფუძველზე აქციზის გადამხდელთა საგადასახადო დეპარტამენტის ქმედებები სამართლებრივ საფუძველსაა მოკლებული.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სახალხო დამცველის დასკვნით, გამოიკვეთა ის ფაქტობრივი და სამართლებრივი წინაპირობები, რომლებიც ადასტურდებს, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის აქციზის გადამხდელთა საგადასახადო ინსპექციამ ი/მ მ. ნ–ს სამეწარმეო საქმიანობა შეამოწმა იმ დროისათვის მოქმედი „სამეწარმეო საქმიანობაზე კონტროლის განხორციელების შესახებ“ საქართველოს კანონის დებულებათა დარღვევით. შესაბამისად, ვინაიდან საქართველოს სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ აქციზის გადამხდელთა საგადასახადო ინსპექციის 2006 წლის აქტი და მის შესაბამისად გამოცემული „საგადასახადო მოთხოვნა,“ ანუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტები, ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს, რაც, თავის მხრივ, ი/მ მ. ნ–ს უფლებების დარღვევაა, რეკომენდაციით მიმართა

²⁰⁹1999 წლის 25 ივნისის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მეორე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო – ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს.

²¹⁰1999 წლის 25 ივნისის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლი.

²¹¹1999 წლის 25 ივნისის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის პირველი ნაწილი.

²¹²2001 წლის 8 ივნისის „სამეწარმეო საქმიანობაზე კონტროლის განხორციელების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი, 2006 წლის თებერვლის მდგომარეობით.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ შემოსავლების სამსახურს და მოითხოვა კანონშესაბამისი გადაწყვეტილების მიღება.

ამდენად, ზემოთ მოყვანილი მაგალითიდან და 2011 წლის საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახალხო დამცველის მიერ მეწარმე სუბიექტების განცხადება/საჩივრების განხილვის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ცალკეულ შემთხვევებში საგადასახადო ორგანოები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დარღვევით ამოწმებენ მეწარმეთა საქმიანობას, რაც ცალსახად ხელყოფს მეწარმე სუბიექტთა უფლებებს.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი გადასახადის დარიცხვის საფუძვლები და საქართველოს საკანონმდებლო აქტით²¹³ რეგულირებული არადეკლარირებული საგადასახადო ვალდებულებების ლეგალიზაციის წესი

დღეისათვის მოქმედი საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად,²¹⁴ გადასახადებით დაბეგვრისათვის გამოიყენება საგადასახადო ვალდებულების წარმოშობის დღისათვის მოქმედი საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა. ზემოაღნიშნული კანონისმიერი დანაწესი აქტუალურია განსაკუთრებით იმით, რომ უკანასკნელ წლებში მოქმედი საქართველოს საგადასახადო კოდექსებით²¹⁵ გადასახადის გადამხდელისათვის გადასახადის დარიცხვის სხვადასხვა საფუძველი იყო რეგლამენტირებული.

2011 წლის საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახალხო დამცველის მიერ განხილულ ქვემოთ წარმოდგენილ საქმეში გადასახადის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათზე დარიცხული დავალიანების კანონიერების დასადგენად მნიშვნელოვანი იყო სწორედ იმ გადასახადების თანხების დარიცხვის საფუძვლების გამოყენება, რომლებიც გათვალისწინებული იყო საქართველოს საგადასახადო კოდექსის 1997 წლის 13 ივნისის რედაქციით²¹⁶.

²¹³2004 წლის 24 დეკემბრის „ამნისტიისა და არადეკლარირებული საგადასახადო ვალდებულებებისა და ქონების ლეგალიზაციის შესახებ“ საქართველოს კანონი.

²¹⁴2004 წლის 24 დეკემბრის „ამნისტიისა და არადეკლარირებული საგადასახადო ვალდებულებებისა და აქონების ლეგალიზაციის შესახებ“ საქართველოს კანონი.

²¹⁵2004 წლის 22 დეკემბრის საქართველოს საგადასახადო კოდექსი და 2010 წლის 17 სექტემბრის საქართველოს საგადასახადო კოდექსი.

²¹⁶1997 წლის 13 ივნისის საქართველოს საგადასახადო კოდექსის 235-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს დაარიცხოს თითოეულ გადამხდელს კუთვნილი გადასახადი და გადასახადის მიმდინარე გადასახდელები კოდექსის მიხედვით, ერთი ან მეტი ქვემოთ ჩამოთვლილი ინფორმაციის წყაროს საფუძველზე: ა) ინფორმაცია, რომელსაც შეიცავს გადასახადის გადამხდელის საგადასახადო დეკლარაციები; ბ) ინფორმაცია გადახდილი თანხების შესახებ, რომლებიც აღწერილია ამ კოდექსის 231-ე მუხლში;²¹⁶ გ) შემოწმების მასალები და სხვა სანდო ინფორმაცია, რომელიც ცნობილია საგადასახადო ორგანოსათვის.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2004 წლის 24 დეკემბრის „ამნისტიისა და არადეკლარირებული საგადასახადო ვალდებულებებისა და ქონების ლეგალიზაციის შესახებ“ საქართველოს კანონით სამართლებრივი სახით დარეგულირდა ის წესები, რომლებმაც ცალსახად განსაზღვრეს არადეკლარირებული საგადასახადო ვალდებულებებისა და ქონების გამოვლენისა და აღიარების მიზნით ასეთი შემოსავლის (ქონების) ლეგალიზაციის პირობები და იმავდროულად, დაადგინეს მისი დაფარვისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძვლები.

„ამნისტიისა და არადეკლარირებული საგადასახადო ვალდებულებებისა და ქონების ლეგალიზაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის დანაწესის შესაბამისად, მოცემული კანონის ამოქმედებისთანავე შესრულებულად ჩაითვალა საქართველოს რეზიდენტი და არარეზიდენტი ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ 2004 წლის 1 იანვრამდე წარმოშობილი და შეუსრულებელი საგადასახადო და საბაჟო ვალდებულებები და ცალსახად დადგინდა, რომ არ უნდა განხორციელებულიყო მათ მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა, ადმინისტრაციული ან კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა სახის სამართალწარმოება. იმავდროულად, აღნიშნული მუხლის მე-2 პუნქტით განისაზღვრა, რომ ამ მუხლის მოქმედება ვრცელდება საქართველოს საგადასახადო კოდექსითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით განსაზღვრული გადასახადის გადამხდელებზე, აგრეთვე, საგადასახადო აგენტებზე, რომლებმაც 2004 წლის 1 იანვრამდე არ განახორციელეს საგადასახადო ვალდებულებათა დეკლარირება ან/და გადახდა. ამასთანავე, „ამნისტიისა და არადეკლარირებული საგადასახადო ვალდებულებებისა და ქონების ლეგალიზაციის შესახებ“ საქართველოს კანონის²¹⁷ თანახმად, არადეკლარირებული საგადასახადო ვალდებულებების ლეგალიზაციის წესი არ ვრცელდება შესაბამის სახელმწიფო ორგანოებში კანონმდებლობით დადგენილი წესით დეკლარირებულ, დარიცხულ და აღრიცხულ, მაგრამ გადაუხდელ საგადასახადო და საბაჟო ვალდებულებებზე.

ამასთანავე, მნიშვნელოვანია „ამნისტიისა და არადეკლარირებული საგადასახადო ვალდებულებებისა და ქონების ლეგალიზაციის შესახებ“ საქართველოს კანონის შემდეგი იმპერატიული დანაწესი,²¹⁸ რომლის თანახმად, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მაკონტროლებელ ორგანოებს (მათ შორის, საგადასახადო და საბაჟო ორგანოებს), აგრეთვე, სამართალდამცავ ორგანოებს აკრძალათ ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით განსაზღვრულ გადასახდელებთან დაკავშირებით ნებისმიერი ფორმით რევიზიის (კონტროლი, შესწავლა, გადამოწმება) განხორციელება.

²¹⁷2004 წლის 24 დეკემბრის „ამნისტიისა და არადეკლარირებული საგადასახადო ვალდებულებებისა და ქონების ლეგალიზაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

²¹⁸2004 წლის 24 დეკემბრის „ამნისტიისა და არადეკლარირებული საგადასახადო ვალდებულებებისა და ქონების ლეგალიზაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტი.

ი/ს „სავანელი ვ. გ.“-ს საქმე

2011 წლის საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახალხო დამცველმა შეისწავლა ი/ს „სავანელი ვ. გ.“-ს განცხადება, რომლის სრული განხილვის შედეგად გამოვლინდა შესაბამისი საგადასახადო ორგანოების მიერ ზემოაღნიშნული კანონით დადგენილი რეგულაციების უხეში დარღვევა.

მოცემულ საქმეში არსებული დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ ი/ს „სავანელი ვ. გ.“-ს ბორჯომის საგადასახადო ინსპექციის 2003 წლის 7 მაისის დასკვნის საფუძველზე წარდგენილი 2009 წლის 13 იანვრის №18 საგადასახადო მოთხოვნისა და 2009 წლის 30 ივლისის ახალციხის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) ი/ს „სავანელი ვ. გ.“-ს კამერალური შემოწმების აქტის შესაბამისად ბიუჯეტში გადასახდელად ერიცხება დავალიანება 722 266.67 ლარის ოდენობით.

როგორც ზემოთ აღნიშნა, ი/ს „სავანელი ვ. გ.“-ს პირადი აღრიცხვის ბარათზე დარიცხული საგადასახადო დავალიანების ერთ-ერთი საფუძველი ბორჯომის საგადასახადო ინსპექციის 2003 წლის 7 მაისის დასკვნაა. აღნიშნული დასკვნის თანახმად, შპს მუსიკალური ფონდის 2003 წლის 24 აპრილის №22 წერილის საფუძველზე კომპოზიტორთა შემოქმედების სახლს, „ბორჯომს“, შეუმცირდა მოგების გადასახადში – ძირითადი გადასახადი 2507 ლარი და საურავი 6603 ლარი; ქონების გადასახადში – ძირითადი გადასახადი 1361 ლარი და საურავი 4217 ლარი; დღგ-ში – ძირითადი გადასახადი 32502 ლარი და საურავი 118211 ლარი; მიწის გადასახადში – ძირითადი გადასახადი 21120 ლარი და საურავი 47554 ლარი. აღნიშნული გადასახადები დაერიცხა ი.ს. სავანელს.

საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის 2004 წლის 24 აპრილის №22 წერილის შესაბამისად, ქ. ბორჯომის ზონალურ საგადასახადო ინსპექციას შპს „მუსიკალურმა ფონდმა“ მიმართა თხოვნით, რათა ფირმა „სავანელთან“ სასამართლო დავის დამთავრებასთან დაკავშირებით 1993–1999 წლის ნოემბრამდე ბორჯომის კომპოზიტორთა შემოქმედებით სახლზე რიცხული დავალიანება გადაწერილიყო ზემოაღნიშნულ ფირმაზე, რის შედეგადაც შპს „მუსიკალური ფონდი“ ვალდებულიებას აიღებდა, გრაფიკით დაეფარა ქ. ბორჯომის ზონალური საგადასახადო ინსპექციისადმი კუთვნილი დავალიანება.

ბორჯომის რეგიონული ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) ზემოაღნიშნული აქტი საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი გადასახადის დარიცხვის ინფორმაციის წყარო არ არის.²¹⁹ რაც შეეხება შემოწმების მასალებსა და სხვა სანდო ინფორმაციას, რომლებიც ცნობილია საგადასახადო ორგანოსათვის, პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს შემდეგი:

²¹⁹1997 წლის 13 ივნისის საქართველოს საგადასახადო კოდექსის 235-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები.

იმ დროისათვის მოქმედი საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად,²²⁰ საგადასახადო კონტროლს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიერ გადასახადების გამოანგარიშების სისწორესა და დროულად გადახდაზე, ასევე გადასახადების ადმინისტრირებისა და მოკრების ყველა ასპექტზე ახორციელებენ საგადასახადო ორგანოები. საგადასახადო შემოწმება, რომელსაც ატარებს საგადასახადო ორგანო, შეიძლება იყოს კამერალური და გასვლითი. გასვლითი საგადასახადო შემოწმება შეიძლება იყოს გეგმური და საკონტროლო.²²¹ ბორჯომის საგადასახადო ინსპექციის 2003 წლის 7 მაისის აქტის საფუძველად ვერ ჩაითვლება კამერალური საგადასახადო შემოწმება, ვინაიდან იგი ტარდება საგადასახადო ორგანოში გადამხდელის მიერ წარდგენილი ბალანსების, დეკლარაციების, ანგარიშგებების, ცნობების, განმარტებების, დასკვნებისა და სხვა მონაცემების საფუძველზე, ასევე, ვერ ჩაითვლება გეგმური და საკონტროლო გასვლითი საგადასახადო შემოწმების მასალები. ამასთან, სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისათვის მოწოდებული დოკუმენტაცია არ შეიცავს 2003 წლის საგადასახადო შემოწმების შედეგების შესახებ გაფორმებულ აქტს, რომელზეც ხელს აწერენ საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირი და გადასახადის გადამხდელი.²²²

გარდა ზემოაღნიშნულისა, მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა არ შეიცავს ნორმას, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იქნებოდა ერთი გადამხდელის განცხადების საფუძველზე მასზე რიცხული საგადასახადო დავალიანების მეორე პირისათვის დარიცხვა. აღნიშნული ეწინააღმდეგება თავად საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილ პრინციპებს. იმ დროისათვის მოქმედი საგადასახადო კოდექსის თანახმად,²²³ საგადასახადო ვალდებულება სრულდება უშუალოდ გადასახადის გადამხდელის მიერ, თუ საგადასახადო კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი. საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევაში საგადასახადო ვალდებულების შესრულება შეიძლება დაეკისროს სხვა ვალდებულ პირს. კერძოდ, აქ საუბარია საწარმოს (ორგანიზაციის) რეორგანიზებისას გარდაცვლილი, უგზო–უკვლოდ დაკარგული ან ქმედუუნარო ფიზიკური პირის საგადასახადო ვალდებულების შესრულების წესზე.²²⁴ ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ი/ს „სავანელი ვ. გ“ არ წარმოადგენდა საქართველოს საგადასახადო კოდექსით²²⁵ განსაზღვრულ სხვა ვალდებულ პირს.

²²⁰ 1997 წლის საქართველოს საგადასახადო კოდექსის 217-ე მუხლის პირველი ნაწილი.

²²¹ 1997 წლის საქართველოს საგადასახადო კოდექსის 217-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

²²² 1997 წლის საქართველოს საგადასახადო კოდექსის 217-ე მუხლის მე-4 ნაწილი.

²²³ 1997 წლის საქართველოს საგადასახადო კოდექსის 30-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

²²⁴ 1997 წლის საქართველოს საგადასახადო კოდექსის 32-ე მუხლის შესაბამისად, საგადასახადო ვალდებულების შესრულება საწარმოს რეორგანიზებისას სრულდება ამ მუხლით განსაზღვრული მისი მემკვიდრის მიერ; 33-ე მუხლის თანახმად, გარდაცვლილი, უგზო–უკვლოდ დაკარგული ან ქმედუუნარო ფიზიკური პირის საგადასახადო ვალდებულების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირია გარდაცვლილი პირის მემკვიდრე, პირი, რომელიც განაგებს ქმედუუნარო ან უგზო–უკვლოდ დაკარგული პირის ქონებას.

²²⁵ 1997 წლის საქართველოს საგადასახადო კოდექსის 30-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

აქვე, ნიშანდობლივია, რომ მოცემულ საქმესთან დაკავშირებით საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისთვის სსიპ შემოსავლების სამსახურისა და ი/ს „სავანელი ვ. გ“-ს მიერ მოწოდებულ საქმის მასალებში არ მოიპოვება სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც, შპს „მუსფონდის“ სარჩელი საგადასახადო დავალიანების ი/ს „სავანელი ვ. გ“-სთვის გადაწერის შესახებ დაკმაყოფილდა.

გარდა ზემოთქმულისა, აღსანიშნავია, რომ ი/ს „სავანელი ვ. გ“-ს 2003 წლის 7 მაისის აქტით დარიცხული საგადასახადო დავალიანების შესახებ საგადასახადო მოთხოვნა წარედგინა 2009 წლის 13 იანვარს.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებულმა დავების განხილვის საბჭომ 2009 წლის 14 აგვისტოს მიღებული შესაბამისი გადაწყვეტილების თანახმად, მიიჩნია, რომ ვინაიდან წარდგენილი დოკუმენტაციით ვერ დგინდებოდა ი/ს „სავანელი ვ. გ“-ზე რიცხული დავალიანების ზუსტი ოდენობა, საჭირო იყო კამერალური საგადასახადო შემოწმების ჩატარება და შესაბამისი საფუძვლების არსებობის შემთხვევაში გადასახადის გადამხდელისათვის ახალი საგადასახადო მოთხოვნის გაგზავნა.

აღნიშნული საქმისათვის ზემოთ მითითებული გარემოებების ანალიზის შედეგად საქართველოს სახალხო დამცველის დასკვნით, ზორჯომის საგადასახადო ინსპექციის 2003 წლის 7 მაისის აქტით, ი/ს „სავანელი ვ. გ“-ზე დარიცხული საგადასახადო დავალიანება იმ დროისათვის მოქმედი საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად,²²⁶ არ იყო კანონმდებლობით დადგენილი წესით დარიცხული საგადასახადო დავალიანება. ამასთან, საქართველოს სახალხო დამცველის აზრით, საგადასახადო მოთხოვნა ზემოაღნიშნული თანხების დარიცხვის შესახებ, გადახდის ადგილი და წესი გადამხდელს ეცნობა მხოლოდ 2009 წლის 13 იანვრის საგადასახადო მოთხოვნით, ანუ მას შემდეგ, რაც „ამნისტიისა და არადეკლარირებული საგადასახადო ვალდებულებებისა და ქონების ლეგალიზაციის შესახებ“ საქართველოს კანონი შევიდა ძალაში.

აღნიშნულთან დაკავშირებით აღსანიშნავია საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტება,²²⁷ რომლის მიხედვით: „საგადასახადო კოდექსის თანახმად, გადასახადის თანხების დარიცხვა გულისხმობს საგადასახადო ორგანოში კონკრეტული საგადასახადო პერიოდისათვის გადასახადის გადამხდელის, საგადასახადო აგენტის, სხვა ვალდებული პირის კუთვნილი გადასახადის თანხის აღრიცხვას. დიდი პალატა იზიარებს საგადასახადო დეპარტამენტის წარმომადგენელთა პოზიციას და თვლის, რომ დარიცხვა და აღრიცხვა ურთიერთშემავსებელი ტერმინებია და, ერთობლიობაში, ერთ ტერმინად უნდა იქნეს განხილული. ამასთან, ეს ტერმინები უკავშირდება დეკლარირებას, ანუ საგადასახადო ვალდებულების არსებობას. შეიძლება

²²⁶1997 წლის 13 ივნისის საქართველოს საგადასახადო კოდექსის 235-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

²²⁷2005 წლის 6 აპრილის საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის №ბს-1117-954-კ-04 გადაწყვეტილება.

საწარმოსათვის საგადასახადო ვალდებულებები წარმოიშვას მას შემდეგ, რაც იგი შეამოწმა საგადასახადო ან სხვა ფისკალურმა ორგანოებმა და შესაბამისად, მოახდინა მისი ფაქტობრივად დეკლარირება, რაც დაირიცხა (აღირიცხა) საგადასახადო ვალდებულებად. თუ საგადასახადო ვალდებულება წარმოშობილია 2004 წლის 1 იანვრისათვის და ეს ცნობილია საგადასახადო ან სხვა ფისკალური ორგანოებისათვის, ეს ვალდებულება რჩება ძალაში და მასზე ამნისტიის კანონი ვერ გავრცელდება.“ ამასთან, საქართველოს სახალხო დამცველმა მნიშვნელოვანად მიიჩნია ის გარემოება, რომ ბორჯომის რეგიონალური ცენტრის 2003 წლის 7 მაისის აქტი არ იყო საგადასახადო შემოწმების აქტი და არც საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული დარიცხვის საფუძველი.²²⁸

ამდენად, საქართველოს სახალხო დამცველის შეხედულებით, „ამნისტიისა და არადეკლარირებული საგადასახადო ვალდებულებებისა და ქონების ლეგალიზაციის შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედების შემდეგ საგადასახადო ორგანოებს არ ჰქონდათ უფლება, განეხორციელებინათ გადასახადის გადამხდელის – მოცემულ შემთხვევაში ი/ს „სავანელი ვ. გ.“-ის კამერალური საგადასახადო შემოწმება, რადგან ახალციხის რეგიონალურმა ცენტრმა ამნისტირებული პერიოდი შეამოწმა.

შესაბამისად, საქართველოს სახალხო დამცველის აზრით, ახალციხის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) 2009 წლის 30 ივლისის ი/ს „სავანელი ვ. გ.“-ის კამერალური შემოწმების აქტი და 2009 წლის 13 იანვრის №18 საგადასახადო მოთხოვნის ის ნაწილი, რომელშიც დავალიანების დარიცხვის საფუძველად მითითებულია ბორჯომის საგადასახადო ინსპექციის 2003 წლის 7 მაისის დასკვნა, მიღებულია საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევით, რადგანაც საგადასახადო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ერთი გადამხდელის განცხადების საფუძველზე დავალიანების მეორე გადამხდელზე გადაწერის შესაძლებლობას და არც სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება მოიპოვება მოცემულ საქმესთან დაკავშირებით, ამასთან, კამერალური შემოწმების აქტით განხორციელდა „ამნისტიისა და არადეკლარირებული საგადასახადო ვალდებულებებისა და ქონების ლეგალიზაციის შესახებ“ საქართველოს კანონით ამნისტირებული პერიოდის შემოწმება.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქართველოს სახალხო დამცველმა მიიჩნია რა, რომ ი/ს „სავანელი ვ. გ.“-ს კანონისმიერი უფლებები დაირღვა, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით მინიჭებული ძალით, კანონშესაბამისი ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის შესახებ რეკომენდაციით მიმართა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ შემოსავლების სამსახურს.

ამდენად, მოცემულ თავში განხილულმა საქმეებმა ნათლად წარმოაჩინა ის გარემოება, რომ რიგ შემთხვევებში საგადასახადო ორგანოები გადასახადების ადმინისტრირებისას საგადასახადო კანონმდებლობას უხეზად არღვევენ, რაც გვიბიძგებს, მოვუწოდოთ

²²⁸1997 წლის 13 ივნისის საქართველოს საგადასახადო კოდექსის 235-ე მუხლი.

საგადასახადო ორგანოებს კანონის უზენაესობის პრინციპის დაცვისაკენ, რათა სათანადოდ იქნეს დაცული გადასახადის გადამხდელთა კანონისმიერი უფლებები.

სათანადო საცხოვრისის უფლება

საქართველოს სახალხო დამცველის 2009 წლის მეორე ნახევრისა და 2010 წლის ანგარიშებში განხილული იყო სათანადო საცხოვრებლის უფლების რეალიზაციის შემაფერხებელი გარემოებები. მიმოხილული იყო როგორც საკანონმდებლო სფეროში, ისე პრაქტიკაში არსებული მდგომარეობა, რომლის საფუძველზეც საქართველოს სახალხო დამცველმა გასცა შესაბამისი რეკომენდაციები.

2011 წელს, წინა წლების მსგავსად, საქართველოს სახალხო დამცველს აქტიურად მიმართავდნენ მოქალაქეები თავშესაფრით უზრუნველყოფის მოთხოვნით. განცხადებების ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ამ მიმართულებით არსებული მდგომარეობა კვლავ არაადამაკმაყოფილებელია.

ისევე, როგორც გასულ წლებში, 2011 წელსაც პრობლემად რჩება უსახლკარო პირების მონაცემთა ბაზის არარსებობა, საბინაო ფონდების უქონლობა, ადგილობრივ ბიუჯეტში ამ მიმართულებით გათვალისწინებული თანხების სიმწირე და, ასევე - სოციალურ პროგრამაში უსახლკარო პირების ჩაურთველობა. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ 2011 წლის განმავლობაში სახალხო დამცველის 2009 – 2010 წლის ანგარიშებში ასახული პრობლემების გადაჭრისა და გაცემული რეკომენდაციების შესასრულებლად სახელმწიფოს ან ადგილობრივ თვითმმართველობებს არ გაუტარებიათ და დაუგეგმავთ კონკრეტული ღონისძიებები.

რადგან სათანადო საცხოვრებლის უფლების რეალიზებისას არსებული პრობლემები დეტალურადაა განხილული სახალხო დამცველის წინა ორ ანგარიშში, მოცემულ თავში მათ დეტალურად აღარ განვიხილავთ. ასევე, უცვლელი რჩება გაცემული რეკომენდაციები.²²⁹ მიუხედავად ამისა, აღნიშნულ თავში საკითხის აქტუალობის კიდევ ერთხელ ხაზგასასმელად წარმოდგენილი იქნება თავშესაფრის გარეშე მყოფი პირების 2011 წლის სტატისტიკური მონაცემები რამდენიმე რეგიონის მიხედვით.

ზოგადად, სათანადო საცხოვრებლით უზრუნველყოფის უფლება თავისი შინაარსით სოციალურ-ეკონომიკურ უფლებათა რიცხვს განეკუთვნება. ამ კატეგორიის უფლებათა იმპლემენტაციის მიზნით სახელმწიფოს ეკისრება ეტაპობრივი და ეფექტური, რიგ შემთხვევებში კი მყისიერი ღონისძიებების გატარების ვალდებულება. ამკარაა, რომ სათანადო საცხოვრებლის უფლების რეალიზაცია ქვეყანაში არსებულ რესურსებთანაა დაკავშირებული, თუმცა ასეთი რესურსების უქონლობა სახელმწიფოს არ ათავისუფლებს უსახლკარო პირების მიმართ ეროვნული კანონმდებლობითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით დადგენილი ვალდებულებებისგან.

²²⁹ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2009 წლის II ნახევარი, გვ 204; საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2010 წელი, გვ 367;

ეფექტური პოლიტიკის დაგეგმვა და დასახელებული პრობლემის გადაჭრა არსებული მდგომარეობის სისტემური შესწავლის გარეშე შეუძლებელია. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამ თვალსაზრისით ზუსტი მონაცემების არსებობაა, რაც საშუალებას მისცემს ყველა შესაბამის ორგანოს სათანადო მიმართულებით დაგეგმოს აუცილებელი ღონისძიებები, დაიანგარიშოს პრობლემის აღმოსაფხვრელად აუცილებელი ფინანსური სახსრების ოდენობა და რესურსი.

როგორც ცნობილია, „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, „სააგენტო (სოციალური მომსახურების სააგენტო) აწარმოებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში რეგისტრირებულ უსახლკარო პირთა ერთიან რეესტრს“.

ამავე კანონის მე-18 მუხლი განსაზღვრავს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები უსახლკარო პირებს უზრუნველყოფენ თავშესაფრებით და, ასევე, უზრუნველყოფენ რეგისტრირებული უსახლკარო პირების შესახებ ინფორმაციის სააგენტოსათვის ხელმისაწვდომობას.

შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობების ვალდებულებაა მონაცემთა მოპოვება და სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის მიწოდება. სამწუხაროდ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, 2009 წლის მეორე ნახევრისა და 2010 წლის ანგარიშებში საქართველოს სახალხო დამცველის მიერ გაცემული ყველა რეკომენდაცია უცვლელი დარჩა. მათ შორისაა თავშესაფრის არმქონე პირთა ერთიანი ბაზის შექმნა. როგორც საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოდან გვეცნობა,²³⁰ აღნიშნული ვალდებულება არც ამჟამად სრულდება.

კიდევ ერთხელ უნდა გაესვას ხაზი იმ გარემოებას, რომ „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით გაწერილი ვალდებულების შეუსრულებლობა, ერთი მხრივ, იწვევს კანონის კონკრეტული მოთხოვნების უგულებელყოფას, ხოლო მეორე მხრივ, შეუსრულებლობა ხდება პრობლემის მასშტაბურობის აღქმის შემაფერხებელი ფაქტორი. ამის მაჩვენებელია ის მონაცემები, რომლებიც 2011 წლის განმავლობაში საქართველოში დაფიქსირდა. კერძოდ, საქართველოს სახალხო დამცველმა ისევე, როგორც წინა წლებში, 2011 წელსაც, 5 ქალაქიდან (გორი, ზუგდიდი, ქუთაისი, ბათუმი, თბილისი) გამოითხოვა ინფორმაცია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებიდან უსახლკარო, თავშესაფრის გარეშე მყოფ პირთა რაოდენობისა და ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ ამ კუთხით გატარებული ღონისძიებების შესახებ. მიღებული პასუხების ანალიზის შედეგად აშკარაა, რომ ყველა ქალაქში საკმაოდ მაღალია იმ პირთა რიცხვი, რომელიც თავშესაფრით დაკმაყოფილებას ითხოვს. ამასთან, არც ერთ ქალაქს არ აქვს თავისუფალი საბინაო ფონდი ან/და არც თავშესაფარი. ერთადერთი პროექტი შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და

²³⁰ 2012 წლის 3 იანვრის სოციალური მომსახურების სააგენტოს #04/58238 წერილი;

სოციალური დაცვის სამინისტროსა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ ინიცირებული პროექტია - „სოციალური საცხოვრისი კეთილგანწყობილ გარემოში,“ თუმცა მის ფარგლებში აშენებული საცხოვრებლები უსახლკარო პირებს სრულად ვერ დააკმაყოფილებს. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში წარმოდგენილი ოფიციალური პასუხების თანახმად, 2011 წელს სოციალურ საცხოვრისში ქ.ზუგდიდში 15 უსახლკარო პირი ჩასახლდა. ამავე პროგრამის ადმინისტრირებისთვის ქ.ქუთაისში გამოყოფილი თანხა 16 000 ლარს შეადგენს. ასევე, აღსანიშნავია, როგორც წესი, თავშესაფრის გარეშე მყოფ პირთა დასახმარებლად ადგილობრივ ბიუჯეტში სახსრები ან საერთოდ არ არის გამოყოფილი, ან ძალიან მწირია.

გორის მუნიციპალიტეტმა სახალხო დამცველს ოფიციალურად²³¹ აცნობა, რომ 2011 წელს გორის მუნიციპალიტეტის გამგეობას 58 ოჯახმა მიმართა თავშესაფრის მოთხოვნით. ვინაიდან გორის ადგილობრივ თვითმმართველობას უსახლკარო პირთა დასაკმაყოფილებლად თავშესაფრების სისტემა ან საბინაო ფონდი არ გააჩნია, არც ერთი ოჯახი არ დაკმაყოფილებულა. ამავე წერილით გვეცნობა, რომ 2012 წელს ადგილობრივ ბიუჯეტში ამ მიმართულებით თანხები არ არის გამოყოფილი. სულ უსახლკარო პირთა მონაცემთა ბაზაში 2011 წლის ბოლოსთვის გორის მუნიციპალიტეტში 80 ოჯახი ირიცხება.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ამჟამად მუნიციპალიტეტში თავისუფალი საბინაო ფონდი არ არსებობს. 2011 წლის განმავლობაში ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან უკიდურესად მძიმე პირობების მქონე 20 ოჯახის ბინის ქირით უზრუნველსაყოფად გამოიყო 24 000 ლარი. თანხა გათვალისწინებულია 2012 წელსაც. ზემოაღნიშნული ოჯახების გარდა, 2011 წელს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობას 20-მა უსახლკარო ოჯახმა მიმართა. თუმცა, აღნიშნული პასუხის თანახმად, მათ ვერ ეხმარებიან საბინაო ფონდის არარსებობის გამო.²³²

განსაკუთრებით მაღალია მოთხოვნა ქ.ქუთაისში. კერძოდ, ქ.ქუთაისის მერიის ოფიციალური პასუხის თანახმად, 2011 წლისათვის თავშესაფრით დაკმაყოფილების მოთხოვნით ადგილობრივ თვითმმართველობას 226 ოჯახმა მიმართა, რომელთა დაკმაყოფილებაც ვერ მოხერხდა. ამჟამად ქუთაისში არ არსებობს საბინაო ფონდი. 2011–2012 წლებში ადგილობრივ ბიუჯეტში გათვალისწინებულია 16 000 ლარი სოციალური საცხოვრისის პროგრამისათვის.²³³

ერთადერთი რეგიონი, სადაც უსახლკარო პირთა თავშესაფრით უზრუნველყოფის მხრივ კონკრეტული ღონისძიებებია დაგეგმილი, არის აჭარა. კერძოდ, საქართველოს

²³¹ 2011 წლის 23 დეკემბრის გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის #6305 წერილი;

²³² 2011 წლის 22 დეკემბრის ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის #10-1/1461 წერილი;

²³³ 2011 წლის 22 დეკემბრის ქ.ქუთაისის მერიის #01-8784 წერილი;

სახალხო დამცველს ქ.ბათუმის მერიიდან აცნობეს,²³⁴ რომ ქ.ბათუმის მერიაში 2011 წლის განმავლობაში თავშესაფრის მოთხოვნით 81 ოჯახის განცხადება დაფიქსირდა. აქედან 23 განცხადება ქ.ბათუმის მერიაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან გადაიგზავნა. როგორც ამავე წერილიდან ირკვევა, 2012 წლისათვის ქ.ბათუმის მერიის ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ დაგეგმილია სოციალური სახლების მშენებლობის პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს ავარიული და ბარაკული ტიპის სახლებში მცხოვრები 320 ბენეციარის საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფას. იმედს ვიტოვებთ, რომ აღნიშნული პროცესი ეფექტურად წარიმართება და პოზიტიურ გავლენას მოახდენს არსებულ სიტუაციაზე.

წარმოდგენილი სტატისტიკა კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს პრობლემის აქტუალობასა და მის რამდენიმე ასპექტს. ერთ–ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემის მიმართ ყურადღების ნაკლებობაა. ამას წლების განმავლობაში შეუსრულებელი რეკომენდაციები და არსებული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად აუცილებელი ღონისძიებების არარსებობა ადასტურებს. აუცილებელია ყველა სათანადო სახელმწიფო სტრუქტურის მიერ გადაიდგას შესაბამისი ღონისძიებები პრობლემის წამოწევისა და მისი შესწავლის მიზნით.

რეკომენდაციები:

რეკომენდაციით მივმართავთ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, რათა უზრუნველყონ „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, უსახლკარო პირთა მონაცემების სოციალური დახმარების სააგენტოსათვის მიწოდება; რეკომენდაციით მივმართავთ კომპეტენტურ ორგანოებს, დაიგეგმოს ღონისძიებები, რომლებიც საშუალებას მოგვცემს, დადგინდეს იმ პირთა სავარაუდო რაოდენობა, რომლებიც სხვადასხვა მიზეზის გამო ცხოვრობენ ქუჩაში ან პერიოდულ თავშესაფრებში, ხოლო აღნიშნული მონაცემების შესაბამისად სახელმწიფოს მიერ დაიგეგმოს ღონისძიებები ამ ჯგუფის მიმართ კონკრეტული ღონისძიებების გასატარებლად;

²³⁴ 2012 წლის 11 იანვრის ქ.ბათუმის #04–04/20709 წერილი;

სოციალური უზრუნველყოფის უფლება

ზოგადი მიმოხილვა

2011 წლის განმავლობაში, გასული წლების მსგავსად, საქართველოს სახალხო დამცველისადმი სოციალურ საკითხებთან დაკავშირებით პირთა მომართვიანობა მაღალი იყო. განცხადებების განხილვის შედეგად გამოვლინდა რამდენიმე პრობლემა. ერთ–ერთ მათგანი ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ არასწორი (ყალბი) ინფორმაციის მიწოდების გამო ოჯახის მონაცემთა ბაზაში 3 წლის ვადით რეგისტრაციის შეწყვეტას უკავშირდება.

ასევე, გამოიკვეთა პრობლემა, რომელიც სააღსრულებო ბიუროს მიერ, საინკასო დავალების საფუძველზე, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურისა და სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით გატარებულ ღონისძიებებს ეხება. კერძოდ, როდესაც სააღსრულებო ბიურო აყადადებს პირის სახელწიფო პენსიას, იმისდა მიუხედავად, რომ ის მისი ერთადერთი შემოსავალია.

საქართველოს სახალხო დამცველის 2010 წლის ანგარიშში, სოციალური უზრუნველყოფის უფლების თავში, განხილული იყო ამ სფეროში არსებული პრობლემური საკითხები. მათ შორის იმ ოჯახების სოციალურ–ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების საკითხი, რომლებიც დროებით სხვის საკუთრებაში ცხოვრობენ და ამის გამო სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფ პირთა სოციალური დახმარების სახელმწიფო პროგრამაში არ არიან ჩართული. ასევე, განხილული იყო პრობლემა, რომელიც უმისამართო/უსახლკარო პირების მიერ სოციალური ბენეფიტებით სარგებლობის შეუძლებლობას ეხება. ზემოაღნიშნული პრობლემების გადასაჭრელად გაიცა შესაბამისი რეკომენდაციები.

სამწუხაროდ, რეკომენდაციების შესასრულებლად 2011 წლის განმავლობაში სახელმწიფო ორგანოებს არ გაუტარებიათ რაიმე სახის ეფექტური ღონისძიებები, შესაბამისად, ყველა პრობლემა ისევ დღის წესრიგშია. ვინაიდან ხსენებული საკითხები დეტალურადაა გაანალიზებული საქართველოს სახალხო დამცველის 2010 წლის საპარლამენტო ანგარიშში, წინამდებარე თავში მათ აღარ განვიხილავთ. მოცემულ თავში ყურადღებას გავამახვილებთ სოციალური უზრუნველყოფის უფლებასთან დაკავშირებულ იმ ახალ პრობლემურ საკითხებზე, რომლებმაც 2011 წელს იჩინა თავი.

მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციის შეწყვეტა

როგორც ზემოთ აღინიშნა, 2011 წლის საანგარიშო პერიოდში პრობლემა იყო მონაცემთა ბაზაში 3 წლის ვადით რეგისტრაციის შეწყვეტა ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ არასწორი (ყალბი) ინფორმაციის მიწოდების გამო.


„სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 20 მაისის #141/ნ ბრძანების მე-2 მუხლის „დ“ ქვეპუნქტში განმარტებულია ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენლის ცნება. მოცემული ნორმის თანახმად, ასეთ პირად ითვლება „*ოჯახის სრულწლოვანი ქმედუნარიანი წევრი ან ოჯახის კანონიერი წარმომადგენელი, რომელსაც ოჯახის წევრები ანდობენ დაადასტუროს „ოჯახის დეკლარაციაში“ შესატანი მონაცემები ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ*“. ამავე ბრძანების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილია, რომ ოჯახის დეკლარაციის შევსების დაწყებამდე სააგენტოს უფლებამოსილმა პირმა უნდა განუმარტოს უფლებამოსილ წარმომადგენელს, რომ მის მიერ მიწოდებული ინფორმაცია ექვემდებარება გადამოწმებას და არასწორი (ყალბი) ინფორმაციის აღმოჩენის შემთხვევაში, ოჯახს შეიძლება შეუწყდეს რეგისტრაცია მონაცემთა ბაზაში.

„ქვეყანაში სიღატაკის დონის შემცირებისა და სოციალური დაცვის სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 24 აპრილის #126 დადგენილების მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, დეკლარაციის შევსებისას (მონაცემთა ბაზაში) მიწოდებული ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება ამ ინფორმაციის გამცემ ოჯახის წევრ(ებ)ს. ამავე დადგენილების მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე სააგენტო უფლებამოსილია, ოჯახის წევრის ან უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებისას ყალბი ინფორმაციის მიწოდების დადგენის შემთხვევაში შეუწყვიტოს ოჯახს რეგისტრაცია მონაცემთა ბაზაში. ასეთ შემთხვევაში ოჯახი კარგავს უფლებას, მომდევნო სამი წლის განმავლობაში განმეორებით მოითხოვოს მონაცემთა ბაზაში რეგისტრაცია.


საქართველოს მთავრობის 2010 წლის 24 აპრილის #126 დადგენილების მე-10 მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრულია, რომ ზემოაღნიშნული შეზღუდვა ვრცელდება ოჯახის თითოეულ სრულწლოვან, ქმედუნარიან წევრზე, მიუხედავად იმისა, შეიცვლის თუ არა იგი მუდმივ საცხოვრებელ ადგილს. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზის“ ფორმირების საკითხებთან და ბაზაში არსებულ სტატისტიკურ მონაცემებთან დაკავშირებით მიმართა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს. მიღებული ინფორმაციით ირკვევა, რომ როდესაც სააგენტო ოჯახს არასწორი (ყალბი) ინფორმაციის მიწოდების საფუძველით 3 წლით უკრძალავს მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციის უფლებას, სრულწლოვანი და ქმედუნარიანი წევრების მსგავსად იგივე შედეგები ვრცელდება ოჯახის არასრულწლოვან და შშმ პირებზეც. შესაბამისად, მათ ავტომატურად უწყდებათ სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის გათვალისწინებული ყველა სახის სოციალური დახმარებით სარგებლობის უფლება. ამასთან, არ აქვს მნიშვნელობა, ოჯახს ფაქტობრივად ეკუთვნის სოციალური დახმარება თუ არა.

განცხადებების განხილვამ გამოავლინა შემთხვევები, როდესაც სოციალური დახმარებების შეწყვეტის შემდეგ შშმ პირებისთვის დანიშნული სახელმწიფო პენსიის გარდა ოჯახს აღნიშნული პირების მედიკამენტებითა და სამედიცინო მომსახურებით უზრუნველსაყოფად სხვა შემოსავალი აღარ რჩება. ასევე, გამოვლინდა ისეთი შემთხვევები, როდესაც ოჯახისათვის 3 წლის ვადით მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციის უფლების აკრძალვამ ოჯახის არასრულწლოვანი პირების ინტერესებიც შეზღუდა. ასეთ პირობებში ოჯახს ბავშვ(ებ)ის საცხოვრებელი პირობების უზრუნველსაყოფად, განათლებისა და პროფესიულ განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შესაქმნელად შესაძლებლობა აღარ ჰქონდა.

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ საქართველოს სახალხო დამცველს გადაეგზავნა სტატისტიკური მონაცემები იმ ოჯახების შესახებ, რომლებსაც, 2009, 2010 და 2011 წლებში მონაცემთა ერთიან ბაზაში 3 წლის ვადით შეუწყდათ რეგისტრაცია. აღნიშნული მონაცემების თანახმად:



საყურადღებოა ასევე 2009, 2010 და 2011 წელს მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული იმ ოჯახების სტატისტიკა, რომლებსაც ჰქონდათ 70 001 ნაკლები სარეიტინგო ქულა.



სტატისტიკური მონაცემების გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ წინა წლებთან შედარებით 2011 წელს მკვეთრად გაიზარდა იმ ოჯახების რაოდენობა, რომლებსაც საქართველოს მთავრობის 2010 წლის 24 აპრილის #126 დადგენილების მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე შეუწყდათ მონაცემთა ბაზაში რეგისტრაცია.

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ 2011 წლის 5 ივლისს განხორციელებული ცვლილებების²³⁵ თანახმად, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 24 აპრილის #126 დადგენილების მე-10 მუხლს დაემატა 2¹ პუნქტი. აღნიშნული ნორმით სააგენტო მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება მომდევნო სამი წლის განმავლობაში მონაცემთა ბაზაში ოჯახის განმეორებითი რეგისტრაციის აკრძალვის გაუქმების შესახებ. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2011 წლის განმავლობაში 282 ოჯახს გაუუქმდა მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციის აკრძალვა. ამკარაა, რომ მოცემული ნორმა ხელს უწყობს 3 წლით რეგისტრაციის აკრძალვის მქონე ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციის აღდგენის პროცესს. ამდენად, ამ ნორმის დამკვიდრება დადებითად უნდა შეფასდეს.

სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახებისთვის გათვალისწინებული სოციალური დახმარებების ძირითადი მიზანი სიღარიბის დამლევა და არსებობის მიჯნაზე მყოფი ოჯახების მინიმალური სოციალურ-ეკონომიკური პირობებით უზრუნველყოფაა. სახელმწიფო უნდა ზრუნავდეს, რომ პროგრამით გათვალისწინებულ სოციალურ დახმარებებზე რაც შეიძლება მეტ ბენეფიციარ ოჯახს მიუწვდებოდეს ხელი, ამასთან, მათ უნდა დაეხმაროს სულ მცირე იმ მატერიალური სახსრების დამოუკიდებლად

²³⁵ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 5 ივლისის #267 დადგენილება „ქვეყანაში სიღატაკის დონის შემცირებისა და მოსახლეობის სოციალური დაცვის სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 24 აპრილის #126 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მოპოვებაში, რომლებსაც აღნიშნული დახმარებები უზრუნველყოფს. სახელმწიფოს ეკისრება პოზიტიური ვალდებულებაც ქვეყანაში არსებული სოციალური უზრუნველყოფის უფლების რეალიზაციისთვის არსებული სისტემა დროთა განმავლობაში უფრო დახვეწოს და განავითაროს.

მონაცემთა ბაზის მსგავსი შემცირება მხოლოდ იმ შემთხვევაშია გამართლებული, თუ რეგისტრირებული ოჯახების კეთილდღეობის მაჩვენებელი გაუმჯობესდება, მათ გაუჩნდებათ ლეგალური შემოსავალი და დამოუკიდებლად შეძლებენ დაიკმაყოფილონ ის მინიმალური სოციალურ-ეკონომიკური მოთხოვნილებები, რომლებსაც პროგრამა უზრუნველყოფს, ასევე - თუ მათ ალტერნატიული სოციალური პროგრამა გაუწევს დახმარებას. ასეთ ობიექტურ საფუძველს განეკუთვნება კანონმდებლობაში გათვალისწინებული საფუძვლით ოჯახისთვის რეგისტრაციის შეწყვეტა/აკრძალვაც (თუმცა ამ შემთხვევაში მნიშვნელობა აქვს უფლების შეზღუდვის ხანგრძლივობას და პირთა წრეს). სხვა დანარჩენ შემთხვევაში მონაცემთა ბაზის შემცირება სახელმწიფო პოლიტიკის ნეგატიური შეფასების საფუძველია.

აღსანიშნავია, რომ სოციალური დახმარების 3 წლით შეწყვეტა (ვადის ხანგრძლივობიდან გამომდინარე) სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის კანონით გათვალისწინებული ყველაზე მკაცრი სანქციაა. საქართველოს მთავრობის 2010 წლის 24 აპრილის #126 დადგენილების მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის გამოყენებისას ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ ფაქტზე, რამდენად სამართლიანია არასრულწლოვან და შშმ პირებზე იმავე შეზღუდვის გავრცელება, რაც გათვალისწინებულია ოჯახის სრულწლოვანი და ქმედუნარიანი პირებისათვის.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით: „სახელმწიფოს არ აქვს ადამიანების რჩენის, მათთვის მატერიალური რესურსების დარიგების, მით უფრო მათი ფუფუნებით უზრუნველყოფის ვალდებულება. სახელმწიფოს ვალდებულებაა, შექმნას ისეთი გარემო, როდესაც პირებს ექნებათ საკუთარი თვითრეალიზაციის შესაძლებლობა. დამატებითი დახმარების ვალდებულება კი ჩნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც პირი, მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, უუნაროა, თავად ირჩინოს თავი ან მის მიერ შექმნილი რესურსები არასაკმარისია არსებობისთვის“²³⁶.

არასრულწლოვანი, შშმ პირები იმ მოწყვლად ჯგუფს განეკუთვნებიან, რომლებიც სახელმწიფოსგან განსაკუთრებულ ხელშეწყობას და ზრუნვას საჭიროებენ. განსხვავებული ხელშეწყობის მთავარი ფაქტორია ერთ შემთხვევაში პირის ჯანმრთელობის მდგომარეობა, ხოლო მეორე შემთხვევაში - ასაკი. ამასთან, აღნიშნულ პირებს დამოუკიდებლად არ შეუძლიათ მოიპოვონ შემოსავლის ის ოდენობა, რომელიც საკმარისი იქნება მათი ღირსეული ცხოვრების დონის უზრუნველსაყოფად.

„სოციალური დაცვა და სოციალური ჩართულობა საქართველოში“ ევროპული კომისიის მიერ 2011 წელს მომზადებული ანგარიშის თანახმად, პენსიონრებისა (მათ შორის შშმ

²³⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს №1/2/434 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

პირები) და არასრულწლოვანი პირებისაგან შემდგარი ოჯახები საქართველოში სიღარიბეში მყოფ რისკ-ჯგუფებს განეკუთვნებიან. შესაბამისად, ასეთ ოჯახებს ესაჭიროებათ დამატებითი სოციალურ-ეკონომიკური რესურსები. სახელმწიფომ მათ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს და მათთვის დამატებითი სოციალური დაცვის სტანდარტები უნდა დააწესოს.

არასრულწლოვანი პირებისთვის 3 წლით სოციალური დახმარებების შეზღუდვა განათლებაზე ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებულ პრობლემებსაც წარმოშობს. ასეთ შემთხვევაში აღნიშნული პირები ვერ სარგებლობენ სახელმწიფოს მიერ ზოგადი განათლების კუთხით დადგენილი შეღავათებით, რომლებიც მიზნულია სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახებისათვის გათვალისწინებულ სოციალური დახმარების პროგრამაზე. მაგალითად, საქართველოს მთავრობა ყოველწლიურად აფინანსებს სასკოლო სახელმძღვანელოებს პირველი კლასიდან მე-12 კლასის ჩათვლით იმ ბენეფიციარებისათვის, რომელთა ოჯახებიც რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და რომელთა სარეიტინგო ქულა ტოლია ან ნაკლებია 57000-ზე, ხოლო იმ ბენეფიციარებისათვის, რომელთა სარეიტინგო ქულა მეტია 57000-ზე და ტოლია ან ნაკლებია 70000-ზე, სასკოლო სახელმძღვანელოებს აფინანსებს პირველი კლასიდან მე-6 კლასის ჩათვლით.²³⁷

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ მონაცემთა ბაზაში ოჯახისათვის რეგისტრაციის შეწყვეტისას უნდა არსებობდეს გამონაკლისი შემთხვევები, როდესაც იგივე შეზღუდვის ფარგლები არ გავრცელდება ამ ოჯახის არასრულწლოვან და ქმედუწარმო პირებზე. აღნიშნულ პირებს გარკვეულ პირობებში უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, ისარგებლონ სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის გათვალისწინებული სოციალური დახმარებებით. მსგავსი ტიპის რეგულირება, ხელს შეუწყობს მოწყვლადი ჯგუფების სოციალური უზრუნველყოფის უფლების რეალიზაციის პროცესს.

სახელმწიფო პენსიის დაყადაღება

საქართველოს სახალხო დამცველს 2011 წლის განმავლობაში რეგულარულად მიმართავდნენ მოქალაქეები, რომლებსაც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საინკასო დავალების საფუძველზე სახელმწიფო პენსია 100%-ით დაუკავდათ.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ შემოსავლების სამსახურიდან გამოთხოვილი ინფორმაციის თანახმად, საბანკო ანგარიშზე საინკასო დავალება იგზავნება საგადასახადო დავალიანების (გადახდის, საურავის და ჯარიმის) ჩამოწერისა და შესაბამის ბიუჯეტში ჩარიცხვის მიზნით. საბანკო ანგარიშზე საინკასო დავალების გაგზავნისას შემოსავლების სამსახური საქართველოს საგადასახადო კოდექსის 243-ე

²³⁷ "სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახების მოსწავლეების სასკოლო სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 27 ივნისის #252 დადგენილება

მუხლის პირველი ნაწილით ხელმძღვანელობს, რომლის თანახმადაც, კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, აღიარებული საგადასახადო დავალიანების ფარგლებში პირის საბანკო ანგარიშიდან (გარდა საანაბრო (ვადიანი) ანგარიშისა) საინკასო დავალებით ჩამოწეროს გადასახადის, საურავისა და ჯარიმის თანხები და ჩარიცხოს ისინი შესაბამის ბიუჯეტში.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილ შემთხვევებში შემოსავლების სამსახურმა იხელმძღვანელა რა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 238-ე მუხლის მე-7 ნაწილით,²³⁸ საპენსიო ანგარიშებიდან საინკასო დავალება გამოითხოვა. შემოსავლების სამსახურის მიერ საკითხის დადებითად გადაწყვეტის მიუხედავად საქართველოს სახალხო დამცველმა მიზანშეწონილად მიიჩნია, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 243-ე მუხლის პირველი ნაწილით²³⁹ (როგორც შემოსავლების სამსახურის სამოქმედო სპეციალური ნორმით) დადგენილი ქცევის წესის დამატებით შესწავლა.

არსებული რეგულაციის პირობებში შემოსავლების სამსახურის მიერ საინკასო დავალების გამოთხოვა უდავოდ კეთილი ნების გამოვლინებაა, თუმცა გასათვალისწინებელია ისიც, რომ უფლების არსებობა დაცვის გაცილებით უფრო მაღალ სტანდარტს გულისხმობს, ვიდრე მხოლოდ სახელმწიფოს კეთილი ნებაა.²⁴⁰

სოციალურ უფლებებთან დაკავშირებით სახელმწიფოს ვალდებულებები, პირველ რიგში, სოციალური სახელმწიფოს პრინციპიდან მომდინარეობს. მართალია, სოციალური სახელმწიფოს პრინციპი საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულაში განსაზღვრულია, როგორც სახელმწიფოს მიზანი, მაგრამ ეს არც-ერთ შემთხვევაში არ იძლევა იმის მტკიცების საშუალებას, რომ ეს პრინციპი არის მხოლოდ დეკლარაციული, პროგრამული დებულება, რომელიც კონკრეტულ დროსა და ვითარებაში სახელმწიფოს არაფერს ავალდებულებს.²⁴¹

სოციალური, ეკონომიკური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-2 მუხლი საქართველოს, როგორც ხელშემკვრელ სახელმწიფოს, ავალდებულებს, უზრუნველყოს პაქტით აღიარებული უფლებების სრული

²³⁸ ამ თავით გათვალისწინებული ღონისძიებები შეიძლება გაუქმდეს საქართველოს ფინანსთა მინისტრის, საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირის, შემოსავლების სამსახურის უფროსის ან ამ მუხლის მე-8 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში საგადასახადო ორგანოს უფროსის გადაწყვეტილებით. (24.06.2011. N4963)

²³⁹ ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, აღიარებული საგადასახადო დავალიანების ფარგლებში პირის საბანკო ანგარიშებიდან (გარდა საანაბრო (ვადიანი) ანგარიშისა) საინკასო დავალებით ჩამოწეროს გადასახადის, საურავისა და ჯარიმის თანხები და ჩარიცხოს ისინი შესაბამის ბიუჯეტში.

²⁴⁰ იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 27 აგვისტოს #1/2/434 გადაწყვეტილება, მოსამართლეების ქ.ერემადისა და ბ.ზოიდის განსხვავებული აზრი;

²⁴¹ იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 27 აგვისტოს #1/2/434 გადაწყვეტილება, მოსამართლეების ქ.ერემადისა და ბ.ზოიდის განსხვავებული აზრი;

განხორციელება ყველა მართებული საშუალებით, მათ შორის, საკანონმდებლო ღონისძიებათა მიღებით.

როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 243-ე მუხლის პირველი ნაწილი საგადასახადო ორგანოს უფლებას აძლევს, აღიარებული საგადასახადო დავალიანების ფარგლებში პირის საბანკო ანგარიშიდან საინკასო დავალებით ჩამოწეროს გადასახადის, საურავისა და ჯარიმის თანხები და ჩარიცხოს ისინი შესაბამის ბიუჯეტში. დასახელებული ნორმის თანახმად, საინკასო დავალების გაგზავნა მხოლოდ საანაბრო (ვადიან) ანგარიშზე იკრძალება. ხოლო იმ საბანკო ანგარიშებს შორის, რომლებზეც საინკასო დავალების გაგზავნა ნებადართულია, შეიძლება იყოს როგორც სახელფასო, ასევე საპენსიო ანგარიშები.

მიუხედავად იმისა, რომ შემოსავლების სამსახურის მიერ საბანკო ანგარიშზე საინკასო დავალების გაგზავნა საგადასახადო დავალიანების (გადასახადის, საურავის და ჯარიმის) ჩამოწერასა და შესაბამის ბიუჯეტში ჩარიცხვას ემსახურება, აუცილებელია იმის შეფასება, ხომ არ გამოიწვევს მსგავსი ქმედება პირის საარსებო სახსრების გარეშე დატოვებას. სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილ შემთხვევებში საპენსიო ანგარიშზე საინკასო დავალების გაგზავნითა და პენსიის 100%-ით დაკავებით პირები სწორედ საარსებო საშუალებების გარეშე დარჩნენ.

აღნიშნულთან დაკავშირებით 2011 წლის 13 ივნისს საქართველოს სახალხო დამცველმა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს საკანონმდებლო წინადადებით მიმართა, რათა საქართველოს პარლამენტის მიერ მოხდეს საგადასახადო კოდექსის ნორმის (ნორმების) იმგვარი ფორმულირება, რომელიც გამორიცხავს პენსიის 100%-ით დაკავებას და მოქალაქეთა აუცილებელი საარსებო სახსრების გარეშე დარჩენას.

საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახალხო დამცველს ასევე მიმართავდნენ მოქალაქეები, რომლებსაც საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, სახელმწიფო პენსია 100%-ით დაუკავდათ.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ სსიპ სააღსრულებო ბიუროდან გამოთხოვილი ინფორმაციით დადგინდა, რომ აღმასრულებელი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ქონების მოძიების შემდგომ აყადალებს განმცხადებლების საპენსიო ანგარიშს, ხოლო მას შემდეგ, რაც განმცხადებლები თავად მიმართავენ სააღსრულებო ბიუროს თავიანთ საპენსიო ანგარიშზე ყადაღის მოხსნის თაობაზე, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის შესაბამისად სრულად ეხსნებათ ყადაღა.

იძულებითი აღსრულების პროცესში პენსიაზე გადახდევინების მიქცევის შესაძლებლობას იძლევა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონი.²⁴² თუმცა ამ შემთხვევაში მხედველობაში მიიღება „პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის

²⁴² იხ. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის ა.ბ ქვეპუნქტი:

მე-19 მუხლით დადგენილი წესი, რომლის თანახმადაც: ზედმეტად დარიცხული პენსიის დაბრუნება შესაძლებელია კომპეტენტური ორგანოს გადაწყვეტილებით პენსიის არა უმეტეს 20%-ის ოდენობით, ამასთან, სასამართლოს გადაწყვეტილებით შეიძლება პენსიის არა უმეტეს 50%-ის დაკავება.²⁴³

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლი ასევე განსაზღვრავს იმ ქონებას, რომლიდანაც არ შეიძლება გადახდევინება. კანონის თანახმად, პროფესიული საქმიანობის, ცხოვრებისა და მეურნეობის წარმოებისთვის აუცილებელი ნივთების გარდა ყადაღის დადებას არ ექვემდებარება:

– სახელმწიფოს მიერ გაცემული მიზნობრივი დახმარება;

– სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის წევრის ქონება, გარდა მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად გამოყენებული ქონებისა, რომლის სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებელიც საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილ ზღვარზე ნაკლებია;

– საარსებო მინიმუმზე ნაკლები შემოსავალი.

„პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონში არსებული ჩანაწერი, ისევე, როგორც „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონში შესაბამისი დამატებების შეტანა²⁴⁴, სახელმწიფოს მიერ მოქალაქეთა სოციალური უფლებების უზრუნველსაყოფად გადადგმული ეფექტური ნაბიჯებია. მსგავსი ვალდებულებები სახელმწიფოს როგორც ეროვნული, ასევე საერთაშორისო კანონმდებლობით აქვს ნაკისრი.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, აუცილებელია საკანონმდებლო აქტებში ნათლად იყოს წარმოდგენილი სათანადო რეგულაციები, რომლებიც გამორიცხავს აღნიშნული უფლების ხელყოფას ისეთი კატეგორიის პირებისათვის, რომელთათვისაც სახელმწიფო პენსია არსებობისათვის აუცილებელი და ერთადერთი საშუალებაა.

რეკომენდაციები:

რეკომენდაციით მივმართავთ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, შეიმუშაოს და მთავრობას წარუდგინოს ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიაში შესატანი ცვლილებებისა და დამატებების პროექტი, რომელიც საშუალებას მისცემს უსახლკარო ოჯახებს და იმ ოჯახებს, რომლებიც თავს აფარებენ სხვა ოჯახებს ან სხვის საკუთრებაში არსებულ სახლებს, საჭიროების შემთხვევაში მიიღონ დახმარება;

²⁴³ „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 19, პუნქტი 2; 3;

²⁴⁴ იხ. 2010 წლის 17 დეკემბრის # 3884 „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ.

რეკომენდაციით მიემართავთ საქართველოს მთავრობას, დადგენილებით დაამტკიცოს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებული ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიაში შესატანი ცვლილებები და დამატებები, რომლებიც საშუალებას მისცემს უსახლკარო ოჯახებს და იმ ოჯახებს, რომლებიც თავს აფარებენ სხვა ოჯახებს ან სხვის საკუთრებაში არსებულ სახლებს, საჭიროების შემთხვევაში მიიღონ დახმარება.

რეკომენდაციით მიემართავთ საქართველოს პარლამენტს, უზრუნველყოს საქართველოს კანონმდებლობაში იმდაგვარი ცვლილებების განხორციელება, რომელიც გამორიცხავს პენსიის 100%-ით დაკავებასა და მოქალაქეთა აუცილებელი საარსებო სახსრების გარეშე დარჩენას.

რეკომენდაციით მიემართავთ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს, ოჯახისთვის მონაცემთა ბაზაში 3 წლით რეგისტრაციის შეწყვეტისას გარკვეულ შემთხვევებში არასრულწლოვანი და შშმ პირების მიმართ შეიმუშაოს განსხვავებული სოციალური დაცვის სტანდარტი.

შრომის უფლება საჯარო სამსახურში

2011 წლის საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახალხო დამცველმა არაერთი მოქალაქის განცხადება განიხილა, რომლებიც შეეხებოდა საჯარო სამსახურიდან მათი, როგორც საჯარო მოხელეების, გათავისუფლებისას საქართველოს კანონმდებლობით გარანტირებული შრომის უფლების დარღვევის ფაქტებს.

წინამდებარე თავში მიმოვიხილავთ შრომის უფლების ფართო კონცეფციიდან²⁴⁵ ერთ-ერთი კომპონენტის – დასაქმების დაცვის უფლების²⁴⁶ სათანადო რეალიზაციის წინაშე არსებულ პრობლემებს და საქართველოს სახალხო დამცველის მიერ 2011 წელს გამოვლენილი საჯარო სამსახურების უფლებამოსილ პირთა მიერ ზემოხსენებული უფლების დარღვევის გამომწვევ მიზეზებს.

ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ 2011 წლის საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახალხო დამცველს ძირითადად მიმართავდნენ ის ყოფილი საჯარო მოხელეები, რომლებიც საჯარო სამსახურიდან გათავისუფლდნენ სამსახურებრივ მოვალეობათა დარღვევის (დისციპლინური გადაცდომა) ან დაწესებულების რეორგანიზაციისას განხორციელებული შტატების შემცირების საფუძველით და რომლებიც მიიჩნევდნენ, რომ დაკავებული თანამდებობებიდან გათავისუფლებისას დაირღვა მათი შრომის უფლების ერთ-ერთი კომპონენტი – დასაქმების დაცვის უფლება²⁴⁷.

²⁴⁵ „შრომის უფლებას ხშირად მიიჩნევენ, როგორც ადამიანის აღიარებული უფლებების ერთ კონკრეტულ უფლებას, მაშინ როდესაც იგი სინამდვილეში წარმოადგენს ნორმატიულ ერთობლიობას (მონობისა და მსგავსი პრაქტიკისაგან თავისუფლება, იძულებითი და სავალდებულო შრომისგან თავისუფლება, შრომის თავისუფლება, დასაქმების უფლება, დასაქმების დაცვის უფლება უმუშევრობისგან დაცვის უფლება და სხვა) და არა მხოლოდ ერთ სამართლებრივ კონცეფციას“. იხ. კრეიფტოფ დრევეციკი „შრომის უფლება და შრომის პირობების უფლებები“, "The Right to Work and Rights in Work", [in] A. Eide, C. Krause and A. Rosas (eds), Economic, Social and Cultural Rights. A Textbook, 2nd Edition, The Hague-London-Boston: Kluwer Law International, 2001

²⁴⁶ „შრომის უფლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია – დასაქმების დაცვის უფლება, ანუ სამართლებრივი და სხვა ღონისძიებები შრომითი ურთიერთობების შენარჩუნებისა და დაცვისათვის“. აღნიშნულთან დაკავშირებით, იხ. კრეიფტოფ დრევეციკი „შრომის უფლება და შრომის პირობების უფლებები“, დასაქმების დაცვის უფლება, The Right to Work and Rights in Work", [in] A. Eide, C. Krause and A. Rosas (eds), Economic, Social and Cultural Rights. A Textbook, 2nd Edition, The Hague-London-Boston: Kluwer Law International, 2001

²⁴⁷ „დასაქმების დაცვის უფლების არსი ძირითადად გულისხმობს – ადგილი არ ჰქონდეს თვითნებურ ან უსამართლო დათხოვნას შრომითი ურთიერთობების სტაბილურობიდან და ხელშეუხებლობის განმსაზღვრელი სხვა ასპექტებიდან გამომდინარე“. აღნიშნულთან დაკავშირებით, იხ. კრეიფტოფ დრევეციკი „შრომის უფლება და შრომის პირობების უფლებები“, დასაქმების დაცვის უფლება, The Right to Work and Rights in Work", [in] A. Eide, C. Krause and A. Rosas (eds), Economic, Social and Cultural Rights. A Textbook, 2nd Edition, The Hague-London-Boston: Kluwer Law International, 2001

იმ მოსაზრების საფუძვლიანობას, რომ შრომასთან დაკავშირებული უფლებები ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების ყველაზე პრობლემატურ სფეროს განეკუთვნა, ადასტურებს საქართველოს სახალხო დამცველის მიერ განხილული შრომის უფლების სავარაუდო ხელყოფასთან დაკავშირებით განცხადებების სიჭარბეც (გასათვალისწინებელია შრომის უფლების მხოლოდ ერთი კომპონენტი – დასაქმების დაცვის უფლება).

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ საჯარო სამსახურიდან გათავისუფლებული მოხელეების შრომითი უფლების სავარაუდო დარღვევასთან დაკავშირებით განცხადება/საჩივრების დეტალური განხილვის შემდეგ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რიგ შემთხვევებში საჯარო სამსახურიდან საჯარო მოხელეები თავისუფლდებიან უფლებამოსილი პირების მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმების უგულვებელყოფის შედეგად, რაც, თავის მხრივ იწვევს კონკრეტული მოქალაქეების შრომის უფლების უხეშ დარღვევას.

საქართველოში შრომასთან დაკავშირებული უფლებების დაცვის მოქმედი რეგულაციები დადგენილია როგორც საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით²⁴⁸, ასევე შრომით სამართალთან დაკავშირებული იმ საერთაშორისო შეთანხმებებით²⁴⁹, რომელთა ხელშემკვრელი მხარე არის საქართველო და რომელთაც პირდაპირი მოქმედების ძალა აქვთ საქართველოსთვის.

საქართველოში მოქმედი ეროვნული კანონებიდან საჯარო სამსახურის²⁵⁰ ორგანიზაციის სამართლებრივი საფუძვლები, საჯარო სამსახურის განხორციელებასთან დაკავშირებული ურთიერთობები²⁵¹ და საჯარო მოსამსახურის²⁵² სამართლებრივი

²⁴⁸ 1995 წლის 24 აგვისტოს საქართველოს კონსტიტუცია, 2010 წლის 17 დეკემბრის საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“, 1997 წლის 31 ოქტომბრის საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“, 2005 წლის 8 აპრილის საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“ და სხვა.

²⁴⁹ 1948 წლის 10 დეკემბრის გაეროს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, 1966 წლის 16 დეკემბრის გაეროს „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტი, 1996 წლის 3 მაისის ევროპის სოციალური ქარტია (შესწორებული), შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციები.

²⁵⁰ 1997 წლის 31 ოქტომბრის „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „საჯარო სამსახური არის საქმიანობა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში - საჯარო ხელისუფლების ორგანოებში“.

²⁵¹ 1997 წლის 31 ოქტომბრის „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველოს შრომის კანონმდებლობა საჯარო მოხელეებზე ვრცელდება ამ კანონით განსაზღვრულ თავისებურებათა გათვალისწინებით. ხოლო ამავე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, საჯარო სამსახურთან დაკავშირებული ის ურთიერთობა, რომელიც ამ კანონით არ წესრიგდება, რეგულირდება შესაბამისი კანონმდებლობით.

²⁵² 1997 წლის 31 ოქტომბრის „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის დანაწესისამებრ, „საჯარო მოსამსახურე არის საქართველოს მოქალაქე, რომელიც ამ კანონით დადგენილი წესით და დაკავებული თანამდებობის შესაბამისად ეწევა ანაზღაურებად საქმიანობას სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებაში.“

მდგომარეობა (მათ შორის, საჯარო მოხელის²⁵³ უფლებები და გარანტიები) დეკლარირებულია საქართველოს კანონში „საჯარო სამსახურის შესახებ“.

ამდენად, სწორედ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით არის რეგლამენტირებული და განსაზღვრული საჯარო ხელისუფლების განმახორციელებელი უფლებამოსილი პირის ან ორგანოს²⁵⁴ მიერ როგორც საჯარო მოხელის თანამდებობაზე დანიშვნის²⁵⁵, ისე დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების სამართლებრივი საფუძვლები (მათ შორის, გარკვეული პერიოდის მიხედვით საჯარო მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების შეზღუდვის იმპერატიული მოთხოვნები)²⁵⁶.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნათლად ჩანს, რომ საჯარო მოხელე დაკავებული თანამდებობიდან შეიძლება გათავისუფლდეს კანონისმიერი – „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მეათე თავით გათვალისწინებული ერთ–ერთი საფუძვლის არსებობისას და საჯარო ხელისუფლების განმახორციელებელი უფლებამოსილი პირის ან ორგანოს მიერ. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ საჯარო ხელისუფლების განმახორციელებელი ორგანოები – სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებები, სადაც საქმიანობა ითვლება საჯარო სამსახურად, წარმოადგენენ ადმინისტრაციულ ორგანოებს²⁵⁷ და შებოჭილნი არიან საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი რეგულაციებით. შესაბამისად, საჯარო ხელისუფლების განმახორციელებელი ორგანო ან საჯარო სამსახურის უფლებამოსილი პირი გადაწყვეტილებას – კონკრეტული საჯარო მოხელის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ – იღებს ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტით²⁵⁸.

²⁵³ 1997 წლის 31 ოქტომბრის „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე–6 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, „მოხელე არის პირი, რომელიც ინიშნება ან აირჩევა სახაზინო დაწესებულების საშტატო (შტატით გათვალისწინებულ) თანამდებობაზე“.

²⁵⁴ 1997 წლის 31 ოქტომბრის „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 93–ე მუხლის თანახმად, მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების გადაწყვეტილება შეიძლება მიიღოს მხოლოდ იმ თანამდებობის პირმა ან ორგანომ, რომელსაც შესაბამის თანამდებობაზე მოხელის მიღების უფლებამოსილება გააჩნია.

²⁵⁵ 1997 წლის 31 ოქტომბრის „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის თავი II (სამსახურში მიღება).

²⁵⁶ 1997 წლის 31 ოქტომბრის „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის თავი X (სამსახურიდან გათავისუფლება).

²⁵⁷ 1999 წლის 25 ივნისის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე–2 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, „ადმინისტრაციული ორგანო არის ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის და მმართველობის ორგანო ან დაწესებულება“.

²⁵⁸ 1999 წლის 25 ივნისის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე–2 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, „ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტი არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტად ჩაითვლება აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მის უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხის დაკმაყოფილებაზე“.

მართალია, საჯარო ხელისუფლების ორგანო/საჯარო სამსახურის უფლებამოსილი პირი საჯარო მოხელის სამსახურიდან გათავისუფლებისას ახორციელებს დისკრეციულ უფლებამოსილებას²⁵⁹, თუმცა კანონისმიერი მოთხოვნის თანახმად, საკითხის გადასაწყვეტად მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებულმა ზომებმა არ შეიძლება გამოიწვიოს პირის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა²⁶⁰.

ამდენად, საჯარო ხელისუფლების ორგანო/საჯარო სამსახურის უფლებამოსილი პირი დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას (საჯარო მოხელის სამსახურიდან გათავისუფლება) საკუთარი პასუხისმგებლობით, კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში, კანონის მიზნებისა და კონკრეტულ შემთხვევაში არსებული გარემოებების გათვალისწინებით იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას ანუ საჯარო ხელისუფლების ორგანო/საჯარო სამსახურის უფლებამოსილი პირი საქართველოს კანონმდებლობის თანახმად²⁶¹ ვალდებულია საჯარო მოხელის სამსახურიდან გათავისუფლებისას დაეყრდნოს კანონისმიერ რეალურ საფუძველს, ადმინისტრაციული წარმოებისას²⁶² შეისწავლოს და გამოიკვილოს კონკრეტული საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები და შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის წერილობითი დასაბუთებისას ასახოს ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომლებიც საფუძველად დაედო დისკრეციული უფლებამოსილების საფუძველზე მიღებულ გადაწყვეტილებას²⁶³.

ამავდროულად, მნიშვნელოვანია საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი აკრძალვა, რომელსაც განაპირობებს კანონის უზენაესობის პრინციპი და რომლის ძალითაც ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს განახორციელოს რაიმე მოქმედება კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ²⁶⁴. ზემოაღნიშნული

განმცხადებლისათვის უარის თქმის შესახებ, ასევე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ან დადასტურებული დოკუმენტი, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს სამართლებრივი შედეგები“.

²⁵⁹ 1999 წლის 25 ივნისის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ღ“ ქვეპუნქტის მიხედვით, დისკრეციული უფლებამოსილება არის ადმინისტრაციული ორგანოს ან თანამდებობის პირის უფლებამოსილება, რომელიც ანიჭებს მას თავისუფლებას, საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება.

²⁶⁰ 1999 წლის 25 ივნისის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილი.

²⁶¹ 1995 წლის 24 აგვისტოს საქართველოს კონსტიტუცია, 1999 წლის 25 ივნისის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი, საქართველოს ორგანული კანონი – „საქართველოს შრომის კოდექსი“.

²⁶² 1999 წლის 25 ივნისის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „კ“ ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული წარმოება არის ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების, გამოცემის [...] მიზნით.

²⁶³ იხ. 1999 წლის 25 ივნისის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის პირველი ნაწილი და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილი.

²⁶⁴ 1999 წლის 25 ივნისის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის პირველი ნაწილი.

კანონისმიერი ვალდებულების მიუხედავად, საქართველოს სახალხო დამცველის მიერ საჯარო მოხელეთა გათავისუფლებასთან დაკავშირებით განხილულ რიგ საქმეებში იკვეთება საჯარო ხელისუფლების ორგანოების მიერ ზემოთ თქმული კანონისმიერი დანაწესების უგულებელყოფა. ასევე ფიქსირდება საჯარო ხელისუფლების ორგანოების/საჯარო სამსახურის უფლებამოსილი პირების მიერ გადაწყვეტილების (კონკრეტული საჯარო მოხელის გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილება) ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ასახვისას წინააღმდეგობა კანონთან და მისი (აქტის – გათავისუფლების შესახებ ბრძანების) მომზადებისა და გამოცემისას კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების არსებითი დარღვევა, რაც წარმოშობს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მიხედვით²⁶⁵ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილობის საფუძველს.

საჯარო ხელისუფლების ორგანოებიდან საჯარო მოხელეების გათავისუფლებასთან დაკავშირებით საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხილული საქმეების ანალიზი გვამცნობს საფუძველს დავასკვნათ, რომ უფლებამოსილი პირები რიგ შემთხვევებში კონკრეტული მოხელის სამსახურიდან გათავისუფლებისას გადაწყვეტილებას იღებენ ყოველგვარი დასაბუთებისა და საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლის გარეშე. აღნიშნული მოსაზრების საფუძველიანობის საილუსტრაციოდ გამოდგება საქართველოს სახალხო დამცველის მიერ მოქალაქე ს. ც.-ს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან სამსახურებრივ მოვალეობათა არაჯეროვანი შესრულების (დისციპლინური გადაცდომა), მოქალაქე შ. კ.–ს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან და მოქალაქე ხ. შ.–ს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მანდატურის სამსახურიდან დაწესებულების რეორგანიზაციისას განხორციელებული შტატების შემცირების საფუძველით გათავისუფლების შესახებ საქმეები.

2011 წლის 01 ივნისს **საჯარო მოხელე ს. ც.** საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტიდან გათავისუფლეს დისციპლინური წესით დასჯის საფუძველით. საქართველოს სახალხო დამცველმა მოცემული საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლის შედეგად მიიჩნია, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის მიერ საჯარო მოხელის ს. ც.–ს დისციპლინური წესით დასჯისა და შინაგან საქმეთა ორგანოებიდან დათხოვნის შესახებ ბრძანებითა და გენერალური ინსპექციის დასკვნით ვერ დადგინდა, თუ რაში გამოიხატებოდა განმცხადებლის მიერ სამსახურებრივი მოვალეობების არაჯეროვანი შესრულება, კერძოდ, რა სამართლებრივი შედეგი მოჰყვა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საჯარო მოხელე ს. ც.–ს მიერ სამსახურებრივი მოვალეობის არაჯეროვანი შესრულების ან გულგრილი დამოკიდებულების გამოვლენას. აქვე მნიშვნელოვანია, რომ საჯარო მოხელე ს. ც.–ს პირადი საქმის თანახმად, მისი გათავისუფლების საფუძველად მითითებული დისციპლინური გადაცდომა მისთვის პირველი იყო და ამ დრომდე იგი

²⁶⁵1999 წლის 25 ივნისის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები.

არაერთგზის იყო წახალისებული სამსახურებრივი მოვალეობის კეთილსინდისიერად შესრულებისათვის. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2003 წლის 24 ივნისის №217 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დისციპლინური წესდების“ მე-4 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციულმა ორგანომ დისციპლინური სახდელის შეფარდებისას ასევე არ იმსჯელა მისი გამოყენების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით, კერძოდ, დისციპლინური გადაცდომის შინაარსი და სიმძიმე, მოსამსახურის წარსული საქმიანობა და რეპუტაცია (მორალური სახე) მიზანშეწონილად ხდოდა თუ არა საჯარო მოხელე ს. ც.-ს მიერ შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში მუშაობის გაგრძელებას. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში, საქართველოს სახალხო დამცველის აზრით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან საჯარო მოხელის ს. ც.-ს გათავისუფლების შესახებ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (გათავისუფლების შესახებ ბრძანების) ფორმალური კანონიერება დაირღვა²⁶⁶ და, შესაბამისად, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში ომბუდსმენმა მოქალაქე ს. ც.-ს დარღვეული შრომის უფლების აღდგენის მოთხოვნით რეკომენდაციით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს.

2010 წლის 5 ნოემბერს **საჯარო მოხელე შ. კ.** საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის პოლიტიკის სამმართველოს უფროსი სპეციალისტის თანამდებობიდან გათავისუფლდა დაწესებულების რეორგანიზაციისას განხორციელებული შტატების შემცირების საფუძველით. საჯარო მოხელე შ. კ.-ს დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლება მოჰყვა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებას „საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცენტრალური აპარატის საშტატო ერთეულების რიცხოვნობის, სტრუქტურისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“, რომლის მიხედვითაც სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის პოლიტიკის სამმართველოს უფროსი სპეციალისტის 3 (სამი) საშტატო ერთეული შემცირდა ერთი საშტატო ერთეულით.

აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში გაკეთებული განმარტება, რომლის თანახმად, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი დაწესებულებაში შტატების შემცირების პირობებში ადმინისტრაციას ანიჭებს დისკრეციას, თანამშრომელთა პროფესიული ჩვევები, კვალიფიკაცია, შრომის დისციპლინა და ა.შ. ადეკვატურად, ობიექტურად შეაფასოს და მიიღოს შესაბამისი მოტივირებული

²⁶⁶ „ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების კრიტერიუმებიდან – დასაშვებობა, კანონიერების ფორმალური და მატერიალური წინაპირობები – ერთ-ერთის არ დაცვა, ისევე როგორც სამართლის ნორმის გამოყენება საქმის გარემოებათა არასწორი გამოკვლევის შედეგად, შესაძლოა იქცეს მისი უკანონობის საფუძველად“. იხ. პ.ტურავა, ნ. წკეპლაძე „ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო“, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერება და უკანონობა, თბილისი, 2010 წ., 53 გვ.

გადაწყვეტილება, ვინაიდან ეს მნიშვნელოვანია არა მხოლოდ კონკრეტული საჯარო მოხელის, არამედ მთლიანად საჯარო სამსახურისათვის²⁶⁷.

მოცემული საქმის დეტალური განხილვის შედეგად საქართველოს სახალხო დამცველის სეხედულებით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა დაწესებულების რეორგანიზაციისას განხორციელებული შტატების შემცირებისას, სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის პოლიტიკის სამმართველოში არსებული სამი უფროსი სპეციალისტის შტატით გათვალისწინებული თანამდებობებიდან ერთი თანამდებობის შემცირებისას, არ დაასაბუთა 3 უფროსი სპეციალისტიდან სწორედ საჯარო მოხელე შ. კ.-ს გათავისუფლების საფუძვლიანობა ანუ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა არ დაასაბუთა, თუ რის საფუძველზე მიანიჭა უპირატესობა მოცემული სტრუქტურული ერთეულის 2 უფროს სპეციალისტს და 3 (სამი) არსებული საშტატო ერთეულიდან ერთის შემცირებისას გაათავისუფლა საჯარო მოხელე შ. კ.. ამავდროულად, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო საჯარო მოხელე შ. კ.-ს გათავისუფლებისას ვალდებული იყო, ობიექტურად შეეფასებინა მისი (შ.კ.-ს) პროფესიული ჩვევები, კვალიფიკაცია, შესაძლებლობებისა და პირადული თვისებების დაკავებული თანამდებობისადმი წაყენებულ მოთხოვნებთან შესაბამისობა და მხოლოდ ამის შემდეგ მიეღო დასაბუთებული გადაწყვეტილება მისი დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.

ამდენად, ვინაიდან გამოიკვეთა, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან საჯარო მოხელის შ. კ.-ს გათავისუფლების შესახებ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (გათავისუფლების შესახებ ბრძანების) ფორმალური კანონიერება დაირღვა, საქართველოს სახალხო დამცველმა მოქალაქე შ. კ.-ს დარღვეული შრომის უფლების აღდგენის მოთხოვნით რეკომენდაციით მიმართა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს.

2011 წლის იანვრიდან **საჯარო მოხელე ხ. შ.** ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მანდატურის სამსახურში დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლდა დაწესებულების რეორგანიზაციისას განხორციელებული შტატების შემცირების საფუძველით. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2010 წლის 29 ნოემბრის №1/23 გადაწყვეტილებით დამტკიცებული თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების, რაიონული (საქალაქო) სასამართლოების აპარატების სტრუქტურისა და საშტატო ნუსხის თანახმად, განხორციელდა საერთო სასამართლოების (გარდა უზენაესი სასამართლოსი) აპარატების სტრუქტურის რეორგანიზაცია, რასაც თან სდევდა შტატების შემცირება. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს საკადრო და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილებაში საშტატო ერთეულების რაოდენობა შემცირდა 36 ერთეულით, კანცელარიისა და მოქალაქეთა მისაღებში (განყოფილებაში) –

²⁶⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 26 იანვრის გადაწყვეტილება №ზს-1148-1095(კ-09)საქმეზე

5 ერთეულით, ხოლო მანდატურის სამსახურში არსებული 21 საშტატო ერთეულის რაოდენობა შემცირდა 2 ერთეულით, ანუ მანდატურის სამსახურში შტატების რაოდენობა განისაზღვრა 19 ერთეულით. აქვე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში შტატების შემცირებით რეორგანიზაციის განხორციელების გამოცხადების შემდეგ პირადი განცხადების საფუძველზე მანდატურის სამსახურიდან გათავისუფლდა 2 საჯარო მოხელე – მანდატური. მიუხედავად იმისა, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს აპარატის დამტკიცებული ახალი საშტატო ნუსხით მანდატურის სამსახურში გათვალისწინებულ იქნა 19 საშტატო ერთეული და საჯარო მოხელის ხ. შ.–ს სამსახურიდან გათავისუფლებისას სრულად იყო შევსებული, ამ უკანასკნელის თანამდებობიდან გათავისუფლებას საფუძველად დაედო სწორედ შტატების შემცირება, ვინაიდან ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის შესაბამისი გადაწყვეტილებებით, მანდატურის სამსახურში მანდატურებად გადმოიყვანეს სხვა სტრუქტურული ერთეულის (საკადრო და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილებისა და კანცელარიისა და მოქალაქეთა მისაღების) 2 საჯარო მოხელე.

აღნიშნულ საქმეში არსებული გარემოებების დეტალური შესწავლის შედეგად საქართველოს სახალხო დამცველის დასკვნით, საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით გათვალისწინებული დისკრეციული უფლებამოსილება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეს აძლევდა შესაძლებლობას, ემსჯელა და შეერჩია ყველაზე მისაღები კანდიდატურა მხოლოდ იმ საჯარო მოხელეებს შორის, რომლებიც მსახურობდნენ მანდატურის სამსახურში და თუ მათი რიცხვი არ აღემატებოდა საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ რაოდენობას. ამავდროულად, საქართველოს სახალხო დამცველის მოსაზრებით, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს აპარატის საკადრო და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილებასა და კანცელარიისა და მოქალაქეთა მისაღებში მომსახურე საჯარო მოხელეების კანდიდატურების პროფესიული და პიროვნული ჩვევები უნდა შეედარებინათ შესაბამის სამსახურებში არსებული მოსამსახურეების პროფესიულ და პიროვნულ ჩვევებთან.

ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ საჯარო მოხელე ხ. შ.–ს მანდატურის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის ბრძანებაში მითითებული არ იყო, თუ რატომ მიენიჭა უპირატესობა მანდატურის სამსახურში თანამდებობებზე დარჩენილ 17 მოსამსახურეს და საკადრო და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილებიდან და კანცელარიისა და მოქალაქეთა მისაღებიდან გადმოყვანილ 2 მოსამსახურეს. ანუ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარემ საჯარო მოხელე ხ. შ.–ს თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანებაში, რომელიც არის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, არ დაასაბუთა შესასრულებელი სამუშაოსთვის რა პროფესიული ჩვევების, კვალიფიკაციის, შესაძლებლობების, პირადული თვისებებისა და სხვა უნარ-ჩვევების საფუძველზე მოხდა ზემოაღნიშნული საჯარო მოხელეებისათვის უპირატესობის მინიჭება საჯარო მოხელე ხ. შ.–სთან შედარებით.

ამდენად, ვინაიდან გამოიკვეთა, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოდან საჯარო მოხელის ხ. შ-ს გათავისუფლების შესახებ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (გათავისუფლების შესახებ ბრძანების) ფორმალური კანონიერება²⁶⁸ დაირღვა, საქართველოს სახალხო დამცველმა მოქალაქე ხ. შ-ს დარღვეული შრომის უფლების აღდგენის მოთხოვნით რეკომენდაციით მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ცალკეულ შემთხვევებში საჯარო ხელისუფლების ორგანოები/საჯარო სამსახურის უფლებამოსილი პირები საჯარო მოხელეთა სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილებებს იღებენ კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების დარღვევით მაშინ, როცა კანონის უზენაესობის პრინციპი ერთმნიშვნელოვნად კრძალავს კანონის დანაწესისგან გადახვევას. ადმინისტრაციული ორგანოების ამგვარი (კანონსაწინააღმდეგო) ქმედებები კი შედეგად იწვევს საჯარო მოხელეთა სამსახურებიდან უსამართლო გათავისუფლებას, ანუ მათი დასაქმების დაცვის უფლების ხელყოფას.

ნიშანდობლივია აღნიშნოს, რომ დასაქმების სფეროში არსებული სერიოზული პრობლემების გათვალისწინებით, რომლებმაც მრავალ ქვეყანაში წარმოქმნა რიგი ეკონომიკური და ტექნოლოგიური ცვლილებები, 1982 წლის 2 ივნისის შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის გენერალური კონფერენციის 68-ე სესიაზე მიღებულ იქნა №158 კონვენცია „დასაქმების შეწყვეტის შესახებ“. ვინაიდან შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის №158 კონვენციის ძირითადი მიზანია – არ დაითხოვონ მუშაკი დაწესებულებებიდან კანონიერი, სათანადო საფუძვლის არსებობის გარეშე, მიმაჩნია, რომ საქართველოს მიერ აღნიშნული კონვენციის რატიფიკაცია დამატებით გარანტიებს შექმნის დასაქმებულთა (მათ შორის, საჯარო მოხელეთა) შრომის უფლებასთან დაკავშირებული ერთ-ერთი კომპონენტის, დასაქმების დაცვის უფლების სათანადო რეალიზაციისათვის.

²⁶⁸საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ 2010 წლის 3 ნოემბრის №ბს-664-642(კ-10) საქმესთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებაში გაკეთებული განმარტების თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ფორმალური კანონიერების განსაზღვრის პროცესში აუცილებელია, ყურადღება მიექცეს მის დასაბუთებას, უფრო მეტიც, მითითებული ნორმა ატარებს იმპერატიულ ხასიათს და დაუშვებლად მიიჩნევა აქტის მიღებას საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტებისა და მტკიცებულებების შესწავლის გარეშე.

ჯანმრთელობის დაცვის უფლების რეალიზებასთან დაკავშირებული ზოგიერთი ასპექტები

შესავალი

სოციალური უფლებების რეალიზაცია ხშირად სამართლებრივ კრიტერიუმებზე მეტად პოლიტიკურ და სოციალურ რეალობაზეა დამოკიდებული. ჯანმრთელობის დაცვის უფლება ადამიანის ფუნდამენტური უფლებაა, შესაბამისად, სახელმწიფო ამ უფლების მიმართ სამართლებრივ ბოჭვას განიცდის და ვალდებულია განახორციელოს პოზიტიური ქმედებანი უფლების უზრუნველსაყოფად. ქვეყნის კონსტიტუციით უფლების აღიარება მის ეფექტურ დაცვას ავტომატურად ვერ უზრუნველყოფს. ასევე, ჯანდაცვის მომსახურების თვალსაზრისითაც ვერ უზრუნველყოფს მოსახლეობის საყოველთაო მოვლას და შესაბამის სერვისებზე ყველასათვის ხელმისაწვდომობას. უფლების რეალიზაცია დამოკიდებულია პოლიტიკურ ნებაზე, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონეზე, სასამართლო სისტემის ეფექტურობაზე და სხვა უფლებადამცველი ეროვნული ინსტიტუტების ძლიერებასა და ძალისხმევაზე.

ჯანმრთელობის დაცვის უფლება და სახელმწიფოს პასუხისმგებლობა ჯანდაცვაზე სხვადასხვა საერთაშორისო აქტშია ასახული. ჯანმრთელობის დაცვის უფლება შეიძლება სხვა უფლებათა შემადგენლობაში შედიოდეს და პირდაპირ ან/და არაპირდაპირ გულისხმობდეს მას. ჯანმრთელობის დაცვის უფლება დაცულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის²⁶⁹ 25-ე მუხლით, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტის²⁷⁰ მე-12 მუხლით, ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციის²⁷¹ მე-12 მუხლით, ბავშვის უფლებების კონვენციის²⁷² 24-ე მუხლით, ევროპის სოციალური ქარტიის²⁷³ მე-11 და მე-13²⁷⁴ მუხლებით, კონვენციით ადამიანის უფლებებისა და ბიომედიცინის შესახებ²⁷⁵ და სხვა.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და მისი დამატებითი ოქმები ჯანმრთელობის დაცვის უფლებას უშუალოდ არ ეხება, მაგრამ სოციალური უფლებები შეიძლება არაპირდაპირ იყოს დაკავშირებული სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების ინტერპრეტაციასთან. ამ საკითხთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეში²⁷⁶ ასეთი ზოგადი განმარტება გააკეთა: „თუმცა კონვენცია ძირითად სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს აყალიბებს,

²⁶⁹ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, UN, 1948

²⁷⁰ ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, UN, 1966

²⁷¹ ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენცია, UN, 1979

²⁷² ბავშვის უფლებების კონვენცია, UN, 1989

²⁷³ ევროპის სოციალური ქარტია (შესწორებული), EC, 1996

²⁷⁴ აღნიშნულ მუხლებზე საქართველოს დათქმა აქვს გაკეთებული

²⁷⁵ კონვენცია ადამიანის უფლებებისა და ბიომედიცინის შესახებ, EC, 1997

²⁷⁶ Airey v. Ireland, 09/10/1979, Series A, No 32, para 26

მრავალი მათგანი სოციალურ და ეკონომიკურ კონტექსტსაც შეიცავს. კომისიის მსგავსად სასამართლოს მიაჩნია, რომ მხოლოდ ის ფაქტი, რომ კონვენციის განმარტება შეიძლება გავრცელდეს სოციალური და ეკონომიკური უფლებების სფეროზე, არ უნდა იყოს გადაწყვეტი ფაქტორი ამ განმარტების საწინააღმდეგოდ. აქ არ არსებობს რაიმე წყალგამყოფი, რომელიც ამ სფეროს განაცალკევებს კონვენციით მოცული დარღვებისაგან.“ ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი, სამართლიანი სასამართლოს უფლება, ძირითადი საპროცესო გარანტიაა. საქმეებში ”ფელდბრუგი ნიდერლანდების სამეფოს წინააღმდეგ“²⁷⁷ და ”დეუმელანდი გერმანიის წინააღმდეგ“²⁷⁸ ევროპულმა სასამართლომ სოციალური დახმარების საკითხების მიმართ მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დაცვითი მექანიზმი პირველად გამოიყენა. ამ საქმეებში გადაწყვეტი როლი შესრულა იმ გარემოებამ, რომ სახელმწიფოს მიერ დაწესებული შეღავათების კერძოსამართლებრივი ელემენტები საჯარო სამართლის ელემენტებზე დომინირებდნენ, ამრიგად, უფლება შეღავათის მიღებაზე, განხილულ იქნა, როგორც „სამოქალაქო“ უფლება. ფელდბრუგის საქმეში საჩივარი ეხებოდა უფლებას ჯანმრთელობის დაზღვევის შემწეობაზე. კერძოდ, აპლიკანტს უარი ეთქვა გარკვეული სახის შემწეობის მიღებაზე. სანამ სასამართლო კონვენციის მუხლის დარღვევას დაადგენდა, მას უნდა დაემტკიცებინა, რომ საქმე სამოქალაქო უფლებას ეხებოდა. ამ გადაწყვეტილებაში ხაზი გაესვა საქმის პრეცედენტულ მნიშვნელობას. კერძოდ, სასამართლომ განაცხადა, რომ: „ვინაიდან ეს არის პირველი საქმე, რომელშიც სასამართლო იხილავს სოციალური უზრუნველყოფის საკითხს, ჯანმრთელობის დაზღვევის სქემის ხარვეზებს ნიდერლანდების სამეფოში, სასამართლომ უნდა მოახდინოს ისეთი შესაბამისი ფაქტორების იდენტიფიცირება, რომლებსაც შეუძლიათ აღნიშნული პრინციპების განვრცობა (სამოქალაქო უფლებების ცნებასთან დაკავშირებით)“. სასამართლომ განიხილა ჯანმრთელობის დაზღვევის სქემის საჯარო და კერძოსამართლებრივი ხასიათი ნიდერლანდების სამეფოს სამართლის მიხედვით და დაადგინა, რომ საქმეში მოცემულ შეღავათებზე კერძოსამართლებრივი ელემენტები მეტად დომინირებდნენ, ვიდრე საჯაროსამართლებრივი და დავა ეხებოდა მე-6 მუხლით დაცულ უფლებას. იგივე არგუმენტია გამოყენებული დეუმელანდის საქმეში.²⁷⁹ ზემოაღნიშნულ საქმეებზე მიღებულ გადაწყვეტილებაში სასამართლომ მითითება გააკეთა საქმეზე ”სალესი იტალიის წინააღმდეგ“²⁸⁰ და აღნიშნა, რომ „ყველა შემთხვევაში ამ გადაწყვეტილებების წყალობით ბიძგი მიეცა სამართლის განვითარებას და თანასწორი მოპყრობის პრინციპიდან გამომდინარე, დღეისათვის მოქმედი ზოგადი წესით, მე-6 მუხლის პირველი პუნქტი გამოიყენება სოციალური დაზღვევის სფეროში.“

საქართველოს კონსტიტუციით განმტკიცებულ სოციალურ უფლებათა ნუსხაში ჯანმრთელობის დაცვის უფლებას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, რომელიც საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლშია ჩამოყალიბებული. აღნიშნული მუხლი ერთ-ერთი ყველაზე ფართო მოცულობისა და შინაარსისაა. ჯანმრთელობის დაცვის

²⁷⁷ Feldbrugge v. The Netherlands, 07/27/1987, Series A, no.124 A

²⁷⁸ Deumeland v. Germany, 12/10/1984, Series A, no.100


²⁷⁹ იხ. იგივე, para 62-74

²⁸⁰ Salesi v. Italy, 02/26/1993, Series A, no.257E

უფლების რეალური უზრუნველყოფა სახელმწიფოს აქტიურობაზე, კერძოდ, მის მიერ ჯანმრთელობის დაცვის სფეროში სახელმწიფო სამედიცინო პროგრამებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესრულებაზეა დამოკიდებული. ამავე მუხლის მეორე პუნქტის მიხედვით, სახელმწიფო აკონტროლებს ჯანმრთელობის დაცვის ყველა დაწესებულებას, სამკურნალო საშუალებათა წარმოებას და ამ საშუალებებით ვაჭრობას, რაც სამედიცინო დაწესებულებების ლიცენზირებას და მათი საქმიანობის ხარისხის კონტროლს გულისხმობს. ეს უკანასკნელი საექიმო საქმიანობის ზედამხედველობაში გამოიხატება (სამედიცინო მომსახურების ხარისხისა და დოკუმენტაციის წარმოების კონტროლი).

ქვეყნისთვის ჯანდაცვის პრიორიტეტულობის ერთ-ერთ მთავარი მაჩვენებელი ჯანდაცვაზე ქვეყნის მთლიანი დანახარჯია. ამ შემთხვევაში საფუძვლად გამოიყენება ეგრეთ წოდებული აბუჯას დეკლარაცია, რომლის მიხედვითაც ქვეყნები შეთანხმდნენ, რომ ჯანდაცვაზე გამოყოფილი ბიუჯეტის წილი მთავრობის საერთო დანახარჯების 15% მაინც უნდა ყოფილიყო. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, საქართველო ამ მხრივ ერთ-ერთ ბოლო ადგილზეა ევროპისა და დსთ-ს ქვეყნების მაჩვენებლებს შორის.²⁸¹

²⁸¹ <http://apps.who.int/ghodata/?theme=country#>



სქემა: *ჯანდაცვაზე გამოყოფილი ბიუჯეტის წილი მთავრობის საერთო დანახარჯებში, WHO, HFA Database, განახლებულია 2012 წლის იანვარში*

საქართველოში ჯანდაცვის მთავარ გამოწვევად კვლავ ჯანდაცვის მომსახურების დაბალი ხარისხი, მოსახლეობის ზოგიერთი სეგმენტისათვის ჯანდაცვაზე არასაკმარისი ხელმისაწვდომობა, ქვეყნის მთლიანი დაბალი დანახარჯი ჯანდაცვაზე, დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობის მაღალი მაჩვენებელი ევროპასთან შედარებით, აბორტების მაღალი მაჩვენებელი, ტუბერკულოზის მაღალი პრევალენტობა და რისკჯგუფებში აივ ინფექცია/შიდსით დაავადებულთა რაოდენობის სწრაფი ზრდა რჩება.²⁸²

შესაბამისად, აღნიშნულ თავში, ისევე, როგორც სახალხო დამცველის 2010 წლის ანგარიშში, გაანალიზებულია საანგარიშო პერიოდში ჯანდაცვის უფლების დაცვის კუთხით არსებული პრობლემები და რამდენად ასრულებს სახელმწიფო ნაკისრ ვალდებულებებს ჯანმრთელობის დაცვის უფლების მიმართ.

წინა საანგარიშო წელთან შედარებით საკანონმდებლო ბაზის დახვეწისა და საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაციის თვალსაზრისით მდგომარეობა არ

²⁸² Georgia Health System Strengthening Project (HSSP), Mid-Term Evaluation, USAID, 2011

შეცვლილა. 2010 წლის რეკომენდაციების მიხედვით საქართველოს ჯანდაცვის კერძო სადაზღვევო სისტემაზე გადასვლის გამო საქართველოს სახალხო დამცველს მიზენშეწონილად მიაჩნდა სახელმწიფოს მხრიდან მარეგულირებელი მექანიზმების გაძლიერება და სამედიცინო დაზღვევასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ბაზის დახვეწა, განსაკუთრებით დაზღვევისას დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად და ასევე, ჯანდაცვის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის გადახედვა მიმდინარე რეფორმის შესაბამისად.

რამდენიმე საკითხი ჯანდაცვის კანონმდებლობის შესახებ

ჯანდაცვის კანონმდებლობაში, რომელიც რამდენიმე კანონისგან შედგება, კვლავ გვხვდება ტერმინოლოგიური კაზუსები: კოლიზიები, დუბლირებები და ტექნიკური გაუმართაობა. აღნიშნული პრობლემა ეხება ტერმინებს - „ინფორმირებული თანხმობა“, „პაციენტი“, „პაციენტის ნათესავი“, „კანონიერი წარმომადგენელი“, „სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელი“, „სამედიცინო ჩანაწერები“ და სხვა.

რამდენიმე კანონში სხვადასხვაგვარად არის წარმოდგენილი კონფიდენციალობის საკითხი და რეალურად არ უზრუნველყოფს მას, ვინაიდან პირთა წრე, რომელსაც უფლება აქვს გაუმჟღავნდეს საექიმო საიდუმლო ძალიან ფართოა. მაგალითად, „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 42-ე მუხლის მიხედვით, „მედიცინის მუშაკი და სამედიცინო დაწესებულების ყველა თანამშრომელი მოვალეა, დაიცვას სამედიცინო (საექიმო) საიდუმლო, გარდა იმ შემთხვევებისა როცა კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნებას მოითხოვს გარდაცვლილის ნათესავი ან კანონიერი წარმომადგენელი, სასამართლო, საგამოძიებო ორგანოები, ან ეს აუცილებელია საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად,“ რაც ფაქტობრივად გამოიმძიებელს უფლებას აძლევს მოიპოვოს სამედიცინო ჩანაწერები პაციენტის თანხმობისა და სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე.²⁸³

დამატებით აღსანიშნავია ზოგიერთი ცვლილება ნორმატიულ აქტებში, რომლებიც პენიტენციური სისტემის ექიმთა „ოჯახის ექიმებად“ გადამზადების პროცესის ლეგალიზაციად შეიძლება შეფასდეს. კერძოდ, საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით ნებისმიერ საექიმო სპეციალობაში (სპეციალობებში) სახელმწიფო სერტიფიკატის მქონე დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტს უფლება აქვს, მიიღოს სახელმწიფო სერტიფიკატი სხვა საექიმო სპეციალობითაც (სპეციალობებითაც). კანონის მიხედვით, თუ დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტის მიერ არჩეული ახალი საექიმო სპეციალობა არ არის იმ საექიმო სპეციალობის მომიჯნავე, რომლის სახელმწიფო სერტიფიკატიც მას უკვე აქვს, ახალი სახელმწიფო სერტიფიკატის

²⁸³ http://www.osgf.ge/files/news/2011/Report_Color_საბეჭდი_საბოლოო.pdf

მისაღებად დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტმა შესაბამის საექიმო სპეციალობაში უნდა გაიაროს დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) დადგენილი კურსი და სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარების შემდეგ მიიღოს შესაბამისი სახელმწიფო სერტიფიკატი. ხოლო თუ დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტის მიერ არჩეული ახალი საექიმო სპეციალობა იმ სპეციალობის მომიჯნავეა, რომლის სახელმწიფო სერტიფიკატიც მას უკვე აქვს, ახალი სახელმწიფო სერტიფიკატის მისაღებად დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტმა შესაბამის საექიმო სპეციალობაში უნდა გაიაროს დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) დადგენილი კურსის ნაწილი. მის მოცულობასა და ხანგრძლივობას, ექიმთა პროფესიულ ასოციაციებთან ერთად, განსაზღვრავს პროფესიული განვითარების საბჭო. „ოჯახის ექიმის“ დიპლომისშემდგომი განათლების პროგრამის ანალიზზე დაყრდნობით საოჯახო მედიცინა შესაძლებელია ჩაითვალოს სპეციალობა „შინაგანი მედიცინის“ მომიჯნავედ.

სახალხო დამცველის სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ ჩატარებული მონიტორინგის შედეგად აღმოჩნდა, რომ პენიტენციური სისტემის ექიმთა სპეციალობა, უმეტეს შემთხვევაში, იყო „ქირურგია“ და არა „შინაგანი მედიცინა“. აღნიშნულის გამო, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 20 აპრილის №01-17/ნ ბრძანებით, ცვლილება იქნა შეტანილი „საექიმო სპეციალობათა, მომიჯნავე საექიმო სპეციალობათა და სუბსპეციალობების შესაბამისი სპეციალობების ნუსხის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 18 აპრილის №136/ნ ბრძანებაში. კერძოდ, ბრძანების მე-3 პუნქტის შესაბამისად, „საექიმო სპეციალობა „საოჯახო მედიცინა“ განისაზღვროს საექიმო სპეციალობათა, მომიჯნავე საექიმო სპეციალობათა და სუბსპეციალობების შესაბამისი სპეციალობების ნუსხით (დანართი №1) განსაზღვრული სპეციალობების მომიჯნავე სპეციალობად, გარდა შემდეგი სპეციალობებისა: ფსიქოთერაპია, ფსიქიატრია (შესაბამისი მომიჯნავე სპეციალობებით), ბავშვთა ფსიქოთერაპია, ლაბორატორიული მედიცინა, პათოლოგიური ანატომია-კლინიკური პათოლოგია, სასამართლო მედიცინა, სამედიცინო რადიოლოგია (შესაბამისი მომიჯნავე სპეციალობებით), სამედიცინო რეაბილიტაცია და სპორტის მედიცინა, კლინიკური ფარმაცოლოგია, ფიზიკური მედიცინა და კურორტოლოგია, სამედიცინო გენეტიკა, ჰომეოპათია. საექიმო სპეციალობები, რომელთა მომიჯნავედ განსაზღვრულია „საოჯახო მედიცინა“, თავის მხრივ, არ წარმოადგენენ საოჯახო მედიცინის მომიჯნავე სპეციალობებს და „საოჯახო მედიცინაში“ სახელმწიფო სერტიფიკატის მქონე პირები ამ სპეციალობებში უნდა მომზადდნენ დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების)/ სარეზიდენტო პროგრამის გავლით.

აღნიშნული ცვლილება პრაქტიკულად ნიშნავს, რომ „საოჯახო მედიცინა“ გახდა ისეთი სპეციალობების მომიჯნავე, როგორებიცაა: ქირურგია, კარდიოქირურგია, ორთოპედია-ტრავმატოლოგია, ნეიროქირურგია, ოტორინოლარინგოლოგია, ოფთალმოლოგია და ასე შემდეგ. აღნიშნულის შესაძლებლობას კი ცალსახად გამორიცხავს საქართველოს კანონი „საექიმო საქმიანობის შესახებ“, რომლის მიხედვითაც მომიჯნავე სპეციალობები

განიმარტება, როგორც - „მედიცინის ერთ დარგში შემავალი საექიმო სპეციალობები, რომელთა საგანმანათლებლო პროგრამა და პროფესიული საქმიანობის ხასიათი გარკვეულწილად ესადაგება ერთმანეთს“. ალბათ, საკამათო არ არის, რომ „ოჯახის ექიმის“ და ზემოთ ჩამოთვლილი სპეციალობების (ქირურგია, კარდიოქირურგია, ორთოპედია-ტრავმატოლოგია, ნეიროქირურგია, ოტორინოლარინგოლოგია, ოფთალმოლოგია და სხვა) საგანმანათლებლო პროგრამა და პროფესიული საქმიანობის ხასიათი არათუ ესადაგება, არამედ კარდინალურად განსხვავებულია ერთმანეთისაგან, შესაბამისად, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 20 აპრილის №01-17/ნ ბრძანებით განმტკიცებული ცვლილებები პოტენციურად საფრთხის შემცველია და ნეგატიურად აისახება პაციენტთა სამედიცინო მომსახურების ხარისხზე.

ოჯახის ექიმად ამგვარი გადამზადება არ შეესაბამება ეროვნულ კანონმდებლობას. „საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მიხედვით, „ამ კანონის მიზანია, უზრუნველყოს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტის შესაბამისი პროფესიული განათლება და პრაქტიკული მომზადება, მის პროფესიულ საქმიანობაზე სათანადო სახელმწიფო ზედამხედველობის დაწესება, მისი უფლებების დაცვა, აგრეთვე ქვეყანაში აღიარებული სამედიცინო სტანდარტებისა და ეთიკური ნორმების საექიმო საქმიანობაში დამკვიდრებით საქართველოს მოსახლეობის მაღალკვალიფიციური სამედიცინო მომსახურება“. ზემოთ აღნიშნული ცვლილება ქვეყანაში აღიარებულ სამედიცინო სტანდარტს დაბლა სწევს.

გარდა ამისა, ჯანდაცვის სფეროში ეროვნული კანონმდებლობა არსებულ ჯანდაცვის სისტემასთან მისადაგებას საჭიროებს, რომელიც ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია. მიმდინარე ტენდენციის გათვალისწინებით ჯანდაცვის სისტემა მხოლოდ არსებული კანონმდებლობით ვერ დარეგულირდება, ვინაიდან კერძო ჯანდაცვის სისტემის ფუნქციონირება კერძო სამართლის პრინციპებზე დაყრდნობით კერძოსამართლებრივი ურთიერთობით უფრო წესრიგდება, ვიდრე საჯაროსამართლებრივით.


ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა

1) ჯანმრთელობის დაზღვევა

ჯანდაცვის ეფექტური სისტემა უნდა უზრუნველყოფდეს ჯანდაცვის ხელმისაწვდომობას, რაც ჯანმრთელობის დაცვის უფლების რეალიზაციის ერთ-ერთი წინაპირობაა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის პირველი პუნქტით უზრუნველყოფილია ხელმისაწვდომი ჯანმრთელობის დაზღვევის საყოველთაო უფლება. უფასო სამედიცინო დახმარების პირობებს კანონი აღნიშნული პუნქტის მეორე წინადადებით განსაზღვრავს – „კანონით დადგენილი წესით განსაზღვრულ პირობებში უზრუნველყოფილია უფასო სამედიცინო დახმარება.“

ჯანმრთელობის დაზღვევა კონსტიტუციით გარანტირებულია, როგორც ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის საშუალება. ჯანდაცვის ფინანსური ხელმისაწვდომობის შესახებ საქართველოს სახალხო დამცველმა 2010 წელის საპარლამენტო ანგარიშში არაერთი რეკომენდაცია გასცა, თუმცა 2011 წლის საანგარიშო პერიოდში პრაქტიკულად არაფერი შეცვლილა.

საქართველოს მოსახლეობის უმეტესი ნაწილი კვლავ დაზღვევის, როგორც ხელმისაწვდომობის ერთ-ერთი და უმთავრესი საშუალების, გარეშეა დარჩენილი. დღეისათვის საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ 30%-ია დაზღვეული რაიმე ტიპის დაზღვევით. თუმცა, წინა საანგარიშო წელთან შედარებით ზრდის დადებითი ტენდენცია შეიმჩნევა და დეკლარირებულია, რომ შემდეგი წლის სექტემბრიდან სახელმწიფო ასაკით პენსიონრებსა და 5 წლამდე ბავშვებს დააზღვევს. 2011 წლის მონაცემებით, სულ 1 408 465 ადამიანია დაზღვეული, მათ შორის, სახელმწიფოს მიერ სუბსიდირებული დაზღვევით 857 142 ადამიანია დაზღვეული, რომელთაგან 763 311 ღარიბია.²⁸⁴




სქემის მიხედვით,²⁸⁵ დაზღვეული ადამიანების დიდი ნაწილი დაზღვეულია სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის დაზღვევით, შემდეგი ჯგუფი გახლავთ მასწავლებლები და სამხედრო პირები და კიდევ უფრო მცირეა დამსაქმებლების მიერ დაზღვეული ადამიანების ჯგუფი. კერძო დაზღვევით მოსახლეობის მცირე პროცენტის მოცვა არ არის პრობლემა ქვეყნისთვის, თუ სახელმწიფო არის ჯანდაცვის მიმწოდებელი. მაგრამ დღეს, როდესაც სახელმწიფოს როლი მინიმალურია ჯანდაცვის მიწოდების პროცესში, ზემოთ აღნიშნული პროცენტული და რაოდენობრივი მაჩვენებლები სერიოზული პრობლემაა ჯანდაცვის სისტემის ფინანსური მდგრადობის თვალსაზრისით. მოსახლეობის დაბალი პროცენტული მოცვა უკავშირდება ჯანდაცვის

²⁸⁴ მონაცემები მოწოდებულია საქართველოს სადაზღვევო ასოციაციის მიერ, 2012

²⁸⁵ Georgia Health Utilisation and Expenditure Survey, Molhsa, Geostat, OPM, Curatio International Foundation, 2010

მომსახურების ჯიბიდან გადახდას, რაც ზრდის ჯანდაცვაზე კატასტროფულ დანახარჯებს და ჯანდაცვის სისტემის დაფინანსების ნეგატიური მაჩვენებელია. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით,²⁸⁶ საქართველო ჯანდაცვის მომსახურების ჯიბიდან გადახდის თვალსაზრისით ერთ-ერთ ბოლო ადგილზეა და მისი პროცენტული მაჩვენებელი ბევრად აღემატება არა მარტო ევროკავშირის, არამედ დსთ-ს ქვეყნების საშუალო მაჩვენებელს.

მსოფლიო ბანკისა და გაეროს ბავშვთა ფონდის კვლევების მიხედვით, საქართველოს მოსახლეობისათვის ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა მთავარი გამოწვევაა. ადამიანების მთავარი პრობლემა მედიკამენტების შექმნა და სამედიცინო მოსახურებაა.



სქ

ემხ: შინამეურნეობების მიერ დასახელებული მთავარი პრობლემები, WB LSMS და UNICEF WMS, 2011.

ფინანსური ხელმისაწვდომობის პრობლემა პირდაპირ აისახება განცხადებებში, რომლებითაც მოსახლეობა საქართველოს სახალხო დამცველს მიმართავს. განცხადებების საერთო ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ მოქალაქეები, რომლებიც ვერ ხვდებიან ვერც ერთ სადაზღვევო სქემაში, სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდებიან ხოლმე ჯანდაცვის მომსახურების საჭიროებისას. ორგანიზაციის „აშშ-ს გლობალური ჯანმრთელობის ინიციატივა“ დოკუმენტის „საქართველოს გლობალური ჯანმრთელობის ინიციატივის სტრატეგია“ (Georgia Global Health Initiative Strategy) მიხედვით, „ავადმყოფობა არის ერთ-ერთი პირველი მიზეზი გასაღატაკებლად: დამატებით 10%-მა გადაკვეთა სიღარიბის ზღვარი, როდესაც მათ დასჭირდათ ჯანდაცვის მომსახურება ჰოსპიტალში.“²⁸⁷

²⁸⁶ <http://apps.who.int/ghodata/?theme=country#>

²⁸⁷ U.S. Government, Georgia Global Health initiative strategy, <http://ghi.gov/documents/organization/175130.pdf>

სახალხო დამცველის აპარატმა განიხილა მოქალაქე მ. ბ.-ს საქმე. საქმის მასალების მიხედვით, მ.ბ. არის სოციალურად დაუცველი პირი (95 620 ქულა), მაგრამ ჯანმრთელობის დაზღვევის პოლისის მისაღებად არასაკმარისი ქულის გამო არ არის დაზღვეული. მას ესაჭიროებოდა საშვილოსნოს ექსტირპაცია, აღენიშნებოდა აციკლური სისხლდენა და ანემია. მან ჯერ კიდევ 2010 წელს მიმართა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაფინანსების თხოვნით, მაგრამ მისი განცხადება ერთი წლის განმავლობაში არ განხილულა. 2011 წელს განხილვის შემდგომ მ. ბ.-ს მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა იმ მოტივით, რომ მოქალაქის მიერ წარდგენილი ოპერაციული მკურნალობის კალკულაცია აღემატებოდა 900 ლარს, ხოლო საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ნოემბრის #331 დადგენილების მეორე მუხლის „დ“ პუნქტის მიხედვით, „რეფერალური პროგრამის“ მოსარგებლე შეიძლება გახდეს მოწყვლადი მოსახლეობა, ანუ პირი, რომლის მოთხოვნილი დახმარება არ აღემატება 900 ლარს. შესაბამისად, მოქალაქემ ვერ მიიღო დახმარება, მიუხედავად მისი მოწყვლადობისა, რადგან მისი ოპერაციული მკურნალობის ხარჯი აღემატებოდა კანონით განსაზღვრულ რაოდენობას.

აღნიშნული საქმე მაგალითია არა მარტო ხელმისაწვდომობის ნაკლებობისა, არამედ პრობლემისა, რომელიც ადასტურებს არსებითად თანასწორ მდგომარეობაში მყოფი ადამიანების არათანასწორი მოპყრობის ფაქტს, რომელსაც საქართველოს სახალხო დამცველი წინა ანგარიშშიც აღნიშნავდა, რომ მოქალაქეები, რომელთა სარეიტინგო ქულა 70000–იდან 100000–მდეა, დაზღვეულები არიან დედაქალაქში, ხოლო იმავე სტატუსის მქონე რეგიონებში მცხოვრები ადამიანები კვლავ რჩებიან დაზღვევის გარეშე.

ამავდროულად, „რეფერალური სახელმწიფო პროგრამის“ „სტიქიური უბედურებების, კატასტროფების, საგანგებო სიტუაციების, კონფლიქტურ რეგიონებში დაზარალებულ მოქალაქეთა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ სხვა განსაზღვრული შემთხვევების დროს მოსახლეობის სამედიცინო დახმარების კომპონენტის“ ფარგლებში, სამედიცინო დახმარების გაწევის შესახებ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების მიზნით შექმნილმა უწყებათშორისმა კომისიამ მოქალაქე დ. გ.-ს საზღვარგარეთ სამკურნალოდ 1000 ევრო გამოუყო მიზნობრივად. განცხადებაზე დართული კალკულაციის მიხედვით მოქალაქე საჭიროებდა 3500–იდან 5000 ევრომდე თანხას ოპერაციული მკურნალობის ჩასატარებლად. მოქალაქე დ. გ.-მ მკურნალობა ვერ ჩაიტარა თანხის სიმცირის გამო.

ამგვარად, ამ ორი შემთხვევის შედარებისას შეინიშნება უწყებათშორისი კომისიის „ორმაგი სტანდარტი“ მოქალაქეთა განცხადებების განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში. პირველ შემთხვევაში ღარიბ მოქალაქეს უარი ეთქვა ოპერაციული მკურნალობის დაფინანსებაზე იმ საფუძველით, რომ მის მიერ მოთხოვნილი თანხა არ ემთხვეოდა დადგენილებით განსაზღვრულ თანხას, ხოლო მეორე შემთხვევაში თანხა მაინც გაიცა, მიუხედავად იმისა, რომ ოპერაციული მკურნალობის კალკულაცია კომისიის მიერ გამოყოფილ თანხას არ ემთხვეოდა. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თანხის სიმცირის გამო მოქალაქემ მაინც ვერ შეძლო ოპერაციული მკურნალობის

ჩატარება. შესაბამისად, მოქალაქეთა განცხადებების ამგვარი განხილვა ეჭვქვეშ აყენებს პროგრამისა და მიღებულ გადაწყვეტილებათა ეფექტურობას.

საქართველოს სახალხო დამცველი 2010 წლის საპარლამენტო ანგარიშშიც აღნიშნავდა, რომ ჯანდაცვის განვითარების დადებით ტენდენციად შეიძლება ჩაითვალოს უღარიბესი მოსახლეობის მონაცემთა ბაზის შექმნა და სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის სამედიცინო დაზღვევის პროგრამა²⁸⁸. მიუხედავად ამისა, პროგრამის სერიოზულ ხარვეზად შეიძლება ჩაითვალოს მისი კომპონენტის – მედიკამენტების ხარჯების მცირე მოცულობა როგორც თანხობრივი, ისე ნუსხის შემადგენლობის მიხედვით. მიმდინარე საანგარიშო წელს სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მოსახლეობის სამედიცინო დაზღვევის პროგრამა მედიკამენტების ხარჯების მოცვის თვალსაზრისით არ გაუმჯობესებულა. მიგვაჩნია, რომ არსებული დახმარება მედიკამენტებზე ფასების ზრდის გათვალისწინებით, მინიმალურ სტანდარტზე დაბალია. ღარიბ ადამიანებს, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებლობა მიეცათ მიმართონ პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებებს და ზოგადად, ჯანდაცვის დაწესებულებებს, მაინც არ ექნებათ პოზიტიური ჯანდაცვის გამოსავალი მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის არქონის გამო. აღნიშნული დასტურდება მედიაციის სამსახურის ანგარიშითაც. საანგარიშო პერიოდში მედიაციის სამსახურის მიერ იდენტიფიცირებულ პრობლემებს შორის ხშირია მიმართვები დაზღვეული მოსახლეობის მედიკამენტებით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით. ისინი აფიქსირებენ, რომ მათ ესაჭიროებათ ის მედიკამენტი, რომელიც არ არის ნუსხაში, ასევე, ხშირად ითხოვენ ფასდაკლებას მედიკამენტებზე.²⁸⁹

გარკვეულ შემთხვევებში, როგორც ეს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში შემოსული განცხადებების შესწავლის შედეგად დადგინდა, ზოგიერთი პაციენტი, ასაკისა და სხვადასხვა დაავადებების გამო. გადაადგილების უნარს მოკლებულია და როგორც ოჯახის ექიმის, ასევე ცალკეული სპეციალისტების ბინაზე კონსულტაციას საჭიროებს. სპეციალისტის ვიზიტი ბინაზე შესაძლებელია, მაგრამ სადაზღვევო კომპანიების მიერ არ ანაზღაურდება, ვინაიდან ამას არ ითვალისწინებს საქართველოს მთავრობის 2009 წლის 9 დეკემბრის დადგენილება #218. აღნიშნულ პრობლემას ეხებოდა მოქალაქე ე. ჩ.–ს საქმე. იგი არის 81 წლისა და დაავადებულია დიაბეტით, ასაკისა და ავადმყოფობის გამო გადაადგილების უნარს მოკლებულია, არის სიღარიბის ზღვარს ქვემოთ და აქვს სადაზღვევო კომპანია „ალფას“ სადაზღვევო პოლისი. გარდა ძირითადი დაავადებისა, განმცხადებელს აღნიშნება თანმხლები დაავადებები, რის გამოც საჭიროებდა კონსულტაციას ბინაზე. რადგანაც ბინაზე მომსახურება 20–იდან 26 ლარამდე ღირს და განმცხადებელს ეს თანხა არ გააჩნდა, შესაბამისად, ვერ იღებდა სპეციალისტის კონსულტაციას. საქართველოს სახალხო დამცველის აზრით, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 9 დეკემბრის #218–ე დადგენილებაში უნდა განხორციელდეს ისეთი ცვლილებები, რომლებიც შესაძლებელს გახდის მსგავს

²⁸⁸ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა შესახებ, 2010 წელი, გვ. 387

²⁸⁹ http://him.ge/uploads/files/901January_June_2011_Report.pdf

შემთხვევებში, ოჯახის ექიმის ან უბნის ექიმის გადაწყვეტილებით, სპეციალისტების მიერ ამბულატორიული მომსახურების ბინაზე მიწოდებას.

სახელმწიფო დაზღვევის მიწოდებისას არასაკმარისი ხელმისაწვდომობა ფიქსირდება ასევე ონკოლოგიური დაავადებების მქონე პაციენტების მკურნალობის შემთხვევაში. მედიაციის სამსახურის ანგარიშის მიხედვით, შემოსული მომართვების უმეტესი ნაწილი ეხება ონკოლოგიური დაავადების მქონე დაზღვეულებს. ქიმიოთერაპიის კურსის წინ აუცილებელია ჩატარდეს ისეთი გამოკვლევები, რომლებიც არ იფარება სახელმწიფო დაზღვევის მიერ. მაგალითად, სისხლის ბიოქიმიური ანალიზი, ციტოლოგიური გამოკვლევა და სხვა. ასევე ფიქსირდება შემთხვევები, როდესაც ქიმიოთერაპიის ხარჯები აჭარბებს დადგენილ ლიმიტს, ეს საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია 18 წლამდე ასაკის ბავშვთა ონკოპათოლოგიური მომსახურების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით.²⁹⁰

2) ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამები

ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამები, გარდა სახელმწიფოს მიერ სუბსიდირებული დაზღვევისა, 30-მდე პროგრამას მოიცავს და საქართველოს მთელი მოსახლეობისათვის თანაბარი, მაგრამ კონკრეტული სამედიცინო მომსახურების პაკეტის (თანა) დაფინანსებას ითვალისწინებს. მათი უმეტესობა გარკვეული სამიზნე ჯგუფებისთვის არის გათვალისწინებული და არ მოიცავს მთელ მოსახლეობას. მხოლოდ რამოდენიმე პროგრამა არის განკუთვნილი ყველასათვის. პროგრამებს გეგმავს და ახორციელებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. გარკვეულ შემთხვევებში ფიქსირდება სახელმწიფო პროგრამების დაგეგმვისა და განხორციელების ხარვეზები, რაც არ შეესაბამება მოქალაქის მოლოდინს ჯანმრთელობის დაცვის უფლების რეალიზაციასთან დაკავშირებით.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა 2011 წელს განიხილა მოქალაქე ი. ს.–ს საკმე, რომელმაც ვერ მიიღო სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული შეღავათი იმის გამო, რომ იმ პერიოდისათვის, როდესაც მას გულის ქირურგიული ოპერაციის ჩატარება დასჭირდა, პროგრამისათვის განკუთვნილი საბიუჯეტო სახსრები ამოწურული იყო. მოქალაქე ი. ს. 2011 წლის 1 იანვარს მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტით სასწრაფო დახმარების ბრიგადამ კარდიოლოგიურ კლინიკაში გადაიყვანა. კორონაროგრაფიის გაკეთების შემდეგ აუცილებელი გახდა ქირურგიული ჩარევა, რომელიც განმცხადებელს ჩუტარდა 2011 წლის 13 იანვარს კლინიკა „ღია გულში“. მოქალაქე ი. ს. არის 64 წლისა. „გულის ქირურგიის სახელმწიფო პროგრამის“ მიხედვით, მას ეკუთვნოდა შეღავათი სახელმწიფოს მხრიდან, თუმცა მოქალაქემ ოპერაციული მკურნალობის ხარჯები სრულად დაფარა.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, „გულის ქირურგიის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში 2010 წლის ბოლოს არსებული დეფიციტის საფუძველით, შეწყდა მატერიალიზებული ვაუჩერის გაცემა, რაც

²⁹⁰ http://him.ge/uploads/files/901January_June_2011_Report.pdf

გულისხმობდა გეგმიური კარდიოქირურგიული ოპერაციების დაფინანსების შეწყვეტას. სააგენტო ზემოაღნიშნული ინფორმაციის მოწოდებისას ეყრდნობოდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილის 2010 წლის 5 ოქტომბრის №01-16/03/10615 წერილს.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფომ იკისრა კონკრეტული ვალდებულებები „2010 წლის ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 22 დეკემბრის №424/ნ ბრძანების შესაბამისად. ბრძანება დაინტერესებული პირებისათვის წარმოშობს მოთხოვნის საფუძველს. ხოლო დაინტერესებული პირისათვის ნორმატიული აქტით მინიჭებული უფლებით სარგებლობისათვის აუცილებელი მოთხოვნები უნდა იყოს ნათლად გასაგები და განჭვრეტადი.

ამ საქმის განხილვისას, გარდა იმისა, რომ დადგინდა დარღვევები პროგრამების ადმინისტრირების თვალსაზრისით, ასევე, გამოიკვეთა ხარვეზები სახელმწიფო პროგრამების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში, რაც პირდაპირ აისახება საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის უფლების რეალიზაციაზე. მოქალაქე ვერ განსაზღვრავს კონკრეტული სამედიცინო მომსახურებისათვის სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხის დეფიციტის წარმოშობის ვადას. მიგვაჩნია, რომ მოქალაქემ უნდა მიიღოს სახელმწიფოს მიერ გარანტირებული შეღავათი იმ დროს, როდესაც მას ეს ესაჭიროება.

საანგარიშო წელს განხორციელებულ პროგრამებში როგორც განცალკევებულად, ასევე კომბინირებულად არის წარმოდგენილი ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის პროგრამები. ბავშვების ჯანმრთელობაზე სახელმწიფოს ვალდებულებებს მოიცავს შემდეგი პროგრამები:

- ონკოლოგიური
- გულის ქირურგია
- იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა სტაციონარული მკურნალობა
- ანტირაბიული სამედიცინო დახმარება
- დიაბეტით დაავადებული ბავშვების სამედიცინო მომსახურება
- იმუნოზაცია
- ინკურაბელურ პაციენტთა სტაციონარული პალიატიური მზრუნველობა

6 წლამდე ბავშვებზე ვრცელდება პროგრამა ზოგადი ამბულატორიული მომსახურება. აღნიშნული სახელმწიფო პროგრამები მოიცავს არცთუ გავრცელებულ დაავადებებს ბავშვთა პოპულაციაში²⁹¹, შესაბამისად, მოცვა ვერ იქნება მაღალი.

მოცვის თვალსაზრისით გამოირჩევა 3 წლამდე ასაკის ბავშვთა გადაუდებელი და სტაციონარული დახმარება. პროგრამა ფარავს განსაზღვრული ნოზოლოგიების მიხედვით გადაუდებელი ჰოსპიტალური მკურნალობის ხარჯების 80%-ს, თუმცა პროგრამის ბენეფიციარების ასაკის ზედა ზღვარი ძალიან დაბალია და ვერ უზრუნველყოფს ბავშვთა ჯანრთელობის დაცვას სრულად.

განსაკუთრებით მძიმე ფინანსური ტვირთი ეკისრებათ მშობლებს, როდესაც ბავშვი ვერ ხვდება ვერც ერთ პროგრამაში და მას გეგმიური თუ ურგენტული ოპერაციული მკურნალობა ესაჭიროება. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში განხილული განცხადებების მიხედვით, აღნიშნული განსაკუთრებით მწვავეა, როდესაც ბავშვი შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირია.

საანგარიშო პერიოდში მოგვმართა მოქალაქე მ. თ.–მ, რომლის 9 წლის შვილს ესაჭიროებოდა გადაუდებელი ოპერაცია. ბავშვი არის შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე. მოქალაქის ოჯახი ხელმეორე გადამოწმების შემდეგ ვეღარ მოხვდა სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფ მოქალაქეთა ბაზაში და შესაბამისად, მ. თ.–ს თავად უწევდა ძვირადღირებული მედიკამენტების შეძენა და ოპერაციული მკურნალობის დაფინანსება, რაც მის ოჯახს უმძიმეს მდგომარეობაში აყენებდა და კვლავ უქადდა გაღატაკებას. საქართველოს სახალხო დამცველის შუამდგომლობით მ. თ.–ის შვილის მკურნალობა ერთჯერადად დაფინანსდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ. თუმცა ბავშვთა დაზღვევისა და განსაკუთრებით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა ჯანმრთელობის დაზღვევის საკითხი კვლავ გადაუჭრელია, რაც ცალსახად არღვევს ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის უფლების უნივერსალურობას, რომელიც არაერთ საერთაშორისო საკანონმდებლო აქტშია დაცული.

ჯანდაცვის მომსახურებათა ხარისხი

სამედიცინო მომსახურების პროცესში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დამტკიცებული პროტოკოლებისა და გაიდლაინების, როგორც ხარისხის მართვის ერთ–ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტის, გამოყენების აუცილებლობის შესახებ რეკომენდაცია წინა ანგარიშშიც იყო შემუშავებული. დღეისათვის, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის ვებგვერდზე მხოლოდ 105 პროტოკოლი და გაიდლაინია გამოქვეყნებული, რაც რაოდენობრივად ძალიან მცირეა საერთაშორისო სტანდარტთან შედარებით. გარდა ამისა, აღარ მიმდინარეობს გაიდლაინებისა და პროტოკოლების მუდმივი გადახედვა და

²⁹¹ http://www.ncdc.ge/pages/p_520_ge.htm

განახლება, რაც მედიცინის განვითარების სწრაფი ტემპის პარალელურად უნდა ხდებოდეს. ცალკეა აღსანიშნი სამედიცინო განათლების მესამე და მეტად მნიშვნელოვანი კომპონენტის – უწყვეტი პროფესიული განვითარების (რომელიც თავად მოიცავს უწყვეტ სამედიცინო განათლებას) ბუნდოვანება. აღნიშნული საკითხის „ფაქტობრივი დარეგულირება“ რამდენიმე წლის წინ, საექიმო საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონში შეტანილმა ცვლილებებმა გამოიწვია. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ საკითხზე მუშაობა უნდა გაგრძელებულიყო და დაახლოებით ერთწლიანი ვადის შემდეგ ამ სფეროში დისკუსიები და საკანონმდებლო ინიციატივები კვლავ უნდა განახლებულიყო, არსებითი ცვლილება ჯერ არ მომხდარა, რაც მკვეთრად ნეგატიურად აისახება საექიმო საქმიანობის სუბიექტთა პროფესიულ კომპეტენციაზე. საბოლოოდ, ეს უკანასკნელი აისახება მიწოდებული სამედიცინო მომსახურების ხარისხზე. საქართველოს სახალხო დამცველის აზრით, საქართველოში მოღვაწე პროფესიულ საექიმო ასოციაციებთან ერთად აქტიურად უნდა დაიწყოს მუშაობა უწყვეტი პროფესიული განვითარების სისტემის სამართლებრივ ჩარჩოში კვლავ დაბრუნების, მისი ხელშეწყობისა და განვითარებისათვის.

საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი აქტიურად ახორციელებდა კომუნიკაციას საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო რეგულირების სააგენტოსთან (განსაკუთრებით სამედიცინო მომსახურების ხარისხის კონტროლის მიმართულებით). მოქალაქეთა განცხადებები, რომელთაც სახალხო დამცველს მიმართეს სამედიცინო მომსახურების დაბალი ხარისხის გამო, შეისწავლა რეგულირების სააგენტომ და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭოს გადაწყვეტილებით, ზოგიერთ ექიმს დაუწესდა მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სანქციები (პროფესიული პასუხისმგებლობის ზომები). ხშირ შემთხვევაში საქმე ეხებოდა სამედიცინო მომსახურების არასწორად წარმართვას და პროფესიულ გულგრილობას. მოქალაქე ა. პ.–მ თავისი მეუღლე საავადმყოფოში ღამის 12 საათზე თავად მიიყვანა. პაციენტს აღენიშნებოდა სისხლდენა. 3-საათიანი ლოდინის შემდეგ ა. პ. იძულებული გახდა მეუღლე სახლში წაეყვანა, რადგან მას ყურადღება არავინ მიაქცია. პაციენტი 2 დღეში გარდაიცვალა.

სამედიცინო ჩანაწერების წარმოების წესის დარღვევას შეეხება მოქალაქე ლ. ნ.–ის საქმე. იგი ჩაეწერა მოხალისედ წვევამდელთა სიაში და ივნისის თვეში გაიარა შემოწმება სამხედრო–სამედიცინო საექსპერტო კომისიაზე. გლდან–ნამალადევის გამწვევი კომისიის გადაწყვეტილებით, ლ. ნ. ცნობილ იქნა სამხედრო სამსახურისათვის ვარგისად, უმნიშვნელო შეზღუდვით. მოქალაქე ლ. ნ.–მ, მიუხედავად მოთხოვნისა, ვერ მიიღო სამხედრო–სამედიცინო საექსპერტო კომისიის დასკვნის ასლი და მასთან დაკავშირებული სამედიცინო ჩანაწერები. სახალხო დამცველის აპარატის ჩარევის შემდგომ მოგვეწოდა მუდმივმოქმედი სამხედრო–სამედიცინო საექსპერტო კომისიის თავმჯდომარის და ამავე კომისიის წევრის, ნევროპათოლოგის მოხსენებითი ბარათები და მხოლოდ გამწვევი კომისიის შედეგები. მოხსენებითი ბარათების მიხედვით ირკვევა, რომ მოქალაქე ლ. ნ.–ს მიერ სამხედრო სამედიცინო–საექსპერტო კომისიის გავლისას ნევროპათოლოგის მიერ გაკეთებულია შემდეგი ჩანაწერი – „ხუთი წლის წინ

გადატანილი თავის ტრავმა. ანიზორეფლექსია.“ კომისიამ ეს ჩანაწერი ვერ მოგვაწოდა იმ მიზეზით, რომ ექიმმა ინფორმაცია აღადგინა მისი პირადი ჩანაწერებიდან და პირადი ჩანაწერიც კი ამ ეტაპზე შენობაში ჩატარებული კაპიტალური რემონტის გამო ვედარ მოიძებნა. სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების წესი რეგულირდება „საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 56-ე მუხლის და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 19 მარტის #108/ნ და 2011 წლის 15 აგვისტოს #01-41/ნ ბრძანებების შესაბამისად. მიგვაჩნია, რომ წესის დარღვევით წარმოებული სამედიცინო დოკუმენტაცია არღვევს პაციენტის უფლებებს და ვერც დასკვნა ჩაითვლება ვალიდურად, თუ ის არარსებული ობიექტური გასინჯვის ჩანაწერებს ეყრდნობა.

გარდა ამისა, სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტომ 2011 წლის განმავლობაში შეისწავლა 161 დაწესებულება, მათ შორის 137 პაციენტისათვის 155 სამედიცინო დაწესებულებაში გაწეული სამედიცინო ხარისხი. პროფესიული განვითარების საბჭომ 2011 წლის სხდომებზე განიხილა 87 საკითხი (107 სამედიცინო დაწესებულება), მათ შორის 2010 წელს ჩატარებული სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შედეგები. საბჭოზე დაისვა 405 ექიმის პროფესიული პასუხისმგებლობის საკითხი. საბჭოს გადაწყვეტილებით, 2 ექიმს გაუუქმდა სახელმწიფო სერტიფიკატი, სხვადასხვა ვადით სახელმწიფო სერტიფიკატის მოქმედება შეუჩერდა 100 ექიმს. წერილობითი გაფრთხილება მიეცა 303 ექიმს.

ჯანდაცვის სისტემის ფუნქციონის (მოქმედების) რამდენიმე ინდიკატორი

ჯანდაცვის ინდიკატორები საშუალებას გვაძლევს შევავსოთ, თუ რამდენად დაცულია მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის უფლება, ანუ ინდიკატორების გამოყენება უფლებრივი თვალსაზრისით არის ერთგვარი მეთოდოლოგია უფლების პროგრესული რეალიზაციის გასაზომად. ინდიკატორები შეიძლება იყოს სტრუქტურული, პროცესისა და გამოსავლისა. აქედან განსაკუთრებით საინტერესო გამოსავლის ინდიკატორებია, ვინაიდან ზომავს პროგრამების, აქტივობების და ინტერვენციების გავლენას ჯანმრთელობის სტატუსზე და მასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე. ზოგჯერ შეიძლება არსებობდეს კავშირი სტრუქტურულ ინდიკატორს (არსებობს თუ არა სტრატეგიული გეგმა დედათა სიკვდილიანობის შესამცირებლად?), პროცესის ინდიკატორსა (კვალიფიციური სამედიცინო პერსონალის ზედამხედველობით მიმდინარე მშობიარობათა ხვედრითი წილი) და გამოსავლის ინდიკატორს (დედათა სიკვდილიანობა) შორის, თუმცა შედეგის ინდიკატორი ასახავს ბევრ მომიჯნავე ფაქტორს და რთულია მყარი კაუზალური კავშირის არსებობა მათ შორის.

ჯანმრთელობის სისტემის ეფექტურობის შეფასების ერთ-ერთ საყოველთაოდ აღიარებულ მაჩვენებლად ახალშობილთა და ბავშვთა სიკვდილიანობა ითვლება. ახალშობილთა სიკვდილიანობაზე მოქმედებენ ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა: მოსახლეობის ცხოვრების წესი, საკვების ვარგისიანობა, ორსულთა პატრონაჟის სისტემა, მეან-გინეკოლოგების კვალიფიკაცია, პერინატალური სამსახურის გამართულობა,

რეანიმატოლოგთა კვალიფიკაცია და ბევრი სხვა. ამიტომაც არის ეს მაჩვენებელი „კრებითი“ და სამედიცინო მომსახურების ხარისხზე მიუთითებს. ამ მაჩვენებლის მიხედვით საქართველო მნიშვნელოვნად ჩამორჩება ევროკავშირის წევრ ქვეყნებს. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ბოლო მონაცემების მიხედვით, ახალშობილთა სიკვდილიანობის ინდიკატორი არის 20 (1000 ცოცხალშობილზე), ხოლო 5 წლამდე ბავშვთა სიკვდილიანობისა - 22 (1000 ცოცხალშობილზე),²⁹² თუმცა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისა და დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მონაცემების მიხედვით,²⁹³ 5 წლამდე ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი არის 16.4. აღნიშნული ინდიკატორები ძალიან მაღალია ევროპის ქვეყნების მაჩვენებლებთან შედარებით.

რაც შეეხება დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებელს, იმავე წყაროს წინასწარი მონაცემებით, 100 000 ცოცხალშობილზე 19.4-ს შეადგენს, რაც მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული მონაცემია წინა საანაგარიშო წელთან შედარებით.

რეკომენდაციები:

რეკომენდაციით მიემართავთ საქართველოს მთავრობასა და სხვა კომპეტენტურ ორგანოებს:

- ა) ჯანდაცვის ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით შეიქმნას ეფექტური პროგრამები მთელი მოსახლეობის საბაზო დაზღვევით უნივერსალური მოცვის უზრუნველსაყოფად;
- ბ) სახელმწიფოს მიერ სუბსიდირებული ჯანდაცვის პროგრამები გაუმჯობესდეს მედიკამენტების მოცვის თვალსაზრისით;
- გ) სამედიცინო მომსახურების ხარისხის ამაღლების მიზნით შემუშავდეს და დამტკიცდეს ახალი გაიდლაინები და პროტოკოლები. ამასთან, უზრუნველყოფილი იყოს აღნიშნულ დოკუმენტთა უწყვეტი განახლებისა და გადახედვის სტრატეგია, რაც სამედიცინო პროფესიული ასოციაციების უშუალო მოვალეობად უნდა განისაზღვროს;
- დ) უფრო მეტად გაძლიერდეს ექიმთა და სხვა სამედიცინო პერსონალის უფლებების დაცვის გარანტიები; სამედიცინო პროფესიას (ორგანიზებული მედიცინა) მიეცეს პროფესიული თვითმმართველობის განხორციელების საშუალება (განმტკიცდეს საკანონმდებლო ბაზით), რაც ექიმთა კლინიკური ავტონომიურობისა და პროფესიული დამოუკიდებლობის ერთადერთი გამართლებული პრინციპია და რისი პრაქტიკაც უკვე საუკუნეებია არსებობს დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში; სამწუხაროდ, უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში ამ მხრივ მკვეთრი რეგრესი აღინიშნება, რაც დაუყოვნებლივ უნდა შეჩერდეს და პროცესი უკუმიმართულებით წარიმართოს;
- ე) შემუშავდეს ეფექტური ჯანდაცვის პროგრამები ბავშვთა ჯანმრთელობის დაზღვევისათვის;
- ვ) აღმოიფხვრას უთანასწორობის შემთხვევები მოსახლეობის ჯანმრთელობის დაზღვევის პოლიტიკისა და შესაბამისი ღონისძიებების გატარებისას. სიღარიბის

²⁹² <http://apps.who.int/ghodata/?vid=9100&theme=country>

²⁹³ http://www.ncdc.ge/index.php?do=fullmod&mid=237&level=3&root_id=237

ზღვარს ქვემოთ მყოფი ერთი და იმავე ქულების მქონე მოქალაქეები დაზღვეულ იქნენ როგორც დედაქალაქში, ასევე რეგიონებში;

იძულებით გადაადგილებულ პირთა (დევნილთა) უფლებები

იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებრივი მდგომარეობის შესწავლა საქართველოს სახალხო დამცველის საქმიანობის ერთ-ერთი პრიორიტეტია. 2010 წელს გამოქვეყნდა სპეციალური ანგარიში საქართველოში იძულებით გადაადგილებულ პირთა და კონფლიქტის შემდეგ დაზარალებულთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ. სპეციალურ ანგარიშში აისახა ყველა ის ძირითადი პრობლემა, რომლებიც იძულებით გადაადგილებულ პირთა წინაშე დგას და ხაზი გაესვა იმ სისტემურ პრობლემებს, რომლებიც სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების კუთხით არსებობს. სახალხო დამცველის 2010 წლის საპარლამენტო ანგარიშში დეტალურად აისახა დევნილთა უფლებრივი მდგომარეობა.

ისევე, როგორც 2010 წელს, 2011 წელსაც იძულებით გადაადგილებულ პირთა მომართვიანობა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში მაღალი იყო. ამასთან, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი და მასთან არსებული პროექტი²⁹⁴ აქტიურად ატარებდნენ იძულებით გადაადგილებულ პირთა მდგომარეობის მონიტორინგს საქართველოს მასშტაბით. შესაბამისად, ზემოაღნიშნული ანგარიში მონიტორინგისას გამოვლენილ ფაქტებსა და ზოგადი სიტუაციის ანალიზს ეყრდნობა.

მონიტორინგისა და განცხადებების შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ მიუხედავად გარკვეული პროგრესისა, დევნილთა მდგომარეობა საცხოვრებელი პირობების მხრივ მნიშვნელოვნად არ გაუმჯობესებულა. არაერთი დევნილი ოჯახი კვლავ ადეკვატური საცხოვრებლის მოლოდინშია, თუმცა პრივატიზაცია-რეაბილიტაციის პროცესის ნელი ტემპის გამო მათი გრძელვადიანი საცხოვრებლით დაკმაყოფილება დროულად ვერ ხერხდება. გარკვეული ხარვეზები იკვეთება პრივატიზაციის პროცესშიც, რაც ძირითადად არაინფორმირებულობას უკავშირდება, არაერთი დევნილი საპრივატიზაციო ხელშეკრულებას ისე აწერს ხელს, რომ არ ფლობს საკმარის ინფორმაციას სარეაბილიტაციო სტანდარტებისა თუ სხვა ალტერნატივების შესახებ. ასევე, პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ხშირად დევნილებისთვის გადაცემული რეაბილიტირებული საცხოვრებელი ფართის სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრა დროში საგრძნობლად ჭიანჭურდება. ჩატარებულმა მონიტორინგმა ასევე ცხადყო, რომ დევნილთა დიდი ნაწილი საერთოდ არ არის ინფორმირებული სარეაბილიტაციო სტანდარტების შესახებ, რეგიონებში მცხოვრები ოჯახების უმრავლესობისათვის კვლავ უცნობია, როდის განხორციელდება მათი კოლექტიური ცენტრის პრივატიზება.

2011 წელს მნიშვნელოვნად არ შეცვლილა კოტეჯური ტიპის ჩასახლებებში არსებული მდგომარეობა. აქტუალურია ზამთარში გათბობის საკითხი და წყლის მიწოდების პრობლემა. გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა (წეროვანის ჩასახლება, სადაც

²⁹⁴ პროექტი „სახალხო დამცველის აპარატის მხარდაჭერა იძულებით გადაადგილებულ პირთა და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულთა უფლებების გადასაჭრელად.“ პროექტი ფინანსდება გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატისა და ევროპის საბჭოს მიერ.

დევნილთა გარკვეული ნაწილი დასაქმებულია), დევნილებისათვის მნიშვნელოვან პრობლემად რჩება უმუშევრობა. თუმცა ყველაზე მნიშვნელოვან საკითხს მაინც კოტეჯების პრივატიზაციის პროცესი წარმოადგენს.

2011 წელს განხორციელებულმა გამოსახლების/განსახლების პროცესის შემდგომმა მონიტორინგმა აჩვენა, რომ თბილისიდან გამოსახლებულ დევნილთა მიმართ მდგომარეობა საარსებო წყაროებსა და დასაქმებაზე ხელმისაწვდომობის მხრივ არ გაუმჯობესებულა. სახელმწიფოს მიერ კვლავ არ ხორციელდება დასაქმების ხელშეწყობის პროგრამები. ადგილობრივი ინფრასტრუქტურა კი არ იძლევა დევნილთა ძირითადი სოციალურ-ეკონომიკური საჭიროებების დაკმაყოფილების შესაძლებლობას. ასევე, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების გადაცემის საკითხია.

2011 წელს გარკვეული ცვლილებები განიცადა საქართველოს კანონმა „იძულებით გადაადგილებულ პირთა დევნილთა შესახებ“. დაიწყო სამოქმედო გეგმის გადახედვის პროცესი. შესაბამისად, აღნიშნულ თავში ყურადღება გამახვილდება ყველა ზემოაღნიშნულ საკითხზე.

საკანონმდებლო ცვლილებები და განახლებული სამოქმედო გეგმა

როგორც უკვე აღვნიშნეთ, 2011 წელი აქტიური იყო კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების თვალსაზრისითაც. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, გაანალიზდეს იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა, მიმართ სახელმწიფო პოლიტიკის კუთხით მიმდინარე პროცესები, ის ძირეული ცვლილებები, რომლებიც აღნიშნული მიმართულებით განხორციელდა ან რომელთა განხორციელებაც უახლოეს მომავალში იგეგმება.

„იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონი

2011 წლის 23 დეკემბერს „იძულებით გადაადგილებულ პირთა, დევნილთა შესახებ“ კანონში შევიდა მთელი რიგი ცვლილებები, რომლებთან დაკავშირებითაც აუცილებელია გაკეთდეს შესაბამისი შეფასებები. საქართველოს სახალხო დამცველის შეხედულებით, ზოგიერთი ასპექტის მიმართ კანონის წარმოდგენილი რედაქცია ეწინააღმდეგება საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებს და ცვლილებების ამ სახით მიღება უკან გადადგმული ნაბიჯია.

1. ცვლილება განიცადა კანონის სათაურმა და ამგვარად ჩამოყალიბდა - „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა, შესახებ.“ კანონის სათაურთან ერთად ცვლილება განიცადა დევნილის ცნებამაც. კერძოდ, კანონის ძველი რედაქციის 1 მუხლის თანახმად, დევნილი იყო პირი: „რომელიც იძულებული გახდა დაეტოვებინა თავისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და გადაადგილებულიყო საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში იმ მიზეზით, რომ საფრთხე შეექმნა მის ან მასთან მცხოვრები ოჯახის წევრის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას

ან თავისუფლებას უცხო ქვეყნის აგრესიის, შიდა კონფლიქტის ან ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის გამო ან ამ კანონის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში.“ განხორციელებული ცვლილების შემდგომ დევნილის ცნება შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირად - დევნილად, ჩაითვლება საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც იძულებული გახდა დაეტოვებინა თავისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი იმ მიზეზით, რომ საფრთხე შეექმნა მის ან მასთან მცხოვრები ოჯახის წევრის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან თავისუფლებას უცხო ქვეყნის მიერ ტერიტორიის ოკუპაციის, აგრესიისა და ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის გამო...“ შესაბამისად, დევნილობა პირდაპირ უცხო ქვეყნის მიერ ტერიტორიის ოკუპაციას დაუკავშირდა. მსგავსი ცვლილება ავიწროებს დევნილის სტატუსის მქონე პირთა წრეს და დევნილად მოიაზრებს მხოლოდ ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირებს. აღნიშნული ეწინააღმდეგება არსებულ საერთაშორისო სტანდარტებს. გაერთიანებული ერების სახელმძღვანელო პრინციპები განმარტავს, რომ „იძულებით გადაადგილებულ პირად ითვლებიან ის პირები ან პირთა ჯგუფები, რომლებიც გამოძევებულ იქნენ ან იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ თავიანთი სახლი ან მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, რათა გაჰქცოდნენ შეიარაღებულ კონფლიქტს, საყოველთაო ძალადობას, ადამიანის უფლებათა ხელყოფასა და სტიქიურ ან ადამიანის მიერ შექმნილ კატასტროფებს, ამასთან არ გადაუკვეთავთ საერთაშორისოდ აღიარებული საზღვარი.“²⁹⁵

საერთაშორისო სამართალი პირდაპირ არ ავალდებულებს სახელმწიფოებს, შექმნან სპეციალური კანონმდებლობა დევნილთა მიმართ. მიუხედავად ამისა, საქართველო არის იმ ქვეყანათა შორის, სადაც ამ საკითხზე კანონმდებლობა არსებობს. აღნიშნული თავისთავად მისასაღმებელია, თუმცა გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ არსებული კანონმდებლობა უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებს. ამ შემთხვევაში კი, ვინაიდან პირთა წრე დავიწროვდა, ნორმა დისკრიმინაციული გახდა იმ პირთა ჯგუფების მიმართ, რომლებიც იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ თავიანთი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი არაოკუპირებული ტერიტორიებიდან.

საქართველოს სახალხო დამცველის 2010 წლის საპარლამენტო ანგარიშში, დეტალურად იყო საუბარი „დევნილის სტატუსის მამიებელ“ პირებზე, რომლებიც ე.წ. არაკონტროლირებადი/კონფლიქტის ზონის მოსაზღვრე სოფლებიდან (ზარდიაანთკარი, გუგუტიანთკარი, ახალი ხურვალიეთი, ზემო ნიქოზი) არიან იძულებით გადაადგილებული. ანგარიშში კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი იმ გარემოებას, რომ საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, თავად დევნილობის ფაქტი პირდაპირაა დაკავშირებული დაბრუნების უფლების რეალიზებასთან. მიუხედავად იმისა, რომ კონფლიქტის ზონის მოსაზღვრე სოფლებიდან დევნილებს ფორმალურად აქვთ

²⁹⁵ გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები იძულებით გადაადგილების შესახებ, E/NC.4/1998/53/ADD.2, პრეამბულა, პუნქტი 2.

სოფლებში დაბრუნების შესაძლებლობა, ამ ეტაპზე ადგილზე ნებაყოფლობითი დაბრუნებისათვის აუცილებელი პირობები არ არის შექმნილი. კერძოდ, კვლავაც არსებობს უსაფრთხოების პრობლემები. დაბრუნების უფლების რეალიზაციისათვის კი აუცილებელია, რომ ხელისუფლების უფლებამოსილმა ორგანოებმა იძულებით გადაადგილებულ პირებს შეუქმნან პირობები და მისცენ მათ საშუალება **„დაბრუნდნენ თავიანთი ნებით, უსაფრთხოდ და ღირსეულად თავიანთ სახლებში ან საცხოვრებელ ადგილებში.“**²⁹⁶ ასევე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ დაბრუნების უფლების რეალიზების უზრუნველყოფა ამ შემთხვევაში სცდება მხოლოდ საქართველოს და ავადდებულებს ყველა შესაბამის აქტორს, არ შეუშალოს ხელი აღნიშნული უფლების სრულფასოვან გამოყენებას და მისცეს კონკრეტული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირებს უფლება, დაბრუნდნენ თავიანთ მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე შესაბამისი პირობების დაცვით. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული პირობები არ იქნება დაცული, დევნილებს აქვთ ობიექტური საფუძველი სახელმწიფოსაგან მოითხოვონ დევნილის სტატუსის მინიჭება.

კანონის ძველი რედაქცია საშუალებას აძლევდა ამ კონკრეტულ ჯგუფს, მიეღო დევნილის სტატუსი. წარმოდგენილმა ცვლილებებმა ეს შესაძლებლობა აღარ დატოვა, ვინაიდან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, კანონის არსებული რედაქცია სტატუსის მინიჭებას ექსკლუზიურად ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებას უკავშირებს, რაშიც, ცხადია, კონფლიქტის ზონის მოსაზღვრე სოფლები ვერ/არ ხვდება. თუკი ძველი რედაქციით დევნილის სტატუსის მიღების საფუძველი იყო მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დატოვება „უცხო ქვეყნის აგრესიის, შიდა კონფლიქტის ან ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის“ გამო, უკვე ახალი რედაქციის მიხედვით ოკუპაცია, აგრესია და ადამიანის უფლებების დარღვევები ერთიანობაში განიხილება და სამივე პირობის ერთობლივად არსებობა გახდა აუცილებელი დევნილის სტატუსის მისანიჭებლად.

2. „იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ“ კანონის 1¹ მუხლის „თ“ ქვეპუნქტის მიხედვით ერთჯერადი ფულადი შემწეობა იყო საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ფულადი თანხა, რომელიც მიეცემოდა უმწეო მდგომარეობაში მყოფ დევნილს მისი განცხადების საფუძველზე. კანონის ახალ რედაქციაში აღნიშნული ჩანაწერი აღარ ხვდება. შესაბამისად, უნდა ვივარაუდოთ, რომ ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო აღარ გასცემს ერთჯერად ფულად შემწეობას, რომელიც რიგ შემთხვევაში მნიშვნელოვნად უმსუბუქებდა, განსაკუთრებით მოწყვლადი კატეგორიის დევნილებს, მკურნალობის ხარჯების გადახდას.

3. იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ კანონის მე-2 მუხლის მე-9 პუნქტი - მასობრივი და ექსტრემალური გადაადგილების დროს დევნილის სტატუსის დაუყოვნებლივ მინიჭების წესს განსაზღვრავდა, რაც ასევე არ მოხვდა კანონის ახალ რედაქციაში. შესაძლოა არსებული ჩანაწერის ამოღება პირდაპირ არ

²⁹⁶ იქვე, პრინციპი 28.1

ეწინააღმდეგება საერთაშორისო სტანდარტებს, მაგრამ აუცილებელია კანონში იყოს გარკვეული ჩანაწერი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გაუმკლავდეს სახელმწიფო მასობრივი გადაადგილების სიტუაციას.

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ აუცილებელია ალტერნატიული სამართლებრივი ჩარჩოს შექმნა, რათა დეტალურად გაიწეროს იმ პირთა უფლებები და ვალდებულებები, რომლებიც იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ მუდმივი საცხოვრებელი ადგილი სტიქიური ან ადამიანის მიერ შექმნილი კატასტროფების ან ადამიანის უფლებათა ხელყოფის გამო.²⁹⁷ ასევე, აუცილებელია კონფლიქტის ზონის მოსაზღვრე სოფლებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთათვის შეიქმნას გარკვეული ტიპის სამართლებრივი რეჟიმი, რომელიც დევნილი ოჯახებისთვის იქნება გარანტია მათი ადეკვატური საცხოვრებელი პირობებით დაკმაყოფილებისა.

ცვლილებები „იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა მიმართ 2009-12 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმაში“

2011 წლის მიწურულს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ინიციატივით დაიწყო მუშაობა სამოქმედო გეგმის განახლებაზე. პროცესში აქტიურად იყო ჩართული საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო სექტორი. სამოქმედო გეგმის განახლებაზე კვლავ გრძელდება მუშაობა. სავარაუდოდ, განახლებული დოკუმენტი 2012 წლისთვის დამტკიცდება.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება, რომლის განხორციელებაც იგეგმება, სამოქმედო გეგმის ვადების გადაწევას უკავშირდება. განახლებული სამოქმედო გეგმა 2012-14 წლებს მოიცავს. როგორც ცნობილია, 2009-12 წლებში დაგეგმილი აქტივობებისა და მათი განხორციელების პროცესის დასრულება ვერ მოხერხდა. სწორედ ეს გახდა ვადების გადაწევის მიზეზი. სამოქმედო გეგმით გაწერილ ვადებთან მიმდინარე პროცესის ჩამორჩენაზე სახალხო დამცველი ანგარიშებში არაერთხელ მიუთითებდა.

განახლებული სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსიაში განხილულია მიღწეული შედეგები და ხაზგასმულია, რომ მთავარი ამოცანა დევნილთა პრობლემების მდგრადი გადაჭრაა. უნდა აღინიშნოს, რომ დევნილთა საჭიროებების მდგრადი ფორმით გადაწყვეტა შეუძლებელია ახალ გარემოში დევნილთა საარსებო წყაროებზე სათანადო ხელმისაწვდომობის ჩამოყალიბებამდე. შესაბამისად, ახალი ტენდენცია, რომელსაც აუცილებლად უნდა გაესვას ხაზი განახლებულ სამოქმედო გეგმაზე საუბრისას, საჯარო სამართლის იურიდიული პირის შექმნას უკავშირდება, რომელიც დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაციის კუთხით გასატარებელი ღონისძიებების

²⁹⁷ აღნიშნული საკითხი დეტალურად არის განხილული ეკო-მიგრანტების შესახებ თავში.

კოორდინაციას მოახდენს.²⁹⁸ ჯერჯერობით უცნობია, კონკრეტულად რა ღონისძიებების დაგეგმა და განხორციელება დაევალება ზემოხსენებულ სსიპ-ს, თუმცა მისასაღმებელია ის ფაქტი, რომ სახელმწიფოს მხრიდან მეტი აქცენტები კეთდება იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალურ-ეკონომიკურ საჭიროებებზე და მათი გრძელვადიანი დაკმაყოფილება მხოლოდ ადეკვატური თავშესაფრით დაკმაყოფილებაზე არ იქნება ორიენტირებული. თუმცა აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ადეკვატური თავშესაფარი მრავალი დევნილისათვის კვლავაც გადაუდებელი აუცილებლობაა.

კიდევ ერთი ჩანაწერი, რომელიც განახლებულ სამოქმედო გეგმაშია მოცემული, დევნილთა მიმართ სოციალური დახმარების სისტემის ტრანსფორმირებას უკავშირდება. დევნილთა ინტეგრაციის მხარდამჭერი შესაბამისი ღონისძიებების დასრულების შემდეგ საუბარია, რომ დევნილი ოჯახებისათვის დახმარება გაიცემა არა სტატუსის, არამედ საჭიროების გათვალისწინებით.²⁹⁹

იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი ფართების პრივატიზაცია - რეაბილიტაციის პროცესის მიმდინარეობა საქართველოში

საქართველოს სახალხო დამცველის 2010 წლის სპეციალურ ანგარიშში „საქართველოში იძულებით გადაადგილებულ პირთა და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ“, ასევე საქართველოს სახალხო დამცველის 2010 წლის წლიურ ანგარიშში დეტალურად იქნა განხილული დევნილთა საცხოვრებელი ფართების პრივატიზაცია-რეაბილიტაციის პროცესი და მასში აღმოჩენილი ხარვეზები.

საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალურ ანგარიშში გაკეთდა რამდენიმე რეკომენდაცია, რომლებიც 2010 წლის განმავლობაში ჩატარებული მონიტორინგისას აღმოჩენილ სისტემურ პრობლემებს ეხებოდა. კერძოდ, საქართველოს სახალხო დამცველმა შემდეგი რეკომენდაციებით მიმართა შესაბამის სახელმწიფო უწყებებს:

- სარეაბილიტაციო სტანდარტები სავალდებულო გახდეს შესასრულებლად და დაინერგოს საქართველოს მასშტაბით ერთიანი პრაქტიკა;
- სარეაბილიტაციო და საპრივატიზაციო ობიექტების შეირჩეს და რიგითობა განისაზღვროს დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად;
- დაჩქარდეს დევნილთათვის გადაცემული რეაბილიტირებული ფართის სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრა, უზურუნველყონ ყველა დევნილი შესაბამისი საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტით;

²⁹⁸ იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა მიმართ 2012-2014 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმა, სამუშაო ვერსია, პუნქტი 5.7.

²⁹⁹ იქვე, პუნქტი 4.1.4.3.

- საჯაროდ ხელმისაწვდომი გახდეს საპრივატიზაციოდ განსაზღვრული კოლექტიური ცენტრების სია.³⁰⁰

აღნიშნული რეკომენდაციები ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. მაგალითად, სარეაბილიტაციო სტანდარტები სავალდებულო გახდა შესასრულებლად სამშენებლო კომპანიებისათვის. კერძოდ, 2010 წლის განახლებულ სამოქმედო გეგმაში გაკეთდა ჩანაწერი იმის შესახებ, რომ სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული რეაბილიტაციის სტანდარტები არის ამოსავალი დოკუმენტი გრძელვადიანი საცხოვრებელი უზრუნველყოფისას.³⁰¹ ასევე, სამინისტროს განახლებულ ვებგვერდზე გაჩნდა ჩამონათვალი პრივატიზებული და რეაბილიტირებული ობიექტებისა, რაც გარკვეული ინფორმაციის მოძიების შესაძლებლობას იძლევა. მიუხედავად გარკვეული პოზიტიური ძვრებისა, კვლავ რჩება რიგი პრობლემები, რომლებზეც მოცემულ ანგარიშში დეტალურად იქნება საუბარი.

ზემოხსენებულ ანგარიშებში ყურადღება, ასევე, გამახვილდა პრივატიზაცია-რეაბილიტაციის პროცესის ნელ ტემპზე, რაც კვლავ უმნიშვნელოვანეს პრობლემად რჩება. მიუხედავად იმისა, რომ სამინისტროს წარმომადგენელთა განცხადებით, მიმდინარეობს რეაბილიტირებული ფართების დევენილებისათვის საკუთრებაში გადაცემის პროცესი, ტემპი არ შეესაბამება დევენილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის სამოქმედო გეგმით გაწერილ ვადებს.³⁰²

იმისათვის, რომ დეტალურად შეგვესწავლა, მიმდინარეობს თუ არა პრივატიზაციის პროცესი დადგენილი სტანდარტების შესაბამისად, ასევე გაგვერკვია, განხორციელდა თუ არა რაიმე ტიპის პოზიტიური ძვრები სახალხო დამცველის ანგარიშის გამოქვეყნების შემდგომ, სახალხო დამცველის აპარატთან არსებული პროექტის მიერ განხორციელდა სპეციალური მონიტორინგი/მცირე მასშტაბის კვლევა, რომელიც ზემოაღნიშნულ საკითხებზე იყო ფოკუსირებული.

კვლევა 2011 წლის ივლისი-აგვისტოს თვეში საქართველოს მასშტაბით ჩატარდა. მან სრულად 252 დევენილი ოჯახი მოიცვა. კვლევის მიზნობრივ ჯგუფს წარმოადგენდნენ დევენილთა ის ოჯახები, რომელთა საცხოვრებელი ფართის რეაბილიტაციაც განხორციელდა და სამინისტროს მიერ იგეგმება მისი პრივატიზება და, ასევე – დევენილთა ის ოჯახები, რომელთაც უკვე დაუკანონდათ საცხოვრებელი ფართები (ძირითადად თბილისში მცხოვრები დევენილები). გამოკითხვა პირისპირ, ინტერვიუს მეთოდის გამოყენებით, ჩატარდა. შესაბამისად, აღნიშნული ანგარიში მონიტორინგის შედეგებს ეყრდნობა.

როგორც ცნობილია, იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევენილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის შესაბამისად,

³⁰⁰ ანგარიში იძულებით გადაადგილებულ პირთა და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ, 2010 წლის იანვარი-ივლისი, გვ.50.

³⁰¹ საქართველოს მთავრობის განკარგულება N575, 2010 წლის 11 მაისი, პუნქტი 2.1.8.

³⁰² სამოქმედო გეგმის განხორციელების ახალი ვადების მიუხედავად (ივლისხმება 2012-2014 წელი), აღნიშნულ ანგარიშში ვიხელმძღვანელებთ 2011 წელს მოქმედი რედაქციით.

გრძელვადიანი განსახლების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფორმას კომპაქტურად განსახლების ობიექტში დევნილთა სარგებლობაში არსებული საცხოვრებელი ფართის მათთვის საკუთრებაში გადაცემა წარმოადგენს.

სტრატეგიის თანახმად, პრივატიზაცია ნებაყოფლობითი პროცესია. სახელმწიფო მხოლოდ კომპაქტურად განსახლების ობიექტში მცხოვრები დევნილი ოჯახის თანხმობის შემთხვევაში გადასცემს მას საკუთრებაში დაკავებულ/კუთვნილ ფართს. დოკუმენტის თანახმად, დევნილებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, მიიღონ ინფორმაცია ყველა იმ ალტერნატივის შესახებ, რომელთაც სახელმწიფო სთავაზობთ. მათ უფლება აქვთ, სახელმწიფოს წარმომადგენლებისგან მოითხოვონ დეტალური ინფორმაციის მიწოდება აღნიშნულ თემაზე. როგორც უკვე აღვნიშნეთ, პრივატიზაცია ნებაყოფლობითია, შესაბამისად, დევნილებს შეუძლიათ უარი განაცხადონ სახელმწიფოს შეთავაზებაზე, რაც მათ არ უკარგავთ დაკავებულ ფართში ცხოვრების უფლებას.

პრივატიზაციის პროცესი 2009 წელს დაიწყო (საქართველოს პრეზიდენტის #62 განკარგულების საფუძველზე). იგი სახელმწიფო საკუთრებაში არსებული კოლექტიური ცენტრების დევნილი ოჯახებისათვის სიმბოლურ ფასად - 1 ლარად საკუთრებაში გადაცემას გულისხმობს. ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს პრივატიზაციის შესახებ 2010 წლის წლიური ანგარიშში მოყვანილი ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების თანახმად, 2010 წლის განმავლობაში სულ 268 კომპაქტურად განსახლების ობიექტი დაკანონდა და 6317 დევნილი ოჯახისათვის მოხდა საცხოვრებელი ფართის პრივატიზება.³⁰³ პრივატიზებული ობიექტების უმრავლესობა თბილისშია. როგორც უკვე აღვნიშნეთ, პრივატიზაციის პროცესი ასევე დაწყებულია რეგიონებში, თუმცა ძალიან ნელი ტემპებით მიმდინარეობს. სამინისტროს წლიური ანგარიშის მიხედვით 2008 წლის კონფლიქტით დაზარალებულ დევნილებს 2011 წელს საკუთრებაში უნდა მიეღოთ საცხოვრებელი ფართი.³⁰⁴ თუმცა სამინისტროს მიერ ამ ამოცანის შესრულება რეალისტური არ აღმოჩნდა. ამ ეტაპისათვის არც ერთი ახალი ჩასახლება არ არის პრივატიზებული და არც ის არის ცნობილი დევნილებისთვის, კონკრეტულად როდის გეგმავს სამინისტრო მათთვის კოტეჯების დაკანონებას.

სამინისტროს 2010 წლის ოფიციალური მონაცემებით, საქართველოში არსებული 1600 კომპაქტური განსახლების ობიექტიდან მხოლოდ 544 ობიექტის ბედია გადაწყვეტილი. ეს ის ობიექტებია, რომელთა გადაკეთებაც მოხერხდა დევნილთათვის გრძელვადიან საცხოვრებლად. კომპაქტური განსახლების ობიექტების უმეტესობასთან დაკავშირებით რა გადაწყვეტილება იქნება მიღებული, ამ ეტაპზე უცნობია. საუბარია საქართველოს მასშტაბით არსებულ 1044 ობიექტზე, სადაც არც სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარებულა და არც ის არის განსაზღვრული, მოხდება თუ არა ამ ობიექტების

³⁰³ Annual Privatization Report, Reporting Period January – December 2010, Transfer of ownership of IDP living units in Collective Centers, p.5.

³⁰⁴ იქვე, გვ.17.

პრივატიზება.³⁰⁵ საქართველოს სახალხო დამცველმა არაერთხელ მიმართა რეკომენდაციით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრს, კობა სუბელიანს, მძიმე მდგომარეობაში მყოფი სხვადასხვა კოლექტიური განსახლების ობიექტის თაობაზე. რეკომენდაციის თანახმად, იმ ობიექტებში, რომელთა დევნილთათვის გადაცემა იგეგმება, მაქსიმალურად მოკლე ვადაში უნდა ჩატარდეს სარეაბილიტაციო სამუშაოები დევნილთა ადეკვატური საცხოვრებელი უზრუნველყოფის მიზნით, ხოლო იმ ობიექტებიდან, რომლებიც არ ექვემდებარება რეაბილიტაციას, დევნილები დროულად უნდა გადაიყვანონ ალტერნატიულ საცხოვრებლებში.³⁰⁶

სამინისტროს მონაცემებით, 1044 ობიექტიდან დაახლოებით 596 კოლექტიური ცენტრის გამოყენება შესაძლებელი გრძელვადიან საცხოვრებლად, ხოლო დარჩენილი 446 კოლექტიური ცენტრიდან დევნილთა განსახლება უნდა მოხდეს. მიზეზად სახელდება ობიექტების კერძო საკუთრებაში ან მძიმე მდგომარეობაში ყოფნა.³⁰⁷

როგორც ცნობილია, საქართველოს მასშტაბით კორპუსის ტიპის სახლების მშენებლობა რამდენიმე ქალაქში მიმდინარეობდა. ესენია: ფოთი³⁰⁸ (ფოთში დევნილთა განსახლების პროცესი 2011 წლის ივლისი-აგვისტოს თვეში დაიწყო და ნოემბრის თვეში დასრულდა. მიმდინარე განსახლების საკითხი უფრო დეტალურად ქვემოთ იქნება განხილული), წყალტუბო,³⁰⁹ ბათუმი და ასევე, უახლოეს მომავალში იგეგმება მშენებლობების დაწყება ზუგდიდში. თუმცა, მშენებლობების სწრაფი ტემპით დასრულების შემთხვევაშიც კი, არსებული ფართები არ იქნება საკმარისი დევნილთა საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ საქართველოს მასშტაბით დაახლოებით 446 კოლექტიური ცენტრიდან დევნილთა განსახლება უნდა მოხდეს, ასევე, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ფაქტს, რომ კერძო სექტორში მცხოვრები დევნილების დიდი ნაწილი კვლავაც განსახლების მოლოდინშია, ცხადი ხდება, რომ მშენებლობების მასშტაბი პრობლემას მხოლოდ ნაწილობრივ გადაჭრის.

თბილისი

პროექტის ფარგლებში მონიტორინგი ჩატარდა თბილისში მდებარე 40 კომპაქტურად განსახლების ობიექტში, რომლებიც დევნილებს უკვე გადაეცათ კერძო საკუთრებაში.

³⁰⁵ IDP Housing Strategy and Working Plan, 2010 Government of Georgia, Ministry of IDPs from Occupied Territories, Accommodation and Refugees of Georgia, Annex 7- The Structure of CCs, p.46-47.

³⁰⁶ საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაცია N748/04-5, 1 აგვისტო 2011.

³⁰⁷ იხ. ზევი 9.


³⁰⁸ ფოთში 32 კორპუსის ტიპის საცხოვრებელი სახლის აშენება იგეგმება, რომელიც დაახლოებით 1168 ბინას შეადგენს.

³⁰⁹ წყალტუბოში აშენდება 10 სახლი, რომელიც გათვლილია 352 ბინაზე.

კითხვარი, რომლის მეშვეობითაც მოხდა დევნილი ოჯახების გამოკითხვა, პრივატიზაციის პროცესთან დაკავშირებულ საკითხებს მოიცავდა. მონიტორინგმა არაერთი პრობლემა გამოავლინა.

ერთ-ერთ ყველაზე მწვავე პრობლემად კვლავ დევნილთა არაინფორმირებულობა რჩება. კითხვაზე, ფლობდნენ თუ არა ინფორმაციას საცხოვრებელი ფართის სტანდარტების შესახებ, დევნილთა დიდმა ნაწილმა უარყოფითად უპასუხა და განაცხადა, რომ სამინისტროს მხრიდან არანაირი ინფორმაცია საცხოვრებელი ფართის სტანდარტების შესახებ არ მიუღიათ.

ფლობდით თუ არა ინფორმაციას საცხოვრებელი ფართის სტანდარტების შესახებ?



ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დევნილთა უმრავლესობა ფართების განაწილების დროს ისე აწერდა ხელს საპრივატიზაციო ხელშეკრულებას, რომ ფართების ოდენობასაც კი არ ამოწმებდა. გამოკითხული დევნილების განმარტებით, სამინისტროსგან მათ არ მიუღიათ არანაირი განმარტება/ინფორმაცია, თუ რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს საპრივატიზაციო ხელშეკრულებაში ოჯახის წევრების მონაცემებისა და რაოდენობის არასწორად მითითებას (ფართების საკუთრებაში გადაცემის მიზნით, დევნილი ოჯახის ერთი წევრი აწერს ხელს საპრივატიზაციო ხელშეკრულებას, რომელშიც იგი მითითებს ოჯახის სხვა წევრებსაც).

მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა ისეთი შემთხვევებიც, როდესაც დევნილი ოჯახი თვლის, რომ მისთვის/ მისი ოჯახისთვის გადაცემული საცხოვრებელი ფართი არ არის საკმარისი და სურს საპრივატიზაციო ხელშეკრულების ანულირება. მთავარი მიზეზი კი, მათი განცხადებით, ხელშეკრულების ხელმოწერისას მათი არასაკმარისი ინფორმირებულობაა. კერძოდ, ისინი არასაკმარისად იყვნენ ინფორმირებული საცხოვრებელი ფართის სტანდარტების შესახებ, რომელთა მიხედვითაც უნდა დაეკმაყოფილებინათ. შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ მიზანშეწონილი იქნება ხელშეკრულების ხელმოწერამდე დევნილებს მიეცეთ საკმარისი დრო, რათა

დეტალურად გაეცნონ ხელშეკრულების შინაარსს, ასევე, უნდა განემარტოთ პრივატიზაციის პროცესის თანმდევი შედეგები (მაგალითად დევნილებმა აუცილებლად უნდა იცოდნენ, რომ პრივატიზაციის პროცესის დასრულების შემდეგ სახელმწიფო აღარ გადაუხდით მათ კომუნალურ გადასახადებს. ასევე, აუცილებელია, დევნილებს ჰქონდეთ ინფორმაცია პრივატიზაციის პროცესის დასრულების შემდგომ ამხანაგობების შექმნის შესაძლებლობის შესახებ და ა.შ).

დადებითად უნდა შეფასდეს ის ფაქტი, რომ თბილისში გამოკითხული დევნილების უმრავლესობა კმაყოფილია პრივატიზაციის პროცესით (92%).

საკითხი, რომელსაც აუცილებლად უნდა გაეცვას ხაზი, შეთავაზებულ ალტერნატივებსა და გადაწყვეტილების ნებაყოფლობითობას შეეხება. დევნილების უმრავლესობა თანხმდება სამინისტროს შეთავაზებაზე, დევნილთა განმარტებით, მათ რეგიონებში შეთავაზებულ ფართებს ურჩევნიათ თბილისში დაიკანონონ ფართი, იმ შემთხვევაშიც კი, თუ გაუსაძლის პირობებში მოუწევთ ცხოვრება. აღნიშნული პირდაპირ უკავშირდება რეაბილიტაციის საკითხს. იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა მიმართ 2009-2012 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის 2.1.1 ქვეპუნქტის მიხედვით დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის პირველი ეტაპის ფარგლებში ხორციელდება კოლექტიური ცენტრების რეაბილიტაცია და საკუთრებაში გადაცემა. აღნიშნული ქვეპუნქტის თანახმად, კოლექტიური ცენტრების დევნილთათვის საკუთრებაში გადაცემამდე უნდა ჩატარდეს ამ ობიექტების სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები. თბილისის შემთხვევაში დაკანონებული ობიექტების უმრავლესობას სარეაბილიტაციო სამუშაოები არ ჩასტარებია. ხოლო იმ ობიექტებში, რომლებშიც რეაბილიტაცია განხორციელდა (მაგ. გლდანის #99-ე ბაგა-ბაღი), რეაბილიტაციის პროცესში დევნილები ალტერნატიულ ფართში არ გადაუყვანიათ. დევნილები ასევე მიუთითებენ უხარისხოდ შესრულებულ სარეაბილიტაციო სამუშაოებზე. რეაბილიტაციის პროცესთან დაკავშირებულ ხარვეზებზე ვრცლად იყო საუბარი საქართველოს სახალხო დამცველის 2010 წლის სპეციალურ ანგარიშში.³¹⁰

ერთ-ერთი პრობლემური ობიექტია ქ. თბილისში, აღმაშენებლის ხეივანში მდებარე აგრარული უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებელი - კორპუსები 3, 4. ობიექტის მონიტორინგისას გამოიკვეთა მნიშვნელოვანი პრობლემები. კერძოდ, შენობებში მოუწესრიგებელია წყალგაყვანილობა და კანალიზაცია, დაზიანებულია სახურავები, საცხოვრებელი შენობის კედლები, კიბეებს არ აქვს მოაჯირი, არ არის ჩასმული კარ-ფანჯარა.

³¹⁰ იხ. ზევით 7, გვ.47-50.



ზემოაღნიშნულ ობიექტში მცხოვრები დევნილების განმარტებით, ისინი ნებაყოფლობით დასთანხმდნენ მათ მიერ დაკავებული საცხოვრებელი ფართის პრივატიზაციას ცვლილების გარეშე, თუმცა, მათივე განმარტებით, სამინისტროდან მიიღეს დაპირება, რომ სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყებოდა პრივატიზაციის შემდგომ. აღნიშნულ ობიექტთან დაკავშირებით საქართველოს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს, რათა სამინისტრომ ობიექტში ჩაატაროს შესაბამისი სარეაბილიტაციო სამუშაოები დევნილთა ადეკვატური საცხოვრებელი პირობებით უზრუნველსაყოფად.



მონიტორინგი ჩატარდა 2011 წლის მაისის თვეში.


პოზიტიურ მოვლენად უნდა შეფასდეს ის ფაქტი, რომ „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებამ საშუალება მისცა ბინათმესაკუთრეებს, ისარგებლონ ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მხარდაჭერით. თუ ფართის დაკანონებამდე დევნილების საცხოვრებელთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრა ძირითადად საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროზე დამოკიდებული, პრივატიზაციის შემდეგ სურათი იცვლება. დევნილებს, როგორც ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრებს, აქვთ უფლება, მთელი რიგი საყოფაცხოვრებო პრობლემების მოსაგვარებლად მიმართონ ადგილობრივ მუნიციპალიტეტს. თუმცა აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამხანაგობების შესახებ დევნილები არასაკმარისად არიან ინფორმირებული. იმ კოლექტიურ ცენტრებშიც კი, სადაც უკვე შექმნილია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობები, დევნილებს არ აქვთ ზუსტი ინფორმაცია, რა სარგებელი შეუძლიათ მიიღონ ამხანაგობებისგან და, ზოგადად, როგორ ფუნქციონირებს აღნიშნული სისტემა.

რეგიონები

თბილისისაგან განსხვავებით, რეგიონებში სულ სხვა სახის პრობლემები იკვეთება. მიუხედავად იმისა, რომ რეგიონებში კოლექტიური ცენტრების უმრავლესობა უკვე რეაბილიტირებულია და, სავარაუდოდ, უნდა მოხდეს ობიექტის პრივატიზება, ამ ეტაპზე პრივატიზებული ობიექტების რიცხვი ძალზე მცირეა. ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა სწორედ პრივატიზაციის პროცესთან დაკავშირებული ინფორმაციის

ნაკლებობაა. კერძოდ, დევნილებს არ აქვთ ინფორმაცია, როდის დაიწყება მათ მიერ დაკავებული ფართების პრივატიზაცია. ქვემოთ მოცემული სტატისტიკური მონაცემი აჩვენებს, რომ გამოკითხული დევნილების 96.6%-სათვის გაურკვეველია, როდის მოხდება მათი საცხოვრებელი ფართის პრივატიზება.

ფლობთ თუ არა ინფორმაციას როდის მოხდება კოლექტიური ცენტრის პრივატიზაცია?




ეს საკითხი სახალხო დამცველის 2010 წლის სპეციალურ ანგარიშშიც იყო განხილული. ჩატარებული მონიტორინგი ცხადყოფს, რომ პრობლემა კვლავ აქტუალურია. ხშირ შემთხვევაში დევნილები სამინისტროსგან ვერ იღებენ ამომწურავ და ზუსტ პასუხს კითხვაზე, როდის მოხდება მათი კოლექტიური ცენტრის პრივატიზება. იმერეთის რეგიონში 2009-10 წლებში რეაბილიტირებული კოლექტიური ცენტრებიც კი არ არის ჯერჯერობით პრივატიზებული.³¹¹ მსგავსი სიტუაციაა აჭარაშიც, სადაც ყველა კოლექტიური ცენტრის რეაბილიტაცია დასრულებულია, თუმცა უმრავლესობა რეაბილიტირებული ობიექტების პრივატიზება დღემდე არ მომხდარა. შესაძლებელია ითქვას, რომ გაურკვეველი მიზეზების გამო, სამინისტრო ფართების პრივატიზაციის პროცესს დროში საკმაოდ აჭიანურებს. ხშირ შემთხვევაში პრივატიზაციის პროცესის ხელშემშლელი ფაქტორი დევნილთა დამისამართების საკითხიცაა. ამის შესახებ სპეციალურ ანგარიშში უკვე იყო საუბარი, თუმცა პრობლემა კვლავ აქტუალურია. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ დევნილთა დიდი ნაწილი არ ცხოვრობს მათი რეგისტრაციის ადგილზე, ზუსტი მონაცემების მოპოვება საკმაოდ რთულია. არის შემთხვევები, როდესაც დევნილი ორ სხვადასხვა ადგილას ფიქსირდება, ერთგან ოფიციალურადაა არის რეგისტრირებული, ხოლო მეორე ადგილზე ფაქტობრივად ცხოვრობს. ყოველივე ზემოაღნიშნული ხშირად პრივატიზაციის პროცესის შემაფერხებელი გარემოება ხდება, ვინაიდან, როგორც წესი, დევნილები ფართის დაკანონებას მათი ფაქტობრივი საცხოვრებლის მიხედვით ითხოვენ.

³¹¹ ბოლო 2-3 წლის განმავლობაში იმერეთში რეაბილიტირებულია 26 ობიექტი, აქედან დაკანონებულია მხოლოდ 6 და დანარჩენი 20 ობიექტი დაკანონების პროცესშია.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი არის ნებაყოფლობითი არჩევანი. სამინისტროს განმარტებით, პრივატიზაცია ნებაყოფლობითი პროცესია და დევნილებს აქვთ თავისუფალი არჩევანის უფლება. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დევნილები იღებენ გადაწყვეტილებას, მოხდება თუ არა საცხოვრებელი ფართის დაკანონება. სამწუხაროდ, მონიტორინგის შედეგებმა აჩვენა, რომ დევნილები არასაკმარისად არიან ინფორმირებული აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.


ფლობთ თუ არა ინფორმაციას პრივატიზაციის პროცესის ნებაყოფლობითობის შესახებ?



განხორციელებული მონიტორინგისას ასევე ცხადი გახდა, რომ რეგიონებში მცხოვრები დევნილების უმრავლესობისათვის ალტერნატიული საცხოვრებლები არ შეუთავაზებიათ. როგორც წესი, დევნილები სთანხმდებიან სამინისტროს პირველივე შეთავაზებას, იმის მიუხედავად, აკმაყოფილებთ თუ არა ფართი.

რაც შეეხება საცხოვრებელი ფართის სტანდარტს, რეგიონებში ამ მხრივაც შეინიშნება პრობლემები. დევნილები არ ფლობენ ინფორმაციას სტანდარტების შესახებ, რაც მოცემული სტატისტიკური მონაცემებითაც დასტურდება:

იცი თუ არა საცხოვრებელი ფართის სტანდარტი, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს თქვენი დაკმაყოფილება?



ზოგადად, რეაბილიტაციის პროცესთან დაკავშირებით დევნილები კვლავ გამოთქვამენ უკმაყოფილებას. სარეაბილიტაციო სამუშაოების დაბალ (ან არადაკმაყოფილებელ) ხარისხზე საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალურ ანგარიშში უკვე იყო საუბარი. არაერთხელ აღინიშნა, რომ თითქმის ყველა რეაბილიტირებულ შენობაში შეინიშნება სხვადასხვა სახის პრობლემა. სამწუხაროდ, აღნიშნული საკითხი ისევ აქტუალურია. ობიექტების უმრავლესობაში მწყობრიდან არის გამოსული წყალგაყვანილობის მიწები და საკანალიზაციო სისტემა, შენობებში შეინიშნება ბზარები და ნესტის ლაქები (მაგ: ქ. ფოთში მდებარე კოლექტიური ცენტრი – პროფტექნიკუმი, ქარელის და ხაშურის რაიონში არსებული დევნილთა ჩასახლების ობიექტები: ქარელის ტექნიკუმი, სურამის N14 პროფტექნიკუმი, სანატორიუმი „ნაკადული“, ზუგდიდის რაიონში მდებარე „ხეცერის მეურნეობის ბინები“, ე.წ. „იპოდრომის N1“ კორპუსი, ჩხოროწყუს რაიონში მდებარე „ჩაის ფაბრიკის ბინები“, ქ. სენაკში „სამხედრო დასახლება“). როგორც ცნობილია, არსებობს სარეაბილიტაციო სამუშაოებში აღმოჩენილი დეფექტების გასწორების მექანიზმი, თუმცა, იმის გამო, რომ ერთწლიანი საგარანტიო ვადა უმრავლესობა ობიექტების შემთხვევაში უკვე გასულია, მათი ხელახალი რეაბილიტირება ვერ ხერხდება. სპეციალურ ანგარიშში უკვე აღინიშნა, მაგრამ აუცილებელია კიდევ ერთხელ გაესვას ხაზი იმ გარემოებას, რომ რეაბილიტაციის ერთწლიანი საგარანტიო ვადა არ არის ადეკვატური/გონივრული, უფრო ლოგიკური იქნება, თუკი სამშენებლო კომპანიასთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში სარემონტო სამუშაოების უფრო ხანგრძლივი საგარანტიო ვადა იქნება ჩადებული.

პოზიტიურ მოვლენად უნდა შეფასდეს ის ფაქტი, რომ ბოლო პერიოდის განმავლობაში, მუნიციპალური განვითარების ფონდისა და აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დევნილთა დეპარტამენტის თანამშრომლების ზედამხედველობით, სამშენებლო კომპანიები რეაბილიტაციის პროცესთან დაკავშირებულ ხარვეზების ასწორებენ. კერძოდ, ხელვაჩაურში ყოფილ ნარკოლოგიურ

ცენტრში ხელახლა გაიყვანეს საკანალიზაციო სისტემა, ასევე, გარკვეული ხარვეზები გამოსწორდა ყოფილი საბავშვო ბაღისა და მექანიკური ქარხნის შენობაში. მიმდინარეობს საკანალიზაციო ჭის მშენებლობა ჩაქვის ყოფილ ქართულ სკოლაშიც.

აქვე აღსანიშნავია რეგიონებში მდებარე არაერთი ობიექტი, რომელთა რეაბილიტაციაც ჯერ არ ჩატარებულა. ნაწილი ობიექტების ავარიულ მდგომარეობაშია და შესაძლოა, რეაბილიტაციას არც დაექვემდებაროს, ხოლო ობიექტების ნაწილს კერძო მესაკუთრე ჰყავს. მსგავს ობიექტებში მცხოვრებ დევნილებს განსაკუთრებით მძიმე საყოფაცხოვრებო პირობებში უწევთ ცხოვრება, ამას ემატება ინფორმაციის ნაკლებობა მათთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებზე. დევნილები არ ფლობენ ინფორმაციას, რა ტიპის გადაწყვეტილებას მიიღებენ მათ შემთხვევაში. კონკრეტულად როდის გადაიყვანენ მათ ალტერნატიულ ფართში ან, იმ შემთხვევაში თუ ალტერნატიულ ფართში გადაყვანა არ იგეგმება, როდის მოხდება მათი საცხოვრებელი ფართის რეაბილიტაცია. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს გორში მდებარე „ავტოკემპინგსა“ და „ხის ტურბაზაში“ არსებული მდგომარეობა. ორივე შენობა ავარიულ მდგომარეობაშია, ამ ობიექტებში ცხოვრება საფრთხეს უქმნის დევნილთა ჯანმრთელობას.



ხის ტურბაზა, ქ. გორი



ავტოკემპინგი, ქ.გორი

ურთულესი მდგომარეობა ასევე სურამში მდებარე სანატორიუმ „მზიურსა“ და „ფოლადში.“ აქ დევნილთა საცხოვრებელი პირობები უმძიმესია. 2011 წელს მომხდარმა წყალდიდობამ მთლიანად დააზიანა ავარიული შენობის საძირკველი, კედლები და სახურავი. დანგრევის პირასაა სოფელ ამაღლებაში მდებარე ობიექტი „კურორტი ამაღლება,“ 2011 წელს გაჩენილი ხანძრის შედეგად ხის კოტეჯების ერთი კომპლექსი დაიწვა, რის გამოც დევნილთა ნაწილმა მეზობელ ხის კოტეჯებს შეაფარა თავი. სამინისტროს მხრიდან დაუყოვნებლივ მოხდა დევნილთათვის ფოთში განსახლების შეთავაზება, თუმცა ამ დრომდე დევნილი ოჯახები ფოთში განსახლებული არ არიან. მიზეზი არც დევნილებისთვის და არც სახალხო დამცველისთვის ცნობილი არ არის. ასევე უმძიმესი მდგომარეობაა „ტურბაზა რიონსა,“ და კოტეჯ N1-ში (ამ ობიექტების შესახებ საუბარი იყო 2010 წლის სპეციალურ ანგარიშში, რომელშიც შესაბამისი რეკომენდაციები გაკეთდა, თუმცა მდგომარეობა დღემდე უცვლელია).



სურამში მდებარე სანატორიუმი „მზიური“

საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციაზე ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროდან გვეცნობა, რომ რეკომენდაციაში მითითებული ობიექტების მდგომარეობას განიხილავენ სხვა ობიექტებთან ერთად ეტაპობრივად.³¹² თუმცა სახალხო დამცველისათვის კვლავაც უცნობია, თუ რა კრიტერიუმების შესაბამისად შეარჩევენ სარეაბილიტაციო და საპრივატიზაციო ობიექტებს და განსაზღვრავენ რიგითობას. მიგვაჩნია, რომ მაქსიმალურად მოკლე ვადაში უნდა განასახლონ დევნილები იმ ობიექტებიდან, რომელთა რეაბილიტაციაც შენობების მძიმე მდგომარეობის გამო შეუძლებელია.

განსახლების პროცესი ფოთში

რეგიონებზე საუბრისას ყურადღება უნდა გავამახვილოთ ფოთში მიმდინარე განსახლების პროცესზე, რომელზეც სახალხო დამცველის აპარატი მონიტორინგს ატარებდა. ფოთში მდებარე ახლად აშენებულ საცხოვრებელ ფართებში განსახლების პროცესი 2011 წლის ივლისში დაიწყო და ნოემბრის თვეში დასრულდა.

³¹² საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს წერილი N01/01-25/6542, 14 სექტემბერი 2011.

გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის მიზნით, დევნილები გადაიყვანეს ახალ შენობებში წყალტუბოს, ამბროლაურის, ტყიბულის, ზუგდიდისა და ფოთის კომპაქტური განსახლების ობიექტებიდან (იმერეთის და რაჭა ლეჩხუმის 29 ობიექტიდან და სამეგრელო ზემო სვანეთის რაიონში მდებარე კომპაქტური ჩასახლების 52 ობიექტიდან).³¹³ სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ქ.ფოთში მდებარე „ახალ უბანში“ სულ განსახლებულ იქნა 959 დევნილი ოჯახი. როგორც სამინისტროს წერილიდან ირკვევა, განსახლების პროცესი განხორციელდა საქართველოს მთავრობის 2010 წლის 18 ივნისის 24-ე სხდომაზე სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მიღებული „დევნილების გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის სახელმძღვანელო პრინციპების, კრიტერიუმების და პროცედურების“ მიხედვით. შესაბამისად, ახლადშენებული ბინებით მხოლოდ ის დევნილები უნდა დაეკმაყოფილებინათ, რომლებსაც რეალურად ესაჭიროებათ საცხოვრებელი და უმძიმეს პირობებში ცხოვრობდნენ.

მონიტორინგის შედეგად ცხადი გახდა, რომ ფოთში მიმდინარე განსახლების პროცესი ნებაყოფლობითი იყო, თუმცა აღმოჩნდა გარკვეული ხარვეზები. კერძოდ, დევნილებს სამინისტროს წარმომადგენლები სთხოვდნენ განსახლების შესახებ გადაწყვეტილების სწრაფად მიღებას. ასევე, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ხშირ შემთხვევაში მოსალოდნელი განსახლების შესახებ დევნილებს მცირე ხნით ადრე ეცნობებოდა. მაგალითად, წყალტუბოში მცხოვრებ დევნილებს განსახლების შესახებ წინა დღეს, საღამოს საათებში მიაწოდეს ინფორმაცია. სტრატეგიაში აღნიშნული ნებაყოფლობითი არჩევანის უფლების რეალიზაციის მიზნით აუცილებლად მიგვაჩნია გონივრული ვადის მიცემა დევნილებისთვის განსახლების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მონიტორინგისას სამინისტროს მიერ განსახლებული ობიექტების სია ძალიან ხშირად იცვლებოდა, რამაც განსახლების პროცესზე დაკვირვება მნიშვნელოვნად გაართულა.

მონიტორინგის შედეგად ცხადი გახდა, რომ ფოთში განსახლების პროცესის პირველი დღე საკმაოდ ქაოსურად და არაორგანიზებულად მიმდინარეობდა. ქაოსისა და კონფლიქტური სიტუაციის შექმნის მიზეზი კი გახდა ის ფაქტი, რომ ფოთში დაგეგმილზე მეტი რაოდენობის ოჯახები გადაიყვანეს. კერძოდ, პირველ დღეს 40 ოჯახის ნაცვლად გადაყვანილ იქნა 70 ოჯახი. განსახლების პროცესის მეორე დღეს სიტუაცია გაუმჯობესდა, რაც განპირობებული იყო სიების, ფართებისა და პირადი მონაცემების ელექტრონულ სისტემაში შეყვანით, რამაც დააჩქარა აღრიცხვისა და გადამოწმების პროცესი. ფართებს კენჭისყრით ანაწილებდნენ. პროცესის დროს შეიქმნა ფართების ნაკლებობის პრობლემა, რომელიც, როგორც უკვე აღინიშნა, გამოიწვია დასრულებულ საცხოვრებელ ბინებზე მეტი დევნილი ოჯახის ჩაყვანამ.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ფოთში მიმდინარე პროცესთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, განსახლების კრიტერიუმებს უკავშირდება.

³¹³ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს წერილი N05/02-12/10376, 30/12/2011.

დევენილთა განსახლებისას სამინისტრო სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მიღებული დოკუმენტით „დევენილების გრძელვადიანი საცხოვრებელი უზრუნველყოფის სახელმძღვანელო პრინციპები, კრიტერიუმები და პროცედურები“ ხელმძღვანელობს. აღნიშნული კრიტერიუმების თანახმად, შერჩევისას პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს იმ კოლექტიურ ცენტრებს, რომლებიც განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაშია. აღნიშნული პრინციპის გათვალისწინებით, გაუგებარია, რატომ შეირჩა წყალტუბოში მდებარე კოლექტიური ცენტრები განსახლების პროცესის საწყის ეტაპზე, მაშინ, როდესაც საქართველოს მასშტაბით არსებობს არაერთი, დანგრევის პირას და კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი კოლექტიური ცენტრი. აქვე გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ფოთის განსახლების პროცესის დაწყებისას წყალტუბოში პარალელურად მიმდინარეობდა მშენებლობის პროცესი, რომელიც დასრულებული არ იყო. ლოგიკურია, რომ განსახლება ჯერ წყალტუბოში არსებულ ობიექტებში უნდა განხორციელებულიყო და შემდეგ შესთავაზებოდათ წყალტუბოში მცხოვრებ დევნილებს ფოთში განსახლება.

კიდევ ერთი მწვავე პრობლემა, რომელიც აუცილებლად უნდა აღინიშნოს, ფოთის „ახალ უბანზე“ საუბრისას გათბობის საკითხს უკავშირდება. სამწუხაროდ, გაზიფიკაციის პროცესი ფოთში დღემდე დასრულებული არ არის, რაც დევნილებს ძალიან აწუხებთ. ამ ეტაპზე მათი გათბობის საშუალება ელექტროლუმელია, რაც, თავის მხრივ, ელექტროენერჯის მაღალ გადასახადთან არის დაკავშირებული. რაც შეეხება შეშის ღუმლით გათბობას, დევნილებში გავრცელებული ინფორმაციით, შეშის ღუმლის დადგმის შემთხვევაში მათი დააჯარიმებენ. აუცილებელია გაზიფიკაციის პროცესი სწრაფი ტემპით განხორციელდეს, რათა დროულად გადაწყდეს ზამთრის პერიოდში დევნილთა გათბობის საკითხი.

დეტალური შეფასებები ახალი განსახლების ადგილებისა და იქ მიმდინარე დევნილთა განსახლების შესახებ პროცესის სრულად დასრულების შემდეგ გაკეთდება. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი განაგრძობს მონიტორინგს აღნიშნული მიმართულებით.

რეკომენდაციები:

არსებული სიტუაციის გათვალისწინებით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ, ასევე პრივატიზაცია-რეაბილიტაციის პროცესში ჩართულმა შესაბამისმა უწყებებმა უნდა განახორციელონ შემდეგი:

- დაჩქარებული ტემპით გაგრძელდეს პრივატიზაცია-რეაბილიტაციის პროცესი, რათა დევნილთა ადეკვატური თავშესაფრით დაკმაყოფილება მცირე დროში გახდეს შესაძლებელი;

- სწრაფი ტემპით განისაზღვროს უკვე რეაბილიტირებული საცხოვრებელი ფართის სამართლებრივი სტატუსი და უზრუნველყონ ყველა დევნილი შესაბამისი საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტით;
- მაქსიმალურად მოკლე ვადაში უნდა განასახლონ დევნილები იმ ობიექტებიდან, რომელთა რეაბილიტაციაც შენობების მძიმე მდგომარეობის გამო შეუძლებელია;
- საპრივატიზაციო ხელშეკრულებაზე ხელმოწერამდე დევნილ ოჯახს მიეწოდოს ამომწურავი ინფორმაცია პრივატიზაციის თანმდევი შედეგების შესახებ და ასევე, მიეცეთ სათანადო დრო პრივატიზაციის ხელშეკრულების შინაარსის გასაცნობად;
- იძულებით გადაადგილებულ პირებს მიეცეთ საშუალება, გააკეთონ ნებაყოფლობითი და გაცნობიერებული არჩევანი პრივატიზაციის პროცესთან დაკავშირებით.
- განსახლების პროცესი წარიმართოს მკაცრად გაწერილი კრიტერიუმების შესაბამისად.

კოტეჯური ტიპის ჩასახლებები

2010 წლის სპეციალურ ანგარიშში ვრცლად იყო საუბარი 2008 წლის კონფლიქტის შედეგად იძულებით გადაადგილებული პირებისათვის აშენებულ კოტეჯური ტიპის ჩასახლებებში აღმოჩენილ ხარვეზებზე. სიტუაციის უკეთ შეფასების მიზნით საქართველოს სახალხო დამცველმა ჩაატარა განმეორებითი მონიტორინგი. მონიტორინგმა მოინახულეს სოფ. კარალეთი, ვერხვების დასახლება, სოფ. შავშვები, სოფ. ბერბუკი, სოფ. საქაშეთი, სოფ. ხურვალეთი, სოფ. მოხისი, სოფ. ახალსოფელი და წეროვანი. პოზოტიურ მოვლენად უნდა შეფასდეს ის ფაქტი, რომ კოტეჯური ტიპის ჩასახლებებში მცხოვრები დევნილების დიდმა ნაწილმა განაცხადა, რომ მათ ახალ საცხოვრებელ გარემოსთან ადაპტირება უკვე მოახდინეს. თუმცა, ადგილობრივი ინტეგრაციის კუთხით არსებული პოზიტიური ძვრების მიუხედავად, რჩება მთელი რიგი პრობლემები.

როგორც ცნობილია, დევნილთა განსახლება კოტეჯური ტიპის ჩასახლებებში 2009 წლიდან დაიწყო. თუმცა, მშენებლობისას დაშვებული ხარვეზების გამო, საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით საჭირო გახდა 2010–2011 წელს განმეორებით მომხდარიყო დევნილთა საცხოვრებელი ფართების რეაბილიტაცია. კოტეჯებს ჩაუტარდა სხვადასხვა ტიპის სარემონტო სამუშაოები, კედლები შეიღება, სახურავი და იატაკი შეკეთდა. თუმცა, უმრავლეს შემთხვევაში, დევნილები კვლავ მიუთითებენ მთელ რიგ პრობლემებზე. ძირითადად, დევნილები პრეტენზიას უხარისხო სამშენებლო მასალების გამო გამოთქვამენ, თუმცა კოტეჯებში არსებული პრობლემები მათ ადგილმდებარეობასაც უკავშირდება. მაგ: სოფ. სკრასა და სოფ. ახალსოფელში საცხოვრებელი კოტეჯები აშენდა ჭაობიან ნიადაგზე. გარემო პირობების გამო, კოტეჯებში არის მუდმივი ნესტი, დაზიანებულია შენობების კედლები და იატაკი. გარდა საცხოვრებელი პირობების გაუარესებისა, დევნილებს ექმნებათ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები (დევნილთა განცხადებით, გახშირებულია სასუნთქი გზების დაავადებები). 2010 წლის სპეციალურ ანგარიშში ხაზი გაესვა იმ ფაქტორს, რომ

ახალი ჩასახლებების მშენებლობის პროცესში გათვალისწინებული არ იყო საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების შედეგები და რეკომენდაციები.³¹⁴ ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს ისიც, რომ კოტეჯებში შექმნილი პრობლემები არქიტექტურული დაგეგმარების დროს დაშვებული შეცდომებით არის განპირობებული.³¹⁵

ზამთრის დადგომასთან ერთად დევნილებისათვის აქტუალური ხდება გათბობის პრობლემა. კოტეჯების უმრავლესობას თხელი კედლები აქვს, რის გამოც შენობის გათბობა რთულია. გარდა ამისა, სოფ. მოხისსა და სოფ. ახალსოფელში განსახლებულ დევნილებს, სხვა ჩასახლებებისგან განსხვავებით, არ მიეწოდებათ ბუნებრივი აირი. პროექტის მონიტორების მიერ მონახულულ ყველა ჩასახლებაში დევნილები უკმაყოფილებას გამოთქვამენ მაღალი კომუნალური გადასახადების გამო. დევნილთა განცხადებით, ზამთარში მათი ყოველთვიური გადასახადი საშუალოდ 200 ლარს აღწევს. გარდა ამისა, მაგ. წეროვანში მცხოვრები დევნილების განცხადებით, ისინი ბუნებრივი აირით „კასპიგაზის“ მიერ მარაგდებიან. აღნიშნულ კომპანიას, დევნილთა განმარტებით, ბუნებრივ აირზე სხვა კომპანიებზე მაღალი ტარიფი აქვს. პრობლემა კიდევ უფრო გამწვავდება, როდესაც კოტეჯური ტიპის ჩასახლებებში მცხოვრებ დევნილებს საცხოვრებელი ფართები დაუკანონდებათ და კომუნალური გადასახადების გადახდა დამოუკიდებლად მოუწევთ.

კოტეჯური ტიპის ჩასახლებების (წეროვანის და მოხისის გარდა) ერთ-ერთი მოუგვარებელი საკითხი კვლავ წყლის მიწოდებასთან დაკავშირებული პრობლემაა. დევნილთა განცხადებით, დასახლებაში არის მხოლოდ 1 წყლის ჭაბურღილი, რაც ვერ უზრუნველყოფს წყლის უწყვეტ მიწოდებას. ზაფხულის პერიოდში წყლის მიწოდება უფრო პრობლემური ხდება, ვინაიდან წყალს დევნილები სარწყავად იყენებენ (სკრა, ხურვალეთი, ბერბუკი, საქაშეთი).

კიდევ ერთ მნიშვნელოვანი პრობლემა უმუშევრობაა. დევნილთათვის ძირითად შემოსავალს დევნილის ან სოციალურად დაუცველი პირის შემწეობა წარმოადგენს. შედარებით უკეთესი მდგომარეობაა ამ მხრივ დევნილთა წეროვანის ჩასახლებაში, სადაც რამდენიმე ქარხანა აშენდა და დევნილთა გარკვეული ნაწილი დასაქმდა. თუმცა, სამწუხაროდ, დევნილების უმრავლესობა კვლავ უმუშევარია.

დევნილები სახელმწიფოს მიერ მათთვის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადაცემით კმაყოფილი არიან, თუმცა მიწების უმრავლესობა ძალიან შორს არის საცხოვრებელი კოტეჯებიდან, რაც დიდ პრობლემას წარმოადგენს დევნილებისათვის.

მონიტორინგისას მთელი რიგი პრობლემები დაფიქსირდა ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობის კუთხით. კოტეჯური ტიპის რამდენიმე ჩასახლებაში არ არსებობს სამედიცინო პუნქტი. ახალსოფლისა და მოხისის შემთხვევაში კი ჩასახლებაში არც აფთიაქია, რის გამოც დევნილებს რამდენიმე კილომეტრით დაშორებულ ქალაქებში უწევთ წასვლა წამლის შესაძენად.

³¹⁴ იხ. ზევით 7, გვ.41

³¹⁵ იქვე, გვ. 41

კოტეჯური ტიპის ჩასახლებაში მცხოვრები დევნილებისათვის ერთ–ერთი აქტუალური საკითხი კოტეჯების პრივატიზაციის პროცესია. სამწუხაროდ, დევნილებისათვის ისევე, როგორც საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისათვის, უცნობია, როდის გადასცემენ შიდა ქართლში მდებარე კოტეჯებს დევნილებს საკუთრებაში.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ, სამწუხაროდ, ის პრობლემები, რომლებზეც 2010 წლის სპეციალურ ანგარიშში იყო საუბარი, დღემდე უცვლელია. მიუხედავად გარკვეული პროგრესისა, დევნილთა მდგომარეობა საცხოვრებელი პირობების მხრივ მნიშვნელოვნად არ გაუმჯობესებულა.

შესაბამისად მიმაჩნია, რომ არსებული სიტუაციის გათვალისწინებით, აუცილებელია:

- ახლად აშენებულ კოტეჯებში დაიწყოს ანგარიშში ნახსენები ყველა ხარვეზის გამოსწორება, ჩატარდეს შესაბამისი სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- კოტეჯური ტიპის ჩასახლებებში პრივატიზაციის პროცესი დაჩქარებული ტემპით განხორციელდეს და ყველა დევნილ ოჯახს დაკავებული საცხოვრებელი ფართი გადაეცეს საკუთრებაში;
- ადგილობრივი ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით სახელმწიფოს მხრიდან განხორციელდეს შესაბამისი შემოსავლის მომტანი პროექტები.

გამოსახლების/განსახლების შემდგომი მონიტორინგის შედეგები

საქართველოს სახალხო დამცველის 2010 წლის საპარლამენტო ანგარიშში დეტალურად იქნა განხილული თბილისის მასშტაბით განხორციელებული იძულებით გადაადგილებულ პირთა გამოსახლება/განსახლების პროცესი. კერძოდ, საუბარი იყო დევნილთა გამოსახლება/განსახლების ორ ტალღაზე: პირველი, რომელიც 2010 წლის ივლისი-აგვისტოს თვეში განხორციელდა და მეორე, რომელიც 2010 წლის ნოემბრის თვეში დაიწყო და 2011 წლის იანვრის თვეში დასრულდა. გამოსახლება/განსახლების პროცესს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი, პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად, აქტიურად აკვირდებოდა. გამოსახლების ორივე ტალღის დასრულების შემდეგ მონიტორინგი ჩატარდა დევნილებისათვის გრძელვადიან საცხოვრებლად შეთავაზებულ ალტერნატიული განსახლების ყველა ობიექტში, როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში. გამოვლინდა მთელი რიგი პრობლემები, რომელთა ეფექტური გადაჭრის მიზნითაც საქართველოს სახალხო დამცველმა შესაბამისი რეკომენდაციებით მიმართა შესაბამის უწყებებს.

საქართველოს სახალხო დამცველის გარდა, გამოსახლების საკითხებთან დაკავშირებით, არაერთი რეკომენდაცია გაიცა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ. გაეროს ლტოლვილთა უმაღლესმა კომისარიატმა მოუწოდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ხელი შეუწყოს დევნილებს, რათა ისინი ჩაერთონ

პროფესიული სწავლების პროგრამებში და შეუქმნას შესაბამისი პირობები, რათა მათ ხელი მიუწვდებოდეთ შემოსავლის მომტან საქმიანობაზე.³¹⁶ სამუშაო ადგილების შექმნის აუცილებლობაზე გაეროს გენერალური მდივნის წარმომადგენლის, ვოლტერ კელინის, ანგარიშშიც აღინიშნა, მისი აზრით, დევნილთა საცხოვრებელ ადგილზე ინტეგრაციის პროცესში, მთავრობის წარმომადგენლების მხრიდან მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს სამუშაო ადგილების შექმნას.³¹⁷ საქართველოს მთავრობას მსგავსი რეკომენდაციით არაერთმა სახელმწიფომაც მიმართა. კერძოდ, სახელმწიფოებმა მოუწოდეს საქართველოს მთავრობას, დევნილთა გამოსახლებისას დაიცვას საერთაშორისო სტანდარტები, განსახლების ახალ ადგილებზე დევნილები უზრუნველყონ ადეკვატური საცხოვრებლით, სამუშაო ადგილებით, განათლებაზე და ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობით.³¹⁸ Amnesty International-ის მიერ გამოქვეყნებულ 2011 წლის ანგარიშში ორგანიზაციის ერთ-ერთი რეკომენდაცია სწორედ ადეკვატური საცხოვრებლის უფლებას უკავშირდება. ორგანიზაციის აზრით, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს საერთაშორისო სამართლის პრინციპებით გარანტირებული ადეკვატური საცხოვრებლის უფლების რეალიზება ყველა გამოსახლებული დევნილისათვის.³¹⁹ საერთაშორისო ექსპერტების კვლევებიც ხაზს უსვამს სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან შემოსავლის მომტანი საქმიანობებისა და დევნილთა ეკონომიკური დამოუკიდებლობის კრიტიკულ საჭიროებას.³²⁰

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა და მასთან არსებულმა პროექტმა დევნილთა გამოსახლება/განსახლების მონიტორინგის პირველი ფაზა 2010 წლის მიწურულს – 2011 წლის დასაწყისში ჩაატარა. დაფიქსირებული პრობლემების გადაწყვეტის მიზნით, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს სახალხო დამცველმა მთელი რიგი რეკომენდაციები გასცა. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, ჩატარებულიყო განმეორებითი მონიტორინგი. მონიტორინგის მთავარი მიზანი დევნილთა განსახლების ახალ ადგილებში არსებული მდგომარეობისა და საცხოვრებელი პირობების გადამოწმება იყო. ასევე, იმის დადგენა, გამოსწორდა თუ არა ის პრობლემები, რომლებიც პირველადი მონიტორინგისას გამოვლინდა, შესრულდა თუ არა საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციები, არის თუ არა რეგიონებში პოზიტიური ძვრები ან გამოვლინდა თუ არა ახალი ტიპის პრობლემეტიკა, რომელიც პირველადი მონიტორინგისას არ დაფიქსირებულა.

განმეორებითი მონიტორინგი 2011 წლის ოქტომბრის თვეში ჩატარდა. პროექტის მონიტორინგის ვიზიტები ჰქონდათ წალენჯიხის რაიონ სოფ. ფოცხო-ეწერში, აბაშის

³¹⁶ UNHCR observations on the resumption of the IDP relocation process, UNHCR Tbilisi, February 2011.

³¹⁷ Report of the Representative of the Secretary-General on the Human Rights of Internally Displaced persons, Walter Kalin, follow-up mission to Georgia, A/HRC/16/43/add.3, 23 December 2010, para.34.

³¹⁸ Human Rights Council, A/HRC/WG.6/10/L.9, draft report of the Working Group on the Universal Periodic Review, Georgia, 3 February 2011, Recommendations 105.91 (Greece), 105.92 (Switzerland), 105.93 (United Kingdom), 105.94 (Spain), 105.95 (Netherlands).

³¹⁹ Amnesty International, 'Uprooted Again, Forced Evictions of the Internally Displaced Persons in Georgia,' 2011, p.23.

³²⁰ Erin Mooney, 'From Solidarity to Solutions: The Government Response to Internal Displacement in Georgia,' Brookings – LSE, November 2011, p. 222.

რაიონ სოფელ ნორიოში, გურჯაანის რაიონ სოფ. ბაკურციხესა და თეთრიწყაროს რაიონ სოფ. წინწყაროში.


პროცენტული მაჩვენებელი და გამოკითხული ოჯახების რაოდენობა რეგიონების მიხედვითა ასეთია:

	რაოდენობა	პროცენტი
ძვემო ქართლი	12	42.9
პახეთი	6	21.4
სამებრელო-ჯემო სვანეთი	10	35.7
სულ	28	100

როგორც ცნობილია, 2010 წლის გამოსახლება/განსახლების პროცესის მიმდინარეობისას დევნილების დიდმა ნაწილმა უარი განაცხადა სამინისტროს მიერ შეთავაზებულ ალტერნატივებზე. დევნილი ოჯახების ძალიან მცირე ნაწილი დასთანხმდა შეთავაზებულ ალტერნატივას და როგორც ჩვენი მონაცემებიდან ჩანს, მათი უმრავლესობა ძირითადად კახეთსა და ქვემო ქართლში გადასახლდა. ჩვენ მიერ დასმულ კითხვაზე, რატომ აირჩიეს დევნილებმა კონკრეტული ალტერნატიული საცხოვრებელი ფართი, პასუხად გამოკითხული ოჯახების უმრავლესობამ მონიტორებს განუცხადა, რომ შეთავაზებულ ალტერნატიულ საცხოვრებელ ფართში გადასვლის გარდა მათ სხვა გამოსავალი არ ჰქონდათ. თუმცა დევნილების ნაწილმა ისიც აღნიშნა, რომ მათი რეგიონებში განსახლება ნებაყოფლობითი არჩევანი არ ყოფილა. გარკვეულმა კატეგორიამ კი (ძირითადად საუბარია წინწყაროში განსახლებულ დევნილ ოჯახებზე) განაცხადა, რომ აღნიშნული ალტერნატივა, ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, მათი ოჯახებისათვის ყველაზე მისაღები აღმოჩნდა.

მონიტორინგისას ვცადეთ გაგვერკვია, შეთავაზების შემთხვევაში დევნილი ოჯახები დასთანხმდებიან თუ არა მიღებული საცხოვრებელი ფართის პრივატიზებაზე. გამოკითხული დევნილი ოჯახების 35.7% აცხადებს, რომ ფართის პრივატიზება არ სურს. საკმაოდ საინტერესოა ასევე რეგიონების მიხედვით მიღებული სურათი. გამოკითხვისას ცხადი გახდა, რომ სამეგრელოს რეგიონში განსახლებული დევნილების უმრავლესობა არ დასთანხმდება ფართის პრივატიზებას, ფართზე უარის თქმას გეგმავს ასევე კახეთში მცხოვრები ორი ოჯახიც.

შემოთავაზების შემთხვევაში დასთანხმდებით თუ არა მიღებული საცხოვრებელი ფართის პრივატიზებაზე?




განმეორებითმა მონიტორინგმა ცხადი გახადა, რომ ფოცხო-ეწერში მცხოვრები დევნილი ოჯახების მთავარი პრობლემა ადეკვატური საცხოვრებელი პირობების არქონაა, რაც გულისხმობს იმას, რომ დევნილ ოჯახებს არ მიუწვდებათ ხელი სამედიცინო მომსახურებაზე (ფოცხო -ეწერში კვლავაც არ არის სამედიცინო პუნქტი, ადგილზე არ არის აფთიაქი), მოწყვეტილი არიან ადმინისტრაციულ ცენტრს, ვინაიდან უჭირთ ტრანსპორტირების ღირებულების გადახდა. ასევე ხაზი გაესვა საცხოვრებელი ფართის რეაბილიტაციის ხარვეზებსაც, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ მიერ მონახულებული ყველა ობიექტი რეაბილიტირებულია, დევნილთა უმრავლესობა უკმაყოფილოა სარეაბილიტაციო სამუშაოებით. საცხოვრებელ ფართებში არის ნესტი, რაც უარყოფითად მოქმედებს მოქალაქეების ჯანმრთელობაზე. პრობლემურია ზამთრის პერიოდში გათბობის საკითხიც. თუმცა ფოცხო-ეწერში მცხოვრები დევნილებისთვის ყველაზე მწვავე პრობლემა უმუშევრობაა. მსგავსია აბაშაში განსახლებული დევნილი ოჯახის მდგომარეობაც. დევნილების განცხადებით, მთავარი, რაც მათ ინტეგრაციას უშლის ხელს უმუშევრობას უკავშირდება. აბაშაში მცხოვრები დევნილი ოჯახის განმარტებით, კი მათი უმთავრესი პრობლემა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის არქონაა.

ვინაიდან საქართველოს სახალხო დამცველის 2010 წლის ანგარიშში რეკომენდაციების ნაწილი განსახლების ადგილზე დევნილთა დასაქმების ხელშეწყობი პროგრამების


განხორციელების აუცილებლობას შეეხებოდა, შევეცადეთ გადაგვემოწმებინა, სახელმწიფოს მიერ განხორციელდა თუ არა დევნილების ამ კონკრეტული ჯგუფის მიმართ რაიმე ტიპის შემოსავლის მომტანი პროექტები. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ამგვარი ტენდენცია რეგიონებში საერთოდ არ შეინიშნება.

სახელმწიფოს მიერ ხორციელდება თუ არა რაიმე სახის შემოსავლის მომტანი პროექტი დევნილთა ინტეგრაციის ხელშეწყობასთან დაკავშირებით?



შესაბამისად, რეგიონებში განსახლებული დევნილების უმრავლესობის შემოსავლის მთავარ წყაროს კვლავ სოციალური შემწეობა წარმოადგენს.

რა წარმოადგენს თქვენი ოჯახის შემოსავლის ძირითად წყაროს?



კიდევ ერთი რეკომენდაცია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიმართ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის დევენილებისთვის გადაცემას შეეხებოდა. საქართველოს სახალხო დამცველმა არაერთხელ აღნიშნა, რომ იძულებით გადაადგილებული პირების პრობლემების გრძელვადიანი გადაწყვეტის მისაღწევად აუცილებელია განსახლების ადგილებში სხვადასხვა ტიპის დასაქმების პროგრამების განხორციელება. დევენილ ოჯახებს აუცილებლად უნდა გადაეცეთ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა და საწყის ეტაპზე ხელი შეეწყოს მის დამუშავებაში.

საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, სახელმწიფოს ძირითად მიზანს უღარიბესი ფენის და იმ პირთა მიწით უზრუნველყოფა უნდა წარმოადგენდეს, რომლებსაც ის არ გააჩნიათ. „უნდა განისაზღვროს მთავრობის მკაფიო ვალდებულებები, რომლებიც კონკრეტულ შინაარს შესძენს პირის უსაფრთხო და მშვიდობიან გარემოში ცხოვრების უფლებას, მათ შორის, კანონით უნდა დადგინდეს მიწაზე ხელმისაწვდომობა.“³²¹

არსებული სტანდარტების გათვალისწინებით, „გამოსახლების შედეგად პირი არ უნდა დარჩეს უსახლკაროდ და არ უნდა დაირღვეს მისი სხვა უფლებები. იმ შემთხვევაში, თუ გამოსახლებულ პირებს არ შეუძლიათ თავად უზრუნველყონ საარსებო სახსრები, მონაწილე სახელმწიფოებმა, ხელმისაწვდომი რესურსების ფარგლებში, ყველა სათანადო

³²¹ The Right to adequate housing (art.11(1)):13/12/91, CESCR General Comment 4, para.8(e).

საშუალება უნდა გამოიყენონ მათთვის სათანადო ალტერნატიული საცხოვრებლის უზრუნველსაყოფად, დასასახლებლად ან ნაყოფიერი მიწების გამოსაყოფად, არსებული გარემოებების გათვალისწინებით.³²²


ბაკურციხეში მცხოვრები დევნილი ოჯახები პირველადი მონიტორინგის ჩატარების დროს მიუთითებდნენ სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის არქონის შესახებ. მათი განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მათ ადგილობრივ მუნიციპალიტეტს მიმართეს, მათგან რაიმე კონკრეტული პასუხი, თუნდაც მიწის დროებით სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით, ვერ მიიღეს. განმეორებითი მონიტორინგის განხორციელებისას ცხადი გახდა, რომ დევნილთათვის სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების გადაცემის საკითხი ამ დრომდე მოუგვარებელია.

გაქვთ თუ არა სარგებლობაში გადმოცემული სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი?

იმ დევნილებს, რომელთაც დასმულ კითხვაზე უარყოფითი პასუხი

მთავარი გაგვცეს, ვკითხეთ, თუ რა იყო მათთვის მიწის არქონის


მიზეზი. პასუხი ასახულია ცხრილში:



გარდა კონკრეტული საკითხების დაზუსტებისა, მონიტორინგისას ასევე შევეცადეთ დევნილი ოჯახებისთვის დაგვესვა ზოგადი ტიპის კითხვები, რათა დაგვედგინა, რა ძირითადი პრობლემები შეექმნათ მათ განსახლების შემდგომ. კითხვა ღია ტიპის იყო, შესაბამისად, დევნილებს ჰქონდათ საშუალება, ყველა მათთვის მტკივნეული საკითხის შესახებ ესაუბრათ. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ასახულია ის ძირითადი პრობლემები, რომლებიც თბილისიდან რეგიონებში განსახლებულმა დევნილებმა წარმოჭრეს.

³²² Right to adequate Housing (art11.1): forced evictions, CESCR General Comment 7, 05.20.1997, para. 17.
261 | საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში 2011

გთხოვთ დაასახელოთ ძირითადი პრობლემა, რომელიც განსახლების შემდგომ შეგექმნათ?



მოცემული ცხრილიდან ცხადი ხდება, რომ უმუშევრობა კვლავ ყველაზე მწვავე პრობლემად რჩება. სიტუაცია უცვლელია დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მხრივ. თუ საზომად იძულებით გადაადგილებულ პირთათვის გრძელვადიანი გადაწყვეტის ჩარჩო პრინციპებში (Framework on Durable Solutions for Internally Displaced Persons)³²³ მოცემულ ინდიკატორებს ავიღებთ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ 2010 წელს განხორციელებული გამოსახლების/განსახლების პროცესის დასრულების შემდეგ რეგიონებში განსახლებული დევნილების მიმართ სახელმწიფოს გრძელვადიანი პრობლემები არ გადაუწყვეტია. არსებული საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით, განსახლების პროცესისას სახელმწიფომ ისეთი ტიპის ადგილები უნდა შეარჩიოს, სადაც დასაქმების მეტი შესაძლებლობები არსებობს, რაც, თავის მხრივ, დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური საჭიროებების დაკმაყოფილებას შესაძლებელს გახდის. ამისათვის აუცილებელია, ადგილობრივი ინფრასტრუქტურა იძლეოდეს დევნილების ძირითადი სოციალურ-ეკონომიკური საჭიროებების დაკმაყოფილების შესაძლებლობას, რაც, თავის მხრივ, სხვადასხვა სამთავრობო უწყების კოორდინირებულ მუშაობაზე დამოკიდებული.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მთელი რიგი სირთულეების გამო, პროექტის ფარგლებში არ ჩატარებულა კერძო სექტორში განსახლებულ დევნილთა მდგომარეობის მონიტორინგი. საუბარია იმ დევნილ ოჯახებზე, რომლებმაც სამინისტროს მიერ

³²³ Report of the Representative of the Secretary-General on the human rights of internally displaced persons, Walter Kalin, Addendum – Framework on Durable Solutions for Internally Displaced persons, A/HRC/13/21/Add.4, 29 December 2009.

შეთავაზებულ ალტერნატივაზე უარი განაცხადეს და კერძო სექტორში დარჩენა ამჯობინეს. სამწუხაროდ, სახალხო დამცველის აპარატს არ აქვს ზუსტი ინფორმაცია ამ კატეგორიის დევნილთა მდგომარეობის შესახებ, შესაბამისად, ისინი ვერ გადაამოწმა. საკმაოდ დაბალია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში ამ კატეგორიის დევნილების მიერ მომართვიანობის მაჩვენებელიც. თუმცა უნდა ვივარაუდოთ, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მოეპოვება ზუსტი მონაცემები გამოსახლების შემდეგ კერძო სექტორში განსახლებული დევნილი ოჯახების შესახებ. მიმაჩნია, რომ, აუცილებელია კერძო სექტორის მიმართ სახელმწიფო სტრატეგიით და სამოქმედო გეგმით გაწერილი ღონისძიებების განხორციელების ეტაპის მიმდინარეობისას ამ კატეგორიის დევნილი ოჯახები, მათი ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე, პირველ ეტაპზე დააკმაყოფილონ.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ რეგიონებში განსახლებული დევნილების მდგომარეობა 2010 წლის ანგარიშში ასახულისგან არ განსხვავდება და უკეთესობისაკენ არ შეცვლილა.

შესაბამისად, საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციები ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიმართ გამოსახლებულ დევნილებთან დაკავშირებით უცვლელი რჩება:

- დევნილთა სხვადასხვა ობიექტიდან გამოსახლებისას უზრუნველყონ „იძულებით გადაადგილებულ პირთა გრძელვადიანი საცხოვრებელი უზრუნველყოფის მიზნით გამოსახლების/სხვა საცხოვრებელში გადაყვანის სტანდარტული ოპერაციული პროცედურებით“ გაწერილი სტანდარტების დაცვა;
- სახელმწიფომ უზრუნველყოს დევნილა განსახლება ისეთ ადგილებში, სადაც მათ ხელი მიუწვდებათ საარსებო წყაროებსა და დასაქმებაზე. ადგილობრივი ინფრასტრუქტურა უნდა იძლეოდეს დევნილების ძირითადი სოციალურ-ეკონომიკური საჭიროებების დაკმაყოფილების შესაძლებლობას;
- რეგიონებში განსახლებულ დევნილებს გადაეცეთ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, ახალი განსახლების ადგილებზე განხორციელდეს დევნილთა დასაქმების ხელშემწყობი პროგრამები;

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მიუხედავად სამინისტროს მიერ წინ გადადგმული პოზიტიური ნაბიჯებისა, რომლებიც დევნილთა გრძელვადიანი დაკმაყოფილების მიზნით განხორციელდა, დღემდე არაერთი პრობლემა რჩება მოუგვრებელი, აღნიშნული კი სახელმწიფოს შესაბამისი უწყებების მხრიდან დიდ ძალისხმევას, დიდი ფინანსური რესურსების აუცილებლობასა და აქტიურ მუშაობას მოითხოვს.

ლტოლვილთა და თავშესაფრის მაძიებელთა უფლებრივი მდგომარეობა

შესავალი

2011 წლის ოფიციალური მონაცემებით, საქართველოში ლტოლვილის სტატუსის მქონე 457 პირია რეგისტრირებული.³²⁴ მიუხედავად იმისა, რომ ლტოლვილი და თავშესაფრის მაძიებელი პირები თითქმის არ მიმართავენ საქართველოს სახალხო დამცველს, აღნიშნულ პირთა უფლებრივ მდგომარეობაზე ზედამხედველობა მუდმივად ხორციელდება. 2011 წლის 25 თებერვალს საქართველოს სახალხო დამცველსა და გაეროს ლტოლვილთა უმაღლეს კომისარიატს შორის გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი, რომელიც ლტოლვილთა, თავშესაფრის მაძიებელთა და დევნილთა დაცვის სისტემის სრულყოფის მიზნით, მხარეებს შორის ინსტიტუციონალური თანამშრომლობის გაძლიერებას ითვალისწინებს.

პრაქტიკის მხრივ 2011 წელი აქტიური არ იყო, თუმცა საანგარიშო პერიოდში საქართველოს პარლამენტმა მიიღო „ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც 2012 წლის 18 მარტს შედის ძალაში. შესაბამისად, მოცემულ თავში ყურადღებას სწორედ ამ კანონის პოზიტიურ და ნეგატიურ ასპექტებზე გავამახვილებთ.

საქართველოში ლტოლვილთა და თავშესაფრის მაძიებელთა სამართლებრივ სტატუსს, მისი მინიჭების, შეწყვეტისა და შეჩერების წესებს, ამ სტატუსიდან გამომდინარე უფლებებსა და ვალდებულებებს „ლტოლვილთა შესახებ“ საქართველოს 1998 წლის კანონი განსაზღვრავდა. აღნიშნული კანონის შეუსაბამობა საერთაშორისო სტანდარტებთან არაერთხელ აისახა საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშებში.³²⁵ კერძოდ, აღნიშნული კანონის უმთავრესი პრობლემა ლტოლვილის დეფინიციის საერთაშორისო სამართლით დადგენილ სტანდარტებთან შეუსაბამობა და კანონით გათვალისწინებული სოციალური და ეკონომიკური გარანტიების ბუნდოვანი განსაზღვრებაა. მიუხედავად იმისა, რომ „ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების შესახებ“ კანონპროექტის მომზადება დროში გაჭიანურდა (მასზე

³²⁴ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ინფორმაციით, 2011 წელს ლტოლვილის სტატუსის მაძიებლად 77 პირი დარეგისტრირდა, მათგან სტატუსი 16-ს მიენიჭა. ამავე წელს საქართველოს მოქალაქეობა 226-მა ლტოლვილმა მიიღო. მათ შორის იყო 9 ისეთი პირი, რომლებსაც 2010 წელს საქართველოს მოქალაქეობის მიღებაზე უარი ეთქვა. ამასთან, 2011 წლის განმავლობაში ლტოლვილის სტატუსი წარმოშობის ქვეყანაში ნებაყოფლობით დაბრუნების გამო 19 პირს შეუწყდა.

³²⁵ „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, 2010 წ. გვ. 429, „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, 2009 წლის I ნახევარი, გვ. 165

მოსამზადებელი სამუშაოები 2008 წლიდან მიმდინარეობდა და დაახლოებით 4 წელი დასჭირდა), მიგვაჩნია, რომ მისი მიღება წინადადებული ნაბიჯია თავშესაფრის მაძიებელთა, ლტოლვილთა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა უფლებების ეფექტური რეალიზაციისთვის.

„ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების შესახებ“ საქართველოს კანონი

„ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლი განსაზღვრავს იმ პირთა წრეს, რომელსაც ენიჭება ლტოლვილის სტატუსი. კერძოდ, „ლტოლვილის სტატუსი ენიჭება პირს, რომელიც არ არის საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირი, იმყოფება საქართველოში, აქვს საფუძვლიანი შიში, რომ იგი შეიძლება გახდეს დევნის მსხვერპლი რასის, რელიგიის, აღმსარებლობის, ეროვნების, გარკვეული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილების ან პოლიტიკური შეხედულების გამო, და არ შეუძლია ან არ სურს, ამგვარი შიშიდან გამომდინარე, დაბრუნდეს თავისი წარმოშობის ქვეყანაში ან ისარგებლოს ამ ქვეყნის მფარველობით“.

1998 წლის „ლტოლვილთა შესახებ“ საქართველოს კანონი ლტოლვილის სტატუსის მინიჭებისათვის აუცილებელ პირობად უკვე განხორციელებული დევნის არსებობას აყენებდა, რაც იწვევდა მის შეუსაბამობას საერთაშორისო სამართლით დადგენილ სტანდარტებთან. მისგან განსხვავებით, ახალი კანონი სრულიად შეესაბამება 1951 წლის „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ გაეროს კონვენციის პირველ მუხლში მოცემულ ლტოლვილის დეფინიციას. კერძოდ, „ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების შესახებ“ საქართველოს კანონი ლტოლვილის სტატუსის მინიჭების ერთ-ერთ წინაპირობად დევნის საფუძვლიან შიშსაც ადგენს. ამ გარემოებას „ლტოლვილთა შესახებ“ საქართველოს 1998 წლის კანონი არ ითვალისწინებდა. რასის, რელიგიის, აღმსარებლობის, ეროვნების, გარკვეული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილების ან პოლიტიკური შეხედულების გამო დევნის საფუძვლიანი შიშის კანონით განსაზღვრა უზრუნველყოფს სახელმწიფოს მიერ საკითხის განხილვისას როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური პირობების გათვალისწინებას და მათი შეფასების საფუძველზე შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებას. აღნიშნული, თავის მხრივ, ზრდის პირისათვის ლტოლვილის სტატუსის მინიჭების შესაძლებლობას, რაც დადებითად უნდა შეფასდეს.

„ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების შესახებ“ საქართველოს კანონი ასევე აფართოებს მისი დაცვის ქვეშ მყოფ პირთა წრეს და არეგულირებს ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭების წესებს. აღნიშნული წინადადებული ნაბიჯია იმ პირთა უფლებათა უზრუნველყოფისათვის, რომლებმაც საქართველოს სახელმწიფო საზღვარი გადალახეს, ითხოვენ თავშესაფარს, მაგრამ არ აკმაყოფილებენ ლტოლვილის სტატუსის მინიჭებისთვის აუცილებელ, ამავე კანონით დადგენილ მოთხოვნებს.

მისასალმებელია ის ფაქტიც, რომ „ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების შესახებ“ საქართველოს კანონი ხელს უწყობს ოჯახის ერთიანობის პრინციპის დაცვას,

რაც ამჟამად მოქმედი კანონით არ იყო დაცული. კანონის მე-7 მუხლი ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირებს აძლევს ოჯახის გაერთიანების უფლებას. ამავე კანონის მე-6 მუხლით კი გარანტირებულია ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირის ოჯახის წევრის დაცვა მათთვის ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭებით. აღნიშნულ გარანტიებს 1998 წლის საქართველოს კანონი „ლტოლვილთა შესახებ“ არ ითვალისწინებდა.

კიდევ ერთი ასპექტი არასრულწლოვანთა დაცვის გარანტიებს ეხება. კერძოდ, „ლტოლვილთა შესახებ“ საქართველოს 1998 წლის კანონისგან განსხვავებით, „ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების შესახებ“ საქართველოს კანონმა ამ კუთხითაც გააუმჯობესა არსებული მდგომარეობა. იმ პირთა/ჯგუფთა შორის, რომლებიც თავშესაფრის მოსაპოვებლად საქართველოს სახელმწიფო საზღვარს კვეთენ, ბავშვები ერთ-ერთ ყველაზე მოწყვლად კატეგორიას მიეკუთვნებიან, მით უმეტეს, თუ ისინი საქართველოში მარტო, სრულწლოვანი ოჯახის წევრის ან ნათესავის გარეშე შემოდიან. შესაბამისად, მათი დაცვა აუცილებელია საქართველოს კანონმდებლობითა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დოკუმენტებით მათთვის გარანტირებული უფლებების ეფექტური რეალიზაციისთვის. „ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლი უზრუნველყოფს არასრულწლოვანზე მეურვის/მზრუნველის დაწესებას და ადგენს, რომ „თუ არასრულწლოვანი საქართველოში მარტო შემოვიდა, განცხადებას საქმის ყველა გარემოების და მისი საუკეთესო ინტერესის გათვალისწინებით შეიტანს არასრულწლოვანის მეურვე/მზრუნველი, რომელიც მას დაენიშნება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. სამინისტრო დაუყოვნებლივ, წერილობითი ფორმით მიმართავს შესაბამის მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს, რათა მზრუნველობის გარეშე დარჩენილ არასრულწლოვანს დაენიშნოს მეურვე/მზრუნველი, სანამ ის საქართველოში რჩება“.

ამავე კანონის თანახმად, „მზრუნველობის გარეშე დარჩენილი არასრულწლოვნისთვის ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭების პროცედურა ხორციელდება მისი ასაკის, განვითარების დონისა და გონებრივი მდგომარეობის შესაბამისად“. მისასალმებელია ის ფაქტი, რომ კანონით ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭების შესახებ განცხადების შეტანის დროს გათვალისწინებულია ბავშვის საუკეთესო ინტერესი, მისი ასაკი და განვითარების დონე. თუმცა ამ შემთხვევაში აუცილებელია ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღება უმოკლეს ვადაში, რათა არასრულწლოვანმა ისარგებლოს ყველა იმ სამართლებრივი, სოციალური და ეკონომიკური გარანტიებით, რომლებიც გამომდინარეობს მისი სტატუსიდან და ინდივიდუალური საჭიროებიდან.

პოზიტიურად უნდა შეფასდეს ის ფაქტიც, რომ „ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 თავი „ლტოლვილთა შესახებ“, საქართველოს 1998 წლის კანონთან შედარებით, დეტალურად განსაზღვრავს თავშესაფრის მაძიებლის, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირის უფლება- მოვალეობებს, მის სოციალურ და ეკონომიკურ გარანტიებს. *non refoulement*–

ის (იძულებითი დაბრუნების აკრძალვის) პრინციპი თავშესაფრისა და ლტოლვილების შესახებ საერთაშორისო სამართლის ძირითადი შემადგენელი ნაწილია. აღნიშნული პრინციპი ინტერპრეტირებულია, როგორც თავშესაფრის მამიებლის არსებითი, განუყოფელი უფლება, დაცული იყოს იმ ადგილზე იძულებითი დაბრუნებისგან, საიდანაც იგი შეიძლება იდევნებოდეს.³²⁶

საერთაშორისო სამართლის თანახმად, სახელმწიფოს აქვს ფართო დისკრეცია აკონტროლოს თავის ტერიტორიაზე უცხოელთა შემოსვლა, ცხოვრება და გასახლება. მიუხედავად ამისა, თითოეულმა სახელმწიფომ უნდა გაითვალისწინოს, რომ პირის იძულებითი დაბრუნების დროს საფრთხის წინაშე დგება ადამიანის ისეთი ძირითადი უფლებები, როგორებიცაა სიცოცხლის უფლება, თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლება, წამების, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა ან დასჯის აკრძალვის გარანტიები.

„ლტოლვილთა შესახებ“ საქართველოს 1998 წლის კანონი იძულებითი დაბრუნების აკრძალვის პრინციპს მხოლოდ ლტოლვილის სტატუსის მქონე პირთა მიმართ იყენებდა და მას თავშესაფრის მამიებლებზე არ ავრცელებდა. შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობა ვერ უზრუნველყოფდა თავშესაფრის მამიებლებს აუცილებელი დაცვით, რაც ეწინააღმდეგებოდა საერთაშორისო სამართლით დადგენილ სტანდარტებს.

მისასაღმებელია, რომ „ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლი ადგენს გარანტიებს იძულებითი დაბრუნების წინააღმდეგ და აღნიშნულ პრინციპს თავშესაფრის მამიებლებზე, ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირებზე თანაბრად ავრცელებს. ამავე მუხლის საფუძველზე, იძულებითი დაბრუნების აკრძალვის პრინციპი ვრცელდება როგორც მსხვერპლის წარმოშობის ქვეყანაზე, ისე ნებისმიერ იმ სახელმწიფოზე, „სადაც მის სიცოცხლეს ან თავისუფლებას საფრთხე ემუქრება მისი რასის, რელიგიის, აღმსარებლობის, ეროვნების, გარკვეული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილების ან პოლიტიკური შეხედულების გამო, ანდა ძალადობის, გარე აგრესიის, ოკუპაციის, შიდა კონფლიქტების, ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის ან საზოგადოებრივი წესრიგის სხვა მნიშვნელოვანი დარღვევის გამო“. ამავე მუხლის მესამე პუნქტის თანახმად, „დაუშვებელია ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირის გაძევება ან ექსტრადირება სხვა ქვეყანაში, თუ არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ ამ ქვეყანაში იგი გახდება წამების ან სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის მსხვერპლი“.

„ლტოლვილის და ჰუმანიტარული სტატუსების შესახებ“ საქართველოს კანონი ასევე განსაზღვრავს სახელმწიფოს და ადგილობრივი თვითმმართველობის იმ ორგანოებს, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ამ კანონის აღსრულებასა და პრაქტიკაში

³²⁶ The principle of *non-refoulement* of refugees in situations of armed conflict or occupation, Pablo Antonio Fernández Sánchez, Seville, 10 October 2006, p 2

იმპლემენტაციაზე. კანონით ასევე დადგენილია აღნიშნული ორგანოების ურთიერთთანამშრომლობის ვალდებულება. კერძოდ, „ლტოლვილის და ჰუმანიტარული სტატუსების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები თანამშრომლობენ საზოგადოებრივ გაერთიანებებთან, სხვა სახელმწიფოებთან, გაეროს ლტოლვილთა უმაღლეს კომისარიატთან და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან. ვინაიდან თავშესაფრის მამიებელთა, ლტოლვილთა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა უფლებათა ეფექტური დაცვა სხვადასხვა უწყების ჩართულობას მოითხოვს. კანონით გათვალისწინებული ურთიერთთანამშრომლობა დადებითად უნდა შეფასდეს.

მიუხედავად „ლტოლვილის და ჰუმანიტარული სტატუსების შესახებ“ საქართველოს კანონში გათვალისწინებული პოზიტიური მიმართულებებისა, კანონი კვლავ შეიცავს გარკვეულ **ხარვეზებს**, რომლებმაც შეიძლება შეაფერხონ კანონით დაცული პირების მიერ მათი უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობა.

კერძოდ, „ლტოლვილის და ჰუმანიტარული სტატუსების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის თანახმად, თავშესაფრის მოთხოვნა გულისხმობს პირის მიერ საქართველოში სამართლებრივი დაცვის შესახებ ზეპირად ან წერილობით გამობატულ სურვილს. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის შემთხვევაში პირი ვალდებულია 24 საათის განმავლობაში მიმართოს პირველივე სახელმწიფო ორგანოს. აღნიშნული ჩანაწერი საკმაოდ ბუნდოვანია და შესაძლოა, რამდენიმე კუთხით შექმნას პრობლემა. მისასაღებელია ის ფაქტი, რომ კანონი არ ზღუდავს ინდივიდს, მიმართოს კონკრეტულ უწყებას, თუმცა გაურკვეველია, რა მომენტიდან იწყება აღნიშნული ვადის ათვლა. აუცილებელია ათვლის წერტილი კანონმდებლობით ზუსტად განისაზღვროს, წინააღმდეგ შემთხვევაში პრაქტიკაში მან შესაძლოა გარკვეული ორაზროვნება გამოიწვიოს. მაგალითად, ამ ტიპის პრობლემა შესაძლოა წარმოიშვას იმ შემთხვევაში, როდესაც პირი ე.წ. „მწვანე საზღვარს“ კვეთს და მისთვის შესაძლოა უცნობი იყოს, სახელმწიფო ორგანოსადმი აღნიშნულ ვადაში მიმართვის ვალდებულება. კიდევ ერთი საკითხი, რომელიც აღნიშნული მუხლით დადგენილ მოთხოვნებს უკავშირდება, არის სახელმწიფო ორგანოების ინფორმირებულობა. ვინაიდან ტერმინი „სახელმწიფო ორგანო“ მრავალ უწყებას მოიცავს, მიგვაჩნია, რომ აუცილებელია მათი დროული ინფორმირება „ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების შესახებ“ კანონით დადგენილი ვალდებულების შესახებ. გასათვალისწინებელია ის ფაქტორი, რომ თავშესაფრის მამიებელი პირები განსაკუთრებულ, მოწყვლად კატეგორიას განეკუთვნებიან. შესაბამისად, მიზანშეწონილია შემუშავდეს მათთან ურთიერთობის ზოგადი სახის სახელმძღვანელო წესები, რომლებიც სახელმწიფო ორგანოების წარმომადგენლებს თავშესაფრის მამიებლებისათვის ეფექტიან მომსახურებაში დაეხმარება.

აღსანიშნავია კანონით დადგენილი წინასწარი რეგისტრაციის ვადაც. კერძოდ, „ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლი ადგენს განცხადების წინასწარი განხილვის, ანკეტირებისა და პირის თავშესაფრის მამიებლად რეგისტრაციის წესს. აღნიშნული ნორმის პირველი მუხლის

თანახმად, საქართველოში მყოფი თავშესაფრის მაძიებლის განცხადებას წინასწარ განიხილავს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო განცხადების შეტანიდან 10 დღის ვადაში. ამ პერიოდის განმავლობაში სამინისტრო ახდენს თავშესაფრის მაძიებლის ანკეტირებას და იღებს გადაწყვეტილებას მისი თავშესაფრის მაძიებლად რეგისტრაციის თაობაზე. რეგისტრაციაზე უარის თქმის შემთხვევაში თავშესაფრის მაძიებლის განცხადებაზე წყდება საქმისწარმოება და იგი არსებითად აღარ განიხილება.

ბუნდოვანია, რას ემსახურება კანონით დადგენილი თავშესაფრის მაძიებლის განცხადების წინასწარი განხილვა. ამ სფეროში არსებული საერთაშორისო სტანდარტის თანახმად, თავშესაფრის მოთხოვნის შემდეგ პირს ავტომატურად ენიჭება თავშესაფრის მაძიებლის სტატუსი და სარგებლობს ყველა იმ უფლებებითა და თავისუფლებებით, რომლებიც ამ სტატუსიდან გამომდინარეობს. თავშესაფარზე განცხადების შეტანის მომენტიდან იწყება მისთვის ლტოლვილის სტატუსის მინიჭების საკითხის გადაწყვეტის პროცედურა, რომელიც საქმის არსებით განხილვას გულისხმობს. „ლტოლვილის და ჰუმანიტარული სტატუსების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე სახელმწიფო ფაქტობრივად უფლებამოსილია პირს 10 დღის ვადაში უარი უთხრას თავშესაფრის მაძიებლის სტატუსის მინიჭებაზე, რაც სამომავლოდ გამორიცხავს მისთვის ლტოლვილის სტატუსის მინიჭებას. მსგავსი დისკრეციული უფლებამოსილების საფუძველზე სახელმწიფო უფლებამოსილია, კანონით გათვალისწინებული 6-თვიანი განხილვის ვადის ნაცვლად 10 დღეში უთხრას პირს უარი ლტოლვილის სტატუსის მინიჭებაზე. ვინაიდან ლტოლვილის სტატუსის დადგენის პროცედურა, მისი სირთულიდან გამომდინარე, სახელმწიფოს მხრიდან მრავალი ისეთი ასპექტის შესწავლასა და გაანალიზებას მოითხოვს, როგორებიცაა წარმოშობის ქვეყანაში არსებული ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ზოგადი მდგომარეობა, ლტოლვილის სტატუსის მაძიებელი პირის მდგომარეობის სუბიექტური და ობიექტური მხარე, მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლა და გაანალიზება, 10-დღიანი წინასწარი განხილვის პერიოდი, არ შეიძლება ჩაითვალოს საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების საფუძველიანი შესწავლისთვის საკმარის ვადად.

კიდევ ერთი საკითხი, რომელსაც ხაზი უნდა გაესვას, არის სტატუსის მინიჭების პროცედურისათვის დადგენილი ვადა. კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტით, განცხადების არსებითად განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების ვადა 4-იდან 6 თვემდე გაიზარდა. ამასთან, დადგენილი ვადა შეიძლება გაგრძელდეს არა უმეტეს 3 თვისა. ვინაიდან თავშესაფრის მაძიებლები საზოგადოების ერთ-ერთ ყველაზე მოწყვლად კატეგორიას განეკუთვნებიან და საჭიროებენ სახელმწიფოს მფარველობას, აუცილებელია მათთვის უმოკლეს ვადაში გახდეს ცნობილი სამინისტროს მიერ მიღებული გადაწყვეტილება. შესაბამისად, არსებითი განხილვა (რომელიც შესაძლოა 9 თვეს მოიცავდეს) აჭიანურებს აღნიშნულ პირთათვის ლტოლვილის სტატუსის მინიჭების პროცედურას.

შემდეგი საკითხი ეხება „ლტოლოვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლით გათვალისწინებულ ლტოლოვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის შეწყვეტის ან გაუქმების პროცედურას, რომლის დასრულების ვადებს კანონი არ ითვალისწინებს. ვინაიდან ლტოლოვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირების მიერ საკუთარი უფლებებით სრულყოფილად სარგებლობისთვის აუცილებელია განსაზღვრული იყოს აღნიშნული პროცედურის დასრულების ვადები, რათა დროში არ გაჭიანურდეს, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა მიმართა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლოვილთა სამინისტროს და გამოითხოვა ინფორმაცია აღნიშნული ვადების თაობაზე. სამინისტროდან მოწოდებული ინფორმაციით, ეს საკითხი შემუშავების პროცესშია.

ასევე აუცილებელია „ლტოლოვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ლტოლოვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭებისა და ამავე მუხლის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული, მიმღებ ცენტრში განთავსების, პროცედურების დადგენა, რათა 10-დღიანი წინასწარი განხილვის პერიოდში სტატუსის მაძიებელ პირებს ჰქონდეთ თავშესაფრით სარგებლობის უფლება. სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, აღნიშნული პროცედურები ასევე შემუშავების პროცესშია.

აუცილებელია ყურადღება გამახვილდეს კიდევ ერთ საკითხზე, რომელსაც ითვალისწინებს „ლტოლოვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების შესახებ“ საქართველოს კანონი. კერძოდ, კანონის თანახმად, თავშესაფრის მაძიებლებს, ლტოლოვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების მქონე პირებს აქვთ უფლება, ისარგებლონ სამედიცინო და სოციალური დახმარებით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით („ლტოლოვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 და მე-19 მუხლების პირველი პუნქტების „ვ“ ქვეპუნქტები). ჯანმრთელობის დაცვის უფლება ფუნდამენტური ხასიათისაა და აუცილებელია ადამიანის სხვა უფლებების ეფექტური რეალიზაციისათვის. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის თანახმად, თავშესაფრის მაძიებელი პირები წარმოადგენენ საზოგადოების არაპრივილეგირებულ და მოწყვლად ნაწილს, რომელსაც სახელმწიფოს განსაკუთრებული მფარველობა ესაჭიროებათ. (*M.S.S. v. Belgium and Greece, Application no. 30696/09, § 251; ECHR 2011*) (*Oršuš and Others v. Croatia, Application no. 15766/03, § 147, ECHR 2010*). შესაბამისად, აუცილებელია ლტოლოვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირები სარგებლობდნენ ყველა იმ შეღავათით, რომლებითაც სარგებლობენ ქვეყნის ტერიტორიაზე მყოფი სხვა მოწყვლადი ჯგუფები. აღნიშნულთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ, სამწუხაროდ, საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებულ ჯანდაცვის ზოგიერთ პროგრამაში (მაგ: „სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში მოსახლეობის ჯანმრთელობის დაზღვევის მიზნით გასატარებელი ღონისძიებებისა და სადაზღვევო ვაუჩერის პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 9 დეკემბრის #219 დადგენილება) აღნიშნული პირები გათვალისწინებული არ არიან და არ აქვთ ხელმისაწვდომობა სხვა მოწყვლადი ჯგუფებისთვის კანონმდებლობით გათვალისწინებულ ბენეფიტებზე.

რეკომენდაციები:

რეკომენდაციით მივმართავთ საქართველოს პარლამენტს, რათა:

- ა) შესაბამისი ცვლილებები განხორციელდეს „ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების შესახებ“ საქართველოს კანონში და გაუქმდეს კანონის მე-12 მუხლით გათვალისწინებული განცხადების წინასწარი 10-დღიანი ვადა;
- ბ) დაზუსტდეს ამავე კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული 24-საათიანი პერიოდის ათვლის საწყისი წერტილი;
- გ) დადგინდეს სახელმწიფო ორგანოებისათვის სახელმძღვანელო წესების შემუშავების ვალდებულება, რომლებიც დაეხმარება მათ თავშესაფრის მაძიებელი პირებისთვის „ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული დახმარების გაწევისას;
- დ) შემცირდეს კანონის მე-14 მუხლით დადგენილი განცხადების არსებითი განხილვის 6-თვიანი ვადა.

რეკომენდაციით მივმართავთ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრს, რათა სამინისტრომ დროულად შეიმუშაოს, „ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭების, ამავე მუხლის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული, მიმღებ ცენტრში განთავსებისა და ამავე კანონის მე-17 მუხლით გათვალისწინებული ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის შეწყვეტის ან გაუქმების პროცედურები;

რეკომენდაციით მივმართავთ საქართველოს მთავრობას, რათა ჯანმრთელობის დაცვის პროგრამებში სხვა მოწყვლად ჯგუფებთან ერთად გაითვალისწინოს თავშესაფრის მაძიებლები, ლტოლვილი და ჰუმანიტარული სტატუსების მქონე პირები;

კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის უფლებრივი მდგომარეობა

კონფლიქტის ზონაში მცხოვრებ მოქალაქეთა უფლებების დაცვის მდგომარეობა 2011 წლის განმავლობაში არ გაუმჯობესებულა. აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიები კვლავ საქართველოს მთავრობის ეფექტური კონტროლის მიღმა რჩება. არსებული რთული პოლიტიკური რეალობიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებების მდგომარეობის დეტალური შესწავლა ვერ ხერხდება. კონფლიქტურ რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობისათვის ეფექტური სამართლებრივი დაცვის მექანიზმები ხელმისაწვდომი არ არის, რასაც ადამიანის უფლებათა დარღვევის არაერთი ფაქტი სდევს თან. სამწუხაროდ, საქართველოს სახალხო დამცველი მოკლებულია უფლებათა დარღვევის კონკრეტული ფაქტების ადგილზე გადამოწმებისა და შესაბამისი რეაგირების შესაძლებლობას.

საერთაშორისო სამართლის პრინციპების თანახმად, პოლიტიკური რეალობის მიუხედავად, კონფლიქტურ რეგიონებში მცხოვრები ადამიანების უფლებები დაცული უნდა იყოს. კონფლიქტური რეგიონების ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის უფლებების დაცვის ვალდებულება პირველ რიგში ოკუპანტ სახელმწიფოს ეკისრება. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ ოკუპანტი სახელმწიფო ახორციელებს ეფექტურ კონტროლს ტერიტორიაზე, მას აქვს ვალდებულება უზრუნველყოს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციითა და დამატებითი ოქმებით გათვალისწინებული უფლებების დაცვა.³²⁷

საქართველოს მთავრობა აღიარებს პოზიტიურ ვალდებულებას, დაიცვას ადამიანის უფლებები საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ჩათვლით. თუმცა, როგორც საქართველოს დელეგაციამ აღნიშნა ადამიანის უფლებათა საბჭოს უნივერსალური პერიოდული განხილვისას, სახელმწიფო მოკლებულია პოზიტიური ვალდებულების განხორციელების შესაძლებლობას, კონფლიქტური რეგიონების მესამე ძალის მიერ ოკუპაციის გამო. საქართველოს დელეგაციამ ასევე ხაზი გაუსვა იმას, რომ რეგიონში ადამიანის უფლებების დაცვის ეფექტური მექანიზმები არ არსებობს.³²⁸ იმავე სესიაზე საქართველოს მთავრობის მიერ ეთნიკური ქართველების მიმართ დისკრიმინაციის შესახებ გაკეთდა განცხადება. მთავრობის წარმომადგენლები ადამიანის უფლებების შემდეგ დარღვევებზე მიუთითებდნენ: ეთნიკური ნიშნით ძალადობა, ძარცვა, თავისუფალი გადაადგილებისთვის ხელშეშლა, საკუთრების განადგურება, იძულებითი პასპორტიზაცია.³²⁹

³²⁷ *Cyprus v Turkey*, (application no. 25781/94), Judgment of 10 May 2001, para.77.

³²⁸ Human Rights Council, Working Group on the Universal Periodic Review, tenth session, A/HRC/WG.6/10/L.9, 3 February 2011, para.25.

³²⁹ იქვე, პარაგრაფი 27.

ცხადია, საქართველოს ტერიტორიაზე პოლიტიკური კონფლიქტების არსებობა სერიოზულ დაბრკოლებას წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ საკუთარი იურისდიქციის განხორციელებისათვის. აღნიშნულ საკითხში პროგრესის მიღწევა სამშვიდობო მოლაპარაკებებში მიღწეულ შედეგებზეა დამოკიდებული. „ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმი“ არის ერთადერთი მოლაპარაკების მექანიზმი, რომელიც აერთიანებს კონფლიქტში ჩართულ ყველა მხარეს და აძლევს მათ შესაძლებლობას, გაცვალონ ინფორმაცია ინციდენტების, სისხლის სამართლის საქმეებისა და ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებთან დაკავშირებით.³³⁰ „ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების ფარგლებში“ მიმდინარე შეხვედრების ორგანიზების ხელშეწყობა ხდება ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიისა და ეუთოს მიერ.³³¹

საერთაშორისო დონეზე მოლაპარაკებები კი ჟენევის ფორმატში მიმდინარეობს. ერთ-ერთი უკანასკნელი რაუნდი 2011 წლის 14 დეკემბერს გაიმართა. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებით, ქართული დელეგაციის მოთხოვნა იყო რეგიონში უსაფრთხოების მექანიზმების საკითხის სიღრმისეული განხილვა.³³² ოფიციალური ინფორმაციით, ყურადღება გამახვილდა საოკუპაციო ხაზების მიმდებარე ზონებში გადაადგილების უფლების შეზღუდვის ფაქტებსა და ადგილობრივი მოსახლეობის უკანონო დაკავებებზე.³³³ ჟენევის მოლაპარაკებებში ჩართულ მხარეებს გაერომ არაერთხელ მოუწოდა, მეტი ძალისხმევა გამოიჩინონ, რათა შეიქმნას გრძელვადიანი მშვიდობისათვის საჭირო გარანტიები, აღდგეს მხარეებს შორის ნდობა, უზრუნველყოფილ იქნეს ადამიანის უფლებებისა და უსაფრთხოების გარანტიების დაცვა.³³⁴ ჟენევის მოლაპარაკებების მნიშვნელობაზე გაეროს გენერალური მდივნის წარმომადგენელი ვოლტერ კელინიც მიუთითებს და აღნიშნავს, რომ კონფლიქტში ჩართულმა ყველა მხარემ უნდა გამოიყენოს როგორც ჟენევის მოლაპარაკებების ფორმატი, ასევე კომუნიკაციის სხვა არხები, რათა გადადგან შესაბამისი ნაბიჯები ადგილობრივი მოსახლეობის მდგომარეობის შესამსუბუქებლად, სანამ უფრო კომპლექსური გადაწყვეტილებების მიღწევა გახდება შესაძლებელი.³³⁵ ევროპის პარლამენტმაც მოუწოდა რუსეთსა და საქართველოს, წინაპირობების გარეშე აწარმოონ პირდაპირი მოლაპარაკებები.³³⁶ ევროპის საბჭოს გენერალური ასამბლეა კი მოუწოდებს რუსეთს, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო მთავრობებს, უზრუნველყონ

³³⁰ Human Rights Watch, 'Living in Limbo, The rights of Ethnic Georgian Returnees to the Gali District of Abkhazia,' July 2011, p.13.

³³¹ < http://www.eumm.eu/en/press_and_public_information/press_releases/2943/ >

³³² < http://www.mfa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=59&info_id=14641 >

³³³ იქვე.

³³⁴ General Assembly Resolution, A/RES/63/307, Status of Internally displaced persons and refugees from Abkhazia, Georgia, and the Tskhinvali region/South Ossetia, Georgia, 30 September 2009, para.5, <<http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N09/506/40/PDF/N0950640.pdf?OpenElement>>

³³⁵ UN news, Displaced from Ossetia conflict need more pragmatism, less politics, says U.N. representative, <<http://www.ohchr.org/en/NewsEvents/Pages/DisplayNews.aspx?NewsID=9607&LangID=E>>

³³⁶ European Parliament resolution of 17 November 2011 containing the European Parliament's recommendations to the Council, the Commission and the EEAS on the negotiations of the EU-Georgia Association Agreement, para1, sub-paragraph 'L,' <<http://www.europarl.europa.eu/sides/getDoc.do?pubRef=-//EP//TEXT+TA+P7-TA-2011-0514+0+DOC+XML+V0//EN>>

ყველა იმ პირის უსაფრთხოება, რომლებიც მათი დე-ფაქტო კონტროლის ქვეშ იმყოფებიან, იგულისხმება არა მხოლოდ სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი, არამედ ახალგორის რაიონიც.³³⁷ სამწუხაროა, რომ მოლაპარაკების მიმდინარეობის მიუხედავად, კონფლიქტურ რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობისათვის ეფექტური სამართლებრივი დაცვის მექანიზმები არ არის ხელმისაწვდომი, რასაც შედეგად ადამიანის უფლებათა დარღვევის არაერთი ფაქტი სდევს თან. როგორც უკვე აღინიშნა, არსებული რთული პოლიტიკური რეალობიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებების მდგომარეობის დეტალური შესწავლა კონფლიქტურ რეგიონებში ვერ ხერხდება.

2010 წლის სპეციალურ ანგარიშში, ”იძულებით გადაადგილებულ პირთა და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ”, საუბარი იყო ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის რელიგიის თავისუფლების დარღვევაზე.³³⁸ ანგარიშში აღინიშნა, რომ აფხაზეთში არსებულ ქართულ ტაძრებში აკრძალულია ქართულ ენაზე ღვთისმსახურება, ეთნიკურად ქართველ სასულიერო პირებს კი ფიზიკურად უსწორდებიან. 2011 წლის განმავლობაში მედიის საშუალებით ხშირად ვრცელდებოდა ინფორმაცია ქართული ეკლესია-მონასტრების, ხუროთმოძღვრების ძეგლებისა და სიწმინდეების დარბევისა და გაძარცვის თაობაზე. მართალია, საანგარიშო პერიოდი არ მოიცავს 2012 წელს, მაგრამ, საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, აუცილებელია აღინიშნოს 2012 წლის დასაწყისში მიმდინარე პროცესების შესახებ. კერძოდ, ამ პერიოდში ოკუპირებულ ტერიტორიებზე ეკლესია-მონასტრებსა და სხვა კულტურულ-ისტორიულ ძეგლებზე ქართული კვალის მიზანმიმართული წაშლის პროცესმა ინტენსიური ხასიათი მიიღო. 2012 წლის 20 იანვარს საქართველოს პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი კომისიის სხდომა სწორედ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ქართული კულტურულ-ისტორიული და რელიგიური მემკვიდრეობის არსებული მდგომარეობისა და მისი დაცვის ღონისძიებების საკითხს მიემდგვნა. კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელთა განცხადებით, აღარ არსებობს ბაგრატ მესამის ერთადერთი ფრესკული გამოსახულება, რომელიც ბედიის ტაძარში მდებარეობდა.³³⁹ მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ტერიტორიები საქართველოს ეფექტური კონტროლის მიღმა რჩება, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვის ვალდებულება, 1954 წლის ჰააგის კონვენციის თანახმად, ოკუპანტ სახელმწიფოსაც აქვს. შეიარაღებული კონფლიქტის შემთხვევაში, კულტურული ძეგლების დაცვის შესახებ კონვენციის მე-5 მუხლის თანახმად, ოკუპანტი ძალა ვალდებულია, საჭიროების შემთხვევაში „გამოიყენოს ყველა შესაძლო ზომა, რათა დაიცვას ოკუპირებულ ტერიტორიაზე

³³⁷ Council of Europe Parliamentary Assembly Resolution 1648(2009), The Humanitarian consequences of the war between Georgia and Russia, para.25, <<http://assembly.coe.int/Mainf.asp?link=/Documents/AdoptedText/ta09/ERES1648.htm>>

³³⁸ ანგარიში, გვ. 62.

³³⁹ იქვე.

არსებული კულტურული მემკვიდრეობა.³⁴⁰ UNESCO-ს 2003 წლის დეკლარაციის თანახმად, „სახელმწიფოებმა უნდა გადადგან ყველა შესაბამისი ნაბიჯი, რათა თავიდან აიცილონ, შეაჩერონ და ჩაახშონ კულტურული მემკვიდრეობის გასანადგურებლად მიზანმიმართული ყველა აქტი, სადაც არ უნდა არსებობდეს აღნიშნული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი.“³⁴¹

გარდა ძეგლების მიზანმიმართული დაზიანების ფაქტებისა, ყველაზე მწვავე პრობლემად კვლავ უსაფრთხოების გარანტიების არარსებობა და უკანონო დაკავებები რჩება. აღნიშნულს ადასტურებენ საერთაშორისო ორგანიზაციები, რომელთა ანგარიშების თანახმად, ხშირია „საზღვრის უკანონო გადაკვეთის“ ბრალდებით დაკავების ფაქტები. დაკავებულებს, როგორც წესი, ემუქრებათ ან ჯარიმა (30 000-იდან 60 000 რუბლამდე) ან ორი წლით თავისუფლების აღკვეთა.³⁴²

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს რამდენჯერმე მიმართეს პირთა გატაცებებთან დაკავშირებით. ფაქტების ნაწილი ასახულია საქართველოს სახალხო დამცველის 2010 წლის საპარლამენტო ანგარიშში. საქართველოს სახალხო დამცველს 2011 წელსაც მიმართეს გატაცებულის ოჯახის წევრებმა დახმარების თხოვნით. ზოგადი სურათი როგორც წესი, მსგავსია, განსხვავებულია მხოლოდ გატაცების ადგილი (ამ კონკრეტულ შემთხვევაში განმცხადებლის შვილი უგზო-უკვლოდ გაუჩინარდა სოფ. წეროვნიდან). გატაცების ფაქტის შესახებ ეცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროს.

როგორც ჩვენთვის არის ცნობილი, „ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის“ ფარგლებში გამართულ შეხვედრებზე მუდმივად განიხილება ოკუპირებულ ტერიტორიებზე მდებარე ციხეებში უკანონოდ თავისუფლება აღკვეთილი საქართველოს მოქალაქეების გათავისუფლების საკითხი.

2012 წლის იანვრის თვეში გავრცელდა ინფორმაცია აფხაზეთის ტერიტორიაზე გადასვლის დროს მღვდელ-მონაზონ იონას დაკავების შესახებ.³⁴³ აღნიშნული გატაცების ფაქტის შესახებ განხილვა „ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების ფარგლებში“ 2012 წლის იანვარში ჩატარებულ შეხვედრაზე შედგა.³⁴⁴ 25-დღიანი დაკავების შემდეგ მღვდელ-მონაზონი გაათავისუფლეს.³⁴⁵

გარდა ზემოაღნიშნულისა, 2011 წლის პრობლემად დარჩა ის უფლებადარღვევები, რომელზეც საქართველოს სახალხო დამცველის 2010 წლის საპარლამენტო ანგარიშში დეტალურად იყო საუბარი. კერძოდ, ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაცია,

³⁴⁰ Convention for the Protection of Cultural Property in the Event of Armed Conflict, The Hague, 14 May 1954, <<http://www.icrc.org/ihl.nsf/FULL/400>>.

³⁴¹ UNESCO Declaration concerning the International Destruction of Cultural Heritage, Resolution adopted at 21st plenary meeting, on 17 October 2003.

³⁴² იბ. ზევით 4, გვ 44.

³⁴³ <http://24saati.ge/index.php/category/news/justice/2012-02-01/24777.html>

³⁴⁴ EUMM news:

<http://www.eumm.eu/data/image_db_innova/UN_IPRM%2033_%20Press%20Release_31%20January%202012.pdf>

³⁴⁵ <<http://presa.ge/new/index.php?m=politics&AID=13241>>

თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის დარღვევა, გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვა, მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის არარსებობა, განათლებისა და საკუთრების უფლების შეზღუდვის ფაქტები.

აშკარაა, რომ კონფლიქტურ რეგიონებში არსებული ზოგადი სურათი ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით ძალიან რთულია. როგორც უკვე არაერთხელ აღინიშნა საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიშებში, ერთ - ერთ საუკეთესო გამოსავალს კონფლიქტის მშვიდობიან დარეგულირებამდე ეფექტური სადამკვირვებლო მისიების რეგიონში ყოფნა წარმოადგენს, რაც კონფლიქტის ზონაში მცხოვრები მოსახლეობის დაცვისა და უსაფრთხოების გარანტი იქნება.

საქართველოს სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ აუცილებელია როგორც ხელისუფლების, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დიპლომატიური წარმომადგენლობების მიერ გადაიდგას ქმედითი ნაბიჯები ადამიანის უფლებათა დარღვევების არსებული ფაქტების აღსაკვეთად.

სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და იძულებით გადაადგილებული პირების/ეკომიგრანტების უფლებრივი მდგომარეობა

სახალხო დამცველის 2010 წლის ანგარიშში ცალკე თავი დაეთმო სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და იძულებით გადაადგილებული პირების/ეკომიგრანტების უფლებრივი მდგომარეობას. აღნიშნული განაპირობა საკითხის აქტუალობამ და ამ სფეროში არსებულმა პრობლემებმა.

სამწუხაროდ, 2011 წლის განმავლობაში ეკომიგრანტთა უფლებრივი მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა, ვინაიდან ხელისუფლების მხრიდან რაიმე კონკრეტული ნაბიჯი ამ მიმართულებით არ გადადგმულა. 2011 წელს, ისევე, როგორც წინა წლებში, საქართველოს სახალხო დამცველისადმი სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და იძულებით გადაადგილებული პირების - ეკომიგრანტების, მომართვიანობა მაღალი დარჩა. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში შემოსული განცხადებების ანალიზი ცხადყოფს, რომ ეკოლოგიური კატასტროფებით დაზარალებული პირებისა და ეკომიგრანტების პრობლემათა უმეტესობის წარმოქმნის მთავარი მიზეზი აღნიშნულ სფეროში არსებული სისტემური პრობლემებია. კერძოდ: თითქმის არარსებული სამართლებრივი ბაზა, ფინანსური სახსრების ნაკლებობა, ეკომიგრანტთა განსახლების შემგომი ადაპტაცია-ინტეგრაციის პროგრამების არარსებობა, დახმარებათა არაერთგვაროვანი სისტემა. წლების განმავლობაში სახელმწიფოს მიდგომა ამ სფეროში იყო არამყარი, სუსტად დაგეგმილი, ცალკეულ პრობლემებზე მორგებული, რაც თავისთავად მეტყველებს იმ ფაქტზე, რომ ამ პრობლემის მიმართ სახელმწიფოს არ აქვს ერთიანი და სრულყოფილი პოლიტიკა. არ არსებობს სამართლებრივი ბაზა და ხშირად პრობლემის გადაწყვეტა ხდება არაერთგვაროვნად.

პრობლემის აქტუალობიდან გამომდინარე, საქართველოს სახალხო დამცველმა მოამზადა სპეციალური კვლევა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

1. საერთაშორისო და შიდა კანონმდებლობა

ვინაიდან საქართველოს სახალხო დამცველის 2010 წლის ანგარიშში დეტალურად იყო საუბარი საერთაშორისო და ეროვნულ კანონმდებლობაზე, აღნიშნულ ქვეთავში მოკლედ მიმოვიხილავთ საერთაშორისო პრაქტიკას და ყურადღებას გავამახვილებთ იმ ცვლილებებზე, რომლებიც 2011 წელს „იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევილითა შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელდა. ასევე საუბარი გვექნება იმ სტრუქტურების შესახებ, რომლებიც ჩართული არიან აღნიშნულ პროცესში.

საერთაშორისო დონეზე არ არსებობს სავალდებულო ძალის მქონე სამართლებრივი დოკუმენტი, რომელშიც მოცემულია ეკომიგრანტის დეფინიცია და ის ვალდებულებები, რომლებიც ეკისრება სახელმწიფოს ამ კატეგორიის პირთა სოციალური დაცვის უზრუნველსაყოფად. საერთაშორისო ორგანიზაციები სტიქიური კატასტროფების შედეგად იძულებით გადაადგილებული პირების მიმართ სხვადასხვა ტერმინოლოგიას იყენებენ. ხშირად ისინი მოიხსენიებიან, როგორც ბუნებრივი კატასტროფების შედეგად დაზარალებული პირები, სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული პირები და ა.შ. „ეკომიგრანტები“- სწორედ ეს ტერმინი გამოიყენება ქართულ ნორმატიულ აქტებში.³⁴⁶

მიგრაცია მოიცავს როგორც ქვეყნის შიდა, ისე ქვეყნის გარეთ მიგრაციას. სწორედ ქვეყნის შიგნით გადაადგილების – მიგრაციის გამომწვევი ერთ-ერთი მიზეზია ეკოლოგიური/ბუნებრივი კატასტროფები. მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) მსოფლიო მიგრაციის 2010 წლის მოხსენების თანახმად, ცვლილებები გარემოში ხშირად იწვევს არა საერთაშორისო, არამედ შიდა მიგრაციას.³⁴⁷ ამავე მოხსენების თანახმად, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც გადაადგილება ხდება გარემოში ცვლილების საფუძველზე (ან ამ ტიპის გადაადგილება მოხდება მომავალში), იგი არ უნდა იყოს განხილული და მიჩნეული განსხვავებულად გადაადგილების დანარჩენი ტიპებისაგან.³⁴⁸

გარემოში ცვლილებების შედეგად გადაადგილებულ პირთა განსაზღვრის მიზნით მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია იყენებს ტერმინს, „გარემოში ცვლილების შედეგად მიგრანტი“, შემდეგი დეფინიციით: *გარემოში ცვლილების შედეგად მიგრანტები არიან პირები (ან პირთა ჯგუფი), რომლებიც გარემოში მათ სიცოცხლეზე ან ცხოვრების პირობებზე უარყოფითად მოქმედი უეცარი ან მზარდი ცვლილებების გამო იძულებულნი არიან, დატოვონ თავიანთი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი ან აირჩიონ მისი დატოვება, როგორც დროებით, ისე მუდმივად და გადაადგილდნენ სახელმწიფოს საზღვრებს გარეთ ან მათ შიგნით.*³⁴⁹

ვინაიდან გარემოში ცვლილებების შედეგად იძულებით გადაადგილებულ პირთა მნიშვნელოვანი რაოდენობა გადაადგილდება ქვეყნის შიგნით, აუცილებელია იძულებით გადაადგილებასთან დაკავშირებით არსებული ეროვნული

³⁴⁶ „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, 42-ე მუხლი, მე-4 პუნქტი, „ვ“ ქვეპუნქტი; საქართველოს საგადასახადო კოდექსი, 82-ე მუხლი, პირველი ნაწილი, „მ“ ქვეპუნქტი. „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის #34 დადგენილება, პირველი მუხლი.

³⁴⁷ მოხსენება 2010 წლის მსოფლიო მიგრაციის შესახებ-მიგრაციის მომავალი: უნარიანობის პოტენციალის გაზრდა ცვლილებებისათვის, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია, გვ.73.

³⁴⁸ Ibid გვ 73-74

³⁴⁹ Ibid გვ 79-80

კანონმდებლობისა და პოლიტიკის დაუყოვნებლივ გაუმჯობესება და გაძლიერება, რათა სახელმწიფომ უზრუნველყოს დაზარალებულ პირთა ეფექტური დაცვა.³⁵⁰

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის, (IOM)-ის მონაცემებით, იძულებით გადაადგილებულ პირებთა შესახებ საკანონმდებლო ბაზა დაახლოებით 30 ქვეყანაშია შექმნილი. მათ შორის ერთ-ერთი არის საქართველო. თუმცა, საქართველოს ეროვნული კანონმდებლობით განსაზღვრული იძულებით გადაადგილებული პირის ცნება არ მოიცავს სტიქიური მოვლენების შედეგად იძულებით გადაადგილებულ პირს, რაც იწვევს სახელმძღვანელო პრინციპების ნაწილობრივ იმპლემენტაციას.

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის, (IOM)-ის მოხსენების თანახმად, აუცილებელია სახელმწიფოების მიერ ეფექტური ღონისძიებების გატარება შემდეგი ათი მიმართულებით:

1. მტკიცებულებების უკეთესი ბაზის შექმნა;
2. კატასტროფის რისკის შემცირება;
3. ადაპტაციის სტრატეგიის ჩამოყალიბება;
4. ევაკუაციის გეგმის მომზადება;
5. სამართლებრივ ბაზაში ხარვეზების შევსება;
6. იძულებით გადაადგილებაზე ეროვნული კანონმდებლობისა და პოლიტიკის იმპლემენტაცია;
7. ეროვნული მიგრაციის სამართლისა და პოლიტიკის გაუმჯობესება;
8. განსახლების პროაქტიული პოლიტიკის შექმნა;
9. ჰუმანიტარული დახმარების გაცემის უზრუნველყოფა;
10. განსახლების დაგეგმვა.³⁵¹

თუ ამ კრიტერიუმებს გადავხედავთ, აშკარაა, რომ რამდენიმე კრიტერიუმი ქართულ რეალობაში საერთოდ არ გამოიყენება.

სახალხო დამცველის 2010 წლის ანგარიშში დეტალურად იყო საუბარი იმ განსხვავებაზე, რომელიც არსებობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სახელმძღვანელო პრინციპებში მოცემულ იძულებით გადაადგილებულ პირთა დეფინიციასა და საქართველოს კანონში „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ მოცემულ დეფინიციის ცნებას შორის. ზემოაღნიშნულ კანონში 2011 წელს 23 დეკემბერს შევიდა ცვლილებები. ცვლილება შეეხო კანონის სათაურსაც და იგი შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ.“ რაც შეეხება დევნილის დეფინიციას, ცვლილებების შედეგად იგი კიდევ უფრო დავიწროვდა და ოკუპირებული ტერიტორიიდან გადაადგილებას დაუკავშირდა. ცვლილებების შედეგად საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირად – დევნილად

³⁵⁰ Ibid გვ 81

³⁵¹ Ibid გვ 74.

(შემდგომ – დევნილი), ჩაითვლება საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც იძულებული გახდა დაეტოვებინა თავისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი იმ მიზეზით, რომ საფრთხე შეექმნა მის ან მასთან მცხოვრები ოჯახის წევრის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან თავისუფლებას უცხო ქვეყნის მიერ ტერიტორიის ოკუპაციის, აგრესიისა და ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის გამო ან ამ კანონის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში. შესაბამისად, პრობლემა, რომელზეც 2010 წლის ანგარიშში ვსაუბრობდით, უცვლელი დარჩა.

უცვლელი დარჩა ამ სფეროში არსებული სამართლებრივი დოკუმენტაციაც, რომელშიც ყველაზე ამომწურავია „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2008 წლის 22 თებერვლის #34 დადგენილება. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროც რჩება იმ უწყებად, რომელიც პასუხისმგებელია სტიქიით დაზარალებული და იძულებით გადაადგილებული პირების მდგომარეობაზე.

პრაქტიკაში ეს მიმართულება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიგრაციის, რეპატრაციისა და ლტოლვილთა საკითხების დეპარტამენტის კომპეტენციაა. მიგრაციულ პროცესებთან დაკავშირებით დეპარტამენტის ამოცანებია: შიდა და გარე მიგრაციის პოლიტიკის განსაზღვრისა და განხორციელების შესახებ წინადადებებისა და ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება; დროებით ემიგრაციაში მყოფ საქართველოს მოქალაქეთა უფლებების დაცვა თავისი კომპეტენციის ფარგლებში; ადმინისტრაციული ხელისუფლების შესაბამის ცენტრალურ ორგანოებთან ერთად ემიგრაციაში მყოფ საქართველოს მოქალაქეთა უფლებების დასაცავად საერთაშორისო ხელშეკრულებათა მომზადებაში მონაწილეობა; შრომით მიგრაციასთან დაკავშირებული პროცესების მონიტორინგი.

შეიძლება ითქვას, რომ შეუძლებელია მსგავსი პრობლემატიკის შესწავლა შეძლოს ერთმა დეპარტამენტმა, რომლის საქმიანობის მხოლოდ ერთი ნაწილია აღნიშნულ თემაზე მუშაობა.

კიდევ ერთი ასპექტი, რომელზეც ყურადღების გამახვილებაც მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, არის მოსალოდნელი სტიქიური უბედურებების პროგნოზირება და პრევენცია. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დებულებაში განსაზღვრულია, რომ მისი ერთ-ერთი ვალდებულება სტიქიასაშიში რეგიონებიდან მოსალოდნელი მიგრაციის პროგნოზირებაა, იგი მაინც არ არის ორგანო, რომელიც ექსკლუზიურად არის ამაზე პასუხისმგებელი. გეოლოგიური პროცესების მიმდინარეობაზე კონტროლს ახორციელებს საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, გარემოს

დაცვის სააგენტო, რომელიც 2008 წლის 29 აგვისტოს შეიქმნა. სააგენტო სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისგან დამოუკიდებელი ორგანიზაციაა, რომელიც სახელმწიფო კონტროლის ქვეშ დამოუკიდებლად ახორციელებს საქმიანობას.

აღნიშნული სააგენტოს დებულების თანახმად,³⁵² მისი საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა სტიქიური გეოლოგიური პროცესების მდგომარეობის ყოველწლიური გეომონიტორინგული კვლევების სხვადასხვა დონეზე წარმოება, ხოლო სტიქიის ექსტრემალური გააქტიურებისას - შექმნილი სიტუაციის ოპერატიული შეფასება და შემარბილებელი ღონისძიებების დასახვა. ასევე, მის ვალდებულებებში შედის საქართველოს ტერიტორიაზე ჰიდრომეტეოროლოგიური და გეოლოგიური სტიქიის ზონებიდან მოსახლეობის გასახლების აუცილებლობის დადგენა, ეკომიგრანტების განსახლების არელების განსაზღვრა და შეფასება.

გარემოს ეროვნული სააგენტო ყოველწლიურად შეიმუშავებს სპეციალურ ბიულეტენებს, რომლებიც ეხება ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს. ბიულეტენის საბოლოო ვარიანტი ეგზავნება ყველა სათანადო სტრუქტურას, სამთავრობო უწყებებს, რეგიონების ხელმძღვანელებს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტს და სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებს. ასევე, საინფორმაციო ბიულეტენი თავსდება ეროვნული სააგენტოს ვებგვერდზე. სააგენტოს მიერ განხორციელებული კვლევები, სათანადო ღონისძიებების შემთხვევაში, სტიქიის მიერ მიყენებული ზიანის თავიდან აცილების საშუალებას იძლევა.

სამწუხაროდ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, 2011 წლისათვის, ისევე, როგორც წინა წლებში, სამართლებრივი კუთხით მკვეთრი ღონისძიებები არ გატარებულა. პრობლემად რჩება ეროვნულ საკანონმდებლო დონეზე ეკომიგრანტისა და სტიქიით დაზარალებულის დეფინიციის არარსებობა. ასევე, აუცილებელია საკანონმდებლო დონეზე გაიწეროს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ვალდებულება, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსათვის სტიქიის შედეგად დაზარალებულ და იძულებით გადაადგილებულ პირთა-ეკომიგრანტთა, შესახებ ინფორმაციის მიწოდების შესახებ, დაიგეგმოს და გაიწეროს ნათელი სტანდარტები და სახელმწიფო ხედვა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

2. პრაქტიკაში არსებული მიდგომა და ხარვეზები

სახალხო დამცველის 2010 წლის ანგარიშში საუბარი იყო ისეთ პრობლემებზე, როგორებიცაა დაზიანებული სახლების შეფასების საკითხი, დაზარალებების მიმართ არაერთგვაროვანი მიდგომა და განსახლების შემდგომი ადაპტაცია-ინტეგრაციის

³⁵² საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრის 2011 წლის 13 აპრილის №7 ბრძანება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – გარემოს ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“.

პროგრამების არარსებობა.³⁵³ სამწუხაროდ, ყველა ზემოაღნიშნული პრობლემა დღის წესრიგში რჩება. უფრო მეტიც, 2011 წელს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში შემოსულმა განცხადებებმა ცხადყო, რომ ძირითად პრობლემებს შორის კვლავ აქტუალურია ეკომიგრანტთათვის გადაცემული სახლების პრივატიზების, ეკომიგრანტთა და სტიქიით დაზარალებულთა ადეკვატური მონაცემთა ბაზის არარსებობის საკითხი, ფინანსური სახსრების სიმწირე და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა.

2.1 სტიქიით დაზარალებულთა და იძულებით გადაადგილებულთა მონაცემთა ბაზა

მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი ვალდებულება კანონმდებლობით არ არის გაწერილი, არსებული პრაქტიკით სტიქიით დაზარალებულთა მდგომარეობის შემოწმების შედეგად მიღებულ მონაცემებს მუნიციპალიტეტის გამგეობა უგზავნის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს. სწორედ რეგიონებიდან მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე აწარმოებს სამინისტრო სტიქიური მოვლენის შედეგად დაზარალებული პირების მონაცემთა ბაზას.

სამინისტროს მიერ მოწოდებული ოფიციალური ინფორმაციით, სტიქიით დაზარალებულების, მათ შორის – ეკომიგრანტების, რაოდენობა 35 204 ოჯახს შეადგენს. აქედან, პირველ კატეგორიას განეკუთვნება 4957 ოჯახი, მეორეს – 6050 ოჯახი, მესამე კატეგორიას – 17 925 ოჯახი და მეოთხე კატეგორიას – 6272 ოჯახი.

2011 წლის მდგომარეობით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დევენილთა და განსახლების დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, აჭარიდან სხვადასხვა რეგიონში სტიქიური უბედურებების შედეგად სულ განსახლებულია დაახლოებით 9 072 ოჯახი, რომლებიც მთლიანობაში შეადგენს 38 874 პირს.

რაც შეეხება ამჟამად აჭარაში სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული პირების რიცხვს, ოფიციალური ინფორმაციით, სტიქიის შედეგად დაზარალებულია სულ 4144 ოჯახი. აქედან:

I კატეგორიას მიეკუთვნება დაზარალებულთა 29 ოჯახი;

II კატეგორიას – 166;

III კატეგორიას – 1274;

IV კატეგორიას – 2675;

³⁵³ იხ. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ. გვ.355;

მიუხედავად იმისა, რომ მონაცემები რეალურად არსებობს, სტიქიური მოვლენებით დაზარალებული პირების პრობლემაზე ერთიანი ინფორმაციის მოძიება საკმაოდ პრობლემური საკითხია.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ინფორმაციით, სამინისტროში ამ ეტაპზე არ არსებობს ერთიანი ელექტრონული ბაზა სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ და განსახლებულ პირთა შესახებ. ამჟამად, მონაცემთა უმეტესობა დოკუმენტაციის სახით ინახება. როგორც სამინისტროდან გვეცნობა, იგეგმება მუშაობის დაწყება მონაცემთა ერთიანი ელექტრონული ბაზის შესაქმნელად, რომელიც სამინისტროში არსებულ იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევენილთა ერთიანი ელექტრონული ბაზის ანალოგი იქნება. აღნიშნული ინიციატივა თავისთავად დადებითი ტენდენციაა. მიმაჩნია, რომ აუცილებელია, რაც შეიძლება სწრაფად დასრულდეს ერთიანი მონაცემთა ბაზის ფორმირება, რაც ხელს შეუწყობს ამ საკითხზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდას.

2.2 ფინანსური უზრუნველყოფა

შესაბამისი საბიუჯეტო თანხების გარეშე შეუძლებელია ამ სფეროში არსებული პრობლემის ეფექტურად გადაჭრა. საქართველოს იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მონაცემებით, 2009 წლიდან ეკომიგრანტთა საცხოვრებელი უზრუნველყოფის მიზნით თანხების მიზერული ოდენობა გამოყოფილი, რაც შეუძლებელს ხდის ეფექტური პოლიტიკის დაგეგმვასა და შესაბამისი ქმედებების განხორციელებას. ბოლო სამი წლის განმავლობაში, სამინისტროს განმარტებით, საბიუჯეტო სახსრების არარსებობის გამო ბინების შეძენა ფაქტობრივად შეწყვეტილია, შესაბამისად, შეძენილი საცხოვრებელი სახლების რიცხვი 2011 წლისთვის არ შეცვლილა და 2004–2010 წლების მსგავსად კვლავ 1062 – ს შეადგენს.

ამ მიმართულებით ასევე მცირეა საერთაშორისო დონორების მიერ გამოყოფილი ფინანსური სახსრებიც.

სახსრების სიმწირეზეა საუბარი, ასევე, საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს“ საინფორმაციო ბიულეტენშიც. კერძოდ, ბიულეტენის თანახმად, გეომონიტორინგული კვლევები სახელმწიფო-მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში შეზღუდული ფინანსების გამო ვერ ტარდება. ამჟამად კვლევები წარმოებს მხოლოდ რეგიონალურ დონეზე, ურბანულ არეალებში სტიქიის საშიშროების მაღალი რისკის ფართობებზე. შეზღუდულად განხორციელებული გეომონიტორინგული კვლევები მთლიანობაში ვერ ასახავს ქვეყანაში შექმნილ სტიქიით გამოწვეულ გართულებებს. შესაბამისად, ვერ ხერხდება ადრეული გაფრთხილებების რთული და ეფექტური სისტემის შექმნა, რის გამოც საშიშროების ქვეშ დგება ქვეყნის

მოსახლეობისა და საინჟინრო-სამეურნეო ობიექტების ის ნაწილი, რომელიც სათანადო შეფასების მიღმა რჩება.³⁵⁴

საქართველოს 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, სახელმწიფოს #3 პრიორიტეტი იყო მიგრაციული პროცესების მიმართ ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება. აღნიშნული პრიორიტეტის ერთ-ერთი მიმართულება მიგრაციული პროცესებისადმი ერთიანი მიდგომების საფუძვლების ჩამოყალიბებასთან ერთად, ეკომიგრანტთა განსახლების ორგანიზება და ახალ საცხოვრებელ ადგილებზე მათი ადაპტაცია-ინტეგრაციის ბიუჯეტის დაგეგმვა იყო.

ბუნებრივი კატასტროფების შედეგად დაზარალებულ და იძულებით გადაადგილებულ პირებს უკავშირდება, ასევე, 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის #5 პრიორიტეტი, რომელიც საშიში ბუნებრივი პროცესების პრევენციას მოიცავს. ამ პრიორიტეტის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების უმეტესობა საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ განსახორციელებელ აქტივობებს მიეკუთვნებოდა.

რამდენიმე წლის ბიუჯეტის ანალიზისას ნათელი ხდება, რომ ბუნებრივი კატასტროფების პრევენციული ღონისძიებებისათვის საბიუჯეტო თანხები სტაბილურად გამოიყოფა. საკმარისია თუ არა ეს თანხები, ეს ჩვენი შეფასების შესაძლებლობას სცილდება. კერძოდ: 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციო და პრევენციის მიზნით ჩასატარებელი სამუშაოებისათვის გამოყოფილი თანხები შეადგენდა 6 999 5 000 ლარს;

2010 წელს ამავე მიზნით გამოიყო 14 649 9 000 ლარი;

2011 წელს – 6 500000 ათასი;

2012 წლის ბიუჯეტში ამავე მიზნით 14 6499 000 ლარი გამოიყო. იმედს ვიტოვებთ, რომ აღნიშნული დადებითი გავლენას მოახდენს მიმდინარე პროცესებზე.

რაც შეეხება უშუალოდ სტიქიური მოვლენების შედეგად იძულებით გადაადგილებულ პირთათვის შემდგომი განსახლების უზრუნველსაყოფად და მათი ადგილზე ინტეგრაციის მიზნით გამოყოფილ თანხებს, ამ კუთხით, როგორც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო აცხადებს, საბიუჯეტო სახსრები გამოყოფილი არ არის.

³⁵⁴ საინფორმაციო ბიულეტენი: „საქართველოში 2010 წლის სტიქიური გეოლოგიური პროცესების განვითარების შედეგები და პროგნოზი 2011 წლისათვის“ – სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო“;

2.3. სტიქიური მოვლენები შედეგად დაზარალებულ პირთათვის საცხოვრებელი სახლების გადაცემის პროცედურა

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დებულების³⁵⁵ თანახმად, სამინისტროს ერთ-ერთი ვალდებულება ეკომიგრანტთა განსახლების პროგრამების განხორციელება, ეკომიგრანტთა განსახლების ორგანიზებაა. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო არის უწყება, რომელიც, დებულების თანახმად, უფლებამოსილია, შეიძინოს საცხოვრებელი სახლები და გადასცეს ისინი სარგებლობაში სტიქიური მოვლენების შედეგად იძულებით გადაადგილებულ პირებს.

ამ მიმართულებით ნორმატიული ბაზა ან რაიმე სახის წერილობითი პროცედურული წესები სახელმწიფოში არ არსებობს. მიუხედავად ამისა, როგორც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროდან გვეცნობა, არსებობს პრაქტიკაში დამკვიდრებული წესები, რომელთა დაცვითაც ხორციელდება საცხოვრებელი სახლების განაწილების პროცედურა.

კერძოდ, პირველ ეტაპზე სამინისტრო ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ მიწოდებული სიების მიხედვით ახდენს იმ ოჯახების იდენტიფიცირებას, რომლებიც თანხმობის შემთხვევაში შეიძლება განსახლდნენ. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, სამინისტრო ცდილობს საცხოვრებელი სახლების განაწილებისას გაითვალისწინოს დაზარალებული ოჯახების სულადობა. სულადობა აისახება საცხოვრებელი სახლის სიდიდესა და ოთახების რაოდენობაზე. ოჯახები პირობითად რამდენიმე კატეგორიად იყოფიან:

- ა. ოჯახი, რომელიც შედგება 1–3 წევრისგან;
- ბ. ოჯახი, რომელიც შედგება 4 – 8 წევრისგან;
- გ. ოჯახი, რომელიც შედგება 9 ან მეტი წევრისგან;

თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, მსგავსი მიდგომის წერილობითი რეგულაცია არ არსებობს, შესაბამისად, არ არსებობს სამინისტროს ვალდებულება, ყოველთვის ამ პრინციპით იხელმძღვანელოს.

რაც შეეხება თავად საცხოვრებელი სახლების განაწილებას, დოკუმენტურად არც ამ შემთხვევაშია გაწერილი რაიმე სახის პროცედურა, რომელზე დაყრდნობითაც მოხდება სახლების განაწილება სტიქიური მოვლენების შედეგად იძულებით გადაადგილებული

³⁵⁵ „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2008 წლის 22 თებერვლის #34 დადგენილება

პირებისათვის. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, სახლების გადანაწილება ამჟამად ხდება შემთხვევითი შერჩევის (ლოტოს) პრინციპით.

სამინისტროს განმარტებით, მას შემდეგ, რაც მსურველ დაზარალებულ ოჯახებზე ბინები განაწილდება, იწყება მონიტორინგის ეტაპი. კერძოდ, იმ შემთხვევაში თუ ოჯახი, რომელსაც სამინისტრო შესთავაზებს ამა თუ იმ ბინას, 1,5 – 2 თვის განმავლობაში არ განსახლდება ახალ საცხოვრებელ ადგილზე, სამინისტრო აღნიშნულ ოჯახს უგზავნის წერილობით კორესპონდენციას, რომლითაც ახსენებს განსახლების ვალდებულებას და აფრთხილებს, რომ თუ დამატებით 1 თვის ვადაში ოჯახი არ ჩავა ადგილზე, მაშინ შეთავაზება დაკარგავს ძალას. სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ადგილზე ოჯახის განსახლების მონიტორინგს აწარმოებს ის ადგილობრივი თვითმმართველობა, რომლის ტერიტორიაზეც არის განთავსებული სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ პირთა დაკმაყოფილების მიზნით შერჩეული საცხოვრებელი სახლი.

ერთ–ერთი პრობლემა, რომელიც ეკომიგრანტთა განსახლებას უკავშირდება, მათი ახალ საცხოვრებელ ადგილებზე გადაყვანის თანხებია. შესაძლებელია, აღნიშნული პრობლემა არ არის დიდი მასშტაბისა, თუმცა, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტორს, რომ დაზარალებული მოსახლეობა ხშირად ერთი რეგიონიდან მეორეში (მაგ. აჭარიდან კახეთში) გადაჰყავთ, რასაც ოჯახების მძიმე ეკონომიური მდგომარეობა ემატება, მსგავსი დახმარების მნიშვნელობა აშკარა ხდება. სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ფინანსური სახსრების არქონის გამო განსახლებისას ისინი ვერ უზრუნველყოფენ ეკომიგრანტთა გადაყვანასა და მათი საყოფაცხოვრებო ნივთების გადაზიდვას. იმ შემთხვევაში, როდესაც განსახლება აჭარიდან ხდება, ხშირად ეკომიგრანტთა განსახლების ხარჯებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესაბამისი ორგანოები ფარავენ. თავისთავად, აღნიშნული პრობლემა ამ სფეროსთვის გამოყოფილი ფინანსების ნაკლებობასთანაა დაკავშირებული. მიმაჩნია, რომ აუცილებელია, დაზუსტდეს და გაიწეროს სახელმწიფოს ვალდებულება განსახლებისათვის აუცილებელი ხარჯების დაფარვის შესახებ და გამოიყოს შესაბამისი თანხები ამ ვალდებულების იმპლემენტაციისათვის.

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც ეკომიგრანტების განსახლებას უკავშირდება, მათთვის საცხოვრებელი სახლების გადაცემის სამართლებრივი ფორმაა. ისევე, როგორც ზემოაღნიშნულ შემთხვევებში, საქართველოს კანონმდებლობა არ განსაზღვრავს, სტიქიური მოვლენებით დაზარალებულ პირებს, რომელთა განსახლების აუცილებლობაც არსებობს, რა სამართლებრივი ფორმით უნდა გადაეცეთ საცხოვრებელი სახლები – სარგებლობის, განკარგვის, თუ საკუთრების უფლებით. არ არის განსაზღვრული, რა შემთხვევებში ან რა წესით არის შესაძლებელი მათთვის საცხოვრებელი სახლების პრივატიზება.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ამჟამად არც ერთ ეკომიგრანტს სახელმწიფოს მიერ მათთვის გადაცემული სახლები საკუთრებაში არ აქვს. გამონაკლისს წარმოადგენენ 1987–89 წლების სტიქიური მოვლენების შედეგად აჭარიდან და სვანეთიდან განსახლებული პირები.

დღეს დამკვიდრებული პრაქტიკით, ეკომიგრანტებისათვის საცხოვრებელი სახლის გადაცემა მოიაზრება მათი პრობლემის გრძელვადიან გადაწყვეტად. სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, საცხოვრებელი სახლების გადაცემა გარკვეული პერიოდის შემდეგ ეკომიგრანტთათვის მათ საბოლოო საკუთრებაში გადაცემას ისახავს მიზნად. თუმცა დღეისათვის არ არსებობს ერთიანი მიდგომა, თუ რა კრიტერიუმებით უნდა გადაეცეს საკუთრებაში საცხოვრებელი ეკომიგრანტს, რა პერიოდის განმავლობაში უნდა ცხოვრობდეს ადგილზე, რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს იგი. სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ამჟამად ამ მიმართულებით მუშაობა მიმდინარეობს და იგეგმება გარკვეული წესების შემუშავება.

მიმაჩნია, რომ აუცილებელია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ შესაბამის უწყებებთან კოორდინაციით შეიმუშაოს ერთიანი სტანდარტები და პროცედურა, რა შემთხვევაში და რა წესების დაცვით გადაეცემათ ეკომიგრანტებს საკუთრებაში მათთვის გადაცემული საცხოვრებელი სახლები.

2.4 ადაპტაცია–ინტეგრაციის პროგრამები

აღნიშნული საკითხი დეტალურად იყო განხილული სახალხო დამცველის 2010 წლის ანგარიშში, თუმცა მისი სიმწვავიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მასზე ყურადღების გამახვილება კიდევ ერთხელ, მით უმეტეს, რომ ამ კუთხით არც 2011 წელს გადადგმულა პოზიტიური ნაბიჯები.

პრობლემის სიმწვავის მაჩვენებელია ის ფაქტები, რომლებიც საქართველოს სახალხო დამცველმა 2011 წელს შეისწავლა. კერძოდ, სახალხო დამცველის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ სოფელ ხიხანში. მათ მოსახლეობას ახსნა – განმარტებები ჩამოართვეს, რომლებიდანაც ირკვევა, რომ ხულოს რაიონის სოფ. თხილვანიდან მოსალოდნელი მეწყრის საშიშროების გამო 2008 წელს 60–მდე ეკომიგრანტი ოჯახი მარნეულის რაიონის სოფ. ხიხანში განსახლეს. ამჟამად სოფელში 25–მდე ოჯახი ცხოვრობს, დანარჩენებმა, მოსახლეობის განმარტებით, მძიმე სოციალურ – ეკონომიკური მდგომარეობის გამო დატოვეს სოფელი.

სოფელ ხიხანში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებმა დააფიქსირეს მთელი რიგი პრობლემები, რომლებიც ეკომიგრანტთა რთულ მდგომარეობას უკიდურესად ამძიმებს. მიუხედავად წყალგაყვანილობის სისტემის

არსებობისა, სოფელს ბოლო ერთი წელიწადია არ მიეწოდება სასმელი წყალი, ამის გამო მოსახლეობა იძულებულია, სასმელი წყალი სოფლიდან რამდენიმე კილომეტრით დაშორებული წყაროდან მოიმარაგოს.

ანალოგიური პრობლემაა ბუნებრივი აირის მიწოდებასთან დაკავშირებითაც. მიუხედავად იმისა, რომ სოფელში არსებობს ბუნებრივი აირის მიწოდებისათვის საჭირო გაყვანილობა, მოსახლეობას არ მიეწოდება ბუნებრივი აირი.

ვიზიტის შედეგად ასევე გაირკვა, რომ ეკომიგრანტებისათვის გადაცემული საცხოვრებელი სახლების უმეტესობა დაზიანებულია. კერძოდ, წვიმის დროს ჩამოდის წყალი, რიგ შემთხვევებში კი სახლებს არ აქვთ ფანჯრები. წვიმებისაგან დაზიანებულია საცხოვრებელი სახლების კედლებიც.

პრობლემის გადაჭრის მიზნით საქართველოს სახალხო დამცველის აპარატიდან წერილები გაიგზავნა მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროში. პასუხად გვეცნობა, რომ იგეგმებოდა არსებული პრობლემების ეტაპობრივი გადაწყვეტა.

არსებული მდგომარეობა ცხადყოფს, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო, ფინანსების არარსებობის გამო ჯეროვნად ვერ ახორციელებს ეკომიგრანტებისათვის განსახლების შემდგომი პროგრამების შემუშავებას და პრაქტიკაში გამოყენებას, რასაც თავის მხრივ სამინისტროც ადასტურებს.

განსახლების შემდგომ ეტაპზე პრაქტიკაში ეკომიგრანტებს ადგილობრივი თვითმმართველობები ეხმარებიან მათ ხელთ არსებული რესურსების ფარგლებში.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული პირებისა და იძულებით გადაადგილებული პირების – ეკომიგრანტების, მიმართ არსებული პრაქტიკის ანალიზის შედეგად აშკარაა, რომ არსებობს პრობლემები, რომლებიც სახელმწიფოსგან ყურადღებას და ადეკვატურ რეაგირებას მოითხოვს. უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია შემუშავდეს ერთიანი სახელმწიფო მიდგომა სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის რეგულაციური დამხმარე ღონისძიებების განხორციელებასთან დაკავშირებით. ამასთან, აუცილებელია უფრო აქტიურად განხორციელდეს ის პროგრამები, რომლებმაც უნდა უზრუნველყოს ეკომიგრანტის განსახლებულ პუნქტში ადაპტაცია და რეგიონში დამკვიდრება. უნდა შემუშავდეს ეფექტური მიდგომა განსახლებული ოჯახების ცხოვრებისათვის ადეკვატური სოციალური პირობების შესაქმნელად. დაუშვებელია მსგავსი კატეგორიის ოჯახების ძირითადი შემოსავლის წყარო სახელმწიფოს სოციალური პროგრამებიდან მიღებული ფინანსური დახმარებები იყოს. ამასთან, ადეკვატური ყურადღება უნდა მიექცეს პრევენციულ ღონისძიებებს. ექსპერტული კვლევები სახელმწიფოს მისცემს შესაძლებლობას, დაგეგმოს ეფექტური ღონისძიებები, რომლებითაც შემცირდება სტიქიური მოვლენების შედეგად მიყენებული ზიანი, რაც

საბოლოოდ ეკომიგრანტებისა და სტიქიური მოვლენებით დაზარალებული პირების რიცხვს შეამცირებს.

რეკომენდაციები:

რეკომენდაციით მივმართავთ საქართველოს პარლამენტს:

ა) ეროვნულ საკანონმდებლო დონეზე ჩამოყალიბდეს ეკომიგრანტის დეფინიცია, განისაზღვროს პირთა წრე, რომელზეც გავრცელდება აღნიშნული სამართლებრივი სტატუსი.

ბ) სტიქიის შედეგად იძულებით გადაადგილებული და დაზარალებული პირების უფლებების დაცვის მიზნით ჩამოყალიბდეს სახელმწიფოს ერთიანი მიდგომა, რაც უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს საკითხის სამართლებრივ დონეზე დარეგულირებას. აუცილებელია შემუშავდეს სტიქიური უბედურების შედეგად იძულებით გადაადგილებული პირების განსახლებისა და სოციალური პირობებით უზრუნველყოფის მექანიზმი და პროცედურები;

გ) საკანონმდებლო დონეზე გაიწეროს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ვალდებულება, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსათვის სტიქიის შედეგად დაზარალებულ და იძულებით გადაადგილებულ პირთა/ეკომიგრანტთა შესახებ ინფორმაციის მიწოდების თაობაზე;

დ) გაიწეროს სახელმწიფოს ვალდებულება ეკომიგრანტთა განსახლებისათვის აუცილებელი ხარჯების დაფარვის შესახებ და გამოიყოს შესაბამისი თანხები ამ ვალდებულების იმპლემენტაციისათვის.

რეკომენდაციით მივმართავთ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრს, რათა:

ა) სამინისტროს მიერ გაიწეროს სტიქიური მოვლენებით დაზარალებულ პირთა განსახლების პროცედურული წესები/სახელმძღვანელო პრინციპები. კერძოდ, საცხოვრებელი სახლების განაწილების წესი, თავშესაფრების საკუთრებაში გადაცემის პირობები;

ბ) სამართლებრივ დონეზე შემუშავდეს ეკომიგრანტების განსახლების შემდგომი ადაპტაცია-ინტეგრაციის სტრატეგია და მოხდეს მისი ეფექტური რეალიზება პრაქტიკაში;

ბ) სამინისტრომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების დახმარებით, უზრუნველყოს სტიქიის შედეგად დაზარალებული და იძულებით გადაადგილებულ პირთა–ეკომიგრანტთა მონაცემთა ელექტრონული ბაზის ფორმირება;

გ) სამინისტრომ შესაბამის უწყებებთან კოორდინაციით, შეიმუშაოს ერთიანი სტანდარტები და პროცედურა, რა შემთხვევაში და რა წესების დაცვით გადაეცემათ ეკომიგრანტებს საკუთრებაში საცხოვრებელი სახლები.

რეკომენდაციით მივმართავთ საქართველოს მთავრობას, რათა განახორციელოს ეკომიგრანტთა საცხოვრებელი უზრუნველყოფისათვის აუცილებელი სახსრების დაანგარიშება და ეტაპობრივი გამოყოფა სახელმწიფო ბიუჯეტში;

ყოფილი სსრკ-ის მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-იდან იძულებით გადასახლებულ პირთა – მესხების უფლებრივი მდგომარეობა

შესავალი

საქართველოს სახალხო დამცველის საქმიანობის ერთ-ერთი მიმართულება ყოფილი სსრკ-ის მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-იდან იძულებით გადასახლებულ პირთა უფლებრივი მდგომარეობის შესწავლაა. საერთაშორისო დონეზე ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად საქართველოში აღნიშნულ პირთა რეპატრაციის პროცესი 2012 წლამდე უნდა დასრულებულიყო. მიუხედავად ამისა, რეპატრიანტის სტატუსის მოპოვების შესახებ განაცხადების განხილვა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროში ამ დრომდე მიმდინარეობს. აღნიშნული უწყების ინფორმაციით, რეპატრიანტის სტატუსის მოპოვების თხოვნით მას 5 841 პირმა მიმართა, რომელთაგან მხოლოდ 337-ის აპლიკაციაა განხილული.

2011 წლის განმავლობაში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისათვის სტატუსის არც ერთ მაძიებელს არ მიუმართავს. მიუხედავად ამისა, საქართველოს სახალხო დამცველი სწავლობს ამ კუთხით არსებულ მდგომარეობას. შესაბამისად, აღნიშნულ თავში ყურადღებას ყოფილი სსრკ-ის მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-იდან იძულებით გადასახლებულ პირთა რეპატრაციისთვის სახელმწიფოს მიერ გატარებულ ღონისძიებებზე გავამახვილებთ. კერძოდ, განვიხილავთ „ყოფილი სსრკ-ის მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-იდან იძულებით გადასახლებულ პირთა რეპატრაციის შესახებ“ საქართველოს 2007 წლის 11 ივლისის კანონს. მიმოვიხილავთ რეპატრიანტის სტატუსის მქონე პირთა სოციალურ – ეკონომიკურ უფლებებს, საზოგადოებაში მათი ინტეგრაციის საკითხებს და არსებულ პრაქტიკას.

1. ისტორიული მიმოხილვა

1944 წლის ბოლოს საბჭოთა კავშირის ლიდერების გადაწყვეტილებით, მესხეთში, ამჟამად სამცხე-ჯავახეთში, მცხოვრები მოსახლეობა გადასახლეს ცენტრალურ აზიაში. 1944 წლის 15–17 ნოემბერს 7 სხვა ეთნიკურ ჯგუფთან ერთად დაახლოებით 120 000 პირი გააძევეს ცენტრალურ აზიაში. დეპორტაციის შედეგად გადასახლებულმა პირებმა დაკარგეს საცხოვრებელი სახლი და სარგებლობაში არსებული ქონება. ისინი დაახლოებით ერთი თვის განმავლობაში უმძიმეს პირობებში მიემგზავრებოდნენ, რის გამოც გადასახლებულ პირთა ნაწილი გარდაიცვალა. იოსებ სტალინის გარდაცვალების შემდეგ რამდენიმე ჯგუფს პირვანდელ საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნების საშუალება მიეცა, თუმცა მესხები მათ შორის არ იყვნენ.

1989 წლის გაზაფხულსა და ზაფხულში უზბეკეთში მესხების მდგომარეობა ფერდანის მოვლენების³⁵⁶ შედეგად გაუარესდა. საბჭოთა არმიამ აღნიშნული ტერიტორიიდან 17 000 მესხის ევაკუაცია მოახდინა, 70 000 მესხმა კი უზბეკეთი ნებაყოფლობით დატოვა. სამწუხაროდ, არ არსებობს ზუსტი ინფორმაცია მსოფლიოში მესხების საერთო რაოდენობის შესახებ. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ მოძიებული ინფორმაციით, მესხების რაოდენობა დაახლოებით 400 000 შეადგენს.³⁵⁷ ამჟამად საქართველოდან იძულებით გადასახლებული პირები ძირითადად უზბეკეთში, ყაზახეთში, ყირგიზეთში, რუსეთში, უკრაინაში, აზერბაიჯანში, თურქეთსა და აშშ-ში ცხოვრობენ. მათი საცხოვრებელი პირობები განსახლების ადგილებზეა დამოკიდებული.³⁵⁸ ყაზახეთსა და ყირგიზეთში მესხები, შეიძლება ითქვას, სრულად არიან ინტეგრირებულნი როგორც საზოგადოებაში, ისე სახელმწიფო სტრუქტურებში. მსგავსი მდგომარეობაა უკრაინაში, სადაც მესხების უმრავლესობას მიღებული აქვს უკრაინის მოქალაქეობა. უფლებათა დაცვის თვალსაზრისით რთული მდგომარეობაა რუსეთსა და უზბეკეთში, რაც მესხების გარკვეული რაოდენობის აშშ-ში მიგრაციის საფუძველი გახდა.³⁵⁹

1999 წელს ევროსაბჭოს წინაშე აღებული ვალდებულებების ფარგლებში საქართველომ იკისრა ვალდებულება, გაწევრიანებიდან ორი წლის განმავლობაში საბჭოთა რეჟიმის მიერ იძულებით გადასახლებული მოსახლეობის რეპატრიაციისა და ინტეგრაციის საკითხებზე შეემუშავებინა სამართლებრივი ბაზა, რომელიც ასევე მოიცავდა საქართველოს მოქალაქეობის მიღების შესაძლებლობას. საქართველოში მესხების რეპატრიაცია ევროსაბჭოში გაწევრიანებიდან 3 წელიწადში უნდა დაწყებულიყო და 12 წელიწადში დასრულებულიყო. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 2002 წლის #1570 რეკომენდაციაში ასევე გაიცა სამართლებრივი ბაზის შემუშავებისა და მისი იმპლემენტაციის რეკომენდაცია. ამასთან, საპარლამენტო ასამბლეამ მოუწოდა საქართველოს ხელისუფლებას იმ სამართლებრივი, პოლიტიკური და ადმინისტრაციული პირობების ჩამოყალიბებისკენ, რომლებიც უზრუნველყოფდა მესხების ნებაყოფლობით რეპატრიაციას.³⁶⁰

აღსანიშნავია, რომ ამ დროის განმავლობაში დეპორტირებულ პირთა დასაბრუნებლად საქართველოს ხელისუფლებამ როგორც საკანონმდებლო, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით სხვადასხვა პოზიტიური და მნიშვნელოვანი ღონისძიება გაატარა. თუმცა, აუცილებელია კიდევ უფრო მეტი ძალისხმევა საქართველოში რეპატრიანტთა ეფექტური ინტეგრაციისათვის. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 2012 წლის 26 იანვრის საინფორმაციო ნოტის³⁶¹ თანახმად, ამ დრომდე არ არსებობს მესხების ღირსეული რეპატრიაციისთვის

³⁵⁶ 1989 წელს უზბეკეთში დაიწყო აჯანყება, რომელიც ასევე მოიცავდა მესხებზე ეთნიკური ნიშნით თავდასხმებს. შედეგად დაახლოებით 70000 მესხმა დატოვა უზბეკეთი და საბჭოთა კავშირის 7 სხვადასხვა რესპუბლიკაში გადასახლდა – ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუცია #1428 (2005); <http://www.repatriation.ge/index.php?m=30> შემოწმებულია 2012 წლის 13 თებერვალს

³⁵⁷ საქართველოს სახალხო დამცველის საანგარიშო მოხსენება, 2006 წლის მეორე ნახევარი, გვ 219; <http://www.repatriation.ge/index.php?m=30>, შემოწმებულია 2012 წლის 13 თებერვალს

³⁵⁸ საქართველოს სახალხო დამცველის საანგარიშო მოხსენება, 2006 წლის მეორე ნახევარი, გვ 219

³⁵⁹ Ibid, გვ 219–220

³⁶⁰ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 2005 წლის #1428 რეზოლუცია

³⁶¹ http://assembly.coe.int/CommitteeDocs/2012/amondoc24rev3_2011.pdf

ჩამოყალიბებული სტრატეგია. მოგვიანებით ევროპის საბჭოს ეცნობა რომ შეიქმნა უწყებათშორისი სამთავრობო საბჭო,³⁶² რომელშიც მიმდინარეობს აღნიშნული სტრატეგიის სამუშაო ვარიანტის ჩამოყალიბება. იმედს ვიტოვებთ, რომ აღნიშნული სტრატეგიის მიღება დროში არ გაჭიანურდება და იგი უზრუნველყოფს მესხების ღირსეულ რეპატრაციასა და მათ ინტეგრაციას ადგილობრივ მოსახლეობაში.

1. ყოფილი სსრკ-ის მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-იდან იძულებით გადასახლებულ პირებთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობა

2007 წლის 11 ივლისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „ყოფილი სსრკ-ის მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-იდან იძულებით გადასახლებულ პირთა რეპატრაციის შესახებ“. კანონის მიზანი აღნიშნული პირებისა და მათი შთამომავლების საქართველოში დაბრუნებისთვის სამართლებრივი მექანიზმის შექმნაა. იგი განსაზღვრავს რეპატრიანტის სტატუსის მოპოვების შესახებ განაცხადების რეგისტრაციის, მისი განხილვის პროცედურებს, რეპატრიანტის სტატუსის მინიჭების, შეჩერებისა და შეწყვეტის წესებს. კანონის თანახმად, რეპატრიანტის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა - გადაწყვეტაზე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს პასუხისმგებელი.

„ყოფილი სსრკ-ის მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-იდან იძულებით გადასახლებულ პირთა რეპატრაციის შესახებ“ კანონის მესამე მუხლის თანახმად, რეპატრიანტის სტატუსის მოსაპოვებლად შესაბამისი განაცხადის წარდგენის უფლება იძულებით გადასახლებულ პირსა და მის პირდაპირ შთამომავლებს აქვთ. მან ასევე დააწესა ვადა, რომლის განმავლობაშიც რეპატრიანტის სტატუსის მოპოვების მსურველს უნდა მიემართა განცხადებით სამინისტროსათვის. თავდაპირველად აღნიშნული ვადა 2009 წლის 1 ივლისი იყო. თუმცა მოგვიანებით, 2009 წელს კანონში განხორციელებული ცვლილებებით, იგი 2010 წლის 1 იანვრამდე გაგრძელდა.

„ყოფილი სსრკ-ის მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-იდან იძულებით გადასახლებულ პირთა რეპატრაციის შესახებ“ კანონის საფუძველზე მიღებულ იქნა სხვადასხვა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი,³⁶³ რაც წინგადადგმული ნაბიჯია როგორც

³⁶² საქართველოს მთავრობის 2011 წლის 1 მარტის #111 დადგენილება „ყოფილი სსრკ-ს მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-იდან იძულებით გადასახლებულ პირთა რეპატრაციის უწყებათშორისი სამთავრობო საბჭოს შემადგენლობისა და დებულების დამტკიცების შესახებ“.

³⁶³ „რეპატრიანტის სტატუსის მინიჭების საკითხის განხილვასთან დაკავშირებით დამატებითი მოთხოვნების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2007 წლის 17 დეკემბრის #276 დადგენილება, „რეპატრიანტის სტატუსის მაძიებლისა და მისი ოჯახის წევრების შემოსავლებისა და ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის ფორმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2007 წლის 28 დეკემბრის #299 დადგენილება, „ყოფილი სსრკ-ის მიერ 40-იან წლებში საქართველოს სსრ-იდან იძულებით გადასახლებულ პირთა რეპატრაციის შესახებ საქართველოს კანონის მიზნებისთვის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის ამსახველი დოკუმენტის ფორმის დადგენის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2008 წლის 9

საქართველოში აღნიშნულ პირთა და მათ შთამომავალთა სამართლებრივი გარანტიების შექმნისათვის, ისე საქართველოს მიერ ევროსაბჭოში გაერთიანების საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისთვის. მიუხედავად ამისა, კანონში გარკვეული ხარვეზებია, რომლებიც აფერხებს ბენეფიციართა უფლებების სრულ და ეფექტურ რეალიზაციას. აღნიშნული ხარვეზები შესაძლოა რამდენიმე ნაწილად დავყოთ:

1. რეპატრიანტის სტატუსის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილებათა მიღებასთან დაკავშირებული საკითხები;
2. რეპატრიანტის სტატუსის მქონე პირთა სოციალურ - ეკონომიკური გარანტიები;
3. რეპატრიანტის სტატუსის მქონე პირთა ინტეგრაციის საკითხები.

1.1. რეპატრიანტის სტატუსის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილებების მიღებასთან დაკავშირებული საკითხები

„ყოფილი სსრკ-ის მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-იდან იძულებით გადასახლებულ პირთა რეპატრიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის ერთ-ერთი ხარვეზი კონკრეტული ვადების არარსებობაა. კერძოდ, აღნიშნული კანონი არ განსაზღვრავს 1. ვადას, რომლის განმავლობაშიც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო და სხვა უწყებები ამზადებენ და აგზავნიან საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროში დასკვნას რეპატრიანტის სტატუსის მინიჭების მიზანშეწონილობის შესახებ და 2. ვადას, რომლის განმავლობაშიც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო იღებს გადაწყვეტილებას რეპატრიანტის სტატუსის მინიჭების შესახებ.

კერძოდ, აღნიშნული კანონის მე-6 მუხლის თანახმად, რეპატრიანტის სტატუსის მაძიებელ პირთა რეპატრიანტის სტატუსის მოპოვების შესახებ განაცხადების განხილვისა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებისთვის სამინისტრო არეგისტრირებს დოკუმენტაციას და შესასწავლად უგზავნის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საჭიროების შემთხვევაში კი – სხვა უწყებებს. აღნიშნული ორგანოები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში გასცემენ დასკვნას რეპატრიანტის სტატუსის მინიჭების მიზანშეწონილობის თაობაზე. მიუხედავად იმისა, რომ კანონით განსაზღვრულია დასაბუთებული დასკვნის გაცემის ვალდებულება, მისი მომზადებისა და სამინისტროსთვის გაგზავნის ვადები კანონმდებლობით დადგენილი არ არის. ამასთან, ამავე კანონის მე-7 მუხლის თანახმად, რეპატრიანტის სტატუსის მაძიებელ პირთა განაცხადების განხილვასთან დაკავშირებულ კანონით განსაზღვრულ პროცედურებზე არ ვრცელდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი მოთხოვნები და ვადები. სპეციალური ვადები კი არც „ყოფილი სსრკ-

იანვრის #3 დადგენილება და „რეპატრიანტის სტატუსის მქონე პირთათვის საქართველოს მოქალაქეობის გამარტივებული წესით მინიჭების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის #87 დადგენილება.

ის მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-იდან იძულებით გადასახლებულ პირთა რეპატრიაციის შესახებ“ საქართველოს კანონით და არც კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით არის გათვალისწინებული.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო რეპატრიანტის სტატუსის მინიჭების ან მასზე უარის თქმის თაობაზე დასკვნას ამზადებს შესაბამისი ორგანოებიდან ინფორმაციის გამოთხოვისა და მათი ანალიზის საფუძველზე. შედეგად გამოიცემა მინისტრის შესაბამისი ბრძანება. საქართველოს კანონი არც ამ შემთხვევაში ადგენს კონკრეტულ ვადას. იგი მხოლოდ განსაზღვრავს, რომ სტატუსთან დაკავშირებით ბრძანების გამოცემიდან 20 დღის ვადაში რეპატრიანტის სტატუსის მადიებელ პირს ეცნობება რეპატრიანტის სტატუსის მინიჭების ან მასზე უარის თქმის შესახებ.

აღნიშნულთან დაკავშირებით საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროდან გამოთხოვა ინფორმაცია რეპატრიანტის სტატუსის მოსაპოვებლად განაცხადის განხილვის ვადების თაობაზე. სამინისტროს ინფორმაციით, რეპატრიანტის სტატუსის მოსაპოვებლად განაცხადის განხილვის ვადები არც ერთ დოკუმენტში განსაზღვრული არ არის.

იმდენად, რამდენადაც ყოფილი სსრკ-ის მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-იდან იძულებით გადასახლებული პირები მოწყვლად კატეგორიას განეკუთვნებოდნენ, მიგვაჩნია, რომ მათი განაცხადების განხილვის გონივრული ვადების დადგენა აუცილებელია.

მეორე პრობლემა, რომელიც უნდა აღინიშნოს, სასამართლოსადმი მიმართვას უკავშირდება. კერძოდ, „ყოფილი სსრკ-ის მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-იდან იძულებით გადასახლებულ პირთა რეპატრიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, რეპატრიანტის სტატუსის მინიჭების ან მასზე უარის თქმის თაობაზე გამოცემულ ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტზე არ ვრცელდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე მუხლის და 178-ე მუხლის მე-3 ნაწილი. აღნიშნული ნორმებით განსაზღვრულია ადმინისტრაციულ – სამართლებრივი აქტის გასაჩივრებისა და სასამართლოსთვის მიმართვის უფლება. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ამ ტიპის სამართლებრივი ბერკეტი არც ერთ სავალდებულო ძალის მქონე დოკუმენტში არ არის განსაზღვრული. ამდენად, რეპატრიანტის სტატუსის მადიებელი პირები მოკლებულნი არიან სამართლებრივი დაცვის ეფექტურ მექანიზმს და სტატუსთან დაკავშირებით გადაწყვეტილების გასაჩივრების კუთხით მათ არ აქვთ ხელმისაწვდომობა სასამართლოზე.

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს“. აღნიშნული ნორმა უზრუნველყოფს უფლებებისა და კანონიერი ინტერესების სასამართლოს

მეშვეობით დაცვას.³⁶⁴ ამასთან, უფლება შეიძლება გარანტირებული იყოს როგორც შიდა კანონმდებლობით, ისე საერთაშორისო დოკუმენტებით. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თანახმად, „სამართლიანი სასამართლოს უფლება წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს მექანიზმს, რომელიც აწესრიგებს ინდივიდსა და სახელმწიფოს, ასევე, კერძო პირებს შორის არსებულ სადავო ურთიერთობებს“.³⁶⁵

რეგიონულ დონეზე სამართლიანი სასამართლოს უფლება უზრუნველყოფილია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში *Golder vs UK*³⁶⁶ დაადგინა, რომ კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებულია სასამართლოზე ხელმისაწვდომობის უფლება. მხარეებს შორის დავა შეიძლება ეხებოდეს როგორც კანონს, ისე ფაქტს.³⁶⁷ ამასთან, დავა შესაძლოა ეხებოდეს არა რომელიმე კონკრეტული უფლების არსებობას, არამედ მის მასშტაბს ან იმას, თუ რამდენად შეუძლია ბენეფიციარს უფლებით სარგებლობა.³⁶⁸

„ყოფილი სსრკ-ის მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-იდან იძულებით გადასახლებულ პირთა რეპატრაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზანი ისტორიული სამართლიანობის აღდგენა, გადასახლებულ პირთა ღირსეული და ნებაყოფლობითი დაბრუნებაა. შესაბამისად, იძულებით გადასახლებულ პირთა საქართველოში დაბრუნება სახელმწიფოს ვალდებულებაა და არა მისი კეთილი ნების გამოვლენა. მიუხედავად იმისა, რომ ამა თუ იმ სტატუსის მინიჭების გადაწყვეტისას სახელმწიფოს ფართო დისკრეცია აქვს, აღნიშნული არ გულისხმობს სახელმწიფოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე სასამართლო კონტროლის არარსებობას.³⁶⁹ იმ შემთხვევაში, თუ რეპატრიანტის სტატუსის მინიჭების კანონიერება არ დაექვემდებარება სასამართლოს კონტროლს, სახელმწიფომ, ამ შემთხვევაში კი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ, შესაძლოა დაუსაბუთებელი ან არასწორი გადაწყვეტილება მიიღოს. ამასთან, ბუნდოვანია, რა ლეგიტიმურ მიზანს ემსახურება აღნიშნული შეზღუდვა, რაც მის პროპორციულობასაც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს.

შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ რეპატრიანტის სტატუსის მინიჭების პროცესის ეფექტურად წარმართვისათვის აუცილებელია, დადგინდეს რეპატრიანტის სტატუსის მინიჭების ან მასზე უარის თქმის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების გონივრული ვადები და რეპატრიანტის სტატუსის თითოეულ მამიებელ პირს მიეცეს მის მიმართ მიღებული უარყოფითი გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობა.

³⁶⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2009 წლის 27 აგვისტოს #1/2/434 გადაწყვეტილება გვ. 7

³⁶⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების ქეთევან ერემადისა და ბესარიონ ზოიძის განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2009 წლის 27 აგვისტოს #1/2/434 გადაწყვეტილების მოტივაციის ნაწილთან დაკავშირებით; გვ 21

³⁶⁶ *Golder vs UK* A 18 (1975); 1 EHRR 524 PC

³⁶⁷ *Albert and Le Compte vs Belgium* A 58 (1983); 5 EHRR 533 PC

³⁶⁸ *Le Compte, Van Leuven and De Meyere vs Belgium* A 43 (1981); 4 EHRR 1 Para 49 PC

³⁶⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2009 წლის 27 აგვისტოს #1/2/434

გადაწყვეტილება, გვ 16

1.2 რეპატრიანტის სტატუსის მქონე პირთა სოციალურ – ეკონომიკური უფლებები, მათი საზოგადოებაში ინტეგრაცია

მესხების ისტორიულ სამშობლოში დაბრუნების პროცესში მნიშვნელოვანი საკითხია სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირება და ბიუჯეტში შესაბამისი ფინანსების მობილიზება მათი ინტეგრაციის მიზნით. საზოგადოებაში მათი სრულფასოვანი ინტეგრირებისათვის სახელმწიფოში უნდა არსებობდეს ეფექტური მოკლევადიანი და გრძელვადიანი პროგრამები.

„ყოფილი სსრკ-ის მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-იდან იძულებით გადასახლებულ პირთა რეპატრიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის პრეამბულით დადგენილია, რომ კანონით დადგენილი რეპატრიაციის სისტემა მესხების ღირსეული და ნებაყოფლობითი დაბრუნების პრინციპს ეფუძნება. მოცემული ნორმის თანახმად, სახელმწიფო იღებს ვალდებულებას, დაბრუნებული მესხები უზრუნველყოს იმ სოციალურ – ეკონომიკური პირობებით, რომლებიც საკმარისი იქნება მათი ღირსეული ცხოვრების დონის უზრუნველსაყოფად. სახელმწიფომ ასევე უნდა გადადგას ნაბიჯები რეპატრიანტების სამოქალაქო ინტეგრაციის მიმართულებით. მსგავსი ტიპის ვალდებულებები დაკავშირებულია ქვეყანაში არსებულ რესურსებთან. სოციალურ-ეკონომიკური ვალდებულებები სახელმწიფომ შეიძლება ეტაპობრივად განახორციელოს გრძელვადიანი სამოქმედო გეგმის შემუშავებით.

რეპატრიანტების სოციალური უზრუნველყოფის, მათი განსახლებისა და ინტეგრაციის ღონისძიებების თაობაზე საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიმართა. სამინისტროდან მიღებული კორესპონდენციით ირკვევა, რომ რეპატრიანტებისთვის არ არის გათვალისწინებული სტატუსიდან გამომდინარე რაიმე სოციალური დახმარების პროგრამები. რაც შეეხება რეპატრიანტების ინტეგრაციას, ამ მიმართულებით შესაბამისი პროგრამები შემუშავების სტადიაშია. მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, აღნიშნულ საკითხებზე აქტიურად მუშაობს 2011 წლის 1 მარტს საქართველოს მთავრობის #111 დადგენილებით შექმნილი „ყოფილი სსრკ-ს მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-იდან იძულებით გადასახლებულ პირთა რეპატრიაციის უწყებათაშორისი სამთავრობო საბჭო“. იმედს ვიტოვებთ, რომ ამ კუთხით ეფექტური და ადეკვატური ღონისძიებები გატარდება.

სამწუხაროდ, „ყოფილი სსრკ-ის მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-იდან იძულებით გადასახლებულ პირთა რეპატრიაციის შესახებ“ საქართველოს კანონი და მის საფუძველზე მიღებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები არ ითვალისწინებენ რეპატრიანტებისთვის რაიმე სახის სოციალურ დახმარებას. აღნიშნულს ადასტურებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროდან მიღებული პასუხი. უდავოა, რომ სახელმწიფოს აქვს დისკრეცია რეპატრიანტებისათვის სოციალური უზრუნველყოფის პირობების შეთავაზების პროცესში, თუმცა ხელისუფლების შესაბამის ორგანოებს, არსებული რესურსებისა და კონკრეტული მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებების გათვალისწინებით, შეუძლიათ დამოუკიდებლად განსაზღვრონ სოციალური დახმარებების ფორმა და მისი

გაცემის პირობები, რაც სახელმწიფოს ხელშემწყობი გარემოება უნდა იყოს რეპატრიანტების ღირსეული ცხოვრების დონის უზრუნველყოფისათვის.

რაც შეეხება ინტეგრაციას, ამ შემთხვევაშიც არც სპეციალური კანონი³⁷⁰ და არც მის საფუძველზე მიღებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები არ ითვალისწინებენ მსგავს ღონისძიებებს. თუმცა დადებითად უნდა შეფასდეს ის ფაქტი, რომ 2011 წელს შექმნილი ყოფილი სსრკ-ს მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-იდან იძულებით გადასახლებულ პირთა რეპატრიაციის უწყებათმორისი სამთავრობო საბჭოს საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიზანი სწორედ მესხების საინტეგრაციო პროექტების შემუშავებაა. ვინაიდან 2011 წლისათვის რეპატრიანტების საინტეგრაციო პოლიტიკა შემუშავების პროცესშია, შეუძლებელია ამ მიმართულებით რაიმე კონკრეტული შეფასების გაკეთება. ამდენად, ყურადღებას იმ მნიშვნელოვან საკითხებზე გავამახვილებთ, რომლებიც ინტეგრაციის პოლიტიკის შემუშავების დროს უნდა იქნეს გათვალისწინებული.

რეპატრიანტების ინტეგრაცია რამდენიმე მიმართულებით შეიძლება განვიხილოთ. კერძოდ:

- ეკონომიკური ინტეგრაცია და დასაქმება;
- სოციალური ინტეგრაცია და განათლება;
- პოლიტიკური ინტეგრაცია და საზოგადოებრივი აქტივობა.

ეს მიმართულებები მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან და მათი სრული რეალიზაცია მესხების ღირსეული დაბრუნების წინაპირობად შეიძლება მივიჩნიოთ.

ეკონომიკური ინტეგრაციის დროს ქვეყანაში უნდა არსებობდეს ეკონომიკური გარემო, რომელიც უზრუნველყოფს რეპატრიანტების დასაქმებისათვის სათანადო პირობების შექმნას, რაც საშუალებას მისცემს მათ დამოუკიდებლად უზრუნველყონ ოჯახის კეთილდღეობა. ამავდროულად, რეპატრიანტების ინტეგრაციის პროცესში ყურადღება უნდა დაეთმოს მათ სოციალურ ინტეგრაციასა და განათლებას. განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს ენის ბარიერის დაძლევაზე. სახელმწიფომ უნდა შეიმუშავოს სპეციალური პროგრამები, რომელთა საფუძველზეც რეპატრიანტ პირებს, საჭიროების შემთხვევაში, ექნებათ შესაძლებლობა შეისწავლონ ქართული ენა. აუცილებელია, რომ არასრულწლოვნებისთვის ხელმისაწვდომი იყოს ზოგადი განათლება. ამასთან, მათ უნდა ჰქონდეთ პროფესიული განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობები, რაც მათ დასაქმების, პოლიტიკურ ცხოვრებაში ან სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებში საქმიანობის უკეთეს შესაძლებლობას მისცემთ. პოლიტიკური ინტეგრაციის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია რეპატრიანტების ჩართულობა სამთავრობო ორგანოების საქმიანობასა და სამოქალაქო საზოგადოებაში.

საჭიროა, რომ სახელმწიფოს შესაბამისმა ორგანოებმა რეპატრიანტების საინტეგრაციო პოლიტიკის შემუშავების პროცესში გაითვალისწინონ ყველა მოსალოდნელი დაბრკოლება და დაბრუნებულ მესხებს ხელი შეუწყონ საზოგადოების სრულყოფილებიან წევრებად ჩამოყალიბებაში.

³⁷⁰ „ყოფილი სსრკ-ის მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-იდან იძულებით გადასახლებულ პირთა რეპატრიაციის შესახებ“ საქართველოს კანონი

2. ყოფილი სსრკ-ის მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-იდან იძულებით გადასახლებულ პირებთან დაკავშირებით არსებული პრაქტიკა

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ინფორმაციით, სამინისტროს რეპატრიაციის მოთხოვნით 5 841 პირმა მიმართა. ამ ეტაპზე 337 აპლიკაციაა განხილული. რეპატრიანტის სტატუსის მიენიჭა 333 აპლიკანტს, ორმა პირმა უარი განაცხადა სტატუსის მიღებაზე, ერთი პიროვნება გარდაიცვალა, ერთი კი საქართველოს მოქალაქე აღმოჩნდა.

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, რეპატრიანტის სტატუსის მიღების მსურველებს დაბრკოლებები თავდაპირველად საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროში განაცხადების წარდგენისას ჰქონდათ.

კერძოდ, „ყოფილი სსრკ-ის მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-იდან იძულებით გადასახლებულ პირთა რეპატრიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, რეპატრიანტის სტატუსის მოპოვების შესახებ განაცხადთან ერთად უნდა წარედგინათ შესაბამისი დოკუმენტაცია, რომელიც აუცილებელია რეპატრიანტის სტატუსის მოპოვების შესახებ განაცხადის რეგისტრაციის, მისი განხილვისა და შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად. აღნიშნული დოკუმენტები წარდგენილი უნდა ყოფილიყო ქართულ ან ინგლისურ ენაზე. იმ შემთხვევაში, თუ დოკუმენტი სხვა ენაზე იყო შედგენილი, აუცილებელი იყო მისი თარგმნა (ქართულ ან ინგლისურ ენაზე) და სათანადო წესით დამოწმება.

როგორც ცნობილია, რეპატრიანტის სტატუსის მოპოვების მსურველთა უმრავლესობა რუსულენოვანი ქვეყნებიდან მოდის. სამწუხაროდ, დოკუმენტაციის თარგმნისა და მათი ნოტარიულად დამოწმების შესაძლებლობა ოჯახთა გარკვეულ რაოდენობას არ ჰქონდა.³⁷¹

შემდგომი ბარიერი იმ დოკუმენტების წარდგენა იყო, რომლებიც ამტკიცებდა, რომ ბენეფიციართა წინაპრები 1944 წელს გადასახლებული პირები იყვნენ. რეპატრიაციის ხელშეწყობის საერთაშორისო ფონდის ინფორმაციით, განაცხადების 90 პროცენტი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ ხარვეზების გამო არ მიიღო.³⁷²

აღსანიშნავია კიდევ ერთი ფაქტორი, რომელიც მესხების მიგრაციას უკავშირდება. კერძოდ, მესხებმა საქართველოში დაბრუნება 1960–80 წლებში დაიწყეს.³⁷³ 2005 წლის კვლევის თანახმად, მათი რაოდენობა 592-ს შეადგენდა და ისინი იმერეთსა და გურიაში იყვნენ განსახლებულები.³⁷⁴ ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, მესხების გარკვეული რაოდენობა თვითნებურად შემოვიდა საქართველოს ტერიტორიაზე. რიგ შემთხვევებში მათ მიიღეს

³⁷¹ მაია წიკლაური, „მესხები ყურადღების მიღმა“, საზოგადოება, 18 იანვარი 2011 წ. გვ. 3

³⁷² Ibid, გვ. 4

³⁷³ <http://www.repatriation.ge/index.php?m=30> შემოწმებული 2012 წლის 13 თებერვალს

³⁷⁴ Ibid

საქართველოს მოქალაქეობა. არის შემთხვევები, როდესაც რეპატრიანტის სტატუსის მინიჭების თხოვნით მათ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსთვის არ მიუმართავთ (აღნიშნულმა პირებმა არც ის იციან, საჭიროა თუ არა „ყოფილი სსრკ-ის მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-იდან იძულებით გადასახლებულ პირთა რეპატრიაციის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი დოკუმენტაციის შეტანა სამინისტროში რეპატრიანტის სტატუსის მინიჭებისთვის).

საქართველოში აღნიშნულ პირთა არარეგულარული მიგრანტების სტატუსით ცხოვრების თავიდან ასაცილებლად (პირები, რომლებიც სახელმწიფოში საიმიგრაციო ნორმების დარღვევით იმყოფებიან) აუცილებელია, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ, შესაბამისი სახელმწიფო უწყებების, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების დახმარებით, მოიძიოს აღნიშნული პირები და მისცეს მათ საშუალება, დაარეგულირონ და კანონის ფარგლებში მოაქციონ საქართველოში მათი ყოფნის საფუძველი/სტატუსი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სახელმწიფომ მთელი რიგი მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-იდან იძულებით გადასახლებულ პირთა რეპატრიაციისთვის. მიუხედავად ამისა, „ყოფილი სსრკ-ის მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-იდან იძულებით გადასახლებულ პირთა რეპატრიაციის შესახებ“ საქართველოს კანონი, ისევე, როგორც სახელმწიფოს პრაქტიკა, დახვეწას საჭიროებს. რეპატრიანტის სტატუსის მოპოვების შესახებ განაცხადის განხილვისთვის გონივრული ვადებისა და მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობის არარსებობამ შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს რეპატრიანტის სტატუსის მინიჭების მსურველი პირების უფლებებითა და თავისუფლებებით ეფექტურ სარგებლობაზე. იმედს ვიტოვებთ, რომ სახელმწიფო ეფექტურ ნაბიჯებს გადადგამს არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად და საზოგადოებაში რეპატრიანტების ეფექტური ინტეგრაციისათვის შესაბამის ზომებს მიიღებს.

რეკომენდაციები:

დროულად შემუშავდეს მესხების საინტეგრაციო პოლიტიკის გეგმა (ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური კუთხით) და შესაბამისი პროგრამები;

შემუშავდეს რეპატრიანტების საჭიროებაზე მორგებული შესაბამისი გრძელვადიანი ან/და მოკლევადიანი სოციალური პროგრამები;

საქართველოს პარლამენტმა განახორციელოს სათანადო ცვლილებები „ყოფილი სსრკ-ის მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-იდან იძულებით გადასახლებულ პირთა რეპატრიაციის შესახებ“ საქართველოს კანონში, რათა:

ა. განისაზღვროს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სხვა უწყებების მიერ რეპატრიანტის სტატუსის მინიჭების მიზანშეწონილობის შესახებ დასკვნის მომზადების ვადა;

ბ. განისაზღვროს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ რეპატრიანტის სტატუსის მინიჭებაზე გადაწყვეტილების მიღების ვადა;

გ. შესაძლებელი გახდეს რეპატრიანტის სტატუსის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრება.

ბავშვის უფლებები

შესავალი

2011 წელს საქართველოში ბავშვთა უფლებების დაცვის მხრივ არაერთი ცვლილება განხორციელდა. ამ სფეროში აღსანიშნავია რამდენიმე რეფორმის როგორც დაწყება, ასევე არსებული რეფორმის განხორციელების სხვა ფაზაში გადასვლა. ერთი მხრივ, მნიშვნელოვანი პროცესები განვითარდა ბავშვთა დეინსტიტუციონალიზაციისა და კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემიდან განრიდების მიმართულებით, ხოლო, მეორე მხრივ, გამოიკვეთა ბავშვთა უფლებების დაცვასთან დაკავშირებული ფარული პრობლემატიკა, რომელსაც წარსულში ნაკლებად ექცეოდა ყურადღება.

გაეროს ბავშვთა ფონდის 2011 წლის ანგარიშის თანახმად³⁷⁵, უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში საქართველოში ბავშვთა უფლებების დაცვის მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა: საგრძნობლად შემცირდა ბავშვთა სიკვდილიანობა, გაიზარდა სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობა, მნიშვნელოვანი წინსვლაა ბავშვთა დაცვის მხრივ, გაუმჯობესდა რეგისტრაციის დონე დაბადებისას და ა.შ.

აღნიშნული მიღწევებისა და სხვადასხვა ინდიკატორის გაუმჯობესების მიუხედავად, არაერთი მიმართულებით კვლავაც რჩება ჯერ კიდევ მოუგვარებელი პრობლემები, რომელთა აქტუალობაზე სახალხო დამცველი რეგულარულად მიუთითებს:

საანგარიშო წლის განმავლობაში სახალხო დამცველმა რამდენჯერმე მიმართა რეკომენდაციებით შესაბამის სახელმწიფო უწყებებს ბავშვთა მიმართ ძალადობის მოკვლევისა და ძალადობის ფაქტებზე რეაგირების სტანდარტის ამაღლების თაობაზე. სახალხო დამცველი უწყებებისგან მოითხოვდა სახელმწიფოში ბავშვთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლის არსებული სტანდარტების შესაბამისობაში მოყვანას საერთაშორისო პრაქტიკასთან და ნორმებთან³⁷⁶. სახალხო დამცველი რეგულარულად აწვდიდა ინფორმაციას შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენლებს ბავშვთა მიმართ ძალადობის კონკრეტულ შემთხვევებთან დაკავშირებით, რომელთა ეფექტური მართვაც ვერ განხორციელდა პასუხისმგებელი უწყებების მიერ. ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხი მნიშვნელოვანი იყო როგორც სახელმწიფოს მზრუნველობის ქვეშ მყოფი ბავშვების, ისე ოჯახებში მცხოვრები ბავშვების მიმართ.

³⁷⁵ გაეროს ბავშვთა ფონდი, „საქართველო და ბავშვის უფლებათა კონვენცია, განახლებული მონაცემები საქართველოს ბავშვთა მდგომარეობის შესახებ 2011“.

³⁷⁶ სახალხო დამცველის 2010 წლის ანგარიშში სპეციალური თავი მიეძღვნა ბავშვთა მიმართ ძალადობის არსის განმარტებას და კვალიფიცირებას; წლის განმავლობაში სახალხო დამცველი ზედამხედველობდა ბავშვთა მიმართ ძალადობის ყველა იდენტიფიცირებული შემთხვევის მენეჯმენტს პასუხისმგებელი უწყებების მიერ. სახალხო დამცველის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ სამუშაო შეხვედრებში აღნიშნულ თემაზე.

სახალხო დამცველი წლის განმავლობაში აქტიურად მოუწოდებდა საჯარო სტრუქტურებს სათანადო ყურადღება მიექციათ ბავშვის მონაწილეობისთვის იმ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, რომელიც უშუალოდ მას ეხება. წინა წლების მსგავსად, ბავშვთა მონაწილეობა ადმინისტრაციულ და სასამართლო წარმოებაში მინიმალური იყო, მაშინაც კი, როდესაც გადაწყვეტილება ბავშვის პირად ცხოვრებას შეეხებოდა.

2011 წლის განმავლობაში ქუჩაში მცხოვრები/მომუშავე ბავშვების უფლებების დაცვის უზრუნველყოფა კვლავ პრობლემურ სფეროდ რჩებოდა, რომელშიც მდგომარეობის გასაუმჯობესებლად არ განხორციელებულა ფუნდამენტური ცვლილებები.

2011 წლის განმავლობაში სახალხო დამცველი კვლავაც იღებდა საჩივრებს უფლებადარღვევის შესახებ სოციალურად დაუცველი ბავშვების ოჯახებიდან, რომლებმაც სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფ ოჯახთა ერთიან ბაზაში ვერმომხვედრის მიზეზით ვერ მიიღეს ადეკვატური სამედიცინო დახმარება.

2011 წელს ასევე აქტუალური იყო საჯარო სკოლებში მოსწავლეთა უფლებების დაცვის საკითხიც, კერძოდ, იყო შემთხვევები დისციპლინური ღონისძიებების კანონის მოთხოვნების დაუცველად გამოყენებისა, რაზეც სახალხო დამცველმა სპეციალური რეკომენდაციით მიმართა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს.

2011 წლის 14 ივლისს გაერთიანებული ერების ადამიანის უფლებათა საბჭომ მიიღო რეზოლუცია #17/18 – ბავშვის უფლებების კონვენციის დამატებითი ოქმი კომუნიკაციის პროცედურასთან დაკავშირებით – რომლის ძირითადი მიზანია ბავშვთა უფლებების დარღვევების განხილვის მიზნით ინდივიდუალური საჩივრების/კომუნიკაციის მექანიზმის ამოქმედება წინამდებარე ოქმის მონაწილე ქვეყნებისათვის. აღნიშნული ოქმის ფარგლებში ინდივიდი/ჯგუფი უფლებამოსილია კომიტეტს შეატყობინოს ბავშვის უფლების დარღვევის ფაქტი ქვემოთ ჩამოთვლილი ინსტრუმენტებით (თუ ქვეყანას რატიფიცირებული აქვს) გათვალისწინებულ ბავშვის უფლებების დარღვევის შემთხვევებში:

1. გაერთიანებული ერების ბავშვის უფლებების კონვენცია;
2. ბავშვის უფლებების კონვენციის დამატებითი ოქმი ბავშვებით ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის შესახებ;
3. ბავშვთა უფლებების კონვენციის დამატებითი ოქმი შეიარაღებულ კონფლიქტებში ბავშვთა მონაწილეობის შესახებ.

აღნიშნული მექანიზმი უნიკალურია იმ თვალსაზრისით, რომ თავად ბავშვებს აძლევს შესაძლებლობას ბავშვთა უფლებების დარღვევაზე რეაგირებისათვის მიმართონ საერთაშორისო ორგანიზაციას – გაერთიანებული ერების ბავშვთა უფლებების კომიტეტს; ბავშვის უფლებების კომიტეტი ბავშვის საჩივრის განხილვის პროცესში უფლებამოსილია ხელშემკვრელ მხარეს მოსთხოვოს დროებითი ღონისძიების განხორციელება ბავშვისთვის შემდგომი ზიანის მიყენების პრევენციისათვის. კომიტეტს

ასევე შეუძლია სახელმწიფოს მოსახლეობის დაცვის ღონისძიებების გატარება, ხოლო ბავშვის უფლების დარღვევის დადგენისას ხელშემკვრელი მხარისათვის გასცეს რეკომენდაცია ბავშვის დარღვეული უფლების აღდგენის მიმართულებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აღნიშნული ოქმი კიდევ ერთხელ განამტკიცებს ბავშვის, როგორც უფლება-მატარებლის სტატუსს.

დამატებითი ოქმი ხელმოწერისათვის გაიხსნება 2012 წელს და ძალაში შევა გაერთიანებული ერების 10 წევრი სახელმწიფოს რატიფიკაციის შემდეგ.

ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვთა უფლებები

ქუჩაში მცხოვრებ/მომუშავე ბავშვთა საკითხი დღემდე პრობლემად რჩება. მიუხედავად სახალხო დამცველის 2009 წლის მე-2 ნახევრის ანგარიშში ასახული დეტალური რეკომენდაციისა, ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად სისტემური ცვლილებები ჯერაც არ განხორციელებულა. ამის საპირისპიროდ ცხადი გახდა, რომ ქუჩაში მცხოვრები ბავშვები ვერ სარგებლობენ სახელმწიფო დაცვის იმ მექანიზმებით, რომლებიც ხელმისაწვდომია ოჯახში მცხოვრები ბავშვებისათვის.

2011 წელს სახალხო დამცველს ხშირად მიმართავდნენ ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვთა უფლებების დარღვევის თაობაზე. როგორც შესწავლილი საქმეებიდან ირკვევა, ბავშვთა დაცვის არსებული სისტემა ვერ აკმაყოფილებს ბავშვების უსაფრთხოების, ზრდისა და განვითარების მინიმალურ საჭიროებებს. ცხადი გახდა, რომ საქართველოს მთავრობის დადგენილებით³⁷⁷ გათვალისწინებული ბავშვების თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა მხოლოდ ფრაგმენტული ღონისძიებაა. თავშესაფარში მოხვედრამდე ბავშვებმა უნდა გადალახონ რთული გზა, რომელიც მათთვის უმეტეს შემთხვევაში პრობლემურია. სამწუხაროა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სახალხო დამცველის 2009 წლის ანგარიშის შემდეგ უცვლელია მდგომარეობა შემდეგ პრობლემებთან დაკავშირებით:

- არ არსებობს რაიმე ტიპის სტატისტიკა ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების შესახებ;
- 2008 წლის შემდეგ არ ჩატარებულა კვლევა ამ ბავშვების უფლებრივი მდგომარეობის შესახებ;
- ამ ბავშვების უმრავლესობას მოუწესრიგებელი აქვს დოკუმენტაცია;
- ამ ბავშვების სრული უმრავლესობა ვერ იღებს სამედიცინო მომსახურებას;
- ამ ბავშვების სრული უმრავლესობა ვერ იღებს განათლებას;
- დაუკმაყოფილებელია ამ ბავშვების ძირითადი საჭიროებები და ისინი ძალადობისა და უფულებელყოფის მსხვერპლი არიან;

³⁷⁷ 2011 წლის 23 თებერვლის #101 დადგენილება „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2011 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“.

- არ შეცვლილა ამ მიზნობრივი ჯგუფისათვის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დაფინანსებული "დღის-ცენტრის" პროგრამით სარგებლობის კრიტერიუმები; კერძოდ, სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში მოხვედრის გარეშე ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვები ვერ მიიღებენ აღნიშნულ სახელმწიფო მომსახურებას უფასოდ. აღნიშნული კრიტერიუმის დაკმაყოფილება კი, არასამთავრობო ორგანიზაციების მონაცემთა თანახმად, უმეტეს ბენეფიციართათვის შეუძლებელია.

ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემების სისტემურმა მოუგვარებლობამ გამოიწვია ახალი პრობლემური საკითხების წინ წამოწევა. კერძოდ, სახალხო დამცველის მიერ შესწავლილი მრავალი საქმე ცხადყოფს, რომ ვერც სოციალური მომსახურების სააგენტო და ვერც შინაგან საქმეთა სამინისტრო ვერ ახორციელებს ქუჩაში მცხოვრებ/მომუშავე ბავშვებთან დაკავშირებით ძალადობისგან და უგულბეზღყოფისგან ბავშვთა დაცვის ფუნქციას, რომელიც უზრუნველყოფილია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ერთობლივი ბრძანებით³⁷⁸.

სამართლებრივი რეგულირება

საქართველოს ეროვნული კანონმდებლობა არ იცნობს ტერმინს „ქუჩაში მცხოვრები და/ან მომუშავე ბავშვი“, შესაბამისად, არ არსებობს კანონმდებლობაში სპეციალური ჩანაწერი მათ შესახებ.

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ამ ჯგუფს განიხილავს, როგორც მოწყვლად ჯგუფს, რომელსაც განსაკუთრებულად ესაჭიროება სახელმწიფოსგან დაცვა. ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვები სარგებლობენ ყველა იმ უფლებით, რომლებიც გარანტირებულია ბავშვის უფლებათა კონვენციით, თუმცა, მათი მდგომარეობიდან გამომდინარე, საჭიროა არსებობდეს მათი უფლებათა დაცვის დამატებითი/სპეციფიკური მექანიზმები.

სწორედ დამატებითმა მექანიზმებმა უნდა უზრუნველყოს ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების მიერ დისკრიმინაციის გარეშე სახელმწიფოს ყველა სიკეთით სარგებლობა. ზოგადად მომსახურების არსებობა არ გულისხმობს ქუჩაში მცხოვრები ბავშვების მიერ ავტომატურად ამ სერვისებით სარგებლობას, ვინაიდან ისინი არ არიან აღრიცხულნი, შესაბამისად, მათი საჭიროებების შესახებ არ არსებობს მონაცემები; ამ ბავშვებს არ აქვთ რეგულარული შეხება ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სახელმწიფო მუშაკებთან, რომლებიც მათ ჩართავენ სახელმწიფო სერვისებში;

³⁷⁸ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 31 მაისის #152/ნ-#496-#45/ნ ერთობლივი ბრძანება.

აღნიშნული ბავშვები ფაქტობრივად ბავშვზე ზრუნვის სისტემის გარეთ არიან დარჩენილი.

გაერთიანებული ერების ბავშვის უფლებათა კომიტეტის განმარტებით, ამ ბავშვებისთვის სახელმწიფო ჯანდაცვის და სოციალური სერვისების მიწოდების პრობლემა გამოწვეულია იმით, რომ ამ კატეგორიის არასრულწლოვნებს არა აქვთ მაიდენტიფიცირებელი დოკუმენტაცია და საცხოვრებელი ადგილი. აღნიშნულიდან გამომდინარე, ისინი ხშირად ხდებიან დისკრიმინაციისა და ძალადობის მსხვერპლი.³⁷⁹

„კომიტეტი მოუწოდებს კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებს, განავითარონ საკანონმდებლო ბაზა, რათა დაცული იყვნენ ქუჩაში მომუშავე/მცხოვრები ბავშვები ყველა სახის ძალადობისაგან; შექმნან ეროვნული სტრატეგია, რომელიც ქუჩაში მცხოვრებ/მომუშავე ბავშვებს უზრუნველყოფს ჯანდაცვისა და სოციალური სერვისებით და სრულფასოვანი განათლებით, ასევე, გააუმჯობესონ მათი საცხოვრებელი პირობები“.³⁸⁰

არსებული პრაქტიკა

2011 წლის განმავლობაში სახალხო დამცველის აპარატში შემოვიდა არაერთი განცხადება, რომლებიც ეხებოდა ქუჩაში მცხოვრებ/მომუშავე ბავშვთა უფლებების დაცვას.

მ. ბ.–ს საქმე

2011 წლის 25 მაისს³⁸¹ სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა მოქალაქე მ. ბ.–მ. მან განაცხადა, რომ თბილისში პეკინის ქუჩაზე შეამჩნია 2 წლის ბავშვი, რომელიც დედასთან ერთად მათხოვრობდა. განმცხადებლის განმარტებით, ბავშვი იყო მუდმივად მშიერი და უგონო მდგომარეობაში. დედა მას ასმევდა გაურკვეველ სითხეებს და ძალადობდა ფიზიკურად.

აღნიშნული საქმე შესასწავლად გადაეზავნა სოციალური მომსახურების სააგენტოს ვაკე-საბურთალოს სოციალური მომსახურების ცენტრს, საიდანაც სახალხო დამცველს ეცნობა, რომ სოციალური მუშაკი მივიდა მითითებულ მისამართზე, სადაც ნახა 2 წლის მძინარე ბავშვი მარტო; მიუხედავად მცდელობისა, ბავშვის გადვიძება ვერ მოხერხდა, რის შემდეგაც სოციალურმა მუშაკმა გამოიძახა საპატრულო პოლიცია, რათა ბავშვი გადაეყვანათ სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს ფილიალში – თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლში. ბავშვის მანქანაში ჩასმის დროს სოციალური მუშაკის ინფორმაციით მას და ბავშვს თავს დაესხა 4–5 უცხო ქალი და პატრულის მცდელობის მიუხედავად, მათ შემლეს ბავშვის გატაცება და გაქცევა. ამის შემდეგ სოციალური მუშაკი ერთი თვის

³⁷⁹ გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის იმპლემენტაციის სახელმძღვანელო 2007 წ. 287.

³⁸⁰ ბავშვის უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი N4, 2003, CRC/GC/2003/4, პარ. 36

³⁸¹ განცხადება #0657–11

განმავლობაში ატარებდა მონიტორინგს აღნიშნულ ადგილას, მაგრამ ბავშვი იქ აღარ უნახავს. სააგენტოს არ გაუტარებია ბავშვის მოძიებისა და მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფის დამატებითი ღონისძიებები.

თ. დ.-ს საქმე

2011 წლის 6 ოქტომბერს³⁸², მოქალაქე თ. დ.-მ სახალხო დამცველს მიმართა განცხადებით, რომელშიც აღნიშნავდა, რომ გლდან-ნაძალადევის რაიონში, კონკრეტულ მისამართზე, უცნობ ქალბატონს ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში (მათხოვრობაში) ჰყავდა ჩაბმული არასრულწლოვანი. ბავშვი მუდმივად იყო საძილე საშუალებების ზემოქმედების ქვეშ. სახალხო დამცველის აპარატის ბავშვისა და ქალის უფლებათა ცენტრმა აღნიშნული საქმე შესასწავლად გადაუზარაზა სოციალური მომსახურების სააგენტოს გლდან-ნაძალადევის სოციალური მომსახურების ცენტრს, საიდანაც გვეცნობა, რომ სოციალური მუშაკი მივიდა ადგილზე და ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობა შეამოწმა მხოლოდ მისთვის სახელის დადასტურებითა და ზედაპირული დათვალიერებით. ვინაიდან ბავშვი რეაგირებდა საკუთარ სახელზე, სოციალურმა მუშაკმა დაასკვნა (სამედიცინო შემოწმების გარეშე), რომ ბავშვი არ იმყოფებოდა ტოქსიკური საშუალების ზემოქმედების ქვეშ და არასრულწლოვანის ანტისაზოგადოებრივ საქმიანობაში ჩამბმულ პირს შესთავაზა ნებაყოფლობითი სამედიცინო დახმარება. ამ უკანასკნელზე უარის თქმის შემდეგ სოციალურმა მუშაკმა დატოვა ტერიტორია, რადგან ჩათვალა, რომ არასრულწლოვანი, სავარაუდოდ, უსაფრთხო გარემოში იმყოფებოდა.

შ. გ.-ს საქმე

2010 წლის 3 ივნისს³⁸³ სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა მოქალაქე შ. გ.-მ, რომელმაც განაცხადა, რომ მრავალჯერ გახდა თვითმხილველი, თუ როგორ სცემენ 2 წლის ბავშვს და როგორ აიძულებენ მას მათხოვრობას ქ. თბილისში, რუსთაველის ქუჩაზე. საქმე შესასწავლად გადაეზარაზა სოციალური მომსახურების სააგენტოს ძველი თბილისის სოციალური მომსახურების ცენტრს. ცენტრიდან გვეცნობა, რომ მიუხედავად სოციალური მუშაკის მრავალჯერადი ვიზიტისა, ბავშვის პოვნა ვერ მოხერხდა, თუმცა იქვე ახლომდებარე მაღაზიების თანამშრომლებმა დაადასტურეს, რომ ბავშვს პერიოდულად სძინავს მაღაზიის წინ.

ანალიზი

ზემოაღნიშნულ საქმეებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ სოციალური სამსახურის მიერ ქუჩაში მცხოვრები/მომუშავე ბავშვების მიმართ ძალადობის შემთხვევების იდენტიფიცირებისას ხშირ შემთხვევაში არ ტარდება საკმარისი ღონისძიებები ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესის დასადგენად და დასაცავად. ამკარაა, რომ სოციალური მომსახურების სააგენტო ყოველთვის არ ან ვერ ასრულებს ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებით განსაზღვრულ მოვალეობას:

³⁸² განცხადება #1493-11

³⁸³ განცხადება 0732-11

1. სრულფასოვნად ვერ აფასებს ბავშვის უგულბელყოფისა და ბავშვზე ძალადობის საფუძვლიან ეჭვს;
2. არ რთავს სამედიცინო პერსონალს, რათა მან სრულფასოვნად შეაფასოს შემთხვევა და შეამოწმოს ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობა უგულბელყოფის დასადგენად;
3. არ რთავს კვალიფიციურ ფსიქოლოგს შემთხვევის მართვის ადრეულ ეტაპზე, რათა ამ უკანასკნელმა დაადგინოს ფსიქოლოგიური/ემოციური ძალადობის ფაქტი.

არსებული პრაქტიკის ანალიზმა გამოაშკარავა ხარვეზები საკანონმდებლო რეგულირების სფეროში, კერძოდ, ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებში:

1. დოკუმენტი არ მოიცავს/ ცხადად არ მიუთითებს ქუჩაში მცხოვრებ და მომუშავე ბავშვებზე, როგორც მიზნობრივ ჯგუფზე. შესაბამისად, მასში არ არის გათვალისწინებული ისეთი სპეციფიკური შემთხვევები და პრობლემები, რომლებიც წამოიჭრება აღნიშნულ მიზნობრივ ჯგუფთან მუშაობისას. კერძოდ, აღნიშნული ბრძანების მე-6 მუხლის 1-ელ პუნქტში მითითებულია, რომ ბავშვზე ძალადობის გამოვლენა ევალება ყველა დაწესებულებას, რომლებსაც აქვთ ურთიერთობა ბავშვებთან, ძალადობის გამოვლენის ადგილად კი მითითებულია ბავშვზე ზრუნვისა თუ საგანმანათლებლო დაწესებულებები. შესაბამისად, ვინაიდან ქუჩაში მყოფი/ მომუშავე ბავშვი ვერც ერთ აღნიშნულ დაწესებულებაში დიდი ალბათობით ვერ მოხვდება, მის მიმართ ძალადობის შესახებ შეტყობინების ვალდებულება ბრძანების მიხედვით რეგულირების სფეროს გარეთ რჩება. ბრძანება ასევე არ აკეთებს რეფერირებას საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1198¹ მუხლზე, რომლის თანახმადაც ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებისთვისაც ცნობილი გახდა არასრულწლოვნის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დარღვევის შემთხვევები, ვალდებული არიან ამის შესახებ შეტყობინონ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებს არასრულწლოვნის ფაქტობრივი ადგილსამყოფლის მიხედვით. ამგვარი შეტყობინების მიღებისთანავე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოები ვალდებული არიან გაატარონ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები. შესაბამისად, აღნიშნული ბრძანება არ განიხილავს განსხვავებულ პროცედურას, რომელიც საჭიროა არსებობდეს მოქალაქის მიერ ბავშვის მიმართ ძალადობისა და უგულბელყოფის დროს შეტყობინებისას. აგრეთვე, არ არის მითითებული, თუ რა ვალდებულება ეკისრება სააგენტოსა და პოლიციის თანამშრომლებს, თუ თავად ხვდებიან უგულბელყოფის მსხვერპლ ბავშვს ქუჩაში და აღნიშნულზე ოფიციალური შეტყობინება არ მიუღიათ.

2. დოკუმენტში მოცემული „ძალადობის“ განმარტება არ შეესაბამება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა უფლებების კომიტეტის #13 ზოგადი კომენტარის³⁸⁴ თანახმად ძალადობის განსაზღვრებას. დოკუმენტში არ არის

³⁸⁴ მიღებულია გაერთიანებული ერების ბავშვთა უფლებების კომიტეტის 2011 წლის 56-ე სესიაზე, 7 იანვარი - 4 თებერვალი.

ნახსენები/განმარტებული ძალადობის სპეციფიკური ფორმა – უგულბელყოფა, რომელიც ქუჩაში მცხოვრებ/მომუშავე ბავშვებთან დაკავშირებით ერთ–ერთი ყველაზე აქტუალური პრობლემაა.

3. დოკუმენტი ძალადობის ფაქტის შესწავლის ყველა ეტაპზე არ უზრუნველყოფს საპატრულო პოლიციისა და სოციალური მუშაკის შეთანხმებულ მოქმედებას. კერძოდ, ამ ბრძანების მე–8 მუხლის თანახმად, ბავშვზე ძალადობის შემთხვევის შეფასებისას საპატრულო პოლიცია ვალდებულია დაუყოვნებლივ გამოცხადდეს შემთხვევის ადგილზე, ხოლო ამავე ბრძანების მე–11 მუხლის მე–2 პუნქტის თანახმად, სააგენტო მიმართვიანობის სისტემაში ერთვება მას შემდეგ, რაც ფაქტი დადასტურებულია და ბავშვი მოთავსებულია დროებით საცხოვრებელში. აღნიშნული ჩანაწერი შეიძლება მივიჩნიოთ რეფერალის ხარვეზად, რადგან პრაქტიკამ დაადასტურა რომ სააგენტოს სოციალური მუშაკების ჩართვა ძალადობის გამოვლენის საწყის ეტაპზე აუცილებელია, ვინაიდან სწორედ სოციალური მუშაკის სამუშაო აღწერილობა მოიცავს არაფიზიკური ძალადობის დადასტურების შესაძლებლობას. ხოლო ბრძანებით ამ მოქმედების გაუთვალისწინებლობა რეალობაში გვაძლევს ძალადობისა და უგულბელყოფის მრავალი შემთხვევის იგნორირების პრაქტიკას ქუჩაში მყოფ ბავშვებთან დაკავშირებით.

4. დოკუმენტი არ აზუსტებს იმ შემთხვევებს, როდესაც ბავშვის სამედიცინო და სხვა საჭიროებების უგულბელყოფის ფაქტის მოსაკვლევად/შესამოწმებლად დგება სამედიცინო/ფსიქოლოგიური პერსონალის ჩართვის აუცილებლობა.

ბავშვთა მიმართ ძალადობა

ბავშვთა მიმართ ძალადობის პრობლემა ინარჩუნებს აქტუალობას არა მხოლოდ ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების, არამედ ასევე ოჯახში და სხვა, ნებისმიერ გარემოში მცხოვრები არასრულწლოვნების მიმართ. 2011 წლის განმავლობაში საქართველოს სახალხო დამცველის ბავშვისა და ქალის უფლებათა ცენტრმა განიხილა 50–ზე მეტი განცხადება, რომლებიც უშუალოდ ეხებოდა ბავშვის მიმართ ძალადობისა და უგულბელყოფის საკითხს. განცხადებათა წარმოების პროცესში გამოვლინდა როგორც არსებული სამართლებრივი რეგულირების პრობლემატიკა, ასევე მოკვლევაში ჩართული სუბიექტების არაეფექტური საქმიანობა.

სამართლებრივი რეგულირება:

საქართველოს ეროვნულ კანონმდებლობაში ბავშვთა ძალადობისა და უგულბელყოფისგან დაცვის სამართლებრივი საფუძველია შემდეგი ნორმატიული აქტები: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი; საქართველოს სამოქალაქო კოდექსი; საქართველოს კანონი ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის

მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ; ასევე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 31 მაისის ერთობლივი ბრძანება #152/ნ-#496-#45/ნ ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების შესახებ.

გაერთიანებული ერების ბავშვთა უფლებების კონვენცია, როგორც საერთაშორისო სამართლის დოკუმენტი, ხაზს უსვამს ბავშვთა მიმართ ძალადობის განსაზღვრების მნიშვნელობას მარეგულირებელ აქტებში და აღნიშნავს,³⁸⁵ რომ ბავშვთა „მიმართ ძალადობისა და უგულბელობის“ ცნება არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ საზოგადოების მიერ ძალადობად აღიარებული გავრცელებული პრაქტიკით. აღნიშნულში უნდა მოვიანროთ ბავშვთა დაცვა „ძალადობის ყველა ფორმისგან“; ამ მიზნით ასევე უნდა გადაისინჯოს სხვადასხვა ქვეყნისა თუ კულტურის უკვე ტრადიციად დამკვიდრებული ძალადობის ფორმები, რომლებიც შესაძლოა საზოგადოებას არ მიაჩნდეს ბავშვის მიმართ ძალადობად.

გაერთიანებული ერების ბავშვთა უფლებების კომიტეტის მე-13 ზოგადი კომენტარის „ბავშვის უფლება დაცულ იყოს ყველა ფორმის ძალადობისგან“ მე-19 მუხლი გამოყოფს ბავშვის მიმართ ძალადობისა და უგულბელობის სპეციფიკურ ფორმას, ესაა **ბავშვთა მიმართ ინსტიტუციური, სისტემის მხრიდან განხორციელებული ძალადობა**, რომელიც გულისხმობს, რომ პასუხისმგებელი პირები – სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლები – რომელთაც ევალებათ ბავშვთა მიმართ ძალადობასა და უგულბელობაზე ეფექტური რეაგირება, შესაძლებელია, თავად წარმოადგენდნენ ბავშვთა მიმართ ძალადობის წყაროს იმ შემთხვევაში, თუ ისინი ეფექტურად ვერ ახორციელებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს. ინსტიტუციური ძალადობის ფორმებია: არგატარება შესაბამისი საკანონმდებლო თუ ადმინისტრაციული ღონისძიებებისა, რომლებიც ბავშვებს დაიცავდა ძალადობისგან; ასევე არასაკმარისი მატერიალური, ტექნიკური და ადამიანური რესურსების მობილიზაცია ბავშვთა მიმართ ძალადობის აღსაკვეთად. პროფესიონალები, რომლებიც ბავშვთა მიმართ ძალადობის შემთხვევებში არ ითვალისწინებენ ბავშვის ჭეშმარიტ ინტერესს, არ აღმოუჩენენ ბავშვს დროულ და ეფექტურ დახმარებას, დატოვებენ ბავშვს საფრთხის შემცველ გარემოში ა.შ.

არასრულფასოვანი ეროვნული სტატისტიკა ბავშვთა მიმართ ძალადობისა და უგულბელობის შემთხვევების შესახებ

ქვეყანაში ბავშვთა მიმართ ძალადობაზე ზოგადი სურათის შესაქმნელად სახალხო დამცველის ბავშვისა და ქალის უფლებათა ცენტრმა გამოითხოვა სტატისტიკური ინფორმაცია ყველა სახელმწიფო დაწესებულებიდან, რომელთაც ეხება აღნიშნული

³⁸⁵ გაეროს ბავშვთა ფონდი, 2007, გაერთიანებული ერების ბავშვთა უფლებების კონვენციის იმპლემენტაციის სახელმძღვანელო.

საკითხი. მიღებული ინფორმაცია ცხადყოფს ძალადობის საკითხის შესწავლაში მონაწილე სუბიექტების არაკოორდინირებულ მუშაობას.

სსიპ „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს“ მიერ მოწოდებული ინფორმაციის³⁸⁶ თანახმად, 2011 წლის განმავლობაში სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოში შევიდა 11 შეტყობინება ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხზე, ხოლო 2 შეტყობინება დაფიქსირდა შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის ორგანოში.

სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს ფილიალში – თბილისის ბავშვთა კრიზისულ ცენტრში – დაფიქსირდა სექსუალური ძალადობის 3 შემთხვევა. სამივე შემთხვევაზე ინფორმაცია მიეწოდა პოლიციის მეოთხე განყოფილებას და გატარდა შესაბამისი ღონისძიებები. აღნიშნული სამი შემთხვევიდან ძალადობის 2 ფაქტი დადასტურდა.

ამავე დროს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრის სტატისტიკისა და კრიმინალური სოციოლოგიის განყოფილების მიერ მოწოდებული ინფორმაციით ირკვევა, რომ ისინი არ ფლობენ 2011 წელს ბავშვთა მიმართ ძალადობისა და უგულბელოყოფის ფაქტებზე სტატისტიკურ ინფორმაციას³⁸⁷.

ამ სტატისტიკასთან ასევე შეუსაბამოა სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ მიერ მოწოდებული ინფორმაცია³⁸⁸, რომლის თანახმადაც 2011 წლის 26 ოქტომბრის მდგომარეობით მხოლოდ 1 შეტყობინება დაფიქსირდა ბავშვთა მიმართ სექსუალურ ძალადობაზე. შესაბამისად, მათთვის ცნობილი არ გამხდარა (და არც შესაბამისი მოკვლევისა და დაცვის ღონისძიებები არ გაუტარებიათ) სექსუალური ძალადობის დანარჩენ 2 შემთხვევაზე, რომლებიც სსიპ „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტომ“ გამოავლინა.

სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ ინფორმაციით, 2011 წლის სექტემბრის ჩათვლით ბავშვთა მიმართ ძალადობის ფაქტზე შევიდა 121 შეტყობინება, მათ შორის ძალადობის ფაქტი დადასტურდა 88 შემთხვევაში. შემთხვევების უმრავლესობაში ერთდროულად ძალადობის რამდენიმე ფორმა დაფიქსირდა.

მოწოდებული სტატისტიკა მოწმობს, რომ ზემოთ აღნიშნულ სუბიექტებს შორის არ ხორციელდება კოორდინირებული მუშაობა და ბავშვთა მიმართ ძალადობისა და უგულბელოყოფის შემთხვევების შესახებ არ იწარმოება ქვეყნის მასშტაბით ერთიანი ეროვნული რეესტრი; ასევე არ ხორციელდება ინფორმაციის სრულფასოვანი გაცვლა პასუხისმგებელ უწყებებს შორის; აღნიშნული წარმოადგენს ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) მე-16 მუხლით გაწერილი ვალდებულების დარღვევას; ასევე დარღვეულია ბავშვთა უფლებების კონვენციის მოთხოვნა ბავშვთა მიმართ ძალადობის დეტალური სტატისტიკის წარმოებასთან დაკავშირებით (ბავშვთა უფლებების კომიტეტის მე-13 ზოგადი კომენტარი), რომელიც საფუძვლად უნდა

³⁸⁶ წერილი #9/9; 9/8

³⁸⁷ წერილი #12/5/3/11-1281847

³⁸⁸ წერილი #04/46020

დაედოს ქვეყნის მასშტაბით ბავშვთა მიმართ ძალადობის ფენომენის ანალიზს და ამ ანალიზის საფუძველზე ეფექტური ღონისძიებების დაგეგმვას.

არსებული პრაქტიკა

სახალხო დამცველისადმი მომართვების შესწავლის შედეგად გამოიკვეთა ფაქტები, როდესაც არაეფექტურადაა დაცული ბავშვთა უფლებები, ხოლო რამდენიმე შემთხვევაში სამართალდამცავმა ორგანოებმა არასრულწლოვნები საფრთხის შემცველ და არაკეთილსაიმედო გარემოში დატოვეს, მათი საჭიროებები უგულვებელყვეს. კერძოდ, მოხდა:

1. კანონმდებლობის არაერთგვაროვანი განმარტება;
2. სოციალური სამსახურისა და პოლიციის არაკოორდინირებული მუშაობა;

ანონიმური საქმე

2011 წლის 2 ივნისს საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით³⁸⁹ მიმართა მოქალაქემ, რომელმაც ანონიმურობის დაცვა ისურვა. განმცხადებლის ცნობით, გუდამაყრის ქუჩაზე, მე-8 საავადმყოფოს წინ, ყოფილი ნევროლოგიის ინსტიტუტის შენობის პირველ სართულზე იყვნენ მიტოვებული ბავშვები, რომლებიც იმყოფებოდნენ არაკეთილსაიმედო გარემოში. აღნიშნული საკითხის შესასწავლად ბავშვისა და ქალის უფლებების ცენტრმა მიმართა სოციალური მომსახურების სააგენტოს. 2011 წლის 28 სექტემბერს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს გლდანი-ნაძალადევის სოციალური მომსახურების ცენტრმა წერილით³⁹⁰ გვაცნობა, რომ შემოწმების შედეგად გუდამაყრის ქუჩაზე, ყოფილი ნევროლოგიის ინსტიტუტის პირველ სართულზე მდებარე ერთ-ერთ ოთახში მცხოვრებ ოჯახში დაფიქსირდა ოთხი მცირეწლოვანი ბავშვის უგულვებელყოფის ფაქტი. კერძოდ, ოთახში იყო ანტისანიტარია, ბავშვები იყვნენ მოუწესრიგებლები, არადადამაკმაყოფილებელი იყო მათი ჰიგიენური მდგომარეობა. სოციალური მუშაკის ვიზიტის დროს ბავშვების დედა, ქ. გ. არ იმყოფებოდა სახლში, ხოლო ასაკით უფროსმა ბავშვებმა სოციალურ მუშაკთან თანამშრომლობაზე უარი განაცხადეს და ჩაკეტეს ოთახის კარი. წერილის თანახმად, სოციალურმა მუშაკმა გამოიძახა საპატრულო პოლიცია. მიუხედავად სოციალური მუშაკის განმარტებისა, რომ ოთახში იმყოფებოდა ოთხი მცირეწლოვანი ბავშვი, საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა განაცხადეს, რომ მათ ჩაკეტილი კარის ძალით გაღების უფლება არ აქვთ.

2011 წლის 26 დეკემბერს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს გლდანი-ნაძალადევის სოციალური მომსახურების ცენტრიდან ბავშვისა და ქალის უფლებების

³⁸⁹ განცხადება #1499-11

³⁹⁰ წერილი #N05-1892

ცენტრს ეცნობა³⁹¹, რომ აღნიშნული სამსახური 2011 წლის 2 დეკემბერს საპატრულო პოლიციასთან ერთად ეწვია ქ.გ.–ს საცხოვრებელ ბინაში. ვიზიტისას ოთახში იმყოფებოდა 9 ბავშვი, 2 წლის ასაკიდან 10-11 წლის ასაკამდე. 2 წლის ბავშვი იყო შიშველი, ოთახში იყო ანტისანიტარია, ბავშვების ჰიგიენური მდგომარეობა იყო არადამაკმაყოფილებელი, ბავშვები არ იმყოფებოდნენ სკოლის პერიოდში საგანმანათლებლო დაწესებულებაში. მიუხედავად სოციალური მუშაკის დაჟინებული მოთხოვნისა, საპატრულო პოლიციის სამი ეკიპაჟისა და პოლიციის მე-8 განყოფილების თანამშრომლებმა ბავშვების უგულვებლყოფის ფაქტი არ ჩათვალეს ძალადობის/უგულვებლყოფის შემთხვევად და დედას მიეცა ბავშვების სოციალური მუშაკისათვის უცნობ ადგილას გადაყვანის საშუალება.

ე. ა.–ს საქმე

2011 წლის 2 ივნისს საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა მოქალაქე ე.ა.-მ³⁹². განმცხადებლის ცნობით, მისი მეზობელი ი. კ. სისტემატურად ძალადობს მცირეწლოვან შვილიშვილებზე, 2 წლისა და 6 წლის ბავშვებზე, აძლევს მათ ალკოჰოლურ სასმელს და ამყოფებს მძიმე პირობებში.

2011 წლის 23 სექტემბერს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ისანი-სამგორის სოციალური მომსახურების ცენტრიდან მიღებული კორესპონდენციით³⁹³ გვეცნობა, რომ ი. კ. ბავშვებზე ახორციელებს ძალადობას და ასევე შეიმჩნევა მათი უგულვებლყოფის ფაქტები. წერილის თანახმად, აღნიშნულ ოჯახში განხორციელებული ვიზიტისას ოჯახში იყო მძიმე ანტისანიტარია. მიმოფანტული იყო სასმელის ბოთლები, გაფუჭებული საჭმელი, საყოფაცხოვრებო ნაგავი, აღინიშნებოდა გაუსამლისი სუნი. ვიზიტის დროს ბავშვების ბებია იმყოფებოდა ნასვამ მდგომარეობაში და ეძინა. ბავშვები იყვნენ უმეთვალყურეოდ, ჭამდნენ ვადაგასულ საკვებს, არ იყო დაცული ბავშვების პირადი ჰიგიენა. მეზობლებმა დაადასტურეს, რომ ბებია ხშირად იმყოფებოდა ნასვამ მდგომარეობაში, ბავშვები ხშირად მათხოვრობდნენ ქუჩაში ღამის საათებშიც კი. ხშირად სვამდნენ ბოთლებში დარჩენილ ალკოჰოლურ სასმელს. ვიზიტის განმავლობაში ბავშვების ბებია იმყოფებოდა ძალადობა განახორციელა სოციალურ მუშაკზეც. სოციალურმა მუშაკმა გამოიძახა საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს ისანი-სამგორის რაიონის 515-ე ეკიპაჟი. სოციალური მუშაკის ახსნა-განმარტებით, მან მოითხოვა ბავშვების გადაყვანა გადაუდებელ მიმდებ ოჯახში, რადგან იქ არსებული მდგომარეობა ბავშვთა უგულვებლყოფა იყო, მათ მიმართ ხდებოდა ძალადობა. მიუხედავად გადაუდებელი მდგომარეობისა, პოლიციას ბავშვთა უსაფრთხო გარემოში გადაყვანის ღონისძიება არ გაუტარებია, ვინაიდან მათი მოსაზრებით, ბავშვების გადაყვანისათვის აუცილებელი

³⁹¹ წერილი #N05-2754

³⁹² წერილი # 0718-11

³⁹³ წერილი #05/6254

იყო ბეზის თანხმობა. არასრულწლოვნები დღემდე (შემთხვევიდან 3 თვე) იმყოფებიან აღნიშნულ სიტუაციაში.

ანალიზი

ზემოთმოყვანილი შემთხვევები ცხადყოფს, რომ პასუხისმგებელი ორგანოები ვერ ასრულებენ მათზე კანონდებლობით დაკისრებულ მოვალეობებს ბავშვების ძალადობისა და უგულბელებლობისგან დაცვის უზრუნველსაყოფად;

კერძოდ:

1. პოლიცია სწორად ვერ განმარტავს ბავშვთა მიმართ ძალადობისა და უგულბელებლობის შესახებ საკანონმდებლო ნორმას მწვავე შემთხვევების დროსაც კი. კერძოდ, ბავშვის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში გარემო არ ფასდება ბავშვის მიმართ უგულბელებლობად, რაც ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების ბავშვთა უფლებების კონვენციის მე-19 მუხლსა და ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურის მე-3 მუხლს.

2. შესაბამისად, პოლიცია არ იყენებს მისთვის კანონით მინიჭებულ უფლებამოსილებას საფრთხის შემცველი გარემოდან ბავშვის გამოყვანისა და შემაკავებელი ორდერის გამოწერის თაობაზე, რაც ეწინააღმდეგება ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურის მე-8 მუხლს. ზემოხსენებულ შემთხვევებში ასევე დაირღვა შინაგან საქმეთა მინისტრის 2011 წლის 12 ოქტომბრის #826 ბრძანებით „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა სამოქმედო ინსტრუქციის“ მე-8 მუხლით გაწერილი პოლიციის ვალდებულება, რომლის თანახმადაც „იმ შემთხვევაში, თუ ბავშვზე ძალადობა განხორციელდა ოჯახის წევრის ან წევრების მიერ და ბავშვის ადგილზე დარჩენით საფრთხე ექმნება მის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას, უფლებამოსილი თანამშრომელი გამოწერს შემაკავებელ ორდერს, რის საფუძველზეც მოახდენს ბავშვის გადაყვანას უსაფრთხო ადგილზე“. შემთხვევის შესწავლაში ჩართული სოციალური მუშაკების გადმოცემით, ორივე ზემოთ მოყვანილ შემთხვევაში საფრთხე ექმნებოდა ბავშვთა ჯანმრთელობას.

აღნიშნული ფაქტები მხოლოდ მცირე ნაწილია სახალხო დამცველის მიერ განხილული შემთხვევებისა ბავშვთა მიმართ ძალადობისა და უგულბელებლობის თემაზე. სამწუხაროდ, უფლებამოსილი პირების მიერ არასაკმარისი რეაგირება არ ყოფილა ერთჯერადი აქტი და ხშირად მხოლოდ სახალხო დამცველის აქტიური ჩარევით ხდება კონკრეტული ბავშვის უსაფრთხო გარემოში გადაყვანის უზრუნველყოფა. აღნიშნული ბავშვის უფლებების კონვენციით აღიარებული სისტემური ძალადობის სამწუხარო შემთხვევაა, რომლის დროსაც ბავშვები აუცილებელი დახმარების მიუღებლობის გამო ხდებიან ძალადობისა და უგულბელებლობის მრავალჯერადი აქტის მსხვერპლი.

განათლების უფლება

სახალხო დამცველის 2010 წლის ანგარიშში ცალკე თავი დაეთმო ბავშვთა განათლების უფლების დარღვევას, რომელიც განპირობებული იყო მრავალი ფაქტორით, მათ შორის მასწავლებელთა კვალიფიციურობის პრობლემითა და მოსწავლეთა მიმართ ღირსების შემლახველი მოპყრობით.

სახალხო დამცველის მიერ შესწავლილი ფაქტები კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ პრობლემები ფიქსირდება საგანმანათლებლო დაწესებულებაში, რაც განპირობებულია შიდა უფლებადაცვითი მექანიზმის დაბალეფექტური მუშაობით, თუმცა დღემდე ეს პრობლემა სისტემურად არ გადაჭრილა.

სამართლებრივი რეგულირება

საქართველოს კანონით „ზოგადი განათლების შესახებ“ საჯარო სკოლის შიგნით დაფიქსირებულ მოსწავლეთა დისციპლინურ გადაცდომებსა და უფლებადარღვევებს უნდა განიხილავდეს ამავე კანონის 38-ე მუხლის „ლ“ პუნქტის თანახმად შექმნილი დისციპლინური კომიტეტი: „...სამეურვეო საბჭო, დისციპლინური გადაცდომის განხილვის მიზნით, სკოლის წესდებით გათვალისწინებული წესით, ირჩევს დისციპლინურ კომიტეტს, რომლის შემადგენლობაშიც შედის თანაბარი რაოდენობის მასწავლებელი, მშობელი, საშუალო საფეხურის მოსწავლე“.

ამავე კანონის მე-19 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინური დევნა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ სკოლის შინაგანაწესით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით, ჯეროვანი და სამართლიანი პროცედურით.

გაერთიანებული ერების ბავშვთა უფლებების კომიტეტის პირველი ზოგადი კომენტარი „განათლების მიზნების შესახებ“³⁹⁴ მიუთითებს, რომ განათლების მიზნები უნდა ითვალისწინებდეს ბავშვის მონაწილეობას დისციპლინურ წარმოებაში.

„ბავშვები სკოლაში შესვლით არ კარგავენ თავიანთ უფლებებს. სკოლა პატივს უნდა სცემდეს ბავშვის ღირსებას, რაც შეიძლება გულისხმობდეს სასკოლო დისციპლინაზე მკაცრი შეზღუდვის დაწესებას. კომიტეტმა მრავალჯერ აღნიშნა, რომ ბავშვის ფიზიკური დასჯა მისი უფლებების დარღვევაა; ბავშვს მოსაზრებების თავისუფლად გამოთქმის საშუალება უნდა მიეცეს, მხარი უნდა დაეჭიროს სკოლის მიერ ბავშვთა საბჭოებისა და საზოგადოებების ჩამოყალიბებას, ასევე, ბავშვების ჩართვას სკოლაში დისციპლინურ წარმოების პროცესში“.

³⁹⁴ გაერთიანებული ერების ბავშვის უფლებების კომიტეტის პირველი ზოგადი კომენტარი მიღებულია 2001 წელს, *CRC/GC/2001/1*

პრაქტიკა

საანგარიშო წლის განმავლობაში შემოსული საჩივრების საფუძველზე იკვეთება რამდენიმე ძირითადი ტენდენცია საჯარო სკოლებში დისციპლინურ წარმოებასთან დაკავშირებით:

რიგ შემთხვევაში დისციპლინური კომიტეტი არ ფუნქციონირებს მუდმივი წესით და მათი სხდომა იმართება უკიდურესად გართულებულ შემთხვევებში.

საჯარო სკოლების გარკვეულ რაოდენობაში არსებული დისციპლინური კომიტეტები არაეფექტურად ფუნქციონირებენ, კერძოდ, საკითხის სიდრმისეულად ვერ განიხილავენ და დისციპლინურ სახდელს ჯეროვნად და სამართლიანი პროცედურით ვერ უფარდებენ მოსწავლეებს. გარკვეულ შემთხვევებში დისციპლინური კომიტეტის წარმომადგენლებიც იზიარებენ სკოლის ადმინისტრაციის (როგორც დავაში ჩართული მხარის) გადაწყვეტილებებს, სრულფასოვანი მოკვლევის გარეშე გამოიყენონ სკოლის წესდებით გათვალისწინებული ზომები მოსწავლეთა მიმართ.

ქვემოთ განხილული შემთხვევები ცხადყოფს, რომ არსებობს პრობლემები რიგ საჯარო სკოლებში მოსწავლეთა მიმართ დისციპლინური დევნის სამართლებრივი პროცედურების დაცვით განხორციელებაში. აღნიშნული პროცედურების შესახებ სათანადო ინფორმაცია არ აქვთ დისციპლინურ დევნაში მონაწილე პირებს. მოსწავლეთათვის დისციპლინური სახდელის შეფარდებისას არ არის გათვალისწინებული ბავშვის საუკეთესო ინტერესი. კერძოდ, არ ხდება მოსწავლის მიერ სკოლის შინაგანაწესის დარღვევის მიზეზების გარკვევა და ბავშვის პრობლემური ქცევის/საჭიროებების მენეჯმენტი. სახალხო დამცველის მიერ განხილული შემთხვევები ცხადყოფს, რომ სკოლების გარკვეული რაოდენობა არჩევს არა პრობლემაზე მუშაობას, არამედ ბავშვის პრობლემასთან მარტო დატოვებას. არასრულწლოვნის მიმართ დისციპლინური წარმოება აღწერილ შემთხვევებში მიმდინარეობს ბავშვისათვის ძლიერ სტრესულ გარემოში. არასრულწლოვნები სისტემის წინააღმდეგ თავს სრულიად მარტო გრძნობენ და მათი თვითშეფასებისა და ღირსების გრძნობა გაუმართლებლად ითრგუნება. ბავშვები კარგავენ რწმენას გარემოს მიმართ, რომელიც რეალურად მათი მხარდამჭერი უნდა იყოს სრულფასოვან პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესში. ყოველივე ეს კი გამოუსწორებელ ზიანს აყენებს არასრულწლოვნის პიროვნების განვითარებას და ამცირებს მის საზოგადოების წარმატებულ წევრად ჩამოყალიბების შანსს.

განხილული საქმეები

მიმდინარე წლის განმავლობაში სახალხო დამცველის აპარატში განხილული განცხადებების გარკვეული რაოდენობა ეხებოდა სწორედ საჯარო სკოლებში მოსწავლის განათლების უფლების შეზღუდვას დისციპლინური დევნის არასათანადოდ განხორციელების გამო.

მ. ა.–ს საქმე

განათლების უფლების შეზღუდვასთან დაკავშირებით საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა მოქალაქე ლალი ლეკიშვილი, რომელიც აღნიშნავდა, რომ მისი შვილი მიხეილ ალექსიძე საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით გაირიცხა #53-ე საჯარო სკოლიდან. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ბავშვისა და ქალის უფლებათა ცენტრმა დაუყოვნებლივ დაიწყო აღნიშნული განცხადების შესწავლა, ვინაიდან, განმცხადებლის ცნობით, მიხეილ ალექსიძეს 2011 წლის 13 ოქტომბრიდან შეზღუდული ჰქონდა განათლების უფლება.

საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა შეისწავლეს საქმესთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, ახსნა-განმარტებები და განმცხადებლის მიერ მოწოდებული ინფორმაცია. შედეგად გამოიკვეთა, რომ დისციპლინური წარმოების პროცესში დისციპლინურმა კომიტეტმა არასაკმარისად მოიკვლია გარემოებები, დაარღვია კენჭისყრის კანონით დადგენილი პროცედურა; საქმის მოკვლევაში არ იყვნენ ჩართულნი არასრულწლოვანი და მისი კანონიერი წარმომადგენელი – მშობელი, ხოლო ბრძანება მოსწავლის საჯარო სკოლიდან გარიცხვის შესახებ გამოსცა არაუფლებამოსილმა პირმა. კერძოდ:

გაერთიანებული ერების ბავშვთა უფლებების კონვენციის მე-12 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტი, ამავე კონვენციის 28-ე და 29-ე მუხლებთან ერთიანობაში უზრუნველყოფს ბავშვის აზრის მოსმენას სასამართლო თუ ადმინისტრაციული წესით ნებისმიერი საქმის განხილვისას, მათ შორის, განათლების პროცესში დისციპლინარული წარმოების დროს. აღნიშნული ემსახურება განათლების მიღებისას კონვენციის მიერ დადგენილი მიზნებისა და ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესის განხორციელებას. გაერთიანებული ერების ბავშვის უფლებათა კომიტეტი 2002 წლის 9 ოქტომბერს გაერთიანებული სამეფოსადმი მიცემულ რეკომენდაციაში³⁹⁵ მიუთითებს: „სახელმწიფომ უნდა მიიღოს ყველა ზომა ბავშვების სკოლიდან დროებით ან სამუდამოდ გარიცხვის ღონისძიებების შესამცირებლად; უზრუნველყოს ბავშვის მოსაზრებების გათვალისწინება/ბავშვის მოსმენა მის სკოლიდან გარიცხვამდე“.

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, „მოსწავლის მიმართ დისციპლინური სახდელის გამოყენების, აგრეთვე დისციპლინური დევნის დაწყების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მის მშობელს. მოსწავლეს უფლება აქვს მასთან დაკავშირებული საკითხის გადაწყვეტისას მშობელთან ერთად წარდგეს“.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ აცნობოს დაინტერესებულ მხარეს, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შეიძლება გაუარესდეს მისი

³⁹⁵ CRC/C/15 ADD.188

სამართლებრივი მდგომარეობა, და უზრუნველყოს მისი მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში“.

ხოლო თბილისის #53-ე საჯარო სკოლის შინაგანაწესის მე-5 მუხლის მე-10 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, „მოსწავლის მიმართ დისციპლინური სახდელის გამოყენების, ასევე დისციპლინური დევნის დაწყების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მის მშობელს. მოსწავლეს უფლება აქვს, მასთან დაკავშირებული საკითხის გადაწყვეტისას მშობელთან ერთად წარდგეს“.

ვინაიდან, აღნიშნულ საქმეში დისციპლინური კომიტეტის ყველა წევრი ადასტურებს, რომ სხდომაზე საკითხი განიხილეს მიხეილ ალექსიძისა და მისი კანონიერი წარმომადგენლის დაუსწრებლად, ხოლო მათი ინფორმირება დისციპლინური კომიტეტის სხდომის ჩატარების შესახებ არ დასტურდება ოფიციალური დოკუმენტაციითა და უარყოფილია ბავშვის კანონიერი წარმომადგენლის მიერ, შესაბამისად, დარღვეულია გაერთიანებული ერების ბავშვთა უფლებების კონვენციისა და საქართველოს კანონმდებლობით უზრუნველყოფილი უფლება.

როგორც აღინიშნა „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, „დისციპლინური დევნა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ სკოლის შინაგანაწესით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით, ჯეროვანი და სამართლიანი პროცედურით“.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-13 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება აქვს განიხილოს და გადაწყვიტოს საკითხი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებულ მხარეს, რომლის უფლება ან კანონიერი ინტერესი იზღუდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, მიეცა საკუთარი მოსაზრების წარდგენის შესაძლებლობა“, ამავე კოდექსის მე-8 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია თავისი უფლებამოსილება განხორციელოს მიუკერძოებლად“, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „ადმინისტრაციულ წარმოებაში არ შეიძლება მონაწილეობა მიიღოს თანამდებობის პირმა, რომელსაც აქვს პირადი ინტერესი ან/და არსებობს სხვა გარემოება, რომელიც ზეგავლენას მოახდენს საქმის გადაწყვეტაზე“.

საქმეში არსებული მასალები ადასტურებს, რომ დისციპლინური დევნა არ განხორციელდა ჯეროვანი და სამართლიანი პროცედურების დაცვით; კომიტეტის ყველა წევრმა განაცხადა, რომ სკოლის დირექტორის ახსნა-განმარტების გარდა სხდომაზე სხვა სახის მტკიცებულება არ წარმოდგენილა, რომელიც დაადასტურებდა მოსწავლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ფაქტს. მიღებული ახსნა-განმარტებები მოწმობს, რომ სკოლის დირექტორი კომიტეტის წევრებზე ზეწოლას ახდენდა, რამაც, კომიტეტის წევრის განცხადებით, ზეგავლენა მოახდინა მის მიერ დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი გადაწყვეტილების მიღებაზე; გადაწყვეტილება მიხეილ ალექსიძის მიმართ დისციპლინური სახდელის გამოყენების თაობაზე არ იყო დასაბუთებული.

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „დისციპლინური დევნა და სახდელი უნდა იყოს გონივრული, დასაბუთებული და თანაზომადი“. #53-ე საჯარო სკოლის შინაგანაწესის მე-5 მუხლის მე-8 პუნქტი იძლევა ჩამონათვალს დისციპლინური სახდელებისა, რომელიც მოსწავლეს შესაძლოა შეეფარდოს დისციპლინური გადაცდომის ჩადენისათვის. მათ შორის, „მოსწავლის სკოლიდან გარიცხვა“ მოხსენიებულია სახდელების ჩამონათვალში ბოლო ადგილას, სხვა, ნაკლებად მძიმე სახდელების შემდგომ, როგორც უკიდურესი ზომა.

დისციპლინარული კომიტეტის ოქმის (#1) თანახმად, კომიტეტის წევრები მოსწავლის სკოლიდან გარიცხვის აუცილებლობას ასაბუთებენ იმით, რომ წინა წლებში მიხეილ ალექსიძის მიმართ არაერთხელ გამოიყენეს შედარებით მსუბუქი სახის სახდელები. სახალხო დამცველის წარმომადგენლების მიერ დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ მიხეილ ალექსიძის მიმართ გამოყენებული უკანასკნელი დისციპლინური სახდელის დადებიდან (დირექტორის ბრძანება #142-1/მ; 2010 წლის 12 ნოემბერი) გასულია 11 თვე, რაც იმას ნიშნავს, რომ სკოლის შინაგანაწესის მე-5 მუხლის მე-11 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, 2011 წლის 13 ოქტომბერს მიხეილ ალექსიძე ითვლებოდა დისციპლინური პასუხისმგებლობის არმქონედ.

შესაბამისად, დისციპლინური კომიტეტის მიერ მოსწავლის მიმართ სკოლიდან გარიცხვის შესახებ გადაწყვეტილების მიღება შეიძლება ჩაითვალოს არათანაზომიერად.

როგორც საქმეში არსებული მასალებიდან ირკვევა, დისციპლინური კომიტეტის სხდომა მოწვეულ იქნა სკოლის დირექტორის ინიციატივით. სხდომის ოქმი დათარიღებულია 2011 წლის 13 ოქტომბრით 18.00 საათით, თუმცა კომიტეტის წევრის, მარინა ბასილაშვილის, განმარტებით: სხდომა გაიმართა მას შემდეგ, რაც დასრულდა მოსწავლეთა საპროტესტო აქციები 53-ე სკოლასთან. საინფორმაციო წყაროები³⁹⁶ მოწმობს, რომ პირველი საპროტესტო აქცია გაიმართა 2011 წლის 17 ოქტომბერს და გრძელდებოდა რამდენიმე დღის განმავლობაში. რაც შეეხება კომიტეტის სხდომის გამართვის დროს, ოქმის თანახმად, სხდომა გაიმართა 18 საათზე, თუმცა მარინა ბასილაშვილის და მათა ლევიცკაიას გადმოცემით, კომიტეტის სხდომა გაიმართა საგაკვეთილო პერიოდის დასრულების შემდგომ დაახლოებით 3-იდან 4 საათამდე. აღნიშნული ექვის ქვეშ აყენებს მონაცემებს კომიტეტის სხდომის გამართვის თარიღის შესახებ.

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის თანახმად: სკოლიდან მოსწავლის გარიცხვის გადაწყვეტილების მიღების უფლება აქვს დისციპლინურ კომიტეტს – ფარული კენჭისყრით. დისციპლინური კომიტეტის ორი წევრის, მარინა ბასილაშვილისა და მათა ლევიცკაიას, დირექტორისადმი მიწერილ

³⁹⁶ პირველი საპროტესტო აქცია #53-ე სკოლასთან გაიმართა 2011 წლის 17 ოქტომბერს. იხ. საზოგადოებრივი მაუწყებელი „მომბე“ 16სთ. 10წთ., ინტერნეტ ტელევიზია „ITV“, 15სთ. 10წთ., იმედის ტელევიზია გადაცემა „ქრონიკა“ 14სთ.; ტელევიზია „რუსთავი 2“ გადაცემა კურიერი, 12 სთ.

წერილში(#3-179) საუბარია გადაწყვეტილების მიღების პროცედურების დარღვევაზე. ამასთან დაკავშირებით, მარინა ბასილაშვილმა სახალხო დამცველის წარმომადგენლებთან საუბრისას განაცხადა, რომ კომიტეტმა გადაწყვეტილება მიიღო ღია კენჭისყრით. მიუხედავად იმისა, რომ მან სხდომის განმავლობაში აღნიშნულ დარღვევაზე მიუთითა, დირექტორის მიერ კომიტეტის წევრებისათვის არასწორი ინფორმაციის მიწოდების შემდეგ (დირექტორის განმარტებით, სკოლის წესდების თანახმად კომიტეტი გადაწყვეტილებას იღებს ღია კენჭისყრით) მიხეილ ალექსიძის სკოლიდან გარიცხვის გადაწყვეტილება მიიღეს ღია კენჭისყრის საფუძველზე.

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 60¹ მუხლის თანახმად, ზემოაღნიშნული პროცედურული დარღვევები დისციპლინური კომიტეტის მიერ 2011 წლის 13 ოქტომბერს მიღებული გადაწყვეტილების (ოქმი#1) ბათილობის საფუძველია.

როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, დისციპლინური კომიტეტის გადაწყვეტილების საფუძველზე დირექტორმა 2011 წლის 13 ოქტომბერს გამოსცა ბრძანება (#2-50) აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის სახელობის ქალაქ თბილისის #53-ე საჯარო სკოლის მე-11¹ კლასის მოსწავლის მიხეილ ალექსიძის მიმართ დისციპლინური სახდელის გამოყენების შესახებ. აღნიშნული ბრძანება ეწინააღმდეგება „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-12 პუნქტს, რომლის თანახმადაც მხოლოდ სკოლის დისციპლინური კომიტეტია უფლებამოსილი მიიღოს გადაწყვეტილება მოსწავლის სკოლიდან გარიცხვის თაობაზე.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლის დირექტორის ზემოთ მითითებული ბრძანება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად არარა ადმინისტრაციული აქტია ვინაიდან გამოცემულია არაუფლებამოსილი პირის მიერ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის შესაბამისად, სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა განათლებისა და მეცნიერების მინისტრს, შეესწავლა აღნიშნული საკითხი და უზრუნველყო მიხეილ ალექსიძის დარღვეული განათლების უფლების აღდგენა და ასევე, მიეღო კანონმდებლობით დადგენილი პასუხისმგებლობის ზომები შესაბამისი თანამდებობის პირების მიმართ.

ბ. ხ.-ს საქმე

სახალხო დამცველს განცხადებით³⁹⁷ მიმართა მოქალაქე დ. ლ.-მ, რომელიც აღნიშნავდა რომ მისი დისშვილი ბ. ხ. სწავლობდა ტყიბულის რაიონის ორპირის საჯარო სკოლაში, საიდანაც გაირიცხა 2010 წლის 18 მაისს. განმცხადებელს მიაჩნდა, რომ არასრულწლოვნის სკოლიდან გარიცხვა იყო უსამართლო.

³⁹⁷ წერილი 0857-10/2

საქმის შესასწავლად სახალხო დამცველის აპარატის ბავშვისა და ქალის უფლებათა ცენტრმა ტყიბულის რაიონის ორპირის საჯარო სკოლიდან გამოითხოვა³⁹⁸ საქმესთან დაკავშირებული ყველა სახის დოკუმენტაცია, რომელთა ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლის მიმართ დისციპლინური დევნის განხორციელებისას დარღვეული იყო კენჭისყრისა და დისციპლინური კომიტეტის სხდომის ჩატარების პროცედურა, კერძოდ:

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-12 პუნქტის თანახმად, მოსწავლის სკოლიდან დათხოვნის გადაწყვეტილების მიღების უფლება აქვს სკოლის დისციპლინურ კომიტეტს ფარული კენჭისყრით, შესაბამისად, დისციპლინური კომიტეტის 2010 წლის 26 აპრილის სხდომაზე ღია კენჭისყრით მიღებული გადაწყვეტილება ბ. ხ.-ს მიმართ დისციპლინური სახდელის დაკისრებაზე, არ შეესაბამებოდა „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებს. ასევე, არ შეესაბამებოდა „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის სკოლის დირექტორის #23 ბრძანება, რადგან აღნიშნული კანონის მე-19 მუხლის მე-12 პუნქტის თანახმად, მხოლოდ სკოლის დისციპლინური კომიტეტია უფლებამოსილი მიიღოს გადაწყვეტილება მოსწავლის სკოლიდან 10 დღით დათხოვნის შესახებ.

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი ასევე არ ითვალისწინებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლებისა და საგანმანათლებლო რესურსცენტრის მასწავლებლების (გარდა იმ მასწავლებლებისა, რომლებიც არიან დისციპლინური კომიტეტის წევრები) – მონაწილეობას მოსწავლის მიმართ დისციპლინური სახდელის შეფარდების გადაწყვეტილების მიღებისას, როგორც ეს მოხდა ორპირის სკოლაში.

2010 წლის 27 აპრილს მშობლისადმი გაგზავნილი წერილის ჩანაწერი მოსწავლის (რომელიც იმ მომენტში იყო მე-7 ანუ საბაზო საფეხურის მოსწავლე) შესაძლო გარიცხვის შესახებ ეწინააღმდეგება „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-12¹ მუხლს, რომლის თანახმადაც „დაუშვებელია დაწყებით და საბაზო საფეხურებზე მოსწავლის სკოლიდან გარიცხვა“.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დადგინდა, რომ დარღვეული იყო მოსწავლე ბ. ხ.-ს განათლების უფლება, რადგან მის მიმართ წარმოებული დისციპლინური დევნა არ შეესაბამებოდა „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონითა და ორპირის საჯარო სკოლის შინაგანაწესით დადგენილ მოთხოვნებს.

„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის შესაბამისად, სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა ორპირის საჯარო სკოლას მოსწავლის დარღვეული განათლების უფლების აღდგენის მიზნით.

2011 წლის 25 მარტს ორპირის საჯარო სკოლიდან მიღებული წერილით³⁹⁹ გვეცნობა, რომ სკოლა მიიღებს ყველა ზომას, რათა აღარ განმეორდეს მოსწავლის უფლებების

³⁹⁸ წერილი #3653/08-4/0857-10/2

³⁹⁹ წერილი # 63

დარღვევის ფაქტი, სკოლა მზადაა, მოსწავლისა და მისი კანონიერი წარმომადგენლის სურვილის შემთხვევაში ჩარიცხოს მოსწავლე შესაბამის კლასში და შეუქმნას მას განვითარებისთვის ყველა პირობა. ასევე გვეცნობა, რომ მომავალში სკოლა ნებისმიერ ქმედებას განახორციელებს კანონმდებლობის სრული დაცვით.

რეკომენდაციები:

რეკომენდაციით მიემართავთ საქართველოს პარლამენტს, უზრუნველყოს გაერთიანებული ერების „ბავშვის უფლებების კონვენციის“ კომუნიკაციის პროცედურასთან დაკავშირებული დამატებითი ოქმის (რეზოლუცია 17/18) რატიფიკაცია, რომელიც გააძლიერებს ბავშვთა უფლებების დაცვის მექანიზმებს და ხელს შეუწყობს ბავშვთა მონაწილეობას უფლებადაცვით საქმიანობაში.

რეკომენდაციით მიემართავთ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს, განათლებისა და მეცნიერების მინისტრსა და შინაგან საქმეთა მინისტრს:

1. შეიტანონ ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებში ხარვეზების გასაუმჯობესებლად მიმართული ცვლილებები, რათა განხორციელდეს:

- ა) ძალადობის ცნების განმარტების ჰარმონიზაცია საერთაშორისო სტანდარტთან;
- ბ) „უფლებელყოფის“, როგორც ძალადობის ერთ-ერთი ფორმის ინკორპორირება;
- გ) ქუჩაში მყოფი და მომუშავე ბავშვების სპეციფიკის გათვალისწინება;
- დ) სოციალური მუშაკისა და პატრულის შეთანხმებული მოქმედების უზრუნველყოფა.

2. ა) უზრუნველყონ ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცესში ჩართულ პროფესიონალთა გადამზადება აღნიშნულ საკითხებზე ცოდნის ამაღლების კუთხით;

- ბ) უზრუნველყონ სრულფასოვანი ეროვნული სტატისტიკის წარმოება ბავშვთა მიმართ განხორციელებული ძალადობისა და უფლებელყოფის შემთხვევების შესახებ;
- გ) უზრუნველყონ თანამშრომლობა და ინფორმაციის გაცვლა ბავშვთა ძალადობისგან დაცვის (რეფერირების) პროცედურებში ჩართულ უწყებებს შორის;
- დ) აღკვეთონ ინსტიტუციური, სისტემური ძალადობის ფორმები ბავშვთა მიმართ პასუხისმგებელი პირების მიერ.

რეკომენდაციით მიემართავთ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს, რათა ქუჩაში მყოფი ბავშვების დაცვის მიზნით უზრუნველყოს:

- ა) პრევენციული ღონისძიებების გატარება ქუჩაში ბავშვების გასვლის რისკის მატარებელი ოჯახების გასაძლიერებლად, სათანადო სერვისების უზრუნველყოფით; ასევე, ქუჩაში ბავშვების გასვლის რისკფაქტორების გაანალიზებისათვის და შესამცირებლად;

ბ) გასვლითი (out-reach) ღონისძიებების გაძლიერება სოციალური სამსახურების მიერ, რომლებიც ქუჩაში მყოფ ბავშვებთან თავად დაამყარებენ კონტაქტს და დააკავშირებენ მათ საჭირო სამსახურებთან და პროფესიონალებთან;

გ) საჭიროებებზე დაფუძნებული სერვისების ჯაჭვის შექმნა, რომელშიც „თავშესაფარი“ იქნება მხოლოდ ერთ-ერთი რგოლი; ხოლო, ბავშვის ინდივიდუალური მოთხოვნილებებიდან გამომდინარე, სხვადასხვა ტიპის სერვისი (დღის-ცენტრი, საკონსულტაციო ცენტრი, კრიზისული ცენტრი ა.შ.) უზრუნველყოფს ბავშვის თანდათანობით დაახლოებას სოციუმთან;

დ) სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფა;

ე) სამოქალაქო რეესტრთან თანამშრომლობით ქუჩაში მყოფი ბავშვების დოკუმენტირების პრობლემის გადაჭრა.

რეკომენდაციით მიემართავეთ განათლებისა და მეცნიერების მინისტრს, რათა განათლების სამინისტრომ:

ა) უზრუნველყოს სკოლაში მომუშავე პერსონალის ინფორმირებულობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი დებულებათა დაცვით დისციპლინური წარმოების შესახებ;

ბ) უზრუნველყოს სკოლის მოსწავლეთა ინფორმირებულობა მათი უფლებების შესახებ;

გ) ხელი შეუწყოს დისციპლინური კომიტეტების ეფექტურ მუშაობას.

ქალის უფლებები

გაერთიანებული ერების ქალთა ორგანიზაციის 2011 წლის ანგარიშის⁴⁰⁰ თანახმად, ქალთა უფლებების ეფექტური განხორციელება საზოგადოებაში კანონის უზენაესობის მიღწევის აუცილებელი წინაპირობაა. თუმცა საკუთარი უფლებების დასაცავად სასამართლოსადმი ქალების მიმართვის პროცესი ხშირად ფერხდება მართლმსაჯულების სისტემაში არსებული დისკრიმინაციული დამოკიდებულებების გამო.

გენდერულად მგრძობიარე მართლმსაჯულების სისტემის ხელშესაწყობად მნიშვნელოვანია პოლიციის, სასამართლოსა და სხვა პასუხისმგებელი უწყებების ფარგლებში სპეციალური პროცედურებისა შემუშავება, ასევე ისეთი ორგანიზაციული კულტურის დანერგვა, რომელიც ქალებს დაეხმარება სოციალური და ინსტიტუციური ბარიერების გადალახვაში მართლმსაჯულების მიღწევისას.

საქართველოს სახალხო დამცველი 2011 წლის განმავლობაში ინტენსიურად ადევნებდა თვალს საქართველოში ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის ღონისძიებების გატარებას. კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე სახალხო დამცველმა შეისწავლა როგორც ოჯახში ძალადობის ფაქტების რაოდენობრივი მაჩვენებლები, ასევე სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან ქალთა უფლებების დაცვის ხარისხი. კერძოდ, 2011 წლის განმავლობაში სახალხო დამცველის მიერ შესწავლილი იყო 30-ზე მეტი ოჯახში ძალადობის შემთხვევა, რომელთა განხილვისას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სამართალდამცავი ორგანოების რეაგირების ეფექტურობას, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა უზრუნველყოფის ღონისძიებებსა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის ხელმისაწვდომობას.

განალიზებული პრაქტიკის საფუძველზე უნდა ითქვას, რომ შესამჩნევი პროგრესი შეინიშნება ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის კანონმდებლობის დახვეწის კუთხით, თუმცა კვლავაც რჩება ხარვეზები კანონით გათვალისწინებული ნორმების აღსრულებისას, კანონის ნორმების ინტერპრეტაციასა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისას;

სახალხო დამცველს წლის განმავლობაში არაერთმა ქალმა მიმართა, რომელთაც გადალახეს ძლიერი სოციალური ბარიერი და სამართალდამცავი, სასამართლო სტრუქტურების განსჯადად აქციეს ოჯახში ძალადობის შემთხვევა, თუმცა უმეტეს შემთხვევებში განიცადეს იმედგაცრუება და მეორადი ტრავმატიზაცია პასუხისმგებელი სტრუქტურების უმოქმედობის გამო.

⁴⁰⁰ გაერთიანებული ერების ქალთა ორგანიზაციის ანგარიში (2011), მართლმსაჯულების ძიებაში, 2011–2012 მსოფლიოს ქალთა მიღწევები. გვ.11

სამართლებრივი რეგულირება

1994 წელს საქართველომ 1979 წლის 18 დეკემბრის საერთაშორისო ხელშეკრულების (კონვენციის) „ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ (CEDAW) რატიფიცირება მოახდინა. აღნიშნული კონვენცია რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის N561 დადგენილებით, რის შემდეგაც საქართველომ საერთაშორისო საზოგადოების წინაშე იკისრა ვალდებულება - დაიცვას კონვენციით გათვალისწინებული ქალთა უფლებები. გაეროს „ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენცია“ უშუალოდ „ქალის მიმართ ძალადობის“ ცნებას არ მოიცავს. მაგრამ გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი – თავდაპირველად 1989 წელს, ხოლო შემდგომში 1992 წელს მიღებული მე-12 და მე-19 რეკომენდაციებით მოუწოდებს კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებს, გაატარონ ყველა სახის ღონისძიება, რათა ქალი დაცულ იქნეს ყოველგვარი ძალადობისაგან ნებისმიერი პირის მხრიდან. აღნიშნულმა რეკომენდაციებმა პირველად გაუსვა ხაზი იმ ფაქტს, რომ ოჯახში ძალადობა კერძო ურთიერთობების სფეროს არ წარმოადგენს და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვა სახელმწიფოს ვალდებულებაა.

2006 წელს საქართველოს სახელმწიფოს მიერ გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტისათვის წარდგენილი მე-2 და მე-3 გაერთიანებული პერიოდული ანგარიშის შედეგად საქართველომ მიიღო რეკომენდაცია, რომლის ფარგლებშიც კომიტეტი მოუწოდებს სახელმწიფოს: პრიორიტეტი მიანიჭოს ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ კანონისა და სამოქმედო გეგმის შესრულებას; ოჯახში ძალადობის პრობლემატიკის ფართოდ გაცნობას საზოგადოებისა და პასუხისმგებელი ოფიციალური პირებისათვის; უზრუნველყოს ოჯახური ძალადობის მსხვერპლი ყველა ქალისთვის, მათ შორის, სოფლად მცხოვრებთათვის, დაცვის ღონისძიებების დაუყოვნებლივი განხორციელება – დამცავი/შემაკავებელი ორდერების გამოწერა, თავშესაფრებში განთავსება, სამართლებრივი დახმარება და ა.შ.

2006 წლის 25 მაისს ძალაში შევიდა საქართველოს კანონი „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“, რომლის მიზანია ოჯახის წევრთა უფლებრივი თანასწორობის აღიარებით შექმნას მათი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ხელშეუხებლობის, ოჯახური ღირებულებების დაცვის საკანონმდებლო გარანტიები; შექმნას ეფექტური საკანონმდებლო მექანიზმები ოჯახში ძალადობის გამოვლენის, აღკვეთისა და თავიდან აცილებისთვის.

აღნიშნული კანონი ითვალისწინებს ოჯახში ძალადობის ფაქტზე ოპერატიული რეაგირებისათვის უფლებამოსილი ორგანოს მიერ მსხვერპლის დაცვისა და მოძალადის გარკვეული მოქმედებების შეზღუდვის უზრუნველსაყოფად დროებითი ღონისძიების სახით შემაკავებელი და დამცავი ორდერის გამოცემას⁴⁰¹.

⁴⁰¹ საქართველოს კანონი „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“, მუხლი 10.

2008 წლის 28 ივლისს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის N183/ნ ბრძანებით, განისაზღვრა ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დროებითი საცხოვრებლისა (თავშესაფრის) და მოძალადეთა სარეაბილიტაციო ცენტრების მოწყობისათვის აუცილებელი მინიმალური სტანდარტები.

2010 წელს ძალაში შევიდა კანონი „გენდერული თანასწორობის შესახებ“. კანონი მიზნად ისახავს: საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში დისკრიმინაციის დაუშვებლობას; სათანადო პირობების შექმნას ქალისა და მამაკაცის თანასწორი უფლებების, თავისუფლებებისა და შესაძლებლობების რეალიზაციისათვის. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ეს კანონი იძლევა ისეთი მნიშვნელოვანი ცნებების განმარტებას, როგორებიცაა: გენდერი, გენდერული თანასწორობა, დისკრიმინაცია სქესის ნიშნით, პირდაპირი და ირიბი დისკრიმინაცია და სხვა.

გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ღონისძიებების გატარებაზე საქართველოში მუშაობენ: გენდერული თანასწორობის საბჭო⁴⁰², ოჯახში ძალადობის აღკვეთის ღონისძიებათა განმახორციელებელი უწყებათშორისი საბჭო⁴⁰³ და ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი⁴⁰⁴, რომელმაც მანდატის გაზრდის შემდეგ⁴⁰⁵ 2009 წლიდან ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა საკითხებზე მუშაობაც შეითავსა.

საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 5 ოქტომბრის #665 ბრძანებულებით დამტკიცდა ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა იდენტიფიცირების წესი⁴⁰⁶. წინამდებარე წესი ადგენს ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა იდენტიფიცირების ერთიან წესს, განსაზღვრავს მსხვერპლის იდენტიფიცირებაში მონაწილე სუბიექტებსა და მათ კომპეტენციას.

2011 წლის 27 აპრილს საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით # 27/04/02 დამტკიცდა ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2011–2012 წლების სამოქმედო გეგმა.

⁴⁰² საბჭოს მუდმივმოქმედი სტატუსი მიენიჭა კანონით „გენდერული თანასწორობის შესახებ“, 2010 წლის, 26 მარტი.

⁴⁰³ საბჭო შეიქმნა საქართველოს პრეზიდენტის # 626 ბრძანებულებით, 2008 წლის 26 დეკემბერს

⁴⁰⁴ სსიპ „ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის“ დებულება დამტკიცდა საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 18 ივლისის #437 ბრძანებულებით.

⁴⁰⁵ პრეზიდენტის 2009 წლის 6 იანვრის ბრძანებულება # 4 „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 18 ივლისის # 437 ბრძანებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

⁴⁰⁶ საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 5 ოქტომბრის ბრძანებულება N665 „ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა იდენტიფიცირების წესის დამტკიცების შესახებ“.

აღნიშნული გეგმის ცალკეული მუხლების შესრულებაზე ზედამხედველობა სახალხო დამცველის უფლებამოსილებაა, მაგ. 2.4. მუხლით გათვალისწინებული ღონისძიება, რომელიც ეხება ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა სამართლებრივი დაცვის საშუალებების გაძლიერებას. ასევე გეგმის 3.2.2. მუხლით გათვალისწინებული საინფორმაციო-საგანმანათლებლო შეხვედრების უზრუნველყოფა შემდეგ მიზნობრივ ჯგუფებთან:

- ა) იძულებით გადაადგილებული პირები;
- ბ) სოფლად მცხოვრები მოსახლეობა;
- გ) ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები.

სამოქმედო გეგმის 1.3 მუხლი ეხება ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე ერთიანი სტატისტიკის წარმოების გაუმჯობესებას და სისტემატიზაციას. ამგვარი რეესტრის შემუშავების სპეციფიკური სტანდარტების განსაზღვრის ხელშეწყობისათვის სახალხო დამცველი სხვა უწყებებთან ერთად არის ჩართული.

სიახლის სახით უნდა აღინიშნოს, რომ 2011 წლის 27 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება⁴⁰⁷ „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე“ გაეროს უშიშროების საბჭოს #1325; 1820; 1888; 1889 და 1960 რეზოლუციების განსახორციელებელი 2012–2015 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის“ დამტკიცების შესახებ.

ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის სფეროში განხორციელებული ღონისძიებები

სახალხო დამცველმა შინაგან საქმეთა სამინისტროდან გამოითხოვა ინფორმაცია⁴⁰⁸ ოჯახში ძალადობის საკითხზე სამინისტროს მიერ გატარებული ღონისძიებების შესახებ. სამინისტროდან მოწოდებული ინფორმაციის⁴⁰⁹ თანახმად, შინაგან საქმეთა სამინისტრო განაგრძობს ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დასაცავად ეროვნული სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულებას; გეგმის ერთ-ერთი კომპონენტია პოლიციელების კვალიფიკაციის ამაღლება მათთვის ტრენინგების ჩატარებით.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, 2011 წლის იანვრის თვიდან დღემდე შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის საბაზისო სწავლების კურსი გაიარა საპატრულო პოლიციისა და საუბნო სამსახურში დასაქმების 1200-მა კანდიდატმა.

საერთაშორისო ორგანიზაციების ხელშეწყობითა და შინაგან საქმეთა სამინისტროს აქტიური თანამშრომლობით არასამთავრობო ორგანიზაციებთან 2011 წლის თებერვლიდან მიმდინარეობს ტრენინგების ციკლი ოჯახში ძალადობის თემატიკაზე.

⁴⁰⁷ #5622-რს

⁴⁰⁸ წერილი #1091/08

⁴⁰⁹ წერილი #1468871

ტრენინგები ჩატარდა შემდეგ რეგიონებში: კახეთი, მცხეთა–მთიანეთი, შიდა ქართლი, ქვემო ქართლი, სამცხე–ჯავახეთი.

აღნიშნული პერიოდისთვის გადამზადებულია 520 პოლიციელი.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, 2011 წლის იანვარ–ოქტომბრის მონაცემებით, გამოცემული შემაკავებელი ორდერების რაოდენობა მნიშვნელოვნად აღემატება 2010 წელს გამოცემულ ორდერთა რაოდენობას, რაც, თავის მხრივ განპირობებულია მოქალაქეების მხრიდან პოლიციისადმი მიმართვიანობის მაჩვენებლის გაზრდით.

საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდმა“ მოამზადა 14 000 კალენდარი, რომლებშიც მითითებულია ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარებისთვის განკუთვნილი ცხელი ხაზი და შინაგან საქმეთა სამინისტროს ცხელი ხაზი. ასევე გამოიცა 7000 ბროშურა სათაურით, „წინ აღვუდგეთ ძალადობას ოჯახში“. აღნიშნული საინფორმაციო მასალის გავრცელება მოსახლეობაში უზრუნველყვეს შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის და სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა.

2011 წლის მეორე ნახევარში არასამთავრობო ორგანიზაციამ „ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელი“ დაბეჭდა 18 000 საინფორმაციო ლიფლეტი ქართულ, რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე და ბუკლეტები რუსულ და აზერბაიჯანულ ენებზე. ოჯახში ძალადობის შესახებ ინფორმაციასთან ერთად ბროშურები და ლიფლეტები ასევე მოიცავს ძალადობის მსხვერპლთათვის ცხელი ხაზის ნომრებს. აღნიშნული ინფორმაცია შსს–ს თანამშრომლებმა გაავრცელეს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, მათ შორის, ეროვნული უმცირესობით დასახლებულ ადგილებში.

ძირითადი ტენდენციები ქალთა უფლებების დარღვევების კუთხით

მიუხედავად ოჯახში ძალადობის საკითხზე მომუშავე სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ განხორციელებული ღონისძიებებისა და მიღწეული შედეგებისა, საანგარიშო წლის განმავლობაში სახალხო დამცველისადმი მიმართვიანობის ანალიზი კვლავ ხაზს უსვამს აღნიშნულ სფეროში არსებულ პრობლემატიკას.

2011 წელს სახალხო დამცველისადმი ქალთა უფლებების დაცვაზე მომართვების მნიშვნელოვანი ნაწილი ეხება ოჯახში ძალადობის, კერძოდ, ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური ძალადობის თემას. განცხადებების შესწავლის პროცესში გამოიკვეთა შემდეგი ტენდენცია:

საპატრულო პოლიციის გამოძახების შემთხვევაში სამართალდამცავები სრულფასოვნად არ ატარებენ კანონმდებლობით გათვალისწინებულ ღონისძიებებს. ძალადობის ფაქტს პოლიცია უმეტესად ანიჭებს ოჯახური კონფლიქტის კვალიფიკაციას, რომელზეც

პოლიციის თანამშრომლის რეაგირება გამოიხატება კონფლიქტის მონაწილეთათვის სიტყვიერი გაფრთხილების მიცემითა და ხელწერილის ჩამორთმევით.

იმ შემთხვევაში, როდესაც ოჯახში ძალადობის ფაქტს თან ახლავს სხეულის დაზიანება, პოლიცია იწყებს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნების საფუძველზე წინასწარ გამოძიებას, რომლის დროსაც პოლიცია აღარ იყენებს ოჯახში ძალადობის კანონმდებლობით გათვალისწინებულ დროებით ღონისძიებებს. შესაბამისად, მოძალადეს არ უწესდება შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული შეზღუდვები და მსხვერპლი არ არის დაცული ძალადობის განმეორებითი შემთხვევისაგან.

მიმდინარე წლის მანძილზე გამოიკვეთა პოლიციის თანამშრომელთა დაბალი ინფორმირებულობა ოჯახში ძალადობის ფაქტებზე მუშაობის სპეციფიკის შესახებ.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ბავშვისა და ქალის უფლებათა ცენტრის მიერ ოჯახში ძალადობის კონკრეტულ შემთხვევებზე პოლიციის მიმართ განხორციელებულ შეტყობინებებზე მიღებული პასუხები ადასტურებს აღნიშნულს. კერძოდ, რიგ შემთხვევებში ეკონომიკური ძალადობის ფაქტი პოლიციის მიერ კვალიფიცირდება სამოქალაქო (ქონებრივი) დავად, რომელიც წყვეტს სასამართლო, ხოლო სხვა შემთხვევაში მძიმე ემოციური/ფსიქოლოგიური ძალადობის შემთხვევებზე პოლიცია არ ატარებს კანონით გათვალისწინებულ ღონისძიებებს. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ პოლიციას არა აქვს უფლება ოჯახში ძალადობის შემთხვევა მიიჩნიოს ნაკლებად მნიშვნელოვნად ძალადობის სხვა შემთხვევებთან შედარებით⁴¹⁰.

პოლიციის მიერ ზემოაღნიშნული პრაქტიკის დამკვიდრების შემთხვევაში საფრთხე ექმნება „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების“ საქართველოს კანონის მიზნის მიღწევას.

ნ. მ.–ს საქმე⁴¹¹

2011 წლის 23 მაისს საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა მოქალაქე ნ. მ.–მ.

განმცხადებელი აღნიშნავდა, რომ არის ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ყოფილი მეუღლისა და შვილის მხრიდან. ყოფილი მეუღლე მუდმივად არის ნასვამ მდგომარეობაში და აყენებს სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას, ამცირებს, აშინებს დანით, ემუქრება სიცოცხლის ხელყოფით და აღნიშნულში შვილი ი. მ.–ც უწყობს ხელს. განმცხადებლის ინფორმაციით, მან არაერთხელ მიმართა ნამალადევის რაიონის N6

⁴¹⁰ საქართველოს კანონი „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“, მუხლი 16, 1-ლი პუნქტი.

⁴¹¹ განცხადება # 0633-11

პოლიციის განყოფილებას, თუმცა სამართალდამცავი ორგანოს მხრიდან მის განცხადებას რეაგირება არ მოჰყოლია.

2011 წლის 25 აგვისტოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის სამმართველოს გლდანი-ნამალადევის სამმართველოს N6 განყოფილებიდან გვეცნობა⁴¹², რომ ნ. მ.-სა და გ. მ.-ს შორის ქონებრივი დავის დასრულებამდე შექმნილია პროფილაქტიკურ-სამეთვალყურეო საქმე⁴¹³. თუმცა, განმცხადებლის ინფორმაციით, აღნიშნული ღონისძიება ვერ უზრუნველყოფს მსხვერპლის დაცვას განმეორებადი ძალადობის შემთხვევებისგან.

ნ. ჯ.-ს საქმე⁴¹⁴

2011 წლის 5 აპრილს საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა მოქალაქე ნ. ჯ.-მ.

განმცხადებელი აღნიშნავდა, რომ იყო არაერთგზის სიტყვიერი შეურაცხყოფის, ფსიქიკური ზეწოლის, ცილისწამების და მუქარის მსხვერპლი მისი მაზლის, ოჯახისა და მეზობლების მხრიდან. ნ. ჯ. აღნიშნავდა, რომ მას დაეღუპა ქმარი-შვილი. განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ მაზლი განმცხადებელს ქონებაზეც ედავებოდა.

2011 წლის 20 მაისს მიემართეთ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ბაღდათის რაიონულ პოლიციის განყოფილებას.

2011 წლის 29 აგვისტოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ბაღდათის რაიონული სამმართველოდან გვეცნობა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო შეწყდა გამოძიება საქმეზე (N057090082), რომელიც წარმოებდა ნ. ჯ.-ს ქონების განზრახ დაზიანების ფაქტთან დაკავშირებით. წერილში აგრეთვე აღნიშნულია, რომ მოდავე მხარეები გააფრთხილეს, რომ არ მიაყენონ ერთმანეთს სიტყვიერი შეურაცხყოფა. პოლიციას არ გაუტარებია კანონმდებლობით გათვალისწინებული სათანადო ღონისძიებები მსხვერპლის დაცვის მიზნით.

ლ. ბ.-ს საქმე⁴¹⁵

2011 წლის 30 ივნისს საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა მოქალაქე ლ. ბ.-მ.

⁴¹² წერილი # 1023462

⁴¹³ წერილი # 807959

⁴¹⁴ განცხადებები 0390-11; 0390-11/1

⁴¹⁵ განცხადება # 0980-11

განმცხადებელი აღნიშნავდა, რომ სამი წლის განმავლობაში განიცდიდა ძალადობას შვილების მხრიდან, კერძოდ, სიტყვიერ შეურაცხყოფასა და სახლიდან გაგდების მუქარას.

2011 წლის 8 სექტემბერს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან გვეცნობა, რომ ლ. ბ.-ს შვილები გააფრთხილეს, რომ არ მიაყენონ შეურაცხყოფა განმცხადებელს, არ შევიდნენ მასთან კონფლიქტში და მათ შორის სადავო საკითხის არსებობისას მიმართონ სასამართლოს.

პოლიციას არ გაუტარებია კანონმდებლობით გათვალისწინებული სათანადო ღონისძიებები მსხვერპლის დაცვის მიზნით.

ლ. კ.-ს საქმე ⁴¹⁶

2011 წლის 30 ივნისს საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა მოქალაქე ლ. კ.-მ.

განმცხადებლის ინფორმაციით, მას აქვს ქონებრივი დავა მაზლთან, რომელიც, ამავდროულად, მასზე და მის შვილებზე ახორციელებს ძალადობას და მუქარას.

2011 წლის 6 სექტემბერს მიემართეთ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ჩოხატაურის რაიონულ სამმართველოს. 2011 წლის 26 სექტემბერს აღნიშნული სამმართველოდან გვეცნობა, რომ გამოძიება არ დაწყებულა დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო. მოძალადე ხელწერილის ჩამორთმევით გააფრთხილეს, რომ არ მიაყენოს სიტყვიერი შეურაცხყოფა განმცხადებელს. პოლიციამ არ გაატარა კანონმდებლობით გათვალისწინებული სათანადო ღონისძიებები მსხვერპლის დაცვის მიზნით.

ყველა ზემოაღნიშნულ შემთხვევაში ოჯახში ძალადობის შემთხვევის ნამდვილობაზე მიუთითებს პოლიციის მხრიდან განხორციელებული რეაგირება, თუმცა რეაგირება ყველა ჩამოთვლილ შემთხვევაში იყო ფორმალური და რეალურად ვერ უზრუნველყოფდა მსხვერპლის დაცვას ანალოგიური ფაქტებისგან. სახალხო დამცველისადმი მიმართული საჩივრების ავტორთა ოჯახებში ძალადობის შემთხვევათა 80%-ში პოლიციის რეაგირება შემოიფარგლება გაფრთხილებითა და პროფილაქტიკურ-სამეთვალყურეო საქმის შექმნით. ამ უკანასკნელი ღონისძიების შესახებ ჩანაწერი არ მოიპოვება „ოჯახში ძალადობის, მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში. სახალხო დამცველმა შინაგან საქმეთა სამინისტროდან მრავალჯერადად გამოითხოვა გაფრთხილებისა და პროფილაქტიკურ-სამეთვალყურეო საქმის შექმნის ღონისძიებების ეფექტურობის ამსახველი მასალა

⁴¹⁶ განცხადება #2386-09/3

ოჯახში ძალადობის მსხვერპლებთან დაკავშირებით, ასევე, ყველა კონკრეტულ შემთხვევაში ძალადობის მსხვერპლთან და სავარაუდო მოძალადესთან გასაუბრების ამსახველი ოქმები, რომლებიც დაადასტურებდა/უარყოფდა პოლიციის მიერ საკითხის სიღრმისეული მოკვლევის ფაქტს, თუმცა გამოთხოვილი მასალა არც ერთ შემთხვევაში არ მიგვიღია. შესაბამისად, სახალხო დამცველისადმი საჩივრების ავტორთა/ძალადობის მსხვერპლთა უკმაყოფილება პოლიციის რეაგირებით ბადებს ეჭვს აღნიშნულ საქმეთა არასაკმარისი მოკვლევის შესახებ.

2010 წლის 30 ნოემბერს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება საქმეზე „ჰაჯდუვა სლოვაკიის წინააღმდეგ“⁴¹⁷, (2660/03), რომელშიც აღნიშნულია, რომ სასამართლო დადებითად აფასებს პოლიციის ჩართვას ოჯახში ძალადობის ფაქტის შესწავლაში, თუმცა ამავე დროს შეუძლებელია არ აღინიშნოს სახელმწიფო უწყებების პასიურობა, უზრუნველყოთ მსხვერპლის უსაფრთხოება შემდგომი ძალადობის თავიდან აცილების მიზნით. სასამართლო განმარტავს, რომ სახელმწიფო ორგანოებს ჰქონდათ ვალდებულება, მიეღოთ სათანადო პრევენციული ღონისძიებები, ვინაიდან მათ იცოდნენ ან უნდა სცოდნოდათ რეალური და დაუყოვნებელი საფრთხის შესახებ;

აღნიშნულ საქმეს კი წინ უსწრებდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ერთ–ერთი განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებელი გადაწყვეტილება ოჯახში ძალადობისგან ქალთა უფლებების დაცვასთან დაკავშირებით – „ოპუზი თურქეთის წინააღმდეგ“⁴¹⁸. აღნიშნულ საქმეში სასამართლომ განმარტა, რომ პასუხისმგებელმა სახელმწიფო უწყებებმა, მათ შორის სამართალდამცავმა ორგანოებმა საქმე სათანადო გულისხმიერებით არ შეისწავლეს, არ გაატარეს ადეკვატური ღონისძიებები და არ მოხდა ძალადობის ერთ–ერთი მსხვერპლის სიცოცხლის ხელყოფის ფაქტის პრევენცია. სასამართლო გადაწყვეტილებაში თურქეთში ქალთა უფლებების მდგომარეობის ნათელსაყოფად მოყვანილია ციტატა ქალთა უფლებების თემაზე მომუშავე ერთ–ერთი ორგანიზაციისა, რომელიც აღნიშნავს, რომ, ოჯახში ძალადობის მიმართ ჯერაც ტოლერანტულად არიან განწყობილნი პოლიციის განყოფილებები, ზოგიერთი პოლიციელი თავად დგება მსაჯულის როლში და იკავებს მამაკაცის პოზიციას (მსხვერპლი ქალის წინააღმდეგ), რჩევას აძლევს ქალს შეწყვიტოს საქმის წარმოება მოძალადის წინააღმდეგ. კიდევ უფრო სერიოზული პრობლემა სასამართლოს მიერ გაცემული ორდერების აღუსრულებლობა, რომელთა გარკვეული რაოდენობა იმიტომ არ აღსრულდა, რომ მოძალადე ქმრები თავად იყვნენ პოლიციის მუშაკები ან ჰქონდათ მეგობრული ურთიერთობა სხვა პოლიციის მუშაკებთან.

ევროპული სასამართლოს განმარტებით, საქმეში „ოპუზი თურქეთის წინააღმდეგ“ არ ფიქსირდება სახელმწიფო უწყებების მიერ ყველა ზემოაღნიშნული ფაქტორის სათანადოდ გათვალისწინება მოძალადის მიმართ სისხლის სამართლის საქმის წარმოების შეწყვეტის გადაწყვეტილებაში. ამის სანაცვლოდ მათ ექსკლუზიური

⁴¹⁷ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო საქმე #2660/03

⁴¹⁸ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო საქმე #33401/02

მნიშვნელობა მიანიჭეს ე.წ. „ოჯახურ საკითხში“ ინტერვენციისგან თავის შეკავებას. ყოველივე ზემოთქმულის შედეგად სახელმწიფო უწყებებმა დაარღვიეს პოზიტიური ვალდებულება, დაეცვათ ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სიცოცხლე და ამით დაარღვიეს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლი.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ განხილული საქმეები ცხადყოფს, რამდენად მაღალი, პოზიტიური ვალდებულება აკისრია სახელმწიფოს, მათ შორის სამართალდამცავ ორგანოებს, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის საქმეში. ამ უკანასკნელის განხორციელებაში კი განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება თითოეული შემთხვევის სათანადო გულისხმიერებით მოკვლევას, რათა არ იქნეს დაშვებული გამოუსწორებელი შეცდომა მსხვერპლის მოძალადის წინაშე დაუცველად დარჩენისა.

რეკომენდაციები:

რეკომენდაციით მიემართავთ შინაგან საქმეთა მინისტრს:

- ა) შინაგან საქმეთა სამინისტრომ უზრუნველყოს ოჯახში ძალადობის შემთხვევების მართვის მონიტორინგი;
- ბ) გაგრძელდეს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა ტრენინგების ჩატარება ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე მუშაობის სპეციფიკის შესწავლის მიზნით;
- გ) პოლიციელთა გადამზადებისას გათვალისწინებულ იქნეს 2010 წელს ავტორთა ჯგუფის მიერ შემუშავებული პუბლიკაცია „დამხმარე სახელმძღვანელო პოლიციელთათვის ოჯახში ძალადობის საკითხებზე“⁴¹⁹, რომელიც ამავდროულად მოწონებული და რეკომენდებულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ.

⁴¹⁹ დამხმარე სახელმძღვანელოს მნიშვნელოვანი ნაწილი ეთმობა პოლიციელის როლს ოჯახში ძალადობის აღკვეთის საქმეში. მასში დეტალურადაა ჩამოყალიბებული პოლიციელის თანამდევრული მოქმედებები, როგორც ძალადობაზე ოპერატიული რეაგირების დროს, ასევე რეაგირების შედეგად გამოცემულ შემაჯავებელი და მოგვიანებით კი სასამართლოს მიერ გამოცემულ დამცავი ორდერით გათვალისწინებული ღონისძიებების დაცვის უზრუნველსაყოფად.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები

2011 წელი გამოირჩეოდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დასაცავად სახელმწიფოს მიერ რიგი მნიშვნელოვანი ღონისძიებების გატარებით, რაც წინა წლებთან შედარებით პოზიტიური ტენდენციაა. აღსანიშნავია საზოგადოებაში დისკუსიის გაძლიერება ამ საკითხების შესახებ. წლის განმავლობაში განსაკუთრებით აქტიურობით გამოირჩეოდა მედია, რომელმაც მრავალჯერ გააშუქა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დარღვევის ფაქტები. ინტენსიურად გაშუქდა სახალხო დამცველის საპარლამენტო და სპეციალურ ანგარიშებში აღწერილი ამ პირთა ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვის კონკრეტული შემთხვევები. შედეგად, გააქტიურდა სახელმწიფო უწყებების რეაგირება ამ პრობლემების გადასაჭრელად. მიუხედავად იმისა, რომ გასულ წელს მედიაში გამოყენებული იყო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ დისკრიმინაციული გამონათქვამები, შეიქმნა ერთ-ერთი ასეთი შემთხვევის განხილვის პრეცედენტი საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის საბჭოს მიერ, რომელმაც დაადგინა⁴²⁰ ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მე-7 პრინციპის დარღვევა ამ შემთხვევასთან მიმართებაში. მთლიანობაში კი პოზიტიურად უნდა შეფასდეს 2011 წელს მედიის გაძლიერებული ყურადღება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებადარღვევების მიმართ.

2011 წელს შესრულდა სახალხო დამცველის მთელი რიგი რეკომენდაციები, რომლებიც 2010 წლის ანგარიშში ასახულ განსაკუთრებით პრობლემურ საკითხებს ეხებოდა; მათ შორის, საქართველოს რამდენიმე მუნიციპალიტეტში დაიწყო სამუშაოები გარემოს ხელმისაწვდომობის გაზრდის კუთხით; გაძლიერდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვაზე მონიტორინგი საზოგადოებრივი და კვლევით ორგანიზაციების მიერ, თუმცა კვლავ რჩება არაერთი პრობლემა, რომელთა გადაჭრაც ბევრად უფრო სისტემურ მიდგომას მოითხოვს და რომელთაც ეხება წინამდებარე ანგარიშში წამოჭრილი საკითხები;

სახალხო დამცველის რეკომენდაციების შესრულება

2011 წლის ბოლოს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა გამოითხოვა 2011 წლის განმავლობაში სახალხო დამცველის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ინფორმაცია სახელმწიფო უწყებებიდან და ადგილობრივი მუნიციპალიტეტებიდან.

⁴²⁰ 2011 წ. 9 ნოემბერი.

გორის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან მიღებული კორესპონდენციის⁴²¹ თანახმად, გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობის ასასვლელში და მის შიგნით გაკეთდა პანდუსები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ხელმისაწვდომობის გასაზრდელად. ასევე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები დაასაქმეს გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის სხვადასხვა სამსახურში.

ქალაქ თბილისის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურიდან მიღებული კორესპონდენციის⁴²² მიხედვით ქალაქ თბილისის საკრებულოს 2011 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილებით ცვლილებები და დამატებები შევიდა ქალაქ თბილისის საკრებულოს 2007 წლის 8 მაისის #6–35 გადაწყვეტილებაში „რეგულირებად ეკონომიკურ სფეროებში ტარიფების შესახებ“, რომლის თანახმადაც, 1¹ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით რეგულირებად ეკონომიკურ სფეროებში (მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტი (მეტრო), M3 კატეგორიის ავტობუსი) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას უფასო მგზავრობის უფლება მიეცათ დედაქალაქში რეგისტრირებულ შეზღუდვის მკვეთრად გამოხატული ხარისხის მქონე უსინათლო პირებს და გადაადგილებისას მათთან ერთად მყოფ დამხმარე ნებისმიერ პირს, რომლებზეც ქალაქ თბილისის მთავრობის 2011 წლის 30 მაისის #13.05.504 დადგენილების შესაბამისად 2011 წლის დეკემბრის მონაცემებით გაცემულია 2800 სამგზავრო პლასტიკური ბარათი. თბილისის შუქნიშნის 29 ობიექტზე დამონტაჟებულია 30 ხმამაღლა მოლაპარაკე ხელსაწყო, რომლებიც იძლევა ინფორმაციას სავალი ნაწილის გადაკვეთის შესახებ. გზებისა და ქუჩების კაპიტალური შეკეთების დროს ფეხით მოსიარულეთა გადასასვლელებთან ხორციელდება ტროტუარების ადაპტირება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის და მიმდინარეობს უსაფრთხოების კუნძულების დადაბლება.

2011 წლის 29 აპრილს ქ.თბილისის საკრებულომ #5–24 გადაწყვეტილებით ცვლილებები შეიტანა ქ. თბილისის საკრებულოს 2007 წლის 3 აგვისტოს #9–48 გადაწყვეტილებაში „ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების შესახებ“. ამ ცვლილებების შედეგად ქ. თბილისის ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების წესში დაზუსტდა „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის“ და „საცნობი ნიშნის“ ცნებები; განისაზღვრა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის ადაპტირებული იმ სატრანსპორტო საშუალებების კატეგორიები, რომლებზეც გაიცემა საცნობი ნიშანი. ასევე, განისაზღვრა საცნობი ნიშნის მისაღებად წარსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალი და საცნობი ნიშნის ფორმა, დეტალურად გაიწერა საცნობი ნიშნის მიღების პროცედურა. ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 27 აგვისტოს #18.04.606 დადგენილებაში 2011 წლის 28 ოქტომბრის #30.09.1208 დადგენილებით შესული ცვლილებით დამტკიცებული ავტოსატრანსპორტო საშუალებათა 34 970 პარკირების ადგილიდან 315 გამოყოფილია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის.

⁴²¹ წერილი #6467, 2011 წლის 29 დეკემბერი.

⁴²² წერილი 06/153802–1, 2011 წლის 7 დეკემბერი.

მათგან 179 ადგილი აღჭურვილია შესაბამისი საგზაო ნიშნით, აქედან 146-ზე დატანილია საგზაო მონიშვნა.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური ინტეგრაციის 2010–2012 წლების სამთავრობო გეგმის“ ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების შესახებ. სამინისტროდან მიღებული კორესპონდენციის⁴²³ თანახმად, ყოველწლიურად მიმდინარე პროგრამებისა და აქტივობების პარალელურად განხორციელდა ახალი ინიციატივებიც, კერძოდ, 2011 წლის 8 აპრილს დამტკიცდა დღის ცენტრის მომსახურების სტანდარტები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ხარისხიანი მომსახურების მიწოდებისათვის.

აღსანიშნავია, რომ 2011 წლის 1 დეკემბერს შედგა პრემიერ-მინისტრთან არსებული 2009 წლის 16 დეკემბრის ბრძანებით შექმნილი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საკოორდინაციო საბჭოს პირველი სხდომა, რომელთან დაკავშირებითაც სახალხო დამცველმა გასულ წლებში რამდენჯერმე მიმართა მთავრობას რეკომენდაციით.

სხდომას დაესწრნენ პრემიერ-მინისტრი, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი, რეგიონალური განვითარების მინისტრი, ფინანსთა მინისტრის მოადგილე, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე, კულტურის სამინისტროს წარმომადგენელი და სხვა დაინტერესებული პირები.

განისაზღვრა საბჭოს მუშაობის სტრუქტურა და ფორმატი, საბჭოს სამდივნოს ფუნქციონირების აუცილებლობა. პრემიერ-მინისტრმა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის პოსტზე დაასახელა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის, ანდრია ურუშაძის, კანდიდატურა, რომელსაც მხარი დაუჭირეს საბჭოს წევრებმა. საბჭოს გადაწყვეტილებით, იგი ორგანიზებას გაუწევს და უხელმძღვანელებს საბჭოს მუშაობას, ხოლო განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საკითხები გატანილი იქნება პრემიერ-მინისტრის მიერ მთავრობის სხდომაზე.

საბჭოს სხდომაზე განხილული იყო სფეროში არსებული შემდეგი მწვავე პრობლემები:

1. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის სტატუსის მინიჭების საკითხი;
2. გარემოს ხელმისაწვდომობა;
3. განათლების ხელმისაწვდომობა
4. მართვის მოწმობის აღებასთან დაკავშირებული პრობლემები;
5. სამედიცინო დაზღვევასთან დაკავშირებული საკითხები.
6. უსინათლოთა და ყრუთა კავშირებში არსებული კულტურ-შემოქმედებითი ჯგუფების მხარდაჭერისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.

⁴²³ წერილი #01/44549, 2011 წლის 18 ოქტომბერი.

2011 წლის 7 დეკემბერს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში ჩატარდა საკოორდინაციო საბჭოს რიგით #2 სხდომა, რომელზეც ასევე განხილული იყო აქტუალური საკითხები ამ მიმართულებით.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციებმა გაითვალისწინეს სახალხო დამცველის რეკომენდაციები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებრივ მდგომარეობაზე მონიტორინგის ჩატარების შესახებ. კერძოდ, „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2011 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 23 თებერვლის #101 დადგენილების შესაბამისად განსაზღვრული „პროგრამის მონიტორინგის ქვეპროგრამის“ ფარგლებში „ბი-სი-ჯი-კვლევა“ ჩატარა სამინისტროს პროგრამების განხორციელების მონიტორინგი. კვლევის ფარგლებში გამოიკითხა ის ორგანიზაციები, რომლებიც მონაწილეობენ სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ პროგრამებში და მომსახურებას აწვდიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს. კვლევამ გამოავლინა საინტერესო მონაცემები, რომლებიც შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სახელმწიფო სოციალური რეაბილიტაციის პროგრამის გასაუმჯობესებლად.

არასამთავრობო ორგანიზაციამ „ინვალიდ ქალთა და ინვალიდ ბავშვთა დედათა ასოციაცია – დეამ“ არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასთან“ პარტნიორობით ჩატარა 2009 წლის 15 დეკემბრის N978 განკარგულებით დამტკიცებული „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური ინტეგრაციის 2010-2012 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმის“ შესრულების შუალედური მონიტორინგი. მონიტორინგის პირველადი შედეგების შესაბამისად გამოიკვეთა შემდეგი პრობლემური საკითხები:

სამინისტროების ნაწილი ასაიდუმლოებს ან ნაწილობრივ ასაჯაროებს ინფორმაციას სამოქმედო გეგმის შესრულებასთან დაკავშირებით, რაც შეუძლებელს ხდის ადეკვატურ, ხშირ შემთხვევაში კი საერთოდ მონიტორინგის ჩატარებას;

თითქმის ყველა კომპონენტთან დაკავშირებით არსებობს სამუშაო ვადების დარღვევის ან ამავე ვადების არაადეკვატური გაგების პრობლემა, დაფიქსირდა სამოქმედო გეგმის ვადების თვითნებური გადაწევის ცალკეული შემთხვევა. ვადის დარღვევის პრობლემა ხშირ შემთხვევაში იმდენად მწვავეა, რომ ეჭვქვეშ აყენებს სამოქმედო გეგმის შესაბამისი ნაწილის განხორციელების საკითხს. მონიტორინგის პროცესმა გამოავლინა შემთხვევები, როდესაც სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ვადა გასული იყო, თუმცა შესაბამისი საქმიანობები ან არ დასრულებულა, ან არც დაწყებულა.

ასევე, მნიშვნელოვანია, რომ არ არსებობს კოორდინაცია უწყებებს შორის სამოქმედო გეგმის განხორციელებასთან დაკავშირებით, ეს ფაქტორი კიდევ უფრო თვალსაჩინოს ხდის საორგანიზაციო საბჭოს შეკრების აუცილებლობას.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული მონიტორინგის შუალედური ანგარიშის თანახმად, სამოქმედო გეგმის თითოეულ პუნქტთან დაკავშირებით არასამთავრობო ორგანიზაციებს საინტერესოდ და

არგუმენტირებულად აქვთ გაანალიზებული როგორც მიღწეული შედეგები, ისე არსებული პრობლემები. ეს ანალიზი აღმასრულებელ ხელისუფლებას საშუალებას მისცემს გაეცნოს სამოქალაქო საზოგადოების ხედვას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ და მათთან აქტიური პარტნიორობით იზრუნოს სამოქმედო გეგმის ეფექტურ განხორციელებაზე.

საქართველოს სახალხო დამცველი მიესალმება აღმასრულებელი ხელისუფლების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ადგილობრივი თვითმმართველობების გააქტიურებას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის მიმართულებით, თუმცა ასევე აღსანიშნავია, რომ რჩება მთელი რიგი პრობლემები, რომლებიც მოითხოვს დაუყოვნებელ გადაჭრას პასუხისმგებელი უწყებების მიერ.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატთან არსებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის ცენტრმა 2011 წლის განმავლობაში შეისწავლა 58 განცხადება, რომლებიც ეხებოდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დარღვევის საკითხებს. განხილული განცხადებების შესწავლის შედეგად გამოვლინდა განსაკუთრებით პრობლემური საკითხები, რომლებსაც ქვემოთ განვიხილავთ.

გაერთიანებული ერების 2006 წლის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის რატიფიცირების პრობლემა

2011 წელს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების უზრუნველყოფის საკანონმდებლო ხარვეზად რჩება გაერთიანებული ერების 2006 წლის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიკაციის პროცესის შეფერხება⁴²⁴.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 15 დეკემბრის N978 განკარგულებით დამტკიცებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური ინტეგრაციის 2010-2012 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს სახელმწიფოს იმ ვალდებულებების მნიშვნელოვან ნაწილს, რომლებიც მოცემულია გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კონვენციაში, კერძოდ: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალურ დაცვას, საცხოვრებელი შენობებითა და სოციალური ინფრასტრუქტურის სხვა ობიექტებით სარგებლობის უზრუნველყოფას, მათ სამედიცინო, პროფესიულ და სოციალურ რეაბილიტაციას, განათლებას, შრომის უფლების რეალიზაციას, დისკრიმინაციის აკრძალვასა და სხვა. შესაბამისად, გაუგებარია, თუ რა მიზეზებით ფერხდება აღნიშნული კონვენციის რატიფიკაცია, რომელიც უზრუნველყოფს ზემოხსენებული ვალდებულებების მაღალი სტანდარტით დაცვას საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების შესაბამისად.

⁴²⁴ აღნიშნულ კონვენციას საქართველომ ხელი მოაწერა 2009 წლის 10 ივლისს.

აღნიშნული კონვენციის რატიფიცირების დიდ მნიშვნელობაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ ევროკავშირმა თავისი არსებობის განმავლობაში პირველად 2010 წლის 23 დეკემბერს მოახდინა აღნიშნული კონვენციის რატიფიცირება, როგორც ერთიანმა ინსტიტუტმა. იმავე წელს კი დამტკიცდა 2010–2020 წლების შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ევროპული სტრატეგია ევროკავშირის ქვეყნებისათვის. აღნიშნული სტრატეგიის განხორციელება მნიშვნელოვნად უკავშირდება და მიმდინარეობს კონვენციით გარანტირებული უფლებების იმპლემენტაციის მიმართულებით. შესაბამისად, როგორც ამ სტრატეგიაშია აღნიშნული⁴²⁵, კონვენციის ვალდებულებების შესრულება უნდა იყოს ევროპული სამოქმედო გეგმის პრიორიტეტი და ევროკავშირის სამოქმედო გეგმის ანგარიშგების პროცესი სრულად უნდა ეთანხმებოდეს კონვენციის ანგარიშგების მოთხოვნებს. აღნიშნული ფაქტი კიდევ ერთხელ მიუთითებს 2006 წლის კონვენციის რატიფიცირების მნიშვნელობაზე საქართველოს ევროპულ სივრცეში ინტეგრაციისათვის.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ჯანდაცვის სერვისების ხელმისაწვდომობის შეზღუდვა

2010 წლის მსგავსად 2011 წელსაც, მნიშვნელოვან პრობლემად რჩება ჯანდაცვის სერვისის ხელმისაწვდომობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის. ინფრასტრუქტურული ბარიერები, ინსტიტუციურ ბარიერებთან ერთად, ამ ადამიანებისათვის ფაქტობრივად გადაულახავი შეზღუდვებია სრულფასოვანი სამედიცინო სერვისის მისაღებად.

სამწუხაროა, თუმცა რეალობაა, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის დასაქმებისა და ეკონომიკური აქტივობის შეზღუდვიდან გამომდინარე, სამედიცინო მომსახურების მიღების ძირითადი გზა ხშირად სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციაა. „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრაციისას 70 000-მდე სარეიტინგო ქულის მიღებისას ოჯახს ეძლევა ძირითადი სამედიცინო მომსახურების მიღების შესაძლებლობა, თუმცა წლის განმავლობაში მოქალაქეთა მიერ შემოტანილი საჩივრების ანალიზი მოწმობს, რომ აღნიშნული პროგრამაში სარეიტინგო ქულის გამოთვლის პროცედურა, რომელიც დამტკიცებულია შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 2 მაისის # 141/ნ ბრძანებით - „სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების წესი“, უმეტესად ვერ უპასუხებს ან არ ითვალისწინებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სპეციალურ საჭიროებებს, რის გამოც მრავალი მათგანი ვერ ხვდება სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში და ვერ იღებს სამედიცინო მომსახურებას.

⁴²⁵ ევროპის კომისია, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა 2010–2020 წლის სტრატეგია ევროკავშირის ქვეყნებისათვის, ბრიუსელი 15.11.2010 SEC (2010) 1323

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებებს ასევე არ ითვალისწინებს „2011 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 15 თებერვლის #77 დადგენილების „ზოგადი ამბულატორიული მომსახურების“ კომპონენტზე, რომელიც შემოიფარგლება მხოლოდ ექიმის ან ექთნის ბინაზე წელიწადში 4-ჯერ ვიზიტით, მუდმივად მწოლიარე (გადაადგილების უნარსმოკლებულ) პირებისათვის⁴²⁶. ამავე ქვეპროგრამის მე-2 მუხლი განსაზღვრავს პროგრამით მოსარგებლე სუბიექტთა წრეს. კერძოდ, პროგრამით მოსარგებლეები არიან: 0-6 წლამდე ასაკის ბავშვები; 60 წლის და უფროსი ასაკის პირები; 6-იდან 60 წლამდე დიაბეტით დაავადებული და ინკურაბელური პაციენტები. სამედიცინო მომსახურების მიწოდების სხვა შესაძლებლობას აღნიშნული პროგრამა არ ითვალისწინებს. შესაბამისად, არ ითვალისწინებს მომსახურებას 6-იდან 60 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის, რომლებიც ხშირად გარემო ბარიერებისა და რიგ შემთხვევაში ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო სახლიდან გამოსვლას ვერ ახერხებენ.

არაადაპტირებული ფიზიკური გარემოს პირობებში, როდესაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი არ არის „2011 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 15 თებერვლის N77 დადგენილებით ან „სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში მოსახლეობის ჯანმრთელობის დაზღვევის მიზნით გასატარებელი ღონისძიებებისა და სადაზღვევო ვაუჩერის პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 9 დეკემბრის N218 დადგენილებით განსაზღვრულ ჯანმრთელობის დაცვის პროგრამით მოსარგებლე პირი, ვერ სარგებლობს ელემენტარული ამბულატორიული სამედიცინო მომსახურებითაც კი.

მ. გ. -ს საქმე

2011 წლის 19 აპრილს საქართველოს სახალხო დამცველს (N0479-11/1⁴²⁷) მიმართა მოქალაქე მ. გ.-მ, რომლის ოჯახის ოთხი წევრი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი იყო. სოციალური აგენტის ინფორმაციით, მათგან ერთი სარეცელს იყო მიჯაჭვული/ლოგინად ჩავარდნილი. ორს არ შეეძლო დაუხმარებლად გადაადგილება და საჭიროებდა მომვლელს და ამავე დროს ეკუთვნოდა კატეგორიას - „სიცოცხლისათვის საშიში (დაავადების მქონე), საჭიროებს პერმანენტულ მედიკამენტოზურ/ამბულატორიულ მკურნალობას“. ოჯახის ერთადერთი შემოსავალი იყო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და მოხუცებულთა პენსია, ასევე - ერთ-ერთი ოჯახის წევრის ხელფასი, თვეში 150 ლარის ოდენობით. განმცხადებლის ინფორმაციით, აღნიშნული თანხა არ იყო საკმარისი მედიკამენტებისათვის,

⁴²⁶ „2011 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 15 თებერვლის N77 დადგენილება, დანართი N24 - „ზოგადი ამბულატორიული მომსახურება“, დანართი 24.1, მე-3 პუნქტი.

⁴²⁷ განცხადება #0479-11/1, 2011 წელი 19 აპრილი.

პროდუქტისთვის კი ფული ფაქტობრივად არ რჩებოდათ. მ.გ. განსაკუთრებულად წუხდა მაღალი სარეიტინგო ქულის მინიჭების შედეგად სამედიცინო პოლისის დაკარგვაზე, რომელიც მისი ოჯახის წევრებისათვის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი იყო.

განმცხადებლის ოჯახმა სოციალური აგენტის შეფასების საფუძველზე მიიღო მაღალი სარეიტინგო ქულა (81 890), რის გამოც 2011 წლიდან შეუჩერდა სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახებისთვის განკუთვნილი დახმარება. თუმცა აღსანიშნავია, რომ სოციალური აგენტის წინა შეფასებებში ოჯახს რადიკალურად განსხვავებული სარეიტინგო ქულები აქვს: 2005 წელს - 27 830; 2008 წელს - 9250; 2010 წელს - 27 160.

განმცხადებლის ინფორმაციითა და სახალხო დამცველის მიერ 2010 წლისა და 2011 წლის ოჯახის დეკლარაციის შედარებით ანალიზის შედეგად დგინდება, რომ სარეიტინგო ქულის გაზრდა შესაძლოა ნაწილობრივ განპირობებული იყოს 2011 წლის დეკლარაციაში 1985 წელს გამოშვებული ავტომობილის მითითებით, რომელიც არ ფიქსირდება წინა დეკლარაციაში და რომელიც მ. გ.-ის განმარტებით, ერთადერთი და შეუცვლელი საშუალება იყო ორი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის საავადმყოფომდე გადასადგილებლად. კუნთთა პროგრესირებადი დისტროფიით დაავადებული ორი ადამიანი ოჯახში გამუდმებით საჭიროებდა სამედიცინო და მედიკამენტოზურ დახმარებას. ხოლო იმ რეგიონში, სადაც განმცხადებელი ცხოვრობს, არაადაპტირებული გარემოს გამო სრულიად შეუძლებელი იყო ორი მძიმე დაავადების მქონე ადამიანისათვის გადაადგილება ავტომობილის გარეშე.

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის თანახმად, სახელმწიფო ორგანოები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს უქმნიან სათანადო პირობებს ტრანსპორტითა და სატრანსპორტო კომუნიკაციებით თავისუფალი ორიენტაციისა და გადაადგილებისათვის. ამავე კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების სოციალური დახმარების ფარგლებში გათვალისწინებულია მათი ავტომობილებით უზრუნველყოფა. აღნიშნული კანონის ჩანაწერი განსაკუთრებით რელევანტურად აღერდა მოქალაქე მ. გ.-ს შემთხვევაში, ზემოთ მოყვანილი გარემოებების გამო.

თუმცა, აშკარაა, რომ მიუხედავად სახალხო დამცველის მიერ აღნიშნულ გარემოებებზე მრავალჯერადი წერილობითი მითითებისა⁴²⁸, სოციალური მომსახურების სააგენტომ არ გაითვალისწინა მ. გ.-ს ოჯახის კრიტიკული მდგომარეობა და საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო სამართლის ნორმებით გარანტირებული სამედიცინო დახმარებისა და ღირსეული ცხოვრების უზრუნველყოფის სახელმწიფო ვალდებულება. სამწუხაროდ, სოციალური მომსახურების სააგენტო ოჯახის

⁴²⁸ სახალხო დამცველის მოადგილის წერილი სოციალური მომსახურების სააგენტოს ლანჩხუთის რაიონულ ცენტრს # 1628/08-4/0479-11, 2011წელი 13 მაისი; სახალხო დამცველის მოადგილის წერილი სოციალური მომსახურების სააგენტოს ლანჩხუთის რაიონულ ცენტრს #4364/02/0479-11, 2011 წელის 7 ნოემბერი; სახალხო დამცველი მოადგილის წერილი სოციალური მომსახურების სააგენტოს ლანჩხუთის რაიონულ ცენტრს # 118/08-2/0479-11, 2012 წლის 11 იანვარი.

დეკლარაციაში დაფიქსირებულ ხანგრძლივი მოხმარების საგანს სარეიტინგო ქულაში არ ასახავს მხოლოდ ამ საგნის წარმომავლობის გამო და მოხმარებლის გადაუდებელ საჭიროებასთან დაკავშირებულ (სიცოცხლისათვის საშიში (დაავადების მქონე, საჭიროებს პერმანენტულ მედიკამენტოზურ/ამბულატორიულ მკურნალობას⁴²⁹) საგნის მიზნობრიობას/დანიშნულებას ფუნდამენტურად არ იაზრებს (საავადმყოფოში გადაყვანის საშუალება/გადაადგილების ერთადერთი საშუალება). კერძოდ, სოციალური მომსახურების სააგენტოს განმარტებით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 20 მაისის # 141/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების წესის“ მე-9 მუხლის შესაბამისად, ოჯახის სარეიტინგო ქულის გამოთვლისას არ ითვალისწინებენ „ოჯახის დეკლარაციაში“ დაფიქსირებული ხანგრძლივი მოხმარების ისეთ საგნებს, რომლებიც ოჯახისთვის სახელმწიფო/ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, კერძო სამართლის იურიდიული პირის, კერძო საგანმანათლებლო დაწესებულების, ან ჰუმანიტარული მისიის ფარგლებში საერთაშორისო ორგანიზაციების ან/და მათი წარმომადგენლობების მიერ საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული უსასყიდლო სარგებლობის ფორმებით ან საკუთრებაში არის გადაცემული, ან პირდაპირი მიყიდვით ოჯახის მიერ შესყიდულია სიმბოლურ ფასად, აგრეთვე - ჯილდოს სახით მიღებულ ხანგრძლივი მოხმარების საგნებს, რომელთა გადაცემა ოჯახისათვის დასტურდება დოკუმენტურად.

2011 წლის 17 თებერვალს მ. გ. დილის 9 საათზე დაუკავშირდა სახალხო დამცველის წარმომადგენელს და შეატყობინა, რომ ოჯახის ერთ-ერთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე წევრს განუვითარდა მწვავე ფორმის პნევმონია, მას კი არ ჰქონდა ჰოსპიტალური მომსახურების თანხების გადახდის შესაძლებლობა; სახალხო დამცველის აპარატმა გადაუდებელი წესით დაიწყო პრობლემის მოგვარებაზე ზრუნვა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სამედიცინო დახმარებისათვის. აღნიშნული პირი 19 თებერვალს გარდაიცვალა.

მოქალაქე X- ს საქმე

2011 წლის 1 აპრილს საქართველოს სახალხო დამცველს მიმართ მოქალაქე X⁴²⁹.-მა, რომელსაც აღენიშნებოდა მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობები. სოციალური აგენტის ჩანაწერით, პირი იყო: „სარეცელს მიჯაჭვული/ლოგინად ჩავარდნილი, არ შეეძლო დაუხმარებლად წამოდგომა/საჭიროებდა მომვლელს“; ორწევრიან ოჯახში ოჯახის მეორე წევრი იყო 64 წლის მშობელი; ოჯახის წევრთა საერთო შემოსავალი თვეში აღწევდა 140 ლარს, რომელსაც ემატებოდა თვეში 40 ლარის დახმარება ახლობლის მიერ. X-ს, შეზღუდული შესაძლებლობის სპეციფიკური დიაგნოზიდან გამომდინარე, აღენიშნებოდა მწვავე და მუდმივი ხასიათის ტკივილები, ოჯახს კი ტკივილგამაყუჩებლის შეძენის შესაძლებლობა არ ჰქონდა. მოქალაქეს ასევე

⁴²⁹ განცხადება #0374/10, 2011 წელი, 1 აპრილი.

ესაჭიროებოდა ძვირად-ღირებული ოპერაცია, რომლის გაკეთების შესაძლებლობა არ ჰქონდა და ძლიერი ტკივილი აწუხებდა. სოციალური მომსახურების სააგენტოს დეკლარაციის თანახმად, ოჯახს არ ჰქონდა დასამუშავებელი მიწა, შინაური ცხოველი ან ფრინველი, არც ერთი მუშა მდგომარეობაში მყოფი ხანგრძლივი მოხმარების საგანი დეკლარაციის კატეგორიებიდან, მათ შორის: მაცივარი, გაზქურა, წყლის გამათბობელი, მტვერსასრუტი. სოციალური აგენტის მიერ ოჯახს მიკუთვნებული ჰქონდა კატეგორია „ღატაკი“;

სახალხო დამცველმა სოციალური მომსახურების სააგენტოს წერილობით⁴³⁰ შეატყობინა მოქალაქისათვის ტკივილგამაყუჩებელი წამლების ხელმისაწვდომობის შეზღუდვისა და სამედიცინო ოპერაციის აუცილებლობის შესახებ.

სოციალური მომსახურების სააგენტოდან მიღებული პასუხის⁴³¹ თანახმად, დეკლარაციაში არ დაფიქსირდა პუნქტი „სიცოცხლისათვის საშიში დაავადების სამკურნალოდ საჭიროებს მუდმივ მედიკამენტოზურ მკურნალობას“, ვინაიდან მოქალაქემ ვერ წარმოადგინა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობა. თუმცა მოგვიანებით სახალხო დამცველის სპეციალური ცენტრის მოკვლევით დადგინდა, რომ ოჯახს არ ჰქონდა თანხა ამგვარი ცნობის აღებისთვის. ამ ფაქტორისთვისაც შემფასებელ სოციალურ აგენტს ყურადღება არ მიუქცევია.

განმცხადებელს, რომელიც ფაქტობრივად რესურსების ნაკლებობის გამო იძულებით იყო იზოლირებული გარესამყაროსგან, ჰქონდა ერთი პერსონალური კომპიუტერი, რომელიც, მისი განმარტებით, გარესამყაროსთან კომუნიკაციის ერთადერთი საშუალება იყო. სოციალურმა მომსახურების სააგენტომ არ გაითვალისწინა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სპეციალური საჭიროებები და აღნიშნული კომპიუტერი ჩათვალა არა ამ პირის ერთადერთ საკომუნიკაციო საშუალებად, არამედ მნიშვნელოვანი მატერიალური ღირებულების ნივთად.

2011 წლის 18 მარტს ოჯახი შეაფასეს და მიაკუთვნეს სარეიტინგო ქულა 81590. შესაბამისად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს კვლავინდებურად შეზღუდული დარჩა ტკივილგამაყუჩებელ წამლებისა და სხვა სამედიცინო დახმარების ხელმისაწვდომობა.

ზემოთ მოყვანილი ორივე შემთხვევაში ჩანს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა შეზღუდულია, რომლის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა არის სახელმწიფოს მიერ ამ პირთა პრობლემებისადმი ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული ხედვის ნაკლებობა.

⁴³⁰ სახალხო დამცველის მოადგილის წერილი #1209/08-410374-11, 2011 წელი 11 აპრილი.

⁴³¹ სოციალური მომსახურების სააგენტოს წერილი #04/35824, 2011 წლის 24 აგვისტო.

დისკრიმინაცია შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით

დისკრიმინაციისგან დაცვა გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლით, რომლის თანახმადაც ყველა ადამიანი თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულების, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-14 მუხლის განმარტებით, ამ კონვენციით გათვალისწინებული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობა უზრუნველყოფილია ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, განურჩევლად სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულების, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადებისა თუ სხვა ნიშნით.

გაერთიანებული ერების ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტი ასე განმარტავს შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით დისკრიმინაციას: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა *de jure* და *de facto* დისკრიმინაციას ხანგრძლივი ისტორია აქვს და მრავალფეროვანი გამოვლინებებით ხასიათდება. მას შესაძლებელია ჰქონდეს ექსპლიციტური, აშკარად გამოხატული ნეგატიური ხასიათი: მაგ. განათლების უფლებაზე უარის თქმა; ასევე, იყოს შეუმჩნეველი და ფარული ხასიათის: მაგ. სეგრეგაცია და იზოლაცია ფიზიკური და სოციალური ბარიერების აღმართვით; ამ გარემოებიდან და გაერთიანებული ერების ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მიზნებიდან გამომდინარე, **დისკრიმინაცია შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით** განიმარტება, როგორც რაიმე ტიპის განსხვავება, გარიყვა, შეზღუდვა ან უპირატესობის მინიჭება, **ასევე, გონივრული მისადაგების (reasonable accomodation) პრინციპის გამოყენებლობა**, რაც განაპირობებს ეკონომიკური, სოციალური ან კულტურული უფლებებით სარგებლობის, აღიარების შეზღუდვას ან გაუქმებას ამ პირთა მიმართ. უფლებების შეზღუდვას შესაძლებელია განაპირობებდეს ასევე უგულბელობა, ქმედების განუხორციელებლობა, სტერეოტიპული წინასწარი განწყობები და მცდარი დასკვნების გამოტანა. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის მიერ 1994 წლის 25 იანვარს, მაშასადამე, მისი ნორმები სამართლებრივად მხოლოდ ისევე, როგორც ადამიანის უფლებებისა და ძირითად თავისუფლებების ევროპული კონვენციით გარანტირებული ვალდებულებები, რომლებიც საქართველოს მიერ რატიფიცირებულია 1999 წლის 12 მაისს.

აქვე მნიშვნელოვანია მიმოვიხილოთ „გონივრული მისადაგების“ პრინციპის განმარტება, რომელსაც გვთავაზობს გაერთიანებული ერების 2006 წლის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის მე-2 მუხლი: „გონივრული მისადაგება“ ნიშნავს აუცილებელ და შესაფერის მოდიფიცირებას ან ცვლილებას,

რომელიც ცალკეულ შემთხვევაში საჭიროებისამებრ არ აკისრებს არაპროპორციულ ან მიუღებელ ტვირთს, რათა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებმა შეძლონ სხვებთან თანასწორ პირობებში ისარგებლონ ან განახორციელონ ყველა უფლება. აღნიშნული კონვენცია სრულად იზიარებს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტში ასახულ პოზიციას იმის თაობაზე, რომ „გონივრული მისადაგების“ პრინციპის უგულვებელყოფა შესაძლებლობის შეზღუდვის ნიშნით დისკრიმინაციის ტოლფასია⁴³². აქედან გამომდინარე, დისკრიმინაციის ნებისმიერი იურიდიული განმარტება უნდა აღიარებდეს გონივრული მისადაგების განუხორციელებლობას, როგორც დისკრიმინაციის აქტს. ადამიანისთვის „გონივრული მისადაგების“ უზრუნველყოფა გულისხმობს, მაგალითად, სამუშაო გარემოში, საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ჯანდაცვის ობიექტში ან სატრანსპორტო მომსახურებაში ცვლილებების შეტანას იმ ბარიერების მოსახსნელად, რომელიც ხელს უშლის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს, სხვების თანასწორად ჩაერთოს რაიმე აქტივობაში ან მიიღოს მომსახურება. სწორედ „გონივრული მისადაგების“ პრინციპის გამოყენების აუცილებლობა იკვეთება სახალხო დამცველის მიერ შესწავლილ საქმეებში, რომლებშიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს შეეზღუდათ ჯანდაცვის მომსახურების მიღება (სავარაუდოდ, ნაწილობრივ) იმ ხანგრძლივი მოხმარების ნივთების აღრიცხვის მიზეზითაც, რომელთა არსებობა აუცილებელია ამ ადამიანებისათვის გარემო ბარიერების არსებობის გამო, კერძოდ, ავტომანქანა, რომელიც ერთ შემთხვევაში ფაქტობრივად უტოლდებოდა აუცილებელ გადასაადგილებელ საშუალებას და პერსონალური კომპიუტერი, რომელიც წარმოადგენდა მობილობაშეზღუდული პირისთვის აუცილებელ საკომუნიკაციო საშუალებას გარესამყაროსთან. მნიშვნელოვანია ხაზი გავეუსვათ, რომ „გონივრული მისადაგების“ პრინციპის გამოყენება არვითარ შემთხვევაში არ გულისხმობს სტერეოტიპული შაბლონის ჩამოყალიბებას რაიმე მოვლენის მიმართ (მაგ. შესაძლებელია ავტომობილი და პერსონალური კომპიუტერი ყველა სიტუაციაში არ ჩაითვალოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის გარემოსთან ხელმისაწვდომობის აუცილებელი უზრუნველყოფის პირობად); კერძოდ, თუ „გონივრული მისადაგება“ დისპროპორციული ან არააუცილებელი ტვირთია იმ პირისა თუ უწყებისათვის, რომლებსაც ამის უზრუნველყოფა მოეთხოვებათ, ამ მოთხოვნის შეუსრულებლობა არ ჩაითვლება დისკრიმინაციად. აქ უნდა ვიმსჯელოთ, რამდენად აუცილებელი ზომია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის საფუძველზე ჯანმრთელობის დაზღვევის უზრუნველყოფა.

⁴³² გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისიის ოფისი (2008), სახელმძღვანელო პარლამენტარებისთვის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციისა და მისი ფაკულტატიური ოქმს შესახებ, „გარიყულობიდან თანასწორობამდე“, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების განხორციელება.

ჯანმრთელობის მინიმალური ზღვარი

მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკური, კულტურული და სოციალური უფლებების საერთაშორისო პაქტი ითვალისწინებს უფლებების თანდათანობით რეალიზაციას (პროგრესული რეალიზაცია) და აღიარებს შეზღუდული რესურსებით გამოწვეულ პრობლემებს, იგი მონაწილე სახელმწიფოებს ასევე გადაუდებელი ხასიათის ვალდებულებებსაც აკისრებს. კომიტეტის #14 ზოგადი კომენტარის⁴³³ თანახმად, მონაწილე სახელმწიფოებს გადაუდებელი ხასიათის ვალდებულებები ეკისრებათ ჯანმრთელობის უფლებასთან დაკავშირებით, როგორცაა მაგალითად, ამ უფლების განხორციელება რაიმე ფორმით დისკრიმინაციის გარეშე (მუხლი 2.2.) და მე-12 მუხლის სრული რეალიზაციისათვის ღონისძიებათა განხორციელების ვალდებულება (მუხლი 2.1). ეს ღონისძიებები უნდა იყოს კონკრეტული და ჯანმრთელობის უფლების სრულ რეალიზაციაზე ორიენტირებული. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის სტრატეგია „ჯანმრთელობა ყველასათვის“⁴³⁴ ადგენს, რომ არსებობს ჯანმრთელობის მინიმალური ზღვარი, რომლის ქვემოთ არ უნდა აღმოჩნდეს არც ერთი პირი არც ერთ ქვეყანაში. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის „პირველადი ჯანდაცვის“ სტრატეგიაში⁴³⁵ ჩამოყალიბებულია ჯანდაცვის მთელი რიგი ძირითადი მომსახურების არსებითი ფორმები, მათ შორისაა, გავრცელებული დაავადებებისა და ძირითადი დაზიანებების სათანადო მკურნალობა და ძირითადი მედიკამენტებით უზრუნველყოფა.

აქვე მსოფლიო ჯანდაცვის მიერ ჯანმრთელობის მინიმალური ზღვრის უზრუნველყოფისათვის აუცილებელ მომსახურებების ჩამონათვალს შევადარებთ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 9 დეკემბრის #218 დადგენილების „სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში მოსახლეობის დაზღვევის მიზნით გასატარებელი ღონისძიებებისა და სადაზღვევო ვაუჩერის პირობების განსაზღვრის შესახებ“ მე-3 მუხლის შინაარსს. ამ მუხლის თანახმად, სადაზღვევო ვაუჩერი სხვადასხვა მიზნობრივ ჯგუფისა და მათ შორის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ პირებისათვის უზრუნველყოფს: ამბულატორიული მომსახურებების ხარჯებს, სტაციონარული მომსახურებების ხარჯებს, სამკურნალო საშუალებების ხარჯებს და სხვა. მარტივი ანალოგიის გზით შეიძლება დავასკვნათ, რომ ზემოაღნიშნული დადგენილებით უზრუნველყოფილი სამედიცინო მომსახურება სწორედ ჯანმრთელობის მინიმალური ზღვრის დაცვის ღონისძიებაა, რომელიც კომიტეტის განმარტებით, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე გადაუდებელი ხასიათის ვალდებულებას აკისრებს სახელმწიფოს, რათა არც ერთი ადამიანი არ დარჩეს ჯანდაცვის მინიმალური და აუცილებელი მომსახურების მიღების გარეშე.

⁴³³ ზოგადი კომენტარი #14, ჯანმრთელობის უმაღლესი შესაძლო სტანდარტის უფლება (ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების პაქტის მე-12 მუხლი) 2000 წელი 22-ე სესია

⁴³⁴ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია, „გლობალური სტრატეგია, ჯანმრთელობა ყველასათვის 2000“, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის რეზოლუცია WHA 34.36, 1981,

⁴³⁵ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია, „პირველადი ჯანდაცვა, რეპორტი პირველადი ჯანდაცვის შესახებ საერთაშორისო კონფერენციისათვის“, ალმა-ატა, 1978.

ზემოთ მოყვანილი მსჯელობის საფუძველზე ნათელი ხდება, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის ჯანდაცვის აუცილებელი მომსახურების უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია "გონივრული მისადაგების" პრინციპის ინკორპორირება სარეიტინგო ქულის დადგენისათვის სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მონაცემთა ერთიან ბაზაში მოსახვედრად; ამ ქმედების შედეგად სოციალურად დაუცველთა ჯგუფში მყოფი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, მათი საჭიროებიდან გამომდინარე, რელევანტურად მიიღებენ აუცილებელ სამედიცინო მომსახურებას. თუმცა, ცხადია ეს არ გამოორიცხავს სახელმწიფოს მიერ პოზიტიური ქმედების განხორციელებას სხვა, ასევე მნიშვნელოვანი სამედიცინო-სოციალური სარეაბილიტაციო ღონისძიებების უზრუნველსაყოფად.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა ადრეული განვითარების პროგრამის ხელმისაწვდომობის შეზღუდვა

2012 წლის 13–16 იანვარს საქართველოს სახალხო დამცველს 25-მა მოქალაქემ მიმართა განცხადებით⁴³⁶ საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა ადრეული განვითარების ქვეპროგრამის ხელმისაწვდომობის შეზღუდვასთან დაკავშირებით. მათი განმარტებით, „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2012 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ 2011 წლის 29 დეკემბრის მთავრობის #503 დადგენილებით დამტკიცებული პროგრამა შეიცავდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა უფლებების დარღვევის სერიოზულ საფრთხეს; კერძოდ, გონებრივი და ფიზიკური განვითარების შეფერხების მქონე ბავშვთა ადრეული განვითარების ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფი 2011 წელს მოიცავდა 0–იდან 7 წლამდე ბავშვებს, ხოლო 2012 წლისათვის სამიზნე ჯგუფის კატეგორია შეიზღუდა 0–იდან 3 წლამდე ბავშვების ჯგუფით.

სახალხო დამცველის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის ცენტრმა საკითხის შესასწავლად ინფორმაცია გამოითხოვა⁴³⁷ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან, ასევე, სამუშაო შეხვედრები გამართა საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა მშობლებთან.

ქვეპროგრამა 2011 წლის მდგომარეობით

2011 წელს გონებრივი და ფიზიკური განვითარების შეფერხების მქონე ბავშვთა ადრეული განვითარების ქვეპროგრამის ამოცანები იყო ამ ბავშვთა (მათ შორის, დაუნის სინდრომის, ცერებრული დამბლის, აუტიზმის მქონე და სხვ.) ადრეული რეაბილიტაცია და პრევენცია.

⁴³⁶ განცხადება #0056–12, 2012 წლის 16 იანვარი; განცხადება #0051–12, 2012 წლის 13 იანვარი.

⁴³⁷ კორესპონდენცია #6430, 2012 წლის 25 იანვარი.

ქვეპროგრამის ღონისძიებები:

1. გონებრივი და ფიზიკური განვითარების შეფერხების მქონე ბავშვთა ადრეული განვითარების დარღვევების იდენტიფიკაცია; მათი სოციალური, მოტორული, შემეცნებითი, თვითმოვლისა და კომუნიკაციური უნარების განვითარება და სოციალურ ინტეგრაციაში ხელშეწყობა;
2. შეფასების შესაბამისი სისტემისა და მეთოდოლოგიის დახმარებით (რომლებიც ითვალისწინებს ჩვილის სტიმულირებას, სოციალური და თვითმოვლის უნარების განვითარებას; შემეცნების, მოტორიკისა და კომუნიკაციურ უნარებზე მუშაობას) ბავშვის განვითარების ინდივიდუალური გეგმის შედგენა, განხორციელება და ყოველთვიური განახლება;
3. შემუშავებული ინდივიდუალური გეგმის განსახორციელებლად მშობლის მომზადება;
4. ბავშვის საჭიროებიდან გამომდინარე, სხვადასხვა სპეციალისტის (ფსიქოლოგი, ადრეული განვითარების პედაგოგი, ოკუპაციური თერაპევტი, ფიზიოთერაპევტი, მეტყველების თერაპევტი) არანაკლებ ცხრა მომსახურების მიწოდება თვეში;
5. გონებრივი და ფიზიკური განვითარების შეფერხების მქონე ბავშვის დაბადებისას მშობლისთვის მორალური და ფსიქოლოგიური დახმარება და დაბადების პირველი თვეებიდანვე ბავშვის ჩართვა ადრეული განვითარების პროგრამაში.

ქვეპროგრამა 2012 წლის მდგომარეობით

აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის #503 დადგენილებით დამტკიცებული სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2012 წლის სახელმწიფო პროგრამა ასევე მოიცავს ბავშვთა ადრეული განვითარების (მოდულირება და ქვეპროგრამის სახელწოდება) ქვეპროგრამას, თუმცა გარკვეული სახეცვლილებით.

კერძოდ, შეიცვალა აღნიშნული ქვეპროგრამის ამოცანა და განისაზღვრა მხოლოდ თბილისსა და ქუთაისში გონებრივი და ფიზიკური განვითარების შეფერხების მქონე ბავშვთა და მშობელთა ადრეული რეაბილიტაციითა და მიტოვების პრევენციით. გაუგებარია, რამ გამოიწვია სამინისტროს მიერ პროგრამის შეზღუდვა მხოლოდ საქართველოს ორი ქალაქით, და რატომ აყენებს პროგრამა დისკრიმინაციულ მდგომარეობაში იმ ბავშვებს, რომლებიც არ ცხოვრობენ ამ ქალაქებში. ქვეპროგრამის სათაური იმთავითვე გულისხმობს მომსახურების არათანაბარ გეოგრაფიულ ხელმისაწვდომობას, რაც აკრძალულია გაერთიანებული ერების ბავშვთა უფლებების კონვენციის 23-ე მუხლით, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთათვის რეაბილიტაციის სერვისების თანაბარ ხელმისაწვდომობას ეხება.

ასევე დამაზნეველი, სამეცნიერო თვალსაზრისით დაუსაბუთებელი და მოძველებული ცნებაა „მშობელთა ადრეული რეაბილიტაცია“. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის

მოსაზრებით⁴³⁸, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის მშობელი სამედიცინო პერსონალმა უნდა აღიქვას, როგორც პარტნიორი, მულტიდისციპლინარული გუნდის მონაწილე აქტიური აგენტი, რომელიც უნდა გააძლიერონ ახალი უნარების ათვისებით, თვით-დახმარების ჯგუფებით, ინფორმაციით, ცოდნით და არა როგორც მშობელი პაციენტის როლში, რომელსაც სჭირდება რეაბილიტაცია. აღნიშნული ქვეპროგრამის შეცვლილი ამოცანა კიდევ ერთხელ მიუთითებს სახელმწიფოში მოძველებული სამედიცინო მოდელების ფუნქციონირებაზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური ინტეგრაციის მიმართ.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ქვეპროგრამის მთავარი ცვლილება სამიზნე ჯგუფის შეზღუდვაა, რომელიც 2012 წლიდან შემოიფარგლება გონებრივი და ფიზიკური განვითარების შეფერხების მქონე 0-დან 3 წლამდე ასაკის ბავშვებით. 2011 წლის 29 დეკემბრის #503 დადგენილებით მოსარგებლე ბენეფიციარებისათვის განისაზღვრა, რომ 7 წლამდე ასაკის ბავშვები, რომლებიც 2011 წლის დეკემბრის მონაცემებით იყვნენ 2011 წლის პროგრამით გათვალისწინებული გონებრივი და ფიზიკური განვითარების შეფერხების მქონე ბავშვთა ადრეული განვითარების ქვეპროგრამის მოსარგებლები, გააგრძელებენ აღნიშნული ქვეპროგრამით სარგებლობას საჭიროებისამებრ.

საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტიდან მიღებული პასუხის⁴³⁹ თანახმად, საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის #503 დადგენილებით დამტკიცებული „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2012 წლის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში გათვალისწინებული „ბავშვთა ადრეული განვითარების“ ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფის 0-3 წლამდე ასაკით განსაზღვრა განაპირობა ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულების – შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ჩვილი ბავშვების მიტოვების პრვენციისა და ადრეული განვითარების ხელშეწყობის მიზნით სათანადო მომსახურების შეთავაზების აუცილებლობამ. კერძოდ, სამინისტროს წარმომადგენლებთან შეხვედრისას დაფიქსირდა მათი პოზიცია: ვინაიდან ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის ფარგლებში 2012 წელს აქტიურად იგეგმება თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლში მყოფი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა დეინსტიტუციონალიზაცია, სამინისტრომ გადაწყვიტა ზემოხსენებულ ქვეპროგრამის უპირველეს მიზნად ამ ბავშვების მომსახურება განსაზღვროს, რათა, ერთი მხრივ, მშობელმა გადაწყვიტა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის მიტოვება, ისარგებლოს ამ პროგრამით, რაც, სამინისტროს მოსაზრებით, შეამცირებს ბავშვის მიტოვების რისკს, ხოლო, მეორე მხრივ, ინსტიტუციონალიზებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის ბიოლოგიურ ოჯახში რეინტეგრაციისა და მინდობით აღზრდის პროგრამაში ჩართვისას არსებობდეს სპეციალური სერვისი ამ ბავშვის მომავალი სავარაუდო მიტოვების პრევენციისათვის. მიუხედავად იმისა, რომ ორივე მიზეზი თავისთავად ძალიან მნიშვნელოვანია, გაურკვეველი და დაუსაბუთებელია,

⁴³⁸ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია, 2010 წელი, თემზე-დაფუძნებული რეაბილიტაცია.

http://whqlibdoc.who.int/publications/2010/9789241548052_empower_eng.pdf

⁴³⁹ წერილი #01/6360

რატომ გადაწყვიტა სამინისტრომ ბავშვების ერთი ჯგუფისათვის მომსახურების მოცულობა გაეზარდა, ბავშვების მეორე ჯგუფისათვის კი შეეზღუდა. 2012 წლის 13 თებერვალს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის, და სოციალური დაცვის სამინისტროში სახალხო დამცველისა და სამინისტროს წარმომადგენლებს შორის გამართულ შეხვედრაზე აღნიშნული ცვლილების მთავარ მიზეზად რესურსების სიმცირე დასახელდა. კერძოდ, სახალხო დამცველის წარმომადგენლებს განემარტათ, რომ 2012 წელს საპენსიო ფონდის მობილიზებას მიენიჭა უპირატესობა სახელმწიფოს შეზღუდული რესურსების გამო. ამ განმარტებიდან გამომდინარეობს ლოგიკური დასკვნა: შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების ერთი ჯგუფისთვის მომსახურების აუცილებელი გაძლიერებისათვის რესურსების უკმარისობის გამო სხვა პროგრამები შეზღუდა, კერძოდ, 3-იდან 7 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები მომსახურების სამიზნე ჯგუფიდან გამოტოვა და მათ ნაცვლად 0-იდან 3 წლამდე ბავშვების დახმარება გააძლიერა. ამ ქმედების დასასაბუთებლად სამინისტროში შეხვედრაზე კიდევ რამდენიმე მოსაზრება გამოითქვა. კერძოდ, სამინისტროს წარმომადგენელმა დააფიქსირა, რომ: „სრულიად საკმარისია მშობლებს პირველ წლებში (0-3) განუვითარო ზრუნვის გარკვეული უნარები, ხოლო დანარჩენს მშობლები თავად მოახერხებენ“. შეხვედრის დროს ასევე დაისვა საკითხი, შეაფასა თუ არა არსებული პროგრამის ცვლილება შესაბამისი სექტორის ექსპერტმა/სპეციალისტმა, რომელიც ასევე დაასაბუთებდა ბავშვის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით ცვლილების მართებულობას. სამინისტროს წარმომადგენლის განცხადებით, ამგვარი საქსპერტო დასკვნის აუცილებლობა არ არსებობდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება მთელ რიგ საერთაშორისო და ეროვნულ სამართლებრივ ნორმებს:

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მიღებული გადაწყვეტილება გამომდინარეობს აღნიშნული სამინისტროს ზოგადი ხედვიდან, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების რეალიზაციის მიმართ. კერძოდ, როგორც წერილობით, ისე ზეპირ საუბრებში სამინისტროს ყველა წარმომადგენელი მიუთითებს, რომ მთელი რიგი სერვისების მიუწოდებლობა ამ ადამიანებისათვის გამართლებული და დასაბუთებულია რესურსების შეზღუდვიდან გამომდინარე. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს აღმასრულებელი ხელისუფლება აქტიურად იყენებს „პროგრესული რეალიზაციის“ პრინციპს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების (სადაც ერთიანდება, ჯანდაცვის, რეაბილიტაციის, განათლების, დასაქმების და ა.შ.) პატივისცემის, დაცვისა და შესრულების უზრუნველსაყოფად. თუმცა, საჭიროა უფრო ნათლად განვმარტოთ საერთაშორისო ნორმების მიზედვით „პროგრესული რეალიზაციის“ ცნება:

ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-2 მუხლის თანახმად, ყველა სახელმწიფო იღებს ვალდებულებას, მისთვის ხელმისაწვდომი რესურსების მაქსიმალური გამოყენებით მიიღოს ზომები ამ პაქტით აღიარებული ეკონომიკური და სოციალური უფლებების „თანდათანობითი, სრული განხორციელებისათვის“. ხშირად ფრაზა „თანდათანობითი, სრული განხორციელება“

არასწორადაა გაგებული. ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტი პაქტის მე-2 (1) მუხლის მოთხოვნებთან დაკავშირებით გაკეთებულ თავის ზოგად კომენტარში⁴⁴⁰ მიუთითებს, რომ, მართალია, „თანდათანობითი და სრული განხორციელების“ კონცეფციის არსებობა ნიშნავს იმას, რომ ყველა ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლება მოკლე ვადაში ვერ რეალიზდება, მაგრამ მონაწილე სახელმწიფოებმა ეს ფრაზა უნდა განიხილონ საერთო მიზნის ჭრილში და შეიმუშაონ კონკრეტული ვალდებულებები ამ უფლებების შეძლებისდაგვარად უმოკლეს ვადაში განხორციელებისათვის. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ როდესაც საქმე ეხება ბავშვთა ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებს, გაერთიანებული ერების ბავშვის უფლებათა კონვენცია არ შეიცავს შემზღვეველ დებულებას „თანდათანობითი სრული განხორციელების“ სახით. ამასთან, გაერთიანებული ერების ბავშვის უფლებათა კომიტეტის #9 ზოგადი კომენტარის⁴⁴¹ 56-ე და 57-ე პარაგრაფი მიუთითებს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა უფლებების დაცვის კუთხით საკმარისი არ არის განვითარების შეფერხების ადრეული იდენტიფიკაცია, ასევე სავალდებულოა სრულფასოვანი სარეაბილიტაციო სერვისების არსებობა, რომლებიც ბავშვს ფუნქციური დამოუკიდებლობის სრული შესაძლებლობით განვითარების საშუალებას მისცემს. კომიტეტი ცალსახად მოუწოდებს კონვენციის ხელშემკვრელ მხარეებს, მიანიჭონ პრიორიტეტი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა სერვისებით უზრუნველყოფასა და მაქსიმალური რესურსების ინვესტირებას, რათა არ მოხდეს ამ ჯგუფის დისკრიმინაცია შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ცხადი ხდება, რომ სამინისტროს მიერ ბუნდოვანი აპელირება შეზღუდულ რესურსებზე სამართლებრივი კუთხით მიუღებელია, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ეხება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს. შესაბამისად, ამგვარი ფაქტობრივად დისკრიმინაციული (3-იდან 7 წლამდე ბავშვებისათვის) გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელია საექსპერტო დასკვნა, რომელიც გამყარებული უნდა იყოს ძლიერი არგუმენტებით.

სამინისტროს მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ ასევე დაარღვია გაერთიანებული ერების ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტის მეორე, მნიშვნელოვანი და ფუნდამენტური პრინციპი - რეტროგრესიული ღონისძიებების თავიდან არიდება. კომიტეტის #3 კომენტარის მე-9 პარაგრაფი მიუთითებს, რომ „ნებისმიერი წინასწარგანზრახული რეტროგრესიული ნაბიჯი დეტალურად უნდა იქნეს განხილული პაქტით გათვალისწინებულ უფლებათა მთელი სპექტრის საფუძველზე და არსებული რესურსების მაქსიმალურ გამოყენებასთან კავშირში“. კომიტეტი ცალსახად მიუთითებს, რომ აღნიშნული შეზღუდვა ეხება გაცნობიერებულად გატარებულ ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც ზღუდავს ადამიანის მიერ ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების განხორციელებას იმ ხარისხით, როგორც უკვე არსებობდა. შესაძლებელია, ამგვარი ქმედების ექსპლიციტური ხასიათი თავდაპირველად მართლაც

⁴⁴⁰ ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი #3 „მონაწილე სახელმწიფოების ვალდებულებების ბუნება“ 1990 წელი

⁴⁴¹ გაერთიანებული ერების ბავშვის უფლებების კომიტეტის ზოგადი კომენტარი #9, „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა უფლებები“, 2007 წელი 27 თებერვალი.

არ ჰქონდა გაცნობიერებული სამინისტროს, მაგრამ, კომიტეტის მოწოდებით, ხელშემკრელი სახელმწიფო ვალდებულია გამოასწოროს მდგომარეობა, როგორც კი აღიქვამს და გაანალიზებს გადაწყვეტილების არსს.

ეროვნული ნორმატიული აქტების ანალიზით დგინდება, რომ აღნიშნული ცვლილება ასევე ეწინააღმდეგება საქართველოს მთავრობის 2009 წლის 15 დეკემბრის N978 დადგენილებით დამტკიცებულ „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური ინტეგრაციის 2010-2012 წლების სამთავრობო გეგმის“ ერთ-ერთ ამოცანას, რომელიც გულისხმობს ადრეულ სტადიაზე ბავშვთა შეზღუდული შესაძლებლობის პრევენციის, აბილიტაციისა და რეაბილიტაციის პროგრამების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას. „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2012 წლის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში სამიზნე ჯგუფის 0-3 წლამდე ასაკის ბავშვებით განსაზღვრა მნიშვნელოვნად ამცირებს ზემოხსენებული პროგრამებით ბავშვების სარგებლობის ხელმისაწვდომობას.

ასევე, განსაკუთრებით მნიშვნელოვნად უნდა შევავსოთ ამ ცვლილების თვისობრივი ხასიათი. მომსახურების მომწოდებელი ორგანიზაციისა და რეაბილიტაციის პროფესიონალთა მოსაზრებით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის პროცესის შეწყვეტა 3 წლის ასაკში გამოიწვევს მინიმალური ეფექტის მიღებას რეაბილიტაციის პროცესიდან. შესაძლებელია, რეაბილიტაციით მიღებული შედეგები ფაქტობრივად გაუქმდეს და ბავშვს აღნიშნოს რეგრესი დაავადებითა თუ სხვა მიზეზით გამოწვეული ფუნქციონალური გაუარესებისაკენ. გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (იუნესკოს) განმარტებით, ადრეული ბავშვობა განისაზღვრება როგორც 0–დან 8 წლამდე პერიოდით, როდესაც განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ადრეული განვითარების პროგრამების დანერგვა და მუშაობა, განსაკუთრებით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისათვის, ვინაიდან ეს პერიოდი ბავშვთა განვითარებისა და სწავლების კრიტიკულად მნიშვნელოვანი პერიოდია; ამ პერიოდში გაწეული სრულფასოვანი სარეაბილიტაციო სერვისები კი გავლენას ახდენს ამ ადამიანების მიღწეულ შედეგებზე მთელი ცხოვრების განმავლობაში.

ყოველივე ზემოთქმული ცალსახად მიუთითებს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ 3–დან 7 წლამდე ბავშვთა ადრეული განვითარების პროგრამის შეზღუდვის არამართებულობაზე, რომელსაც შესაძლებელია მოჰყვეს ყველა ამ ასაკისა და ამ საჭიროების მქონე ბავშვის განვითარებისა და რეაბილიტაციის ფუნდამენტური უფლების დარღვევა.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე გოგონათა და ქალთა დაცვა ძალადობისგან

2011 წლის 10 ივნისის გაერთიანებული ერების ადამიანის უფლებათა საბჭომ მიიღო რეზოლუცია⁴⁴² „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა და გოგონათა ძალადობისგან დაცვის ღონისძიებების გაძლიერება: სათანადო ყურადღება დაცვის უზრუნველსაყოფად“, რომლის ტექსტში ხაზგასმულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე გოგონათა და ქალთა ძალადობისგან დაცვის მნიშვნელობა. რეზოლუციის ტექსტში ადამიანის უფლებათა საბჭო სახელმწიფოებს მოუწოდებს, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ ქალთა მიმართ ძალადობის სისტემურ კვლევას, რომელშიც ცალკე იქნება გამოყოფილი ძალადობის შემთხვევების მაჩვენებელი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა მიმართ. ასევე განსაზღვრული იქნება ეროვნული დაცვის სისტემების ეფექტურობა ზოგადად ყველა ქალის და, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა ძალადობისგან დაცვის სფეროში.

გაერთიანებული ერების ქალთა მიმართ ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღკვეთის კომიტეტის #18 ზოგადი კომენტარი⁴⁴³ მიუთითებს, რომ კომიტეტი შემფოთებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა და გოგონათა მდგომარეობით, რომლებიც ხშირად ორმაგი დისკრიმინაციის მსხვერპლი ხდებიან. კომიტეტის შემფოთება მნიშვნელოვანწილად განპირობებულია იმ ფაქტით, რომ სტატისტიკური მონაცემები ძალადობის მსხვერპლ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა შესახებ უკიდურესად მწირია კონვენციის მონაწილე ქვეყნებში. ეს მაშინ, როდესაც, გაერთიანებული ერების შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის სამდივნოს მონაცემებით⁴⁴⁴, გაცილებით დიდია რისკი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა გაუპატიურებისა ამგვარი შეზღუდვის არმქონე პირებთან შედარებით, თუმცა ისინი ნაკლებად მიმართავენ სამართალდამცავებს დაცვის უზრუნველსაყოფად. სამდივნოს მონაცემებით, კვლევები ადასტურებს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები 1.7-ჯერ მეტად შეიძლება გახდნენ ძალადობის მსხვერპლი, ვიდრე მათი თანატოლები, რომელთაც შეზღუდული შესაძლებლობები არ აქვთ.

საქართველოს სახალხო დამცველი დაინტერესდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა და გოგონათა ძალადობისგან დაცვის მდგომარეობით საქართველოში, და დაამუშავა ყველა პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყებიდან ამ თემატიკაზე მოწოდებული ინფორმაცია.

⁴⁴² გაერთიანებული ერების ადამიანის უფლებათა საბჭოს რეზოლუცია A/HRC/17/L.6, 2011 წლის 10 ივნისი.

⁴⁴³ გაერთიანებული ერების ქალთა მიმართ ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღკვეთის კომიტეტის ზოგადი კომენტარი #18, 1991 „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები.“

⁴⁴⁴ გაერთიანებული ერების შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კონვენციის სამდივნოს ფაქტობრივი მონაცემები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ განხორციელებული ძალადობის შესახებ: <http://www.un.org/disabilities/documents/toolaction/pwdfs.pdf>

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრის მოწოდებული ინფორმაციით⁴⁴⁵, შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრის სტატისტიკისა და კრიმინალური სოციოლოგიის განყოფილებაში არსებული ინფორმაციის მიხედვით ბოლო 2 წლის განმავლობაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა და გოგონათა მიმართ განხორციელებული ძალადობის ფაქტები არ დაფიქსირებულა.

შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციით⁴⁴⁶, სოციალური მომსახურების სააგენტოში ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების ფარგლებში არ შემოსულა შეტყობინება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის მიმართ განხორციელებული ძალადობის ფაქტების შესახებ.

ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის მიერ მოწოდებული ინფორმაციით⁴⁴⁷, სსიპ ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის შექმნიდან დღემდე არ უსარგებლია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს ფონდის მომსახურებით. წერილში ასევე აღნიშნულია, რომ ცხელი ხაზით მომსახურებისას (რომელიც განკუთვნილია ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დასახმარებლად) არ აფიქსირებენ, აღნიშნული მომსახურებით მოსარგებლე პირი იყო თუ არა შეზღუდული შესაძლებლობის.

საქართველოს სახალხო დამცველმა ინფორმაცია გამოითხოვა ასევე საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისგან „საქსტატი“, იმის გასარკვევად, თუ ზოგადად რა ტიპის სტატისტიკური მონაცემები იკრიბება საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შესახებ. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციით⁴⁴⁸, სტატისტიკის ეროვნული სამსახური „არ ფლობს ინფორმაციას საქართველოში აღრიცხულ ოჯახთა რიცხოვნობის შესახებ, რომლებშიც ცხოვრობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი; ასევე - ოჯახურ ძალადობაში მონაწილე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ“.

ყოველივე ზემოაღნიშნული მოწმობს, რომ საქართველოში ზოგადად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და განსაკუთრებით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა და გოგონათა ძალადობისგან დაცვის შესახებ ინფორმაცია უკიდურესად მწირია. შეტყობინებების არარსებობა პასუხისმგებელ უწყებებში, რა თქმა უნდა, არ გამოდგება ასეთი ფაქტების არარსებობის შესახებ დასკვნის გასაკეთებლად. უფრო სავარაუდოა ვიფიქროთ, რომ ძალადობისგან დაცვის არსებული სისტემა არ არის სენსიტიური

⁴⁴⁵ წერილი 12/5/3/11-1401649, 2011 წლის 10 ნოემბერი.

⁴⁴⁶ წერილი 04/52635, 2011 წლის 2 დეკემბერი.

⁴⁴⁷ წერილი 07/49449, 2011 წლის 14 ნოემბერი.

⁴⁴⁸ წერილი 7/3-03/27, 2011 წლის 24 ნოემბერი.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებების მიმართ და/ან ხოლო შეტყობინების სისტემა არ არის მორგებული მათი კომუნიკაციის შესაძლებლობებზე.

რეკომენდაციები:

რეკომენდაციით მიემართავთ საქართველოს პარლამენტს, სახელმწიფოში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად უახლოეს მომავალში განახორციელოს გაეროს 2006 წლის 13 დეკემბრის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის რატიფიკაცია.

რეკომენდაციით მიემართავთ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს:

ა) უზრუნველყოს საერთაშორისო სამართლის ნორმებით დამკვიდრებული „გონივრული მისადაგების“ პრინციპის ინკორპორირება სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ერთიან ბაზაში რეგისტრაციისათვის სარეიტინგო ქულის დადგენის წესში, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის დისკრიმინაციის გარეშე ხელმისაწვდომს გახდის აღნიშნული პროგრამით გარანტირებულ სოციალური უზრუნველყოფისა და ჯანდაცვის ვაუჩერის მიღებას;

ბ) უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ჯანმრთელობის უფლების რეალიზაციისათვის ყველა სახელმწიფო ჯანდაცვის პროგრამაში სპეციალური ნორმის გათვალისწინება, რომელიც სენსიტიური იქნება ამ პირთა საჭიროებებისადმი და სრულად დააკმაყოფილებს მათ სამედიცინო სერვისებით.

რეკომენდაციით მიემართავთ საქართველოს მთავრობას:

ა) გააუქმოს ადრეული ინტერვენციის ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფის ცვლილებით გამოწვეული შეზღუდვა და აღადგინოს პროგრამის მუშაობა 2011 წლის ვითარებით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა ყველა ჯგუფის უფლებების თანაბრად რეალიზაციის უზრუნველსაყოფად.

რეკომენდაციით მიემართავთ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ასევე შინაგან საქმეთა მინისტრებს:

ა) გაატარონ ძალადობისგან დაცვის სისტემის რეფორმა იმგვარად, რომ ეს უკანასკნელი იყოს სენსიტიური შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შეტყობინებებისადმი და ხელმისაწვდომი ძალადობის ყველა მსხვერპლისთვის. ასევე, გაუმჯობესდეს ძალადობის შემთხვევების შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის შეკრება და ანალიზი.

პრევენციის ეროვნული მექანიზმის საქმიანობა

წინამდებარე ანგარიში ასახავს სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ 2011 წელს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში და დროებითი მოთავსების იზოლატორებში ჩატარებული მონიტორინგის შედეგებს.

აღმოსავლეთ საქართველოში მდებარე დაწესებულებების მონიტორინგში, სახალხო დამცველისა და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ერთობლივი პროექტის ფარგლებში, რომელიც პრევენციის ეროვნული მექანიზმის მხარდაჭერას ითვალისწინებს, ჩართულნი იყვნენ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენლებიც.

საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის აპარატის პრევენციის და მონიტორინგის თანამშრომლებმა საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში განახორციელეს 516 არაგეგმური ვიზიტი, რომელთა დროსაც მონახულეს 1500-ზე მეტი პატიმარი და 72 გეგმური ვიზიტი; დროებითი მოთავსების იზოლატორებში – 84 გეგმური და 157 არაგეგმური ვიზიტი.

მონიტორინგის ჩატარებისას სახალხო დამცველის სპეციალური პრევენციული მექანიზმის წარმომადგენლები დაუბრკოლებლად დაიშვებოდნენ და თავისუფლად გადაადგილდებოდნენ როგორც სასჯელაღსრულების დაწესებულებების ტერიტორიაზე, ასევე დროებითი მოთავსების იზოლატორებში. მათ ასევე ეძლეოდათ საშუალება, შეხედულებისამებრ შეერჩიათ დაკავებულებთან/პატიმრებთან შეხვედრის ადგილები და გასაუბრებოდნენ მათ კონფიდენციალურად.

საანგარიშო პერიოდში იყო ერთადერთი შემთხვევა, როცა სპეციალურ პრევენციულ ჯგუფს შეექმნა დაბრკოლებები და ვერ განახორციელა თავისი უფლებამოსილებები. კერძოდ, 2011 წლის 24 მაისს პრევენციული ჯგუფის წევრები იმყოფებოდნენ გორის დროებითი მოთავსების იზოლატორში ადმინისტრაციულ პატიმრობაშეფარდებულ პირთან გასაუბრების მიზნით. დმი-ს ხელმძღვანელმა ელდარ დალაქიშვილმა უარი განაცხადა სახალხო დამცველის რწმუნებულებისთვის პატიმრის წარდგენაზე იმ მიზეზით, რომ პატიმარს თავად არ სურდა არავისთან შეხვედრა. პრევენციული ჯგუფის წევრებმა ელდარ დალაქიშვილს განუმარტეს „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით მათთვის მინიჭებული უფლებამოსილებები და აუხსნეს, რომ თუ პატიმარი მათთან შეხვედრის დროს განაცხადებდა, რომ არ სურდა საუბარი, ისინი დატოვებდნენ დმი-ს. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ელდარ დალაქიშვილმა ხელი შეუშალა სპეციალური პრევენციული ჯგუფის მუშაობას და არ მისცა საშუალება ენახათ პატიმარი, რითაც დაარღვია საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის, ასევე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-18 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი და ამავე კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტი და მეორე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი. ელდარ დალაქიშვილის ქმედებით დაირღვა წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან

დამამცირებელი მოპყრობის, ან სასჯელის წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატური ოქმის მე-20 მუხლის „ბ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნტების მოთხოვნები, ასევე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173⁴-ე მუხლი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველმა შეადგინა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი და მასალები გადაიგზავნა გორის რაიონულ სასამართლოში. გორის რაიონული სასამართლოს მოსამართლე დავით პაპუაშვილმა, 2011 წლის 21 ივნისის დადგენილებით, ელდარ დალაქიშვილი გაათავისუფლა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან, მის ქმედებაში ადმინისტრაციული გადაცდომის არარსებობის გამო. აღნიშნული დადგენილება სახალხო დამცველის წარმომადგენელმა გაასაჩივრა თბილისის სააპელაციო სასამართლოში. სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 28 ივლისის დადგენილებით დაკმაყოფილდა სახალხო დამცველის სარჩელი, გაუქმდა გორის რაიონულის სასამართლოს 2011 წლის 21 ივნისის დადგენილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდა პირველ ინსტანციას.

2011 წლის 8 სექტემბერს გორის რაიონული სასამართლოს იმავე მოსამართლემ, დავით პაპუაშვილმა, სასამართლოს დადგენილებით, შსს შიდა ქართლის რეგიონული დროებითი მოთავსების იზოლატორის უფროსი ცნო კანონდამრღვევად, თუმცა მხოლოდ სიტყვიერი შენიშვნის მიცემით შემოიფარგლა.

როგორც აღინიშნა, ეს იყო ერთადერთი შემთხვევა, როდესაც სახალხო დამცველის რწმუნებულებს შეექმნათ დაბრკოლება დროებითი მოთავსების იზოლატორებში. როგორც წესი, იზოლატორების ადმინისტრაცია სრულად თანამშრომლობს სპეციალურ პრევენციულ ჯგუფთან,

აქვე იმედს გამოვთქვამთ, რომ მომავალში, ერთი მხრივ, შინაგან საქმეთა სამინისტრო, ხოლო, მეორე მხრივ, სასამართლო უფრო სერიოზულად მოეკიდება პრევენციის ეროვნული მექანიზმის უფლებამოსილების განხორციელების დაუბრკოლებელ უზრუნველყოფას.

გეგმური მონიტორინგის დროს სახალხო დამცველის რწმუნებულები ამოწმებდნენ დაწესებულებებში არსებული მდგომარეობისა და პრაქტიკის შესაბამისობას როგორც საქართველოს კანონმდებლობასთან, ასევე საერთაშორისო სტანდარტებთან. მონიტორინგის მსვლელობისას განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა თითოეულ დაწესებულებაში დაკავებულების/პატიმრების მიმართ მოპყრობაზე.

მონიტორინგის დროს სახალხო დამცველის რწმუნებულები გაესაუბრნენ სასჯელადსრულების დაწესებულებების ადმინისტრაციას, თანამშრომლებს, პატიმრებს/მსჯავრდებულებს. თითოეულ სასჯელადსრულების დაწესებულებაში მონახულეს იქ განთავსებულ პატიმართა დიდი ნაწილი, შეამოწმეს და აღწერეს ყველა დაწესებულების ინფრასტრუქტურა და საყოფაცხოვრებო პირობები, მათ შორის, ხანგრძლივი პაემნებისთვის განკუთვნილი და დედათა და ბავშვთა ოთახები. რამდენიმე დაწესებულებაში მათ დაათვალიერეს მიმდინარე სარემონტო სამუშაოები, ყველა

დაწესებულებაში მონახულეს ყველა სამართლო და საკარანტინე საკანი და გაესაუბრნენ მონიტორინგის მომენტში იქ განთავსებულ ყველა პატიმარს.

დროებითი მოთავსების იზოლატორებში მონიტორინგის ჯგუფის წევრებმა ადგილზე შეამოწმეს დმი-ში განთავსებულ დაკავებულ პირთა შესახებ წარმოებული დოკუმენტაცია, დაათვალიერეს ინფრასტრუქტურა – საკნები, საგამოძიებო ოთახები, სველი წერტილები, სასეირნო ეზოები, ინვენტარი, საკვებისა და დაკავებულთა ნივთების შენახვის პირობები. ადმინისტრაციასთან და დაკავებულებთან/პატიმრებთან გასაუბრებით გაირკვა კვების, შხაპის მიღების, სუფთა ჰაერზე ყოფნის პერიოდულობა და პროცედურები. როგორც ყოველთვის, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო დაკავებულ პირთა მიმართ მოპყრობას როგორც დაკავებისას, ასევე მას შემდეგ.

მდგომარეობა სასჯელადსრულების დაწესებულებებში

არასათანადო მოპყრობა

2010 და 2011 წლის განმავლობაში სასჯელადსრულების დაწესებულებებში ჩატარებული რეგულარული მონიტორინგის შედეგებისა და შესწავლილი საქმეების ანალიზით შეიძლება ითქვას, რომ არასათანადო მოპყრობის პრობლემა საქართველოს სასჯელადსრულების სისტემის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება. საანგარიშო პერიოდში არასათანადო მოპყრობის ფაქტები ხშირად დაფიქსირდა რამდენიმე დაწესებულებაში (გლდანის N8 დაწესებულება, მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამკურნალო დაწესებულება, ქუთაისის N2 დაწესებულება), თუმცა არასათანადო მოპყრობის ერთეული ფაქტები სხვა დაწესებულებებშიც გვხვდება.

პატიმრების მიმართ მოპყრობასთან დაკავშირებული პრობლემების მოუგვარებლობა რამდენიმე მიზეზით არის განპირობებული. ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ადმინისტრაციის მიერ პატიმართა მიმართ არასწორი მიდგომაა. რიგ დაწესებულებებში თავისუფლებადაკვეთილი პირების მიმართ ზემოქმედებისა და დასჯის უკანონო ზომების გამოყენება, როგორც წესი, წახალისებულია ზოგადად სისტემისა და დაწესებულებების ხელმძღვანელი პირების მიერ. ასევე, სისტემის თანამშრომელთა შორის დანერგილია დაუსჯელობის სინდრომი და ხშირ შემთხვევებში რიგი დაწესებულებების ხელმძღვანელობა უფრო მეტად ზრუნავს პრობლემის დამალვაზე, ვიდრე მის მოგვარებაზე. ხშირია შემთხვევები, როდესაც პატიმრებს სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით აიძულებენ, თავი შეიკავონ ოფიციალური საჩივრის გაგზავნისგან როგორც სახალხო დამცველთან, ასევე სხვა სტრუქტურებში. ფიქსირდება შემთხვევები, როდესაც მოლაპარაკებებით ადმინისტრაცია ცდილობს, პატიმრებს გადააფიქრებინოს საჩივრის გაგზავნა ამა თუ იმ სტრუქტურაში. პრობლემის მოგვარებას ასევე ხელს უშლის შესაბამისი საგამომიებო ორგანოების პასიურობა და ფაქტებზე არასათანადო რეაგირება.

რაც შეეხება 2011 წლის შედეგებს, მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა არასათანადო მოპყრობის არაერთი ფაქტი, რომელთა შესახებ სახალხო დამცველმა მყისიერად მიმართა საქართველოს პროკურატურას გამომიების დაწყების წინადადებით.

კიდევ უფრო ხშირი იყო შემთხვევები, როცა პირი მიუთითებდა მის მიმართ განხორციელებულ არასათანადო მოპყრობაზე, თუმცა თავს იკავებდა წერილობითი ახსნა-განმარტების მიცემისაგან.

საკმაოდ რეგულარულად პატიმრები ჯერ ახსნა-განმარტებას აძლევენ სახალხო დამცველს, რომელშიც დეტალურად აღწერენ მათ მიმართ ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ძალადობის ფაქტებს, თუმცა ითხოვენ აღნიშნულის კონფიდენციალურად დატოვებას. „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად,

„საქართველოს სახალხო დამცველი და სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრი ვალდებული არიან, არ გაამყდონ საიდუმლო და კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაცია, აგრეთვე, პირის მკაფიოდ გამოხატული თანხმობის გარეშე, – მისი წამებისა და მის მიმართ სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის შესახებ ინფორმაცია“. აქედან გამომდინარე, არ ხდება არასათანადო მოპყრობის იმ ფაქტების გასაჯაროება, რომელთა რეაგირების გარეშე და კონფიდენციალურად დატოვებას თავად პატიმრები მოითხოვენ. აღნიშნული ტენდენციის ერთ-ერთი მაგალითია მიხეილ ი.-ს საქმე:

2011 წლის 5 სექტემბერს სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრები შეხვდნენ და გაესაუბრნენ N18 სამკურნალო დაწესებულებაში განთავსებულ პატიმარ მიხეილ ი.-ს, რომელმაც განმარტა, რომ გლდანის N8 დაწესებულებაში ყოფნისას სისტემატურად სცემდნენ. მას მონახულებისას ეტყობოდა დაზიანებები. მეორე დღესვე N18 სამკურნალო დაწესებულებაში მივლინებულ იქნა სპეციალური პრევენციული ჯგუფის სამედიცინო ექსპერტი, რომელსაც აღნიშნული დაზიანებები უნდა აღეწერა, თუმცა მასთან შეხვედრისას პატიმარმა განაცხადა, რომ მისი ფსიქიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, არ ახსოვდა, თუ რა ახსნა–განმარტება მისცა სახალხო დამცველის რწმუნებულს და მოითხოვა, რომ მის ახსნა–განმარტებას რეაგირება არ მოჰყოლოდა. მან განაცხადა, რომ სახალხო დამცველის დახმარებას აღარ საჭიროებდა.

ანალოგიური შედეგით დასრულდა მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში, ასევე, ქსნის N15 დაწესებულებაში განთავსებულ პატიმართა არაერთი საქმე.

პრობლემასა ის გარემოებაც, რომ პატიმარი, რომელიც მიუთითებს მის მიმართ არასათანადო მოპყრობის ფაქტზე, ჩივილის შემდეგაც რჩება იმავე სასჯელადსრულების დაწესებულებაში და შესაბამისად, იმავე თანამშრომლების მეთვალყურეობის ქვეშ, რომლებმაც მასზე ზეწოლა განახორციელეს, რაც წარმოშობს შიშის სინდრომს და რის გამოც პატიმარი ხშირ შემთხვევაში უარს ამბობს თავის განაცხადზე (მალხაზ ა.-ს საქმე). სახალხო დამცველმა არაერთხელ მიმართა სასჯელადსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს ამ პატიმრების სხვა დაწესებულებაში გადაყვანის რეკომენდაციით, თუმცა არც ერთი მიმართვა არ დაკმაყოფილებულა და ყველა შემთხვევაში სახალხო დამცველის აპარატში შემოდიოდა ერთი და იმავე შინაარსის პასუხები, რომ პატიმრის უსაფრთხოება დაცულია და იგი არ საჭიროებს სხვა დაწესებულებაში გადაყვანას.

პატიმრები აღნიშნავენ, რომ მათთან მისული საგამომიებო ორგანოების წარმომადგენლები ან თავად არწმუნებენ, რომ უმჯობესია, უარი თქვან საჩივარზე, ან შემოიფარგლებიან ფორმალური გასაუბრებით. აღნიშნული განსაკუთრებით შეეხება სასჯელადსრულების სამინისტროს საგამომიებო დეპარტამენტის გამომიებლებს.

საანგარიშო პერიოდში მოპყრობის მხრივ განსაკუთრებულად საყურადღებო აღმოჩნდა ქუთაისის N2, თბილისის N8 და N18 სამკურნალო დაწესებულებები, რადგანაც პატიმრების უმეტესობა მიუთითებდა, რომ მათ აღნიშნულ დაწესებულებებში დამამცირებლად და არაადამიანურად ეპყრობოდნენ. მოპყრობის მხრივ მდგომარეობა

კვლავ გაუარესდა ქსნის N15 დაწესებულებაში, რასაც მოწმობს არაერთი მსჯავრდებულის განცხადება–საჩივარი, მიუხედავად იმისა, რომ მათმა უმრავლესობამ, ზემოთ მითითებული მიზეზების გამო აღარ ისურვა დაწესებულების ადმინისტრაციასთან დაპირისპირება და უარი თქვა საკუთარ საჩივარზე.

ქუთაისის N2 დაწესებულება

აღნიშნულ დაწესებულებაში გეგმური მონიტორინგი საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ჩატარდა ორჯერ – 2011 წლის ზაფხულსა და ზამთარში. ზაფხულში ჩატარებული მონიტორინგის დროს ქუთაისის N2 დაწესებულებაში განთავსებული იყო 1451 პატიმარი. პატიმართა გადმოცემით, წინა წელთან შედარებით დაწესებულებაში განთავსებულ პირთა მიმართ ადმინისტრაციის მხრიდან მოპყრობა საგრძნობლად გაუარესდა. უკანასკნელ პერიოდში თავი იჩინა პატიმართა მიმართ არასათანადო მოპყრობის ფაქტებმა. პატიმრები აღნიშნავენ, რომ ადმინისტრაციის თანამშრომლები ხშირად უხეშად და დამამცირებლად ექცეოდნენ. ყველაზე ხშირად არასათანადო მოპყრობის მსხვერპლი დისციპლინურ პასუხისმგებლობადაკისრებული და კარანტინში განთავსებული პატიმრები ხდებოდნენ. მათი თქმით, უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში, დაწესებულების შინაგანაწესის დარღვევის შემთხვევაში, სამართლო საკანში გადაყვანის ნაცვლად, როგორც ამას კანონი ითვალისწინებდა, პატიმართა უმეტესობა ჯერ დაწესებულების ე.წ. „ბოქსში“ გადაჰყავთ. „ბოქსი“ დაახლოებით 2–3 კვ.მ. ფართის მქონე საკანია, სადაც არ დგას მაგიდა, სკამი და არც საწოლი და სადაც დასჯილ პატიმრებს ათავსებდნენ ფეხშიშველებს, საცვლებისამარა, 3–იდან 24 საათამდე ხანგრძლივობით. ზოგიერთმა მსჯავრდებულმა ისიც აღნიშნა, რომ ისინი „ბოქსში“ ჩაყვანის შემდეგ სცემეს, თუმცა აღნიშნულის წერილობით დაფიქსირებისგან თავი შეიკავეს. ზოგიერთი პატიმრის გადმოცემით, ე.წ. „ბოქსებში“ ყოფნისას ადმინისტრაციის თანამშრომლები იატაკზე წყალს ასხამდნენ, რომ პატიმრებს წამოწოლის საშუალება საერთოდ მოსპობოდათ.

პატიმართა გადმოცემით, ისინი თავს იკავებენ ყოველდღიური გასეირნებისგან, რადგან ყოველი გადაადგილება შესაძლებელია დაწესებულების თანამშრომლებთან კონფლიქტის მიზეზი გახდეს, ისინი კი, ვინც მაინც სარგებლობს ამ უფლებით, აღნიშნავენ, რომ თუ სეირნობისას ერთი პატიმარი მაინც დაარღვევს შინაგანაწესს (მაგალითად, მიესალმება სხვა პატიმარს), მთელი საკანი ისჯება და საკანში ბრუნდება.

ზემოაღნიშნული პრაქტიკის არსებობა ქუთაისის N2 დაწესებულებაში დაადასტურა მონახულებული პატიმრების უმრავლესობამ (მონახულებულ იქნა დაახლოებით 600 პატიმარი), რაც განსაკუთრებით დამაჯერებელს ხდის აღნიშნულ ფაქტებს, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ქუთაისის N2 დაწესებულება არის დახურული ტიპისა, სადაც სხვადასხვა საკანში განთავსებულ პატიმრებს არანაირი კონტაქტი არ აქვთ ერთმანეთთან. გარდა ამისა, საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველს არაერთი კოლექტიური თუ ინდივიდუალური განცხადებით მიმართეს ქუთაისის N2

დაწესებულებაში განთავსებულმა პატიმრებმა. ისინი საუბრობდნენ თავიანთი უფლებების უხეშ დარღვევასა და მათ მიმართ არასათანადო მოპყრობაზე.

რთული მდგომარეობა იყო დაწესებულების საკარანტინე ნაწილშიც, სადაც ახლად შეყვანილ პატიმრებს ათავსებენ. პატიმრების თქმით, კარის ყოველი გახმაურებისას მათ აიძულებენ, თავზე ხელებდაწყობილები დადგნენ ფანჯრისკენ სახით, იმ შემთხვევაში კი, თუ რომელიმე ვერ მოასწრო საწოლის მეორე სართულიდან დროულად ჩამოსვლა და ადმინისტრაციის მიერ მითითებულ მდგომარეობაში დადგომა, მთელი საკანი ისჯება. პატიმართა თქმით, ამ შემთხვევაში დასჯა გულისხმობს მათ დაჩოქებას თავზე ხელებდაწყობილ მდგომარეობაში, რაც 1–2 საათიც კი გაგრძელებულა. კარანტინში მყოფი პატიმრები ვეღარ სარგებლობენ გასეირნების უფლებით. პატიმრები ასევე აღნიშნავენ, რომ კარანტინის საკნიდან შემოწმებაზე გასვლისას თანამშრომლები მათ მიუცელში ან გვერდებში იდაყვებს ურტყამენ.

პატიმრების განცხადებით, მდგომარეობის გაუარესება 2011 წლის ივლისის თვიდან დაიწყო, რასაც პატიმრების უმრავლესობა დირექტორის შეცვლას უკავშირებდა. ყველაზე ხშირად პატიმრები არასათანადო მოპყრობის ფაქტების მონაწილედ ასახელებდნენ დაწესებულების დირექტორს, დიმიტრი ჯიჭონაიას, ასევე აღნიშნავენ, რომ განსაკუთრებული „აქტიურობით“ ამ მხრივ გამოირჩეოდა დაწესებულების სოციალური სამსახურის უფროსი ირაკლი ჯიშკარიანი, რომელზეც გასულ წლებში მიუთითებდნენ ზუგდიდის N4 დაწესებულების პატიმრებიც, თუმცა ამას წერილობით არ ადასტურებდნენ.

დასავლეთ საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებების, მათ შორის, ქუთაისის N2 დაწესებულების მონიტორინგის შედეგები, 2011 წლის 29 აგვისტოს გამოქვეყნდა სახალხო დამცველის ოფიციალურ ვებგვერდზე⁴⁴⁹. სახალხო დამცველმა მოუწოდა სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრს, სასწრაფოდ გაეტარებინა ყველა საჭირო ღონისძიება ქუთაისის N2 დაწესებულებაში თავისუფლებაღკვეთილ პირთა უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად, ასევე დაეყენებინა ყველა იმ პირის პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებიც პატიმრებს არასათანადოდ ეპყრობოდნენ.

2011 წლის 11 სექტემბერს სახალხო დამცველის წარმომადგენლები კვლავ შეხვდნენ და გაესაუბრნენ ქუთაისის N2 დაწესებულებაში განთავსებულ მსჯავრდებულებებს (დაახლოებით 100 პატიმარი). უმეტესობა ზეპირსიტყვიერად აღნიშნა, რომ 2011 წლის 09 სექტემბერს, დაახლოებით 21:00 საათზე, N2 დაწესებულებაში შევიდა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სპეციალური დანიშნულების რაზმი, პატიმრების გარკვეული ნაწილი გამოიყვანეს საკნებიდან (ძირითადად C და D კორპუსში განთავსებული პატიმრები), სცემეს, ზოგიერთი დააბრუნეს საკანში, ზოგიერთი კი სამართლო საკანში გადაიყვანეს. მსჯავრდებულებმა დავით მ.–მ, გიორგი ს.–მ, გოგიტა ზ.–მ და იაკობ ხ.–მ წერილობით დაადასტურეს ზემოაღნიშნული ფაქტი.

⁴⁴⁹ <http://www.ombudsman.ge/index.php?page=1001&lang=0&id=1409>

მსჯავრდებულ დავით მ.–ს განმარტებით, 2011 წლის 09 სექტემბერს, დაახლოებით 21.00 საათზე, D-105 საკანში შევიდა სპეციალური დანიშნულების რაზმის დაახლოებით 10–12 თანამშრომელი, N2 დაწესებულების ადმინისტრაციის თანამშრომლებთან ერთად. მათ ჩაატარეს საკნის ჩხრეკა, რა დროსაც, პატიმრის თქმით, უკანონო ნივთი ამოღებული არ ყოფილა. დაახლოებით 5–6 საათის შემდეგ დავით მ.–სთან მივიდა კონტროლიორი, ვინმე ბესო და ჩაიყვანა დაწესებულებაში მდებარე „ბოქსებთან“⁴⁵⁰, სადაც, დაწესებულების თანამშრომელ რომან რობაქიძესთან შელაპარაკების შემდეგ, მას უცნობმა პირმა უკნიდან ჩაარტყა თავში. პატიმარი აღნიშნავდა, რომ ამის შემდეგ იგი შეიყვანეს ოთახში, სადაც იმყოფებოდნენ დაწესებულების დირექტორი დიმიტრი ჯიჭონაია, აჩიკო ტაბატაძე და სხვა თანამშრომლები. დიმიტრი ჯიჭონაიამ მას მიაყენა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა. მსჯავრდებულის თქმით, დირექტორმა მას რამდენჯერმე ჩაარტყა თავი შუბლის არეში და დაემუქრა სასჯელის დამატებით. იგი გადაიყვანეს სამართლო საკანში, 3 დღის შემდეგ კი შეუფარდეს ერთი თვით ადმინისტრაციული პატიმრობა. მსჯავრდებული აღნიშნავდა, რომ საბოლოოდ იგი გადაიყვანეს B-404 საკანში, სადაც კვლავ არასათანადოდ ეპყრობოდნენ – თანამშრომლები მიმართავენ უხეშად და აყენებენ სიტყვიერ შეურაცხყოფას.

გიორგი ს.–ს განმარტებით, 2011 წლის 09 სექტემბერს იგი მოათავსეს C კორპუსის 324 საკანში. საკნის ჩხრეკის შემდეგ სპეციალური დანიშნულების რაზმის თანამშრომლებმა იგი გამოიყვანეს საკნიდან, ადმინისტრაციის თანამშრომელმა რომან რობაქიძემ მას დაუწყო ცემა, შემდეგ კი სპეცრაზმის თანამშრომლებს უბრძანა პატიმრის ქვედა სართულზე „ბოქსში“ ჩაყვანა. მსჯავრდებულის განმარტებით, „ბოქსებში“ ყოფნისას მას აიძულებდნენ, დამდგარიყო მუხლებზე, რომან რობაქიძე კი ხელს ურტყამდა თავში. მსჯავრდებულის თქმით, ამის შემდეგ იგი გადაიყვანეს სამართლო საკანში, სადაც იმყოფებოდა 2 დღე, შემდეგ კი შეუფარდეს ადმინისტრაციული პატიმრობა 1 თვის ვადით.

გოგიტა ზ.–ს განმარტებით, 2011 წლის 09 სექტემბერს C-219 საკანში შევიდა სპეციალური დანიშნულების რაზმისა და ადმინისტრაციის დაახლოებით 15 თანამშრომელი, მათ შორის, დიმიტრი ჯიჭონაია, მიშა გიგაური, რომან რობაქიძე, აჩიკო ტაბატაძე და ვინმე მამუკა, ჩაატარეს ჩხრეკა, რის შემდეგაც ცემით გაატარეს ე.წ. „კორიდორში“. მსჯავრდებულის გადმოცემით, განსაკუთრებული სისასტიკით სწორედ დაწესებულების თანამშრომლები იქცეოდნენ. საბოლოოდ, გოგიტა ზ.–საც შეუფარდეს ადმინისტრაციული პატიმრობა 1 თვის ვადით. სასამართლოდან დაბრუნების შემდეგ იგი გადაიყვანეს B-404 საკანში, სადაც შესვლის დროს დიმიტრი ჯიჭონაიამ და გაგა ლიპარტელიანმა დაუწყეს ცემა, რა დროსაც, მსჯავრდებულის თქმით, გონება დაკარგა. გოგიტა ზ. აღნიშნავდა, რომ მას დაასხეს წყალი, გონზე მოსვლის შემდეგ კი ცემით ჩაიყვანეს „ბოქსებში“, სადაც შიშველ მდგომარეობაში 7 საათი გააჩერეს.

იაკობ ხ.–ს გადმოცემით, 2011 წლის 09 სექტემბერს იგი იმყოფებოდა C-302 საკანში, რა დროსაც სპეციალური დანიშნულების რაზმის თანამშრომლებმა ჩაატარეს საკნის

⁴⁵⁰ „ბოქსი“ დაახლოებით 2–3 კვ.მ. ფართის მქონე საკანია, სადაც არ არის მაგიდა, სკამი და არც საწოლი.

ჩხრეკა, რის შემდეგაც იგი ჩაიყვანეს „ბოქსებში“, სადაც დაახლოებით 4-5 საათი გააჩერეს. მსჯავრდებულის თქმით, ამ დროის განმავლობაში სპეცრაზმისა და დაწესებულების თანამშრომლებს ჩაყავდათ პატიმრები და ცემით ათავსებდნენ იქვე განლაგებულ „ბოქსებში“. მსჯავრდებული აღნიშნავდა, რომ ისინი აიძულებდნენ პატიმრებს დაჩოქებას. იაკობ ხ.-ს შეეფარდა 60 დღით ადმინისტრაციული პატიმრობა.

2011 წლის 20 სექტემბერს, სახალხო დამცველმა „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, ქუთაისის N2 დაწესებულებაში პატიმართა მიმართ არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე გამოძიების დაწყების წინადადებით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურორს. 2011 წლის 18 ოქტომბერს საქართველოს მთავარი პროკურატურიდან მიღებული N13/43500 პასუხის თანახმად, დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში დაიწყო გამოძიება სს N088081011801 საქმეზე, ქუთაისის N2 დაწესებულების თანამშრომლების მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

2012 წლის 24 იანვარს საქართველოს მთავარი პროკურატურიდან მიღებული N13/3211 პასუხის თანახმად, საქმეზე გრძელდება გამოძიება. პასუხის თანახმად, მოწმის სახით დაიკითხნენ გოგიტა ზ., დავით მ., იაკობ ხ. და გიორგი ს. და მათ ჩაუტარდათ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა.

2011 წლის 16 სექტემბერს სახალხო დამცველის აპარატმა გამოითხოვა 2011 წლის 11, 12 და 13 სექტემბერს ქუთაისის N2 დაწესებულებაში განთავსებული 26 მსჯავრდებულის მიმართ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების ასლები, რომლებითაც მსჯავრდებულებს შეეფარდათ ადმინისტრაციული პატიმრობა. ასევე – ქუთაისის N2 დაწესებულების დირექტორის დიმიტრი ჯიჭონაიას, განკარგულებები მსჯავრდებულისათვის ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდების შესახებ.

სასამართლო გადაწყვეტილებების შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ 2011 წლის 11, 12 და 13 სექტემბერს ოცდაექვსივე მსჯავრდებულმა ჩაიდინა ერთი და იმავე სახის გადაცდომა. კერძოდ, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაში საქმეზე N3/398-11 აღნიშნულია, რომ მსჯავრდებული დავით ხ. იმყოფებოდა რა N2 დაწესებულების „C“ კორპუსზე, უკანონო გადაძახილით ცდილობდა მიეწოდებინა აკრძალული ინფორმაცია სხვა საკნებში მყოფი მსჯავრდებულებისათვის, რის გამოც მას შენიშვნა მისცა მორიგე თანამშრომლმა, ამის გამო მსჯავრდებულმა დაიწყო ყვირილი და უმისამართო ლანძღვა-გინება, რითაც აიყოლია სხვა მსჯავრდებულები და ამას მოჰყვა მსჯავრდებულების ხმაური.

აღსანიშნავია, რომ დანარჩენ 25 სასამართლოს გადაწყვეტილებაშიც სიტყვა-სიტყვით იგივეა მითითებული. ერთადერთი განსხვავებაა ის, რომ ზოგიერთ შემთხვევაში „ლანძღვა-გინების“ მაგივრად აღნიშნულია, რომ მსჯავრდებულმა „გამოხატა აგრესია“.

სასამართლო გადაწყვეტილებების შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ 14 მსჯავრდებული 2011 წლის 9 სექტემბერს, ანუ ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდებამდე 3–4 დღით ადრე, განათავსეს სამართლო საკანში, რის შემდეგაც დაწესებულების დირექტორის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლომ მათ შეუფარდა ადმინისტრაციული პატიმრობა. ასევე, ყურადსაღებია ის გარემოებაც, რომ ზოგიერთ მსჯავრდებულს 2011 წლის 9 სექტემბრამდე არანაირი დარღვევა არ ჰქონია ან თუ ჰქონდა, გასული იყო კანონით დადგენილი ერთწლიანი ვადა.

ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებების ანალიზისას გამოვლინდა კიდევ ერთ ყურადსაღები დარღვევა:

პატიმრობის კოდექსის 87-ე მუხლის მეოთხე ნაწილის თანახმად, „დისციპლინურ სახდელდაუდებლად ითვლება პირი, რომელიც დისციპლინური სახდელის მოხდიდან 6 თვის განმავლობაში კვლავ არ ჩაიდენს დისციპლინურ დარღვევას. იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებულს/მსჯავრდებულს დაეკისრება ამ კოდექსის 82-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული სახდელები, იგი დისციპლინურ სახდელდაუდებლად ჩაითვლება, თუ დისციპლინური სახდელის მოხდიდან 1 წლის განმავლობაში კვლავ არ ჩაიდენს დისციპლინურ დარღვევას“. ამავე კანონის 90-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „თუ მსჯავრდებულმა დისციპლინური სახდელის მოქმედების ვადაში განმეორებით ჩაიდინა ამ კოდექსით გათვალისწინებული დისციპლინური დარღვევა, მას შესაძლებელია დაეკისროს ადმინისტრაციული პატიმრობა არა უმეტეს 60 დღე-ღამის ვადით“.

ქუთაისის საქალაქო სასამართლო N3/397–11 გადაწყვეტილებით მსჯავრდებულ ჰამლეტ კ.–ს 2011 წლის 11 სექტემბერს დაეკისრა ადმინისტრაციული პატიმრობა 30 დღე-ღამის ვადით. გადაწყვეტილების შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ მსჯავრდებულს ბოლო დისციპლინური სახდელი შეფარდებული ჰქონდა 2010 წლის 30 ივნისს (5 დღე-ღამე სამართლო საკანში). აღნიშნულიდან ირკვევა, რომ გასული იყო ერთ წელზე მეტი და მსჯავრდებული არ ითვლებოდა დისციპლინურ სახდელდადებულად. მიუხედავად აღნიშნულისა, გადაწყვეტილების თანახმად, სამართლებრივი შეფასების დროს მოსამართლემ დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ მსჯავრდებული ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდების შესახებ განკარგულების გამოტანის დროისთვის ითვლებოდა დისციპლინურ სახდელდადებულ პირად.

ახმედ ა.–ს საქმე

სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა ქუთაისის N2 დაწესებულებაში განთავსებულმა მსჯავრდებულმა ახმედ ა.–მ. განმცხადებლის განმარტებით, 2011 წლის 25 ივლისს იგი გაიყვანეს დაწესებულების „D“ კორპუსის მე–3 სართულზე განლაგებულ სამორიგო ნაწილში, სადაც დაწესებულების თანამშრომლებმა, ვინმე ანზორმა და ირაკლიმ, მიაყენეს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა. აღნიშნულის მიზეზი, პატიმრის თქმით, გახდა მის მიერ კანონით კუთვნილი გასეირნების მოთხოვნა და

ადმინისტრაციისგან უარის მიღების შემდეგ შიმშილობის დაწყების სურვილის გაცხადება.

მსჯავრდებულის განმარტებით, დაწესებულების თანამშრომლები ასევე შეეხნენ მის ეთნიკურ წარმომავლობას და ამ ნიადაგზეც მიაყენეს სიტყვიერი შეურაცხყოფა. შემდეგ იგი გადაიყვანეს ამავე დაწესებულების სამართლო საკანში, სადაც დააღეს ხელბორკილები, რეჟიმის უფროსი გაგა ლიპარტელიანი და კიდევ ერთი თანამშრომელი (რომლის სახელი და გვარიც არ იცის) აიძულებდნენ დაჩოქებას, რაზეც მსჯავრდებულმა უარი განაცხადა. მისი გადმოცემით, მას კვლავ სცემეს და მიაყენეს სიტყვიერი შეურაცხყოფა, შემდეგ კი შიშველი და ხელეზე ბორკილდადებული გადაიყვანეს დაწესებულების ე.წ. „ბოქსში“ (F102), სადაც გააჩერეს დაახლოებით 2 საათი. ამის შემდეგ იგი საკანში დააბრუნეს.

მსჯავრდებულის გადმოცემით, მას საკანში დაეწყო თავის ტკივილები და გულისრევის შეგრძნება. აღნიშნულის გამო მან მოითხოვა ექიმთან შეხვედრა, რაც არ დაკმაყოფილდა.

2011 წლის 27 ივლისს სახალხო დამცველის რწმუნებულები შეხვდნენ და გაესაუბრნენ ახმედ ა.-ს თანასაკნელებს, რომლებმაც დაადასტურეს ის ფაქტი, რომ მსჯავრდებული 25 ივლისს, დაახლოებით 11 საათზე, დაწესებულების თანამშრომლებმა გაიყვანეს საკანიდან და დაახლოებით 15 საათზე შემოიყვანეს ნაცემ მდგომარეობაში.

სახალხო დამცველის რწმუნებულების მიერ ვიზუალური დათვალიერებისას მსჯავრდებულს სხეულზე აღენიშნებოდა შემდეგი დაზიანებები: ზურგის არეში – დაახლოებით 10–15 სმ-ის სამი სისხლნაჟღენთი, გულმკერდისა და კისრის მიდამოებში – მრავლობითი სისხლნაჟღენთები და ექსკორიაციები, ორივე ფეხის მუხლზე – ფუფხით დაფარული ნაჭდევი, ორივე ხელის მაჯაზე – ჰიპერემია და ნაჭდევი, შემუპება თავის არეში.

2011 წლის 1 აგვისტოს „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურორს გამოძიების დაწყების მოთხოვნით მსჯავრდებულ ახმედ ა.-ს სხეულის დაზიანების ფაქტთან დაკავშირებით და რეკომენდაციით, უმოკლეს დროში ჩატარებულიყო სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა მსჯავრდებულის სხეულზე არსებული დაზიანებების წარმომავლობისა და ხანდაზმულობის დასადგენად. იმავე დღეს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს, უმოკლეს ვადებში უზრუნველყოფოდა ახმედ ა.-ს გადაყვანა სხვა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, ასევე, უზრუნველყოფოდა მისი უსაფრთხოება, რადგან სახალხო დამცველისადმი გაგზავნილ განცხადებაში მსჯავრდებული შესაძლებლად მიიჩნევდა, რომ ზემოაღნიშნული განცხადების შემდეგ მას დაემუქრებოდა საფრთხე დაწესებულების თანამშრომლების მხრიდან.

2011 წლის 9 აგვისტოს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარისგან მიღებული N10/3/13–10624 პასუხის თანახმად, მსჯავრდებულ ახმედ ა.-ს უსაფრთხოება

აყვანილი იყო კონტროლზე. რაც შეეხება მის გადაყვანას სხვა სასჯელადსრულების დაწესებულებაში, აღნიშნული მოთხოვნა სასჯელადსრულების დეპარტამენტის მხრიდან არ დაკმაყოფილდა.

საქართველოს მთავარი პროკურატურიდან მიღებული N13/31797 პასუხით გვეცნობა, რომ 2011 წლის 9 აგვისტოს დაიწყო წინასწარი გამოძიება სსკ-ის 144³-ე (დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა) მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

2012 წლის 24 იანვარს საქართველოს მთავარი პროკურატურიდან მიღებული N13/3213 პასუხის თანახმად, დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურის საგამომიებო ნაწილში მიმდინარეობს გამოძიება სს N088090811801 საქმეზე, ახმედ ა.-ს მიმართ არაადამიანური მოპყრობის განხორციელების ფაქტზე. ამავე პასუხის თანახმად, გამოძიების მიერ დაზარალებულად არის ცნობილი და ამავე სტატუსითაა დაკითხული მსჯავრდებული. წერილის თანახმად, მას ჩაუტარდა სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა. საქმეზე დაიკითხნენ მოწმეები, მათ შორის, დაზარალებულის მიერ მითითებული პატიმრები.

შალვა ყ.-ს საქმე

2011 წლის 22 ივლისს სახალხო დამცველის რწმუნებულები შეხვდნენ და გაესაუბრნენ ქუთაისის N2 დაწესებულებაში განთავსებულ პატიმარს შალვა ყ.-ს. 2011 წლის 20 ივლისს, N2 დაწესებულებაში შეყვანისას სხეულის გარეგნული დათვალიერების ოქმის თანახმად, პატიმარ შალვა ყ.-ს სხეულზე სხვადასხვა სახის დაზიანებები აღენიშნებოდა, კერძოდ: მარჯვენა თვალბუდის მარცხენა მიდამოში – სისხლნაჟღენთი, მარჯვენა თვალბუდის ქვედა მიდამოში – მოწითალო ფერის წერტილოვანი სისხლნაჟღენთი, მარჯვენა და მარცხენა მხრების მიდამოში – ექსკორიაციები, ზურგის მიდამოში – მრავლობითი ექსკორიაციები.

N2 დაწესებულებაში შედგენილი გარეგნული დათვალიერების ოქმის მიხედვით აღნიშნული დაზიანება პატიმარმა პოლიციის თანამშრომლებისთვის წინააღმდეგობის გაწევის დროს მიიღო.

სახალხო დამცველის რწმუნებულთან შეხვედრისას პატიმარმა შალვა ყ.-მ აღნიშნა, რომ მას ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს როგორც პოლიციის, ასევე დაწესებულების თანამშრომლებმაც. მისი განმარტებით, სასჯელადსრულების დაწესებულების თანამშრომლებისთვის არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწევია, თუმცა, პატიმრის გადმოცემით, დაწესებულების სამორიგეო ნაწილში განთავსებისთანავე მას ცემა დაუწყო დაწესებულების რამდენიმე თანამშრომელმა. მას სცემდნენ წაქცეულ მდგომარეობაში და აყენებდნენ სიტყვიერ შეურაცხყოფას. ცემის შემდეგ იგი სამორიგეო ნაწილის ერთ-ერთ საკანში შეიყვანეს, სადაც მან ხელბორკილებით 2 დღე დაყო.

პატიმარს სხეულზე სხვადასხვა სახის დაზიანებები სახალხო დამცველის რწმუნებულთან შეხვედრის დროსაც აღენიშნებოდა, კერძოდ, მარცხენა თვალზე – სისხლნაჟღენთი, მარჯვენა თვალზე – ექსკორიაცია, მარცხენა ხელზე – მოყვითალო ფერის სისხლნაჟღენთი და ექსკორიაციები, მარჯვენა ბეჭზე – ფუფხი, ასევე, ზურგის არეში – მრავლობითი ექსკორიაციები.

2011 წლის 26 ივლისს სახალხო დამცველის რწმუნებულები იმყოფებოდნენ ქუთაისის დროებითი მოთავსების იზოლატორში, სადაც გაეცნენ ბრალდებულ შალვა ყ.-ს შესახებ წარმოებულ დოკუმენტაციას. გარეგნული დათვალიერების ოქმის თანახმად, მას მარცხენა ხელის მტევანზე აღენიშნებოდა მცირე ზომის ექსკორიაცია, რომელიც მიღებული ჰქონდა დაკავებამდე. ოქმის თანახმად მას სხვა სახის დაზიანება არ გააჩნდა.

თუ ქუთაისის დმი-სა და N2 სასჯელაღსრულების დაწესებულების ჩანაწერებს სარწმუნოდ მივიჩნევთ, აღმოჩნდება, რომ პატიმარი დმი-ში პრაქტიკულად დაზიანებების გარეშე შევიდა, სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მიღების დროს კი, ექიმის მიერ დათვალიერებისას, მას უკვე აღენიშნებოდა არასათანადო მოპყრობისთვის დამახასიათებელი დაზიანებები. ამგვარად, მხოლოდ დმი-სა და სასჯელაღსრულების დაწესებულებაში არსებული ჩანაწერებით შეუძლებელია პატიმრის დაზიანებების წარმომავლობისა და მიზეზების დადგენა.

2011 წლის 04 აგვისტოს სახალხო დამცველის აპარატიდან საქართველოს მთავარ პროკურატურაში გაიგზავნა წერილობითი მიმართვა და პატიმარ შალვა ყ.-სთან გასაუბრებისას შედგენილი ოქმის ასლი.

საქართველოს მთავარი პროკურატურიდან მიღებული N13/32002 პასუხის თანახმად, 2011 წლის 10 აგვისტოს დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურის საგამომიებო ნაწილში დაიწყო გამოძიება სს საქმეზე, N2 დაწესებულებაში განთავსებული პატიმრის მიმართ პოლიციისა და ციხის ადმინისტრაციის თანამშრომლების მიერ დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობის განხორციელების ფაქტზე საქართველოს სსკ-ის 144³-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

2012 წლის 24 იანვარს საქართველოს მთავარი პროკურატურიდან მიღებული N13/3212 პასუხის თანახმად, საქმეზე დაზარალებულად ცნობილია შალვა ყ. მას ჩაუტარდა სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა. გამოძიების მიერ დაიკითხნენ მოწმეები, მათ შორის, ქუთაისის N2 დაწესებულებისა და დროებითი მოთავსების იზოლატორის თანამშრომლები. ამავე პასუხის თანახმად, მოპოვებულ იქნა შალვა ყ.-ს ბრალდების საქმეზე, 2011 წლის 09 აგვისტოს დასრულებული ამბულატორიული კომპლექსური სასამართლო ფსიქიატრიული – ფსიქოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა, რომლის თანახმად, იგი არის შეურაცხადი, თავისი ფსიქიკური მდგომარეობით არ შეუძლია მისცეს სწორი ჩვენება, მონაწილეობა მიიღოს საგამომიებო და სასამართლო მოქმედებებში. აღნიშნულიდან გამომდინარე, გამოძიების მიერ ვერ ხერხდება შალვა ყ.-ს დაზარალებულის სახით დაკითხვა.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ 2012 წლის ზამთარში ჩატარებული მონიტორინგის დროს ქუთაისის N2 დაწესებულებაში განთავსებული იყო 1464 პატიმარი. პატიმრებთან გასაუბრებით გაირკვა, რომ ერთადერთი, რაც შეიცვალა გასულ რამდენიმე თვეში, არის ის, რომ შეწყდა პატიმრების მოთავსება ე.წ. „ბოქსებში“. თუმცა თანამშრომლები მათ კვლავ ექცევიან უხეშად, გამომწვევად და დამამცირებლად. პატიმრების თქმით, ნებისმიერი კონტაქტი დაწესებულების თანამშრომლებთან შეიძლება მათი მხრიდან კონფლიქტის და შეურაცხყოფის მიზეზი გახდეს.

მიუხედავად იმისა, რომ პატიმრებს ერთ საათზე მეტი ხნით ეძლევათ უფლება, გავიდნენ სუფთა ჰაერზე, მათი უმრავლესობა აცხადებს, რომ ისინი ერიდებიან აღნიშნული უფლებით სარგებლობას, რადგანაც იმ შემთხვევებშიც კი, თუ ერთი პატიმარი მეორეს მიესალმება, გასეირნება წყდება და პატიმრებს აბრუნებენ საკნებში. ამგვარად, ქუთაისის #2 დაწესებულებაში კვლავ გამოიყენება კოლექტიური დასჯის მეთოდები – ერთი პატიმრის გადაცდომისთვის ისჯება მთელი საკანი, რაც ადმინისტრაციისთვის ზეწოლის დამატებითი მექანიზმია. დაწესებულების „A“, „B“ და „C“ საცხოვრებელ კორპუსზე მდებარე საკნებში ადმინისტრაცია პატიმრებს აიძულებს მორიგეობის დაწესებას, ხოლო მორიგე პატიმარს თავისი მორიგეობის დროს პასუხი მოეთხოვება სხვა პატიმრების ქმედებებზეც. მორიგეობაზე უარის თქმა, თავის მხრივ, ფიზიკური შეურაცხყოფის ან დასჯის მიზეზი ხდება.

მონიტორინგის ჯგუფმა მოინახულა სამართლო საკნებში განთავსებული პატიმრები, რომლებმაც განაცხადეს, რომ არც განთავსებისას და არც მას შემდეგ მათ მიმართ რაიმე სახის ზეწოლა არ განხორციელებულა, თუმცა სხვა საკნებში განთავსებულმა რამდენიმე მსჯავრდებულმა აღნიშნა, რომ როცა ისინი სამართლო საკნებში იმყოფებოდნენ, მათ, დამცირების მიზნით, ყოველი დილის შემოწმებისას გაშიშვლებას აიძულებდნენ. აქვე აღსანიშნავია, რომ სამართლო საკნებში მონიტორინგის დროს საგრძნობლად ციოდა, რადგან, პატიმართა განმარტებით, აბანოს დღეებში (ორშაბათი, სამშაბათი, ოთხშაბათი და ხუთშაბათი) ცენტრალური გათბობა სადამომდე არ ირთვებოდა.

მონიტორინგის დროს კარანტინში იმყოფებოდა 23 პატიმარი. კარანტინის საკნის გაღებისას პატიმრები თავზე ხელებდაწყობილ მდგომარეობაში დგებოდნენ სახით ფანჯრისკენ. რამდენიმე მათგანმა აღნიშნა, რომ მათ დღეში დაახლოებით სამ–ოთხჯერ უწევდათ ამ მდგომარეობაში სარკმელთან განთავსება, რაც ზოგჯერ შესაძლოა ნახევარი საათიც კი გაგრძელებულიყო. მათი თქმით, საწოლიდან წამებში არ ან ვერ წამოდგომის შემთხვევაში მათ დაწესებულების თანამშრომლები სჯიან. პატიმართა ნაწილმა ისიც აღნიშნა, რომ კარანტინში ყოფნისას, დილის შემოწმებაზე, მათ ადმინისტრაციის თანამშრომლები აყენებდნენ ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას, თუმცა, მათივე თქმით, ეს რეგულარულად არ ხდებოდა.

აღსანიშნავია, რომ N2 დაწესებულებაში არსებული „განსაკუთრებული“ რეჟიმისა და მოპყრობის გამო პატიმრებსა და ადმინისტრაციის თანამშრომლებს შორის გაწყვეტილია ურთიერთობა. დაწესებულებაში გამეფებულ შიშის სინდრომზე მეტყველებს ისიც, რომ

პატიმრების თქმით, ისინი უკიდურესი საჭიროების შემთხვევაშიც კი ერიდებიან სამედიცინო დახმარების მოთხოვნას. ერთ-ერთი პატიმრის თქმით, იგი მანამ ერიდებოდა ექიმის დაძახებას, სანამ მდგომარეობა არ გაუართულდა და სასწრაფოდ საოპერაციო არ გახდა.

ზუგდიდის N4 დაწესებულება

აღნიშნული დაწესებულება ერთ-ერთი იმათგანია, რომელზეც სახალხო დამცველმა იქ არსებული პირობების გამო ლიკვიდაციის რეკომენდაცია გასცა. აღსანიშნავია, რომ მონიტორინგის დროს N4 დაწესებულებაში განთავსებული პატიმრები არ მიუთითებენ მათ მიმართ არასათანადო მოპყრობაზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სხვა დაწესებულებებში განთავსებული მსჯავრდებულები, რომლებიც ზუგდიდიდან გადმოიყვანეს, ხშირად აღნიშნავენ, რომ ზუგდიდის N4 დაწესებულებაში მათ არასათანადოდ და დამამცირებლად ეპყრობოდნენ, თუმცა წერილობითი ახსნა-განმარტების მიცემისაგან თავს იკავებენ. მონიტორინგის ჯგუფისთვის ზუგდიდის N4 დაწესებულებაში შესამჩნევი იყო პატიმართა დამაბულობა საკნის კარის გაღების დროს – ყველა მათგანი სასწრაფოდ ზურგზე ხელებდაწყობილი დგებოდა ფანჯარასთან და ასეთივე მდგომარეობაში მონიტორინგის ჯგუფის შეკითხვებს პასუხობდა ერთხმად, რომ დაწესებულებაში ყველაფერი „იდეალურად“ იყო.

მურმან კ.-ს საქმე

2011 წლის 3 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა 2011 წლის 31 ოქტომბერს ქუთაისის N2 დაწესებულებაში გარდაცვლილი პატიმრის, მურმან კ.-ს, დამ. განმცხადებელის თქმით, მსჯავრდებულს აღნიშნებოდა სიცოცხლისდროინდელი დაზიანებები.

2011 წლის 16 ნოემბერს სახალხო დამცველის რწმუნებულები შეხვდნენ და გაესაუბრნენ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N19 სამკურნალო დაწესებულებაში განთავსებულ მსჯავრდებულებს, შ. კ.-ს და გ. ო.-ს, რომელთა ეტაპირებაც მოხდა მ.კალანდიასთან ერთად ზუგდიდის N4 დაწესებულებიდან.

მსჯავრდებულ შ.კ.-ს განმარტებით, იგი ორი დღის განმავლობაში იმყოფებოდა ზუგდიდის N4 დაწესებულების სამედიცინო ნაწილში მურმან კ.-სთან ერთად, რის შემდეგაც ისინი გადაიყვანეს ქუთაისის N2 დაწესებულებაში. მისი თქმით, ეტაპირებისას მსჯავრდებული მ.კ. იმდენად შეუძლოდ გრძნობდა თავს, რომ მიკროავტობუსით მგზავრობისას იგი ჩამოვარდა სკამიდან, დაარტყა ცხვირი და წამოუვიდა სისხლი. შ.კ.-ს თქმით, ქუთაისის N2 დაწესებულებაში შეყვანის შემდგომ იგი მ.კალანდიასთან ერთად მოათავსეს F-107 საკანში, ე.წ. ბოქსში. შ.კ.-ს განმარტებით, მამუკა კ. იყო ძალიან ცუდად, თუმცა დაწესებულების ექიმმა მას მისცა მხოლოდ ვალიდოლი. მსჯავრდებულის თქმით, მან კვლავ მიმართა ექიმს და უთხრა, რომ

მსჯავრდებული იყო უგონოდ და ესაჭიროებოდა დახმარება, რაზეც ექიმმა შ.კ.–ს მისცა „რჩევა“, „გაულაწუნე და გამოფხიზლდება, ტუბმა ასე იცისო.“ მსჯავრდებული აღნიშნავდა, რომ მამუკა კ. ცოტა ხანში გარდაიცვალა.

მსჯავრდებული გ. ო.–ც ადასტურებდა იმ ფაქტს, რომ მამუკა კ. იყო ძალიან ცუდად, რის გამოც მიკროავტობუსით მგზავრობისას ჩამოვარდა და დაეცა სახით.

პენიტენციურ სისტემაში არსებული სამედიცინო მომსახურების ნაკლოვანებებზე საქართველოს სახალხო დამცველის არაერთ ანგარიშშია საუბარი. ზემოთ აღწერილი ფაქტები ცხადყოფს ავადმყოფი პაციმრისადმი დანაშაულებრივ გულგრილობას ზუგდიდის N4 და ქუთაისის N2 დაწესებულებების სამედიცინო პერსონალისა და ზოგადად, ადმინისტრაციის მხრიდან. უმძიმესი ავადმყოფი, ჯანმრთელობის მდგომარეობის უკიდურეს გაუარესებამდე, ზუგდიდის N4 დაწესებულების პირობებში იმყოფებოდა, სადაც ჯანმრთელი პაციმრების განთავსებაც კი არ არის მიზანშეწონილი. ზუგდიდიდან ტრანსპორტირებისას საჭიროდ არ მიიჩნიეს მძიმე ავადმყოფის სასწრაფო დახმარების მანქანით გადაყვანა სამკურნალო დაწესებულებაში. ამის მაგივრად იგი საბადრაგო მიკროავტობუსით გადაიყვანეს ქუთაისის N2 დაწესებულებაში, სადაც ასევე ადეკვატურად არ შეაფასეს მსჯავრდებულის მდგომარეობა და იგი მოათავსეს არა სამედიცინო ნაწილში, არამედ „ბოქსში“, სადაც ზოგადად არაადამიანური პირობებია, მით უმეტეს, მამუკა კ.–ს მდგომარეობაში მყოფი პირისთვის „ბოქსის“ პირობებში ყოფნა აბსოლუტურად დაუშვებელი იყო. სახალხო დამცველის აზრით, სავარაუდოდ, ყოველივე ზემოაღნიშნულმა ხელი შეუწყო ლეტალური შედეგის დადგომას.

2011 წლის 25 ნოემბერს სახალხო დამცველმა მიმართა საქართველოს მთავარ პროკურორს გამოძიების დაწყების წინადადებით და მოთხოვნით, განხილულიყო ზუგდიდის N4 და ქუთაისის N2 დაწესებულებების შესაბამის თანამშრომელთა პასუხისმგებლობის საკითხი.

საქართველოს მთავარი პროკურატურიდან მიღებული N13/52268 პასუხით გვეცნობა, რომ 2011 წლის 31 ოქტომბერს დაიწყო გამოძიება სს N073311011002 საქმეზე, 116–ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. ამავე პასუხის თანახმად, საქმეზე დაიკითხნენ მოწმეები, მათ შორის, სახალხო დამცველის მიერ დასახელებული მსჯავრდებულები, ასევე, სასჯელაღრულებების დეპარტამენტის N2 დაწესებულების თანამშრომლები და სამედიცინო პერსონალი. გამოძიების დროს დათვალიერდა შემთხვევის ადგილი, დაინიშნა სასამართლო სამედიცინო და ტრასოლოგიური ექსპერტიზები.

2012 წლის 07 თებერვალს სახალხო დამცველის აპარატიდან საქართველოს მთავარ პროკურატურაში კვლავ გაიგზავნა წერილობითი მიმართვა, რომლითაც ვითხოვდით ინფორმაციას ზემოაღნიშნულ საქმეზე გამოძიების მიმდინარეობის თაობაზე. საქართველოს მთავარი პროკურატურიდან მიღებული პასუხის თანახმად, „ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ მსჯავრდებულ მურმან კ.–ს სიკვდილის უშუალო გამომწვევი მიზეზი არის ტუბერკულოზური ინტოქსიკაცია, განვითარებული ფილტვების ორმხრივი ტუბერკულოზის შედეგად და მისი გარდაცვალების ფაქტი

დაკავშირებული არ არის სხვა პირის ბრალეულ ან არამართლზომიერ ქმედებასთან.“
პასუხის თანახმად, 2011 წლის 29 დეკემბერს სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება შეწყდა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო.

საქართველოს მთავარი პროკურატურიდან მიღებული პასუხებით ჩანს, რომ გამოძიებამ საჭიროდ არ მიიჩნია, დაეკითხა ზუგდიდის N4 დაწესებულების თანამშრომლები და სამედიცინო პერსონალი. გამოძიება ასევე არ დაინტერესებულა საკითხით, თუ რატომ იმყოფებოდა უმძიმესი ავადმყოფი ჯანმრთელობის მდგომარეობის უკიდურეს გაუარესებამდე, ზუგდიდის N4 დაწესებულებაში და ტრანსპორტირებისას რატომ არ მიიჩნიეს საჭიროდ ასეთი მძიმე ავადმყოფის სასწრაფო დახმარების მანქანით გადაყვანათ სამკურნალო დაწესებულებაში.

საქმეში „მახარაძე და სიხარულიძე საქართველოს წინააღმდეგ“, რომელშიც ევროსასამართლომ ევროკონვენციის მე-2 მუხლის (სიცოცხლის უფლება) დარღვევა დაადგინა, სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული დარღვევა გამოწვეული იყო იმ გარემოებით, რომ სახელმწიფომ არ მიიღო დროული და ადეკვატური ზომები ნ.მახარაძის სიცოცხლის გადასარჩენად, რომელიც ციხეში დაავადებული იყო ტუბერკულოზის მულტირეზისტენტული ფორმით.

„სასამართლო შემფოთებით აღნიშნავს, რომ ყველა ეს ხარვეზი გამოწვეული იყო იმ ფაქტით, რომ მიუხედავად ტუბერკულოზის მულტირეზისტენტული ფორმების გაავრცელების სულ უფრო და უფრო შემამფოთებელი მასშტაბებისა და ამასთან დაკავშირებული სიკვდილობის მაღალი მაჩვენებლისა საქართველოს ციხეებში, რომელიც ქვეყანაში აღინიშნება მრავალი წელია, სახელმწიფოს შესაბამისმა ორგანოებმა მხოლოდ 2008 წლის მარტში დაიწყეს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ ჯერ კიდევ 1997 წელს რეკომენდებული ჯანდაცვის სტანდარტული ზოგადი ღონისძიებების გატარება (იხ. ზემოთ, პარ. 46-48 და 65). სახელმწიფოს მიერ სამედიცინო სფეროს ამგვარი მანკიერი მართვა, რამაც პირდაპირ გამოიწვია ან ხელი შეუწყო პირველი გამცხადებლის სიკვდილს, არ შეიძლება იქნას გამართლებული რესურსების ნაკლებობით (იხ. mutatis mutandis, დიბეკუ, ზემოთ ციტირებული, პარ. 50).“⁴⁵¹

სასამართლომ მიიჩნია, რომ მითითებული ხარვეზების თუნდაც ნაწილი დროულად აღმოიფხვრებოდა, პატიმარი დროულად რომ გადაეყვანათ ადეკვატურ სამკურნალო დაწესებულებაში ან რომ გადაეყვანათ მისი სასჯელი სრულ ან ნაწილობრივ გამოჯანმრთელებამდე. „სასამართლო კიდევ ერთხელ იმეორებს, რომ იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო გადაწყვეტს მძიმე ავადმყოფისთვის თავისუფლების აღკვეთას ან მის ციხეში დატოვებას, მან ავადმყოფისთვის უნდა უზრუნველყოს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობისა და სპეციფიკური საჭიროებების ადეკვატური პირობები

⁴⁵¹ „სიხარულიძე და მახარაძე საქართველოს წინააღმდეგ.“ 2011 წლის 22 ნოემბერი, პარ. 90

სასჯელადსრულების სისტემაში (იხ. ფარბტუსი, ზემოთ ციტირებული, პარ. 56; ისაევი უკრაინის წინააღმდეგ, N28827/02, § 20756/04, 2009 წლის 28 მაისი).⁴⁵²

გლდანის N8 დაწესებულება

მოპყრობისა და რეჟიმის კუთხით, გლდანის N8 დაწესებულებაში რთული მდგომარეობაა. ზაფხულის მონიტორინგის დროს გაირკვა, რომ აღნიშნულ დაწესებულებაში პატიმრების მიმართ მოქმედებს განსაკუთრებული წესები: დღის განმავლობაში მათ არ ჰქონდათ ძილის უფლება, ასევე, ეკრძალებოდათ ორსართულიანი საწოლის მეორე სართულზე წამოწოლაც კი. მიუხედავად აუტანელი სიცხისა, მათ არ ჰქონდათ უფლება, საკანში ყოფნის დროს გაეხადათ მაისური, მოესმინათ რადიოსთვის საშუალო ხმაზე მაინც და ეთამაშათ ნარდი ისე, რომ კამათელი გაეგორებინათ ხის დაფაზე, ვინაიდან, ადმინისტრაციის აზრით, ეს იწვევდა ზედმეტ ხმაურს, რაც დასჯის მიზეზი ხდებოდა. შთანბეჭდავი იყო ის ფაქტიც, რომ გლდანის დაწესებულებაში, რომელიც 3500 კაცზე მეტს იტევს, საოცარი სიჩუმე იდგა, რამაც ასევე მიიპყრო წამების საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტის (CPT) ყურადღება 2010 წელს განხორციელებული ვიზიტის დროს.

კომიტეტის 2010 წლის ანგარიშში აღნიშნულია: „გლდანის N8 საპყრობილეში ვიზიტის დროს კომიტეტს პრაქტიკულად არ მიუღია განცხადებები არასათანადო მოპყრობის შესახებ. თუმცა, მოგვიანებით, სხვა დაწესებულებებში განთავსებულმა რამდენიმე პატიმარმა განუცხადა დელეგაციის წევრებს, რომ მათ გლდანის საპყრობილეში ყოფნისას არასათანადოდ ექცეოდნენ თანამშრომლები, განსაკუთრებით კი „კარცერსა“ და საშხაპებში, ასევე დაწესებულებაში მიღების დროს. როგორც პატიმრები ამტკიცებდნენ, ფიზიკური შეურაცხყოფა (კეტით, მუშტით, წიხლით ცემა) მოჰყვებოდა ისეთ დარღვევებს, როგორცაა საკნის კარზე დაკაკუნება, ერთმანეთში ხმამაღალი ლაპარაკი ან სხვა საკნებში განთავსებულ პატიმრებთან გამოლაპარაკება. დელეგაციამ აღნიშნა, რომ გლდანის საპყრობილეში ვიზიტის დროს საკნებში უჩვეულო სიჩუმე სუფევდა.“⁴⁵³

სპეციალურ პრევენციულ ჯგუფთან გასაუბრებისას პატიმრები აცხადებდნენ, რომ ზემოაღნიშნული უმკაცრესი წესების ელემენტარული დარღვევის შემთხვევაშიც კი ისინი სასტიკად ისჯებოდნენ – მათ ან სცემდნენ, ან დასჯის მიზნით გადაჰყავდათ დაწესებულების კარანტინში, რაც ასევე უკანონოა, რადგან საკარანტინე საკანი არ არის დასჯისთვის განკუთვნილი, თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულების კარანტინში განსაკუთრებით აუტანელი პირობები იყო, დასჯის ეს მეთოდი რეგულარულად გამოიყენებოდა. მონიტორინგის დროს სამართლო საკანში განთავსებულმა ერთ–ერთმა პატიმარმა განაცხადა, რომ ხმაურის შემთხვევაში შედიან დაწესებულების თანამშრომლები და პატიმრებს სცემენ. მისი განმარტებით,

⁴⁵² იქვე, პარ.91

⁴⁵³ ანგარიში საქართველოს ხელისუფლებას წამებისა და არაადამიანური ან დირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტის (წამების საწინააღმდეგო კომიტეტი) საქართველოში ვიზიტის შესახებ, პარ.49

დაახლოებით ერთი წლის განმავლობაში 8-ჯერ იქნა ნაცემი, თუმცა აღნიშნულის წერილობითი დადასტურება არ ისურვა.

აღსანიშნავია, როგორც ქუთაისის N2, ასევე გლდანის N8 დაწესებულებაში გამოიყენება კოლექტიური დასჯის მეთოდები – ერთი პატიმრის გადაცდომისთვის ისჯება მთელი საკანი, რაც ადმინისტრაციისთვის ზეწოლის დამატებითი მექანიზმია – პატიმარი, თავისი ქმედებებით, პასუხისმგებელი ხდება თავისი თანასაკნელების მიმართ და ამავე დროს პასუხს აგებს თანასაკნელების მიერ ჩადენილ გადაცდომებზეც.

როგორც ქუთაისში, ასევე გლდანში განთავსებული პატიმრების ნაწილი აღნიშნავს, რომ საკუთარი სურვილით აცხადებს უარს სეირნობაზე და 24 საათს ატარებს საკანში, ვინაიდან პატიმრებს აიძულებენ, სირბილით გადაადგილდნენ სასეირნო ეზომდე და ნებისმიერი შეფერხება თანამშრომლების მხრიდან შეურაცხყოფის, უხეშობისა და დამცირების მიზეზი ხდება. გარდა ამისა, მონიტორინგის ჯგუფმა ნახა შემთხვევა, როდესაც ნევროლოგიური პრობლემების მქონე პატიმარი, რომელსაც გადაადგილება ძალიან უჭირდა, არ დადიოდა სასეირნოდ, რა მიზეზითაც, იმის გამო, რომ ერთი კაცის დარჩენა საკანში აკრძალულია, მთელი საკანი მოკლებული იყო სუფთა ჰაერზე გასვლის შესაძლებლობას.

დაწესებულებაში სულ იყო 15 საკარანტინე საკანი. მათგან 7 განკუთვნილი იყო იმ პატიმრებისთვის, რომლებიც გაჰყავდათ სასამართლო პროცესებზე. აღნიშნულ 7 საკანში არ იყო საწოლები, იდგა მხოლოდ სკამები. ამ შვიდი საკნიდან სამი გამოყენებული იყო, როგორც დამატებითი საკარანტინე ოთახი და იქ რამდენიმე დღით, ხშირად კვირით, ათავსებდნენ პატიმრებს. შესაბამისად, პატიმრებს სკამზე ან პირდაპირ ბეტონის იატაკზე უწევდათ ძილი. დაწესებულების ადმინისტრაცია მათ არც ლეიბებით და არც გადასაფარებლებით არ უზრუნველყოფდა.

დანარჩენ 8 საკარანტინე საკანში იდგა 48 საწოლი. თითოეულ საკანში – სამი ორსართულიანი საწოლი, მცირე ზომის მაგიდა. საკნებს აქვს მცირე ზომის ფანჯარა, რომელიც სანახევროდ იღება. მონიტორინგის დროს საწოლებზე არ იყო დაგებული ლეიბი და გადასაფარებელი. საკანში იყო ჩახუთული ჰაერი და იდგა სპეციფიკური სუნის. პატიმრების განმარტებით, კარანტინში ყოფნისას მათ არ მიეწოდებოდათ ჰიგიენური საშუალებები და არ ჰქონდათ შხაპის მიღების საშუალება. ზოგიერთ საკანში მოშლილი იყო წყალგაყვანილობის სისტემა. გასეირნების უფლებით კარანტინში განთავსებული პატიმრები ასევე ვერ სარგებლობდნენ. მათ სამედიცინო დახმარებაზეც ძნელად მიუწვდებოდათ ხელი.

აღსანიშნავია, რომ პატიმრები მათ მიმართ არასათანადო მოპყრობის წერილობითი დადასტურებისგან თავს იკავებენ, თუმცა დაწვრილებით ჰყვებიან მათ ან სხვა პატიმრების მიმართ განხორციელებულ არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე. ყველაზე ხშირად სახელდებოდა ვინმე „ანგო“, „ხონსკი“ და ბექა მჭავანაძე. ზაფხულში ჩატარებული მონიტორინგის დროს ჰყვებოდნენ ქერა, ცისფერთვალეა თანამშრომელზე, ვინმე ოლეგზე. უფრო ხშირია შემთხვევები, როცა მონიტორინგის დროს სპეციალურ პრევენციულ ჯგუფს სხვა დაწესებულებაში განთავსებული

პატიმრები ესაუბრებიან გლდანის N8 დაწესებულებაში პატიმრების მიმართ არაადამიანური მოპყრობის ფაქტებზე, თუმცა ამ შემთხვევაშიც ისინი ფაქტების გასაჯაროებისგან თავს იკავებენ.

გლდანის დაწესებულებაში არსებული მოპყრობის სიმძიმეს ადასტურებს ის ფაქტიც, რომ თბილისის N1 დაწესებულებაში, რომლის ლიკვიდაციის თაობაზეც იქ არსებული არაადამიანური პირობების გამო, სახალხო დამცველმა არაერთხელ გასცა რეკომენდაცია, გლდანის N8 დაწესებულებიდან გადაყვანილი მსჯავრდებულები ერთხმად აღნიშნავენ, რომ ისინი ბევრად უკეთეს პირობებში იმყოფებოდნენ, ვიდრე ახლად აშენებულ გლდანის ციხეში. იგივე მდგომარეობა დახვდა მონიტორინგის ჯგუფს N12 დაწესებულებაში, რომელიც ყოფილი მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულების ტერიტორიაზეა განთავსებული და სადაც საყოფაცხოვრებო პირობები სავალალოა.

პრევენციული ჯგუფის მიერ N8 დაწესებულებაში ჩატარებული მეორე გეგმური მონიტორინგის დროს გაირკვა, რომ პატიმრები დასჯის მიზნით აღარ ჩაპყავთ კარანტინში, თუმცა სამართლო საკნიდან საცხოვრებელ საკანში გადაყვანის წინ ათავსებენ კარანტინში, რაც შესაძლებელია ერთიდან სამ დღემდე გაგრძელდეს. მონიტორინგის დროს ასევე გაირკვა, რომ პატიმრებს დღის განმავლობაში აღარც საწოლის პირველ სართულზე წამოწოლის უფლება აქვთ, ასევე, არ აქვთ უფლება, საკანში მოწიონ სიგარეტი, რის გამოც ისინი რიგრიგობით ეწევიან საპირფარეშოში. პატიმართა განმარტებით, ზემოაღნიშნული აკრძალვები 2-3 თვეა მოქმედებს. ასევე, პატიმართა გადმოცემით, აუცილებელია, ყველა პატიმარმა ყოველ დღით გაიპაროს წვერი, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელია, ისინი დაისაჯონ. მათი გადმოცემით, როგორც უნდა არ უნდა იყოს პატიმარი ექიმთან გასვლის დროს, მან ხელები ზურგზე უნდა დაიწყოს და სირბილით გადაადგილდეს. პატიმრები აღნიშნავენ, რომ დაწესებულებაში შესვლისას მათ აიძულებენ, შეიჭრან თმა ძალიან მოკლედ და რადგანაც დაწესებულებაში არ არის ხელმისაწვდომი საპარიკმახერო მომსახურება, ისინი, უმეტეს შემთხვევაში, იძულებულნი არიან, სამართლებლით გადაიპარსონ თავი.

გარდა ზემოაღნიშნულისა, მონიტორინგის ჯგუფმა გლდანის N8 დაწესებულებაში გამოავლინა არაერთი წესი და მოთხოვნა, რომლებსაც პატიმრები ხმის ამოუღებლად უნდა დაემორჩილონ, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ დასჯიან: დღის ნებისმიერ დროს, როდესაც დაწესებულების თანამშრომელი შემოიხედავს კარის სათვალთვალოში, პატიმრებმა უნდა შეწყვიტონ ყოველგვარი საქმიანობა, ადგნენ ფეხზე, სახით კარისკენ. თუ კარი გაიღო, უნდა დადგნენ მწკრივში, სახით კედლისკენ. შემოწმების წინ უნდა ზედმიწევნით დალაგონ საკანი, ისე, რომ არანაირი ნივთი ან ტანსაცმელი არ იდოს არც ტუმბოზე და არც საწოლზე, კარის გაღებისთანავე უნდა დადგნენ მწკრივში, ამჯერად – სახით კარისკენ და პირველმა მათგანმა ხელში უნდა დაიჭიროს ნაგვის პარკი. რადიოს კვლავ უსმენენ მაქსიმალურად დაბალ ხმაზე, ერიდებიან ნორმალურ ხმაზე ლაპარაკს ან სიცილს, ვინაიდან ნებისმიერი ხმა, რომელიც საკნიდან გავა, აღიქმება ხმაურად და გამოიწვევს მათ დასჯას. ამის დასტური იყო 500-ზე მეტი ჩანაწერი სამართლო საკნის (ე.წ. „კარცერის“) ჟურნალში, რომელშიც გადაცდომის სახედ ყველგან მითითებულია

„ხმაური საკანში“. კიდევ ერთხელ ხაზგასმით მივუთითებთ, რომ გლდანის დაწესებულება ერთ-ერთი იშვიათია, სადაც არანაირი ხმა, არათუ ხმაური, საკნიდან დერეფანში არ ისმის. პატიმრებს ნებადართული აქვთ ტანსაცმლის გარეცხვა საკანში, თუმცა არა გაშრობა, რის გამოც ისინი ტანსაცმელს აშრობენ ღამით, ხოლო დღის განმავლობაში ნახევრად სველს მალავენ ტუმბოებში. პატიმრებს აკრძალული აქვთ კარებზე დაკაკუნება, მორიგის გამოსაძახებელი ზარი არც ამჟამად მუშაობს და არც არასოდეს უმუშავია, რის გამოც გადაუდებელი საჭიროების შემთხვევაში, თუნდაც ჯანმრთელობის მდგომარეობის უკიდურესი გაუარესების გამო, პატიმრები იძულებული არიან, კართან „ჩაუსაფრდნენ“ კონტროლიორს და ჩავლისას ხმადაბლა უხმონ. თუ კონტროლიორმა გააღო საკნის კარის სარკმელი და უხმო რომელიმე პატიმარს, იგი ასახელებს გვარს, ხოლო კართან მისული პატიმარი პასუხობს თავისი სახელისა და მამის სახელის დასახელებით. როგორც ქუთაისის, ასევე გლდანის დაწესებულებაში მოქმედებს „მორიგეობის“ სისტემა, რაც, საბოლოო ჯამში, უტოლდება ერთი პატიმრის პასუხისმგებლობას სხვის მიერ ჩადენილ ნებისმიერ გადაცდომაზე. 22 სთ-ზე, სინათლის ჩაქრობის შემდეგ, აკრძალულია ფეხზე დარჩენა და ნებისმიერი გადალაპარაკება. საუბარიც ზედმეტია წიგნის წაკითხვაზე ან სხვა რაიმე, თუნდაც უხმაურო აქტივობაზე.

პატიმრების გადმოცემით, ახალი დირექტორის მოსვლის შემდეგ დაწესებულების თანამშრომლები იქცევიან ნაკლებად გამომწვევად, უმიზეზოდ აღარ აგინებდნენ კარის სარკმლიდან, აღარ სცემდნენ რეგულარულად და ასევე უმიზეზოდ, თუმცა ფიზიკური ძალადობა, ნაკლები რეგულარობით, კვლავ აქტუალური იყო და რაც შეეხება რეჟიმს, იგი კიდევ უფრო გამკაცრდა.

მალხაზ ა.-ს საქმე

2011 წლის 22 ივნისს სახალხო დამცველის სპეციალური პრევენციული ჯგუფის თანამშრომლებმა მოინახულეს გლდანის N8 დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდებული მალხაზ ა. მსჯავრდებულმა სახალხო დამცველის რწმუნებულებს მისცა ვრცელი ახსნა-განმარტება, რომელშიც საუბრობდა მის მიმართ ზუგდიდის N4 და გლდანის N8 დაწესებულებებში სხვადასხვა დროს განხორციელებულ არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე. მან ასევე ითხოვა, რომ სახალხო დამცველის წარმომადგენლებს ხშირად მოენახულებინათ იგი, ვინაიდან არსებობდა ზეწოლის საფრთხე. 2011 წლის 23 ივნისს სახალხო დამცველის რწმუნებულებმა კვლავ მოინახულეს მალხაზ ა., რა დროსაც ამ უკანასკნელმა განაცხადა, რომ მას აღარ სურდა, სახალხო დამცველს რეაგირება განეხორციელებინა მის მიერ წინა დღით მიცემულ ახსნა-განმარტებაზე. მალხაზ ა.-მ მომდევნო ვიზიტების დროსაც დაადასტურა, რომ არ სურდა მის მიმართ არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე რეაგირება. სახალხო დამცველის რწმუნებულებმა ამის შემდეგაც არაერთგზის მოინახულეს აღნიშნული პატიმარი. პარალელურად გაკეთდა რეკომენდაცია მის სხვა დაწესებულებაში გადაყვანაზე, ვინაიდან, სახალხო დამცველის აზრით, პატიმრის იმავე დაწესებულებაში დარჩენა, რომლის

ადმინისტრაციის წინააღმდეგაც მიმართული იყო მისი საჩივარი, ყოვლად გაუმართლებელი იყო. მიუხედავად ამისა, სასჯელაღსრულების დეპარტამენტმა საჭიროდ არ მიიჩნია მალხაზ ა.-ს სხვა დაწესებულებაში გადაყვანა.

N18 მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამკურნალო დაწესებულება

არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე ხშირად საუბრობენ მსჯავრდებულები, რომლებიც N18 მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში იყვნენ გადაყვანილი, თუმცა ხშირ შემთხვევაში ერიდებიან წერილობით დადასტურებასა და ფაქტების გასაჯაროებას. ბევრი მათგანი აცხადებს, რომ საჭიროების შემთხვევაშიც კი აღარ სურს სამკურნალო დაწესებულებაში დაბრუნება იქ არსებული ზედმეტად მკაცრი რეჟიმის გამო. ხშირ შემთხვევაში პატიმრები საკუთარი განცხადებით ტოვებენ სამკურნალო დაწესებულებას. პატიმართა გადმოცემით, დაწესებულების ტერიტორიაზე ნებისმიერი გადაადგილებისას ადმინისტრაცია პატიმრებს აიძულებს, ზურგზე დაიწყონ ხელები, მაშინაც კი, როცა პატიმრის ფიზიკური მდგომარეობა ამის საშუალებას არ იძლევა. ამ მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში მთელ საკანს ეკრძალება სასაქონლოდ გასვლა და ეზღუდება ზოგიერთი სხვა უფლება, მაგალითად, ტელეფონით სარგებლობა. ხშირად პატიმრები თავადაც ერიდებიან სასაქონლოდ გასვლას, რადგან ყოველმა გადაადგილებამ შეიძლება თანამშრომლებთან კონფლიქტი წარმოშვას. ასევე, N18 სამკურნალო დაწესებულებაში განთავსებული პატიმრების ნაწილი აღნიშნავს, რომ მათ მიმართ ადმინისტრაციის ცუდ დამოკიდებულებას იწვევს მათი საჩივრები ევროპის სასამართლოში. პატიმართა გადმოცემით, აღნიშნულის გამო მათ ხშირად „სამშობლოს მოლაღატეს“ და „ინტრიგანს“ უწოდებენ. მათი თქმით, იყო შემთხვევები, როდესაც პატიმრები მორგში ჩაიყვანეს და სცემეს.

პატიმრების გადმოცემით, არასათანადო მოპყრობის ფაქტებში ყველაზე ხშირად მონაწილეობდნენ დაწესებულების თანამშრომლები გიორგი ავსაჯანიშვილი და ალექსანდრე თოლორდავა. ზოგიერთი პატიმრის თქმით, თავად დაწესებულების დირექტორი ვაჟა ცხვედიანიც იღებდა მონაწილეობას პატიმრების ცემისას.

პრევენციული ჯგუფის მიერ N18 დაწესებულებაში ჩატარებული მეორე გეგმური მონიტორინგისას მსჯავრდებულებმა აღნიშნეს, რომ მათ მიმართ მოპყრობა საგრძნობლად გაუმჯობესდა. მიუხედავად აღნიშნულისა, მონიტორინგის ჯგუფმა მონიტორინგის დროსაც და მას შემდეგაც ნახა ორი მსჯავრდებული, რომლებმაც განაცხადეს, რომ მათ სცემეს დაწესებულების თანამშრომლებმა. ორივე მათგანს აღნიშნებოდა დაზიანებები. მსჯავრდებულმა წერილობითი ახსნა-განმარტების მოცემისგან თავი შეიკავეს.

ილია მ.-ს საქმე

2011 წლის 30 მაისს სახალხო დამცველის სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრები შეხვდნენ და გაესაუბრნენ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N18 სამკურნალო დაწესებულებაში განთავსებულ მსჯავრდებულს, ილია მ.-ს. მისი განმარტებით, დაწესებულების ადმინისტრაციის თანამშრომლები მას სიტყვიერად შეურაცხყოფდნენ და ემუქრებოდნენ სასჯელის დამატებით. აღნიშნულის მიზეზად მსჯავრდებული ასახელებდა მის მიერ ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში შეტანილ სარჩელს. მისი განცხადებით, მას უწოდებენ „ინტრიგანს“ და „საქართველოს მოღალატეს“. მსჯავრდებული აღნიშნავდა, რომ იგი დასაჯეს, კერძოდ, არ აძლევდნენ მედიკამენტებს და უზღუდავდნენ ტელეფონით, გასეირნების და აბანოთი სარგებლობის უფლებას.

2011 წლის 6 ივნისს სახალხო დამცველის აპარატიდან საქართველოს მთავარ პროკურატურაში რეაგირებისთვის გაიგზავნა წერილობითი მიმართვა და მსჯავრდებულის ახსნა-განმარტება. საქართველოს მთავარი პროკურატურიდან მიღებული N13/19685 პასუხის თანახმად, 2011 წლის 9 ივნისს საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტში დაიწყო გამოძიება სს N073110359 საქმეზე, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებულია სსკ-ის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით. 2011 წლის 9 ივნისს ზემოაღნიშნული სისხლის სამართლის საქმე გამოსაძიებლად გადაეცა ქ.თბილისის გლდან-ნაძალადევის რაიონულ პროკურატურას.

2011 წლის 13 ივლისს, სახალხო დამცველის აპარატში შემოსული სატელეფონო შეტყობინების საფუძველზე სახალხო დამცველის რწმუნებული კვლავ შეხვდა N18 სამკურნალო დაწესებულებაში მოთავსებულ მსჯავრდებულს, ილია მ.-ს. მსჯავრდებულის განმარტებით, 2011 წლის 9 ივლისიდან მის მიმართ კვლავ ხორციელდებოდა გარკვეული სახის შეზღუდვები.

მსჯავრდებულის გადმოცემით, 2011 წლის 13 ივლისს მასთან იმყოფებოდა მისი მეუღლე, რომელიც ასევე არის მსჯავრდებულის რწმუნებული ევროსასამართლოში. ილია მ.-ს თქმით, შეხვედრის დროს, როცა იგი წერდა განცხადებას, მათთან შევიდნენ N18 სამკურნალო დაწესებულების ადმინისტრაციის თანამშრომლები და ჩამოართვეს საწერი კალამი და ფანქარი.

კახაბერ ბ.-ს საქმე

2011 წლის 1 დეკემბერს სახალხო დამცველის რწმუნებულები შეხვდნენ და გაესაუბრნენ მსჯავრდებულ კახაბერ ბ.-ს, რომელმაც განმარტა, რომ 2011 წლის 27 ნოემბერს, ღამის საათებში, N17 დაწესებულებიდან თირკმლის მწვავე შეტევით, სასწრაფო წესით, გადმოიყვანეს N18 სამკურნალო დაწესებულებაში და მოათავსეს თ-9 საკანში.

მსჯავრდებულის თქმით, 2011 წლის 28 ნოემბრის საღამოს ჰქონდა გაუსაძლისი ტკივილები, რის გამოც ითხოვდა ექიმის ნახვას. მსჯავრდებულის დაჟინებული თხოვნის საპასუხოდ N18 დაწესებულების თანამშრომლებმა იგი ჩაიყვანეს დაწესებულების მორგში და სასტიკად სცემეს. ამასთან, ერთ–ერთი თანამშრომელი, გიორგი ავსაჯანიშვილი, მას დაემუქრა გაუპატიურებით. კახაბერ ბ. აღნიშავდა, რომ ზემოაღნიშნული ფაქტის შემდეგ იგი დაახლოებით 30–40 წუთის მანძილზე ხელებზე ბორკილდადებული მუცლით იწვა მორგის იატაკზე. მისი თქმით, მოგვიანებით გ.ავსაჯანიშვილმა მუქართა და გინებით დააწერინა, რომ დაზიანებები, რომლებიც მსჯავრდებულს აღენიშნებოდა, მან თავად მიიყენა და რომ N18 დაწესებულების ადმინისტრაციის თანამშრომლების მიმართ პრეტენზია არ გააჩნდა.

მსჯავრდებულს მონიტორინგის ჯგუფთან შეხვედრისას სხეულზე აღენიშნებოდა სხვადასხვა სახის დაზიანებები.

2011 წლის 2 დეკემბერს სახალხო დამცველის აპარატიდან მთავარ პროკურატურაში რეაგირებისთვის გადაიგზავნა მსჯავრდებულის ახსნა–განმარტება. იმავე დღეს სახალხო დამცველის აპარატიდან სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს გაეგზავნა წერილობითი მიმართვა, რომლითაც ვითხოვდით მსჯავრდებულის უსაფრთხოებისათვის აუცილებელი ყველა ღონისძიების გატარებას. აღნიშნულ წერილზე პასუხი სახალხო დამცველის აპარატში არ შემოსულა.

2011 წლის 7 დეკემბერს სახალხო დამცველის პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლები კვლავ შეხვდნენ და გაესაუბრნენ მსჯავრდებულს, რომელმაც განაცხადა, რომ დაწესებულების თანამშრომლები განაგრძობდნენ მის ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას. აღნიშნულიდან გამომდინარე, მსჯავრდებულმა პროტესტის ნიშნად გამოაცხადა შიმშილობა და უარი თქვა მედიკამენტების მიღებაზე. 2011 წლის 7 დეკემბერს სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურორს მსჯავრდებულ კახაბერ ბ.–ს მიმართ არასათანადო მოპყრობის ფაქტზე გამოძიების დაწყების თაობაზე. იმავე დღეს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრს, რათა ამ უკანასკნელს უზრუნველყო მსჯავრდებულის გადაყვანა სამოქალაქო ტიპის სამკურნალო დაწესებულებაში.

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროდან მიღებული N04–12208 პასუხით გვეცნობა, რომ მსჯავრდებული ამბულატორიული წესით ერთი დღით გადაიყვანეს აკადემიკოს ო.ლუდუმაურის სახელობის ეროვნულ ცენტრში.

საქართველოს მთავარი პროკურატურის 2011 წლის 28 დეკემბრის N13/57003 პასუხის თანახმად, მსჯავრდებულ კ.ბ.–ის ჯანმრთელობის დაზიანების ფაქტზე 2011 წლის 02 დეკემბერს დაიწყო გამოძიება საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტში.

2012 წლის 10 თებერვალს სახალხო დამცველის აპარატიდან საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს საგამომიებო დეპარტამენტში გაიგზავნა წერილობითი მიმართვა, მოეწოდებინათ ინფორმაცია სისხლის სამართლის საქმეზე მიმდინარე გამოძიების თაობაზე. მიღებული N05/01-247 პასუხის თანახმად, 2011 წლის 02 დეკემბერს, N18 დაწესებულებიდან მიღებული შეტყობინების საფუძველზე, დაიწყო გამოძიება სსკ-ის 118-ე მუხლის პირველი ნაწილით. საქმეზე მოწმის სახით დაიკითხა მსჯავრდებული და მის მიერ დასახელებული N18 დაწესებულების ყველა თანამშრომელი, ჩატარდა სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა. ამავ პასუხის თანახმად, აღნიშნულ სს საქმეზე შეიცვალა დანაშაულის კვალიფიკაცია და გამოძიება გაგრძელდა სსკ-ის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. 2012 წლის 11 იანვარს საქმე შემდგომი გამოძიებისათვის გადაიგზავნა მთავარ პროკურატურაში.

გიორგი ო.-ს საქმე

2011 წლის 24 დეკემბერს სახალხო დამცველის რწმუნებულები იმყოფებოდნენ N18 სამკურნალო დაწესებულებაში, სადაც შეხვდნენ და გაესაუბრნენ მსჯავრდებულ გიორგი ო.-ს. მსჯავრდებულის განცხადებით, სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით და ჯანმრთელობის პრობლემების გამო 2011 წლის აპრილში მიმართა ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს. ოქტომბრის თვეში ევროსასამართლოდან მსჯავრდებულის განცხადებასთან დაკავშირებით გამოიგზავნა მითითება მისთვის მკურნალობის ჩატარების თაობაზე.

2011 წლის 1 დეკემბერს მსჯავრდებული გადაყვანილ იქნა N18 სამკურნალო დაწესებულებაში. იგი განმარტავს, რომ N18 დაწესებულებაში შეყვანისთანავე დაწესებულების სარეჟიმო სამსახურის უფროსმა ალექსანდრე თოლორდავამ და დაწესებულების უსაფრთხოების სამსახურის უფროსმა გიორგი ავსაჯანიშვილმა მიაყენეს სიტყვიერი შეურაცხყოფა. გიორგი ო.-ს განცხადებით, გიორგი ავსაჯანიშვილი მას დაემუქრა სასჯელის დამატებით და ჯანმრთელობის დაზიანებით. მსჯავრდებულის კითხვის საპასუხოდ მუქარის და შეურაცხყოფის მიყენების მიზეზად გიორგი ავსაჯანიშვილმა მსჯავრდებულის მიერ ევროსასამართლოსთვის მიმართვა დაასახელა. გიორგი ო.-ს თქმით, სიტყვიერი შეურაცხყოფის გარდა მას ასევე მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა, მას რამდენჯერმე გაარტყეს სილა სახისა და თავის არეში. მისივე განცხადებით, N18 დაწესებულებაში მას კიდევ რამდენჯერმე მოეპყრნენ არასათანადოდ და ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს, შემდგომში კიდევ რამდენჯერმე განხორციელდა. მსჯავრდებული ძირითადად ასახელებს გიორგი ავსაჯანიშვილსა და ალექსანდრე თოლორდავას.

მსჯავრდებულის თქმით, მას უარი უთხრეს თავის ადვოკატთან და სახალხო დამცველის რწმუნებულებთან დაკავშირებაზე, არ მისცეს ფურცელი და პასტა, ჩამოართვეს პირადი ჰიგიენის ნივთები, ლეიბი და ტანსაცმელი. შემდგომში ლეიბი და ტანსაცმელი დაუბრუნეს, თუმცა არა ჰიგიენის ნივთები.

გარკვეული პერიოდის შემდეგ მასთან მივიდა სოციალური სამსახურის უფროსი ზურაბ ბულბულაშვილი, რომელმაც შეატყობინა, რომ სარეჟიმო მოთხოვნების გამო მას შეეფარდებოდა ადმინისტრაციული პატიმრობა – დაწესებულების ყველა თანამშრომელს ექნებოდა საერთო პოზიცია და სასამართლო გამოიტანდა ადმინისტრაციისთვის სასურველ გადაწყვეტილებას.

მსჯავრდებულმა მის მიმართ განხორციელებული ზეწოლის გამო მიიყენა თვითდაზიანება ყელისა და მარცხენა ზედა კიდურის არეში. მხოლოდ მას შემდეგ, რაც მსჯავრდებულმა დაკარგა დიდი რაოდენობით სისხლი, იგი გადაიყვანეს ქირურგიულ განყოფილებაში, სადაც დაუმუშავდა ჭრილობები.

მსჯავრდებულის განცხადებით, 2011 წლის 24 დეკემბერს გიორგი ო.-ს შეეფარდა ადმინისტრაციული პატიმრობა ერთი თვის ვადით. სასამართლოდან სასჯელაღსრულების დაწესებულებაში გადაყვანისას გიორგი ავსაჯანიშვილმა გ.ო.-ს შეახსენა, რომ მას საქმეში მითითებული ჰქონდა თვითმკვლელობის მცდელობა და კვლავ დაემუქრა სიცოცხლის მოსპობით.

2011 წლის 27 დეკემბერს სახალხო დამცველმა მიმართა საქართველოს მთავარ პროკურორს წინასწარი გამოძიების დაწყების წინადადებით მსჯავრდებულ გიორგი ო.-ს მიმართ N18 სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომლების მიერ არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე.

იმავე დღეს სახალხო დამცველის აპარატიდან სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს გაეგზავნა წერილობითი მიმართვა, უზრუნველყო მსჯავრდებულის უსაფრთხოება და მისი გადაყვანა სხვა დაწესებულებაში, სადაც მას გაუგრძელებდნენ ჰეპატიტის საწინააღმდეგო მკურნალობის კურსს. აღნიშნულ წერილზე პასუხი სახალხო დამცველის აპარატში არ შემოსულა.

2011 წლის 31 დეკემბერს საქართველოს მთავარი პროკურატურის N13/57593 პასუხით გვეცნობა, რომ 2011 წლის 27 დეკემბერს ქ.თბილისის პროკურატურის ანტიკოროფციულ საგამოძებო ნაწილში დაიწყო გამოძიება სს N01027211801 საქმეზე, საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ სამსახურებრივი უგლებამოსილების გადამეტების ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით.

თბილისის N7 დაწესებულება

გაიოზ ზ.-ს საქმე

2011 წლის 17 მარტს საქართველოს სახალხო დამცველს N0299-11 განცხადებით მიმართა გაიოზ ზ.-ს ადვოკატმა. 2011 წლის 16 მარტს, საქართველოს მთავარი პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე, რუსეთის ფედერაციიდან ექსტრადირებულ იქნა

მსჯავრდებული გაიოზ ზ., რომელიც შეასახლეს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N7 დაწესებულებაში. განმცხადებელმა აღნიშნა, რომ მან მსჯავრდებული მოინახულა მიმდინარე წლის 17 მარტს, რა დროსაც გაიოზ ზ.–ს სახის არეში აღენიშნებოდა დაზიანებები, უჭირდა საუბარი და გადაადგილება. მსჯავრდებულმა მას უთხრა, რომ დაზიანებები მიიღო N7 დაწესებულებაში.

2011 წლის 18 მარტს სახალხო დამცველის რწმუნებულებმა მოინახულეს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ქ.თბილისის N7 დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდებული გაიოზ ზ., რომლის განმარტებითაც, იგი 2011 წლის 16 მარტს ჩამოყვანეს რუსეთის ფედერაციიდან. მისივე თქმით, თბილისში ჩამოფრენის შემდეგ მოათავსეს ქ.თბილისის N7 დაწესებულებაში. მსჯავრდებული აღნიშნავს, რომ მას დაწესებულებაში მოთავსების შემდგომ მოსთხოვეს ხელი მოეწერა რაღაც დოკუმენტზე, რაზეც პატიმარმა უარი განაცხადა. ამის გამო რამდენიმე თანამშრომელმა დაუწყო ცემა. პატიმრის განმარტებით, მას სცემდა დაახლოებით 7-8 პირი, რომელთა ვინაობა არ იცის, თუმცა რამდენიმე მათგანის ამოცნობა შეუძლია.

ცემის შემდეგ ის მოათავსეს დაწესებულების პირველ სართულზე მდებარე N3 საკანში. პატიმრის გადმოცემით, მეორე დღეს მოინახულა დაწესებულების ექიმმა, რომელმაც გააკეთა ჩანაწერები მისი დაზიანებებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, იმავე დღეს ის კიდევ რამდენჯერმე მოინახულეს ექიმებმა, რომელთაც გაიოზ ზ.–მ აცნობა თავისი სამედიცინო ხასიათის ჩივილების თაობაზე.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებთან გასაუბრების დროს გაიოზ ზ.–ს ვიზუალურად აღენიშნებოდა შემდეგი დაზიანებები: ზედა ტუჩის მარჯვენა ნაწილში – მცირე ზომის სისხლნაჟღენთი, მარცხენა ყბის არეში – შეშუპება, შუბლის არეში მარჯვენა მხარეს – ექსკორიაცია, მარცხენა თვალბუდის არეში – სისხლნაჟღენთი. პატიმარი უჩიოდა თავბრუსხვევას, პირღებინების შეგრძნებას, სიმძიმის შეგრძნებას თავის არეში, განსაკუთრებით თავის მარცხენა ნაწილში, მოვლით ტკივილებს თავში. მას უჭირდა მარცხენა თვალის სრულყოფილად გახელა, დარღვეული ჰქონდა კოორდინაცია, რის გამოც ექმნებოდა პრობლემები გადაადგილებისას. მსჯავრდებულის გადმოცემით, აღნიშნული ჩივილები დაეწყო ცემის ფაქტის შემდეგ.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის თანამშრომლები გაეცნენ გაიოზ ზ.–ს სამედიცინო ბარათს, სადაც ექიმის მიერ მსჯავრდებულის გარეგნული დათვალეირების შედეგად აღმოჩენილი დაზიანებების შესახებ გაკეთებულია ჩანაწერი: „ მარჯვნივ საფეთქლის არეში (წარბის კუთხის ზემოთ) 2.0X1.0 სმ. ზომის მოწითალო ფერის ექსკორაცია, ზედა ტუჩის მარჯვენა კუთხის არეში ყავისფერი ფუფხით დაფარული ექსკორაცია ზომით 1.0X0.5 სმ. მარცხნივ ყვრიმალის არეში მოწითალო ფერის სუსტად გამოხატული სისხლნაჟღენთები. მარცხნივ შუა არეში გულმკერდის მიდამოში აქსილარულ ხაზთან ახლოს აღენიშნება წვრილხაზოვანი ექსკორაცია. მარჯვენა მუხლის სახსრის ზედაპირზე მოწითალო-მოყავისფრო ფუფხით დაფარული ექსკორაცია, ზომით 1.5X1.0 სმ. მარცხენა საზარდულის არეში ძველი პოსტოპერაციული ნაწიბური. ზემოთ აღნიშნული

დაზიანებები, მისი გადმოცემით, მიიღო დაკავებამდე.” იქვე მითითებულია, რომ მსჯავრდებულმა უარი განაცხადა ხელმოწერაზე.

სამედიცინო ბარათში ნანახი იქნა მსჯავრდებულის დაწესებულებაში მიღებისას შედგენილი ოქმი სხეულის გარეგანი დათვალიერების შესახებ, რომელშიც გაკეთებულია ანალოგიური ჩანაწერები პატიმრის დაზიანებებთან დაკავშირებით და მითითებულია, რომ გაიოზ ზ.–მ ოქმზე ხელის მოწერაზე უარი განაცხადა.

სახალხო დამცველის რწმუნებულებმა შეამოწმეს სამედიცინო ნაწილში არსებული პატიმართა/მსჯავრდებულთა ფიზიკურ დაზიანებათა აღრიცხვის ჟურნალი, რომელში არსებული ჩანაწერებიც მსჯავრდებულის დაზიანებების შესახებ იდენტურია სამედიცინო ბარათში არსებული ჩანაწერებისა.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ მსჯავრდებულის დაზიანებების შესახებ გაკეთებულ ყველა ჩანაწერში აღნიშნულია, რომ დაზიანებები მიღებული აქვს დაკავებამდე. როგორც ცნობილია, გაიოზ ზ. დააკავეს მოხდა რუსეთის ფედერაციაში რუსეთის სამართალდამცავმა ორგანოებმა დაახლოებით ერთი წლის წინ, მსჯავრდებულის სხეულზე არსებული დაზიანებები კი აშკარად არ შეესაბამება დროის ამ მონაკვეთს. აღნიშნული ფაქტი გაურკვეველს ხდიდა გაკეთებული ჩანაწერების შინაარსს, თუ რეალურად როდის ჰქონდა მიღებული დაზიანებები გაიოზ ზ.–ს.

2011 წლის 21 მარტს სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურორს წინასწარი გამოძიების დასაწყებად. 2011 წლის 15 მაისს, საქართველოს მთავარი პროკურატურიდან მიღებული N13/8547 პასუხის თანახმად, 2011 წლის 18 მარტს საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს საგამომიებო დეპარტამენტში დაიწყო გამოძიება სს N073110173 საქმეზე, დანაშაული გათვალისწინებული სსკ–ის 118–ე მუხლის პირველი ნაწილით.

2012 წლის 24 იანვარს სახალხო დამცველის აპარატიდან საქართველოს მთავარ პროკურატურაში კვლავ გაიგზავნა მიმართვა, მოეწოდებინათ ინფორმაცია სს N073110173 საქმეზე მიმდინარე გამოძიების თაობაზე. მიღებული პასუხის თანახმად, გამოძიება მიმდინარეობს სსკ–ის 118–ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. მოწმის სახით დაიკითხნენ მსჯავრდებული, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის საბადრაგო სამსახურის ექსტრადაციის განყოფილების თანამშრომლები, N7 დაწესებულების თანამშრომლები და სამედიცინო პერსონალი. მსჯავრდებულს ჩაურტარდა სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა. ამავე პასუხის თანახმად, ამჟამად საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება.

დაბა–ქსნის N15 დაწესებულება

2009–2010 წლებში აღნიშნული დაწესებულება მონიტორინგის ჯგუფის განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ იმყოფებოდა, ვინაიდან სახალხო დამცველის აპარატში შემოსული საჩივარ–განცხადებების დიდი ნაწილი სწორედ N15 დაწესებულების ადმინისტრაციისა და თანამშრომლების მიერ პატიმრების მიმართ

არასათანადო მოპყრობას შეეხებოდა. საანგარიშო პერიოდში საგრძნობლად იკლო ასეთი შინაარსის საჩივრებმა, თუმცა რამდენიმე შემთხვევა მაინც დაფიქსირდა, როდესაც მსჯავრდებულები მიუთითებდნენ, რომ ისინი ქსნის დაწესებულების ადმინისტრაციამ და თანამშრომლებმა სცემეს, რაც მიუთითებს, რომ ქსნის დაწესებულება კვლავ რჩება პატიმართა მიმართ მოპყრობის მხრივ პრობლემური დაწესებულებების ნუსხაში.⁴⁵⁴

ქსნის N15 დაწესებულებაში საანგარიშო პერიოდში სამმა მსჯავრდებულმა – ი.ჭ.–მ, ნ.ხ.–მ და ი.დ.–მ განაცხადეს, რომ ისინი დაწესებულებაში შესვლისას სცემეს თანამშრომლებმა. მათ აღნიშნებოდათ სხვადასხვა სახის დაზიანებები. ცემის მიზეზი გახდა ი.ჭ.–ს მხრიდან ერთ–ერთი თანამშრომლის შეურაცხმყოფელ სიტყვებზე შეპასუხება. აღნიშნულ ფაქტზე სახალხო დამცველმა წინასწარი გამოძიების დაწყების წინადადებით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურატურას. გამოძიება მიმდინარეობდა სსკ–ის 333–ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით, თუმცა მონიტორინგის ჯგუფისთვის ცნობილი გახდა, რომ შემდგომ ყველა მათგანმა უარყო მათ მიმართ ფიზიკური ზეწოლის ფაქტი.

ნუგზარ თ.–ს საქმე

2011 წლის 6 სექტემბერს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N15 დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდებულის, ნუგზარ თ.–ს, ადვოკატმა ი.სალინაძემ, რომელშიც იგი აღნიშნავდა, რომ 2011 წლის 12 აგვისტოს მსჯავრდებულს სცემეს N15 დაწესებულების თანამშრომლებმა. განმცხადებლის განმარტებით, 2011 წლის 26 აგვისტოს მსჯავრდებულის ცემის ფაქტთან დაკავშირებით განცხადება შეიტანა საქართველოს მთავარ პროკურატურაში.

ადვოკატის მიმართვის დღესვე პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომელი შეხვდა და გაესაუბრა მსჯავრდებულს, რომელმაც განმარტა, რომ მას 2011 წლის 12 აგვისტოს მიაყენეს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა და დაემუქრნენ, რომ თუ იგი არ გამოიტანდა მის მიერ დაწერილ ყველა საჩივარს, მოხდებოდა მისი ლიკვიდაცია.

2011 წლის 15 სექტემბერს სახალხო დამცველის აპარატიდან რეაგირებისთვის გაიგზავნა მსჯავრდებულის ახსნა–განმარტება. ასევე, მოვითხოვეთ ინფორმაცია, დაიწყო თუ არა წინასწარი გამოძიება ი.სალინაძის განცხადების საფუძველზე; დადებითი პასუხის შემთხვევაში – სსკ–ის რომელი მუხლით და რა საგამოძიებო მოქმედებები იყო ჩატარებული. აღნიშნულ წერილზე სახალხო დამცველის აპარატი პასუხი არ შემოსულა.

⁴⁵⁴ ანგარიშის მომზადების პროცესში სახალხო დამცველს მათ მიმართ არასათანადო მოპყრობის საჩივრით კიდევ ორმა მსჯავრდებულმა – ი.მ.–მ და ნ.თ.–მ მიმართეს, თუმცა ერთ–ერთმა მათგანმა, მას შემდეგ, რაც დაწერა ვრცელი ახსნა–განმარტება სახალხო დამცველის სახელზე, ითხოვა მის მიმართ არასათანადო მოპყრობის ფაქტების კონფიდენციალად დატოვება. მეორე მსჯავრდებულის მიმართ არასათანადო მოპყრობის თაობაზე გამოძიების დაწყების წინადადებით სახალხო დამცველმა 2012 წლის 14 მარტს მიმართა საქართველოს მთავარ პროკურატურას.

2011 წლის 22 და 26 ოქტომბერს სახალხო დამცველის რწმუნებულები შეხვდნენ და გაესაუბრნენ მსჯავრდებულს. მისი განმარტებით, 2011 წლის 21 ოქტომბერს, დაახლოებით 14:00 საათისთვის, მასთან მივიდა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სამი თანამშრომელი, რომელთა სახელები და გვარები არ იცის, თუმცა ამოცნობა შეუძლია და უთხრეს, რომ თუ მსჯავრდებული დაწერდა, რომ 2011 წლის 12 აგვისტოს მის მიმართ განხორციელებულ ფიზიკურ ზეწოლაზე პრეტენზია არ გააჩნდა და დაზიანებები მიიყენა თვითონ, მას დაუყოვნებლივ გადაიყვანდნენ N18 სამკურნალო დაწესებულებაში. მსჯავრდებულის განმარტებით, მან აღნიშნულ შემთავაზებაზე უარი განაცხადა. მსჯავრდებულის თქმით, დაახლოებით ორ საათში მასთან მივიდა ორი პირი და დაემუქრა, „ამის შემდეგ რაც მოგივა, შენს თავს დააბრალო“. მსჯავრდებულის თქმით, მან პასუხი არ გასცა ზემოაღნიშნულ პირებს და დაბრუნდა საკანში.

2011 წლის 26 ოქტომბერს სახალხო დამცველის რწმუნებულები კვლავ შეხვდნენ და გაესაუბრნენ მსჯავრდებულ ნუგზარ თ.-ს, რომელმაც აღნიშნა, რომ 2011 წლის 23 და 24 ოქტომბერს მას კვლავ მიაყენეს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა. მსჯავრდებულს გარეგნული დათვალიერებით აღნიშნებოდა მარჯვენა ბარძაყის არეში დიდი ზომის სისხლჩაქცევა და ექსკორიაციები, მარცხენა ფეხზე – ექსკორიაციები, მარცხენა მკლავზე – სისხლჩაქცევა, ბეჭებზე და მარჯვენა მკლავზე – ექსკორიაციები.

მსჯავრდებულმა განმარტა, რომ 2011 წლის 23 ოქტომბერს იმყოფებოდა აბანოში, სადაც შევიდა დაწესებულების თანამშრომელი დიმა ჩხეიძე, რომელმაც მას მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა იმის გამო, რომ მსჯავრდებულს არ გამოაქვს საჩივარი 2011 წლის 12 აგვისტოს განხორციელებულ ცემის ფაქტთან დაკავშირებით. ნუგზარ თ.-მ აღნიშნა, რომ დიმა ჩხეიძემ და დაწესებულების სხვა თანამშრომლებმა მას დაუწყეს ცემა. აღნიშნულიდან გამომდინარე, 2011 წლის 27 ოქტომბერს სახალხო დამცველის აპარატიდან საქართველოს მთავარ პროკურატურაში კვლავ გაიგზავნა წერილობითი მიმართვა. საქართველოს მთავარი პროკურატურიდან 2011 წლის 18 ნოემბერის N13/49399 პასუხის თანახმად, 2011 წლის 04 ნოემბერს საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტში დაიწყო გამოძიება სს N07041111001 საქმეზე, სსკ-ის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

მსჯავრდებულმა განმარტა, რომ მის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას შესაძლებელია დაემუქროს საფრთხე, რის გამოც ითხოვა სხვა დაწესებულებაში გადაყვანა. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს სახალხო დამცველის აპარატიდან გაეგზავნა წერილობითი მიმართვა, პირად კონტროლზე აეყვანა მსჯავრდებულის უსაფრთხოება და იგი გადაეყვანათ სხვა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში. სასჯელაღსრულების დეპარტამენტიდან მიღებული N10/4-14553 წერილით გვეცნობა, რომ მსჯავრდებულის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება.

არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოძიება

დახურულ ინსტიტუციებში ჩატარებული მონიტორინგის შედეგები და სახალხო დამცველის აპარატში შემოსული განცხადებების ანალიზი ცხადყოფს, რომ არასათანადო მოპყრობა კვლავ პრობლემაა სასჯელაღსრულების დაწესებულებებსა და პოლიციაში. აღნიშნულ საკითხზე სახალხო დამცველის არაერთ საპარლამენტო თუ სპეციალურ მოხსენებაში იყო საუბარი. წამების და არაადამიანური მოპყრობის ფაქტებზე სამართლებრივი რეაგირება პროკურატურის პრეროგატივაა. არასათანადო მოპყრობის სრული აღმოფხვრისთვის აუცილებელია თითოეული ამგვარი ფაქტის ეფექტური გამოძიება და დაუსჯელობის სინდრომის დაძლევა, რაც დღეს სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს. სახალხო დამცველმა არაერთ ასეთ ფაქტზე მიმართა საქართველოს მთავარ პროკურატურას, თუმცა გამოძიება ხშირ შემთხვევაში ჭიანჭურდება ან წყდება.

საგამოძიებო ორგანოების პასიურობისა და არაეფექტურობის შედეგად იქმნება ნიადაგი დაუსჯელობის სინდრომის ჩამოყალიბებისთვის სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებში, ამავე დროს მსხვერპლს უჩნდება უნდობლობა გამოძიების მიმართ, რაც, რასაკვირველია, არანაირად არ უწყობს ხელს არასათანადო მოპყრობის პრაქტიკის გამოვლენასა და აღმოფხვრას.

ევროსასამართლოს პრეცედენტების თანახმად, თუ პირი დაზიანდა პატიმრობის ან სხვა ისეთ დროს, როცა იმყოფებოდა პოლიციის კონტროლის ქვეშ, ნებისმიერი ამგვარი დაზიანება წარმოშობს მტკიცე პრეზუმფციას, რომ პირი სასტიკ მოპყრობას დაექვემდებარა⁴⁵⁵. სახელმწიფოს აკისრია ვალდებულება, წარმოადგინოს დამაჯერებელი ახსნა-განმარტება, თუ რამ გამოიწვია დაზიანებები. თუ სახელმწიფო ამის ახსნას ვერ წარმოადგენს, კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევის საკითხი აშკარად წამოიჭრება.⁴⁵⁶

წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის (CPT) მე-14 ზოგად ანგარიშში აღნიშნულია, რომ გამოძიება უნდა იყოს ძალიან დეტალური და ვრცელი, უნდა ჩატარდეს სწრაფად და მის ჩატარებაზე პასუხისმგებელი პირები არ უნდა იყვნენ დაკავშირებულნი აღნიშნულ მოვლენებში ჩართულ პირებთან,⁴⁵⁷ თუმცა, ხშირ შემთხვევაში სასჯელაღსრულების დაწესებულებებში პატიმრების მიმართ არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოძიებას საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტი აწარმოებს, რაც გამოძიების ეფექტურობას კიდევ უფრო ეჭვქვეშ აყენებს.

თავის 2010 წლის ანგარიშში წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT) აღნიშნავს, რომ „...წამებისა და არასათანადო მოპყრობის სხვა ფორმების აკრძალვის სარწმუნოებას ძირს უთხრის ის შემთხვევები, როდესაც ამგვარი დანაშაულის ჩამდენ ოფიციალურ პირებს საკუთარი ქმედებებისთვის პასუხი არ მოეთხოვებათ. დელეგაციის ვიზიტისას ზოგიერთი პირი აღნიშნავდა, რომ არასათანადო მოპყრობის მიმანიშნებელ ინფორმაციას იშვიათად მოჰყვებოდა სწრაფი და ეფექტური რეაგირება, რაც ნიადაგს

⁴⁵⁵ მაგ. „ბურსუკი რუმინეთის წინააღმდეგ“ 2004 წლის 12 ოქტომბერი;

⁴⁵⁶ „სელმუნი საფრანგეთის წინააღმდეგ“ 1999 წლის 28 ივნისი;

⁴⁵⁷ წამების საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტის N14 ზოგადი ანგარიში, პარ. 25-42

უქმნიდა დაუსჯელობის კლიმატს. მათი თქმით, არასათანადო მოპყრობის შესახებ საჩივრების უმეტესი ნაწილი უარყოფილია ან უკეთეს შემთხვევაში, შესაბამის თანამშრომლებს დისციპლინარული ზომები შეეფარდათ. აღინიშნა, რომ არასათანადო მოპყრობის საჩივრებზე პროკურატურა იშვიათად აღძრავდა სისხლის სამართლის საქმეებს, ხოლო თუ ასეთი საქმეები მაინც აღიძვრებოდა, უმეტესად ეს ხდებოდა არა სისხლის სამართლის კოდექსის 144¹ მუხლით, არამედ 333-ე მუხლით. გარდა ამისა, აღინიშნა, რომ პროცესები ჭიანჭურდებოდა და ძალზე იშვიათად ხდებოდა მსჯავრდება, რაც საჩივრების გამოძიების სისტემის მიმართ ნდობას ამცირებდა.⁴⁵⁸

სახალხო დამცველმა არაერთხელ გაამხვილა ყურადღება ზემოაღნიშნულ საკითხზე თავის საპარლამენტო მოხსენებებში და მიუთითა, რომ ერთ-ერთი პრობლემა, რომელიც დაკავშირებული იყო არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოძიებასთან, სწორედ მათი არასწორი კვალიფიკაცია იყო. ხშირ შემთხვევაში გამოძიება იწყება არა წამების ან სხეულის დაზიანების რომელიმე მუხლით, არამედ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების მუხლით, რაც სამოხელეო დანაშაულია და გაცილებით უფრო მსუბუქ სანქციას ითვალისწინებს.

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, ბოლო ორი წლის განმავლობაში არასათანადო მოპყრობის ერთადერთი საქმე დამთავრდა პოზიტიური შედეგით – მსჯავრდებულ რამაზ კ.-ს ცემის ფაქტზე დააკავეს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ქუთაისის N2 დაწესებულების ორი თანამშრომელი. ვიმედოვნებთ, რომ აღნიშნული საქმე არ იქნება გამოწვევის და მომავალში სხვა მსგავს ფაქტებზე დაწყებული არაერთი გამოძიება მიაღწევს ლოგიკურ შედეგს.

რამაზ კ.-ს საქმე

2010 წლის 02 მარტს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საქართველოს მთავარი პროკურატურიდან გვეცნობა, რომ 2010 წლის 19 თებერვალს დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში დაიწყო წინასწარი გამოძიება სისხლის სამართლის #088108005 საქმეზე, ქ.ქუთაისის #2 საპყრობილისა და მკაცრი რეჟიმის დაწესებულების თანამშრომლების მიერ მსჯავრდებულ რამაზ კ.-ს ცემის, მის მიმართ დამამცირებელი მოპყრობისა და სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144³-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

2012 წლის 25 იანვარს სახალხო დამცველის აპარატში პროკურატურიდან შემოსული პასუხის თანახმად, 2011 წლის 22 აგვისტოს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N2 დაწესებულების ორ თანამშრომელს წარედგინა ბრალდება საქართველოს სსკ-ის 333-ე

⁴⁵⁸ ანგარიში საქართველოს ხელისუფლებას წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტის (წამების საწინააღმდეგო კომიტეტი) საქართველოში ვიზიტის შესახებ, პარ.17

მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის და მათ აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდათ პატიმრობა.

სახალხო დამცველი მიესალმება იმ ფაქტს, რომ აღნიშნული საქმე გამოძიებულ იქნა და დადგა კონკრეტული პირების პასუხისმგებლობის საკითხი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მთავარი პროკურატურაში შესულია საკმაოდ ბევრი საჩივარ-განცხადება, რომლებზეც გამოძიება დღემდე მიმდინარეობს.

სახალხო დამცველის აპარატიდან საქართველოს მთავარ პროკურატურაში გაიგზავნა წერილობითი მიმართვები, რომლებითაც ვითხოვდით ინფორმაციას 2011 წლის განმავლობაში:

1. რამდენ სისხლის სამართლის საქმეზე დაიწყო წინასწარი გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-333, ასევე, სსკ-ის 144¹-144²-144³-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით (ცალ-ცალკე);
2. რამდენი პირის მიმართ დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა; მათგან რამდენი იყო საჯარო მოხელე (უწყებების მითითებით)⁴⁵⁹;
3. ზემოაღნიშნული სისხლის სამართლის საქმეებიდან რამდენი წარიმართა საერთო სასამართლოებში არსებითად განსახილველად;
4. რამდენ მათგანზე გაფორმდა საპროცესო შეთანხმება;
5. რამდენ სისხლის სამართლის საქმეზე შეწყდა წინასწარი გამოძიება ზ/აღნიშნული მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით და რა საფუძვლით.

საქართველოს მთავარი პროკურატურიდან შემოსული N13/41367 და N13/10332 პასუხებით გვეცნობა, რომ 2011 წლის განმავლობაში სსკ-ის 144¹-ე მუხლით (წამება) გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით გამოძიება დაიწყო 20 სისხლის სამართლის საქმეზე. სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 3 პირის მიმართ. გამოძიება შეწყდა 11 სისხლის სამართლის საქმეზე.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144²-ე (წამების მუქარა) მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით გამოძიება არც ერთ სისხლის სამართლის საქმეზე არ დაწყებულა.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144³-ე (დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა) მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით გამოძიება დაიწყო 9 სისხლის სამართლის საქმეზე. გამოძიება შეწყდა 3 სისხლის

⁴⁵⁹ წამების საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსისეული დეფინიცია არ შეესაბამება გაეროს წამების საწინააღმდეგო კონვენციის განმარტებას. ერთ-ერთი განსხვავება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ საქართველოს სსკ-ის 144¹ (წამება), 144² (წამების მუქარა) და 144³ (დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა) მუხლები არ უთითებს დანაშაულის ჩამდენ სპეციალურ სუბიექტზე – თანამდებობის პირზე ან საჯარო მოხელეზე.

სამართლის საქმეზე და სასამართლოში წარიმართა ერთი სისხლის სამართლის საქმე, რომელზედაც დადგა გამამტყუნებელი განაჩენი.

2011 წელს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე (სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება) მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით გამოძიება დაიწყო 77 სისხლის სამართლის საქმეზე. გამოძიება შეწყდა 29 სისხლის სამართლის საქმეზე. სისხლისსამართლებრივი დევნა დაწყდა 67 პირის მიმართ და 75 პირის ბრალდების საქმე წარიმართა სასამართლოში. 78 პირის მიმართ დადგა გამამტყუნებელი განაჩენი.

2011 წელს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება) მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით გამოძიება დაიწყო 127 სისხლის სამართლის საქმეზე. გამოძიება შეწყდა 58 სისხლის სამართლის საქმეზე. სისხლისსამართლებრივი დევნა დაწყდა 25 პირის მიმართ. 29 პირის ბრალდების საქმე წარიმართა სასამართლოში და 32 პირის მიმართ დადგა გამამტყუნებელი განაჩენი.

ამავე წერილებით ვითხოვდით ინფორმაციას რამდენ სს საქმეზე გაფორმდა საპროცესო შეთანხმება – რამდენ სისხლის სამართლის საქმეზე შეწყდა წინასწარი გამოძიება და რა საფუძველით, თუმცა აღნიშნული ინფორმაცია მთავარ პროკურატურას არ მოუწოდებია.

სახალხო დამცველმა თავის წინა ანგარიშებში არაერთგზის მიმართა რეკომენდაციით მთავარ პროკურატურას, ეწარმოებინა დეტალური სტატისტიკა წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოძიებაზე, რომლის მიხედვითაც ნათელი იქნებოდა, რამდენი საჯარო მოხელის, მათ შორის, სასჯელაღსრულების დაწესებულებებისა და პოლიციის თანამშრომლის მიმართ დაიწყო წინასწარი გამოძიება წამების ან არასათანადო მოპყრობისთვის და რამდენი მათგანი მიეცა ამგვარი ქმედებებისთვის სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში. მიუხედავად ამისა, პროკურატურიდან მიღებული პასუხების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, სტატისტიკა არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოძიებაზე კვლავ არასრულად წარმოებს – შეუძლებელია იმის გარკვევა, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულ პირთაგან რამდენი იყო საჯარო მოხელე, ასევე, 332-ე და 333-ე მუხლების შემთხვევაში შეუძლებელია განსაზღვრა, მოხელე დაისაჯა თავისუფლებააღკვეთილი პირის მიმართ არასათანადო მოპყრობისთვის თუ სხვა სამსახურებრივი გადაცდომისთვის. ზედმეტია იმაზე საუბარიც, რომ ჩვენი მოთხოვნის მიუხედავად, დასჯილი პირების უწყებრივი კუთვნილება პასუხებში მითითებული არ იყო.

სტატისტიკის წარმოების ვალდებულება მთავარ პროკურატურას აკისრია საქართველოს პრეზიდენტის N250 ბრძანებულებითაც, არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიისა და არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ ბრძოლის 2011–2013 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ. აღნიშნული გეგმით გათვალისწინებულია საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ იმ ინფორმაციის აღრიცხვის

ვალდებულება, რომელიც შეეხება საჯარო მოხელეთა მიერ არასათანადო მოპყრობის ფაქტებს.

წამების პრევენციის ევროპულმა კომიტეტმა (CPT) 2010 წლის ვიზიტის შემდეგ რეკომენდაციით მიმართა საქართველოს ხელისუფლებას სტატისტიკის წარმოების მეთოდების დახვეწის თაობაზე: „სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება თვითმიზანი არ არის. სწორი შეგროვებისა და ანალიზის შემთხვევაში მას შეუძლია მიგვანიშნოს ტენდენციების შესახებ და დაგვხმაროს სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღებაში. შინაგან საქმეთა სამინისტროსა და მთავარ პროკურატურას შორის აშკარად საჭიროა უფრო მეტი კოორდინაციის არსებობა. წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი საქართველოს ხელისუფლებას ურჩევს, შემოიღოს ერთიანი ეროვნული სისტემა პოლიციის თანამშრომლების მიმართ საჩივრების, დისციპლინარული და სისხლის სამართლის სამართალწარმოებისა და სანქციების შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვებისთვის. საზოგადოების ინფორმირება პოლიციის მხრიდან არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებული საქმეების გამოძიებაზე ხელს შეუწყობს მოსახლეობაში დაუსჯელობის განცდის შემცირებას.“⁴⁶⁰

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ საგამოძიებო ორგანოები არ გამოირჩევიან განსაკუთრებული პროაქტიურობით, როცა საქმე პატიმრების მიმართ არასათანადო მოპყრობას ეხება. საქართველოს სისხლის სამართლის 101-ე მუხლის I ნაწილის მიხედვით წინასწარი გამოძიების დაწყების საფუძველი შეიძლება გახდეს მასმედიაში გავრცელებული ინფორმაციაც, თუმცა, როგორც წესი, საჩივრის ან ოფიციალური შეტყობინების გარეშე გამოძიება არ იწყება (იხ. ქვემოთ, მალხაზ ა.-ს საქმე).

რეკომენდაცია საქართველოს მთავარ პროკურორს:

- პირადი კონტროლის ქვეშ აიყვანოს დაკავებისას და სასჯელადსრულების დაწესებულებებში მომხდარი ყველა არასათანადო მოპყრობის ფაქტის გამოძიება, რათა უზრუნველყოფილი იყოს სწრაფი და ეფექტური გამოძიების ჩატარება;
- უზრუნველყოს საჯარო მოხელეთა მიერ განხორციელებული არასათანადო მოპყრობის ფაქტების დეტალური სტატისტიკის წარმოება უწყებების მიხედვით, რომლითაც შესაძლებელი იქნება წამების წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში არსებული მდგომარეობის სრულყოფილი მონიტორინგი;
- უზრუნველყოს სახალხო დამცველისთვის ამომწურავი და დროული ინფორმაციის მიწოდება არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოძიების შესახებ.

⁴⁶⁰ წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის 2010 წლის 5-15 თებერვლის ვიზიტის ანგარიში საქართველოს მთავრობას, პარ.17

გადატვირთულობა

2011 წლის განმავლობაში კვლავ დაფიქსირდა სასჯელაღსრულების ზოგიერთი დაწესებულების გადატვირთულობა. წამების პრევენციის ევროპულმა კომიტეტმა არაერთგზის გასცა რეკომენდაცია თითოეულ პატიმარზე სულ მცირე 4 კვ.მ. ფართის უზრუნველსაყოფად, თუმცა პატიმრობის ახალ კოდექსშიც იგივე ფართია გათვალისწინებული, რასაც ითვალისწინებდა „პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონი.⁴⁶¹ აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში თითოეული პატიმრისთვის არსებული ფართი ეროვნული კანონმდებლობით დადგენილ ნორმებსაც არ აკმაყოფილებს.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის N184-ე ბრძანებით განსაზღვრულია პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებების ლიმიტი – 24 650, აღნიშნული ციფრი აღემატება სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არსებულ ადგილებს – არ ფუნქციონირებს N13 და N10 დაწესებულებები. ამჟამად მოქმედი დაწესებულებების ლიმიტის გათვალისწინებით 2011 წლის მეორე ნახევარში სასჯელაღსრულების დაწესებულებების რეალური ლიმიტი შეადგენს 23 630 ადგილს. 2011 წლის 1 დეკემბრის მდგომარეობით სასჯელაღსრულების დაწესებულებებში განთავსებული იყო 24 244 პატიმარი.

2011 წლის განმავლობაში ზოგიერთ დაწესებულებაში, მუდმივად ან წლის გარკვეულ მონაკვეთში მაინც, იდგა გადატვირთულობის პრობლემა. ზოგიერთ დაწესებულებაში პატიმრებს საკუთარი საწოლიც კი არ ჰქონდათ – თბილისის N1, ზუგდიდის N4, ბათუმის N3 და რუსთავის N17 დაწესებულებები.

სახალხო დამცველი თავის საპარლამენტო მოხსენებებში მუდმივად გასცემს რეკომენდაციებს გადატვირთულობის პრობლემის აღმოსაფხვრელად, ვინაიდან პატიმრების რაოდენობა მათი უფლებების ადეკვატური უზრუნველყოფის უკუპროპორციულია, რაც ართულებს სასჯელაღსრულების სისტემის ჯანდაცვის რეფორმის სათანადოდ განხორციელებას, და ნეგატიურად აისახება სახელმწიფო ბიუჯეტზე. სახალხო დამცველის რეკომენდაციები შეეხება როგორც ზედმეტად მკაცრი სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის გადახედვას, ასევე, სისხლისსამართლებრივი დევნის პოლიტიკის განსაზღვრისას, საზოგადოებისათვის ნაკლებად სამშობი დანაშაულების შემთხვევაში, პრიორიტეტის მინიჭებას თავისუფლების აღკვეთის ალტერნატიული, უფრო მსუბუქი სასჯელის სახეებისთვის.⁴⁶²


დადებითად აღსანიშნავია 2011 წელს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-40 მუხლში შესული ცვლილება, რომლის თანახმად, პატიმრობის ალტერნატიულ სანქციად შესაძლებელია საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის გამოყენება.

⁴⁶¹ ერთ მსჯავრდებულზე საცხოვრებელი ფართობის ნორმა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში არ უნდა იყოს 2კვ. მ-ზე, საპრობილეში 2,5 კვ.მ-ზე, ქალთა დაწესებულებაში 3 კვ.მ-ზე, არასრულწლოვანთა აღმზრდელობით დაწესებულებაში 3,5 კვ.მ-ზე, ხოლო სამკურნალო დაწესებულებაში – 3 კვ.მ-ზე ნაკლები.

⁴⁶² იხ. სახალხო დამცველის 2010 წლის საპარლამენტო ანგარიში

სახალხო დამცველი იმედოვნებს, რომ აღნიშნული ცვლილების პრაქტიკული გამოყენება შეამსუბუქებს გადატვირთულობის პრობლემას სასჯელაღსრულების დაწესებულებებში.

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის საპატიმრო დაწესებულებებში შეყვანილ პირთა რაოდენობა თვეების მიხედვით



2011 წლის განმავლობაში სასჯელაღსრულების საპატიმრო დაწესებულებებში შესახლებული იყო 9460 პატიმარი. სასჯელაღსრულების დეპარტამენტიდან მიღებული პასუხის თანახმად, საანგარიშო პერიოდში სასჯელაღსრულების დაწესებულებებიდან სხვადასხვა საფუძვლით გათავისუფლებულ იქნა 9293 პატიმარი. მათ შორის, 444 გათავისუფლდა პირობით ვადაზე ადრე, 1055–ს დაენიშნა პირობითი გამოსაცდელი ვადა, 47 მსჯავრდებულს გადაუვადდა სასჯელის მოხდა, 680 კი შეწყალეულ იქნა.

წინადადებები საქართველოს პარლამენტს:

- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში განხორციელდეს შესაბამისი ცვლილებები, რათა ამჟამად მოქმედი შეკრებილობის პრინციპი შეიცვალოს შთანთქმის პრინციპით;
- გატარდეს საზოგადოებისათვის ზოგიერთი ნაკლებად საშიში დანაშაულების დეკრიმინალიზაციისთვის საჭირო ზომები;
- პატიმრობის კოდექსში შევიდეს შესაბამისი ცვლილებები და თითოეულ პატიმარზე განისაზღვროს 4მ² ფართი.

რეკომენდაცია საქართველოს მთავარ პროკურორს: სისხლისსამართლებრივი დევნის პოლიტიკის განსაზღვრისას საზოგადოებისათვის ნაკლებად საშიში დანაშაულების

შემთხვევაში პრიორიტეტი მიენიჭოს თავისუფლების აღკვეთის ალტერნატიულ, უფრო მსუბუქი სასჯელის სახეებს.

საყოფაცხოვრებო პირობები

ციხის ევროპული წესების თანახმად, „პატიმრებისათვის უზრუნველყოფილი საცხოვრებელი, განსაკუთრებით კი, საძინებელი, უნდა პასუხობდეს ადამიანის ღირსების პატივისცემის და მაქსიმალური შესაძლებლობის ფარგლებში, ასევე, განმარტოების მოთხოვნებს. ასევე დაცული უნდა იყოს ჯანმრთელობისა და ჰიგიენის მოთხოვნები, ჯეროვანი ყურადღება უნდა დაეთმოს კლიმატურ პირობებსა და განსაკუთრებით ფართის ოდენობის, ჰაერის მოცულობას, განათებასა და ვენტილაციის პირობებს“⁴⁶³.

„ყველა შენობაში, სადაც პატიმრები ცხოვრობენ, მუშაობენ ან იკრიბებიან:

ფანჯრები უნდა იყოს საკმარისად დიდი, რათა საშუალება მიეცეთ პატიმრებს, იკითხონ ან იმუშაონ ბუნებრივი განათების ნორმალურ პირობებში, ასევე იძლეოდეს სუფთა ჰაერის მოძრაობის შესაძლებლობას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა არსებობს ჰაერის კონდიციონერების ჯეროვანი სისტემა;

ხელოვნური განათება უნდა აკმაყოფილებდეს მიღებულ ტექნიკურ სტანდარტებს; უნდა არსებობდეს სიგნალიზაციის სისტემა, რომელიც საშუალებას მისცემს პატიმრებს, დაუყოვნებლივ დაუკავშირდნენ პერსონალს“⁴⁶⁴.

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, არასათანადო და არაადამიანური მოპყრობის გარდა, ევროკონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა შესაძლოა გამოიწვიოს იმ გარემომ, რომელშიც პირი იმყოფება.

ციხის ევროპული წესების ერთერთი ძირითადი პრინციპის მიხედვით, „ადამიანის უფლებების შემლახავი ციხის პირობების არსებობა არ შეიძლება გამართლებულ იქნეს რესურსების ნაკლებობით.“

სახალხო დამცველის ანგარიშებში არაერთგზის გაიცა თბილისის N1, ბათუმის N3, ზუგდიდის N4 და ხონის N13 დაწესებულებების დახურვის რეკომენდაცია – აღნიშნულ დაწესებულებებში არსებულ პირობებში პატიმრის მოთავსება შეიძლება გაუტოლდეს არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას. ლიკვიდაციის რეკომენდაციები გაიცემა დაწესებულებებზე, რომლებიც არც თითოეულ პატიმარზე გამოყოფილი ფართის მხრივ, არც განათების, ვენტილაციის, გათბობის, ჰიგიენის თვალსაზრისით არ შეესაბამება არანაირ სტანდარტს, ინფრასტრუქტურა კი იმდენად მოძველებულია, რომ გარემონტებას არ ექვემდებარება.

⁴⁶³ 18.1-წესი

⁴⁶⁴ 18.2 წესი

დადებითად აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში დაიხურა ხონის N13 დაწესებულება. საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად⁴⁶⁵, 2011 წლის 10 ივნისს ევროპის საბჭოს განვითარების ბანკმა საქართველოს მთავრობას დაუმტკიცა 60 მილიონი ევროს ღირებულების პროექტი ლაითურის სასჯელაღსრულების კომპლექსის მშენებლობისთვის, რომელიც გათვლილია 2000 პატიმარზე. სახალხო დამცველი იმედოვნებს, რომ აღნიშნული დაწესებულების ექსპლუატაციაში შესვლის შემდგომ ზემოთ მითითებული დაწესებულებები შეწყვეტს ფუნქციონირებას.

ქსნის N15 დაწესებულება

დაწესებულების დახურულ ნაწილში ჩატარებული კოსმეტიკური რემონტის მიუხედავად იქ არსებული მდგომარეობა არსებითად არ გაუმჯობესებულა. კვლავ პრობლემად რჩება საკნების კედლები, რომლებიც დაფარულია ცემენტის სქელი, უსწორმასწორო ფენით, ე.წ. „შუბით“. გათბობა ხდება ელექტროქურების მეშვეობით, საკნების არც ხელოვნური და არც ბუნებრივი განათება არ არის საკმარისი. დაწესებულებაში შეიმჩნევა ტარაკნების დიდი რაოდენობა. მონიტორინგის დროს ზოგიერთ საკანში მწყობრიდან იყო გამოსული წყალგაყვანილობის სისტემა.

2011 წლის აგვისტო-სექტემბერში ჩატარებული მონიტორინგის დროს N15 დაწესებულების დახურული ნაწილის N20 საკანში განთავსებულმა მსჯავრდებულებმა სახალხო დამცველის რწმუნებულებს განუცხადეს, რომ მათ არ აქვთ საკანში ტუმბოები, რის გამოც ტანსაცმლისა და პირადი ნივთების შენახვა უწყვეტ საწოლის ქვეშ ცელოფნის პარკებში. აღნიშნული საკითხი მონიტორინგის დროს გადაამოწმეს სახალხო დამცველის რწმუნებულებმა და აღმოჩნდა, რომ N20 საკანში იყო მხოლოდ ერთი ამორტიზებული ორუჯრიანი ტუმბო. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სახალხო დამცველის აპარატიდან N15 დაწესებულების დირექტორს გაეგზავნა წერილობითი მიმართვა, რომლითაც ვითხოვდით ინფორმაციას, უზრუნველყოფდნენ თუ არა მსჯავრდებულებს პირადი ნივთების შესანახი ტუმბოებით. 2011 წლის 25 ნოემბერს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N15 დაწესებულებიდან მივიღეთ N10/34/3-4998 პასუხი, რომელშიც აღნიშნულია, რომ N15 დაწესებულების დახურული ტიპის სადგომის N20 საკანში განთავსებულ ყველა მსჯავრდებულს აქვს შესაძლებლობა, ისარგებლოს ტუმბოთი (2 მსჯავრდებულს 1 ტუმბო). აღნიშნული საკითხი გადაამოწმა მონიტორინგის ჯგუფმა მიერ და აღმოჩნდა, რომ დაწესებულების დირექტორის პასუხი სიმართლეს არ შეესაბამებოდა და N20 საკანში კვლავ იგივე მდგომარეობა იყო.

ე.წ. ძველ ზონაში განთავსებულია სამი ბარაკული ტიპის საცხოვრებელი კორპუსი და ერთი ე.წ. სამედიცინო ნაწილი. 2009 წლის 6 მარტის ხანძრის შედეგად დაზიანებულ საცხოვრებელ ბარაკში ჩატარდა სარემონტო სამუშაოები, თუმცა საცხოვრებელი

⁴⁶⁵ http://www.mcla.gov.ge/index.php?action=page&p_id=451&lang=geo

კორპუსის მეორე სართულის ერთ–ერთი საცხოვრებელი ნაწილი გაურემონტებელი დარჩა. აღნიშნულ ნაწილში განთავსებულია 40 მსჯავრდებული. ბარაკი გაყოფილია ოთხ ნაწილად ბრევენტით. იატაკი არის ბეტონისა და ალაგ–ალაგ ამოტეხილი. გათბობის საშუალებად გამოიყენება ელექტროქურები, თუმცა ისინი არ არის საკმარისი, რის გამოც მონიტორინგის დროს ბარაკში იყო სიცივე. ასევე, აღსანიშნავია, რომ იქ არსებული პირობების გამო, მსჯავრდებულები ვერ ახერხებენ სისუფთავის დაცვას. ამავე ნაწილში განთავსებულია საპირფარეშო, რომლის სანიტარიულ–ჰიგიენური მდგომარეობა იყო ძალიან ცუდი.

რაც შეეხება გარემონტებულ ნაწილს, აღსანიშნავია, რომ სარემონტო სამუშაოების ჩატარების შემდეგ პირველი სართულის ნაწილში განთავსდა სასადილო ოთახი, სადაც მსჯავრდებულები დღის განმავლობაში სამჯერ იღებენ საკვებს. სასადილოში არ არის არანაირი გათბობის საშუალება და მონიტორინგის დროს იყო გაუსაძლისი სიცივე.

ამავე შენობის პირველ სართულზე განთავსებულია 172 მსჯავრდებული, ხოლო მეორეზე – 156. თითოეული სართულის ფართი შეადგენს 343 კვ.მ–ს. ორივე სართულზე გათბობის საშუალებად გამოიყენება 4–4 ელექტროქურა, რომლებიც არანაირად არ არის საკმარისი და ბარაკში, ისევე, როგორც ამავე ნაწილის სხვა ბარაკებში, იყო სიცივე. აღნიშნულს ემატება ისიც, რომ მეორე სართულზე არ არის ჭერი და ბარაკი პირდაპირ გადახურულია თუნუქით. მსჯავრდებულებს არ აქვთ ტუმბოები, რის გამოც მუყაოს ყუთებში ან დიდი ზომის ცელოფნის პარკებში ალაგებენ თავიანთ ტანსაცმელს. იატაკი არის ბეტონისა, ხოლო კედლები შელესილია ცემენტით. მსჯავრდებულთა განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ყოველდღიურად ალაგებენ საცხოვრებელ ბარაკს, შეუძლებელია სისუფთავის დაცვა და მათი საწოლები და პირადი ნივთები მუდმივად დამტვერილია. ბარაკში არ არის ცენტრალური ვენტილაციის სისტემა, ხოლო 1 მ² ფართის 7 ფანჯარა ვერ უზრუნველყოფს 343 კვ.მ. ფართის ბარაკის ბუნებრივ განათებასა და ვენტილაციას. თითოეული მსჯავრდებულისთვის გამოყოფილი ფართი პირველ სართულზე 1.9 კვ.მ–ია, ხოლო მეორეზე – 2.1 კვ.მ. ამავე საცხოვრებელი კორპუსის ერთ–ერთი ფლიგელის სამ ნაწილად დაყოფილი მეორე სართულის ერთ–ერთ ნაწილში ჩამოდის წყალი, რის გამოც არის სინესტე და საწოლებზე მსჯავრდებულები აფარებენ ცელოფნის პარკებს.

მეორე შენობა ასევე არის ორსართულიანი, სადაც მსჯავრდებულებისთვის განკუთვნილია 588 ადგილი. საცხოვრებელი ბარაკის პირველი და მეორე სართულები გაყოფილია ორ–ორ ნაწილად. პირველ სართულზე არის ერთი, ხოლო მეორე სართულზე – ოთხი ოთახი. საცხოვრებელ ბარაკს წლების განმავლობაში არ ჩასტარებია არანაირი სარემონტო სამუშაო. მისი სანიტარიულ–ჰიგიენური მდგომარეობა არ არის დამაკმაყოფილებელი. არის ტარაკები. ორივე სართულზე საპირფარეშოებში მწყობრიდან არის გამოსული წყალგაყვანილობის სისტემა და სველი წერტილების სანიტარიულ–ჰიგიენური მდგომარეობა ძალიან ცუდია. მსჯავრდებულები თბებიან ელექტროქურებით, რაც არ არის საკმარისი ოთახების გასათბობად. საცხოვრებელი კორპუსის ბუნებრივი განათება და ვენტილაცია საკმარისია. აღნიშნული ბარაკის

საცხოვრებელი ფართი 913 კვ.მ–ია და თითოეული მსჯავრდებულისთვის გამოყოფილია 1.55 კვ.მ. ფართი.

მესამე შენობა არის ე.წ. სამედიცინო ნაწილი, რომლის პირველ სართულზე განთავსებულია საშხაპე ოთახი. საშხაპე ოთახს არ აქვს ფანჯრები, ასევე არ არსებობს ვენტილაციის ცენტრალური სისტემა. იატაკზე დაგებულია კერამიკული ფილები, შეღებილია ჭერი და კედლები, თუმცა არის სინესტე და ალაგ–ალაგ ჩამოყრილია ბათქაში. საშხაპე ოთახს იყენებენ სამრეცხაოდაც.

ე.წ. სამედიცინო ნაწილის მდგომარეობა სავალალოა, ამ შენობაში ავადმყოფთა განთავსება დაუშვებელია. დაწესებულებაში არის ე.წ. ძველი სამედიცინო ნაწილი, სადაც მოთავსებული არიან ჯანმრთელობის პრობლემების მქონე მსჯავრდებულები. შენობის მდგომარეობა იმდენად ცუდია, რომ იქ ადამიანის მოთავსება ასევე დაუშვებელია.

ე.წ. ძველი ზონის ეზოში არის საერთო სარგებლობის საპირფარეშო, რომლის სანიტარიულ–ჰიგიენური მდგომარეობა არის ძალიან ცუდი. საკანალიზაციო სისტემა მწყობრიდან გამოსულია, რის გამოც დგას აუტანელი სუნი. რაც შეეხება საცხოვრებელ ბარაკებში განთავსებულ საპირფარეშოებს, გარდა იმისა, რომ ისინი საჭიროებს სარემონტო სამუშაოების ჩატარებას, ასევე, მსჯავრდებულთა განმარტებით, მათი როდენობა არ არის საკმარისი, რის გამოც დილაობით რიგში უწევთ დგომა.

რუსთავის N6 დაწესებულება

დადებითად უნდა აღინიშნოს N6 დაწესებულების ძველ ნაწილში კოსმეტიკური რემონტის ჩატარება, რაც სახალხო დამცველის ერთ–ერთი რეკომენდაცია იყო. განსაკუთრებით მისასალმებელია, რომ რემონტის დროს საკნებში დამონტაჟდა მეტალოპლასტმასის ფანჯრები, რომლებიც მთლიანად იღება და უზრუნველყოფს საკნის ნორმალურ განიავებას. სასურველი იქნებოდა აღნიშნული სიახლე გავრცელებულიყო სხვა დაწესებულებებზეც, სადაც ფანჯრების ფორმა, კონსტრუქცია, ასევე, ხშირად ორმაგი ან სამმაგი გისოსი საკნის მხრიდან ხელს უშლის მსჯავრდებულებს, თავიანთი შეხედულებისამებრ და საკმარისად გაანიავონ საკანი.

ახალი საცხოვრებელი კორპუსის საკნების განიავება, სავენტილაციო სისტემის არარსებობის გამო, პრობლემურია. დაწესებულებაში არ არის საკმარისი ხელოვნური განათება, რადგან საკნებში დამონტაჟებულია არასაკმარისი სიმძლავრის ე.წ. ეკონომნათურები, რომლებიც ვერ უზრუნველყოფს სათანადო განათებას. ასევე, სარემონტოა ამავე კორპუსის პირველი სართულის წყალგაყვანილობის სისტემა, რომელიც ხშირად ზიანდება.

საფუძვლიან რემონტს საჭიროებს დაწესებულების ახალი საცხოვრებელი კორპუსის პირველ სართულიც, სადაც ასევე არაადამაკმაყოფილებელი პირობებია და არის სინესტე.

თბილისის N12 დაწესებულება

N12 ნახევრად ღია ტიპის დაწესებულების სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა არის ცუდი. როგორც არაერთგზის აღინიშნა, დაწესებულების შექმნის შემდეგ კოსმეტიკური რემონტი ჩაუტარდა მხოლოდ პირველ სართულს, სადაც განლაგებულია თანამშრომლების ოთახები და სამედიცინო ნაწილი. გათბობა ხდება ელექტროქურებით. დაწესებულებაში ძირითადად განთავსებული არიან მსჯავრდებულები, რომელთაც დარჩენილი აქვთ სასჯელის მოხდის მცირე ვადა, ასევე – ხანდაზმული მსჯავრდებულები.

გეგუთის N14 დაწესებულება

დაწესებულებაში ფუნქციონირებს ბარაკული ტიპის 5 საცხოვრებელი კორპუსი. თითოეულ სართულზე საშუალოდ განთავსებულია 200–იდან 250–მდე მსჯავრდებული. წამების პრევენციის ევროპულმა კომიტეტმა (CPT) თავის 2010 წლის ანგარიშში რეკომენდაცია გასცა გეგუთის N8⁴⁶⁶ დაწესებულებაში ბარაკული ტიპის საცხოვრებლების საკნებად გადაკეთებაზე, რაც, წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის აზრით, განპირობებულია უსაფრთხოების მოსაზრებიდან გამომდინარე⁴⁶⁷. აღნიშნული რეკომენდაცია არაერთგზის გასცა სახალხო დამცველმაც, რომელიც დღემდე არ შესრულებულა.

რუსთავის N17 დაწესებულება

დაწესებულების I, II, III და IV საცხოვრებელ კორპუსებში არსებული საკნების სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა არ არის დამაკმაყოფილებელი და საჭიროებს კაპიტალურ რემონტს. ზემოაღნიშნულ საცხოვრებელ კორპუსებში განათება ხდება ხელოვნურად, რადგან ფანჯრების ზომა ვერ უზრუნველყოფს საკნების ბუნებრივ განათებას. კედლები ალაგ-ალაგ ჩამოქერცილია, ვენტილაცია ხდება ბუნებრივად, თუმცა არასაკმარისად. ზოგიერთ საკანში მოშლილია ონკანი, ზოგიერთში არ არის ნათურები. ისინი თბება ცენტრალური გზით.

აღსანიშნავია, რომ დაწესებულებაში განთავსებული ე.წ. „ახალი ზონის“ საშხაპეებს არ აქვს არანაირი ვენტილაციის საშუალება, რის გამოც მსჯავრდებულები იძულებულნი არიან, არ დაკეტონ საშხაპის კარი.

ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა N19 სამკურნალო დაწესებულება

ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში არის ერთმანეთისგან იზოლირებული სამი საცხოვრებელი კორპუსი. რეზისტენტული ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთათვის განკუთვნილი განახლებული კორპუსის გარდა დანარჩენი საცხოვრებელი კორპუსები საჭიროებს რემონტს და მათი

⁴⁶⁶ CPT-ის ვიზიტისდროინდელი ნუმერაციით

⁴⁶⁷ წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის 2010 წლის 5-15 თებერვლის ვიზიტის ანგარიში საქართველოს მთავრობას, პარ.77

სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა არის ძალიან ცუდი. ისინი თბება ელექტროგამათბობლების საშუალებით. დაწესებულების ტერიტორიაზე შენდება ახალი კორპუსი, რომლის ექსპლუატაციაში შესვლა იგეგმება 2012 წელს. აქვე აღსანიშნავია, რომ მიუხედავად ახლად ჩატარებული სარემონტო სამუშაოებისა, რეზისტენტული ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა საცხოვრებელ კორპუსში საშხაპის სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა არ არის დამაკმაყოფილებელი.

გლდანის N8 დაწესებულება

დადებითად აღსანიშნავია, რომ 2012 წლის იანვარში კოსმეტიკური რემონტი ჩატარდა N8 დაწესებულების საკარანტინე საკნებს, სადაც საწოლებზე დაიგო სქელი მატრასები, გარემონტდა წყალგაყვანილობის სისტემა, გამოიცვალა მაგიდა და სკამი. თითოეულ საკანში დაიდგა ოთხი ორსართულიანი საწოლი. ასევე, დაემატა სამი საკარანტინე საკანი.

რუსთავის N16 დაწესებულება

აღნიშნულ დაწესებულებაზე სახალხო დამცველის მიერ გაცემული რეკომენდაციების გარკვეული ნაწილი შესრულებულია – გარემონტდა შენობა, სადაც დაწესებულების სამართლო და საკარანტინე საკნებია განთავსებული და სადაც გასულ წლებში სუფევდა ანტისანიტარია და იყო არასათანადო პირობები.

დაწესებულების A და B კორპუსების ინფრასტრუქტურა ნორმალურია, არის 6-ადგილიანი საკნები, ხოლო რაც შეეხება დაწესებულების C კორპუსს, იქ ჯერ კიდევ არის რამდენიმე ბარაკული სისტემის 50-52 ადგილიანი საკნები, ხოლო სხვები არის 14-იდან 40-მდე ადგილიანი, რაც თავისთავად ვერ უზრუნველყოფს განთავსების ნორმალურ პირობებს. ზოგადად, აღნიშნული კორპუსის საკნების უმეტესობა საჭიროებს გარემონტებას. N16 დაწესებულების C კორპუსს არ აქვს სტადიონი.

თბილისის N7 დაწესებულება

აღნიშნული დაწესებულების საკნების დიდი ნაწილი სარემონტოა. დაწესებულების უმთავრესი პრობლემაა საკნების არასათანადო ბუნებრივი განათება და ვენტილაცია, განსაკუთრებით I და II სართულებზე. ამის გამო მცირე ზომის ფანჯრები, რომლებიც დამონტაჟებულია ჭერთან ახლოს და გადის შიდა ეზოში, დაფარულია გისოსების რამდენიმე ფენით.

აღსანიშნავია N7 დაწესებულების სასეირნო ეზოები, რომლებიც დაახლოებით 12-13 კვ.მ.-ია, არ არის სკამი ან სხვა რაიმე აღჭურვილობა. ეზოების ზომის გამო მსჯავრდებულების უფლება გასეირნებაზე არასათანადოდ არის უზრუნველყოფილი.

რეკომენდაცია საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული

დახმარების საკითხთა მინისტრს:

- უზრუნველყოფილ იქნეს ზემოთ მითითებული ყველა დაწესებულების სათანადო გარემონტება, ე.წ. ბარაკული სისტემის ლიკვიდაცია და საკნის ტიპის სისტემაზე გადასვლა;
- უზრუნველყოფილ იქნეს ყველა დაწესებულების საკნების სათანადო ბუნებრივი და ხელოვნური განათება, ვენტილაცია და გათბობა.

პირადი ჰიგიენა

ისევე, როგორც საერთაშორისო სტანდარტებით, ეროვნული კანონმდებლობის თანახმადაც, პატიმრებს უნდა ჰქონდეთ შესაბამისი პირობები, რათა დაიცვან პირადი ჰიგიენა. პატიმრობის კოდექსის მე-14 მუხლის „ა.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ბრალდებულსა და მსჯავრდებულს უფლება აქვს, უზრუნველყოფილი იყოს პირადი ჰიგიენით. ამავე კანონის 21-ე მუხლის თანახმად, „ბრალდებულს/მსჯავრდებულს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, დაიკმაყოფილოს ბუნებრივი ფიზიოლოგიური მოთხოვნები და დაიცვას პირადი ჰიგიენა პატივისა და ღირსების შეუღლებად.“ „როგორც წესი, ბრალდებული/მსჯავრდებული უზრუნველყოფილი უნდა იყოს შხაპის კვირაში ორჯერ მიღების შესაძლებლობით, ასევე საპარიკმახერო მომსახურებით არანაკლებ თვეში ერთხელ...“.

მიუხედავად კანონმდებლობის მოთხოვნისა, პატიმრებისა და მსჯავრდებულებისთვის არც ერთ დახურული ტიპის დაწესებულებაში არ არის უზრუნველყოფილი შხაპის მიღება კვირაში ორჯერ. თბილისის N8 დაწესებულებაში პატიმრები შხაპს იღებენ კვირაში ერთხელ, თუმცა, მათი გადმოცემით, ისინი ვალდებული არიან, შხაპის მიღება მაქსიმუმ 10 წუთში დაამთავრონ, რაც შეეხება ნახევრად ღია ტიპის დაწესებულებებს, იქ აღნიშნული პრობლემა შეძლებისდაგვარად მოწესრიგებულია კორპუსებზე ან ეზოებში არსებული საშხაპეების ხარჯზე. გამონაკლისია გეგუთის N14 დაწესებულების N6 საცხოვრებელი კორპუსი, რომელში განთავსებულ მსჯავრდებულებსაც შხაპის მიღების შესაძლებლობა კვირაში მხოლოდ ერთხელ აქვთ. ქსნის N15 დაწესებულების ე.წ. ძველ ზონაში განთავსებული ზოგიერთი მსჯავრდებულის თქმით, ისინი აბანოთი სარგებლობენ 10–15 დღეში ერთხელ. ზოგი კი მიუთითებს, რომ შხაპის მიღება არ არის პრობლემა, რადგანაც საშხაპე ოთახი მდებარეობს დაწესებულების ეზოში და მათ სურვილისამებრ შეუძლიათ მიიღონ შხაპი, თუმცა გეგმური მონიტორინგის დროს პრევენციულ ჯგუფს ორივე შემთხვევაში ეზოში არსებული საშხაპე ოთახი დაკეტილი დახვდა და გასაღების მოტანას დაახლოებით 15–20 წუთი დასჭირდა.

რაც შეეხება საპარიკმახერო მომსახურებას, პატიმრები ან ერთმანეთს ჭრიან თმებს, ან დალაქის ფუნქცია შეთავსებული აქვს სამეურნეო ნაწილში ჩარიცხულ მსჯავრდებულს.

როგორც უკვე არაერთგზის აღინიშნა, ზუგდიდის N4 და თბილისის N1 დაწესებულებების საკნებში არსებული საპირფარეშოები არის ნახევრად ღია ტიპისა, რაც ვერ აკმაყოფილებს ვერანაირ სტანდარტს. იგივე შეიძლება ითქვას ბათუმის N3 დაწესებულების უმეტეს საკნებში არსებულ საპირფარეშოებზეც. N6 დაწესებულების საკნებში არის იზოლირებული საპირფარეშოები, თუმცა მათი კარის სიგრძე ვერ უზრუნველყოფს სრულ იზოლირებას.

პატიმრობის კოდექსის 22-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, ბრალდებულს/მსჯავრდებულს პირად სარგებლობაში უნდა ჰქონდეს საწოლი და თეთრეული, რომელიც მას უნდა გადაეცეს სუფთა და დაუზიანებელი. ადმინისტრაციამ უნდა უზრუნველყოს თეთრეულის სისუფთავე. მონიტორინგის შედეგად გაირკვა, რომ პატიმრებს მხოლოდ დაწესებულებაში მიღებისას ეძლევათ თეთრეული. თეთრეულს სისტემატურად ცვლის მხოლოდ N8 დაწესებულების ადმინისტრაცია, თუ ამის სურვილი მსჯავრდებულებს აქვთ. N8 დაწესებულებაში განთავსებული პატიმრების გადმოცემით, საკუთარი ხარჯით შექმნილი თეთრეულის გარეცხვა ურჩევნიათ თვითონ, რადგანაც, მათი თქმით, ადმინისტრაცია გარეცხვის შემდეგ ვეღარ უზრუნველყოფს მათთვის იმავე თეთრეულის დაბრუნებას.

სუფთა ჰაერზე ყოფნის უფლებით სარგებლობა

პატიმრობის კოდექსის მე-14 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, „ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს, ყოველდღიურად, არანაკლებ 1 საათისა, იმყოფებოდეს სუფთა ჰაერზე“.

მიუხედავად პატიმრობის კოდექსით დადგენილი ხანგრძლივობისა, ზუგდიდის N4 დაწესებულებაში გასეირნება დაახლოებით ნახევარ საათს გრძელდება, გლდანის N8 დაწესებულებაში – 20-25 წუთს, N7 დაწესებულებაში – 25-30 წუთს⁴⁶⁸, ხოლო ბათუმის N3 დაწესებულებაში – 10-15 წუთს.

სახალხო დამცველმა თავის არაერთ საპარლამენტო მოხსენებაში გასცა რეკომენდაცია, ყველა დახურული ტიპის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში პატიმრებისთვის ყოველდღიური ერთსაათიანი გასეირნების უფლებით უზრუნველყოფის თაობაზე, მათ შორის, შაბათ-კვირასაც, რაც არც ერთი დახურული ტიპის სასჯელაღსრულების დაწესებულების პრაქტიკაში არ ხდება.

წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის (CPT) რეკომენდაციაა, ყველა კატეგორიის პატიმრების, როგორც წინასწარ პატიმრობაში მყოფების, ასევე მსჯავრდებულების, დღის განმავლობაში გარკვეული გონივრული დროით (8 საათი ან მეტი) საკნებს გარეთ ყოფნა და მათი სხვადასხვა აქტივობებითა და საქმიანობით დაკავება, ხოლო უსაფრთხოების განსაკუთრებულ რეჟიმში მყოფი მსჯავრდებულებისა, სულ მცირე 1 საათით⁴⁶⁹.

⁴⁶⁸ გამონაკლის წარმოადგენს პატიმრები, რომლებიც მარტო არიან საკნებში განთავსებული. მეთ ეძლევათ ერთ საათია გასეირნების უფლება;

⁴⁶⁹ 2010 წლის 5-15 თებერვალს განხორციელებული ვიზიტი საქართველოში (პარ. 82);

ზოგიერთ ნახევრად ღია ტიპის დაწესებულებებშიც პატიმრებს მხოლოდ 4-6 საათის განმავლობაში უწევთ სუფთა ჰაერზე ყოფნა (მაგ. გეგუთის N14, თბილისის N12, ქსნის N15 (ახალი კორპუსი) დაწესებულებები). რუსთავის N16 დაწესებულება ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაა, თუმცა კვირა დღეს საცხოვრებელი კორპუსები დაკეტილია და მსჯავრდებულებს არ აქვთ შესაძლებლობა, იმყოფებოდნენ სუფთა ჰაერზე. ქალთა N5 დაწესებულების ნახევრად ღია ნაწილის A კორპუსში განთავსებული მსჯავრდებულები დღის განმავლობაში მხოლოდ 6 საათით იმყოფებიან სუფთა ჰაერზე.

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2011 წლის 30 მაისის N97 ბრძანებით დამტკიცებულია პატიმრობის, თავისუფლების აღკვეთის, შერეული ტიპის ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა დაწესებულებების, ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებისა და ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულების დებულებები. პატიმრობის დაწესებულების დებულების 29-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, „ბრალდებულის გასეირნება ხდება დღის საათებში, დაწესებულებაში გასეირნება ტარდება გასასეირნებელ ეზოში. ეზოში მოეწყობა დასაჯდომი მერხები და წვიმისაგან თავშესაფარი. გასეირნებისას არასრულწლოვნებს ეძლევათ ფიზიკური ვარჯიშის და სპორტული თამაშობების შესაძლებლობა“. აქვე აღსანიშნავია, რომ არც ერთი პატიმრობის დაწესებულებების სასეირნო ეზოები არ არის მოწყობილი აღნიშნული დებულების შესაბამისად. დახურული ტიპის დაწესებულებებშიც იგივე მდგომარეობაა, რის გამოც პატიმრები იძულებულნი არიან, სასეირნოდ გამოყოფილი დრო ფეხზე გაატარონ და ამის გამო ზოგჯერ თავადვე ამბობენ უარს გასეირნებაზე ან მალევე ბრუნდებიან საკანში. მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა N18 სამკურნალო დაწესებულებაში განთავსებული პატიმრებიც ხშირად ჩივიან, რომ ისინი ვერ სარგებლობენ გასეირნების უფლებით სასეირნო ეზოს მოუწყობლობის გამო. კერძოდ, ზოგიერთი პატიმრის თქმით, მათ უჭირთ ფეხზე დგომა და იმის გამო, რომ სასეირნო ეზოში არ დგას სკამი, ისინი თავს იკავებენ სასეირნოდ გასვლისგან. პატიმრებისთვის სუფთა ჰაერზე ყოფნა პრობლემაა წვიმიან და განსაკუთრებით ცხელ დღეებშიც, ვინაიდან პრაქტიკულად არც ერთი დაწესებულების სასეირნო ეზოში არ არის თავშესაფარი წვიმისა და მზის სხივებისგან.

მიუხედავად სახალხო დამცველის არაერთი რეკომენდაციისა, სასეირნო ეზოებში აღნიშნული პრობლემა მოუგვარებელია. სასჯელაღსრულების მინისტრის 2011 წლის ბრძანებით დამტკიცებული დაწესებულებების დებულებები⁴⁷⁰ პატიმრობის დაწესებულებისთვის ითვალისწინებს ეზოს სათანადო აღჭურვას, თუმცა პრაქტიკაში აღნიშნული მოთხოვნაც არ არის შესრულებული არც ერთ დაწესებულებაში.

⁴⁷⁰ სასჯელაღსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2011 წლის 30 მაისის N97 ბრძანება „პატიმრობის, თავისუფლების აღკვეთის შერეული ტიპის ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა დაწესებულებების, ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებისა და ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულების დებულების დამტკიცების თაობაზე“, დანართი 1 „პატიმრობის დაწესებულებების დებულება“.

რეკომენდაცია სასჯელაღსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრს: უზრუნველყოს 2011 წლის 30 მაისის N97 ბრძანებაში შესაბამისი დამატებების შეტანა, რომლებითაც მითითებული იქნება ყველა ტიპის სასჯელაღსრულების დაწესებულებების სასაქონლო ეზოების მოწყობის მინიმალური სტანდარტები CPT-ის რეკომენდაციების შესაბამისად.

რეკომენდაცია სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს:

- ყველა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში უზრუნველყოს პატიმრებისათვის კვირაში ორჯერ შხაპის მიღების შესაძლებლობა;
- ყველა ნახევრად ღია ტიპის დაწესებულებაში მსჯავრდებულებს მიეცეთ საშუალება, მინიმუმ 8 საათი გაატარონ სუფთა ჰაერზე;
- ყველა დახურული ტიპის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში პატიმრებისთვის უზრუნველყოს ყოველდღიური ერთსაათიანი გასეირნება, მათ შორის შაბათ-კვირას;
- უზრუნველყოს დაწესებულებების სასაქონლო ეზოებში სკამებისა და სავარჯიშო ინვენტარის დამონტაჟება და მათი აღჭურვა სხვადასხვა კლიმატური პირობების შესაბამისად.

დისციპლინა და დასჯა

დისციპლინური სასჯელებისა და ადმინისტრაციული სახდელების შეფარდება

ციხის ევროპულის წესების თანახმად, „დისციპლინური სასჯელი გამოყენებულ უნდა იქნეს, როგორც უკიდურესი საშუალება.“⁴⁷¹ „ციხის ადმინისტრაციამ უნდა გამოიყენოს მედიაციის ყველა შესაძლებლობა, რათა გადაჭრას კამათი პატიმრებთან და პატიმრებს შორის.“⁴⁷² „ნებისმიერი სასჯელის სიმკაცრე უნდა იყოს პროპორციული ჩადენილ დანაშაულთან.“⁴⁷³ „დასჯის თვალსაზრისით აკრძალულია: კოლექტიური და ფიზიკური დასჯა, რომელიც ითვალისწინებს ბნელ საკანში პირის მოთავსებას, ასევე აკრძალულია არაადამიანური და ღირსების შემლახველი სხვა სასჯელები.“⁴⁷⁴ ასევე, სასჯელი არ შეიძლება მოიცავდეს ოჯახთან კონტაქტის სრულად აკრძალვას.⁴⁷⁵

2011 წლის 15 ივლისს და 2012 წლის 27 თებერვალს სასჯელაღსრულების დეპარტამენტიდან მიღებული N10/8/2-9487 და N10/8/2-426 წერილობითი პასუხების თანახმად, საანგარიშო პერიოდში 2011 წელს შინაგანაწესის უხეში დარღვევისათვის

⁴⁷¹ 56.1 წესი;

⁴⁷² 56.2 წესი;

⁴⁷³ 60.2 წესი;

⁴⁷⁴ 60.3 წესი;

⁴⁷⁵ 60.4 წესი;

ადმინისტრაციული პატიმრობა შეეფარდა 46 მსჯავრდებულს,⁴⁷⁶ ხოლო სამართლო საკანში მოთავსდა 2856 მსჯავრდებული. იმავე წყაროდან მიღებული ინფორმაციით, არცერთ სამართლო საკანში განთავსებულ პირს არ გაუსაჩივრებია დირექტორის გადაწყვეტილება.⁴⁷⁷ მონიტორინგის ჯგუფის კითხვაზე, რატომ არ ასაჩივრებენ დირექტორის განკარგულებას მათი სამართლო საკანში მოთავსების თაობაზე, ყველა პატიმარი ერთს პასუხობდა, რომ, მათი აზრით, გასაჩივრება აზრს იყო მოკლებული.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დასჯილი პატიმრების რაოდენობა რეალურად უფრო მეტი იყო, ვინაიდან ზოგიერთ დაწესებულებაში, მაგ., გლდანის N8 და ქუთაისის N2 დაწესებულებებში მოქმედებდა პატიმართა დასჯის არაფორმალური და უკანონო მექანიზმები (კარანტინში ან ე.წ. „ბოქსში“ განთავსება), რომლებიც გამოიყენებოდა ისეთ შემთხვევებში, როცა ადმინისტრაციას ამა თუ იმ მიზეზით არ სურდა დასჯის თუნდაც ფორმალური დასაბუთება.

სამართლო საკნები არ გააჩნია N1, N11 და N18 დაწესებულებებს.

სხვადასხვა სასჯელადსრულების დაწესებულებაში ერთი და იმავე გადაცდომისთვის დასჯის ხანგრძლივობა განისაზღვრება სხვადასხვანაირად. აღნიშნული მიდგომა შეიძლება ჩაითვალოს დადებითად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მიდგომა ყველა ასეთ შემთხვევაზე იქნება ინდივიდუალური და გათვალისწინებული იქნება პატიმრის პირადი საქმე და ის გარემოებები, რომლებშიც მსჯავრდებულმა ჩაიდინა გადაცდომა.

მონიტორინგის შედეგად გაირკვა, რომ ხშირად პატიმრების მიერ დისციპლინური დარღვევები დაკავშირებულია ექიმის მოთხოვნასთან – პატიმარი იძულებულია, იხმაროს და დააბრახუნოს საკნის კარზე, წინააღმდეგ შემთხვევაში, პატიმართა გადმოცემით, იგი ვერ შეხვდება ექიმს. აღნიშნული განსაკუთრებით ეხება ქუთაისის N2, რუსთავის N6 და ქსნის N15 დაწესებულებებს.

ხშირია კოლექტიური დასჯის მეთოდების გამოყენება, რაც, როგორც ეროვნული, ასევე საერთაშორისო სტანდარტებით, კატეგორიულად აკრძალულია. როგორც უკვე აღინიშნა, გლდანის N8 და ქუთაისის N2 დაწესებულებებში ერთი პატიმრის მიერ ჩადენილი გადაცდომის შემთხვევაში ისჯება მთელი საკანი, რაც, პატიმართა გადმოცემით, გამოიხატება რადიოს ჩამორთმევით, გასეირნების აკრძალვით ან სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფით.

წამების პრევენციის ევროპულმა კომიტეტმა (CPT), 2010 წლის ანგარიშში, ხაზგასმით აღნიშნა, რომ „მიუღებელია კოლექტიური დასჯის ნებისმიერი ფორმა“.

⁴⁷⁶ იხ. ზემოთ, თავი „არასათანადო მოპყრობა“, სადაც საუბარია ერთ და იმავე დროს ქუთაისის N2 დაწესებულების 26 მსჯავრდებულისთვის ადმინისტრაციული პატიმრობის გაფორმების გარემოებებზე; ასევე, იმავე თავში, მსჯავრდებულების ილია მ.–ს და გიორგი ო.–ს საქმე, რომლებიც შეეხება ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდების მანკიერ პრაქტიკასაც.

⁴⁷⁷ აღნიშნულ ინფორმაციას სახალხო დამცველის აპარატის პრევენციის და მონიტორინგის დეპარტამენტი ყოველ 6 თვეში ერთხელ გამოითხოვს თითოეული დაწესებულებიდან.

კომიტეტის განცხადებით, ყველა დისციპლინური სასჯელი პატიმრებს უნდა დაეკისროთ ოფიციალური პროცედურების სრული დაცვით.⁴⁷⁸ აღნიშნული პროცედურები საკმაოდ დეტალურად არის წარმოდგენილი საქართველოს პატიმრობის კოდექსში. მათ შორის, კოდექსის 84-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „დისციპლინური დარღვევის საქმეს განიხილავს დაწესებულების დირექტორი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი. ბრალდებულს/მსჯავრდებულს განემარტება უფლება – მისცეს ახსნა-განმარტება, წარადგინოს მტკიცებულებები, გაასაჩივროს განკარგულება დისციპლინური ღონისძიების გამოყენების შესახებ. ბრალდებულს/მსჯავრდებულს უნდა ჩამოერთვას ახსნა-განმარტება მის მიერ ჩადენილ დისციპლინურ დარღვევასთან დაკავშირებით, ხოლო უარის შემთხვევაში ადმინისტრაცია ადგენს ოქმს. პატიმარს, მოწმეს ან დაზარალებულს უფლება აქვს ახსნა-განმარტება წარადგინოს წერილობით.“ იმავე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, „ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს, წარმოდგენილი იყოს ადვოკატის მიერ დისციპლინურ განხილვაზე, თუ მის მიმართ გამოიყენება საკნის ტიპის საცხოვრებელ სადგომში გადაყვანა და სამართლო საკანში მოთავსება. ზეპირი მოსმენის დაწყებამდე ბრალდებულს/მსჯავრდებულს განემარტება საკუთარი ადვოკატის მოწვევის უფლება, რომელიც შესაბამისი თანხმობის მიღების შემთხვევაში უნდა განხორციელდეს განმარტებიდან 3 საათის განმავლობაში. თუ დადგენილ ვადაში ადვოკატი არ ცხადდება, ბრალდებულს/მსჯავრდებულს მისი თანხმობით დაენიშნება საზოგადოებრივი ადვოკატი. თუ ბრალდებული/მსჯავრდებული უარს აცხადებს დასწრებაზე, ეს ფაქტი უნდა დაფიქსირდეს წერილობითი ფორმით, წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა შედგეს ოქმი, რომელსაც ხელს აწერს ბრალდებული/მსჯავრდებული.“

მიუხედავად ამისა, ზოგიერთ შემთხვევაში (მაგ. რუსთავის N16 დაწესებულება) მონიტორინგის დროს სამართლო საკნებში განთავსებულ მსჯავრდებულებს არ აქვთ ინფორმაცია, მათი სასჯელის ხანგრძლივობის შესახებ, რაც სერიოზული გადაცდომაა. მათ, სამართლო საკანში განთავსების წინ მათ ხელს აწერიან დადგენილებაზე, თუმცა, როგორც წესი, არ აცნობენ მის შინაარსს. ამის გამო ზოგიერთი მსჯავრდებული უარს ამბობს ხელის მოწერაზე.

პატიმრობის კოდექსის 88-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, „სამართლო საკანში მოთავსებულ ბრალდებულს/მსჯავრდებულს ეკრძალება ხანმოკლე და ხანგრძლივი პაემნები, სატელეფონო საუბარი, კვების პროდუქტების შექმნა“. CPT-მ საქართველოს ხელისუფლებას მისცა რეკომენდაცია, „გაატაროს ზომები, რომ პატიმრის დისციპლინურ საკანში მოთავსება არ აკარგავინებდეს მას ოჯახთან კონტაქტის საშუალებას. ნებისმიერი აკრძალვა ოჯახთან კონტაქტისა, როგორც სასჯელის ფორმა, უნდა დაიშვებოდეს მხოლოდ მაშინ, როცა ამგვარ კონტაქტებს დანაშაული უკავშირდება“⁴⁷⁹.

⁴⁷⁸ წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის 2010 წლის 5-15 თებერვლის ვიზიტის ანგარიში საქართველოს მთავრობას, პარ.114;

⁴⁷⁹ იქვე, პარ.115

სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ პატიმრების გარე სამყაროსთან კონტაქტის უფლება უნდა განიხილებოდეს, როგორც მათი უფლება და ასეთი კონტაქტების აკრძალვა არ უნდა გამოიყენებოდეს, როგორც დასჯის ფორმა. ასევე, წახალისების ფორმების გაზრდითა და დასჯის მექანიზმის ობიექტური გამოყენებით შესაძლებელია ციხის სტაბილურობის შენარჩუნება, პატიმრებისადმი არასამართლიანმა და უკანონო მოპყრობამ კი, პირიქით, შესაძლებელია გამოიწვიოს მათი უმრავლესობის დაპირისპირება ადმინისტრაციასთან ან, კოლექტიური სასჯელების შემთხვევაში – ერთმანეთთან, რაც მძიმე და მიუღებელი შედეგით შეიძლება დასრულდეს.

წინადადება საქართველოს პარლამენტს: განხორციელდეს შესაბამისი ცვლილებები პატიმრობის კოდექსში, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სამართლო საკნებში მოთავსებული პირების გარე სამყაროსთან ურთიერთობა.

რეკომენდაცია სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს:

- სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მიერ სამსახურებრივი კონტროლის განხორციელების დროს განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს არაფორმალური დასჯის მეთოდებისა და კოლექტიური დასჯის შემთხვევების გამოვლენასა და აღმოფხვრაზე;
- სამართლო საკანში განთავსებისას ყველა მსჯავრდებულისთვის უზრუნველყოფილ იქნეს მისი დასჯის შესახებ გადაწყვეტილების (დირექტორის განკარგულების) ჯეროვანი გაცნობა, ასევე, მისი ინფორმირება შესაძლო გასაჩივრების მექანიზმებისა და ვადების შესახებ.

სამართლო საკნებში განთავსებულ პირთა აღრიცხვის ჟურნალები

სამართლო საკნების ჟურნალების სრულყოფილ და რეგულარულ წარმოებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს პატიმართა დისციპლინური დასჯის ტენდენციების, დარღვევებისა და არსებული პრაქტიკის მონიტორინგის თვალსაზრისით. მნიშვნელოვანია, რომ ჟურნალში მითითებული იყოს არა მხოლოდ დასჯის ხანგრძლივობა, მსჯავრდებულის განთავსებისა და გათავისუფლების თარიღები, არამედ კონკრეტული გადაცდომის სახეც.

შემოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ რიგ დაწესებულებებში ჟურნალები არასრულყოფილად და არასათანადოდ არის წარმოებული. კერძოდ, ზოგიერთ მათგანში მხოლოდ დარღვევის სახეობაა მითითებული – „დაარღვია დაწესებულების შინაგანაწესი“, „დაარღვია სარეჟიმო მოთხოვნები“, „დაარღვია დაწესებულებაში არსებული რეჟიმი“ (მაგ. რუსთავის N17 დაწესებულება, N12 დაწესებულება, ქუთაისის N2 დაწესებულება), „დაწესებულების დირექტორის N.. განკარგულებით“ მოხდა მსჯავრდებულის მოთავსება (რუსთავის N16 დაწესებულება), თუმცა არ არის

გაკეთებული ჩანაწერი მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი კონკრეტული ქმედების შესახებ. ასეთ შემთხვევებში ჟურნალი ნაკლებ ინფორმაციულია და არ იძლევა შესაძლებლობას გაირკვეს, თუ რა გახდა პირის სამართლო საკანში მოთავსების უშუალო მიზეზი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის მითითება არ იძლევა სრულ ინფორმაციას გადაცდომის კონკრეტული სახეობის შესახებ, რადგან ისედაც ცხადია, რომ სამართლო საკანში მოთავსება ხდება სარეჟიმო მოთხოვნების ან შინაგანაწესის დარღვევის გამო და თანაც დაწესებულების დირექტორის განკარგულებით. ზოგ შემთხვევაში დარღვევის სახეობად მითითებულია „პატიმრობის კოდექსის“ შესაბამისი მუხლი, თუმცა კონკრეტული დარღვევის შესახებ არაფერია ნათქვამი (მაგ: ბათუმის N3 დაწესებულება, რუსთავის N17 დაწესებულება). ზოგიერთ შემთხვევაში ჩანაწერების ნაწილში მითითებულია კონკრეტული დარღვევები, ნაწილი კი ზოგადი შინაარსისაა (მაგ. რუსთავის N17 და ქუთაისის N2 დაწესებულებები).

ჩატარებული მონიტორინგის შედეგად გაირკვა, რომ ქსნის N15 დაწესებულებაში საერთოდ არ იწარმოება „სამართლო საკანში მოთავსებულ პირთა აღრიცხვის ჟურნალი“ და ინფორმაციას მოიძიებენ მოხდა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ნორმატიული (საგანმკარგულებლო) აღრიცხვის ჟურნალიდან, რომელშიც საერთოდ არ არის ჩანაწერები დარღვევების შესახებ.

დადებითად უნდა შეფასდეს, რომ ზოგიერთ დაწესებულებაში საკმაოდ კონკრეტულად, მკაფიოდ და ნათლად არის ნაწარმოები ჩანაწერები დარღვევების შესახებ. კერძოდ, რუსთავის N6, ქალთა N5, თბილისის N9, გეგუთის N14 და გლდანის N8 დაწესებულებებში. თუმცა N8 დაწესებულების შესაბამის ჟურნალში გაკეთებული ჩანაწერებიდან ირკვევა, რომ ძირითადად დარღვევის სახეობა არის „საკანში ხმაური“; როგორც ზემოთაც აღინიშნა, ჩატარებულმა მონიტორინგმა ცხადყო, რომ ამ დაწესებულების ადმინისტრაციას ხმაურის ძალიან თავისებური აღქმა აქვს და ასეთად ითვლება საუბრის ტემბრის ოდნავი მატება, სიცილი, რადიოს ნორმალურ ხმაზე მოსმენა და სხვა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადი ხდება, რომ დაწესებულებაში არსებული სარეჟიმო მოთხოვნებიდან გამომდინარე, ნებისმიერი პატიმრისთვის რეჟიმის დარღვევამდე ერთი ნაბიჯია დარჩენილი.

N18 მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში დასჯის ფორმად საანგარიშო პერიოდში გამოიყენებოდა „საყვედური“ და რამდენიმე შემთხვევაში გამოიყენებულ იქნა ადმინისტრაციული სახდელის დადება 20 ან 30 დღე/ღამის ვადით.

დისციპლინური წესით დასჯის რამდენიმე შემთხვევა იყო N12 დაწესებულებაში, სადაც 2011 წლის მანძილზე სულ 66 მსჯავრდებული იქნა მოათავსეს სამართლო საკანში, აქედან მეორე ნახევარში – 20.

ზუგდიდის N4 დაწესებულებაში, საანგარიშო პერიოდში, სამართლო საკანში განთავსდა სულ 38 პატიმარი. გაცილებით ნაკლები, კონკრეტულად კი 8 მსჯავრდებული

განთავსდა 2011 წლის განმავლობაში სამართლო საკანში N19 დაწესებულებაში, ხოლო ბათუმის N3 დაწესებულებაში 2011 წლის პირველ ნახევარში 3 პატიმარი მოთავსდა სამართლო საკანში, ხოლო მეორე ნახევარში – არც ერთი.

2011 წლის მონაცემებზე დაყრდნობით, დაწესებულებებში წარმოებულ ჟურნალებში გაკეთებული ჩანაწერებიდან, ასევე, მსჯავრდებულებთან გასაუბრებიდან გამომდინარე, პოზიტიურ ჭრილში შეიძლება განვიხილოთ რუსთავის N17 და გეგუთის N14 დაწესებულებებში დანერგილი ინდივიდუალური მიდგომა მსჯავრდებულთა სამართლო საკანში მოთავსებასთან დაკავშირებით – ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მხედველობაში მიიღება გადაცდომის სერიოზულობა და დამრღვევის პიროვნება, რაც მისაბაძი მაგალითი უნდა იყოს სხვა დაწესებულებებისთვის.

გეგუთის N14 და რუსთავის N6 დაწესებულებებში შეიმჩნევა დადებითი ტენდენცია, რაც გამოიხატება სამართლო საკნიდან სასჯელის ვადის გასვლამდე გათავისუფლებაში ექიმის ცნობის საფუძველზე.

2011 წლის პირველ ნახევარში გეგუთის N14 დაწესებულებაში 19 ასეთი ფაქტია დაფიქსირებული, რაც სამართლო საკანში ამავე პერიოდში მოთავსებული მსჯავრდებულების საერთო რაოდენობის (109) 17,4%-ია. 2011 წლის მეორე ნახევარში ამავე დაწესებულებაში 45 ასეთი ფაქტია დაფიქსირებული, რაც სამართლო საკანში მოთავსებული მსჯავრდებულების საერთო რაოდენობის (184) 24,5%-ია. წლიური მაჩვენებლით ექიმის რეკომენდაციით გათავისუფლებულთა რაოდენობა საერთო რაოდენობის (293) 21,8 %-ია. ამავე დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდებულების გადმოცემით, უკანასკნელ პერიოდში შემცირდა სამართლო საკანში მსჯავრდებულთა მოთავსება.

იგივე ტენდენცია გამოვლინდა წლის მეორე ნახევარში რუსთავის N6 დაწესებულებაში, სადაც ექიმის ცნობით გათავისუფლების 15 ფაქტია დაფიქსირებული, რაც ამ პერიოდში სამართლო საკანში მოთავსებული მსჯავრდებულების საერთო რაოდენობის (113) 13,3 %-ია.

ერთი ასეთი ფაქტია დაფიქსირებული ზუგდიდის N4 დაწესებულებაშიც, სადაც 2011 წლის მეორე ნახევარში სამართლო საკანში მოთავსდა სულ 21 პატიმარი.

ერთგვაროვანი სასჯელები გამოიყენება რუსთავის N16, ქალთა N5, გლდანის N8 დაწესებულებებში. სამართლო საკანში მოთავსების ხანგრძლივობა ძირითადად შეადგენს 5, 10 და 20 დღე-ღამეს.

სასჯელადსრულების დაწესებულებებში პატიმრის დისციპლინური დასჯის გამომწვევი ყველაზე გავრცელებული გადაცდომებია: ხმაური, გადაძახილი, ჩხუბი, თანამშრომლისა თუ სხვა მსჯავრდებულის სიტყვიერი შეურაცხყოფა, თანამშრომლის მოთხოვნაზე არდამორჩილება, სიით შემოწმებისას დაგვიანება ან არგამოცხადება, ტერიტორიის დანაგვიანება.

ასევე საყურადღებოა ის ფაქტი, რომ 2011 მეორე ნახევარში, პირველ ნახევართან შედარებით, ზოგიერთ დაწესებულებაში შეინიშნება დასჯის რაოდენობების მკვეთრი მატება. ეს ძირითადად შეეხება შედარებით დიდი ზომის დაწესებულებებს, როგორებიცაა ქუთაისის N2 (202 – I ნახ., 339 – II ნახ.), გეგუთის N14 (109 – 184), რუსთავის N16 (58 – 122), ქსნის N15 (363 – 502), თბილისის N8 (226 – 303), რუსთავის N6 დაწესებულებები (40 – 113).

რეკომენდაცია სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს:
სასჯელაღსრულების დაწესებულებების ადმინისტრაციას დაევალოს სამართლო საკანში განთავსებულ პირთა აღრიცხვის ჟურნალების უნიფიცირებული წესით წარმოება დარღვევის ფაქტობრივი აღწერით, ჟურნალების ჯეროვანი დათარიღება და ნუმერაცია.

რეკომენდაცია ქსნის N15 დაწესებულების ადმინისტრაციას:

უზრუნველყოს სამართლო საკანში მოთავსებულ პირთა აღრიცხვისა და რეგისტრაციის ჟურნალის წარმოება.

სამარტოო საკნებში განთავსების პირობები

პატიმრობის კოდექსის 88-ე მუხლის თანახმად, სამარტოო საკანში მოთავსებულ ბრალდებულს/მსჯავრდებულს ყოველდღიურად 1-საათიანი გასეირნების უფლება აქვს. ასევე, „სამარტოო საკანი უნდა იყოს განათებული და ვენტილაციით უზრუნველყოფილი; ბრალდებულს/მსჯავრდებულს უნდა ჰქონდეს სკამი და საწოლი. მას უფლება აქვს, მოთხოვნის შემთხვევაში მიიღოს საკითხავი მასალა“.

ქუთაისის N2 დაწესებულება

დაწესებულებაში არის 28 სამარტოო საკანი. ისინი სხვადასხვა ფართისაა, თუმცა იდენტურად ეკიპირებული. ყველა საკანში დგას თითო ასაკეცი ერთადგილიანი საწოლი. საკნებს აქვს 0,5 კვ.მ ზომის თითო ფანჯარა. საკნების განათება ხდება საკმარისად, როგორც ხელოვნური, ასევე ბუნებრივი გზით; თბება ცენტრალური სისტემის საშუალებით, ვენტილაცია ხდება ბუნებრივი გზით. სამარტოო საკნებში არის საპირფარეშო, რომელიც საკნისგან ნახევრად იზოლირებულია 1,3 მ სიმაღლის კედლით. საკანში არის ცალკე გამოყოფილი ონკანი პირსაბანით. საკნების კედლები არის კაფელისა, იატაკი – მოზაიკისა, საკნების საერთო მდგომარეობა ნორმალურია. თითოეულ საკანში დგას მაგიდა და სკამი.

	სამარტოო საკნის N	ფართი
1	A1	5.8კვ.მ
2	A5	5.48კვ.მ
3	A6	4.3კვ.მ
4	C2	5.12კვ.მ
5	D6	11კვ.მ
6	D10	12.74კვ.მ
7	D15	12.25კვ.მ

პატიმრებთან გასაუბრებით გაირკვა, რომ ისინი ვერ სარგებლობენ გასეირნების უფლებით, არ აქვთ მაღაზიით სარგებლობისა და შხაპის მიღების შესაძლებლობა. სამარტოო საკანში მოთავსებული პატიმრებისათვის არ არის ხელმისაწვდომი

ბიბლიოთეკა და პრესა, მათ არც ექიმი ნახულობს ყოველდღიურად. სამარტოო საკანში ჩაყვანისას მათ ატანენ ლეიბსა და გადასაფარებელს.

ბათუმის N3 დაწესებულება

დაწესებულებაში არის 4 სამარტოო საკანი. ყველა საკანში არის ერთიარუსიანი საწოლი, რომელზეც დაგებულია ლეიბი, გადასაფარებელი, ბალიში და თეთრეული. ყველა სამარტოო საკანს აქვს თითო ფანჯარა. სამარტოო საკნების განათება ხდება საკმარისად, როგორც ხელოვნური, ასევე ბუნებრივი გზით. ვენტილაციის ცენტრალური სისტემა არ ფუნქციონირებს. საკნების ვენტილაცია ხდება ფანჯრების მეშვეობით, რომლებსაც არ აქვს შუშა. სამარტოო საკნებს აქვს 0,80 მ სიმაღლის კედლით ნახევრად იზოლირებული საპირფარეშო. საპირფარეშოს თავზე დამონტაჟებულია ონკანი. I, II და III სამარტოო საკნების ჭერი, კედლები და იატაკი არის შეღებილი. მათი საერთო მდგომარეობა არის დამაკმაყოფილებელი. IV საკანში არის სინესტე და ჩამოქერცილია საღებავი.

N	სამარტოო საკნის N	ფართი
1	N I	7.43 კვ.მ
2	N II	6,27 კვ.მ
3	N III	5.61 კვ.მ
4	N IV	6.3 კვ.მ

მონიტორინგის დროს სამარტოო საკანში განთავსებული იყო ერთი პაციმარი. მისი თქმით, ის ვერ სარგებლობდა გასეირნების უფლებით, არ ჰქონდა მაღაზიით სარგებლობისა და შხაპის მიღების შესაძლებლობა. სამარტოო საკანში მოთავსებული პაციმრისათვის არ იყო ხელმისაწვდომი ბიბლიოთეკა და პრესა, მას არც ექიმი ნახულობდა ყოველდღიურად.

ზუგდიდის N4 დაწესებულება

დაწესებულებაში არის 3 სამართლო საკანი. სამივე საკნის ფართობი იდენტურია და შეადგენს 6,38 კვ.მ-ს. ყველა საკანში დგას თითო საწოლი, რომელზეც დაგებულია ლეიბი და გადასაფარებელი. საკნებში არის 0,5 კვ.მ. ზომის თითო ფანჯარა. განათება ხდება საკმარისად, როგორც ხელოვნური, ასევე ბუნებრივი გზით. არ ხდება საკნების გათბობა და ვენტილაცია. სამართლო საკნებში არის პლასტმასის ჭურჭელი, ტუალეტის ქაღალდი და საპონი. საკნებში არის საპირფარეშო, რომელიც საკნიდან ნახევრად იზოლირებულია 0,70 მ სიმაღლის კედლით; ასევე, არის ონკანი და პირსაბანი, თუმცა მონიტორინგის დროს სამივე საკანში ონკანი მწყობრიდან იყო გამოსული. საკნების კედლები, ჭერი და ბეტონის იატაკი არის შედებილი. მათი საერთო მდგომარეობა საცხოვრებელ საკნებთან შედარებით დამაკმაყოფილებელია.

მონიტორინგის დროს სამართლო საკანში პატიმრები განთავსებულები არ ყოფილან.

ქალთა N5 დაწესებულება

დაწესებულებაში არის 2 სამართლო საკანი. თითოეულში დგას 6 საწოლი. მონიტორინგის დროს სამართლო საკანში იმყოფებოდა 2 პატიმარი. თითოეული საკნის ფართობია 18.15 კვ.მ. საწოლზე დაგებულია ლეიბი, გადასაფარებელი და თეთრეული. საკნების განათება საკმარისად ხდება ბუნებრივი და ხელოვნური გზით, გათბობა – ცენტრალური სისტემის საშუალებით, ვენტილაცია – როგორც ცენტრალური სისტემით, ასევე ბუნებრივი გზით. სამართლო საკნებში არის იზოლირებული საპირფარეშოები. საპირფარეშოს ვენტილაცია ხდება ცენტრალური და ბუნებრივი გზით, განათება არის ხელოვნური და საკმარისი. საპირფარეშოში ასევე არის პირსაბანი. საკნების სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

მონიტორინგის დროს სამართლო საკანში მოთავსებულ პირთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ მას საშუალება აქვს, ყოველდღე 1 საათით ისარგებლოს გასეირნების უფლებით, მიიღოს შხაპი, ისარგებლოს ბიბლიოთეკით და შეიძინოს პრესა დაწესებულების მაღაზიაში. პატიმრის გადმოცემით, ექიმი ნახულობს მხოლოდ მოთხოვნის შემთხვევაში.

რუსთავის N6 დაწესებულება

დაწესებულებაში არის 11 სამართლო საკანი. ყველა საკანში დგას თითო საწოლი. საკნების ფართობი არის ერთმანეთის იდენტური და შეადგენს 7 კვ.მ-ს. იმ საკნებში, სადაც მოთავსებული იყვნენ პატიმრები, საწოლებზე დაგებული იყო ლეიბი და ბალიში. თითოეულ საკანს აქვს 0,5 კვ.მ. ზომის თითო ფანჯარა ორმაგი გისოსით. სამართლო საკნების განათება საკმარისად ხდება როგორც ხელოვნური, ასევე ბუნებრივი გზით. თბება ცენტრალური სისტემის საშუალებით; ასევე, ფუნქციონირებს სავენტილაციო

სისტემა. საპირფარეშო საკნიდან გამოყოფილია კედლით, თუმცა არ აქვს კარი. საპირფარეშოში არის ონკანი. საკნების კედლები და ჭერი არის შეღებილი, იატაკი – მოზაიკისა. სამართლო საკნებში დგას მხოლოდ საწოლი, არ არის მაგიდა და სკამი.

მონიტორინგის დროს სამართლო საკნებში მოთავსებულ პირებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ ისინი ვერ სარგებლობენ გასეირნების უფლებით, ვერ სარგებლობენ დაწესებულების მაღაზიით, საკანში წყალი მიეწოდებათ მხოლოდ საკვების დარიგების დროს. პატიმრების განცხადებით, მათ არ აქვთ შხაპის მიღების საშუალება. პატიმრებისათვის ხელმისაწვდომი იყო პრესა. პატიმრების განმარტებით, ექიმმა ისინი მონინახულა სამართლო საკანში განთავსებისას. სამართლო საკნებში განთავსებულმა პატიმრებმა აღნიშნეს, რომ ჭურჭელი და ტუალეტის ქაღალდი წამოიღეს თავიანთი საკნებიდან.

თბილისის N7 დაწესებულება

დაწესებულებაში არის ერთი სამართლო საკანი, რომლის ფართობია 7.1 კვ.მ. მონიტორინგის დროს სამართლო საკანში არ იყო მოთავსებული არც ერთი პატიმარი. საკანში დგას ერთი ორსართულიანი საწოლი, რომელზეც დაგებულია დიქტი და დევეს ლეები. საკანში დგას ერთი მაგიდა და სკამი. სამართლო საკანს აქვს 0.23 კვ.მ. ფართის ერთი ფანჯარა ორმაგი გისოსით, რის გამოც საკნის განათება არ ხდება ბუნებრივი გზით, ხოლო ხელოვნური განათება ხდება არასაკმარისად. საკანში არის ცენტრალური გათბობა. ვენტილაცია ხდება გამწოვის საშუალებით. საპირფარეშო იზოლირებულია, საკანში არის პირსაბანი. საკნის კედლები არის შეღებილი, იატაკზე დაგებულია ლინოლეუმი.

გლდანის N8 დაწესებულება

დაწესებულებაში არის 36 სამართლო საკანი, თუმცა მათგან ფუნქციონირებს 27. 9 სამართლო საკანში არ არის შესაბამისი პირობები პატიმრების მოსათავსებლად, რადგან საკნებში ჩამოდის წყალი, კედლები და ჭერი ნესტიანია და ჩამოქერცილი. სამართლო საკნებში არის 27 ასაკეცი საწოლი. რვა საკნის ფართობია 8.6 კვ.მ., დანარჩენი ოცდათექვსმეტი საკნის ფართობი კი – 8.4 კვ.მ. თითოეულ საკანს აქვს 0.6 კვ.მ. ზომის ფანჯარა. საკნებში კარებზე გამოკრულია პატიმრის ვალდებულებებისა და აკრძალვების ნუსხა. საკნების განათება საკმარისად ხდება როგორც ხელოვნური, ასევე ბუნებრივი გზით; საკნები თბება ცენტრალური სისტემის საშუალებით; ვენტილაცია ხდება ბუნებრივი გზით. საპირფარეშოები ნახევრად იზოლირებულია და საკნიდან გამოყოფილია 1,66 მ. კედლით.

სამართლო საკნებში განთავსებულ პირებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ ისინი ვერ სარგებლობენ გასეირნებისა და მაღაზიით სარგებლობის უფლებით. პატიმრებს არ აქვთ შხაპის მიღების საშუალება. პატიმრებისათვის არ არის ხელმისაწვდომი ბიბლიოთეკა და

პრესა. სამარტოო საკნებში მოთავსებულ პატიმრებს აქვთ ჭიქა, ჯამი და პლასტმასის კოვზი. დაწესებულების ადმინისტრაცია მათ აძლევს მხოლოდ საპონს, ტულეტის ქაღალდად კი პატიმრები ჟურნალ-გაზეთების ნახევებს იყენებენ. ზაფხულში ჩატარებული მონიტორინგის დროს სამარტოო საკანში მჯდომმა ერთ-ერთმა პირმა განაცხადა, რომ მას არ უთხრეს, რამდენი დღით არის მოთავსებული სამარტოო საკანში. ასევე, მისი თქმით, ჰქონდა შიში, რომ სამარტოო საკნიდან გაყვანის შემდეგ მას კვლავ მოათავსებდნენ კარანტინში. პატიმარმა ასევე განაცხადა, რომ ხმაურის შემთხვევაში შედიან დაწესებულების თანამშრომლები და პატიმრებს სცემენ.

თბილისის N12 დაწესებულება

დაწესებულებაში არის 2 სამარტოო საკანი 18 და 15 კვ.მ. ფართობისა. თითოეულ საკანში დგას ორსართულიანი 2 საწოლი, რომლებზეც დაგებულია ღრუბელი და გადასაფარებელი. საკნებში დგას ერთი მაგიდა და სკამი. საკნებში არ არის ხელოვნური სავენტილაციო სისტემა და ისინი არ ნიავდება არც ბუნებრივად, რადგან არც ერთი ფანჯარა არ იხსნება. იატაკი ბეტონისაა, ჭერი და კედლები შეღებილია, საპირფარეშო ნახევრად იზოლირებულია 1.6 მ. კედლით. მონიტორინგის დროს სამარტოო საკანში არ იმყოფებოდა არც ერთი მსჯავრდებული.

გეგუთის N14 დაწესებულება

დაწესებულებაში არის 15 სამარტოო საკანი. ცხრა 4 ადგილიანი, 15.5 კვ.მ. ფართობისა, სამი 1-ადგილიანი, 5.8 კვ.მ. ფართობისა და სამი 2-ადგილიანი, 5.8 კვ.მ. ფართობისა. სამარტოო საკნებში არის საწოლები, რომლებზეც დაგებულია დიქტი და ლეიბი. პატიმრებს გადასაფარებლები ეძლევათ სადამოიბით. ყველა საკანს აქვს 0,67 კვ.მ. ზომის თითო ფანჯარა. ერთადგილიან საკნებში არის საპირფარეშო, რომელიც საკნიდან ნახევრად იზოლირებულია 1,4 მ კედლით, დანარჩენ საკნებში კი საპირფარეშოები იზოლირებულია. სამარტოო საკნების განათება ხდება როგორც ხელოვნური, ასევე ბუნებრივი გზით. ბუნებრივი განათება არის საკმარისი, ხელოვნური კი არასაკმარისია. საკნების თბება ცენტრალური სისტემის საშუალებით, ვენტილაცია – როგორც ცენტრალური, ასევე ბუნებრივი გზით. საკნებში არის ონკანი პირსაბანით. სამარტოო საკნების საერთო მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. ყველა სამარტოო საკანში დგას მაგიდა და სკამი.

მსჯავრდებულებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ სამარტოო საკანში მყოფი პირები სარგებლობენ ჰიგიენური ნივთების შექმნის უფლებით დაწესებულების მაღაზიაში, შხაპის მიღების უფლებითა და გასეირნებით, რაც არ ხდება არც ერთ სხვა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში.

ქსნის N15 დაწესებულება

დაწესებულებაში არის 16 სამართლო საკანი, მოქმედებს 15, ხოლო ერთი საკანი გამოყენებულია საწყობად. მოქმედი საკნებიდან 10 ერთადგილიანია, 5 – ორადგილიანი. თითოეულ საკანში დგას 1 მაგიდა, სკამი და ტუმბო. თითოეული საკნის ფართობია 18 კვ.მ. საკნებში დგას ერთსართულიანი საწოლები, მათზე დაგებულია ლეიბი. ყველა საკანს აქვს 0.5 კვ.მ. ზომის თითო ფანჯარა. სამართლო საკნების განათება საკმარისად ხდება როგორც ხელოვნური, ასევე ბუნებრივი გზით. თბება ცენტრალური სისტემის საშუალებით, ვენტილაცია – გამწოვის მეშვეობით. საპირფარეშოები არის ნახევრად იზოლირებული. საკანში არის ონკანი/პირსაბანი. საკნების იატაკი არის მოზაიკისა, ჭერი და კედლები – შეღებილი. საკნების ზოგადი სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

მონიტორინგის დროს სამართლო საკნებში მოთავსებულ პატიმრებთან გასაუბრებით გაირკვა, რომ ისინი ვერ სარგებლობენ გასიერების უფლებით, არ აქვთ საშუალება, მიიღონ შხაპი. სამართლო საკნებში მყოფი პატიმრებისთვის არ არის ხელმისაწვდომი ბიბლიოთეკა. მათ შესაძლებლობა ჰქონდათ, წაეკითხათ მხოლოდ ლოცვები და ფსალმუნები, პრესით სარგებლობის უფლება, მათი განმარტებით, არ მოუთხოვიათ. სამართლო საკნებში მყოფ პატიმრებს, მათივე თქმით, ექიმი ყოველდღიურად ნახულობდა. საკანში მოთავსებისას პატიმრებს ადმინისტრაცია უზრუნველყოფს საპნითა და ტუალეტის ქაღალდით.

რუსთავის N16 დაწესებულება

დაწესებულებაში არის 9 სამართლო საკანი (4 და 10 ადგილიანი). 4-ადგილიანი საკნის ფართობია 14.6 კვ.მ., 10 ადგილიანი საკნისა კი – 19.45 კვ.მ. საკნების განათება საკმარისად ხდება როგორც ხელოვნური, ასევე ბუნებრივი გზით, თბება ცენტრალური სისტემის საშუალებით, ვენტილაცია – კედელში ჩამონტაჟებული ვენტილატორის მეშვეობით. საპირფარეშო არის ნახევრად იზოლირებული და 1,46 მ სიმაღლის კედლითაა გამოყოფილი. პირსაბანი არის დამონტაჟებული საპირფარეშოში. სამართლო საკნების სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა არის ნორმალური. საკნებში დგას მაგიდა, სკამი და ტუმბო. საწოლზე დაგებულია ლეიბი და გადასაფარებელი, დევეს ბალიში. სამართლო საკნებში განთავსებულ პირებს აქვთ შამპუნი, საპონი, ტუალეტის ქაღალდი, ჭურჭლის სარეცხი ღრუბელი.

მონიტორინგის დროს სამართლო საკნებში განთავსებულ პატიმრებთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ ზოგიერთ მათგანს არ ჰქონდა ინფორმაცია, თუ რამდენი ხნით იყვნენ დასჯილები.

რუსთავის N17 დაწესებულება

დაწესებულებაში არის 16 სამართლო საკანი, თუმცა იყენებენ მხოლოდ 8 საკანს, რადგან ერთს აქვს საკარანტინე საკნის დანიშნულება, დანარჩენი შვიდი კი საიზოლაციო საკნებად გამოიყენება.

N	საკნის N	საწოლების რაოდენობა	ფართი
1	N6	4	16.65კვ.მ
2	N8	8	19.24კვ.მ
3	N4	4	17კვ.მ

საწოლებზე დაგებულია ლეიბები. ყველა საკანს აქვს 0.72 კვ.მ. ზომის თითო ფანჯარა. სამართლო საკნების განათება საკმარისად ხდება როგორც ხელოვნური, ასევე ბუნებრივი გზით, თბება ცენტრალური სისტემის საშუალებით, ვენტილაცია – როგორც ცენტრალური სისტემით, ასევე ბუნებრივი გზით. სამართლო საკნებში დამონტაჟებულია ონკანი. საპირფარეშოები იზოლირებულია. საკნები საჭიროებს რემონტს.

მონიტორინგის დროს კარცერში მოთავსებულ პატიმრებთან გასაუბრებით გაირკვა, რომ ისინი ვერ სარგებლობენ გასეირნების უფლებით, დაწესებულების მაღაზიით, არ აქვთ საშუალება, მიიღონ შხაპი, წყალი მიეწოდებათ გრაფიკით. სამართლო საკნებში მოთავსებული პირებისათვის არ არის ხელმისაწვდომი ბიბლიოთეკა და პრესა. მათ ყოველდღიურად არც ექიმი ნახულობს.

N19 ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულება

დაწესებულებაში არის 9 სამართლო საკანი, მათგან 5 – მოქმედი, რომელთაგან სამს იყენებენ კარანტინისათვის. მონიტორინგის დროს სამართლო საკნებში იმყოფებოდა 20 პატიმარი, აქედან 1 – თვითიზოლაციით, დანარჩენები კი იმ დღეს იყვნენ ეტაპირებულები სხვადასხვა დაწესებულებიდან და განაწილებამდე იმყოფებოდნენ საკარანტინე საკნებში.

სამართლო საკნებში სულ დგას 12 ერთადგილიანი საწოლი. თითოეულ საკანს აქვს თითო ფანჯარა, რომლის ზომაა 0.3 კვ.მ. და არ აქვს მინა. სამართლო საკნების განათება ხდება როგორც ხელოვნური, ასევე ბუნებრივი გზით, თუმცა ბუნებრივი განათება არ არის საკმარისი ფანჯრების ზომის გამო. საკნებში არ არის გათბობის ცენტრალური და სავენტილაციო სისტემა. საპირფარეშო იზოლირებულია, თუმცა არის ანტისანიტარია, არ აქვს ჩასარეცი. წყალის მიეწოდება გრაფიკით. საპირფარეშოებში არის პირსაბანი,

რომელიც არ მუშაობს. სამართლო საკნების კედლები და ჭერი ნესტიანი და ჩამოქერცლილია, ბეტონის იატაკი ამოყრილია. დაწესებულების ადმინისტრაცია აღნიშნავს, რომ სამართლო საკნები აღარ გამოიყენება. აღნიშნულს ასევე ადასტურებენ მსჯავრდებულები, ასევე – N19 დაწესებულების სამართლო საკნებში მოთავსებულ პირთა ჟურნალი.

რეკომენდაცია საქართველოს სასჯელაღსრულების, პროზაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრს:

- უზრუნველყოფილ იქნეს სამართლო საკნებში განთავსებული პირებისათვის კანონით მინიჭებული ყველა უფლების, მათ შორის, გასეირნების, აბანოთი სარგებლობის, ჰიგიენური ნივთების შეძენისა და ბიბლიოთეკით სარგებლობის უფლებების რეალიზება;
- გარემონტდეს N12, N17 და N19 დაწესებულებების სამართლო საკნები.

კონტაქტი გარე სამყაროსთან

ხანმოკლე პაემანი

არასრულწლოვანთა აღმზრდელითი დაწესებულების გარდა ყველა დაწესებულებაში პაემანი დგება შუშით გადატიხრულ ოთახში, სადაც პატიმარი მოკლებულია ოჯახის წევრებთან ყოველგვარი ფიზიკური ურთიერთობის საშუალებას. ზოგიერთ შემთხვევაში შუშას აქეთ-იქით აქვს რკინის ცხაური, რომელიც მნახველის წესიერად დანახვის საშუალებასაც არ იძლევა. წამების პრევენციის ევროპულმა კომიტეტმა (CPT) რეკომენდაცია მისცა შესაბამის ორგანოებს, გადახედონ პაემნების საკითხს ისე, რომ პატიმრებს შესაძლებლობა მიეცეთ, მიიღონ მნახველები ნაკლებად შეზღუდულ ვითარებაში. ამ თვალსაზრისით დაწესებული ყველანაირი შეზღუდვა, კომიტეტის აზრით, უნდა ემყარებოდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში რისკების ინდივიდუალურ შეფასებას. კომიტეტის აზრით, „გარკვეულ შემთხვევებში ამგვარი მეთოდი გამართლებულია უსაფრთხოების და გამოძიებასთან დაკავშირებული ინტერესებით. თუმცა ყველა კატეგორიის პატიმართათვის ღია ვიზიტები უნდა იყოს წესი, ხოლო დახურული მკაცრი წესები – მხოლოდ გამონაკლისი.“⁴⁸⁰

პატიმრობის კოდექსის მე-17 მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, ხანმოკლე პაემანი ეწყობა 1-იდან 2 საათამდე ვადით. პატიმრების გადმოცემით, სხვადასხვა დაწესებულებაში პრაქტიკა არაერთგვაროვანია – N8 და N2 დაწესებულებებში პაემნის ხანგრძლივობა 40–45 წუთია; N4 დაწესებულებაში – 15–20 წუთი, N3 დაწესებულებაში კი – 10–15 წუთი.

⁴⁸⁰ 2007 წლის 21 მარტიდან 2 აპრილამდე განხორციელებული ვიზიტი საქართველოში, პარ.91

ხანგრძლივი პაემანი

დადებითად უნდა აღინიშნოს პატიმრობის კოდექსში შესული ცვლილება, რომლის თანახმადაც, პატიმრების გარკვეულ ნაწილს მიეცა უფლება ისარგებლოს ხანგრძლივი პაემნით. ამ მიზნით გეგუთის N14, რუსთავის N6, N16 და N17, არასრულწლოვანთა N11 დაწესებულებებში აშენდა სასტუმროს ტიპის ოთახები და 2011 წელს აღნიშნული უფლებით ისარგებლა 3369 მსჯავრდებულმა. ხანგრძლივი პაემნებისათვის განკუთვნილი ინფრასტრუქტურა არ არის N15 და N5 დაწესებულებებში.

მიუხედავად ზემოთქმულისა, ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის საშუალება არ აქვთ იმ მსჯავრდებულებს, რომლებიც, სასჯელის ზომიდან გამომდინარე, ყველაზე მეტად საჭიროებენ ოჯახთან კონტაქტის დამატებით საშუალებებს. პატიმრობის კოდექსის მე-17² მუხლის მეექვსე ნაწილის თანახმად, „ხანგრძლივი პაემანი არ ეძლევა დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფ მსჯავრდებულს, გარდა უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულისა, აგრეთვე იმ მსჯავრდებულს, რომელიც არის საკარანტინე რეჟიმში, დაკისრებული აქვს დისციპლინური სახდელი ან/და შეფარდებული აქვს ადმინისტრაციული პატიმრობა.“

ხანგრძლივი პაემანი, პირველ რიგში, რესოციალიზაციისა და ახლობლებთან მჭიდრო კონტაქტის შენარჩუნების საუკეთესო საშუალებაა, რაც დახურული ტიპის დაწესებულებაში განთავსებულ მსჯავრდებულებს განსაკუთრებით ესაჭიროებათ. აღნიშნულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ პატიმრობის კოდექსში უნდა შევიდეს შესაბამისი ცვლილებები და ხანგრძლივი პაემნის უფლებით უნდა ისარგებლონ დახურული ტიპის დაწესებულებაში განთავსებულმა მსჯავრდებულებმაც. აღნიშნული ცვლილება კიდევ ერთი წინგადაგმული ნაბიჯი იქნება, რაც ხელს შეუწყობს მსჯავრდებულთა რესოციალიზაციას.

ვიდეოპაემანი

დადებითი ცვლილებაა, ასევე, პატიმრებისთვის ვიდეოპაემნით სარგებლობის უფლების მინიჭებაც. პატიმრობის კოდექსის მე-17¹ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად⁴⁸¹, „თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფ მსჯავრდებულს, გარდა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდებულისა და ამ კოდექსის 50-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირისა, უფლება აქვს, ისარგებლოს ვიდეოპაემნით (პირდაპირი ხმოვანი და ვიზუალური ტელევიზიით) ნებისმიერ პირთან.“

საანგარიშო პერიოდში, ვიდეოპაემნისთვის განკუთვნილი ინფრასტრუქტურა მოქმედებდა არასრულწლოვანთა N11 და ქსნის N15 დაწესებულებებში. 2011 წლის

⁴⁸¹ მოქმედებს 2011 წლის პირველი იანვრიდან;

განმავლობაში ვიდეოპაემნით ისარგებლა 517 მსჯავრდებულმა, აქედან N11 დაწესებულებაში – 13 მსჯავრდებულმა და N15 დაწესებულებაში 504 მსჯავრდებულმა.

როგორც ხანგრძლივი პაემნებისას, ვიდეოპაემნების დაშვება ყველა კატეგორიის მსჯავრდებულებისთვის პოზიტიური ცვლილება იქნებოდა და დიდ წვლილს შეიტანდა მსჯავრდებულების რესოციალიზაციის პროცესში, მით უმეტეს, რომ ვიდეოპაემნებით სარგებლობა შეუძლიათ არა მხოლოდ ოჯახის წევრებს, არამედ მეგობრებსა და ახლობლებსაც. პატიმრობის კოდექსის დათქმა, რომელიც გარკვეული კატეგორიის მსჯავრდებულებს უკრძალავს ვიდეოპაემნით სარგებლობას, უფრო დამატებითი სასჯელის ხასიათს ატარებს და ამ სახით გაუმართლებელია, ვინაიდან ყველანაირი აკრძალვა და შეზღუდვა უნდა იყოს ინდივიდუალური ხასიათისა და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შესაბამისად უნდა იყოს დასაბუთებული.

წინადადება საქართველოს პარლამენტს:

- პატიმრობის კოდექსში განხორციელდეს შესაბამისი ცვლილებები და დამატებები, რომლებიც უზრუნველყოფს ყველა კატეგორიის მსჯავრდებულთა უფლებას გრძელვადიან პაემნებზე;
- პატიმრობის კოდექსში განხორციელდეს შესაბამისი ცვლილებებისა და დამატებების შეტანა, რომლებიც უზრუნველყოფს ყველა კატეგორიის მსჯავრდებულის უფლებას ვიდეოპაემანზე.

რეკომენდაცია საქართველოს, სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრს: ქსნის N15 და ქალთა N5 დაწესებულებებში მოკლე ვადებში აშენდეს გრძელვადიანი პაემნებისათვის განკუთვნილი ინფრასტრუქტურა;

რეკომენდაციები სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს:

- უზრუნველყოფილ იქნეს ხანმოკლე პაემნები შუშის ტიხარისა და რკინის ცხაურის გარეშე; ყოველგვარი გამონაკლისი დასაბუთდეს ინდივიდუალურად, კონკრეტული გარემოებებიდან ან მსჯავრდებულის (მნახველის) პიროვნებიდან გამომდინარე;
- მკაცრად გაკონტროლდეს პაემნების ხანგრძლივობის კანონის შესაბამისად დარეგულირება ყველა დაწესებულებაში.

სატელეფონო საუბრები

პატიმრობის კოდექსის თანახმად, ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მსჯავრდებულს უფლება აქვს 1 თვის განმავლობაში საკუთარი ხარჯით ჰქონდეს 3 სატელეფონო საუბარი, თითოეული – არა უმეტეს 15 წუთისა, დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში კი 1 თვის განმავლობაში საკუთარი ხარჯით ჰქონდეს 2 სატელეფონო საუბარი, თითოეული – არა უმეტეს 15 წუთისა.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, გლდანის N8 დაწესებულებაში პატიმრებს უფლება აქვთ, თვეში ორჯერ ჰქონდეთ სატელეფონო საუბარი ერთ ნომერზე და ისიც 3–5 წუთი. ბათუმის N3 დაწესებულებაში, ისევე, როგორც წინა წლებში, არ არის სატელეფონო ხაზი და არც ტელეფონის აპარატურა დამონტაჟებული, შესაბამისად, პატიმრები, უკვე რამდენიმე წელია, ვერ სარგებლობენ კანონით მინიჭებული სატელეფონო საუბრის უფლებით, რაც არაერთხელ გამხდარა სახალხო დამცველის ყურადღების საგანი, თუმცა დღემდე პრობლემის მოგვარება ვერ მოხერხდა. ტელეფონის არქონა განსაკუთრებით აისახება უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე, რომლებიც N3 დაწესებულებაში მრავლად არიან და რომელთათვისაც ტელეფონი ახლობლებთან ურთიერთობის ერთადერთი საშუალებაა.

ახალი სატელეფონო ბარათებით მსჯავრდებულებს შესაძლებლობა ეძლევათ, დარეკონ 15 წუთის განმავლობაში მხოლოდ ორ ნომერზე. რამდენიმე ზარის განხორციელებისთვის მსჯავრდებული იძულებული ხდება, შეიძინოს რამდენიმე ბარათი, რაც შესაბამის ხარჯებთან არის დაკავშირებული. ზოგიერთ დაწესებულებაში შესაძლებელია ერთი ბარათით სამ ნომერზე დარეკვაც.

რეკომენდაცია სასჯელაღსრულების დეპარტამენტს:

- უზრუნველყოფილ იქნეს ყველა პატიმრის უფლების სრული რეალიზაცია სატელეფონო საუბრებზე, მათ შორის, იმ პირების ინტერესების გათვალისწინებით, რომელთა ახლობლები არ იმყოფებიან საქართველოში;
- უზრუნველყოფილ იქნეს მსჯავრდებულთათვის სტანდარტული, მრავალჯერადი მოხმარების სატელეფონო ბარათების დამზადება.

პრესის, ტელე- და რადიომაუწყებლობის ხელმისაწვდომობა

ციხის ევროპული წესების თანახმად, „პატიმრებს უნდა მიეცეთ საშუალება, რეგულარულად შეიტყონ საზოგადოებრივი მოვლენების შესახებ და ამისათვის გამოიწერონ და იკითხონ გაზეთები, პერიოდული გამოცემები და სხვა პუბლიკაციები, მოუსმინონ რადიოს ან სატელევიზიო გადაცემებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც

კონკრეტული აკრძალვა დაწესებული სასამართლო ხელისუფლების მიერ გარკვეული პერიოდის განმავლობაში ინდივიდუალურ შემთხვევაში“.⁴⁸²

სახალხო დამცველის არაერთ ანგარიშშია მოხსენიებული დახურული ტიპის დაწესებულებებში (გარდა ქსნის N15 დაწესებულებისა, სადაც დახურული რეჟიმის ყველა საკანში არის ტელევიზორი) ტელევიზორების არქონა. იმ პირობებში, როცა პატიმრები დღე-ღამეში მინიმუმ 23 საათს საკანში ატარებენ და არ არიან დაკავებული არანაირი საქმიანობით, ტელევიზორის არქონა განსაკუთრებით მიუღებელია. სახალხო დამცველი იმედოვნებდა, რომ ახალი პატიმრობის კოდექსის ძალაში შესვლა, რომელშიც ტელევიზორის ქონა ზოგადად არის დაშვებული, გამოასწორებდა მდგომარეობას, თუმცა ცვლილება მხოლოდ ქალაქში აისახა და ტელევიზორი, სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს თვალსაზრისით, კვლავ ზედმეტი ფუფუნებაა პატიმრებისთვის.

რუსთავის N6 დაწესებულებაში (ტელევიზორის ქონის უფლება მხოლოდ უვადო თავისუფლებადაკვეთილ მსჯავრდებულებს აქვთ), ქუთაისის N2 დაწესებულებაში (ტელევიზორები მხოლოდ ქალ პატიმრებს აქვთ), გლდანის N8 დაწესებულებასა და N18 ბრალდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში ტელევიზორის ქონა არ არის დაშვებული. თბილისის N7 დაწესებულებაში მსჯავრდებულები სატელევიზიო პროგრამების ნაცვლად ისევ DVD-ის საშუალებით უყურებენ ერთსა და იმავე ჩანაწერებს.

წამების პრევენციის ევროპულმა კომიტეტმა (CPT)⁴⁸³ თავის ანგარიშში რეკომენდაციით მიმართა საქართველოს მთავრობას გლდანის N8 დაწესებულებაში ტელევიზორების დაშვების თაობაზე,⁴⁸⁴ თუმცა ისევე, როგორც სახალხო დამცველის რეკომენდაცია, წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის რეკომენდაციაც უგულვებლყოფილია საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მიერ.

პრესის ხელმისაწვდომობა თითქმის ყველა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში პრობლემაა. საანგარიშო პერიოდში სასჯელაღსრულების დაწესებულებების მაღაზიებში პერიოდულად ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ გაზეთი „კვირის პალიტრა“, კროსვორდები და ჟურნალები „სარკე“, „თბილისელები“, „გზა“ და „რეიტინგი“. გლდანის N8 დაწესებულების მაღაზიაში ასევე შესაძლებელი იყო რუსულენოვანი ჟურნალებისა და კროსვორდების შეძენაც. მონიტორინგის დროს სახალხო დამცველის ერთ-ერთი რეკომენდაცია საპარლამენტო მოხსენებებში შეეხებოდა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში პრესის ხელმისაწვდომობას. მიუხედავად აღნიშნულისა, თითქმის ყველა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში აიკრძალა პრესის ამანათით შეგზავნა. ასევე, პრესა აღარ იყიდებოდა დაწესებულების მაღაზიებში.

⁴⁸² წესი 24.10

⁴⁸³ რეკომენდაცია ვაკეთდა N8 დაწესებულებაზე, სადაც კომიტეტმა ვიზიტი განახორციელა, თუმცა შეეხებოდა ყველა დახურული ტიპის დაწესებულებას

⁴⁸⁴ წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის 2010 წლის 5-15 თებერვლის ვიზიტის ანგარიში საქართველოს მთავრობას, პარ. 82

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად,⁴⁸⁵ „2011 წლის 14 ნოემბერს, ურთიერთშეთანხმების მეომორანდუმით გაფორმდა საქართველოს ფოსტასთან, რომლის საფუძველზეც დამატებითი სერვისი დაინერგა სასჯელაღსრულების სისტემაში. მსჯავრდებულის და ბრალდებულის ოჯახის წევრებს შესაძლებლობა აქვთ დაწესებულებებში გზავნილები საქართველოს ფოსტის მეშვეობით ნებისმიერი რეგიონიდან სპეციალურ, შეღავათიან ფასად გაგზავნონ. ნებადართული ნივთების ჩამონათვალი, რომლის გაგზავნაც ფოსტით არის შესაძლებელი, საქართველოს ფოსტის ყველა ობიექტში თვალსაჩინო ადგილას არის ხელმისაწვდომი.“

პატიმართა გადმოცემით, მათ სოციალური სამსახურის თანამშრომლებმა მიაწოდეს ინფორმაცია აღნიშნული სერვისის შესახებ და უთხრეს, რომ გაზეთების შეგზავნა შესაძლებელია საფოსტო გზავნილებით, თუმცა, მსჯავრდებულების გადმოცემით, საფოსტო განყოფილებაში მისვლისას ოჯახის წევრებს ზეპირსიტყვიერად ეუბნებიან, რომ „პოლიტიკური შინაარსის გაზეთების“ გაგზავნა არ შეიძლება. აღნიშნული საკითხი საჭიროებს სიღრმისეულ შესწავლას.

პატიმრებს შესაძლებლობა აქვთ, იქონიონ მიმოწერა ოჯახის წევრებთან და სხვა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მყოფ პირებთან. ასევე, შესაძლებლობა აქვთ, წერილი გააგზავნონ საზღვარგარეთ, თუმცა ფასის გამო (84 ლარი) საჭიროების შემთხვევაშიც ხშირად თავს იკავებენ აღნიშნული სერვისით სარგებლობისგან.

რეკომენდაცია სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს:

- უზრუნველყოფილ იქნეს ტელევიზორის ქონისა და ტელეტრანსლაციის მიღების უფლება ყველა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, განურჩევლად მისი ტიპისა;
- ყველა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში უზრუნველყოფილ იქნეს პრესის სრული ხელმისაწვდომობა როგორც ამანათის, ისე მაღაზიისა და ბანდეროლის გზით.

საჩივრები და განცხადებები

საჩივრის ყუთები ყველა სასჯელაღსრულების დაწესებულებაშია დამონტაჟებული, თუმცა ისევე, როგორც წინა წლებში, ზოგიერთ დაწესებულებაში კვლავ პრობლემად რჩება პატიმრების საჩივარ-განცხადებების ადრესატებთან გაგზავნა. პატიმრობის კოდექსის მე-16 მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, „ადმინისტრაციას ეკრძალება

⁴⁸⁵ http://www.mcla.gov.ge/index.php?action=page&p_id=670&lang=geo

შეაჩეროს ან შეამოწმოს საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, საქართველოს პარლამენტის წევრის, სასამართლოს, ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს, საერთაშორისო ორგანიზაციის, რომელიც შექმნილია საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროს საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე, საქართველოს სამინისტროს, დეპარტამენტის, საქართველოს სახალხო დამცველის, დამცველის, პროკურორის სახელზე გაგზავნილი ბრალდებულის/მსჯავრდებულის განცხადება, მოთხოვნა და საჩივარი.“

სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის ანგარიშებში არაერთგზის ყოფილა მითითება პატიმრების მიმოწერის უფლების დარღვევებზე, თუმცა აღნიშნული პრობლემა დღემდე მოუგვარებელია. 2011 წლის განმავლობაში სახალხო დამცველის პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტში შემოვიდა პატიმრებისა და მათ ოჯახების/ადვოკატების 1000-ზე მეტი განცხადება-საჩივარი, თუმცა მათი უდიდესი ნაწილი პატიმრების ადვოკატებმა და ოჯახის წევრებმა შემოიტანეს ან მსჯავრდებულებმა პირადად გადასცეს მონიტორინგის ჯგუფს. გეგუთის N14 დაწესებულებაში მსჯავრდებულებმა აღნიშნეს, რომ ნებისმიერი საჩივარი, ეხება თუ არა იგი დაწესებულების ადმინისტრაციას, არ იგზავნება. იგივე შესაძლებელია ითქვას სხვა სასჯელალსრულებების დაწესებულებებზე, კერძოდ, დაწესებულებების ადმინისტრაცია ცდილობს, მაქსიმალურად ნაკლები განცხადება-საჩივარი გაიგზავნოს სხვადასხვა უწყებაში.

გარდა ამისა, იმ იშვიათ შემთხვევებშიც კი, როდესაც პატიმარს საშუალებას აძლევენ, თავად გამოაგზავნოს განცხადება, მას ზოგჯერ ახლავს დაწესებულების დირექტორის ხელმოწერილი თავფურცელი, რის გამოც ნათელი ხდება, რომ კონფიდენციალურობის დაცვაზე ნებისმიერ შემთხვევაში ზედმეტია ლაპარაკი (მაგ. თბილისის N1 დაწესებულება).

რეკომენდაცია სასჯელალსრულების დეპარტამენტს:

- უზრუნველყოფილ იქნეს პატიმრებისთვის კანონით მინიჭებული უფლების რეალიზაცია და მათი საჩივარ-განცხადებებისა და სხვა სახის კორესპონდენციის ადრესატებთან დროული გადაგზავნა;
- უზრუნველყოფილ იქნეს პატიმრების კორესპონდენციის კონფიდენციალურობა კანონით დადგენილ პირობებში.

ამანათი

პატიმრობის კოდექსის მე-14 მუხლის პირველი ნაწილის „ა.ე“ ქვეპუნქტის თანახმად, ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს მიიღოს და გააგზავნოს ამანათები. ამავე კანონის 23-ე მუხლის მეექვსე ნაწილის თანახმად, „ბრალდებულს/მსჯავრდებულს

უფლება აქვს, დეპარტამენტის თავმჯდომარის ნებართვით მიიღოს დამატებითი კვების პროდუქტები და პირველადი მოხმარების საგნები ამანათის სახით“.

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2012 წლის 2 მარტის №32 ბრძანების თანახმად, „პატიმრობის, თავისუფლების აღკვეთის, შერეული ტიპის ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა დაწესებულებების, ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებებისა და ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებების დებულებების დამტკიცების შესახებ,“ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2011 წლის 30 მაისის №97 ბრძანებაში შევიდა ცვლილებები, რომლებითაც განისაზღვრა იმ პირველადი მოხმარების საგნების ჩამონათვალი, რომელთა ამანათით მიღების უფლებაც აქვს ბრალდებულსა და მსჯავრდებულს. დაიშვება მხოლოდ გარკვეული სახეობის კვების პროდუქტები, სასმელები, ტანსაცმელი, თეთრეული, ჰიგიენის ნივთები, გარკვეული სახის წიგნები და სხვა ნივთები.

მონიტორინგის ჯგუფის დაკვირვებით, ბოლო წლების განმავლობაში სასჯელაღსრულების დეპარტამენტი მაქსიმალურად ამცირებს იმ ნივთებისა და პროდუქტების ჩამონათვალს, რომელთა მიღებაც ამანათის სახით შეიძლება. პრევენციული ჯგუფისთვის გაურკვეველია ზოგიერთი აკრძალვის მიზანი. მაგალითად, თუ ამანათის სახით დაშვებულია ერთი სახეობის ციტრუსი – ლიმონი, რატომ არ არის დაშვებული ფორთოხლის ან გრეიფუტის ან სხვა სახის ციტრუსის შემწვება. რაც შეეხება ქარხნული წესით დამუშავებულ თაფლს, აღსანიშნავია, რომ ასეთი სახის თაფლი იყიდება დაწესებულებების მაღაზიაშიც და პატიმრების უმეტესობა აღნიშნავს, რომ იგი არ არის ნატურალური და უხარისხოა.

რაც შეეხება ტანსაცმელს, გაურკვეველია, რატომ აიკრძალა ჯინსის, “ბრიჯის” და “შორტის” შეგზავნა, როდესაც ზაფხულში, გაუსაძლისი სიცხეების დროს, პატიმრების მდგომარეობა ისედაც მძიმეა. ქალებისთვის აუცილებელი ჰიგიენური ნივთები, ამავე ბრძანების მიხედვით, დაიშვება მხოლოდ N5 ქალთა დაწესებულებაში. ბრძანება არ ითვალისწინებს იმ ქალი პატიმრების საჭიროებებს, რომლებიც განთავსებული არიან ქუთაისის N2, ბათუმის N3 და ზუგდიდის N4 დაწესებულებებში.

ასევე, გაურკვეველია რატომ არ შეიძლება პატიმარმა მიიღოს 2–ზე მეტი ფოტოსურათი და რას ემსახურება აღნიშნული აკრძალვა.

ამის პარალელურად, აკრძალულია ყველა იმ სახეობის ტანსაცმლის ან ფეხსაცმლის მიღება, რომელთა შემოწმებასაც სულ მცირე შრომა მაინც სჭირდება დაწესებულების თანამშრომლების მხრიდან: თბილი ქურთუკი, სქელძირიანი ფეხსაცმელი, სარჩულიანი ტანსაცმელი და ა.შ. შესაბამისად, ხშირად პატიმრების ტანსაცმელი არ შეესაბამება კლიმატურ პირობებს. ეს განსაკუთრებით თვალშისაცემია ზამთრის ცივ პერიოდში.

რეკომენდაცია სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს: უზრუნველყოს ხელახალი ნორმატიული აქტის გამოცემა, რომელშიც ამანათით დასაშვები ნივთების

ჩამონათვალი მორგებული იქნება არა მხოლოდ რეჟიმის და უსაფრთხოების, არამედ პატიმართა რეალურ საჭიროებებზეც. კერძოდ, განისაზღვრება სეზონური ხილის, ტანსაცმლისა და აუცილებელი ჰიგიენური ნივთების, ასევე, ფოტოსურათების გონივრული ლიმიტის ფარგლებში მიღება.

მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია

სახალხო დამცველმა თავის არაერთ ანგარიშში აღნიშნა, რომ პატიმრობის პირობები უნდა უზრუნველყოფდეს პატიმრის რესოციალიზაციასა და რეინტეგრაციას საზოგადოებაში და არ უნდა იყოს ორიენტირებული მხოლოდ დასჯაზე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მსჯავრდებულმა სასჯელის მოხდის პერიოდში უნდა მიიღოს ან გააღრმავოს შესაბამისი განათლება და პროფესიული უნარ-ჩვევები, მიეცეს საშუალება, მონაწილეობა მიიღოს სპორტულ თუ სხვა სახის ღონისძიებებში, კონკურსებში, ჰქონდეს შესაბამისი პირობები, რათა თვალყური ადევნოს გარეთ მიმდინარე პროცესებს, კონტაქტი იქონიოს ახლობლებთან და ოჯახის წევრებთან. ეს ყველაფერი აუცილებელია მსჯავრდებულის საზოგადოებაში დაბრუნებისთვის მოსამზადებლად.

სასჯელალსრულების სისტემაში აღნიშნული კომპონენტი დღესდღეობით უმნიშვნელოა, თუმცა სასჯელალსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრო, ასე თუ ისე, ცდილობს, გადადგას ნაბიჯები აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად. უკანასკნელ პერიოდში რამდენიმე დაწესებულებაში ფუნქციონირება დაიწყო სხვადასხვა სახის სასწავლო თუ სარეაბილიტაციო პროგრამებმა (იხ. ქვემოთ). კარგი იქნება, თუ აღნიშნული პროცესი შეუქცევადი გახდება, პროგრამები არ იქნება ერთჯერადი და მოკლევადიანი, არამედ განხორციელდება წინასწარ განსაზღვრული გეგმის ფარგლებში.

რეკომენდაცია სასჯელალსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრს: უახლოეს მომავალში უზრუნველყოს მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის სამოქმედო გეგმის შემუშავება, დაწესებულების ტიპების და მსჯავრდებულთა კატეგორიების გათვალისწინებით, რაც შემდგომში საფუძვლად დაედება მსჯავრდებულთათვის სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმის შემუშავებას.

სასჯელალსრულების დაწესებულებების სოციალური სამსახური

პატიმრის რესოციალიზაციაში მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს სასჯელალსრულების დეპარტამენტის სოციალურმა სამსახურმა, რომელიც მეტ-ნაკლებად ორიენტირებული და პასუხისმგებელი უნდა იყოს პატიმართა უფლებების დაცვაზე, მათ რეაბილიტაციასა და რესოციალიზაციაზე. აღნიშნული სამსახურის

უფლება–მოვალეობები განსაზღვრულია საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის „სოციალური სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ N35 ბრძანებით.

პრაქტიკაში სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სოციალური სამსახურის საქმიანობა შორსაა კანონმდებლობის მოთხოვნებისგან. ზოგიერთ დაწესებულებაში, პატიმრებს საერთოდ არ აქვთ ინფორმაცია ამ სამსახურის შესახებ, ზოგიერთში კი სოციალური მუშაკები ძირითადად რეჟიმისა და უსაფრთხოების თანამშრომლების ფუნქციებს ითავსებენ, რაც დაუშვებელია და ეწინააღმდეგება მათთვის კანონით განსაზღვრულ ფუნქციებს. ეს განსაკუთრებით ეხება ქუთაისის N2 და ზუგდიდის N4 დაწესებულებებში მომსახურე სოციალური სამსახურის თანამშრომლებს. ქუთაისის N2 დაწესებულებაში, პატიმართა თქმით, სოციალური სამსახურის უფროსი მონაწილეობას იღებს პატიმრების დასჯასა და დაშინებაში, ზუგდიდის N4 დაწესებულებაში განთავსებულმა პატიმრებმა კი კითხვაზე, თუ იცნობდნენ სოციალური სამსახურის თანამშრომლებს, მონიტორინგის ჯგუფს უპასუხეს, რომ მათ აღნიშნული პირები რეჟიმის თანამშრომლები ეგონათ.

დადებითად უნდა შეფასდეს N11 არასრულწლოვანთა დაწესებულების სოციალური სამსახური, რომელიც ახორციელებს არასრულწლოვან მსჯავრდებულთა სასჯელის მოხდის ინდივიდუალურ გეგმას, რომელშიც შედის ტრენინგების ჩატარება და სხვადასხვა გასართობი და შემეცნებითი ხასიათის ღონისძიებების ორგანიზება.

რეკომენდაცია საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრს: უზრუნველყოს სასჯელაღსრულების დაწესებულებების სოციალური სამსახურების გამართული მუშაობა, მათთვის შესაბამისი დავალებებისა და ამოცანების დასახვა და ანგარიშების სისტემის შემოღება.

სასწავლო და სარეაბილიტაციო პროგრამები

საანგარიშო პერიოდში დაწესებულებათა უმეტესობაში მოქმედებდა სარეაბილიტაციო პროგრამების მწირი რაოდენობა. აქცენტი ძირითადად გაკეთებული იყო არასრულწლოვან მსჯავრდებულებზე, რაც თავისთავად მისასაღმებელია. 2012 წლის დასაწყისში გეგუთის N14, ქსნის N15 და რუსთავის N16 დაწესებულებებში გაიხსნა სასწავლო ცენტრები.

დაწესებულებების ადმინისტრაციის გადმოცემით, გეგუთის N14 დაწესებულებაში ამოქმედდება: ბულალტრული კურსები, ბიზნესმენეჯმენტის, უცხო ენის (ინგლისური) შემსწავლელი კურსი, ასევე, მსჯავრდებულებს შესაძლებლობა ექნებათ, მიიღონ პროფესიული განათლება – ელექტროობა, ღებვა, კაფელ–მეტლახის გაკვრა.

ქსნის N15 დაწესებულებაში მსჯავრდებულებს შესაძლებლობა აქვს, მიიღონ პროფესიული განათლება – ფითხვა, დაზუმფარება, თაბაშირ–მუყაოს დამუშავება,

კაფელ-მეტლახის გაკვრა, მოქმედებს ბუღალტრული კურსები, ბიზნესმენეჯმენტის, უცხო ენის (ინგლისური) შემსწავლელი კურსები.

დაწესებულებაში პერიოდულად ტარდება ლექციები სხვადასხვა თემაზე. დაწესებულებაში მოქმედებს სარეაბილიტაციო პროგრამა „სასჯელისაგან გათავისუფლების მომზადება,“ რომელშიც რამდენიმე ათეული მსჯავრდებულია ჩართული.

დაწესებულების ძველ ნაწილში განთავსებული მსჯავრდებულებს შესაძლებლობა აქვთ, შეისწავლონ ხატწერა და ჭადრაკი. დაწესებულების ამ ნაწილში არის ხეზე კვეთისა და ხატწერის ოთახი, სადაც დასაქმებულია 12 მსჯავრდებული. გაკეთებული ხატები და ჯვრები იგზავნება ეკლესიებში.

რუსთავის N16 დაწესებულებაში შეისწავლება ელექტროობა, ფითხვა, დაზუმფარება, ბუღალტრული კურსები, უცხო ენა (ინგლისური), კომპიუტერი და ბიზნესაუდიტი.

დაწესებულებაში შესაძლებელია ასევე ხეზე კვეთის შესწავლა, სადაც მონიტორინგის დროს ჩართული იყო 12 მსჯავრდებული. მოქმედებს მუსიკალური ბენდი, რომელიც მუსიკოსი მსჯავრდებულებით არის დაკომპლექტებული.

ქუთაისის N2 დაწესებულებაში ორი მსჯავრდებული ჩართულია შრომით საქმიანობაში, მათ შესაძლებლობა აქვთ, დაკავდნენ ხატწერით და ხეზე კვეთით.

გლდანის N8 დაწესებულებაში მოქმედებს ფსიქოლოგიური დახმარების პროგრამა როგორც მეტადონის პროგრამაში ჩართული პირებისათვის, ასევე არასრულწლოვნებისათვის, რომლებთანაც დაწესებულების ფსიქოლოგი ყოველდღიურად (შაბათ-კვირის გარდა) ატარებს ნახევარსაათიან გასაუბრებას. ოთხშაბათობით მათთან სეანსებს ატარებს გარედან შემოსული ფსიქოლოგი, რომელიც უტარებს ტესტებს, ესაუბრება მათთვის საჭირობოროტო თემებზე. დაწესებულებაში განთავსებულ პატიმრებს/მსჯავრდებულებს, მათ შორის არც არასრულწლოვნებს, ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული განათლების მიღების საშუალება არ აქვთ. ასევე, ადმინისტრაციის გადმოცემით, პერიოდულად საპატრიარქოდან დადის ფსიქოლოგი.

N12 დაწესებულებაში საანგარიშო პერიოდში მოქმედებდა „NORLAG“-ის მიერ დაფინანსებული სარეაბილიტაციო პროგრამა, სახელწოდებით „გათავისუფლებისათვის მომზადება.“ აღნიშნული პროგრამა გათვალისწინებული იყო იმ პატიმრებისათვის, რომლებსაც გათავისუფლებამდე დარჩენილი ჰქონდათ 3-4 თვე. მონიტორინგის დროს გაირკვა, რომ აღნიშნული პროგრამა განხორციელდა ოთხ ჯგუფში. თითოეულ ჯგუფში ჩართული იყო 15 მსჯავრდებული. ამჟამად აღნიშნული პროგრამა აღარ ფუნქციონირებს.

რუსთავის N17 დაწესებულებაში მოქმედებს ხატწერის პროგრამა, რომელშიც ჩართული იყო 5 მსჯავრდებული.

ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა N19 დაწესებულებაში არის ხეზე კვეთისა და ხატწერის ოთახი, სადაც დაკავებულია 4 პატიმარი.

ყველა ზემოაღნიშნული ინიციატივა მისასალმებელია და გრძელვადიან პერსპექტივაში უდავოდ დადებით შედეგებს გამოიღებს მსჯავრდებულთა რეაბილიტაციის თვალსაზრისით. სამწუხაროა, რომ დღესდღეობით ამ სასწავლო პროგრამებში მხოლოდ მცირე რაოდენობის მსჯავრდებულთა ჩართვაა შესაძლებელი. სახალხო დამცველი იმედოვნებს, რომ სასწავლო პროგრამებში დროთა განმავლობაში რაც შეიძლება მეტი მსჯავრდებული იქნება ჩართული, რაც ხელს შეუწყობს მსჯავრდებულთა სრულფასოვან რეაბილიტაციას.

პატიმართა დასაქმება

ციხის ევროპული წესების თანახმად, „სასჯელაღსრულების დაწესებულებაში პატიმრის მუშაობა უნდა აღიქმებოდეს, როგორც ციხის რეჟიმის პოზიტიური ელემენტი და არასდროს არ უნდა იქნეს სასჯელის სახით გამოყენებული.“⁴⁸⁶ „ციხის ხელმძღვანელობა უნდა ცდილობდეს სასარგებლო ხასიათის საკმარისი სამუშაოთი პატიმრების უზრუნველყოფას.“⁴⁸⁷ „პატიმრისათვის განკუთვნილი სამუშაო უნდა იყოს შეძლებისდაგვარად იმგვარი, რომ უნარჩუნებდეს ან ავითარებდეს პატიმრის მიერ გათავისუფლების შემდგომ თავის რჩენის უნარს.“⁴⁸⁸

აღსანიშნავია, რომ 24119 პატიმრიდან (01.07.11 მდგომარეობით) ანაზღაურებადი სამუშაო ჰქონდა მხოლოდ 25 მსჯავრდებულს და ყველა მათგანი დასაქმებული იყო სხვადასხვა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არსებულ პურის საცხობებში.

2011 წლის მეორე ნახევარში⁴⁸⁹ დასაქმებული იყო 32 მსჯავრდებული.⁴⁹⁰ მონიტორინგის შედეგად გაირკვა, რომ პურის საცხობები მოქმედებდა გეგუთის N14, ქსნის N15, რუსთავის N16 დაწესებულებებში, ხოლო ბათუმის N3, რუსთავის N6, თბილისის N12 და რუსთავის N17 დაწესებულებაში თონეების გაუქმება გამოწვეული იყო კვების სისტემაში მომსახურების მომწოდებელი კომპანიის შეცვლით.

რეკომენდაცია საქართველოს სასჯელაღსრულების, პროზაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრს: შესაბამის უწყებებთან თანამშრომლობით შემუშავდეს მსჯავრდებულთა დასაქმების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა.

⁴⁸⁶ 26.1-ე წესი;

⁴⁸⁷ 26.2-ე წესი;

⁴⁸⁸ 26.3-ე წესი;

⁴⁸⁹ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში განთავსებული იყო 24 244 პატიმარი (2011 წლის 1 დეკემბრის მდგომარეობით);

⁴⁹⁰ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის 2012 წლის 16 იანვრის #10/8/2-468 წერილი

უმაღლესი განათლება

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციაში R (89) 12, რომელიც შეეხება ციხეში განათლებას, აღნიშნულია, რომ „პატიმრების განათლება უნდა იყოს გარე სამყაროში მათი ასაკობრივი ჯგუფებისათვის უზრუნველყოფილი განათლების შესაბამისი“ (პუნქტი 2). „სადაც შესაძლებელია, პატიმრებს ციხის გარეთ განათლების საშუალება უნდა მიეცეთ“ (პუნქტი 14). „როდესაც განათლებას ციხეში იღებენ, გარე სამყარო რაც შეიძლება ფართოდ უნდა ჩაერთოს“ (პუნქტი 15).

2011 წელს, არაერთ პატიმარს სურდა ჩაებადებინა ერთიანი ეროვნული გამოცდები, თუმცა აღნიშნულის შესაძლებლობა არ მიეცათ. სახალხო დამცველის აზრით, ის, რომ პატიმრობის კოდექსი აღარ ითვალისწინებს უმაღლესი განათლების უფლებას, უკან გადადგმული ნაბიჯია – სახელმწიფომ, თავის მხრივ, ხელი უნდა შეუწყოს იმ პატიმრებს, ვისაც აღნიშნული უფლების განხორციელების პოტენციალი გააჩნიათ.

წინადადება საქართველოს პარლამენტს: პატიმრობის კოდექსში განხორციელდეს შესაბამისი ცვლილებები და დამატებები, რომლებიც უზრუნველყოფს უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობას მსჯავრდებულებისთვის.

პრევენციის ეროვნული მექანიზმისთვის საინტერესო სხვა საკითხები

სასჯელალსრულების დაწესებულებების პერსონალი

პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესების⁴⁹¹ თანახმად, „ციხის მართვის ორგანოები უნდა იღწოდნენ ციხის ყველა კატეგორიის პერსონალის ყურადღებით შერჩევით, რადგან ციხის კარგი მუშაობა დამოკიდებულია ამ თანამშრომლების კეთილსინდისიერებაზე, ჰუმანურობაზე, კომპეტენტურობაზე და პირად თვისებებზე.“⁴⁹²

სასჯელალსრულების სისტემის ნორმალური ფუნქციონირებისა, პატიმართა საზოგადოების სრულფასოვან წევრად დაბრუნებისათვის და იმისათვის, რომ დამნაშავეს მიმართ საპატიმრო ღონისძიების გამოყენებამ გაამართლოს სასჯელის მიზანი, სხვა კომპონენტებთან ერთად, განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს სასჯელალსრულების დაწესებულების პერსონალს, მის პროფესიონალიზმს, ადამიანურ თვისებებს და თავისუფლებააღკვეთილ პირთა მიმართ დამოკიდებულებას. ციხის პერსონალი უნდა იცნობდეს როგორც საქართველოს კანონმდებლობას, ასევე საერთაშორისო სტანდარტებს.

⁴⁹¹ მიღებულია 1955 წელს გენერალური ასამბლეის პირველ კონგრესზე, „დანაშაულის თავიდან აცილებისა და სამართალდარღვევით მოპყრობის შესახებ“ და დამტკიცებული იქნა ეკონომიკური და სოციალური საბჭოს 1957 წლის 31 ივლისის 663 C (XXIV) და 1977 წლის 13 მაისის 2076 (LXII) რეზოლუციებით;

⁴⁹² წესი 46;

სასჯელადსრულების დაწესებულებების თანამშრომლებს უნდა ეძლეოდეთ მკაფიო და გასაგები მითითება მათი კომპეტენციის ფარგლებზე და იმაზე, თუ რა რეაგირება უნდა მოახდინონ მათ ამა თუ იმ რთულ შემთხვევაზე, ასევე, როგორ იმოქმედონ ზოგიერთ სპეციფიკურ გარემოებაში. ხშირად პატიმართა მიმართ არასათანადო მოპყრობის ფაქტებს დაწესებულების ადმინისტრაცია „ხსნის“ თავად პატიმრის მხრიდან უხეშობითა და შეურაცხყოფით. აღნიშნული მიუთითებს, რომ სასჯელადსრულების სისტემის თანამშრომლებს აკლიათ პროფესიული მომზადება იმისთვის, რომ მზად იყვნენ ამგვარი სიტუაციების მართვისთვის, პატიმრის მხრიდან აგრესიას ან თუნდაც პროვოკაციაზე ადეკვატური რეაგირებისთვის. საუბარი აღარაა იმ შემთხვევებზე, როცა თავად თანამშრომლის უხეში და დამამცირებელი მოპყრობით შეუფერხებლად ან ზოგჯერ მიზანმიმართულადაც განაპირობებს პატიმრის მხრიდან დარღვევის პროვოცირებას, რის შედეგადაც, როგორც წესი, ისჯება დამრღვევი პატიმარი, თუმცა თანამშრომელს, რომელმაც ასევე უკანონო ჩაიდინა, პასუხი არ მოეთხოვება. ცალსახაა, რომ არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოვლენა და მათზე ადეკვატური რეაგირება, ასევე, არასათანადო ქცევის მქონე თანამშრომლებისგან სისტემის გათავისუფლება, დადებით გავლენას მოახდენს სისტემის სწორ და ადეკვატურ მუშაობაზე და უფრო ეფექტურსა და ღირებულს გახდის მიმდინარე რეფორმებს. დღეს არსებული მიდგომა არანაირად არ შეეფერება პატიმრების მიმართ მოპყრობის საერთაშორისო და ევროპულ სტანდარტებს. არსებულ რეალობაში ძნელია საუბარი წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტების სრულ აღმოფხვრაზე.

სასჯელადსრულების სისტემის ეფექტური მართვა და მენეჯმენტის სწორად განხორციელება, გარკვეულწილად, ციხის თანამშრომლებზეც არის დამოკიდებული. კვალიფიცირებული, გამოცდილი და ჯეროვნად მომზადებული პერსონალი სასჯელადსრულების დაწესებულებებში წამებისა და არაადამიანური მოპყრობის პრაქტიკის აღმოფხვრის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. სამწუხაროდ, საქართველოს სასჯელადსრულების სისტემამ ჯერ კიდევ ვერ მიაღწია იმ ნიშნულს, როდესაც ამკარა ხდება, რომ პერსონალს, რომელიც ციხეშია დასაქმებული და რომელსაც პატიმართან ყოველდღიური შეხება აქვს, სპეციფიკური მომზადება და განათლება სჭირდება. მონიტორინგის დროს დაფიქსირებული არაერთი ფაქტი ცხადყოფს, რომ მიუხედავად სასწავლო ცენტრის ძალისხმევისა და ორგანიზებული ტრენინგებისა, სასურველი მიზანი მიღწეული არ არის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კადრების მოზიდვას ართულებს სასჯელადსრულების სისტემის პერსონალის მუშაობის განსაკუთრებით რთული პირობები: დაბალი ანაზღაურება, ხშირი მორიგეობები, ზოგ შემთხვევაში, ამორტიზებული ტექნიკური ბაზა და სოციალური გარანტიების უქონლობა. სასჯელადსრულების დაწესებულებების ადმინისტრაცია ხშირად აღნიშნავს, რომ მათ არ ჰყავთ საკმარისი რაოდენობის თანამშრომლები, რის გამოც, მაგალითად, ვერ ხერხდება პატიმრებისთვის პატიმრობის კოდექსით განსაზღვრული უფლებების – კვირაში ორჯერ შხაპისა და ყოველდღიური გასეირნების უფლების რეალიზება. აღნიშნული განსაკუთრებით ეხება დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებს, თუმცა იმავე მიზეზით რუსთავის ნახევრად ღია ტიპის N16 დაწესებულებაში საკნის კარები კვირაობით დაკეტილია.

ყოველივე ზემოაღნიშნული საქართველოს სასჯელადსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს განსაკუთრებული ყურადღების საგანი უნდა გახდეს, ვინაიდან დაბალი სოციალური სტატუსი და მცირე მატერიალური დაინტერესება არ ქმნის სასჯელადსრულების დაწესებულებებში კვალიფიციური კადრების მიზიდვის საფუძველს, რის შედეგადაც ისევ პატიმრები ზარალდებიან.

სახალხო დამცველმა არაერთ საპარლამენტო მოხსენებაში გასცა რეკომენდაცია, სასჯელადსრულების სისტემაში შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების დაკომპლექტებისა და მათთვის სოციალური და შრომითი გარანტიების გაუმჯობესების თაობაზე, თუმცა, მიუხედავად სამინისტროს ბიუჯეტის ზრდისა, აღნიშნული პრობლემა ჯერ კიდევ მოუგვარებელია.

დადებითად უნდა აღნიშნოს, რომ წინამდებარე ანგარიშის მომზადების პერიოდში, 2012 წლის 16 მარტს, საქართველოს სასჯელადსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრომ წარმოადგინა სასჯელადსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის განვითარების სტრატეგია 2012–2015 წლებისთვის, რომელშიც, სხვა საკითხებთან ერთად, საკმაოდ დეტალურად არის გაწერილი ის სასწავლო და სატრენინგო პროგრამები, რომლებიც უნდა გაიარონ სამინისტროს, მათ შორის, სასჯელადსრულების დეპარტამენტის თანამშრომლებმა. სახალხო დამცველი იმედოვნებს, რომ აღნიშნული სიახლე დადებითად აისახება სასჯელადსრულების სისტემის პერსონალზე.

რეკომენდაცია სასჯელადსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრს: უზრუნველყოს სასჯელადსრულების დაწესებულებების შესაბამისი კვალიფიკაციის კადრებით დაკომპლექტება, ასევე – შესაბამისი უნარ-ჩვევების მქონე თანამშრომელთა წახალისება და მათთვის სოციალური და შრომითი გარანტიების გაუმჯობესება;

პატიმართა მიღება და განთავსება

ციხის ევროპული წესების⁴⁹³ თანახმად, „შესახლებისას და შემდგომ, საჭიროებისამებრ, პატიმრებს ხშირად უნდა ეცნობოთ წერილობით და ზეპირად, მათთვის გასაგებ ენაზე, თავიანთი უფლებების, მოვალეობებისა და ციხის დისციპლინის მარეგულირებელი წესების შესახებ.“⁴⁹⁴ „პატიმრებს უნდა მიეცეთ საშუალება თავიანთ საკუთრებაში იქონიონ მათთვის მიწოდებული ინფორმაციის წერილობითი ვერსია.“⁴⁹⁵

ბათუმის N3 დაწესებულებაში პატიმართა უფლება-მოვალეობები ყველა საკანშია გამოკრული და დაზიანებისას მყისიერად განაახლებენ. გლდანის N8 დაწესებულების

⁴⁹³ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია rec (2006) 2

⁴⁹⁴ წესი 30.1

⁴⁹⁵ წესი 30.2

საკნებში მხოლოდ პატიმართა მოვალეობებია გამოკრული, რაც კიდევ უფრო ხაზს უსვამს დაწესებულებაში აღნიშნულ მკაცრ სარეჟიმო მოთხოვნებს. სასჯელაღსრულების დაწესებულებებში პატიმრების ინფორმირება ხდება წერილობით, რაც დასტურდება მათ პირად საქმეებში არსებული უფლება-მოვალეობის ნუსხაზე ხელმოწერით, თუმცა აღნიშნული ფორმალური ხასიათისაა, პატიმრებს კი, ხშირ შემთხვევაში არ ეძლევათ საშუალება, იქონიონ უფლება-მოვალეობების ჩამონათვალი.

ციხის ევროპული წესების მიხედვით, „კონკრეტულ ციხეში ან ციხის კონკრეტულ განყოფილებაში პატიმრის მოთავსების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ჯეროვანი ყურადღება უნდა დაეთმოს, რომ: ა) წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირები მსჯავრდებულებისაგან განცალკევებით მოათავსონ.“⁴⁹⁶ იგივე პრინციპია გაცხადებული საქართველოს პატიმრობის კოდექსის მე-9 მუხლის მე-2 ნაწილშიც. მიუხედავად ამისა, გლდანის N8, ზუგდიდის N3 და ბათუმის N4 დაწესებულებებში, ასევე, ქუთაისის N2 დაწესებულებაში ბრალდებულები და მსჯავრდებულები ერთად არიან საკნებში განთავსებული.

წინასწარი პატიმრობა, ხშირ შემთხვევაში, დაკავშირებულია პიროვნებისათვის სრულიად ახალ, უჩვეულო გარემოში მოხვედრასთან. აქედან გამომდინარე, მიღების პროცედურები არა მარტო უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს კანონმდებლობას, არამედ უნდა ითვალისწინებდეს ადამიანის ღირსების სათანადო დაცვასაც, რასაც ვერ ვიტყვით N8 და N2 დაწესებულებაში არსებულ საკარანტინე განყოფილებებზე (იხ. „არასათანადო მოპყრობა“).

პატიმრობის კოდექსის 46-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, „მსჯავრდებული სასჯელს იხდის მისი ან მისი ახლო ნათესავის საცხოვრებელი ადგილიდან ყველაზე ახლოს მდებარე, შესაბამისი ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მისი იქ განთავსება შეუძლებელია დაწესებულების გადატვირთულობის გამო. გამონაკლის შემთხვევაში მსჯავრდებული ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო პირადი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ან/და მისი თანხმობისას შეიძლება გადაყვანილ იქნეს სხვა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში.“

სახალხო დამცველს განცხადებით ხშირად მიმართავენ პატიმრები და მათი ოჯახის წევრები და ითხოვენ დახმარებას მსჯავრდებულების მათ საცხოვრებელ ადგილთან ახლოს მდებარე დაწესებულებაში განთავსებაში. ხშირია შემთხვევები, როცა აღმოსავლეთ საქართველოში მყოფი პატიმარი მოთავსებულია დასავლეთ საქართველოში მდებარე სასჯელაღსრულების დაწესებულებაში და პირიქით. სახალხო დამცველის აპარატიდან სასჯელაღსრულების დეპარტამენტში გაგზავნილ რამდენიმე წერილზე, რომლებითაც ვითხოვდით პატიმრის განთავსებას თავის საცხოვრებელთან ახლოს, გარკვეული პერიოდის განმავლობაში შემოდიოდა სტანდარტული სახის პასუხები, რომლებიც აღნიშნული იყო, რომ პატიმარი მოთავსებულია მისთვის კანონით

⁴⁹⁶ წესი 18.1

განსაზღვრული ტიპის სასჯელადსრულების დაწესებულებაში ან ეტაპირებისას გათვალისწინებული იქნება მისი თხოვნა. უკანასკნელ ხანებში სახალხო დამცველის აპარატის რამდენიმე მიმართვა დაკმაყოფილდა და მსჯავრდებული გადაყვანილ იქნა მისი საცხოვრებელი ადგილის ახლოს მდებარე დაწესებულებაში ან მისთვის ბრძანებით განსაზღვრული ტიპის დაწესებულებაში. სასურველი იქნება, თუ სასჯელადსრულების სამინისტრო მომავალში უფრო ყურადღებით მოეკიდება პატიმრობის კოდექსის 46-ე მუხლის მე-3 ნაწილით განსაზღვრულ წესის დაცვას – „მსჯავრდებული სასჯელს იხდის მისი ან მისი ახლო ნათესავის საცხოვრებელი ადგილიდან ყველაზე ახლოს მდებარე, შესაბამისი ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მისი იქ მოთავსება შეუძლებელია დაწესებულების გადატვირთულობის გამო.“

რეკომენდაცია სასჯელადსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს:

- განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს, პატიმართა მიღება-განთავსების დროს, კანონით განსაზღვრული პროცედურების დაცვას, რითაც თავიდან იქნება აცილებული პატიმართა უფლებების დარღვევა;
- უზრუნველყოფილ იქნეს, პატიმრების დაწესებულებაში მიღებისას, მათთვის უფლება-მოვალეობების ნუსხის წერილობითი ფორმით გადაცემა;
- უზრუნველყოფილ იქნეს ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების განცალკევებით განთავსება სასჯელადსრულების დაწესებულებებში;
- მსჯავრდებულის სასჯელადსრულების დაწესებულებაში მოთავსებისას მხედველობაში იქნეს მიღებული მისი ან მისი ახლო ნათესავის საცხოვრებელი ადგილი.

სასჯელის მოხდის დახურული რეჟიმი

„პატიმრობის შესახებ“ კანონის მოქმედებისას, როდესაც მსჯავრდებულის საპრობილის რეჟიმში მოთავსების მაქსიმალური ვადა 1 წელიწადი იყო, მსჯავრდებულებს წლობით უკანონოდ ამყოფებდნენ საპრობილის (ამჟამად, დახურულ) რეჟიმზე. სახალხო დამცველმა არაერთი რეკომენდაცია მისცა სასჯელადსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს აღნიშნული უკანონობის აღმოფხვრის შესახებ.

პატიმრობის კოდექსის ძალაში შესვლის შემდგომ,⁴⁹⁷ გამოსწორების ნაცვლად, მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა – წლობით დამკვიდრებული არასათანადო პრაქტიკა კოდექსმა, გამოსწორების ნაცვლად, დააკანონა. კოდექსის თანახმად, სასჯელადსრულების დაწესებულებები დაყოფილია რამდენიმე ტიპად.⁴⁹⁸ დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, როგორც წესი, სასჯელს იხდის პირი, რომელიც პირველად არის მსჯავრდებული განზრახი, განსაკუთრებით მძიმე

⁴⁹⁷ 2010 წლის 1 ოქტომბერი

⁴⁹⁸ პატიმრობის კოდექსის მე-10 მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებია:

ა) ნახევრად ღია ტიპის დაწესებულება;

ბ) დახურული ტიპის დაწესებულება;

გ) არასრულწლოვანთა სპეციალური დაწესებულება;

დ) ქალთა სპეციალური დაწესებულება.

დანაშაულისათვის და რომელსაც სასამართლოს მიერ განესაზღვრა 10 წელზე მეტი ვადით თავისუფლების აღკვეთა.⁴⁹⁹ შესაბამისად, აღარ არსებობს დახურულ რეჟიმზე განთავსების მაქსიმალური ვადა. სასჯელადსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს კი საშუალება ეძლევა, გადაწყვიტოს, ვინ რომელ რეჟიმზე იქნება განთავსებული, რაც ასევე უკან გადადგმული ნაბიჯია, ვინაიდან აღნიშნული გადაწყვეტილება მოქმედებს განუსაზღვრელი ვადით და მისი პერიოდული გადახედვის ვალდებულებას კოდექსი არ საზღვრავს.⁵⁰⁰

სახალხო დამცველს არაერთხელ აღუნიშნავს დახურული ტიპის დაწესებულებაში პირის ხანგრძლივი განთავსების უარყოფითი გავლენა მსჯავრდებულთა ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე. წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის (CPT) რეკომენდაციაც მიუთითებს, რომ „პატიმარი მკაცრ რეჟიმში უნდა თავსდებოდეს რაც შეიძლება მოკლე ვადით და მისი საკითხი უნდა განიხილებოდეს სულ მცირე სამ თვეში ერთხელ.“⁵⁰¹

2011 წლის 28 ივლისს, სასჯელადსრულების დეპარტამენტიდან მიღებული N10/8/2-9497 პასუხის თანახმად, 2011 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, სასჯელის მოხდა ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში განსაზღვრული ჰქონდა 8820 მსჯავრდებულს; დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში – 12959 მსჯავრდებულს, 617 მსჯავრდებული კი სასჯელის ტიპის განსაზღვრას ელოდა. სხვა საკითხებთან ერთად ზემოაღნიშნული სტატისტიკური ინფორმაცია გამოთხოვილ იქნა 2012 წლის 4 იანვარსაც, თუმცა სასჯელადსრულების დეპარტამენტის 2012 წლის 27 თებერვლის 10/8/2-426 პასუხში მითითებულ კითხვაზე პასუხი არ იყო გაცემული.

ამგვარად, 2010 წლის ივლისის მონაცემებით, მსჯავრდებულთა უმრავლესობას სასჯელის მოხდა განსაზღვრული ჰქონდა დახურული ტიპის დაწესებულებაში.

პრობლემას კიდევ უფრო ამწვავებს ის გარემოება, რომ მონიტორინგის შედეგების მიხედვით დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში უმეტეს წილად განთავსებულნი არიან ისეთი პირებიც, რომლებსაც არ აქვთ განსაზღვრული დახურული ტიპი – გლდანის, ქუთაისის, ზუგდიდის და ბათუმის დაწესებულებებში განთავსებული პატიმრების დიდი ნაწილი მსჯავრდებულია და კანონის მიხედვით, ასევე, სასჯელადსრულების დეპარტამენტის ბრძანების შესაბამისად, ეკუთვნის ნახევრად ღია ტიპის დაწესებულებაში განთავსება. სავარაუდოდ, ამგვარი პრაქტიკა გამოწვეულია ნახევრად ღია ტიპის დაწესებულებების გადატვირთულობით, რისი მოგვარების ერთ-ერთ ხერხად მსჯავრდებულების დახურულ დაწესებულებებში განთავსება გამოიყენება.

⁴⁹⁹ პატიმრობის კოდექსის 64-ე მუხლის 1 ნაწილი.

⁵⁰⁰ პატიმრობის კოდექსის 61-ე მუხლი

⁵⁰¹ იქვე, პარ. 132

წინადადება საქართველოს პარლამენტს: პატიმრობის კოდექსში განხორციელდეს შესაბამისი ცვლილებები, რომელთა მიხედვით დახურული რეჟიმის დაწესებულებაში განთავსება განისაზღვრება, როგორც განსაკუთრებული და დროში შეზღუდული ღონისძიება, რომელიც გამომდინარეობს მსჯავრდებულის საშიშროების ხარისხისა და მისი პიროვნების ინდივიდუალური შეფასებიდან.

რეკომენდაცია სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს: უზრუნველყოს მანკიერი პრაქტიკის აღმოფხვრა, რომლის მიხედვითაც მსჯავრდებულები, რომლებსაც სასჯელის მოხდა განსაზღვრული აქვთ ნახევრად ღია ტიპის ს/ა დაწესებულებაში, ნაწილობრივ და ხშირად სრულადაც იხდიან სასჯელს დახურული ტიპის დაწესებულებაში.

დაცვის უფლება

საქართველოს კონტიტუციის 42-ე მუხლის მესამე პუნქტის თანახმად, „დაცვის უფლება გარანტირებულია.“ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის თანახმად, „ადვოკატი საადვოკატო საქმიანობას ახორციელებს დამოუკიდებლად და მასში ჩარევა დაუშვებელია;“ კონფიდენციალურია ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც ადვოკატმა მიიღო კლიენტისაგან ან იურიდიული რჩევის მიღების სხვა მსურველისაგან;“ ასევე, „ადვოკატსა და კლიენტს შორის წარმოებული საუბრის მიყურადება და ჩაწერა დაუშვებელია, ხოლო მათ შორის მიმოწერა – ხელშეუხებელი.“

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ხშირია შემთხვევები, როცა ადვოკატებს, განსაკუთრებით გლდანის N8 დაწესებულებაში და მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა N18 სამკურნალო დაწესებულებაში, არ ეძლევათ მათთვის კანონით მინიჭებული ფუნქციების შესრულების საშუალება. სახალხო დამცველს არაერთმა ადვოკატმა მიმართა განცხადებით, რომელშიც ისინი აღნიშნავენ, რომ პატიმრის მიერ დაწერილი ახსნა-განმარტება ან საჩივარი, განსაკუთრებით კი ისეთი საჩივრები, რომლებიც შეეხება დაწესებულების თანამშრომლების მიერ პატიმრების უფლების დარღვევას, სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომლებმა ჩამოართვეს.

სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ აღნიშნული პრობლემები უნდა აღმოიფხვრას, რადგანაც უმნიშვნელოვანესია, ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთერთობისას დაცული იყოს კონფიდენციალურობა და პატიმრებს მიეცეთ შესაძლებლობა, სრულყოფილად შეძლონ საკუთარი უფლებების დაცვა.

რეკომენდაცია სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს: საკუთარი კონტროლის ქვეშ აიყვანოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში, განსაკუთრებით კი გლდანის N8 დაწესებულებასა და მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა N18

სამკურნალო დაწესებულებაში, ადვოკატთა მიღებისა და შემოწმების პროცედურა, ასევე – კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად, ადვოკატისა და მისი დაცვის ქვეშ მყოფის ურთიერთობის ამსახველი დოკუმენტაციისა და კორესპონდენციის კონფიდენციალურობის დაცვა.

სპეციფიკური საჭიროებების მქონე პირების მდგომარეობა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში

პატიმრობის კოდექსის მე-15 მუხლის მეხუთე ნაწილის თანახმად, „ორსულ ქალებს, მემუშურ დედებს, არასრულწლოვნებს, ავადმყოფებს, მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, ხანდაზმულებს (ქალებს – 60 წლიდან, მამაკაცებს – 65 წლიდან) უნდა ჰქონდეთ სხვა ბრალდებულებთან/ მსჯავრდებულებთან შედარებით გაუმჯობესებული საყოფაცხოვრებო პირობები“.

შშმ პირთა განთავსების პირობები

2011 წლის 15 სექტემბერს სახალხო დამცველის აპარატიდან სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს გაეგზავნა წერილობითი მიმართვა, მოეწოდებინა ინფორმაცია, რომელშიც სასჯელაღსრულების დაწესებულების ინფრასტრუქტურა და საცხოვრებელი პირობები ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობის პატიმრებისთვის. სასჯელაღსრულების დეპარტამენტიდან 2011 წლის 27 ოქტომბრის N10/8/2–12887 წერილით გვეცნობა, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებების ინფრასტრუქტურა და საცხოვრებელი პირობები არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის. 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სასჯელაღსრულების დაწესებულებებში განთავსებული იყო 184 შშმ პირი, მათ შორის – 9 ქალი.

ჩატარებული მონიტორინგის საფუძველზე ირკვევა, რომ მიუხედავად კანონის მოთხოვნისა, ორსული ქალები, ქალები – 60 წლიდან და მამაკაცები – 65 წლიდან იმავე პირობებში იმყოფებიან, როგორშიც სხვა ბრალდებულები/მსჯავრდებულები. იგივე შეიძლება ითქვას ავადმყოფი პატიმრების შესახებაც. ხშირ შემთხვევაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, რომლებიც ვერ გადაადგილდებიან დამოუკიდებლად და სპეციფიკურ მოვლას საჭიროებენ, განთავსდებიან არიან ჩვეულებრივ დაწესებულებაში და მინდობილი არიან სხვა პატიმრებისაგან ზრუნვას, მათ შორის, ბუნებრივი მოთხოვნილებებისა და ჰიგიენის დაცვის თვალსაზრისითაც.

აღსანიშნავია, რომ მხოლოდ N18 დაწესებულების შესასვლელში და სასაერნო ეზოს გასასვლელშია პანდუსები, თუმცა საექვოა, რამდენად ადაპტირებულია ისინი ეტლით მოსარგებლე მსჯავრდებულთა დამოუკიდებლად გადაადგილებისთვის.

როგორც ზემოთ აღინიშნა⁵⁰², ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო გადაწყვეტს მძიმე ავადმყოფისთვის თავისუფლების აღკვეთას ან მის ციხეში დატოვებას, მან ავადმყოფისთვის უნდა უზრუნველყოს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობისა და სპეციფიკური საჭიროებების ადეკვატური პირობები სასჯელაღსრულების სისტემაში. წინააღმდეგ შემთხვევაში ის არღვევს კონვენციის მე-2 (სიცოცხლის უფლება)⁵⁰³ და/ან მე-3 მუხლს (წამების აკრძალვა)⁵⁰⁴.

შესაბამისად, ყველა შემთხვევა, როდესაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი იმყოფება არაადეკვატური მოვლის პირობებში, შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა.

ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, მსჯავრდებულთა სასჯელისგან გათავისუფლების საკითხი სასჯელაღსრულებისა და ჯანდაცვის სამინისტროების ერთობლივი მუდმივმოქმედი კომისიის კომპეტენციაა,⁵⁰⁵ ხოლო აღნიშნული კომისიისთვის მიმართვის უფლება აქვს მსჯავრდებულს, მის კანონიერ წარმომადგენელს ან სასჯელაღსრულების დაწესებულების დირექტორს.⁵⁰⁶ რამდენადაც სპეციალური პრევენციული ჯგუფისთვის არის ცნობილი, დაწესებულების დირექტორებს არც ერთხელ არ გამოუყენებიათ ეს შესაძლებლობა.

რაც შეეხება მუდმივმოქმედი კომისიის მუშაობის ეფექტურობას, ეს საკითხი ცალკე დეტალურ შესწავლას საჭიროებს, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ N179–N427 ბრძანება არ განსაზღვრავს არც კომისიის შეკრების რეგულარობას, არც საქმის განხილვის ვადებს განცხადების შესვლის მომენტიდან. ისიც ფაქტია, რომ სახალხო დამცველის აპარატში სულ უფრო ხშირია მსჯავრდებულებისა და მათი კანონიერი წარმომადგენლების საჩივრები, რომლებიც შეეხება აღნიშნული კომისიის მუშაობის არაეფექტურობას.

რეკომენდაცია საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული

დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს:

⁵⁰² „არასათანადო მოპყრობა“, მურმან კ.–ს საქმე

⁵⁰³ სიხარულიძე და მახარაძე საქართველოს წინააღმდეგ, 2011 წლის 22 ნოემბერი

⁵⁰⁴ ფარბტუსი ლიტვის წინააღმდეგ, 2005 წლის 6 ივნისი, ისაევი უკრაინის წინააღმდეგ, 2009 წლის 28 აგვისტო

⁵⁰⁵ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 23 დეკემბრის ერთობლივი N179–N427 ბრძანება „საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროსა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს ერთობლივი მუდმივმოქმედი კომისიის შექმნის შესახებ“.

⁵⁰⁶ ამავე ბრძანების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი.

- იმ დაწესებულებებში, სადაც შშმ პირები არიან განთავსებული, შეიქმნას მათთვის ადაპტირებული გარემო, წინააღმდეგ შემთხვევაში უზრუნველყოფილ იქნეს მათი განთავსება ადეკვატური პირობების მქონე სხვა დაწესებულებაში;
- უზრუნველყოს სასჯელაღსრულების დაწესებულებების დირექტორებისთვის შესაბამისი მითითების მიცემა, რათა მათ რეგულარულად მიმართონ სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მუდმივმოქმედ კომისიას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მსჯავრდებულთა სასჯელის გადავადების ან სასჯელისგან გათავისუფლებისთვის.

ქალ პატიმართა მდგომარეობა საქართველოს პენიტენციურ სისტემაში

2011 წლის 01 დეკემბრის მონაცემებით, საქართველოში განთავსებული იყო 1203 ქალი პატიმარი. მათგან – 58 ხანდაზმული, 3 – არასრულწლოვანი, 4 – უვადო და 9 – შშმ პირი.

მოპყრობა

2011 წლის მანძილზე არც ერთ ქალ პატიმარს არ მიუმართავს სახალხო დამცველისთვის არასათანადო მოპყრობის თაობაზე განცხადებით. სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ ჩატარებული მონიტორინგის დროს არ გამოვლენილა არასათანადო მოპყრობის შემთხვევები ქალი პატიმრების მიმართ. იყო რამდენიმე შემთხვევა, როდესაც პრესაში გამოქვეყნდა ინფორმაცია პატიმარი ქალების მიმართ ზეწოლისა და ფიზიკური დასჯის შესახებ. ყოველ ასეთ ფაქტზე სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა სათანადო რეაგირება მოახდინა – გაესაუბრა პრესაში მოხსენიებულ პირებს, სხვა პატიმრებს, რის შედეგადაც არც ერთი ასეთი ფაქტი არ დადასტურდა. ქალი პატიმრების საჩივრები ძირითადად შეეხება სამედიცინო მომსახურებას, რიგ შემთხვევებში – საყოფაცხოვრებო პირობებს. მონიტორინგის დროს ქალი პატიმრები ხშირად საუბრობდნენ მთავარი ექიმისა და ზოგიერთი სხვა ექიმის მხრიდან გულგრილ და უხეშ დამოკიდებულებაზე. აღნიშნული პრობლემა დროთა განმავლობაში შეიძლება გახდეს მსჯავრდებულთა და ადმინისტრაციას შორის დაპირისპირების მიზეზი, რასაც დროული პრევენცია სჭირდება როგორც დაწესებულების ხელმძღვანელობის, ასევე სამედიცინო დეპარტამენტის მიერ.

ქალ პატიმართა განთავსების პირობები

ქალი პატიმრების ძირითადი კონტიგენტი განთავსებულია რუსთავის N5 ქალთა დაწესებულებაში, ნაწილი პატიმრებისა სასჯელის ზომის საბოლოო განსაზღვრამდე იმყოფება ქუთაისის N2, ბათუმის N3 და ზუგდიდის N4 დაწესებულებებში.

ციხის ევროპული წესების თანახმად, „პატიმრებისათვის უზრუნველყოფილი საცხოვრებელი, განსაკუთრებით კი, სამინებელი, უნდა პასუხობდეს ადამიანის ღირსების პატივისცემისა და მაქსიმალური შესაძლებლობის ფარგლებში, ასევე განმარტობის მოთხოვნებს. ასევე დაცული უნდა იყოს ჯანმრთელობისა და ჰიგიენის მოთხოვნები, ჯეროვანი ყურადღება უნდა დაეთმოს კლიმატურ პირობებსა და განსაკუთრებით ფართის ოდენობის, ჰაერის მოცულობას, განათებასა და ვენტილაციის პირობებს“⁵⁰⁷.

„ყველა შენობაში, სადაც პატიმრები ცხოვრობენ, მუშაობენ ან იკრიბებიან:

ფანჯრები უნდა იყოს საკმარისად დიდი, რათა საშუალება მიეცეთ პატიმრებს, იკითხონ ან იმუშაონ ბუნებრივი განათების ნორმალურ პირობებში, ასევე, იძლეოდეს სუფთა ჰაერის მოძრაობის შესაძლებლობას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა არსებობს ჰაერის კონდიციონერების ჯეროვანი სისტემა;

ხელოვნური განათება უნდა აკმაყოფილებდეს მიღებულ ტექნიკურ სტანდარტებს; უნდა არსებობდეს გამომახების სისტემა, რომელიც საშუალებას მისცემს პატიმრებს, დაუყოვნებლივ დაუკავშირდნენ პერსონალს.“⁵⁰⁸

ზოგადი თვალსაზრისით შეიძლება ითქვას, რომ ქალ პატიმართა განთავსების პირობები იმ დაწესებულებებშიც კი, რომლებიც ცუდ მდგომარეობაშია და ვერ უზრუნველყოფს ნორმალურ საცხოვრებელ გარემოს (ბათუმის N3 და ზუგდიდის N4), უკეთესია მამაკაც პატიმრებთან შედარებით. აღნიშნულის მიზეზი ისიცაა, რომ ქალი პატიმრების მიმართ დაწესებულებების ადმინისტრაციის დამოკიდებულება, როგორც წესი, უფრო ლოიალურია, შესაბამისად, მათ უფლება ეძლევათ, თავიანთ განკარგულებაში იქონიონ გარკვეული საყოფაცხოვრებო და ჰიგიენის ნივთები, რომლებიც არ არის დაშვებული მამაკაცი პატიმრებისთვის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ზემოთქმულისა, ქალ პატიმართა განთავსების პირობები ჯერ კიდევ მთელ რიგ ასპექტებში არ შეესაბამება ევროპულ სტანდარტებს, თუმცა არც დამამცირებელი ან ღირსების შემლახავი შეიძლება ეწოდოს.

ქუთაისის N2 დაწესებულება

ქუთაისის N2 დაწესებულებაში ქალი პატიმრებისთვის გამოყოფილია 3 საკანი. თითოეული საკნის ფართი 15.5 კვ.მ-ია. საკნებში დგას 3 ორსართულიანი საწოლი, მაგიდა და სკამი. საპირფარეშოები იზოლირებულია. საკნების სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

ზუგდიდის N4 დაწესებულება

დაწესებულების მეორე სართულზე ქალი პატიმრებისთვის განკუთვნილია ორი საკანი. იმავე დაწესებულებაში განთავსებული მამრობითი სქესის პატიმრებისაგან

⁵⁰⁷ 18.1-წესი

⁵⁰⁸ 18.2 წესი

განსხვავებით ქალი პატიმრები შედარებით უკეთეს პირობებში იმყოფებიან. კერძოდ, 2011 წელს მათთვის გამოყოფილ საკნებში ჩატარდა კოსმეტიკური რემონტი (შეიცვალა ფანჯრები, შეიღება იატაკი და საპირფარეშოს კედლებზე გაიკრა კაფელი). ჩატარებული სამუშაოების დროს არ მომხდარა საპირფარეშოების იზოლირება და საკნებში კვლავ ნახევრად იზოლირებული საპირფარეშოებია. ერთი საკანი გათვლილია 8 პატიმარზე, ხოლო მეორე – 10 პატიმარზე.

ბათუმის N3 დაწესებულება

დაწესებულების პირველ სართულზე ქალი პატიმრებისათვის განკუთვნილია 2 საკანი. ერთ-ერთ საკანში დგას ცხრა ორსართულიანი საწოლი. მონიტორინგის დროს საკანში ჩამოდიოდა წყალი. იატაკზე დაგებულია მეტლახი. საკანში არის სინესტე და ჩამოქერცილილია კედლები. საპირფარეშო იზოლირებულია.

მეორე საკანი 3-ოთახიანი საცხოვრებელია, სადაც დგას ორსართულიანი 11 საწოლი. პირველ ორ ოთახში – სამ-სამი, ხოლო მესამე ოთახში – ხუთი. აღნიშნულ საკანში არის მაცივარი. ხის იატაკზე დაგებულია ლინოლეუმი. იატაკი ალაგ-ალაგ ჩატეხილია. საკანში არსებული საპირფარეშო იზოლირებულია.

რუსთავის N5 დაწესებულება

ქალთა ახალი N5 დაწესებულება გაიხსნა 2010 წლის 6 ნოემბერს. დაწესებულების ლიმიტია 1200.

დაწესებულებაში არის A, B, C, D საცხოვრებელი კორპუსები, ასევე – პატიმრობის განყოფილება, დედათა და ბავშვთა სახლი, ტუბერკულოზით დაავადებულ პატიმართა საცხოვრებელი. დაწესებულების B კორპუსზე განთავსებულია სამედიცინო ნაწილი.

A კორპუსში არის 38 საკანი; B კორპუსში – 16 საკანი; C კორპუსში – 74 საკანი; D კორპუსში – 71 საკანი; პატიმრობის განყოფილებაში – 30 საკანი, აქედან – 1 საკარანტინი, 1 არასრულწლოვანთათვის და 2 სამართლო საკანი; დედათა და ბავშვთა საცხოვრებელში არის 6 ოთახი; ტუბერკულოზით დაავადებულ პატიმართა საცხოვრებელში – 3 საკანი.

დაწესებულებაში არსებული საკნები ძირითადად 6-ადგილიანია; C კორპუსში არის 3-ადგილიანი 20 საკანი⁵⁰⁹.

თითოეულ საკანში დგას ორსართულიანი საწოლები. თითოეულ პატიმარზე გამოყოფილი ფართი 3 კვ.მ-ია⁵¹⁰. საკნებში დგას მაგიდა და სკამი, ასევე, თითოეული პატიმრისთვის გათვალისწინებულია ტუმბო.

A საცხოვრებელი კორპუსის ეზოში არის ფრენბურთის მოედანი და ფანჩატური. ასევე, არის სასადილოს შენობა, რომელიც გაყოფილია 2 ნაწილად. სასადილოში დგას 16

⁵⁰⁹ რომელიც ადრე გამოიყენებოდა საკნის ტიპის სადგომად;

⁵¹⁰ მაგ. 6 ადგილიანი საკნის ფართი შეადგენს-2,96*6,6, ხოლო საპირფარეშო 1,57*1,53;

მაგიდა; განათება და ვენტილაცია ხდება ბუნებრივი გზით საკმარისად, გათბობა – ცენტრალური სისტემის საშუალებით.

ეზოში არის ერთი საშხაპე, სადაც დამონტაჟებულია 4 შხაპი, რომელთაგან მონიტორინგის დროს სამი იყო მუშა მდგომარეობაში. მონიტორინგის დროს საშხაპეში არსებული გაყვანილობა იყო მოშლილი, რის გამოც იატაკზე დაგუბებული იყო წყალი. საშხაპის სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა არადაამაკმაყოფილებლად უნდა შეფასდეს. მას არ აქვს ფანჯარა, ხოლო გამწოვი ვერ უზრუნველყოფს ვენტილაციას, რის გამოც გასახდელ ოთახსა და საშხაპეში მუდმივად დგას ორთქლი და ჭერიდან ჩამოყრილია ბათქაში და საღებავი. საშხაპის განათება ხდება ხელოვნური გზით, თუმცა არასაკმარისად.

B კორპუსში განთავსებულია სამედიცინო ნაწილი, სადაც მონიტორინგის დროს მოთავსებული იყო 61 პაციმარი. კორპუსში არის სამრეცხაო, სადაც დგას სარეცხის მანქანა, ასევე არის საშხაპე, სადაც დამონტაჟებულია 3 შხაპი.

C და D კორპუსების ეზოში არის ფანჯატური, საპირფარეშო და საშხაპე, რომელიც არ ფუნქციონირებს. ეზოში არის ბაღი, სადაც დგას სკამები. C და D კორპუსებისთვის ფუნქციონირებს სასადილო ოთახი, რომელიც გაყოფილია 5 ნაწილად. სასადილო ოთახის განათება და ვენტილაცია ხდება როგორც ხელოვნური, ასევე ბუნებრივი გზით საკმარისად, გათბობა – ცენტრალური სისტემის საშუალებით. სასადილო ოთახს აქვს პირსაბანი, ონკანი და საპირფარეშო.

დედათა და ბავშვთა განყოფილება განლაგებულია ცალკე საცხოვრებელ კორპუსში და შედგება 6 ოთახისგან. ოთახები ერთნაირად არის ეკვიპირებული. თითოეული ოთახის ფართი 12.7 კვ.მ-ია. კედლებზე გაკრულია შპალერი, იატაკზე დაგებულია ლამინატი, ჭერზე კიდია ჭადი. ოთახებში დგას ერთი ხის საწოლი, ბავშვის საწოლი და კომოდი. თითოეულ ოთახს აქვს იზოლირებული საპირფარეშო, სადაც დამონტაჟებულია უნიტაზი და შხაპი.

დედათა და ბავშვთა განყოფილებაში არის დასასვენებელი ოთახი, რომელშიც დგას სკამები, ტელევიზორი და DVD.

ზემოაღნიშნულ კორპუსს აქვს სამზარეულო, სადაც დგას 2 მაცივარი, გაზქურა, მაგიდა და სკამები, ასევე, დამონტაჟებულია სარეცხის მანქანა. სამზარეულო ეკვიპირებულია ყველა საჭირო აქსესუარით. დედათა და ბავშვთა სახლის ეზოში არის საქანელები. ზაფხულში ბავშვებისთვის იდგმება გასაბერი აუზი.

ტუბერკულოზით დაავადებულ ქალ პაციმართა საცხოვრებელში არის 20 კვ.მ. ფართის 3 საკანი. თითოეულ საკანში დგას 6 საწოლი, 6 ტუმბო და ტელევიზორი. დერეფანში დამონტაჟებულია სარეცხის მანქანა და მაცივარი. საკნებში არის იზოლირებული საპირფარეშო, სადაც დგას უნიტაზი, ასევე, საშხაპე და პირსაბანი. იატაკზე დაგებულია ლამინატი. ეზოში დგას ფანჯატური და დამონტაჟებულია ტელეფონის აპარატი.

პატიმრობის განყოფილება გათვლილია 200 პატიმარზე. განყოფილებაში არის ხუთი საგამოძიებო ოთახი, სადაც დგას თითო მაგიდა სკამებით. საშხაპეში დამონტაჟებულია 13 შხაპი. საშხაპეს აქვს გასახდელი.

განყოფილებაში არის ექვსი სასეირნო ეზო, რომლებშიც დგას სკამი. ერთ სასეირნო ეზოს პატიმრები იყენებენ სარეცხის გასაშრობად.

გარდა არასრულწლოვანთა, დედათა და ბავშვთა განყოფილებისა, ყველგან არის ბეტონის იატაკი. ვინაიდან ქალები ხშირად ჩიოდნენ, რომ ბეტონის იატაკი მათ ჯანმრთელობის მდგომარეობაზე უარყოფით გავლენას ახდენდა, ადმინისტრაციამ უფლება მისცა, იქონიონ ხალიჩები, თუმცა მონიტორინგის დროს ხალიჩა მხოლოდ რამდენიმე საკანში იყო დაგებული.

მდედრობითი სქესის არასრულწლოვანი პატიმრები

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2007 წლის 10 იანვრის N6 ბრძანების თანახმად, მდედრობითი სქესის არასრულწლოვან პატიმართა განყოფილების შექმნის შესახებ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს დაევალა, შეექმნა მდედრობითი სქესის არასრულწლოვან პატიმართა განყოფილება. ამავე ბრძანებით დეპარტამენტის თავმჯდომარეს დაევალა, უმოკლეს ვადებში უზრუნველყო მდედრობითი სქესის არასრულწლოვან პატიმართა განთავსება მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

2009 წლის 6 მარტს სახალხო დამცველმა არასრულწლოვანი გოგონების სხვა მსჯავრდებულებისგან განცალკევების რეკომენდაციით მიმართა სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების მინისტრს. რეკომენდაციას საფუძვლად დაედო ის გარემოება, რომ კვლავ არ არსებობდა არასრულწლოვან გოგონათა აღმზრდელიობითი დაწესებულება, სადაც კანონის შესაბამისად სასჯელს უნდა იხდიდნენ არასრულწლოვანი გოგონები. 2009 წლის მარტში ისინი განთავსებულნი იყვნენ თბილისის ქალთა და არასრულწლოვანთა N5 დაწესებულებაში, რომელსაც არ ჰქონდა არასრულწლოვანი გოგონებისთვის გამოყოფილი ინფრასტრუქტურა და გოგონებს სასჯელის მოხდა უწევდათ სრულწლოვან პატიმარ ქალებთან ერთად.

2009 წლის 26 ოქტომბერს სასჯელაღსრულების პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრომ N5 ქალთა და არასრულწლოვანთა საერთო და საპყრობილის რეჟიმის დაწესებულების ტერიტორიაზე ცალკე გამოყო და გაარემონტა მდედრობითი სქესის არასრულწლოვან პატიმართა განყოფილება, თუმცა არასრულწლოვანი და სრულწლოვანი მსჯავრდებულები საერთო სასეირნო ეზოთი სარგებლობდნენ.

რუსთავის ახალ N5 დაწესებულებაში არ არის გათვალისწინებული არასრულწლოვანი გოგონებისთვის ცალკე გამოყოფილი ინფრასტრუქტურა. არასრულწლოვანი გოგონები

ცალკე საკანში თავსდება, თუმცა დანარჩენ ინფრასტრუქტურას ისინი იყოფენ სხვა მსჯავრდებულ ქალებთან. არასრულწლოვან გოგონათა საკანი განთავსებულია D კორპუსზე. საკნის ფართი 18 კვ.მ-ია. ოთახში დგას ორი ხის საწოლი, მაგიდა, 2 ტუმბო, კომპიუტერი და ტელევიზორი. იატაკი არის ლამინატისა. ოთახის განათება ხდება როგორც ხელოვნური, ასევე ბუნებრივი გზით საკმარისად. თბება ცენტრალური სისტემით. ოთახს აქვს 1.7 კვ.მ ფართის ფანჯარა და იზოლირებული საპირფარეშო, სადაც დამონტაჟებულია პირსაბანი.

საპატიმრო განყოფილებაში არასრულწლოვანი პატიმრებისათვის განკუთვნილია 18 კვ.მ. ფართის ერთი საკანი, სადაც დგას სამი ორსართულიანი საწოლი, 6 ტუმბო, 1 მაგიდა. საკანში შეყვანილია ტელევიზორის ანტენა. საკნის ვენტილაცია და განათება ხდება როგორც ცენტრალური, ასევე ბუნებრივი გზით საკმარისად, გათბობა – ცენტრალური სისტემის საშუალებით. საკანს აქვს 1.7 კვ.მ. ზომის ფანჯარა. საპირფარეშო არის აზიური ტიპისა და იზოლირებულია. მასში დამონტაჟებულია პირსაბანი. საპირფარეშოს ვენტილაცია ხდება ცენტრალური სისტემით, განათება – ხელოვნური გზით საკმარისად.

განათება, გათბობა და ვენტილაცია

რუსთავის N5 დაწესებულებაში ყველა საკანს აქვს 1.7 კვ.მ ფართის მეტალოპლასტმასის ფანჯარა, რომელიც უზრუნველყოფს ბუნებრივ განათებასა და ვენტილაციას. გამონაკლისია C საცხოვრებელი კორპუსის 19 საკანი, რომლებიც ადრე გამოიყენებოდა საკნის ტიპის სადგომად და აქვთ 0.65 კვ.მ. ფართის ფანჯარა, რაც არასაკმარისია ნორმალური ბუნებრივი განათების და ვენტილაციის უზრუნველსაყოფად. საკნები თბება ცენტრალური გზით, თუმცა ზამთრის პერიოდში ჩატარებული მონიტორინგის დროს განსაკუთრებით საცხოვრებელი კორპუსის კუთხის საკნებში ციოდა. ასევე, პატიმრობის განყოფილების ექვს საკანში ცენტრალური გათბობის სისტემა ვერ უზრუნველყოფდა საკნების ჯეროვან გათბობას, რის გამოც პატიმრებს დაურიგდათ ზეთის ელექტროგამათბობლები. საკნების ხელოვნური განათება დამაკმაყოფილებელია.

ბათუმის N3 და ზუგდიდის N4 დაწესებულებები თბება ელექტროქურების მეშვეობით. N3 დაწესებულების ქალთა განყოფილების N1 საკანში არის მცირე ზომის ფანჯარა, რომელიც ვერ უზრუნველყოფს საკნის ბუნებრივ ვენტილაციასა და განათებას. საკნების ვენტილაცია ხდება გამწოვებით. ზუგდიდის N4 და ქუთაისის N2 დაწესებულებების საკნებში არსებული ფანჯრების ზომა უზრუნველყოფს ბუნებრივ განათებას და ვენტილაციას. N2 დაწესებულებაში გათბობა და ხელოვნური ვენტილაცია ხდება ცენტრალური გზით.

პირადი ჰიგიენა

ციხის ევროპული წესების თანახმად, „ადეკვატური სამყოფლის უზრუნველყოფა უნდა მოხდეს, რათა ყოველმა პატიმარმა შეძლოს შხაპით ან აბაზანით სარგებლობა კლიმატისადმი შესატყვისი ტემპერატურის პირობებში. თუ ეს შესაძლებელია დღიურად ან კვირაში ორჯერ მაინც (თუ საჭიროა უფრო ხშირადაც) ზოგადი ჰიგიენის ინტერესებიდან გამომდინარე.“⁵¹¹ „პატიმრებმა უნდა სუფთად და მოწესრიგებულად იქონიონ ტანსაცმელი და საძინებელი, ასევე პირად ჰიგიენას მიაქციონ ყურადღება“⁵¹². „ამისათვის ციხის ადმინისტრაციამ უნდა უზრუნველყოს ისინი შესაბამისი საშუალებებით, ტუალეტის და ჰიგიენური საშუალებებითა და მასალებით“⁵¹³. „ქალთა სანიტარიული საჭიროებებისათვის სპეციალური უზრუნველყოფა უნდა მოხდეს“⁵¹⁴.

ქალი პატიმრებისთვის ადეკვატური საყოფაცხოვრებო პირობების შექმნაზე, მათ მომარაგებაზე ჰიგიენის შესაბამისი ნივთებით, მათი ჯანმრთელობის სპეციფიკურ საჭიროებებზე ზრუნვის აუცილებლობაზე განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს, ასევე, წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის სტანდარტების VI თავი – „თავისუფლებადაკვეთილი ქალები,“⁵¹⁵ რომელიც წარმოადგენს კომიტეტის მე-10 ზოგადი ანგარიშიდან ამონარიდს.⁵¹⁶

გაეროს „ბანგოკის წესების“ მე-5 წესის⁵¹⁷ მიხედვით, „პატიმარ ქალთა განთავსების ადგილას უზრუნველყოფილი უნდა იყოს ქალების სპეციფიკური ჰიგიენური მოთხოვნებისთვის აუცილებელი ნივთები და საშუალებები, რაც ასევე გულისხმობს ჰიგიენური საფენების უფასოდ მიწოდებას და წყლის რეგულარულ მიწოდებას ქალთა და ბავშვთა პირადი ჰიგიენისთვის (...)“.

პატიმრობის კოდექსის 21-ე მუხლის (ბრალდებულის/მსჯავრდებულის პირადი ჰიგიენა) მეორე ნაწილის თანახმად, „როგორც წესი, ბრალდებული/მსჯავრდებული უზრუნველყოფილი უნდა იყოს შხაპის კვირაში ორჯერ მიღების შესაძლებლობით....“

რუსთავის N5 დაწესებულების ადმინისტრაცია თვეში ერთხელ ამარაგებს პატიმრებს სარეცხი საპნით, ფხვნილით, თმის საღებავითა და ქლორით. პირადი ჰიგიენის ნივთების შეძენა შესაძლებელია დაწესებულების მაღაზიაშიც.

დაწესებულების ადმინისტრაცია პატიმრებს მიღებისას უზრუნველყოფს თეთრეულით; საჭიროების შემთხვევაში მათ შემდგომაც მიეწოდებათ თეთრეული. ამ უკანასკნელის შეძენა შესაძლებელია დაწესებულების მაღაზიაშიც. პატიმრები თეთრეულს და

⁵¹¹ 19.4-წესი;

⁵¹² 19.5-წესი;

⁵¹³ 19.6-ე წესი;

⁵¹⁴ 19.7-წესი;

⁵¹⁵ CPT/Inf/E (2002) 1, 2010 წლის რევიზიით

⁵¹⁶ CPT/Inf (2000) 13, 1999 წ.

⁵¹⁷ ავსტრალიის პატიმრებთან მაკრობის მინიმალური სტანდარტული წესების მე-15 და მე-16 წესებს.

ტანსაცმელს რეცხავენ თავად, ამასთან, შესაძლებლობა აქვთ, სარეცხი გაატანონ ოჯახის წევრებს.⁵¹⁸

დაწესებულებაში საპარიკმახერო მომსახურებას ახორციელებს პარიკმახერი პატიმარი, რომელიც მოთხოვნის შემთხვევაში ემსახურება ქალ პატიმრებს.

შხაპს ნახევრად ღია ტიპის დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდებულები იღებენ სურვილისამებრ, ხოლო საპატიმრო დაწესებულებაში – კვირაში ერთხელ. გამონაკლისნი არიან უვადო თავისუფლებადკვეთილი ქალები, რომლებსაც კვირაში ორჯერ აქვთ შხაპის მიღების შესაძლებლობა.

ქუთაისის N2, ბათუმის N3 და ზუგდიდის N4 დაწესებულებებში ქალ პატიმრებს ეძლევათ საშუალება, კვირაში ერთხელ მიიღონ შხაპი. თეთრეულის შექმნა შეუძლიათ დაწესებულების მაღაზიაში და მისი შეტანა დაშვებულია ამანათითაც. სამივე დაწესებულებაში პატიმრები თვითონ რეცხავენ თეთრეულსა და ტანსაცმელს საკნებში. ადმინისტრაცია თვეში ერთხელ უზრუნველყოფს მათ სარეცხი საპნითა და ფხვნილით. რაც შეეხება ჰიგიენის ნივთებს, N4 დაწესებულებაში განთავსებული ქალი პატიმრები აღნიშნავენ, რომ პირადი ჰიგიენის ნივთების ამანათით შეგზავნა აკრძალულია და ისინი ხშირად არც დაწესებულების მაღაზიაში იყიდება. აქვე აღსანიშნავია, რომ მონიტორინგის დროს დაწესებულების მაღაზიაში პროდუქტების სიმწირე შეიმჩნეოდა.

სუფთა ჰაერზე ყოფნის უფლებით სარგებლობა

პატიმრობის კოდექსის მე-14⁵¹⁹ მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, „ბრალდებულს/ მსჯავრდებულს უფლება აქვს, ყოველდღიურად არანაკლებ 1 საათისა იმყოფებოდეს სუფთა ჰაერზე.“

ზუგდიდის N4 და ბათუმის N3 დაწესებულებებში ქალ პატიმართა გასეირნება ხდება ყოველდღე 20–25 წუთით. ქუთაისის N2 დაწესებულებაში – 40–45 წუთი, რაც არ შეესაბამება კოდექსის მოთხოვნებს, რომლის მიხედვითაც გასეირნება უნდა გრძელდებოდეს სულ მცირე ერთი საათი მაინც.

აქვე აღსანიშნავია, რომ პატიმრობის კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში თავსდებიან ქალი მსჯავრდებულები, რომელთაც ვადიანი თავისუფლების აღკვეთა აქვთ შეფარდებული. მიუხედავად ზემოაღნიშნული დისპოზიციისა, ხშირია შემთხვევები, როცა ზუგდიდის N4 და ბათუმის N3 დაწესებულებებში განთავსებული ქალი მსჯავრდებულები დროულად არ გადაჰყავთ შესაბამის დაწესებულებაში და მათ

⁵¹⁸ დაწესებულებაში არის 1 სამრეცხაო ოთახი, ასევე, ცალკე შენობა სამრეცხაოსათვის, თუმცა მისი გამოყენება არ ხდება პატიმრების მიერ. სამრეცხაო ბლოკში არის 5 სარეცხის მანქანა.

⁵¹⁹ ბრალდებულისა და მსჯავრდებულის უფლებები;

დახურული ტიპის რეჟიმის დაწესებულებაში გაცილებით მეტი ხნის გატარება უწყვეტ, ვიდრე ამას კანონი ითვალისწინებს.

კონტაქტი გარე სამყაროსთან

ხანმოკლე პაემნით სარგებლობა

პატიმრობის კოდექსის მე-17 მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, „ხანმოკლე პაემანი ეწყობა 1-იდან 2 საათამდე ვადით. ხანმოკლე პაემანი მიმდინარეობს ადმინისტრაციის წარმომადგენლის მხოლოდ ვიზუალური კონტროლით, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.“

ამავე კანონის 72-ე მუხლის თანახმად, „ქალ მსჯავრდებულს უფლება აქვს, 1 თვის განმავლობაში ჰქონდეს 3 ხანმოკლე პაემანი.“

მონიტორინგის შედეგად გაირკვა, რომ კანონით დადგენილი ხანგრძლივობით პაემნის სარგებლობის უფლება პრობლემურია ზუგდიდის N4 და ბათუმის N3 დაწესებულებებში, სადაც განთავსებული ქალი მსჯავრდებულები აღნიშნავენ, რომ პაემანი 20–25 წუთზე მეტი არ გრძელდება.

აღნიშნული შეზღუდვა გამოწვეულია როგორც ინფრასტრუქტურის უკმარისობით, ასევე ადმინისტრაციის გულგრილი დამოკიდებულებითაც საკითხისადმი.

პატიმრობის კოდექსის 70-ე მუხლის (სასჯელის მოხდის პირობები არასრულწლოვანთა სპეციალურ დაწესებულებაში) მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, „არასრულწლოვან მსჯავრდებულს უფლება აქვს 1 თვის განმავლობაში ჰქონდეს 4 ხანმოკლე პაემანი,“ თუმცა რუსთავის N5 დაწესებულებაში განთავსებული არასრულწლოვანი მსჯავრდებულის⁵²⁰ გადმოცემით, მას შესაძლებლობა აქვს, ისარგებლოს აღნიშნული უფლებით თვეში მხოლოდ სამჯერ, ორ-ორი საათის განმავლობაში.

ხანგრძლივი პაემანი

პატიმრობის კოდექსის 72-ე მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად, ქალ მსჯავრდებულს უფლება აქვს, 1 წლის განმავლობაში ჰქონდეს 2 ხანგრძლივი პაემანი, ხოლო წახალისების ფორმით – წელიწადში 1 დამატებითი ხანგრძლივი პაემანი. მიუხედავად ზემოაღნიშნული ცვლილებისა, რუსთავის N5 დაწესებულებაში დღესდღეობით არ არსებობს გრძელვადიანი პაემნებისათვის განკუთვნილი ინფრასტრუქტურა, რის გამოც ქალები მოკლებულნი არიან კანონით განსაზღვრული უფლებით სარგებლობის საშუალებას.

⁵²⁰ მონიტორინგის დროს დაწესებულებაში მხოლოდ ერთი არასრულწლოვანი მსჯავრდებული გოგონა იმყოფებოდა.

ვიდეოპაემანი

საანგარიშო პერიოდში ვიდეოპაემნისთვის განკუთვნილი ინფრასტრუქტურა არ არსებობდა რუსთავის N5 დაწესებულებაში, რის გამოც ქალები ვიდეოპაემნის უფლებითაც ვერ სარგებლობდნენ.

სატელეფონო საუბრები

პატიმრობის კოდექსის 72-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, ქალ მსჯავრდებულს უფლება აქვს, 1 თვის განმავლობაში საკუთარი ხარჯით ჰქონდეს 4 სატელეფონო საუბარი, თითოეული – არა უმეტეს 15 წუთისა.

ბათუმის N3 დაწესებულებაში წლების განმავლობაში მოუგვარებელია სატელეფონო კავშირი. ეს პრობლემა უკვე რამდენიმე წელია არსებობს და ადმინისტრაცია აღნიშნულს ხან სატელეფონო კაბელის მოპარვით ხსნის, ხანაც – ტექნიკური დაბრკოლებებით.

ზუგდიდის N4 დაწესებულებაში პატიმრებს თვეში ორჯერ ეძლევათ საშუალება, ისარგებლონ ტელეფონით (5–10წთ.). N5 დაწესებულებაში აპარატები განლაგებულია ეზოებში და მსჯავრდებულებს შესაძლებლობა აქვთ, დაუბრკოლებლად ისარგებლონ ტელეფონით.

პრესის, ტელე- და რადიომაუწყებლობის ხელმისაწვდომობა

დადებითად აღსანიშნავია, რომ ყველა ქალ პატიმარს აქვს ტელევიზორის ქონის უფლება. ამასთან, ქუთაისის N2, ბათუმის N3 და ზუგდიდის N4 დაწესებულებებში მხოლოდ ქალ და არასრულწლოვან პატიმრებს აქვთ ტელევიზორები. ბათუმის N3 და ქუთაისის N2 დაწესებულებაში, პატიმართა გადმოცემით, არ შედის გაზეთები, ხოლო დაწესებულების მაღაზიაში იყიდება მხოლოდ გაზეთი „კვირის პალიტრა“, კროსვორდები და ჟურნალები „სარკე“, „თბილისელები“ და „რეიტინგი“.

საჩივარ-განცხადებები

საჩივრის ყუთები ყველა სასჯელაღსრულების დაწესებულებაშია დამონტაჟებული, სადაც ქალები არიან განთავსებულნი, თუმცა, ისევე, როგორც წინა წლებში, კვლავ პრობლემად რჩება ქუთაისის N2, ზუგდიდის N4 და ბათუმის N3 დაწესებულებებიდან პატიმრების საჩივარ-განცხადებების ადრესატებთან გაგზავნა.

პატიმარ ქალთა რესოციალიზაცია

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის თანახმად, „სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავეს რესოციალიზაცია.“

ციხის ევროპული წესების თანახმად, „პატიმრობა სრულად იმგვარად უნდა წარიმართოს, რომ ხელი შეუწყოს თავისუფლებადაღკვეთილ პირთა რეინტეგრაციას თავისუფალ საზოგადოებაში.“⁵²¹

„ყველა საჭირო შესაძლებლობა უნდა იქნეს გამოყენებული: რელიგია, განათლება, ტრენინგი, სოციალური დაცვა, დასაქმება, ფიზიკური განვითარება, მორალური დამოკიდებულების განვითარება. ყოველივე ზემოაღნიშნული უნდა შეესაბამებოდეს პატიმრის პიროვნულ ხასიათს. ამასთანავე, გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი: პატიმრის კრიმინალური წარსული, სასჯელის ზომა და წინასწარ განსაზღვრული პერსპექტივები მისი გათავისუფლების შემდეგ.“⁵²²

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუცია 1663 (2009) „ქალები ციხეში“ წევრ სახელმწიფოებს რეკომენდაციას აძლევს, ზოგადად მსჯავრდებულთა და მათ შორის, ქალ მსჯავრდებულთა განათლების დონის ამაღლების მიზნით, კვირაში მინიმუმ 24-საათიანი საგანმანათლებლო და ტრენინგურების დანერგვაზე ქალი მსჯავრდებულთათვის.⁵²³

N5 ქალთა დაწესებულებაში მოქმედებს პროგრამა „ქალი და ბიზნესი“, რომლის ფარგლებშიც ხდება კომპიუტერის, ენებისა და თექის სწავლება. სწავლება მიმდინარეობს 3 ჯგუფში და თითოეულში ჩართულია 8 პატიმარი. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ჩართულია 70-მდე პატიმარი. დაწესებულებაში არის ფსიქორეაბილიტაციის ცენტრის სარეაბილიტაციო პროგრამა, რომელიც შედგება 3 ჯგუფისგან, თითოეულ ჯგუფში არის 8 პატიმარი. დაწესებულებაში ფუნქციონირებს არასრულწლოვანთა სკოლა.

რაც შეეხება ქუთაისის N2, ბათუმის N3 და ზუგდიდის N4 დაწესებულებებს, იქ ქალი პატიმრებისათვის არ მოქმედებს არანაირი სარეაბილიტაციო პროგრამა.

დასაქმება

საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემაში ამჟამად განთავსებულ არც ერთ ქალ მსჯავრდებულს არ აქვს ანაზღაურებადი სამუშაო.

⁵²¹ წესი 6

⁵²² წესი 66

⁵²³ პუნქტი 11.1

რეკომენდაციები საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრს:

- უზრუნველყოფილ იქნეს ქალი მსჯავრდებულებისათვის გრძელვადიანი პაემნებით და ვიდეოპაემნებით სარგებლობის უფლების რეალიზება.

რეკომენდაციები საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს

ქალ პატიმართა კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების სრული რეალიზების მიზნით, უზრუნველყოს:

- ქალი პატიმრისათვის კანონით დადგენილი ყოველდღიური გასეირნება;
- ქალ მსჯავრდებულთა დროული გადაყვანა მათთვის კანონით გათვალისწინებულ ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში;
- ყველა დაწესებულებაში ტელეფონის ხელმისაწვდომობა კანონით დადგენილი წესითა და ხანგრძლივობით;
- ქალი პატიმრებისათვის კვირაში ორჯერ შხაპის მიღების შესაძლებლობა;
- ქალი პატიმრების მომარაგება მათი პირადი ჰიგიენისთვის აუცილებელი ნივთებით, მათ შორის, მაღაზიის საშუალებით;
- პაემნების ხანგრძლივობის დარეგულირება კანონის შესაბამისად;
- პატიმრების საჩივარ-განცხადებებისა და სხვა სახის კორესპონდენციის ადრესატებთან დროული გადაგზავნა.

უვადო თავისუფლებაადკვეთილ მსჯავრდებულთა მდგომარეობა საქართველოს პენიტენციურ სისტემაში

2011 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემაში განთავსებული იყო 91 უვადო თავისუფლებაადკვეთილი პირი, მათ შორის – 4 ქალი. სპეციალური პრევენციული ჯგუფი მონიტორინგის მსვლელობისას ხელმძღვანელობდა ეროვნული კანონმდებლობით, საერთაშორისო სტანდარტებით, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციით წევრი სახელმწიფოებისადმი უვადო და სხვა გრძელვადიანი პატიმრების მართვის შესახებ ციხის ადმინისტრაციების მიერ,⁵²⁴ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციით წევრი სახელმწიფოებისადმი პირობით გათავისუფლების შესახებ,⁵²⁵ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეზოლუციით პირობით მსჯავრდებულებისა და პირობით ვადამდე გათავისუფლებულთა ზედამხედველობისა და შემდგომი მეთვალყურეობის ღონისძიებათა პრაქტიკული ორგანიზების შესახებ,⁵²⁶ ასევე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრევენციული სამართლით.

საქართველოში 1997 წლამდე მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებდა სიკვდილით დასჯას. საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის მეორე პუნქტი შესაძლებელს ხდიდა სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიების - სიკვდილით დასჯის გამოყენებას, მის სრულ გაუქმებამდე, სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის. ამ სასჯელის შეფარდების უფლება ჰქონდა მხოლოდ საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 25 ივლისის N387 ბრძანებულებით, რომელიც შეეხებოდა იმ პირთა შეწყალებას, რომელთაც მისჯილი ჰქონდათ სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება – სიკვდილით დასჯა, შეწყალებულ იქნა 54 სიკვდილმისჯილი მსჯავრდებული და ყველა მათგანს დანიშნული სასჯელი შეეცვალა 20 წლით თავისუფლების ადკვეთით.

1997 წლის 11 ნოემბერს საქართველოს პარლამენტმა მხარი დაუჭირა საქართველოს პრეზიდენტის მიერ ინიცირებულ კანონპროექტს და მიიღო საქართველოს კანონი „სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიების – სიკვდილით დასჯის სრული გაუქმების შესახებ.“

ამჟამად მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სასჯელის განსაკუთრებულ ზომად გათვალისწინებულია უვადო თავისუფლების ადკვეთა. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 51-ე მუხლის თანახმად, „უვადო თავისუფლების ადკვეთა შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის“ და „უვადო თავისუფლების ადკვეთა არ დაენიშნება იმას, ვისაც დანაშაულის ჩადენამდე არ

⁵²⁴ 2003 წლის 9 ოქტომბრის რეკომენდაცია Rec 2003 (23).

⁵²⁵ 2003 წლის 24 სექტემბრის რეკომენდაცია Rec 2003 (22).

⁵²⁶ 1970 წლის 26 იანვრის რეზოლუცია (70) 1.

შესრულება თვრამეტი წელი ან ვისაც განაჩენის გამოტანის მომენტისათვის შეუსრულდა სამოცი წელი.”

დღევანდელი რედაქციით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი 19 დანაშაულისთვის ითვალისწინებს უვადო თავისუფლების აღკვეთას.⁵²⁷ ამჟამად უვადო თავისუფლება აღკვეთილთა უმრავლესობა სასჯელს იხდის განზრახ მკვლელობის მუხლით; შემდეგ ადგილზეა ნარკოტიკული დანაშაულები და დანაშაულები სახელმწიფოს წინააღმდეგ.

ამჟამად უვადო თავისუფლება აღკვეთილი პირები საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემის რამდენიმე დაწესებულებაში არიან განთავსებული. ძირითადი ნაწილი განთავსებულია რუსთავის N6 დაწესებულებაში, ოთხი მსჯავრდებული – თბილისის N7, ხოლო უვადო მსჯავრდებული ქალები – რუსთავის N5 ქალთა დაწესებულებებში. სასჯელის ზომის საბოლოო განსაზღვრამდე უვადო თავისუფლება აღკვეთილი მსჯავრდებულები, რომელთა პროცესიც ჩანიშნულია დასავლეთ საქართველოში მდებარე სასამართლოებში, დროებით განთავსდებიან ქუთაისის N2 დაწესებულებაში.

მოპყრობა

არც პრევენციის ეროვნული მექანიზმის მონიტორინგის დროს და არც სახალხო დამცველის აპარატში შემოსული განცხადებების განხილვის შედეგად უვადო თავისუფლება აღკვეთილ პირთა მიმართ არასათანადო მოპყრობის ფაქტები არ გამოვლენილა. უვადო მსჯავრდებულების განცხადებები და საჩივრები ძირითადად შეეხება ყოფითი ხასიათის ან ჯანმრთელობის პრობლემებს, რომლებიც ზოგადად, საქართველოს პენიტენციური სისტემის ნაკლოვანი მიმართულებებია და ერთნაირად შეეხება როგორც უვადო, ასევე, ვადიან მსჯავრდებულებს.⁵²⁸

უვადო მსჯავრდებულთა განთავსების პირობების შესაბამისობა ევროპულ სტანდარტებთან

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის Rec(2003)23 რეკომენდაცია წევრი სახელმწიფოებისადმი უვადო და სხვა გრძელვადიანი პატიმრების მართვის შესახებ ციხის ადმინისტრაციების მიერ შეიცავს იმ პრინციპების ჩამონათვალს, რომლებიც

⁵²⁷ მუხლი 109-3. განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში; მუხლი 143²-4. არასრულწლოვნით ვაჭრობა (ტრეფიკინგი); მუხლი 227²-3. სტაციონარული პლატფორმის მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლება, განადგურება ან დაზიანება; მუხლი 260-3. ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო დამზადება, წარმოება, შექმნა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება; მუხლი 308-2. საქართველოს ტერიტორიული ხელშეუხებლობის დარღვევა; მუხლი 318-3. საბოტაჟი; მუხლი 323-3. ტერორისტული აქტი; მუხლი 324-2. ტექნოლოგიური ტერორიზმი; მუხლი 324¹-2. კიბერტერორიზმი; მუხლი 325. საქართველოს პოლიტიკური თანამდებობის პირზე თავდასხმა; მუხლი 326. საერთაშორისო დაცვით მოსარგებლე პირზე ან დაწესებულებაზე თავდასხმა; მუხლი 330-2. სტრატეგიული ან განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტის ხელში ჩაგდება ან ბლოკირება ტერორისტული მიზნით; მუხლი 331¹-3. ტერორიზმის დაფინანსება; მუხლი 353¹-3. პოლიციელზე ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენელზე ანდა საჯარო დაწესებულებაზე თავდასხმა; მუხლი 404-2. აგრესიული ომის მომზადება ან წარმოება; მუხლი 407. გენოციდი; მუხლი 408. დანაშაული ადამიანურობის წინააღმდეგ; მუხლი 409. ეკოციდი; მუხლი 411-2. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების განზრახ დარღვევა შეიარაღებული კონფლიქტის დროს.

⁵²⁸ იხ. სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „ჯანმრთელობის უფლების რეალიზება და მასთან დაკავშირებული პრობლემები საქართველოს პენიტენციურ სისტემაში“, 2009 წელი, 2010 წლის პირველი ნახევარი.

წევრმა სახელმწიფოებმა უნდა გაითვალისწინონ უვადო თავისუფლებააღკვეთილ პირთა პირობების განსაზღვრისას. რეკომენდაციის შესავალშივე ნათქვამია, რომ „სასჯელაღსრულების სისტემა უნდა იცავდეს ბალანსს, ერთი მხრივ, უსაფრთხოების, წესრიგისა და დისციპლინის დაცვასა და, მეორე მხრივ, პატიმრების წესიერი საცხოვრებელი პირობებით, აქტიური რეჟიმისა და გათავისუფლებისთვის კონსტრუქციული მომზადებით უზრუნველყოფას შორის.“ „პატიმრების მართვა უნდა ხდებოდეს ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინებით და შეესაბამებოდეს კანონიერების, თანასწორობისა და სამართლიანობის პრინციპებს.“

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წევრ სახელმწიფოებს რეკომენდაცია ეძლევათ, უვადო და გრძელვადიანი მსჯავრდებულების მართვისას გაითვალისწინონ შემდეგი მიზნები:

- ციხეების უსაფრთხოებისა და დაცულობის უზრუნველყოფა;
- უვადო და გრძელვადიანი პატიმრობის მანვე შედეგების შემცირება;
- აღნიშნულ პატიმართა გათავისუფლების შემდეგ წარმატებული რესოციალიზაციისა და კანონმორჩილი შესაძლებლობების გაზრდა.⁵²⁹

გარდა ზოგადი მიზნებისა, რეკომენდაცია შეიცავს იმ უმთავრეს პრინციპებსაც, რომლებსაც უნდა შეესაბამებოდეს უვადო თავისუფლებააღკვეთილ მსჯავრდებულთა მდგომარეობა სასჯელაღსრულების სისტემაში. მათ შორის, „პატიმრობის დაგეგმვისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს უვადო და სხვა გრძელვადიანი პატიმრების პიროვნული თვისებების განსხვავებულობა (ინდივიდუალიზაციის პრინციპი).“⁵³⁰ ამასთან, „ციხის საცხოვრებელი პირობები მაქსიმალურად მიახლოებული უნდა იყოს ციხის გარეთ ჩვეულებრივ საცხოვრებელ პირობებთან (ნორმალიზაციის პრინციპი).“⁵³¹ „არ უნდა მოხდეს უვადო და სხვა გრძელვადიანი პატიმრების იზოლაცია მხოლოდ მათი სასჯელის ტიპის გამო (იზოლაციის დაუშვებლობის პრინციპი).“⁵³²

სპეციალური პრევენციული ჯგუფის მონიტორინგის შედეგებიდან ცხადი ხდება, რომ საქართველოს კანონმდებლობა და პენიტენციურ სისტემაში არსებული პრაქტიკა შორს არის ზემოაღნიშნული სტანდარტებისა და მიზნებისაგან. დღესდღეობით, ერთადერთი მიზანი, რომელსაც სასჯელაღსრულების სისტემაში უვადო მსჯავრდებულთა მენეჯმენტი ემსახურება, არის ამ კატეგორიის მსჯავრდებულთა იზოლაცია საზოგადოებისგან.

სხვა მსჯავრდებულების მსგავსად, უვადო თავისუფლებააღკვეთილთა განთავსების პირობები რეგულირებულია საქართველოს პატიმრობის კოდექსით, რომელიც ითვალისწინებს ამ კატეგორიის მსჯავრდებულების განთავსებას დახურული ტიპის დაწესებულებაში – კოდექსის 64-ე მუხლის თანახმად, დახურული ტიპის

⁵²⁹ პუნქტი 2, ზოგადი პრინციპები

⁵³⁰ პუნქტი 3

⁵³¹ პუნქტი 4

⁵³² პუნქტი 7

თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, „როგორც წესი სასჯელს იხდის: პირი, რომელიც პირველად არის მსჯავრდებული განზრახი, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის, სასამართლოს მიერ განესაზღვრა 10 წელზე მეტი ვადით თავისუფლების აღკვეთა; განზრახი დანაშაულისათვის არაერთგზის ნასამართლევი პირი, უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირი.....“

კანონი არ ითვალისწინებს ინდივიდუალიზაციისა და იზოლაციის დაუშვებლობის პრინციპებს – მსჯავრდებულთა განთავსების პირობები განისაზღვრება არა მათი პიროვნებიდან და მათგან მომავალი საფრთხის ხარისხიდან გამომდინარე, არამედ მხოლოდ სასჯელის ზომის მიხედვით. შესაბამისად, ავტომატურად ხდება ყველა უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულის განცალკევება სხვა მსჯავრდებულებისგან, მიუხედავად იმისა, რომ პატიმრობის კოდექსი, განსხვავებით 2010 წლის ოქტომბრამდე მოქმედი „პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონისგან, აღნიშნულს აღარ ითვალისწინებს.⁵³³ მაშინ, როდესაც ევროპის საბჭოს რეკომენდაციის თანახმად, „ციხის ადმინისტრაციამ უნდა განახორციელოს გულდასმითი შეფასება იმის დასადგენად, უქმნიან თუ არა ცალკეული პატიმრები საფრთხეს თავიანთ თავს ან სხვებს. უნდა შეფასდეს თვითდაზიანების საფრთხე, სხვა პატიმრებისთვის ზიანის მიყენების საფრთხე, ციხეში მომუშავე ან ციხეში მოსანახულებლად მოსული პირებისთვის ზიანის მიყენების საფრთხე (...).“⁵³⁴

წამების პრევენციის ევროპულმა კომიტეტმა (CPT) თავის ანგარიშებში არაერთხელ გაუსვა ხაზი უვადო მსჯავრდებულთა განცალკევების დაუშვებლობას. მაგალითად, თავის 2006 წლის ანგარიშში ჩეხეთის მთავრობისადმი კომიტეტი მითითებას აკეთებს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2003 წლის 9 ოქტომბრის (2003) 23 რეკომენდაციაზე – „ციხის ადმინისტრაციის მიერ უვადო და გრძელვადიანი მსჯავრდებულების მართვის შესახებ“ და აღნიშნავს: „უვადო მსჯავრდებულები არ უნდა განცალკევდნენ სხვებისგან მხოლოდ სასჯელის ზომიდან გამომდინარე. აღნიშნული პრინციპი უსაფრთხოებისა და უვნებლობის პრინციპთან ერთობლიობაში უნდა იქნეს განხილული, რომელიც გულისხმობს დეტალურ ევალუაციას, რამდენად წარმოადგენს პატიმარი საშიშროებას საკუთარი თავის, სხვა პატიმრების, ციხის თანამშრომელთა და გარე საზოგადოების მიმართ. ეს ნიშნავს, რომ არასწორია, როდესაც უვადო მსჯავრდებული იმთავითვე განიხილება, როგორც საშიში კატეგორია. აღნიშნული რეკომენდაციის განმარტებით ბარათში აღნიშნულია, რომ „როგორც წესი, ბევრი ციხის ადმინისტრაციის გამოცდილება მოწმობს, რომ ამ მსჯავრდებულთა უმრავლესობა არ წარმოადგენს საფრთხეს საკუთარი თავისთვის ან სხვებისთვის“ და „მათი ქცევა სტაბილური და სანდოა“. ამგვარად, უვადო მსჯავრდებულთა განაწილება უნდა მოხდეს რისკების/საჭიროებების დეტალური და რეგულარული შეფასების

⁵³³ „პატიმრობის შესახებ“ კანონის 22-ე მუხლის 1 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ითვალისწინებდა უვადო თავისუფლებააღკვეთილთა განცალკევებით მოთავსებას.

⁵³⁴ მე-12 პუნქტი

შედეგად, რომელიც დაფუძნებული უნდა იყოს სასჯელის მოხდის ინდივიდუალურ გეგმაზე და არა მხოლოდ სასჯელის ზომაზე.⁵³⁵

საქართველოს პატიმრობის კოდექსის თანახმად, უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულები დღეში მხოლოდ ერთი საათი ან საათნახევარი სარგებლობენ სუფთა ჰაერზე გასვლის უფლებით.⁵³⁶ ლაპარაკიც ზედმეტია, რომ დახურულ რეჟიმში განთავსებითა და მხოლოდ ერთსაათიანი გასეირნების უფლების მინიჭებით ირღვევა ნორმალიზაციის პრინციპიც – უვადო თავისუფლებააღკვეთილ მსჯავრდებულთა განთავსების პირობებს ვერც კი შევადარებთ ნორმალურ საცხოვრებელ პირობებს.

წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის პრევენციის ევროპულმა კომიტეტმა (CPT) თავის 2007 წლის ანგარიშში საქართველოს მთავრობისადმი აღნიშნა, რომ N6 დაწესებულებაში უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირები მოწყვეტილნი არიან ადამიანურ კონტაქტებს და შემოიფარგლებიან მხოლოდ იშვიათი ვიზიტებითა და საკუთარ საკანში მყოფ პატიმართან ურთიერთობით. CPT-მ ამ მსჯავრდებულთა ცალკე ფლიგელში მოთავსება და მათი გამოყოფა სხვა ბინადართაგან შეაფასა დისკრიმინაციად.

უვადო თავისუფლებააღკვეთილთა ამგვარ იზოლაციას ხშირად ხსნიან იმით, რომ ამ კატეგორიის მსჯავრდებულები განსაკუთრებულად საშიშთა რიცხვს მიეკუთვნებიან, რომლებსაც „არაფერი აქვთ დასაკარგი“. როგორც ზემოთ აღინიშნა და ამაზე შემდგომშიც იქნება საუბარი, ამგვარი მიდგომა არამართებულია და არ შეესაბამება ევროპულ სტანდარტებს, ვინაიდან ნებისმიერი, მათ შორის, უვადო პატიმრების მიერ სასჯელის მოხდა ორიენტირებული უნდა იყოს მათ რესოციალიზაციაზე, მათ მომზადებაზე თავისუფალი ცხოვრებისთვის. უვადო მსჯავრდებულებმა უნდა იცოდნენ, რომ კარგი ყოფაქცევისა და რეაბილიტაციის პირობებში მათი სასჯელის ზომა გადაიხედება. შესაბამისად, მათ ბევრი ექნებათ დასაკარგი, თუ არ დაიცავენ წესრიგს და ჩაიდენენ კანონდარღვევას სასჯელის მოხდის განმავლობაში.

ქალთა N5 დაწესებულება

2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ქალთა N5 დაწესებულებაში სასჯელს იხდიდა ოთხი უვადო მსჯავრდებული ქალი და ისინი განთავსებულნი იყვნენ ორ საკანში (თითო საკანში ორი მსჯავრდებული).

იმ საკნების ფართობი, რომლებშიც მოთავსებულნი არიან უვადო თავისუფლებააღკვეთილი ქალები, 18კვ.მ-ია. საკანში დგას ორსართულიანი საწოლი. საკანს აქვს 1.7 კვ.მ ზომის ფანჯარა, რომელიც უზრუნველყოფს ბუნებრივ განათებას. თბება ცენტრალური სისტემით, ვენტილაცია ხდება როგორც ცენტრალური, ისე

⁵³⁵ პარ. 42

⁵³⁶ მუხლი 14, ნაწილი 1, „ზ“ ქვეპუნქტი.

ბუნებრივი გზით, რადგან ფანჯრის ზომა იძლევა ბუნებრივი ვენტილაციის შესაძლებლობასაც. საკანში არის იზოლირებული საპირფარეშო, სადაც დამონტაჟებულია პირსაბანი. საკნების სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. საკანში დგას მაგიდა სკამებით. პატიმრებს აქვთ ინდივიდუალური ტუმბოები. საკნები ეკიპირებულია ტელევიზორით.

უვადო თავისუფლებადკვეთილ ქალებს საშუალება ეძლევათ, ყოველდღიურად ორ საათამდე იმყოფებოდნენ სუფთა ჰაერზე. ისინი უზრუნველყოფილნი არიან შხაპის მიღების შესაძლებლობით კვირაში 3–ჯერ.

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის Rec(2003)23 რეკომენდაციის მიხედვით, „ვინაიდან ქალი პატიმრები, როგორც წესი, წარმოადგენენ სამუდამო პატიმრობამისჯილი და სხვა გრძელვადიანი პატიმრების მცირე ნაწილს, მათი სასჯელის შესრულების ინდივიდუალური გეგმები ისე უნდა იქნას შედგეს, რომ შეესაბამებოდეს მათ სპეციფიკურ საჭიროებებს. განსაკუთრებული ძალისხმევა უნდა იქნეს გამოყენებული ქალ პატიმრებთან დაკავშირებით იმისათვის, რომ (...) თავიდან იქნას აცილებული მათი სოციალური იზოლაცია, რამდენადაც შესაძლებელია, მათი განთავსებით ქალი პატიმრების საერთო მოსახლეობაში. (...)“.⁵³⁷

საქართველოს პატიმრობის კოდექსის მეორე მუხვით თავი შეეხება ქალი მსჯავრდებულის მიერ თავისუფლების აღკვეთის მოხდის თავისებურებებს, რომელშიც აღნიშნულია, რომ „ქალი მსჯავრდებული სასჯელს იხდის ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში“.⁵³⁸ აღნიშნული სპეციალური დისპოზიცია არ ვრცელდება უვადო მსჯავრდებულ ქალებზე, რომლებიც, ამავე კოდექსის 61-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან გამომდინარე, დახურულ რეჟიმში არიან განთავსებულები.⁵³⁹

რუსთავის N6 დაწესებულება

რუსთავის N6 დაწესებულებაში, 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, განთავსებული იყო 82 უვადო თავისუფლებადკვეთილი პირი. მონიტორინგის დროს ერთი მსჯავრდებული გადაყვანილი იყო N18 სამკურნალო დაწესებულებაში.

უვადო პატიმრები რუსთავის N6 დაწესებულებაში განთავსებულნი არიან ცალკე ფლიგელში და დათმობილი აქვთ 31 საკანი. აქედან 11 საკანში განთავსებულია თითო პატიმარი, ხუთ საკანში – 2–2 პატიმარი, ხუთ საკანში განთავსებულია 3–3 პატიმარი, 6 საკანში – 4–4 პატიმარი და დანარჩენ 4 საკანში განთავსებულია 5–5 პატიმარი. ერთი უვადო თავისუფლებადკვეთილი მსჯავრდებული განთავსებულია დაწესებულების სხვა ნაწილში არსებულ ორადგილიან საკანში. აღნიშნულ მსჯავრდებულს, სხვა უვადო

⁵³⁷ 30-ე პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები.

⁵³⁸ მუხლი 72, ნაწილი 1.

⁵³⁹ აღნიშნული დისპოზიცია ითვალისწინებს ნახევრად ღია რეჟიმს იმ მსჯავრდებული ქალებისთვის, რომლებსაც ვადიანი თავისუფლების აღკვეთა აქვთ შეფარდებული.

თავისუფლებაადკვეთილი მსჯავრდებულებისაგან განსხვავებით, არ აქვს ტელევიზორი, რადგან დაწესებულების ამ ნაწილში არ არის გაყვანილი სატელევიზიო კაბელი.

იმ საკნის ფართობები, რომლებშიც მოთავსებულნი არიან უვადო თავისუფლებაადკვეთილი მსჯავრდებულები 19.5 კვ.მ-ია. საკნებში დგას ორსართულიანი საწოლი. ფანჯრის ზომა უზრუნველყოფს საკმარის ბუნებრივ განათებას. თბება ცენტრალური სისტემით, ვენტილაცია ხდება როგორც ცენტრალური, ისე ბუნებრივი გზით, რადგან ფანჯრის ზომა იძლევა ბუნებრივი ვენტილაციის შესაძლებლობასაც. საკანში არის იზოლირებული საპირფარეშო, სადაც დამონტაჟებულია პირსაბანი. საკნების სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. საკანში დგას მაგიდა სკამებით. პატიმრებს აქვთ ინდივიდუალური ტუმბოები. საკნები ეკიპირებულია ტელევიზორებით.

N6 დაწესებულებაში განთავსებულ უვადო თავისუფლებაადკვეთილ პირებს შესაძლებლობა აქვთ, შაბათ-კვირის გარდა, ყოველდღიურად ისარგებლონ 1³⁰ საათი გასეირნების უფლებით, ასევე – შხაპის მიღებით კვირაში ერთხელ.

თბილისის N7 დაწესებულება

N7 დაწესებულებაში, 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 4 უვადო თავისუფლებაადკვეთილი იყო განთავსებული. ისინი განთავსებულნი არიან თითო-თითოდ, ორადგილიან საკნებში.

იმ საკნების ფართობი, რომლებშიც მოთავსებულნი არიან უვადო თავისუფლებაადკვეთილი მსჯავრდებულები, 7.1 კვ.მ-ია. საკანში დგას ორსართულიანი საწოლი. საკანს აქვს 0.25 კვ.მ ზომის ფანჯარა, რომელიც ვერ უზრუნველყოფს ბუნებრივ განათებას. თბება ცენტრალური სისტემით, ვენტილაცია ხდება ცენტრალური გზით; ფანჯრის მცირე ზომის გამო ვერ ხდება საკნის ბუნებრივი ვენტილაცია. საკანში არის იზოლირებული საპირფარეშო. საკანშივე დამონტაჟებულია პირსაბანი. საკნების სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა არის საშუალო. საკანში დგას მცირე ზომის მაგიდა და პატიმრებს არ აქვთ ინდივიდუალური ტუმბოები.

მსჯავრდებულები ყოველდღე 1 საათით სარგებლობენ გასეირნების უფლებით. N7 დაწესებულების თავისებურებაა ის, რომ მსჯავრდებულები სატელევიზიო პროგრამების ნაცვლად DVD-ის საშუალებით უყურებენ ჩანაწერებს. დაწესებულების ადმინისტრაცია აღნიშნულს ხსნის ტექნიკური ხარვეზით, თუმცა, სავარაუდოდ, ნამდვილი მიზეზი N7 დაწესებულების განსაკუთრებული ხასიათია – ამ დაწესებულებაში სასჯელს იხდიან ე.წ. „კანონიერი ქურდები“.

ციხის ევროპული წესების თანახმად, „პატიმრებს უნდა მიეცეთ საშუალება, რეგულარულად შეიტყონ საზოგადოებრივი მოვლენების შესახებ და ამისათვის გამოიწერონ და იკითხონ გაზეთები, პერიოდული გამოცემები და სხვა პუბლიკაციები,

მოუსმინონ რადიოს ან სატელევიზიო გადაცემებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კონკრეტული აკრძალვა დაწესებული სასამართლო ხელისუფლების მიერ გარკვეული პერიოდის განმავლობაში ინდივიდუალურ შემთხვევაში.⁵⁴⁰ შესაბამისად, N7 დაწესებულებაში განთავსებულ მსჯავრდებულებსაც უნდა მიეცეთ საშუალება, უყურონ ჩვეულებრივ სატელევიზიო პროგრამებს.

რეკომენდაცია საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრს: უზრუნველყოფილ იქნეს უვალო თავისუფლებადაკვეთილი მსჯავრდებულების განთავსების პირობების შესაბამისობა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის, ევროპის საბჭოს და წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის (CPT) სტანდარტებთან.

გარე სამყაროსთან ურთიერთობა

უვალო თავისუფლებადაკვეთილ მსჯავრდებულებს პატიმრობის კოდექსით განსაზღვრული აქვთ გარე სამყაროსთან ურთიერთობის შემდეგი ფორმები: გრძელვადიანი და მოკლევადიანი პაემანი, სატელეფონო საუბარი, მიმოწერის უფლება, მედიასაშუალებებით ინფორმაციის მიღების უფლება.

უვალო მსჯავრდებულებთან, როგორც სხვებთან, რეგულარულად დადის სასულიერო პირი.

სახალხო დამცველი წლების განმავლობაში გაცემდა რეკომენდაციებს გრძელვადიანი პაემნების აღდგენის თაობაზე, რაც ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და 2011 წლიდან არასრულწლოვან, უვალო თავისუფლებადაკვეთილ და ნახევრად ღია ტიპის დაწესებულებებში განთავსებულ მსჯავრდებულებს მიეცათ საშუალება, ისარგებლონ აღნიშნული უფლებით.

პატიმრობის კოდექსის 65-ე მუხლის მესამე პუნქტის თანახმად, უვალო თავისუფლებადაკვეთილ მსჯავრდებულს, რომელიც სასჯელს იხდის დახურული ტიპის თავისუფლების ადკვეთის დაწესებულებაში, უფლება აქვს, ჰქონდეს 1 წლის განმავლობაში 2 ხანგრძლივი პაემანი, ხოლო წახალისების ფორმით – წელიწადში 1 დამატებითი ხანგრძლივი პაემანი.

კანონში ზემოხსენებული ცვლილება წინგადადგმულ ნაბიჯად უნდა შეფასდეს, თუმცა ამ დროისთვის უვალო პატიმრების განთავსების ადგილებიდან მხოლოდ რუსთავის N6 დაწესებულებაში არსებობს გრძელვადიანი პაემნებისთვის განკუთვნილი ინფრასტრუქტურა. სხვა დაწესებულებებში განთავსებული უვალო თავისუფლებადაკვეთილი მსჯავრდებულები, მათ შორის, უვალო პატიმარი ქალები, დღემდე ვერ სარგებლობენ კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებით

⁵⁴⁰ წესი 24.1

გრძელვადიან პაემანზე.

პატიმრობის კოდექსის 65-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, დახურული ტიპის დაწესებულებაში განთავსებულ მსჯავრდებულს უფლება აქვს, „1 თვის განმავლობაში ჰქონდეს 1 ხანმოკლე პაემანი.“

წამების პრევენციის ევროპულმა კომიტეტმა (CPT) თავისი 2010 წლის თებერვლის ვიზიტის ამსახველ ანგარიშში საქართველოს მთავრობას მისცა რეკომენდაცია, გადახედოს მსჯავრდებულთა პაემნების პირობების განმსაზღვრელ კანონმდებლობას, ვინაიდან, კომიტეტის აზრით, თვეში ერთი პაემანი არ არის საკმარისი პატიმრისთვის ოჯახთან კარგი ურთიერთობის შესანარჩუნებლად. ამგვარი შეხვედრების რაოდენობა საგრძნობლად უნდა გაიზარდოს (მაგალითად, სულ მცირე, ერთი პაემანი კვირაში).⁵⁴¹

წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის (CPT) 2010 წლის ანგარიშში საქართველოს მთავრობისადმი აღნიშნულია: „წამების საწინააღმდეგო კომიტეტმა 2007 წლის ანგარიშში უკვე აღნიშნა, რომ გარე სამყაროსთან პატიმრის კონტაქტის ზომის განმსაზღვრელი, საზოგადოდ, როგორც მისთვის მისჯილი სასჯელის ნაწილი, თავიდანვე მცდარია. ყველა მსჯავრდებულს ერთნაირად უნდა შეეძლოს კონტაქტი გარე სამყაროსთან და უნდა ჰქონდეს თავის ოჯახთან და მეგობრებთან, განსაკუთრებით კი თავის მეუღლესთან და შვილებთან ურთიერთობის შენარჩუნების საშუალება. ეს ურთიერთობები შეიძლება გადამწყვეტი აღმოჩნდეს ადამიანებისთვის, განსაკუთრებით პატიმრების სოციალური რეაბილიტაციის თვალსაზრისით. სახელმძღვანელო პრინციპი უნდა იყოს გარე სამყაროსთან რაც შეიძლება ხშირი კონტაქტის ხელშეწყობა; ასეთი კონტაქტის ნებისმიერი შეზღუდვა უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ უშიშროების მნიშვნელოვან საკითხებს ან ხელმისაწვდომ რესურსებთან დაკავშირებულ მოსაზრებებს. რაც შეეხება პატიმრებისთვის ციხიდან გარკვეული პერიოდით გასვლის ნებართვის გაცემას, იგი, ალბათ, ვერ შეცვლის გრძელვადიანი პაემნების უკმარისობას.“⁵⁴²

ევროპის საბჭოს რეკომენდაციის REC (2003) 23 მიხედვითაც, „საჭიროა განსაკუთრებული ძალისხმევა, რათა თავიდან იქნეს აცილებული ოჯახური კავშირების გაწყვეტა. ამ მიზნით:

- პატიმრების უნდა განათავსონ მათ ოჯახებთან ან ახლო ნათესავებთან მაქსიმალურად ახლოს მდებარე ციხეებში;
- წერილები, სატელეფონო ზარები და პაემნები დაშვებულ უნდა იქნეს მაქსიმალური სიხშირითა და რაც შეიძლება ნაკლები დაბრკოლებით. თუ ეს არღვევს უსაფრთხოებისა და დაცულობის მოთხოვნებს ან თუ საფრთხეების შეფასება ამართლებს სხვაგვარ ქმედებას, ურთიერთობის ეს საშუალებები უნდა გაკონტროლდეს

⁵⁴¹ პარ. 109

⁵⁴² იქვე

უსაფრთხოების ისეთი გონივრული ზომებით, როგორებიცაა წერილების მონიტორინგი და პატიმართან სტუმრად მიმსვლელი პირების ჩხრეკა პაემნის წინ და შემდგომ.⁵⁴³

საქართველოს პატიმრობის კოდექსის 46-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვითაც, „მსჯავრდებული სასჯელს იხდის მისი ან მისი ახლო ნათესავის საცხოვრებელი ადგილიდან ყველაზე ახლოს მდებარე, შესაბამისი ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში (...)“.

საქართველოს პენიტენციურ სისტემაში, უვადო თავისუფლება აღკვეთილ პირთა განთავსების პრაქტიკული თავისებურებებიდან გამომდინარე, ამ კატეგორიის მსჯავრდებულების შემთხვევაში არ არის დაცული მათი საცხოვრებელ ადგილთან ახლოს მდებარე დაწესებულებაში განთავსების პრინციპი, რაც დამატებით სირთულეს უქმნის იმ მსჯავრდებულთა ოჯახის წევრებს და ახლობლებს, რომლებიც დასავლეთ საქართველოში ცხოვრობენ.

თავის 2000 წლის ანგარიშში უკრაინის მთავრობისადმი წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT) აღნიშნავს, რომ „უვადო მსჯავრდებულების რისკები/საჭიროებები ინდივიდუალურად უნდა შეფასდეს. ამგვარი მიდგომა აღნიშნულ მსჯავრდებულებს ასევე მისცემს საშუალებას, თავიანთ საცხოვრებელ ადგილთან ახლოს მდებარე დაწესებულებაში იყვნენ განთავსებულნი და გააუმჯობესებს მათ კონტაქტს გარე სამყაროსთან.“⁵⁴⁴

საქართველოს პატიმრობის კოდექსის თანახმად, ზოგიერთი კატეგორიის მსჯავრდებულებს უფლება აქვს, ისარგებლოს ვიდეოპაემნით, თუმცა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდებული პირებისთვის კანონი აწესებს გამონაკლისს.⁵⁴⁵ შესაბამისად, უვადო თავისუფლება აღკვეთილი პირები, რომლებიც სწორედ ამ უკანასკნელ კატეგორიას მიეკუთვნებიან, მოკლებულნი არიან ვიდეოპაემნით სარგებლობის საშუალებას. დაწესებულებიდან ხანმოკლე გასვლის უფლებაც, ისევე, როგორც ვიდეოპაემანი, არ ვრცელდება უვადო თავისუფლება აღკვეთილ პირებზე.⁵⁴⁶

სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ ისევე, როგორც სხვა მსჯავრდებულებს, უვადო თავისუფლება აღკვეთილ პირებსაც უნდა ეძლეოდეთ ვიდეოპაემნით სარგებლობის უფლება.

საქართველოს პატიმრობის კოდექსის 65-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, დახურული ტიპის დაწესებულებაში განთავსებულ მსჯავრდებულს უფლება აქვს, „1 თვის განმავლობაში საკუთარი ხარჯით ჰქონდეს 2 სატელეფონო საუბარი, თითოეული – არა უმეტეს 15 წუთისა.“

⁵⁴³ პუნქტი 22

⁵⁴⁴ პარ. 75

⁵⁴⁵ მე-17¹ მუხლის პირველი ნაწილი

⁵⁴⁶ პატიმრობის კოდექსის 27-ე მუხლის 1-ლი ნაწილი განსაზღვრავს მსჯავრდებულთა კატეგორიებს, რომლებმაც შეიძლება ისარგებლონ დაწესებულებიდან ხანმოკლე გასვლის უფლებით.

დადებითად უნდა შეფასდეს N6 დაწესებულებაში არსებული მიდგომა სატელეფონო საუბრებთან დაკავშირებით, სადაც ყოველდღიურად ჩამოატარებენ ტელეფონის აპარატს თითოეულ საკანთან და უვადო მსჯავრდებულებს შესაძლებლობა აქვთ, ისარგებლონ ტელეფონით.

რაც შეეხება N7 დაწესებულებას, მსჯავრდებულებს შესაძლებლობა აქვთ, თვეში ორჯერ 5–10 წუთით ისარგებლონ აღნიშნული უფლებით. იგივე მდგომარეობაა ქალთა N5 დაწესებულებაშიც.

უვადო პატიმრების განთავსების პირობების აღწერისას საუბარი იყო ტელევიზორით სარგებლობის უფლებაზე. რადიოს ქონის საშუალება აქვთ ყველა დაწესებულებაში განთავსებულ უვადო პატიმრებს (მხოლოდ N7 დაწესებულებაში მსჯავრდებულებს აქვთ ხაზის რადიო). ისინი, როგორც წესი, შეუზღუდავად სარგებლობენ მიმოწერის უფლებითაც. რაც შეეხება პრესის ხელმისაწვდომობას, ამ მხრივ დაწესებულებებში არაერთგვაროვანი მდგომარეობაა. ზოგიერთ მათგანში მხოლოდ ჟურნალები და ზოგიერთი გაზეთია ხელმისაწვდომი. თუმცა არც მონიტორინგის დროს, არც შემდგომში სახალხო დამცველისთვის არც ერთ უვადო თავისუფლებააღკვეთილ მსჯავრდებულს არ მიუშარტავს არც ზეპირი და არც წერილობითი საჩივრით პრესის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით.

რეკომენდაცია საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრს:

- უზრუნველყოფილ იქნეს ყველა უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირისთვის გრძელვადიანი პაემნებით სარგებლობა;
- უზრუნველყოფილ იქნეს უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირების განთავსება მათი ან მათი ოჯახის საცხოვრებელ ადგილთან ახლოს მდებარე სასჯელაღსრულების დაწესებულებაში;

რესოციალიზაცია

როგორც უკვე აღინიშნა, ევროპის საბჭოსთვის უვადო თავისუფლებააღკვეთილებისადმი მიდგომის უმთავრესი პრინციპი ინდივიდუალიზაციის პრინციპია, რომლის მიხედვით, „პატიმრობის დაგეგმვისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს უვადო და სხვა გრძელვადიანი პატიმრების პროფესიული თვისებების განსხვავებულობა.“⁵⁴⁷ იმავე დოკუმენტში აღნიშნულია, რომ „უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულებისათვის პატიმრობის გეგმა უნდა იყოს საკმარისად დინამიკური იმისთვის, რომ მათ მონაწილეობა მიიღონ შინაარსიან

⁵⁴⁷ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის Rec(2003)23 რეკომენდაცია ციხის ადმინისტრაციების მიერ უვადო და სხვა გრძელვადიანი პატიმრების მართვის შესახებ, პუნქტი 3.

აქტივობებში და ადეკვატურ პროგრამებში, მათ შორის, ისარგებლონ ფსიქოსოციალური ჩარევებითა და მომსახურებებით, რომლებიც გამიზნულია სასჯელთან შეგუებაში დასახმარებლად.⁵⁴⁸

ამავე რეკომენდაციის მიხედვით, პატიმრობის ინდივიდუალური გეგმა, რომელიც პატიმრობის ადრეულ ეტაპზე უნდა შედგეს⁵⁴⁹ და რომლის შედგენაშიც თავად მსჯავრდებულმაც უნდა მიიღოს მონაწილეობა,⁵⁵⁰ უნდა მოიცავდეს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა:

- პატიმრის დასაქმება და მისი ჩართვა ტრენინგებსა და სხვა საგანმანათლებლო აქტივობებში, რაც მას საშუალებას მისცემს ციხეში გატარებული დრო შინაარსიანად გამოიყენოს და დაეხმარება გათავისუფლების შემდეგ წარმატებულ რესოციალიზაციაში;
- ფსიქოსოციალური ჩარევები და პატიმრის მონაწილეობა პროგრამებში, რომლებიც მიზნად ისახავს საფრთხეებისა და მავნე მოთხოვნილებების დაძლევას, ასევე – ციხეში პატიმრის დესტრუქციული ქცევისა და გათავისუფლების შემდეგ დანაშაულის ხელახლა ჩადენის ალბათობის შემცირებას;
- მონაწილეობა დასასვენებელ და სხვა აქტივობებში, რათა თავიდან იქნეს აცილებული ან შემცირდეს ხანგრძლივი პატიმრობის მავნე შედეგები.⁵⁵¹

სამწუხაროდ, საქართველოს პენიტენციური სისტემა ჯერ კიდევ ძალიან შორსაა ზემოთ მოყვანილი სტანდარტებისგან და მასში არ არსებობს უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულების მართვისა და პატიმრობის დაგეგმისთვის გათვალისწინებული ინდივიდუალური გეგმების შემუშავების პრაქტიკა. შესაბამისად, არ არის დაცული პროგრესირების პრინციპი, რომლის თანახმად, მსჯავრდებულისთვის სასჯელის მართვის ინდივიდუალური დაგეგმვა მიზნად უნდა ისახავდეს ციხის სისტემაში მის პროგრესირებად მოზილურობას, რაც მოიცავს პატიმრის მკაცრიდან რეჟიმიდან ნაკლებად მკაცრ რეჟიმზე გადაყვანას. უვადო პატიმრებისთვის არ არსებობს ელემენტარული პირობებიც კი დასაქმებისთვის, საგანმანათლებლო თუ სხვა სახის პროგრამები, რომლებიც მათი რეაბილიტაციისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობისაა. კიდევ ერთხელ უნდა გაესვას ხაზი იმ გარემოებას, რომ აღნიშნული მსჯავრდებულები, ისევე, როგორც ბევრი სხვა კატეგორიის მსჯავრდებული, რომელთათვისაც საქართველოს პატიმრობის კოდექსი დახურული ტიპის დაწესებულებაში განთავსებას ითვალისწინებს, დღე-ღამეში 23 საათს საკანში ატარებენ, რაც არათუ მათ რესოციალიზაციას არ უწყობს ხელს, არამედ მძიმე ფსიქოლოგიური და ფსიქიკური პრობლემების წყაროცაა, რაც ასევე არ არის საქართველოს პენიტენციური სისტემის განსაკუთრებული ზრუნვის საგანი.

⁵⁴⁸ პუნქტი 31

⁵⁴⁹ პუნქტი 11

⁵⁵⁰ პუნქტი 9

⁵⁵¹ პუნქტი 10

რუსთავის N6 დაწესებულებაში გასულ წლებში დასაქმებული იყო ფსიქოლოგი, თუმცა ამჟამად აღნიშნულ დაწესებულებაში განთავსებულ პირებს, მათ შორის, უვადო მსჯავრდებულებს, აღარ მიუწვდებოდა ხელი ფსიქოლოგის მომსახურებაზე. თბილისის N7 დაწესებულებაში არასოდეს ყოფილა ხელმისაწვდომი ამგვარი დახმარება. რაც შეეხება ქალთა N5 დაწესებულებას, იქ ამჟამად მოქმედებს არასამთავრობო ორგანიზაციის „GCRT“-ის ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის პროექტი. ამით შემოიფარგლება უვადო მსჯავრდებულთა ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის ღონისძიებები.

CPT-ის სტანდარტებში აქცენტი გაკეთდა უვადო თავისუფლებადაკვეთილ პირებზე და აღინიშნა, რომ „ისინი შესაძლოა გადაეჩვიონ ნორმალურ ურთიერთობებს და გახდნენ ასოციალურები. ასეთი პატიმრები განიცდიან ფსიქოლოგიურ პრობლემებს, (შესაძლოა იყოს თვითმკვლელობის ტენდენცია, საკუთარი თავისადმი პატივისცემის დაკარგვა, სოციალური შესაძლებლობების დასუსტება და ა.შ.) ასევე, აქვთ სოციუმისაგან მოწყვეტის ტენდენცია.“⁵⁵² იგივე გაიმეორა კომიტეტმა, ახლა უკვე უშუალოდ საქართველოსთან მიმართებაში, თავის 2007 წლის ვიზიტის ამსახველ ანგარიშში.⁵⁵³

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ უვადო თავისუფლებადაკვეთილი პირების ფსიქოლოგიური მდგომარეობა უნდა შემსუბუქდეს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში შექმნილი ადეკვატური პირობებით. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ასეთი კატეგორიის პატიმრებს და მათ უნდა ჰქონდეთ საშუალება ჩართონ სხვადასხვა სახის სარეაბილიტაციო პროგრამებში, მიიღონ პროფესიული განათლება და დასაქმდნენ. შესაბამისი პირობების შექმნა ხელს შეუწყობს მათ რესოციალიზაციასა და დროთა განმავლობაში შესაძლებელს გახდის მათ რეინტეგრაციას საზოგადოებაში. ციხის თანამშრომლებს სათანადო მომზადება უნდა ჰქონდეთ გავლილი, რათა მათ შეამჩნიონ ნებისმიერი ნეგატიური ფსიქოლოგიური მდგომარეობის დადგომა და მიიღონ ზომები მის აღმოსაფხვრელად. პატიმრებს ხელი უნდა მიუწვდებოდეთ ფსიქოლოგის კონსულტაციაზე და დახმარებაზე ნებისმიერ დროს.

უვადო თავისუფლებადაკვეთილი პირების პირობით ვადამდე გათავისუფლების მექანიზმის შესაბამისობა ევროპულ სტანდარტებთან

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 70 (1) რეზოლუციის მიხედვით, „პირები, რომელთაც მისჯილი აქვთ უვადო თავისუფლების აღკვეთა, უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ შესაძლებლობით, რომ პერიოდული გადახედვის გზით, დაექვემდებარონ პირობით ვადამდე გათავისუფლებას ან ამნისტიას, მათი პიროვნების სათანადო შესწავლისა და საზოგადოების დაცვის საჭიროების გათვალისწინებით.“

⁵⁵² წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის მე-11 ზოგადი ანგარიში, CPT/Inf (2001) 16, პარ. 33.

⁵⁵³ პარ. 54

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, უვადო თავისუფლების აღკვეთა თავისთავად არ წარმოადგენს ევროკონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას, რომელიც წამების აკრძალვას ითვალისწინებს, თუმცა აღნიშნული მუხლის დარღვევად შეიძლება შეფასდეს ის გარემოება, რომ კანონმდებლობა უვადო თავისუფლების აღკვეთის შემთხვევაში არ ითვალისწინებს სასჯელის გადახედვას.⁵⁵⁴

ევროსასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, უვადო თავისუფლების აღკვეთის განაჩენი პერიოდულად უნდა გადაიხედოს იმ თვალსაზრისიდან გამომდინარე, რომ დროთა განმავლობაში სასჯელმა შეიძლება დაკარგოს თავდაპირველი მიზანი და აღარ შეესაბამებოდეს კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტთან.⁵⁵⁵ სასამართლოს აზრით, სასჯელის მოხდის გარკვეულ ეტაპზე უნდა გადაიხედოს აღნიშნული სასჯელის ზომა იმ თვალსაზრისით, ისევე აკმაყოფილებს თუ არა თავისუფლების აღკვეთა კონვენციის მე-5 მუხლით გარანტირებულ კანონიერების პრინციპს.⁵⁵⁶

საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს უვადო თავისუფლებააღკვეთილთა პირობით ვადადმდე გათავისუფლების შესაძლებლობას – პატიმრობის კოდექსის მე-40 მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, „მსჯავრდებული უვადო თავისუფლების აღკვეთის მოხდისგან შეიძლება გათავისუფლდეს, თუ მან ფაქტობრივად მოიხადა თავისუფლების აღკვეთის 25 წელი.“

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 72-ე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, „მსჯავრდებული უვადო თავისუფლების აღკვეთის მოხდისაგან შეიძლება გათავისუფლდეს, თუ მან ფაქტობრივად მოიხადა თავისუფლების აღკვეთის ოცდახუთი წელი და თუ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ადგილობრივი საბჭო მიიჩნევს, რომ საჭირო აღარ არის, მსჯავრდებულმა გააგრძელოს ამ სასჯელის მოხდა.“⁵⁵⁷

იმის გამო, რომ დღესდღეობით არც ერთ უვადო თავისუფლებააღკვეთილ მსჯავრდებულს არ აქვს მოხდილი 25 წელი, სახალხო დამცველის მიერ ვერ შეფასდება ზემოაღნიშნული მუხლის მუშაობა პრაქტიკაში, თუმცა განხილვას საჭიროებს საქართველოს კანონმდებლობით გარანტირებული პირობით ვადადმდე გათავისუფლების სისტემის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მოთხოვნებთან.

⁵⁵⁴ ვიკის გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, 1985 წლის 14 მარტის გადაწყვეტილება; ლეჟე საფრანგეთის წინააღმდეგ, 2006 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილება; კავარისი კვიროსის წინააღმდეგ, 2008 წლის 12 თებერვლის გადაწყვეტილება და ა.შ.

⁵⁵⁵ „ყველას, ვისაც დაკავებით ან დაპატიმრებით აღკვეთა თავისუფლება, უფლება აქვს, მიმართოს სასამართლოს, რომელიც სწრაფად განიხილავს მისი დაპატიმრების მართლზომიერების საკითხს და გამოსცემს ბრძანებას მისი გათავისუფლების შესახებ, თუ დაპატიმრება არ არის კანონიერი.“

⁵⁵⁶ მაგ. თაინი, უილსონი და გუნელი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, 1990 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილება; ლეჟე საფრანგეთის წინააღმდეგ; ვიკის გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ.

⁵⁵⁷ მოქმედებს 2010 წლის 1 ოქტომბრიდან;

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო მიიჩნევს, რომ პირობით ვადამდე გათავისუფლების მექანიზმის მხოლოდ ფორმალური არსებობა არ არის საკმარისი კონვენციის პრინციპებთან შესაბამისობის დადგენისთვის. ამ მიზნის მისაღწევად აღნიშნული მექანიზმი ასევე სრულად უნდა აკმაყოფილებდეს ევროკონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნებს, კერძოდ, პირობით გათავისუფლების გადაწყვეტილების მიმღები ორგანო უნდა იყოს დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი, პირობით ვადამდე გათავისუფლების პროცედურა უნდა იყოს საკმარისად გამჭვირვალე, უნდა უზრუნველყოფდეს მსჯავრდებულის სათანადო მონაწილეობას მისი საქმის განხილვაში და ა.შ.⁵⁵⁸

საქმეში „ვიკი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ სასამართლომ განიხილა პირობით ვადამდე გათავისუფლების პროცედურების შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტთან და დაადგინა, რომ გაერთიანებული სამეფოს პირობით ვადამდე გათავისუფლების კომისიის პროცედურები არ შეიცავს საკმარის გარანტიებს მე-5 მუხლის მე-4 პუნქტით გარანტირებული კანონიერების პრინციპთან შესაბამისობისთვის.⁵⁵⁹

აღნიშნულ საქმეში სასამართლომ დეტალურად განიხილა კომისიის შემადგენლობა და მუშაობის წესი, რათა დაედგინა, რამდენად აკმაყოფილებდა ისინი კონვენციის მე-5 მუხლის მოთხოვნებს. კომისიის შემადგენლობა, დაკომპლექტების წესი, ასევე, დაინტერესებული პირის მიერ საკუთარი მოსაზრებების წარმოდგენის შესაძლებლობა (მათ შორის, პირადად) დამაკმაყოფილებლად ცნო სასამართლომ⁵⁶⁰, თუმცა ის გარემოება, რომ კომისიას არ აქვს ვალდებულება, მსჯავრდებულს გააცნოს მის წინააღმდეგ არსებული ყველა დოკუმენტი, სასამართლომ საკმარის პროცედურულ სისუსტედ მიიჩნია იმისთვის, რომ დაედგინა კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის დარღვევა, ვინაიდან, სასამართლოს აზრით, იმისთვის, რომ მსჯავრდებულმა სათანადოდ დაიცვას საკუთარი პოზიცია, იგი ასევე სათანადოდ უნდა იყოს ინფორმირებული მის წინააღმდეგ არსებული მასალის შესახებ. სხვა შემთხვევაში ირღვევა ერთ-ერთი უმთავრესი გარანტია – დაინტერესებული პირის ადეკვატური მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში.⁵⁶¹

როგორც ზემოთ მოყვანილი გადაწყვეტილებიდან ჩანს, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო ძალიან სერიოზულად ეკიდება პირობით ვადამდე გათავისუფლების პროცედურებს, კომპეტენტური ორგანოს შემადგენლობას და დაკომპლექტების წესს, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აღნიშნული ორგანოს დამოუკიდებლობას აღმასრულებელი ხელისუფლებისგან და მის მიუკერძოებლობას, მსჯავრდებულის მიერ საკუთარი პოზიციის პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით დაფიქსირების შესაძლებლობას და ამის მომზადებისთვის ადეკვატური პირობების გარანტირებას.

⁵⁵⁸ მაგ. უილდე, ომსი და ვერსიპი ბელგიის წინააღმდეგ, 1971 წლის 18 ივნისის გადაწყვეტილება; ჰერცეგვალი ავსტრიის წინააღმდეგ, 1992 წლის 24 სექტემბრის გადაწყვეტილება.

⁵⁵⁹ პარ. 58

⁵⁶⁰ პარ. 66

⁵⁶¹ იქვე

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის N151 ბრძანებაში საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ადგილობრივი საბჭოების რაოდენობის, ტერიტორიული განსჯადობისა და ადგილობრივი საბჭოს ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ მოცემულია ადგილობრივი საბჭოს საქმიანობის წესი, რომელიც, სხვა საკითხებთან ერთად, განიხილავს მსჯავრდებული პირის პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხს.

აღნიშნული ბრძანების მეორე მუხლის თანახმად, საბჭოს საქმიანობა ეფუძნება დამოუკიდებლობის, კანონიერების, გამჭვირვალობისა და მიუკერძოებლობის პრინციპებს. ამავე ბრძანების მე-6 მუხლის მიხედვით, საბჭო გადაწყვეტილებას იღებს სხდომაზე, რომელიც არის ორი სახის – ზეპირი მოსმენის გარეშე და ზეპირი მოსმენით. ზეპირი მოსმენის გარეშე საბჭო არსებითად იხილავს წარმოებაში მიღებულ საქმეებს და იღებს გადაწყვეტილებას შუამდგომლობაზე უარის თქმის ან საქმის ზეპირ მოსმენაზე განსახილველად დაშვებასთან დაკავშირებით.

როგორც ვხედავთ, მთავარი გადაწყვეტილება საბჭოს მიერ მიიღება ზეპირი მოსმენის გარეშე, რაც იმას ნიშნავს, რომ პროცედურა არ უზრუნველყოფს დაინტერესებული პირის (მსჯავრდებულის ან მისი წარმომადგენლის) ადეკვატურ მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რადგან საბჭო სწორედ აღნიშნულ სხდომაზე აფასებს იმ კრიტერიუმებს, რომელთა საერთო ანალიზის შემდეგ მსჯელობს, მიაღწია თუ არა სასჯელმა მიზანს. ბრძანების თანახმად, თითოეული გადაწყვეტილება უნდა შეფასდეს დანაშაულის ხასიათის, მსჯავრდებულის ქცევის, ნასამართლეობის, ოჯახური პირობების, მსჯავრდებულის პიროვნების გათვალისწინებით.

მხოლოდ კრიტერიუმების შეფასების შემდგომ, ზეპირი მოსმენის დროს, დაინტერესებულ პირს აქვს უფლება მიიღოს მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რომელიც ეხება მისი პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლებას. ვინაიდან გადაწყვეტილება მიიღება კრიტერიუმების შეფასების შედეგად მიღებულ შედეგზე დაყრდნობით, თამამად შეიძლება ითქვას, რომ პროცედურის მეორე სტადიაზე მსჯავრდებულის ჩართვა მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებს და ვერ უზრუნველყოფს მის რეალურ მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში. გაურკვეველია ისიც, როგორ ახერხებს საბჭო ისეთი კრიტერიუმების მხოლოდ დოკუმენტურ მასალებზე დაყრდნობით შეფასებას, როგორებიცაა მსჯავრდებულის ოჯახური პირობები ან ამ უკანასკნელის პიროვნება.

აღარ ჩავლრმავდებით აღნიშნული ორგანოს პრაქტიკაში ფუნქციონირების ხარვეზებს, რომლებიც ცალკე შესწავლის საგანია. მხოლოდ N151 ბრძანების მექანიზმის განხილვაც კი ცხადყოფს, რომ საქართველოში არსებული პირობით ვადამდე გათავისუფლების მექანიზმი არ შეესაბამება ევროკონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნებს.

აღსანიშნავია საბჭოს შემადგენლობაც. საბჭოს დაკომპლექტების წესის მიხედვით, რომელიც იმავე N151 ბრძანებაშია მოცემული, საბჭო შედგება 5 წევრისგან და მის შემადგენლობაში შედიან: საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და

იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის ან სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ცენტრალური აპარატის 1 წარმომადგენელი; პრობაციის ეროვნული სააგენტოს, არასამთავრობო ორგანიზაციის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თითო წარმომადგენელი.

ყოველგვარ აზრს მოკლებულია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა წარმომადგენლის მონაწილეობა საბჭოს მუშაობაში, რადგან თუ გავითვალისწინებთ, რომ უვადო თავისუფლებადაკვეთილ პირთა განთავსება არ ხდება მათი მუდმივ საცხოვრებელ ადგილთან ახლოს არსებულ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში და ყველა მათგანის ძირითადი განთავსების ადგილი გარდაბნის რაიონის სოფელი მთისძირია,⁵⁶² გაურკვეველია, რა ფუნქცია უნდა შეასრულოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს წარმომადგენელმა, როგორც შეფასებისას, ასევე, მსჯავრდებულის გათავისუფლების შემთხვევაში, მისი დასაქმების ან რესოციალიზაციის სხვა ღონისძიებების ხელშეწყობაში.

საბჭოს წევრების დანიშვნა ან დამტკიცება ხდება სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის ბრძანებით და სამინისტროს მუდმივმოქმედი კომისიის თანხმობით. შესაბამისად, შეიძლება ეჭვქვეშ დადგეს საბჭოს წევრების დამოუკიდებლობა აღმასრულებელი ხელისუფლებისგან და შესაბამისად, მათი მიუკერძოებლობაც გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რაც ასევე წარმოადგენს, კონვენციის მე-5 მუხლის მოთხოვნათა დარღვევას.⁵⁶³

ზემოაღნიშნულიდან ნათლად ჩანს, რომ ქართული კანონმდებლობით შექმნილი პირობით ვადამდე გათავისუფლების მექანიზმი, კერძოდ, საბჭოს დაკომპლექტებისა და მისი ფუნქციონირების პროცედურები, არ შეესაბამება ევროკონვენციის მე-5 მუხლის მოთხოვნებს ისე, როგორც ისინი განმარტებულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში.

წინადადებები საქართველოს პარლამენტს:

- განხორციელდეს ცვლილებები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში, ასევე - საქართველოს პატიმრობის კოდექსში პირობით ვადამდე გათავისუფლების მექანიზმის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის თვალსაზრისით და გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან სრული დამოუკიდებლობის, ასევე, დაინტერესებული პირის (მსჯავრდებულის ან მისი წარმომადგენლის) სრულყოფილი მონაწილეობის უზრუნველსაყოფად გადაწყვეტილების მიღების ყველა ძირითად ეტაპზე.

⁵⁶² რუსთავეის N6 დაწესებულების მისამართი.

⁵⁶³ მაგ. ვიკსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, კავკარიის კვიპროსის წინააღმდეგ და ა.შ.

რეკომენდაციები საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრს:

- უვადო თავისუფლებააღკვეთილი ქალები, საქართველოს პატიმრობის კოდექსის 72-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, განათავსონ ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში;
- უზრუნველყოფილ იქნეს უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულების განთავსების პირობების შესაბამისობა საქართველოში მოქმედ სტანდარტებთან;
- უზრუნველყოფილ იქნეს ყველა უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირისთვის გრძელვადიანი პაემნებით სარგებლობა;
- შემუშავდეს უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულებისათვის სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმის სისტემა;
- განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს უვადო თავისუფლებააღკვეთილ მსჯავრდებულთა ფსიქოლოგიური დახმარების კომპონენტზე.

არასრულწლოვანთა მდგომარეობა საქართველოს პენიტენციურ სისტემაში

მოპყრობა

სასჯელაღსრულების სისტემაში, როგორც წესი, იშვიათია არასრულწლოვნების მიმართ არასათანადო მოპყრობის ფაქტები. გამონაკლისია N8 დაწესებულება, სადაც არასრულწლოვანმა პატიმრებმა აღნიშნეს, რომ მათ მიმართ მოპყრობა ისეთივეა, როგორც სხვა სრულწლოვანი მსჯავრდებულების მიმართ, თუმცა მათ მიმართ არასათანადო მოპყრობის კონკრეტული ფაქტი ვერ დაასახელეს. ძირითადი პრობლემა, რომელიც არასრულწლოვნებს აქვთ გლდანის N8 დაწესებულებაში, არის დაწესებულების უმკაცრესი რეჟიმი, რომლის შესახებაც „არასათანადო მოპყრობის“ თავში ვრცლად იყო საუბარი და რომელიც სრულად ვრცელდება არასრულწლოვნებზეც. აღნიშნულს ემატება კიდევ ერთი წესი – არასრულწლოვნებს დაწესებულებაში შემოყვანისთანავე პარსავენ თმებს, მიუხედავად იმისა, რომ „პატიმრობის კოდექსის“ 21-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, „...ადმინისტრაციას ეკრძალება მოსთხოვოს ბრალდებულს/მსჯავრდებულს თმის მთლიანი გადაპარსვა, თუ არ არსებობს ექიმის მოთხოვნა ან ჰიგიენური აუცილებლობა.“ ყოველივე ეს უტოლდება არასრულწლოვან მსჯავრდებულთა მიმართ არასათანადო მოპყრობას.

არასრულწლოვანთა N11 და ქალთა და არასრულწლოვანთა N5 დაწესებულებაში განთავსებული არასრულწლოვნები აღნიშნავენ, რომ მათ მიმართ დამოკიდებულება კარგია და ადმინისტრაცია ცდილობს, მუდმივად იქონიოს კონტაქტი მათთან.

ქუთაისის N2 დაწესებულებაში არასრულწლოვანმა პატიმრებმა აღნიშნეს, რომ მათთან მოპყრობა ბევრად უკეთესია, ვიდრე სხვა პატიმრებთან.

განთავსება და საყოფაცხოვრებო პირობები

ზოგადად, არასრულწლოვანთა მიმართ დამოკიდებულება პენიტენციურ სისტემაში დამაკმაყოფილებელია. როგორც წესი, მათი განთავსების პირობები მთელ რიგ ასპექტებში არ შეესაბამება ციხის ევროპულ წესებსა და CPT-ის რეკომენდაციებს, თუმცა ისინი თითქმის ყოველთვის სარგებლობენ მეტ-ნაკლებად გაუმჯობესებული პირობებით.

სასჯელაღსრულების დეპარტამენტიდან სახალხო დამცველის აპარატში შემოსული პასუხების⁵⁶⁴ თანახმად, სასჯელაღსრულების სისტემაში განთავსებული არასრულწლოვანი პატიმრების სტატისტიკა ასე გამოიყურება:

⁵⁶⁴ N10/6/5-9513; 10/6/5-2853; N10/6/5-16420; N10/6/5-15196; N10/6/5-13705; N10/6/5-12255;

N	თვე	ბრალდებული	მსჯავრდებული	სულ
1	იანვარი	46	160	206
2	თებერვალი	43	152	195
3	მარტი	47	152	199
4	აპრილი	26	160	186
5	მაისი	51	166	217
6	ივნისი	43	166	209
7	ივლისი	41	167	208
8	აგვისტო	38	170	208
9	სექტემბერი	37	174	211
10	ოქტომბერი	25	165	190
11	ნოემბერი	21	179	200
12	დეკემბერი	18	161	179

საანგარიშო პერიოდში არასრულწლოვნები განთავსებულნი იყვნენ ბათუმის N3, ზუგდიდის N4, ქუთაისის N2, რუსთავის N5, გლდანის N8 და ავჭალის N11 დაწესებულებებში. საქართველოს პენიტენციურ სისტემაში არასრულწლოვანი პატიმრებისათვის გამოყოფილი იყო 310 ადგილი. აქედან 90 ადგილი – N8 დაწესებულებაში, 18 – ქუთაისის N2 დაწესებულებაში, 20 ადგილი – ქ.ბათუმის N3 დაწესებულებაში, 12 ადგილი – ქ.ზუგდიდის N4 დაწესებულებაში, N5 დაწესებულებაში – 10 ადგილი, ხოლო ავჭალის N11 დაწესებულებაში – 160 ადგილი.

ქ.ბათუმის N3 დაწესებულებაში არასრულწლოვანთათვის გამოყოფილი იყო ერთი საკანი, სადაც იდგა 10 ორსართულიანი საწოლი. საკნის ფართი 45.1კვ.მ.–ია. თითოეული არასრულწლოვნისთვის განკუთვნილი იყო 2.2კვ.მ. საკანს არ ჰქონდა ჭერი და გადახურული იყო თუნუქით, რის გამოც, ზაფხულის პერიოდში, საკანში იყო გაუსაძლისი სიცხე, ხოლო ზამთრის პერიოდში – სიცივე. საკანი თბობოდა ელექტროქურით, რაც არ იყო საკმარისი. ფანჯრის ზომა კი ვერ უზრუნველყოფდა საკნის ბუნებრივ განათებასა და ვენტილაციას. საკანში მოთავსებული იყვნენ ბრალდებულები და მსჯავრდებულები ერთად. პატიმრებს არ ჰქონდათ ინდივიდუალური ტუმბოები და ისინი ტანსაცმელს პარკებში ინახავდნენ.

ქ.ზუგდიდის N4 დაწესებულებაში არასრულწლოვანთათვის გამოყოფილი იყო ერთი საკანი, სადაც იდგა 6 ორსართულიანი საწოლი. საკნის ფართობია 29.6 კვ.მ. და თითოეული არასრულწლოვანისთვის გამოყოფილი ფართი 2.4 კვ.მ.-ია. საკანში იყო ანტისანიტარია, წყალგაყვანილობის სისტემა – მოშლილი, ნახევრად იზოლირებული საპირფარეშო, სადენები იყო გაშიშვლებული. ფანჯარას არ ჰქონდა მინა, რის გამოც არასრულწლოვნები აკრავდნენ ცელოფნის პარკებს. საკანში ასევე, იყო დიდი რაოდენობით ტარაკნები. პატიმრებს არ ჰქონდათ ინდივიდუალური ტუმბოები და ისინი ტანსაცმელს ან კედელზე კიდებდნენ ან საწოლზე ჰქონდათ მოფენილი.

აღსანიშნავია, რომ 2011 წლის სექტემბერში N4 და N3 დაწესებულებებში გაუქმდა არასრულწლოვანთა საკნები და ისინი ქუთაისის N2 დაწესებულებაში გადაიყვანეს.

ქ.ქუთაისის N2 დაწესებულებაში არასრულწლოვანთათვის გამოყოფილია 3 საკანი, თითოეულში დგას 3 ორსართულიანი საწოლი და ფართობია 18.9კვ.მ., შესაბამისად, თითოეულ არასრულწლოვანზე გამოყოფილია 3.1 კვ.მ. ფართი. დაწესებულების ადმინისტრაციის განმარტებით, არასრულწლოვანთა განყოფილებაში მიმდინარე სარემონტო სამუშაოების გამო, ისინი დროებით განთავსებულები არიან „B“ საცხოვრებელ კორპუსში. მონიტორინგის მიმდინარეობისას არასრულწლოვანთა საკანში იყო ტარაკნების დიდი რაოდენობა. სისუფთავე საკნებში არ იყო დაცული. საწოლებზე დაგებული ლეიბები კი იმდენად დატკეპნილი იყო, რომ პატიმრებს ფაქტიურად რკინის ცხაურზე უწევდათ ძილი. საკნების გათბობა ხდება ცენტრალური სისტემის მეშვეობით, ბუნებრივი განათება და ვენტილაცია საკმარისია. ყველა არასრულწლოვანს აქვს ინდივიდუალური ტუმბო.

ქ.თბილისის N8 დაწესებულებაში არასრულწლოვანი პატიმრები მოთავსებულნი არიან მეოთხე საცხოვრებელი კორპუსის მეოთხე სართულზე, სადაც მათთვის გამოყოფილია 15 საკანი. საკნები ერთმანეთის იდენტურად არის ეკვიპირებული. თითოეულში დგას 3 ორსართულიანი საწოლი. საკნის ფართობია 18.9კვ.მ., შესაბამისად, თითოეულ არასრულწლოვანზე გამოყოფილია 3.1კვ.მ. ფართი. არასრულწლოვნებს აქვთ ინდივიდუალური ტუმბოები. საკნები თბება ცენტრალური სისტემით. განათება, როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური საკმარისია. საპირფარეშოები იზოლირებულია. არასრულწლოვანთა განყოფილებაში არის საშხაპე ოთახი 6 შხაპით, რომელსაც აქვს გასახდელი ოთახიც.

N5 დაწესებულების საპატიმრო კორპუსში და „D“ საცხოვრებელ კორპუსში არასრულწლოვანი გოგონებისთვის გამოყოფილია თითო საკანი. საკნების ფართი 18 კვ.მ-ია. საპატიმრო განყოფილებაში თითოეული არასრულწლოვანისთვის გამოყოფილია 3 კვ.მ, ხოლო მსჯავრდებული გოგონებისთვის – 6 კვ.მ. ბრალდებული არასრულწლოვანებისთვის განკუთვნილია 6 ადგილი, ხოლო მსჯავრდებულებისათვის – 3. საკნების თბება ცენტრალური სისტემით, განათება და ვენტილაცია უზრუნველყოფილია როგორც ბუნებრივი, ასევე ხელოვნური გზით საკმარისად. არასრულწლოვნებს აქვთ ინდივიდუალური ტუმბოები, ასევე, მაგიდა და სკამები.

აგქალის №11 არასრულწლოვანთა დაწესებულებაში არასრულწლოვნები განთავსებულნი არიან ბარაკული ტიპის 9 საცხოვრებელ ოთახში. თითოეულ ოთახში განთავსებულია დაახლოებით 15–18 მსჯავრდებული. თითოეული არასრულწლოვნისთვის გამოყოფილი ფართი მერყეობს 1.7 კვ.მ.–იდან 2.1 კვ.მ.–დე. ზოგადად საკნები საჭიროებს რეკონსტრუქციული სამუშაოების ჩატარებას. გათბობა ხდება ცენტრალური სისტემის საშუალებით, ბუნებრივი განათება და ვენტილაცია საკმარისია. არასრულწლოვნებს არ აქვთ ტუმბოები, მაგიდა და სკამი. საერთო სარგებლობის საპირფარეო განთავსებულია საცხოვრებელი კორპუსის დერეფანში. საპირფარეოების სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა არ არის დამაკმაყოფილებელი და საჭიროებს სარემონტო სამუშაოების ჩატარებას.

პირადი ჰიგიენა

N2, N3 და N4 დაწესებულებებში არასრულწლოვნებს შესაძლებლობა ჰქონდათ, მიეღოთ შხაპი კვირაში ერთხელ, N8 და N5 დაწესებულებებში – კვირაში ორჯერ. N11 დაწესებულებაში არასრულწლოვან მსჯავრდებულებს შესაძლებლობა აქვთ, ყოველდღიურად მიიღონ შხაპი.

თეთრეულს პატიმრები ძირითადად ოჯახის წევრებს ატანენ გასარეცხად ან თვითონ რეცხავენ. რაც შეეხება N8 დაწესებულებას, მსჯავრდებულთა გადმოცემით, თეთრეულისა და გადასაფარებლების გარეცხვას უზრუნველყოფს ადმინისტრაცია ორ კვირაში ერთხელ.

სუფთა ჰაერზე ყოფნის უფლება

მიუხედავად იმისა, რომ პატიმრობის კოდექსით პატიმრებისათვის დადგენილია არანაკლებ 1 საათი გასეირნების უფლება, ზუგდიდის N4 დაწესებულებაში გასეირნება 30–40 წუთს მოიცავდა, ბათუმის #3 დაწესებულებაში – 10–15 წუთს, N8 დაწესებულებაში 10–15 წუთს, ხოლო N2 დაწესებულებაში – 45 წუთს; შაბათ-კვირას არასრულწლოვნები სასეირნოდ საერთოდ არ გაჰყავთ. N5 დაწესებულების საპატიმრო განყოფილებაში მყოფი არასრულწლოვანი სუფთა ჰაერზე გაყავდათ ერთი საათის განმავლობაში ყოველდღიურად.

კონტაქტი გარე სამყაროსთან

პატიმრობის კოდექსის შესაბამისად, არასრულწლოვან მსჯავრდებულს უფლება აქვს, ერთი თვის განმავლობაში ჰქონდეს 4 ხანმოკლე პაემანი, ხოლო წახალისების ფორმით – თვეში 1 დამატებითი ხანმოკლე პაემანი, 3 ვიდეოპაემანი და 5 სატელეფონო საუბარი. ასევე – წელიწადში 3 ხანგრძლივი პაემანი. დადებითად აღსანიშნავია, რომ N11 დაწესებულებაში არასრულწლოვან მსჯავრდებულებს ხანმოკლე პაემნის დროს უფლება აქვთ, შეხვდნენ ოჯახის წევრებს ყოველგვარი ტიხრის გარეშე. სხვა დაწესებულებებში პაემანი მიმდინარეობს შუშით გადატიხრულ ოთახებში. N11 დაწესებულებაში

არასრულწლოვნებს შესაძლებლობა აქვთ, ისარგებლონ ვიდეოპაემნით და ხანგრძლივი პაემნით.

რესოციალიზაცია

სახალხო დამცველი მიესალმება იმ ფაქტს, რომ პენიტენციურ სისტემაში არასრულწლოვანი მსჯავრდებულებისთვის სპეციალური მიდგომები შემუშავდა. კერძოდ, N11 დაწესებულებაში ყველა მსჯავრდებულისთვის მიმდინარეობს სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვა, რომლის მიზანია მოზარდისათვის რისკების შემცირება და მის საზოგადოებაში სრულყოფილ წევრად დაბრუნება. არასრულწლოვანი მსჯავრდებულები ჩართული არიან სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო, სარეაბილიტაციო და სპორტულ ღონისძიებებში.

N11 არასრულწლოვანთა აღზრდელით დაწესებულებაში მოქმედებს: რაგბის წრე, მსჯავრდებულებთან ჯგუფური მუშაობის წრე, სადაც ასწავლიან ბრაზის მართვას. დაწესებულებაში არის საჯარო სკოლა, რომლის დამთავრების შემთხვევაშიც პატიმრები იღებენ N123 საჯარო სკოლის ატესტატს.

დაწესებულებაში მოქმედებს ცენტრ „აფხაზეთის“ მიერ დაფინანსებული პროგრამები, თუმცა ამჟამად აღნიშნული პროგრამების მართვა გადავიდა განათლების სამინისტროს დაქვემდებარებაში:

- ვებდიზაინის შესწავლა
- ანიმაცია
- 3D პროგრამის შესწავლა
- ტიხრულ მინანქარზე მუშაობის შესწავლა
- ხეზე კვეთა
- საპარიკმახერო მომსახურების შესწავლა

ყველა პროგრამაში მთლიანობაში ჩართულია 74 არასრულწლოვანი.

დაწესებულებაში სკოლა ფუნქციონირებს მეორე სართულზე, სადაც ამისთვის გამოყოფილია 7 ოთახი. სკოლაში სწავლება მიმდინარეობს 7–12 კლასებში, თუმცა, შესაძლებელია უფრო დაბალ კლასებში განათლების ექსტერნად მიღება.

N11 დაწესებულების ეზოში მოწყობილია ხელოვნურ საფარიანი ფეხბურთის სტადიონი, ასევე, დამონტაჟებულია სხვადასხვა სახის ტრენაჟორი. ზაფხულის განმავლობაში არასრულწლოვნებს შესაძლებლობა აქვთ, ისარგებლონ ეზოში არსებული პატარა აუზით.

ქუთაისის N2 დაწესებულებაში მოქმედებს ფსიქოლოგიური დახმარების პროგრამა არასრულწლოვანთათვის.

იქვე არასრულწლოვნებისთვის განკუთვნილია ერთი სატრენაჟორო ოთახი, თუმცა მათი განმარტებით, დაახლოებით ორი თვეა, მათ არ ეძლევათ საშუალება, ივარჯიშონ.

ბათუმის N3 დაწესებულებაში მოთავსებული არასრულწლოვნებისათვის მოქმედებდა ორგანიზაცია GCRT-ის სარეაბილიტაციო პროგრამა.

ტელე- და რადიომაუწყებლობის ხელმისაწვდომობა

გლდანის N8 და ავჭალის N11 დაწესებულებებში არასრულწლოვან პატიმრებს აქვთ ტელევიზორის ქონის უფლება. ქუთაისის N2 დაწესებულებაში და N5 დაწესებულების საპატიმრო განყოფილებაში არასრულწლოვნებს არ აქვთ ტელევიზორები. N8 დაწესებულებაში განთავსებული არასრულწლოვნების გარდა რადიო ყველა არასრულწლოვნისთვის ხელმისაწვდომია.

განათლება

ამჟამად არასრულწლოვანი პატიმრები ციხის პირობებში მხოლოდ ზოგადი განათლების მიღებით შემოიფარგლებიან, ისიც მხოლოდ N5 და N11 დაწესებულებებში. ქუთაისის N2 და გლდანის N8 დაწესებულებებში განთავსებული არასრულწლოვანი პატიმრები ამ საშუალებასაც არიან მოკლებულნი. ერთი მხრივ, ეს დაწესებულებები წინასწარი პატიმრობის დაწესებულებებია, შესაბამისად, არასრულწლოვნებს იქ მხოლოდ რამდენიმე თვის გატარება უნდა უწევდეთ, თუმცა ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც სხვადასხვა მიზეზის გამო მისჯილი არასრულწლოვნები არ გადაჰყავდათ შესაბამის დაწესებულებებში და მათ ზემოაღნიშნულ დაწესებულებებში გაცილებით მეტი ხნის გატარება უწევდათ, რაც უარყოფითად აისახებოდა მათი განათლების უწყვეტობაზე.

რეკომენდაციები საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს

არასრულწლოვანი პატიმრებისთვის კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების სრული რეალიზებისათვის, უზრუნველყოს:

- პატიმრისათვის კანონით დადგენილი ყოველდღიური ერთსაათიანი გასეირნება;
- არასრულწლოვან მსჯავრდებულთა დროული გადაყვანა მათთვის კანონით გათვალისწინებულ ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში;
- არასრულწლოვანი პატიმრებისათვის კვირაში ორჯერ შხაპის მიღების შესაძლებლობა;
- ყველა ტიპის დაწესებულებაში განთავსებულ არასრულწლოვან პატიმრებს მიეცეთ ტელევიზორის ქონის უფლება;

- თითოეული პატიმრისთვის გამოყოფილი ფართი, სულ მცირე, შეესაბამებოდეს „პატიმრობის კოდექსით“ დადგენილ ფართს;
 - N11 დაწესებულებაში განხორციელდეს ე.წ. ბარაკული სისტემის ლიკვიდაცია და საკნის ტიპის სისტემაზე გადასვლა;
 - ყველა ბრალდებულ არასრულწლოვანს მიეცეს სწავლის გაგრძელების საშუალება.
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში შემავალი ორგანოების მონიტორინგი

მდგომარეობა შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორებში

პოლიცია

სახალხო დამცველის აპარატის პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის ჯგუფის წევრებმა მონიტორინგი ჩაატარეს პოლიციის განყოფილებებში. სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ საანგარიშო პერიოდში შემოწმდა ქობულეთის, ოზურგეთის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის, ზუგდიდის სამხარეო და რაიონული, სენაკის, ფოთის, ჩხოროწყუს, ხობის, მესტიის, ქუთაისის, ბაღდათის, ზესტაფონის, სამტრედიის, ჭიათურის, ცაგერის, ლენტეხის, რუსთავის სამხარეო სამმართველოს, მარნეულის, გარდაბნის, თეთრიწყაროს, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომის, ხაშურის, სიღნაღისა და საგარეჯოს შს სამმართველოებში დაკავებულ პირთა აღრიცხვის წიგნები და დროებითი მოთავსების იზოლატორში გადაყვანილ პირთა აღრიცხვის ჟურნალები. ჩატარებული მონიტორინგის შედეგად აღმოჩენდა რიგი დარღვევები. 2011 წლის 22 სექტემბერს სახალხო დამცველის აპარატის პრევენციის და მონიტორინგის დეპარტამენტმა წერილობით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსს სახალხო დამცველის რწმუნებულების მიერ აღმოჩენილი დარღვევების თაობაზე. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან სახალხო დამცველის აპარატში შემოსული N79659 და N189286 პასუხებით გვეცნობა, რომ მონიტორინგის შედეგად აღმოჩენილ დარღვევებზე, შს სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში ჩატარებული სამსახურებრივი დასკვნის საფუძველზე, სამსახურებრივ მოვალეობათა არაჯეროვანი შესრულებისათვის სხვადასხვა სახის დისციპლინური სახდელი შეეფარდა შს სამინისტროს 25 თანამშრომელს, მათ შორის, სამეგრელოსა და ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს სამ, ბაღდათის რაიონული სამმართველოს ხუთ, ზესტაფონის რაიონული სამმართველოს სამ, ლანჩხუთის რაიონული სამმართველოს რვა და სენაკის რაიონული სამმართველოს ექვს თანამშრომელს.

სახალხო დამცველი მიესალმება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის ამგვარ მყისიერ და ადეკვატურ რეაგირებას სახალხო დამცველის პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ ჩატარებული მონიტორინგის შედეგებზე.

მოპყრობა

პოლიციას არსებითი როლი აკისრია სახელმწიფოში საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის თვალსაზრისით. მან უნდა შეასრულოს კანონით დაკისრებული მოვალეობები, რათა თავიდან იქნეს აცილებული კანონსაწინააღმდეგო ქმედებები. ამასთან, თავიანთი მოვალეობების შესრულებისას სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებმა პატივი უნდა სცენ და დაიცვან ადამიანის ღირსება და დაიცვან ყველა ადამიანის უფლებები.

პოლიციელის საქმიანობის განხორციელების ფორმები, მეთოდები და საშუალებები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

„პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, პოლიცია თავისი ამოცანების განხორციელებისას მოვალეა, მკაცრად დაიცვას მოქალაქის კანონიერი უფლებები სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, თავისი კომპეტენციის ფარგლებში სათანადო დახმარება აღმოუჩინოს სახელმწიფოს სხვა ორგანოებსა და მოქალაქეებს, მოქალაქეებთან ურთიერთობისას მკაცრად დაიცვას სამსახურებრივი ეთიკის ნორმები.

სამწუხაროდ, რიგ შემთხვევებში ადამიანის უფლებებს თავად პოლიციის თანამშრომელი არღვევს.

„ნებისმიერი ფორმით დაკავებულ ან პატიმრობაში მყოფ ყველა პირის დაცვის შესახებ“⁵⁶⁵ პრინციპთა ერთობლიობის თანახმად, „ნებისმიერი ფორმით დაკავებულ ან პატიმრობაში მყოფ პირებს უფლება აქვთ ჰუმანურ მოპყრობასა და პიროვნების თანდაყოლილ ადამიანის ღირსების პატივისცემაზე“.


პრევენციული ჯგუფი მონიტორინგის დროს განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს როგორც დაკავების დროს, ასევე დაკავების შემდეგ პოლიციელთა მხრიდან დაკავებულთა მიმართ მოპყრობის საკითხს.

სახალხო დამცველის სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ შსს-ს შესაბამისი ორგანოებიდან მოპოვებული წერილობითი ინფორმაციით, 2010 წლის განმავლობაში დმი-ებში მოთავსებული იყო – 21603 პირი, სხეულის დაზიანება აღენიშნებოდა 466 პირს და მათგან 71 დაკავებულ პირს, რომლებმაც დაზიანებები მიიღეს დაკავებისას ან დაკავების შემდეგ, ჰქონდა პრეტენზია პოლიციის მიმართ. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან სახალხო დამცველის აპარატში შემოსული 2011 წლის 05 აგვისტოს N950480 და 2012 წლის 18 იანვრის N73165 პასუხებით გვეცნობა, რომ 2011 წლის განმავლობაში დროებითი მოთავსების იზოლატორებში სულ მოთავსებული იყო 19283 პირი. 2011 წელს დროებითი მოთავსების იზოლატორებში შეყვანისას სხეულის დაზიანება აღენიშნებოდა 260 პირს, ხოლო 69 პირს ჰქონდა პრეტენზია პოლიციის თანამშრომლების მიმართ. 2010 წელს დაკავებულ პირთა საერთო რაოდენობის 15.2%-ს

⁵⁶⁵ მიღებულია გენერალური ასამბლეის 1988 წლის 9 დეკემბრის 43/173 რეზოლუციით;

აღნიშნებოდა დაზიანება, ხოლო 2011 წელს – 26,5%-ს. 2010 წელს დაზიანებებით შეყვანილი პირების 2,2%-მა განაცხადა პრეტენზია, ხოლო 2011 წელს – 1,3%-მა.

სასჯელსრულების დეპარტამენტიდან გამოთხოვილი ინფორმაციის თანახმად, სასჯელსრულების საპატიმრო დაწესებულებებში 2011 წლის განმავლობაში სხეულის დაზიანებით შეყვანილია 977 პატიმარი. მათგან 74-მა აღნიშნა, რომ დაზიანებები მიღებული ჰქონდა დაკავების დროს. სასჯელსრულების დეპარტამენტიდან ამ 74 პატიმრის სხეულის დაზიანების ფაქტი ეცნობა შესაბამის რაიონულ პროკურატურას, საიდანაც 19 დაკავებულის სხეულის დაზიანების ფაქტზე დაიწყო წინასწარი გამოძიება, დანარჩენმა პატიმრებმა კი არ დაადასტურეს დამკავებელი პირების მიერ მათ მიმართ რაიმე კანონსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის ფაქტი.



სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა ყველა დროებითი მოთავსების იზოლატორში შეისწავლა დაკავებულთა გარეგნული დაზიანებების ოქმები. რამდენიმე შემთხვევაში პირი არ გამოთქვამდა პრეტენზიას პოლიციის მიმართ, თუმცა აღნიშნავდა, რომ მან დაზიანებები დაკავების დროს მიიღო. ასევე, იყო შემთხვევები, როდესაც პირი არ გამოთქვამდა პრეტენზიას, თუმცა აღწერილი დაზიანებების ხარისხი და სერიოზულობა გვაფიქრებინებდა, რომ პირი დაექვემდებარა არასათანადო მოპყრობას. იყო შემთხვევები, როდესაც საეჭვო დაზიანებები აღნიშნებოდა ერთდროულად დაკავებულ რამდენიმე პირს, ზოგიერთი მათგანი აცხადებდა, რომ დაზიანება მიიღო დაკავებისას და გამოთქვამდა პრეტენზიას პოლიციის მიმართ, რომელმაც მის მიმართ განახორციელა ფიზიკური ზეწოლა, ხოლო რამდენიმე ამბობდა, რომ დაზიანებები მიიღო დაკავებამდე.

მონიტორინგის ჯგუფის წევრებმა სასჯელსრულების დაწესებულებებში მონახულეს საეჭვო დაზიანებების მქონე პირების ნაწილი. ზოგიერთმა მათგანმა ზეპირსიტყვიერად განაცხადა, რომ მათ მიმართ პოლიციის მხრიდან განხორციელდა ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა, თუმცა აღნიშნულის დადასტურებისგან და ახსნა-

განმარტების მოცემისგან თავი შეიკავეს. ხშირია შემთხვევები, როდესაც პაციენტები საუბრობენ პოლიციის მხრიდან არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე, თუმცა განმარტავენ, რომ მათ აღნიშნულის თაობაზე არც დროებითი მოთავსების იზოლაციების თანამშრომლებისთვის და არც სასჯელადსრულების დეპარტამენტის დაწესებულებაში შეყვანისას არ განუცხადებიათ, ვინაიდან მიიჩნევენ, რომ ჩივილი ხელს შეუშლიდა მათი საქმის სასურველი მიმართულებით წარმართვას.

ლაშა ა.-ს საქმე

2011 წლის 17 ივნისს სახალხო დამცველის რწმუნებული შეხვდა და გაესაუბრა სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალურ დროებითი მოთავსების იზოლაციორში მოთავსებულ ბრალდებულს, ლაშა ა.-ს. მისი განმარტებით, 2011 წლის 14 ივნისს, დაახლოებით 21-22 საათზე, იგი დააკავეს წალენჯიხის რაიონული სამმართველოს ჯვარის პოლიციის განყოფილების თანამშრომლებმა. მისი გადმოცემით, ჯვარის პოლიციის განყოფილებაში მიყვანისთანავე მიაყენეს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა.

ბრალდებულის განმარტებით, პოლიციის თანამშრომლები მას უყენებდნენ პირობას, დახმარებოდა ძებნილ ზვიად ა-ს დაკავებაში, რის სანაცვლოდაც პირდაპირ განყოფილებიდან გაათავისუფლებდნენ. ზემოაღნიშნული მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში კი აფეთქებებსა და მკვლელობებთან დაკავშირებულ დანაშაულებში ცნობდნენ დამნაშავედ. ბრალდებულის გადმოცემით, ფიზიკური ძალადობის განხორციელების შემდეგ სექსუალური ძალადობის მუქარით მოაწერინეს ხელი ჩვენებაზე, რომელიც მას არ დაუწერია.

ლაშა ა.-ს გადმოცემით, იგი ითხოვდა ტელეფონის საშუალებით ახლობლებთან დაკავშირებას, რათა ეცნობებინა მისი დაკავების ფაქტი, რაზეც პოლიციის თანამშრომლების მხრიდან მიიღო პასუხი, რომ მას მალე ახლობლები საერთოდ აღარ ეყოლებოდა, მისი მამა და ძმა კი მასზე უარეს დღეში აღმოჩნდებოდნენ.

ბრალდებულის გადმოცემით, ცემის ფაქტები მას არც ერთ დაწესებულებაში არ დაუფიქსირებია, რაც გამოწვეული იყო ჯვარის პოლიციის დეტექტივის, ილია აქუბარდიასა და სხვა თანამშრომელთა მიერ განხორციელებული მუქარით.

2011 წლის 17 ივნისს ვიზუალური დათვალიერებით ბრალდებულ ლაშა ა-ს აღნიშნებოდა შემდეგი სახის დაზიანებები: ჰიპერემია და დაჟეჟილობა ზურგის მარცხენა მხარეს, ჰიპერემია ორივე ყურის უკანა მხარეს და შეშუპება მარცხენა თვალზე.

2011 წლის 26 ივნისს სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურორს ბრალდებულ ლაშა ა.-ს სავარაუდო ცემის ფაქტთან დაკავშირებით წინასწარი გამოძიების დასაწყებად.

2011 წლის 01 აგვისტოს სახალხო დამცველის რწმუნებული, ადვოკატ ქეთი ბექაურის N1075–11/1 განცხადების საფუძველზე, შეხვდა და გაესაუბრა ბრალდებულ ლაშა ა–ს. მას ორივე ილლიის არეში აღნიშნებოდა დაზიანებები. პატიმრის განმარტებით, აღნიშნული დაზიანებები მას მიაყენეს ჯვარის პოლიციის თანამშრომლებმა სიგარეტის მეშვეობით. გარეგნული დათვალიერებით მას მარცხენა ილლიის არეში აღნიშნებოდა 3 დაზიანების კვალი (სავარაუდოდ, დამწვრობა), ხოლო მარჯვენა ილლიის ქვეშ – 2 ლაქა.

სახალხო დამცველის რწმუნებულმა პატიმარს ჩამოართვა ახსნა–განმარტება, რომელშიც იგი აცხადებდა, რომ აღნიშნული დაზიანებები მიაყენა ჯვარის პოლიციის უფროსმა ვინმე აბაშიძემ და ორმა პოლიციის თანამშრომელმა. სახალხო დამცველის რწმუნებულის კითხვაზე, თუ რატომ არ განაცხადა მან აღნიშნული დაზიანებების შესახებ, ბრალდებულმა განმარტა, რომ მას დაემუქრნენ, რომ თუ ის განაცხადებდა აღნიშნულის შესახებ ან დაზიანებებს აჩვენებდა ექსპერტს, შურს იძიებდნენ მისი ოჯახის წევრებზე.

2011 წლის 1 აგვისტოს სახალხო დამცველის აპარატიდან საქართველოს მთავარ პროკურატურაში კვლავ გაიგზავნა წერილობითი მიმართვა და ბრალდებულის მიერ სახალხო დამცველის სახელზე დაწერილი ახსნა–განმარტება.

2011 წლის 6 სექტემბერს საქართველოს მთავარი პროკურატურიდან მიღებული N13/33525 პასუხის თანახმად, ზუგდიდის რაიონულ პროკურატურაში დაიწყო გამოძიება სს N053170811801 საქმეზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144–ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. ამჟამად საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება.

ბორის ხ.–ს საქმე

2011 წლის 28 სექტემბერს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა მოქალაქემ მისი მეუღლის, ბორის ხ.–ს, დაკავების ფაქტთან დაკავშირებით. 2011 წლის 29 სექტემბერს სახალხო დამცველის რწმუნებულები იმყოფებოდნენ გლდანის N8 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, სადაც შეხვდნენ და გაესაუბრნენ პატიმარს. მისი განმარტებით, 2011 წლის 24 სექტემბერს, დაახლოებით დილის 6 საათზე, იგი დაეკავეს გურჯაანის რაიონის სოფელ ვეჯინში, სისხლის სამართლის კოდექსის 177–ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისთვის. მისი განცხადებით, დააკავა ორმა პიროვნებამ, რომლებმაც განაცხადეს, რომ იყვნენ პოლიციის თანამშრომლები. როდესაც ბორის ხ. დაინტერესდა მისი დაკავების მიზეზით, უკნიდან კისრის მიდამოში იგრძნო ძლიერი დარტყმა და დაკარგა გონება. მისი განმარტებით, როდესაც მოვიდა გონს, დაინახა მის ირგვლივ შეკრებილი 15–20 პოლიციის თანამშრომელი. პატიმრის გადმოცემით, მას ყელზე მიაბეს თოკი და ძალის გამოყენებით მიიყვანეს დაახლოებით 100 მეტრში დაბმულ ცხენთან, რომლის მოპარვაშიც ადანაშაულებდნენ. პოლიციის თანამშრომლებმა მას მოსთხოვეს დანაშაულის აღიარება და თანამონაწილის დასახელება. როდესაც ბორის ხ.–მ უარი განაცხადა დანაშაულის აღიარებაზე, მას დაუწყეს ცემა და მუქარა. პატიმრის თქმით, დაახლოებით 2 საათის განმავლობაში მას ფიზიკურად და სიტყვიერად შეურაცხყოფდნენ პოლიციის თანამშრომლები. პატიმარი განმარტავდა, რომ იცნო იქ მყოფი ერთ–ერთი პოლიციის თანამშრომელი ალექსანდრე ბერიკაშვილი. მისი ცემის შესახებ ბორის ხ.–მ განუცხადა როგორც პოლიციის განყოფილების გამომძიებელს, ასევე მოსამართლეს, თუმცა მათი მხრიდან აღნიშნულ ფაქტს რეაგირება არ მოჰყოლია.

2011 წლის 30 სექტემბერს სახალხო დამცველის აპარატიდან საქართველოს მთავარ პროკურატურაში გაიგზავნა პატიმარ ბორის ხ.–სთან გასაუბრებისას შედგენილი ოქმის ასლი.

2011 წლის 21 ოქტომბერს საქართველოს მთავარი პროკურატურიდან მიღებული N13/43738 პასუხით გვეცნობა, რომ 2011 წლის 13 ოქტომბერს კახეთის საოლქო პროკურატურის საგამომძიებო ნაწილში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის N043131011801 საქმეზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333–ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

2012 წლის 12 იანვარს სახალხო დამცველის აპარატიდან საქართველოს მთავარ პროკურატურაში კვლავ გაიგზავნა წერილობითი მიმართვა, მოეწოდებინა ინფორმაცია წინასწარი გამოძიების მიმდინარეობის თაობაზე. 2012 წლის 24 იანვრის N13/3209 პასუხით გვეცნობა, რომ მოწმის სახით დაიკითხნენ ბორის ხ. და სხვა მოწმეები, ჩატარდა სასამართლო–სამედიცინო ექსპერტიზა. ამჟამად სს საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და მონიტორინგის მთავარი სამმართველოს დაქვემდებარებაში არსებული დროებითი მოთავსების იზოლატორები

მოპყრობა

როგორც გასულ წლებში, ახლაც უნდა დადებითად აღინიშნოს ის ფაქტი, რომ მონიტორინგის დროს დროებითი მოთავსების იზოლატორებში განთავსებულ პირთაგან არც ერთს არ გამოუთქვამს არანაირი სახის პრეტენზია იზოლატორის თანამშრომელთა მიერ რაიმე სახის არასათანადო მოპყრობის თაობაზე. იგივე დასტურდება სასჯელადსრულების დაწესებულებებში განთავსებული პატიმრების მიერ. როგორც ითქვა, ეს უკანასკნელნი ზოგჯერ ჰყვებიან პოლიციის მხრიდან ძალადობაზე, თუმცა ყოველთვის აღნიშნავენ, რომ იზოლატორის თანამშრომლები მათ ექცეოდნენ კორექტულად და მაქსიმალურად ითვალისწინებდნენ მათ საჭიროებებს.

სამწუხარო გამონაკლისია არასათანადო მოპყრობის რამდენიმე ფაქტი, რომლებიც დაფიქსირდა 2011 წლის 26 მაისის მოვლენების შემდეგ დაკავებულ პირებთან დაკავშირებით (იხ. ქვემოთ).

სახალხო დამცველი იმედოვნებს, რომ დროებით მოთავსების იზოლატორებში შენარჩუნდება დაკავებულ პირთა/პატიმართა მიმართ კანონით გათვალისწინებული მოპყრობის ფორმები.

ადმინისტრაციული პატიმრობა

დადებითად აღსანიშნავია, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ ნაწილობრივ გაითვალისწინა სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიშებში ასახული რეკომენდაციები და 2011 წლის 28 დეკემბერს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის N1074 ბრძანებით „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორების ტიპური დებულების, იზოლატორების შინაგანაწესის და იზოლატორების საქმიანობის მარეგულირებელი დამატებითი ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2010 წლის 1 თებერვლის N108 ბრძანებაში შევიდა ცვლილებები, რომელთა თანახმად, განისაზღვრა ადმინისტრაციული პატიმრობის პირობები – ერთ ადმინისტრაციულ პატიმრობაშეფარდებულ პირზე გამოყოფილი ფართი არ უნდა იყოს 3 კვ.მ.–ზე ნაკლები, ადმინისტრაციული პატიმრობის ადგილს უნდა ჰქონდეს ფანჯარა, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს ბუნებრივ განათებას და ვენტილაციას, ადმინისტრაციული პატიმრობის ადგილი უნდა თბებოდეს სეზონის მოთხოვნების შესაბამისად, ადმინისტრაციული პატიმრობაშეფარდებული პირი უზრუნველყოფილი უნდა იყოს ჯანმრთელობისა და ნორმალური საძილე პირობების მოთხოვნების შესაბამისი საწოლით, ლეიბით, საბნითა და თეთრეულით, მიიღოს ამანათი, საკვები და ტანსაცმელი. იმ პირთათვის, რომელთაც 7 დღე-ღამეზე მეტი ვადით განესაზღვრა

ადმინისტრაციული პატიმრობა, ხოლო არასრულწლოვნის შემთხვევაში – ერთ დღე-ღამეზე მეტი ვადით, კვირაში ორჯერ უზრუნველყოფილი უნდა იყოს შხაპის მიღების, ასევე, ყოველდღიური ერთ საათიანი გასეირნების უფლება. იმ იზოლატორებში, სადაც არ არის მოწყობილი სპეციალური გასასეირნებელი ეზო, გასეირნება ხორციელდება საქართველოს შს ორგანოს ადმინისტრაციულ შენობასთან ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე. ასევე, დაკავებულ პირებს უნდა ჰქონდეთ სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვით ბუნებრივი საჭიროების დაკმაყოფილების შესაძლებლობა და პატიმრობაზეფარდებულ პირს დღე-ღამის განმავლობაში მიუწვდებოდეს მასზე ხელი. საპირფარეო აღჭურვილი უნდა იყოს სანიტარული დანამატებით. 30 დღეზე მეტი ვადით ადმინისტრაციულ პატიმრობაზეფარდებული პირი, მისი მოთხოვნით, უზრუნველყოფილი უნდა იყოს საპარიკმახერო მომსახურებით. ადმინისტრაციული პატიმრობის აღსრულების ადგილის ადმინისტრაციას ეკრძალება, მოსთხოვოს ადმინისტრაციულ პატიმრობაზეფარდებულ პირს თმების მთლიანად გადაპარსვა, თუ არ არსებობს ექიმის მოთხოვნა ან ჰიგიენური აუცილებლობა. იმ პირებს, რომელთაც 30 დღეზე მეტი ვადით განესაზღვრათ ადმინისტრაციული პატიმრობა, ხოლო არასრულწლოვნის შემთხვევაში – 15 დღეზე მეტი ვადით, ეძლევათ პაემნის – თვეში ორჯერ და თვეში ერთხელ 10 წუთის ხანგრძლივობით სატელეფონო საუბრის უფლება. ადმინისტრაციულ პატიმრობაზეფარდებულ პირს, ასევე, მიეცა საშუალება, საკუთარი ხარჯებით გამოიწეროს ან/და მიიღოს ლიტერატურა და ჟურნალ-გაზეთები, გააგზავნოს საჩივარ-განცხადებები, წერილები. ბრძანების მიხედვით, ადმინისტრაციულ პატიმრობაზეფარდებულ პირს აქვს უფლება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით დარეგისტრირდეს აბიტურიენტად უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელებისა და ერთიან ეროვნულ გამოცდებში მონაწილეობის მიღების თაობაზე წერილობითი განცხადების წარდგენით. ასევე, ადმინისტრაციულ პატიმრობაზეფარდებულ პირს უნდა შეექმნას ყველა პირობა იმისათვის, რომ არ ჩამორჩეს ზოგადი განათლების პროგრამას.

სახალხო დამცველი მიესალმება ზემოაღნიშნულ ცვლილებებს, რომლებიც უდავოდ გააუმჯობესებენ ადმინისტრაციული პატიმრების პირობებს, თუმცა მიაჩნია, რომ ზოგიერთი დისპოზიცია მაინც არ შეესაბამება სახალხო დამცველის რეკომენდაციებსა და ევროპულ სტანდარტებს.

სახალხო დამცველმა თავის არაერთ საპარლამენტო მოხსენებაში აღნიშნა, რომ დროებითი მოთავსების იზოლატორების ინფრასტრუქტურა არ არის ადაპტირებული ადმინისტრაციული პატიმრობაზეფარდებული პირების მოსათავსებლად, რის გამოც რეკომენდაციით მიმართა საქართველოს მთავრობას, უზრუნველყოფა ადმინისტრაციული პატიმრობაზეფარდებული პირებისთვის სპეციალური დაწესებულებების შექმნა რეგიონული პრინციპის გათვალისწინებით, რომლებიც ადაპტირებული იქნება პირთა ხანგრძლივი განთავსებისათვის. დღესდღეობით აღნიშნული რეკომენდაცია არ არის გათვალისწინებული, რის გამოც ადმინისტრაციული პატიმრები კვლავ თავსდებიან დროებითი მოთავსების იზოლატორებში.

საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის მონიტორინგის ჯგუფმა აღმოაჩინა არაერთი დარღვევა ადმინისტრაციული პატიმრების განთავსებასთან და პირობებთან დაკავშირებით, რაზეც რეკომენდაციებით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს.

გიორგი ხ.-ს, აკაკი ჩ.-ს და მერაბ ჭ.-ს. საქმე

2011 წლის 29 მარტს სახალხო დამცველის სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრები შეხვდნენ და გაესაუბრნენ ადმინისტრაციულ პატიმრობაშეფარდებულ პირებს, გიორგი ხ.-ს, აკაკი ჩ.-ს და მერაბ ჭ.-ს. 2011 წლის 26 მარტს, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის დადგენილებით, ორ მათგანს შეეფარდა ადმინისტრაციული პატიმრობა 20 დღე-ღამის ვადით, ერთს კი – 10 დღე-ღამის ვადით.

ადმინისტრაციულ პატიმრობაშეფარდებულმა პირებმა აღნიშნეს, რომ დროებითი მოთავსების იზოლატორში შეზღუდული ჰქონდათ ყოველდღიური ერთსაათიანი გასეირნების უფლება, შხაპის მიღების შესაძლებლობა, რის გამოც ვერ იცავდნენ პირად ჰიგიენას, ასევე, ვერ ეცნობოდნენ პრესას. გიორგი ხ.-მ განაცხადა, რომ სამი დღის განმავლობაში ითხოვდა ექიმთან შეხვედრას, რაც მოგვიანებით დაკმაყოფილდა. მან ასევე აღნიშნა, რომ მიმართა პროტესტის ზომას - შიმშილობას, თუმცა იგი სხვა საკანში არ გადაუყვანიათ და არც ექიმს უნახავს შიმშილობის დაწყების შემდეგ.

საქართველოს სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ ადმინისტრაციული პატიმრობაშეფარდებული პირები უნდა სარგებლობდნენ ყველა იმ უფლებით, რომლებიც მსჯავრდებულებს აქვთ. აღნიშნულიდან გამომდინარე, ისინი არა მარტო ყოველდღიური გასეირნების უფლებით უნდა სარგებლობდნენ, არამედ უნდა ჰქონდეთ საშუალება, შეხვდნენ ოჯახის წევრებს, იქონიონ სატელეფონო საუბრები და გარე სამყაროსთან კონტაქტი, რასაც საანგარიშო პერიოდში საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა.

2011 წლის 5 აპრილს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს, საწყის ეტაპზე უზრუნველყო ყველა იმ უფლების რეალიზება ადმინისტრაციული პატიმრობაშეფარდებული პირებისათვის, რომლებიც შინაგან საქმეთა მინისტრის „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორების ტიპური დებულების, იზოლატორების შინაგანაწესისა და იზოლატორების საქმიანობის მარეგულირებელი დამატებითი ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ N108 ბრძანებითაა გათვალისწინებული და უზრუნველყო დაკავებულთა/პატიმართა ყველა უფლების ამსახველი ახალი ნორმატიული აქტის გამოცემა.

აღნიშნულ რეკომენდაციაზე სახალხო დამცველის აპარატში პასუხი არ შემოსულა, თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა, მოგვიანებით N108 ბრძანებაში განხორციელდა ცვლილებები.

2011 წლის 26 მაისის მოვლენებთან დაკავშირებით დაკავებულ პირთა უფლებები

წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT) განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს პოლიციის მიერ დაკავებულ პირთა სამ უფლებას: შეატყობინოს თავისი დაკავების ფაქტის შესახებ მესამე მხარეს, რომელსაც თვითონ არჩევს (ოჯახის წევრი, მეგობარი, საკონსულო), უფლებას ადვოკატზე და უფლებას მოითხოვოს სამედიცინო შემოწმება იმ ექიმის მიერ, რომელსაც აირჩევს (დამატებით, ნებისმიერი სამედიცინო შემოწმება პოლიციის მიერ მოყვანილი ექიმის მიერ). კომიტეტის აზრით, ეს არის სამი ძირითადი საშუალება დაკავებული პირების სასტიკი მოპყრობისაგან დასაცავად, რომლებიც გამოიყენება თავისუფლების აღკვეთის საწყის ეტაპზე.⁵⁶⁶

2011 წლის 26 მაისის დამეს განვითარებული მოვლენებისას დაკავებულ იქნა 200-მდე პირი, რომლებიც აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა დროებითი მოთავსების იზოლატორებში იქნენ გადანაწილებულნი. გარდა ამისა, რამდენიმე ათეული პირის ადგილსამყოფელი რამდენიმე დღე უცნობი იყო. მხოლოდ ერთეულ შემთხვევებში გამომძიებლები დაუკავშირდნენ დაკავებულების ოჯახს და შეატყობინეს მათი ახლობლის დაკავებისა და ადგილსამყოფელის შესახებ.

26 მაისს სახალხო დამცველის რწმუნებულებმა მოინახულეს თბილისის N2, მცხეთის, კასპის, კახეთის, ქვემო ქართლის და შიდა ქართლის რეგიონალურ დროებითი მოთავსების იზოლატორში განთავსებული პირები. როგორც მოგვიანებით აღმოჩნდა, თბილისის N2 დმი-ში განთავსებული პირები იმავე დღეს გადაიყვანეს სხვა იზოლატორებში. შესაბამისად, ადვოკატებმა ვერ შეძლეს მათი მონახულება, პატიმრებს შეეზღუდათ დაცვის უფლება, ვერ გამოიყენეს ადმინისტრაციული პატიმრობის გასაჩივრების კანონით დადგენილი საშუალება 48 საათიანი ვადის გასვლის გამო, მათი ოჯახის წევრები კი მოკლებულნი იყვნენ ელემენტარულ შესაძლებლობას, სცოდნოდათ სად იმყოფებდნენ მათი ახლობლები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს, დაუყოვნებლივ უზრუნველყო 2011 წლის 26 მაისის დამეს განვითარებული მოვლენების დროს დაკავებულ პირთა უფლებების აღდგენა, კერძოდ, დაკავებულ პირებს მისცემოდათ საშუალება, დაჰკავშირებოდნენ ოჯახის წევრებსა და ადვოკატებს, უზრუნველყოფილი ყოფილიყვნენ ადეკვატური სამედიცინო მომსახურებით და ამანათით მიეღოთ კანონმდებლობით დაშვებული ნივთები.

აღნიშნულ რეკომენდაციაზე სახალხო დამცველის აპარატში პასუხი არ შემოსულა.

2011 წლის 28 მაისს სახალხო დამცველის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა ინფორმაცია, რომელშიც აღნიშნული იყო ყველა იმ დაკავებულის სახელი და გვარი, რომლებიც 26 მაისის მოვლენებთან დაკავშირებით განთავსებული იყვნენ ამა თუ იმ დროებითი მოთავსების იზოლატორში. მონიტორინგის შედეგად გაირკვა, რომ

⁵⁶⁶ [CPT/Inf (92) 3] მეორე საერთო ანგარიში, პარ.36

დაკავებულთა ნაწილს მეტ-ნაკლებად სერიოზული ხასიათის დაზიანებები აღენიშნებოდა. რამდენიმე დაკავებულს მძიმე კატეგორიის დაზიანებები ჰქონდა, რაც ასევე დასტურდებოდა დროებითი მოთავსების იზოლატორში შეყვანისას შევსებული გარეგნული დათვალიერების ოქმებით. დაკავებულები ზეპირ საუბარში აცხადებენ, რომ დაზიანებები მიღებული ჰქონდათ როგორც აქციის დაშლისას, ისე დაკავების შემდეგ, თუმცა უმრავლესობამ უარი განაცხადა სახალხო დამცველის წარმომადგენლისთვის ახსნა-განმარტების მიცემაზე.

ლაშა ჩ.-ს საქმე

2011 წლის 11 ივნისს სახალხო დამცველის რწმუნებულები შეხვდნენ და გაესაუბრნენ შიდა ქართლის რეგიონალური დროებითი მოთავსების იზოლატორში განთავსებულ ადმინისტრაციულ პატიმრობაშეფარდებულ პირს, ლაშა ჩ.-ს, რომელმაც აღნიშნა, რომ პატიმრობის პირველივე დღიდან ირღვეოდა მისი უფლებები. კერძოდ, მან გამოაცხადა შიმშილობა, რის თაობაზეც დმი-ს ადმინისტრაციას განცხადებით მიმართა 2011 წლის 07 ივნისს. იგი აცხადებდა, რომ მასზე, როგორც მოშიმშილე პატიმარზე, არ ხორციელდებოდა სამედიცინო კონტროლი. მისი განმარტებით, მოთხოვნიდან მხოლოდ სამი დღის შემდეგ გამოიძახეს სამედიცინო დახმარების ბრიგადა. პატიმრის გადმოცემით, მასთან ამანათით არ შეუშვეს ტანსაცმელი, სიგარეტი და პრესა. იგი აცხადებდა, რომ დმი-ში შესახლების შემდეგ ჩამოართვეს სიგარეტი და განუმარტეს, რომ სიგარეტის მოწევა დროებითი მოთავსების იზოლატორში აკრძალულია. ამ უკანასკნელ საკითხზე სახალხო დამცველის რწმუნებულები გაესაუბრნენ დმი-ს უფროსს, ელდარ დალაქიშვილს, რომელმაც დაადასტურა, რომ ლაშა ჩ.-ს ჩამოერთვა სიგარეტი, ვინაიდან, როგორც დმი-ს უფროსი აცხადებდა, აღნიშნული დაწესებულება არის „საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილი“ და იქ სიგარეტის მოწევა აკრძალულია.

2011 წლის 13 ივნისს სახალხო დამცველის აპარატიდან საქართველოს შსს ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა დაცვისა და მონიტორინგის მთავარი სამმართველოს უფროსს რეაგირებისთვის გაეგზავნა ლაშა ჩ.-სთან შედგენილი ოქმის ასლი. აღნიშნულ წერილზე პასუხი არ მიგვიღია.

იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონალური დმი (ქ.ქუთაისი)

2011 წლის 31 მაისს სახალხო დამცველის რწმუნებულები შეხვდნენ და გაესაუბრნენ იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონალური დროებითი მოთავსების იზოლატორში განთავსებულ პატიმრებს: ლევან ჩ.-ს, ვასილ ბ.-ს, დავით თ.-ს, ვლად შ.-ს, იური კ.-ს, ოთარ ა.-ს, გიორგი ფ.-ს, ლევან კ.-ს, გელა დ.-ს, ირაკლი კ.-ს, მამუკა გ.-ს, ზურაბ შ.-ს, ზურაბ ტ.-ს და გ გ.-ს. აღნიშნული პირები გადანაწილებულნი იყვნენ დროებითი მოთავსების იზოლატორის სამ საკანში. მათი განმარტებით, ისინი მოკლებულნი იყვნენ ყოველდღიური გასეირნების უფლებას, შხაპის მიღების შესაძლებლობას, ამანათის სახით ვერ იღებდნენ ტანსაცმელსა და სიგარეტს. მათ არც ჰიგიენური ნივთები ეძლეოდათ.

პატიმართა გადმოცემით, ისინი დმი–ს ადმინისტრაციას ყოველ ღამით გაჰყავდა დერეფანში, სადაც დასჯის მიზნით 30–40 წუთის განმავლობაში აყენებდნენ კედლისკენ სახით, თავდახრილებს. მათი განმარტებით, აღნიშნულ საქციელს ადმინისტრაცია „ამართლებდა“ ზეპირსიტყვიერი მითითებით შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობის მხრიდან.

პატიმართა ნაწილი აღნიშნავდა, რომ მათ ესაჭიროებოდათ სამედიცინო დახმარება, რომელზეც, აღნიშნულ დროებითი მოთავსების იზოლატორში ხელი არ მიუწვდებოდათ.

2011 წლის 6 ივნისს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს ზემოაღნიშნულ დარღვევათა აღმოფხვრისა და შესაბამისი პირების პასუხისმგებლობის საკითხის დაყენების შესახებ.

აღნიშნულ რეკომენდაციაზე სახალხო დამცველის აპარატში პასუხი არ შემოსულა.

ოთარ ა.–ს საქმე

2011 წლის 10 ივნისს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა ზესტაფონის დროებითი მოთავსების იზოლატორში განთავსებული ადმინისტრაციული პატიმრობაშეფარდებული პირის, ოთარ ა.–ს, მშობელმა. მისი განმარტებით, მის შვილს 2011 წლის 20 ივლისს უმთავრდებოდა პატიმრობის ვადა, 2011 წლის 14 და 15 ივლისს კი პატიმარს მონაწილეობა უნდა მიეღო ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო გამოცდებში.

განცხადებას თანდართული ჰქონდა გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ 2011 წლის 6 ივნისს გაცემული ცნობა, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ ოთარ ა. ნამდვილად იყო დარეგისტრირებული 2011 წლის საერთო სამაგისტრო გამოცდებზე.

2011 წლის 21 ივნისს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს, უზრუნველყო პატიმრის მონაწილეობა სამაგისტრო გამოცდებში.

2011 წლის 1 ივლისს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან მიღებული პასუხის თანახმად, პატიმარი ოთარ ა. გაყვანილი იქნებოდა ივ.ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამაგისტრო გამოცდებში მონაწილეობის მისაღებად.

საყოფაცხოვრებო პირობები

მისასალმებელია, რომ გაუქმდა იმ დროებითი მოთავსების იზოლატორების ნაწილი, რომლებიც სრულად ამორტიზებულ შენობებში იყო განთავსებული და რომელთა ლიკვიდაციის თაობაზეც სახალხო დამცველმა რეკომენდაცია გასცა. ესენია გორის, ხაშურისა და ცაგერის დროებითი მოთავსების იზოლატორები.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საანგარიშო პერიოდში კვლავ ფუნქციონირებდა სამტრედიის დროებითი მოთავსების იზოლატორი, სადაც ადამიანის მოთავსება, თუნდაც მცირე ხნით, შეიძლება არაადამიანურ და ღირსების შემლახავ მოპყრობად ჩაითვალოს. სამტრედიის დმი შედგება 6 საკნისგან, მათგან 3 მოქმედია. დმი-ში ანტისანიტარიაა. საკნებში არის სინესტე და სიბინძურე. ფანჯრებზე აფარებულია ლითონის ნახვრეტებიანი ფირფიტა, რის გამოც შეუძლებელია საკნის ვენტილაციისა და განათების უზრუნველყოფა. კედლებიდან ჩამოყრდინებულია ბათქაში. მონიტორინგის დროს დაფიქსირდა მღრღნელებისა და მორიელების არსებობა. საპირფარეშო განთავსებულია დერეფნის ბოლოს და მისი სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა არის ძალიან ცუდი. დმი-ში არ არის საშხაპე, სასეირნო ეზო და გათბობის არანაირი საშუალება.

ციხის ევროპული წესების მიხედვით, „პატიმრებისათვის უზრუნველყოფილი საცხოვრებელი, განსაკუთრებით კი საძინებელი, უნდა პასუხობდეს ადამიანის ღირსების პატივისცემის და მაქსიმალური შესაძლებლობის ფარგლებში, ასევე, განმარტოების მოთხოვნებს. დაცული უნდა იყოს ჯანმრთელობისა და ჰიგიენის მოთხოვნები, ჯეროვანი ყურადღება უნდა დაეთმოს კლიმატურ პირობებსა და განსაკუთრებით ფართის ოდენობას, ჰაერის მოცულობას, განათებასა და ვენტილაციის პირობებს.“⁵⁶⁷

ზოგიერთ დროებითი მოთავსების იზოლატორში არ არის დამონტაჟებული ცენტრალური გათბობის სისტემა (ბორჯომი, ახალქალაქი, ზესტაფონი, თეთრი წყარო, მესტია, თერჯოლა, ამბროლაური და სამტრედია), რის გამოც საკნები არ თბება და დაკავებულებს/პატიმრებს სიცხეში უწევთ ყოფნა.

დროებითი მოთავსების იზოლატორების უმრავლესობაში არ არის საკმარისი განათება და ვენტილაცია; ზოგიერთ მათგანს საერთოდ არ გააჩნია ფანჯარა (ახალციხე, ბორჯომი) ან ეს უკანასკნელი იმდენად მცირე ზომისაა, რომ ვერ უზრუნველყოფს ბუნებრივ ვენტილაციასა და განათებას (ჩოხატაურის, ოზურგეთის და ლანჩხუთის ერთი საკანი, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური, ხობის, ზუგდიდის N1, სენაკის, ქვემო ქართლის, თეთრი წყაროს, თერჯოლის 2 საკანი, ქუთაისის, საგარეჯოს, თელავის, ზესტაფონის, ჭიათურის, ხაშურის, კასპის, გარდაბნის, დუშეთისა და თბილისის N2 დმი-ები). ზოგიერთ დმი-ს საკნებში ფანჯრები საკმარისი ზომისაა, თუმცა სამმაგი გისოსები არ იძლევა ნორმალური განათებისა და ვენტილაციის საშუალებას (სიღნაღი).

აღსანიშნავია, რომ 2010–11 წლებში გარემონტდა და აშენდა არაერთი დროებითი მოთავსების იზოლატორი, თუმცა სამწუხაროა, რომ მათი ინფრასტრუქტურა კვლავ არ

⁵⁶⁷ 18.1-ე წესი

იძლევა საშუალებას, საკნებში უზრუნველყოფილ იქნეს ბუნებრივი ვენტილაცია და განათება.

ციხის ევროპული წესების მიხედვით, „პატიმრებს იოლად უნდა მიუწვდებოდეთ ხელი საპირფარეშოებზე, რომლებიც უნდა იყოს ჰიგიენური და იძლეოდეს განმარტოების საშუალებას.“⁵⁶⁸

დმი-ების საკნებში განთავსებული საპირფარეშოები არ არის იზოლირებული. სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, ყველა დროებითი მოთავსების იზოლატორში მოხდეს საპირფარეშოების იზოლირება, თუმცა აღნიშნული რეკომენდაცია ჯერ არ შესრულებულა.

ამბროლაურის, თბილისის N1 და ბათუმის დმი-ს ზოგიერთი საკნის გარდა, სხვა იზოლატორების საკნებში თითოეულ დაკავებულზე გამოყოფილი ფართი არ აკმაყოფილებს 4 კვ.მ. სტანდარტს. სახალხო დამცველმა თავის არაერთ საპარლამენტო მოხსენებაში გასცა რეკომენდაცია, თითოეულ დაკავებულზე გათვალისწინებული ყოფილიყო 4 კვ.მ. ფართი. აღნიშნული რეკომენდაცია გასცა წამების პრევენციის ევროპულმა კომიტეტმაც. რაც შეეხება საკნებს, სადაც დაკავებულები მართო არიან განთავსებულნი, მათი ფართობი არ უნდა იყოს 7 კვ.მ.–ზე ნაკლები.⁵⁶⁹

მიუხედავად სახალხო დამცველის რეკომენდაციისა, ზოგიერთ დროებითი მოთავსების იზოლატორში საწოლების მაგივრად კვლავ გამოიყენება ფიცარნაგი. ესენია: ახალქალაქის, გარდაბნის, წალკის დმი-ები, თბილისის N2 დმი-ს ზოგიერთი საკანი და ქვემო ქართლის რეგიონალური დროებითი მოთავსების იზოლატორები.

სახალხო დამცველმა არაერთგზის გასცა რეკომენდაცია იმის თაობაზე, რომ 24 საათზე მეტი ხნით დაკავებულ პირებს ჰქონოდათ ყოველდღიურად, მინიმუმ ერთსაათიანი გასეირნების უფლება, თუმცა დროებითი მოთავსების იზოლატორების უმეტესობაში არ არის სასეირნო ეზოები. ესენია: დუშეთის, თეთრიწყაროს, წალკის, სიღნაღის, საგარეჯოს, კასპის, ზესტაფონის, სამტრედიის, თერჯოლის, ამბროლაურის, ლენტეხის, ბორჯომის, ქობულეთის, ზუგდიდის, ფოთის, ხობის, ჩხოროწყუს დმი-ები, ასევე, სამცხე-ჯავახეთის, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონულ დროებითი მოთავსების იზოლატორები. დადებითად აღსანიშნავია, რომ ეზოს არქონის შემთხვევაში 7 დღეზე მეტი ვადით განთავსებულ ადმინისტრაციულ პატიმრებს ასეირნებენ იზოლატორის მიმდებარე ტერიტორიაზე. მათ სეირნობის წინ ხელს აწერინებენ გაფრთხილების ფურცელზე, რომელზეც აღნიშნულია იმ პასუხისმგებლობის შესახებ, რომელიც პირს დაეკისრება გაქცევის შემთხვევაში.

ზოგიერთ ახალ დროებითი მოთავსების იზოლატორში სასეირნო ეზოდ გამოიყენება დერეფნები, რაც ყოვლად გაუმართლებელია. ესენია თბილისის N1 და ოზურგეთის რეგიონული დმი-ები.

⁵⁶⁸ 19.3-ე წესი

⁵⁶⁹ წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის (CPT) 2010 წლის ანგარიში საქართველოს მთავრობას, პარ.117

საანგარიშო პერიოდში მოქმედი შინაგან საქმეთა მინისტრის N108 ბრძანების მიხედვით, „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორების ტიპური დებულების, იზოლატორების შინაგანაწესის და იზოლატორების საქმიანობის მარეგულირებელი დამატებითი ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“, ყოველდღიური გასეირნების უფლება ეძლევათ მხოლოდ იმ პირებს, რომლებსაც სასამართლოს მიერ განესაზღვრათ პატიმრობა არანაკლებ 15 დღის ვადით.

სისუფთავისა და პირადი ჰიგიენის დაცვა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია პატიმართა ღირსებისა და ჯანმრთელობის შენარჩუნების თვალსაზრისით. ამდენად, ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ნებისმიერ პატიმარს მიეცეს შხაპით სარგებლობისა და სისუფთავის დაცვის საშუალება. მონიტორინგის შედეგად გაირკვა, რომ იმ დროებითი მოთავსების იზოლატორებში, სადაც მოწყობილია საშხაპე ოთახები, პატიმრებს შესაძლებლობა აქვთ, მიიღონ შხაპი კვირაში ერთხელ, თუმცა პრობლემად რჩება ის დროებითი მოთავსების იზოლატორები, სადაც არ არის საშხაპე ოთახები. ესენია დუშეთის, სამტრედიის, ლენტეხის, ახალქალაქის და მესტიის დროებითი მოთავსების იზოლატორები. დადებითად აღსანიშნავია, რომ დმი-ების საკნებს დღეში ორჯერ ალაგებენ დამლაგებლები.

ყველა დმი-ში დაკავებულებს მიეწოდებათ სტანდარტული საკვები – პური, კონსერვის პაშტეტი და პაკეტის სუპი. აღნიშნული საკვები არასრულფასოვანია, რაც განსაკუთრებით შემამოთხვებელია იმის გათვალისწინებით, რომ პირს შეიძლება 3 თვის მანძილზეც კი მოუწიოს დროებითი მოთავსების იზოლატორში ყოფნა და არ ჰყავდეს ახლობლები, რომლებიც ამანათით დამატებით საკვებს შემოუგზავნიან.

გამონაკლისია თბილისის N1 და N2 დმი-ები, სადაც განთავსებულ პირებს საკვები მიეწოდებათ დაწესებულების სასადილოდან, რაც თავისუფლებადაკვეთილი პირებისთვის გაცილებით სრულფასოვან და მრავალფეროვან კვებას უზრუნველყოფს.

დოკუმენტაციის დამოწმება

მონიტორინგის დროს, დმი-ების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას, მათი მხრიდან წამოიჭრა შემდეგი სახის პრობლემა: ზოგიერთ შემთხვევაში საჭირო ხდება დაკავებული პირის/ადმინისტრაციული პატიმრის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტის ნოტარიული წესით დამოწმება, მაგალითად, როცა დაკავებულის/პატიმრის არასრულწლოვანი შვილი მიემგზავრება საზღვარგარეთ და ამისთვის საჭიროა დედის ან მამის ნოტარიულად დამოწმებული თანხმობა.

განსხვავებით სასჯელადსრულების დაწესებულებების დირექტორებისგან, დროებითი მოთავსების იზოლატორების უფროსებს არ აქვთ კანონით მინიჭებული უფლებამოსილება, შეასრულონ ნოტარიუსის ფუნქციები – „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლი განსაზღვრავს თანამდებობის პირთა მიერ იმ ანდერძებისა და რწმუნებულებების დადასტურებას, რომლებიც უთანაბრდება

სანოტარო წესით დადასტურებულ დოკუმენტებს და რომელთა ჩამონათვალშიც არ გვხვდება დროებითი მოთავსების იზოლატორის უფროსი. შესაბამისად, დაკავებულ პირს/ადმინისტრაციულ პატიმარს და მის ოჯახს ან საქმიან პარტნიორებს ექმნებათ პრობლემა დოკუმენტის დადასტურებასთან დაკავშირებით.

სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონში უნდა შევიდეს შესაბამისი ცვლილებები და დროებითი მოთავსების იზოლატორების უფროსებს მიეცეთ ისეთივე უფლებამოსილება, როგორც პატიმრობის ან თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებების დირექტორებს აქვთ. აღნიშნული ცვლილება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება ადმინისტრაციული პატიმრობაშეფარდებული პირებისათვის.

წინადადება საქართველოს პარლამენტს: „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის 1-ლ პუნქტს დაემატოს შესაბამისი შინაარსის ქვეპუნქტი, რომელიც დროებითი მოთავსების იზოლატორის უფროსის მიერ დოკუმენტის დადასტურებას გაუთანაბრებს სანოტარო წესით დადასტურებას.

რეკომენდაცია საქართველოს მთავრობას: ადმინისტრაციული პატიმრობაშეფარდებული პირებისთვის უზრუნველყოფილ იქნეს სპეციალური დაწესებულებების შექმნა, რეგიონული პრინციპის გათვალისწინებით, რომლებიც ადაპტირებული იქნება პირთა ხანგრძლივი განთავსებისათვის.

რეკომენდაციები საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს:

განხორციელდეს შესაბამისი ცვლილებები N108 ბრძანებაში, რათა უზრუნველყოფილ იქნეს:

- 24 საათზე მეტი ხნით ყველა დაკავებულის/პატიმრის ყოველდღიური გასეირნების უფლება სუფთა ჰაერზე ამისთვის სპეციალურად გამოყოფილ ადგილას, ასევე, საკმარისი რეგულარობით შხაპის მიღების საშუალება;
- თითოეული დაკავებულისათვის საერთო განთავსების საკნებში 4 კვ.მ. ფართის, ხოლო ერთი პირის განთავსებისთვის განკუთვნილ საკნებში – მინიმუმ 7 კვ.მ. ფართის გათვალისწინება;

შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და მონიტორინგის მთავარი სამმართველოს უფროსს:

- ყველა დმი-ში ლიკვიდირებულ იქნეს ფიცარნაგები და ყველა დაკავებული უზრუნველყოფილ იქნეს ინდივიდუალური საწოლით;
- ყველა დროებითი მოთავსების იზოლატორის საკნებში დამონტაჟდეს ცენტრალური გათბობა, ასევე უზრუნველყოფილ იქნეს საკნების სათანადო განათება და ვენტილაცია, მათ შორის, ბუნებრივი საშუალებით;

- მოხდეს იმ იზოლატორების ლიკვიდაცია, რომლებშიც, ინფრასტრუქტურის თავისებურებებიდან გამომდინარე, შეუძლებელია სათანადო პირობების შექმნა;
- ყველა დროებითი მოთავსების იზოლატორში მოხდეს საპირფარეშოს იზოლირება;
- დროებით მოთავსების იზოლატორებში განთავსებული პირები უზრუნველყოფილნი იყვნენ სამჯერადი, სრულფასოვანი კვებით.

ჯანმრთელობის უფლების დაცვა პენიტენციურ სისტემაში

ციხეთა გადატვირთულობის ჯანდაცვითი ასპექტები

საქართველოს პენიტენციური სისტემის მოსახლეობა, ბოლო წლების მონაცემების გათვალისწინებით, მკვეთრი ზრდის ტენდენციას ავლენს. მიუხედავად იმისა, რომ პარალელურ რეჟიმში ინტენსიურად მიმდინარეობს სასჯელაღსრულების ახალი დაწესებულებების მშენებლობა და არსებული ინფრასტრუქტურის სიმძლავრეების გაზრდა, პატიმართა რაოდენობა და არსებული ჯანდაცვითი შესაძლებლობები მაინც დისპროპორციულია. გადატვირთულობა ნამდვილად წარმოადგენს ციხეში მრავალი ჯანდაცვითი პრობლემის გაჩენის ან დამძიმების აშკარა მიზეზს. მათ შორის უპირველეს ყოვლისა უნდა გამოვყოთ კომუნიკაბელური დაავადებების მატება და ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემათა გამწვავება. გადატვირთულობის მქონე დაწესებულებებში, გარდა იმისა, რომ სამედიცინო პერსონალის ისედაც ზენორმირებული დატვირთვა ვეღარ უმკლავდება პაციენტთა ჯანდაცვით საჭიროებებს, არ არსებობს ასევე რესურსები და სახსრები სამედიცინო პრობლემების მოსაგვარებლად. ამის ნათელი მაგალითია სამკურნალო დაწესებულებებში გადაყვანის დაყოვნება, მკურნალობისათვის ნაკლებად ეფექტური სამკურნალო საშუალებების გამოყენება (პრინციპით - რაც შეიძლება ფართო მოცვა არასაკმარისი რესურსებით), უკანონო საექიმო საქმიანობის განხორციელება (როდესაც სპეციალისტთა ნაკლებობის გამო, სხვა სპეციალისტების ექიმს უწევს მისთვის არაპროფილური საქმიანობის შესრულება, რაშიც მას საკმარისი ცოდნა და გამოცდილება არ გააჩნია) და სხვა.

2011 წლისათვის, საქართველოს პენიტენციური სისტემის დაწესებულებებში, სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის მიერ დამტკიცებული ლიმიტების შესაბამისად, შესაძლებელია განთავსდეს 24.280 თავისუფლება აღკვეთილი პირი. (ამ მაჩვენებელში არ შედის თბილისის N10 დაწესებულება, რომელიც 2011 წლის განმავლობაში პრაქტიკულად დახურულია და მასში პატიმრები 2011 წლის 18 მარტიდან განთავსებულნი აღარ არიან. ასევე ხონის N13 დაწესებულება, რომელიც მხოლოდ წლის პირველ ნახევარში ფუნქციონირებდა). მონიტორინგის ჩატარების დროს, პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ დადგინდა, რომ 2011 წლის პირველ ნახევარში სულ, საქართველოს პენიტენციური სისტემის მოქმედ 18 დაწესებულებაში განთავსებული იყო 24.261 პატიმარი, ხოლო მეორე ნახევარში მოქმედ 17 დაწესებულებაში - 24.114 პატიმარი. აღნიშნული პრაქტიკულად შეესაბამება დადგენილი ლიმიტის საზღვრებს. აღნიშნული სტატისტიკა ცალკეული დაწესებულებების მიხედვით წარმოდგენილია ცხრილში:

№	დაწესებულების დასახელება	პატიმართა ლიმიტი		არსებული მდგომარეობა	
		I ნახ	II ნახ	I ნახ	II ნახ
1	№1 თბილისი	750	750	1074	1329
2	№2 ქუთასი	1840	1840	1451	1450
3	№3 ბათუმი	557	557	652	531
4	№4 ზუგდიდი	305	305	378	338
5	№5 რუსთავი	1200	1200	1157	1174
6	№6 რუსთავი	1400	1400	1194	1246
7	№7 თბილისი	108	108	39	37
8	№8 თბილისი	3672	3672	3505	3408
9	№9 თბილისი	970	970	1044	1064
10	№10 თბილისი	---	---	---	---
11	№11 თბილისი	160	160	164	138
12	№12 თბილისი	700	700	796	849
13	№13 ხონი	650	—	73	—
14	№14 გეგუთი	2500	2500	2693	2693
15	№15 ქსანი	3300	3300	3271	3645
16	№16 რუსთავი	2704	2704	2560	2515
17	№17 რუსთავი	2744	2744	3168	2721
18	№18 თბილისი	180	180	218	222
19	№19 ქსანი	540	540	824	754
	ს უ ლ:	24.280	23.630	24.261	24.114

როგორც ცხრილიდან ჩანს, მიუხედავად იმისა, რომ მონიტორინგის ჩატარების პერიოდში, პატიმართა არსებული რაოდენობა არ აჭარბებდა საქართველოს ყველა სასჯელაღსრულების დაწესებულების ლიმიტს, ცალკეულ დაწესებულებებში ეს ასე არ არის და სამწუხაროდ, გადატვირთულობის პრობლემა სახეზეა რამდენიმე დაწესებულებაში. გადატვირთულობის პროცენტი მერყეობს 8–დან 77 შუალედში. განსაკუთრებით საგანგაშოა ის მდგომარეობა, რომ სისტემაში არსებული ორივე სამკურნალო დაწესებულება მკვეთრი გადატვირთულობის პირობებში მუშაობს, რაც აუცილებლად აისახება გაწეული მომსახურების ხარისხზე. გადატვირთული დაწესებულების სია და გადატვირთულობის დონე ასახულია ცხრილში:

2011 წლის პირველ ნახევარში:

№	დაწესებულების დასახელება	პატიმართა ლიმიტი	არსებული მდგომარეობა	გადატვირთულობა	
				რიცხვ.	%
1	№19 ქსანი	540	824	284	53 %
2	№1 თბილისი	750	1074	324	43 %
3	№4 ზუგდიდი	305	378	73	24 %
4	№18 თბილისი	180	218	38	21 %
5	№3 ბათუმი	557	652	95	17 %
6	№17 რუსთავი	2744	3168	424	15 %
7	№12 თბილისი	700	796	96	14 %
8	№9 თბილისი	970	1044	74	8 %
9	№14 გეგუთი	2500	2693	193	8 %

2011 წლის მეორე ნახევარში:

№	დაწესებულების დასახელება	პატიმართა ლიმიტი	არსებული მდგომარეობა	გადატვირთულობა	
				რიცხვ.	%
1	№1 თბილისი	750	1329	579	77 %
2	№19 ქსანი	540	754	214	40 %
3	№18 თბილისი	180	222	42	23 %
4	№12 თბილისი	700	849	149	21 %
5	№4 ზუგდიდი	305	338	33	11 %
6	№9 თბილისი	970	1064	94	10 %
7	№14 გეგუთი	2500	2693	193	8 %

როგორც ჩანს, გადატვირთულობა მაქსიმალურია ქსნის ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა N19 სამკურნალო დაწესებულებაში, თბილისის N1 დაწესებულებაში, მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა N18 დაწესებულებაში, ზუგდიდის N4 დაწესებულებაში და ა.შ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გადატვირთულობის პრობლემა განსაკუთრებულ სირთულეებს ქმნის სასჯელაღსრულების სისტემის იმ დაწესებულებებში სადაც არსებული ინფრასტრუქტურა მოძველებულია და რთულ მდგომარეობაშია. ამ მხრივ უნდა გამოიყოს თბილისის N1, ზუგდიდის N4, ბათუმის N3, თბილისის N12 და თბილისის N9 დაწესებულებები. გადატვირთულობის ზღვარზე უწევს მუშაობა N11 არასრულწლოვანთა დაწესებულებასაც.

სასჯელაღსრულების დაწესებულებათა სამედიცინო პერსონალი

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციის მიხედვით, „სამედიცინო პერსონალის რაოდენობა ადგილებზე შეესაბამება ქვეყანაში

არსებული ჯანდაცვის სტანდარტებით გათვალისწინებულ ნორმებს“. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ ვერ იქნა მოძიებული ქვეყანაში არსებული რომელიმე სტანდარტი ან ნორმატიული დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს სამედიცინო პერსონალის რაოდენობას მომსახურების მიწოდების ადგილებში. განსაკუთრებით ხაზგასასმელია, რომ ასეთი დოკუმენტი არ არსებობს პენიტენციურ დაწესებულებასთან მიმართებაში. აქედან გამომდინარე, კვლავ გაურკვეველია თუ რას გულისხმობდა სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო ამ ინფორმაციის გავრცელებისას.

საქართველოს სახალხო დამცველის მიერ 2011 წლის პირველ და მეორე ნახევარში ჩატარებული გეგმური მონიტორინგების დროს, დეტალურად იქნა შესწავლილი ადამიანური რესურსების საკითხი პენიტენციურ ჯანდაცვაში, მათი გვარობა და გადანაწილება დაწესებულებების მიხედვით. აღნიშნულ საკითხს ყოველწლიურად დიდი მნიშვნელობა ეთმობა. ადამიანური რესურსების არსებობა წარმოადგენს ერთ-ერთ წინაპირობას, რომ სამედიცინო მომსახურების სახეები ფიზიკურად არსებობდეს და ეს უკანასკნელი მიეწოდოს ბენეფიციარებს. 2011 წლის განმავლობაში, ექიმთა და ექთანთა რაოდენობა მცირე ფარგლებში მერყეობდა, თუმცა წინა წლებთან შედარებით უფრო სტაბილური იყო.

საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა 2011 წლის 8 აგვისტოს წერილობით მიმართა სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტს (N756/03) და სხვა პუნქტებთან ერთად, მოსთხოვა წარმოედგინა საქართველოს პენიტენციური სისტემის დაწესებულებებში დასაქმებული სამედიცინო პერსონალის (ექიმები, ექთნები, ტექნიკური პერსონალი) სრული სია დაწესებულებების მიხედვით და ექიმის სპეციალობის მითითებით (რომელ დარგში ფლობს სახელმწიფო სერტიფიკატს); მიუხედავად ამისა, სახალხო დამცველის აპარატში საპასუხო წერილი არ შემოსულა. ხოლო 2011 წლის 6 სექტემბერს შემოსული ერთ-ერთი წერილით (N07-8504), რომელიც სულ სხვა საკითხებს ეხებოდა, სამედიცინო დეპარტამენტმა სახალხო დამცველის აპარატს აცნობა, რომ „შესაბამისი მასალისა და ინფორმაციის მოძიების შემდგომ პასუხი გეცნობებათ დამატებით“. მიუხედავად ამისა, სამედიცინო დეპარტამენტის მიერ აღნიშნული ინფორმაცია არ ყოფილა წარმოდგენილი, რაც უხეშად არღვევს საქართველოს ორგანულ კანონს „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“.

პრევენციის ეროვნული მქანიზმის მიერ, 2011 წლის ზაფხულში, ადგილზე ჩატარებული მონიტორინგის შედეგად დადგენილ იქნა, რომ პენიტენციურ სისტემაში დასაქმებულია სულ 177 ექიმი, 16 სტომატოლოგი, 168 ექთანი, 19 ფარმაცევტული განათლების მქონე პირი და 20 სხვა პროფილის სამედიცინო პერსონალი. რაც შეეხება წლის მეორე ნახევარს, შესაბამისი გეგმური მონიტორინგის ჩატარების დროს აღმოჩნდა, რომ სულ სისტემაში დასაქმებულია სულ 171 ექიმი, 16 სტომატოლოგი, 173 ექთანი, 18 ფარმაცევტული განათლების მქონე პირი, 8 სანიტარი და 13 სხვა პროფილის სამედიცინო პერსონალი.

როგორც ჩანს, წლის განმავლობაში სახეზეა სამედიცინო პერსონალის სამტატო სტაბილურობა.

აღნიშნული სპეციფიკა დაწესებულებების მიხედვით წლის პირველი და მეორე ნახევრების შესაბამისად შემდეგნაირად გამოიყურება:

2011 წლის პირველი ნახევარი:

№	დაწესებულების დასახელება	ექიმთა რაოდენობა	ექთანთა რაოდენობა	სტომატოლოგთა რაოდენობა	ფარმაცევტთა რაოდენობა	სხვა პერსონალი
1	№1 თბილისი	4	5	0.5*	1	0
2	№2 ქუთაისი	7	8	1	1	0
3	№3 ბათუმი	5	4	1	1	0
4	№4 ზუგდიდი	4	4	0.5	1	0
5	№5 რუსთავი	8	6	1	1	0
6	№6 რუსთავი	5	6	1	1	0
7	№7 თბილისი	2	2	0.5	0.5	0
8	№8 თბილისი	15	16	1	1	0
9	№9 თბილისი	4	6	1	1	0
10	№10 თბილისი	---	---	---	---	---
11	№11 თბილისი	3	4	1	1	0
12	№12 თბილისი	3	4	0.5	0.5	0
13	№13 ხონი	5	4	0.5	1	0
14	№14 გეგუთი	5	5	0.5	1	0
15	№15 ქსანი	8	7	0.5	1	0
16	№16 რუსთავი	8	7	1	1	0
17	№17 რუსთავი	8	11	2	1	0
18	№18 თბილისი	65	52	2	2	17
19	№19 ქსანი	18	17	0.5	2	3
	ს უ ლ:	177	168	16	19	20

2011 წლის მეორე ნახევარი:

№	დაწესებულების დასახელება	ექიმთა რაოდენობა	ექთანთა რაოდენობა	სტომატოლოგთა რაოდენობა	ფარმაცევტთა რაოდენობა	სხვა პერსონალი
1	№1 თბილისი	5	5	0.5 ⁵⁷⁰	1	0
2	№2 ქუთაისი	10	9	1	1	0
3	№3 ბათუმი	5	4	1	1	0
4	№4 ზუგდიდი	4	4	1	1	0
5	№5 რუსთავი	8	8	1	1	0

⁵⁷⁰ თბილისის N1 და N12-ს ემსახურება ერთი სტომატოლოგი

6	№6 რუსთავი	5	7	1	1	0
7	№7 თბილისი	2	3	0.33 ⁵⁷¹	0.5 ⁵⁷²	0
8	№8 თბილისი	15	17	1	1	0
9	№9 თბილისი	2	6	1	1	0
10	№10 თბილისი	---	---	---	---	---
11	№11 თბილისი	3	4	1	1	0
12	№12 თბილისი	3	4	0.5*	0.5**	0
13	№13 ხონი	–	–	–	–	–
14	№14 გეგუთი	8	7	1	1	0
15	№15 ქსანი	8	7	0.33***	1	0
16	№16 რუსთავი	7	7	1	1	0
17	№17 რუსთავი	7	10	2	1	0
18	№18 თბილისი	59	52	2	2	10
19	№19 ქსანი	20	19	0.33***	2	3
	ს უ ლ:	171	173	16	18	13

177 და 171 ექიმში(წლის ნახევრების მიხედვით) შეყვანილია ადგილობრივი მთავარი ექიმებიც, თუმცა მათგან 11 დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტია, ხოლო 7 მთავარ ექიმს კი, სახელმწიფო სერტიფიკატი, რომელიმე ამჟამად მოქმედ სპეციალობაში, არ გააჩნია. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ მაგალითად, წლის პირველ ნახევარში ჩატარებული მონიტორინგის მომენტისათვის 170 ექიმი ემსახურებოდა 24.261 თავისუფლება აღკვეთილ პირს. ამრიგად, მთელი საქართველოს მასშტაბით წლის პირველ ნახევარზე 1 ექიმზე მოდის 142.7 პაციენტი, ხოლო 1 ექთანზე დაახლოებით ამდენივე პაციენტი (144.4). მიუხედავად ამისა, ადგილებზე ექიმ-პაციენტთა თანაფარდობის მაჩვენებელი მკვეთრად განსხვავებულია და იქმნება ერთგვარი დისპროპორცია, რომელიც საკმაოდ ფართო ზღვრებში მერყეობს. აღნიშნული თანაფარდობა წარმოდგენილია ცხრილში.

№	დაწესებულების დასახელება	ექიმთა რაოდენობა		პაციენტთა რაოდენობა		თანაფარდობა ექიმი/პაციენტი	
		I ნახ	II ნახ	I ნახ	II ნახ	I ნახ	II ნახ
1	№1 თბილისი	4	5	1074	1329	268.5	265.8
2	№2 ქუთასი	7	10	1451	1450	207.3	145
3	№3 ბათუმი	5	5	652	531	130.4	106.2
4	№4 ზუგდიდი	3	4	378	338	130.4	84.5

⁵⁷¹ თბილისის N7, ქსნის N15 და ქსნის N19 ტუბს ემსახურება ერთი სტომატოლოგი

⁵⁷² თბილისის N7 და N12 ემსახურება ერთი ფარმაცევტი

5	№5 რუსთავი	8	8	1157	1174	144.6	146.75
6	№6 რუსთავი	4	5	1194	1246	298.5	249.2
7	№7 თბილისი	1	2	39	37	39	18.5
8	№8 თბილისი	15	15	3505	3408	233.6	227.2
9	№9 თბილისი	3	2	1044	1064	348	532
10	№10 თბილისი	---	---	---	---	---	---
11	№11 თბილისი	3	3	164	138	54.6	46
12	№12 თბილისი	3	3	796	849	265.3	283
13	№13 ხონი	4	—	73	—	18.25	—
14	№14 გეგუთი	4	8	2693	2693	673.25	336.63
15	№15 ქსანი	8	8	3271	3645	408.8	455.63
16	№16 რუსთავი	7	7	2560	2515	365.7	359.29
17	№17 რუსთავი	8	7	3168	2721	396	388.71
18	№18 თბილისი	65	59	218	222	3.35	3.76
19	№19 ქსანი	18	20	824	754	45.7	37.7
საქართველო ს უ ლ:		170	171	24.261	24.114	142.7	141.01

სპეციფიკა მოითხოვს, ცალკე განვიხილოთ ექიმ-პაციენტთა თანაფარდობა სასჯელაღსრულების სისტემის სამკურნალო დაწესებულებებში და ცალკე ვიმსჯელოთ სასჯელის მოხდის სხვა ადგილებში არსებულ თავისებურებებზე. როგორც ცხრილიდან ჩანს, მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში (N18) 1 ექიმზე მოდის 3.35-3.76 პაციენტი. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ N18 დაწესებულება, დადგენილი ლიმიტის ზემოთ მკვეთრად გადატვირთული (ნაცვლად 180 პაციენტისა, მასში 218/222 პირი იყო ჰოსპიტალიზებული), პაციენტთა ნორმალური შევსების პირობებში 1 ექიმის წილად 2,5 პაციენტი მოვა, რაც არაბუნებრივი მაჩვენებელია და შემდგომ მსჯელობას და განხილვას მოითხოვს. რაც შეეხება ტუბერკულოზით დაავადებულთა სამკურნალო დაწესებულებას, აქ ერთი ექიმის წილ საშუალოდ 42 პაციენტი მოდის. აღსანიშნავია, რომ ეს მაჩვენებელი დადგინდა მონიტორინგის დროს, მკვეთრი გადატვირთულობის ფონზე. პაციენტებით ნორმალურად შევსების პირობებში კი 1 ექიმზე დაწესებულებაში 30 პაციენტი მოვა.


რაც შეეხება სასჯელის მოხდის ადგილებს (მოქმედი დაწესებულებები), როგორც ქვემოთ მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, წლის პირველ ნახევარში 5 დაწესებულებაში, აღნიშნული მაჩვენებელი ჩამორჩება ქვეყნის საშუალო მაჩვენებელს.

№13 ხონი	18.25
№7 თბილისი	39
№11 თბილისი	54.6
№3 ბათუმი	130.4
№4 ზუგდიდი	130.4
✚	142.7

№5 რუსთავი	144.6
№2 ქუთასი	207.3
№8 თბილისი	233.6
№12 თბილისი	265.3
№1 თბილისი	268.5
№6 რუსთავი	298.5
№9 თბილისი	348
№16 რუსთავი	365.7
№17 რუსთავი	396
№15 ქსანი	408.8
№14 გეგუთი	673.25

11 დაწესებულებაში კი ექიმ-პაციენტთა თანაფარდობის მაჩვენებელი აღემატება საქართველოს საშუალო მაჩვენებელს. ცხრილის მიხედვით აშკარაა დისბალანსის მკვეთრი სურათი, კერძოდ, მაჩვენებლის მერყეობა 18-დან 673 შუალედში.

რაც შეეხება წლის მეორე ნახევარს,

N7 თბილისი	18.5
N11 თბილისი	46
№4 ზუგდიდი	84.5
№3 ბათუმი	106.2
	142.7
N2 ქუთაისი	145
№5 რუსთავი	146.74
N8 თბილისი	227.2
N6 რუსთავი	249.2
N1 თბილისი	265.8
N12 თბილისი	283
N14 გეგუთი	336.63
N16 რუსთავი	359.29
№17 რუსთავი	388.71
N15 ქსანი	455.63
N9 თბილისი	532

4 დაწესებულებაში, აღნიშნული მაჩვენებელი ჩამორჩება ქვეყნის საშუალო მაჩვენებელს. 11 დაწესებულებაში კი ექიმ-პაციენტთა თანაფარდობის მაჩვენებელი, ისევე როგორც პირველ ნახევარში, აღემატება საქართველოს საშუალო მაჩვენებელს. ცხრილების

მიხედვით ჩანს დისბალანსის მკვეთრი სურათი, კერძოდ, მაჩვენებლის მერყეობა 18-დან 532 შუალედში.

აღნიშნული კუთხით მდგომარეობის შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს იმ თვალსაზრისით, რომ სამომავლოდ განისაზღვროს სხვადასხვა ტიპის სასჯელალსრულების დაწესებულებებში მომუშავე ექიმთა და სხვა სამედიცინო პერსონალის ზღვრული დატვირთვა. ევროპის ქვეყანათა უმრავლესობაში, ექიმის ნორმირებული ყოველკვირეული დატვირთვა შეადგენს საშუალოდ 38-40 საათს 5 სამუშაო დღეზე გათვალისწინებით. European Working Time Directive-ის მიღებამ ცალკეულ სფეროებში მეტ-ნაკლებად მოაწესრიგა ზღვრული დატვირთვის ნორმები. ექიმებისთვის ეს განსაკუთრებით აქტუალური იყო. ვინაიდან ციხეები ექიმებისათვის წარმოადგენს “რისკის ზონას“, ამ მხრივ გათვალისწინებული უნდა იყოს ყველა ის ფაქტორი, რომელიც ამძიმებს ექიმის სამუშაო გარემოსა და პირობებს, ეროვნული ტენდენციების გათვალისწინებით. აქედან გამომდინარე, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ უნდა მოახდინოს საკითხის დეტალური შესწავლა, ანალიზი და ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობით დაადგინოს ეროვნული სტანდარტი, რომელიც შესაბამისობაში იქნება მოყვანილი მოწინავე ევროპულ პრაქტიკასთან.

მონიტორინგის მსვლელობისას პრევენციის ეროვნული მექანიზმი ასევე დაინტერესდა დაწესებულებებში არსებულ ექიმთა სპეციალობებით. „საექიმო სპეციალობათა, მომიჯნავე საექიმო სპეციალობათა და სუბსპეციალობების შესაბამისი სპეციალობების ნუსხის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 18 აპრილის №136/ნ ბრძანების შესაბამისად, საქართველოში ამჟამად 21 მოქმედი საექიმო სპეციალობაა. სწორედ აღნიშნული ნუსხის შესაბამისად მოვახდინეთ ექიმთა სპეციალობების კლასიფიცირება. (ჩამონათვალში არ შედის მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა N18 დაწესებულების 65 ექიმის სპეციალობათა სტრუქტურა). ჩვენს მიერ დადგენილი ექიმთა სპეციალობები, 2011 წლის პირველი ნახევრისათვის შემდეგნაირად გამოიყურება: სასჯელალსრულების სისტემაში (გარდა N18 დაწესებულებისა) დასაქმებულია 30 დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტი სპეციალობით „შინაგანი მედიცინა“, 12 ქირურგი, 17 ფტიზიატრი, 10 თერაპევტი, 3 კარდიოლოგი, 2 უროლოგი, 5 პედიატრი, 12 ზოგადი პროფილის ექიმი, 6 ნევროლოგი, 3 ოჯახის ექიმი, 1 გინეკოლოგი, 1 დერმატოვენეროლოგი, 1 პულმონოლოგი, 3 ექიმი-ლაბორანტი, 1 რადიოლოგი, 2 რენიმატოლოგი, 1 ონკოლოგი, 2 ინფექციონისტი.

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ, პენიტენციური სისტემის ექიმების გარკვეულ ნაწილს აქვს სახელმწიფო სერტიფიკატი სხვა სამედიცინო სპეციალობებში და სუბსპეციალობებში. აღნიშნულის გათვალისწინებით, ადგილებზე მუშაობენ ისეთი დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტები, რომელთაც სახელმწიფო სერტიფიკატში, გარდა ზემოთ ჩამოთვლილი სპეციალობებისა, განსაზღვრული აქვთ ონკოლოგია და ოტორინოლარინგოლოგია.

2011 წლიდან მიმდინარეობს ადგილობრივი ექიმების გადამზადება ოჯახის ექიმებად. ამ პროგრამის ფარგლებში რამდენიმე ექიმმა უკვე ჩააბარა სასერტიფიკაციო გამოცდა და მოიპოვა შესაბამისი სპეციალისტის სახელმწიფო სერტიფიკატი, ექიმთა მეორე ნაკადს კი, აღნიშნული გადამზადება წლის ბოლოსათვის უნდა დაესრულებინა. ამ პროცესის მიმართ სახალხო დამცველს აქვს საკმაოდ კრიტიკული და მნიშვნელოვანი შენიშვნები, რაც დეტალურად აღწერილი იქნება მოხსენების შესაბამის თავში.

როგორც ზემოთ წარმოდგენილი ცხრილიდან ჩანს, სასჯელადსრულების სისტემას, წლის პირველი ნახევარში სულ ემსახურებოდა 16 ექიმი სტომატოლოგი. 8 დაწესებულებაში მუდმივად მუშაობს თითო სტომატოლოგი. რუსთავის N17 და მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში დასაქმებულია ორ-ორი ექიმი სტომატოლოგი, ხოლო 8 დაწესებულებაში სტომატოლოგი მუშაობს არასრულ სტაჟზე. ხშირ შემთხვევაში, იგი ორ ან მეტ დაწესებულებას ემსახურება. აღნიშნულთან დაკავშირებით არსებობს კვირის განმავლობაში დაწესებულებაში სტომატოლოგის სამუშაო დღეები, რაც ადგილობრივი სამედიცინო ნაწილისათვის წინასწარაა ცნობილი და ამ განრიგით ხდება პაციენტთა მობილიზება სტომატოლოგიური დახმარების მისაღებად. წინა წლებისაგან განსხვავებით, როდესაც სტომატოლოგიური დახმარება შემთხვევათა დიდ უმრავლესობაში მხოლოდ დაზიანებული კბილის ექსტრაქციით შემოიფარგლებოდა, დღეისათვის სტომატოლოგიური დახმარების მოცულობა საკმაოდ გაფართოებულია. ქირურგიულ სტომატოლოგიასთან ერთად, ადგილობრივი სტომატოლოგები პაციენტებს სთავაზობენ თერაპიული სტომატოლოგიური დახმარების სერვისებსაც, რაც შესაძლებელი გახდა ყველა დაწესებულებაში ბოლო 2 წლის განმავლობაში სტომატოლოგიური კაბინეტების დამონტაჟების შემდეგ. გარდა ამისა, უკვე პროგრესულად იზრდება ორთოპედიული სტომატოლოგიური დახმარების კომპონენტიც, რაც უდავოდ მისასალმებელი ფაქტია. სტომატოლოგიას, როგორც საექიმო სპეციალობას აქვს მომიჯნავე სპეციალობები და ასევე სუბსპეციალობები. დღევანდელი მდგომარეობით, რაც განსაზღვრულია „საექიმო სპეციალობათა, მომიჯნავე საექიმო სპეციალობათა და სუბსპეციალობების შესაბამისი სპეციალობების ნუსხის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 18 აპრილის №136/ნ ბრძანებით, სტომატოლოგიის მომიჯნავე სპეციალობებად განიხილება: ყბა-სახის ქირურგია, ორთოდონტია, ორთოპედიული სტომატოლოგია, თერაპიული სტომატოლოგია, ქირურგიული სტომატოლოგია, ბავშვთა თერაპიული სტომატოლოგია და ბავშვთა ქირურგიული სტომატოლოგია. მონიტორინგის პროცესში დადგინდა, რომ პენიტენციურ დაწესებულებებში მომუშავე სტომატოლოგთა უმრავლესობას გააჩნია სახელმწიფო სერტიფიკატი „თერაპიულ სტომატოლოგიაში“ და ასევე „ქირურგიულ სტომატოლოგიაში“, რის საფუძველზეც შესაძლებელია პაციენტებს ჩაუტარდეთ პირის ღრუსა და კბილების დაავადებების როგორც თერაპიული (მაგალითად, დაბჟენვა), ასევე ქირურგიული მკურნალობა (მაგალითად, კბილის ექსტრაქცია).

რაც შეეხება ფარმაცევტული პროფილის პერსონალს, სასჯელადსრულების სისტემაში სულ 18 ასეთი პირია დასაქმებული. მათი საქმიანობის აღწერა და თავისებურებები განხილული იქნება მოხსენების შესაბამის თავში.

გარდა სამედიცინო (ექიმი და სტომატოლოგი), საექთნო და ფარმაცევტული პერსონალისა, სასჯელადსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სისტემის 2 დაწესებულებაში (სამკურნალო დაწესებულებები) ასევე დასაქმებულნი არიან ჯანდაცვის სხვა პროფესიონალებიც. კერძოდ: ტუბერკულოზით დაავადებულთა დაწესებულებაში (N19) ასევე მუშაობს 2 ლაბორანტი (არასამედიცინო განათლებით) და 1 სტატისტიკოსი. რაც შეეხება მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამკურნალო დაწესებულებას, მასში ტექნიკური და დამხმარე პერსონალის რიცხვი გაცილებით დიდია. დღეისათვის ადგილზე მუშაობს: 8 სანიტარი, 5 ლაბორანტი (არასამედიცინო განათლებით) და თითო-თითო პირი შემდეგ თანამდებობებზე: მასაჟისტი, სტატისტიკოსი, დიასახლისი, არქივარიუსი, და ფსიქოლოგი.

მონიტორინგის შედეგების ანალიზი ცხადყოფს, რომ სამედიცინო პერსონალის რაოდენობა წლის პირველი და მეორე ნახევრის განმავლობაში სტაბილურობით გამოირჩეოდა – წლის მეორე ნახევარშიც, ექიმთა პროფესიული მოღვაწეობის სფეროს მხრივ მსგავსი ტენდენციები შენარჩუნდა.

გარდა ძირითადი სამტატო განრიგით გათვალისწინებული სამედიცინო პერსონალისა, საქართველოს პენიტენციური სისტემის დაწესებულებებს ემსახურება აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ექიმ-კონსულტანტთა ჯგუფი. აღმოსავლეთ საქართველოს პენიტენციურ დაწესებულებათა უმრავლესობაში, ჯგუფის წევრთა ვიზიტები უფრო ინტენსიურია. ჯგუფის წევრები დაწესებულებაში ვიზიტს ახორციელებენ, როგორც არსებული გეგმით, ასევე ადგილობრივი სამედიცინო ნაწილებიდან შემოსული შეტყობინებების საფუძველზე. სპეციალისტი საშუალოდ 1 ან 2 ჯერ მიდის დაწესებულებაში თვის განმავლობაში, ზოგჯერ უფრო ხშირადაც. ზოგიერთ შემთხვევაში დაფიქსირდა ყოველკვირეული ვიზიტებიც, თუმცა, აღნიშნული პრაქტიკა სისტემურ ხასიათს არ ატარებს. აღსანიშნავია, რომ როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს თითქმის ყველა დაწესებულებაში, პერიოდულ ვიზიტებს ახორციელებენ ექოსკოპისტი და რენტგენ-ლაბორანტი. დასავლეთ საქართველოში ამ მხრივ მდგომარეობა გაუმჯობესდა. კერძოდ, გეგუთის დაწესებულებაში 2011 წლის გაზაფხულის ბოლოდან უკვე არსებობს პორტატული რენტგენის აპარატი, რომელიც პერიოდულად ქუთაისის N2 დაწესებულებაშიც გადააქვთ. ბათუმში ხელშეკრულება გაფორმდა სპეციალისტ ექოსკოპისტთან და რენტგენ ლაბორანტთან, რომლებიც ბათუმის დაწესებულების გარდა ემსახურება ასევე ზუგდიდის დაწესებულებასაც, რომელიც წარსულში ამგვარ სერვისს მოკლებული იყო.

დასავლეთ საქართველოს ექიმ კონსულტანტთა ჯგუფი 2011 წლის პირველ ნახევარში მოიცავდა 7 სპეციალისტს, რომელთაგანაც 4 სპეციალისტი ძირითადია, ხოლო დანარჩენ სამს კი მხოლოდ ერთეული კონსულტაციები აქვთ ჩატარებული. ქუთაისის

დაწესებულებაში ყოველთვიურად, სისტემატურად დადის ექიმი კარდიოლოგი, დერმატოვენეროლოგი, ფსიქიატრი, ოფთალმოლოგი და ნევროპათოლოგი; ბათუმის დაწესებულებაში მხოლოდ ფსიქიატრის ვიზიტებია სტაბილური. დანარჩენ შემთხვევებში კარდიოლოგის, დერმატოვენეროლოგის და უროლოგის მიერ 2011 წლის პირველ და მეორე ნახევარში ერთეული კონსულტაციებია ჩატარებული. ზუგდიდის დაწესებულებაში სტაბილურობით გამოირჩევა ასევე ექიმი ფსიქიატრი. მის გარდა წლის პირველ ნახევარში დაწესებულებაში ვიზიტები აქვს განხორციელებული ნევროპათოლოგს და უროლოგს, რომლებსაც ერთობლიობაში სულ 7 პაციენტის კონსულტაცია აქვთ ჩატარებული.⁵⁷³ რაც შეეხება გეგუთის N14 დაწესებულებას, ქუთაისის დაწესებულების მსგავსად აქაც 5 სპეციალობის ექიმი (იგივე სპეციალობები და იგივე ექიმები, რაც ქუთაისში) პერიოდულად და სტაბილურად დადიან პაციენტთა საკონსულტაციოდ. გარდა ამისა, ქუთაისში, ბათუმში და ზუგდიდში დამატებით ვიზიტი აქვს განხორციელებული ქირურგს (სულ 10 კონსულტაცია) და გინეკოლოგს (სულ 3 კონსულტაცია). დადებითად აღსანიშნავია, რომ 2011 წლის მეორე ნახევარში იმატა სხვადასხვა სპეციალობის კონსულტანტთა ვიზიტებმა ქუთაისის N2 დაწესებულებაში. აღნიშნული სტატისტიკა, წლის პირველი და მეორე საანგარიშო პერიოდების მიხედვით, დეტალურად გამოსახულია ცხრილში:

2011 წლის პირველი ნახევარი:

№	დასავლეთ საქართველო სპეციალობა	ჩატარებული კონსულტაციების რაოდენობა დაწესებულებათა მიხედვით					
		ქუთაისი N2	ბათუმი N3	ზუგდიდი N4	ხონი N13	გეგუთი N14	სულ
1	ნევროპათოლოგი	374	0	5	22	300	701
2	დერმატოვენეროლოგი	373	1	0	12	206	592
3	ოფთალმოლოგი	273	0	0	7	280	560
4	ფსიქიატრი	259	97	63	6	92	517
5	კარდიოლოგი	194	1	0	2	268	465
6	უროლოგი	0	2	2	0	0	4
7	ქირურგი	0	3	1	0	0	4
8	გინეკოლოგი	0	0	1	0	0	1
	კონსულტაციები	1473	104	72	49	1146	
	სულ:						
	ექოსკოპისტი	288	197	40	21	352	898
	რენტგენ ლაბორანტი	281	55	35	25	321	717
	გამოკვლევები	569	252	75	46	673	
	სულ:						

⁵⁷³ წლის მეორე ნახევარში ზუგდიდის დაწესებულებაში იგივე მონაცემები დაფიქსირდა, გარდა ერთი განსხვავებისა – აღნიშნულ პერიოდში ერთი ვიზიტი განხორციელა ოფთალმოლოგმა, რა დროსაც კონსულტაცია გაეწია ერთ პაციენტს.

2011 წლის მეორე ნახევარი:

№	დასავლეთ საქართველო სპეციალობა	ჩატარებული კონსულტაციების რაოდენობა დაწესებულებათა მიხედვით					
		ქუთაისი N2	ბათუმი N3	ზუგდიდი N4	ხონი N13	გეგუთი N14 ⁵⁷⁴	სულ
1	ნევროპათოლოგი	378	0	6	–	230	614
2	დერმატოვენეროლოგი	350	0	0	–	238	588
3	ოფთალმოლოგი	250	7	1	–	220	478
4	ფსიქიატრი	370	76	52	–	103	601
5	კარდიოლოგი	193	0	0	–	172	365
6	უროლოგი	0	1	1	–	0	2
7	ქირურგი	3	3	0	–	0	6
8	გინეკოლოგი	2	0	0	–	–	2
9	ენდოკრინოლოგი	6	0	0	–	–	6
10	ტრავმატოლოგი	6	0	0	–	–	6
11	ოტორინოლარინგოლოგი	15	0	0	–	–	15
12	ანგიოლოგი	2	2	0	–	–	4
13	ინფექციონისტი	8	0	0	–	–	8
14	პროქტოლოგი	2	4	0	–	–	6
15	რევმატოლოგი	1	0	0	–	–	1
16	ონკოქირურგი	1	0	0	–	–	1
	კონსულტაციები სულ:	1587	106	59	–	963	
	ექოსკოპისტი	254	176	31	–	221	682
	რენტგენ ლაბორანტი	308	40	39	–	365	752
	გამოკვლევები სულ:	562	216	70	–	586	

როგორც ცხრილიდან ჩანს, კონსულტანტთა მომსახურების მხრივ ყველაზე ნაყოფიერი მუშაობა ქუთაისის N2 დაწესებულებაში მიმდინარეობს. რაც შეეხება თავად კონსულტანტებს, ნევროპათოლოგი, დერმატოვენეროლოგი, ოფთალმოლოგი, ფსიქიატრი და კარდიოლოგი თვის განმავლობაში საშუალოდ 90-95 პაციენტს ნახულობენ, რაც მინიმუმ თვეში ოთხჯერად ვიზიტზეა გადანაწილებული, ანუ ერთი ვიზიტის დროს ახდენენ დაახლოებით 25 პაციენტის კონსულტირებას. აღნიშნული მაჩვენებელი ექიმთა საკმაოდ მაღალ დღიურ დატვირთვაზე მიუთითებს.

⁵⁷⁴ გეგუთის დაწესებულებაში არ არის სექტემბრის თვის მონაცემები (ვერ წარმოადგინეს), რაც შესაბამისად აისახება გრაფაზე „სულ“.

რაც შეეხება აღმოსავლეთ საქართველოს პენიტენციურ დაწესებულებებში, ამ მხრივ მდგომარეობა ბევრად უფრო მოწესრიგებულია და პატიმრები უფრო მეტი სპეციალობის ექიმისაგან იღებენ სამედიცინო მომსახურებას. კონსულტანტთა ვიზიტების რეგულარობა ციხეებში შედარებით უფრო მოწესრიგებულია და პერიოდულ და სისტემატიზებულ ხასიათს ატარებს, უფრო ფართო სპეციალიზაციის სპექტრის მოცვით. აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონში, მონიტორინგის ჯგუფის მიერ დაფიქსირდა 13 სპეციალობის ექიმთა რეგულარული და სისტემატიური ვიზიტები სხვადასხვა დაწესებულებებში. სულ კი აღმოსავლეთში განთავსებულ ყველა დაწესებულებაში, ვიზიტი ჩატარებული აქვს 25 სპეციალობის ექიმს. მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში ჩატარებულია ასევე ვიწრო სპეციალობის ექიმთა ვიზიტები, რომელთაგანაც აღსანიშნავია ნეიროფთიზიატრი (9 კონსულტაცია), ვერტებროფთიზიატრი (2 კონსულტაცია), ფტიზიატრი (18 კონსულტაცია), თორაკალისტი (21 კონსულტაცია), რითმოლოგი (2 კონსულტაცია) და პარაზიტოლოგი (3 კონსულტაცია). აღმოსავლეთ საქართველოს ექიმ კონსულტანტთა ჯგუფის სრული მუშაობის ამსახველი ინფორმაცია წლის პირველი და მეორე ნახევრის შესაბამისად, წარმოდგენილია შესაბამის ცხრილში:

2011 წლის პირველი ნახევარი:

№	აღმოსავლეთ საქართველო სპეციალობა	ჩატარებული კონსულტაციების რაოდენობა დაწესებულებათა მიხედვით													
		№1	№5	№6	№7	№8	№9	№11	№12	№15	№16	№17	№18	№19	სულ
1	დერმატოვენერ.	105	108	61	15	11	0	48	54	163	150	215	0	26	956
2	უროლოგი	72	52	59	6	25	1	19	44	88	98	67	0	36	567
3	ოფთალმოლ.	48	93	31	6	38	29	16	17	84	111	66	0	23	562
4	კარდიოლოგი	66	110	33	5	0	4	21	35	99	126	0	0	59	558
5	ფსიქიატრი	17	74	78	2	62	0	9	6	97	32	60	0	78	515
6	ოტორინოლარ.	61	36	9	14	26	0	42	30	62	19	71	0	44	414
7	ნევროპათოლ.	24	2	45	3	37	10	0	33	19	101	78	0	11	363
8	ენდოკრინოლ.	9	100	6	1	16	8	4	3	26	25	19	0	0	217
9	ანგიოლოგი	0	81	5	0	9	2	0	21	5	5	0	61	2	191
10	რევმატოლოგ	7	40	0	0	14	1	2	10	16	0	16	17	0	123
11	ნეიროქირურ.	0	16	0	0	1	0	0	0	0	0	0	26	0	43
12	ინფექც. დაავ.	10	2	0	11	2	0	9	0	3	0	5	0	0	42
13	ყბა-სახის ქირ.	0	1	0	1	8	0	0	0	0	0	6	25	0	41
14	ჰემატოლოგი	0	1	0	0	0	0	0	0	0	0	0	23	0	24
15	ონკოლოგი	0	0	0	1	0	0	0	0	0	0	0	18	0	19
16	ალერგოლოგი	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	5	2	7
17	ჰეპატოლოგი	0	2	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	2
18	ტრავმატოლ.	0	0	0	1	0	0	0	0	0	0	0	0	0	1
19	ნარკოლოგი	1	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	1

კონსულტაციები სულ:	420	718	327	66	249	55	170	253	662	667	603	175	281	
ექსკოპისტი	102	199	106	5	86	25	8	52	245	302	316	1063	101	2610
რენტგენ ლაბ.	140	213	230	7	185	3	6	96	348	244	390	1961	1642	5465
გამოკვლევები სულ:	242	412	336	12	271	28	14	148	593	546	706	3024	1743	

2011 წლის მეორე ნახევარი:

№	ადმოსავლეთ საქართველო სპეციალობა	ჩატარებული კონსულტაციების რაოდენობა დაწესებულებათა მიხედვით													სულ
		№1	№5	№6	№7	№8	№9	№11	№12	№15	№16	№17	№18	№19	
1	დერმატოვენერ.	112	109	45	9	0	72	44	53	98	108	61	0	46	757
2	უროლოგი	44	46	39	7	23	19	10	22	98	99	40	0	38	485
3	ოფთალმოლ.	16	56	54	2	48	38	15	39	85	86	33	0	5	477
4	კარდიოლოგი	35	115	0	5	0	36	6	39	127	46	0	0	80	489
5	ფსიქიატრი	17	55	143	1	76	17	16	45	54	24	59	0	194	701
6	ოტორინოლარ.	39	12	41	7	21	37	28	45	95	60	50	0	45	480
7	ნევროპათოლ.	30	1	72	4	67	33	0	18	0	55	77	2	47	406
8	ენდოკრინოლ.	6	77	4	0	29	22	0	0	25	30	4	0	0	197
9	ანგიოლოგი	18	28	0	1	3	15	0	9	16	0	0	30	5	125
10	რევმატოლოგ	2	28	4	0	0	7	4	6	25	0	4	3	0	83
11	ნეიროქირურ.	0	24	0	0	4	2	0	2	9	0	0	17	0	58
12	ინფექც. დაავ.	3	5	17	2	0	4	31	5	3	0	0	0	0	70
13	ყბა-სახის ქირ.	0	0	0	0	33	0	0	2	0	0	0	38	0	73
14	ჰემატოლოგი	0	1	0	0	0	0	0	0	0	0	0	24	0	25
15	ონკოლოგი	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
16	ალერგოლოგი	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
17	ჰეპატოლოგი	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
18	ტრავმატოლ.	0	0	0	1	0	0	0	0	0	0	0	0	0	1
19	ნარკოლოგი	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
20	თავ-კისრის	0	2	0	0	0	0	0	0	0	0	0	3	0	5
21	ფტიზიატრი	0	8	0	0	0	0	2	0	0	0	0	34	0	44
22	ნეფროლოგი	0	0	1	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	1
23	თორაკოქირურგი	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	25	0	25
კონსულტაციები სულ:	322	567	420	39	304	302	156	285	635	508	328	176	460		
ექსკოპისტი	40	243	108	8	42	95	4	95	144	181	250	900	74	2184	

რენტგენ ლაბ.	168	127	213	5	164	19	16	27	337	227	237	1808	1563	4911
გამოკვლევები სულ:	208	370	321	13	206	114	20	122	481	408	487	2708	1637	

როგორც ცხრილიდან ირკვევა, კონსულტაციების მაქსიმალური რაოდენობა ჩატარებული აქვს ექიმ დერმატოვენეროლოგს (956/757 პაციენტის კონსულტაცია). ასევე ხშირია უროლოგის და ოფთალმოლოგის ვიზიტები, როგორც წლის პირველ, ისე მეორე ნახევარში. რაც შეეხება კონსულტანტთა ვიზიტების პერიოდულობას, მინიმუმ თვეში 4-ჯერ დაწესებულებებში დადის 10 ექიმი სპეციალისტი (იხილეთ ცხრილში №№1-10), რომლებიც თვეში საშუალოდ 445 პაციენტის კონსულტირებას ახდენს. ზოგიერთ დარგში (მაგალითად ფსიქიატრია) კონსულტანტთა რაოდენობა ერთზე მეტია, ამის გათალისწინების მიუხედავად, არსებული დატვირთვა ექიმებისათვის მაინც მაღალ მაჩვენებლად უნდა შეფასდეს. განსაკუთრებით ამ მხრივ უნდა გამოვყოთ ფსიქიატრი, რომელიც პაციენტის პირველად გამოკვლევას და კონსულტაციის ჩატარებას, საშუალოდ ყველაზე მეტ დროს უნდა უთმობდეს. მოცემულ სტატისტიკაში არ არის დიფერენცირებული ფსიქიატრის კონსულტაცია პირველადია თუ განმეორებითი, რის გამოც უფრო კონკრეტულ დეტალებზე მსჯელობა ამ ეტაპზე შეუძლებელია და საკითხი უფრო მეტ ჩაღრმავებულ შესწავლას მოითხოვს.

როგორც წარმოდგენილი სტატისტიკიდან ჩანს, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს პერსპექტივაში, პაციენტთათვის მიწოდებული სამედიცინო დახმარების სახეები არ არის ეკვივალენტური. კერძოდ, აღმოსავლეთის რეგიონში ხელმისაწვდომია 5-ჯერ უფრო მეტი პროფილის ექიმის მომსახურება. ამასთან ექიმ კონსულტანტთა ვიზიტები უფრო მეტად პერიოდული და სისტემატიზებულია. საქართველოს სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ არსებული რესურსების სამართლიანი და პროპორციული გადანაწილება ხელს შეუწყობს პენიტენციური ჯანდაცვის სისტემაში უფლებრივი დარღვევების შემცირებას.

საქართველოს პენიტენციური სისტემის დაწესებულებებში მომუშავე სამედიცინო პერსონალი დადგენილი გრაფიკის მიხედვით მორიგეობს ღამის და არასამუშაო საათებში. სახალხო დამცველის გასული წლის ანგარიშებში აღწერილი იყო ამ საკითხთან დაკავშირებული დეტალები და არსებული პრაქტიკა. კერძოდ, რამდენიმე დაწესებულებაში, ღამის საათებში ექიმის მომსახურება ხელმიუწვდომელია. გარდა ამისა, პირველადი ჯანდაცვის პილოტური პროგრამის დაწყებასთან ერთად, რუსთავის N6 დაწესებულების მთავარი ექიმის განცხადებით, მათთან ექიმთა ღამის მორიგეობა შეწყდა და მიეცათ მითითება საჭიროების შემთხვევაში მათ გამოიძახონ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადა. ექიმთა და ექთანთა მორიგეობების თავისებურებები წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

№	დაწესებულებს დასახელება	მორიგე ექიმის არსებობა		მორიგე ექთანის არსებობა	
		I ნახ	II ნახ	I ნახ	II ნახ
1	№1 დაწესებულება	1	1	1	1
2	№2 დაწესებულება	1	1	2	2
3	№3 დაწესებულება	1	1	1	1
4	№4 დაწესებულება	1	1	1	1
5	№5 დაწესებულება	1	1	2	1
6	№6 დაწესებულება	0	0	1	1
7	№7 დაწესებულება	0	0	1	1
8	№8 დაწესებულება	1	1	1	1
9	№9 დაწესებულება	1	1	1	1
10	№11 დაწესებულება	1	1	1	1
11	№12 დაწესებულება	0	0	1	1
12	№13 დაწესებულება	1	–	1	–
13	№14 დაწესებულება	1	1	1	1
14	№15 დაწესებულება	1	1	1	1
15	№16 დაწესებულება	1	1	1	2
16	№17 დაწესებულება	1	1	2	2
17	№18 დაწესებულება	3	3	6	8
18	№19 დაწესებულება	1	1	2	2
ს უ ლ:		17	16	27	28

როგორც ცხრილიდან ნათლად ჩანს, ღამით და არასამუშაო საათებში, საქართველოს პენიტენციური სისტემის დაწესებულებებში რჩება 17/16 ექიმი და 27/28 ექთანი. ექიმები ღამით არ მორიგეობენ N6, N7 და N12 დაწესებულებებში.

გარდა სამედიცინო პერსონალის მორიგეობისა, მონიტორინგის ჯგუფი დაინტერესდა ექიმთა მიერ უწყვეტი პროფესიული განათლებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების სისტემაში მონაწილეობით, რაც უზღუნველყოფს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტის კვალიფიკაციის მუდმივ განახლებას. ამ მხრივ, ისევე როგორც გასულ წელს, აღსანიშნავია, რომ არცერთ ექიმს მონაწილეობა არ მიუღია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭოს მიერ აკრედიტებულ რომელიმე უსგ/უპგ პროგრამაში. სხვა ტრენინგებთან დაკავშირებით კი მდგომარეობა საქართველოს მასშტაბით არაერთგვაროვანია. ყველა დაწესებულების რამდენიმე ექიმმა და/ან ექთანმა გაიარა ფსიქიკური ჯანმრთელობის საკითხისადმი მიძღვნილი ტრენინგი, ზოგიერთმა – შიდსთან დაკავშირებული ტრენინგიც. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ ექიმთა უმრავლესობა ვერ იხსენებს რა ერქვა ტრენინგს, რა საკითხებს ეძღვნებოდა იგი და რა მიზნით ან ვის მიერ იყო მოწყობილი. ამ საკითხთან დაკავშირებით საუკეთესო შემთხვევაში ექიმები განმარტავდნენ, რომ ტრენინგს ერქვა: „ფსიქიატრიის ტრენინგი“.

„სუიციდის პრევენციის და ფსიქოდაავადებების ტრენინგი“, „ფსიქიკური ჯანმრთელობის ტრენინგი“, „ფსიქიკური დაავადებების მართვის ტრენინგი“, „ფსიქოტრენინგი“, „წამების ტრენინგი“ და ა.შ. ზოგიერთი ექიმი, ტრენინგში მონაწილეობას იხსენებს მხოლოდ მისი ჩატარების ადგილის მიხედვით. კვალიფიკაციის ამაღლების საკითხებისადმი ამგვარი მიდგომა, მით უფრო სასჯელაღსრულების სისტემის ექიმთა მხრიდან ნეგატიურ გავლენას ახდენს ექიმთა და ექთნების საქმიანობაზე და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია სამედიცინო მომსახურების ხარისხზე. გარდა ამ ორი ტრენინგისა, ზოგიერთ დაწესებულებაში განგვიცხადეს, რომ მათი მედპერსონალი ასევე მონაწილეობდა ინფექციური დაავადებების სპეციფიკისადმი მიძღვნილ ტრენინგში (N2 დაწესებულება), DOTS პროგრამის ორგანიზაციულ საკითხებთან დაკავშირებულ ტრენინგში (N19 და N18 დაწესებულების ექიმები და ექთნები).

პრევენციის ეროვნული მექანიზმი დაინტერესდა ასევე სასჯელაღსრულების დაწესებულებაში სამოქალაქო სექტორიდან, პაციენტის მიერ არჩეული ექიმის შემოყვანის საკითხებით. როგორც გაირკვა, ამ საკითხის გადაწყვეტაში მთავარ ექიმებს განსხვავებული ინსტრუქტაჟი და პრაქტიკა აქვთ. ზოგიერთი დაწესებულების მთავარი ექიმი განმარტავს, რომ აღნიშნული საკითხი ადგილზე წყდება. ზოგიერთი მიგვითითებს, რომ ამის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ სამედიცინო დეპარტამენტი. ნებისმიერ შემთხვევაში, ექიმმა უნდა წარმოადგინოს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის და პირადობის მოწმობის ასლი. აღსანიშნავია, რომ გარედან ექიმთა შეყვანის საკითხის გადაწყვეტა ხშირად გახანგრძლივებულ პროცედურებს უკავშირდება, რაც ხშირ შემთხვევაში სამედიცინო მომსახურების ხარისხზე პირდაპირ აისახება და მას ნაკლებად ეფექტურს ხდის. 2011 წლის პირველ ნახევარში სასჯელაღსრულების სისტემის N1, N3, N4, N7 დაწესებულებაში კატეგორიულად განგვიცხადეს, რომ გარედან ექიმის შემოყვანის არანაირი საჭიროება არ არსებობს და საკითხი არც ყოფილა განხილული. N9, N11, N13 და N14 დაწესებულებებში განგვიმარტეს, რომ ამგვარი პრაქტიკა მათ წარსულში ჰქონიათ, თუმცა საანგარიშო პერიოდში პაციენტის მხრიდან ასეთი მოთხოვნა დაყენებული არ ყოფილა. წერილობითი მომართვის საფუძველზე, ისინი იმოქმედებენ არსებული პრაქტიკის მიხედვით. რაც შეეხება სხვა დაწესებულებებს, ყველაზე ხშირად ექიმთა შეყვანა სამოქალაქო სექტორიდან დაფიქსირებულია ქუთაისის N2, თბილისის 12 და გეგუთის N14 დაწესებულებებში. 2011 წლის მეორე ნახევრის მონიტორინგის დროს მთავარი ექიმები, როგორც წესი, აღნიშნავენ, რომ პაციენტის მოთხოვნის შემთხვევაში პირადი ექიმის დაწესებულებაში დაშვების პრობლემა არ არსებობდა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ან დაწესებულების ადმინისტრაციის მხრიდან უარის შემთხვევა არ ყოფილა. მიუხედავად ამისა, საკუთარი ექიმის შემოყვანის სტატისტიკა არცერთ დაწესებულებაში არ მოიძებნა. ექიმების თქმით, ეს მონაცემები შერეული იყო ექიმ-კონსულტანტთა საერთო ვიზიტებში. მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამკურნალო დაწესებულების მთავარმა ექიმმა განგვიმარტა, რომ ამგვარი შემთხვევები ხშირია მათ დაწესებულებაში, თუმცა ამის სტატისტიკა ან რაიმე დამადასტურებელი დოკუმენტი ან ინფორმაცია ვერ წარმოგვიდგინა.

საქართველოს სახალხო დამცველი, ბოლო წლებია ყურადღებით ადევნებს თვალყურს, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს მიერ პენიტენციური ჯანდაცვის სხვადასხვა სფეროების შემოწმების და გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრის საკითხებს. საქართველოს სახალხო დამცველმა არაერთგზის მიმართა სააგენტოს შეესწავლა კონკრეტული მსჯავრდებულისათვის გაწეული სამედიცინო მომსახურების საკითხები და მისი კომპეტენციის ფარგლებში მოეხდინა რეაგირება. აღნიშნული ინფორმაცია ყოველწლიურად აისახება სახალხო დამცველის საპარლამენტო და სპეციალურ ანგარიშებში. ამ მიზნით, 2011 წლის 8 აგვისტოს, საქართველოს სახალხო დამცველმა წერილობით მიმართა (N755/03) სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტს და მოითხოვა ინფორმაცია სამინისტროში, სამედიცინო მომსახურების ხარისხის მონიტორინგის მიზნით შექმნილი კონტროლის ჯგუფის პერსონალური შემადგენლობის, ასევე, ჯგუფის მიერ ჩატარებული საქმიანობის ამსახველი ანგარიშებისა და იმის შესახებ, თუ რა დადებითი და უარყოფითი ტენდენციები დაფიქსირდა სისტემაში ამ კუთხით 2011 წლის პირველი 6 თვის განმავლობაში და რა სახის ღონისძიებების გატარება იქნა რეკომენდებული; გარდა ამისა სახალხო დამცველი დაინტერესდა იმ ინფორმაციით, რომელიც საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ინტერნეტ გვერდზე გავრცელდა და რომლის მიხედვითაც „საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს „შესაბამისი უფლებამოსილი სამსახურები“ ახდენენ პენიტენციურ სისტემაში სამედიცინო მომსახურების ხარისხის მონიტორინგს. ამასთან დაკავშირებით, სახალხო დამცველმა სამედიცინო დეპარტამენტის უფროსს მოსთხოვა იმ ინფორმაციის მოწოდება, რომელიც ასახავს დეტალებს თუ რომელი სამსახურები და რა პრინციპით ახორციელებენ აღნიშნულ საქმიანობას (გეგმური და არაგეგმური ვიზიტები და ა.შ.), რა სახის რეკომენდაციები იქნა გაცემული აღნიშნული სამსახურის მიერ პენიტენციური ჯანდაცვის სისტემის მიმართ და როგორია აღნიშნული რეკომენდაციების შესრულების სტატისტიკა და დინამიკა; სახალხო დამცველი ასევე დაინტერესდა ინფორმაციით, 2011 წლის 1 იანვრიდან 1 ივლისამდე დამდგარა თუ არა პროფესიული პასუხისმგებლობის საკითხი სასჯელაღსრულების სისტემაში დასაქმებული ექიმების მიმართ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს მიერ, რა სახის პასუხისმგებლობა იქნა დასმული და რა ქმედითი ღონისძიებები გატარდა აღნიშნული ხარვეზების აღმოსაფხვრელად.

2011 წლის 06 სექტემბერს, სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტიდან შემოსული საპასუხო წერილით (N07-8540) გვეცნობა, რომ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2011 წლის 20 აპრილის N73 ბრძანების შესაბამისად შეიქმნა გენერალური ინსპექციის და სამედიცინო დეპარტამენტის ერთობლივი შემოწმების ჯგუფი ნიკოლოზ მეგრელიშვილის, გიორგი ფრუიძის, ბადრი ბალავაძის, რევაზ დაფქვიაშვილის, შოთა გელაშვილის და გივი მიქანაძის შემადგენლობით. შემოწმების ჯგუფს დაევალა პენიტენციური სისტემის

დაწესებულებების სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობის, სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების, მედიკამენტებისა და სამედიცინო სახარჯი მასალის ბრუნვა, ხარჯვისა და აღრიცხვის, ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა კვებისა და სამედიცინო პერსონალის სამსახურებრივი დისციპლინის შესწავლა. 2011 წლის 26 აპრილიდან 12 მაისის ჩათვლით, ჯგუფის მიერ, აღნიშნული საკითხები შესწავლილი იქნა სისტემის ყველა დაწესებულებაში. შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ „სასჯელაღსრულების ყველა დაწესებულებაში გაუმჯობესებულია სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების ხარისხი. მედიკამენტებისა და სხვა სახარჯი მასალების მიღება, გაცემა და აღრიცხვა ხდება მკაცრად კანონით დადგენილი წესის მიხედვით. რიგ დაწესებულებებში, მიუხედავად იმისა, რომ პატიმრებს ჩატარებული აქვთ სათანადო გამოკვლევები, ექიმ-სპეციალისტთა კონსულტაციები, დანიშნული აქვთ და უტარდებათ დაავადების ადეკვატური მკურნალობა, დაწესებულების ექიმების მიერ სამედიცინო ბარათებში სრულყოფილად არ ხდება დინამიკაში ავადმყოფების ზოგადი მდგომარეობისა და მათ მიმართ გაწეული სამედიცინო დახმარების დაფიქსირება. გამოვლინდა ერთეული შემთხვევები, როდესაც ექიმების მიერ არასრულფასოვნად იყო შევსებული სამედიცინო ბარათის ტუბერკულოზზე გამოკვლევის კითხვარი. შემოწმების პროცესში დაწესებულებების სამედიცინო პუნქტების მთავარ ექიმებს მიეთითათ არსებული ხარვეზების შესახებ და მიეცათ ვადა ნაკლოვანებების გამოსასწორებლად. თუ ამ პერიოდის განმავლობაში მათ მიერ ამ მიმართებით არ იქნება გატარებული შესაბამისი ღონისძიებები, სამინისტროს ხელმძღვანელობის მიერ გატარდება კანონით დადგენილი ადმინისტრაციული ზომები“. როგორც საპასუხო წერილიდან ჩანს, ჩატარებულმა „შემოწმებამ“ პრაქტიკულად უმნიშვნელო შედეგები მოიტანა. ყურადღება გამახვილდა მეათეხარისხოვან საკითხებზე, როდესაც გადაუჭრელია ძირითადი პრობლემები. გაურკვეველია ასევე ჯგუფის ყველა წევრის კომპეტენცია სამედიცინო საკითხების შესწავლის თვალსაზრისით, რა პრინციპითა და მეთოდოლოგიით ახდენდნენ საქმიანობას ან რა სახის და მოცულობის დაშვება ჰქონდათ პაციენტის კონფიდენციალური ინფორმაციის შემცველ დოკუმენტაციასთან.

რაც შეეხება სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს მიერ ჩატარებულ შესწავლებს, სამედიცინო დეპარტამენტის უფროსმა გვაცნობა, რომ „პენიტენციურ სისტემაში სამედიცინო მომსახურების მონიტორინგს აწარმოებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო, რომლის წარმომადგენლებიც სამართალდამცავი ორგანოების, საქართველოს სახალხო დამცველის, მოქალაქეების მომართვის საფუძველზე შეისწავლიან რა სამედიცინო დოკუმენტაციას და სათანადო პროფილის ექიმ-სპეციალისტთა დასკვნას არსებულ გარემოებებთან დაკავშირებით, განსაზღვრავენ პენიტენციურ სისტემაში ბრალდებულთა/მსჯავრდებულთათვის გაწეული სამედიცინო დახმარების ხარისხსა და მოცულობას. არაადეკვატური სამედიცინო დახმარების გაწევის შემთხვევაში, სააგენტო უფლებამოსილია სამედიცინო პერსონალის მიმართ გაატაროს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ადმინისტრაციული ზომები ან დააყენოს მათი სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი“. როგორც პასუხიდან ჩანს, სამედიცინო

დეპარტამენტი სრულყოფილად ვერ ერკვევა საექიმო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს ფუნქციებში და ასევე ექიმთა პროფესიული პასუხისმგებლობის (და არა ადმინისტრაციული და სამართლებრივი) სფეროში, რაც გათვალისწინებულია საქართველოს კანონის „საექიმო საქმიანობის შესახებ“ შესაბამისი თავით. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ექიმის პროფესიული პასუხისმგებლობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს არა სააგენტო, არამედ „პროფესიული განვითარების საბჭო“, რომელიც შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის თავმჯდომარეობით პერიოდულად იკრიბება. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ სააგენტოს მიერ საკითხის შესწავლა შემთხვევათა დიდ უმრავლესობაში, სწორედ საქართველოს სახალხო დამცველის მიმართვის შედეგად არის ინიცირებული. სამედიცინო დეპარტამენტი გვაცნობებს, რომ სააგენტოს მიერ შესწავლილ იქნა 24 საქმე, რომელთაგანაც ერთ შემთხვევაში N18 დაწესებულების ექიმს გამოეცხადა წერილობითი გაფრთხილება, 10 საქმეზე კი გადაიგზავნა სხვადასხვა პროფილის დარგობრივ ასოციაციაში. სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოდან, სახალხო დამცველის სახელზე შემოსულ საპასუხო წერილებში სიტუაცია უფრო რთული და დამაფიქრებელია. მოწოდებული ინფორმაციით, არაერთხელ იქნა დასმული საკითხი ექიმისთვის სახელმწიფო სერტიფიკატის მოქმედების შეჩერების და წერილობითი გაფრთხილებების მიცემის თაობაზე. გარდა ამისა, რეგულირების სააგენტო პერიოდულად უზღავნის რეკომენდაციებს და ინფორმაციას სამედიცინო დეპარტამენტს და სთხოვს წარმოადგინოს ინფორმაცია რეაგირების შესახებ, რაზედ დეპარტამენტი მხოლოდ წერილის სხვა ადრესატთან გადამისამართებით და ინფორმაციის ცნობად მიღებით შემოიფარგლება. სააგენტოს არასდროს არ უცნობებია დეპარტამენტის პასუხი იმის თაობაზე, თუ როგორი რეაგირება და ზომები იქნა მიღებული სამედიცინო დეპარტამენტის მიერ არსებული ხარვეზებისა და ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად.

მოგვყავს ერთ-ერთი ბოლო შემთხვევა მაგალითის სახით, რომელიც გამონაკლისად უნდა ჩაითვალოს იმ მხრივ, რომ სააგენტოს მიერ მიწოდებულ ინფორმაციას მოჰყვა რეაგირება.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოდან, 2011 წლის 21 სექტემბერს შემოსული წერილის (N02/39527) მიხედვით, სააგენტოს უფროსმა სახალხო დამცველს აცნობა, რომ „სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს მიერ შესწავლილ იქნა, თქვენს წერილში (11.07.2011 N2697/03-4/0430-11) მოყვანილი ფაქტები, კერძოდ, საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N2 პატიმრობისა და დახურული თავისუფლების აღკვეთის შერეული ტიპის დაწესებულების სამედიცინო სამსახურში აწ გარდაცვლილი მსჯავრდებულ ა.დ.-სათვის გაწეული სამედიცინო დახმარების ხარისხი. სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს მიერ, შესწავლის შედეგები სათანადო რეაგირებისათვის გადაეგზავნა (01.09.11.წ.) საქართველოს სასჯელაღსრულების პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტს.

13.09.11.წ. სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოში შემოვიდა საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის უფროსის, დავით ასათიანის წერილი (09.09.11.წ. N07-8693), აწ გარდაცვლილ მსჯავრდებულ ა.დ.-ს მკურნალობის პროცესში მონაწილე მედპერსონალის (N2 პატიმრობისა და დახურული თავისუფლების აღკვეთის შერეული ტიპის დაწესებულების სამედიცინო სამსახურის ექიმები: ნ. ყურაშვილი, რ. ბეშქენაშვილი და მ. ნიკოლაიშვილი), სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ“. რაც შეეხება პროფესიული განვითარების საბჭოს გადაწყვეტილებას ზემოთ აღნიშნულ ექიმთა პროფესიული პასუხისმგებლობის საკითხის განხილვის შესახებ, გვეცნობება დამატებით.

„ოჯახის ექიმები“ საქართველოს პენიტენციური სისტემის დაწესებულებებში:

უკანასკნელი წლების განმავლობაში, სულ უფრო და უფრო აქტიურად მიმდინარეობს საუბარი, პენიტენციურ სისტემაში პირველადი ჯანდაცვის რეფორმის პილოტირების და შემდგომ ამ მოდელის მთელ სისტემაზე გავრცობის შესახებ. აღნიშნული სისტემის ცენტრალური კომპონენტია „საოჯახო მედიცინის“ სისტემაზე გადასვლა და ციხეში „ოჯახის ექიმისა და ექთნის“ კომპეტენციების შემოტანა და დამკვიდრება. ამ მიზნით, 2011 წლიდან აქტიურად მიმდინარეობს პენიტენციური სისტემის ექიმთა და ექთანთა „საოჯახო მედიცინის“ სპეციალობით გადამზადება. პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ განხორციელებული მონიტორინგის დროს დეტალურად იქნა შესწავლილი ექიმთა და ექთანთა გადამზადების სისტემა და ის რეალობები, რომელიც ამჟამად არის დამკვიდრებული ამ მხრივ. 2011 წლის მონაცემები წარმოდგენილია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში:

№	დაწესებულების დასახელება	გადამზადებამდე არსებულ სპეციალისტთა რაოდენობა	გადამზადება დასრულებულია		გადამზადება მიმდინარეობს		შენიშვნა
			ექიმი	ექთანი	ექიმი	ექთანი	
1	№1 დაწესებულება	0	0	1	1	0	
2	№2 დაწესებულება	1	2	4	1	0	1 ექიმი წავიდა
3	№3 დაწესებულება	1	1	0	0	0	
4	№4 დაწესებულება	1	0	0	0	0	
5	№5 დაწესებულება	0	2	2	0	0	
6	№6 დაწესებულება	0	3	5	0	0	1 ექთანი წავიდა
7	№7 დაწესებულება	0	1	2	0	0	
8	№8 დაწესებულება	1	6	4	0	0	2 ექთანი წავიდა
9	№9 დაწესებულება	0	0	2	0	0	
10	№11 დაწესებულება	0	1	1	0	0	
11	№12 დაწესებულება	0	1	1	0	0	
12	№13 დაწესებულება	-	-	-	0	0	
13	№14 დაწესებულება	1	1	0	0	0	
14	№15 დაწესებულება	1	2	1	0	0	
15	№16 დაწესებულება	1	3	3	0	0	

16	№17 დაწესებულება	0	1	1	0	0	
17	№18 დაწესებულება	1	0	0	0	0	არ საჭიროებენ
18	№19 დაწესებულება	0	0	0	0	0	არ საჭიროებენ
ს უ ლ:		8	24	9	2	0	

როგორც ცხრილიდან ჩანს, პენიტენციური სისტემის ჯანდაცვის სტრუქტურებში, „ოჯახის ექიმის გადამზადების პროცესის“ დაწყებამდე სულ დასაქმებული იყო 8 დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტი, სპეციალობით „საოჯახო მედიცინა“. მათგან გარკვეულ ნაწილს ასევე ჰქონდა სახელმწიფო სერტიფიკატი სხვა სპეციალობაშიც (ძირითად ნაწილს შინაგან მედიცინაში). რაც შეეხება საექიმო სპეციალობას „საოჯახო მედიცინა“, ასეთი სპეციალისტი სისტემაში საერთოდ არ მოშობდა. გადამზადების პროცესი დაიგეგმა ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე უპირველეს ყოვლისა გადამზადდნენ საპილოტე დაწესებულების (N6 და N8 დაწესებულებები) ექიმები, ხოლო შემდგომ ეტაპზე – უპირატესად სხვა დაწესებულების ექიმები. პარალელურად, გადამზადების პროცესი დაიწყო დასავლეთ საქართველოშიც. როგორც მონიტორინგის დროს ჩატარებულმა შესწავლამ აჩვენა, გადამზადების პროცესი უკვე დაასრულა, სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდა ჩააბარა და სახელმწიფო სერტიფიკატი სპეციალობაში „საოჯახო მედიცინა“ უკვე მიიღო 24-მა ექიმმა. პარალელურად 9 ექიმის მომზადება უკვე დასრულებულია და ექთნებიც მუშაობენ ახალი სპეციალობით. მეორე ნახევრის მონიტორინგის დროს გადამზადების პროცესში იყო მხოლოდ 2 ექიმი. მონიტორინგის დროს განხორციელებული შესწავლით აღმოჩნდა, რომ ზოგიერთ დაწესებულებაში, უკვე გადამზადებული ექიმები და ექთნები აღარ მუშაობენ მათი სამსახურიდან წასვლის გამო; ასევე სამსახურში მიიღეს ახალი პერსონალი, რომელსაც აღნიშნული სპეციალობა აქვს; ანუ მიუხედავად დროის მცირე შუალედისა, სახეზეა სამედიცინო პერსონალის მიგრაცია.

ვინაიდან ოჯახის ექიმთა და ექთანთა გადამზადების საკითხი საქართველოს პენიტენციური სისტემისათვის ახალი ტენდენციაა, მონიტორინგის ჯგუფი მაქსიმალურად შეეცადა შეხვედროდა ყველა იმ ექთანსა და ექიმს, რომლებმაც აღნიშნული გადამზადების ციკლი გაიარეს და ასევე ყველა იმ პირს, რომელიც აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ადგილზე ფლობდა ინფორმაციას, რათა მათგან მიგვეღო ცნობები პროცესის მიმდინარეობის და სამომავლო გეგმების შესახებ.

როგორც გადამზადებული ექიმები აღნიშნავენ, პროგრამის ფარგლებში მსმენელებმა მოისმინეს სალექციო კურსი, რომელიც მთელი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა. გადამზადების პროცესის დროს ექიმები არ იყვნენ მოწყვეტილი სამუშაო ადგილებს; მიუხედავად იმისა, რომ დღის საათებში არ მუშაობდნენ დაწესებულებაში, ისინი ასრულებდნენ მხოლოდ ღამის მორიგეობებს. მათ შენარჩუნებული ჰქონდათ ხელფასი. ერთ-ერთმა გადამზადებულმა ექიმმა აღნიშნა, რომ მათ გაიარეს თერაპიის, ინფექციური სნეულებების და ფსიქიატრიის „მოკლე კურსი კურსები“, რომელიც შეეხებოდა „პრევენციაზე დაფუძნებულ პირველად ჯანდაცვას“. პროგრამის მიმდინარეობის პერიოდში მათ ჰქონდათ 4 შიდა „გამოცდა“. ხოლო სრული კურსის დასრულების

შემდეგ ჩააბარეს სახელმწიფო სალიცენზიო გამოცდა და მიიღეს სახელმწიფო სერტიფიკატი, სპეციალობით - „საოჯახო მედიცინა“. გადამზადებული ექიმები აღნიშნავენ, რომ ექთნებიც იმავე ბაზაზე გადიოდნენ გადამზადების პროცესს, თუმცა მათთვის საექთნო პროგრამის დეტალები ნაკლებადაა ცნობილი. ექიმების პროგრამა მოიცავდა ასევე ფსიქიატრიის 1 კვირიან მოდულს. რაც შეეხება პროგრამის „პრაქტიკულ ნაწილს“, იგი წარიმართა გლდანის N8 და რუსთავის N6 დაწესებულებებში 2-2 კვირის განმავლობაში. სალექციო კურსის დასრულების შემდეგ, ამ პერიოდში (4 კვირის განმავლობაში) ისინი პროგრამის კურატორებთან ერთად სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მსჯავრდებულებთან. პროგრამის კურატორები მათ აძლევდათ შეფასებას. ექიმების თქმით, ძირითადად მათ მოიცვეს თერაპიული ნოზოლოგიები და განიხილეს მოქმედი 40-მდე გაილაინი. აქცენტი გაკეთდა 5 ძირითად სამედიცინო პრობლემაზე, ესენია: შაქრიანი დიაბეტი, ჰიპერტენზია, გულის იშემიური დაავადება, გასტრო-ეზოფაგული რეფლუქსური დაავადება და ბრონქული ასთმა.

ქუთაისის N2 დაწესებულებაში, 2011 წლის პირველ ნახევარში შევხვდით ექიმს, რომელიც გადიოდა გადამზადების პროცესს, თუმცა იგი ჩვენი მისვლის მომენტში სამსახურში იმყოფებოდა. მისი განმარტებით, დასავლეთ საქართველოს პენიტენციური დაწესებულებების ექიმთა გადამზადების პროგრამა მიმდინარეობს N3 პოლიკლინიკაში, ხოლო პრაქტიკული მეცადინეობები პერიოდულად მიმდინარეობს ქუთაისის N2 დაწესებულებაში.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2004 წლის 15 აპრილის N80/ნ ბრძანების შესაბამისად, დამტკიცებულია დიპლომისშემდგომი პროფესიული მზადების შედეგად მიღებული და მომიჯნავე საექთნო სპეციალობების ნუსხა. აღნიშნული ნუსხის მიხედვით, ექთნებს სავარაუდოდ სერტიფიკატი მიენიჭათ „ზოგადი პრაქტიკის (თემის) ექთნი“-ს სპეციალობით.

როგორც არსებული ფაქტებიდან ირკვევა, საქართველოს ჯანდაცვის სისტემას შეემატა 8 ახალი ოჯახის ექიმი და ამდენივე ახალი ზოგადი პრაქტიკის (თემის) ექთანი. მათი აბსოლუტური უმრავლესობა ამჟამად პენიტენციური სისტემის სხვადასხვა დაწესებულებაშია დასაქმებული. აღნიშნული ე.წ. „გადამზადების პროცესი კვლავ გრძელდება და სავარაუდოდ წლის ბოლოს ამგვარი წესით „გადამზადებულ“ და სერტიფიცირებულ პირთა რაოდენობა კიდევ უფრო გაიზრდება. საქართველოს სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ ამ წესითა და მოდელით სამედიცინო პერსონალის და განსაკუთრებით ექიმის გადამზადება საფრთხეს უქმნის ქვეყნის ჯანდაცვის სისტემას. პრობლემა საკმაოდ ღრმა და კომპლექსურია.

იმისათვის, რომ ნათლად და დეტალურად იქნას დანახული ის პრობლემები, რომელიც პენიტენციურ ჯანდაცვაში ე.წ. „პირველადი ჯანდაცვის“ და „ოჯახის ექიმის“ ცნებების შემოტანას ახლავს, მნიშვნელოვანია ამ საკითხთან დაკავშირებით არსებული წინაპირობებისა და რეალობების გაცნობა და ამ სფეროში მოკლე ექსპურსის გაკეთება. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, პირველადი ჯანმრთელობის დაცვა განიმარტება, როგორც – „**ჯანმრთელობის დაცვის სისტემასთან ცალკეული პირისა და**

ოჯახის პირველი შეხება; უწყვეტი, ყოვლისმომცველი და კოორდინირებული, უპირველესად საოჯახო მედიცინის სისტემაზე დაფუძნებული, საზოგადოების თითოეული წევრისათვის ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურება, რომელიც მოიცავს ჯანმრთელობის ხელშეწყობის, დაავადებების პრევენციის, ფართოდ გავრცელებული დაავადებების სამკურნალო და სარეაბილიტაციო ღონისძიებებს, მათ შორის, დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობაზე ზრუნვას, ოჯახის დაგეგმვას, პალიატიურ მზრუნველობას, აუცილებელი მედიკამენტებით ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას“. საქართველოს სამოქალაქო ჯანდაცვის სისტემაში, პირველადი ჯანდაცვის კომპონენტის აქცენტირების შემდეგ, რაც განსაკუთრებით 2002 წლიდან გააქტიურდა, შემოღებულ იქნა ახალი საექიმო დარგი, საოჯახო მედიცინა (საოჯახო მედიცინა – *პირველადი ჯანდაცვაზე ორიენტირებული სამედიცინო დისციპლინა, დამოუკიდებელი და სხვა დისციპლინებისაგან განსხვავებული პროფესიული მზადების, კვლევისა და კლინიკური საქმიანობის სისტემით*) და ასევე საექიმო სპეციალობა – „ოჯახის ექიმი“, რომელსაც ქვეყნის კანონმდებლობა განმარტავს, როგორც - *„ექიმი-სპეციალისტი, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უფლება აქვს პირველადი მრავალპროფილური სამედიცინო მომსახურება გაუწიოს ყველა ასაკის ორივე სქესის პირს“.* სპეციალურად აღნიშნული ცვლილებებისა და მისი უზრუნველყოფისათვის, საქართველოს კანონში „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ ჩაიდო, დამატება მუხლი 89¹-ის სახით, რომლის მიხედვითაც, *„პირველადი ჯანმრთელობის დაცვის სისტემის, მათ შორის საოჯახო მედიცინის განვითარებისათვის აუცილებელ სამართლებრივ ბაზას და ორგანიზაციულ-სამართლებრივი მოწყობის წესს შეიმუშავებს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო“.* ამგვარად, ქვეყანამ ნელ-ნელა დაიწყო გადასვლა პირველადი ჯანდაცვის ახლებურ მოდელზე. ბუნებრივია, სულ მალე დღის წესრიგში დადგა ამ დარგის სპეციალისტების მომზადების საკითხი, რის გამოც საჭირო გახდა სპეციალობის ჩარჩოს განსაზღვრა და დიპლომისშემდგომი განათლების პროგრამის შექმნა, რომლის მიხედვითაც მომზადდებოდნენ ამ დარგის სპეციალისტები. ეს ყოველივე მოხდა იმ ფონზე, როდესაც საქართველოში გაუქმდა ე.წ. „ზოგადი პროფილის ექიმი-მკურნალის“ ცნება და ამ სპეციალობის შესაბამისი სახელმწიფო სერტიფიკატის მქონე ათასობით ახალბედა ექიმი, კვლავ გაურკვევლობაში აღმოჩნდა. „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში მუხლი 89¹-ის ამოქმედებიდან რამდენიმე წლის შემდეგ, მიუხედავად დაგვიანებისა, მაინც დამტკიცდა შესაბამისი დიპლომისშემდგომი განათლების (რეზიდენტურის) პროგრამაც.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 15 აგვისტოს N 239/ნ ბრძანებით (სარეზიდენტო პროგრამების დამტკიცების შესახებ), „საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, დამტკიცდა 5 სარეზიდენტო პროგრამა; მათ შორის იყო „საოჯახო მედიცინა“. აქედან მოყოლებული, გაჩნდა გარკვეული პერსპექტივა და განმარტებები, ასევე იმის საფუძველი, რომ მომხდარიყო ახალი დარგის ინტეგრაცია საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში, შესაბამისი ჯანდაცვითი საჭიროებების გადაჭრის მიზნით. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტები ესადაგება სტრუქტურირებული

საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩოს, რომლის მიზანია, ექიმისათვის მრავალმხრივი ცოდნის, კომპეტენციების, კომუნიკაციის ჩვევებისა და პროფესიული მიდგომების სწავლება. პროგრამის ზოგადი ჩარჩო და სტრუქტურა დეტალურად ასახავს ზოგადი პრაქტიკის/საოჯახო მედიცინის ევროპულ განმარტებას (WONCA Europe [The European Society of General Practice / Family Medicine]: The European Definition of General Practice/Family Medicine; Barcelona: WONCA, 2002), რომელიც მოცემულია ოჯახის ექიმთა მასწავლებლების ევროპული აკადემიის მიერ მომზადებულ საგანმანათლებლო პროგრამაში (EURACT [European Academy of Teachers in General Practice] Education Agenda; EURACT, Leuven 2005). კერძოდ, EURACT-ის საგანმანათლებლო პროგრამაში აღწერილია ევროპაში ზოგადი პრაქტიკის წარმოებისათვის აუცილებელად მიჩნეული ძირითადი კომპეტენციები. კურიკულუმი ისეა შედგენილი, რომ მოიცავს ზემოაღნიშნული დოკუმენტით გათვალისწინებულ ყველა ძირითად საკითხს და დაავადებებს იმ ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და მიდგომების ჩვენებით, რაც შესაძლებლობას მისცემს პრაქტიკოს ოჯახის ექიმს სპეციფიკურ (ქვეყნისათვის დამახასიათებელ) კონტექსტში წარმოაჩინოს ოჯახის ექიმის კომპეტენციები. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, „ოჯახის ექიმის“ მოსამზადებელი **პროგრამა მოიცავს ინტენსიური მზადების 3 წელს (36 თვე) და შედგება სამი ძირითადი ეტაპისაგან – (ა) საოჯახო მედიცინის შესავალი კურსი (6 თვე), (ბ) როტაციები საავადმყოფოებში (18 თვე) და საოჯახო მედიცინის სპეციალიზებული კურსი (12 თვე).** რეზიდენტურის პროგრამის ზემოთ მოხსენიებული 3 ნაწილის გავლამ საშუალება უნდა მისცეს რეზიდენტს ეტაპობრივად შეიძინოს ის ცოდნა და უნარ-ჩვევები, რაც “საოჯახო მედიცინის” სპეციალობის აღწერილობაშია მოცემული და, რაც მისი როგორც ოჯახის ექიმის პროფესიულ კომპეტენციას შეადგენს. თვით პროგრამის შინაარსი წარმოდგენილია 115 ნაბეჭდ გვერდზე. პროგრამის განხორციელება უნდა მიმდინარეობდეს საუნივერსიტეტო კლინიკებსა და იმ სამედიცინო დაწესებულებებში, რომელთაც მიღებული აქვთ აკრედიტაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით (“რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომის შემდგომ განათლებაში (პროფესიულ მზადებაში) მონაწილეობის, მისი წარმართვისა და შეფასების წესისა და იმ სამედიცინო დაწესებულებების აკრედიტაციის კრიტერიუმების და წესის დამტკიცების შესახებ, რომლებშიც შესაძლებელია დიპლომის შემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) კურსის გავლა” საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის შესაბამისი ბრძანების შესაბამისად).

პროგრამის ერთ-ერთი საკვანძო მომენტია „ მზადება II ეტაპზე“, რომელიც როგორც უკვე აღინიშნა 18 თვეს მოიცავს და რომლის ძირითადი ნაწილი (15 თვე) სავალდებულო მოდულებს ეთმობა, ხოლო დარჩენილი 3 თვე ელექტიურ მოდულებს:

სავალდებულო მოდულებიდან (სულ 15 თვე) სპეციალობის მაძიებელმა უნდა გაიაროს:

- ა) შინაგანი მედიცინა – 4 თვე;
- ბ) გადაუდებელი მედიცინა და ტრავმა – 3 თვე;
- გ) ბავშვთა ჯანმრთელობა – 3 თვე;
- დ) ქალთა ჯანმრთელობა და სქესობრივი გზით გადამდები დაავადებები – 3 თვე;
- ე) ფსიქიკური ჯანმრთელობა – 2 თვე;

რაც შეხება შერჩევით (ელექტიური) მოდულებს, ამ მიმართულებით სწავლება სულ 3 თვე გრძელდება და მოიცავს:

- ა) ყელ-ყურ-ცხვირის დაავადებები (4 კვირა);
- ბ) დერმატოლოგია (4 კვირა);
- გ) ოფთალმოლოგია (4 კვირა);
- დ) ნევროლოგია (4 კვირა);
- ე) ორთოპედია (4 კვირა);
- ვ) ონკოლოგია (4 კვირა);
- ზ) ქირურგია (4 კვირა).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, სპეციალობის მაძიებელმა უნდა აითვისოს საკმაოდ მოცულობითი და რთული მასალა, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული კუთხით და ამისთვის სამი წელი წარმოადგენს იმ მინიმალურ პერიოდად, რომელიც საქართველოში სტანდარტად არის დადგენილი. მზადების პროცესში, ყველაზე რთულ კომპონენტს შეადგენს პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება, რომლის გარეშეც ოჯახის ექიმის მუშაობა და საქმიანობა აზრს არის მოკლებული. პროგრამაში მოცემულია იმ მინიმალურ სამკურნალო და სადიაგნოზო მანიპულაციების ჩამონათვალი, რომელთა შესრულებაც ოჯახის ექიმს დამოუკიდებლად უნდა შეეძლოს. ესენია:

- ა) ფიზიკური გასინჯვის ზოგადი მეთოდები ორგანოთა სისტემების მიხედვით (დათვალიერება, პალპაცია, პერკუსია, აუსკულტაცია);
- ბ) ძირითადი სასიცოცხლო ფუნქციების შენარჩუნება და კარდიოპულმონური რეანიმაცია (მოზრდილებში, ბავშვებში, ჩვილებსა და ახალშობილებში);
- გ) ეკგ-ის გადაღება და ინტერპრეტაცია;
- დ) ფატალური არითმიების მართვა და დეფიბრილაცია;
- ე) ახალშობილის პირველადი ჰიგიენური ღონისძიებების ჩატარება;
- ვ) მცირექირურგიული მანიპულაციები: ჭრილობის პირველადი დამუშავება, ქირურგიული ნაკერების დადება და მოხსნა, ინფილტრაციული ანესთეზია (გამტარებლობითი და ბუდობრივი), აბსცესების, პანარიციუმების, ფლეგმონების გაკვეთა და გახსნა, ჩაზრდილი ფრჩხილის მოცილება, რბილი ქსოვილების ზედაპირულ სიმსივნეთა ინოკულაცია, ნახვევის დადება და სხვ.;
- ზ) დამწვრობისა და ინფიცირებული ჭრილობის დამუშავება;
- თ) ზედაპირული უცხო სხეულების მოცილება;
- ი) ინექციები: კანშიდა, კანქვეშა, ინტრამუსკულური, ინტრავენური; ინტრავენური ინფუზია;
- კ) მხედველობის ორგანის შეფასება/გასინჯვა: დათვალიერება, მხედველობის სიმახვილის დადგენა, ოფთალმოსკოპია/ფუნდოსკოპია,
- ლ) ოტოსკოპია, გოგირდის საცობის გამოძევება წყლის ჭავლით;
- მ) რინოსკოპია, ფარინგოსკოპია, არაპირდაპირი ლარინგოსკოპია;
- ნ) ბიძანუალური ვაგინალური და რექტოვაგინალური გამოკვლევა, “სარკის ჩადგმა”;
- ო) გარეგანი სამეანო გასინჯვა, ნაყოფის გულისცემის შეფასება;

- პ) პლაცენტის მდებარეობის შეფასება;
- ჟ) ორსულის მდგომარეობის შეფასება ფუნქციონალური დიაგნოსტიკის მეთოდებით;
- რ) ფიზიოლოგიური მშობიარობის მართვა;
- ს) შარდის ბუშტის კათეტერიზაცია;
- ტ) სწორი ნაწლავის და წინამდებარე ჯირკვლის გასინჯვა თითით;
- უ) ამოვარდნილობის კორექცია;
- ფ) სატრანსპორტო იმობილიზაცია კიდურების ძვლებისა და ხერხემლის მოტეხილობს შემთხვევაში;
- ქ) ნაცხის აღება ბაქტერიოლოგიური და ციტოლოგიური გამოკვლევებისათვის;
- ღ) პარაცენტეზი, პლევრის პუნქცია, დაჭიმული პნევმოთორაქსის გადაყვანა ღია პნევმოთორაქსში.

ზემოთ აღნიშნული წარმოადგენს სპეციალობის აღწერილობას - ანუ, როგორც საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ განმარტავს ეს არის იმ საკითხებისა და უნარ-ჩვევების ჩამონათვალი, რომელთა ცოდნა და ათვისება აუცილებელია ამა თუ იმ საექიმო სპეციალობაში დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების მქონე ექიმისათვის;

როგორც ჩანს, პროგრამა საკმაოდ რთული და მრავლის მომცველია. მიუხედავად ამისა, სასჯელადსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროში მომხდარი ექიმთა გადამზადების პროცესისთვის ამას ხელი არ შეუშლია, რომ ე.წ. „სპეციალობის მაძიებლები“ დაეშვათ სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდაზე სერტიფიკატის მოსაპოვებლად.

შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ პენიტენციური სისტემის ჯანდაცვის სისტემაში მომუშავე ექიმების გადამზადება „საოჯახო მედიცინის“ პროგრამით არ შეესაბამება ქვეყანაში არსებულ სტანდარტს (საოჯახო მედიცინის დიპლომის შემდგომი სამედიცინო განათლების დამტკიცებელი პროგრამა). 3 წლიანი პერიოდის ნაცვლად, ექიმების გადამზადება ხდება 7 თვეში. გადამზადების დროს ექიმები არ გადიან კურიკულუმის ყველა ძირითად მოდულს. გარდა ამისა, ისეთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტი, როგორცაა პრაქტიკული უნარ-ჩვევების ათვისება, ამგვარი „გადამზადების პროცესში თითქმის იგნორირებულია. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი ექიმი და ექთანი უკვე აღარ მუშაობს პენიტენციურ სისტემაში. მომავალში, მათი რიცხვი შესაძლებელია გაიზარდოს. მიუხედავად ამისა, მათ გააჩნიათ ოჯახის ექიმის სახელმწიფო სერტიფიკატი. ასეთი ექიმები შესაძლებელია მომავალში დასაქმდნენ ნებისმიერ საოჯახო მედიცინის ცენტრში ან სხვა შესაბამის დაწესებულებაში. მათი კვალიფიკაცია კი, არ შეესაბამება ქვეყანაში აღიარებულ და დამკვიდრებულ პროგრამის ჩარჩოს, რის გამოც ამ ექიმებმა შესაძლებელია რეალური საფრთხე შეუქმნან ზოგადად საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობას და სიცოცხლეს.

დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობა ეს არის უმაღლესი სამედიცინო განათლებისა და დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო

სერტიფიკატის მქონე პირის პროფესიული საქმიანობა, რომლის შედეგებზეც ის პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით; საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“, კერძოდ მისი 23-ე მუხლი განმარტავს, რომ „სახელმწიფო სერტიფიკატის მინიჭების მიზანია ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა არაკომპეტენტური სამედიცინო პერსონალის საქმიანობისაგან.“ სერტიფიკატის მინიჭებისას სახელმწიფო იძლევა გარანტიას, რომ მის მფლობელ სპეციალისტს უნარი აქვს აწარმოოს დამოუკიდებელი სამედიცინო საქმიანობა ქვეყანაში არსებული პროფესიული სტანდარტების შესაბამისად. ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი უხეშადაა იგნორირებული კანონით გათვალისწინებული ძირითადი პრინციპი, რისთვისაც საერთოდ შემოღებულია ექიმთა სერტიფიცირება. გარდა ამისა, იმავე კანონის მე-13 მუხლი ცალსახად განმარტავს, რომ „პატიმრობის ან თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფი პირისათვის სამედიცინო დახმარების გაწევა ... ხორციელდება ამ კანონით გათვალისწინებული წესების დაცვით“. აქედან გამომდინარე, პენიტენციური დაწესებულებების მოსახლეობა უკვე რისკის ქვეშაა დაყენებული, არაკვალიფიციური სამედიცინო მომსახურების თვალსაზრისით.

ოჯახის ექიმის კვალიფიკაციის ამგვარი გზით „მიღება“ ასევე არ შეესაბამება საქართველოს კანონს „საექიმო საქმიანობის შესახებ“. კანონის პირველივე მუხლში ნათქვამია, რომ „ამ კანონის მიზანია უზრუნველყოს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტის შესაბამისი პროფესიული განათლება და პრაქტიკული მომზადება, მის პროფესიულ საქმიანობაზე სათანადო სახელმწიფო ზედამხედველობის დაწესება, მისი უფლებების დაცვა, აგრეთვე **ქვეყანაში აღიარებული სამედიცინო სტანდარტებისა და ეთიკური ნორმების საექიმო საქმიანობაში დამკვიდრებით საქართველოს მოსახლეობის მაღალკვალიფიციური სამედიცინო მომსახურება.** კანონის შესაბამისად, საქართველოში, ექიმი-სპეციალისტის სახელმწიფო სერტიფიკატის გაცემის ერთ-ერთი მთავარი საფუძველია შესაბამის საექიმო სპეციალობაში დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) კურსის (სარეზიდენტო ან რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების)) პროგრამის გავლა და ასევე სახელმწიფო სერტიფიკატის მამიებლის მიერ შესაბამის საექიმო სპეციალობაში ბოლო 2 წლის განმავლობაში ჩატარებულ სამუშაოთა აღწერა. პენიტენციურ სისტემაში „გადამზადებულ“ ექიმებს, არც ერთი და არც მეორე პირობის შესრულება თეორიულადაც არ შეეძლოთ 7 თვის განმავლობაში. ამგვარი გზით გადამზადებული ექიმების სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდაზე დაშვება კი წარმოადგენდა „საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის უხეშ დარღვევას, რომლის მიხედვითაც - „სახელმწიფო სერტიფიკატის მისაღებად სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდაზე დაიშვება პირი, რომელსაც ... გავლილი აქვს დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) კურსი შესაბამის საექიმო სპეციალობაში“. საქართველოს კანონმდებლობა დიპლომისშემდგომი განათლების მხოლოდ და მხოლოდ 2 შესაძლო ფორმას იცნობს. ესენია: რეზიდენტურა და რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი განათლება (პროფესიული მზადება). რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი განათლება (პროფესიული მზადება) გულისხმობს სარეზიდენტო პროგრამის ყველა

მოდულის გავლას ცალკეული მოდულისა და მთლიანად პროგრამის ხანგრძლივობის ზუსტად განსაზღვრის გარეშე. ამასთანავე, რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) მაქსიმალური ჯამური ვადა არ უნდა იყოს შესაბამის სპეციალობაში სარეზიდენტო პროგრამის ხანგრძლივობაზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს მას 2-ჯერ. ამასთან, დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) კურსის გავლა შესაძლებელია მხოლოდ სამინისტროს მიერ დადგენილი წესით აკრედიტებულ სამედიცინო დაწესებულებებში ან/და სასწავლებლებში. დიპლომისშემდგომ განათლებაში (პროფესიულ მზადებაში) მონაწილეობის უფლების მისანიჭებლად დაწესებულებების ან/და სასწავლებლების აკრედიტაციას ახორციელებს პროფესიული განვითარების საბჭო. დაწესებულებებმა ან/და სასწავლებლებმა აკრედიტაცია შეიძლება მიიღონ ცალკეული საექიმო სპეციალობის (სპეციალობების) ერთი ან რამდენიმე მოდულის ფარგლებში. ფაქტია, რომ თბილისის N8 და რუსთავის N6 სასჯელაღსრულების დაწესებულებები, ჯანდაცვის სამინისტროს მიერ არ არიან აკრედიტირებული საგანმანათლებლო დაწესებულებები, შესაბამისად, ამ დაწესებულებაში გავლილი თუნდაც 2 კვირიანი პრაქტიკული პერიოდი საეჭვოა, რომ შეესაბამებოდეს საგანმანათლებლო პროგრამას ან რაიმე კრიტერიუმით მაინც აკმაყოფილებდეს ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებს.

ასევე დამატებით აღნიშნის ღირსია ცვლილებები ნორმატიულ აქტებში, რომლებიც საგანგებოდ ამ უკანონო პროცესის „დაცვისა და ლეგალიზაციის“ მცდელობად უნდა შეფასდეს. კერძოდ, საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, ნებისმიერ საექიმო სპეციალობაში (სპეციალობებში) სახელმწიფო სერტიფიკატის მქონე დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტს უფლება აქვს მიიღოს სახელმწიფო სერტიფიკატი სხვა საექიმო სპეციალობითაც (სპეციალობებითაც). კანონის მიხედვით, თუ დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტის მიერ არჩეული ახალი საექიმო სპეციალობა არ არის იმ საექიმო სპეციალობის მომიჯნავე, რომლის სახელმწიფო სერტიფიკატიც მას უკვე აქვს, ახალი სახელმწიფო სერტიფიკატის მისაღებად დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტმა შესაბამის საექიმო სპეციალობაში უნდა გაიაროს დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) დადგენილი კურსი და სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარების შემდეგ მიიღოს შესაბამისი სახელმწიფო სერტიფიკატი. თუ დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტის მიერ არჩეული ახალი საექიმო სპეციალობა იმ სპეციალობის მომიჯნავეა, რომლის სახელმწიფო სერტიფიკატიც მას უკვე აქვს, ახალი სახელმწიფო სერტიფიკატის მისაღებად დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტმა შესაბამის საექიმო სპეციალობაში უნდა გაიაროს დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) დადგენილი კურსის ნაწილი. მის მოცულობასა და ხანგრძლივობას ექიმთა პროფესიულ ასოციაციებთან ერთად განსაზღვრავს პროფესიული განვითარების საბჭო. აქედან გამომდინარე, „ოჯახის ექიმის“ დიპლომისშემდგომი განათლების პროგრამის ანალიზი საფუძველს გვაძლევს, გავაკეთოთ დასკვნა, რომ საოჯახო მედიცინა შესაძლებელია ჩაითვალოს სპეციალობა „შინაგანი მედიცინის“ მომიჯნავედ. პენიტენციური სისტემის ექიმთა სპეციალობა კი, ხშირ შემთხვევაში იყო „ქირურგია“ და

არა „შინაგანი მედიცინა“. ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 20 აპრილის №01-17/ნ ბრძანებით, ცვლილება იქნა შეტანილი „საექიმო სპეციალობათა, მომიჯნავე საექიმო სპეციალობათა და სუბსპეციალობების შესაბამისი სპეციალობების ნუსხის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 18 აპრილის №136/ნ ბრძანებაში. კერძოდ, ბრძანების მე-3 პუნქტის შესაბამისად, „საექიმო სპეციალობა „საოჯახო მედიცინა“ განისაზღვროს საექიმო სპეციალობათა, მომიჯნავე საექიმო სპეციალობათა და სუბსპეციალობების შესაბამისი სპეციალობების ნუსხით (დანართი №1) განსაზღვრული სპეციალობების მომიჯნავე სპეციალობად, გარდა შემდეგი სპეციალობებისა: ფსიქოთერაპია, ფსიქიატრია (შესაბამისი მომიჯნავე სპეციალობებით), ბავშვთა ფსიქოთერაპია, ლაბორატორიული მედიცინა, პათოლოგიური ანატომია-კლინიკური პათოლოგია, სასამართლო მედიცინა, სამედიცინო რადიოლოგია (შესაბამისი მომიჯნავე სპეციალობებით), სამედიცინო რეაბილიტაცია და სპორტის მედიცინა, კლინიკური ფარმაცოლოგია, ფიზიკური მედიცინა და კურორტოლოგია, სამედიცინო გენეტიკა, ჰომეოპათია. საექიმო სპეციალობები, რომელთა მომიჯნავედ განსაზღვრულია „საოჯახო მედიცინა“, თავის მხრივ, არ წარმოადგენს საოჯახო მედიცინის მომიჯნავე სპეციალობებს და „საოჯახო მედიცინაში“ სახელმწიფო სერტიფიკატის მქონე პირების ამ სპეციალობებში მზადება უნდა განხორციელდეს დიპლომის შემდგომი განათლების (პროფესიული მზადების)/სარეზიდენტო პროგრამის გავლის გზით“. აღნიშნული ცვლილება პრაქტიკულად ნიშნავს, რომ „საოჯახო მედიცინა“ გახდა ისეთი სპეციალობების მომიჯნავე, როგორცაა ქირურგია, კარდიოქირურგია, ორთოპედია-ტრავმატოლოგია, ნეიროქირურგია, ოტორინოლარინგოლოგია, ოფთალმოლოგია და ასე შემდეგ. აღნიშნულის შესაძლებლობას კი ცალსახად გამოიხატავს საქართველოს კანონი „საექიმო საქმიანობის შესახებ“, რომლის მიხედვითაც - მომიჯნავე სპეციალობები განიმარტება, როგორც - „მედიცინის ერთ დარგში შემავალი საექიმო სპეციალობები, რომელთა საგანმანათლებლო პროგრამა და პროფესიული საქმიანობის ხასიათი გარკვეულწილად ესადაგება ერთმანეთს“. ალბათ საკამათო არ არის, რომ „ოჯახის ექიმის“ და ზემოთ ჩამოთვლილი სპეციალობების (ქირურგია, კარდიოქირურგია, ორთოპედია-ტრავმატოლოგია, ნეიროქირურგია, ოტორინო-ლარინგოლოგია, ოფთალმოლოგია და სხვ) საგანმანათლებლო პროგრამა და პროფესიული საქმიანობის ხასიათი, არათუ ესადაგება, არამედ კარდინალურად განსხვავებულია ერთმანეთისაგან, შესაბამისად, შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 20 აპრილის №01-17/ნ ბრძანებით განმტკიცებული ცვლილებები, პოტენციურად საფრთხის შემცველია და ნეგატიურად აისახება პაციენტთა სამედიცინო მომსახურების ხარისხზე.

ტუბერკულოზის პრობლემა პენიტენციურ სისტემაში:

ტუბერკულოზის პრობლემა მეტად მწვავე და აქტუალურია არა მარტო საქართველოს, არამედ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების პენიტენციური სისტემებისათვის. რეგიონში

ტუბერკულოზის ეპიდემიოლოგიური სურათი 1990 წლებიდან გამწვავდა. პენიტენციურ სისტემაში გავრცელებული ტუბერკულოზის წინააღმდეგ ბრძოლას ახლავს მთელი რიგი სირთულეები და სპეციფიკა, რაც არ გვხვდება სამოქალაქო სექტორში. უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ტუბერკულოზური ინფექციის ის შტამები, რომელიც დახურულ დაწესებულებებში პრევალირებს, უფრო ხშირად რეზისტენტულია ჩვეულებრივი ანტიტუბერკულოზური პრეპარატების მიმართ. ტუბერკულოზის გავრცელება ციხეებში ხშირად 10-100 ჯერ უფრო მაღალია, ვიდრე ანალოგიური მაჩვენებელი იმავე ქვეყანაში ზოგადად. გარდა ამისა, ციხის მოსახლეობაში ხშირია შემთხვევები, როდესაც ტუბერკულოზი ასოცირებულია ჰეპატიტისა და ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსთან და კოინფექციის სახით გვხვდება. ციხეებში ტუბერკულოზის გავრცელების ხელშეწყობ და მის წინააღმდეგ ბრძოლის შემაფერხებელ მნიშვნელოვან ფაქტორებად უნდა დასახელდეს დაწესებულებათა გადატვირთულობა, არასათანადო კვებითი რაციონი, აერაციისა და ვენტილაციის სისტემის, ასევე გარემოს სხვა ფაქტორების მავნე ზემოქმედება, მზის სხივების და ჰაერის ნაკადის არასაკმარისობა. გარდა ამისა, დახურულ დაწესებულებაში, ტუბერკულოზთან ბრძოლის სტრატეგია, მეორე ხარისხიდან განიხილება დაწესებულების რეჟიმის და უსაფრთხოების ინტერესებთან მიმართებაში, რის გამოც ტუბერკულოზით ინფიცირებული ან მკურნალობის ეტაპზე მყოფი პაციმარი, ხშირად გადაჰყავთ ისეთ ადგილზე, რომელიც დაავადების მართვის სტანდარტებისათვის შეუფერებელია. გარდა იმისა, რომ ეს უკანასკნელი მკვეთრად ნეგატიურად მოქმედებს თავად ინფიცირებული პირის ჯანმრთელობაზე, ინფიცირებული რეალურ საფრთხეს უქმნის სხვათა ჯანმრთელობასაც, რის გამოც აღნიშნული ფაქტორი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ერთ-ერთ მწვავე პრობლემად უნდა განვიხილოთ.

საქართველოს პენიტენციური სისტემის დაწესებულებებში ტუბერკულოზი ბოლო რამდენიმე წელია საკმაოდ კრიტიკულ როლს თამაშობს ციხის მოსახლეობის ავადობის და სიკვდილობის ინდიკატორებთან მიმართებაში. ბოლო წლებში გარდაცვლილ პაციმართა სიკვდილიანობის ერთ-ერთი წამყვანი ფაქტორი სწორედ აღნიშნული დაავადება, კერძოდ მისი შორსწასული ფორმებია. მიუხედავად სისტემაში გატარებული ანტიტუბერკულოზური ღონისძიებებისა და მთელი რიგი ძალისხმევისა, მონაცემები პრაქტიკულად უცვლელი რჩება. 2010 წელს, საქართველოს პენიტენციურ სისტემაში გარდაცვლილი 142 პირიდან, ტუბერკულოზით ინფიცირებული იყო 49.3%, ანუ ყოველი მეორე გარდაცვლილი პაციმარი. რაც შეეხება 2011 წლის სიკვდილობის მონაცემებს, ამ წელს სულ გარდაცვლილი 140 პაციენტიდან 31.5% შემთხვევაში გარდაცვალების უშუალო მიზეზი სწორედ ტუბერკულოზი იყო.

რაც შეეხება ტუბერკულოზით ავადობის პრობლემას პენიტენციურ სისტემაში, უნდა აღინიშნოს, რომ 2011 წლის პერიოდში გამოვლენილია დაავადების 1651 ახალი შემთხვევა, რომლიდანაც 924 წლის პირველ ნახევარზე, ხოლო 727 შემთხვევა მეორე ნახევარზე მოდის. ეს უკანასკნელი კი თავის მხრივ საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია.

ტუბერკულოზური ინფექციის გავრცელების, დიაგნოსტიკის, მკურნალობის და მართვის ძირითადი სტატისტიკური დეტალები წლის პირველი და მეორე ნახევრების მიხედვით, წარმოდგენილია ქვემოთ მოყვანილ ცხრილებში.

2011 წლის პირველი ნახევრის მდგომარეობა

№	დაწესებულების დასახელება	ტუბერკულოზით დაავადებულთა მკურნალობის ინფრასტრუქტურა		გამოკვლ. რაოდენობა	სკრინინგი	ნახველის ანალიზი	ახლად გამოვლენილ	მულტირეზისტენტობა	მკურნალობის კურსში ახლად ჩართულთა რაოდენობა		N19 დაწეს. გადაყვანა
		საკნები	ადგილ						DOTS	DOTS+	
1	№1 თბილისი	4	80	772	463	420	43	0	43	0	27
2	№2 ქუთაისი	3	11	1327	1327	275	42	0	37	0	47
3	№3 ბათუმი	1	4	190	698	196	9	0	9	0	12
4	№4 ზუგდიდი	1	8	101	653	54	5	1	4	1	7
5	№5 რუსთავი	3	12	313	10	78	2	4	1	4	0
6	№6 რუსთავი	4	60	259	673	115	34	0	34	0	17
7	№7 თბილისი	0	0	1	0	1	0	0	1	0	0
8	№8 თბილისი	0	0	198	741	170	17	0	25	0	37
9	№9 თბილისი	2	10	48	641	1	0	0	0	0	0
10	№11 თბილისი	0	0	239	239	23	0	0	0	0	0
11	№12 თბილისი	0	0	0	1845	145	5	0	2	0	5
12	№13 ხონი	1	4	11	2	11	2	0	0	0	2
13	№14 გეგუთი	2	12	399	559	355	26	0	0	0	147
14	№15 ქსანი	0	0	1164	6001	70	108	0	0	0	108
15	№16 რუსთავი	0	0	593	613	671	58	2	103	2	98
16	№17 რუსთავი	2	70	3864	338	400	130	0	29	0	150
17	№18 თბილისი	10	40	1097	0	1097	160	12	160	12	170
18	№19 ქსანი	-	540	486	-	6440	283	94	374	94	-
ს უ ლ:		33	851	11062	14803	10522	924	113	822	113	827

2011 წლის მეორე ნახევრის მდგომარეობა:

№	დაწესებულების დასახელება	ტუბერკულოზით დაავადებულთა მკურნალობის ინფრასტრუქტურა		გამოკვლ. რაოდენობა	სკრინინგი	ნახველის ანალიზი	ახლად გამოვლენილ	მულტირეზისტენტობა	მკურნალობის კურსში ახლად ჩართულთა რაოდენობა		N19 დაწეს. გადაყვანა
		საკნები	ადგილ						DOTS	DOTS+	
1	№1 თბილისი	4	80	3538	3004	534	30	0	40	0	19
2	№2 ქუთაისი	3	11	3360	3360	557	54	0	54	0	51
3	№3 ბათუმი	1	4	193	1410	193	5	0	5	0	3
4	№4 ზუგდიდი	1	10	250	1047	196	5	0	5	0	6
5	№5 რუსთავი	3	18	1555	1030	244	5	2	3	1	0
6	№6 რუსთავი	4	60	561	2282	189	13	0	21	0	7
7	№7 თბილისი	0	0	1	1	1	0	0	0	0	0

8	№8 თბილისი	6	36	137	4127	466	16	0	29	4	31
9	№9 თბილისი	3	12	678	2004	89	6	0	3	2	0
10	№11 თბილისი	0	0	340	340	22	0	0	0	0	0
11	№12 თბილისი	0	0	666	1247	411	7	0	6	0	7
12	№13 ხონი	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
13	№14 გეგუთი	2	12	1059	4677	1059	91	0	0	0	140
14	№15 ქსანი	1	4	1048	3408	1048	78	2	0	0	78
15	№16 რუსთავი	25	150	2054	3572	1793	48	-	47	0	104
16	№17 რუსთავი	2	70	3132	2708	1438	71	0	35	23	100
17	№18 თბილისი	10	40	989	0	989	107	-	107	14	118
18	№19 ქსანი	-	540	430	98	8943	191	-	292	115	-
ს უ ლ:		65	1047	19991	34315	18172	727	2⁵⁷⁵	647	159	664

როგორც ცხრილიდან ჩანს, ამჟამინდელი მდგომარეობით, პენიტენციურ სისტემაში სპეციფიკური ინფრასტრუქტურა, ტუბერკულოზით დაავადებულთა სამკურნალოდ, ყველა დაწესებულებაში შექმნილი არ არის. ზოგიერთ დაწესებულებაში კი მას ფორმალური ხასიათი აქვს. დაწესებულებათა უმრავლესობაში, ტუბერკულოზით დაავადებულები რომელიმე საკანში გადაჰყავთ, იზოლაციის მიზნით. მხოლოდ დაწესებულებათა ნაწილს აქვს სამედიცინო ნაწილში ცალკე მოწყობილი ტუბერკულოზით დაავადებულთა სექცია (მაგალითად ქუთაისის N2 დაწესებულება, რუსთავის ქალთა N5 დაწესებულება). რაც შეეხება N19 დაწესებულებას, ანუ ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებას, აქ პაციენტები განთავსებულნი არიან 3 კორპუსში. დაწესებულების ლიმიტია 540 მსჯავრდებული. 2011 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით, N19 დაწესებულებაში განთავსებული იყო 754 მსჯავრდებული.

მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში (N18), ტუბერკულოზით დაავადებული პაციენტები თავსდებიან ინფექციურ განყოფილებაში, რომელიც 40 საწოლზეა გათვლილი. მიუხედავად იმისა, რომ ორმოცივე საწოლი რა თქმა უნდა ტუბერკულოზით დაავადებულთათვის არ არის გამოყოფილი, პაციენტთა უმრავლესობა, აქ სწორედ ტუბერკულოზითაა დაავადებული. მეორე ადგილზე, სიხშირის მიხედვით, განყოფილებაში ათავსებენ ვირუსული ჰეპატიტებით დაავადებულ პაციენტებს.

რუსთავის ქალთა მე-5 დაწესებულებაში, ტუბერკულოზით დაავადებულთა სექცია სამედიცინო ნაწილისგან იზოლირებულია, რაც საკმაოდ დადებით როლს თამაშობს დაავადებულთა მკურნალობისა და მოვლის თვალსაზრისით. მსგავსი მიდგომით ხდება ტუბერკულოზით დაავადებულთა იზოლაცია ქუთაისის N2 დაწესებულების სამედიცინო ნაწილში, თუმცა დაავადებულთა მაღალი რიცხვის გამო, ისინი სხვა საკნებშიც არიან განთავსებულნი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულება, მისი

⁵⁷⁵ აღნიშნული ციფრი არ მოიცავს სამკურნალო დაწესებულებების მონაცემებს

რეჟიმიდან გამომდინარე (დახურული), ტუბერკულოზის მკურნალობისა და ინფექციის მართვისათვის საუკეთესო მაგალითად მაინც ვერ გამოდგება. დანარჩენ დაწესებულებებში, ტუბერკულოზით დაავადებულები, რომლებსაც დაუდგინდათ ინფექცია, განთავსებულნი არიან ჩვეულებრივ საპატიმრო საკნებში. ზოგიერთ დაწესებულებაში, ასეთ ერთ საკანში ათეულობით პაციენტია განთავსებული. საკნებში პაციენტები განთავსებულნი არიან იმის მიხედვით თუ რომელი ფორმა (მგბ-/მგბ+) აქვთ მათ. დაწესებულებათა ნაწილში (მაგალითად თბილისის N1, ქუთაისის N2, რუსთავის N16, რუსთავის N17) ამგვარ ინფრასტრუქტურაში განთავსებულნი არიან ისეთი პაციენტები, რომლებიც დააბრუნეს ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა N19 სამკურნალო დაწესებულებიდან და სასჯელის მოხდის ძირითად ადგილზე ასრულებენ მკურნალობის მე-2 ფაზას. ქსანის N15 დაწესებულების მთავარი ექიმის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ამი გაკეთება დაგეგმილია მათ დაწესებულებაშიც. ტუბერკულოზის შემთხვევათა უფრო კარგად გამოსავლენად, დაწესებულებებში სისტემატურად მიმდინარეობს სკრინინგი. ამისათვის დანერგილია შესაბამისი ანკეტა, რომელიც ივსება ახლად შესული ყველა პატიმრის შემთხვევაში.

2011 წლის 8 აგვისტოს, სახალხო დამცველის აპარატმა წერილობით მიმართა (N759-03) ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნულ ცენტრს და მოითხოვა ინფორმაცია იმ მსჯავრდებულებისა და ბრალდებულების შესახებ, რომლებიც 2011 წლის პირველ ნახევარში მკურნალობის კურსს გადიოდნენ ამ დაწესებულებაში. დამატებით, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ მოთხოვნილ იქნა იმ ექიმთა სია, რომლებიც მივლინებულნი არიან სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ტუბერკულოზთან ბრძოლის სტრატეგიის ფარგლებში; რა სახის და რა მოცულობის დახმარებას უწევენ აღნიშნული პირები პენიტენციურ სისტემას და რაში მდგომარეობს თანამშრომლობის აღნიშნული ასპექტები. 2011 წლის 18 აგვისტოს, ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრიდან შემოსული საპასუხო წერილის (N1851/01-17) მიხედვით ირკვევა, რომ 2011 წლის საანგარიშო პერიოდში სტაციონარში სულ პენიტენციური სისტემიდან გადმოყვანილ იქნა 21 პაციენტი. მათგან 11 შემთხვევაში პაციენტი გარდაიცვალა, 4 შემთხვევაში ჩატარდა ოპერაციული მკურნალობა და მდგომარეობა გაუმჯობესდა. კიდევ ერთ შემთხვევაში, კონსერვატიული მკურნალობის ფონზე მიღწეულ იქნა დადებითი დინამიკა. 4 შემთხვევაში მდგომარეობა უცვლელი დარჩა, ხოლო 1 შემთხვევაში მდგომარეობა თავდაპირველად გაუმჯობესდა, ხოლო მოგვიანებით მდგომარეობა გართულდა მწვავე მუცელით და სეფსისით. პაციენტი წერილის გამოგზავნის მომენტში კვლავ აგრძელებდა მკურნალობას. გარდა ამისა, წერილით გვეცნობა, რომ ცენტრის წამყვან სპეციალისტებთან (3 ექიმი) საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს გაფორმებული აქვს შრომითი ხელშეკრულება, როგორც კონსულტანტებთან და მათ მოვალეობას შეადგენს, საჭიროების შემთხვევაში სასჯელაღსრულების სისტემის სამკურნალო დაწესებულებაში მოთავსებულ მსჯავრდებულებისა და ბრალდებულების კონსულტირება.

როგორც ცნობილია, სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის

სამინისტროს და ს.ს. „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნულ ცენტრს“ შორის, 2011 წლის 28 მარტს გაფორმდა ურთიერთშეთანხმების მემორანდუმი, რომლის თანახმადაც, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების სისტემის დაწესებულებებში, ტუბერკულოზის კონტროლის პროგრამის ფარგლებში სპეციალურად ტრენინგული ექთნების მიერ ხორციელდება რუტინული სკრინინგი ტუბერკულოზის შემთხვევათა ადრეული გამოვლენისათვის. მემორანდუმის მიხედვით, საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკუთხთა სამინისტრო იღებს ვალდებულებას 2013 წლამდე უზრუნველყოს ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა ახალი სამკურნალო დაწესებულების ამოწმება ინფექციის კონტროლის საინჟინრო და ადმინისტრაციული ღონისძიებების დაცვის გათვალისწინებით. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო უზრუნველყოფს პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების სისტემის ტუბერკულოზის კონტროლის პროგრამის ფარგლებში სკრინინგის სრული მოცულობით შესრულების მიზნით, სათანადო ასიგნებების დამატებით გამოყოფას ტუბერკულოზის კონტროლის სახელმწიფო პროგრამის ბიუჯეტისათვის. ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი, მემორანდუმის მიხედვით იღებს ვალდებულებას, რომ უზრუნველყოფს სასჯელაღსრულების დაწესებულებებს ტუბერკულოზის ადრეული გამოვლენისათვის სკრინინგისა და შესაბამისი დიაგნოსტიკური კვლევების სრული განხორციელებით, ტუბერკულოზის კონტროლის სახელმწიფო პროგრამის შესაბამისი დამატებითი კომპონენტის ფარგლებში. მემორანდუმის გაფორმებიდან დაახლოებით 1 თვის შემდეგ, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მივლინებული იქნენ ტუბერკულოზის სკრინინგის და კონტროლის სფეროში შესაბამისად მომზადებული ექთნები. პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ ადგილზე შესწავლილ იქნა აღნიშნული პერსონალის საქმიანობის ძირითადი ასპექტები. მათი რაოდენობა და განაწილება დაწესებულებების მიხედვით, 2011 წლის მეორე ნახევრის მონაცემებით, წარმოდგენილია ცხრილში:

№	დაწესებულების დასახელება	ტუბ-დან მოვლენილი ექთნების რაოდენობა	შენიშვნა
1	№1 დაწესებულება	2	მაისიდან
2	№2 დაწესებულება	2	10 მაისიდან
3	№3 დაწესებულება	1	
4	№4 დაწესებულება	1	აპრილიდან
5	№5 დაწესებულება	1	ივნისიდან
6	№6 დაწესებულება	2	
7	№7 დაწესებულება	0	არ მიუვლენიათ
8	№8 დაწესებულება	4	ივნისიდან
9	№9 დაწესებულება	1	
10	№11 დაწესებულება	1	

11	№12 დაწესებულება	1	მაისიდან
12	№13 დაწესებულება	–	არ მიუვლენიათ
13	№14 დაწესებულება	2	ივნისიდან
14	№15 დაწესებულება	2	
15	№16 დაწესებულება	2	ივნისიდან
16	№17 დაწესებულება	2	მაისიდან
17	№18 დაწესებულება	0	არ მიუვლენიათ
18	№19 დაწესებულება	0	არ მიუვლენიათ
ს უ ლ:		24	

მაგალითად, ქალთა N5 დაწესებულებაში ექთნები იღებენ ნახველს და ატარებენ ტუბერკულოზურ სკრინინგს. რაც შეეხება მკურნალობას, ეს უკანასკნელი ადგილობრივი სამედიცინო ნაწილის კომპეტენციას წარმოადგენს და ექთნები მასში არ ერევიან. რუსთავის N6 დაწესებულებაში, ტუბერკულოზის ექთნების ძირითადი ფუნქციაა ასევე სკრინინგის ჩატარება. ადგილობრივი მთავარი ექიმის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, 1 ექთანი მუდმივად იმყოფება N6 დაწესებულების კარანტინში, სადაც მის ძირითად ფუნქციას წარმოადგენს ყველა ახლად შემოსული პაციენტის სკრინინგის ჩატარება. თბილისის N8 დაწესებულების მთავარი ექიმი აღნიშნავს, რომ ამგვარი თანამშრომლობის ფარგლებში ტუბერკულოზის წინააღმდეგ ბრძოლისათვის ექთნების დანიშვნამ გაზარდა ახლადშემოსულ პაციენტთა შორის ტუბერკულოზური ინფექციის გამოვლენის სტატისტიკა. N1 დაწესებულებაში აღნიშნეს, რომ ექთნები ატარებენ სკრინინგს, ბაქტერიოლოგიური კვლევისათვის მასალის აღებას, რომელიც მიმდინარეობს ახლადშემოსული ყველა პაციენტის მიმართ. პერიოდულად ტარდება მასიური სკრინინგიც. ამ ფონზე, ექთნების მუშაობის დაწყების საწყის ეტაპზე მოხდა ტუბერკულოზის შემთხვევათა გამოვლენის მატება, მოგვიანებით კი, გამოვლენის ინდიკატორი სტაბილური გახდა. რაც შეეხება მკურნალობას, ამაზე ექთნები არ არიან პასუხისმგებელნი. აღნიშნული საკითხი ადგილობრივი სამედიცინო ნაწილის კომპეტენციას განეკუთვნება. არასრულწლოვანთა N11 სპეციალურ დაწესებულებაში განაცხადეს, რომ მასიური სკრინინგი ისედაც ტარდებოდა. ასე რომ გამოვლენების რიცხვი რაც წარსულში იყო იგივე დარჩა. აღნიშნულის შედეგად გამოიკვეთა რამდენიმე საეჭვო შემთხვევა, თუმცა შემდგომი კვლევით ტუბერკულოზი არასრულწლოვნებს არ დაუდგინდათ. რუსთავის N16 დაწესებულებაში განაცხადეს, რომ გარდა N18 და N19 დაწესებულებებიდან გადმოყვანილი პაციენტებისა, ყველა დანარჩენს სავალდებულო წესით უტარდება სკრინინგი. თბილისის N12 დაწესებულების მთავარი ექიმი აღნიშნავს, რომ ტუბერკულოზის ექთნების შემოსვლის შემდეგ ჩატარებულ იქნა მასიური სკრინინგი. ასევე შეუფერხებლად მიმდინარეობს ახლადშემოსულ პირთა საყოველთაო სკრინინგი და დიაგნოსტიკა. ამგვარად, ზოგადი ტენდენციებისა და შედეგების გათვალისწინებით, ტუბერკულოზის ექთნების შემოსვლას სასჯელადსრულების დაწესებულებებში კმაყოფილებით ხვდებიან ადგილობრივი სამედიცინო ნაწილები. ექთნების საქმიანობის შედეგად მათ მკვეთრად შეუმსუბუქდათ საქმიანობა და ისედაც ზეწორული დატვირთვა. სახალხო დამცველი მიესალმება აღნიშნულ ინიციატივას და იმედს გამოთქვამს, რომ ტუბერკულოზის

წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდები და პროგრამები კიდევ უფრო გააქტიურდება და მრავლისმომცველი გახდება.

პენიტენციური ჯანდაცვის სისტემის ინფრასტრუქტურა:

პატიმრობის კოდექსის მიხედვით, „ბრალდებულის/მსჯავრდებულის სამედიცინო მომსახურება ხორციელდება ჯანმრთელობის დაცვის სფეროში ქვეყანაში დადგენილი სამედიცინო მომსახურების მოთხოვნების შესაბამისად“. ამასთან, კანონის 121-ე მუხლი ითვალისწინებს ყველა პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში საექიმო-სამედიცინო პუნქტის შექმნას. ამ დროს, თუ ბრალდებულის/მსჯავრდებულის მკურნალობა არ შეიძლება განხორციელდეს პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების საექიმო-სამედიცინო პუნქტში, იგი შეიძლება გადაყვანილ იქნეს დეპარტამენტის დაქვემდებარებაში არსებულ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში ან საერთო პროფილის საავადმყოფოში. კანონში არსებული ზემოთ დასახელებული მუხლები წარმოადგენს იმის საფუძველს, რომ საქართველოს პენიტენციურ სისტემაში არსებობდეს სამედიცინო ინფრასტრუქტურა, საექიმო-სამედიცინო პუნქტების და ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებების სახით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პატიმრობის კოდექსის მოქმედებამდე არსებული საქართველოს კანონი „პატიმრობის შესახებ“ გაცილებით უფრო დეტალურად და გარკვევით არეგულირებდა პენიტენციური სისტემის ჯანდაცვის ორგანიზაციის საკითხებს, რაც ახალ კანონში ღიადაა დარჩენილი. ამ მხრივ, აღნიშნული ქართულ კანონმდებლობაში პროგრესულ ნაბიჯად ვერ ჩაითვლება.

საქართველოს პენიტენციურ სისტემაში ამჟამად მოქმედებს ორი სამკურნალო დაწესებულება (N18 და N19), ხოლო სამედიცინო პუნქტები ფუნქციონირებს სასჯელაღსრულების ყველა დანარჩენ დაწესებულებაში. ეს უკანასკნელნი დაწესებულებაში არსებულ პატიმრებს უწევენ ამბულატორულ მომსახურებას. რაც შეეხება სტაციონარულ კომპონენტს, ყველა დაწესებულებაში ამ ტიპის მომსახურების გაწევის საშუალება არ არის, ვინაიდან სტაციონარული ტიპის სამედიცინო ნაწილები ყველგან არ არის მოწყობილი. მოქმედი კანონის შესაბამისად, თუ ბრალდებულის/მსჯავრდებულის მკურნალობა არ შეიძლება განხორციელდეს პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების საექიმო-სამედიცინო პუნქტში, იგი შეიძლება გადაყვანილ იქნეს დეპარტამენტის დაქვემდებარებაში არსებულ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში ან საერთო პროფილის საავადმყოფოში. შესაბამისად, იმ დაწესებულებებიდან, რომლებშიც სტაციონარული დახმარების გაწევა შეუძლებელია, გადაყვანები კანონში მითითებულ დაწესებულებებში გაცილებით ხშირი უნდა იყოს. მიუხედავად ამისა, ამ მხრივ დაწესებულებებში განსხვავებული მდგომარეობაა შექმნილი. სანამ აღნიშნულ საკითხს შევეხებოდეთ, წარმოვადგინოთ ამბულატორული და სტაციონარული მომსახურების გაწევის შესაძლებლობებს, სასჯელაღსრულების სხვადასხვა ტიპის დაწესებულებებში, რაც მოცემულია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში:

დაწესებულების დასახელება	სამედიცინო მომსახურების ტიპები		საექიმო-სამედიცინო პუნქტი	
	ამბულატორული	სტაციონარული	პალატების რაოდენობა	საწოლთა რაოდენობა
№1 დაწესებულება	+	+	5	25
№2 დაწესებულება	+	+	7	30
№3 დაწესებულება	+	+	3	16
№4 დაწესებულება	+	+	2	8
№5 დაწესებულება	+	+	16	60
№6 დაწესებულება	+	+	9	24
№7 დაწესებულება	+	-	0	0
№8 დაწესებულება	+	-	0	0
№9 დაწესებულება	+	+	3	12
№11 დაწესებულება	+	-	0	0
№12 დაწესებულება	+	+	2	9
№13 დაწესებულება	-	-	-	-
№14 დაწესებულება	+	+	8	40
№15 დაწესებულება	+	+	8	57
№16 დაწესებულება	+	+	5	25
№17 დაწესებულება	+	+	3	30
№18 დაწესებულება	+	+	64	180
№19 დაწესებულება	+	+	82	540
ს უ ლ:	17	14	217	1056

როგორც ცხრილიდან ჩანს, ამბულატორული დახმარების ხელმისაწვდომობა დღეისათვის მოქმედ ჩვიდმეტევე დაწესებულებაშია შესაძლებელი, ხოლო რაც შეეხება სტაციონარულ დახმარებას - მხოლოდ 14-ში. სტაციონარული კომპონენტი არ არის გათვალისწინებული თბილისის N8, თბილისის N7 და არასრულწლოვანთა N11 დაწესებულებებში. სამედიცინო მონიტორინგის შედეგად გაირკვა, რომ დღეისათვის, გარდა სასჯელაღსრულების სისტემის სამკურნალო დაწესებულებებისა, სხვა სასჯელის მოხდის ადგილებში მოწყობილია 71 ე.წ. „პალატა-საკანი“, რომელშიც ხდება სტაციონარული მომსახურების გაწევა მსჯავრდებულთა და ბრალდებულთათვის. რაც შეეხება საწოლთა რაოდენობებს, იმავე დაწესებულებებში გათვალისწინებულია სულ 336 საწოლი. რაც შეეხება ხსენებულ „პალატა-საკნებს“, რომლებიც სამედიცინო ნაწილის დაქვემდებარებაშია და მის ინფრასრუქტურას ქმნის, ისინი წარმოადგენს ჩვეულებრივ საპატიმრო საკნებს, რომლებშიც განსაკუთრებული პირობები დაავადებული მსჯავრდებულის ან ბრალდებულის მკურნალობისა და მოვლისათვის არ არსებობს. იგივეა განათების, ვენტილაციის და სხვა სახის სტანდარტებიც. აქ განთავსებულ მსჯავრდებულებს სხვებისგან ის უპირატესობა აქვთ, რომ ისინი მუდმივად იმყოფებიან სამედიცინო პერსონალის მეთვალყურეობის ქვეშ და ექიმთან ხელმისაწვდომობა უფრო ხანმოკლე დროშია შესაძლებელი. ამ საკნებში პაციენტთა საშუალო რაოდენობა

შეადგენს 5-ს. მიუხედავად ამისა, ზოგიერთ დაწესებულებაში, პაციენტთა რაოდენობა ერთ ასეთ პალატაში 10-15 პირსაც აჭარბებს (მაგალითად რუსთავის N17 დაწესებულება). არსებობს უფრო მცირე საკნებიც, სადაც პაციენტებს უტარდებათ მკურნალობა. აღსანიშნავია, რომ ამ პალატა-საკნებში განთავსებული ავეჯი არ შეესაბამება სამკურნალო დაწესებულებების მოთხოვნებს. არსად გვხვდება ფუნქციური საწოლები. შეუსაბამოა ასევე სათავსოს იატაკის, ჭერის და კედლების მოპირკეთების ტიპი, ვინაიდან ისინი ისეა მოწყობილი, რომ შეუძლებელია მათი იმგვარი წესით დამუშავება, როგორც ეს სამკურნალო დაწესებულების შესაბამის ოთახებში უნდა ხდებოდეს. აღსანიშნავია, რომ სველი წერტილები სხვადასხვა დაწესებულებებში სხვადასხვა პრინციპითაა განთავსებული. შხაპი, გამონაკლისების გარდა (ქალთა N5-ის და გეგუთის N14-ის ზოგიერთი საკანი) ყოველთვის გარეთ მდებარეობს, ტუალეტი ზოგჯერ საკან-პალატაშია, ზოგჯერ კი – სამედიცინო ნაწილის დერეფანში. აღნიშნულის გამო, პაციენტთა ადეკვატური მოვლის პირობები შეუსაბამოა არსებული მოთხოვნებისადმი.

რამდენიმე დაწესებულებაში, რენტგენოლოგიური აპარატურა სტაციონარული ფორმისაა და ადგილზეა დამონტაჟებული. ეს დაწესებულებებია N18, N19 და N12.. გეგუთის N14 დაწესებულებაში კი არსებობს პორტატული რენტგენის აპარატი, რომელსაც პერიოდულად გადააქვთ ქუთაისის N2 დაწესებულებაში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აპარატურის ექსპლუატაცია მიმდინარეობს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 4 მარტის N 41/ნ ბრძანების (სამედიცინო რენტგენურ-რადიოლოგიური დიაგნოსტიკური პროცედურებისა და მკურნალობის დროს რადიაციული დაცვის უზრუნველყოფის სანიტარიული ნორმების დამტკიცების შესახებ) მოთხოვნათა გაუთვალისწინებლად და სრული იგნორირებით. რაც შეეხება რენტგენოლოგიური და ექსოკოპიური გამოკვლევების ორგანიზებას, ამ მხრივ დაწესებულებებში მდგომარეობა ბოლო პერიოდში შედარებით მოწესრიგდა. რადიოლოგიური მომსახურების სიხშირე / პერიოდულობა, ასევე მომსახურების წესი პენიტენციური სისტემის სხვადასხვა დაწესებულებაში განსხვავებულია. ზოგიერთ დაწესებულებაში ექსოკოპისტი და რენტგენ-ლაბორანტი პერიოდულად დადიან და ატარებენ გამოკვლევებს, ზოგიერთ შემთხვევაში კი, მათი მისვლა არ არის რაიმე წესით ნორმირებული და მთავარი ექიმების განმარტებით „მხოლოდ საჭიროებისამებრ იძახებენ“, თუმცა სწორედ ასეთ დაწესებულებებში ჩატარებული შესწავლით აღმოჩნდა, რომ „საჭიროების შემთხვევაში“ ნიშნავს ან გამოძახებათა და ჩატარებული კვლევების მინიმალურ დონეს, ან პაციენტების ამ სერვისის გარეშე დატოვებას. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული დეტალები შეკრებულია ქვემოთ მოყვანილ ცხრილებში:

2011 წლის პირველი ნახევარი

№	დაწესებულებს დასახელება	რენტგენის აპარატურა	რენტგენოლოგიური კვლევის ორგანიზება		ექსოკოპიური კვლევის ორგანიზება	
			Rნ-ლაბორ მოსვლის სიხშირე	ჩატარებული კვლევების რაოდენობა	ექსოკოპ. მოსვლის საიხშირე	ჩატარებული კვლევების რაოდენობა

1	№1 დაწესებულება	კონსულტანტის	თვეში 1X	140	თვეში 1X	102
2	№2 დაწესებულება	კონსულტანტის	კვირაში 1X	281	კვირაში 1X	288
3	№3 დაწესებულება	კონსულტანტის	კვირაში 1X	55	კვირაში 1X	197
4	№4 დაწესებულება	კონსულტანტის	თვეში 1X	35	თვეში 1X	40
5	№5 დაწესებულება	კონსულტანტის	ხელშეკრ.	213	ადგილზე	199
6	№6 დაწესებულება	კონსულტანტის	თვეში 1X	230	თვეში 1X	106
7	№7 დაწესებულება	კონსულტანტის	საჭიროებ	7	საჭიროებ	5
8	№8 დაწესებულება	კონსულტანტის	თვეში 1X	185	ადგილზე	86
9	№9 დაწესებულება	კონსულტანტის	საჭიროებ	3	საჭიროებ	25
10	№11 დაწესებულება	კონსულტანტის	საჭიროებ	6	საჭიროებ	8
11	№12 დაწესებულება	სტაციონარული	თვეში 2X	96	თვეში 2X	52
12	№13 დაწესებულება	კონსულტანტის	საჭიროებ	25	საჭიროებ	21
13	№14 დაწესებულება	პორტატული	კვირაში 1X	321	კვირაში 1X	352
14	№15 დაწესებულება	კონსულტანტის	კვირაში 1X	348	თვეში 2X	245
15	№16 დაწესებულება	კონსულტანტის	თვეში 2X	244	თვეში 2X	302
16	№17 დაწესებულება	კონსულტანტის	თვეში 2X	390	თვეში 2X	316
17	№18 დაწესებულება	სტაციონარული	ადგილზე	1961	ადგილზე	1063
18	№19 დაწესებულება	სტაციონარული	ადგილზე	1642	თვეში 1X	101
				6182		3508

2011 წლის მეორე ნახევარი:

№	დაწესებულების დასახელება	რენტგენის აპარატურა	რენტგენოლოგიური კვლევის ორგანიზება		ექსოკოპიური კვლევის ორგანიზება	
			R-ლამბორ მოსვლის სიხშირე	ჩატარებული კვლევების რაოდენობა	ექსკომ. მოსვლის სიხშირე	ჩატარებული კვლევების რაოდენობა
1	№1 დაწესებულება	კონსულტანტის	თვეში 1X	168	თვეში 1X	40
2	№2 დაწესებულება	კონსულტანტის	კვირაში 1X	308	კვირაში 1X	254
3	№3 დაწესებულება	კონსულტანტის	კვირაში 1X	40	კვირაში 1X	176
4	№4 დაწესებულება	კონსულტანტის	თვეში 1X	39	თვეში 1X	31
5	№5 დაწესებულება	კონსულტანტის	ხელშეკრ.	127	ადგილზე	243
6	№6 დაწესებულება	კონსულტანტის	თვეში 1X	213	თვეში 1X	108
7	№7 დაწესებულება	კონსულტანტის	საჭიროებ	5	საჭიროებ	8
8	№8 დაწესებულება	კონსულტანტის	თვეში 1X	164	ადგილზე	42
9	№9 დაწესებულება	კონსულტანტის	საჭიროებ	19	საჭიროებ	95
10	№11 დაწესებულება	კონსულტანტის	საჭიროებ	16	საჭიროებ	4
11	№12 დაწესებულება	სტაციონარული	თვეში 2X	27	თვეში 2X	95
12	№13 დაწესებულება	-	-	-	-	-
3	№14 დაწესებულება	პორტატული	კვირაში 1X	365	კვირაში 1X	221

14	№15 დაწესებულება	კონსულტანტის	კვირაში 1X	337	თვეში 2X	144
15	№16 დაწესებულება	კონსულტანტის	თვეში 2X	227	თვეში 2X	181
16	№17 დაწესებულება	კონსულტანტის	თვეში 2X	237	თვეში 2X	181
17	№18 დაწესებულება	სტაციონარული	ადგილზე	1808	ადგილზე	900
18	№19 დაწესებულება	სტაციონარული	ადგილზე	1563	თვეში 1X	74
				5663		2866

როგორც ცხრილიდან ჩანს, სულ საანგარიშო პერიოდში, კონსულტანტთა სიარულის აღწერილი რეჟიმის ან ადგილობრივი აპარატურის გამოყენების პირობებში ჩატარებულია 11845 (6182 + 5663) რენტგენოლოგიური კვლევა (შედის, როგორც რენტგენოგრაფია, ისე რენტგენოსკოპია), ასევე 6374 (3508 + 2866) სონოგრაფიული კვლევა.

აღსანიშნავია, რომ რუსთავის ქალთა N5 და გლდანის N8 დაწესებულების აღჭურვის შემდეგ, ექსკოპიის აპარატი ადგილობრივ სამედიცინო ნაწილში მუდმივად არის.

რაც შეეხება საანგარიშო პერიოდში გამოკვეთილ ინფრასტრუქტურულ ცვლილებებს, ეს უკანასკნელი იმაში მდგომარეობს, რომ რუსთავის N6 და თბილისის N8 დაწესებულებებში მოწყობილ იქნა ე.წ. პირველადი ჯანდაცვის პუნქტები, სადაც ახალი პროგრამით გადამზადებულ ოჯახის ექიმებს, სხვა პერსონალთან ერთად უწევთ მუშაობა.

რუსთავის N6 დაწესებულების მთავარი ექიმის განმარტებით, პილოტური პროგრამა, რომის ფარგლებშიც ჩამოყალიბდა ე.წ. პირველადი ჯანდაცვის პუნქტები ზაფხულის შუა პერიოდში დაიწყო. პროგრამის მიზანია გაიზარდოს პაციენტთა და ექიმს შორის კომუნიკაცია. ამ მიზნით, დილის შემოწმების შემდეგ, პატიმართა გარკვეულ რაოდენობას (რომლებიც დაიყო ჯგუფებად) შემოვიღის პირველადი ჯანდაცვის ექთანნი და გადაწვევტს ექიმის ვიზიტის მიზანშეწონილობას ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში. თითოეულ ექიმსა და ექთანს ჩაბარებული ეყოლებათ 400 კაციანი კონტინგენტი, რომელთა ჯანდაცვაზეც ისინი აიღებენ პასუხისმგებლობას. ასეთი პრინციპით მომუშავე სამედიცინო პერსონალს, კორპუსებზე მოუწყვეს ოთახები, ე.წ. პუნქტები. ამ პუნქტებში განხორციელდება პაციენტთა მიღება, მანიპულაციის ან სხვა სახის დახმარების გასაწევად კი, პატიმარს ჩაიყვანენ სამედიცინო ნაწილში. ექთანი გააკონტროლებს ექიმის მიერ მიცემული დანიშნულების შესრულებას. დღის განმავლობაში დანიშნულების შესაბამისად დარიგდება ყველა მედიკამენტი. ღამით განხორციელდება მხოლოდ ინიექციები. მთავარი ექიმის განცხადებით, მან დააყენა საკითხი ექიმის შტატის დამატებასთან დაკავშირებით, რომელიც ასევე იქნება სრულად ბაზირებული სამედიცინო ნაწილში, თუმცა აღნიშნული პრობლემა ჯერ არ არის გადაწყვეტილი. მთავარი ექიმის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ახალ სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით, სამედიცინო პუნქტში დამატებით შემოიტანეს კარდიოგრაფი და დეფიბრილატორი. რაც შეეხება პირველადი ჯანდაცვის პუნქტებს, ისინი აღჭურვეს ავეჯით, ადგილზე გადაიტანეს პატიმართა სამედიცინო ბარათები, ექიმები კი აღჭურვეს

გლუკომეტრებით, ოტოსკოპით, ნევროლოგიური ჩაქუჩით, სამედიცინო სანათით და ლუპით, რომელიც დაეხმარება მათ საქმიანობის შესრულებაში. მთავარი ექიმის განცხადებით, მათთვის ჯერ არ დაურიგებიათ მოქმედი გაიდლაინები, რომლის მიხედვითაც უნდა განხორციელდეს სამედიცინო მომსახურება კონკრეტული ნოზოლოგიების დროს. ასევე აქვთ გარკვეული შეზღუდვა მედიკამენტების მომარაგების მხრივაც. პირველადი ჯანდაცვის მოდელზე გადასვლის პილოტური პროგრამის განხორციელების დაწყების შემდეგ, დაწესებულებაში ღამის საათებში ექიმადარ მორიგეობს. მორიგეობას მხოლოდ ექთანს ასრულებს. ასეთ შემთხვევაში, მათ მიეცათ მითითება, საჭიროების შემთხვევაში გამოიძახონ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადა.. საქართველოს სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ აღნიშნული მიდგომა გაუმართლებელია, ვინაიდან ექიმის საქმიანობას დაწესებულებაში ვერ ჩაანაცვლებს ექთანს, სასწრაფო სამედიცინო დახმარების გამოყენება ამ ვაკუუმის ამოვსების მცდელობისათვის არაეფექტური და დაუშვებელი ქმედებაა. რუსთავის N6 დაწესებულებაში, 2011 წლის პირველ ნახევარში მომხდარი ფაქტი, რომელიც პაციენტის გარდაცვალებით დასრულდა, ამყარებს ჩვენს პოზიციებს და დღის წერტილში აბრუნებს ექიმთა მორიგეობის აღდგენის სავალდებულო ფორმას. რაც შეეხება ამ კონკრეტულ შემთხვევას, 2011 წლის 09.იანვარს ს გარდაიცვალა 55 წლის პატიმარი ვ.ქ. როგორც სამედიცინო ბარათში გაკეთებული ჩანაწერებით ირკვევა, გარდაცვალებამდე 2 დღით ადრე პაციენტს მიუმართავს ექიმისთვის, რა დროსაც უჩიოდა საერთო სისუსტეს, მუცლის არეში მოვლითი ხასიათის ტკივილს, გულისრევას და პირღებინებას. არტერიული წნევის, ტემპერატურის და პულსის მაჩვენებელი არ იპყრობს ყურადღებას. მუცელი გასინჯვით რბილია, მგრძობიარეა მეზოგასტრიუმის არე. სუნთქვა ნორმალური, ტარდება ორივე მხარეს. პაციენტი აღნიშნავს, რომ აღნიშნული მოვლენების დაწყებას უკავშირებს საკვების მიღებას. ექიმმა მიიჩნია, რომ საქმე ეხებოდა საკვებისმიერ ინტოქსიკაციას, რის გამოც პაციენტმა მიიღო რეჰიდრონი, ცერუკალი და გადაესხა გლუკოზა „B“ ჯგუფის ვიტამინების კომპლექსთან ერთად. იმავე ღამეს, 02:40 სთ-ზე, პაციენტი წევს საკნის იატაკზე, კანის საფარველი ციანოზურია, პირიდან გამოიყოფა ქაფი, პულსი პერიფერიაზე და საძილე არტერიებზე არ აღენიშნება, არტერიული წნევა არ ისინჯება, არ სუნთქვას. მსჯავრდებული გადაყვანილ იქნა სამედიცინო ნაწილში, დაეწყო გულის პირდაპირი მასაჟი და ხელოვნური სუნთქვა ამბუს პარკით, ინტრავენურად გაუკეთდა ადრენალინი, ატროპინი და მეზატონი, კალციუმის ქლორიდი. მიუხედავად ამისა, ჩატარებულმა ღონისძიებებმა შედეგი ვერ გამოიღო და პაციენტი გარდაიცვალა. ექიმთა აზრით, დიაგნოზის სახით გამოტანილ იქნა - უცვარი სიკვდილი, გულის მწვავე უკმარისობა. გამომახებულ იქნა სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადა, რომელმაც ასევე მოახდინა სიკვდილის კონსტატაცია. სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით, პაციენტის სიკვდილის მიზეზი გახდა მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტი. ასე დადგინდა გულის იშემიური დაავადების შორსწასული ფორმა, კორონარტი, ფილტვების შემუშება, პნევმონია. ექსპერტიზის დასკვნაში ჩამოთვლილი არც ერთი დაავადება, პაციენტის სიცოცხლის პერიოდში არსებულ ჩანაწერებში არ ფიგურირებს და არც ეჭვი ყოფილა აღნიშნულზე მიტანილი. პაციენტს არ ჩასტარებია ეკვ კვლევა, სისხლში ფერმენტების განსაზღვრა და მთელი რიგი ის გამოკვლევები, რასაც ამგვარი მდგომარეობებისას

თანამედროვე სტანდარტი ითვალისწინებს. აქედან გამომდინარე, შეუძლებელია იმის დაჯერება, რომ ექთანი ასეთ პრობლემებს დამის და არასამუშაო საათებში გაუმკლავდება და მოახდენს ლეტალური შედეგის პრევენციას.

რაც შეეხება გლდანის N8 დაწესებულებას, აქ ღამით ექიმი კვლავ რჩება სამორიგოდ. პირველადი ჯანდაცვის რეფორმის პილოტური პროგრამა აქაც იწერება. კორპუსებში მოწყობილ იქნა პირველადი ჯანდაცვის პუნქტები, შესაბამისი ავეჯით, წნევის აპარატებით, ფონენდოსკოპებით, სიმაღლის საზომებით და სასწორებით. გარდა ამისა, სამედიცინო პუნქტს გადაეცა კარდიოგრაფი, ექოსკოპიის აპარატი, დეფიბრილატორი, ოტოსკოპი, ოფთალმოსკოპი, სამედიცინო სანათი, გლიკომეტრი და პირველადი სამედიცინო დახმარების ყუთები. N8 დაწესებულების მთავარი ექიმის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, 1-ლ და მე-2 კორპუსზე უკვე არსებობს პირველადი ჯანდაცვის ასეთი კაბინეტები. მოხდა პატიმართა კონტინგენტის დაყოფა და ყველა ნაწილს ჰყავს მისთვის გამოყოფილი პირველადი ჯანდაცვის ექიმი. კადრების დეფიციტი მთავარი ექიმის აზრით N8 დაწესებულებაში არ არსებობს. რაც შეეხება ახლადშემოსულ პატიმრებს, მათ სამედიცინო შემოწმებაზე პასუხისმგებელი პირი მუდმივად იმყოფება კარანტინში და იგი პილოტურ პროგრამაში არ მონაწილეობს. მთავარი ექიმის აზრით აღნიშნულის შედეგად გაიზარდა დაავადებათა გამოვლინებების რიცხვი და საქმიანობის ეფექტურობა გაუმჯობესდა.

როგორც მონიტორინგის ჯგუფის მიერ იქნა შესწავლილი, ზემოთ აღნიშნული ორივე დაწესებულების სამედიცინო პუნქტები 2011 წლის განმავლობაში აღიჭურვა დამატებითი სამედიცინო ინვენტარით, რაც მისასაღმებელი ფაქტია. ამ მხრივ მნიშვნელოვანი გაუმჯობესებაა ქალთა N5 დაწესებულების სამედიცინო ნაწილშიც. აქ სამედიცინო ნაწილს გააჩნია მთლიანად ახალი ინფრასტრუქტურა. თავად სამედიცინო ნაწილი განთავსებულია იზოლირებულად ცალკე მდგომ „B“ კორპუსში. პირველ სართულზე განთავსებულია მთავარი ექიმის სამუშაო ოთახი, საორდინატორი, ქირურგიული შესახვევი, გადაუდებელი ინტენსიური პალატა, სტომატოლოგიური კაბინეტი, სამანიპულაციო, გინეკოლოგიური კაბინეტი და აფთიაქი (ცალკე შესასვლელით, რომელიც შენობასთან ფანჯრითაა დაკავშირებული). აქვეა განთავსებული ასევე საშხაპეები, რენტგენოლოგიური კაბინეტი, სველი წერტილები და 4 პალატა (ერთი - 2 კაციანი, ერთი - 4კაციანი და სამი - 5 კაციანი). მეორე სართულზე განთავსებულია შიდსის ლაბორატორია, 1 პაციენტის გამოსაკვლევი და საკონსულტაციო ოთახი და მედპერსონალის გასახდელი. ამ სართულზე ასევე განლაგებულია ორი -4 კაციანი პალატა, ხუთი - 5 კაციანი პალატა და ორი -2 კაციანი პალატა, პაციენტთა სტაციონარული მომსახურების უზრუნველსაყოფად. გადაუდებელი ინტენსიური პალატა წარმოადგენს დაახლოებით 17 კვადრატული მეტრის ფართობის ოთახს, რომელიც აღჭურვილია დეფიბრილატორით, ელექტოკარდიოგრაფით, კარდიომონიტორებით, ექოსკოპიის აპარატით. აქვეა განთავსებული სამედიცინო კარადა, ხელსაბანი, წამლების მაგიდა, სამანიპულაციო მაგიდა, მედიკამენტების კარადა და შტატივი. სამანიპულაციო ოთახი 35 კვადრატული მეტრის ფართობისაა. მასში განთავსებულია 2 სამედიცინო ტახტი, კარადები, მაგიდა, სკამები, წამლების კარადა და ბიქსები. ქირურგიული სამანიპულაციო 12 კვადრატული

მეტრის ფართობისაა, სადაც განთავსებულია სამანიპულაციო მაგიდა, 2 სტერილიზატორი, განათების წყარო, სადეზინფექციო ხსნარები, იარაღების 2 მაგიდა და ექიმის მაგიდა. გინეკოლოგის ოთახში განთავსებულია გინეკოლოგიური სავარძელი, წამლების კარადა, განათების წყარო, სამედიცინო ტახტი, მაგიდა და სკამები. აივ ინფექცია/შიდსის ოთახი მოწყობილია მე-2 სართულზე, რომელიც 2 ცალკე გადატიხრულ სათავსოს წარმოადგენს. მასში განთავსებულია მაცივარი კარადა, მაგიდა და სკამები. მისაღებ ოთახში განთავსებულია ხელსაბანი, მაგიდა და სკამები. კონსულტაციების ოთახში არის მხედველობის სიმახვილის შესამოწმებელი ტაბლო. აღსანიშნავია, რომ სამედიცინო ნაწილში არის მოწყობილი ციხის პერსონალის სამორიგეო, რომელთა წარმომადგენლები მუდმივად იმყოფებიან ნაწილის ტერიტორიაზე. რაც შეეხება ქალთა N5 დაწესებულებების ტუბპალატებს, ისინი ცალკე ერთსართულიანი შენობის სახით არის იზოლირებული. მასში განთავსებულია წამლების დასარიგებელი ოთახი (ავეჯი - ტახტი, კარადა, ხელსაბანი, მაგიდა, საბუთების კარადა) და 3 პალატა. შენობას აქვს ცალკე სასეირნო ეზო. სწორედ ამ შენობაში დადიან ტუბერკულოზის ეროვნული პროგრამის ექთნები. შენობის დერეფანში განთავსებულია საერთო მაგიდა კვებისათვის, სარეცხი მანქანა, მაცივარი. ყველა პალატაში არის საშხაპე და ტუალეტი.

რაც შეეხება სასჯელაღსრულების სხვა დაწესებულებათა სამედიცინო ნაწილებს, 2011 წლის განმავლობაში მათ მატერიალურ ბაზას დაემატა პირველადი ჯანდაცვის ყუთები. სხვა მხრივ, წვრილმანი სამედიცინო ინვენტარის გარდა მათი მარაგი არაფრით შევსებულია.

საქართველოს სახალხო დამცველი უკვე რამდენიმე წელია ყველა ანგარიშში აღნიშნავდა, რომ წლების განმავლობაში მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამკურნალო დაწესებულება სამედიცინო საქმიანობის შესაბამისი ლიცენზიის გარეშე მუშაობდა. მიუხედავად იმისა, რომ სასჯელაღსრულების, ისე ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები განმარტავდნენ, რომ ამგვარი ლიცენზია დაწესებულებას არ ესაჭიროება, საქართველოს სახალხო დამცველი არ იზიარებდა აღნიშნულ მოსაზრებას. ის არგუმენტები, თუ რატომ არ იყო დამაჯერებელი და საკმარისო ჯანდაცვისა და სასჯელაღსრულების სამინისტროების პოზიციები განხილულია დეტალურად წინა წლების ანგარიშებსა და სპეციალურ ანგარიშებში. აღნიშნულ საკითხებზე კამათი და დებატები მიმდინარეობდა ასევე საქართველოს პარლამენტის საკომიტეტო მოსმენების დროს. შექმნილი სიტუაციის ფონზე, მისასალმებელია ის ფაქტი, რომ 2011 წლის 8 აპრილს, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს უფროსის 02-176/ო ბრძანების შესაბამისად, მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამკურნალო დაწესებულებაზე გაიცა სტაციონარული დაწესებულების ნებართვა.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს უფროსის მიერ 2011 წლის 13 მაისს გამოგზავნილი წერილის (02/13810) მიხედვით, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს ეცნობა, რომ „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ

საქართველოს კანონის (2010 წლის 1 დეკემბრის რედაქციით) 1 მუხლის მე-2 პუნქტის და 2010 წლის 17 დეკემბრის საქართველოს მთავრობის N385 დადგენილების მე-7 მუხლის გათვალისწინებით ... საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამკურნალო დაწესებულებამ, სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოში შემოიტანა იმ სამედიცინო საქმიანობებზე გაცემული სალიცენზიო ბარათები, რომელთა ავტომატურად შესაბამისი ნებართვით შეცვლას ითვალისწინებს ზემოხსენებული საკანონმდებლო აქტები. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს მიერ (08.04.2011) გაიცა სტაციონარული დაწესებულების ნებართვა და ნებართვის დანართები“.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს უფროსის 2011 წლის 8 აპრილის ბრძანების შესაბამისად ნებართვა გაიცა შემდეგ საქმიანობებზე:

	დასახელება	მისამართი	დანართი	საფუძველი
1	საქვეუწყებო დაწესებულება - სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეული „საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს N18 მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამკურნალო დაწესებულება	ქ. თბილისი გლდანის მე-7 მ/რ მე-2 კმ	1) ინფექციურ დაავადებათა მკურნალობა; 2) ფთიზიატრია; 3) ფსიქიატრია; 4) ქირურგიული პროფილი; 5) რეანიმაცია; 6) რადიოლოგიური სამქიანობა-რენტგენოლოგიური კვლევა; 7) ონკოლოგია; 8) ოტორინოლარინგოლოგია; 9) ოფთალმოლოგია	ადგილზე შემოწმების აქტი N33 06.04.2011 წ. მოხსენებითი ბარათი 07.04.2011 წ.

აღნიშნული ნაბიჯის გადადგმა რა თქმა უნდა მისასაღმებელია, თუმცა პროცესის შემდეგ მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა N18 დაწესებულებას მკვეთრად გაეზარდა პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება ჯანდაცვის სახელმწიფო მარეგულირებლის მიმართ. მიუხედავად ამისა, მონიტორინგის დროს ცვლილებები N18 დაწესებულების საქმიანობაში დადგენილი ვერ იქნა. ერთადერთი ცვლილება, რაც განხორციელდა, იმაში მდგომარეობს, რომ საწოლთა რაოდენობა შემცირდა 180-მდე, თუმცა, აღნიშნული ცვლილება მხოლოდ ფურცელზე განხორციელდა, პატიმართა

რაოდენობა კი, დაწესებულებაში იგივე დარჩა. დღეის მდგომარეობით დაწესებულება სულ 180 საწოლზეა გათვლილი. განყოფილებების მიხედვით საწოლთა რაოდენობა შემდეგნაირად ნაწილდება:

	განყოფილების დასახელება	საწოლთა რაოდენობა
1	თერაპიული განყოფილება	40
2	ქირურგიული განყოფილება	66
3	ინფექციური განყოფილება	40
4	ფსიქიატრიული განყოფილება	26
5	ანესთეზია-რეანიმაციის და ინტენსიური თერაპიის განყოფილება	8

მონიტორინგის ჯგუფმა აღმოაჩინა არაერთი დარღვევა თუ ნაკლოვანება, რომლებიც დაწესებულების სანებართვო პირობებთან შეუსაბამობაშია. უპირველეს ყოვლისა, აღნიშნული ეხება საწოლთა რაოდენობის ფორმალურ შემცირებას და დაწესებულება კვლავაც აგრძელებს პაციენტთა „მკურნალობასა და დიაგნოსტიკას“ იმ სფეროებში, რომლებსაც სანებართვო პირობები და დანართები არ ითვალისწინებს. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი იმედს გამოთქვამს, რომ აღნიშნული ნაკლოვანებები უახლოეს პერიოდში გამოსწორდება და მოექცევა კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმების ფარგლებში.

რაც შეეხება ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა N19 სამკურნალო დაწესებულებას, მისი დებულება ასევე იქნა დამტკიცებული საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2011 წლის 30 მაისის №97 ბრძანებით (პატიმრობის, თავისუფლების აღკვეთის, შერეული ტიპის ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა დაწესებულებების, ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებისა და ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულების დებულებების დამტკიცების შესახებ), რომლის მე-5 დანართადაც არის წარმოდგენილი. დანართში ზოგადი დებულებები, დაწესებულების მიზნები და ამოცანები, ფუნქციები, უფლებამოსილებები და ვალდებულებები და ხელმძღვანელობა - მართვა აბსოლუტურად იგივე პრინციპებზეა დაფუძნებული, როგორც მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა N18 დაწესებულების შემთხვევაში; დებულებაში გათვალისწინებულია ის სპეციფიკა, რომელიც ტუბერკულოზით დაავადებულთა მკურნალობას ახლავს თან. სამკურნალო დაწესებულების სტრუქტურის შესახებ საუბარია მე-18 მუხლში. აქაც სტრუქტურა ორ ნაწილადაა გაყოფილი: ადმინისტრაციულ და სამედიცინო ნაწილებად. სამედიცინო ნაწილის სტრუქტურულ ერთეულებად კი წარმოდგენილია: ა) რეზისტენტული

ტუბერკულოზის განყოფილება; ბ) სენსიტიური ტუბერკულოზის განყოფილება; გ) ამბულატორიული განყოფილება. სამედიცინო ნაწილის ძირითადი ამოცანაა მსჯავრდებულთათვის სამედიცინო დახმარების გაწევა, სამკურნალო დაწესებულების სამედიცინო კონტროლის და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლება/მოვალეობების განხორციელება. დებულებაში ასევე ნათქვამია, რომ სამკურნალო დაწესებულებაში ფუნქციონირებს პათოლოგ-ანატომიური კონსილიუმი, თანამშრომელთა თანამდებობრივი ინსტრუქციები და დღის განრიგი, სამკურნალო დაწესებულებისა და თანამშრომელთა მუშაობის გეგმა (კვარტალური, წლიური). რაც შეეხება „პათოლოგ-ანატომიურ კონსილიუმს“, აღსანიშნავია, რომ ამგვარ ცნებას საქართველოს ჯანდაცვის კანონმდებლობა საერთოდ არ იცნობს. საქართველოს კანონში „საექიმო საქმიანობის შესახებ“, განმარტებულია რა არის კონსილიუმი და რა მიზანს ემსახურება იგი, თუმცა დებულებაში კონსილიუმისათვის მინიჭებული ფუნქცია სცდება ამ დეფინიციას. რეზისტენტული ტუბერკულოზის განყოფილება ახორციელებს რეზისტენტული ტუბერკულოზით დაავადებული პაციენტების სტაციონარულ და ამბულატორულ სამედიცინო მომსახურებას ქვეყანაში არსებული სტანდარტების მიხედვით. საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფს ამბულატორიულად შემოსულ პაციენტთა კონსულტაციას. აუცილებლობის შემთხვევაში უზრუნველყოფს შესაბამისი სპეციალისტის მივლინებას პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში პაციენტთა საკონსულტაციოდ. სენსიტიური ტუბერკულოზის განყოფილება ახორციელებს ტუბერკულოზით დაავადებული პაციენტების სტაციონარულ და ამბულატორულ სამედიცინო მომსახურებას ქვეყანაში არსებული სტანდარტების მიხედვით. საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფს ამბულატორიულად შემოსულ პაციენტთა კონსულტაციას. აუცილებლობის შემთხვევაში უზრუნველყოფს შესაბამისი სპეციალისტის მივლინებას პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში პაციენტთა საკონსულტაციოდ. რაც შეეხება ამბულატორულ განყოფილებას, დებულების მიხედვით, ეს უკანასკნელი ახორციელებს ტუბერკულოზით დაავადებული პაციენტების ამბულატორულ სამედიცინო მომსახურებას ქვეყანაში არსებული სტანდარტების მიხედვით. საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფს პაციენტთა კონსულტაციას. აუცილებლობის შემთხვევაში უზრუნველყოფს შესაბამისი სპეციალისტის მივლინებას პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში პაციენტთა საკონსულტაციოდ. სამწუხაროდ, დებულების 23-ე მუხლის, მე-4 პუნქტი, ისევე როგორც N18 დაწესებულების შემთხვევაში, განმარტავს, რომ „თუ მსჯავრდებული განზრახ უხეშად არღვევს სამკურნალო დაწესებულების დებულებას, დღის განრიგს ან/და სამკურნალო რეჟიმს, სამკურნალო დაწესებულების დირექტორი უფლებამოსილია მთავარი ექიმის წარდგინებით დააყენოს საკითხი დაწესებულებიდან მსჯავრდებულის შესაბამის დაწესებულებაში გადაყვანის შესახებ, თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული“. აქაც აშკარაა, რომ პაციენტის ჯანმრთელობის ინტერესებთან შედარებით, რეჟიმის ინტერესებს უპირატესი მნიშვნელობა აქვს, რაც ნამდვილად ვერ შეუწყობს ხელს პენიტენციურ სისტემაში ტუბერკულოზის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების განხორციელებას.

მედიკამენტებით მომარაგება და აფთიაქის საქმიანობა:

მედიკამენტებით მომარაგების საკითხი სხვადასხვა სასჯელადსრულების დაწესებულებებში განსხვავებულია. მიუხედავად იმისა, რომ 2010-11 წლებში მოხდა მედიკამენტების შესაძენად გამოყოფილი თანხის გაზრდა, ადგილზე არსებული მედიკამენტების ჩამონათვალი აბსოლუტურად ვერ აკმაყოფილებს იმ ჯანდაცვითი საჭიროებების მოგვარებას, რომლებიც სასჯელადსრულების დაწესებულებებშია შექმნილი. მედიკამენტების მიწოდება ზოგან შეფერხებულია. მედიკამენტების სხვადასხვა ჯგუფების შესაძენად სატენდერო სისტემის არასწორმა დანერგვამ ასევე მრავალი ორგანიზაციული და ტექნიკური პრობლემა შექმნა. ტენდერები ხშირად დაგვიანებულად ტარდება, რაც იწვევს მედიკამენტების მიწოდების შეფერხებას. ფარმაცევტულ ბაზარზე, ზოგადად, მედიკამენტების ფასების მატებამ პრობლემები შექმნა პენიტენციური ჯანდაცვის სფეროშიც. გამოყოფილი თანხებით შეუძლებელია ძვირადღირებული მედიკამენტების მოთხოვნა და შეტანა სამედიცინო ნაწილებში ან მათი რაოდენობა არასაკმარისია, რაც მკურნალობის კურსის ადეკვატურად ჩატარების საშუალებას არ იძლევა. აფთიაქების საქმიანობა სამედიცინო ნაწილებში ძირითადად წარმართებოდა დარგის სპეციალისტების მიერ. 2010 წლის მეორე ნახევრიდან აფთიაქებს გადაერქვათ სახელი და ეწოდათ „წამლების სამარაგო“, ხოლო პერსონალს – „წამლების სამარაგოზე პასუხისმგებელი პირი“. ამ თანამდებობაზე შესაძლებელია დაინიშნოს არაფარმაცევტული განათლების მქონე პირიც. მიუხედავად ამისა, 2011 წლიდან, სასჯელადსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრომ, გამოაცხადა, რომ პენიტენციური ჯანდაცვის სისტემის რეფორმა შეეხო აფთიაქებსაც, რაც იმაში გამოიხატება, რომ აფთიაქები გახდნენ ლიცენზირებული.

პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ შესწავლილ იქნა საქართველოს სასჯელადსრულების, პრობაციისა და სოციალური დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელადსრულების დეპარტამენტის დაწესებულებების მომარაგება წამლებითა და სამედიცინო დანიშნულების საგნებით 2011 წლის განმავლობაში. როგორც აღმოჩნდა, ამ მხრივ არაერთგვაროვანი სიტუაციაა შექმნილი სხვადასხვა დაწესებულებებში. თუ წინა წლებში, წამლების შემენისათვის განკუთვნილი თანხა წინასწარ იყო განსაზღვრული თითოეული დაწესებულებისათვის, წელს ეს პრაქტიკა შეცვლილია, იმ თვალსაზრისით, რომ ასეთი ე.წ. „მკაცრად დაწესებული ლიმიტი“ აღარ არსებობს. ამ მიდგომამ მდგომარეობის გაუმჯობესება განაპირობა, თუმცა ცალკეულ დაწესებულებებში პრობლემები მაინც რჩება. წამლების შესაძენად გამოყოფილი თანხის ანალიზი და დაწესებულებებში მომუშავე ფარმაცევტული განათლების მქონე პირების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია ქვემოთ:

№	დაწესებულების დასახელება	წამლებისთვის გამოყოფილი თანხა ლარებში	
		I ნახევარი	II ნახევარი

1	№1 დაწესებულება	6497	33241,3
2	№2 დაწესებულება	13159	4361,53
3	№3 დაწესებულება	3927	3180,71
4	№4 დაწესებულება	7296	3050,01
5	№5 დაწესებულება	22519	36833,2
6	№6 დაწესებულება	11382	2644,06
7	№7 დაწესებულება	899	???
8	№8 დაწესებულება	31460	1627,73
9	№9 დაწესებულება	11747	25222,2
10	№11 დაწესებულება	2689	847,1
11	№12 დაწესებულება	3039	0
12	№13 დაწესებულება	4022	-
13	№14 დაწესებულება	22053	12790,2
14	№15 დაწესებულება	7680	0
15	№16 დაწესებულება	4902	0
16	№17 დაწესებულება	14210	41556,2
17	№18 დაწესებულება	130021	29736,8
18	№19 დაწესებულება	35726	206167,
ს უ ლ:		333228	401258

საქართველოს კანონი „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ მიზნად ისახავს, ხელი შეუწყოს სანდო ფარმაცევტულ პროდუქტზე მოსახლეობის ხელმისაწვდომობის ზრდას, რის უზრუნველსაყოფადაც ადგენს ფარმაცევტული პროდუქტის მიმოქცევის რეგულირების სამართლებრივ საფუძვლებს და ამ სფეროში ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლება-მოვალეობებს. კანონით გათვალისწინებული რეგულირების სფერო ვრცელდება ასევე ფარმაცევტული პროდუქტის მიმოქცევაზე, რომელიც მოიცავს ფარმაცევტული პროდუქტის მომზადებას, წარმოებას, სტანდარტიზაციას, ხარისხის კონტროლს, შეფუთვას, შესყიდვას, გადაგზავნა-გადაზიდვას, შენახვას, გაყიდვას, მის შესახებ მოსახლეობისა და სპეციალისტების ინფორმირებას, მის რეკლამას, მარკეტინგს, ექსპორტს, იმპორტს, რეექსპორტს, გამოყენებას, განადგურებას და ფარმაცევტულ პროდუქტთან დაკავშირებულ სხვა მოქმედებებს.

სასჯელალსრულების დაწესებულებების სპეციფიკიდან გამომდინარე, უპირველეს ყოვლისა გასათვალისწინებელია ფარმაცევტული პროდუქტის საცალო რეალიზაციის პრინციპები. ამ უკანასკნელს ახორციელებს ავტორიზებული აფთიაქი (სპეციალიზებული სავაჭრო ობიექტი), საცალო რეალიზაციის სავაჭრო ობიექტი და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში – ფარმაცევტული განათლების მქონე პერსონალი ან დამოუკიდებელი სამედიცინო საქმიანობის სუბიექტი ფიზიკური პირი. საქართველოს სასჯელალსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ჯანდაცვის რეფორმის განვითარების ერთ-ერთ

მიმართულებას სწორედ სასჯელადსრულების დაწესებულებებში ავტორიზებული აფთიაქების შექმნა და მათ მიერ კანონის შესაბამისად მუშაობის წარმართვა წარმოადგენდა. აღსანიშნავია, რომ ავტორიზებული აფთიაქი ექვემდებარება სანებართვო კონტროლს და მასში დაშვებულია პირველი, მეორე და მესამე ჯგუფებისათვის მიკუთვნებული ფარმაცევტული პროდუქტების რეალიზაცია, აგრეთვე ფარმაცევტული პროდუქტის ოფიციალური ან მაგისტრალური რეცეპტით მომზადება. ამ უკანასკნელის განხორციელება რა თქმა უნდა, შეუძლებელია პენიტენციური სისტემის დაწესებულებებში. სასჯელადსრულების დაწესებულების ავტორიზებულ აფთიაქში, როგორც კანონი ითვალისწინებს, დაშვებულია მეორე და მესამე ჯგუფებისათვის მიკუთვნებული ფარმაცევტული პროდუქტების რეალიზაცია. ავტორიზაციის შემდეგ, სასჯელადსრულების დაწესებულებათა აფთიაქებზე გავრცელდება კანონით დადგენილი ფარმაცევტული პროდუქტის რეალიზატორისადმი წაყენებული მოთხოვნები, კერძოდ ფარმაცევტული პროდუქტის შენახვისა და გაცემის პირობების უზრუნველყოფა და რეალიზებული პროდუქტის სერიის აღრიცხვის განსახორციელებლად აუცილებელი დოკუმენტაციის ადეკვატური წარმოება. ფარმაცევტული პროდუქტის რეალიზატორი, ვალდებულია ასევე დანერგოს ფარმაცევტული პროდუქტის შესანახად თანამედროვე საშუალებები და უზრუნველყოს ფარმაცევტული პროდუქტის ისეთ პირობებში შენახვა და რეალიზაცია, რომლებიც დაიცავს პროდუქტს გარემო ფაქტორების (ტემპერატურა, ტენიანობა) უარყოფითი გავლენებისაგან. ფარმაცევტული პროდუქტის რეალიზატორი ვალდებულია შეინახოს ფარმაცევტული პროდუქტი შესაბამისი პროდუქტის ინსტრუქციით გათვალისწინებული სანიტარულ-ჰიგიენური/ტექნიკური პირობების სრული დაცვით. აფთიაქში ფარმაცევტული პროდუქტის რეალიზაცია, შენახვა და განთავსება ხორციელდება სანიტარულ-ჰიგიენური პირობების სრული დაცვით. მეორე ჯგუფისათვის მიკუთვნებული ფარმაცევტული პროდუქტი მომხმარებლისთვის არ არის ხელმისაწვდომი პასუხისმგებელი პერსონალის გარეშე. ვადაგასული და გაუვარესებული ფარმაცევტული პროდუქტი მის განადგურებამდე ინახება ცალკე და სხვა ფარმაცევტული პროდუქტისაგან იზოლირებულად.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 24 ნოემბერის N 387/ნ ბრძანების შესაბამისად, რომელიც გამოცემულია “წამლისა და ფარმაცევტული საკმიანობის შესახებ” საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, დამტკიცებულია აფთიაქის სანიტარულ-ჰიგიენურ/ტექნიკური პირობები. ბრძანებაში განმარტებულია, რომ აფთიაქში დაშვებულია მეორე და მესამე ჯგუფისათვის მიკუთვნებული ფარმაცევტული პროდუქტის რეალიზაცია, რომელიც ხორციელდება პასუხისმგებელი სამედიცინო ან ფარმაცევტული განათლების მქონე პერსონალის მიერ. აფთიაქში მეორე ჯგუფისათვის მიკუთვნებული ფარმაცევტული პროდუქტი მომხმარებლისათვის არ უნდა იყოს ხელმისაწვდომი პასუხისმგებელი პერსონალის გარეშე, ხოლო მესამე ჯგუფისათვის მიკუთვნებული ფარმაცევტული პროდუქტი შესაძლებელია იყოს ხელმისაწვდომი პასუხისმგებელი პერსონალის გარეშე. აფთიაქის პერსონალი ვალდებულია დაიცვას პირადი ჰიგიენის წესები და

ატაროს დაკისრებული მოვალეობის შესაბამისი ტანსაცმელი (ხალათი, ხელთათმანი – შესაბამისი პროცედურის განხორციელების დროს). ბრძანების მიხედვით მნიშვნელოვანია, რომ აფთიაქის სარეალიზაციო დარბაზის ფართი იძლეოდეს მომხმარებლისათვის ფარმაცევტული პროდუქტების გაცემის და კონსულტაციის მიწოდების შესაძლებლობას. გარდა ამისა, აფთიაქს უნდა გააჩნდეს ფარმაცევტული პროდუქტის ინსტრუქციის შესაბამისი შენახვის რეჟიმის უზრუნველყოფისა და დასაწყობების შესაბამისად აღჭურვილი სამარაგო. კანონქვემდებარე აქტის მიხედვით, აფთიაქში უზრუნველყოფილი უნდა იყოს თამბაქოს მოწვევის აკრძალვა; მომხმარებლის მოთხოვნის შემთხვევაში აფთიაქში ფარმაცევტული პროდუქტის შენახვის მდგომარეობის გაცნობის (დათვალიერების) შესაძლებლობა დამთვალიერებლის მხრიდან ჰიგიენური ნორმების (სანიტარული ტანსაცმლის) დაცვის პირობით. ფარმაცევტული პროდუქტის შენახვის, განთავსებისა და რეალიზაციის პირობები უნდა აკმაყოფილებდეს ფარმაცევტული პროდუქტის ინსტრუქციით და წინამდებარე აქტით დადგენილ მოთხოვნებს, მათ შორის გარემო ფაქტორების (ტემპერატურა, სინათლე, ტენიანობა) ზემოქმედებისაგან დაცვის თვალსაზრისით, პრეპარატის შემადგენელი ინგრედიენტების ფიზიკურ-ქიმიური თვისებების გათვალისწინებით. ვადაგასული და გაუვარგისებული ფარმაცევტული პროდუქტი უნდა ინახებოდეს ცალკე, სპეციალურად ამ მიზნებისათვის განკუთვნილ ადგილას, იზოლირებულად სხვა ფარმაცევტული პროდუქტისაგან. აფთიაქს ძირითად შესასვლელ (მომხმარებელთათვის განკუთვნილ) კართან გარე პერიმეტრზე უნდა გააჩნდეს ვიდეომეთვალყურეობის სისტემა, რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს.

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სხვადასხვა დაწესებულებათა აფთიაქები, ავტორიზაციის შემთხვევაში, სწორედ ზემოთ აღწერილ მოთხოვნებს უნდა შეესაბამებოდეს. მიუხედავად ამისა, მონიტორინგმა გამოავლინა, რომ დადგენილი სტანდარტები ყველა დაწესებულებაში ამ მხრივ დაცული არ არის.

2011 წლის ბოლოსთვის პენიტენციურ სისტემაში ფუნქციონირებდა 12 „ავერსის“ აფთიაქი. თავისთავად ეს მოვლენა დადებითია და პატიმრების მედიკამენტებით მომარაგების ალტერნატიულ წყაროს წარმოადგენს, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თავიდან უნდა იქნას აცილებული დაწესებულებების მედიკამენტებით ადეკვატური მომარაგების ჩანაცვლება კომერციული აფთიაქით – ეს უკანასკნელი უნდა დარჩეს მედიკამენტების შემენის დამატებით წყაროდ.

ტრავმებისა და დაზიანებათა სახეები და მათი აღრიცხვა

პენიტენციური სისტემა წარმოადგენს რისკის ზონას, სადაც შესაძლებელია განხორციელდეს ძალადობა პატიმარზე. აქედან გამომდინარე, წამების საწინააღმდეგო ეროვნული თუ საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ციხეში და დაკავების დროს განხორციელებული ძალადობის ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური კვალის სათანადო დაფიქსირებას. ამ მხრივ, სამედიცინო პერსონალს ფასდაუდებელი დახმარება შეუძლია გაუწიოს როგორც თვით დაზიანების მქონე პირს ასევე, გამოძიებას და ზოგადად მართლმსაჯულების განხორციელებას. როგორც უკვე აღინიშნა, ძალზედ მნიშვნელოვანია, რომ პატიმრის ფიზიკური დათვალიერების დროს (განსაკუთრებით, ახლადშემოყვანილი პატიმრის გასინჯვისას) ძალადობის ნებისმიერი კვალი, რომელიც შესაძლებელია გამოეწვიოს არასათანადო მოპყრობას, აუცილებლად უნდა იქნას შესაბამისი წესით აღწერილი და დოკუმენტირებული როგორც პატიმრის პირად სამედიცინო ბარათში, ასევე ტრავმების აღრიცხვის ჟურნალში. მსგავსი წესით უნდა იქნას დაფიქსირებული ნებისმიერი ფსიქოლოგიური ან ფსიქიატრიული ნიშანი, რომელიც შესაძლოა მიუთითებდეს, რომ აღნიშნულმა პირმა გადაიტანა არასათანადო მოპყრობა. ასეთი ინფორმაცია, ავტომატურ რეჟიმში, დაუყოვნებლივ უნდა მიეწოდოს პენიტენციური დაწესებულების ხელმძღვანელობას და საგამოძიებო ორგანოებს. პატიმარს ნებისმიერ დროს უნდა ჰქონდეს იმის შესაძლებლობა, რომ მოთხოვნისთანავე მიიღოს აღნიშნული დოკუმენტის ასლი. ევროპის წამებისა და არაადამიანური, ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის საწინააღმდეგო კომიტეტის (CPT) მე – 3 ზოგადი ანგარიშის მიხედვით, „სამედიცინო პერსონალს პენიტენციურ სიტუაციაში შეუძლია, მონაწილეობა მიიღოს პატიმართა მიმართ ძალადობის გამოყენების პროფილაქტიკაში ტრავმებისა და დაზიანებების სისტემატური რეგისტრაციის გზით და აუცილებელ შემთხვევაში, ზოგადი ინფორმაციის გადაცემით შესაბამის ინსტანციებში. ასევე შესაძლებელია, მხოლოდ, როგორც წესი, პატიმრის თანხმობის შემთხვევაში, კონკრეტულ შემთხვევებზე ინფორმაციის გადაცემაც. დაზიანების ნებისმიერი ნიშნები ციხეში შესვლისთანავე დაწვრილებით უნდა იქნას რეგისტრირებული, ისევე როგორც ნებისმიერი, ამ გარემოებასთან დაკავშირებული პატიმრის განცხადება და ექიმის დასკვნა. შემდეგში პატიმრისათვის ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს. ამგვარივე მიდგომა უნდა ხორციელდებოდეს პატიმრის მიმართ, რომელზეც იყო განხორციელებული ძალადობა ციხის ტერიტორიაზე, ყოველი სამედიცინო გასინჯვისას, ანდა პატიმრის დაბრუნებისას კვლავ ციხეში მას შემდეგ, რაც იგი იმყოფებოდა პოლიციის ნაწილში გამოძიებისათვის. სამედიცინო მუშაკები პერიოდულად უნდა ადგენდნენ სტატისტიკურ ანგარიშებს ტრავმათა და დაზიანებათა შესახებ და აწვდიდნენ ამგვარ ანგარიშებს ციხის ადმინისტრაციას, იუსტიციის სამინისტროს“.

საქართველოს პენიტენციური სისტემის დაწესებულებებში დაზიანებათა რეგისტრაციისა და აღწერის მხრივ განსხვავებულ პრაქტიკა და მიდგომა არსებობს. დაწესებულებათა ნაწილი აღნიშნულ ვალდებულებას ზოგიერთ შემთხვევაში იგნორირებას უკეთებს, ხოლო საუკეთესო შემთხვევებში, ადგილობრივი ექიმები

ცდილობენ ზედმიწევნით მოახდინონ ფაქტის აღწერა და დაეხმარონ პაციენტს აღნიშნულის გამო წარმოქმნილი ჯანდაცვითი საჭიროებების მოგვარებაში.

ადგილობრივ სამედიცინო ნაწილებში დღეს მოქმედი სამედიცინო დოკუმენტაციებიდან ამ მხრივ უნდა გამოიყოს ე.წ. „ტრავმების აღრიცხვის ჟურნალი“ (ფორმა N15), რომელიც სრულად არ შეესაბამება წამების პრევენციის სტანდარტებს, თუმცა, გარკვეულწილად აღნიშნული ჟურნალის ზედმიწევნით ზუსტი წარმოება მეტად საპასუხისმგებლო და აუცილებელი საქმეა ექიმების მხრიდან. როგორც სახელწოდებიდანვე ჩანს, ფორმა N15 განკუთვნილია სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ადგილზე მომხდარი ინციდენტების რეგისტრაციისათვის. რაც შეეხება ახლადშემოსულ პატიმრებს, არსებული პრაქტიკის მიხედვით, შესაძლო დაზიანების არსებობისას, დაზიანების ნიშნების აღწერა ხდება ე.წ. „სამედიცინო ბარათში“. ამ მხრივაც, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მოქმედი პრაქტიკა არაერთგვაროვანია. მაგალითად, დასავლეთ საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებები და აღმოსავლეთის ზოგიერთი დაწესებულება აწარმოებს ე.წ. „ახლად შემოსულ პატიმართა სამედიცინო დათვალიერების ჟურნალს“ სადაც მოკლედ, თუმცა მაინც ხდება ზოგიერთ შემთხვევაში დაზიანების არსებული კვალის დაფიქსირება. ინფორმაცია, როგორც წესი ამ ჟურნალში მწირია, ხშირად არაკვალიფიციური. პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ, დროებითი მოთავსების იზოლატორების მონიტორინგის დასრულების შემდეგ, შერჩევით განხორციელდა რამდენიმე სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ახლად შესულ პატიმართა დაზიანების შესახებ ინფორმაციის ამსახველი დოკუმენტაციის შესწავლა. ჩვენს მიერ ამოწერილ იქნა კონკრეტული პირები, რომლებსაც დმი-ის მონაცემებით აღნიშნებოდათ დაზიანებები. აღმოჩნდა, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში გადაყვანის შემდეგ, დაზიანებები აღწერილი იყო მხოლოდ 36% შემთხვევაში, დანარჩენ შემთხვევაში კი იმის შესახებ, რომ პატიმარს აღნიშნებოდა სხეულის ამა თუ იმ სახის დაზიანება, არსად არ იყო ნახსენები. ზემოთ აღნიშნული საკითხების შესახებ დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია ცხრილებში:

2011 წლის პირველი ნახევარი

№	დაწესებულების დასახელება	საყოფაცხოვრებო ტრავმების აღრიცხვის ჟურნალი (ფორმა №15)		ახლად შემოსულთა დაზიანების აღრიცხვის ჟურნალის არსებობა	ახლად შემოსულ პატიმართა დაზიანების სტატისტიკა		
		ჟურნალის ფიზიკური არსებობა	რეგისტრირ. შემთხვევათა რაოდენობა		ახლად შემოსულთა რაოდენობა	დაზიანება აქვს	%
1	№1 დაწესებულება	+	42	-	411	0	0
2	№2 დაწესებულება	+	159	+	490	29	5.91 %
3	№3 დაწესებულება	+	17	+	527	54	10.24 %
4	№4 დაწესებულება	+	14	+	297	36	12.12 %
5	№5 დაწესებულება	+	45	+	220	4	1.81 %
6	№6 დაწესებულება	+	76	-	237	1	0.42%
7	№7 დაწესებულება	+	0	-	8	0	0

8	№8 დაწესებულება	+	2	+	3793	277	7.30 %
9	№9 დაწესებულება	+	1	-	575	1	0.17%
10	№11 დაწესებულება	+	1	-	86	4	4.65 %
11	№12 დაწესებულება	+	0	-	503	0	0
12	№13 დაწესებულება	+	2	-	2	0	0
13	№14 დაწესებულება	+	7	+	523	6	1.14 %
14	№15 დაწესებულება	+	106	-	625	0	0
15	№16 დაწესებულება	+	16	-	452	0	0
16	№17 დაწესებულება	+	58	-	139	8	5.75 %
17	№18 დაწესებულება	-	0	-	937	0	0
18	№19 დაწესებულება	+	16	-	859	0	0
ჯამი:			17	562	6	10684	420

2011 წლის მეორე ნახევარი:

№	დაწესებულების დასახელება	საყოფაცხოვრებო ტრავმების აღრიცხვის ჟურნალი (ფორმა №15)		აბლად შემოსულთა დაზიანების აღრიცხვის ჟურნალის არსებობა	აბლად შემოსულ პაციენტთა დაზიანების სტატისტიკა		
		ჟურნალის ფიზიკური არსებობა	რეგისტრირ. შემთხვევათა რაოდენობა		აბლად შემოსულთა რაოდენობა	დაზიანება აქვს	%
1	№1 დაწესებულება	+	35	-	0	0	0
2	№2 დაწესებულება	+	121	+	496	43	8.67 %
3	№3 დაწესებულება	+	28	+	551	66	11.98 %
4	№4 დაწესებულება	+	5	+	220	30	13.64 %
5	№5 დაწესებულება	+	52	+	219	4	1.83 %
6	№6 დაწესებულება	+	58	-	258	0	0
7	№7 დაწესებულება	+	0	-	0	0	0
8	№8 დაწესებულება	+	8	+	3262	247	7.57 %
9	№9 დაწესებულება	+	0	-	241	0	0
10	№11 დაწესებულება	+	1	-	71	1	1.4 %
11	№12 დაწესებულება	+	1	-	750	0	0
12	№13 დაწესებულება	-	-	-	-	-	-
13	№14 დაწესებულება*	+	18*	+	521*	0	0
14	№15 დაწესებულება	+	119	-	1080	3	0.28%
15	№16 დაწესებულება	+	23	-	401	1	0.25%
16	№17 დაწესებულება	+	48	-	374	0	0
17	№18 დაწესებულება	+	4	-	897	არ აღრიცხავენ	0
18	№19 დაწესებულება	+	24	-	719	არ აღრიცხავენ	0
ჯამი:			17	545	6	10060	395

როგორც ცხრილიდან ნათლად ჩანს, 18 დაწესებულებიდან 17-ში „საყოფაცხოვრებო ტრავმების ჟურნალი“ არსებობს. რაც შეეხება ახლადშემოსულ პატიმართა დაზიანებების აღწერის ჟურნალს, აღნიშნული 18-დან მხოლოდ 6 დაწესებულებაში იწარმოება. 2011 წლის პირველ ნახევარში, საქართველოს პენიტენციური სისტემის დაწესებულებებში შეყვანილი და გადაყვანილი 10684 შემთხვევიდან, დაზიანება აღიწერა მხოლოდ 420 შემთხვევაში, ანუ თითქმის 4 %-ში. რაც შეეხება 2011 წლის მეორე ნახევარს, 10060 შეყვანილი და გადაყვანილი პატიმრიდან, დაზიანება დაფიქსირებულია 395 შემთხვევაში, ანუ 3.92% შემთხვევაში. ანუ მაჩვენებელი წლის ორივე ნახევარში სტაბილურად დაახლოებით 4%-ის ფარგლებში მერყეობს.

ზოგიერთი დაწესებულება დაზიანებებს საერთოდ არ აღრიცხავს. ამ მხრივ სხვადასხვა დაწესებულებებში დამკვიდრებული პრაქტიკა ასევე წარმოდგენილია ცხრილში. რაც შეეხება ადგილზე განხორციელებული შესაძლო ძალადობის ან სხვა გზით მიღებული ტრავმების აღწერას, სულ მთელი საქართველოს მასშტაბით, მხოლოდ 1107 შემთხვევაა დაფიქსირებული.

საკითხის უდიდესი მნიშვნელობის გამო, პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ, შესწავლილ იქნა სათითაოდ ყველა დაწესებულებაში არსებული ტრავმების ჟურნალი, მათი შევსების წესი, ასევე მათში ასახული ინფორმაციის სტრუქტურა.

წარმოდგენილი ინფორმაციის ანალიზით ვლინდება, რომ დაზიანებებს შორის დომინირებს ჭრილობები. აღნიშნულს მოჰყვება სისხლნაჟღერებები და ნაჭდევები. არც თუ იშვიათობას წარმოადგენს ასევე მოტეხილობები. შედარებით იშვიათია სხეულის სხვადასხვა ზედაპირზე არსებული ჰიპერემია (რაც ძირითად შემთხვევებში ახლად მიღებულ ტრავმას შეესაბამება). ჟურნალებში ასევე გვხვდება დაუკონკრეტებელი სახის დაზიანებები. აღსანიშნავია, რომ 2011 წელს, დამწვრობების რიცხვმა საკმაოდ იმატა. გასულ წლებში დამწვრობის მხოლოდ ერთეული შემთხვევები ფიქსირდებოდა. დაწესებულებათა უმრავლესობის მთავარი ექიმების განმარტებით, აღნიშნულის მიზეზია, წყლის ელექტროსადაუღებელიდან მდუღარე წყლის გადმოსხმა. რაც შეეხება ცალკეულ დაწესებულებებს, ამ მხრივაც მრავალი ტენდენცია გამოიკვეთა. მაგალითად დაზიანების სახით ნაჭდევები ყველაზე ხშირად გვხვდება N16 დაწესებულებაში. სისხლნაჟღერითი ყველაზე გავრცელებული დაზიანების ტიპია N17 დაწესებულებაში, ჰიპერემია (რაც ახალ დაზიანებაზე მიუთითებს) N3 დაწესებულებაში. ჭრილობების რაოდენობის მიხედვით პირველ ადგილს იკავებს თბილისის N1 დაწესებულება. ძვალ-სახსართა სისტემის დაზიანების მხრივ (მოტეხილობა, ღრმობა და ა.შ.) წამყვანი ადგილი კვლავ რუსთავის N16 დაწესებულებას უკავია. დაჟეჟილობა და სხეულის ამა თუ იმ უბნის შეშუპება დომინირებს N14 დაწესებულებაში, დამწვრობა N4 დაწესებულებაში; ყველაზე ხშირად, დაზიანების ტიპს არ მიუთითებენ N14 დაწესებულების ექიმები. აღნიშნული სტატისტიკა დეტალურადაა ასახული ცხრილში (ცხრილში მოყვანილი მონაცემები მოცემულია პროცენტებში):

2011 წლის პირველი ნახევარი

№	დაწესებულების დასახელება	ნაჭდევი	სისხლნაწილი	ჰიპოთეკა	ჭრილობა	მოტეხილობა/ტრავმა	დაწვევა/რეზუტატი	დამწვერობა	სხვა / დაუკონკრ.
1	№1 დაწესებულება	0	17.94	0	78.21	0	3.85	0	0
2	№2 დაწესებულება	21.62	20.27	5.41	46.21	0.82	4.59	1.08	0
3	№3 დაწესებულება	13.04	30.43	8.69	30.43	0	4.37	13.04	0
4	№4 დაწესებულება	4.76	0	4.76	57.15	0	0	33.33	0
5	№5 დაწესებულება	3.52	12.28	8.77	57.89	8.77	0	0	8.77
6	№6 დაწესებულება	4.93	14.81	1.23	79.03	0	0	0	0
7	№7 დაწესებულება	0	0	0	0	0	0	0	0
8	№8 დაწესებულება	0	0	0	50	0	0	50	0
9	№9 დაწესებულება	0	0	0	100	0	0	0	0
10	№11 დაწესებულება	0	0	0	0	0	0	0	0
11	№12 დაწესებულება	0	0	0	0	0	0	0	0
12	№13 დაწესებულება	0	50	0	50	0	0	0	0
13	№14 დაწესებულება	14.3	0	0	42.8	0	14.3	0	28.6
14	№15 დაწესებულება	5.39	14.23	0	72.05	2.94	5.39	0	0
15	№16 დაწესებულება	32.55	0	0	51.16	9.32	6.97	0	0
16	№17 დაწესებულება	18.44	31.06	0.97	33.98	6.79	4.85	0.97	2.94
17	№18 დაწესებულება	0	0	0	0	0	0	0	0
18	№19 დაწესებულება	9.37	12.51	0	68.75	3.12	6.25	0	0

2011 წლის მეორე ნახევარი:

№	დაწესებულების დასახელება	ნაჭდევი	სისხლნაწილი	ჰიპოთეკა	ჭრილობა	მოტეხილობა/ტრავმა	დაწვევა/რეზუტატი	დამწვერობა	სხვა / დაუკონკრ.
1	№1 დაწესებულება	6.12	6.12	0	81.64	0	6.12	0	0
2	№2 დაწესებულება	16.02	1.85	0.62	76.8	0.41	2.47	1.03	0.82
3	№3 დაწესებულება	37.29	1.69	0	42.37	0	5.08	6.78	6.78
4	№4 დაწესებულება	16.67	8.33	0	66.67	0	8.33	0	0
5	№5 დაწესებულება	20.83	12.5	1.04	43.75	0	9.38	1.04	11.46
6	№6 დაწესებულება	6.82	14.39	0	71.21	0	0.76	1.52	5.3
7	№7 დაწესებულება	0	0	0	0	0	0	0	0
8	№8 დაწესებულება	38.46	7.69	0	53.85	0	0	0	0
9	№9 დაწესებულება	0	0	0	0	0	0	0	0
10	№11 დაწესებულება	0	0	0	100	0	0	0	0
11	№12 დაწესებულება	0	0	0	100	0	0	0	0
12	№13 დაწესებულება	-	-	-	-	-	-	-	-
13	№14 დაწესებულება	0	0	0	90.91	0	0	0	9.09
14	№15 დაწესებულება	12.32	14.9	0.29	58.74	2.87	10.32	0	0.57

15	№16 დაწესებულება	12.86	1.43	0	80	2.86	0	0	2.86
16	№17 დაწესებულება	21.43	9.18	0	51.02	1.02	10.2	1.02	6.12
17	№18 დაწესებულება	50	0	0	50	0	0	0	0
18	№19 დაწესებულება	9.84	1.64	0	88.52	0	0	0	0

რაც შეეხება დაზიანებათა ლოკალიზაციას, ამ მხრივ მონაცემები წააგავს გასული წლის მონაცემებს, კერძოდ, მთელი საქართველოს მასშტაბით, დაზიანებები ყველაზე ხშირად ლოკალიზებულია ზედა კიდურის და სახის მიდამოში. წელს, მესამე ადგილზე სტატისტიკის მიხედვით გამოდის ქვედა კიდურზე არსებული დაზიანებები. დაახლოებით იმავე ფარგლებში მერყეობს მუცლის და კისრის მიდამოში არსებული დაზიანებების რიცხვი. აღსანიშნავია, რომ წელს იმატა კისრის მიდამოში ლოკალიზებულმა დაზიანებებმა. დაზიანებათა ლოკალიზაციის შედარებით იშვიათი ადგილებია გულმკერდის და ზურგის მიდამო. აღსანიშნავია, რომ ამ მიდამოთა დაზიანება დომინირება რამდენიმე წლის წინ. რაც შეეხება ქალასარქველზე მიყენებული დაზიანების სახეებს, აღნიშნული მაჩვენებელი დაახლოებით იგივე საზღვრებში მერყეობს რაც გასული წლის ანალოგიური მაჩვენებლის შემთხვევაში.

რაც შეეხება აღნიშნული საკითხის სპეციფიკას ცალკეული დაწესებულებების მიხედვით, უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულებათა უმრავლესობაში დაზიანების წამყვანი მიდამო შეესაბამება საქართველოს საშუალო მაჩვენებელს. რაც შეეხება განსხვავებულ მაჩვენებელს, დაფიქსირებულია N3 და N17 დაწესებულებებში, სადაც დაზიანებათა უმრავლესობა სახის მიდამოშია.

აღნიშნული სპეციფიკა დაწესებულებათა მიხედვით წარმოდგენილია ცხრილში:

2011 წლის პირველი ნახევარი:

№	დაწესებულების დასახელება	ქალასარქველი	სახე	კისრი	გულმკერდი	მუცელი	ზურგი	ზედა კიდური	ქვედა კიდური
1	№1 დაწესებულება	1.32	22.37	11.84	2.63	7.89	0	52.63	1.32
2	№2 დაწესებულება	2.75	39.4	2.21	1.37	1.92	4.43	41.59	6.33
3	№3 დაწესებულება	0	48	16	0	4	4	24	4
4	№4 დაწესებულება	0	34.78	4.34	0	4.34	0	47.85	8.69
5	№5 დაწესებულება	1.88	16.98	7.56	1.88	5.68	0	47.16	18.86
6	№6 დაწესებულება	2.99	24.58	5.98	1.79	10.79	1.79	50.89	1.19
7	№7 დაწესებულება	0	0	0	0	0	0	0	0
8	№8 დაწესებულება	0	0	50	0	0	0	50	0
9	№9 დაწესებულება	0	0	0	0	0	0	100	0
10	№11 დაწესებულება	0	0	0	0	0	0	0	0
11	№12 დაწესებულება	0	0	0	0	0	0	0	0
12	№13 დაწესებულება	0	0	0	0	50	0	0	50
13	№14 დაწესებულება	0	0	15	0	0	0	85	0

14	№15 დაწესებულება	7.33	28.35	3.62	0	6.71	2.46	42.26	9.27
15	№16 დაწესებულება	7.14	14.28	0	0	26.19	0	33.35	19.04
16	№17 დაწესებულება	7.76	50.48	4.85	0.97	4.85	0.97	25.27	4.85
17	№18 დაწესებულება	0	0	0	0	0	0	0	0
18	№19 დაწესებულება	0	34.37	0	3.12	3.12	3.12	43.75	12.52

2011 წლის მეორე ნახევარი:

№	დაწესებულების დასახელება	ქალაქი	სახე	კასრი	გულმკერდი	მუცელი	ზურგი	ზედა კიდური	ქვედა კიდური	შორის/გან იტალიები	დაუკონკრეტებელი
1	№1 დაწესებულება	4.08	20.41	4.08	0	2.04	0	67.35	0	0	2.04
2	№2 დაწესებულება	1.88	8.79	3.14	0	7.53	4.81	70.71	5.23	0	0
3	№3 დაწესებულება	3.64	12.73	5.45	0	25.45	3.64	36.36	7.27	1.8	3.64
4	№4 დაწესებულება	8.33	16.67	33.33	0	0	0	41.67	0	0	0
5	№5 დაწესებულება	5.26	14.74	2.11	3.16	4.21	2.11	48.42	14.74	0	5.26
6	№6 დაწესებულება	0.78	28.9	10.94	3.13	7.03	0	46.89	2.34	0	0
7	№7 დაწესებულება	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
8	№8 დაწესებულება	7.69	15.38	15.38	0	0	0	61.54	0	0	0
9	№9 დაწესებულება	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
10	№11 დაწესებულება	0	0	0	0	0	0	100	0	0	0
11	№12 დაწესებულება	0	0	50	0	0	0	50	0	0	0
12	№13 დაწესებულება	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
13	№14 დაწესებულება	0	9.1	22.73	0	4.55	0	54.55	9.1	0	0
14	№15 დაწესებულება	4.11	23.46	3.23	1.47	13.2	2.93	43.99	6.45	0.29	0.88
15	№16 დაწესებულება	1.43	8.57	2.86	0	0	0	62.86	24.29	0	0
16	№17 დაწესებულება	2.1	44.21	2.1	0	8.42	1.05	31.58	10.53	0	0
17	№18 დაწესებულება	0	0	0	0	0	0	75	25	0	0
18	№19 დაწესებულება	0	6.56	3.28	0	9.84	0	80.33	0	0	0

დაზიანებათა შესწავლის დროს, განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ტრავმის წარმომავლობის საკითხს. ამ მხრივ უდიდესი მნიშვნელობა აქვს თავად პაციენტის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას დაზიანების შესახებ, კერძოდ ეს არის თვითდაზიანება, ურთიერთდაზიანება, დაზიანება მიყენებული სხვა პირის მიერ თუ საყოფაცხოვრებო ტრავმა. სამწუხაროდ, შემთხვევათა უმრავლესობაში დაზიანების წარმომავლობა ექიმთა მიერ კლასიფიცირებული კვლავ არ არის. არსებული ჩანაწერების მიხედვით, შემთხვევათა დაახლოებით 2%-ში დაზიანება მიყენებული იყო სხვა პირთა მიერ. ზოგიერთ შემთხვევაში განმარტებულია ვის მიერ, ზოგჯერ კი ნაჩვენებია, რომ დაზიანება მიაყენეს თანასაკნელებმა და ასე შემდეგ. 22% შემთხვევაში საქმე ეხება საყოფაცხოვრებო ტრავმას, რომლის ტიპური მაგალითები უკვე იყო განხილული, ხოლო 30% შემთხვევაში, დაფიქსირებულია პატიმრის მიერ თვითდაზიანების მიყენების ფაქტები. ჩვენს მიერ იდენტიფიცირებულ იქნა ის პატიმრები, რომლებიც პერიოდულად

განზრახ იყენებენ თვითდაზიანების სერიებს. შემდგომში გადამოწმებულ იქნა ასევე ამ კატეგორიის პაციენტები ნანახი ყავს თუ არა ფსიქიატრს. სამწუხაროდ, შემთხვევათა უმრავლესობაში, ფსიქოპატიით დაავადებულ პირთა მკურნალობას, მხოლოდ ფსიქიატრის ძალისხმევა ვერ ყოფნის და სხვა გარეშე ფაქტორებზეცაა დამოკიდებული. რაც შეეხება დაზიანებათა წარმომავლობის სტრუქტურას, ცალკეული დაწესებულებების მიხედვით, წარმოდგენილია ცხრილში:

2011 წლის პირველი ნახევარი:

№	დაწესებულების დასახელება	თვითდაზიანება	საყოფაცხოვრებ ტრავმა	სხვა პირის მიერ მწყენ.	არ არის მითითებული
1	№1 დაწესებულება	0	0	0	100
2	№2 დაწესებულება	64.77	29.55	0	5.68
3	№3 დაწესებულება	29.42	17.64	0	52.94
4	№4 დაწესებულება	57.15	28.57	14.28	0
5	№5 დაწესებულება	37.77	53.33	8.9	0
6	№6 დაწესებულება	0	0	0	100
7	№7 დაწესებულება	0	0	0	0
8	№8 დაწესებულება	50	50	0	0
9	№9 დაწესებულება	0	0	0	0
10	№11 დაწესებულება	0	0	0	0
11	№12 დაწესებულება	0	0	0	0
12	№13 დაწესებულება	0	0	0	100
13	№14 დაწესებულება	43	0	0	57
14	№15 დაწესებულება	24.52	21.71	0	53.77
15	№16 დაწესებულება	50	18.75	0	31.25
16	№17 დაწესებულება	20.68	60.36	0	18.96
17	№18 დაწესებულება	0	0	0	0
18	№19 დაწესებულება	18.75	0	0	81.25

2011 წლის მეორე ნახევარი:

№	დაწესებულების დასახელება	თვითდაზიანება	საყოფაცხოვრებ ტრავმა	სხვა პირის მიერ მწყენ.	არ არის მითითებული
1	№1 დაწესებულება	40	0	0	60
2	№2 დაწესებულება	59.45	36.93	0.9	2.7
3	№3 დაწესებულება	50	50	0	0
4	№4 დაწესებულება	60	40	0	0
5	№5 დაწესებულება	42.3	50	3.84	3.84
6	№6 დაწესებულება	0	0	0	100

7	№7 დაწესებულება	0	0	0	0
8	№8 დაწესებულება	12.5	0	0	87.5
9	№9 დაწესებულება	0	0	0	0
10	№11 დაწესებულება	100	0	0	0
11	№12 დაწესებულება	0	0	0	100
12	№13 დაწესებულება	-	-	-	-
13	№14 დაწესებულება	77.78	16.66	0	5.55
14	№15 დაწესებულება	47.89	37.81	0.84	13.44
15	№16 დაწესებულება	78.26	21.73	0	0
16	№17 დაწესებულება	33.33	43.75	0	22.91
17	№18 დაწესებულება	0	100	0	0
18	№19 დაწესებულება	54.16	0	0	45.83

როგორც ცხრილიდან ჩანს N1, N13 და N6 დაწესებულებაში ექიმები საერთოდ არ მიუთითებენ დაზიანების წარმომავლობას. N3, N15 და N19 დაწესებულებაში კი მიუთითებლობა 50%-ს აჭარბებს. აღნიშნული საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ყველა ამ დაწესებულებას უნდა მიეცეს მითითებები და რეკომენდაციები, რომ აღმოფხვრან ეს ნაკლოვანება და ყოველთვის მიუთითონ დაზიანების წარმომავლობა, როგორც მინიმუმ, მოწოდებული კლასიფიკაციის მიხედვით (თვითდაზიანება, ურთიერთდაზიანება, საყოფაცხოვრებო ტრავმა, დაზიანება მიყენებული სხვა პირის მიერ).

აივ/შიდსი პენიტენციურ სისტემაში:

ევროპისა და განსაკუთრებით აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში, აივ ინფექციის გავრცელების მაჩვენებელი პენიტენციურ სისტემაში გაცილებით უფრო მაღალია ვიდრე ზოგადად ამ ქვეყნის მაჩვენებელი. სხვადასხვა ქვეყნებში ჩატარებულმა კვლევებმა ამ მხრივ დიდი ვარიაციები აჩვენა ციხეებში აივ ინფექციის პრევალენციასთან მიმართებაში. ციხეები წარმოადგენს იმ ადგილებს, სადაც აივ ინფიცირებული მოწყვლადი ჯგუფები ყველაზე უფრო დიდი რაოდენობით გვხვდება. ამის მიზეზი უპირველეს ყოვლისა ინტრავენური ნარკომანები არიან, რომლებიც არასტერილური შპრიცებით ახდენდნენ ინექციების გაკეთებას. ასევე სხვა საინექციო საშუალებებისა (წყალი, კოფი და ა.შ.) და ზოგჯერ საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნივთების (საპარსი, კბილის ჯაგრისი) გაზიარება, რაც ასევე უწყობს ხელს „B“ და „C“ ჰეპატიტების გავრცელებას; ტატუირება, პირსინგი და სკარიფიკაციები; დაუცველი სქესობრივი კავშირები (პროსტიტუცია, გაუპატიურება და ა.შ.); ინფიცირებული ნემსების შემთხვევითი შერჭობა (საკნებში ჩხრეკის ჩატარების დროს ხშირია); ჯანდაცვის სერვისებისადმი არასაკმარისი ხელმისაწვდომობა; სამედიცინო აპარატურის და დანიშნულების საგნების უსაფრთხოება (სტომატოლოგიური, სამედიცინო და გინეკოლოგიური). ამ მიზეზების გამო აივ ინფექციის ეპიდემია საკმაოდ მაღალ მაჩვენებლებს აღწევს განვითარებად და გარდამავალ ქვეყნებში. მსოფლიოში,

ინტრავენური ნარკოზანია მიჩნეულია შიდსის გადაცემის გზად 10%-ში, მაშინ როცა იგივე მაჩვენებელი ჩვენს რეგიონში (აღმოსავლეთ ევროპისა და აზიის ქვეყნებში) 80%-ს აღწევს.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი ყოველთვის სათანადო ყურადღებას აქცევს პენიტენციურ სისტემაში აივ ინფექცია/შიდსის პრობლემას და აღნიშნულ მონაცემებს რეგულარულად ასახავს ანგარიშებში. ამ მხრივ 2011 წლის საანგარიშო პერიოდი გამონაკლისი არ ყოფილა. აღნიშნული პერიოდი გამოირჩევა იმით, რომ წლის განმავლობაში, პენიტენციური სისტემის დაწესებულებებში ყველაზე მეტი აივ ინფიცირებული გარდაიცვალა, ვიდრე გასულ წლებში. მონიტორინგის დროს გამოვლენილი აივ ინფიცირებულთა რაოდენობა და მათი მკურნალობის საკითხები წარმოდგენილია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში:

დაწესებულების დასახელება	აივ ინფექციაზე გამოკვლეულთა რაოდენობა		აივ ინფიცირებულთა რაოდენობა		ახლად გამოვლენილთა რაოდენობა		მკურნალობაში ჩართულთა რაოდენობა	
	I ნახ	II ნახ	I ნახ	II ნახ	I ნახ	II ნახ	I ნახ	II ნახ
№1 დაწესებულება	60	145	3	5	0	2	3	1
№2 დაწესებულება	46	156	5	7	1	6	0	1
№3 დაწესებულება	80	121	2	1	2	1	0	4
№4 დაწესებულება	85	230	1	2	0	2	1	0
№5 დაწესებულება	59	98	3	3	0	0	0	1
№6 დაწესებულება	0	123	7	6	0	0	0	0
№7 დაწესებულება	0	0	0	0	0	0	0	0
№8 დაწესებულება	6	114	6	7	2	0	2	0
№9 დაწესებულება	30	117	1	2	1	0	0	0
№11 დაწესებულება	35	53	0	0	0	0	0	0
№12 დაწესებულება	47	160	6	3	1	0	1	0
№13 დაწესებულება	0	-	2	-	0	-	0	-
№14 დაწესებულება	125	104*	12	14	3	1	2	2
№15 დაწესებულება	74	268	12	12	1	1	1	3
№16 დაწესებულება	13	140	13	9	9	0	4	0
№17 დაწესებულება	50	178	14	9	1	1	0	3
№18 დაწესებულება	472	768	5	19	4	5	1	0
№19 დაწესებულება	118	165	18	17	3	1	5	4
ს უ ლ:	1300	2940	110	109	28	20	20	19

როგორც ცხრილიდან ჩანს, 2011 წლის პირველ ნახევარში, პენიტენციური სისტემის დაწესებულებებში აივ ინფექციის სადიაგნოსტიკოდ ჩატარდა 1300 გამოკვლევა, ხოლო წლის მეორე ნახევარში გაცილებით უფრო მეტი პირი იქნა გამოკვლეული (2940). გამოკვლევების შედეგად მოხდა 48 ახალი შემთხვევის დადასტურება, რომელთაგანაც 39 პირი ჩართულ იქნა ანტირეტროვირუსული მკურნალობის პროგრამაში. აღსანიშნავია, რომ ახალი შემთხვევების ჩათვლით, 2011 წლის ბოლოსთვის პენიტენციური სისტემის დაწესებულებებში 100-ზე მეტი შიდსით დაავადებული მსჯავრდებული და

ბრალდებული იმყოფებოდა, მათ შორის 3 ქალი. საბედნიეროდ, ინფიცირებულთა ან დაავადებულთა შორის არ არიან არასრულწლოვნები.

მდგომარეობის უფრო ფართოდ და დეტალურად გაცნობის მიზნით, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა წერილობით მიმართა ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო პრაქტიკულ ცენტრს (08.08.2011 N758-3) და მოითხოვა ინფორმაცია მთელ რიგ საკითხებთან დაკავშირებით.

ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო პრაქტიკული ცენტრიდან, 2011 წლის 7 სექტემბერს შემოსული საპასუხო წერილის (N01-19/473) მიხედვით ირკვევა, რომ 1997-2011 წლის 17 აგვისტომდე რეგისტრირებულია 285 აივ ინფიცირებული, რომელიც სხვადასხვა პერიოდში იხდიდა სასჯელს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში. 285 პაციენტიდან 277 მამაკაცია, ხოლო 8 ქალი. მათგან 60 აივ ინფიცირებული გარდაიცვალა (59 მამაკაცი და 1 ქალი). 60 გარდაცვლილიდან სასჯელაღსრულების დაწესებულებებში გარდაიცვალა 41 პატიმარი.

2011 წლის 17 აგვისტოს მონაცემებით, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში იმყოფება 110 აივ ინფიცირებული, მათ შორის 107 მამაკაცი და 3 ქალია, მათ შორის ანტირეტროვირუსული (შიდსის საწინააღმდეგო) მკურნალობა უტარდება 67 პატიმარს, საიდანაც 66 მამაკაცია და 1 ქალი.

ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო პრაქტიკული ცენტრი მჭიდროდ თანამშრომლობს სასჯელაღსრულების დეპარტამენტთან. შიდსის ცენტრის დახმარებით, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში შეიქმნა აივ კონსულტირების და ტესტირების კაბინეტები, სადაც ყველა მსჯავრდებულს აქვს შესაძლებლობა ჩაიტაროს ნებაყოფლობითი კონსულტირება და ტესტირება აივ ინფექციაზე. ამასთან ერთად, შიდსის ცენტრის ექიმების მიერ აივ ინფექცია / შიდსის საკითხებზე მომზადებულია სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მომუშავე ექიმები, ექიმ-ლაბორანტები, ბადრაგი და სხვა მომუშავე პერსონალი. სასჯელაღსრულების დაწესებულების აივ შიდსის პროგრამის მენეჯერი კოტე ტურაშვილი ასევე არის შიდსის ცენტრის ექიმი კონსულტანტი, რომელიც ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო პრაქტიკული ცენტრის მხრიდან კურირებს აივ ინფიცირებულ პაციენტებს.

სასჯელის მოხდის ადგილებში მყოფი აივ ინფიცირებული პატიმრები უზრუნველყოფილნი არიან უფასო სპეციფიკური სამედიცინო მომსახურებით, რომელიც ხორციელდება საერთაშორისო სტანდარტებით. აივ ინფექცია/შიდსით დაავადებულ პაციენტებს, რეგულარულად უტარდებათ (3-4 თვეში ერთხელ) ექიმ-სპეციალისტის კონსულტაცია და საკონტროლო გამოკვლევები. აივ ინფიცირებულებს კი თვეში ერთხელ მიეწოდებათ საჭირო ანტივირუსული მედიკამენტები. საჭიროების შემთხვევაში პაციენტების გადმოყვანა ხდება ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო პრაქტიკული ცენტრში სტაციონარულ მკურნალობაზე.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა, 2011 წლის 8 აგვისტოს გაგზავნილ წერილში (N758-3) მიმართა ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო პრაქტიკული ცენტრს, ასევე მოეწოდებინა ინფორმაცია 2011 წლის განმავლობაში, იმ ბრალდებულთა ან მსჯავრდებულთა შესახებ, რომლებიც 2011 წლის პირველ ნახევარში იყვნენ გადმოყვანილი ცენტრში სადიაგნოზო ან სამკურნალო ღონისძიებების ჩასატარებლად. საპასუხო წერილში (N01-19/473) ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო პრაქტიკული ცენტრის მიერ მოგვეწოდა ინფორმაცია, რომ „2011 წლის 1 იანვრიდან 1 ივლისამდე, მსჯავრდებული და/ან ბრალდებული არ ყოფილა გადმოყვანილი ჩვენს დაწესებულებაში სტაციონარული მკურნალობისათვის (არ ყოფილა ამის საჭიროება)“. მიუხედავად ასეთი პასუხისა, მონიტორინგის დოკუმენტაციის შესწავლის და მონიტორინგის პროცესის ჩატარების შედეგად აღმოჩნდა, რომ ეს ინფორმაცია არ შეესაბამება სინამდვილეს. 2011 წლის 14 მარტს, ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო პრაქტიკული ცენტრის რეანიმაციულ განყოფილებაში გარდაიცვალა პაციენტი თ.პ. (დაბადებული 1980 წელს). ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო პრაქტიკული ცენტრის მიერ ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ გაცემული ცნობა N1086-ის მიხედვით ირკვევა, რომ პაციენტი სტაციონარში მოათავსეს 2011 წლის 25 თებერვალს და მან გარდაცვალებამდე 17 დღე დაჰყო ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო პრაქტიკულ ცენტრში.

ამგვარად, აივ ინფიცირებულთა რაოდენობა პენიტენციური სისტემის დაწესებულებებში ბოლო პერიოდში ავლენს ზრდის ტენდენციას, რაც ქვეყნის ეპიდემიოლოგიური მონაცემის პარალელურად და პროპორციულად მიმდინარეობს.

სანიტარიულ-ჰიგიენური და ეპიდემიოლოგიური საკითხები:

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების სისტემის დაწესებულებებში, სანიტარიული და ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის კონტროლი ადგილობრივი ექიმების და ზოგადად საექიმო-სამედიცინო პუნქტებში დასაქმებული მედპერსონალის პრეროგატივას წარმოადგენს. საქართველოს კანონის „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ 35-ე მუხლის შესაბამისად, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს კომპეტენციაა:

ა) პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა; ბ) პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრევენციული ღონისძიებების განხორციელება. ამასთან, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო და სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო პატიმრობისა და თავისუფლების

აღკვეთის დაწესებულებებისათვის ერთობლივად ადგენენ შესაბამის სანიტარულ და ჰიგიენურ ნორმებს. საქართველოს კანონის „პატიმრობის კოდექსის“ 125-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, კოდექსის ამოქმედებიდან 2 თვის ვადაში, საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საქმეთა მინისტრსა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს დაევალებათ ბრალდებულის/მსჯავრდებულის კვების ნორმების განსაზღვრის თაობაზე ერთობლივი ბრძანების გამოცემის უზრუნველყოფა.

გარდა ჯანდაცვის კანონმდებლობისა, სანიტარიულ-ჰიგიენურ და ეპიდემიოლოგიურ მდგომარეობაზე კონტროლის ვალდებულება ასევე გაწერილია პატიმრობის კოდექსში. კოდექსის მე-15 მუხლი განსაზღვრავს მოთხოვნებს ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა საცხოვრებელი პირობების მიმართ. კერძოდ, მასში ნათქვამია, რომ ბრალდებულისათვის /მსჯავრდებულისათვის გამოყოფილი საცხოვრებელი უნდა შეესაბამებოდეს მინისტრისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანებით დადგენილ სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმებს და უნდა უზრუნველყოფდეს ბრალდებულის/მსჯავრდებულის ჯანმრთელობის შენარჩუნებას.

პატიმრობის კოდექსის მე-15 მუხლის პირველი ნაწილის, 125-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 20-25 მაისის N87-83/ნ ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებულია მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა კვების და სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები. აღნიშნული ბრძანების შესაბამისად, დაწესებულების საექიმო-სამედიცინო პუნქტის შესაბამისი პერსონალი ვალდებულია რეგულარულად შეამოწმოს:

ა) ბრალდებულთა/მსჯავრდებულთათვის განკუთვნილი საკვების ხარისხი და ოდენობა, მათი მომზადების სანიტარიულ-ჰიგიენური პირობები;

ბ) დაწესებულების ტერიტორიისა და ნაგებობის სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა;

გ) ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ტანსაცმლისა და საწოლის თეთრეულის მდგომარეობა და სეზონის პირობებთან შესაბამისობის დარღვევათა აღმოჩენის შემთხვევაში წერილობით აცნობოს დაწესებულების ადმინისტრაციას.

3. საექიმო-სამედიცინო პუნქტის პერსონალი ვალდებულია სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების დარღვევათა აღმოჩენის შემთხვევაში წერილობით აცნობოს დაწესებულების ადმინისტრაციას.

4. სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების გამოვლენილ დარღვევათა საკუთარი ძალებით აღმოფხვრის შეუძლებლობის შემთხვევაში, დაწესებულების ადმინისტრაცია ვალდებულია მოხსენებითი ბარათით მიმართოს დეპარტამენტის ადმინისტრაციას. მოხსენებით ბარათს უნდა დაერთოს საექიმო-სამედიცინო პუნქტის ან ექიმის წერილი.

ბრძანების დანართი N2-ის მე-3 მუხლის შესაბამისად, დაწესებულებაში მყოფ პირთა სათავსების არქიტექტურულ-ინფრასტრუქტურული გადაწყვეტა და აღჭურვა უნდა უზრუნველყოფდეს ბუნებრივი ფიზიოლოგიური მოთხოვნების დაკმაყოფილების, პირადი ჰიგიენის დაცვის, ჯანმრთელობის შენარჩუნებისა და ხელშეწყობის შესაძლებლობას ადამიანის პატივისა და ღირსების შეუღებად, რაც გულისხმობს: ხარისხიანი, უსაფრთხო და საკმარისი სასმელი წყლით უზრუნველყოფას (არანაკლებ 2,5 ლიტრი ერთ პირზე დღეში); პირადი ჰიგიენის წესების (ხელ-პირის დაბანა, პირის ღრუს ჰიგიენური დამუშავება, სხეულის დაბანა არანაკლებ კვირაში ერთხელ, საპარკმახერო მომსახურება: პირის გაპარსვა, თმის შეჭრა, ფრჩხილის დაჭრა) შესრულებისათვის წყალმომარაგებისა და კანალიზაციის ცენტრალიზებულ ქსელთან მიერთებული, შესაბამისად აღჭურვილი სანიტარიულ-ტექნიკური ინფრასტრუქტურით და ჰიგიენური საშუალებებით (საპონი, კბილის პასტა, ნეჭი, პირსახოცი) უზრუნველყოფას; საწოლითა და ლოგინით (ლიები, ბალიში, საბანი) უზრუნველყოფას; სუფთა თეთრეულით არანაკლებ კვირაში ერთხელ უზრუნველყოფას, აგრეთვე, სეზონის შესაფერისი სპეციალური ტანსაცმლის მიწოდებასა და ცვლას დაბინძურების მიხედვით; მიკროკლიმატის ოპტიმალურ დაცვას სათავსებში (18-25 C⁰); ბუნებრივ და ხელოვნურ განათებას, ვენტილაციას; ნარჩენების შეგროვებისა და დროული გატანის უზრუნველყოფას; სათავსების ყოველდღიური დასუფთავების, ავეჯისა და ფანჯრების ყოველკვირეული წმენდის, პერიოდული სადენზიფიკაციო სამუშაოების ორგანიზებას; სათავსის აღჭურვას საერთო სარგებლობის ავეჯით (მაგიდა, სკამი, ტუმბო, კარადა და სხვ.); პერიოდული სამედიცინო შემოწმების, პროფილაქტიკური აცრების და სხვა ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების ჩატარებას. ორსულ ქალებს, მეძუძურ დედებს, არასრულწლოვანებს, ავადმყოფებს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს უნდა შეექმნათ შესაფერისი საყოფაცხოვრებო და კვების პირობები კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

ზემოთ განხილული ნორმების შესაბამისად, პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ ჩატარებული მონიტორინგის ფარგლებში, განსაკუთრებული ყურადღება იქნა გამახვილებული სანიტარიულ-ჰიგიენური და ეპიდემიოლოგიური პირობების ჯეროვან დაცვასა და კონტროლზე.

უპირველეს ყოვლისა მონიტორინგის დროს შემოწმდა დაწესებულებებში ჩატარებული სადენზიფიკაციო, სადერატიზაციო და სადენზინსექციო სამუშაოების ჩატარების მიმდინარეობის პერიოდულობა და ეფექტურობა. როგორც აღმოჩნდა, ყველა დაწესებულებაში რეგულარულად ხდება კონტრაქტორი ორგანიზაციის მოსვლა, თუმცა სამუშაოთა პერიოდულობა განსხვავებულია დაწესებულებათა მიხედვით. ასევე განსხვავებულია ჩატარებული სამუშაოს მოცულობა და სახეობები. როგორც აღმოჩნდა, ადგილზე ტარდება დენზინსექცია და დერატიზაცია, ხოლო დენზინფექცია ყველა დაწესებულებაში არ ტარდება. ჩვენს მიერ ასევე გამახვილებული იქნა ყურადღება დატილიანების, საკნებში ბაღლინჯოს გავრცელების, მღრღნელების, მწერების, პარაზიტების, მუნის და ინფექციური დაავადებების გავრცელების შესახებ. ისევე, როგორც გასულ საანგარიშო პერიოდში, ამჯერადაც ცხადი გახდა, რომ იმ

დაწესებულებებში, რომლებიც გადატვირთულობის პირობებში ფუნქციონირებს ან გააჩნია ძველი და ამორტიზებული ინფრასტრუქტურა (მათი დახურვის შესახებ სახალხო დამცველმა არაერთხელ გასცა რეკომენდაცია), სანიტარული დამუშავების სამუშაოთა ჩატარებას მნიშვნელოვანი ეფექტი ვერ მოაქვს. დატილიანების ფაქტები, ახლადშემოსული პატიმრების შემთხვევაში დაადასტურეს რუსთავის ქალთა N5, თბილისის N8 და ქსნის N15 დაწესებულებებში. დანარჩენ დაწესებულებებში, მთავარმა ექიმებმა კატეგორიულად უარყვეს აღნიშნული პრობლემის არსებობა. რაც შეეხება საკნებში და პატიმართა ლოგინებში ბაღინჯოს არსებობას, სამედიცინო პერსონალთან და ზოგადად პენიტენციური დაწესებულების მოსახლეობასთან გასაუბრების და დათვალიერების შედეგად დაადასტურდა თბილისის N1, ქუთაისის N2, ზათუმის N3, ზუგდიდის N4, რუსთავის N6, თბილისის N9, თბილისის N12, ხონის N13, ქსნის N15, რუსთავის N16 და ქსნის ტუბერკულოზით დაავადებულთა N19 დაწესებულებებში. რაც შეეხება მუნის გავრცელებას, ყველა დაწესებულებაში მედპერსონალი აღნიშნავს, რომ ამ დავადების შემთხვევებმა ბოლო პერიოდში მკვეთრად იკლო. ერთეული შემთხვევები დაფიქსირებულია რუსთავის ქალთა N5, თბილისის N8, რუსთავის N16 და ქსნის ტუბერკულოზით დაავადებულთა N19 დაწესებულებებში. დანარჩენი დაწესებულებების მთავარი ექიმები კატეგორიულად უარყოფენ ამ პრობლემას, თუმცა, აღნიშნული არ დასტურდება ზოგიერთ დაწესებულებაში კონსულტანტ დერმატოვენეროლოგის მიერ გაკეთებული ჩანაწერებით. „A“ ჰეპატიტის შემთხვევების არსებობას საანგარიშო პერიოდში უარყოფს აბსოლუტურად ყველა დაწესებულება. რაც შეეხება ინფექციური დაავადებების გავრცელებას, ამ მხრივ დაწესებულებებში არაერთგვაროვანი მდგომარეობაა. რუსთავის N5 და N16 დაწესებულებებში აღნიშნეს კვებითი ინტოქსიკაციის შემთხვევის შესახებ, რომელმაც ზაფხულის პერიოდში იჩინა თავი და რამდენიმე პატიმარი ერთდროულად მოიცვა. თბილისის N8 დაწესებულებაში აღნიშნავენ ჩუტყვავილას რამდენიმე შემთხვევის შესახებ. ბავშვთა ასაკის ეს ინფექცია, საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა ასევე არასრულწლოვანთა N11 სპეციალურ დაწესებულებაში. ჩუტყვავილას 3 შემთხვევის არსებობა დაადასტურა ქსნის N15 დაწესებულების მთავარმა ექიმმა, ხოლო ქსნის ტუბერკულოზით დაავადებულთა N19 დაწესებულებაში ჩატარებული მონიტორინგის დროს, სამედიცინო ნაწილში განგვიცხადეს, რომ ინფექციური დაავადებების ერთეული შემთხვევები, პერიოდულად იქაც ფიქსირდება. მიუხედავად ამ მონაცემებისა, ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის მკვეთრ გაუარესებას ადგილი არ ჰქონია და არსებულ პრობლემებს ყველა შემთხვევაში საექიმო-სამედიცინო პუნქტები პრაქტიკულად ადგილობრივი რესურსებით გაუმკლავდნენ.

რაც შეეხება კონტრაქტორი ორგანიზაციების მიერ პენიტენციურ სისტემაში ჩატარებული სანიტარული ღონისძიებების პერიოდულობას და სახეს, წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

N	დაწესებულების დასახელება	ღონისძიებათა ჩატარების სიხშირე	ჩატარებული ღონისძიებები		
			დეზინსექცია	დეზინფექცია	დერატიზაცია

1	№1 დაწესებულება	2 თვეში ერთხელ	+	+	+
2	№2 დაწესებულება	თვეში ერთხელ	+	-	+
3	№3 დაწესებულება	თვეში ერთხელ	+	-	+
4	№4 დაწესებულება	თვეში ერთხელ	+	-	+
5	№5 დაწესებულება	თვეში ერთხელ	+	+	+
6	№6 დაწესებულება	თვეში ორჯერ	+	-	+
7	№7 დაწესებულება	თვეში ერთხელ	+	-	+
8	№8 დაწესებულება	თვეში ერთხელ	+	-	+
9	№9 დაწესებულება	თვეში ორჯერ	+	-	+
10	№11 დაწესებულება	თვეში ერთხელ	+	-	+
11	№12 დაწესებულება	თვეში ერთხელ	+	+	+
12	№13 დაწესებულება	თვეში ერთხელ	+	-	+
13	№14 დაწესებულება	თვეში ორჯერ	+	+	+
14	№15 დაწესებულება	თვეში ერთხელ	+	+	+
15	№16 დაწესებულება	თვეში ერთხელ	+	+	+
16	№17 დაწესებულება	თვეში ერთხელ	+	+	+
17	№18 დაწესებულება	თვეში სამჯერ	+	+	+
18	№19 დაწესებულება	თვეში ერთხელ	+	+	+

ავჭალის არასრულწლოვანთა N11 დაწესებულების მთავარმა ექიმმა განგვიცხადა, რომ დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრთან მიმდინარეობს მოლაპარაკება, რათა პროფილაქტიკური აკრების ეროვნული კალენდრის შესაბამისად, არასრულწლოვანთა ბოლო გეგმური ვაქცინაცია „დტყ“ ვაციით (დიფთერია, ტეტანუსი ყივანახველა) განხორციელდეს ორგანიზებულად და შეუფერხებლად.

მნიშვნელოვანია, რომ ზოგიერთ დაწესებულებაში საკამოდ ხშირია ცხოველთა მიერ პატიმართა დაკბენის ფაქტები. ამ მხრივ განსაკუთრებით უნდა გამოიყოს ქსნის N15 დაწესებულება. ასეთ შემთხვევათა უმრავლესობაში, პატიმრები ამბულატორულ რეჟიმში გაჰყავთ ანტირაბიული ვაქცინაციის ჩასატარებლად. გარდა ამისა, მიუხედავად თვითდაზიანებების, საყოფაცხოვრებო და სხვა სახის ტრავმების საკამოდ მაღალი სიხშირისა, ანტიტეტანური ვაქცინაცია პრაქტიკულად არ წარმოებს და აღნიშნულს მხოლოდ გამონაკლისების სახით ვხვდებით, რაც სერიოზულ რისკს უქმნის პაციენტთა ჯანმრთელობას.

როგორც უკვე აღინიშნა, პენიტენციურ დაწესებულებაში კვების ნორმები დამტკიცებულია საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 20-25 მაისის N87-83/ნ ერთობლივი ბრძანების N1 დანართით. დადგენილ სანიტარულ-ჰიგიენურ მოთხოვნათა მკაცრი დაცვა აუცილებელია პატიმრობაში მყოფ პირთა ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო კვების ორგანიზების უზრუნველყოფის მიზნით. დანართით განისაზღვრება

დაწესებულებაში კვების ორგანიზაცია, რომლის მიმართ წაყენებულია ორი ძირითადი პრინციპი: კვება უნდა იყოს ბალანსირებული და სრულფასოვანი, რათა უზრუნველყოფილ იქნეს დაწესებულებაში მყოფ პირთა ჯანმრთელობის შენარჩუნება. ბრძანევა კრძალავს საკვების კალორიულობის შემცირებას დისციპლინური სადამსჯელო ღონისძიებების გატარების მიზნით. ბრძანების მიხედვით, განსაკუთრებული (დიეტური) კვების რეჟიმის საჭიროების მქონე ბრალდებულები/მსჯავრდებულები უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ ექიმის მიერ სამედიცინო ჩვენების შესაბამისად დადგენილი სამკურნალო კვებისათვის აუცილებელი პროდუქტებით. დიეტური მაგიდები და მათი აღწერა კი განსაზღვრულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის შესაბამისი ნორმატიული აქტით. ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა კვების რეჟიმი განსაზღვრავს დღის განმავლობაში კვების ჯერადობას, მათ შორის ფიზიოლოგიური თვალსაზრისით გამართლებული შუალედების დაცვას, ასევე შესაბამისი ნორმატიული აქტებით დამტკიცებული ნორმების მიზანმიმართულ განაწილებას დღისა და კვირის განმავლობაში და საკვების მიღებას განრიგით მკაცრად განსაზღვრული დროის მონაკვეთში. მიუხედავად ამისა, ზოგიერთ დაწესებულებაში, პატიმართა რაოდენობის მაღალი მაჩვენებლის ან ადგილობრივი რესურსების არასაკმარისობის გამო ხდება ისეთი გადაწყვეტილებების მიღება, რომ ირღვევა კვების პერიოდებს შორის დადგენილი ფიზიოლოგიური შუალედები. ბრძანების მიხედვით, ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დღიური კვება უნდა იყოს სამჯერადი. შუალედი საკვების მიღებათა შორის არ უნდა აღემატებოდეს 5 – 6 საათს. სამჯერადი კვების მენიუ – განრიგის შედგენისას დაუშვებელია დღიურ მენიუში ჩაირთოს ერთნაირი დასახელების კერძები. ამასთან, დღიური რაციონი კალორიულობის მიხედვით უნდა იქნეს გადანაწილებული შემდეგი მოთხოვნების დაცვით:

- ა) საუზმე 30 – 35%;
- ბ) სადილი – 40 – 45%;
- გ) ვახშამი- 30 – 20%.

მენიუ, როგორც წესი, უნდა შედგეს ერთი კვირის ვადისთვის ყოველდღიური ნორმების გათვალისწინებით, სამ ეგზემპლარად. პირველი ეგზემპლარი (დედანი) ინახება სასჯელაღსრულების დეპარტამენტში, მეორე დაწესებულებაში, ხოლო მესამე ეგზემპლარი უნდა გამოიკრას ვესტიბიულში, ბრალდებულთათვის /მსჯავრდებულთათვის გაცნობის მიზნით. თუმცა ყველა მსჯავრდებულსა და ბრალდებულს არ აქვს მენიუს გაცნობის საშუალება. ბრძანების შესაბამისად, ავადმყოფებს, რომლებიც საჭიროებენ სპეციალურ დიეტას ექიმის დანიშნულების შესაბამისად, შეიძლება შეეცვალოს ერთი სახის პროდუქტი მეორეთი ისე, რომ შენარჩუნებულ იქნეს საკვების ზემოაღნიშნული ნორმებით გათვალისწინებული კვებითი ღირებულება, ხოლო სტაციონარულ მკურნალობაზე მყოფ ტუბერკულოზით, დისტროფიით, წყლულოვანი ავტამინოზით და ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებულ ბრალდებულთა/ მსჯავრდებულთათვის ცალკეა დადგენილი კვირის სასურსათო ნორმები.

მონიტორინგის შედეგად გაირკვა, რომ ადგილობრივი სამედიცინო ნაწილის ექიმი ყოველდღიურად სამჯერ ახდენს საკვების შემოწმებას. საკვების შემოწმება გულისხმობს მის ორგანოლეპტიურ შეფასებას და დაგემოვნებას. საკვების ნიმუშები, დაწესებულებათა უმრავლესობაში ინახება დადგენილი ვადით. მთავარი ექიმების განცხადებით, საანგარიშო პერიოდში საკვების წუნდების ფაქტი, რომელიც წერილობით იქნებოდა დაფიქსირებული არ ყოფილა. თუმცა, მთავარ ექიმთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ ისინი სიტყვიერ რეკომენდაციებს აწვდიან სამზარეულოს და მათ შორის მუდმივი კომუნიკაცია არსებობს. რუსთავის N5 დაწესებულების მთავარი ექიმის განცხადებით, ექიმის რეკომენდაციის გამო ერთხელ იყო შემთხვევა, როდესაც საკვები არ დარიგდა. N9 დაწესებულების მთავარმა ექიმმა განაცხადა, რომ მასაც ახსოვს ერთი შემთხვევა, როდესაც შავი პურის ხარისხის გამო სიტყვიერად მიმართა კვების ბლოკის მენეჯერს. N9 დაწესებულების ექიმები მიმართავენ რეკომენდაციით საკვების მარილიანობისა და ცხიმოვანობასთან დაკავშირებით. მსგავსი სახის რეკომენდაციებს იძლევა პერიოდულად გეგუთოს N14 დაწესებულების მთავარი ექიმიც. აღსანიშნავია, რომ ავადმყოფი პატიმრის, მათ შორის შაქრიანი დიაბეტით დაავადებულთა შემთხვევაში არ არსებობს დიეტური მაგიდები. საუკეთესო შემთხვევაში, დიაბეტით დაავადებული პაციენტები, „ექიმის დანიშნულებით“ იღებენ შავ პურს. ამ მხრივ უნდა აღინიშნოს, რომ ტუბერკულოზით დაავადებულთა N19 დაწესებულებაში არსებობს ტუბერკულოზისათვის შესაფერისი დიეტური მაგიდა. რაც შეეხება მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამკურნალო დაწესებულებას, პენიტენციურ სისტემაში აღნიშნული ერთადერთი დაწესებულებაა, რომელშიც მუშაობს დიეტ-ექიმი. მასთან გასაუბრების შემდეგ გაირკვა, რომ დაწესებულებაში მოქმედებს N1, N5, N9 და N11 მაგიდები. დიეტოლოგის განცხადებით, საკვებს ყოველი დარიგების წინ ამოწმებს მიმღები განყოფილების მორიგე ექიმი. მონიტორინგის დროს აღმოჩნდა, რომ დიეტოლოგმა მიიღო გადაწყვეტილება პურის შემოტანილი პარტიის უკან გაბრუნების შესახებ, რაც პენიტენციური სისტემის დაწესებულებებისათვის, პრაქტიკულად უპრეცედენტო შემთხვევაა.

პატიმართა ავადობასთან და პაციენტთა გადაყვანასთან დაკავშირებული საკითხები პენიტენციური სისტემის დაწესებულებებში:

ავადობის საკითხების შესწავლას პენიტენციური სისტემის დაწესებულებაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რადგან სწორედ აღნიშნული ინდიკატორის თავისებურებებიდან გამომდინარე უნდა მოხდეს სისტემის ეფექტურობის შეფასება, ასევე ადამიანური და სხვა სახის რესურსების დაგეგმვა და განვითარება. ავადობის ინდიკატორის სტრუქტურა უნდა დაედოს საფუძვლად ნებისმიერი სახის რეფორმის და სტრატეგიას, ასევე პენიტენციური ჯანდაცვის სისტემის განვითარების გეგმას. ავადობის მაჩვენებელი ციხეებში მნიშვნელოვანია ასევე ზოგადად ქვეყანაში საზოგადოებრივი ჯანდაცვის საკითხებზე მსჯელობისათვის. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი უკვე რამდენიმე წელია ახორციელებს ამ მიმართულებით დაკვირვებას და ამა თუ იმ ჯგუფის დაავადებების პრევალენციის შესწავლას ციხეებში. ზოგადად ავადობა წარმოადგენს

დაავადებულთა მდგომარეობის, შესაძლებლობის შეზღუდვის ან ჯანმრთელობის მოშლის მდგომარეობის ინდიკატორს ნებისმიერი მიზეზის გამო. ტერმინი შესაძლებელია ასევე გამოყენებული იყოს დაავადების ამა თუ იმ ფორმის არსებობისას ან ჯანმრთელობის მდგომარეობის ხარისხის აღსაწერად იმ მდგომარეობებში, როდესაც დაავადება იწვევს პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის მოშლას. აქვე უნდა გამოიყოს ტერმინი თანა-ავადობა, რომელიც გულისხმობს ერთზე მეტი სამედიცინო მდგომარეობის ერთდროულ არსებობას ერთ ინდივიდში. ავადობის მაჩვენებლის შესწავლა პენიტენციური სისტემის მოსახლეობაში, დადგენილი წესითა და სტანდარტებით არ მიმდინარეობს. მიუხედავად ამისა, ბოლო პერიოდში, სასჯელაღსრულების პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის მიერ შემუშავებულია სპეციალური ფორმები, რომლის მიხედვითაც, ცალკეული პენიტენციური დაწესებულების საექიმო-სამედიცინო პუნქტები ყოველთვიურად ახდენენ დაავადებათა ახლად გამოვლენილი ფორმების აღრიცხვას და ინფორმაციის დეპარტამენტისათვის გადაცემას. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ინფორმაცია სრულად არ შეესაბამება თვითონ „ავადობის“ ინდიკატორის არსს, მას მაინც მნიშვნელოვანი და ფასეული ინფორმაციის მოცემა შეუძლია. გარდა ამისა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ინფორმაციის სტანდარტიზებული მოპოვება და დამუშავებამ ადგილობრივი სამედიცინო პერსონალის მიერ არ ხდება, რაც კიდევ უფრო ზრდის არაზუსტი ინფორმაციის ბაზაში მოხვედრის ალბათობის რისკს. სტანდარტული ცხრილი, რომლითაც ადგილობრივი ექიმები ახლად გამოვლენილ დაავადებათა სტატისტიკურ აღრიცხვას აწარმოებენ არ შეესაბამება დადგენილ და საერთაშორისოდ აღიარებულ ეპიდემიოლოგიურ კრიტერიუმებსა და მოთხოვნებს.

2011 წელს აღნიშნული მიმართულებით მოპოვებული ინფორმაცია მოცემულია ცხრილში:

2011 წლის პირველი ნახევარი

ახლად გამოვლენილი დაავადებები დაწესებულების მიხედვით	გულ-სისხლძარღვოვანი	სასუნთქო სისტემის	საჭლის მიმდებარე	შარდ-სასქესო	ნერვული სისტემის	ფსიქიკური	ენდოკრინული	პემატოლოგიურ	გრძობათა ორგანოებს	ინფექციური	მგალ-სახსართა და შებ. ქსოვილი	კანისა და მკერდული	ქორუროგული	ონკოლოგიური	ს უ ლ:
№1 დაწესებულება	66	198	141	72	24	18	9	0	109	10	112	0	26	0	
№2 დაწესებულება	22	56	29	26	66	57	8	0	90	2	0	0	8	0	
№3 დაწესებულება	23	106	44	73	18	16	6	0	20	7	17	1	29	2	
№4 დაწესებულება	36	27	46	18	32	4	6	0	12	26	5	25	3	2	
№5 დაწესებულება	171	50	62	137	186	86	110	6	92	0	68	1	49	0	
№6 დაწესებულება	0	93	27	0	11	1	1	0	0	0	0	1	0	0	
№7 დაწესებულება	0	0	1	5	4	0	0	0	9	5	0	4	0	0	
№8 დაწესებულება	9	0	0	25	25	80	16	0	64	2	14	1	0	0	
№9 დაწესებულება	12	5	12	0	0	0	0	5	24	0	0	0	0	0	
№11 დაწესებულება	8	22	2	8	38	4	1	0	50	26	1	49	0	0	
№12 დაწესებულება	21	23	34	47	19	3	1	0	36	0	3	0	0	0	

№13 დაწესებულება	0	4	1	5	4	0	0	1	2	49	2	0	0	0
№14 დაწესებულება	9	190	10	1	5	0	0	3	1	0	0	0	4	0
№15 დაწესებულება	52	182	71	86	77	60	9	0	111	0	15	4	7	1
№16 დაწესებულება	45	55	104	183	72	12	5	0	262	8	0	1	10	0
№17 დაწესებულება	220	650	290	60	112	80	30	1	118	6	1	1	30	1
№18 დაწესებულება	53	40	74	63	41	49	1	7	35	115	21	15	33	19
№19 დაწესებულება	61	55	0	36	6	53	0	0	45	0	0	13	1	1
ს უ ლ:	808	1756	948	845	740	523	203	23	1080	256	259	116	200	26

2011 წლის მეორე ნახევარი:


ახლად გამოვლინილი დაავადებები დაწესებულების მიხედვით	გულ-სისხლძარღვლეთა	სასუნთქი სისტემის	საჭმლის მომნელებელი	შარდ-სასქესო	ნერვული სისტემის	ფსიქიკური	ენდოკრინული	კვებოლოგიური	გრძნობათა ორგანოების	ინფექციური	ბეალ-სასხარია და შიშ. ქსოვილი	კანისა და ჯინჯრული	ქირურგიული	ონკოლოგიური	ს უ ლ:
№1 დაწესებულება	41	264	72	34	30	18	6	0	55	3	63	40	12	0	
№2 დაწესებულება	6	34	60	33	105	59	1	2	94	2	5	0	19	1	
№3 დაწესებულება	25	67	57	42	23	8	12	0	28	10	7	0	31	4	
№4 დაწესებულება	39	58	68	27	19	11	12	0	22	34	29	13	3	0	
№5 დაწესებულება	87	8	11	68	94	19	35	0	50	0	20	3	20	3	
№6 დაწესებულება	40	114	56	39	72	143	4	0	0	8	0	33	0	0	
№7 დაწესებულება	1	1	0	1	0	0	0	1	2	0	0	5	0	0	
№8 დაწესებულება	3	0	0	22	67	76	23	0	69	0	0	1	0	0	
№9 დაწესებულება	9	18	9	17	5	3	2	0	5	0	5	0	4	0	
№11 დაწესებულება	0	9	1	6	21	7	0	0	14	16	1	71	0	0	
№12 დაწესებულება	13	9	21	13	8	19	1	6	32	0	2	0	2	0	
№13 დაწესებულება	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	
№14 დაწესებულება ⁵⁷⁶	25	168	94	40	50	8	1	1	18	149	8	3	8	0	
№15 დაწესებულება	53	110	65	78	73	39	22	0	115	1	27	0	6	0	
№16 დაწესებულება	15	46	162	138	33	10	3	0	240	105	4	5	4	0	
№17 დაწესებულება ⁵⁷⁷	352	1317	696	355	287	56	106	1	244	113	7	0	28	4	
№18 დაწესებულება	56	46	63	60	36	59	3	15	34	84	4	34	29	13	
№19 დაწესებულება	80	20	0	38	47	194	0	5	61	29	0	18	9	0	
ს უ ლ:	845	2289	1435	1011	970	729	231	31	1083	554	182	226	175	25	

როგორც ცხრილიდან ჩანს, პენიტენციური სისტემის დაწესებულებებში, ყველაზე ხშირად სასუნთქი სისტემის დაავადებები გვხვდება. აღნიშნულის შემდეგ პოზიციას, 2011 წლის პირველ ნახევარში იკავებს გრძნობათა ორგანოების დაავადებების გამოვლინება. მეორე ნახევარში ამ პოზიციასზე გადმოინაცვლა საჭმლის მომნელებელი

⁵⁷⁶ არ მოიცავს სექტემბრის თვის მონაცემებს, რომლებიც ადგილზე არ მოიძებნა
⁵⁷⁷ N17 დაწესებულების გრაფაში არ არის ოქტომბრის თვის მონაცემები, რომლებიც დაწესებულებაში არ მოიძებნა.

სისტემის დაავადებებმა, ხოლო გრძნობათა ორგანოების დაავადებები განთავსდა მესამე პოზიციაზე. თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ ამ ჯგუფის დაავადებათა მართვისათვის მხოლოდ ორი სპეციალობის ექიმი მუშაობს (ოფთალმოლოგი და ოტორინოლარინგოლოგი), შეიძლება ითქვას, რომ თვალისა და ყელ-ყურ-ცხვირის ახლად გამოვლენილი შემთხვევები, პენიტენციური სისტემის დაწესებულებებში, 2011 წლის ერთ-ერთ ლიდერ პოზიციას იკავებს. ყველაზე მცირე რაოდენობით გამოვლენილ დაავადებათა ჯგუფს მიეკუთვნება ჰემატოლოგიური დაავადებები და ონკოლოგიური დაავადებები. აღსანიშნავია, რომ ონკოლოგიური დაავადებებით სიკვდილობა, 2011 წლის პირველი 6 თვის განმავლობაში განსაკუთრებით მაღალი იყო. მათ შორის ვხვდებით ისეთ შემთხვევებს, როდესაც დიაგნოსტიკა არასრული ან საერთოდ განუხორციელებელი დარჩა, რის გამოც ონკოლოგიური დიაგნოზის დასმა მხოლოდ სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის მიერ, ჰისტოლო-მორფოლოგიური კვლევის შედეგად მოხერხდა. რაც შეეხება ტუბერკულოზით ავადობას, აღნიშნული ნოზოლოგიის ახლად გამოვლენილი შემთხვევების აღრიცხვა, მისი განსაკუთრებული სპეციფიკურობიდან გამომდინარე პენიტენციურ სისტემაში ცალკე წარმოებს, რის გამოც ტუბერკულოზი ამ შემთხვევაში არ არის შეყვანილი რომელიმე სხვა ჯგუფში (მაგალითად ინფექციურ დაავადებათა ჯგუფში, ან ფილტვების ტუბერკულოზი, შესაბამისად სასუნთქი სისტემის დაავადებათა ჯგუფში).

რაც შეეხება დაავადებათა წილს, წარმოდგენილი ინფორმაციის საერთო სპექტრში, აღნიშნული მოცემულია დიაგრამაზე:



მონიტორინგის ჯგუფის მიერ დაფიქსირდა ის შეუსაბამობები, რომელიც ახლად გამოვლენილი დაავადებათა შემთხვევების დისპროპორციაში გამოიხატება, შესაბამისი სპეციალისტის კონსულტაციებისა და შესაბამისი ინსტრუმენტული, ლაბორატორიული და კლინიკური გამოკვლევების მაჩვენებელთან. მაგალითად, იმ ფონზე, როდესაც სისტემაში ტრავმატოლოგი მხოლოდ მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამკურნალო დაწესებულებაშია ხელმისაწვდომი და სასჯელის მოხდის სხვა ადგილებში, ამ პროფილის ექიმის კონსულტაციათა რიცხვი პრაქტიკულად უმნიშვნელოა, საკმაოდ მაღალია ახლად გამოვლენილ ძვალ-სახსართა სისტემის დაავადებათა რიცხვი საერთო სურათში. იგივე შეიძლება ითქვას ნევროლოგიურ პათოლოგიაზეც. კონსულტაციების რაოდენობა დაწესებულების მიხედვით განხილული იყო მოხსენების შესაბამის თავში, რაც შეეხება ჩატარებულ ინსტრუმენტულ და ლაბორატორიულ კვლევებს, მათი რაოდენობა 2011 წლის საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გამოსახულია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში:

2011 წლის პირველი ნახევარი:

№	დაწესებულების დასახელება	ინსტრუმენტული გამოკვლევა					ლაბორატორული გამოკვლევა				
		რენტგენ. კვლევა	ექსკოპია	ეკგ	ენდოსკოპია	სულ	სისხლის საერთო	შარდის კლინიკურ	სისხლის ბიოქიმია	ნახველის	სულ
1	№1 დაწესებულება	140	102	27	0	269	3	0	4	420	427
2	№2 დაწესებულება	281	288	51	4	624	169	75	240	275	759
3	№3 დაწესებულება	55	197	80	0	332	28	0	14	196	238
4	№4 დაწესებულება	35	40	11	1	87	7	0	0	54	61
5	№5 დაწესებულება	213	199	64	0	476	52	12	135	78	277
6	№6 დაწესებულება	230	106	33	0	369	45	7	24	115	191
7	№7 დაწესებულება	7	5	2	1	15	6	0	4	1	11
8	№8 დაწესებულება	185	86	12	16	299	73	31	30	170	304
9	№9 დაწესებულება	3	25	13	0	41	8	0	6	1	15
10	№11 დაწესებულება	6	8	8	0	22	20	0	8	23	51
11	№12 დაწესებულება	96	52	43	0	191	4	0	5	145	154
12	№13 დაწესებულება	25	21	8	0	54	17	1	10	11	39
13	№14 დაწესებულება	321	352	66	2	741	135	106	85	355	681
14	№15 დაწესებულება	348	245	68	10	671	19	4	41	70	134
15	№16 დაწესებულება	244	302	66	5	617	18	0	30	671	719
16	№17 დაწესებულება	390	316	171	0	877	25	4	20	400	449
17	№18 დაწესებულება	1961	1063	1031	278	4333	2594	1119	516	1097	5326
18	№19 დაწესებულება	1642	101	52	0	1795	1195	199	873	6440	8707
ს უ ლ:		6182	3508	1806	317		4418	1558	2045	10522	

2011 წლის მეორე ნახევარი:

№	დაწესებულების დასახელება	ინსტრუმენტული გამოკვლევა					ლაბორატორული გამოკვლევა				
		რენტგენ. კვლევა	ექსკოპია	ეკგ	ენდოსკოპია	სულ	სისხლის საერთო	შარდის კლინიკურ	სისხლის ბიოქიმია	ნახველის	სულ
1	№1 დაწესებულება	168	40	28	0	236	3	0	8	534	545
2	№2 დაწესებულება	308	254	14	0	576	136	86	146	557	925
3	№3 დაწესებულება	40	176	59	0	275	37	0	6	193	236
4	№4 დაწესებულება	39	31	5	0	75	7	2	5	196	210
5	№5 დაწესებულება	127	243	119	21	510	40	25	89	244	398
6	№6 დაწესებულება	213	108	53	0	374	12	1	29	189	231
7	№7 დაწესებულება	5	8	2	0	15	0	0	2	1	3
8	№8 დაწესებულება	164	42	85	15	306	43	23	10	466	542
9	№9 დაწესებულება	19	95	27	2	143	24	6	26	89	145
10	№11 დაწესებულება	16	4	2	0	22	33	0	0	22	55

11	№12 დაწესებულება	27	95	39	0	161	28	1	12	411	452
12	№13 დაწესებულება	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
13	№14 დაწესებულება ⁵⁷⁸	365	221	41	0	627	116	99	94	1059	1368
14	№15 დაწესებულება	337	144	73	3	557	43	1	156	1048	1248
15	№16 დაწესებულება	227	181	34	3	445	13	1	13	1793	1820
16	№17 დაწესებულება	237	181	124	1	543	57	0	60	1438	1555
17	№18 დაწესებულება	1808	900	939	269	3916	2430	1818	7430	989	12667
18	№19 დაწესებულება	1563	74	69	0	1706	968	217	1194	8943	11322
ს უ ლ:		5663	2866	1710	314		3990	2280	9280	18172	

ცხრილში მოცემულია ლაბორატორიული გამოკვლევების ის ძირითადი სახეები, რომლებიც ტარდება სასჯელაღსრულების სისტემაში. იგივე შეიძლება ითქვას ინსტრუმენტულ გამოკვლევებზე. რაც შეეხება სხვა სახის ინსტრუმენტულ და ლაბორატორიულ გამოკვლევებს, მათი ჩატარება სისტემაში ზოგადად ხდება (მაგალითად CT და MRT კვლევები), თუმცა, ისინი ტარდება სპეციალიზებულ სამკურნალო დაწესებულებებში და მათი რაოდენობა, სამწუხაროდ არსებული საჭიროებისადეკვატური არ არის.

პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ ჩატარებული მონიტორინგის ფარგლებში სათანადო ყურადღება დაეთმო ისეთი დაავადებების გავრცელების შესწავლას როგორცაა დიაბეტი, ასთმა და ეპილეფსია. აღსანიშნავია, რომ ამ დაავადებათა გავრცელების გამო არსებულ პრობლემებზე, სახალხო დამცველი წარსულშიც არაერთხელ მიუთითებდა. კერძოდ, საუბარი იყო დაავადებულთათვის მკურნალობისა და მოვლის ადეკვატური დიეტის, შესაბამისი სამკურნალო კვების და მეთვალყურეობის სისტემის უზრუნველყოფაზე.

2011 წლის პირველ ნახევარში, სასჯელაღსრულების სისტემის სხვადასხვა დაწესებულებების საექიმო-სამედიცინო პუნქტების მიერ სულ 203 ახლად გამოვლენილი ენდოკრინული დაავადება აღრიცხული. მათ უმეტესობას წარმოადგენს დიაბეტი. იმავე წყაროზე დაყრდნობით, მთელს სისტემაში ინსულინი დანიშნული ჰქონდა 84 პაციენტს, ხოლო დესმოპრესინი - 65 პაციენტს.

დაწესებულების დასახელება	დიაბეტი დაავადებული რაოდენობა	ინსულინიზე მყოფთა რაოდენობა	პიპო / ჰიპერ გლიკემიური კომა აღენიშნა	დიეტური კვების საკითხები	შენიშვნა
№1 დაწესებულება	3	1	0	შავი პური და რძის პროდუქტები	
№2 დაწესებულება	5	2	0		
№3 დაწესებულება	2	2	0		
№4 დაწესებულება	5	1	0		

⁵⁷⁸ არ მოიცავს სექტემბრის თვის მონაცემებს.

№5 დაწესებულება	29	7	0	შავი პური	
№6 დაწესებულება	2	2	0	შავი პური	
№7 დაწესებულება	0	0	0		
№8 დაწესებულება	42	8	0		
№9 დაწესებულება	15	10	0	რუხი პური	
№11 დაწესებულება	0	0	0		
№12 დაწესებულება	5	2	0		
№13 დაწესებულება	0	0	0		
№14 დაწესებულება	5	1	0		1 პაციენტი უშაქრო დიაბეტით
№15 დაწესებულება	20	8	1	თვითონ ყიდულობენ შავ პურს	
№16 დაწესებულება	7	3	0	შავი პური	
№17 დაწესებულება	42	9	1	მაწონი, შავი პური მოხარშ. ხორცი	
№18 დაწესებულება	8	7	0		
№19 დაწესებულება	5	5	0		
ს უ ლ:	195	68	2		

რაც შეეხება წლის მეორე ნახევარს, მთელს სისტემაში ინსულინი დანიშნული ჰქონდა 72 პაციენტს, ხოლო დესმოპრესინი - 15 პაციენტს. არსებული მონაცემები, რომელიც წლის მეორე ნახევარს ასახავს წარმოდგენილია ცხრილში:

დაწესებულების დასახელება	დიაბეტით დაავადებულ	ინსულინიზე მყოფთა	ჰიპო / ჰიპერ გლიცემიური კომა აღენიშნა	დიეტური კვების საკითხები	შენიშვნა
№1 დაწესებულება	7	1	0	შავი პური და რძის პროდუქტები	დიეტა 1 მსჯ-ს ინსულინდამოკიდებულს
№2 დაწესებულება	5	3	0	ნახშირწყლები, შავი პური, ჯიმწიბურა	
№3 დაწესებულება	20	3	0	ჰერკულესი, წიმწიბურა, შავი პური	
№4 დაწესებულება	4	2	0	უმარილო ყველი ამანათით	მხოლოდ ინსულინდამოკიდებულს
№5 დაწესებულება	30	5	3	შავი პური, ჯიმწიბურა	სამივე შემთხვევა იყო პრეკომა
№6 დაწესებულება	4	1	0	შავი პური	
№7 დაწესებულება	0	0	0		
№8 დაწესებულება	21	6	0	ნახშირწყლოვანი	
№9 დაწესებულება	32	7	1	შავი პური და	

				ნახშირწყლები	
№11 დაწესებულება	0	0	0		
№12 დაწესებულება	5	2	0		
№13 დაწესებულება	-	-	-		
№14 დაწესებულება	17	5	0	ხორციანი დიეტა და რძის პროდუქტები	
№15 დაწესებულება	29	8	1-2 შემთხვევა	თვითონ ყიდულობენ შავ პურს	დიეტები არ არის, მაგრამ ეძლევათ რეკომენდაცია, რაც შეუძლიათ შეასრულონ მაღაზიაში საკვები შეძენით
№16 დაწესებულება	8	3	0	შავი პური	
№17 დაწესებულება	26	13	2ჯერ კომა	მაწონი, შავი პური მოხარშ. ხორცი, კვერცხი, არაჟანი, ხაჭო	
№18 დაწესებულება	11	8	0		ემლევათ რძის პროდუქტები
№19 დაწესებულება	7	5	0	ნახშირწყლებს უზღუდავენ ტუბის გამო, ეძლევათ ბოსტნული, ხორცი, რძის პროდუქტები	
ს უ ლ:	226	72	8		

როგორც ცხრილიდან ჩანს, მონიტორინგის ჯგუფის მიერ მოპოვებული ინფორმაციით, შაქრიანი დიაბეტი სისტემაში დადგენილი აქვს 206 პირს. ამასთან, 72 პირი მკურნალობს ინსულინით, ხოლო დანარჩენი პაციენტები მკურნალობენ ტაბლეტირებული ფორმებით. დიეტების გამო ჰიპო- ან ჰიპერგლიკემიური კომის შემთხვევა დაფიქსირდა 10 შემთხვევაში. რაც შეეხება სპეციალური კვების საკითხებს, არცერთ დაწესებულებაში ეს უკანასკნელი მოგვარებული არ არის. აღნიშნულთან დაკავშირებით, ზოგიერთი დაწესებულების მთავარმა ექიმმა განგვიმარტა, რომ რისი შესაძლებლობაც მათ აქვთ ეს არის შავი პური, რომელიც ზოგიერთ დაწესებულებაში ექიმის დანიშნულებითაც კი ინიშნება. ექიმთა მიერ გაკეთებული კომენტარები შეტანილია ზემოთ მოცემულ ცხრილში.

საქართველოს სახალხო დამცველის მონიტორინგის ჯგუფი, დიაბეტის გარდა დაინტერესდა სისტემაში ბრონქული ასთმისა და ეპილეფსიის გავრცელებით. მოპოვებული ინფორმაცია ასახულია ცხრილში:

2011 წლის პირველი ნახევარი

დაწესებულების	ბრონქული ასთმა	ეპილეფსია
---------------	----------------	-----------

	რაოდენობა	მძიმე ფორმები	სტატუსი	რაოდენობა	მძიმე ფორმები	სტატუსი
№1 დაწესებულება	1	0	0	5	0	0
№2 დაწესებულება	3	0	0	2	0	0
№3 დაწესებულება	1	0	0	2	0	0
№4 დაწესებულება	3	0	0	1	1	0
№5 დაწესებულება	2	0	0	4	0	0
№6 დაწესებულება	1	0	1	2	1	1
№7 დაწესებულება	0	0	0	1	1	1
№8 დაწესებულება	4	0	1	20	0	1
№9 დაწესებულება	5	1	0	1	0	0
№11 დაწესებულება	0	0	0	1	0	0
№12 დაწესებულება	3	1	0	7	0	0
№13 დაწესებულება	1	0	0	3	0	0
№14 დაწესებულება	7	0	0	15	0	1
№15 დაწესებულება	18	2	1	15	2	0
№16 დაწესებულება	8	1	0	25	1	1
№17 დაწესებულება	10	1	0	30	0	0
№18 დაწესებულება	0	0	0	0	0	0
№19 დაწესებულება	2	1	1	3	1	1
ს უ ლ:	69	7	4	137	7	6

2011 წლის მეორე ნახევარი:

დაწესებულების დასახელება	ბრონქული ასთმა			ეპილეფსია		
	რაოდენობა	მძიმე ფორმები	სტატუსი	რაოდენობა	მძიმე ფორმები	სტატუსი
№1 დაწესებულება	3	0	0	4	1	1
№2 დაწესებულება	0	0	0	4	0	0
№3 დაწესებულება	3	0	0	0	0	0
№4 დაწესებულება	0	0	0	1	1	0
№5 დაწესებულება	1	0	0	3	0	0
№6 დაწესებულება	0	0	0	2	0	0
№7 დაწესებულება	0	0	0	1	1	1
№8 დაწესებულება	5	0	1	ვერ დააზუსტეს	0	0
№9 დაწესებულება	5	1	2	1	0	0
№11 დაწესებულება	0	0	0	1	0	0
№12 დაწესებულება	0	0	0	2	0	0
№13 დაწესებულება	-	-	-	-	-	-
№14 დაწესებულება	15	0	0	0	0	0

№15 დაწესებულება	25	1	2	3(დანარჩენს ისტერიული გულყრები აქვს და არ დასტურდება ქვებ	2	0
№16 დაწესებულება	4	0	0	35	1	0
№17 დაწესებულება	20	0	0	10	1	1
№18 დაწესებულება	2	0	0	3	0	0
№19 დაწესებულება	5	1	1	3	3	3
ს უ ლ:	88	3	6	73	10	6

ადგილობრივი საექიმო-სამედიცინო პუნქტების მიერ სულ მთელს სისტემაში აღრიცხულია ბრონქული ასთმით დაავადებული 88 პაციმარი. ეს რა თქმა უნდა გაცილებით ნაკლებია იმ რეალურ მონაცემებზე, რომელიც მხედველობაშია მისაღები. აღნიშნული სტატისტიკის მიხედვით, ასთმით დაავადებულ პაციენტთა ყველაზე დიდი რაოდენობა თავმოყრილია N15 და N17 დაწესებულებებში. დაავადების მიმდინარე ფორმა აღნიშნება 7 პაციენტს, მათგან ასთმური სტატუსი განვითარდა მხოლოდ 10 შემთხვევაში.

რაც შეეხება ისეთ გავრცელებულ ნევროლოგიურ პათოლოგიას, როგორცაა ეპილეფსია, სასჯელალსრულების სისტემაში სულ 137 დაავადებულია აღრიცხული წლის პირველი ნახევრისათვის, ხოლო წლის მეორე ნახევარში, მთავარი ექიმების მიერ მოგვეწოდა ინფორმაცია, რომ ეპილეფსიით მხოლოდ 73 პირია დაავადებული. მათგან ეპილეფსიის მიმდინარე ფორმა აღნიშნება 10 პაციენტს, ხოლო ეპილეფსიური სტატუსი დაფიქსირებულია 12 შემთხვევაში. დაავადებულთა ყველაზე დიდი რაოდენობა დაფიქსირებულია N14, N15, N16, N17 და N8 დაწესებულებებში. აქვე უნდა აღინიშნოს ის, რომ კვალიფიციური ნევროლოგიური დახმარების არარსებობის ან არასაკმარისობის პირობებში, პაციენტთა დიდ ნაწილს ხელი არ მიუწვდება ადეკვატური სადიაგნოზო და სამკურნალო სერვისებისადმი, რის გამოც ეპილეფსიით დაავადებულთა საკმაოდ დიდი ნაწილი აღურიცხავი და უმკურნალო რჩება. ადგილობრივი ექიმები, და განსაკუთრებით მთავარი ექიმები აღნიშნავენ, რომ მიუხედავად იმისა, რომ მათთვის ცნობილი ხდება კრუნჩხვის განვითარების შესახებ, ისინი დიაგნოზს თავად ვერ დასვამენ ნევროლოგის კონსულტაციის და გამოკვლევების გარეშე. ნევროლოგის მოსვლის შემთხვევაში კი ეს უკანასკნელი ყოველთვის აფიქსირებს, რომ „კრუნჩხვა აღნიშნა - გადმოცემით“, რაც შეეხება ეეგ, მრტ და კტ კვლევებს, ისინი დიაგნოზის დასადასტურებლად ან არ ინიშნება, ან ხშირად შეუსრულებელი რჩება.

სახალხო დამცველის აპარატი არა მარტო მონიტორინგის, არამედ გეგმური სამუშაოს შესრულების დროს, პერიოდულად დიდ ყურადღებას უთმობს სასჯელალსრულების დაწესებულებებში ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემებს და მათი გადაწყვეტის გზებს. ამ მხრივ უნდა ითქვას, რომ დაწესებულებებში არაკეთილსაიმედო მდგომარეობაა შექმნილი.

Deleted: o

2011 წლის პირველი ნახევარი:

№	დაწესებულების დასახელება	ფსიქოტრის კონსულტაციები	ახლად გამოვლენილი პაციენტები	ფსიქიკური პრობლემების მქონე (აღრიცხვად)	სუიციდი	პარასუიციდი
1	№1 დაწესებულება	18	18	1	0	0
2	№2 დაწესებულება	259	57	57	0	2
3	№3 დაწესებულება	137	16	8	0	0
4	№4 დაწესებულება	73	4	5	0	0
5	№5 დაწესებულება	72	86	22	0	1
6	№6 დაწესებულება	77	1	40	1	0
7	№7 დაწესებულება	1	0	1	0	0
8	№8 დაწესებულება	62	80	12	0	0
9	№9 დაწესებულება	0	0	1	0	0
10	№11 დაწესებულება	8	4	1	0	0
11	№12 დაწესებულება	0	3	24	0	0
12	№13 დაწესებულება	6	0	8	0	0
13	№14 დაწესებულება	90	0	20	0	0
14	№15 დაწესებულება	128	60	45	1	0
15	№16 დაწესებულება	23	12	24	0	0
16	№17 დაწესებულება	26	80	20	0	2
17	№18 დაწესებულება	168	49	83	1	3
18	№19 დაწესებულება	78	53	5	0	0
	სულ	1226	523	377	3	8

2011 წლის მეორე ნახევარი:

№	დაწესებულების დასახელება	ფსიქოტრის კონსულტაციები	ახლად გამოვლენილი პაციენტები	ფსიქიკური პრობლემების მქონე (აღრიცხვად)	სუიციდი	პარასუიციდი
1	№1 დაწესებულება	17	18	?	0	0
2	№2 დაწესებულება	370	59	32	0	2
3	№3 დაწესებულება	76	8	23	0	0
4	№4 დაწესებულება	52	11	?	0	0
5	№5 დაწესებულება	55	19	2	0	1
6	№6 დაწესებულება	143	143	40	1	0
7	№7 დაწესებულება	1	0	1	0	0
8	№8 დაწესებულება	76	76	?	0	0
9	№9 დაწესებულება	17	3	19	0	0
10	№11 დაწესებულება	16	7	0	0	0

11	№12 დაწესებულება	45	19	9	0	0
12	№13 დაწესებულება	–	–	–	0	0
13	№14 დაწესებულება ⁵⁷⁹	103	8	?	0	0
14	№15 დაწესებულება	54	39	45	1	0
15	№16 დაწესებულება	24	10	25	0	0
16	№17 დაწესებულება ⁵⁸⁰	59	56	31	0	2
17	№18 დაწესებულება	0	59	29	1	3
18	№19 დაწესებულება	194	194	3	0	0
სულ		1302	729	****	3	8

როგორც ცხრილიდან ჩანს, საქართველოს პენიტენციური სისტემის დაწესებულებებში სულ 2528 პირველადი და განმეორებითი კონსულტაცია ჩატარებული ფსიქიატრების მიერ. აქედან 1252 ახლად გამოვლენილი შემთხვევაა დაფიქსირებული. ადგილობრივ სამედიცინო ნაწილებში აღრიცხვაზე მყოფი პირების რაოდენობის დადგენა, ჩანაწერთა არასისტემატურობის გამო, შეუძლებელია. აღნიშნული პირები ექიმის დანიშნულებით იღებენ სპეციფიკურ მედიკამენტებს. ამგვარი პრეპარატების დაწესებულებაში შემოტანა, დანიშვნა და მოხმარება-აღრიცხვა მკვეთრად განსხვავებული იყო დაწესებულებების მიხედვით. საანგარიშო პერიოდში ამ მხრივ მდგომარეობა მეტ-ნაკლებად გამოსწორდა, თუმცა კვლავ სერიოზული ხარვეზებისა და დარღვევების თანხლებით მიმდინარეობს. მაგალითად ქალთა N5 დაწესებულების მთავარი ექიმის მიერ მოწოდებული ინფორმაცია, ფსიქოტროპული მედიკამენტის დანიშვნის შესახებ. ექიმის განმარტებით, წამალი უნდა დაინიშნოს ექიმი ფსიქიატრის მიერ, რომელიც პერიოდულად მოდის კონსულტაციებზე. კონსულტანტის დანიშნულებას იხილავს მთავარი ექიმი, რის შემდეგაც ხდება პრეპარატის გაცემა და აღრიცხვა. ასე ინიშნება მაგალითად ზოლომაქსი, დიაზეპამი (როგორც ამპულირებული ისე ტაბლეტირებული) და სხვა. რაც შეეხება პაციენტთა გადაყვანას ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო, მთავარი ექიმი აღნიშნავს, რომ საანგარიშო პერიოდში მათი დაწესებულებიდან 4 მსჯავრდებული იქნა წარდგენილი ფსიქიატრიულ კომისიაზე; ყველა მათგანი გადაყვანილ იქნა ქუტირის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრში. რაც შეეხება კომისიაზე პაციენტის მოხვედრის მექანიზმს, ექიმმა შემდეგნაირად განმარტა: პაციენტის პირველადი კონსულტაციის შემდეგ ისმება პირველადი დიაგნოზი. პაციენტი ამის შემდეგ კვირაში 2-ჯერ მაინც უნდა მოინახულოს ფსიქიატრმა და გააკეთოს შესაბამისი ჩანაწერი. დაახლოებით 7-8 ასეთი ჩანაწერის შემდეგ, მთავარი ექიმი აკეთებს შესაბამის შუამდგომლობას და მიმართავს დაწესებულების ადმინისტრაციას, რომელიც თავის მხრივ დოკუმენტაციას და ინფორმაციას აწვდის სასჯელაღსრულების დეპარტამენტს. დეპარტამენტი კი პაციენტის დოკუმენტაციას აგზავნის კომისიაზე შესასწავლად. კომისიის მიერ, პაციენტის გადაყვანის რეკომენდაციის შემთხვევაში, დასკვნა დაახლოებით 1 კვირის ვადაში იგზავნება სასამართლო-ფსიქიატრიულ ექსპერტიზაზე. ექსპერტიზა მიმდინარეობს სახელმწიფო

⁵⁷⁹ არ მოიცავს სექტემბრის თვის მონაცემებს

⁵⁸⁰ არ მოიცავს ოქტომბრის თვის მონაცემებს

ბიუროში და იგი დაახლოებით 20 დღე გრძელდება. თავად კომისიის სხდომები ტარდება თვეში ორჯერ, სასჯელადსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროში. სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა კი იგზავნება უკვე სასამართლოში და მოსამართლე იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას.

რუსთავის N6 დაწესებულებაში ადგილზე შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ისეთი მედიკამენტები, როგორცაა: დიაზეპამი, ოპტიმალი, ამიტრიპტილინი, ჰალოპერიდოლი, ზოლომაქსი, აზალეპტინი, ციკლოდოლი და ა.შ.

რუსთავის N17 დაწესებულების მთავარი ექიმი აღნიშნავს, რომ ზოგჯერ მას წამლების შემოტანა გარედან უწევს.

როგორც ზემოთ წარმოდგენილი სტატისტიკური ინფორმაციიდან ჩანს, საქართველოს პენიტენციური სისტემის დაწესებულებებში 2011 წლის განმავლობაში დაფიქსირებულია თვითმკვლელობის 6 შემთხვევა. რაც შეეხება თვითმკვლელობის მცდელობას, სულ 16 ასეთი შემთხვევაა დაფიქსირებული, რასაც ექიმის მიერ სუიციდის მცდელობის კვალიფიკაცია აქვს მიცემული. ზოგიერთ შემთხვევაში, დაზიანებათა ჟურნალის ჩანაწერების მიხედვით ნათლად ჩანს, რომ აქ შესაძლებელია თვითმკვლელობის მცდელობაზე ვისაუბროთ, თუმცა კონკრეტულ ფაქტებს ამგვარი კვალიფიკაცია არ აქვს. სუიციდის მცდელობის შემდეგ, როგორც წესი, ასეთი რისკის მქონე პაციენტებს ნახულობს ფსიქიატრი, თუმცა საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით პრევენცია გაცილებით უფრო ადრეულ ეტაპზეა ჩასატარებელი.

პენიტენციურ სისტემაში წამალდამოკიდებულების მქონე პაციენტების შესახებ სრული და ამომწურავი ინფორმაცია იყო ასახული სახალხო დამცველის სპეციალურ ანგარიშში „ჯანმრთელობის უფლების რეალიზება და მასთან დაკავშირებული პრობლემები საქართველოს პენიტენციურ სისტემაში(2009 წელი,2010 წლის პირველი ნახევარი). ამ მხრივ ცვლილებები 2011 წლის პირველ და მეორე ნახევარში არ განხორციელებულა. წამალდამოკიდებულების მქონე პირები თითქმის არც ერთ დაწესებულებაში ცალკე არ აღირიცხება. ამავე პერიოდში ნარკოლოგის კონსულტაციების მხოლოდ ერთეული ფაქტებია დაფიქსირებული. დაწესებულებათა მთავარი ექიმების უმრავლესობა მიჩნევს, რომ მათ ეს პრობლემა რეალურად არ აქვთ, რადგან პაციენტებმა, რომლებიც წარსულში მოიხმარდნენ ნარკოტიკულ საშუალებას, პატიმრობის შემდეგ იძულებით დაანებეს თავი და მწვავე პერიოდი გადატანილი აქვთ. ამ მოსაზრებას რა თქმა უნდა ვერ გავავრცელებთ იმ დაწესებულებებზე, რომლებშიც პირველად ხდება პატიმართა შეყვანა. N8 დაწესებულებაში მოქმედებს მეთადონის პროგრამა,⁵⁸¹ რომელიც დეტალურად იყო აღწერილი წინა საანგარიშო პერიოდში. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი გვარწმუნებდა პროგრამის შეუფერხებლობაზე და საკმარისობაზე, მონიტორინგის ჯგუფი პირადად შეხვდა პატიმარს, რომელიც ადკვეთის სინდრომის გამო საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში იყო და მოითხოვდა პროგრამაში ჩართვას. მას წარმოდგენილი ჰქონდა დოკუმენტაცია, რომ იგი დაკავებამდე მონაწილეობდა მეთადონის პროგრამაში, სადაც იგი დროებითი მოთავსების იზოლატორიდანაც კი

⁵⁸¹ 2012 წლიდან დაგეგმილია მეთადონის პროგრამის ამოქმედება ქუთაისის N2 დაწესებულებაში.

გაჰყავდათ. მიუხედავად ამისა, მისი ჩართვა N8 დაწესებულებაში მიმდინარე მეთადონის პროგრამაში არ მოხდა, რაც მონიტორინგის ჯგუფს აფიქრებინებს, რომ ასეთი კონკრეტული შემთხვევები სხვაც შესაძლებელია არსებობდეს.

ქალთა N5 დაწესებულების მთავარი ექიმის განცხადებით, „მეთადონის პროგრამა მათ არ ესაჭიროებათ“. წამალდამოკიდებულების მქონე პირები ექსცესებს არ აწყობენ, ხოლო საჭიროებისას, შესაძლებელია ნარკოლოგის გამოძახება, რომელიც რეალურად მხოლოდ ერთხელ დასჭირდათ საანგარიშო პერიოდში.

რაც შეეხება ვირუსული ჰეპატიტების გავრცელებას პენიტენციურ სისტემაში, აღნიშნული კვლავ ერთ-ერთ უმწვავეს საკითხად რჩება. 2011 წელს გარდაცვლილ პატიმართა დიდ ნაწილს ვირუსული ჰეპატიტი აღენიშნებოდა, რომელსაც თან ახლდა პორტული ჰიპერტენზია და შესაბამისი გართულებები სისხლდენის, ციროზის, ასციტის და სიცოცხლისათვის საშიში სხვა მდგომარეობების სახით. სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ ჩატარებული მონიტორინგით დადგინდა, რომ პენიტენციურ დაწესებულებათა ექიმები ვირუსულ ჰეპატიტს კვლავ ერთ-ერთ ყველაზე უპირატესად გავრცელებულ დაავადებად აღიარებენ. მიუხედავად ამისა, ვირუსული ჰეპატიტების ზუსტი აღრიცხვიანობა ან რაიმე სახის სტატისტიკა საქართველოს ციხეებში არ იწარმოება. ექიმები ფლობენ ინფორმაციას მხოლოდ იმ შემთხვევების შესახებ, როდესაც ჰეპატიტი ლაბორატორიულადაა დადასტურებული. მონიტორინგის დროს ჩვენს მიერ ნანახი იქნა, რომ ძალიან ბევრ პატიმარს, რომელსაც კლინიკურად გამოხატული აქვს ღვიძლის დაზიანების ნიშნები, გამოკვლევა ჰეპატიტზე საერთოდ არ ჩატარებია. გამოკვლევა ყოველთვის არ ტარდება ასევე ეპიდემიოლოგიურად არაკეთილსაიმედო შემთხვევების დროს.

2009 წლის 25 ივნისს, საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა, საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრთან ერთობლივი ბრძანება გამოსცა (№267-219/ნ), რომლითაც დამტკიცებულია სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მყოფ „C“ ჰეპატიტით დაავადებულ პატიმართა და მსჯავრდებულთათვის სამედიცინო მომსახურების გაწევის სტრატეგია. ბრძანების მიხედვით, ბრძანების გამომცემ სამინისტროებს დაევალებათ, ამ ბრძანებით დამტკიცებული სტრატეგიის შესაბამისად, სამოქმედო გეგმის შემუშავება. მიუხედავად იმისა, რომ საკითხი დაუყოვნებლივ დარეგულირებას და გადაწყვეტას მოითხოვს, ბრძანების გამოცემიდან 2 წელზე მეტი ხნის გასვლის შემდეგაც სამოქმედო გეგმა არ არის შემუშავებული, ხოლო სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ამ მხრივ კვლავ საგანგაშო მდგომარეობა რჩება. მონიტორინგის დროს მოპოვებული ინფორმაცია, ჰეპატიტების მხრივ სისტემაში არსებული მდგომარეობის შესახებ, წარმოდგენილია ცხრილში:

2011 წლის პირველი ნახევარი:

№	დაწესებულების დასახელება	ჰეხატბზე ბამოკვლეულთა რაოდენობა	ინტერფერონით მკურნალობს
1	№1 დაწესებულება	8	
2	№2 დაწესებულება	8	
3	№3 დაწესებულება	0	
4	№4 დაწესებულება	0	
5	№5 დაწესებულება	4	
6	№6 დაწესებულება	9	1
7	№7 დაწესებულება	0	1
8	№8 დაწესებულება	6	1
9	№9 დაწესებულება	1	
10	№11 დაწესებულება	1	
11	№12 დაწესებულება	2	1
12	№13 დაწესებულება	0	
13	№14 დაწესებულება	17	
14	№15 დაწესებულება	7	
15	№16 დაწესებულება	2	
16	№17 დაწესებულება	5	
17	№18 დაწესებულება	659	
18	№19 დაწესებულება	123	
	სულ	852	

2011 წლის მეორე ნახევარი:

№	დაწესებულების დასახელება	ჰეხატბზე ბამოკვლეულთა რაოდენობა	ინტერფერონით მკურნალობს
1	№1 დაწესებულება	3	0
2	№2 დაწესებულება	6	0
3	№3 დაწესებულება	0	0
4	№4 დაწესებულება	2	0
5	№5 დაწესებულება	5	0
6	№6 დაწესებულება	23	0
7	№7 დაწესებულება	0	0
8	№8 დაწესებულება	3	0
9	№9 დაწესებულება	1	0
10	№11 დაწესებულება	0	0
11	№12 დაწესებულება	2	0
12	№13 დაწესებულება	–	–

13	№14 დაწესებულება ⁵⁸²	22	0
14	№15 დაწესებულება	1	0
15	№16 დაწესებულება	5	0
16	№17 დაწესებულება	24	0
17	№18 დაწესებულება	794	6
18	№19 დაწესებულება	144	0
სულ		1035	

როგორც ცხრილიდან ჩანს, ჰეპატიტის დიაგნოსტიკის მიზნით, 2011 წლის პირველ 6 თვეში სულ 852 პაციენტია გამოკვლეული, ხოლო წლის მეორე ნახევარში 1035 პაციენტი. ჰეპატიტის მკურნალობის მიზნით, ინტერფერონის დანიშვნა ხდება მხოლოდ მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში, სადაც ყველა პაციენტი მკურნალობის კურსის დასრულებამდე არ რჩება. მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ 4 პაციენტი, ინტერფერონით მკურნალობას სასჯელაღსრულების №6, №7, №8 და №12 დაწესებულებებში აგრძელებდნენ. რაც შეეხება 2011 წლის მეორე ნახევარს, ინტერფერონით მკურნალობას გადიოდა 6 პაციენტი №18 სამკურნალო დაწესებულებაში.

რაც შეეხება ვენერულ დაავადებებს, მათ მიმართ პაციენტთა მიზანმიმართული და პერიოდული შემოწმება არ წარმოებს. 2011 წლის პირველი ნახევრის პერიოდში ამ მიმართულებით მოპოვებული ინფორმაცია წარმოდგენილია ცხრილში:

2011 წლის პირველი ნახევარი:

№	დაწესებულების დასახელება	დერმატოვენეროლოგიური პათოლოგიის აბოლად გამოვლენ.	ვენ სნეულებებზე გამოვლენულთა
1	№1 დაწესებულება	0	1
2	№2 დაწესებულება	0	1
3	№3 დაწესებულება	1	1
4	№4 დაწესებულება	25	2
5	№5 დაწესებულება	1	19
6	№6 დაწესებულება	1	1
7	№7 დაწესებულება	4	0
8	№8 დაწესებულება	1	2
9	№9 დაწესებულება	0	0
10	№11 დაწესებულება	49	0
11	№12 დაწესებულება	0	0
12	№13 დაწესებულება	0	0
13	№14 დაწესებულება	0	0

⁵⁸² არ შეიცავს სექტემბრის თვის მონაცემებს.

14	№15 დაწესებულება	4	8
15	№16 დაწესებულება	1	4
16	№17 დაწესებულება	1	0
17	№18 დაწესებულება	15	205
18	№19 დაწესებულება	13	0
სულ		116	244

2011 წლის მეორე ნახევარი:

№	დაწესებულების დასახელება	დერმატოვენეროლოგიური პათოლოგიის ახლად გამოვლენ.	ვენსუნეულებზე გამოვლენული იქნა
1	№1 დაწესებულება	40	2
2	№2 დაწესებულება	0	0
3	№3 დაწესებულება	0	0
4	№4 დაწესებულება	13	0
5	№5 დაწესებულება	3	20
6	№6 დაწესებულება	33	1
7	№7 დაწესებულება	5	0
8	№8 დაწესებულება	1	2
9	№9 დაწესებულება	0	3
10	№11 დაწესებულება	71	2
11	№12 დაწესებულება	0	1
12	№13 დაწესებულება	–	–
13	№14 დაწესებულება	3	5
14	№15 დაწესებულება	0	2
15	№16 დაწესებულება	5	11
16	№17 დაწესებულება	0	0
17	№18 დაწესებულება	34	294
18	№19 დაწესებულება	18	0
სულ		226	343

როგორც ცხრილიდან ჩანს, სულ 577 პაციენტს ჩაუტარდა გამოკვლევა ვენსუნეულებზე. დერმატოვენეროლოგის მიერ, პროფილური დაავადებები სულ 342 მსჯავრდებულს დაესვა დიაგნოზის სახით (მათგან უმრავლესობა კანის დაავადებებია). მონიტორინგის დროს გამოიკვეთა, რომ ადგილობრივი ექიმები ვენერულ დაავადებებს, სერიოზულ პრობლემად არ განიხილავენ მათი რაოდენობის სიმცირის გამო. ისეთ დაავადებების გამოვლინებას, როგორცაა გონორეა და ათამანიგი, მხოლოდ ერთეული შემთხვევების სახით ვხვდებით.

მონიტორინგის ჯგუფის მიერ, მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო სასჯელადსრულების დაწესებულებებში სტომატოლოგიური მომსახურების სახეების შესწავლას. როგორც აღმოჩნდა, სტომატოლოგიური მომსახურება მსჯავრდებულებსა და ბრალდებულებს მიეწოდათ 8634-ჯერ, სასჯელადსრულების სისტემის ყველა დაწესებულებაში. აღნიშნული რიცხვი ითვალისწინებს როგორც სტომატოლოგის პირველად, ისე განმეორებით კონსულტაციებსა და მომსახურების სახეებს.

2011 წლის პირველი ნახევარი


№	დაწესებულების დასახელება	აბოლად გამოვლენილი სტომატოლოგ. დაავადებები	სტომატოლოგის მიერ მომსახურებულია საერთო რაოდენობა	მომსახურების სახეები		
				თერაპიული	ქირურგიული	ორთოპედიული
1	№1 დაწესებულება	322	412	48	347	17
2	№2 დაწესებულება	1242	1234	747	481	6
3	№3 დაწესებულება	47	310	132	165	13
4	№4 დაწესებულება	111	111	43	65	3
5	№5 დაწესებულება	963	1021	601	411	9
6	№6 დაწესებულება	136	544	255	277	12
7	№7 დაწესებულება	48	20	18	2	0
8	№8 დაწესებულება	923	1082	625	457	0
9	№9 დაწესებულება	125	125	20	104	1
10	№11 დაწესებულება	170	156	121	35	0
11	№12 დაწესებულება	298	298	260	37	1
12	№13 დაწესებულება	97	97	80	17	0
13	№14 დაწესებულება	646	638	42	592	4
14	№15 დაწესებულება	1090	1072	492	553	27
15	№16 დაწესებულება	518	518	117	390	11
16	№17 დაწესებულება	395	612	162	450	0
17	№18 დაწესებულება	172	172	108	42	22
18	№19 დაწესებულება	195	212	129	69	14
სულ		7498	8634	4000	4494	140

2011 წლის მეორე ნახევარი:

№	დაწესებულების დასახელება	აბოლად გამოვლენილი სტომატოლოგ. დაავადებები	სტომატოლოგის მიერ მომსახურებულია საერთო რაოდენობა	მომსახურების სახეები		
				თერაპიული	ქირურგიული	ორთოპედიული
1	№1 დაწესებულება	445	445	142	269	34
2	№2 დაწესებულება	1424	1424	721	700	3
3	№3 დაწესებულება	313	313	141	151	21

4	№4 დაწესებულება	76	76	50	24	2
5	№5 დაწესებულება	1092	1092	701	344	47
6	№6 დაწესებულება	481	481	228	235	18
7	№7 დაწესებულება	42	42	24	18	0
8	№8 დაწესებულება	1027	1027	505	522	0
9	№9 დაწესებულება	109	109	49	60	0
10	№11 დაწესებულება	128	197	90	38	0
11	№12 დაწესებულება	328	328	222	102	4
12	№13 დაწესებულება	–	–	–	–	–
13	№14 დაწესებულება ⁵⁸³	573	573	21	546	6
14	№15 დაწესებულება	843	843	340	489	14
15	№16 დაწესებულება	419	419	26	386	7
16	№17 დაწესებულება	873	873	453	417	3
17	№18 დაწესებულება	163	163	105	41	17
18	№19 დაწესებულება	228	228	124	94	10
სულ		8564	8633	3942	4436	186

როგორც ცხრილიდან ჩანს, ახლად იქნა გამოვლენილი 7498 და 8564 სტომატოლოგიური პრობლემა, შესაბამისად წლის პირველ და მეორე ნახევარში. თერაპიული დახმარება გაეწიათ 7942 შემთხვევაში; ქირურგიული დახმარება - 8930 შემთხვევაში, ხოლო ორთოპედიული - 326 შემთხვევაში. სტომატოლოგიური მომსახურების სახეებს შორის თანაფარდობა გამოსახულია გრაფიკულად:



⁵⁸³ არ შეიცავს სექტემბრის თვის მონაცემებს.

აღსანიშნავია, რომ ბოლო პერიოდის განმავლობაში, თერაპიული სტომატოლოგიური მომსახურების სახე თანდათან უფრო მზარდ მასშტაბებს იძენს და პრაქტიკულად უახლოვდება ქირურგიულ სტომატოლოგიურ მომსახურებას, რაც წარსულში ციხეებში სტომატოლოგიური მომსახურების ერთადერთ სახედ ითვლებოდა. გარდა ამისა, თანდათან გამჩნდა და განვითარდა ორთოპედიული სტომატოლოგიური მომსახურებაც, რაც წარსულში პატიმართათვის პრაქტიკულად ხელმიუწვდომელი სერვისი იყო. აღნიშნული მისასაღმებელი ფაქტია.

პენიტენციურ სისტემაში განხორციელებული სამედიცინო მონიტორინგის ფარგლებში, ტრადიციულად შესწავლილ იქნა იმ პატიმართა საკითხები და მონაცემები, რომელთათვისაც შეუთავსებელია ხანგრძლივი პატიმრობა. ამ მხრივ მდგომარეობა სულ უფრო და უფრო მძიმდება. თუ გადავხედავთ საანგარიშო პერიოდში დაფიქსირებულ სიკვდილობის მიზეზებსა და სტატისტიკას, თვალშისაცემია, რომ გარდაცვლილთა საკმაოდ სოლიდური ნაწილი გარდაცვლილია მძიმე და განუკურნებელი დაავადებების ტერმინალური ფორმებით. მიუხედავად ამისა, პატიმრის გარდაცვალებამდე სასჯელისაგან გათავისუფლების ან გადავადების საკითხი შემთხვევათა უმრავლესობაში არ დასმულა, რაც მათ მიმართ არაჰუმანური მოპყრობის ერთ-ერთ ნათელ მაგალითს წარმოადგენს. მონიტორინგის დროს ასევე შესწავლილ იქნა ამ და სხვა კატეგორიის პაციენტები, რომლებიც საჭიროებენ სპეციალურ მოვლას, რომლის პირობები რა თქმა უნდა დაწესებულებებში პრაქტიკულად არ არსებობს. აღნიშნული მიმართულებით შეროვილი ინფორმაცია წარმოდგენილია ცხრილში:

2011 წლის პირველი ნახევარი:

№	დაწესებულების დასახელება	ონკოლოგიური დაავადებ	ტუბერკულოზი MDR/ADR	ამპუტირებული კიდურით	ნეფროლოგიური დეფიციტი	გადაადგილდება ეტლით	გადაადგილდება ყავარჯნით	ლეტალიზა	სასჯელის გადავადება ან განთავისუფლება	სამედ/ფსიქიატრული კონსულტაციის ჩატარება
1	№1 დაწესებულება	0	3	2	1	1	2	0	0	0
2	№2 დაწესებულება	1	0	3	4	0	0	0	0	1
3	№3 დაწესებულება	0	1	1	2	0	1	0	0	0
4	№4 დაწესებულება	2	1	0	0	1	0	0	0	1
5	№5 დაწესებულება	2	1	1	2	3	1	1	0	6
6	№6 დაწესებულება	1	1	1	1	0	10	2	0	0
7	№7 დაწესებულება	1	0	0	1	1	1	0	0	0
8	№8 დაწესებულება	3	0	3	3	0	2	0	0	1
9	№9 დაწესებულება	0	3	0	0	0	2	0	0	0
10	№11 დაწესებულება	0	0	0	0	0	0	0	0	0
11	№12 დაწესებულება	3	0	2	5	1	2	0	0	3
12	№13 დაწესებულება	1	0	0	1	0	0	0	0	0
13	№14 დაწესებულება	1	2	6	15	0	4	1	0	0
14	№15 დაწესებულება	3	0	1	50	3	15	4	0	0

15	№16 დაწესებულება	1	0	1	0	1	3	1	0	1
16	№17 დაწესებულება	1	2	10	5	4	0	1	0	4
17	№18 დაწესებულება	17	12	8	12	6	12	43	0	0
18	№19 დაწესებულება	1	94	0	5	1	5	3	1	1
ს უ ლ:		38	120	39	107	22	60	56	1	18

2011 წლის მეორე ნახევარი:

№	დაწესებულების დასახელება	ონკოლოგიური დაავადებ	ტუბერკულოზი MDR/DR	ამბობირული კიდურით	ნევროლოგიური დეფიციტი	გადაადგილდება ეტლით	გადაადგილდება ყავარჯნით	ლეტალიზა	სასჯელის გადადება ან განთავისუფლება	სამედ/ფსიქიატრ ექსპერტის რეკომენდაცია
1	№1 დაწესებულება	0	0	2	0	2	2	0	0	0
2	№2 დაწესებულება	1	0	5	12	0	2	1	0	1
3	№3 დაწესებულება	0	0	0	0	0	0	1	0	0
4	№4 დაწესებულება	0	0	0	0	0	0	0	0	0
5	№5 დაწესებულება	3	2	1	0	3	1	2	3	??*
6	№6 დაწესებულება	1	0	1	2	0	2	1	0	1
7	№7 დაწესებულება	0	0	0	0	0	0	0	0	1
8	№8 დაწესებულება	3	12	0	0	0	0	0	0	0
9	№9 დაწესებულება	0	5	1	2	1	1	0	0	0
10	№11 დაწესებულება	0	0	0	0	0	0	0	0	0
11	№12 დაწესებულება	0	0	0	2	2	0	0	0	0
12	№13 დაწესებულება	-	-	-	-	-	-	-	-	-
13	№14 დაწესებულება	1	0	5	1	6	2	0	0	0
14	№15 დაწესებულება	1	0	3	22	3	20	6	2	1
15	№16 დაწესებულება	0	0	3	3	1	0	0	0	0
16	№17 დაწესებულება	3	0	3	10	5	10	3	0	0
17	№18 დაწესებულება	7	6	1	6	15	0	45	0	0
18	№19 დაწესებულება	1	502***	0	3	0	5	3	10	0
ს უ ლ:		21	527	23	62	38	45	62	15	4

***-N19-რაოდენობა 502-242 არის დოტს-ში, ხოლო 260 შეწყვეტა მკურნალობა და დაუფიქსირდა „უშედეგო“.

დაავადებათა გამოვლენის მაჩვენებელზე პირდაპირ მოქმედებს ასევე ის ფაქტორი თუ სად იმყოფება პაციენტი, სამკურნალო დაწესებულებაში, სასჯელის მოხდის ძირითად ადგილას თუ რომელიმე სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოში. ამ მხრივ, უპირველეს ყოვლისა მხედველობაში უნდა მივიღოთ ის ფაქტორები და მიზეზები, რომელიც პაციენტთა გადაყვანას ახლავს თან. მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამკურნალო დაწესებულება, ასევე ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულება, როგორც ცნობილია მკვეთრი გადატვირთულობის პირობებში მუშაობს. ამ ფონზე, ზოგიერთ დაწესებულებაში ე.წ. „რიგებიც“ კი არის შექმნილი, თუ როდის

მოხდება პაციენტთა გადაყვანა სამკურნალო დაწესებულებაში, სამედიცინო ჩვენების მიუხედავად. ასეთ პირობებში, გადაყვანა შეფერხებულია და უპირატესობა ენიჭებათ მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე ჯანმრთელობის მდგომარეობის მქონე პაციენტებს, ან მათ, რომელთა ჯანმრთელობის მდგომარეობა უცებ მძიმდება. ხშირად პაციენტები გადაყვანის მოთხოვნის „აქტუალიზაციის“ გამო იყენებენ სხვადასხვა ხასიათის და სიმძიმის თვითდაზიანებებს, ან არღვევენ რეჟიმს, რის გამოც მათ მიმართ შესაბამისი სადამსჯელო ღონისძიებები ხორციელდება. აღნიშნული საკითხი ამჟამად რეგულირდება საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2011 წლის 10 მარტის №38 ბრძანებით (პაციმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებიდან საერთო პროფილის საავადმყოფოში, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებასა და ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში დაავადებულ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა გადაყვანის წესის დამტკიცების შესახებ). აღსანიშნავია, რომ აღნიშნული წესი არაერთხელ შეიცვალა და მასში არაერთი ცვლილება შეტანილი ბოლო 2 წლის განმავლობაში. ბოლო ცვლილება ბრძანებაში 2011 წლის 31 მარტს განხორციელდა. ამჟამად მოქმედი მდგომარეობის მიხედვით, ბრძანებით დამტკიცებული დებულებები არეგულირებს პაციმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებიდან საერთო პროფილის საავადმყოფოში, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებასა და ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში დაავადებულ ბრალდებულთა/ მსჯავრდებულთა გადაყვანის წესს, რითაც იგი პრაქტიკულად ანაცვლებს, ამავე კანონქვემდებარე აქტით გაუქმებულ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2009 წლის 29 დეკემბრის №902 ბრძანებას, სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან საერთო პროფილის საავადმყოფოში, ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებასა და მსჯავრდებულთა და პაციმართა სამკურნალო დაწესებულებაში დაავადებულ მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა გადაყვანის წესის დამტკიცების შესახებ”.

ბრძანების მიხედვით, პაციმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებიდან დაავადებულ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სადიაგნოსტიკო გამოკვლევების ან/და მკურნალობის მიზნით, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებასა და ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში გეგმური ან გადაუდებელი გადაყვანა ხორციელდება საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის რეკომენდაციის საფუძველზე დაწესებულების დირექტორის ბრძანებით. ამასთან, ბრალდებულის/ მსჯავრდებულის სამკურნალო დაწესებულებაში გადაყვანის შესახებ სამედიცინო დეპარტამენტის რეკომენდაცია მიიღება დაწესებულების ექიმის შუამდგომლობის საფუძველზე, რომლის ერთ ეგზემპლარს ექიმი წარუდგენს დაწესებულების დირექტორს. ბრძანებაში ხსენებული რეკომენდაცია

და შუამდგომლობა გადაუდებელი სახის გადაყვანისას ადრესატის მიერ შეიძლება მიღებულ იქნეს ტელეფონოგრამის ან ფაქსის, ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევებში კი სხვა საკომუნიკაციო საშუალებით. დაწესებულების დირექტორის გადაწყვეტილება წერილობით, ხოლო მწვავე დაავადების შემთხვევაში გადაუდებელი გადაყვანისას საკომუნიკაციო საშუალებით, დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველ მოადგილეს (მისი არყოფნის შემთხვევაში ერთ-ერთ მოადგილეს), საზადრაგო სამსახურსა და სამედიცინო დეპარტამენტს. დაწესებულების დირექტორის წერილობითი უარი ბრალდებულის/მსჯავრდებულის სამკურნალო დაწესებულებაში გადაყვანის შესახებ უნდა იყოს არგუმენტირებული და დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს სასჯელაღსრულების დეპარტამენტსა და სამედიცინო დეპარტამენტს. როგორც ჩანს, ბრძანება უშვებს იმის ალბათობას, რომ დაწესებულების დირექტორმა, ექიმის მიერ გაცემული რეკომენდაციის მიუხედავად, არ უზრუნველყოს პაციენტის ტრანსპორტირება სამკურნალო დაწესებულებაში, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის ინტერესებიდან გამომდინარე. გაუგებარია, თუ რა არგუმენტაცია და ახსნა უნდა დაუპირისპიროს ციხის დირექტორმა ამ შემთხვევაში ექიმის მიერ გაკეთებულ დასკვნას.

რაც შეეხება სამოქალაქო პროფილის საავადმყოფოებში პატიმართა გადაყვანის წესს, ბრძანების მიხედვით, დაწესებულებიდან ან სამკურნალო დაწესებულებიდან, დაავადებულ ბრალდებულთა/ მსჯავრდებულთა სადიაგნოსტიკო გამოკვლევების ან/და მკურნალობის მიზნით, საერთო პროფილის საავადმყოფოში გეგმური ან გადაუდებელი წესით გადაყვანა ხორციელდება სამედიცინო დეპარტამენტის რეკომენდაციის საფუძველზე, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის ბრძანებით. ბრალდებულის/მსჯავრდებულის საერთო პროფილის საავადმყოფოში გადაყვანის შესახებ სამედიცინო დეპარტამენტის რეკომენდაცია მიიღება სამკურნალო დაწესებულების ექიმის/ დაწესებულების ექიმის შუამდგომლობის საფუძველზე, რომლის ერთ ეგზემპლარს ექიმი წარუდგენს დაწესებულების დირექტორს. აღნიშნული ეგზემპლარის მიღებისთანავე, დაწესებულების დირექტორი სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს წარუდგენს ინფორმაციას გადასაყვანი ბრალდებულის/მსჯავრდებულის შესახებ. აღსანიშნავია, რომ ამ ტიპის გადაყვანის შემთხვევაში უარის თქმის უფლება აქვს სად-ის თავმჯდომარეს, რომლი წერილობითი უარი ბრალდებულის/ მსჯავრდებულის საერთო პროფილის საავადმყოფოში გადაყვანის შესახებ უნდა იყოს არგუმენტირებული. აქაც იქმნება გაუგებრობა, როდესაც პაციენტის ჯანმრთელობის საუკეთესო ინტერესი, მეორე პლანზე გადმოდის და უპირატესობა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის „არგუმენტებს“ ენიჭება.

ბრძანება არეგულირებს ასევე დაავადებულ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა საერთო პროფილის საავადმყოფოდან სხვა საერთო პროფილის საავადმყოფოში გადაყვანის საკითხებს, რაც ხორციელდება მკურნალი ექიმის გადაწყვეტილებით სამედიცინო დეპარტამენტის რეკომენდაციის საფუძველზე, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის ბრძანებით. რაც შეეხება სამკურნალო დაწესებულებაში გადაყვანილი

ბრალდებულის/მსჯავრდებულის დაწესებულებაში დაბრუნებას, ეს უკანასკნელი ხორციელდება სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის ბრძანებით სამკურნალო დაწესებულების დირექტორისა და მთავარი ექიმის შუამდგომლობის საფუძველზე. საერთო პროფილის საავადმყოფოდან ბრალდებულის/მსჯავრდებულის დაწესებულებაში ან სამკურნალო დაწესებულებაში დაბრუნება ხორციელდება მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ მკურნალი ექიმის გადაწყვეტილების საფუძველზე. საჭიროების შემთხვევებში, საერთო პროფილის საავადმყოფოდან დაწესებულებიდან გაყვანილი ბრალდებული/მსჯავრდებული შეიძლება გადაყვანილ იქნეს სამკურნალო დაწესებულებაში სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის ბრძანებით სამედიცინო დეპარტამენტის უფროსის შუამდგომლობის საფუძველზე. რაც შეეხება ბრძანების ბოლო ნაწილს, რომელიც შეეხება პატიმრის გადაყვანას ქალაქის ერთი საავადმყოფოდან მეორეში და ასევე პატიმრის დაბრუნებას პენიტენციურ სისტემაში, აღნიშნული წარმოადგენს სიახლეს ამ ბრძანების წინამორბედთა შორის.

არსებული ინსტრუქციის მიხედვით, მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა მოძრაობა სხვადასხვა დაწესებულებებს, შორის, რომლის საფუძველი ამ უკანასკნელთა ჯანმრთელობის მდგომარეობა იყო, 2011 წლის საანგარიშო პერიოდში შემდეგნაირად გამოიყურება:

2011 წლის პირველი ნახევარი:

№	დაწესებულების დასახელება	გადაყვანილთა რაოდენობა			
		მზდ N18	ტდსდ N19	სამოქალაქ სექტორში	ს უ ლ:
1	№1 დაწესებულება	87	27	4	118
2	№2 დაწესებულება	33	47	17	97
3	№3 დაწესებულება	22	12	2	36
4	№4 დაწესებულება	8	7	1	16
5	№5 დაწესებულება	33	0	114	147
6	№6 დაწესებულება	93	17	15	125
7	№7 დაწესებულება	10	0	4	14
8	№8 დაწესებულება	127	37	1	165
9	№9 დაწესებულება	26	0	4	30
10	№11 დაწესებულება	20	0	2	22
11	№12 დაწესებულება	26	5	11	42
12	№13 დაწესებულება	3	2	3	8
13	№14 დაწესებულება	87	147	8	242
14	№15 დაწესებულება	155	108	26	289
15	№16 დაწესებულება	98	98	42	238
16	№17 დაწესებულება	124	150	20	294
17	№18 დაწესებულება	124	170	402	572

18	№19 დაწესებულება	77	 	5	82
ს უ ლ:		1029	827	681	

2011 წლის მეორე ნახევარი:

№	დაწესებულების დასახელება	გადაყვანილთა რაოდენობა			
		მზსდ N18	ტდსდ N19	სამოქალაქო სექტორში	ს უ ლ:
1	№1 დაწესებულება	74	19	3	96
2	№2 დაწესებულება	33	51	13	97
3	№3 დაწესებულება	16	3	4	23
4	№4 დაწესებულება	18	6	10	34
5	№5 დაწესებულება	65	0	195	260
6	№6 დაწესებულება	97	7	20	124
7	№7 დაწესებულება	8	0	2	10
8	№8 დაწესებულება	100	31	5	136
9	№9 დაწესებულება	34	0	19	53
10	№11 დაწესებულება	7	0	0	7
11	№12 დაწესებულება	24	7	6	37
12	№13 დაწესებულება	-	-	-	-
13	№14 დაწესებულება ⁵⁸⁴	57	140	12	209
14	№15 დაწესებულება	145	78	72	295
15	№16 დაწესებულება	96	104	117	317
16	№17 დაწესებულება	107	100	17	224
17	№18 დაწესებულება	 	118	404	522
18	№19 დაწესებულება	99	 	16	115
ს უ ლ:		980	664	915	

როგორც ცხრილიდან ჩანს, საანგარიშო პერიოდში 5000-ზე მეტი გადაყვანა განხორციელდა. მათგან ყველაზე ხშირად (2009 შემთხვევაში) გადაყვანა მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში მოხდა. 1491 პაციენტი გადაყვანილ იქნა ასევე ტუბერკულოზით დაავადებულთა სამკურნალო დაწესებულებაში, ხოლო სამოქალაქო სექტორის ჯანდაცვის დაწესებულებებში განხორციელდა 1596 ტრანსპორტირება-ბადრაგირების შემთხვევა. მათგან დაახლოებით 75%-ში, ქალაქის საავადმყოფოში გაყვანა მოხდა მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამკურნალო დაწესებულებიდან ან ამ დაწესებულების გავლით, ხოლო 25% შემთხვევაში, ქალაქის საავადმყოფოებში გაყვანა განხორციელდა პირდაპირ სასჯელის მოხდის ადგილიდან. აღსანიშნავია, რომ გაყვანათა რიცხვი, ამ შემთხვევაში მოიცავს როგორც ამბულატორულ, ისე სტაციონარული მიზნით პაციენტის გადაყვანას.

⁵⁸⁴ არ მოიცავს სექტემბრის თვის მონაცემებს

შემთხვევათა დიდ უმრავლესობაში, პაციენტთა გაყვანა სწორედ ამბულატორული მომსახურების მიზნით განხორციელდა, რის შემდეგაც, პაციენტი იმავე დღეს იქნა დაბრუნებული სასჯელაღსრულების სისტემის ამა თუ იმ დაწესებულებაში.

პატიმართა სამედიცინო რეაბილიტაციის, ქალთა და არასრულწლოვან პატიმართა საკითხები:

საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, თავისუფლების აღკვეთის პირობებში, სასჯელაღსრულების დაწესებულების ერთ-ერთ პრიორიტეტად უნდა იყოს ქცეული ის, რომ სასჯელის დასრულების შემდეგ, თავისუფლებააღკვეთილი პირი უნდა დაუბრუნდეს საზოგადოებას. შესაბამისად, პატიმართა მომზადება რესოციალიზაციისათვის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად უნდა განიხილებოდეს. ამ მიზნის მისაღწევად დაწესებულებებში უნდა იყოს შექმნილი სარეაბილიტაციო პროგრამები, რომლებიც გარდა ფსიქოლოგიური, სოციალური, იურიდიული და სხვა ასპექტებისა, უნდა მოიცავდეს სამედიცინო კომპონენტსაც. სამწუხაროდ, დღესდღეობით არსებული მდგომარეობით, პრაქტიკულად არ არსებობს რაიმე ისეთი პროგრამები რომელიც სამედიცინო კომპონენტს მოიცავს. საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ვებ-გვერდზე არსებული ინფორმაციები, თითქოს ასეთი პროგრამები არსებობდეს, რეალობასაა მოკლებული, ვინაიდან საანგარიშო პერიოდში მოქმედი პროგრამები არ შეიცავდა სამედიცინო კომპონენტს, რის გამოც მათ ვერ განვიხილავთ ფსიქო-სამედიცინო რეაბილიტაციად. გარდა ამისა, მონიტორინგის დროს ყურადღება გამახვილდა ყველა იმ აქტივობაზე, რომელიც რეაბილიტაციის მიმართულებით არის დანერგილი. ამ მხრივ უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი საშუალებები ძირითადად მხოლოდ ქალი და არასრულწლოვანი პატიმრების მიმართ არსებობს. საქართველოს პენიტენციური სისტემაში მოქმედი 18 დაწესებულებიდან, არანაირი სარეაბილიტაციო პროგრამა არ არსებობს 13 დაწესებულებაში. დანარჩენ 5 დაწესებულებაში, შეინიშნება რეაბილიტაციის სხვადასხვა კომპონენტის არსებობა.

რუსთავის ქალთა N5 დაწესებულებაში მოქმედებს ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის პროგრამა, რომელსაც ახორციელებს ფონდი „გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში“. ორგანიზაციის თანამშრომლები (სულ 5 პიროვნება) დაწესებულებას სტუმრობენ ყოველ მე-2 დღეს და მუშაობენ მხოლოდ მიუსჯელ პატიმრებთან. თანამშრომელთა შორის დადის ფსიქოლოგი. ადგილობრივი მთავარი ექიმის განმარტებით, ფსიქიატრი პროგრამის განხორციელებაში არ მონაწილეობს. არსებობს გეგმა, რომლის მიხედვით, სექტემბრიდან უნდა მოხდეს ასევე მისჯილ პაციენტებთან მუშაობის დაწყებაც.

N8 დაწესებულებაში, სადაც უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში არასრულწლოვანი პატიმრები არიან განთავსებული, დადის ფსიქოთერაპევტი. ადგილობრივი მთავარი ექიმის განმარტებით, მისთვის ცნობილი არ არის, თუ რომელი ორგანიზაციიდან არის აღნიშნული პირი ან რა გეგმით და პროგრამით მუშაობს.

რაც შეეხება არასრულწლოვანთა სპეციალურ N11 დაწესებულებას, ამ დაწესებულებაში მოქმედებს ე.წ. „სასჯელის ინდივიდური დაგეგმარების პროგრამა“. აღნიშნული პროგრამის ინდივიდური შემუშავება ევალება სპეციალისტთა გუნდს, რომლის შემადგენლობაში შედის ფსიქოლოგი, პედაგოგი, სოციალური სამსახურის წარმომადგენელი და ექიმი. პერიოდულად იმართება სხდომები, სადაც განიხილავენ აღნიშნულ გეგმებს. მთავარი ექიმის განმარტებით, დაწესებულებაში მუშაობს ასევე ორგანიზაცია „GCRT“, რომელსაც დაწესებულების სოციალურ სამსახურთან აქვს კავშირი და ექიმისთვის უცნობია მათ საქმიანობასთან დაკავშირებული დეტალები.

ქუთაისის და ბათუმის დაწესებულებებში, სადაც ასევე იმყოფებიან ქალები და არასრულწლოვნები, რაიმე სპეციფიკური სარეაბილიტაციო პროგრამები, სამედიცინო პერსონალის ინფორმაციით არ მიმდინარეობს. ზუგდიდის N4 დაწესებულების მთავარმა ექიმმა განგვიცხადა, რომ არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო საქმიანობის განვითარებასთან დაკავშირებით იყვნენ მოსული „რომელიღაც არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები“, თუმცა რაიმე კონკრეტული ნაბიჯი ჯერ არ გადადგმულა. პროექტი ჯერ მოლაპარაკების დონეზეა.

ქუთაისის N2 დაწესებულებაში, ისევე როგორც ზუგდიდის N4 დაწესებულებაში არ არის გამოყოფილი გინეკოლოგის შტატი. ადგილობრივი პერსონალის განმარტებით, მათ გინეკოლოგის მომსახურება საანგარიშო პერიოდში არ დასჭირვებიათ. ზუგდიდის დაწესებულებაში განვიცხადეს, რომ მათ ხელშეკრულება მაინც აქვთ დადებული გინეკოლოგთან. გინეკოლოგი მუშაობს რუსთავის ქალთა N5 დაწესებულებაში. ამ დაწესებულებაში იმყოფება 3 ორსული ქალი. ასევე 8 ქალი, რომლებსაც თან ჰყავთ ბავშვები. ყველა მათგანმა პატიმრობის პერიოდში იმშობიარა. ამჟამად მშობიარობის მოლოდინში კიდევ 3 ქალია. ბავშვთა საჭიროებების უზრუნველყოფას წარსულში სამედიცინო ნაწილი უზრუნველყოფდა, ხოლო იანვრიდან აღნიშნული გადავიდა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის პრეროგატივაში, რომელიც უზრუნველყოფს დაწესებულებას ბავშვთა კვების პროდუქტებით და პამპერსებით. ბავშვების ვაქცინაცია კალენდრის შესაბამისად გვარდება ადგილზე. აღნიშნულ საკითხს ადგილობრივი პედიატრი კურირებს.

დაწესებულებათა დიდ ნაწილში, საანგარიშო პერიოდის პირველ თვეს მუშაობდა ორგანიზაცია „თანადგომის“ პროგრამა, რომელიც ორიენტირებული იყო შიდსის საკითხებზე. ორგანიზაციის დახმარებით, ზოგიერთ დაწესებულებაში მოეწყო ლაბორატორიები და ტარდება გამოკვლევები. სამწუხაროდ თებერვალში აღნიშნული პროგრამა შეწყდა. მიმდინარეობს მოლაპარაკებები პროგრამის განახლების თაობაზე.

ქსნის ტუბერკულოზით დაავადებულთა N19 დაწესებულების ექიმის განცხადებით, დაწესებულებაში მოქმედებს ასევე „ანტინიკოტინური“ პროგრამა, რომელიც ძირითადად საგანმანათლებლო საქმიანობით არის დაკავებული და პოსტერების მოწოდებით შემოიფარგლება.

რაც შეეხება წამალდამოკიდებულების მქონე პირთა დახმარებისა და რეაბილიტაციის პროგრამებს, ასეთი მიმდინარეობს თბილისის №8 დაწესებულებაში (მეთადონის

პროგრამა). საქართველოს პენიტენციური სისტემის სამ დაწესებულებაში მოქმედებს ასევე „ატლანტისის“ პროგრამა, რომელიც არ მოიცავს სამედიცინო კომპონენტს. მეთადონის პროგრამის არსებობა დადებით ტენდენციად უნდა შეფასდეს. მიზანშეწონილია აღნიშნული სერვისის გავრცელება იმ სასჯელადსრულების დაწესებულებებზეც, რომლებშიც თავს იყრიან წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირები და განსაკუთრებით ქალები, რომლებიც ამ მომსახურებას საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, ისევე როგორც წარსულში მოკლებულნი იყვნენ.

საქართველოს სასჯელადსრულების სისტემაში, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, გარდაცვლილია 3 ქალი პატიმარი. აღნიშნული მაჩვენებელი ყველაზე მაღალია წინა წლების მონაცემებთან შედარებით. პატიმარი ქალები განთავსებულნი იყვნენ საქართველოს პენიტენციური სისტემის 5 სხვადასხვა დაწესებულებაში, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს რეგიონებში. მათი ძირითადი ნაწილი კონცენტრირებულია რუსთავის ქალთა N5 დაწესებულებაში. სამედიცინო მომსახურების პირობები და საშუალებები აქ, მკვეთრად უკეთესია პატიმრობის სხვა დაწესებულებებთან შედარებით. აღნიშნული დაწესებულება წარმოადგენს ერთადერთ ადგილს, სადაც ქალთა ჯანმრთელობის სპეციფიკური პრობლემები შეძლებისდაგვარად გადაწყვეტილია. ქალთა ჯანმრთელობის საკითხებზე მსჯელობისას უნდა აღინიშნოს, რომ მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში არ ხდება ქალთა სტაციონარული მომსახურება, რასაც გარკვეულწილად აკომპენსირებს ქალთა N5 დაწესებულებიდან სამოქალაქო ტიპის სტაციონარებში პატიმართა და მსჯავრდებულთა გადაყვანის შედარებით მაღალი მაჩვენებელი. ქალთა კონტინგენტში განსაკუთრებით უნდა გამოიყოს ფსიქიკური ჯანმრთელობის საკითხთა პრობლემურობა, ასევე, ქალ პატიმართა რაოდენობის მკვეთრი ზრდა 2010 წლის ზაფხულის შემდგომ. დადებით ტენდენციად უნდა ჩაითვალოს რუსთავის მიმდებარედ ქალთა ახალი დაწესებულების გახსნა, სადაც სამედიცინო ინფრასტრუქტურა მკვეთრად გაუმჯობესებულია.

2011 წლის პირველ ნახევარში არასრულწლოვანი პატიმრები სასჯელს იხდიდნენ საქართველოს პენიტენციური სისტემის 5 სხვადასხვა დაწესებულებაში. ამ შემთხვევაშიც, ქალთა კონტინგენტის მსგავსად, არსებული პირობებისა და სამედიცინო მომსახურების სახეების მიხედვით შექმნილი იყო გეოგრაფიული უთანასწორობა. 2011 წლის სექტემბერში არასრულწლოვანთა განყოფილებები გაუქმდა ბათუმის N3 და ზუგდიდის N4 დაწესებულებებში, სადაც განსაკუთრებით არასახარბიელო საყოფაცხოვრებო პირობებია.

არასრულწლოვანთა სპეციალურ დაწესებულებაში არ ფუნქციონირებს სტაციონარული სამედიცინო პუნქტი. მიუხედავად ამისა, ადგილობრივი სამედიცინო პერსონალი მაქსიმუმს აკეთებს მოზარდთა ჯანმრთელობის სპეციფიკური საკითხების დასარეგულირებლად.

2010 წლის შემოდგომაზე მოხდა ქალთა და არასრულწლოვანთა N5 დაწესებულებიდან არასრულწლოვანთა კონტინგენტის გადაყვანა თბილისის N8 საპყრობილეში. მიუხედავად იმისა, რომ აქ არასრულწლოვანები იზოლირებულად არიან, აღნიშნული

მიდგომა დაუშვებელია და არღვევს საერთაშორისო სტანდარტებს. მოზრდილთა საპატიმრო დაწესებულებაში მათი ჯანმრთელობის საჭიროებათა მონიტორინგი და გადაწყვეტა შეუძლებელია განხორციელდეს იმავე სტანდარტებითა და ხარისხით, როგორც წარსულში, მათთვის შესაბამის ინსტიტუციაში ხდებოდა.

სამედიცინო დოკუმენტაციის, სამედიცინო სტატისტიკური და კონფიდენციალური ინფორმაციის საკითხები პენიტენციურ სისტემაში:

საქართველოს სახალხო დამცველის არაერთ ანგარიშში საუბარი იყო იმის შესახებ, რომ პენიტენციური სისტემის სამედიცინო სამსახურები, სამედიცინო ინფორმაციის წარმოებისას არ ითვალისწინებს ამ მხრივ მოქმედ საკანონმდებლო ნორმებს და სტანდარტებს, რითიც ირღვევა არა მარტო საქართველოს კანონმდებლობა, არამედ არსებული სიტუაცია შეუსაბამოა საერთაშორისო ნორმებთან, რომ აღარაფერი ვთქვათ, სხვა ისეთ საკითხებზე, როგორცაა წამების და არასათანადო მოპყრობის პროფილაქტიკა და ა.შ. ქართული კანონმდებლობის მიხედვით, ექიმი და სხვა სამედიცინო პერსონალი, ვალდებულია, დადგენილი წესით აწარმოოს ჩანაწერები სამედიცინო დოკუმენტაციაში, რომლის წარმოების წესს ამტკიცებს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. 2010 წლის ანგარიშში საუბარი იყო იმის შესახებ, რომ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2002 წლის 24 ივნისის №486 ბრძანებით დამტკიცებულ იქნა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სამკურნალო დაწესებულებებისა და სამედიცინო ნაწილების სამედიცინო დოკუმენტაციის დროებითი ფორმები (სულ 27 ფორმა). აღნიშნული ფორმები თვისობრივად და არსობრივად მკვეთრად განსხვავებულია საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში მოქმედი სამედიცინო დოკუმენტაციის ფორმებისაგან. ისინი დღესდღეობით საკმაოდ მოძველებულია. განსხვავებულია, ასევე, მათი შევსების, შენახვის და წარმოების წესებიც; თუმცა დაწესებულებათა აბსოლუტურ უმრავლესობაში ასეთ დოკუმენტაცია საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად სტანდარტს წარმოადგენს. გარდა ამისა, საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2009 წლის 10 ნოემბრის ბრძანება N771-ით დამტკიცდა საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის სამედიცინო ბარათის ფორმა (ბრძანება ამის შემდეგ რამდენჯერმე გაუქმდა და ახლიდან გამოიცა, თუმცა მისი შინაარსი არსობრივად არ შეცვლილა), რომელიც ასევე არ შეესაბამება ქვეყნის ჯანდაცვის სისტემაში მოქმედ სამედიცინო დოკუმენტაციის ფორმებს. მინისტრის 2010 წლის 11 ნოემბრის N158 ბრძანებით ძალადაკარგულად გამოცხადდა „საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის სამედიცინო ბარათის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2009 წლის 10 ნოემბრის N771 ბრძანება. N158 ბრძანებით დამტკიცებულია ბრალდებულის/მსჯავრდებულის სამედიცინო ბარათის ფორმა.

აღნიშნული მაგალითი წარმოადგენს კიდევ ერთ აშკარა პრეცედენტს, რომ პენიტენციური ჯანდაცვა ხელოვნურად ემიჯნება ქვეყნის ჯანდაცვის სისტემას.

„პირველადი ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებებში პირველადი სამედიცინო დოკუმენტაციის ფორმების, მათი წარმოებისა და შევსების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 22 აგვისტოს №224/5 ბრძანებით დადგენილი ფორმების წარმოება სავალდებულოა ქვეყნის ყველა სამედიცინო დაწესებულებისათვის. ამასთან როგორც კანონი, ისე კანონქვემდებარე აქტივ, მოითხოვს დოკუმენტაციის უნიფიცირებული ფორმით წარმოებას მთელ საქართველოში. სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის მიერ დამტკიცებული ე.წ. სამედიცინო ბარათის ფორმა აბსოლუტურად შეუსაბამოა ჯანდაცვის მინისტრის მიერ დამტკიცებული დოკუმენტაციის ფორმისა. სამწუხაროდ აღნიშნული ტენდენცია 2011 წლის საანგარიშო პერიოდშიც შენარჩუნებული იქნა სასჯელაღსრულების ყველა დაწესებულებაში. ამით კვლავ არ შესრულდა სახალხო დამცველის მიერ გაცემული რეკომენდაცია.⁵⁸⁵

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 15 აგვისტოს №01-41/5 ბრძანებით (*ამბულატორიული სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ*) „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, დამტკიცებულია „ამბულატორიული სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების წესი“-ს ახალი ვარიანტი. ამავე ბრძანების მიხედვით, ძალადაკარგულად გამოცხადდა „პირველადი ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებებში პირველადი სამედიცინო დოკუმენტაციის ფორმების, მათი წარმოებისა და შევსების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 22 აგვისტოს №224/5 ბრძანება. ბრძანების „ბ“ პუნქტის მიხედვით, ახალი ფორმების ამოქმედება სავალდებულოა 2012 წლის 1 იანვრიდან. საქართველოს სახალხო დამცველი კიდევ ერთხელ გამოთქვამს იმედს, რომ ახალი ფორმების დანერგვა პენიტენციური სისტემის ჯანდაცვის სამსახურებში სავალდებულო გახდება ნორმატიული აქტით გათვალისწინებულ ვადიდან.

რაც შეეხება სტაციონარული სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოებას, ამ მხრივ მდგომარეობა შეცვლილია. სტაციონარული სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოება, სასჯელაღსრულების სისტემაში წარმოადგენს N18 და N19 დაწესებულებების ვალდებულებას. მონიტორინგის პროცესში, პრევენციის ეროვნული მექანიზმი დაინტერესდა ამ მხრივ არსებული მდგომარეობით. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 19 მარტის N 108/5 ბრძანებით, დამტკიცებულია სამედიცინო დაწესებულებებში სტაციონარული სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების წესი. ბრძანებას საფუძვლად უდევს ასევე „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის მე-2 პუნქტი. აღნიშნული ბრძანება, მიუხედავად მისი გამოცემის თარიღისა ამოქმედდა 2010 წლის 1

⁵⁸⁵ სასჯელაღსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2011 წლის 26 ოქტომბრის N194 ბრძანებით დამტკიცდა ამბულატორიული პაციენტის სამედიცინო ბარათის ახალი ფორმა, რომლის ამოქმედებაც დაგეგმილია 2012 წლიდან.

იანვრიდან. ბრძანებაში, ისევე როგორც კანონში განმარტებულია, რომ სტაციონარული სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების წესი საერთოა ყველა არსებული სამედიცინო დაწესებულებისათვის, რომელიც ეწევა სტაციონარულ სამედიცინო მომსახურებას და სამედიცინო დაწესებულებებში სტაციონარული სამედიცინო დოკუმენტაცია იწარმოება უნიფიცირებულად ამ ბრძანების შესაბამისად. ბრძანებაში, 2010 წლის 11 თებერვალს შესული ცვლილება (11.02.2010 N37/5), დაწესებულების ადმინისტრაციას აძლევს უფლებამოსილებას, „შემოიღოს დამატებები სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების დამტკიცებული წესის შეუცვლელად; ამასთანავე, დაწესებულების პროფილისა და სამედიცინო მომსახურების მოცულობის გათვალისწინებით, მოახდინოს ამ ბრძანების მე-3-მე-19 მუხლებით დამტკიცებული სტაციონარული სამედიცინო დოკუმენტაციიდან მათთვის საჭირო ფორმების გამოყენება, აგრეთვე მოდიფიცირება, მათში არსებული ძირითადი ინფორმაციის აუცილებელი წესით შენარჩუნებითა და გათვალისწინებით“. აღნიშნული ცვლილება პირდაპირ შესაბამისობაში მოდის პენიტენციური სისტემის დაწესებულებებში არსებულ მდგომარეობასთან, რითაც სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტს ადეკვატურად უნდა ემოქმედა. მიუხედავად ამისა, სტანდარტული ფორმების შეტანა სასჯელაღსრულების სისტემაში დაგვიანდა. 2009 წლის 19 მარტიდან, 2010 წლის 1 იანვრამდე, ანუ ბრძანების გამოცემიდან მის ამოქმედებამდე არსებული დროის შუალედის გათვალისწინებით, სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს საკმარისი დრო და საშუალება გააჩნდა, რომ მოეხდინა ყველა იმ მოსამზადებელი სამუშაოს და ინსტრუქტაჟის ჩატარება და ასევე ტექნიკური საკითხის გადაწყვეტა, რომელიც ბრძანების ამოქმედებას ახლდა თან.

მონიტორინგის შედეგად გაირკვა, რომ სტაციონარული დოკუმენტაციის ფორმები სამკურნალო დაწესებულებებს 2011 წლის თებერვლიდან მიაწოდეს.

მონიტორინგის დროს, კიდევ ერთხელ იქნა დადასტურებული, რომ პენიტენციურ სისტემის სამედიცინო დაწესებულებებში, უხეშადაა დარღვეული სამედიცინო დოკუმენტაციის შენახვის პრინციპები და წესები, რაც ჯანდაცვის მინისტრის ბრძანებით რეგულირდება. კერძოდ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2002 წლის 17 ივლისის N 198/5 ბრძანებით, სამედიცინო დაწესებულებებში სამედიცინო ჩანაწერების შენახვის წესის შესახებ. ბრძანება გამოცემულია "საექიმო საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის 56-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, რისი შესრულებაც ერთობ საპასუხისმგებლო და აუცილებელ ღონისძიებას უნდა წარმოადგენდეს სამედიცინო დაწესებულებისთვის. მონიტორინგის შედეგად აღმოჩნდა, რომ სამედიცინო დოკუმენტაციას ადგილზე (სამედიცინო ნაწილში) ინახავენ N2, N3, N4, N5, N7, N8, N12, N15, N16 და N17 დაწესებულებებში. სამედიცინო დოკუმენტაციას ადმინისტრაციას აბარებენ N1, N6, N13 დაწესებულებებში. მიუხედავად ამისა, N5, N6, N7, N12 დაწესებულებების მთავარი ექიმები ამბობენ, რომ მათ არ იციან როგორ იმოქმედონ ამ შემთხვევაში, ვინაიდან ინსტრუქცია ან რაიმე სახის მითითება ჯერ არავის მოუცია მათთვის. N14 დაწესებულების მთავარმა ექიმმა განაცხადა, რომ მისი ამ თანამდებობაზე დანიშვნის

შემდეგ არსებული ყველა სამედიცინო დოკუმენტი მასთან ინახება, ხოლო ის რაც მანამდე იყო, ყველა ჟურნალის და დოკუმენტის სახეობა მასთან არ არის და არ იცის სად ინახება. მთავარი ექიმების უმრავლესობა განმარტავს, რომ სამედიცინო ბარათი მიდის და ეკვრება პაციენტის პირად საქმეში, ხოლო ჟურნალები მათთან რჩება. N15 დაწესებულებაში ასეთ დოკუმენტებს სპეცნაწილში აგზავნიან, ხოლო ხონის N13 დაწესებულებაში - კანცელარიაში. რაც შეეხება დოკუმენტაციის შენახვის ვადას, N6 დაწესებულების მთავარი ექიმი აღნიშნავს, რომ არ იცის რამდენი ხნით უნდა შეინახოს დოკუმენტაცია, ვინაიდან ინსტრუქცია ამის შესახებ მას არ მიუღია. N9 დაწესებულების ექიმმა განგვიმარტა, რომ „3 წელიწადში ერთხელ მოდის კომისია და დოკუმენტაციას ანადგურებს. ისე, დოკუმენტაცია ალბათ მაქსიმუმ 10 წლით ინახება“. აღნიშნულ განმარტებას, მონიტორინგის ჯგუფი საეჭვოდ მიიჩნევს, იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნული ექიმი სულ რამდენიმე თვეა რაც პენიტენციურ სისტემაში არის დასაქმებული, და შესაბამისად მას ვერ ექნებოდა ამის გამოცდილება. რუსთავის N6 დაწესებულების მთავარმა ექიმმა აღნიშნა, რომ ზოლო 5 წლის ყველა დოკუმენტი ადგილზე და შეუძლია ყველა მათგანი საჭიროებისამებრ წარადგინოს. რაც შეეხება სამკურნალო დაწესებულებას, ქსნის ტუბერკულოზით დაავადებულთა N19 სამკურნალო დაწესებულების ექიმმა განგვიმარტა, რომ სამედიცინო დოკუმენტაცია ინახება ადგილზე და ნადგურდება 10 წელიწადში ერთხელ. მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში კი ფუნქციონირებს არქივი და გამოყოფილია არქივარიუსის თანამდებობაც. მიუხედავად ამისა, დაწესებულების მთავარი ექიმი, არქივიდან დოკუმენტის ან მისი ასლის, ან ამონაწერის გაცემის თავისებურ წესს აწესებს, რაც აბსოლუტურად შეუსაბამოა, როგორც საარქივო კანონმდებლობასთან, ასევე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2002 წლის 17 ივლისის N 198/ნ ბრძანებით (სამედიცინო დაწესებულებებში სამედიცინო ჩანაწერების შენახვის წესის შესახებ) გათვალისწინებულ მოთხოვნებთან. კერძოდ, მთავარი ექიმი განმარტავს, რომ როდესაც მოდის მოთხოვნა პაციენტის სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებული ინფორმაციის გაცემაზე, ამ შემთხვევაში პასუხისმგებლობა იმ განყოფილების გამგეს ეკისრება, რომელიც მოცემულ მომენტში მუშაობს და რომელი პროფილისაგ იყო ის ავადმყოფი, რომლის შესახებაც უნდა გასცენ ინფორმაცია. ამ შემთხვევაში ამონაწერს ამზადებს არა არქივარიუსი, არამედ განყოფილების გამგე.

როგორც ჩანს, პაციენტის შესახებ არსებული კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვა და შენახვა არ წარმოადგენს პენიტენციური სისტემის ჯანდაცვის სამსახურისათვის არანაირ ვალდებულებას ან თუნდაც ღირებულებას, რის გამოც ეს სფერო მოუწესრიგებელი და დაუცველია.

საქართველოს პენიტენციური ჯანდაცვის სისტემაში სამედიცინო სტატისტიკური ინფორმაციის წარმოება არ ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. საქართველოს ჯანდაცვის კანონმდებლობით, სამკურნალო დაწესებულებებს ევალებათ სამედიცინო სტატისტიკური ინფორმაციის წარმოება დადგენილი წესით. კერძოდ, „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20, 43-ე, 45-ე და 55-ე მუხლებისა და „სტატისტიკის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2, მე-6, მე-11, მე-12 და

მე-17 მუხლების შესაბამისად, სამედიცინო სტატისტიკაში ერთიანი ინფორმაციული სისტემის შექმნისა და შემდგომი სრულყოფის მიზნით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2005 წლის 5 აპრილის N101/ნ ბრძანებით დამტკიცებულია სამედიცინო სტატისტიკური ინფორმაციის წარმოების და მიწოდების წესის. ბრძანებით დამტკიცებულ დანართებს შორის არის ასევე საქართველოში გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობის და კონტროლის სააღრიცხვო და შეტყობინების ფორმები, მათი წარმოების და ანალიზის წესი და წარდგენის ვადები. ბრძანების მიხედვით, სამედიცინო დაწესებულებებმა, განურჩევლად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა და საკუთრების ფორმისა, უნდა უზრუნველყონ დაწესებულებების საქმიანობის შესაბამისი სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება და წარდგენა საჯარო სამართლის იურიდიული პირისთვის- „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრისათვის“- სამედიცინო დაწესებულებების მიერ წარსადგენი უწყებრივი სტატისტიკური დაკვირვების ანგარიშების თანდართული ჩამონათვალის, ფორმებისა და ვადების მიხედვით. მიუხედავად ამისა, სავალდებულო ხასიათის ინფორმაციის მიწოდება დღემდე არ ხორციელდება. სანაცვლოდ ამისა, სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის მიერ შემუშავებულია სტატისტიკური ინფორმაციის მოგროვების განსხვავებული ფორმები. აღნიშნულის გათვალისწინებით, შესაძლებელია ითქვას, რომ ინფორმაციის მოგროვებას აქვს მექანიკური ხასიათი, არ ხდება ბიოსამედიცინო სტატისტიკური წესების მიხედვით შედეგების და ჯანმრთელობის პარამეტრების გამოთვლა. აღნიშნულის შედეგად, შეუძლებელი ხდება სასჯელაღსრულების დაწესებულებებში შექმნილი ჯანდაცვითი მდგომარეობის სპექტრის ადეკვატური ანალიზი, მონაცემების დამუშავება, შედარება ან აღნიშნული მონაცემების გათვალისწინება შემდგომი განვითარებისათვის.

გარდა ზემოთ აღწერილი ტენდენციებისა, პენიტენციური ჯანდაცვის სისტემაში უხეზად ირღვევა პაციენტის უფლებები, კონფიდენციური სამედიცინო ინფორმაციის დაუცველობიდან და გარეშე პირებისადმი ფართო ხელმისაწვდომობიდან გამომდინარე. ამ მხრივ განსაკუთრებით უნდა გამოიყოს კონფიდენციალურობისა და საექიმო საიდუმლოს პრინციპის იგნორირება. ამ პრინციპების დაცვას ითვალისწინებს საქართველოს მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო კონვენციები, ქვეყნის ჯანდაცვის კანონმდებლობა, ასევე, სხვა ადგილობრივი და საერთაშორისო სტანდარტები. სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მიმდინარე სამედიცინო მომსახურების პროცესში გარეშე პირები თითქმის ყველგან ესწრებიან გამოკვლევებს, მანიპულაციებს და სხვა სამედიცინო ღონისძიებებს. სამედიცინო დოკუმენტაცია არ არის დაცული იმისაგან, რომ გარეშე პირმა ვერ მოახერხოს მასში არსებული ინფორმაციის გაცნობა. ხშირად სამედიცინო დოკუმენტაციას ხელს აწერენ დაწესებულების თანამშრომლები, რომლებიც არ წარმოადგენენ სამედიცინო პერსონალს და საერთოდ არ მონაწილეობენ პაციენტის მკურნალობისა და მოვლის ღონისძიებებში. სასჯელაღსრულების დაწესებულებებში, ზემოთ აღწერილი პრაქტიკის გამო, უხეზად ირღვევა არა მხოლოდ ჯანდაცვის კანონმდებლობა, არამედ წამების პრევენციის სტანდარტებიც.

მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ პაციენტისაგან ინფორმირებული თანხმობის მოპოვების აუცილებლობა, ზოგადად სისტემაში ვალდებულებას არ წარმოადგენს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთ გამონაკლისს. ასე მაგალითად, დაწესებულებათა უმრავლესობა, პაციენტისაგან ინფორმირებულ თანხმობას არ ითხოვს იმის გამო, რომ მათ მიაჩნიათ „ჩვენთან არ ტარდება ისეთი მანიპულაციები, რასაც თანხმობა ესაჭიროება“. მიუხედავად ამისა, ექიმები ვერ მიუთითებენ იმ მარეგულირებელ კანონებსა თუ კანონქვემდებარე აქტებს, რომელიც წერილობითი თანხმობის მოპოვების შემთხვევებს განსაზღვრავს. საანგარიშო პერიოდში, დაფიქსირდა ახალი ტენდენცია, კერძოდ ექიმები აცხადებენ, რომ ზოგიერთი ადრესატისთვის ინფორმაციის მიწოდებისას, პაციენტს წერილობით აწერინებენ თანხმობას. აღნიშნული მისასალმებელი ფაქტია, თუმცა ეს ინიციატივა შემდგომ შესწავლას და დახვეწას მოითხოვს. ზოგიერთ დაწესებულებაში პაციენტისაგან წერილობით მოითხოვენ დადასტურებას მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც იგი უარს აცხადებს რაიმე სახის სამედიცინო დახმარების ჩატარებაზე. ტუბერკულოზით დაავადებულთა N19 სამკურნალო დაწესებულებაში, არსებობს წერილობითი თანხმობის მოპოვების პრაქტიკა, მანამ, სანამ პაციენტს ჩართავენ „DOTS“ პროგრამაში. მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში აღნიშნული პრობლემა მეტ-ნაკლებად დარეგულირებულია და პაციენტისაგან წერილობითი თანხმობის მოპოვება ხდება ოპერაციული მკურნალობის ან ზოგიერთი სხვა ტიპის მკურნალობის დაწყების წინ. პენიტენციურ სისტემაში ჩატარებულმა მონიტორინგმა გამოავლინა, რომ პაციენტთა აბსოლუტური უმრავლესობისათვის მათ შესახებ არსებული სამედიცინო ჩანაწერები პრაქტიკულად ხელმიუწვდომელია. სამედიცინო პერსონალი კი განმარტავს, რომ პაციენტები იშვიათად ითხოვენ სამედიცინო დოკუმენტაციის გაცნობას ან ასლის მიღებას, რაც, მონიტორინგის ჯგუფის დაკვირვებით, სიმართლეს არ შეესაბამება.

რაც შეეხება ამ მხრივ ქვეყნის ჯანდაცვის სისტემაში დანერგილი სიახლეების იმპლემენტირებას პენიტენციური ჯანდაცვის სისტემაში, უნდა აღინიშნოს, რომ „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 12 აპრილის N 92/ნ ბრძანება (სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოებისას სამედიცინო კლასიფიკატორების გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ), რომელიც 2011 წლის 1 მარტიდან ამოქმედდა და რომლის მიხედვითაც დამტკიცებულია „პირველადი ჯანდაცვის საერთაშორისო კლასიფიკატორის ICPC -2-R გამოყენების წესი; “სკანდინავიური ქვეყნების ქირურგიული პროცედურების კლასიფიკატორის (NCSP) გამოყენების წესი; ლაბორატორიული ჩარევების კლასიფიკატორის გამოყენების წესი და „ავადმყოფობათა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების საერთაშორისო სტატისტიკური კლასიფიკაცია (ICD-10). მეათე გადახედვა. სახელმძღვანელო ინსტრუქციები“ იმპლემენტირებული ჯერ არ არის, რაც ზემოთ მითითებული კანონის დარღვევას წარმოადგენს.

ასევე არ არის იმპლემენტირებული საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 7 დეკემბრის №398/ნ ბრძანება „ამბულატორიულად/დღის სტაციონარის პირობებში განსახორციელებელი, მაღალი რისკის შემცველი სამედიცინო საქმიანობის/მომსახურების მიმწოდებელთათვის სავალდებულო შეტყობინების ფორმისა და წესის და რეესტრის წარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“, რომელიც შემუშავებულია „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 154-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად.

განსაკუთრებით შემამფოთებელია სასჯელადსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საქმეთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი გეგმა, რომ პაციენტთა ე.წ. სამედიცინო ჩანაწერები გახადონ ელექტრონული. სამინისტროს ხელმძღვანელობის თქმით, ერთადერთი მიზანი, რასაც ეს ინიციატივა ემსახურება, არის ჩანაწერების ცენტრალიზება – მათი ხელმისაწვდომობა სამინისტროს, მათ შორის, სამედიცინო დეპარტამენტის ხელმძღვანელობისთვის, რა შემთხვევაშიც ავტომატურად მოხდება კონფიდენციური სახის ინფორმაციის გამჟღავნება, რაც წარმოადგენს კანონდარღვევას. გარდა ამისა, მაშინ, როდესაც ქვეყნის ჯანდაცვის სისტემა თავად არ არის გადასული ამ ტიპის სერვისზე, გაურკვეველია, როგორ უნდა მოხდეს იმ ინფორმაციის დამატება სისტემაში, რომელიც დაკავშირებული იქნება პაციენტის მკურნალობის ფრაგმენტთან სამოქალაქო ტიპის დაწესებულებაში. ჩვენი აზრით, მხოლოდ პენიტენციური ჯანდაცვის სისტემის გადაყვანა ამ სტილზე გამოიწვევს მის უფრო მეტ მარგინალიზაციას და იზოლირებას საქართველოს ჯანდაცვის სისტემისაგან. ყველა ძალისხმევა უნდა იქნეს გამოყენებული რათა აღნიშნულმა ინიციატივამ კიდევ უფრო არ გააღრმავოს ჯანდაცვის მომსახურების ეკვივალენტურობასა და კონფიდენციალობის დაცვაში უკვე არსებული ხარვეზები, მით უფრო, რომ არ არსებობს დოკუმენტურად გაწერილი რაიმე სახის კონცეფცია, დასაბუთება ან თუნდაც ფინანსური გაწერა ჩანაწერების ელექტრონულ სისტემაზე გადასაყვანად. სამინისტროს ხელმძღვანელობას, მათ შორის, სამედიცინო დეპარტამენტის უფროსს, ევალუბათ სისტემის ზოგადი მენეჯმენტი და არამც და არამც კონკრეტული პაციენტების მკურნალობის მართვა, რაც არ აძლევს მათ იმის უფლებას, რომ გაეცნონ პაციენტის ჩანაწერებს ამ უკანასკნელის თანხმობის გარეშე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველი დაუშვებლად მიიჩნევს პაციენტთა შესახებ სამედიცინო ხასიათის ინფორმაციის ფართოდ ხელმისაწვდომ ელექტრონულ ბაზაში განთავსებას.⁵⁸⁶

პრევენციის ეროვნული მექანიზმი მიიჩნევს, რომ საქართველოს სასჯელადსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2011 წლის 25 მაისის №90 ბრძანება (ბრალდებულის/მსჯავრდებულის პირადი საქმის გაცნობის სპეციალურად უფლებამოსილ პირთა ნუსხის დამტკიცების

⁵⁸⁶ სახალხო დამცველის რეკომენდაციის საფუძველზე სასჯელადსრულების სისტემის ჯანდაცვის რეფორმის ახალ სამოქმედო გეგმაში, რომლის განხილვაც მიმდინარეობდა საანგარიშო პერიოდში, პაციენტ პაციენტთა ელექტრონული ბაზის შექმნა აღარ არის გათვალისწინებული.

შესახებ) შეიცავს ისეთ დებულებებს, რომლებიც უხეშად არღვევს საქართველოს და საერთაშორისო კანონმდებლობას. ამ ბრძანებაში, კერძოდ მის 2 და 3 მუხლში გაკეთებულია ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც:

მუხლი 2. დამტკიცდეს სპეციალურად უფლებამოსილ პირთა ნუსხა, რომელთაც აქვთ ბრალდებულის/მსჯავრდებულის პირადი საქმის გაცნობის უფლება, გარდა სამედიცინო ბარათისა. (დანართი №2).

მუხლი 3. დამტკიცდეს სპეციალურად უფლებამოსილ პირთა ნუსხა, რომელთაც აქვთ ბრალდებულის/მსჯავრდებულის პირადი საქმიდან მხოლოდ სამედიცინო ბარათის გაცნობის უფლება. (დანართი №3).

აღნიშნული კი იმას ნიშნავს, რომ სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრმა, მის მიერვე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით, პირთა გარკვეულ კატეგორიას მიანიჭა უფლება, პაციენტის თანხმობის გარეშე გაეცნოს სამედიცინო კონფიდენციურ ინფორმაციას პაციენტის ჯანმრთელობის შესახებ, რითიც უხეშად დაირღვა არა მარტო საქართველოს კონსტიტუცია და ჯანდაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობა (საქართველოს კანონები „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“, „პაციენტის უფლებების შესახებ“, „საექიმო საქმიანობის შესახებ“), ასევე ევროპის საბჭოს კონვენცია „ადამიანის უფლებებისა და ბიომედიცინის შესახებ“, რომელიც საქართველოს მიერ ხელმოწერილი და რატიფიცირებულია და უკვე თითქმის 10 წელია ამოქმედებულია დათქმების გარეშე. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ ბრძანებაში საჭიროა დაუყოვნებლივ შევიდეს ისეთი ცვლილებები, რომელიც მას შესაბამისობაში მოიყვანს ზემოთ ჩამოვლილ ნორმებთან.

რეკომენდაციები საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრს:

- სასჯელაღსრულების დაწესებულებათა სამედიცინო სტრუქტურებმა დადგენილი წესით აწარმოონ სამედიცინო სტატისტიკური ინფორმაცია (განისაზღვრება შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2005 წლის 5 აპრილის N101/ნ ბრძანებით) და ასევე დადგენილი წესით გადასცენ ინფორმაცია დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრს;
- გადაიხედოს სასჯელაღსრულების სისტემაში სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების ფორმები მათი ჯანდაცვის კანონმდებლობით დადგენილ წესებთან სრულ შესაბამისობაში მოყვანის თვალსაზრისით;
- პენიტენციური სისტემის სამედიცინო სტრუქტურებს მიეცეთ სათანადო რეკომენდაციები და მითითებები სამედიცინო დოკუმენტაციის შენახვის წესების შესახებ, ისე, როგორც მოთხოვნილია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2002 წლის 17 ივლისის N198/ნ ბრძანებით;
- უზრუნველყოფილი იქნას საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად გათვალისწინებული ვალდებულებების დაცვა

ჯანდაცვის მომსახურებათა მიწოდების პროცესში პაციენტის კონფიდენციალობის დაცვის საკითხებთან მიმართებაში. ამ მიზნით, აუცილებელი გამოწვევების გარდა, დაუმჯობესებლად ჩაითვალოს არასამედიცინო პირების მონაწილეობა სამედიცინო გასინჯვის, მკურნალობის ან სხვა მსგავს პროცესებში; მათ ხელი არ უნდა მიუწვდებოდეთ პაციენტის ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე არც წერილობით და არც ზეპირსიტყვიერი სახით;

- გაუქმდეს საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2011 წლის 25 მაისის N90 ბრძანების მე-2 და მე-3 მუხლები, რომლებიც წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს კანონმდებლობასთან და საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ ვალდებულებებთან. აღნიშნული საკითხი დარეგულირდეს მოქმედი კანონმდებლობის განუხრელი დაცვით.

რეკომენდაცია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს უფროსს:

- დაწესდეს მკაცრი კონტროლი პენიტენციურ სისტემაში სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოებაზე ქვეყანაში არსებული სტანდარტების შესაბამისად;
- განხორციელდეს რეგულარული კონტროლი სასჯელაღსრულების სისტემის სამედიცინო დაწესებულების ფუნქციონირების შესაბამისობაზე სანებართვო პირობებთან.


სიკვდილობა პენიტენციური სისტემის დაწესებულებებში:

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი უკვე რამდენიმე წელია სწავლობს სიკვდილობას და მასთან დაკავშირებულ ტენდენციებს საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემაში. აღნიშნული მონაცემების ანალიზი და დამუშავება მიმდინარეობს რამდენიმე წყაროზე დაყრდნობით, რომელთაგანაც უნდა აღინიშნოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროდან მოწოდებული ინფორმაცია, სასჯელაღსრულების დეპარტამენტიდან მოწოდებული ინფორმაცია, მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა N18 სამკურნალო დაწესებულებიდან მიღებული ინფორმაცია და სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროდან საქართველოს სახალხო დამცველის მიერ გამოთხოვილი გარდაცვლილთა სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნები. ყველა ამ წყაროდან მიღებული ინფორმაცია დარდება მონიტორინგის დროს, უშუალოდ სასჯელაღსრულების სისტემის ყველა დაწესებულებაში ადგილზე მოპოვებულ ინფორმაციასთან, რომლის შედეგადაც იქმნება სრული სურათი ამ მხრივ სასჯელაღსრულების სისტემაში არსებული მდგომარეობის შესახებ. ჩვენს მიერ მოპოვებული და გაანალიზებული მონაცემებიდან ჩანს, რომ ბოლო ექვსი წლის განმავლობაში (2006-2011) საქართველოს პენიტენციურ სისტემაში 653 პატიმარია გარდაცვლილი. წლების და თვეების მიხედვით, სტატისტიკა შემდეგნაირად გამოიყურება:

წელი	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	სულ
2006	6	3	10	6	3	5	8	12	14	6	10	6	89
2007	10	12	10	9	7	7	11	6	6	8	8	7	101
2008	5	3	8	5	12	16	9	6	6	6	7	7	90
2009	12	9	7	3	14	10	4	3	5	6	7	11	91
2010	7	12	7	10	13	10	13	15	15	14	12	14	142
2011	11	12	21	10	14	9	7	14	11	8	14	9	140
სულ:	51	51	63	43	63	57	52	56	57	48	58	54	653

ცხრილში წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით ნათლად ჩანს, რომ წლის პირველი ნახევრის განმავლობაში გარდაცვლილთა რაოდენობის მიხედვით, 2011 წლის პირველი ნახევარი მაქსიმალური მაჩვენებლებით გამოირჩევა, რაც შეეხება წლის მეორე ნახევარს, აქ გარდაცვლილთა მაქსიმალური რაოდენობა 2010 წელს მოდის, ხოლო 2011 წლის მეორე ნახევარი, მეორე ადგილს იკავებს. საერთო ჯამში კი წლის პირველ და მეორე ნახევარში გარდაცვლილთა რიცხვი პრაქტიკულად ერთნაირია. რაც შეეხება ბოლო 2 წლის მონაცემებს, უნდა აღინიშნოს, რომ გარდაცვლილთა რაოდენობის მკვეთრი მატების ტენდენცია აღინიშნება. პირველად, აღნიშნული ტენდენცია 2010 წლის ბოლოსათვის დაფიქსირდა, როდესაც სიკვდილობა პენიტენციური სისტემის დაწესებულებებში თითქმის 60%-მდე გაიზარდა წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებლებთან შედარებით. რაც შეეხება 2011 წელს, სამწუხაროდ აღნიშნული საგანგაშო მაჩვენებელი პრაქტიკულად შენარჩუნებულია (რიცხოზრდად, მხოლოდ „2“ - ით ჩამოუვარდება გასული წლის მაჩვენებელს). ბოლო 6 წლის სტატისტიკის გათვალისწინებით, ყოველწლიურად, სასჯელადსრულების დაწესებულებებში გარდაცვლილ პატიმართა საშუალო რაოდენობა 108 - ის ტოლია. 2011 წლის მონაცემები კი, საშუალო მაჩვენებელს დაახლოებით 30%-ით აღემატება. ანალოგიური მაჩვენებელი დაფიქსირდა გასულ (2010) წელსაც.

ქვემოთ მოყვანილ დიაგრამაზე წარმოდგენილია წლების მიხედვით გარდაცვლილთა პროცენტული წილი ბოლო 6 წლის საერთო მაჩვენებელთან მიმართებაში.




დიაგრამიდან აშკარად ჩანს, რომ 2010 და 2011 წლები, მართლაც გამოირჩევა სიკვდილობის დონის მკვეთრი მატებით, ანუ 2006-2009 წლებში, სიკვდილობის მაჩვენებელი მეტ-ნაკლებად სტაბილური იყო, 2010 და 2011 წელს ამ მაჩვენებელმა პიკს მიაღწია და წინა წლებთან შედარებით მკვეთრად იმატა, რაც მეტად საყურადღებო და დამაფიქრებელი ფაქტია.

მონაცემების მიხედვით, 2011 წელს, საქართველოს პენიტენციური სისტემის დაწესებულებებზე რიცხული 140 ადამიანია გარდაცვლილი. მათგან 77 (55%) წლის პირველ ნახევარზე, ხოლო 63 (45%) წლის მეორე ნახევარზე მოდის. 2011 წლის განმავლობაში გარდაცვლილთა შორის 5 (4%) ქალია, 135 (96%) მამაკაცი. ჩვენს მიერ, შესწავლილი და გაანალიზებული იქნა გარდაცვლილთა ასაკობრივი სპექტრი. ყველაზე ახალგაზრდა გარდაცვლილი 22 წლის იყო, ხოლო ყველაზე ასაკოვანი 80 წლის. გარდაცვლილთა საშუალო ასაკმა წლის პირველ ნახევარში 46 ± 4 შეადგინა, ხოლო წლის მეორე ნახევარში 50 ± 4 . აღნიშნული ფაქტი მცირე ზრდის ტენდენციას ავლენს წინა წლების ანალოგიურ მაჩვენებლებთან შედარებით. რაც შეეხება 2011 წელს გარდაცვლილთა ასაკობრივ ჯგუფებს, ეს ინფორმაცია წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:


21 – 30	7.14 %
31 – 40	22.89 %
41 – 50	22.89 %
51 – 60	27.8 %
61 – 70	14.28 %
71 \geq	5 %

როგორც წარმოდგენილი ცხრილიდან ჩანს, გარდაცვლილთა მაქსიმალური რაოდენობა არის „51-60 ასაკობრივი ჯგუფიდან“. შემდეგ ადგილზე, თანაბარი პროცენტული

მაჩვენებლით, „31-40“ და „41-50“ ასაკობრივი ჯგუფებია. თვალსაჩინოების მიზნით, ასაკობრივი ჯგუფების განაწილება წარმოდგენილია ასევე დიაგრამაზე.



რაც შეეხება პატიმართა გარდაცვალების ადგილს, ამ მხრივაც 2011 წელს საინტერესო ტენდენცია იკვეთება. კერძოდ, გარდაცვალების შემთხვევათა 17.85 % მოდის ქალაქის სხვადასხვა საავადმყოფოებზე, რაც გაცილებით ნაკლებია 2010 წლის ჯამურ მონაცემებთან მიმართებაში; 61.42% გარდაცვლილია მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში, ხოლო 20.73%-ში სიკვდილი დაფიქსირდა სასჯელის მოხდის სხვა ადგილებში. აღნიშნული თანაფარდობა წარმოდგენილია გრაფიკულად:



2010 წლის მონაცემებისაგან განსხვავებით, ამ მხრივ მდგომარეობა რადიკალურადაა შეცვლილი. გარდაცვალების შემთხვევათა დიდი უმეტესობა მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა N18 დაწესებულებაზე მოდის, რითაც სტატისტიკა დაუბრუნდა 2009 წლის მაჩვენებელს. 2009 წლის მსგავსია ასევე ქალაქის საავადმყოფოებსა და სასჯელის მოხდის სხვა ადგილებში გარდაცვლილ პატიმართა პროცენტული წილიც.

ჩვენს მიერ ჩატარებულმა შესწავლამ აჩვენა, რომ გარდაცვლილ პატიმართა დიდ ნაწილს დადგენილი ჰქონდა მძიმე და განუკურნებელი დაავადების დიაგნოზი (ავთვისებიანი სიმსივნეების ტერმინალური სტადია, ვირუსული ჰეპატიტის გამო განვითარებული პორტული ჰიპერტენზია, ენცეფალოპათიით, სისხლდენით და ასციტით, აივ-ინფექცია შიდსის ტერმინალური სტადია, ტუბერკულოზის შორსწასული ფორმა, მათ შორის მულტირეზისტენტული და ექსტრაპულმონური ფორმების კომბინაცია, გულ-სისხლძარღვთა სისტემის მძიმე და შეუქცევადი პათოლოგიების შორსწასული ფორმები და ა.შ.). მიუხედავად ამისა, ამ პატიმართა მიმართ სასჯელის გადავადების ან ვადამდე ადრე გათავისუფლების საკითხი არ დასმულა. ცალკე აღსანიშნავია ის შეუფერებელი პირობები და საშუალებები, რომელშიც ხორციელდებოდა იმ პაციენტთა მკურნალობა და მოვლა, რომელთათვისაც შეუთავსებელია ხანგრძლივი პატიმრობა. თითოეული ასეთი შემთხვევა, უნდა შეფასდეს, არაჰუმანურ მოპყრობად და პასუხისმგებლობა ამ საკითხზე უნდა დაეკისროს სასჯელადსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს როგორც სამედიცინო, ისე არასამედიცინო პროფილის პერსონალს. სამწუხაროდ ამ საკითხს წლიდან წლამდე ყურადღება არ ექცევა, მაშინ როცა საუბარია წარმატებულ ჯანდაცვის რეფორმაზე და მის შედეგებზე, რომელიც არ ეფუძნება სამედიცინო კლასიფიკატორებს და რეალურ მდგომარეობას.

როგორც უკვე აღინიშნა, სამოქალაქო სექტორის სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებებში გაყვანილი და გარდაცვლილი პატიმრების წილმა 2011 წელს 17.85% შეადგინა. სამოქალაქო სექტორის სამედიცინო დაწესებულებებში გარდაცვალების შემთხვევები, განსაკუთრებით მრავლად იყო წლის პირველ ნახევარში, ხოლო მეორე ნახევრისათვის მხოლოდ ერთეული შემთხვევები დაფიქსირდა. გარდაცვლილთა რაოდენობის მიხედვით, კვლავ წამყვან ადგილზეა ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი, სადაც ქალაქის საავადმყოფოში გარდაცვლილ პატიმართა 44 %-იანი წილი მოდის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გარდაცვლილთა ეს რაოდენობა მხოლოდ 2011 წლის პირველ ნახევარზე მოდის, ვინაიდან ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, წლის მეორე ნახევარში გარდაცვალების შემთხვევა აღნიშნულ დაწესებულებაში აღარ დაფიქსირებულა.

გარდაცვლილ პატიმართა რაოდენობის მიხედვით, მეორე ადგილზეა თბილისის რეფერალური ჰოსპიტალი, (12%) და ლუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრი (ასევე 12%). კარდიოლოგიური კლინიკა „გული“ და ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრი ასევე თანაბარი რაოდენობით (8%) მე-4 და მე-5 ადგილს ინაწილებენ. საანგარიშო პერიოდში შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრში

გარდაცვალების პროცენტულმა წილმა 4% შეადგინა. ამდენივე პროცენტული წილი მოდის ბათუმის რესპუბლიკურ საავადმყოფოზე და ქუთაისის ცხაკაიას სახ. სამედიცინო ცენტრზე. აღსანიშნავია, რომ 1 პატიმარი გარდაცვლილია თბილისის საქალაქო სასამართლოს სხდომათა დარბაზში. აღნიშნული მონაცემები მოცემულია ცხრილში:

ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი	44%
თბილისის რეფერალური ჰოსპიტალი	12%
ლუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრი	12%
კლინიკა „გული“	8%
ონკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი	8%
ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრი	4%
ცხაკაიას სახ. დას. საქართ. ინტერვენც. მედიცინ. ეროვნული ცენტრი / ქუთაისი	4%
ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფო	4%
თბილისის საქალაქო სასამართლოს სხდომათა დარბაზი	4%

შედარებისათვის უნდა ითქვას, რომ 2009 და განსაკუთრებით 2010 წლის განმავლობაში, გარდაცვლილთა 50%-ზე მეტი მოდიოდა ლუდუშაურის სახ. ეროვნულ სამედიცინო ცენტრზე. მას შემდეგ, რაც საქართველოს სახალხო დამცველმა მწვავე შეფასება მისცა ტერმინალურ მდგომარეობაში მყოფი პატიმარი პაციენტების ქალაქის საავადმყოფოებში გადაყვანას, აღნიშნული ტენდენცია 2011 წლის პირველი ნახევრის მონაცემებით შეჩერდა, რის გამოც მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა N18 დაწესებულება კვლავ იქცა პატიმართა სიკვდილობის N1 ადგილად. აღსანიშნავია, რომ ამ ფონზე, წინა წლების მონაცემებთან შედარებით, თავი იჩინა, სასჯელის მოხდის სხვადასხვა ადგილებში გარდაცვალების შემთხვევათა ზრდამ.

როგორც უკვე აღინიშნა, პატიმართა დაახლოებით 20.73% გარდაიცვალა სასჯელაღსრულების სისტემის სხვადასხვა დაწესებულებებში, ანუ სასჯელის მოხდის ძირითად ადგილებში (გარდა მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამკურნალო დაწესებულებისა). აღნიშნული სტატისტიკა დაწესებულებათა მითითებით, დეტალურად წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

№	სასჯელადსრულების დაწესებულება	%
1	№15 დაწესებულება (ქსანი)	34.48
2	№19 დაწესებულება (ქსანი) ტუბერკ.	20.68
3	№ 6 დაწესებულება (რუსთავი)	10.34
4	№ 5 დაწესებულება (რუსთავი) ქალთა	10.34
5	№ 16 დაწესებულება (რუსთავი)	3.46
6	№17 დაწესებულება (რუსთავი)	13.78
7	№14 დაწესებულება(გეგუთი)	3.46
8	№ 2 დაწესებულება(ქუთაისი)	3.46

როგორც ცხრილიდან ჩანს, გარდაცვალების შემთხვევები მაქსიმალური იყო ქსანში მდებარე №15 დაწესებულებაში; მეორე ადგილზეა რუსთავის №17 დაწესებულება, მესამე ადგილზე გამოდის დაბა ქსანში განთავსებული №19 ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულება. მე-4 და მე-5 ადგილს ინაწილებენ რუსთავის ქალთა N5 და ასევე რუსთავში განთავსებული N6 დაწესებულება. რაც შეეხება რუსთავის N16, გეგუთის N14 და ქუთაისის N2 დაწესებულებებს, მათში გარდაცვლილთა პროცენტული წილი მსგავსია და 3.46%-ს შეადგენს.


2011 წლის განმავლობაში პატიმართა გარდაცვალების მიზეზების შესასწავლად გამოყენებულ იქნა სახალხო დამცველის აპარატის მიერ საქართველოს ყველა სასჯელადსრულების დაწესებულებაში ჩატარებული მონიტორინგის მასალები და სხვადასხვა დოკუმენტების შესწავლის შედეგები. ინფორმაცია გარდაცვლილი პატიმრების და გარდაცვალების მიზეზების შესახებ გამოთხოვილ იქნა ასევე საქართველოს სასჯელადსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროს სასჯელადსრულების დეპარტამენტიდან. გარდაცვლილთა სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნები გამოთხოვილ იქნა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროდან. ზოგიერთ გარდაცვლილ პატიმართა სტაციონარის სამედიცინო ბარათის ასლები მიღებულ იქნა როგორც მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებიდან, ასევე სამოქალაქო ტიპის სამედიცინო დაწესებულებებიდანაც. არსებული მასალები შეჯერდა და გაანალიზდა. პატიმართა გარდაცვალების მიზეზების გასაანალიზებლად ვიხელმძღვანელებთ სასამართლო სამედიცინო დიაგნოზებით, ასევე, ზოგიერთ შემთხვევებში, ჩვენი შესწავლა დაეყრდნო სტაციონარის ავადმყოფის სამედიცინო ბარათებში არსებულ ინფორმაციას. იმ დიაგნოზების ჩამონათვალი, რომელიც დაუდგინდათ გარდაცვლილებს (შესაბამისად გამოტანილი იყო სასამართლო სამედიცინო დიაგნოზის სახით) გავაერთიანეთ ცალკეულ ნოზოლოგიურ კლასებში, რომელიც წარმოდგენილია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში და დიაგრამაზე საანგარიშო წლის პირველი და მეორე ნახევრების მიხედვით:

№	დაავადებათა კლასი	2011 წ. (%)	
		I ნახ	II ნახ
1	სასუნთქი სისტემა	25.43	21.98
2	ინფექციური დაავადებები	17.53	14.15
3	გულსისხლძარღვთა სისტემა	16.29	18.97
4	ტუბერკულოზი	10.37	6.32
5	ნაძალადევი სიკვდილი და ტრავმები	7.16	6.02
6	შარდ-სასქესო სისტემა	6.92	9.33
7	საჭმლის მომნელებელი სისტემა	5.18	10.84
8	ქირურგიული დაავადებები/გართულ	3.45	2.71
9	ნევროლოგიური დაავადებები	3.22	3.91
10	ონკოლოგიური დაავადებები	3.22	4.21
11	გრძნობათა ორგანოების დაავადებები	0.74	0.33
12	ენდოკრინული სისტემა	0.49	1.23

როგორც ცხრილიდან ჩანს, დაავადებათა გარკვეული კლასები წლის განმავლობაში ვარირებას განიცდიდა; შესაბამისად, ზოგიერთ შემთხვევაში აღინიშნება კლება, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში მატება. მაგალითად, გარდაცვლილთა შორის ტუბერკულოზის გავრცელების თვალსაზრისით, წლის მეორე ნახევარში 4%-იანი კლება დაფიქსირდა. თითქმის ორჯერაა გაზრდილი, საჭმლის მომნელებელი დაავადებების კლასში შემავალი ნოზოლოგიები; დანარჩენ შემთხვევაში, უპირატესად სტაბილური სურათია შენარჩუნებული.

რაც შეეხება საერთო წლიურ მაჩვენებელს, რომელიც დაავადებათა კლასების სიხშირეს შეესაბამება, წარმოდგენილია ცხრილში და გრაფიკულად:

№	დაავადებათა კლასი	2011 წ. სულ(%)
1	სასუნთქი სისტემა	23.62
2	გულსისხლძარღვთა სისტემა	17.31
3	ინფექციური დაავადებები	15.83
4	ტუბერკულოზი	9.53
5	შარდ-სასქესო სისტემა	7.91
6	საჭმლის მომნელებელი სისტემა	7.65
7	ნაძალადევი სიკვდილი და ტრავმები	6.57
8	ონკოლოგიური დაავადებები	3.62
9	ნევროლოგიური დაავადებები	3.48
10	ქირურგიული დაავადებები/გართულ	3.08
11	ენდოკრინული სისტემა	0.87
12	გრძნობათა ორგანოების დაავადებები	0.53



როგორც მოყვანილი დიაგრამიდან და ცხრილიდან ნათლად ჩანს, გარდაცვლილ პაციმართა თითქმის მეოთხედს აღნიშნებოდა სასუნთქი სისტემის რომელიმე პათოლოგია. (ამ კლასში არ შედის ფილტვების ან სასუნთქი გზების ტუბერკულოზი, მისი განსაკუთრებული თავისებურების გამო პენიტენციურ სისტემაში; შესაბამისად იგი ცალკეა გამოყოფილი). აღნიშნული მაჩვენებელი სტაბილურია ბოლო წლების განმავლობაში და პრაქტიკულად უტოლდება 2010 წლის წლიურ მაჩვენებელს.

საანგარიშო პერიოდში, გარდაცვლილთა სასამართლო სამედიცინო დიაგნოზების მიხედვით, სიხშირით მეორე ადგილზე გამოდის გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები. აღსანიშნავია, რომ ამ დაავადების და მისი ერთ-ერთი ფორმის - მიოკარდიუმის ინფარქტის სიხშირე და მისი როლი სასიკვდილო გამოსავალში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა და სამწუხაროდ შედარებით უფრო ახალგაზრდა ჯგუფებში გადმოინაცვლა. მესამე ადგილზეა ინფექციური პროფილის დაავადებები. ამ ჯგუფში გაერთიანებულია უპირატესად ვირუსული ჰეპატიტები და აივ ინფექცია. ასევე შეყვანილია მათი გართულებები, რომლებიც ცალკეა გამოტანილი სასამართლო სამედიცინო დიაგნოზებში. აღსანიშნავია, რომ ინფექციური დაავადებები მესამე ადგილს იკავებდა 2009 წლის მონაცემების მიხედვითაც.

ტუბერკულოზის დიაგნოზი, სიხშირით მე-4 ადგილზე გადმოვიდა და ერთი ადგილით ჩამოქვეითდა 2010 წლის წლიური მაჩვენებლების სპექტრთან მიმართებაში. მიუხედავად ამისა, ანტიტუბერკულოზური სტრატეგია პენიტენციურ სისტემაში კვლავ მოიცავს მთელ რიგ ისეთ ხარვეზებს და ნაკლოვანებებს, რომელთა გამოსწორება ტუბერკულოზური ავადობისა და სიკვდილობის წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლის მნიშვნელოვანი საშუალებაა.

აღნიშნულის პარალელურად, გარდაცვლილთა სასამართლო სამედიცინო დიაგნოზებს შორის, მკვეთრად იმატა შარდ-სასქესო სისტემის დაავადებათა იდენტიფიკაციამ. 2011 წლის საანგარიშო პერიოდში ამ დაავადებათა ჯგუფი სიკვდილობის სპექტრში 7.91%-ით მე-6 ადგილს იკავებს.

საჭმლის მომწელებელი სისტემის პათოლოგია, თუ არ ჩავთვლით ღვიძლის ვირუსულ დაზიანებებს, 2011 წლის საანგარიშო პერიოდში, ისევე, როგორც გასულ წელს, მცირედი კლების ტენდენციას ავლენს.

ნაძალადევი სიკვდილისა და ტრავმების პროცენტული რაოდენობით, აღნიშნული ჯგუფი 2011 წლის მონაცემთა შორის მე-7 ადგილზე გამოდის. აღნიშნულს ერთი საფეხურით ჩამორჩება ონკოლოგიური დაავადებები. გავრცელების სიხშირის მიხედვით, როგორც ჩანს, ცვლილება არ შეეხოთ ონკოლოგიურ დაავადებებს და კვლავ მე-10 ადგილზე იმყოფება. ამ ჯგუფის დაავადებებისათვის წელს ტიპურია ტენდენცია, რომელიც დაავადებათა სპექტრის გაფართოებას მოიცავს და ასევე ონკოლოგიური დაავადებები შემთხვევათა დიდ უმრავლესობაში (სადაც მათი დიაგნოზი დაისვა), სიკვდილის უშუალო მიზეზს წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ ვხვდებით ონკოპათოლოგიის ტერმინალურ, შორსწასულ ფორმებს. არის შემთხვევები, როდესაც სიმსივნური დაავადების დიაგნოზი პაციენტის სიცოცხლეში დასმული ვერ იქნა და მხოლოდ სასამართლო ჰისტოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის შედეგად გახდა ცნობილი.

ნევროლოგიური პათოლოგიები პროცენტული წილის მიხედვით მე-9 ადგილს იკავებს და კლების ტენდენციას ავლენს. აღსანიშნავია, რომ გასული 2 წლის განმავლობაში, ნევროლოგიური დიაგნოზით გარდაცვლილთა პიკური მაჩვენებელი დაფიქსირდა.

სიხშირით მე-10 ადგილზეა ქირურგიული დაავადებები, რომლებიც ჩვენი სტატისტიკის მიხედვით, წლის მეორე ნახევარში მატების ტენდენციას ავლენს. ამ ჯგუფში გაერთიანდა ასევე საჭმლის მომწელებელი ტრაქტისა და სასუნთქი სისტემიდან განვითარებული სისხლდენები, რომლებიც პაციენტთა გარდაცვალების უშუალო მიზეზი გახდა ან გარკვეული პათოფიზიოლოგიური მექანიზმით ხელი შეუწყო სიკვდილის განვითარებას.

მე-10 და მე-11 ადგილებს, შესაბამისად 0.87 და 0.53%-ით იკავებს ენდოკრინული სისტემისა და გრძობათა ორგანოების დაავადებები. ეს უკანასკნელი აერთიანებს მხედველობისა და სმენის ორგანოს ფუნქციის მოშლას. რაც შეეხება ენდოკრინული სისტემის დაავადებებს, საანგარიშო პერიოდში შეგვხვდა ფარისებრი ჯირკვლისა და კუჭუკანა ჯირკვლის დაავადებები.


სასუნთქი სისტემის დაავადებებიდან, საანგარიშო პერიოდში ყველაზე ხშირად ბრონქიტი ფიქსირდება (აქ შეყვანილია მხოლოდ ბაქტერიული [ექსუდაციური] ეტიოლოგიის ბრონქიტები. რაც შეეხება ტუბერკულოზურ ბრონქიტებს, ისინი განხილულ იქნება ტუბერკულოზთან ერთად). სიხშირით მეორე ადგილზე გამოდის პნევმონია (ფილტვების ანთება), რომელიც ასევე ორ კატეგორიად დავყავით (ტუბერკულოზურ და ბაქტერიულ პნევმონიებად) და ამ ჯგუფში შევიყვანეთ მხოლოდ ბაქტერიული ეტიოლოგიის პროცესები, რომელიც ხშირად ფილტვებში ჩირქოვანი

კერების წარმოქმნით მიმდინარეობდა და სასამართლო სამედიცინო დიაგნოზის მიხედვით პნევმონიად იქნა იდენტიფიცირებული. საერთო ჯამში, 2011 წელს გარდაცვლილი 140 პაციენტიდან ჩირქოვანი პნევმონია აღნიშნებოდა 40 პაციენტს, ანუ საერთო რაოდენობის თითქმის 28.5%-ს. როგორც უკვე აღინიშნა, კაზეოზური პნევმონია ამ ჯგუფში არ შევიდა და განხილული იქნება ტუბერკულოზთან ერთად. აღსანიშნავია, რომ გარდაცვლილთა საექსპერტო დასკვნების მიხედვით, რომლებიც ნაწილობრივ პაციენტის სამედიცინო დოკუმენტაციასაც მიმოიხილავს, ხშირ შემთხვევაში, საპყრობილის ექიმთა მიერ, ფილტვების ანთება არ არის ამოცნობილი და შესაბამისად მკურნალობაც არ ჩატარებულა. პნევმონია, ზოგიერთ შემთხვევაში, წარმოადგენს პაციენტის რეანიმაციულ განყოფილებაში ყოფნის პერიოდში არსებულ გართულებას. ანთება ხშირად ორმხრივია, რაც განსაკუთრებით ამძიმებს პაციენტის მდგომარეობას და სუნთქვის უკმარისობას იწვევს, გარდა იმისა, რომ ინტოქსიკაცია თავის მხრივ სინერგისტულად მოქმედებს ძირითადი დაავადებების მიერ გამოწვეულ ნეგატიურ ფაქტორებთან. პნევმონიების განვითარება ასევე ხშირია ხანგრძლივად მწოლიარე პაციენტებში, რომლებიც სხვა მიზეზის გამო გადიან სტაციონარული მკურნალობის კურსს. ასეთ შემთხვევაში პნევმონიით გამოწვეული ინტოქსიკაცია ხშირად ხდება სიკვდილის უშუალო განმაპირობებელი ფაქტორი.

სასუნთქი სისტემის დაავადებებიდან გარდაცვლილებში სიხშირით მესამე ადგილზეა ექსპერტიზის მიერ დადასტურებული ფილტვების ემფიზემა – 35 შემთხვევა, რაც წინა წლებთან შედარებით მკვეთრი მატების ტენდენციას ავლენს. პნევმოციროზი მორფოლოგიურად დადასტურებულ იქნა 33 შემთხვევაში, რაც გასული წლების მსგავსად მაღალი მაჩვენებელია. 30 შემთხვევაში დაფიქსირდა არატუბერკულოზური გენეზის პლევრიტი. ხშირ შემთხვევაში, პლევრიტი თან ახლავს პნევმონიას და სავარაუდოდ, მის გართულებას წარმოადგენს, რაც ფილტვების ანთების არაადეკვატური მკურნალობისა და დიაგნოსტიკის შედეგია. პლევრიტი ხშირად ექსუდაციურია (ჩირქოვან-ფიბრინული), რაც მკვეთრად ამძიმებს პაციენტის ზოგად მდგომარეობას.

სასუნთქი სისტემის დაავადებებს შორის, სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნებში ვხვდებით ასევე პნევმო/ჰემო/ჰიდრო - თორაქსს, ფილტვის ინფარქტს და ფილტვის აბსცესს; გასული წლის შემთხვევათა მსგავსად, კვლავ არის სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნებში, მორფოლოგიურად დადასტურებული ანთრაქოზის და პნევმოკონიოზის შემთხვევებიც (3%). აღნიშნული დაავადება როგორც წესი პროფესიულ დაავადებას წარმოადგენს და მისი არსი მდგომარეობს ფილტვებში საწარმოო მტვრის (ამ შემთხვევაში ნახშირბადის შემცველი) დაგროვებაში. დაავადების გავრცელების შემთხვევები წინა წლებშიც იქნა გამოვლენილი. როგორც გასული წლის მოხსენებაში აღინიშნა, ამ მიმართულებით კვლევა უფრო მეტ ჩაღრმავებას და ანალიზს მოითხოვს.

ზემოთ ჩამოთვლილ ცალკეულ ნოზოლოგიათა პროცენტული წილი, გარდაცვლილი პაციენტების სასუნთქი სისტემის დაავადებებს შორის, მოცემულია ცხრილში და დიაგრამაზე:



ბრონქიტი	22.68 %
პნევმონია	20.61 %
ფილტვის ემფიზემა	18.04 %
პნევმოციროზი	17.04 %
პლევრიტი	15.46 %
პნევმო/ჰემო - თორაქსი	3.09 %
ანთრაქ /პნევმოკონი-ოზი	1.54 %
ფილტვის აბსცესი	1.03 %
ფილტვის ინფარქტი	0.51 %

პაციენტი ნ.ნ. (ქალი), 60 წლის (კოდი I №27), გარდაიცვალა 2011 წლის 05 მარტს, რუსთავის ქალთა N5 დაწესებულებაში. ექსპერტიზის დასკვნით, სიკვდილი გამოიწვია სუნთქვის უკმარისობამ, განვითარებული ინტერსტიციული პნევმონიის შედეგად;

პაციენტი ნ.მ. (მამაკაცი), 37 წლის (კოდი I №68), გარდაიცვალა 2011 წლის 29 მაისს, N18 დაწესებულებაში. ექსპერტიზის დასკვნით სიკვდილის მიზეზია მოაბსცედირე ბრონქოპნევმონიის შედეგად განვითარებული სუნთქვის უკმარისობა;


პაციენტი ს.გ. (მამაკაცი), 65 წლის (კოდი II №35), გარდაიცვალა 2011 წლის 02 ოქტომბერს, მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა №18 დაწესებულებაში. ექსპერტიზის

დასკვნით, სიკვდილის უშუალო მიზეზია „ორმხრივი ტოტალური კრუპოზული პნევმონიის შედეგად განვითარებული სუნთქვის მწვავე უკმარისობა.“

პაციენტი ა.რ. (მამაკაცი), 72 წლის (კოდი II №38), გარდაიცვალა 2011 წლის 17 ოქტომბერს, მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა №18 დაწესებულებაში. ექსპერტიზის დასკვნით, სიკვდილის უშუალო მიზეზია „...სუნთქვის მწვავე უკმარისობა... განვითარებული ორმხრივი ბრონქოპნევმონიის შედეგად.“

პაციენტი ს.გ. (მამაკაცი), 65 წლის (კოდი II №54), გარდაიცვალა 2011 წლის 29 ნოემბერს, მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა №18 დაწესებულებაში. ექსპერტიზის დასკვნით, სიკვდილის უშუალო მიზეზია „სუნთქვის მწვავე უკმარისობა, განვითარებული ბრონქოპნევმონიის შედეგად.“

რაც შეეხება **გულსისხლძარღვთა სისტემის დაავადებებს**, საანგარიშო პერიოდში წინა წელთან შედარებით მატების აშკარა ტენდენცია შეინიშნება. კარდიოლოგიური დაავადებების როლი სიკვდილის დადგომაში, პროცენტულად წარმოდგენილია დიაგრამაზე და ცხრილში:



გულის იშემიური დაავად	64.61 %
მ/შ მოკარდ. ინფარქტი	20.76 %
ენდო/მიო/პერი კარდიტი	6.92 %
კარდიომიოპათია	3.07 %
გულის რითმის დარღვევა	2.35 %
მაგისტრ. სისხ. ანევრიზმა	1.53 %
გულის მანკი	0.76 %

როგორც წარმოდგენილი სტატისტიკური მონაცემებიდან ჩანს, გულის იშემიური დაავადება აღენიშნებოდა 140 გარდაცვლილიდან თითქმის 65%-ს. მათ შორის, მოკარდიუმის ინფარქტის მორფოლოგიური სურათი დადასტურებულ იქნა 27 შემთხვევაში, ანუ დაახლოებით 20.76%-ში, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია და აღემატება გასული საანგარიშო პერიოდის წლიურ მაჩვენებელს. აღსანიშნავია, რომ წინა წელთან შედარებით, კვლავ აღინიშნება მოკარდიუმის ინფარქტის „გაახალგაზრდაების“ ტენდენცია, ანუ ეს დაავადება სულ უფრო და უფრო დაბალ ასაკობრივ ჯგუფში ინაცვლებს. 2011 წლის პირველ ნახევარში, მოკარდიუმის ინფარქტით გარდაცვლილთა ასაკი 22-დან 54-მდე წლამდე მერყეობს და საშუალოდ 44±2 წელს შეადგენს. მოკარდიუმის ინფარქტით გარდაცვლილთა რაოდენობა წლის მეორე ნახევარში მნიშვნელოვნად გაიზარდა წლის პირველ ნახევართან შედარებით.

ჩვენს მიერ ჩატარებული მონიტორინგის დროს დაფიქსირდა, რომ კვალიფიციური კარდიოლოგიური დახმარება სასჯელალსრულების დაწესებულებებში უმეტეს შემთხვევებში ხელმიუწვდომელია. არ ხდება პატიმართა სკრინინგი, რისკ ჯგუფების გამოვლენა და დადასტურებული დიაგნოზის შემთხვევაშიც კი, პაციენტთა ადეკვატური მკურნალობა. პაციენტები ხშირად თავად ინიშნავენ წამლებს ან აგრძელებენ იმ მედიკამენტების მიღებას, რომელიც პატიმრობამდე დაუნიშნა ექიმმა. ამ სიტუაციაში, პრეპარატის დოზისა და საერთოდ მიღების მიზანშეწონილობის საკითხის გადახედვა პრაქტიკულად აღარ ხდება. მეორე მხრივ, ადგილობრივი სამედიცინო ნაწილები იქ მყოფ პაციენტთა დიდ უმრავლესობას ვერ სთავაზობს კვალიფიციურ დახმარებას. რიგ სამედიცინო ნაწილს არ გააჩნია კარდიოგრაფიკ კი. ზედმეტია ლაპარაკი მოკარდიუმის იშემიის თანამედროვე, ლაბორატორიულად (ფერმენტებით) დადასტურების შესაძლებლობაზე. მუდმივი სტრესისა და არსებული სუბსტრატული დაზიანებების პირობებში ვითარდება ამ ტიპის დაავადებები, რომლებიც მაღალ პროცენტში ფატალურია ადამიანისათვის. სწორედ ამით უნდა აიხსნას ის ტენდენცია, რომელიც საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა, კერძოდ, მოკარდიუმის ინფარქტით სიკვდილის განვითარების შემთხვევებიდან, გარკვეულ ნაწილში დიაგნოზი ვერ იქნა დასმული პაციენტის სიცოცხლეშივე. შესაბამისად მკურნალობის ჩატარება და / ან მისი დროული დაწყება არ მომხდარა.

პაციენტი თ.ბ. (მამაკაცი), 50 წლის (კოდი II №10), გარდაიცვალა 2011 წლის 01 აგვისტოს, სად №15 დაწესებულებაში. ექსპერტიზის დასკვნით სიკვდილის უშუალო მიზეზია „გულის კუნთის ინფარქტი.“

პაციენტი გ.დ. (მამაკაცი), 59 წლის (კოდი II №31), გარდაიცვალა 2011 წლის 23 სექტემბერს, სად №17 დაწესებულებაში. ექსპერტიზის დასკვნით სიკვდილის უშუალო მიზეზია „გულის კუნთის მწვავე ინფარქტი, განვითარებული გულის ქრონიკული იშემიური დაავადების გამწვავების შედეგად“.

პაციენტი გ.მ. (ქალი), 64 წლის (კოდი II №49), გარდაიცვალა 2011 წლის 16 ნოემბერს, სად №5 დაწესებულებაში. ექსპერტიზის დასკვნით სიკვდილის უშუალო მიზეზია „გულ-სისხლძარღვთა მწვავე უკმარისობა განვითარებული მარცხენა პარკუჭის კუნთოვანი ბოჭკოების მწვავე იშემიური დაზიანების შედეგად“.

პაციენტი კ.ბ. (მამაკაცი), 42 წლის (კოდი II №51), გარდაიცვალა 2011 წლის 18 ნოემბერს, მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა №18 დაწესებულებაში. აღსანიშნავია, რომ პაციენტის გარდაცვალება დაფიქსირებულია სტაციონარში გადაყვანიდან 1 საათში, რაც გვაფიქრებინებს, რომ პაციენტი საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში იქნა მიყვანილი მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში. ექსპერტიზის დასკვნით სიკვდილის უშუალო მიზეზია „გულის კუნთის მწვავე განმეორებითი ინფარქტი“.

ინფექციური დაავადებები, როგორც უკვე აღინიშნა, 2011 წელს გარდაცვლილთა დიაგნოზებს შორის სიხშირით მესამე ადგილზეა. აღნიშნული დაავადებით განპირობებული ავადობისა და სიკვდილობის მაჩვენებლები სტაბილურად მაღალია უკანასკნელი წლების განმავლობაში. ინფექციური დაავადებების, კერძოდ ვირუსული ჰეპატიტების გავრცელების პრობლემა პენიტენციურ სისტემაში ერთ-ერთ ტრადიციულ და მწვავე პრობლემად რჩება. მიუხედავად ამისა, პრობლემის მოგვარების ეფექტური და ქმედითი გზები არ არის გამოჩნხული. მიუხედავად საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებული სტრატეგიისა, პრობლემის მოგვარებას შემდგომი ქმედითი ნაბიჯები არ მოჰყოლია. სამოქმედო გეგმა ჯერჯერობით კვლავ არ არის შემუშავებული, რის გამოც ზემოთ ხსენებული სტრატეგია, მხოლოდ დეკლარაციული ხასიათის დოკუმენტად რჩება. სწორედ პრობლემის გადაწყვეტის ეფექტური ღონისძიებების არარსებობის გამო, არაეფექტური პროფილაქტიკის, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის პირობებში, ვირუსული ჰეპატიტების პრობლემა გადრმავედა, რამაც მკვეთრი ნეგატიური გავლენა მოახდინა, როგორც ზოგადად სისტემის სამედიცინო ასპექტებზე, ასევე გამოსავალზე. სწორედ ამის გამო, ვირუსული ჰეპატიტებით და მათ შედეგად განვითარებული მდგომარეობებით დამდგარი სიკვდილობა წლიდან წლამდე სტაბილურად იმატებს. საანგარიშო პერიოდში, ინფექციურ დაავადებებს შორის, ჰეპატიტის პროცენტული წილი 62.15%-ს შეადგენს რაც ძალიან მაღალია. აღსანიშნავია, რომ 2011 წლის პირველ და მეორე ნახევარში, გარდაცვლილთა დიაგნოზებში ჰეპატიტის რაოდენობა პრაქტიკულად თანაბარია.


ამ ჯგუფში ასევე გაერთიანებულ იქნა აივ ინფექციის დიაგნოზებიც. გარდა ამისა, ერთ გარდაცვლილს ასევე დაუდგინდა ჩუტყვავილას დიაგნოზი გარდაცვალებამდე პერიოდში, თუმცა ეს უკანასკნელი, ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, სიკვდილის მიზეზი არ ყოფილა. 1 შემთხვევაში ასევე გამოვლენილია ნეიროსიფილისის დიაგნოზიც. ჯგუფში ასევე განხილულია ვირუსული ჰეპატიტების გართულების შედეგად გარდაცვლილები. კერძოდ ის პაციენტები, რომლებსაც ჰეპატიტის გამო განუვითარდათ ღვიძლის ციროზი და პორტული ჰიპერტენზია, შესაბამისად ასციტი. ვირუსული ჰეპატიტიტიდან, გარდაცვლილთა სამედიცინო დოკუმენტაციის მიხედვით, აბსოლუტურ უმრავლესობას აღენიშნებოდა HCV-ვირუსი, ხოლო რამდენიმე შემთხვევაში ასევე მითითებული იყო HBV. გვხვდება ასევე „d“ აგენტიც HBV-თან ერთად. არც თუ იშვიათობას წარმოადგენს სხვადასხვა ვირუსული ჰეპატიტების კომბინაცია. უნდა აღინიშნოს, რომ ვირუსული ჰეპატიტი ტუბერკულოზთან ერთად ყველა დაწესებულებისთვის წარმოადგენს ერთ-ერთ სერიოზულ პრობლემას. ჰეპატიტებით ავადობის სკრინინგი ადგილზე არ მიმდინარეობს. უდიდეს სიძნელებთანაა დაკავშირებული ასევე მკურნალობის დაწყება. ეტიოტროპული მკურნალობა სულ რამდენიმე პაციენტს აქვს დანიშნული. უკეთეს შემთხვევაში, პაციენტებს ენიშნებათ ღვიძლის დამცავი საშუალებები. მდგომარეობას ამძიმებს ის ფაქტიც, რომ დაწესებულებებში არ არსებობს ადეკვატური დიეტური კვება, რასაც მკურნალობისათვის მნიშვნელობა აქვს.

2011 წლის განმავლობაში, პენიტენციური სისტემის დაწესებულებებში სულ გარდაიცვალა 12 აივ ინფიცირებული პირი, რაც გასული საანგარიშო წლების მონაცემებთან მიმართებაში ყველაზე მაღალი მაჩვენებელია (ცნობისათვის, 2010 წელს, 12 თვის განმავლობაში სულ 8 აივ ინფიცირებული გარდაიცვალა). მიუხედავად ამისა, სახეზეა წლის პირველ და მეორე ნახევარს შორის მნიშვნელოვანი დისპროპორციულობა. კერძოდ, 12 გარდაცვლილიდან 11 წლის პირველ ნახევარზე მოდის, ხოლო 1 პაციენტი წლის მეორე ნახევარშია გარდაცვლილი. როგორც სახალხო დამცველის წინა ანგარიშებიდანაა ცნობილი, აივ/შიდსის მქონე გარდაცვლილ პატიმართა სასამართლო სამედიცინო გამოკვლევა ბოლო წლების განმავლობაში არ წარმოებდა. აღნიშნული სახალხო დამცველის მიერ შეფასებულ იქნა აივ ინფიცირებულ პირთა დისკრიმინაციად და გაიცა რეკომენდაცია ამ პრობლემის მოგვარების შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მხრივ, ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა. მიუხედავად წინასწარ ცნობილი დიაგნოზებისა, ყველა გარდაცვლილი აივ ინფიცირებულის გვამს დადგენილი წესით ჩაუტარდა სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა.

უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ წინა წლებში, როგორც საქართველოში, ისევე მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ჩატარებული კვლევებით დგინდება, რომ აივ ინფექცია, ტუბერკულოზი და ვირუსული ჰეპატიტი ხშირად ერთობლივად თანაარსებობს, რაც პაციენტის მდგომარეობას ამძიმებს. ჩვენს მიერ 2011 წლის განმავლობაში კვლავ იქნა შესწავლილი ამ სამი მძიმე დაავადების თანაარსებობის შემთხვევები გარდაცვლილ

პაციენტთა შორის, რაც საკმაოდ მაღალია. მაგალითისათვის, 2011 წლის პირველ ნახევარში აღმოჩნდა, რომ ვირუსული ჰეპატიტისა, აივ ინფექციისა და ტუბერკულოზის თანაარსებობა გარდაცვლილთა 11.7%-ში დაფიქსირდა. რაც შეეხება აივ ინფექციას და ჰეპატიტს ერთად დაფიქსირდა გარდაცვლილთა დაახლოებით 13%-ის შემთხვევაში, ხოლო აივ ინფექცია და ტუბერკულოზი ერთად ამავე რაოდენობით გარდაცვლილთა შორის. რაც შეეხება წლის მეორე ნახევარში გარდაცვლილ აივ ინფიცირებულ პაციენტს, მას ასევე დაუდგინდა ვირუსული ჰეპატიტისა და ტუბერკულოზის თანაარსებობაც. შეჯამების სახით მოგვყავს ჩვენს მიერ ამ ჯგუფში შესწავლილ ნოზოლოგიათა და სინდრომთა პროცენტული განაწილება, რაც წარმოდგენილია ცხრილში და დიაგრამაზე:

ჰეპატიტი	62.15 %
ასციტი	25.22 %
აივ ინფექცია	10.81 %
ჩუტყვავილა	0.91 %
ნეიროლუესი	0.91 %




გარდა ამისა, როგორც ვირუსული ჰეპატიტის შედეგი - ღვიძლის ციროზის გამო განვითარებული ასციტი დაფიქსირებულია გარდაცვლილთა 25.22%-შემთხვევაში.

ტუბერკულოზის გავრცელება, გარდაცვლილ პაციენტთა შორის, მეოთხე ადგილზეა – ისევე როგორც 2010 წელს. აღსანიშნავია, რომ ფილტვების ტუბერკულოზის ესა თუ ის შორისწასული ფორმა აღენიშნებოდა გარდაცვლილ პაციენტთა დიდ ნაწილს. ტუბერკულოზის გავრცელებამ და ამ დაავადებით გამოწვეულმა სიკვდილობამ ციხეებში არ იკლო და ტუბერკულოზური ინფექცია პრაქტიკულად კვლავ რჩება პაციენტთა სიკვდილის ერთ-ერთ წამყვან მიზეზად. 2011 წლის პირველ ნახევარში გარდაცვლილთა შორის ფილტვების ტუბერკულოზი აღენიშნებოდა 54.5%-ს, ხოლო მეორე ნახევარში გარდაცვლილთა შორის დაახლოებით 34%-ს. ექსპერტიზის

დასკვნებში საუბარია ასევე ტუბერკულოზის მულტირეზისტენტულ ფორმებზე, რომელიც წლის პირველ ნახევარში ტუბერკულოზით დაავადებულ გარდაცვლილთა დაახლოებით 26%-ში გვხვდება, ხოლო მეორე ნახევარში 33%-ში.

როგორც უკვე აღინიშნა, კაზეოზური პნევმონია მორფოლოგიურად გარდაცვლილთა 9%-ის შემთხვევაში წლის პირველ ნახევარში, და შესაბამისად 11%-ში წლის მეორე ნახევარში დაფიქსირდა. გარდა ამისა, სამწუხაროდ, გასული წლების მსგავსად კვლავ საკმაოდ ხშირია ფილტვებზე ტუბერკულოზის ფორმები. აღნიშნულიდან 2011 წელს გარდაცვლილთა შორის გვხვდება: ღვიძლის, ნაწლავის, თირკმლის, ელენთის, პლევრის, გულის, ბადეჯონის, ცენტრალური ნერვული სისტემის და ძვალ-სახსართა სისტემის ტუბერკულოზი. ფილტვებზე ტუბერკულოზის ფორმების სპექტრი და მათი პროცენტული წილი წარმოდგენილია ცხრილში და გრაფიკულად:

ელენთა	30 %
ღვიძლი	30 %
თირკმელი	17.14 %
თავის ტვინის	7.14 %
გულის	7.14 %
ნაწლავის	4.28 %
მეზოადენიტი	2.85 %
კოქსიტი	1.45 %




ექსტრაპულმონური (ფილტვგარე) ტუბერკულოზის ასეთი მრავალფეროვნება და მაღალი პროცენტული წილი ისევ და ისევ ტუბერკულოზური ინფექციის არაადეკვატური მართვის პირდაპირ შედეგად უნდა ჩაითვალოს. [WHO Regional Office for Europe (2007). Status paper on prisons and tuberculosis. Copenhagen, WHO Regional Office for Europe www.euro.who.int/document/e89906.pdf]. ამ მხრივ, განსაკუთრებით უნდა გამოიყოს მკურნალობის კურსის ხშირი შეწყვეტის პრეცედენტები ან ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში არასაკმარისი ადგილების არსებობა, რაც თავის მხრივ კურსის დაწყების დაგვიანებას ან სხვა არასათანადო პირობებში მკურნალობის კურსის ჩატარებას გულისხმობს. არაადეკვატური ვენტილაციის, მზის ინსოლაციის, კვების, სუფთა ჰაერის და ათეულობით პატიმრის დიდ ერთიან საკნებში ყოფნა, ტუბერკულოზური ინფექციის პროფილაქტიკისა და მართვის სიმწეობებს იწვევს. აღსანიშნავია ისიც, რომ სამედიცინო მომსახურების ის ტიპები, რომელიც თავისუფლებადაღკვეთილ პირებს მიეწოდებათ ქსნის ტუბერკულოზით დაავადებულთა სამკურნალო დაწესებულებაში, ხელმისაწვდომია მხოლოდ მსჯავრდებულთათვის და წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირებისათვის მომსახურების ეს სახეები პრაქტიკულად ხელმიუწვდომელია. ამას ემატება რეჟიმის დარღვევის მოტივით მკურნალობის კურსის იძულებითი შეწყვეტისა და მსჯავრდებულის სხვა დაწესებულებაში გადაყვანის ფაქტების არსებობაც. ამ შემთხვევაში, ინფექცია საშიში ხდება არა მარტო დაავადებულის, არამედ იმ პირთათვისაც, რომელთა გარემოშიც ხვდება ინფიცირებული პირი. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ინფექციის მართვის სტრატეგია და პრინციპები, საქართველოს პენიტენციურ სისტემაში სერიოზულ გადახედვას და ცვლილებებს საჭიროებს.

2011 წელს, ისევე როგორც წინა წლებში, რამდენიმე პაციენტი (ამ შემთხვევაში 7%) ნერვული სისტემის ტუბერკულოზისაგან გარდაიცვალა. აღნიშნული წარმოადგენს ტუბერკულოზის უმძიმეს ფორმას და ძნელია იმისი თქმა, რომ პაციენტი ადეკვატური მკურნალობის ფონზე გადარჩებოდა, თუმცა ფაქტია, რომ საქმე გვაქვს ინფექციის შორსწასულ და არაადეკვატურად მართულ შემთხვევასთან, რომლის პროფილაქტიკა ნამდვილად შეუძლებელია. ტუბერკულოზური ინფექცია, განსაკუთრებით მისი ფილტვგარე ფორმები, რიგ შემთხვევაში ვერ იქნა ამოცნობილი და დიაგნოზი მხოლოდ სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის შედეგად გახდა ცნობილი, როდესაც პაციენტი უკვე გარდაცვლილი იყო.

2011 წელს გარდაცვლილთა შორის კვლავ მაღალი იყო **შარდ-სასქესო სისტემის**, უპირატესად კი - თირკმლის დაავადებები. აღნიშნული დაავადებები გარდაცვლილ პატიმართა დაახლოებით 8%-ს აღენიშნებოდა. ამ ნაწილში არ შედის თირკმლის ტუბერკულოზური დაზიანების შემთხვევები, რომელიც ექსტრაპულმონური ტუბერკულოზის ერთ-ერთი ფორმის სახით განხილულ იყო ტუბერკულოზის სტატისტიკასთან ერთად. მორფოლოგიურად ყველაზე ხშირად იქნა დადასტურებული ნეფროსკლეროზის შემთხვევები, რომელიც თირკმლის პათოლოგიის მქონე გარდაცვლილთა 44.06%-ს აღენიშნებოდა. ჯგუფში სიხშირით შემდეგ ადგილზეა

თირკმლის ანთებითი დაავადებები, რომელიც 35.59%-ს შეადგენდა. მესამე ადგილზეა ნეფროციროზი, რომელიც შემთხვევათა 6.77% შეგვხვდა. წინამდებარე ჯირკვლის ჰიპერპლაზია და თირკმლის კისტა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დიაგნოზებში ფიგურირებს ამ ჯგუფის დაავადებათა მქონე პაციენტების 5.08 – 5.08 %-ში. ერთეულ შემთხვევებში აღწერილია ასევე ფიმოზისა და ეპიდიდმიტის შემთხვევებიც. აღნიშნული ჯგუფის სტატისტიკური დახასიათება, მეტი თვალსაჩინოების მიზნით, წარმოდგენილია ცხრილში და გრაფიკულად:


ნეფროსკლეროზი	44.06 %
(პიელო)ნეფრიტი	35.59 %
ნეფროციროზი	6.77 %
პროსტატის ჰიპერპლაზია	5.08 %
თირკმლის კისტა	5.08 %
ფიმოზი	1.71 %
ეპიდიდმიტი	1.71 %



2011 წელს გარდაცვლილ პაციენტთა სასამართლო სამედიცინო დიაგნოზთა შორის, სიხშირით მე-6 ადგილზე გამოდის **საჭმლის მომნელებელი სისტემის** სხვადასხვა სახის დაავადებები, რომელიც გარდაცვლილთა 7.65%-ს აღენიშნებოდა. უპირველეს ყოვლისა ამ ჯგუფში გაერთიანებულია ღვიძლის ციროზი, წყლულოვანი დაავადება, ჰეპატობილარული სისტემის დაავადებები, კუჭუკანა ჯირკვლის დაავადებები და სხვა.

სიხშირით ყველაზე მაღალია ღვიძლის ციროზი. მას შემდეგ მოჰყვება კუჭისა ან თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული, რომელიც გაერთიანდა გასტრიტისა და ეზოფაგიტის სხვადასხვა ფორმებთან ერთად (28.12%), ხოლო 23.47% შემთხვევაში დადასტურებული იქნა ბილიარული სისტემის პათოლოგია. პანკრეასის (კუჭუკანა ჯირკვალი) დაავადებები გვხვდება 10.93%-ში. გარდა ამისა, სასამართლო სამედიცინო დიაგნოზითა შორის ფიგურირებს ღვიძლის ჰემანგიომა, ენტერიტი და სხვა. ჯგუფში არ შესულა საჭმლის მომნელებელი სისტემის ტუბერკულოზური დაზიანებები, რომლებიც განხილულ იქნა ტუბერკულოზის სტატისტიკასთან ერთად. აღნიშნულ ჯგუფში დაავადებათა პროცენტული წილი წარმოდგენილია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში და გრაფიკულად:

ღვიძლის ციროზი	32.81 %
წყლულოვანი დაავადება	28.12 %
ბილიარული სისტ. დაავ.	23.47 %
პანკრეატიტი / ცისტა	10.93 %
ღვიძლის ჰემანგიომა	3.12 %
ენტერიტი	1.55 %



საყურადღებოა წყლულოვანი დაავადების შორსწასული ფორმები, რომელიც ხშირად სისხლდენით რთულდება. ჩვენს მიერ ჩატარებული მონიტორინგის დროს დადგინდა, რომ გასტრალური ჩივილების არსებობისას პაციენტებს ადეკვატური სამედიცინო დახმარება არ უტარდებათ. უკიდურესად დაბალია საჭიროების შემთხვევაში ენდოსკოპური კვლევის გამოყენება. ერთადერთი საშუალება, რომელიც ამ დროს პაციენტებს მიეწოდებათ არის სამედიცინო ნაწილებში არსებული პრეპარატი - ომეპრაზოლი. ადგილობრივი ექიმები არ იცნობენ და შესაბამისად არ იყენებენ ჰელიკობაქტერული ინფექციის მართვის ევროპულ ან ამერიკულ გაიდლაინებს (მასტრიხტის ან/და NIH-ის კონსენსუსი), შესაბამისად, არც ერთ დაწესებულებაში არ

ხდება პირველი ან მეორე რიგის სტანდარტული მკურნალობის დანიშვნა. თანამედროვე კვლევებით დადგენილია, რომ პირველი რიგის პროტონის ტუმბოს ინჰიბიტორების (ომეპრაზოლი) ფართო და უკონტროლო გამოყენება ქმნის მდგრად ჰიპოაციდურ მდგომარეობას, რაც კუჭის კიბოს განვითარების ერთ-ერთ რისკ-ფაქტორს წარმოადგენს; სწორედ აღნიშნული მიდგომის გამო ვხვდებით დაავადების გამწვავების ისეთი ფორმების ჩამოყალიბებას, რომელიც ხშირ შემთხვევაში ქმნის რეალურ საშიშროებას ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის. სისხლდენის შემთხვევები, რომელიც საჭმლის მომნელებელი ტრაქტის ზედა ნაწილებიდან განვითარდა და ხშირ შემთხვევაში სიკვდილის უშუალო მიზეზი გახდა, განხილული იქნება ქირურგიულ დაავადებათა ჯგუფში.

გარდაცვლილ პაციენტთა სასამართლო სამედიცინო დიაგნოზების შემდეგი ჯგუფია **ნამალადევი სიკვდილი და/ან სხვადასხვა სახის დაზიანებების** არსებობა გარდაცვლილთა სხეულზე, რომელიც დიაგნოზთა საერთო სპექტრში 6.57%-ს იკავებს. საანგარიშო პერიოდში დაფიქსირებულია თვითმკვლელობის 5 შემთხვევა, რაც საერთო სიკვდილობის 3.57%-ს შეადგენს. ოთხ შემთხვევაში სიკვდილის მიზეზია მექანიკური ასფიქსია, სასუნთქი გზების გადაკეტვით, კისრის მიდამოში მარყუჟის ჩაჭერის შედეგად. ერთ შემთხვევაში კი სიკვდილი დადგა ზედა კიდურების დაზიანებული ვენებიდან განვითარებული სისხლდენის შედეგად, მწვავე ჰემორაგიული შოკის გამო. 2 შემთხვევაში სიკვდილი დაფიქსირებულია მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა N18 დაწესებულებაში. 1 შემთხვევაში სიკვდილი დადგა ქსნის N15 დაწესებულებაში, 1 შემთხვევაში - რუსთავის N6 დაწესებულებაში, 1 შემთხვევაში რუსთავის ქალთა N5 დაწესებულებაში და ასევე ქსნის ტუბერკულოზით დაავადებულთა N19 დაწესებულებაში. ამ უკანასკნელში, მსჯავრდებული გარდაიცვალა გადაჭრილი ვენებიდან განვითარებული სისხლდენის შედეგად. კიდევ ერთ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა უბედურ შემთხვევას, რომლის შედეგადაც მსჯავრდებული ელექტროდენის ზემოქმედების შედეგად გარდაიცვალა (რუსთავის N6 დაწესებულება).

გარდაცვლილი პატიმარი ლ.ჯ. 34 წლის მამაკაცი (კოდი N I-09). სიკვდილი დამდგარია ქსნის N15 დაწესებულებაში. სასამართლო სამედიცინო დასკვნაში, საქმის გარემოებები პრაქტიკულად ერთ წინადადებაშია გადმოცემული. არ არის განხილული არანაირი სამედიცინო დოკუმენტაცია, რის გამოც საქმის ვითარება ბუნდოვნად და გაურკვევლად წარმოჩინდება. ექსპერტიზის დასკვნით, ლ.ჯ.-ს სიკვდილის მიზეზია - „მექანიკური ასფიქსია სასუნთქი გზების გადაკეტვის შედეგად“. გარდა სტრანგულაციური ღარის აღწერილობისა, ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, გვამს აღნიშნებოდა სხვადასხვა სახის დაზიანებები, კერძოდ ნაჭდევი ზედა და ქვედა კიდურების არეში. დაზიანებები მიყენებულია რაიმე მკვრივი ბლაგვი საგნის მოქმედებით სიცოცხლის პერიოდში და ხანდაზმულობით არ ეწინააღმდეგება გარდაცვალების თარიღს. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ დაზიანებებს პირდაპირი მიზეზ-შედეგობრივი კავშირი არ აქვს დამდგარ შედეგთან, გამოძიება უნდა დაინტერესებულიყო მათი წარმომავლობით და ხასიათით.

გარდაცვლილი პატიმარი ფ.შ. 36 წლის მამაკაცი (კოდი N I-17). სიკვდილი დამდგარია მსჯავრდებულთა და პატიმართა N18 დაწესებულებაში. სასამართლო სამედიცინო დასკვნაში, საქმის გარემოებებში მითითებულია, რომ მსჯავრდებული ფ.შ. N18 სამკურნალო დაწესებულებაში იმყოფებოდა 2010 წლის 18.10-დან. სიკვდილი დადგა 2011 წლის 22 თებერვალს. „22.02.11წ. 00:05 სთ. მორიგე პერსონალის გადმოცემით ავადმყოფმა სცადა სუიციდი. პალატაში შესვლისას პაციენტი იყო მწოლიარე მდგომარეობაში, უგონოდ. ავადმყოფის საწოლში მდებარეობა პასიური, კისრის არეში აღენიშნებოდა მოვარდისფრო სტრანგულაციური ღარი. პერიფერიაზე წნევა და პულსი არ ისინჯება. პაციენტი აყვანილ იქნა რეანიმაციულ განყოფილებაში“. მიუხედავად რეანიმაციული ღონისძიებებისა, 00:30 სთ-ზე დაფიქსირდა ბიოლოგიური სიკვდილი. აღნიშნული ჩანაწერის მიხედვით იქმნება გაურკვევლობა. კერძოდ, როგორ მდგომარეობაში და პოზიციაში ჩამოიხრჩო მსჯავრდებულმა თავი. ვინ გადააწვინა ლოგინზე და სტანგულაციურ ღართან ერთად რატომ არ არის მითითებული თუ რა მასალის მარყუჟი იქნა გამოყენებული სუიციდის განხორციელებისათვის.

გარდაცვლილი პატიმარი ო.რ. 36 წლის მამაკაცი (კოდი N I-26). სიკვდილი დაფიქსირებულია მსჯავრდებულთა და პატიმართა N18 დაწესებულებაში. როგორც დადგენილებიდან ირკვევა, 2011 წლის 04 მარტს მსჯავრდებულთა და ბრლადებულთა N18 სამკურნალო დაწესებულებიდან მიღებულ იქნა შეტყობინება, რომლის თანახმად, 2011 წლის 04 მარტს, 06:40 საათზე, რეანიმაციულ განყოფილებაში გარდაიცვალა პატიმარი ო.რ. სამედიცინო დოკუმენტაციის მონაცემებით (მსჯავრდებულთა და ბრლადებულთა N18 დაწესებულების ავადმყოფობის ისტორია) – „ო.რ. 04.03.11წ 06:25 სთ-ზე მოათავსეს სამედიცინო დაწესებულებაში. შემოსვლის დიაგნოზი: სუიციდის მცდელობა მექანიკური ასფიქსიით. ავადმყოფის ზოგადი მდგომარეობა სტაციონარში მოყვანისას უმძიმესია, კონტაქტის დამყარება არ ხერხდება, ციანოზურია, აღენიშნება ერთეული სუნთქვითი მოძრაობები, პერიფერიაზე და მაგისტრალურ სისხლძარღვებზე პულსი არ ისინჯება. კისრის არეში მარჯვენა და მარცხენა ნახევარში აღენიშნება სტრანგულაციური ღარი სისხლნაჟღენტის და ნაჭდევის სახით. კისრის მარჯვენა ნახევარში განივი ნაკვეთი ჭრილობა ზომით 5X1 სმ-ზე. ორივე წინამხრის არეში მრავლობითი ნაკვეთი ჭრილობები. აღნიშნული ჭრილობებიდან აღინიშნება მცირე რაოდენობით სისხლნაჟღენტები. ილეოცეკალურ არეში ძველი ჭრილობის ნაწიბურები. პულსი პერიფერიაზე და მაგისტრალურ სისხლძარღვებზე არ ესინჯება. გულის ტონები არ მოისმინება. არტერიული წნევა არ ისინჯება. იმყოფება უგონო მდგომარეობაში, კონტაქტის დამყარება არ ხერხდება. გულები საშუალოდ გაფართოებული, ფოტორეაქციები არ იწვევა. სასწრაფოდ დაწყებულ იქნა გულ-ფილტვის რეანიმაცია“. მიუხედავად გატარებული ღონისძიებებისა გულის მუშაობა არ აღსდგა და 06:40 სთ-ზე დაფიქსირდა ბიოლოგიური სიკვდილი.

არსებული ჩანაწერი გარკვეულ შემთხვევებში არალოგიკურია და შეიცავს ურთიერთგამომრიცხავ ფაქტებს. არსებობს იმის საფუძველი ვივარაუდოთ, რომ მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში შესული პატიმარი ო.რ. იყო გვამი. არსებული ჩანაწერების მიხედვით მას არც ერთი სასიცოცხლო ნიშანი აღარ

აღნიშნებოდა. ჩანაწერში აღწერილია ყველა ის ნიშანი, რომელიც სიკვდილის კონსტატაციისთვის გამოიყენება (გულის ტონები არ მოისმინება, პერიფერიაზე და ცენტრალურ არტერიებზე პულსი არ არის, სუნთქვა არ ტარდება, გუგები გაფართოებულია). გარდა ამისა, შეყვანიდან, სიკვდილის დაფიქსირებამდე სულ 15 წუთიანი შუალედი გასული. ამ პერიოდში, არსებული სიტუაციის გათვალისწინებით, ძნელი დასაჯერებელია, რომ მოესწროთ პაციენტის მიღება, მისი გასინჯვა, ყველა ამ ნიშნის დადგენა, შემდეგ რეანიმაციაში აყვანა და იქ რეანიმაციული ღონისძიებების ჩატარება. აღნიშნულის გამო, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ გამოძიება ამ საკითხებით უნდა დაინტერესდეს და გაირკვეს რა ვითარებაში და სად მოხდა გარდაცვალება. გარდა ამისა, ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, „ო.რ.-ს გვამს აღნიშნებოდა შედარებით სწორკიდებიანი ჭრილობები კისრის ზედა მესამედში და ორივე ზედა კიდურზე, რომლებიც განვითარებული უნდა იყვნენ რაიმე მჭრელი თვისებების მქონე საგნის მოქმედებით ... ჭრილობები სიცოცხლისდროინდელია, განვითარებული უნდა იყვნენ სიკვდილის დადგომამდე დროის უახლოეს პერიოდში“.

გარდაცვლილი პატიმარი თ.კ. 27 წლის მამაკაცი (კოდი N I-54). სიკვდილი დაფიქსირებულია N6 დაწესებულებაში. როგორც ექსპერტიზის დასკვნაშია მითითებული - „2011 წლის 30 აპრილს, დაახლოებით 10:30 საათზე, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N6 დაწესებულების N3-ე საკანში, საპირფარეოში ნანახი იქნა ზეწრით ჩამოკიდებული მსჯავრდებულ კ.თ.-ს გვამი“. ექსპერტიზის დასკვნაში არ არის განხილული სამედიცინო დოკუმენტაცია და როგორც ჩანს ექსპერტს არ უხელმძღვანელია ექიმის არანაირი ჩანაწერებით. ექსპერტის დასკვნის შესაბამისად, „კ.თ.-ს სიკვდილის მიზეზია მექანიკური ასფიქსია სასუნთქი გზების გადაკეტვით, მარყუჟის ჩაჭერის შედეგად. გვამის სასამართლო სამედიცინო წესით გამოკვლევისას, მისი სიკვდილის დადგომიდან გასული უნდა იყოს დაახლოებით 3-4 საათი“. გვამზე გარდა აღწერილი სტრანგულაციური ღარისა, „ასევე აღინიშნებოდა სამი ზედაპირული სწორკიდებიანი ჭრილობა მარცხენა წინამხრის ქვემო მესამედის წინა ზედაპირზე, კიდებში მოწითალო სისხლჩაქცევით. დაზიანებები განვითარებულია რაიმე ბასრი ზედაპირის მქონე საგნის მოქმედებით, სიცოცხლის დროს სიკვდილის დადგომამდე უახლოეს პერიოდში. დაზიანებები ხანდაზმულობით 10-12 დღისაა.“

გარდაცვლილი პატიმარი ე.ბ. 50 წლის მამაკაცი (კოდი N II-15). სიკვდილი დამდგარია ქსნის N19 ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში. სასამართლო სამედიცინო დასკვნაში საქმის გარემოებები ფაქტობრივად ერთ წინადადებაშია გადმოცემული. პრაქტიკულად არ არის განხილული სამედიცინო დოკუმენტაცია (მხოლოდ დიაგნოზით შემოიფარგლება), რის გამოც, საქმის ვითარება ბუნდოვნად და გაურკვევლად წარმოჩინდება. ექსპერტიზის დასკვნით, ე.ბ.-ს სიკვდილის მიზეზია - „მარცხენა და მარჯვენა იდაყვის სახსრის წინა ზედაპირებზე ვენების გადაჭრის შედეგად განვითარებული ზოგადი სისხლნაკლებობა. სიკვდილიდან გასულია არანაკლებ 4-5 საათისა“.

გარდაცვლილი პაციმარი ი.ზ. 46 წლის მამაკაცი (კოდი N II-17). სიკვდილი დამდგარია რუსთავის N6 დაწესებულებაში. სასამართლო სამედიცინო დასკვნაში აღწერილი საქმის გარემოებების მიხედვით, აღწერილია ექსპერტიზის დანიშვნის დადგენილებაში გადმოცემული ინფორმაცია. კერძოდ, გვამის პოვნის დრო და ადგილი. სამედიცინო დოკუმენტაციის მონაცემები ამ შემთხვევაში ნაკლებად ინფორმატიულია. სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით, ი.ზ.-ს სიკვდილის მიზეზია - „ელექტროტრავმა, რაც დასტურდება გულმკერდის მიდამოში ელექტრონიშის არსებობით და გვამის გამოკვლევისას ნანახი ცვლილებებით. გამოკვლევის მომენტისათვის სიკვდილიდან გასულია არაუმეტეს 6-7 საათისა“. გარდა ამისა, ექსპერტიზის დასკვნაში საუბარია იმაზეც, რომ - „გარდა გულმკერდის წინა ზედაპირზე ელექტროტრავმით გამოწვეული დამწვრობითი უზნის - ელექტრონიშისა, აღინიშნება სიცოცხლისდროინდელი ნაჭდევები: ცხვირის მიდამოში, განვითარებული უშუალოდ სიკვდილისწინა უახლოეს პერიოდში და გულმკერდის უკანა ზედაპირზე, განვითარებული სიკვდილამდე 8-10 დღით ადრე, რომლებიც ცალ-ცალკე და ერთობლიობაში მიეკუთვნება მსუბუქ ხარისხს და კავშირი არა აქვს დამდგარ შედეგთან“. ექსპერტიზის დასკვნაში ნახსენებია ისიც, რომ „ი.ზ. - ს გვამიდან აღებულ სისხლში, ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური გამოკვლევით, აღმოჩნდა 0.56 პრომილე ეთილის სპირტი“.

გარდაცვლილი პაციმარი მ.ლ. 56 წლის ქალი (კოდი N II-53). სიკვდილი დამდგარია რუსთავის ქალთა N5 დაწესებულებაში. სასამართლო სამედიცინო დასკვნაში, საქმის გარემოებები პრაქტიკულად ერთ წინადადებაშია გადმოცემული. მასში აღნიშნულია რომ მ.ლ.-ს გვამი აღმოჩენილ იქნა ქალთა N5 დაწესებულების აბანოში. ექსპერტიზის დასკვნით, მ.ლ.-ს სიკვდილის მიზეზია - „მექანიკური ასფიქსია, განვითარებული კისრის მარყუქით ჩაჭერის შედეგად. გვამის გამოკვლევის მომენტისათვის სიკვდილის დადგომიდან გასული უნდა იყოს 4-6 საათი. გვამზე აღინიშნება ერთმაგი, გახსნილი, ირიბად აღმავალი სტრანგულაციური ღარი კისრის ზედა მესამედში, რაც მიყენებულია რაიმე მარყუქით ჩაჭერის შედეგად, სიცოცხლისდროინდელია და მიეკუთვნება სხეულის დაზიანებათა მძიმე ხარისხს“. აღსანიშნავია, რომ გარდაცვლილის აღმოჩენის დროდ დასახელებულია 18 საათი და 30 წუთი. თუ გავითვალისწინებთ ექსპერტის ჩანაწერს, რომ სიკვდილიდან ექსპერტიზის ჩატარებამდე 4-6 საათია გასული, მაშინ ნათელი ხდება, რომ სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა ჩატარდა დაახლოებით ღამის 11 საათიდან 03 საათამდე შუალედში. მხოლოდ ხელოვნური განათების პირობებში (განათება დასკვნაში მითითებული არ არის). საინტერესოა რამ გამოიწვია შუა ღამით გვამის გაკვეთის ასეთი გადაუდებელი აუცილებლობა?

2011 წლის პირველ ნახევარში გარდაცვლილ პაციმართა სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნების განხილვით ირკვევა, რომ 77 გარდაცვლილი პაციმრიდან 23 პაციმრის გვამს, ანუ თითქმის 30%-ს, აღინიშნებოდა სხეულის ამა თუ იმ სახის და ლოკალიზაციის დაზიანებები. რაც შეეხება წლის მეორე ნახევარს, ამ პერიოდისათვის, 63 გარდაცვლილიდან სხეულის სხვადასხვა სახის დაზიანება აღინიშნებოდა 17 გვამს (დაახლოებით 27%). რაც შეეხება წლიურ მაჩვენებელს, 140 გარდაცვლილიდან სხეულის დაზიანება აღინიშნებოდა 40 გვამს, ანუ 28,5%-ს.

ექსპერტიზის დასკვნებში ხშირია შემდეგი სახის ჩანაწერები, მაგალითად:

(კოდი N I-1) ა.ა.-ს „გვამზე აღინიშნებოდა დაზიანებები სისხლნაჟღენთებისა და ნაჭდევების სახით - განვითარებულნი არიან რაიმე მკვრივი ბლაგვი საგნის მოქმედებით, ცოცხალ პირთა ექსპერტიზის შემთხვევაში ატარებენ მსუბუქი ხარისხის დაზიანების ნიშნებს. აღნიშნული დაზიანებები კავშირში არ იმყოფებიან დამდგარ შედეგთან და განვითარებულნი არიან სიკვდილამდე ადრეულ პერიოდში“.

(კოდი N I-16) ე.გ.-ს „გვამზე გარეგნულად აღინიშნებოდა ნაჭდევები და ერთი სისხლნაჟღენთი, განვითარებული რაიმე მკვრივი-ბლაგვი საგნის მოქმედებით და ცოცხალ პირთა სხეულის დაზიანებათა ხარისხის განსაზღვრისას ატარებს დაზიანებათა მსუბუქი ხარისხის ნიშნებს, სიცოცხლისდროინდელია, ხანდაზმულობით არანაკლებ 4-5 დღისა და დამდგარ სიკვდილის ფაქტთან კავშირში არ იმყოფება.“

(კოდი N I-18) გ.ე.-ს „გვამის გამოკვლევისას გარეგნულად სხეულზე აღინიშნებოდა სიცოცხლისდროინდელი დაზიანებები კისრის მარჯვენა გვერდით ზედაპირზე გაკერილი სწორკიდეებიანი ზედაპირული ჭრილობები, მარჯვენა მტევნის უკანა ზედაპირზე სწორკიდეებიანი ჭრილობები და ნაჭდევები. კისრისა და მარჯვენა მტევნის მიდამოში არსებული სწორკიდეებიანი ჭრილობები განვითარებულია რაიმე მჭრელი საგნის მოქმედების შედეგად და განეკუთვნებიან დაზიანებათა მსუბუქ ხარისხს, ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლით. მარჯვენა მტევნის მიდამოში არსებული ნაჭდევები განვითარებულია რაიმე მკვრივი-ბლაგვი საგნის მოქმედების შედეგად და განეკუთვნებიან დაზიანებათა მსუბუქ ხარისხს, ჯანმრთელობის მოშლის გარეშე“.

(კოდი N I-20) დ.მ.-ს „გვამზე ზედა და ქვედა კიდურების მიდამოებში აღინიშნება დაზიანებები სისხლნაჟღენთებისა და ნაჭდევების სახით - განვითარებულნი არიან სიკვდილამდე ადრეულ პერიოდში რაიმე მკვრივი-ბლაგვი საგნის ზემოქმედებით, ცოცხალ პირთა ექსპერტიზის შემთხვევაში მიეკუთვნებიან მსუბუქი ხარისხის დაზიანების ნიშნებს და კავშირში არ იმყოფებიან დამდგარ შედეგთან.“

(კოდი N I-28) ა.გ.-ს „გვამის გამოკვლევისას აღინიშნებოდა სიცოცხლისდროინდელი დაზიანებანი: გულმკერდის უკანა ზედაპირზე სისხლნაჟღენთები. მარჯვენა თემოს ფოსოში გაკერილი ჭრილობა და მრავლობითი ზედაპირული ნაკვეთი ჭრილობები. სისხლნაჟღენთები განვითარებულია სიკვდილამდე უახლოეს პერიოდში რაიმე მკვრივი, ბლაგვი საგნის მოქმედების შედეგად და მიეკუთვნებიან დაზიანებათა მსუბუქ ხარისხს, ჯანმრთელობის მოშლის გარეშე. მარჯვენა თემოს ფოსოში გაკერილი ჭრილობა და მრავლობითი ზედაპირული ნაკვეთი ჭრილობები განვითარებულია სიკვდილამდე 4-5 დღით ადრე რაიმე მჭრელი ზედაპირის მქონე საგნის მოქმედების შედეგად და ცოცხალ პირთა ექსპერტიზისას მიეკუთვნებიან დაზიანებათა მსუბუქ ხარისხს, ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლით. აღნიშნული დაზიანებანი დამდგარ შედეგთან - სიკვდილთან, მიზეზობრივ კავშირში არ იმყოფებიან“.

(კოდი N I-49) ე.ქ.-ს „გვამზე არსებული დაზიანებები ნაჭდევებისა და სისხლნაჟღენტების სახით - განვითარებულია რაიმე მკვრივი-ბლაგვი საგნის მოქმედებით. სქელი მოყავისფრო ფუფხით დაფარული, ალაგ ფუფხაცლილი ნაჭდევები და მარჯვენა წინამხრის მიდამოში არსებული სისხლნაჟღენტები განვითარებული უნდა იყოს სიკვდილის დადგომამდე 7-9 დღით ადრე, ხოლო ქვედა ტუჩის ლორწოვანზე და თავის ქალას რბილი საფარის ქვეშ კანქვეშა სისხლნაჟღენტები განვითარებულია სიკვდილის დადგომამდე წინა უახლოეს პერიოდში“.

(კოდი N I-62) უ.ი.-ს „გვამზე აღენიშნებოდა დაზიანებები: უსწოროკიდებიანი ჭრილობის, სისხლნაჟღენტების და მარცხენა ბარძაყის ძვლის მოტეხილობის სახით - დაზიანებები სიცოცხლისდროინდელია; განვითარებულნი არიან რაიმე მკვრივი-ბლაგვი საგნის (საგნების) ზემოქმედებით, სიკვდილის დადგომამდე ადრეულ პერიოდში. დაზიანებები უსწოროკიდებიანი ჭრილობის, ნაჭდევებისა და სისხლნაჟღენტების სახით ერთად აღებულნი მიეკუთვნებიან სხეულის დაზიანებათა მსუბუქ ხარისხს, ხოლო დაზიანება მარცხენა ბარძაყის ძვლის მოტეხილობის სახით მიეკუთვნება სხეულის დაზიანებათა ნაკლებად მსუბუქ ხარისხს, ჯანმრთელობის ხანგრძლივი მოშლის ნიშნით“.

(კოდი N I-66) თ.ყ.-ს „გვამზე გარეგნულად აღენიშნებოდა თხემ-კეფის საზღვართან მარჯვნივ ნაჭდევი. მარცხნივ, ქვედა ქუთუთოს გარეთა კიდესთან სისხლნაჟღენთი, რაც მიეკუთვნება მსუბუქ ხარისხს ჯანმრთელობის მოუშლელად. შინაგანი გამოკვლევით აღენიშნებოდა: მარჯვნივ მე-8; მარცხნივ მე-7 ნეკნების მოტეხილობა. მოტეხილი ნეკნების შესაბამისად რბილ ქსოვილებში სისხლჩაქცევები. თავის ქალას რბილი საფარის შიგნითა ზედაპირზე თხემ-კეფის საზღვარზე და საფეთქლის არეში მარჯვნივ ვრცელი სისხლჩაქცევები. მღვივი ნაწლავის ტრავმული დაზიანება. დაზიანებები განვითარებულია რაიმე მკვრივი ბლაგვი საგნის მოქმედებით. მარჯვნივ მე-8, მარცხნივ მე-7 ნეკნების მოტეხილობა მიეკუთვნება ნაკლებად მძიმე ხარისხს, ხოლო მღვივი ნაწლავის ტრავმული გასკდომა - მიეკუთვნება მძიმე ხარისხს, როგორც სიცოცხლისათვის სახიფათო, რისი გართულებაც გახდა მისი სიკვდილის მიზეზი. დაზიანებები სიცოცხლისდროინდელია.“

(კოდი N I-70) ს.ს.-ს „გვამზე აღინიშნებოდა დაზიანებები: სწოროკიდებიანი ჭრილობები კისრის მარცხენა გვერდით ზედაპირზე, ნაჩხვლეტი ჭრილობა გულმკერდის წინა ზედაპირზე, მარჯვენა ლავიწის ქვედა კიდესთან. გვამზე არსებული ყველა დაზიანება განვითარებულია სიცოცხლის დროს. სწოროკიდებიანი ჭრილობები კისრის არეში განვითარებულია რაიმე ბასრი კიდის მქონე საგნის მოქმედებით ცოცხალ პირთა სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზისას სხეულის დაზიანების ხარისხის განსაზღვრისას, როგორც ცალ-ცალკე ისე ერთობლიობაში მიეკუთვნება მსუბუქ ხარისხს ჯანმრთელობის მოშლით, ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლის გამო, დამდგარ შედეგთან მიზეზობრივ კავშირში არ იმყოფებიან. ხანდაზმულობით არ ეწინააღმდეგება

სამედიცინო ბარათში მითითებულ თარიღს. ნაჩხვლეტი ჭრილობა წარმოადგენს სამედიცინო მანიპულაციის კვალს.

(კოდი N I-72) ო.ჭ.-ს „გვამის გარეგანი და შინაგანი გამოკვლევით აღენიშნება ნაჭდევი გულმკერდის უკანა ზედაპირზე - ვერტებრალურ ხაზზე, წელის მიდამოზე გადასვლით. დაზიანება მიყენებულია რაიმე მკვრივი, ბლაგვი საგნის მოქმედებით და მიეკუთვნება მსუბუქ ხარისხს, დაზიანება სიცოცხლისდროინდელია, მიყენებულია სიკვდილამდე რამოდენიმე დღით ადრე და არ იმყოფება კავშირში ო.ჭ.-ს სიკვდილთან.“

განსაკუთრებით საყურადღებოა 2011 წლის მე-2 ნახევარში გარდაცვლილი ს.თ.-ს საქმე, რომელიც საქართველოს სახალხო დამცველმა დეტალურად შეისწავლა. სასამართლო ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, 58 წლის მამაკაცი პატიმრის გარდაცვალების ფაქტი დაფიქსირებულია მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა N18 დაწესებულებაში. ყურადღებას იპყრობს ექსპერტიზის დასკვნაში აღწერილი დაზიანებები, რომლებიც აშკარად განსხვავებული ხანდაზმულობისაა. კერძოდ, სისხლნაჟღენთები:

1. მარჯვენა მხრის შუა მესამედში, წინა გვერდით ზედაპირზე მდებარე მომრგვალო-ოვალური ფორმის სისხლნაჟღენთი არის „მოიისფრო, მომწვანო - მოყვითალო შეფერილობის, რაც შეეხება მება 5-6 დღის წინ მიღებულ დაზიანებას;
2. აქვე, ზემო და შუა მესამედში უკანა ზედაპირზე გასწვრივად მდებარე სისხლნაჟღენთი არის აღწერილი როგორც „მოიისფრო, პერიფერიაზე მკრთალი მომწვანო მოყვითალო კონტურებით“; - რაც 6-8 დღის ხანდაზმულობის დაზიანებებს შეესაბამება;
3. მარჯვენა წინამხრის შუა მესამედში უკანა ზედაპირზე განივად მდებარეობს მოწითალო სისხლნაჟღენთი. აღსანიშნავია, რომ მოწითალო შეფერილობა დამახასიათებელია ახლად მიღებული სისხლნაჟღენთებისათვის, რომელიც რამდენიმე საათის წინ არის მიღებული.
4. დაახლოებით მსგავსი შეფერილობის სისხლნაჟღენთი (მოწითალო-მოიისფრო შეფერილობის) აღენიშნება ასევე მარჯვენა წარბის გარეთა კუთხესთან მდებარე დაჟეჟილი პირღია ჭრილობის ირგვლივ, რაც იმას გვაფიქრებინებს, რომ აღნიშნული ჭრილობის მიყენებიდან გასულია არაუმეტეს 1 დღისა.

გარდა სისხლნაჟღენთებისა, ყურადღებას იპყრობს ასევე ექსპერტის მიერ აღწერილი სხვადასხვა ლოკალიზაციის ნაჭდევები და ჭრილობა. აქვე ცალკეა აღწერილი და ჩამოთვლილი სამედიცინო მანიპულაციების კვალი, რომელთა წარმომავლობა ეჭვს არ იწვევს (რეანიმაციის დროსაა მიღებული) და მათი განხილვა ზემოთ აღნიშნულ სხვა დაზიანებებთან არ არის მიზანშეწონილი.

აღსანიშნავია, რომ სასამართლო სამედიცინო ექსპერტის მიერ გვამზე აღმოჩენილი დაზიანებების აღწერა თითქმის სრულად შეესაბამება სტაციონარული პაციენტის სამედიცინო ბარათში (№1332) ექიმის მიერ გაკეთებულ ჩანაწერებს, რაც მეტ დამაჯერებლობას მატებს მოცემულ მონაცემებს.

ექსპერტის დასკვნით, დაზიანებები სიცოცხლისდროინდელია, მიყენებულია რაიმე მკვრივი ბლაგვი საგნის მოქმედებით, ამასთან რაც შეეხება დაზიანებათა ხანდაზმულობას, ექსპერტი საუბრობს, რომ დაზიანებები განვითარებულია სიკვდილის დადგომამდე წინა უახლოეს პერიოდში და ასევე წინა ადრეულ პერიოდში, დაახლოებით არანაკლებ 7-9 დღისა. აღნიშნულ დასკვნას სრულად ვიზიარებთ.

სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის ნაწილში („სამედიცინო დოკუმენტაციის მონაცემები“) მითითებულია, რომ პაციენტი მოათავსეს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №18 დაწესებულების რეანიმაციის განყოფილებაში 2011 წლის 23 სექტემბერს 22:20 საათზე, ხოლო პაციენტის გარდაცვალება დაფიქსირებულია 22:50 საათზე. აქედან გამომდინარე იქმნება იმისი შთაბეჭდილება, რომ პაციენტი სამკურნალო დაწესებულებაში მიყვანისას აყვანილ იქნა პირდაპირ რეანიმაციულ განყოფილებაში, სადაც სიკვდილის დაფიქსირებამდე კიდევ 30 წუთი იცოცხლა. მიუხედავად ამისა, ამ ნახევარი საათის განმავლობაში, სიცოცხლის რაიმე პირდაპირი ნიშანი არ არის აღწერილი. მითითებულია, რომ „ავადმყოფი უგონო მდგომარეობაშია, კონტაქტის დამყარება ვერ ხერხდება. გარეგან გაღიზიანებაზე არ რეაგირებს. წნევა არ იზომება, პულსი არ ისინჯება... სახე ციანოზირებულია, კისრის ვენები დაბერილი, სუნთქვა ერთეული, ზედაპირული. გუგები საშუალოდ გაფართოებული, ფოტორეაქცია არ აღენიშნება“. ამის შემდეგ დაიწყო რეანიმაციული ღონისძიებები, რომლებმაც შედეგი არ გამოიღო და ექიმების მიერ დაფიქსირებულ იქნა ბიოლოგიური სიკვდილი. აღნიშნული მონაცემების დეტალურად განხილვის შემდეგ ჩნდება სერიოზული ეჭვი იმის შესახებ, იყო კი პაციენტი ცოცხალი სამკურნალო დაწესებულებაში შეყვანისას? მონაცემებიდან აღნიშნულის სასარგებლოდ მეტყველებს მხოლოდ ჩანაწერი - „სუნთქვა ერთეული, ზედაპირული“, რაც თავისუფლად შესაძლებელია, რომ ხელოვნურად იყოს მიწერილი. როდესაც გუგები გაფართოებულია, წნევა და პულსი არ ისინჯება, ფოტორეაქცია არ არის და ყველა ზემოთ აღწერილი სხვა ნიშანი სახეზეა ეჭვქვეშ დგება საერთოდ პაციენტის სიცოცხლის საკითხი იმ მომენტისათვის. პაციენტი ან ტრანსპორტირებისას მოკვდა ან საერთოდ გვამი იქნა შეყვანილი რეანიმაციულ განყოფილებაში, რისი არაერთი ფაქტი წარსულში ჩვენს მიერ დაფიქსირებული ყოფილა და ამის პრაქტიკა სამწუხაროდ №18 დაწესებულებაში წარსულშიც არსებობდა (როდესაც შეყვანილი გვამის პირობებში, სიცოცხლის გახანგრძლივება რამდენიმე წუთით ხელოვნურად ხდებოდა, სავარაუდოდ იმის გამო, რომ შეცვლილიყო გარდაცვალების ადგილი). მოვლენების სავარაუდოდ ასეთი განვითარების შემთხვევაში საქმე ეხება დოკუმენტაციის გაყალბებას, რაც საკმაოდ მნიშვნელოვანი დარღვევაა და ეს საკითხი ჯეროვან შესწავლას მოითხოვს, არა მარტო ამ კონკრეტულ შემთხვევაში, არამედ უფრო გლობალურად.

დოკუმენტის ამავე ნაწილიდან („სამედიცინო დოკუმენტაციის მონაცემები“) ასევე ირკვევა, რომ ექიმების მიერ, დასკვნითი კლინიკური დიაგნოზის სახით გამოტანილ იქნა „უცნობი ეტიოლოგიის კომა. გულ-სისხლძარღვთა მწვავე უკმარისობა“. ეს უკანასკნელი შეუსაბამოაში მოდის სასამართლო სამედიცინო დიაგნოზთან. კომის გამომწვევი რაიმე მიზეზი პირდაპირ ან თუნდაც არაპირდაპირ აღწერილი ან

დადასტურებული არ არის არც მაკრომორფოლოგიურად და არც ჰისტოლოგიური გამოკვლევის დროს.

როგორც ცნობილია, კომა ვითარდება თავის ტვინის ქერქის, ქერქვეშა მიდამოსა და ცენტრალური ნერვული სისტემის უფრო დაბალი უბნების ღრმა შეკავების შედეგად, თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის მწვავე დარღვევის, თავის ტრავმის, ანთების (ენცეფალიტი, მენინგიტი, მალარია) და სხვა დროს; იგი შეიძლება გამოიწვიოს მწვავე მოწამვლამ (მაგ., ბარბიტურატებით) ან განვითარდეს შაქრიანი დიაბეტის, ურემიის (ურემიული კომა) ან ჰეპატიტის დროს. ინტოქსიკაცია წამალდამოკიდებულების დროს, დოზის გადაჭარბების გამო, სხვა სახის მედიკამენტების ბოროტად გამოყენებისას, ჰიპოთერმიის დროს, ქალა-ტვინის მძიმე ტრავმების დროს, ძლიერი ტკივილების დროს ტრავმის შემთხვევაში. ამასთან, ნერვულ ქსოვილში ირღვევა მჟავა-ტუტოვანი ბალანსი, ვითარდება ჟანგბადის შიმშილი და სხვა. კომას, როგორც წესი წინ უძღვის პრეკომატოზური მდგომარეობა. ზოგადად ცნობილია, რომ კომა საშუალოდ 6 საათის განმავლობაში გრძელდება. ექიმების მიერ კომატოზური მდგომარეობის შესახებ საუბრის დროს არ არის შეფასებული აღნიშნული მდგომარეობა საყოველთაოდ მიღებული გლაზგოს, ან რომელიმე სხვა შკალის მიხედვით, რაც კიდევ ერთხელ გვაფიქრებინებს იმაზე, რომ პაციენტი უკვე გარდაცვლილი შეიყვანეს რეანიმაციულ განყოფილებაში.

სასამართლო-სამედიცინო აუტოფსიის დროს არც ერთი ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზი, რომელსაც შესაძლებელია გამოეწვია კომა, არ არის დადასტურებული არც მაკრომორფოლოგიურად და არც ჰისტოლოგიურ დონეზე. თავის მხრივ, სხეულზე არსებულ დაზიანებებს ერთობლიობაში, მათი ხასიათიდან გამომდინარე (როგორც აღწერილია) არ შეეძლო ასეთი მდგომარეობის გამოწვევა და მით უფრო სიკვდილის დადგომა, თუმცა თავისუფლად შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ მათ შეეძლო მოეხდინა უკვე არსებული მდგომარეობის დამძიმება.

გვამის შინაგანი გამოკვლევის დროს თავის რბილი საფარი მთელია, ქალა-სარქველის ძვლები მთელია, ტვინი ჩვეულებრივი, ქალას ფუძე მთელია, ღეროს დისლოკაცია ან ჩაჭედვა (კომპრესია) არ არის აღწერილი. მიკრომორფოლოგიურად თავის ტვინში რაიმე სახის ისეთი დაზიანება, რომელიც კომას შეესაბამება (მდგომარეობის რამდენიმე საათით გაგრძელების შემთხვევაში, როგორც მინიმუმ გვექნებოდა თავის ტვინის შეშუპების და მისგან გამომდინარე სხვა ცვლილებების სურათი) არ არის აღწერილი. აქედან გამომდინარე ცენტრალური ნერვული სისტემის დაზიანება სიკვდილის მიზეზად აღარ უნდა განვიხილოთ. ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური გამოკვლევით გამოირიცხა სისხლში მეთილის, ეთილის და იზო-პროპილის სპირტების არსებობა. სისხლში და შინაგან ორგანოებში არ აღმოჩნდა ასევე ოპიატები, მეთადონი, მარიხუანა, ბარბიტურატები, ბუპრენორფინი, ამფეტამინი, მეტამფეტამინი, ბენზოდიაზეპინები, ტრიციკლური ანტიდეპრესანტები, კოკაინი. შინაგან ორგანოებში ასევე არ აღმოჩნდა ციანწყალბადმჟავა და მისი მარილები, ფორმალინი, ფენოლი, კრეზოლი, ქლოროფორმი, ქლორალჰიდრატი დიქლორეთანი, ოთხქლორნახშირბადი, ფოსფორორგანული ნაერთები, დარიშხანი, სინდიყი. როგორც ჩანს, თუ ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური

ექსპერტიზის პასუხებს სანდოდ მივიჩნევთ, ყველა ძირითადი ტოქსიკოლოგიური აგენტის მოქმედების პირდაპირი ან არაპირდაპირი კვალი სისხლში და შინაგან ორგანოებში არ აღმოჩნდა, რის გამოც შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ე.წ. კომის გამოძევები პაციენტის ინტოქსიკაცია არ უნდა ყოფილიყო.

სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნიდან არ ჩანს ასევე, რომ პაციენტს შესაძლებელია ურემიული ან ჰიპოგლიკემიური კომა განვითარებოდა, ვინაიდან შარდ-სასქესო და ენდოკრინული ორგანოების მიკრო და მაკრომორფოლოგიური გამოკვლევით, აღნიშნულის მორფოლოგიური სუბსტრატი არ დასტურდება, ხოლო კლინიკური მონაცემები აღნიშნული პათოლოგიური მდგომარეობების შესახებ არ მოიპოვება. გარდა ამისა, აღნიშნულზე არ მიანიშნებს არც ერთი არაპირდაპირი ნიშანიც.

გვამის გამოკვლევის დროს გულმკერდის ან მუცლის ღრუში რაიმე ისეთი ნიშანი, რომელსაც პაციენტის სიკვდილი შეეძლო უშუალოდ გამოეწვია ვერ იქნა ნანახი. ფილტვის არტერიის თრომბოემბოლია ექსპერტიზის დასკვნით გამოირიცხება. მაკრომორფოლოგიურად, სასუნთქი სისტემის მხრივ რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილებები ნანახი არ ყოფილა. მიუხედავად ამისა, მიკრომორფოლოგიურად დადასტურებულ იქნა კეროვანი ინტერსტიციული პნევმონია. აღსანიშნავია ასევე ის, რომ მაკრო და მიკრომორფოლოგიურ დასკვნებს შორის ფიქსირდება შეუსაბამობა. კერძოდ, ჰისტოლოგიურად, ექსპერტი გოგიტაური მიუთითებს, რომ ადგილი აქვს „ფილტვების მკვეთრ შეშუპებას“, რასაც მაკრომორფოლოგიურად არ აღწერს ექსპერტი ქამუშაძე. საფიქრებელია, რომ პნევმონიის ის ფორმა, რომელიც მაკრომორფოლოგიურად დამახასიათებელ ცვლილებებს არ იწვევს, ხოლო მიკრომორფოლოგიურად მხოლოდ კეროვანი ხასიათი აქვს, არ უნდა ყოფილიყო ისეთი ძლიერი ინტოქსიკაციის მიზეზი, რომელსაც კომა და პაციენტის სიკვდილი შეეძლო გამოეწვია.

მაკრომორფოლოგიურად შარდ-სასქესო სისტემის მხრივ პათოლოგია არ არის აღწერილი. მიუხედავად ამისა, დასკვნაში ნახსენებია, რომ შარდის ბუშტი ცარიელია. ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია კლინიკური მონაცემები: კერძოდ, ჰქონდა თუ არა პაციენტს შარდის ბუშტში კათეტერი ჩადგმული, ან აღენიშნა თუ არა მას უნებლიე შარდვა. წინააღმდეგ შემთხვევაში, შარდის საერთოდ არ არსებობა შარდის ბუშტში შესაძლებელია თირკმელების უკმარისობის მიზეზით აიხსნას პროგრესული და ხანგრძლივი ჰიპოტონიის ფონზე. სამწუხაროდ ჰისტოლოგიურ დასკვნაში თირკმლის აღწერილობა ვერ მოხვდა, რაც გვაფიქრებინებს იმაზე, რომ ან მასალა არ იქნა აღებული ან გარკვეული მოსაზრებების გამო, აღნიშნული დასკვნაში არ იქნა შეტანილი.

სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით ყურადღებას იქცევს გულ-სისხლძარღვთა სისტემა. უნდა დავეთანხმოთ ექსპერტიზას, რომ პაციენტს ნამდვილად აღენიშნებოდა გულის იშემიური დაავადება, კერძოდ ამის შესახებ მიუთითებს მიკრომორფოლოგიურად კორონაროატეროსკლეროზის დიაგნოზის დასტური, ასევე მიოკარდიუმში წვრილკეროვანი პოსტინფარქტული ნაწიბურის არსებობა. იმისათვის, რომ ვიმსჯელოთ პაციენტის სიკვდილის დადგომაში გულის იშემიური დაავადების

როლზე, მხოლოდ არსებული დოკუმენტები არ კმარა. არსებული დასკვნის მიხედვით მსგავს სურათს უცილობლად სიკვდილის გამოწვევა არ შეეძლო, თუმცა ამის კატეგორიული გამორიცხვაც არსებული მონაცემების მიხედვით შეუძლებელია. მდგომარეობის შემდგომი შესწავლის მიზნით მიზანშეწონილია წარმოდგენილ იქნას ანამნეზური მონაცემები და სიკვდილამდე არსებული ყველა სამედიცინო ჩანაწერი, რომელთა კომპლექსური განხილვა უმნიშვნელოვანესია რაიმე აზრის ჩამოსაყალიბებლად.

საბოლოო ჯამში, არსებული დოკუმენტის განხილვით შესაძლებელია ვიმსჯელოდ შემდეგზე:


1. სათუთა ის საკითხი, რომ პაციენტი ცოცხალი იქნა მიყვანილი მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში;
2. მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში დასმული კლინიკური დიაგნოზი არ შეესაბამება სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნას და ვერ ხსნის პაციენტის სიკვდილის მიზეზს!
3. სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა მოიცავს მთელ რიგ ხარვეზებს (მაგალითად არ არის თირკმლის ქსოვილის ჰისტოლოგიური გამოკვლევის შედეგები; მაკრომორფოლოგიურად ფილტვის ქსოვილის აღწერილობა არ შეესაბამება მიკრომორფოლოგიურ მონაცემებს და ამის შესახებ ექსპერტი არ მსჯელობს, არ ეძებს მიზეზს, რაც საექსპერტო გამოკვლევისათვის შეუსაბამოა;
4. აშკარაა, რომ პაციენტს სიცოცხლის პერიოდში მიღებული აქვს სხეულის სხვადასხვა სახის და ლოკალიზაციის დაზიანებები, რაიმე მკვრივი ბლაგვი საგნის მოქმედებით. ამასთან, დაზიანებათა ხანდაზმულობის მხედველობაში მიღებით, დაზიანებების მიყენება იყო მრავალჯერადი, გარკვეული პერიოდის პაუზებით (მინიმუმ 3-ჯერ); (სიკვდილამდე უახლოესი 7-9 დღის პერიოდში) და მიუხედავად იმისა, რომ დაზიანებები, ცალკე აღებული არ ატარებს მძიმე ხასიათს, ამ უკანასკნელს, ასევე დაზიანებების მიყენების გარემოებებს და პირობებს ნამდვილად შეეძლო ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის ნეგატიური პოტენცირება და უარყოფითი დინამიკის განვითარება;
5. შემდგომი შესწავლა და აზრის ჩამოყალიბება მოითხოვს პაციენტის სიკვდილამდე არსებული ყველა სამედიცინო და შესაძლებელია ასევე სხვა სახის დოკუმენტაციის ერთობლიობაში გაანალიზებას და შესწავლას;

ზემოთ ჩამოთვლილი რამდენიმე მაგალითის გარდა კიდევ უამრავი ფაქტის მოყვანა შეიძლება, სადაც გვაჩვენებს სიცოცხლისდროინდელი დაზიანების ნიშნები აღიწერება და ფიქსირდება ექსპერტების მიერ. მიუხედავად ამისა, გასული წლების მსგავსად, გამოძიების მიერ ამას სათანადო ყურადღება არ ექცევა, რითაც უხეშადაა დარღვეული წამების პრევენციის საერთაშორისო და ეროვნული სტანდარტები. ის რომ დაზიანებათა ხასიათი არ არის მძიმე და მათ პირდაპირი მიზეზ-შედეგობრივი კავშირი არ აქვთ სიკვდილთან, შემთხვევათა აბსოლუტურ უმრავლესობაში იმის მიზეზი ხდება, რომ გამოძიება აღნიშნულით საერთოდ აღარ ინტერესდება.

შესწავლის შედეგად დაფიქსირდა ტენდენცია, რომლის მიხედვითაც, მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა N18 დაწესებულებაში გარდაცვლილ პატიმართა ნახევარზე მეტს აღენიშნებოდა სხეულის ამა თუ იმ სახის დაზიანებები. გარდა ამისა, ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნულ ცენტრში გარდაცვლილ პატიმართაგან 3-ს ასევე აღენიშნება სხეულის დაზიანებები. აღნიშნული პატიმრები გარდაიცვალნენ ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნულ ცენტრში შეყვანიდან 1-3 დღეში. სავარაუდოდ, მათი გადაყვანა აღნიშნულ დაწესებულებაში მოხდა სწორედ მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამკურნალო დაწესებულებიდან. აღნიშნულის გამო გამოძიება ასევე უნდა დაინტერესდეს იმ ფაქტით თუ რატომ ხდება დაზიანებათა უმრავლესობის მიყენება სწორედ მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა N18 დაწესებულების პირობებში. ასევე დაფიქსირდა ტენდენცია, რომლის მიხედვითაც, ქსნის N15 დაწესებულებაში გარდაცვლილი 4 პატიმრიდან 3-ს აღენიშნებოდა სხეულის სხვადასხვა სახის და სიმძიმის დაზიანებები. გამოძიება ასევე უნდა დაინტერესდეს ამ დაწესებულებაში არსებული სიტუაციით და გაირკვეს თითოეულ შემთხვევაში დაზიანების წარმომავლობა და მიზეზი.

ამგვარად, ზემოთ განხილულ ჯგუფში გაერთიანდა ნამალადევი სიკვდილის (ამ შემთხვევაში მექანიკური ასფიქსია, მარყუჟით სასუნთქი გზების გადაკეტვით; უბედური შემთხვევა და სისხლდენის შედეგად განვითარებული მწვავე ჰემორაგიული ანემია), სხეულის სხვადასხვა ხარისხისა და ლოკალიზაციის დაზიანებათა და მოტეხილობის შემთხვევები. აღნიშნულ სახეობათა თანაფარდობა წარმოდგენილია ცხრილში და გრაფიკულად:

სხეულის დაზიანებები	81.64 %
ნამალადევი სიკვდილი	14.28 %
მოტეხილობები	4.08 %




სიხშირით შემდეგ ადგილზე გამოდის ავთვისებიანი სიმსივნეები (3.62%). ავთვისებიანი სიმსივნეებით პატიმართა გარდაცვალების შემთხვევებმა 2011 წლის პირველ ნახევარში 3.22% შეადგინა, ხოლო მეორე ნახევარში შესაბამისად -15.87%. რაც შეეხება ონკოდაავადებათა წილს დაავადებათა საერთო სპექტრში, წლის პირველ ნახევარში აღნიშნულმა 16.88%, ხოლო წლის მეორე ნახევარში 22.2% შეადგინა. როგორც სტატისტიკა აჩვენებს, 2011 წლის მეორე ნახევარში მკვეთრად იზრდება ონკოლოგიური დაავადებებით გარდაცვლილთა რაოდენობა. აღსანიშნავია, რომ გარდაცვლილ პატიმართა დიდ უმრავლესობას აღენიშნებოდა სიმსივნის შორსწასული ფორმები დაავადების ბოლო სტადიაზე, შორეული მეტასტაზების არსებობით. სულ დაფიქსირებულია ავთვისებიანი სიმსივნეების 27 შემთხვევა. ყველაზე ხშირად ვხვდებით ფილტვის კიბოს (6 შემთხვევა); შემდეგ ადგილზეა ღვიძლის კიბო (6 შემთხვევა); კუჭის კიბო (4 შემთხვევა). პლევრის და პანკრეასის სიმსივნეები, ასევე ლიმფომა 2 – 2 შემთხვევაში გვხვდება. თითო-თითო შემთხვევაში მორფოლოგიურად დადასტურებულ იქნა სასქესო ასოს და თირკმლის ავთვისებიანი სიმსივნეები. გასული საანგარიშო პერიოდის მსგავსად ფიქსირდება ფაქტები, როდესაც არსებობს შეუსაბამობა კლინიკურ და სასამართლო-სამედიცინო დიაგნოზებს შორის.

სიმსივნეთა სახეობები, მეტი თვალსაჩინოების მიზნით წარმოდგენილია დიაგრამაზე და ცხრილში:


ფილტვი	22.22
ღვიძლი	22.22
კუჭი	14.81
ცენტრ. ნერვ. სისტემა	11.11

პლევრა	7.40
პანკრეასი	7.40
ლიმფომა	7.40
სასქესო ასო	3.72
თირკმელი	3.72



გარდაცვლილთა დიაგნოზებს შორის სიხშირით შემდგომ ადგილს იკავებს **ნევროლოგიური დაავადებების ჯგუფი**. როგორც უკვე აღინიშნა, გარდაცვლილ პაციმართა 3.48%-ს ამა თუ იმ სახის ნევროლოგიური დაავადება აღენიშნებოდა, ხოლო შემთხვევათა ნაწილში, სწორედ ეს დაავადებები გახდა სიკვდილის დადგომის უშუალო მიზეზი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გასული წლის მონაცემებთან მიმართებაში ნევროლოგიური პათოლოგიით გამოწვეულმა სიკვდილობამ მნიშვნელოვნად იკლო 2011 წელს. მიუხედავად ამისა, სამწუხაროდ მაინც გვხვდება ისეთი მძიმე ნევროლოგიური მდგომარეობები, რომლის დროსაც გვხვდება როგორც თავის ტვინის, ასევე ცენტრალური ნერვული სისტემის გარსების ანთება და ასევე თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის მწვავე მოშლის სახეები. აღნიშნული დაავადებების სპექტრი წარმოდგენილია ცხრილში და გრაფიკულად:


თ/ტ. - გარსების ანთება	38.46 %
ეპილეფსია	26.93 %
თ/ტ სისხლ. მიმოქ. მოშლ	19.23 %
პერიფერ. ნ/ს დაავადებ.	15.38 %



როგორც ცხრილიდან და დიაგრამიდან ჩანს, 2011 წლის განმავლობაში გარდაცვლილ პაციენტთა შორის ყველაზე ხშირი ნევროლოგიური პათოლოგია ცენტრალური ნერვული სისტემის გარსების ანთება იყო (38.46%). აღნიშნული უპირატესად წარმოდგენილია ტუბერკულოზური გენეზის მენინგიტებისა და არაქნოიდიტების სახით. პერიფერიული ნერვული სისტემის დაავადებებიდან უნდა გამოიყოს ნეიროპათიები, პოლირადიკულონეიროპათიები. აღნიშნული პათოლოგიები სიკვდილის უშუალო მიზეზი არ გამხდარა, თუმცა გარდაცვლილ პაციენტთა სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნებში, წინა წლების მსგავსად კვლავ ფიგურირებს. ყოველივე ეს იმ ფონზე ხდება, როდესაც პენიტენციურ სისტემაში ნევროლოგთა დეფიციტია. მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში მხოლოდ ერთი ექიმი ნევროპათოლოგი მუშაობს, ხოლო სასჯელაღსრულების სხვადასხვა დაწესებულებებში ამ პროფილის და გამოცდილების ექიმს იშვიათად ვხვდებით.

ქირურგიული დაავადებები, რომლებიც გარდაცვლილთა სასამართლო სამედიცინო დიაგნოზებშია აღწერილი, სიხშირით მე-10 ადგილს და 3.08%-ს შეადგენს. აღნიშნული მაჩვენებელი პრაქტიკულად შეესაბამება გასული წლის წლიურ მაჩვენებელს. ზოგიერთ შემთხვევაში, ქირურგიული პათოლოგია პაციენტის სიკვდილის უშუალო მიზეზი

გახდა. ქირურგიულ დაავადებათა სპექტრი აღნიშნულ ჯგუფში წარმოდგენილია გრაფიკულად და ცხრილში:



ქირურგიული სისხლდენა	73.07 %
სეფსისი / პერიტონიტი	11.55 %
პროქტოლოგიური დაავ.	7.69 %
ელენტის ინფარქტი	7.69 %

როგორც ცხრილიდან ჩანს, პირველ ადგილზე გამოდის ქირურგიული სისხლდენები (73.07%). სისხლდენის წყარო სხვადასხვა შემთხვევებში იყო საჭმლის მომნელებელი ტრაქტი ან სასუნთქი სისტემა.

მაგალითისათვის მოგვყავს შემთხვევა - პაციენტი გ. ნ. (კოდი I №3). პაციენტი გარდაცვლილია მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა N18 დაწესებულებაში. ამავე დაწესებულებაში წარმოებული ავადმყოფობის ისტორიიდან ირკვევა, რომ ფონური დაავადებების გამო, პაციენტს დაეწყო სისხლდენა საყლაპავის ვარიკოზიდან, რის გამოც სისხლის დანაკარგმა გამოიწვია მძიმე ჰემორაგიული შოკი და ანემია. რაც საბოლოო ჯამში გახდა სიკვდილის მიზეზი. დიაგნოზში შესაბამისად ფიგურირებს „საყლაპავის ვენების ვარიკოზი 1-2 ხ. საყლაპავის ვარიკოზული ვენებიდან მწვავე სისხლდენა“. პაციენტს, გარდაცვალებამდე ენდოსკოპიურად ასევე დადგენილი ჰქონდა კუჭის წყლული. ავადმყოფობის ისტორიაში პირდაპირაა მითითებული, რომ „სიკვდილის სავარაუდო მიზეზია საყლაპავის ვარიკოზული ვენებიდან მწვავე სისხლდენის გამო განვითარებული ჰემორაგიული შოკი“. მიუხედავად ამისა, სასამართლო სამედიცინო

ექსპერტიზის შედეგად დადგენილ სასამართლო-სამედიცინო დიაგნოზში სისხლდენის, ანემიის ან ჰემორაგიული შოკის შესახებ არაფერია ნათქვამი და ცალსახადაა დადგენილი, რომ „გ.ნ.-ს სიკვდილის მიზეზია ღვიძლის ფუნქციის უკმარისობა, განვითარებული ღვიძლის ციროზის შედეგად“. ცხადია, რომ ღვიძლის ციროზი თავისთავად წარმოადგენს ფონურ დაავადებას, ხოლო სიკვდილის უშუალო მიზეზი კონკრეტულ შემთხვევაში არის ჰემორაგიული შოკი, რომლის სასარგებლოდაც სასამართლო ექსპერტიზის დასკვნაში არაერთი მაკრო თუ მიკრომორფოლოგიური ნიშანია აღწერილი. მიუხედავად ამისა, სიკვდილის უშუალო მიზეზში სისხლდენა არ ფიგურირებს. აღნიშნულის გათვალისწინებით, აშკარაა, რომ ან პაციენტის ავადმყოფობის ისტორია, ან სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა არასრულფასოვანია და ერთ-ერთი დოკუმენტი უხეში ხარვეზებითაა წარმოებული. საკითხის საბოლოო გარკვევისათვის, საქმე შესასწავლად უნდა გადაეგზავნოს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საექიმო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს. აქვე უნდა იქნას შეფასებული პატიმრისათვის გაწეული სამედიცინო დახმარების მოცულობა და ადეკვატურობაც, რომელიც სავარაუდოდ, არ შეესაბამებოდა ქვეყანაში დადგენილ სტანდარტებს.

იგივე ხასიათისაა შემთხვევა, რომელიც აწ გარდაცვლილი პაციენტის გ.წ.-ს (კოდი I №42) სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნიდან ირკვევა. 30 წლის პატიმარი გარდაცვლილია ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში. წარმოებული ავადმყოფობის ისტორიიდან ირკვევა, რომ 2011 წლის 28.03 დილის 08 სთ 45 წუთზე „ავადმყოფი გარდაიცვალა ფილტვებიდან პროფუზული სისხლდენით“. მიუხედავად ამისა, სასამართლო სამედიცინო ექსპერტის დასკვნაში მოხსენიებულია მხოლოდ ერთი წინადადება, კერძოდ - „გ.წ.-ს სიკვდილის მიზეზია ფილტვების ტუბერკულოზი“. არაფერია ნათქვამი სისხლდენაზე და სიკვდილის უშუალო მიზეზზე. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით კვლავ გვექმნება შთაბეჭდილება, რომ ან ავადმყოფობის ისტორია და ან ექსპერტიზის დასკვნა არასრულფასოვანი და წარმოებულია უხარისხოდ, რაც დაუყოვნებლივ უნდა გახდეს ხარისხის უზრუნველყოფის შესაბამისი სტრუქტურების დაინტერესების საგანი.

ექსპერტიზის დასკვნაში სისხლდენის შედეგად სიკვდილი დადასტურებულია პაციენტ გ.ს.-ს (კოდი I №45) შემთხვევაში. სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნიდან ირკვევა, რომ პაციენტი გ.ს.მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა N18 დაწესებულებაში შეყვანილია 2011 წლის 31 მარტს. ავადმყოფის ჩივილები ჩამოყალიბებულია შემდეგი სახით: „ავადმყოფის ზოგადი მდგომარეობა არადაამაკმაყოფილებელია, უჩივის ზოგად საერთო სისუსტეს, გულისფრიალს, გულმკერდის არეში უსიამოვნო შეგრძნებას, მარცხენა ზედა კიდურის დაბუყებას, ყაზზობას, მეტეორიზმს. მედბარათიდან ირკვევა, რომ დილით, პაციენტი დაწესებულების სან. ნაწილში შეყვანილი იქნა სოპოროზულ მდგომარეობაში, სადაც გაეწია პირველადი სამედიცინო დახმარება, რის შემდგომაც შემდგომი გამოკვლევისა და მკურნალობის მიზნით მოყვანილ იქნა სამედიცინო დაწესებულებაში როგორც სასწრაფო შემთხვევა“. სამკურნალო დაწესებულებაში ავადმყოფის ზოგადი მდგომარეობა შეფასდა საშუალო სიმძიმის მდგომარეობად.

ჩაუტარდა ქირურგის კონსულტაცია, საფიქრებელია ქრონიკული გასტრიტის არსებობა. მდგომარეობის შეფასებისა და დიაგნოზის დაზუსტების მიზნით გაიცა რეკომენდაცია ფიბროფოგოგასტროდუოდენოსკოპიის ჩატარების შესახებ. შემდგომ ჩატარდა ნევროპათოლოგის კონსულტაცია, გულმკერდის მიდამოს რენტგენოლოგიური კვლევა, სისხლის კლინიკური ანალიზი და ეჭვი იქნა მიტანილი შუასაყარში მდებარე მოცულობით პროცესზე. აღნიშნულის დასადასტურებლად ან გამოსარიცხად დაიგეგმა კომპიუტერულ-ტომოგრაფიული კვლევა. ქირურგის მიერ მოთხოვნილი ფიბროსკოპული კვლევის ჩატარება ვერ მოხერხდა და დაიგეგმა მომდევნო დღეს. ამ ფონზე, დილისათვის მდგომარეობა უეცრად გაუარესდა, დაეწყო სისხლიანი პირღებინება, ჰემოდინამიკური მაჩვენებლები გაუარესდა, პერიფერიული პულსი არ ისინჯება, კონტაქტში შესვლა ვერ ხერხდება. გადაყვანილ იქნა ფილტვების ხელოვნურ ვენტილაციაზე, ჩაედგა ნაზოგასტრული ზონდი, საიდანაც მიღებულ იქნა სისხლი. მიუხედავად ჩატარებული სამკურნალო და რეანიმაციული ღონისძიებებისა, პაციენტი მოკვდა. სამედიცინო ბარათში ჩაწერილი დიაგნოზის მიხედვით, პაციენტს აღენიშნებოდა - „მოცულობითი წარმონაქმნი შუასაყარში?, გასტროდუოდენური სისხლდენა, ჰემორაგიული შოკი, სუნთქვის მწვავე უკმარისობა“. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დროს, შუასაყარის მოცულობითი პროცესი არ დადასტურდა. ლიმფური კვანძები კი ნორმალური ზომის იყო შენარჩუნებული. ჰისტოლოგიური კვლევით დადგინდა კუჭის წყლული, რომელიც წარმოადგენდა სისხლდენის მიზეზს და პოსტჰემორაგიული ანემია. საქსპერტო დასკვნის მიხედვით - „მოქ. ს.გ.-ს სიკვდილის მიზეზია შინაგანი ორგანოების მწვავე სისხლნაკლებობა გამოწვეული კუჭის წყლულიდან განვითარებული სისხლდენის შედეგად“.

ამგვარად, გარდაცვლილი პაციენტი ს.გ.-ს შემთხვევაში, სასჯელადსრულების იმ დაწესებულებაში, სადაც იმყოფებოდა პაციენტი (მითითებული არ არის დაწესებულების ნომერი) ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ვერ იქნა ამოცნობილი კუჭის წყლულოვანი დაავადება, შესაბამისად ადეკვატური მკურნალობა არ ჩატარებია. მაშინაც კი, როდესაც წყლული გართულდა სისხლდენით, დიაგნოზი კვლავ ვერ დაისვა, მათ შორის მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამკურნალო დაწესებულებაშიც. მიუხედავად ქირურგის მიერ ჩატარებული კონსულტაციისა, დიაგნოსტიკა წარიმართა მცდარი მიმართულებით, რა დროსაც სისხლდენის ეპიზოდის განმეორებამ პაციენტის სიკვდილი გამოიწვია. საქართველოს სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ აღნიშნული შემთხვევა, პაციენტის მართვა (როგორც სასჯელის მოხდის ადგილზე, ისე N18 დაწესებულებაში) და მასთან დაკავშირებული საკითხები შესწავლილ უნდა იყოს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს მიერ.

პაციენტი კ.კ. (კოდი I №57) 33 წლის მამაკაცი, მდგომარეობის გაუარესების გამო გადაყვანილ იქნა ლუდუშაურის სახ. ეროვნულ სამედიცინო ცენტრში, მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა N18 დაწესებულებიდან. გადაყვანის მიზეზი იყო ღვიძლის ციროზი და ამ ფონზე განვითარებული გასტროდუოდენური სისხლდენის ეპიზოდები. მიუხედავად ამისა, 1 დღის შემდეგ პაციენტი უკან იქნა დაბრუნებული N18

დაწესებულებაში შესაბამისი რეკომენდაციებით. რამდენიმე ხანში პაციენტი გარდაიცვალა. სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით - „კ.კ.-ს სიკვდილის მიზეზია მწვავე სისხლნაკლებობა, განვითარებული საყლაპავი მილის ვარიკოზულად გაგანიერებული სისხლძარღვებიდან სისხლდენის შედეგად“.

პაციენტი ს.ვ. (კოდი I №61) 52 წლის მამაკაცი. როგორც სამედიცინო დოკუმენტაციიდან ირკვევა, კერძოდ მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა N18 დაწესებულებაში წარმოებული სამედიცინო ბარათიდან, პაციენტი აღნიშნულ დაწესებულებაში მოუთავსებიათ 16.05.2011წ 10:55-ზე. ბარათში არსებული მონაცემების მიხედვით, პაციენტს სისხლდენა დაეწყო 10:20 სთ-დან. სამკურნალო დაწესებულებაში მიყვანისას, პაციენტი იმყოფებოდა კომპატოზურ მდგომარეობაში, აღნიშნებოდა ჰემორაგიული შოკი. პაციენტი დაუყოვნებლივ იქნა აყვანილი რეანიმაციულ განყოფილებაში. ჩანაწერის მიხედვით პაციენტი კონტაქტში ვერ შემოდის, „მაჯა და არტერიული წნევა არ ისინჯება, გულის ტონები არ მოისმინება, სუნთქვის ტიპი - არ აქვს. რეაქცია ჩხვლეტაზე და თერმულ გაღიზიანებაზე არ არის. გამოხატულია ციანოზი, გუგები გაფართოებულია, რქოვანას რეფლექსი და ფოტორეაქცია არ იწვევა, მონიტორზე იზოხაზი, სპონტანური სუნთქვა არ აქვს“. მიუხედავად ჩატარებული რეანიმაციული ღონისძიებებისა, დაფიქსირდა ბიოლოგიური სიკვდილი. პაციენტს ექსპერტიზის შედეგად დაუდასტურდა ფილტვების ადენოკარცინომის არსებობა. აღწერილი მდგომარეობის მიხედვით, საქმე გვაქვს შორსწასულ ონკოლოგიურ პათოლოგიასთან. მიუხედავად ამისა, პაციენტი მაინც იმყოფებოდა სასჯელის მოხდის ადგილზე. გარდა ამისა, ყურადღებას იპყრობს ის დეტალები, რომლის მიხედვითაც, პაციენტს სამკურნალო დაწესებულებაში მიყვანისას არც ერთი სასიცოცხლო ნიშანი არ აღნიშნებოდა. ჩანაწერები მიუთითებს იმაზე, რომ საფიქრებელია N18 დაწესებულებაში უკვე გვამი შევიდა. პაციენტის გადაყვანა წარმოადგენდა უკვე დაგვიანებულ პროცესს, რომლის შედეგებზე პასუხისმგებლობა სწორედ სასჯელაღსრულების სისტემის შესაბამისი კომპეტენციის პირებს ევალებათ.

პაციენტი გ.თ. (კოდი I №65) 46 წლის მამაკაცი. მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა N18 სამკურნალო დაწესებულებიდან გადაყვანილ იქნა რეფერალურ ჰოსპიტალში, სადაც შეყვანიდან მცირე ხანში დაფიქსირდა ბიოლოგიური სიკვდილი. პაციენტს ანამნეზში (ბოლო 15 წლის განმავლობაში) აღნიშნება კუჭზე ჩატარებული ოპერაცია და ასევე 2-ჯერ სისხლდენის ეპიზოდები. 1 წლის წინ დადგენილი აქვს საყლაპავის ვენების ვარიკოზი, ასევე კუჭის კალოზური წყლული. გარდაცვალებამდე რამდენიმე საათით ადრე კვლავ დაეწყო სისხლდენა საჭმლის მომნელებელი სისტემის ზედა ნაწილებიდან (მელენა, სისხლიანი პირღებინება), რის გამოც გადაყვანილ იქნა პირველი კლინიკური საავადმყოფოს რეანიმაციულ განყოფილებაში, ხოლო იქიდან უმძიმეს მდგომარეობაში მყოფი პაციენტი ტრანსპორტირებულ იქნა რეფერალურ ჰოსპიტალში. ჰოსპიტალში შეყვანიდან დაახლოებით 1 საათის შემდეგ დაფიქსირდა ბიოლოგიური სიკვდილი. ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, სიკვდილის მიზეზია საყლაპავის ვარიკოზულად შეცვლილი ვენებიდან სისხლდენის შედეგად განვითარებული ანემია. ამ შემთხვევაშიც, პაციენტის გადაყვანა სამკურნალო დაწესებულებაში უკვე დაგვიანებული იყო. ასევე

ბუნდოვანია, თუ რატომ მოხდა უმძიმეს ტერმინალურ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის ტრანსპორტირება პირველი კლინიკური საავადმყოფოდან რეფერალურ ჰოსპიტალში და არსებობდა თუ არა ტრანსპორტირების უკუჩვენება ამ დროს.

სასუნთქი გზებიდან სისხლდენით მოკვდა ასევე 65 წლის მამაკაცი პაციენტი ს.ა. (კოდი I №74). პაციენტს დადგენილი ჰქონდა ფილტვის კიბოს შორსწასული ფორმა (IV სტადია), მეტასტაზირებით. იმყოფებოდა უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში. მიუხედავად იმისა, რომ ამ უმძიმესი პათოლოგიის ფონზე დასმულიყო პაციენტის აქტირების საკითხი, იგი გადაყვანილ იქნა მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში, სადაც იმყოფებოდა სიკვდილამდე. დოკუმენტაციაში არსებული ჩანაწერების მიხედვით, შემთხვევა მიჩნეულ იქნა ინკურაბელურად, რის გამოც უტარდებოდა მხოლოდ სიმპტომური მკურნალობა. გარდა ძირითადი ონკოლოგიური დაავადებისა, პაციენტს ასევე აღენიშნებოდა გულის იშემიური დაავადება, დამაბვის სტენოკარდია, არტერიული ჰიპერტენზია, ქრონიკული ბრონქიტი, ეპილეფსია, თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული, ბრონქული ასთმა. ამ მდგომარეობის ფონზე განვითარდა სისხლდენა სასუნთქი სისტემიდან, რომელიც ვერ იქნა კლინიკურად ამოცნობილი. სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის შესაბამისად, „ს.ა.-ს სიკვდილის მიზეზია შინაგანი ორგანოების მწვავე სისხლნაკლებობა მარცხენა ფილტვის კიბოს შედეგად დაზიანებული სისხლმარღვიდან განვითარებული სისხლდენის გამო“.

საქართველოს სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ ჯანმრთელობის ასეთი უმძიმესი მდგომარეობის მქონე პაციენტის სასჯელადსრულების სისტემაში ყოფნა, რომლის მდგომარეობა მიჩნეულ იქნა ინკურაბელურად, წარმოადგენს არაჰუმანურ მოპყრობას. ასეთ შემთხვევაში სასჯელის მოხდა აზრს კარგავს და ჰუმანურობის პრინციპებიდან გამომდინარე, საქართველოს კანონმდებლობაში არსებობდა ყველა მექანიზმი იმისათვის, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო პაციენტის გათავისუფლების შუამდგომლობა სასამართლოში გადაგზავნილიყო.

რაც შეეხება ისეთი საშიში ქირურგიული გართულების შემთხვევას, როგორცაა დიფუზური პერიტონიტი, ამ დიაგნოზით მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა N18 დაწესებულებაში გარდაიცვალა 55 წლის პაციენტი მამაკაცი თ. ყ. (კოდი I №74). შემთხვევა იმით იპყრობს ყურადღებას, რომ გარდა სამედიცინო მომსახურების დროს დაშვებული უხეში შეცდომებისა, საქმე გვაქვს ძალადობრივი მოპყრობის ფაქტთან პაციენტის მიმართ, რაც გამოძიების კომპეტენციას შეადგენს. პაციენტი თ. ყ. გარდაიცვალა N18 დაწესებულებაში 2011 წლის 28 მაისს 02:10 სთ-ზე. როგორც სამედიცინო ჩანაწერებიდან ირკვევა, პაციენტი სამკურნალო დაწესებულებაში მოთავსებული იყო 2011 წლის 25 მაისს 22 საათზე, ანუ გარდაცვალებამდე სამი დღით ადრე. მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში შემოსვლისას - „ავადმყოფის ზოგადი მდგომარეობა მძიმეა, ცნობიერება ნათელი. პოზა იძულებითი. მორიგე ექიმის ჩანაწერიდან ირკვევა, რომ პაციენტს დაბალი არტერიული წნევის ფონზე დაესხა თავბრუ. წაიქცა, რის გამოც მიიღო დაზიანება გულმკერდის არეში. თხემის არეში ფუფხით დაფარული ნაკვეთი ჭრილობა ზომით 1.5 სმ. მარცხნივ

ყვრიმალის, მარჯვნივ ლოყის არეში სისხლნაჟღენთები, გულმკერდის მარცხენა ნახევარზე სუსტად გამოხატული ღია, მოლურჯო შეფერილობის სისხლნაჟღენთი. მარჯვენა მუხლის ქვემოთ სისხლნაჟღენთი. ა.წ. 70/30მმ. პულსი 70წ. სუსტი ავსების. ფილტვებში ქვედა წილებში სუნთქვა შესუსტებულია. პალპაციით კანქვეშა ემფიზემა კრეპიტაცია. 26.05.2011 წ. 20:30 სთ-ზე ავადმყოფი ქირურგიული განყოფილებიდან გადაყვანილია რენიმაციულ განყოფილებაში მძიმე მდგომარეობაში. უჩივის ტკივილს გულმკერდში განსაკუთრებით მარცხნივ და მუცელში. გულმკერდის მარცხენა მხარეს ზურგის ლატერალურ მხარეზე, ასევე ილღის ფოსოში აღენიშნება კანქვეშა ემფიზემა - დამახასიათებელი კანქვეშა კრეპიტაცია. მუცელი რბილი, პალპაციით მტკივნეული დიფუზურად. ულტრასონოგრაფიული გამოკვლევით მუცლის ღრუში ვლინდება თავისუფალი სითხე მცირე რაოდენობით. 27.05.2011წ. 13 საათზე გაკეთდა ოპერაცია (ლაპაროტომია, სინექიოლიზი, რევიზია, ენტერორაფია, მუცლის ღრუს სანაცია, დრენიდება) ... მუცლის ღრუში აღინიშნება დიდი რაოდენობით მღვრიე ქარვისფერი გამონადენი, წვრილი ნაწლავის შიგთავსი ამოიქაჩა, ნანახი იქნა მლივი ნაწლავის დეფექტი. გაიკერა ორსართულიანი კვანძოვანი ნაკერებით. ჩაედგა დრენაჟები. ჭრილობა გაიკერა. პოსტოპერაციული დიაგნოზი: მუცლის ღრუს დახურული ტრავმა მლივი ნაწლავის ტრავმული დაზიანება. დიფუზური ფერმენტულ-ფიბრინული პერიტონიტი“. ოპერაციის შემდეგ ავადმყოფს უტარდებოდა შესაბამისი მკურნალობა. მიუხედავად ამისა, მდგომარეობა დამძიმდა და 28.05.2011წ 02.10 სთ-ზე დაფიქსირდა ბიოლოგიური სიკვდილი. „სიკვდილის მიზეზია ტოქსიური შოკის ფონზე განვითარებული გულსისხლძარღვთა მწვავე უკმარისობა. კლ. დიაგნოზი: გულმკერდისა და მუცლის დახურული ტრავმა. გულმკერდის მარჯვენა მე-8 და მარცხენა მე-7 ნეკნების მოტეხილობა. მლივი ნაწლავის ტრავმული დაზიანება. დიფუზური ფერმენტულ-ფიბრინული პერიტონიტი. ტოქსიური შოკი. გულსისხლძარღვთა მწვავე უკმარისობა. მიოკარდიუმის გადატანილი წინა კედლის ინფარქტი. სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, თ.ყ.-ს „სიკვდილის მიზეზია ჩირქოვან-ფიბრინული პერიტონიტი, განვითარებული მლივი ნაწლავის ტრავმული გასკდომის შედეგად. ... გვამზე გარეგნულად აღინიშნება თხემ-კეფის საზღვართან მარჯვნივ ნაჭდევი. მარცხნივ, ქვედა ქუთუთოს გარეთა კიდესთან სისხლნაჟღენთი, რაც მიეკუთვნება მსუბუქ ხარისხს ჯანმრთელობის მოუშლელად. შინაგანი გამოკვლევით აღენიშნებოდა: მარჯვნივ მე-8; მარცხნივ მე-7 ნეკნების მოტეხილობა, მოტეხილი ნეკნების შესაბამისად რბილ ქსოვილებში სისხლჩაქცევები. თავის ქალის რბილი საფარის შიგნითა ზედაპირზე თხემ-კეფის საზღვარზე და საფეთქლის არეში მარჯვნივ ვრცელი სისხლჩაქცევები. მლივი ნაწლავის ტრავმული დაზიანება. დაზიანებები განვითარებულია რაიმე მკვრივი ბლავი საგნის მოქმედებით. მარჯვნივ მე-8, მარცხნივ მე-7 ნეკნების მოტეხილობა მიეკუთვნება ნაკლებად მძიმე ხარისხს, ხოლო მლივი ნაწლავის ტრავმული გასკდომა მიეკუთვნება მძიმე ხარისხს, როგორც სიცოცხლისათვის სახიფათო, რისი გართულებაც გახდა მისი სიკვდილის მიზეზი. დაზიანებები სიცოცხლისდროინდელია.

აღსანიშნავია, რომ აბსოლუტურად ვერ გავიზიარებთ ინფორმაციას, რომელიც ჩანაწერშია მოცემული: „დაბალი არტერიული წნევის გამო დაესხა თავბრუ, წაიქცა და მიიღო დაზიანებები“. დაზიანებების მხარეობა (როგორც მარჯვნივ, ისე მარცხნივ), მათი

სხვადასხვა ლოკალიზაცია (კისრის, თავის, გულმკერდის და მუცლის მიდამოები) და სიმძიმე (მოტეხილობა, დაჟეჟილობა, მორფოლოგიურად შეუცვლელი ნაწლავის გასკდომა) პრაქტიკულად გამორიცხავს აღნიშნულის შესაძლებლობას. საფიქრებელია რომ, როგორც ექსპერტის დასკვნაშია ნათქვამი, აღნიშნული დაზიანებები პაციენტს მიადგა რაიმე მკვრივი ბლაგვი საგნის მოქმედებით. რაც შეეხება იმას, თუ რა იყო ეს „რაიმე მკვრივი ბლაგვი საგანი“, იყო ეს იარაღი, ნატურალური საგანი თუ ადამიანის სხეულის ნაწილი ან ყველა ერთად, გამოძიების კომპეტენციას წარმოადგენს და აღნიშნული აუცილებლად უნდა გამხდარიყო გამოძიების ინტერესის ძირითადი საგანი. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ექვს არ იწვევს, რომ დაზიანებები პაციენტმა მიიღო ძალადობრივი გზით, რომელმაც შემდგომში მისი სიკვდილი გამოიწვია. რაც შეეხება პაციენტის, როგორც დაზიანებულის შემდგომ მენეჯმენტს, ამ მხრივაც არე ერთი უხეში შეცდომაა დაშვებული. კერძოდ: პაციენტის გადაყვანა მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა N18 სამკურნალო დაწესებულებაში განხორციელდა 25 მაისს, საღამოს 10 საათზე. სამკურნალო დაწესებულებაში ადეკვატურად ვერ შეფასდა დაზიანების სიმძიმე და სახე. გამოკვლევები ჩატარდა არასრულფასოვნად და არასაკმარისად. ყველაზე შემაშფოთებელი კი ის არის, რომ პაციენტს, რომელსაც აღნიშნებოდა წვრილი ნაწლავის გახეთქვა და ექოსკოპიით მუცლის ღრუში დადგენილ იქნა თავისუფალი სითხე, ოპერაცია ჩაუტარდა დაგვიანებით. ფაქტობრივად ჰოსპიტალიზაციიდან მე-3 დღეს, რაც მკვეთრად ზრდიდა სიკვდილის დადგომის შანსს. ამ პერიოდში პაციენტის მდგომარეობა დამძიმდა მიმდინარე პერიტონიტისა და ინტოქსიკაციის შედეგად. მდგომარეობა დაამძიმა ასევე თანმხლებმა დაავადებებმა, რამაც საბოლოოდ პაციენტის სიკვდილი გამოიწვია. პაციენტის მკურნალობის და მართვის მიმართულებით არსებული აღნიშნული საკითხები აუცილებლად უნდა გახდეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საექიმო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს ინტერესის საგანი, რათა შეფასდეს თუ რამდენად დროულად და ადეკვატურად გაეწია სამედიცინო დახმარება გარდაცვლილ პაციენტს.

გარდაცვლილ პაციენტთა მხოლოდ 0.87%-ს აღნიშნებოდა **ენდოკრინული ორგანოების** სხვადასხვა დაავადებები. აღნიშნული ძირითადად კუჭუკანა ჯირკვლის დაავადებებს შეესაბამება და კლინიკურად მანიფესტირებული იყო შაქრიანი დიაბეტის სახით. გარდა ამისა, ჯგუფში შესულია ფარისებრი ჯირკვლის დაავადების რამდენიმე შემთხვევა.

პენიტენციური სისტემის დაწესებულებებში, 2011 წლის განმავლობაში გარდაცვლილ პაციენტთა 0.53%-ს აღნიშნებოდა **გრძნობათა ორგანოების დაავადებები**. როგორც უკვე აღინიშნა, აღნიშნული ჯგუფი აერთიანებს მხედველობისა და სმენის ორგანოს სხვადასხვა დაავადებებს. 1 შემთხვევაში დაფიქსირებული იყო თვალის ბადურას გარსის ჩამოშლა, ასევე მხედველობის ორგანოს პოსტტრავმული ატროფია, ხოლო რამდენიმე შემთხვევაში ასევე სმენაჩლუნგობა.

გარდაცვლილთა სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნების განხილვა მრავალ პრობლემურ საკითხს აყენებს დღის წესრიგში. უპირველეს ყოვლისა, აღნიშნული

შეეხება სასჯელადსრულების დაწესებულებებში და მათ შორის მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა N18 დაწესებულებაში პაციენტთა მიმართ ჩატარებული მკურნალობის ხარისხს, რომელიც ხშირ შემთხვევაში უკიდურესად დაბალია და არ შეესაბამება ქვეყანაში არსებულ ზოგად სტანდარტებს. გარდა ამისა, არის შემთხვევები, როდესაც სამედიცინო პერსონალის მხრიდან იკვეთება აშკარა დარღვევები; სამწუხაროდ ამ დარღვევათა მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილი ხვდება სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს ყურადღების სფეროში. ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ სისტემა დახურულია სახელმწიფო მარეგულირებლისათვის და სააგენტოს საქმიანობის სრული სპექტრი მის სამედიცინო სტრუქტურებზე პრაქტიკულად არ ვრცელდება. საილუსტრაციოდ მოგვყავს ერთ-ერთი მაგალითი:

გარდაცვლილი პაციენტი ჭ.ვ., მამაკაცი, 34 წლის. სიკვდილი დადგა მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში, 2011 წლის მეორე ნახევარში. სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნაში საკმაოდ დეტალურადაა აღწერილი „საქმის გარემოება“, სადაც გარჩეულია მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში, პაციენტის მიმართ წარმოებული ავადმყოფობის ისტორია. აღნიშნულის მიხედვით ირკვევა, რომ პაციენტი ჭ.ვ. N18 დაწესებულებაში პირველად არ ყოფილა სტაციონირებული და ბოლოს იგი 1 წლის წინ იმყოფებოდა სამკურნალო დაწესებულებაში. „1 წლის წინ მკურნალობას გადიოდა ჩვენს დაწესებულებაში, ჩატარებული აქვს კ.ტ. მგრ. უტარდებოდა მკურნალობა, გაეწერა დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში“. სამწუხაროდ ტრადიციულად არ არის მითითებული რა იგულისხმება დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში, ასევე დაავადების გამოსავალში. მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამკურნალო დაწესებულების ექიმები, ხშირ შემთხვევაში სამედიცინო დოკუმენტაციაში აფიქსირებენ თავის სუბიექტურ აზრს (მაგალითად მდგომარეობა გაუმჯობესდა, პაციენტი გამოჯანმრთელდა და ა.შ.), თუმცა ამის დასაბუთება არ ხდება. არ არის მოცემული რა კრიტერიუმებით დაადგინეს მაგალითად განკურნება, გამოჯანმრთელება ან მდგომარეობის გაუმჯობესება. აღნიშნული წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ხარვეზს, განსაკუთრებით კი პენიტენციური სისტემისათვის (სადაც პაციენტის უფლებები გაუმართლებლად მკვეთრად არის შეზღუდული) ასეთი მიდგომა ყოველ დაუშვებელია. აღნიშნულ ჩანაწერებს შედეგის სახით მოჰყვება გაუგებრობა; ასევე პაციენტის განმეორებითი სტაციონირების შემთხვევაში დარღვეულია მკურნალობის უწყვეტობის პრინციპი. სხვადასხვა ექიმი, პაციენტი და ზოგიერთ სხვა პირი, პაციენტის მდგომარეობის შესახებ რადიკალურად განსხვავებულ მონაცემებს ჰყვება, რომელთა თანხვედრა ვერ ხერხდება. მაგალითად იმავე ისტორიაში ნახსენებია, რომ „ნაღვლკენჭოვანი დაავადება მრავალჯერ ჩატარებული ინსტრუმენტალური გამოკვლევებით გამოირიცხა“. ამ მოსაზრების შეცვლა არ ხდება ლაპაროტომიის შემდეგაც კი. მიუხედავად ამისა, პაციენტის გარდაცვალების შემდეგ, სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა ქრონიკული ქოლანგიტის დიაგნოზს სვამს, რომელიც სავარაუდოდ დიდი ხანია მიმდინარეობდა და ვითარდებოდა. ასევე არაფერია ნათქვამი სასუნთქი სისტემის მხრივ არსებულ პრობლემებზე. სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა კი ასკვნის, რომ პაციენტს აღნიშნებოდა ბრონქოპნევმონია, ალვეოლების

კეროვანი ემფიზემა. აღნიშნულის მხედველობიდან გამორჩენა წარმოადგენს საკმაოდ მნიშვნელოვან შეცდომას მკურნალობის პროცესში. უფრო მეტიც, არაკომპეტენტური და უხარისხო მკურნალობის მიმდინარეობაზე კიდევ მრავალი ფაქტი მიუთითებს: მაგალითად, პანკრეატიტის დიაგნოზის დასმის პარალელურად ექიმი არ ერიდება „მორფინის“ დანიშვნას, რაც ამ დროს დაუშვებელია და პროცესის უარყოფით დინამიკას იწვევს. აღმაშფოთებელია ისტორიაში არსებული ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც მკურნალ ექიმს მიაჩნს რა ექვი პანკრეასის სიმსივნეზე წერს: „ავადმყოფს გამოკვლევების საფუძველზე ჩაუტარდა ონკოაბდომინალისტის დაუსწრებელი კონსულტაცია, მიეცა რეკომენდაცია ოპერაცია - პანკრეატოდუოდენალურ რეზექციაზე. ავადმყოფი მზადდება ოპერაციული მკურნალობისათვის“. აღსანიშნავია, რომ პანკრეატოდუოდენური რეზექცია წარმოადგენს ქირურგიაში წარმოებულ ერთ-ერთ ყველაზე რთულ და საპასუხისმგებლო პროცედურას. შესაბამისად ის დიაგნოზი, რომლის გამო ინიშნება ოპერაცია საკმაოდ რთული და მრავალმხრივია. ფაქტია, რომ აღნიშნული პათოლოგიის მკურნალობა მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში შეუძლებელია!!! გარდა ამისა, ექიმი, რომელიც ასეთ შემთხვევაში გაუგონარ „დაუსწრებელ კონსულტაციას“ ნიშნავს და მის საფუძველზე ოპერაციულ ჩვენებას განსაზღვრავს ნამდვილად იმსახურებს როგორც მინიმუმ პროფესიული პასუხისმგებლობის უმკაცრეს ზომებს! სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, პანკრეასის სიმსივნური დაზიანება გამოირიცხა. დასმულ იქნა ქრონიკული პანკრეატიტის დიაგნოზი, ასევე პანკრეასის ფსევდოციტების მწვავე ჩირქოვანი ანთების სურათით. გაუგებარია, რა მკურნალობა ჩატარდა და რა ჩვენებით. ონკოცენტრიდან დაბრუნებული პაციენტის ჩანაწერების მიხედვით ქირურგი წერს, რომ „ჭრილობა ხორცდება პირველადი დაჭიმვით, საფენი სველია, აქვე ფიქსირდება მოყვითალო გამონადენი, ორივე დრენირების არეში მცირე ფიბრინულ-ჩირქოვანი გამონადენი“. ამ ჩანაწერის მიხედვით წარმოიქმნება საფუძვლიანი ექვი, რომ ჭრილობა მართლაც პირველადი დაჭიმვით ხორცდება. მომდევნო ჩანაწერით ირკვევა, რომ „დრენაჟების ირგვლივ მცირე ფიბრინულ-ჩირქოვანი ნადები, მღვრიე გამონადენით. ნაკერი დამჭერით (სავარაუდოდ მომჭერით) გაიხსნა. პერიტონეუმის ღრუში ჩაიდგა სტერილური კათეტერი, უმნიშვნელო რაოდენობით მღვრიე გამონადენი. გამოირეცხა პანკრეასის აბსცედირებული ღრუ, გამონადენი ვერ იქნა მიღებული, უგრძელდება მკურნალობა“. გარდა იმისა, რომ ჩანაწერი აბსოლუტურად არალოგიკურია და შეუსაბამო, ექიმი ვერ ფლობს სამედიცინო ტერმინოლოგიას, ჩანაწერის სხვადასხვა ფრაგმენტები ურთიერთგამომრიცხავია. აღარაფერს ვამბობთ აღნიშნული მანიპულაციების ადეკვატურობასა და დასაბუთებულობაზე. საინტერესოა ასევე ის ფაქტიც, რომ მიუხედავად პაციენტის მიმართ ჩატარებული ოპერაციისა, რომლის შედეგადაც დიაგნოზი ნამდვილად უნდა გამხდარიყო ნათელი, სიკვდილის დიაგნოზად ექიმი კვლავ „პანკრეასის თავის კიბოს“ ასახელებს, რაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ არ დასტურდება სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დროს ჩატარებული მიკრო და მაკრომორფოლოგიური კვლევებით. საყურადღებოა სხვა გარემოებებიც, რომელიც პაციენტის მოვლას შეეხება. პაციენტს აქვს ნაწოლები ზურგის და კუდუსუნის არეში, კახექსიურია. გარდა ამისა, ექიმი პაციენტის უმძიმესი მდგომარეობის მიუხედავად მიუთითებს, რომ „დიურეზი პამპერსში“ ხდება.

გასაკვირია ეს დეტალიც, თუ რატომ არ იქნა ნაწარმოები შარდის ბუშტის კათეტერიზაცია? რომელიც ინტენსიური თერაპიის ამ კონკრეტულ შემთხვევაში აუცილებლობას წარმოადგენდა, ისევ და ისევ ჩანაწერებიდან და დაავადების თავისებურებებიდან გამომდინარე. (სამაგიეროდ, ექიმის მიერ წარმოებულ იქნა ე.წ. „პერიტონეუმის ღრუს კათეტერიზაცია“, რომელიც გაურკვეველ მანიპულაციას/პროცედურას წარმოადგენს). საქართველოს სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ როგორც ეს კონკრეტული შემთხვევა, ისე სხვა არაერთი პაციენტის სამედიცინო ჩანაწერები, აუცილებლად უნდა გახდეს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს ინტერესის ობიექტი.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში აშკარად მრავლადაა უკანონო საექიმო საქმიანობის ფაქტები. მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულების ნებართვით მრავალი საქმიანობა არ არის გათვალისწინებული, ამ პროფილის პაციენტების „მკურნალობა“ მაინც წარმოებს, რომელიც ხშირ შემთხვევაში პაციენტის სიკვდილით მთავრდება. დაწესებულებაში მიმდინარეობს მაგალითად, ურთულესი ნეიროქირურგიული პროფილის პაციენტების მკურნალობა, თავის ტვინის მოცულობითი წარმონაქმნებით. მაგალითად: პაციენტი უ.შ. 41 წლის მამაკაცი, გარდაიცვალა N18 დაწესებულებაში 2011 წლის მეორე ნახევარში. სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნაში არსებული ჩანაწერით ირკვევა, რომ პაციენტი უმძიმეს მდგომარეობაში გადმოუყვანიათ N15 დაწესებულებიდან მსჯავრდებულთა და პატიმართა N18 დაწესებულებაში სადაც მიყვანიდან რამდენიმე დღეში მოკვდა. მიუხედავად იმისა, რომ პაციენტს ჩაუტარდა კ.ტ. კვლევა, რის შედეგადაც დაისვა დიაგნოზი - „მასიური სუბარაქნოიდულ-პარენქიმულ-პარაკუპოვანი სისხლჩაქცევა... (საფიქრებელია ანევრიზმის რუპტურა...)“ პაციენტი არ მოთავსდა პროფილურ სტაციონარში, სადაც შესაძლებელი იქნებოდა მას ნეიროქირურგის მეთვალყურეობით ემკურნალა.

ანალოგიურ შემთხვევასთან გვაქვს საქმე შემდეგი კონკრეტული ჩანაწერის გათვალისწინებით: გარდაცვლილი პაციენტი ა.ა. 44 წლის მამაკაცი. პაციენტი თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის მწვავე მოშლის დიაგნოზით იქნა მიყვანილი მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში. პაციენტს უტარდებოდა მკურნალობა დასმული დიაგნოზიდან გამომდინარე. მიუხედავად ამისა, სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის მიერ თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის მოშლის დიაგნოზი არ დადასტურდა, არამედ გაირკვა, რომ პაციენტს აღენიშნებოდა „თავის ტვინის სიმსივნე - მედულობლასტომა“. ამ შემთხვევაშიც პაციენტი მოკვლეული იყო ნეიროქირურგიული პროფილის მომსახურებას.

2011 წლის განმავლობაში მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში მოკვდა 3 პაციენტი თავის ტვინის სიმსივნის დიაგნოზით, ასევე 3 პაციენტი თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის მოშლის დიაგნოზით და 2 პაციენტი სხვადასხვა გენეზის ცნს-ის ანთებითი დაავადებებით. მათი მკურნალობის პროცესში

სამწუხაროდ ნეიროქორუორგიული კომპონენტი იგნორირებული იყო და მათ ვერ მიეწოდათ შესაბამისი და ადეკვატური სამედიცინო მომსახურება.


გარდა ზემოთ აღნიშნული ფაქტებისა, მონიტორინგის შედეგად ჩატარებული შესწავლებით ასევე გამახვილდა ყურადღება იმ ფაქტებზე, რომ გასული წლების მსგავსად, ზოგიერთ შემთხვევაში პაციენტის გარდაცვალება ხდება მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში შეყვანიდან რამდენიმე წუთში. საქართველოს სახალხო დამცველი გამოთქვამს ეჭვს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში N18 დაწესებულებაში პაციენტი ცოცხალ მდგომარეობაში ვერ აღწევს (კოდი N II-30) და რატომღაც მაინც აფიქსირებენ, რომ ის სტაციონარში შეყვანის შემდეგ გარდაიცვალა. მსგავსი შემთხვევა დაფიქსირდა ბათუმის რესპუბლიკურ საავადმყოფოშიც (კოდი N II-26), კერძოდ ექსპერტიზის დასკვნაში მითითებულია, რომ პაციენტი საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა. 40 წლის პაციენტის გარდაცვალების მიზეზი ექსპერტიზის დასკვნის მიხედვითაც კი საკმაოდ ბუნდოვანია. ასევე გაურკვეველია რატომ დაავალა გამომძიებელმა დადგენილებით სასამართლო სამედიცინო ექსპერტს გარდაცვლილის „ფრჩხილის ნიმუშის“ აღება.

ამგვარად, ჩვენს მიერ, დეტალურად იქნა განხილული გარდაცვლილ პაციენტთა სასამართლო-სამედიცინო დიაგნოზები, ნოზოლოგიური ჯგუფების მიხედვით. მიუხედავად ამისა, ჩვენ ასევე დავინტერესდით იმის შესწავლით, თუ რა იყო პაციენტთა სიკვდილის უშუალო მიზეზი 2011 წლის განმავლობაში. ამისათვის გაანალიზდა ჩვენს ხელთ არსებული ყველა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა. მხედველობაში იქნა მიღებული სასამართლო-სამედიცინო ექსპერტის მიერ გამოყოფილი სიკვდილის უშუალო მიზეზი ანუ სიკვდილის მიზეზების დათვლა ამ შემთხვევაში მოხდა სასამართლო ექსპერტიზის დასკვნაში მოხსენიებული გარდაცვალების მხოლოდ წამყვანი (ძირითადი) მიზეზის გათვალისწინებით. ამ შემთხვევაში არ ყოფილა გათვალისწინებული თანმხლები დაავადება, რაც თავის მხრივ მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს მდგომარეობის დამძიმებას. აღწერილი სტატისტიკა მოყვანილია ცხრილში:

№	სიკვდილის უშუალო მიზეზი	%	შენიშვნა
1	ტუბერკულოზი	31.59	* ფილტვის /ექსტრაპულმონ
2	ავთვისებიანი სიმსივნეები	14.42	
3	მიოკარდიუმის ინფარქტი	10.77	
4	გულის იშემიური დაავადება	10.54	* გარდა მიოკ. ინფ.
5	სისხლდენა	8.65	* სასუნთქი და საკმ. მომ. სისტემიდან
6	ფილტვების ანთება	5.94	
7	ნამალადევი სიკვდილი	4.98	
8	ღვიძლის ციროზი	3.53	

9	ინსულტი	3.04	
10	ენცეფალიტი/მენინგიტი/არაქნოიდიტი	2.73	
11	გულის სხვა დაავადებები	1.58	
12	არტერიული ანევრიზმები	1.58	
13	პერიტონიტი	0.65	

აღნიშნული პროცენტული წილები გამოსახულია გრაფიკულად:



როგორც მოყვანილი ცხრილიდან და გრაფიკიდან ჩანს, 2011 წელს ტუბერკულოზი კვლავ რჩება საქართველოს პენიტენციურ სისტემაში მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა გარდაცვალების NI მიზეზად. მიუხედავად ამისა, აშკარაა ტენდენცია, რომლის მიხედვითაც წლის პირველ და მეორე ნახევრებს შორის მკვეთრად განსხვავებული სურათი იქმნება. კერძოდ, თუ წლის პირველ ნახევარში, ტუბერკულოზით სიკვდილობა 44.15% შეადგენდა, მეორე ნახევრისათვის ამ მაჩვენებელმა ორჯერ და უფრო მეტად იკლო და 19.05% შეადგინა.

შემდეგი ტენდენცია, რომელიც აუცილებლად უნდა აღინიშნოს მდგომარეობს ავთვისებიანი სიმსივნეებით განპირობებული სიკვდილობის მკვეთრმა ტენდენციამ. კერძოდ, აღნიშნული სიკვდილის უშუალო მიზეზთა შორის მე-2 ადგილზე გამოდის. მსგავსი ტენდენციით ხასიათდება მიოკარდიუმის ინფარქტი, რომელიც გარდა იმისა, რომ სიკვდილობის განმაპირობებელი მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა, მისი ასაკი წინა წლებთან შედარებით უფრო გაახალგაზრდავდა.

რაც შეეხება ფილტვების ანთებას (პნევმონიას), როგორც სიკვდილის გამომწვევ უშუალო მიზეზს, სამწუხაროდ, აღნიშნული მაჩვენებელი სტაბილურია და მიუხედავად არსებული ძალისხმევისა კვლავ ერთ-ერთ უმწვავეს პრობლემად რჩება. წინა წლებთან შედარებით შედარებით იკლო ნევროლოგიური პათოლოგიით გამოწვეულმა სიკვდილობამ.

საქართველოს სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ ზემოთ გამოკვეთილი ტენდენციების გაანალიზება და შემდგომი შესწავლა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს პენიტენციური ჯანდაცვის სისტემის რეფორმის დაგეგმვისა და განვითარების პროცესს.